ზაზა მეიშვილი
ომარ ჯორბენაძე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები

2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ზაზა მეიშვილი
ომარ ჯორბენაძე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები

(2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

თბილისი
2007

ავტორები:

ზაზა მეიშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე,
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე

ომარ ჯორბენაძე
თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარე

რეცენზენტი:

გიორგი ლაცაბიძე
საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე,
საგამოძიებო ნაწილის უფროსი

რედაქტორები:

ზაზა მეიშვილი
ირინა ცაგარელი

სტილისტი:

თინათინ ჟოჟრაშვილი

დიზაინი:

გესიკ დანელია

გაეროს განვითარების პროგრამა

ნორვეგიის მთავრობა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

დაიბეჭდა „სეზანში“

ISBN 978-99940-0-883-4

სარჩევი

ზოგადი ნაწილი

კარი პირველი
ძირითადი დებულებანი 7

თავი I
სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობა 7

მუხლი 1. სისხლის სამართლის პროცესის ამოცანები 7
მუხლი 2. სისხლის სამართლის პროცესის წყაროები 8
მუხლი 3. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება დროში 41
მუხლი 4. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება სივრცეში 42
მუხლი 5. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოქმედება უცხო სახელმწიფოს მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ 44

თავი II
სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები 46

მუხლი 6. ზოგადსამართლებრივი და სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები 46
მუხლი 7. კანონიერება და ადამიანის ბუნებითი უფლებები 46
მუხლი 8. სასამართლო ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა 49
მუხლი 9. თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე 52
მუხლი 10. უდანაშაულობის პრეზუმფცია 54
მუხლი 11. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფლების უზრუნველყოფა 56
მუხლი 12. პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი პატივისა და ღირსების დაცვა 58
მუხლი 13. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა 60
მუხლი 14. საჯაროობა და დისპოზიციურობა 62
მუხლი 15. სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა 65
მუხლი 15[1]. საპროცესო შეთანხმება 67
მუხლი 16. სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნოობა 68
მუხლი 17. სისხლის სამართლის პროცესის ენა 72
მუხლი 18. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა 73

მუხლი 19. მტკიცებულების შეფასება შინაგანი რწმენით 74
მუხლი 20. სისხლის სამართლის პროცესის უშუალობა და ზეპირობა 76
მუხლი 21. საპროცესო მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების თავისუფლება 78

თავი III
სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და სახეები 80

მუხლი 22. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება 80
მუხლი 23. სისხლისსამართლებრივი დევნის სახეები 80
მუხლი 24. საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა 81
მუხლი 25. სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა 87
მუხლი 26. კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა 88
მუხლი 27. კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა 90
მუხლი 28. სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები 92
მუხლი 29. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძვლები და ვადები 99

თავი IV
სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში 104

მუხლი 30. სამოქალაქო სარჩელი და მისი წარდგენის საფუძველი 104
მუხლი 31. სამოქალაქო სარჩელის საგამოძიებო ქვემდებარეობა და განსჯადობა 106
მუხლი 32. სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლების განმარტება 106
მუხლი 33. სამოქალაქო სარჩელის წარდგენა 107
მუხლი 34. შეგებებული სამოქალაქო სარჩელის წარდგენა 110
მუხლი 35. სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის წესი 110
მუხლი 36. სამოქალაქო მოპასუხედ საქმეში ჩაბმა 112
მუხლი 37. პროკურორის მიერ სამოქალაქო სარჩელის წარდგენა და მხარდაჭერა 113
მუხლი 37[1]. პროკურორის სარჩელი თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით 114
მუხლი 37[2]. (ამოღებულია) 117
მუხლი 38. სისხლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენება სამოქალაქო სარჩელის განხილვისას 117
მუხლი 39. მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენება სამოქალაქო სარჩელის განხილვისას 118
მუხლი 40. მოსარჩელის უარი სამოქალაქო სარჩელზე 119
მუხლი 41. სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილება და უარყოფა 120
მუხლი 42. სისხლის სამართლის საქმეზე დაკმაყოფილებული სამოქალაქო სარჩელის აღსრულების თავისებურებანი 122
მუხლი 43. სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა 123

თავი V
ამ კოდექსში გამოყენებული ზოგიერთი ცნების მნიშვნელობა 124

მუხლი 44. ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება 124

კარი მეორე
სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი 142

თავი VI
სასამართლო 142

მუხლი 45. სასამართლო როგორც მართლმსაჯულების ორგანო 142
მუხლი 46. სასამართლოს უფლებამოსილება 143
მუხლი 47. საქმის ერთპიროვნულად და კოლეგიურად განხილვა სასამართლოში 146
მუხლი 48. განსჯადობა 148
მუხლი 49. სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა 153
მუხლი 50. სასამართლოს კერძო განჩინება (დადგენილება). სასამართლო დავალება 154
მუხლი 51. მოსამართლეთა თანასწორობა საქმის განხილვისას 156
მუხლი 52. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე 156
მუხლი 53. მოსამართლის თანაშემწე 157
მუხლი 54. სასამართლო სხდომის მდივანი 157

თავი VII
პროკურორი 159

მუხლი 55. პროკურატურა 159
მუხლი 56. პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე 160
მუხლი 57. პროკურორის უფლებამოსილებანი სასამართლოში 164

თავი VIII
გამომძიებელი 166

მუხლი 58. გამომძიებლის სტატუსი 166
მუხლი 59. გამომძიებლის უფლებამოსილებანი 168
მუხლი 60. (ამოღებულია) 170
მუხლი 61. წინასწარი გამოძიების ორგანოები 171
მუხლი 62. უწყებრივი და პერსონალური საგამოძიებო ქვემდებარეობა 171
მუხლი 63. ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობა 178
მუხლი 64. გამომძიებლის დავალება 179

თავი IX
(ამოღებულია) 180

თავი X
დაზარალებული და მისი წარმომადგენელი 180

მუხლი 68. პირის დაზარალებულად ცნობა 180
მუხლი 69. დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის უფლებები 183

მუხლი 70. დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის მოვალეობები 186
მუხლი 71. დაზარალებულის წარმომადგენელი 188

თავი XI
ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი 193

მუხლი 72. პირის ეჭვმიტანილად ცნობა 193
მუხლი 73. ეჭვმიტანილის უფლებები 196
მუხლი 74. ეჭვმიტანილის მოვალეობები 199
მუხლი 75. პირის ბრალდებულად ცნობა 200
მუხლი 76. ბრალდებულის უფლებები 202
მუხლი 77. ბრალდებულის მოვალეობები 205
მუხლი 78. დამცველი 205
მუხლი 79. დაცვა შეთანხმებით 207
მუხლი 80. დაცვა დანიშვნით 207
მუხლი 81. იძულებითი დაცვა 208
მუხლი 82. დამცველის დაშვება სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის 211
მუხლი 83. დამცველის მოწვევისა და შეცვლის შესახებ მოთხოვნათა გადაწყვეტა 211
მუხლი 84. დამცველის უფლება-მოვალეობანი 214

თავი XII
სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები 220

მუხლი 85. სამოქალაქო მოსარჩელე 220
მუხლი 86. სამოქალაქო მოსარჩელის უფლება-მოვალეობანი 221
მუხლი 87. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი 224
მუხლი 88. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლის უფლება-მოვალეობანი 225
მუხლი 89. სამოქალაქო მოპასუხე 227
მუხლი 90. სამოქალაქო მოპასუხის უფლება-მოვალეობანი 227
მუხლი 91. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი 229
მუხლი 92. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლის უფლება-მოვალეობანი 230

თავი XIII
სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილენი 233

მუხლი 93. მოწმე 233
მუხლი 94. მოწმის უფლება-მოვალეობანი 233
მუხლი 95. პირი, რომელიც არ შეიძლება მოწმე იყოს 236
მუხლი 96. ექსპერტი 238
მუხლი 97. ექსპერტის უფლება-მოვალეობანი 240
მუხლი 98. სპეციალისტი 242
მუხლი 99. სპეციალისტის უფლება-მოვალეობანი 243

მუხლი 100. თარჯიმანი 245
მუხლი 101. თარჯიმნის უფლება-მოვალეობანი 247
მუხლი 102. დამსწრე 248
მუხლი 103. დამსწრის უფლება-მოვალეობანი 250
მუხლი 104. პროცესის მონაწილისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება 251

თავი XIV
სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი. აცილება 254

მუხლი 105. საქმეში მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლისა და სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი 254
მუხლი 106. საქმეში ექსპერტის, სპეციალისტის ან თარჯიმნის მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოებები 258
მუხლი 107. საქმეში დამცველის, აგრეთვე დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლების მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი 259
მუხლი 108. აცილებისა და თვითაცილების განცხადებისა და გადაწყვეტის წესი 261
მუხლი 109. (ამოღებულია) 265

თავი XIV[1]
სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებანი 266

მუხლი 109[1]. დაცვის სპეციალური ღონისძიებანი 266
მუხლი 109[2]. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობა 268
მუხლი 109[3]. შუამდგომლობის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება 269
მუხლი 109[4]. შეტყობინება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ 271
მუხლი 109[5]. ინფორმაციის დაცვა 271

კარი მესამე
მტკიცებულებანი და მტკიცება 273

თავი XV
მტკიცებულებანი და მტკიცების საგანი 273

მუხლი 110. მტკიცებულების ცნება 273
მუხლი 111. დაუშვებელი მტკიცებულება 276
მუხლი 112. გარემოებები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე 277
მუხლი 113. გარემოებები, რომლებიც დგინდება მტკიცებულებათა წარმოდგენის გარეშე. პრეიუდიციები 278

თავი XVI
მტკიცებულებათა სახეები 281

მუხლი 114. ექვმიტანილის ჩვენება 281
მუხლი 115. ბრალდებულის ჩვენება 281
მუხლი 116. დაზარალებულის ჩვენება 282
მუხლი 117. მოწმის ჩვენება 283
მუხლი 118. ჩვენების ზეპირი და წერილობითი ფორმა 285
მუხლი 119. ჩვენების ძალდაუტანლობა 285
მუხლი 120. ექსპერტის დასკვნა 286
მუხლი 121. ნივთიერი მტკიცებულება 288
მუხლი 122. ნივთიერი მტკიცებულების შენახვა 290
მუხლი 123. გადაწყვეტილება ნივთიერი მტკიცებულების შესახებ საქმის წარმოების დამთავრებამდე 291
მუხლი 124. გადაწყვეტილება ნივთიერ მტკიცებულებათა შესახებ საქმის წარმოების დამთავრების დროს 293
მუხლი 125. საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ოქმები 295
მუხლი 126. სხვა დოკუმენტები 296

თავი XVII
მტკიცება 298

მუხლი 127. მტკიცების პროცესის შემადგენელი ნაწილები 298
მუხლი 128. მტკიცებულებათა შეკრება 298
მუხლი 129. მხარეების მიერ მტკიცებულებათა შეკრება და წარდგენა 300
მუხლი 130. მტკიცებულებათა საპროცესო დამაგრება 302
მუხლი 131. მტკიცებულებათა შემოწმება 304
მუხლი 132. მტკიცებულებათა შეფასება 304

კარი მეოთხე
სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულება 306

თავი XVIII
სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენების საერთო პირობები 306

მუხლი 133. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ამოცანები 306
მუხლი 134. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების სახეები 308
მუხლი 135. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების კანონიერება და დასაბუთებულობა 309
მუხლი 136. მოპყრობა პირისადმი, რომლის მიმართაც გამოყენებულია სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება 310
მუხლი 137. დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაციის საპროცესო მოვალეობა 313

მუხლი 138. შეტყობინება საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ 315
მუხლი 139. დაკავებული, დაპატიმრებული ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირის კმაყოფაზე მყოფთა, მისი საცხოვრებელი ბინისა და ქონების მეურვეობის ღონისძიებანი 317
მუხლი 140. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების სასამართლო წესი 318

თავი XIX
დაკავება 341

მუხლი 141. დაკავების გამოყენების პირობა და მიზანი 341
მუხლი 142. დაკავების საფუძველი 342
მუხლი 143. პირი, რომელსაც აქვს დაკავების უფლება 343
მუხლი 144. პირები, რომლებიც სარგებლობენ იმუნიტეტით დაკავებისას 344
მუხლი 145. დაკავების წესი 345
მუხლი 146. (ამოღებულია) 350
მუხლი 147. მსჯავრდებულის დაკავება 351
მუხლი 148. დაკავების დროის ჩათვლა 351
მუხლი 149. დაკავებულის ყოფნის ადგილი 352
მუხლი 150. დაკავებისაგან განთავისუფლების საფუძველი და წესი 352

თავი XX
აღკვეთის ღონისძიებანი 355

მუხლი 151. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი და საფუძველი 355
მუხლი 152. აღკვეთის ღონისძიების სახეები 357
მუხლი 153. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები 358
მუხლი 154. პირი, რომლის მიმართაც შეიძლება აღკვეთის ღონისძიების გამოყენება 360
მუხლი 155. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა და გაუქმება 361
მუხლი 156. სასამართლო ბრძანება წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ 361
მუხლი 157. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება საქმის სასამართლოში განხილვისას 362
მუხლი 158. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ოქმი 363
მუხლი 159. დაპატიმრება 364
მუხლი 160. აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების შერჩევის წესი 365
მუხლი 161. გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს მითითება პატიმრობაში ყოფნის პირობების შესახებ 371
მუხლი 162. პატიმრობის ვადა 372
მუხლი 163. პატიმრობის ვადის გაგრძელების წესი 375
მუხლი 164. პატიმრობიდან განთავისუფლება 377

მუხლი 165. უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება 378
მუხლი 166. (ამოღებულია) 380
მუხლი 167. (ამოღებულია) 380
მუხლი 168. გირაო 380
მუხლი 169. (ამოღებულია) 387
მუხლი 170. პირადი თავდებობა 388
მუხლი 171. არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა 389
მუხლი 172. სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა 392

თავი XXI
მოყვანა 395

მუხლი 173. გამოცხადების სავალდებულოობა 395
მუხლი 174. მოსაყვანი პირი 396
მუხლი 175. მოსამართლის ბრძანება და სასამართლო განჩინება (დადგენილება) მოყვანის შესახებ 397
მუხლი 176. მოყვანის შესახებ სასამართლო ბრძანებისა და განჩინების (დადგენილების) აღსრულება 398

თავი XXII
პირის მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზის ჩასატარებლად 400

მუხლი 177. სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი 400
მუხლი 178. მოსამართლის ბრძანება და სასამართლო განჩინება (დადგენილება) სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების შესახებ 401
მუხლი 179. პირი, რომელიც არ შეიძლება იძულებით მოთავსებულ იქნეს სამედიცინო დაწესებულებაში 403
მუხლი 180. აღკვეთის ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების დროს 403
მუხლი 181. ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში პირის ყოფნის ვადა 404
მუხლი 182. სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირის უფლება 405

თავი XXIII
ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება 406

მუხლი 183. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საფუძველი 406
მუხლი 184. მოსამართლის ბრძანება და სასამართლო განჩინება (დადგენილება) ბრალდებულის (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ 407

მუხლი 185. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების ვადა 409
მუხლი 186. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ ბრძანების დადასტურება და გაუქმება 409
მუხლი 187. ზოგიერთი პირის თანამდებობიდან გადაყენება (თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან ჩამოცილება) 410
მუხლი 188. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაყენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება 410
მუხლი 189. ეჭვმიტანილის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება 411

თავი XXIV
ქონებაზე ყადაღის დადება 412

მუხლი 190. ქონებაზე ყადაღის დადების მიზანი და საფუძველი 412
მუხლი 191. ქონებაზე ყადაღის დადებისას მესაკუთრის უფლებამოსილებათა შეზღუდვა 414
მუხლი 192. ქონება, რომელზედაც ყადაღის დადება არ შეიძლება 414
მუხლი 193. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობა და მისი განხილვის წესი 415
მუხლი 194. მოსამართლის ბრძანება და სასამართლო განჩინება (დადგენილება) ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ 416
მუხლი 195. დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ 417
მუხლი 196. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) აღსრულების წესი 418
მუხლი 197. ქონებაზე ყადაღის დადების ოქმი 420
მუხლი 198. დაყადაღებული ქონების შენახვა 421
მუხლი 199. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) მოქმედების ვადა 423
მუხლი 200. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრება 426
მუხლი 201. ქონების დაბრუნება რეაბილიტაციის დროს 427

თავი XXV
პასუხისმგებლობა წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის 428

მუხლი 202. (ამოღებულია) 428
მუხლი 203. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა პასუხისმგებლობა გამოცხადებასა და თავიანთ მოვალეობათა შესრულებაზე უარის თქმისათვის 428

მუხლი 204. პასუხისმგებლობა ცრუ ცნობების მიწოდებისათვის 429
მუხლი 205. პასუხისმგებლობა სხვა საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის 430
მუხლი 206. პასუხისმგებლობა აღკვეთის ღონისძიების დაუცველობისათვის 431
მუხლი 207. პასუხისმგებლობა საქმის განხილვის ან საგამოძიებო მოქმედების გადადებით გამოწვეული ზიანისათვის 432
მუხლი 208. პასუხისმგებლობა სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის 432
მუხლი 209. წინასწარი გამოძიების სტადიაზე სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევისათვის პირის პასუხისგებაში მიცემის წესი 437
მუხლი 210. წინასწარი გამოძიების დროს ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესი 438
მუხლი 211. სასამართლო სხდომაზე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესი 440

კარი მეხუთე
ზოგადი ნაწილის სხვა დებულებანი 441

თავი XXVI
საპროცესო ვადები 441

მუხლი 212. ვადების გამოთვლის წესი 441
მუხლი 213. ვადის დაცვა 442
მუხლი 214. ვადის გაგრძელება 442
მუხლი 215. გაცდენილი ვადის აღდგენა 442
მუხლი 216. ვადის გაცდენის შედეგები 444

თავი XXVII
სასამართლო ხარჯები და მათი ანაზღაურება 445

მუხლი 217. სასამართლო ხარჯების სახეები 445
მუხლი 218. სასამართლო ხარჯების გადახდევინება 447

თავი XXVIII
რეაბილიტაცია და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება 451

მუხლი 219. რეაბილიტაციის საფუძვლები 451
მუხლი 220. ნაწილობრივი რეაბილიტაცია 453
მუხლი 221. სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები 453

მუხლი 222. ბრალეულობის საკითხი რეაბილიტაციის დროს უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას 454
მუხლი 223. უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება 454
მუხლი 224. უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ფიზიკური ზიანის ანაზღაურება 456
მუხლი 225. უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 457
მუხლი 226. სხვა უფლებათა აღდგენა 458
მუხლი 227. რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საპროცესო წესი 459
მუხლი 228. უფლების აღდგენა სასარჩელო წესით 463
მუხლი 229. რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება 464

თავი XXIX
შუამდგომლობა 465

მუხლი 230. შუამდგომლობის განცხადების უფლება 465
მუხლი 231. შუამდგომლობის განცხადების წესი 465
მუხლი 232. შუამდგომლობის გადაწყვეტა 467
მუხლი 233. შუამდგომლობა სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენებისა და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ 469

თავი XXX
საჩივარი 471

მუხლი 234. სისხლის სამართლის პროცესის განმახორციელებელი ორგანოს და თანამდებობის პირის მოქმედების ან გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება 471
მუხლი 235. საჩივრის შეტანა 471
მუხლი 236. საჩივრის შეტანის ვადა 472
მუხლი 237. გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით 474
მუხლი 238. საჩივრის განხილვის ზოგადი წესი 474
მუხლი 239. საჩივრის განხილვის ვადა 475
მუხლი 240. გადაწყვეტილება საჩივრის გამო 476
მუხლი 241. საჩივრის გამო გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინება 476
მუხლი 242. გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში 477

მუხლი 243. წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ასევე პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრების წესი 482
მუხლი 244. (ამოღებულია) 491

თავი XXXI
სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება და გამოყოფა 492

მუხლი 245. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება 492
მუხლი 246. სისხლის სამართლის საქმის გამოყოფა 493

თავი XXXII
საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში 495

მუხლი 247. სამართლებრივი დახმარების სახეები 495
მუხლი 248. უცხო სახელმწიფოში სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის გაგზავნა 497
მუხლი 249. უცხო სახელმწიფოში საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობის შინაარსი 498
მუხლი 250. უცხო სახელმწიფოს მოქალაქის გამოძახება სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის 499
მუხლი 251. საქართველოს მოქალაქის მიმართ საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების შესახებ უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობის შესრულება 500
მუხლი 252. უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის შესახებ მასალების გაგზავნა 501
მუხლი 253. საქართველოს მოქალაქის მიერ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის შესახებ მოთხოვნის განხილვა 502
მუხლი 254. ექსტრადიციის მოთხოვნა 504
მუხლი 255. გადმოცემის პირობები 505
მუხლი 256. უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ექსტრადიცია 506
მუხლი 257. ექსტრადიციაზე უარის თქმა 507
მუხლი 258. მოქალაქეობის არმქონე პირის ექსტრადიცია 508
მუხლი 259. უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენება 509
მუხლი 259[1]. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი 511
მუხლი 260. ნივთიერ მტკიცებულებათა და დოკუმენტთა გადაცემა 512
მუხლი 260[1]. ინფორმაციის გადაცემა 513

კარი მეექვსე
წინასწარი გამოძიების წარმოების ზოგადი დებულებანი 517

თავი XXXIII
წინასწარი გამოძიების ზოგადი დებულებანი 517

მუხლი 261. წინასწარი გამოძიების დაწყების მოვალეობა 517
მუხლი 262. (ამოღებულია) 518
მუხლი 263. ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ 518
მუხლი 264. (ამოღებულია) 519
მუხლი 265. დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების განხილვის წესი 519
მუხლი 266. საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნა 520
მუხლი 267. (ამოღებულია) 521
მუხლი 268. (ამოღებულია) 521
მუხლი 269. (ამოღებულია) 521

თავი XXXIV
წინასწარი გამოძიების ჩატარების პირობები 522

მუხლი 270. წინასწარი გამოძიების სავალდებულოობა 522
მუხლი 271. წინასწარი გამოძიების ვადა 523
მუხლი 272. (ამოღებულია) 523
მუხლი 273. შეტყობინება დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ 523
მუხლი 274. წინასწარი გამოძიების მონაცემების გამჟღავნების დაუშვებლობა 524
მუხლი 275. (ამოღებულია) 525
მუხლი 276. (ამოღებულია) 526
მუხლი 277. (ამოღებულია) 526
მუხლი 278. რამდენიმე გამომძიებლის მიერ საგამოძიებო მოქმედების შესრულება 526
მუხლი 279. გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრება 526
მუხლი 280. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენა 527

თავი XXXV
ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა, ბრალდების წაყენება და შეცვლა, ბრალდებაზე უარი 529

მუხლი 281. ბრალდების წაყენების საფუძვლები 529
მუხლი 282. დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ 529
მუხლი 283. მოქმედება, რომელიც წინ უძღვის ბრალდების წაყენებას 531
მუხლი 284. ბრალდების წაყენება 533
მუხლი 285. ბრალდების შეცვლა და უარი ბრალდებაზე 536

კარი მეშვიდე
საგამოძიებო მოქმედება 539

თავი XXXVI
ზოგადი დებულებანი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ 539

მუხლი 286. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საერთო წესები 539
მუხლი 287. საგამოძიებო მოქმედების ოქმი 540
მუხლი 288. საგამოძიებო მოქმედების ოქმის ხელმოწერაზე უარის ან ხელმოწერის შეუძლებლობის ფაქტის დადასტურება 544
მუხლი 289. საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთათვის უფლებების განმარტებისა და უზრუნველყოფის სავალდებულოობა 545
მუხლი 290. მოსამართლის ბრძანებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება 546
მუხლი 291. შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად მოსამართლის ბრძანების გაცემის შესახებ 551
მუხლი 292. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობის განხილვის წესი 553
მუხლი 293. მოსამართლის ბრძანება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ 554

თავი XXXVII
დაკითხვა 557

მუხლი 294. დაკითხვის ადგილი 557
მუხლი 295. გამოძახება დაკითხვაზე 558
მუხლი 296. დასაკითხის პიროვნების დადგენა 559
მუხლი 297. ენა, რომელზედაც ტარდება დაკითხვა 560
მუხლი 298. საქმის გარემოებათა შესახებ თავისუფალი თხრობა და კითხვების დასმა 560
მუხლი 299. მისახვედრი კითხვების დასმის დაუშვებლობა 561
მუხლი 300. დასაკითხის მიერ დოკუმენტებისა და სხვა ჩანაწერების გამოყენება 561
მუხლი 301. დასაკითხისათვის საგნებისა და დოკუმენტების წარდგენა 562
მუხლი 302. დაკითხვის ხანგრძლივობა 562
მუხლი 303. დაკითხვის მიმდინარეობისა და შედეგების დაფიქსირება 563
მუხლი 304. ხმის ჩაწერის გამოყენება დაკითხვისას 565
მუხლი 305. მოწმის დაკითხვა 566
მუხლი 306. არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა 568
მუხლი 307. ყრუ-მუნჯი და მძიმედ დაავადებული მოწმის დაკითხვა 569
მუხლი 308. მოწმის დაკითხვის ოქმი 569
მუხლი 309. დაზარალებულის დაკითხვა 571
მუხლი 310. ეჭვმიტანილის დაკითხვა 573
მუხლი 311. ბრალდებულის დაკითხვა 574
მუხლი 312. ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ოქმი 577
მუხლი 313. ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიერ ჩვენების დაწერა 579
მუხლი 314. (ამოღებულია) 579

თავი XXXVIII
ამოღება და ჩხრეკა 580

მუხლი 315. ამოღებისა და ჩხრეკის მიზანი 580
მუხლი 316. ამოღების საფუძველი 581
მუხლი 317. ჩხრეკის საფუძველი 583
მუხლი 318. შუამდგომლობა ამოღების ან ჩხრეკის ჩასატარებლად მოსამართლის ბრძანების გაცემის შესახებ 583
მუხლი 319. ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ შუამდგომლობის განხილვის წესი 585
მუხლი 320. ამოღება და ჩხრეკა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების (დადგენილების) საფუძველზე 586
მუხლი 321. დამსწრის და სხვა პირთა მონაწილეობა ამოღების ან ჩხრეკის დროს 586
მუხლი 322. ამოღებისა და ჩხრეკის ადგილი 587
მუხლი 323. ამოღებისა და ჩხრეკის წესი 589
მუხლი 324. უკანონო და უსაფუძვლო ამოღებისა და ჩხრეკის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება 592
მუხლი 325. პირადი ჩხრეკა და ამოღება 592
მუხლი 326. ამოღებისა და ჩხრეკის ოქმი 595
მუხლი 327. ამოღების ან ჩხრეკის ოქმის ასლის გადაცემა 597
მუხლი 328. ამოღება და ჩხრეკა დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან 598
მუხლი 329. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე ყადაღის დადება და ამოღება 599
მუხლი 330. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დათვალიერება და ამოღება 601
მუხლი 331. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე დადებული ყადაღის მოხსნა 603
მუხლი 332. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის უკანონო ან უსაფუძვლო დაყადაღებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 603

თავი XXXIX
დათვალიერება 605

მუხლი 333. დათვალიერების მიზანი და სახეები 605
მუხლი 334. ზოგადი დებულებები დათვალიერების წესის შესახებ 606
მუხლი 335. შემთხვევის ადგილის დათვალიერება 607
მუხლი 336. გვამის დათვალიერება 608
მუხლი 337. ადგილმდებარეობისა და შენობის დათვალიერება 609
მუხლი 338. საგნისა და დოკუმენტის დათვალიერება 611
მუხლი 339. დათვალიერების ოქმი 611

თავი X
საგამოძიებო ექსპერიმენტი 614

მუხლი 340. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების საფუძველი და მიზანი 614
მუხლი 341. დადგენილება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ 615
მუხლი 342. საგამოძიებო ექსპერიმენტის წესი 615
მუხლი 343. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი 617

თავი XLI
ჩვენების ადგილზე შემოწმება 619

მუხლი 344. ჩვენების ადგილზე შემოწმების საფუძველი და მიზანი 619
მუხლი 345. ჩვენების ადგილზე შემოწმების წესი 621
მუხლი 346. ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმი 622

თავი XLII
წარდგენა ამოსაცნობად 624

მუხლი 347. პირის წარდგენა ამოსაცნობად 624
მუხლი 348. საგნის წარდგენა ამოსაცნობად 627
მუხლი 349. ამოსაცნობად წარდგენის ოქმი 629

თავი XLIII
შემოწმება 631
მუხლი 350. შემოწმების საფუძველი და მიზანი 631
მუხლი 351. შესამოწმებელი პირი 631
მუხლი 352. დადგენილება შემოწმების ჩატარების შესახებ 632
მუხლი 353. შემოწმების ჩატარების შესახებ დადგენილების სავალდებულოობა 633
მუხლი 354. გამომძიებლის ან პროკურორის მიერ შემოწმების ჩატარების წესი 634
მუხლი 355. შემოწმების ოქმი 635

თავი XLIV
ექსპერტიზა 636

მუხლი 356. ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი 636
მუხლი 357. სასამართლო ექსპერტიზის საპროცესო ფორმა 637
მუხლი 358. (ამოღებულია) 637
მუხლი 359. ექსპერტად დანიშნული პირი 638
მუხლი 360. ექსპერტიზის ობიექტი 639
მუხლი 361. დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზა 640
მუხლი 362. საკომისიო ექსპერტიზა 642
მუხლი 363. კომპლექსური ექსპერტიზა 643
მუხლი 364. ალტერნატიული ექსპერტიზა 644
მუხლი 365. ექსპერტის კომპეტენციის ფარგლები 645
მუხლი 366. ეჭვმიტანილისა, ბრალდებულისა და დაზარალებულის უფლებები ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დროს 646
მუხლი 367. დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ 647
მუხლი 368. იძულების ფარგლები ექსპერტიზის ჩატარებისას 648

მუხლი 369. ექსპერტიზის ჩატარება საექსპერტო დაწესებულებაში 649
მუხლი 370. ექსპერტიზის ჩატარება არასაექსპერტო დაწესებულებაში 650
მუხლი 371. ექსპერტის დასკვნა 652
მუხლი 372. აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ 653
მუხლი 373. ექსპერტის დაკითხვა 654
მუხლი 374. ექსპერტის დასკვნის შეფასება 655

თავი XLV
ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის 656

მუხლი 375. ნიმუშის აღების საფუძველი, სახე და ხერხი 656
მუხლი 376. პირი, რომელსაც უფლება აქვს აიღოს ნიმუში 657
მუხლი 377. პირი, რომლისგანაც შეიძლება ნიმუშის აღება 658
მუხლი 378. დადგენილება ნიმუშის აღების შესახებ 659
მუხლი 379. ნიმუშის აღების შესახებ დადგენილების სავალდებულოობა 659
მუხლი 380. გამომძიებლისა და პროკურორის მიერ ნიმუშის აღების საპროცესო წესი 660
მუხლი 381. ექიმის ან სხვა სპეციალისტის მიერ ნიმუშის აღების საპროცესო წესი 661
მუხლი 382. ნიმუშის აღების ოქმი 662
მუხლი 383. პიროვნების უფლებათა დაცვა ნიმუშის აღებისას 663
მუხლი 384. ექსპერტის მიერ ნიმუშის აღება 664

თავი XLVI
გვამის ექსჰუმაცია 665

მუხლი 385. გვამის ექსჰუმაციის საფუძველი და მიზანი 665
მუხლი 386. გვამის ექსჰუმაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების სავალდებულოობა 666
მუხლი 387. გვამის ექსჰუმაციის წესი 666
მუხლი 388. გვამის ექსჰუმაციასთან დაკავშირებული საპროცესო მოქმედებანი 667
მუხლი 389. გვამის დამარხვა ექსჰუმაციის შემდეგ 668

კარი მერვე
წინასწარი გამოძიების დამთავრება და შეწყვეტა,
სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება და შეწყვეტა 669

თავი XLVII
სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება 669

მუხლი 390. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი 669
მუხლი 391. (ამოღებულია) 670
მუხლი 392. სისხლისსამართლებრივი დევნის ნაადრევი შეჩერების დაუშვებლობა 670
მუხლი 393. მიმალული ბრალდებულის ძებნა 671
მუხლი 394. შეჩერებული სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება 671

თავი XLVIII
სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა 673

მუხლი 395. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა 673
მუხლი 396. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის წესი 673
მუხლი 397. დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ 674
მუხლი 398. პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოქმედება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემდეგ 675
მუხლი 399. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) გასაჩივრება 676
მუხლი 400. შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების განახლება 677

თავი XLIX
წინასწარი გამოძიების დამთავრება და სასამართლოში საქმის გაგზავნა 679

მუხლი 401. (ამოღებულია) 679
მუხლი 402. (ამოღებულია) 679
მუხლი 403. (ამოღებულია) 679
მუხლი 404. (ამოღებულია) 679
მუხლი 405. (ამოღებულია) 680
მუხლი 406. (ამოღებულია) 680
მუხლი 407. (ამოღებულია) 680
მუხლი 408. (ამოღებულია) 680
მუხლი 409. საბრალდებო დასკვნა 680
მუხლი 410. საბრალდებო დასკვნის დანართი 682
მუხლი 411. სისხლის სამართლის საქმის გადაგზავნა პროკურორისათვის 683
მუხლი 412. შემოსულ საქმეზე პროკურორის მიერ გადასაწყვეტი საკითხები 685
მუხლი 413. პროკურორის გადაწყვეტილება შემოსული საქმის გამო 686
მუხლი 414. (ამოღებულია) 687
მუხლი 415. ბრალდების შეცვლა უფრო მძიმე ბრალდებით 687
მუხლი 416. საქმის სასამართლოში გაგზავნა 688
მუხლი 416[1]. შეტყობინება საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოსათვის გადაგზავნის შესახებ 688 690
მუხლი 416[2]. ექსპერტიზის დასკვნის გარეშე საქმის სასამართლოში გაგზავნა 691

კარი მეცხრე
წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში 693

თავი L (ამოღებულია) 693

მუხლი 417-433. (ამოღებულია) 693

თავი LI
ზოგადი დებულებანი სასამართლო განხილვის შესახებ 693

მუხლი 434. (ამოღებულია) 693
მუხლი 435. საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობა 693
მუხლი 436. სათადარიგო მოსამართლე 694
მუხლი 437. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილება 695
მუხლი 437[1]. მოსამართლეები საქმის კოლეგიური განხილვის დროს 696
მუხლი 438. (ამოღებულია) 697
მუხლი 439. სასამართლო განხილვის შეჯიბრებითობა 697
მუხლი 440. სასამართლო განხილვის უშუალობა და ზეპირობა 698
მუხლი 441. (ამოღებულია) 699
მუხლი 442. პროცესის სხვა პრინციპები სასამართლო განხილვის სტადიაზე 699
მუხლი 443. განსასჯელის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში 700
მუხლი 444. განსასჯელის გამოუცხადებლობის შედეგები 702
მუხლი 445. დამცველის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მისი გამოუცხადებლობის შედეგები 703
მუხლი 446. პროკურორის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მისი გამოუცხადებლობის შედეგები 704
მუხლი 447. დაზარალებულის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მისი გამოუცხადებლობის შედეგები 706
მუხლი 448. სამოქალაქო მოსარჩელის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მისი გამოუცხადებლობის შედეგები 707
მუხლი 449. სამოქალაქო მოპასუხის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მისი გამოუცხადებლობის შედეგები 708
მუხლი 450. სასამართლო განხილვის ფარგლები 708
მუხლი 451. სასამართლო განხილვის შეჩერება და განახლება 709
მუხლი 452. სასამართლოს მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებანი 710
მუხლი 453. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის წესი 711
მუხლი 454. სასამართლო სხდომის ოქმი 711
მუხლი 455. შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმზე და მათი განხილვის წესი 714
მუხლი 456. სასამართლო სხდომის განაწესი 714

თავი LII
სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი 717

მუხლი 457. სასამართლო სხდომის გახსნა 717
მუხლი 458. სასამართლო სხდომაზე გამოძახებულ პირთა გამოცხადების შემოწმება და გაფრთხილება 717
მუხლი 459. თარჯიმნისათვის მისი უფლება-მოვალეობების განმარტება და მისი აცილების საკითხის გადაწყვეტა 718
მუხლი 460. მოწმეთა გაყვანა სასამართლო სხდომის დარბაზიდან 719

მუხლი 461. სასამართლოს შემადგენლობის გამოცხადება და მოსამართლის აცილების საკითხის გადაწყვეტა 719
მუხლი 462. განსასჯელის ვინაობის დადგენა და მისთვის საბრალდებო დასკვნის ასლის დროულად გადაცემა 720
მუხლი 463. სახელმწიფო ბრალმდებლის შესახებ აცილების საკითხის გადაწყვეტა 721
მუხლი 464. დამცველის საქმეში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებათა არსებობის საკითხის გადაწყვეტა 722
მუხლი 465. დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები სასამართლოში 722
მუხლი 466. ექსპერტისა და სპეციალისტის აცილების საკითხის გადაწყვეტა 723
მუხლი 467. პროცესის მონაწილეთათვის მათი უფლება-მოვალეობების განმარტება 724
მუხლი 468. შუამდგომლობის განცხადება და გადაწყვეტა 724
მუხლი 469. საკითხის გადაწყვეტა დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტისა და სპეციალისტის გარეშე საქმის განხილვის შესახებ 726

თავი LIII
სასამართლო გამოძიება 728

მუხლი 470. სასამართლო გამოძიების დაწყების გამოცხადება 728
მუხლი 471. სასამართლო გამოძიების დაწყება 728
მუხლი 472. ბრალდების არსის განმარტება და განსასჯელის პოზიციის გარკვევა 728
მუხლი 473. სასამართლო გამოძიების გაუქმების, შეკვეცის ან გაგრძელების საკითხის გადაწყვეტა 730
მუხლი 474. მტკიცებულების გამოკვლევის თანამიმდევრობა 733
მუხლი 475. მტკიცებულების წარდგენა 735
მუხლი 476. განსასჯელის დაკითხვა 739
მუხლი 477. წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვის ან მისი მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობა 741
მუხლი 478. მოწმისათვის მის უფლება-მოვალეობათა განმარტება 741
მუხლი 479. მოწმის დაკითხვის წესი 742
მუხლი 480. არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა 744
მუხლი 481. მოწმის ჩვენების წაკითხვა 745
მუხლი 482. დაზარალებულის დაკითხვა 747
მუხლი 482[1]. ექსპერტის დაკითხვა მოწმის სახით 747
მუხლი 483. ექსპერტიზა სასამართლოში 748
მუხლი 484. წერილობითი მტკიცებულებებისა და საგამოძიებო მოქმედების ოქმის გამოკვლევა 751
მუხლი 485. დათვალიერება 752

მუხლი 486. შემოწმება 753
მუხლი 487. ამოსაცნობად წარდგენა, ექსპერიმენტის ჩატარება და ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის 753
მუხლი 488. სასამართლო გამოძიების დამთავრება 755

თავი LIV
სასამართლო კამათი და განსასჯელის საბოლოო სიტყვა 756

მუხლი 489. სასამართლო კამათის დაწყების გამოცხადება 756
მუხლი 490. მხარეთა კამათი 756
მუხლი 491. რეპლიკა 758
მუხლი 492. განსასჯელის საბოლოო სიტყვა 758
მუხლი 493. (ამოღებულია) 759
მუხლი 494. სასამართლოს გასვლა სათათბირო ოთახში 759

თავი LV
განაჩენის დადგენა 760

მუხლი 495. განაჩენის დადგენა საქართველოს სახელით 760
მუხლი 496. განაჩენის კანონიერება, დასაბუთებულობა და სამართლიანობა 760
მუხლი 497. მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება 761
მუხლი 498. განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები 762
მუხლი 499. განსასჯელის შეურაცხაობის საკითხის განხილვა 764
მუხლი 500. მოსამართლეთა თათბირისა და საქმის ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი 765
მუხლი 501. სისხლის სამართლის საქმის გაგზავნა დამატებითი გამოძიებისათვის 766
მუხლი 502. განაჩენის სახეები 767
მუხლი 503. გამამტყუნებელი განაჩენი 768
მუხლი 504. გამამართლებელი განაჩენი 769
მუხლი 505. სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა განაჩენის დადგენისას 770
მუხლი 506. განაჩენის შედგენა 770
მუხლი 507. განაჩენის შესავალი ნაწილი 771
მუხლი 508. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი 772
მუხლი 509. გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი 774
მუხლი 510. გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით -სამოტივაციო ნაწილი 776
მუხლი 511. გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი 777
მუხლი 512. განაჩენის გამოცხადება 778
მუხლი 513. განსასჯელის პატიმრობიდან განთავისუფლება 779
მუხლი 514. მსჯავრდებულისა და გამართლებულისათვის განაჩენის ასლის გადაცემა 780
მუხლი 515. სხვა საკითხები, რომლებსაც სასამართლო წყვეტს განაჩენის დადგენისთანავე 781
მუხლი 516. მსჯავრდებულის ნათესავებსა და ახლობლებთან შეხვედრის უფლება 782

კარი მეათე
განაჩენისა და სხვა გადაწყვეტილების გასაჩივრება 783

თავი LVI
აპელაცია 783

მუხლი 517. პირის უფლება, საქმე განიხილონ ორ სასამართლო ინსტანციაში 783
მუხლი 518. სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტი 785
მუხლი 519. სააპელაციო გასაჩივრების საგანი
მუხლი 520. სააპელაციო საჩივრის განხილვის სავალდებულოობა 785
მუხლი 521. სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო 786
მუხლი 522. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის საფუძველი 786
მუხლი 523. სააპელაციო გასაჩივრების ვადები 787
მუხლი 524. სააპელაციო საჩივრის შეტანა 789
მუხლი 525. კერძო სააპელაციო საჩივარი 790
მუხლი 526. დამატებითი სააპელაციო საჩივარი 790
მუხლი 527. სააპელაციო საჩივრის შესაგებელი 791
მუხლი 528. სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის ვადები 791
მუხლი 529. სააპელაციო საჩივარი 792
მუხლი 530. საქმის მომზადება მოსმენისათვის 794
მუხლი 531. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის მონაწილენი 795
მუხლი 532. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მოსამზადებელი ნაწილი 797
მუხლი 533. სასამართლო გამოძიება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში 797
მუხლი 534. სასამართლო კამათი და მსჯავრდებულის საბოლოო სიტყვა სააპელაციო ინსტანციაში 800
მუხლი 535. განაჩენის დადგენა 800
მუხლი 536. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებათა სახეები 801
მუხლი 537. სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი 802
მუხლი 538. წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის არასრულობა და ცალმხრივობა 803
მუხლი 539. განაჩენსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებაში მოყვანილი სასამართლო დასკვნების შეუსაბამობა საქმეზე არსებულ მტკიცებულებებთან 804
მუხლი 540. შებრუნება საუარესოდ 805
მუხლი 541. (ამოღებულია) 808
მუხლი 542. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების მიქცევა აღსასრულებლად 808
მუხლი 543. სარევიზიო საწყისი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობაში 809

მუხლი 544. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომის განაწესი და ღონისძიებები მის დამრღვევთა მიმართ 810
მუხლი 545. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი 811

თავი LVII
კასაცია 812

მუხლი 546. საკასაციო გასაჩივრების სუბიექტები 812
მუხლი 547. საკასაციო წესით გასაჩივრების საგანი 813
მუხლი 548. (ამოღებულია) 814
მუხლი 549. საკასაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო 815
მუხლი 550. საკასაციო გასაჩივრების ვადა 816
მუხლი 551. საკასაციო საჩივრის შეტანისა და განხილვის ვადები 818
მუხლი 552. საკასაციო საჩივარი 818
მუხლი 553. კერძო საკასაციო საჩივარი 820
მუხლი 554. დამატებითი საკასაციო საჩივარი 821
მუხლი 555. საკასაციო საჩივრის შესაგებელი 821
მუხლი 555[1]. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება 822
მუხლი 556. (ამოღებულია) 823
მუხლი 557. საქმის მოსასმენად მომზადება 823
მუხლი 558. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის მონაწილენი 823
მუხლი 559. (ამოღებულია) 825
მუხლი 560. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საჩივრებისა და საქმის განხილვის წესი 825
მუხლი 561. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სახეები 826
მუხლი 562. საკასაციო წესით განაჩენის გაუქმებისა და შეცვლის საფუძველი 828
მუხლი 563. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევები 829
მუხლი 564. სისხლის სამართლის ან სხვა მატერიალური კანონის არასწორი გამოყენება 831
მუხლი 565. სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შეუსაბამობა მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და პიროვნებასთან 832
მუხლი 566. საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა 832
მუხლი 567. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობის სარევიზიო საწყისი 833
მუხლი 568. საკასაციო განჩინების შინაარსი 834
მუხლი 569. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება განაჩენის გაუქმებისას ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას 835
მუხლი 570. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებანი 836
მუხლი 571. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინების მიქცევა აღსასრულებლად 836
მუხლი 572. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომის განაწესი და ღონისძიებები დამრღვევთა წინააღმდეგ 837
მუხლი 573. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი 838

თავი LVIII
(ამოღებულია) 839

თავი LIX
განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების
გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო 839

მუხლი 593. ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა სახეები 839
მუხლი 594. საჩივრის შეტანა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ 842
მუხლი 595. საჩივარი ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ 843
მუხლი 596. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრა და გამოძიება 844
მუხლი 597. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჩივრის შეტანა 847
მუხლი 598. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჩივრის განხილვა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში 848
მუხლი 599. ახლად გამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საჩივრის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში 849
მუხლი 600. (ამოღებულია) 850
მუხლი 601. ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები 850

კარი მეთერთმეტე
სასამართლო განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება 852

თავი LX
სასამართლო განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების
აღსასრულებლად მიქცევა 852

მუხლი 602. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და აღსასრულებლად მიქცევა 852
მუხლი 603. (ამოღებულია) 853
მუხლი 604. განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსასრულებლად მიქცევის წესი 853
მუხლი 605. შეტყობინება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შესახებ 855
მუხლი 606. მსჯავრდებულის უფლებათა უზრუნველყოფა განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე 856
მუხლი 606[1]. მსჯავრდებულის ძებნა 858

თავი LXI
განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხთა გადაწყვეტა 862

მუხლი 607. განაჩენის აღსრულების გადავადება 862

მუხლი 608. ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება 864
მუხლი 609. იმ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, რომლის მიმართაც გადავადებულია განაჩენის აღსრულება. განაჩენის აღსრულების გადავადების გაუქმება 865
მუხლი 610. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა 865
მუხლი 611. სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა 867
მუხლი 612. (ამოღებულია) 868
მუხლი 613. სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის დროის ჩათვლა სასჯელის მოხდის ვადაში 868
მუხლი 614. განაჩენის აღსრულება სისრულეში მოუყვანელი სხვა განაჩენის არსებობისას 869
მუხლი 615. განაჩენის აღსრულებისას გამოვლენილ ბუნდოვანება -უზუსტობათა აღმოფხვრა 869
მუხლი 616. სასამართლო, რომელიც წყვეტს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს 871
მუხლი 617. განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესი 873
მუხლი 618. სასამართლოს მიერ ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვა 875
მუხლი 619. სასამართლო, რომელიც წყვეტს უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს 876
მუხლი 620. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესი 877
მუხლი 621. მსჯავრდების შედეგები 878
მუხლი 622. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ ამნისტიისა და შეწყალების აქტის გამოყენება 879
მუხლი 623. განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილების გასაჩივრება 880

კარი მეთორმეტე
ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების თავისებურებანი 881

თავი LXII
კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება 881

მუხლი 626. კერძო ბრალდების საქმეთა წარმოების წესი 881

მუხლი 627. საჩივარი კერძო ბრალდების წესით 881
მუხლი 628. მოსამართლის მოქმედება საჩივართან დაკავშირებით 882
მუხლი 629. (ამოღებულია) 883
მუხლი 630. (ამოღებულია) 883
მუხლი 631. (ამოღებულია) 883
მუხლი 632. დაზარალებულის შერიგება პირთან, რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი 884
მუხლი 633. კერძო ბრალდების საქმეთა გაერთიანება ერთ წარმოებად 885
მუხლი 634. პროკურორის მონაწილეობა კერძო ბრალდების საქმეში 885
მუხლი 635. კერძო ბრალდების საქმის გამო წინასწარი გამოძიების ჩატარება 886
მუხლი 636. საქმის მომზადება სასამართლო განხილვისათვის 887
მუხლი 637. სასამართლო განხილვა 888
მუხლი 638. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა კერძო ბრალდების დროს 889

თავი LXIII
წარმოება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე 890

მუხლი 639. არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმის წარმოების წესი 890
მუხლი 640. არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმის გამოყოფა დამოუკიდებელ წარმოებად 891
მუხლი 641. გარემოებები, რომლებიც დასადგენია არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე 891
მუხლი 642. არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური და კომპლექსური ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზა 892
მუხლი 643. არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გამოკვლევა 892
მუხლი 644. არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა საქმეში 894
მუხლი 645. არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმეში დამცველის მონაწილეობის უზრუნველყოფა 895
მუხლი 646. არასრულწლოვნის გამოძახების წესი 896
მუხლი 647. არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა 896
მუხლი 648. ფსიქოლოგის მონაწილეობა არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკითხვაში 897
მუხლი 649. აღკვეთის ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ 898
მუხლი 650. არასრულწლოვნის გადაცემა სამეთვალყურეოდ 899
მუხლი 651. არასრულწლოვნის მოთავსება სპეციალურ დახურულ საბავშვო დაწესებულებაში 900
მუხლი 652. არასრულწლოვანი ბრალდებულის დაპატიმრება 901
მუხლი 653. (ამოღებულია) 902
მუხლი 654. სასამართლოს შემადგენლობა არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის განხილვისას 902

მუხლი 655. არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის დახურული განხილვა 903
მუხლი 656. არასრულწლოვანი განსასჯელის გაყვანა სასამართლო სხდომის დარბაზიდან 903
მუხლი 657. სასამართლო განხილვაში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და ინსპექციის წარმომადგენელთა მონაწილეობა 903
მუხლი 658. საკითხები, რომლებსაც სასამართლო წყვეტს არასრულწლოვანი განსასჯელის მიმართ განაჩენის დადგენისას 904
მუხლი 659. არასრულწლოვნის მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება 905

თავი LXIV
საქმის წარმოება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ 906

მუხლი 660. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ საქმის წარმოების საფუძველი 906
მუხლი 661. გარემოება, რომელიც მოითხოვს დამტკიცებას 907
მუხლი 662. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა 908
მუხლი 663. სისხლის სამართლის საქმის გამო წარმოების შეჩერება სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსებისას 910
მუხლი 664. პირის მონაწილეობა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარებაში 911
მუხლი 665. დამცველის მონაწილეობა 912
მუხლი 667. აღკვეთის ღონისძიების გაუქმება 913
მუხლი 668. სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა 914
მუხლი 669. წინასწარი გამოძიების მასალების გაცნობა 914
მუხლი 670. დადგენილება სასამართლოში საქმის გაგზავნის შესახებ 916
მუხლი 671. სასამართლოში საქმის გაგზავნის შესახებ დადგენილების დანართი 916
მუხლი 672. (ამოღებულია) 917
მუხლი 673. სასამართლო განხილვის მომზადება 917
მუხლი 674. სასამართლო განხილვა 918
მუხლი 675. საკითხები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სათათბირო ოთახში 920
მუხლი 676. სასამართლო განჩინება (დადგენილება) 921
მუხლი 677. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება 922
მუხლი 678. სასამართლოს მიერ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების და საერთო წესით წარმოების განახლების საკითხის განხილვა 923
მუხლი 679. სასამართლოს განჩინებაზე საჩივრის შეტანა 925

თავი LXIV[1]
საპროცესო შეთანხმება და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება 927

მუხლი 679[1]. საპროცესო შეთანხმების არსი 927
მუხლი 679[2]. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმა 930
მუხლი 679[3].სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვა 932
მუხლი 679[4]. სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე 935
მუხლი 679[5]. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა 937
მუხლი 679[6]. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება 938
მუხლი 679[7]. განაჩენის გადაცემა და ძალაში შესვლა 939
მუხლი 679[8]. დაზარალებულის შეტყობინება საპროცესო შეთანხმების შესახებ 940
მუხლი 679[9]. ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება 940
მუხლი 679[10]. სისხლის სამართლის პროცესის წარმოება არაიდენტიფიცირებული ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მიმართ 942

თავი LXIV[2]
საქმის წარმოება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს 945

მუხლი 679[11]. კოდექსის ნორმების მოქმედება იურიდიული პირის მიმართ 945
მუხლი 679[12]. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების საფუძველი 945
მუხლი 679[13]. გარემოებები, რომლებიც უნდა დადგინდეს იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოებისას 946
მუხლი 679[14]. იურიდიული პირის წარმომადგენლის (დამცველის) მონაწილეობა 947
მუხლი 679[15]. სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებისა და სხვაგვარი შეზღუდვების გამოყენება იურიდიული პირის მიმართ 948

მუხლი 679[16]. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყებაზე უარის თქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები 948
მუხლი 679[17]. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნა 949
მუხლი 679[18]. სასამართლო განხილვა 951
მუხლი 679[19]. სასამართლო განაჩენი იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე 953
მუხლი 679[20]. იურიდიული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლო განაჩენის გამოქვეყნება 954

კარი მეცამეტე
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი 955

თავი LXV
გარდამავალი დებულებანი 955

მუხლი 680. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები 955
მუხლი 680[1]. (ამოღებულია) 960
მუხლი 680[2]. დამცველის (ადვოკატის) საქმიანობის შეზღუდვა სისხლის სამართლის პროცესში 960
მუხლი 680[3]. (ამოღებულია) 961
მუხლი 680[4]. პატიმრობის დროებითი ვადები 961
მუხლი 680[5]. (ამოღებულია) 963
მუხლი 680[6]. წინასწარი პატიმრობისა და სასამართლო პატიმრობის დროებითი ვადები 964
მუხლი 680[7]. ბრალდებულად ყოფნის დროებითი ზღვრული ვადა 965
მუხლი 680[8]. აღკვეთის ღონისძიებების სახეების: შინაპატიმრობის, პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემისა და ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ მოქმედების ვადები 965

თავი LXVI
დასკვნითი დებულებანი 966

მუხლი 681. კოდექსის ამოქმედება 966

ბოგადი ნაწილი

კარი პირველი
ძირითადი დებულებანი

თავი I
სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობა

მუხლი 1. სისხლის სამართლის პროცესის ამოცანები

სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებია: დაადგინოს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი და მისი ჩამდენი პირი, უზრუნველყოს კანონის სწორად გამოყენება, არ დაუშვას უდანაშაულო პირის მსჯავრდება, გამოასწოროს საგამოძიებო და სასამართლო შეცდომები, დაიცვას მოქალაქის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის ყველა სხვა მონაწილის უფლებები და თავისუფლებები, დაამკვიდროს საზოგადოებაში კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებს კანონმდებელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ აღნიშნულის თაობაზე მითითებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველსავე მუხლში.

2. სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებია:

– დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებისა და მისი ჩამდენი პირის დადგენა;

– კანონის სწორად გამოყენების უზრუნველყოფა;

– უდანაშაულო პირის მსჯავრდების დაუშვებლობა;

– საგამოძიებო და სასამართლო შეცდომების გამოსწორება;

– მოქალაქის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, სისხლის სამართლის პროცესის ყველა სხვა მონაწილის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

– საზოგადოებაში კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემის დამკვიდრება.

3. სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების საფუძველზე დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული ნორმები, რითაც წესრიგდება სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები.

მუხლი 2. სისხლის სამართლის პროცესის წყაროები

1. **სისხლის საპროცესო სამართლის ნორმებს შეიცავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კოდექსი, საქართველოს სხვა კანონები, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები.**
2. **თუ ეს კოდექსი და საქართველოს სხვა კანონები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, შესაბამისად მოქმედებს კონსტიტუცია ან საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ხოლო თუ საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, მოქმედებს კონსტიტუცია.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის პროცესის უპირველესი წყაროა საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ მრავალ ნორმას შეიცავს.

2. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია ისეთი მნიშვნელოვანი სისხლის საპროცესო სამართლის ნორმები, როგორებიცაა:

– ადამიანის თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი);

– ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათში. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი);

– დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი);

– დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს თავისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია, მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი);

– დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა – 9 თვეს (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი);

– უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი);

– ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე – ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი);

– არავის აქვს უფლება, შევიდეს საცხოვრებელ ბინასა და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი);

– ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით (საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი);

– არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს (საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი);

– დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი);

– ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი);

– ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი);

– დაცვის უფლება გარანტირებულია (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი);

– არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი);

– არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი);

– ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტი);

– კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტი);

– არავინ არის ვალდებული, მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი);

– ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი).

3. სისხლის სამართლის პროცესის წყაროს წარმოადგენს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და აგრეთვე – შეთანხმება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციას, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულება-შეთანხმებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ როგორც, ზოგადად, საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების, ისე საზღვარგარეთის სახელმწიფოთა შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებთან სამართლებრივი დახმარების გაწევის წესით სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ურთიერთქმედების, ანუ სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის დროს.

4. სისხლის სამართლის პროცესის უმთავრესი წყაროა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის 20 თებერვალს, ხოლო ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი ნორმა ამოქმედდა მოგვიანებით, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 217-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი ჯერაც არ ამოქმედებულა.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილია ის ნორმები, რითაც ფაქტობრივად სრულად მოწესრიგებულია სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები.

6. სისხლის სამართლის პროცესის წყაროს წარმოადგენს აგრეთვე საქართველოს სხვა კანონები, რომელთაგან აღსანიშნავია „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ კანონით სხვადასხვა ურთიერთობასთან ერთად მოწესრიგებულია სისხლის სამართლის პროცესისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი ურთიერთობები, როგორებიცაა:

– მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებსა და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილთა კონტროლი (გარდა დიპლომატიური ფოსტისა);

– მოსამართლის ბრძანებით ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება; ელექტრული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და გარემოს.

7. სისხლის სამართლის პროცესის წყაროა აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები. ნიშანდობლივია, რომ თავად

საქართველოს კონსტიტუციაა დაფუძნებული ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლში მითითებულია, რომ: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“.

8. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებისათვის, იურიდიული ძალის მიხედვით, დადგენილია შემდეგი იერარქია:

– საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი;
– საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;
– საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
– საქართველოს ორგანული კანონი;
– საქართველოს კანონი.

9. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, ხოლო საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას (მიუხედავად მათი ფორმისა და სახელწოდებისა), თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. შესაბამისად, თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და საქართველოს სხვა კანონები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, მოქმედებს კონსტიტუცია ან საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ხოლო თუ საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, მოქმედებს კონსტიტუცია.

მუხლი 3. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება დროში

1. **სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს.**
2. **სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილი ცვლილებები იწვევს წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის გაუქმებას ან შეცვლას, თუ ამით უმჯობესდება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მდგომარეობა.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის პროცესში, როგორც წესი, გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. ამდენად, სისხლის სამართლის პროცესში სისხლის სამართლის საპ-

როცესო კანონის გამოყენებისათვის არა აქვს მნიშვნელობა დანაშაულის ჩადენის დროს. წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას კონკრეტული საპროცესო მოქმედების ჩატარება თუ საპროცესო გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს იმ მომენტისათვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მიუხედავად იმისა, მოქმედებდა თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის შესაბამისი ნორმა აღნიშნული რედაქციით დანაშაულის ჩადენის დროს.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დროში მოქმედების შესახებ დებულებები მკვეთრად განსხვავდება სისხლის სამართლის კანონის დროში მოქმედების თაობაზე დებულებებისაგან, რადგან, როგორც ცნობილია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს.

3. ზემოაღნიშნული საერთო წესიდან დადგენილია გამონაკლისი, როდესაც შესაძლებელია სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილმა ცვლილებებმა გამოიწვიოს წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის გაუქმება ან შეცვლა. თუმცა ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამით უმჯობესდება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მდგომარეობა. თუ სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილი ცვლილებებით უმჯობესდება არა ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის, არამედ – დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის მდგომარეობა, მაშინ დაუშვებელია, სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილმა ცვლილებებმა გააუქმოს ან შეცვალოს წინათ გამოტანილი საპროცესო აქტი. ამასთან, ნიშანდობლივია ისიც, რომ საუბარია მხოლოდ წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის გაუქმებასა ან შეცვლაზე და არა – ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მდგომარეობის სხვა სახით გაუმჯობესებაზე. მაგ: „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2006 წლის 28 აპრილის საქართველოს კანონის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადად დადგინდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1-თვიანი ვადა, ნაცვლად მანამდე მოქმედი 14-დღიანი ვადისა. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილმა ცვლილებამ გამოიწვია წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის (გამამტყუნებელი განაჩენის) შეცვლა (სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის 14-დღიანი ვადის ნაცვლად 1-თვიანი ვადის მიცემა) და ისიც, მხოლოდ მსჯავრდებულისათვის.

მუხლი 4. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება სივრცეში

1. **დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად, სისხლის სამართლის პროცესი საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.**
2. **საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამოიყენება აგრეთვე საქართველოს დროშით ან ამოსაცნობი ნიშნით საქართველოს**

ფარგლებს გარეთ მყოფ საჰაერო თუ საზღვაო ხომალდზე ჩადენილი დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო სამართალწარმოების დროს, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. **საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზედაც.**
4. **საქართველოს მოქალაქე, რომელიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობს, აგრეთვე საზღვარგარეთ მყოფი მისი ოჯახის წევრები, თუ ისინი ნებაყოფლობით არ დათანხმდებიან ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებაზე, ექვემდებარებიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას.**
5. **საქართველოს ტერიტორიაზე სასამართლო ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ უცხო სახელმწიფოს სასამართლოსა თუ საგამოძიებო ორგანოს შუამდგომლობის შესრულებისას შეიძლება ამ სახელმწიფოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებაც, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოსა და აღნიშნულ სახელმწიფოს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან შეთანხმებებით.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხ.272)

1. სისხლის სამართლის პროცესი, ანუ გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოსა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეთა კანონით მოწესრიგებული საქმიანობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ამოცანების გადასაწყვეტად, საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ადგილისა.

2. საქართველოს დროშით ან ამოსაცნობი ნიშნით საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ საჰაერო თუ საზღვაო ხომალდზე ჩადენილი დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო სამართალწარმოების განხორციელების დროსაც, აგრეთვე, როგორც წესი, გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

3. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით, შეთანხმებით სხვა რამ არის დადგენილი, მაშინ საქართველოს დროშით ან ამოსაცნობი ნიშნით საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ საჰაერო თუ საზღვაო ხომალდზე ჩადენილი დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო სამართალწარმოების დროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ გამოიყენება.

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზეც, თუმცა – მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მოთხოვნათა შესაბამისად.

5. განსაკუთრებული წესია დადგენილი საზღვარგარეთ მყოფი დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე საქართველოს მოქალაქისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ. თუ დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი ან მისი ოჯახის წევრი ნებაყოფლობით არ დათანხმდება ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებაზე, ის ავტომატურად ექვემდებარება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას.

6. საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქის მიმართ საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების შესახებ უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობას სასამართლო, პროკურორი ან გამომძიებელი ასრულებენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

7. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობა სრულდება საქართველოს გენერალური პროკურორის ან მის მიერ საამისო უფლებამოსილებით აღჭურვილი პროკურორის მითითებით, ხოლო სასამართლო მოქმედების ჩატარების შესახებ – საქართველოს იუსტიციის მინისტრის დავალებით.

8. ამასთან, გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, საქართველოს ტერიტორიაზე სასამართლო ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ უცხო სახელმწიფოს სასამართლოსა თუ საგამოძიებო ორგანოს შუამდგომლობის შესრულებისას შეიძლება, გამოყენებულ იქნეს ამ სახელმწიფოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაც.

მუხლი 5. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოქმედება უცხო სახელმწიფოს მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ

1. **საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ უცხო სახელმწიფოს მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირზე ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.**
2. **დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების მიმართ ამ კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედება ტარდება მხოლოდ მათი თხოვნით ან თანხმობით. დაუშვებელია ამ პირთა დაკავება, მოყვანა, დაპატიმრება.**
3. **დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ დაკავებულ შენობაში და ტერიტორიაზე დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება და სხვა საპროცესო მოქმედება ტარდება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის თხოვნით ან თანხმობით, პროკურორისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თანდასწრებით.**
4. **ამ მუხლის მე-2-3 ნაწილებში აღნიშნული საპროცესო მოქმედებების ჩატარებაზე თანხმობა გამოითხოვება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.**

1. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეობის არმქონე პირზე ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

2. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეზე ასევე, როგორც წესი, ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილია სპეციალური წესი დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების მიმართ საპროცესო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით.

4. დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მქონე პირის ან მისი ოჯახის წევრის მიმართ შესაძლებელია, ჩატარდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედება. თუმცა საპროცესო მოქმედების ჩატარებისათვის აუცილებელია მისი თხოვნა ან თანხმობა, ანუ შესაბამისი საპროცესო მოქმედების ჩატარების თაობაზე უნდა არსებობდეს დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მქონე პირის, მისი ოჯახის წევრის წინასწარი თხოვნა (მოთხოვნა), ანდა მისი მხრიდან თანხმობა უნდა იყოს გაცემული უფლებამოსილი თანამდებობის პირის ან ორგანოს შესაბამის მოთხოვნაზე.

5. დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრის მოყვანა, დაკავება, დაპატიმრება დაუშვებელია.

6. ამოღების, ჩხრეკის, დათვალიერებისა და სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში შეიძლება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის (და არა „რიგითი“ დიპლომატის) თხოვნით ან თანხმობით.

7. დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების მიერ დაკავებულ შენობაში ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას პროკურორისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა.

8. შესაბამისი საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად დიპლომატიური წარმომადგენლის ან მისი ოჯახის წევრების თანხმობის გამოთხოვა ხდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.

თავი II
სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები

მუხლი 6. ზოგადსამართლებრივი და სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები

1. **სისხლის სამართლის პროცესს საფუძვლად უდევს კანონიერების, პიროვნების ხელშეუხებლობის, მისი ღირსების პატივისცემის, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის ზოგადსამართლებრივი პრინციპები.**
2. **სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები განსაზღვრავს სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებს, სტრუქტურას, ფუნქციებსა და წესს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუცია დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებზე, სისხლის სამართლის პროცესს, შესაბამისად, საფუძვლად უდევს ისეთი ზოგადსამართლებრივი პრინციპები, როგორებიცაა:
   – კანონიერება;
   – პიროვნების ხელშეუხებლობა;
   – პიროვნების ღირსების პატივისცემა;
   – ჰუმანიზმი;
   – დემოკრატიულობა;
   – სამართლიანობა;
   – თანასწორუფლებიანობა.
2. სისხლის სამართლის პროცესის ეს პრინციპები ერთობლივად განსაზღვრავენ სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებსა და ფუნქციებს, რის საფუძველზეც დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული ნორმები, რითაც წესრიგდება სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების საფუძველზე ასევე დადგენილია სისხლის სამართლის პროცესის სტრუქტურა და წესი.

მუხლი 7. კანონიერება და ადამიანის ბუნებითი უფლებები

1. **გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო, ფიზიკური და იურიდიული პირები და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილენი ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია, ეს კოდექსი და სხვა კანონები.**

2. **საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანია და სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილისათვის.**
3. **სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა. ამ საკითხის გადაწყვეტამდე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოში ჩერდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.**
4. **კანონმდებლობაში ხარვეზების არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ ილახება ადამიანის უფლებები.**
5. **საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას და უკანონო საპროცესო აქტის გაუქმებას.**
6. **კანონის დარღვევით მიღებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის პროცესი არის სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა კანონით მოწესრიგებული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების გადასაწყვეტად. სისხლის სამართლის პროცესი, შესაბამისად, უკავშირდება ადამიანის ბუნებითი უფლებების შეზღუდვასა და ხელყოფას.

2. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისა და ხელყოფის შესაძლებლობა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ზუსტად უნდა იყოს დადგენილი, იგი უნდა განახორციელოს უფლებამოსილმა პირმა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესის მოთხოვნების ზუსტი დაცვით.

3. ამასთან, არსებობს საშიშროება, რომ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ასეთი შეზღუდვა და ხელყოფა არ გასცდეს შესაბამისი კანონისმიერი შესაძლებლობის ფარგლებს. ამიტომაც აუცილებელია, რომ როგორც სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელმა ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა – გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ, სასამართლომ, ისე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებმა დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა კანონები.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანია.

5. სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესი სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილისათვის, მათი საპროცესო სტატუსისა თუ სამართლებრივი მდგომარეობის მიუხედავად.

6. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლისა და მართლმსაჯულების განხორციელება ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულია, რადგან საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ხოლო მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები.

7. ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება.

8. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ უნდა იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს.

9. სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ჩერდება.

10. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შეძლებისდაგვარად სრულყოფილად აწესრიგებს ყველა სისხლის საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობას. თუმცა, მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობასაც, რომ კანონმდებლობაში არსებობდეს ხარვეზი.

11. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება ზოგადად დასაშვებია, თუმცა მთავარია, ამით არ ილახებოდეს ადამიანის უფლებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება ფაქტობრივად ვერ მოხდება, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენებით მოწესრიგებული ურთიერთობიდან დამდგარი შედეგით (საპროცესო მოქმედებით მიღებული მტკიცებულებით თუ საპროცესო გადაწყვეტილებით), როგორც წესი, პირდაპირ ან ირიბად მაინც შეილახება ადამიანის, ანუ ამ შემთხვევაში – სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილის (ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის, მოწმის და ა.შ.) უფლებები.

12. აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებისას, ანუ ფაქტობრივად საქართველოს კონსტიტუციით დაცული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიის ან სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ვრცელი განმარტება დაუშვებელია (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

13. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობას საკმაოდ მძიმე შედეგი მოსდევს: საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

14. საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა ასევე იწვევს უკანონო საპროცესო აქტის გაუქმებას.

15. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვას მტკიცებულებებთან მიმართებით. მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ცნობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის პროცესში, თუ ის საპროცესო წესით არის დამაგრებული, ესე იგი შეტანილია საგამოძიებო მოქმედების ან სასამართლო განხილვის ოქმში, რომელიც შედგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად. ნივთიერი მტკიცებულება უნდა აღიწეროს ოქმში და დაერთოს საქმეს სპეციალური განჩინებით (დადგენილებით). ექსპერტის მიერ დადგენილი ცნობის საპროცესო წესით დამაგრება ხდება ექსპერტის მიერ სათანადოდ შედგენილი დასკვნით. სასამართლო მოქმედების ოქმი და დოკუმენტი საქმეს უნდა დაერთოს სპეციალურად გამოტანილი დადგენილების გარეშე (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 130-ე მუხლის პირველი ნაწილი).

16. შესაბამისად, კანონის დარღვევით მიღებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს. აღნიშნული იწვევს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობასა და სისხლის სამართლის საქმიდან ამოღებას (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლი).

17. კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებისათვის იურიდიული ძალის არქონის პრინციპი აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციითაც (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტი).

მუხლი 8. სასამართლო ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა

1. **სასამართლო ხელისუფლება არის ხალხის სუვერენული ნების გამოხატულება და მას მხოლოდ სასამართლო ახორციელებს.**
2. **სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სახელით.**
3. **სასამართლო ხელისუფლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების წინაშე ანგარიშვალდებული არ არის. მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს.**
4. **სასამართლო ხელისუფლება აკონტროლებს გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა კანონიერებასა და დასაბუთებულობას.**
5. **მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით. არავის არა აქვს უფლება ზედამხედველობა გაუწიოს სასამართლოს და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.**
6. **მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება, დამნაშავედ ცნოს პირი და დაუნიშნოს მას სასჯელი, ხოლო მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენს – სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.**

7. **განაჩენსა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებაში რაიმე ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით.**
8. **არავის არა აქვს უფლება, ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელებაში და ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლეზე. მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიებს ადგენს კანონი.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლება ხალხის სუვერენული ნების გამოხატულებაა. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. ამასთან, მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები.

2. სასამართლო ხელისუფლების, როგორც ხალხის სუვერენული ნების გამოხატულების, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი არის ის, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სახელით. აღნიშნული დებულება მოცემულია ასევე საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-4 პუნქტსა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლშიც.

3. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

4. სასამართლო ხელისუფლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების წინაშე ანგარიშვალდებული არ არის. ამასთან, სასამართლოს აქტი სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე როგორც ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირის, ისე – სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის.

5. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ძირითადი გარანტია არის ის, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. თუმცა, რასაკვირველია, მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპი შეუზღუდავი არ არის და ის გულისხმობს, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს.

6. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას (საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

7. სასამართლო ხელისუფლების მიერ გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა კანონიერებისა და დასაბუთებულობის გაკონტროლების პრინციპი საკმაოდ მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, სასამართლო ხელისუფლება წინასწარ გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობას არ ახორციელებს, თუმცა სასამართლო ამოწმებს გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა კანონიერებასა და დასაბუთებულობას.

8. წინასწარი გამოძიების სტადიაზე სასამართლო არ ამოწმებს გამომძიებლისა და პროკურორის ყველა მოქმედებისა და გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. წინასწარი გამოძიებისას სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილება მოქმედებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვე-

ვებში. ძირითადად, ეს ეხება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების, ასევე – სასამართლოში გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევებს.

9. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო ფაქტობრივად ამოწმებს გამომძიებლისა და პროკურორის ყველა მოქმედებისა და გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას.

10. მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საპროცესო ფორმით. არავის აქვს უფლება, ზედამხედველობა გაუწიოს სასამართლოსა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

11. ვინაიდან მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება, დამნაშავედ ცნოს პირი და დაუნიშნოს მას სასჯელი.

12. მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი, განიხილოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საკითხი და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის მიმართ გამოიყენოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

13. სასამართლო გადაწყვეტილების, მიუხედავად მისი სახისა, გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

14. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების თაობაზე პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც წესი, საჩივრდება და იგი, როგორც წესი, შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ.

15. გამონაკლის შემთხვევებში პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება საჩივრდება და იგი შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ. მაგ: ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საჩივარს მისი გადაცემის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის დადგენილების თაობაზე იხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, ხოლო რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შესაბამისი გადაწყვეტილება კერძო საკასაციო საჩივრით საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

16. პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს შემაჯამებელი ხასიათის გადაწყვეტილება საჩივრდება და იგი შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ.

17. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის შემაჯამებელი ხასიათის გადაწყვეტილება საჩივრდება და იგი შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ.

18. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

19. მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიებს ადგენს საქართველოს კონსტიტუცია, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და ა.შ. მათგან ერთ-ერთ მთავარ გარანტიას წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი მოსამართლის ხელშეუხებლობის პრინციპი, რომლის თანახმად, დაუშვე-

ბელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და წევრებთან მიმართებით – საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე). გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს (პარლამენტს). თუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (პარლამენტი) არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მუხლი 9. თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე

1. **ყველა თანასწორია კანონისა და სასამართლოს წინაშე – რასის, ეროვნების, ენის, სქესის, სოციალური წარმოშობის, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, რწმენის, აგრეთვე სხვა გარემოებების მიუხედავად.**
2. **საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრისა და საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, საქართველოს სახალხო დამცველის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, ასევე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იმ წარმომადგენლის, რომელიც თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად, სარგებლობს იმუნიტეტით, – მათ მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებულ წესს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კოდექსი და საქართველოს სხვა კანონები.**
3. **დაუშვებელია ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ პირთა მიერ პრივილეგიებისა და იმუნიტეტის გამოყენება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის ასარიდებლად.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი №2976 – სსმ I, 2003 წ., №26, მუხ.192; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21)

1. კანონისა და, შესაბამისად, სასამართლოს წინაშე საყოველთაო თანასწორობის პრინციპი აღიარებულია როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ისე – საქართველოს კონსტიტუციით, რომლის მე-14 მუხლის თანახმად, ყველა თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და

სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

2. კანონისა და სასამართლოს წინაშე საყოველთაო თანასწორობის პრინციპის არსებობის მიუხედავად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გარკვეული პირების მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებულ წესს.

3. პრივილეგიებითა და იმუნიტეტით მოსარგებლე პირები შესაძლებელია, პირობითად ორ ჯგუფად დაიყოს: მაღალი თანამდებობის პირები და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირები.

4. მაღალი თანამდებობის პირებიდან საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრისა და საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებული წესი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, რომლის თანახმად, დაუშვებელია ამ პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის ორგანოს, თანამდებობის პირს. თუ შესაბამისი ორგანო, თანამდებობის პირი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

5. მაღალი თანამდებობის პირებიდან პრივილეგიებით სარგებლობენ ასევე საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე და საქართველოს სახალხო დამცველი, თუმცა აღსანიშნავია, რომ მათ მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებული წესი საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული არ არის. მათთვის პრივილეგიების მინიჭება, ალბათ, განპირობებულია მათი სამსახურებრივი უფლებამოსილებების თავისებურებებითა და იმით, რომ მათი თანამდებობაზე დანიშვნის სპეციალური წესი დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით. თუმცა საინტერესოა, რომ ამ ჩამონათვალში არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, რომლის სამსახურებრივი უფლებამოსილებები და თანამდებობაზე დანიშვნის სპეციალური წესი დადგენილია ასევე საქართველოს კონსტიტუციით.

6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ასევე დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას იმუნიტეტის მქონე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებულ წესს.

7. ზემოაღნიშნული პრივილეგიებისა და იმუნიტეტის გამოყენებით დაუშვებელია, მოხდეს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს პარლამენტი, საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თანხმობას არ მისცემს, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, სისხლისსამართლებრივი დევნა ჩერდება მხოლოდ იმ ვადით, რომელშიც პირს იცავს იმუნიტეტი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ გრძელდება საერთო წესით.

მუხლი 10. უდანაშაულობის პრეზუმფცია

1. **ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.**
2. **არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ბრალმდებელს ეკისრება. ბრალმდებელს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე.**
3. **დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა, გამამტყუნებელი განაჩენი და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.**
4. **ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.**

1. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესის ერთერთი მთავარი პრინციპია.

2. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დადგინდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

3. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის, ზუსტი სტატუსით მოხსენიებას.

4. სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე პირი მონაწილეობს სხვადასხვა სტატუსით. საწყის სტადიაზე, როგორც წესი, პირი იღებს ეჭვმიტანილის სტატუსს, როდესაც მის მიმართ არსებობს გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, მაგრამ ამგვარი ეჭვი არ არის საკმარისი, რათა პირს წაეყენოს ბრალდება. პირი ბრალდებული ხდება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემდეგ, როდესაც საფუძვლიანი ეჭვი იცვლება დასაბუთებული ვარაუდით, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით შესაძლებელია, დამტკიცდეს ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენა. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში ჩაბარების შემდეგ ბრალდებული

ხდება განსასჯელი, ხოლო მსჯავრდებულია პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

5. შესაბამისად, სანამ პირის მიმართ არ იქნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რითაც უტყუარად დგინდება ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მანამდე ეს პირი უდანაშაულოდ ითვლება.

6. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს უფლება აქვთ, მისცენ ან არ მისცენ ჩვენება. მათ ჩვენების მიცემის ვალდებულება არ ეკისრებათ. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს უფლება აქვთ, ისარგებლონ „მთლიანი“ ან „ნაწილობრივი“ დუმილის უფლებით. ამასთან, მათ დაკითხვის დაწყებამდე პროცესის მწარმოებელი უფლებამოსილი ორგანო ან თანამდებობის პირი განუმარტავს, რომ უფლება აქვთ, უარი თქვან ჩვენების მიცემაზე.

7. ბრალდებულის, განსასჯელის დუმილი ნიშნავს, რომ ისინი თავს დამნაშავედ არ ცნობენ.

8. სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებისა და დაცვის ფუნქციები ერთმანეთისაგან გამიჯნულია. ბრალდების ფუნქცია ეკისრება პროკურორს, აგრეთვე – დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და მათ წარმომადგენლებს. შესაბამისად, ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ბრალმდებელს ეკისრება როგორც ბრალდების მტკიცებულებათა დასაშვებობის, ისე – დაცვის მტკიცებულებათა დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი.

9. ბრალმდებელს არათუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულია, უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულებანი არ ადასტურებენ ბრალდებას. ამასთან, ბრალდებაზე პროკურორის უარი დასაბუთებული უნდა იყოს.

10. სასამართლოში ბრალდების შეცვლისას პროკურორი ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს ბრალდების ახალი წერილობითი ფორმულირება.

11. განსასჯელის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის ან ბრალდების მოხსნის თაობაზე აუცილებელია ზემდგომი პროკურორის თანხმობა.

12. ბრალდებაზე პროკურორის უარის შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარდაჭერაზე უარი თქვა დაზარალებულმაც, სასამართლო, როგორც წესი, წყვეტს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას.

13. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დადგენილება ბრალდებულის სახით პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. უტყუარ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს ასევე ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება.

14. საქართველოს კონსტიტუცია ადგენს, რომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასეთსავე სტანდარტს აწესებს ეჭვმიტანილის მიმართაც. ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საუბარია არა ზოგადად ყოველგვარი ეჭვის ეჭვმიტანილის, ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტაზე, არამედ – ეჭვმი-

ტანილის, ბრალდებულის სასარგებლოდ მხოლოდ იმ ეჭვის გადაწყვეტაზე, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფლების უზრუნველყოფა

1. **სასამართლო და თანამდებობის პირი, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესს ახორციელებენ, ვალდებულნი არიან ეჭვმიტანილი, ბრალდებული და განსასჯელი უზრუნველყონ დაცვის უფლებით, განუმარტონ უფლებები, მისცენ შესაძლებლობა, დაიცვან თავი კანონით ნებადართული ყველა საშუალებით, უზრუნველყონ მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.**
2. **დაცვის უფლებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პირი, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, აგრეთვე მსჯავრდებული და გამართლებული განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში.**
3. **სისხლის სამართლის საქმეში დამცველის ან კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არ ართმევს დასაცავ პირს მის კუთვნილ უფლებებს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაცვის უფლება გარანტირებულია.

2. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან, ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი უზრუნველყონ დაცვის უფლებით.

3. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს თავისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია, მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი).

4. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ეძლევა დრო დამცველის ასარჩევად და მოსაწვევად. თუ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული დაკავებულია, მას ეძლევა შესაძლებლობა, დაკავების მომენტიდან 6 საათის ვადაში შეარჩიოს და მოიწვიოს თავისთვის სასურველი დამცველი. თუ ამ ვადაში ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიერ შერჩეული დამცველი ვერ გამოცხადდება, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, შესთავაზონ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს დამცველის დანიშვნა.

5. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან, ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს განუმარტონ უფლებები, მისცენ შესაძლებლობა, დაიცვან თავი კანონით ნებადართული ყველა საშუალებით, უზრუნველყონ მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

6. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი, რომელიც პროცესს აწარმოებს, ვალდებული არიან, ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მათი თანხმობით, სახელმწიფოს ხარჯზე დაუნიშნონ დამცველ-ადვოკატი, თუ ისინი მატერიალურად უკიდურესად გაჭირვებულნი არიან, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტით. გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი.

7. დაცვის უფლებით უზრუნველყოფის მოთხოვნა ვრცელდება ასევე მსჯავრდებულსა და გამართლებულზე, განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში.

8. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს იძულებითი დაცვის შემთხვევებს, როდესაც ორგანოს, თანამდებობის პირს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვთ, მიიღონ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, ხოლო თუ პირს ენიშნება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება – ამ პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის უარი დამცველის დანიშვნაზე, თუ:

– ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი არასრულწლოვანია;

– ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან განსასჯელს აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც აძნელებს დაცვის უფლების განხორციელებას;

– ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა ან განსასჯელმა არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

– ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან განსასჯელს ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც შეიძლება სასჯელად დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა;

– განიხილება საკითხი პირის მიმართ სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;

– ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა ან განსასჯელთა ინტერესებს შორის არის წინააღმდეგობა და თუნდაც ერთ მათგანს ჰყავს დამცველი;

– დაზარალებულის ან სამოქალაქო მოსარჩელის ინტერესებს იცავს მისი წარმომადგენელი;

– ბრალდებულთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;

– თუ პროცესის მონაწილის მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიება (გარდა ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიებისა).

9. მნიშვნელოვანია ის, რომ სისხლის სამართლის საქმეში დამცველის ან კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არ ნიშნავს იმას, რომ დასაცავ პირს ერთმევა კუთვნილი უფლებები. დასაცავ პირს შეუძლია, თვითონაც დაიცვას თავი, განაცხადოს შუამდგომლობები, აცილებები, წარმოადგინოს მტკიცებულებები, გაასაჩივროს პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის მოქმედება, გადაწყვეტილება და ა.შ.

10. ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს, რომელმაც უარი განაცხადა დამცველის დანიშვნაზე, უფლება აქვს, მის მიერ არჩეული დამცველის გამოცხადებამდე დაცვა დამოუკიდებლად განახორციელოს.

მუხლი 12. პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი პატივისა და ღირსების დაცვა

1. ყოველ ადამიანს აქვს თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, პატივისა და ღირსების დაცვის უფლება.

2. დაუშვებელია თავისუფლების შეზღუდვა კანონიერი საფუძვლისა და წესის გარეშე. დაკავებულსა და დაპატიმრებულს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავებისა თუ დაპატიმრების მიზეზი, საფუძველი და დანაშაული, რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია ან რომლის ჩადენაც მას ბრალად ედება.

3. დაუშვებელია პირის 48 საათზე მეტი ხნით დაკავება. პირის დაპატიმრება ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით). მოსამართლე, სასამართლო, პროკურორი და გამომძიებელი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი.

4. უკანონოდ და დაუსაბუთებლად თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს მისთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება.

5. დაუშვებელია პროცესის მონაწილეთა თუ სხვა პირთა მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში, აგრეთვე მათი პატივისა და ღირსების შემლახავი მეთოდების გამოყენება.

6. საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედება, რომელიც ეხება პიროვნების ხელშეუხებლობას, შეიძლება იძულებით ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, თუ ამას უშუალოდ კანონი ითვალისწინებს.

7. საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედების ჩატარებისას აკრძალულია პიროვნების მიმართ მეძიებლობის, მუქარის, შანტაჟის, წამების, ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის სხვა ხერხების გამოყენება. დაუშვებელია დაკავებულისა და დაპატიმრებულის მიმართ სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარება, ძილის, წყლის, საკვების აკრძალვა ან ზღვრულ ნორმაზე მეტად შეზღუდვა, ისეთ პირობებში ჩაყენება, რომლებიც მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ლახავს მის ღირსებას.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. ადამიანის თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, პატივისა და ღირსების დაცვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია, თუმცა, ბუნებრივია, მათი შეზღუდვა შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ – კანონიერი საფუძვლის არსებობისას და კანონით დადგენილი წესის თანახმად.

2. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადამიანის თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

3. ამასთან, საქართველოს კონსტიტუცია აზუსტებს აღნიშნულ წესს და უთითებს, რომ ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ.

4. დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავების მიზეზი, საფუძველი და დანაშაული, რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია.

5. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, არა უგვიანეს 48 საათში.

6. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა – სასამართლომ, მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი);

7. დაპატიმრებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაპატიმრების მიზეზი, საფუძველი და დანაშაული, რომლის ჩადენაც მას ბრალად ედება.

8. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ზიანის სრულად ანაზღაურების უფლებას აძლევს როგორც უკანონოდ, ასევე – დაუსაბუთებლად თავისუფლებაშეზღუდულ პირს.

9. ნიშანდობლივია, რომ უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იმისდა მიუხედავად, იქნება თუ არა დაკავებული პირი მსჯავრდებული (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 150-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

10. საქართველოს კონსტიტუცია იმპერატიულად კრძალავს დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი), ამასთან, დაკავებულის ან დაპატიმრებულის მიმართ დაუშვებელია სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარება, მისი ისეთ პირობებში ჩაყენება, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენას ახდენს და ლახავს მის ღირსებას, აკრძალულია ძილის, წყლის, საკვების აკრძალვა ან ზღვრულ ნორმაზე მეტად შეზღუდვა და ა.შ.

11. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაუშვებლად აცხადებს არა მარტო დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის, არამედ – სისხლის სამართლის პროცესის მონაწილისა, თუ ზოგადად, სხვა პირის მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში, აგრეთვე – მათი პატივისა და ღირსების შემლახავი მეთოდების გამოყენებას.

12. საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედების ჩატარებისას აკრძალულია პირის მიმართ მეძიებლობის, მუქარის, შანტაჟის, წამების, ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის სხვა ხერხების გამოყენება.

13. ზოგიერთი საგამოძიებო და სასამართლო მოქმედება ეხება პირის ხელშეუხებლობას. აღნიშნული მოქმედებები, როგორც წესი, იძულებით არ შეიძლება ჩატარდეს. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია, არსებობდეს გამონაკლისი ამ წესიდან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედება, რომელიც ეხება პირის ხელშეუხებლობას, შეიძლება იძულებით ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, თუ ამას უშუალოდ კანონი ითვალისწინებს. მაგ.: დაზარალებული ან მოწმე იძულებით შეიძლება შეამოწმონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა

ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მოითხოვს შემოწმებას დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი ჩვენების გაბათილების მიზნით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული უკავშირდება პირის ნების საწინააღმდეგოდ იძულებით მოქმედებას, ამიტომ კანონმდებელმა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად შემოიტანა „უფრო მაღალი სტანდარტი“, კერძოდ, მოწმის ან დაზარალებულის იძულებით შემოწმება შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 353-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

მუხლი 13. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

1. **არავის არა აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის, მიმოწერის, საფოსტო გზავნილის, პირადი ჩანაწერის, სატელეგრაფო შეტყობინების, სატელეფონო საუბრის, სხვა ტექნიკური საშუალებით გადაცემული ან მიღებული პირადი ხასიათის ინფორმაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით.**
2. **საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება, მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩხრეკა, ამოღება, საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე, საფოსტო გზავნილზე ყადაღის დადება, მათი შემოწმება და ამოღება, ქონებაზე ყადაღის დადება და ქონების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით), თუ არსებობს კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობა, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება, მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, ჩხრეკა და ამოღება შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე, მაგრამ მათი კანონიერება და დასაბუთებულობა უნდა შეამოწმოს მოსამართლემ მათ შესახებ მასალების წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ამასთან, მოსამართლე წყვეტს აღნიშნული საპროცესო მოქმედებებით მიღებული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს.**
3. **შემოწმების, ექსპერტიზის, სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარებისას არ უნდა გამჟღავნდეს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო ამ კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების მონაწილეს ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებს, არ გაამჟღავნოს აღნიშნული ცნობები.**
4. **პირს, რომელსაც ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების უკანონო გამჟღავნებით, ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება აქვს.**
5. **პირადი მიმოწერა და პირადი სატელეგრაფო შეტყობინება შეიძლება გამოქვეყნდეს ღია სასამართლო სხდომაზე მხოლოდ იმ პირის თანხმობით, რომელსაც იგი ეხება. თუ ასეთი თანხმობა არ არის, ის ქვეყნდება დახურულ სასამართლო სხდომაზე.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. საქართველოს კონსტიტუცია იცავს ადამიანის პირადი ცხოვრების საიდუმლოებას. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე – ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი). ამასთან, არავის აქვს უფლება, შევიდეს საცხოვრებელ ბინასა და სხვა მფლობელობაში, მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი).

2. ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნული მოქმედებებიდან უმრავლესობის ჩატარების წესი მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, თუმცა ზოგიერთი მათგანი მოწესრიგებულია „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება, მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე – ჩხრეკა, ამოღება, საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე, საფოსტო გზავნილზე ყადაღის დადება, მათი შემოწმება და ამოღება, ქონებაზე ყადაღის დადება და ქონების ჩამორთმევა ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

4. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები და სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებები, როგორც წესი, ტარდება პროკურორის ან პროკურორის თანხმობით, გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული მოსამართლის ბრძანებით ან სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით), თუმცა ეს საგამოძიებო მოქმედებები და სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებები გადაუდებელ შემთხვევებში შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილების საფუძველზე, მაგრამ მათი კანონიერება და დასაბუთებულობა უნდა შეამოწმოს მოსამართლემ მასალების წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათში.

5. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე ყადაღის დადება-ამოღება, რომლის ჩატარება გადაუდებელი აუცილებლობით გამომძიებლის, პროკურორის დადგენილების საფუძველზე დაუშვებელია.

6. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ნებადართულია მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებსა და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილთა კონტროლი (გარდა დიპლომატიური ფოსტისა), აგრეთვე – ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება, ელექტრული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და გარემოს.

7. აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ტარდება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით, რომელიც გაიცემა პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის

საფუძველზე. ამასთან, ეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები გადაუდებელი აუცილებლობისას, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს აღნიშნული მონაცემების მოპოვება, შესაძლებელია, ჩატარდეს პროკურორის მოტივირებული დადგენილებით, მოსამართლის ბრძანების გარეშე. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დაწყებიდან 12 საათში (ხოლო თუ ამ ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო დროს, მაშინ ამ დროის გასვლიდან არა უგვიანეს ერთ საათში) პროკურორი ვალდებულია, შუამდგომლობით მიმართოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ტარდება აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დაკანონების მოთხოვნით. სასამართლო ვალდებულია, პროკურორის შუამდგომლობა განიხილოს მისი წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში.

8. კანონმდებლობით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცულია ასევე იმ მიმართებით, რომ საპროცესო მოქმედების ჩატარებისას არ უნდა გამჟღავნდეს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე – პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან, შესაბამისი საპროცესო მოქმედების მონაწილე გააფრთხილონ ხელწერილის ჩამორთმევით, რომ მან არ გაამჟღავნოს აღნიშნული ცნობები.

9. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას აღნიშნულთან მიმართებით განსაკუთრებული წესია დადგენილი. პირადი მიმოწერა ან პირადი სატელეგრაფო შეტყობინება ღია სასამართლო სხდომაზე შეიძლება გამოქვეყნდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის თაობაზე თანხმობას გამოთქვამს ის პირი, ვისაც ეს ეხება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ თუ შესაბამისი პირი ასეთ თანხმობას არ გამოთქვამს, მაშინ სასამართლო სხდომა უნდა დაიხუროს და პირადი მიმოწერა ან პირადი სატელეგრაფო შეტყობინება უნდა გამოქვეყნდეს მხოლოდ დახურულ სასამართლო სხდომაზე.

10. იმ შემთხვევაში, თუ პირის პირადი ცხოვრების შესახებ ცნობები უკანონოდ გამჟღავნდა და მას ამით ზიანი მიადგა, პირს უფლება აქვს, ზიანი სრულად აინაზღაუროს.

მუხლი 14. საჯაროობა და დისპოზიციურობა

1. **გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო, რომლებიც მოქმედებენ საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ვალდებულნი არიან დაადგინონ დანაშაული და მისი ჩამდენი პირი. ამ მიზნით ისინი უფლებამოსილნი არიან, ჩაატარონ ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა საპროცესო მოქმედება როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე დაინტერესებული პირის შუამდგომლობით.**
2. **დანაშაულის გახსნისა და სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი საფუძვლითა და წესით.**

3. **ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში პირად კანონიერ ინტერესს აქვს პრიორიტეტი დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესთან შედარებით. პიროვნების კანონიერი ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოების ინტერესებს ემსახურება.**
4. **მხარეებს უფლება აქვთ კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი წესით თავისუფლად განკარგონ თავიანთი მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო უფლებები, გავლენა მოახდინონ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე და სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტაზე.**
5. **კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, ხოლო მხარეთა შერიგების შემთხვევაში გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.**
6. **ბრალმდებლის უარი ბრალდებაზე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტას ან ამ კოდექსის 504-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში – გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.**
7. **თუ სამოქალაქო მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ან მხარეები მორიგდნენ, სასარჩელო წარმოება წყდება.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. საჯაროობა და დისპოზიციურობა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, თუმცა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი შეხება სისხლის სამართლის პროცესის არანაკლებ მნიშვნელოვან პრინციპთან – სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობასთან.

2. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი – გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო მოქმედებენ რა საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ვალდებული არიან, დაადგინონ დანაშაული და მისი ჩამდენი პირი.

3. საჯარო ინტერესების გათვალისწინებაში იგულისხმება დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესი, რაშიც უმნიშვნელოვანესია გამომძიებლისა და პროკურორის როლი, თუმცა სადავოა მოსამართლე და სასამართლო რამდენად არათუ ვალდებულია, არამედ უფლებამოსილიც კია, იმოქმედოს საჯარო ინტერესების გათვალისწინებით და დაადგინოს დანაშაული და მისი ჩამდენი პირი, რადგანაც სასამართლო არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო და ის არ ასრულებს არც დაცვისა და არც ბრალდების ფუნქციას.

4. ზემოაღნიშნული კომპეტენციიდან გამომდინარე, გამომძიებელი, პროკურორი უფლებამოსილი არიან, ჩაატარონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საპროცესო მოქმედება როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე – დაინტერესებული პირის შუამდგომლობით.

5. განსხვავებული ვითარებაა მოსამართლის, სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით საპროცესო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებით. საკუთარი ინიციატი-

ვით მოსამართლის, სასამართლოს მიერ საპროცესო მოქმედების განხორციელება ფაქტობრივად ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპს, რადგანაც ასეთი საპროცესო მოქმედების შედეგად მიღებულ მტკიცებულებას გამოიყენებს ბრალდების ან დაცვის მხარე, ამით კი მოსამართლე, სასამართლო გასცდება თავის ფუნქციას. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონმდებელი სულ უფრო ამცირებს სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობის ფარგლებს. მაგ.: „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2006 წლის 28 აპრილის საქართველოს კანონის თანახმად, სასამართლო გამოძიების სტადიაზე აიკრძალა სასამართლოს მიერ მოწმის საკუთარი ინიციატივით გამოძახება და დაკითხვა. დღევანდელი ვითარებით, მოსამართლის, სასამართლოს ინიციატივით ფაქტობრივად შესაძლებელია მხოლოდ ექსპერტიზის დანიშვნა და წერილობითი მტკიცებულებებისა და საგამოძიებო მოქმედების ოქმის გამოკვლევა.

6. დანაშაულის გახსნის, სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესი არ გულისხმობს იმას, რომ ამისათვის შესაძლებელია, უპირობოდ მოხდეს პირის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა. ასეთი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი წესის დაცვით, კანონით დადგენილი საფუძვლის არსებობისას. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალსახად ადგენს, რომ ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში პირად კანონიერ ინტერესს აქვს პრიორიტეტი დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესთან შედარებით. პიროვნების კანონიერი ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოების ინტერესებს ემსახურება, ანუ ფაქტობრივად დეკლარირებულია ცნობილი პრინციპი – სჯობს დანაშაული დარჩეს გაუხსნელი და დამნაშავე – დაუსჯელი, ვიდრე მოხდეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება.

7. ბრალდებისა და დაცვის მხარეს უფლება აქვთ, სისხლის სამართლის პროცესში მიიღონ აქტიური მონაწილეობა, იმოქმედონ შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესის თანახმად.

8. მხარის უფლებამოსილებასთან მიმართებით განსაკუთრებით საინტერესოა კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეები, რადგანაც ამ კატეგორიის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება, დაიწყოს მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით.

9. კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა პოზიციებს, რადგან მხარეების შერიგების შემთხვევაში ამ კატეგორიის საქმეზე გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც წესი, წყდება.

10. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გამონაკლისს ამ საერთო წესიდან, კერძოდ: კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეში პროკურორის ჩაბმის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეიძლება შეწყდეს, მიუხედავად მხარეთა შერიგებისა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

11. თუ პროკურორი და დაზარალებული უარს ამბობენ ბრალდებაზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სისხლისსამართლებრივი დევნა და წინასწარი გამოძიება, როგორც წესი, უნდა შეწყდეს, ხოლო თუ ისეთი გარემოებები, როგორებიცაა: სისხლის სამართლის კანონით

გათვალისწინებული ქმედების არარსებობა, ასევე ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობა გამოვლინდა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მაშინ სასამართლო ამთავრებს საქმის განხილვას და გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი.

12. სამოქალაქო მოსარჩელის მიერ სამოქალაქო სარჩელზე უარის თქმის ან სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის მორიგების შემთხვევაში სასარჩელო წარმოება წყდება. ამასთან, სამოქალაქო სარჩელზე უარის თქმა სამოქალაქო მოსარჩელეს უფლებას ართმევს, იმავე პირის მიმართ სამოქალაქო სარჩელი იმავე საფუძვლით განმეორებით წარადგინოს, როგორც სისხლის სამართალწარმოების, ისე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

მუხლი 15. სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა

1. **სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.**
2. **ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები გამოყოფილია ერთმანეთისაგან და არ შეიძლება დაეკისროს ერთსა და იმავე ორგანოს ან ერთსა და იმავე თანამდებობის პირს.**
3. **მხარეებს სრული თანასწორობის საფუძველზე უფლება აქვთ წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მათს გამოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვან საკუთარი აზრი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე.**
4. **შეჯიბრებითობა წინასწარ გამოძიებაში უზრუნველყოფილია იმით, რომ: ბრალდების ფუნქცია ეკისრება პროკურორს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და მათ წარმომადგენლებს; დაცვის უფლება აქვთ ბრალდებულს, დამცველს, სამოქალაქო მოპასუხესა და მის წარმომადგენელს; დაწესებულია სასამართლო კონტროლი გამომძიებლისა და პროკურორის იმ საპროცესო მოქმედებაზე, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან; ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველსა და პროცესის სხვა მონაწილეს ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით უფლება აქვთ სასამართლოში გაასაჩივრონ გამომძიებლის ან პროკურორის უარი შუამდგომლობის, საჩივრისა თუ განცხადების დაკმაყოფილებაზე.**
5. **სასამართლო არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო, არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას. სასამართლო ბრალდებისა და დაცვის მხარეებს უქმნის საჭირო პირობებს მტკიცებულებათა წარდგენისათვის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის.**
6. **სასამართლო შებოჭილი არ არის მხარეთა მოსაზრებებით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესის უმთავრესი პრინციპია. აღნიშნულზე ნათლად მიუთითებს ისიც, რომ ეს პრინციპი ერთადერთია, რომლის შესახებაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სამჯერ არის საუბარი, კერძოდ: „სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების“ თავში მოხსენიების გარდა, შეჯიბრებითობაზე საუბარია როგორც „სასამართლოს“ თავში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლი), ისე – „სასამართლო განხილვის შესახებ ზოგადი დებულებანის“ თავშიც (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლი).

2. ბრალდებისა და დაცვის მხარე სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებენ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

3. მხარეთა ფუნქციები და სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის ფუნქცია ერთმანეთისაგან გამიჯნულია.

4. ბრალდების ფუნქცია ეკისრებათ ბრალდების მხარის წარმომადგენლებს – პროკურორს, აგრეთვე – დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და მათ წარმომადგენლებს.

5. დაცვის ფუნქცია ეკისრებათ დაცვის მხარის წარმომადგენლებს – ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, დამცველს, ბრალდებულის მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, სამოქალაქო მოპასუხესა და მის წარმომადგენელს.

6. სისხლის სამართლის საქმისა და შუამდგომლობა-საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის უფლება აქვს მხოლოდ მოსამართლეს, სასამართლოს – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს (მოსამართლეს), სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. სასამართლო არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო. ამასთან, სასამართლო შებოჭილი არ არის მხარეთა მოსაზრებებით.

7. ბრალდების, დაცვისა და სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის ფუნქციები დაუშვებელია, დაეკისროს ერთსა და იმავე ორგანოს ან ერთსა და იმავე თანამდებობის პირს.

8. მხარეებს უფლება აქვთ, წარმოადგინონ მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში. აღნიშნულთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამცველის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლების უფლებამოსილება, რომელთაც უფლება აქვთ: შეაგროვონ მათ მარწმუნებელ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის საჭირო ცნობები, გამოავლინონ და შეკითხვები დაუსვან კერძო პირს, რომელიც ჯერ ოფიციალურად დაკითხული არ არის; გამოითხოვონ ცნობა, დახასიათება და სხვა დოკუმენტი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებიდან, საწარმოდან ან ორგანიზაციიდან, მიმართონ კომპეტენტურ პირს, გამოთქვას თავისი აზრი საქმის გამო წამოჭრილი სპეციალური საკითხის განსამარტავად, ჩატარებული ექსპერტიზის შესაფასებლად და შუამდგომლობის დასასაბუთებლად; მოიწვიონ ექსპერტი, ასევე – საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტი დასკვნის შესადგენად; ისარგებლონ კერძო დეტექტივის მომსახურებით მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ცნობების მისაღებად. დამცველისა და წარმომადგენლის მიერ ოფიციალურად წარმოებული გამოძიების გარეთ მოპოვებული მასალები, დოკუმენტები, ცნობები უნდა დაერთოს საქმეს და შეიძლება წარედგინოს სასამართლოს, როგორც მტკიცებულებანი.

9. მხარეებს ასევე უფლება აქვთ, განაცხადონ შუამდგომლობა, აცილება, გამოთქვან საკუთარი აზრი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე.

10. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო არ არის წინასწარი გამოძიების მწარმოებელი ან/და წინასწარ გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი ორგანო, დაწესებულია სასამართლო კონტროლი გამომძიებლისა და პროკურორის იმ საპროცესო მოქმედებასა და გადაწყვეტილებაზე, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის კონსტიტუციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან. მაგ.: აღკვეთის ღონისძიების, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების, ქონებაზე ყადაღის დადების, ბრალდებულის ან სხვა პირის სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საპროცესო სამართლებრივი იძულების გამოყენების, აღკვეთის ღონისძიებათა შეცვლის შესახებ ბრძანებას, აგრეთვე დადგენილებას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან, შეცვლასთან ან ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით გაცემული ბრძანების გაუქმების შესახებ გასცემს მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით, პროკურორის ან პროკურორის თანხმობით, გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილი).

11. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე უშვებს შუამდგომლობის, საჩივრის, განცხადების დაკმაყოფილებაზე გამომძიებლის, პროკურორის უარის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, თუმცა მხოლოდ – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შეთხვევებში და დადგენილი წესით. მაგ.: ეჭვმიტანილს უფლება აქვს, დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა, აგრეთვე – სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ექსპერტიზის დანიშვნაზე უარი შეიძლება მხოლოდ ერთხელ გასაჩივრდეს გამოძიების ადგილის მიხედვით – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი).

12. სასამართლო ბრალდებისა და დაცვის მხარეებს უქმნის მტკიცებულებათა წარდგენისა და მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის საჭირო პირობებს. ამასთან, სასამართლო სხდომის მოსამზადებელ სტადიაზე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, დაადგინოს პროცესის მონაწილე ბრალდებისა და დაცვის მხარეთა წარმომადგენლებს სხვა შინაარსის შუამდგომლობებთან ერთად აქვთ თუ არა შუამდგომლობა ახალი მტკიცებულებების ან დოკუმენტების გამოთხოვის ან საქმისათვის დართვის შესახებ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 468-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მუხლი 15[1]. საპროცესო შეთანხმება

საპროცესო შეთანხმება ხორციელდება სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით. საპროცესო შეთანხმებების მიზანია სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა.

(საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21)

1. სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომელიც ხორციელდება ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმებით. საპროცესო შეთანხმების მიზანს წარმოადგენს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის LXIV[1] თავის კომენტარები).

მუხლი 16. სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნოობა

1. **სისხლის სამართლის საქმის განხილვა ყველა სასამართლოში ღიაა.**
2. **სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტენოგრაფირების, ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის, აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით ტრანსლაციის წესს და შეზღუდვის მიზანშეწონილობას განსაზღვრავს სასამართლო (მოსამართლე) მოტივირებული გადაწყვეტილებით. ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის შეჩერება ან აკრძალვა სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ განსაზღვრული წესის დარღვევის შემთხვევაში, რის თაობაზედაც სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული გადაწყვეტილება.**
3. **მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ თავისუფლად გააშუქონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და შედეგები, ოღონდ ამ დროს მათ უნდა იხელმძღვანელონ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპით.**
4. **საქმის განხილვისას სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით) შეიძლება ჩატარდეს მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული სასამართლო სხდომა: სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით; პირადი მიმოწერის და სატელეგრაფო შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამაზე თანახმა არ არის პირი; ბრალდებულის სამართალში მიცემისას. მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე მხარის მოთხოვნით აგრეთვე განიხილება: არასრულწლოვნის დანაშაულის საქმე, სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის და სხვა კატეგორიის საქმეები, რათა არ გახმაურდეს ცნობები საქმეში მონაწილე პირის ინტიმური ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შესახებ, როდესაც ამას მოითხოვს პროცესის მონაწილისა და მისი ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების პირადი უსაფრთხოების დაცვა.**
5. **დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება აგრეთვე საგამომძიებო ორგანოების წარდგინება (შუამდგომლობა) სასამართლო ბრძანებისა და დადგენილების გამოთხოვის შესახებ (გარდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევისა) და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საკითხი.**
6. **დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა წარმოებს ყველა საპროცესო წესის დაცვით.**
7. **სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ ცხადდება.**

8. **წინასწარი გამოძიების მასალების გახმაურების საკითხს წყვეტს გამომძიებელი ან პროკურორი უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვით.**
9. **16 წელს მიუღწეველი პირი სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება.**
10. **შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება მხოლოდ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2454 – სსმ I, 2003 წ., №21, მუხ.148; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხ.213; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368; საქართველოს 2006 წლის 20 ივნისის კანონი №3310 – სსმ I, 2006 წ., №25, მუხ.197)

1. სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნოობის პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმის განხილვა ყველა სასამართლოში, როგორც წესი, ღიაა.

2. სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ურთიერთობას, რადგან, ერთი მხრივ, არსებობს საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაინტერესება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების მიმართ და, მეორე მხრივ, – ალბათობა იმისა, რომ აღნიშნულით, კერძოდ კი მისი არასწორი გამოვლინებით, შეიქმნება მართლმსაჯულების ნორმალურად განხორციელებისათვის ხელის შეშლის საშიშროება.

3. მოსამართლეს არათუ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, არამედ აკისრია შესაბამისი ვალდებულება, განსაზღვროს სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტენოგრაფირების, ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის, აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით ტრანსლაციის წესი და შეზღუდვის მიზანშეწონილობა, ანუ დაადგინოს „სასამართლო სხდომის დარბაზში ჟურნალისტის ქცევის წესი“.

4. სასამართლო სხდომის მოსამზადებელ სტადიაზე, ფაქტობრივად მას შემდეგ, რაც სასამართლო სხდომის თავმჯდომარე გახსნის სასამართლო სხდომას და გამოაცხადებს, რომელ სისხლის სამართლის საქმეს იხილავენ, იგი ვალდებულია, პროცესის გადამღებ ოპერატორს სასამართლოს სხდომის დარბაზში მიუჩინოს ისეთი ადგილი, საიდანაც მას შეეძლება პროცესის მიმდინარეობის ჩაწერა და ამით, რაც მთავარია, მოსამართლეს პროცესის სრულყოფილად წარმართვაში ხელი არ შეეშლება. ასეთ ადგილად, როგორც წესი, უნდა გამოიყოს სასამართლო სხდომის დარბაზის ბოლო ნაწილის კუთხე. ამასთან, მოსამართლემ ასევე უნდა შეზღუდოს სხვა, ე.წ. „მწერალ“ ჟურნალისტთა მიერ სასამართლო სხდომის დარბაზში საკუთარი სურვილით გადაადგილება, საუბარი ან პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის სხვაგვარად შეშლა.

5. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ შესაბამისი მითითებების ზეპირად მიცემა ფაქტობრივად წარმოადგენს მისი მოტივირებული გადაწყვეტილების გამოვლენის ფორმას, რასაც ამ შემთხვევაში არ სჭირდება მოსამართლის მიერ წერილობითი გადაწყვეტილების მიღება. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ შესაბამისი მითითებების მიცემის შესახებ უნდა დაფიქსირდეს სასამართლო სხდომის ოქმში.

6. ყოველივე ზემოაღნიშნულით ფაქტობრივად განისაზღვრება პროცესის სტენოგრაფირების, ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის, აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით ტრანსლაციის წესი.

7. სასამართლოს მიერ დადგენილი პროცესის სტენოგრაფირების, ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის, აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით ტრანსლაციის წესის დარღვევის შემთხვევაში დასაშვებია სასამართლოს მიერ ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის შეჩერება ან აკრძალვა.

8. ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის შეჩერება, როგორც სამართლებრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით, პრაქტიკულად არაეფექტური და არაადეკვატური ღონისძიებაა.

9. ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის აკრძალვის ან შეჩერების შესახებ სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გამოიტანოს მოტივირებული გადაწყვეტილება, რომელშიც მიეთითება, თუ რაში გამოიხატა მის მიერ დადგენილი წესის დარღვევა, რითაც ხელი შეეშალა სასამართლო სხდომის ნორმალურ წარმართვას.

10. ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის აკრძალვის ან შეჩერების თაობაზე მოსამართლის (სასამართლოს) მოტივირებული დადგენილება (განჩინება), როგორც წესი, მიღებულ უნდა იქნეს ადგილზე თათბირით და აისახოს სასამართლო სხდომის ოქმში.

11. სისხლის სამართლის პროცესი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ადგენს რა შესაძლებლობას, თავისუფლად გააშუქონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და შედეგები, იმავდროულად მოითხოვს, რომ მათ ამ დროს იხელმძღვანელონ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვით.

12. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა ყველა სასამართლოში ღიაა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს შესაძლებლობას, ჩატარდეს მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული სასამართლო სხდომა.

13. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული სასამართლო სხდომა შესაძლებელია, ჩატარდეს მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ზუსტად დადგენილ შემთხვევებში და მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილების (განჩინების) საფუძველზე.

14. კანონმდებელი ადგენს სისხლის სამართლის საქმის მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ორ განსხვავებულ წესს:

– როდესაც აღნიშნული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და არ არის აუცილებელი ამის შესახებ მხარის მოთხოვნის არსებობა;

– როდესაც აღნიშნული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და ამის შესახებ სავალდებულოა მხარის მოთხოვნის არსებობა.

15. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას შეიძლება, ჩატარდეს მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული სასამართლო სხდომა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მხარის მოთხოვნა:

– სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით;

– სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვის მიზნით;

– კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით;

– პირადი მიმოწერისა და სატელეგრაფო შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამაზე პირი თანახმა არ არის.

16. მხარის მოთხოვნის (შუამდგომლობის) არსებობის შემთხვევაში მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება:

– არასრულწლოვნის დანაშაულის საქმე;

– სქესობრივი დანაშაულის საქმე, რათა არ გახმაურდეს ცნობები საქმეში მონაწილე პირის ინტიმური ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შესახებ;

– ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის საქმე, რათა არ გახმაურდეს ცნობები საქმეში მონაწილე პირის ინტიმური ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შესახებ;

– სხვა კატეგორიის საქმეები, რათა არ გახმაურდეს ცნობები საქმეში მონაწილე პირის ინტიმური ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შესახებ;

– როდესაც ამას მოითხოვს პროცესის მონაწილისა და მისი ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების პირადი უსაფრთხოების დაცვა.

17. დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება აგრეთვე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საკითხი.

18. დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება აგრეთვე საგამოძიებო ორგანოების წარდგინება (შუამდგომლობა) სასამართლო ბრძანებისა და დადგენილების გამოთხოვის შესახებ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევის გარდა, რომლის განხილვისას სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ღიაა.

19. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის მე-6 ნაწილი ასევე ადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გაუქმების საკითხების დახურულ სასამართლო სხდომაზე განხილვის დამატებით შესაძლებლობას, თუ სასამართლო სხდომის დახურვა აუცილებელია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის კომენტარები).

20. მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე სისხლის სამართლის საქმე განიხილება ყველა იმ საპროცესო წესის დაცვით, რაც დადგენილია ღია სასამართლო სხდომაზე სისხლის სამართლის საქმის განხილვისათვის.

21. სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება ყველა შემთხვევაში, მათ შორის – მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, საქვეყნოდ ცხადდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ კონტექსტში საუბარია არა ყველა განჩინებისა და დადგენილების საქვეყნოდ გამოცხადების შესახებ, არამედ – მხოლოდ შემაჯამებელი ხასიათის განჩინებისა და დადგენილების საქვეყნოდ გამოცხადების თაობაზე.

22. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნოობის პრინციპის კანონისმიერ შეზღუდვას ასაკიდან გამომდინარე, კერძოდ: 16 წელს მიუღწეველი პირი, თუ ის არ არის მხარე ან მოწმე, სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება.

23. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში, როგორც წესი, არ დაიშვება.

24. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება მხოლოდ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვით. ასეთი პირი შეიძლება იყოს, როგორც

წესი, იუსტიციის სამინისტროს საბადრაგო სამსახურის თანამშრომელი და არა, ვთქვათ, სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი, მოწმის სახით დასაკითხი შეიარაღებული პოლიციის თანამშრომელი ან გამომძიებელი.

25. წინასწარი გამოძიების მასალების გახმაურების საკითხს წყვეტს გამომძიებელი ან პროკურორი. გამომძიებელს, პროკურორს შეუძლიათ, გამოაქვეყნონ სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალა ან მასალის ნაწილი, ანდა მიიღონ გადაწყვეტილება წინასწარი გამოძიების მასალების გაუხმაურების თაობაზე.

26. წინასწარი გამოძიების მასალების გახმაურების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვით.

მუხლი 17. სისხლის სამართლის პროცესის ენა

1. **სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ქართულ ენაზე, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.**
2. **პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, უფლება აქვს გააკეთოს განცხადება, მისცეს ჩვენება და განმარტება, განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, შეიტანოს საჩივარი, სასამართლოში გამოვიდეს მშობლიურ ენაზე ან სხვა ენაზე, რომელიც იცის. ამ შემთხვევებში, აგრეთვე საქმის მასალების გაცნობისას პროცესის მონაწილეს უფლება აქვს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.**
3. **საგამოძიებო და სასამართლო დოკუმენტები, რომლებიც კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა გადაეცეს ბრალდებულს ან პროცესის სხვა მონაწილეს, უნდა ითარგმნოს მის მშობლიურ ენაზე ან სხვა ენაზე, რომელიც მან იცის.**
4. **ორგანო, რომელიც პროცესს აწარმოებს, ვალდებულია პროცესის მონაწილეებს განუმარტოს ამ მუხლის მე-2-3 ნაწილებში აღნიშნული მათი უფლებები.**
5. **სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე თარჯიმნის შრომის ანაზღაურება ხდება სახელმწიფოს ხარჯზე.**
6. **ყველა საპროცესო აქტი დგება სისხლის სამართლის პროცესის ენაზე.**
7. **გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე ვალდებულნი არიან, სრულყოფილად იცოდნენ სისხლის სამართლის პროცესის ენა.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე, აფხაზური, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე, აფხაზურ ენაზე.

2. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირები – გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ვალდებული არიან, სრულყოფილად იცოდნენ სისხლის სამართლის პროცესის ენა.

3. ყველა საპროცესო აქტი უნდა შედგეს სისხლის სამართლის პროცესის ენაზე, თუნდაც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეების უმრავლესობამ არ იცოდეს, ანდა სათანადოდ არ იცოდეს სისხლის სამართლის პროცესის ენა.

4. პროცესის მონაწილეს უფლება აქვს, გააკეთოს განცხადება, მისცეს ჩვენება, განმარტება, განაცხადოს შუამდგომლობა, აცილება, შეიტანოს საჩივარი, სასამართლოში გამოვიდეს მშობლიურ ენაზე ან სხვა ენაზე, რომელიც იცის – იმ შემთხვევაში, როდესაც მან არ იცის, ანდა სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა. ამასთან, საგამოძიებო და სასამართლო დოკუმენტები, რომლებიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა გადაეცეს სისხლის სამართლის პროცესის ენის არმცოდნე ბრალდებულს ან პროცესის სხვა მონაწილეს, უნდა ითარგმნოს მის მშობლიურ ენაზე ან სხვა ენაზე, რომელიც მან იცის.

5. პროცესის მონაწილის მიერ სისხლის სამართლის პროცესის ენის არცოდნის ან სათანადოდ არცოდნის შემთხვევაში მას უფლება აქვს, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.

6. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს განუმარტონ ზემოაღნიშნული უფლებები.

7. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის პროცესში თარჯიმნის მონაწილეობის აუცილებლობა განპირობებულია პროცესის მონაწილის მიერ სისხლის სამართლის პროცესის ენის არცოდნით ან სათანადოდ არცოდნით, სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე თარჯიმნის შრომას ანაზღაურებს სახელმწიფო ბიუჯეტი.

მუხლი 18. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

1. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო ვალდებულნი არიან უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი, და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

2. საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

3. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობისა თუ ნაკლები ბრალის, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის, დანაშაულის გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების სხვა დარღვევების თაობაზე გულდასმით უნდა შემოწმდეს.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირები – გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო მოქმედებენ რა ზოგადად, დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ვალდებული არიან, უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი და გაარკვიონ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება (იხილე ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის კომენტარები).

2. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის მიუხედავად, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა მოხდეს ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად. ამასთან, ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე – მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის კომენტარები).

3. ზემოაღნიშნული კომპეტენციიდან გამომდინარე, გამომძიებელი, პროკურორი უფლებამოსილი არიან, ჩაატარონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საპროცესო მოქმედება როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე – დაინტერესებული პირის შუამდგომლობით. მათ გულდასმით უნდა შეამოწმონ ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობისა თუ ნაკლები ბრალის, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის, დანაშაულის გამოძიების დროს კანონიერების სხვა დარღვევების თაობაზე. შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას მათ ასევე უნდა გაითვალისწინონ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის გამამართლებელი და მათი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი.

4. იხილავს რა არსებითად სისხლის სამართლის საქმეს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, სასამართლომ სისხლის სამართლის საქმის გარემოებები უნდა გამოიკვლიოს ობიექტურად, ყოველმხრივ და სრულად, უნდა გაარკვიოს განსასჯელის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი, განსასჯელისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობისა თუ ნაკლები ბრალის, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის, დანაშაულის გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების სხვა დარღვევების თაობაზე გულდასმით უნდა შეამოწმოს და უნდა გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი, რომელშიც სასამართლოს დასკვნები დამყარებული იქნება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე და რომლებიც საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ამასთან, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

მუხლი 19. მტკიცებულების შეფასება შინაგანი რწმენით

1. არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო მტკიცებულებებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით.

2. **მტკიცებულებათა შეფასება ხდება იმ მიზნით, რომ გაირკვეს: მათი დამოკიდებულება საქმისადმი (შესახებობა), დაცული იყო თუ არა საპროცესო კანონი მათი შეკრებისას (დასაშვებობა), მათი უტყუარობა და საკმარისობა დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. მტკიცებულებათა შეფასება ხდება სისხლის სამართლის კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით.**
3. **ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, საკმარისი არ არის მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ სტადიაზე პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი შემაჯამებელ გადაწყვეტილებას იღებენ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე.

2. მტკიცებულებები არის კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან და წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზე მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირები – გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო ადგენენ, არსებობს თუ არა მოვლენა ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე ადგენენ სისხლის სამართლის საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს.

3. მტკიცებულებათა შეფასებასთან მიმართებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს მათი შესახებობა (დამოკიდებულება) სისხლის სამართლის საქმისადმი, ანუ რამდენად უკავშირდება კონკრეტული მტკიცებულება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს. შესაძლებელია მტკიცებულებას არანაირი შეხება (კავშირი) არ ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმესთან, შესაბამისად, მისი შეფასება ამ სისხლის სამართლის საქმეზე არ უნდა მოხდეს.

4. მტკიცებულებათა შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტას, ანუ რამდენად არის მტკიცებულება სისხლის სამართლის საპროცესო წესით დამაგრებული, ესე იგი, იყო თუ არა დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები მისი მოპოვებისას. იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულების მოპოვებისას დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის დადგენილებით (განჩინებით) მტკიცებულება მიიჩნევა დაუშვებლად, ამოიღება სისხლის სამართლის საქმიდან და, შესაბამისად, იგი ამ სისხლის სამართლის საქმეზე არ უნდა შეფასდეს.

5. მტკიცებულებათა შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მათი უტყუარობისა და საკმარისობის საკითხის გადაწყვეტას. პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა უნდა შეაფასონ, თუ სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულება ცალ-ცალკე და საბოლოოდ – ერთობლივად, რამდენად საკმარისია პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

6. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამამტყუნებელი განაჩენისათვის ადგენს ფაქტობრივად მაღალ სტანდარტს, რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის აუცილებელია, სისხლის სამართლის საქმეში არსებობდეს ეჭვის გამომრიცხავ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

7. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირები – გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო მტკიცებულებებს აფასებენ სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული წესების დაცვით, შინაგანი რწმენის საფუძველზე.

8. არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, თუნდაც ეს იყოს ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა გამოიტანონ გადაწყვეტილება პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადგენილად მიჩნევის შესახებ, რადგან, ჯერ ერთი, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა (და არა – ერთი მტკიცებულება) და, მეორეც, ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ აღიარებითი ჩვენება მოგვიანებით გადათქმულ იქნეს.

მუხლი 20. სისხლის სამართლის პროცესის უშუალობა და ზეპირობა

1. **ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც პროცესს აწარმოებს, ვალდებულია დაკითხოს დაზარალებული და მოწმე, შეისწავლოს და მოისმინოს ექსპერტის დასკვნა, შეამოწმოს ნივთიერი მტკიცებულებები. ამ წესისაგან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში.**
2. **წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს დაკითხული პირი ჩვენებას იძლევა ზეპირად. ჩვენება ოქმში უნდა იქნეს შეტანილი.**
3. **სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იყო სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან, სრულყოფილად შეკრიბონ მტკიცებულებები, მოახდინონ მათი საპ-

როცესო დამაგრება, შემოწმება და შეფასება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სისხლის სამართლის პროცესში მნიშვნელოვანი სახის მტკიცებულებებს წარმოადგენს:

– ექჭვმიტანილის ჩვენება;
– ბრალდებულის ჩვენება;
– განსასჯელის ჩვენება;
– დაზარალებულის ჩვენება;
– მოწმის ჩვენება.

3. წინასწარი გამოძიებისას თუ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დასაკითხი პირი ჩვენებას ზეპირად იძლევა; ჩვენება ოქმში უნდა იქნეს შეტანილი.

4. წინასწარი გამოძიებისას ჩატარებული დაკითხვის მიმდინარეობა და შედეგები აისახება დაკითხვის ოქმში, რომელსაც ადგენს დაკითხვის მწარმოებელი თანამდებობის პირი. ამასთან, დასაკითხს უფლება აქვს, თვითონ დაწეროს ჩვენება, ხოლო ოქმის წაკითხვის შემდეგ დაკითხული პირი ხელის მოწერით ადასტურებს ჩვენების ჩანაწერის სისწორეს, ხელს აწერს ოქმის ბოლოს, ხოლო თუ ჩვენება რამდენიმე გვერდზეა, ხელს აწერს თითოეულ გვერდს.

5. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას, სასამართლო გამოძიების სტადიაზე, პირის დაკითხვის მიმდინარეობა და შედეგები აისახება სასამართლო სხდომის ოქმში, რომელსაც დაკითხული პირი ხელს არ აწერს. თუმცა აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 455-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომის ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ, 5 დღე-ღამის განმავლობაში გააკეთონ შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმზე, რაც უნდა განიხილოს საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ).

6. სისხლის სამართლის პროცესის უშუალობისა და ზეპირობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იყო სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით. აღნიშნული ასევე დაფიქსირებულია „სასამართლო განხილვის შესახებ ზოგადი დებულებანის“ თავში, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლში, რომლის თანახმად, საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევა. ამასთან, სასამართლომ ფაქტების შესახებ ცნობები შეძლებისდაგვარად პირველწყაროდან უნდა მიიღოს. თუმცა შესაძლებელია, დღის წესრიგში დადგეს წინასწარი გამოძიების მასალების სასამართლოში გამოქვეყნების საკითხი, ოღონდ – მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე და 481-ე მუხლების კომენტარები).

7. სასამართლომ სასამართლო სხდომაზე აუცილებლად უნდა გამოიკვლიოს ის მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად უდევს სასამართლო გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ მტკიცებულების სასამართლო განაჩენში ასახვა, რომელიც სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული არ ყოფილა, არღვევს ზემოაღნიშნულ პრინციპს და ეს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განაჩენს. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის თანახმად, სასა-

მართლო არ არის დამოკიდებული მხარეთა პოზიციებზე და შეუძლია, საკუთარი ინიციატივით გამოიკვლიოს (გამოაქვეყნოს) წინასწარი გამოძიების დროს საქმეზე დართული წერილობითი მტკიცებულებები და საგამოძიებო მოქმედებების ოქმები, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 481-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე და 481-ე მუხლების კომენტარები).

8. ამ მუხლის მიზნებისათვის სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობა არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას და იგივე წესი ვრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ იმ შემთხვევებზე, როდესაც სასამართლო სხდომა მიმდინარეობს მხარის მონაწილეობის გარეშე.

მუხლი 21. საპროცესო მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების თავისუფლება

1. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილემ, აგრეთვე სხვა პირმა და ორგანომ კანონით დადგენილი წესით შეიძლება გაასაჩივრონ სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედება და გადაწყვეტილება.

2. ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს საჩივარი გამოიყენოს საჩივრის შემტანი პირის ან იმ პირის საზიანოდ, რომლის ინტერესების დასაცავადაც იგი იყო შეტანილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სხვა პირმა ან ორგანომ შეიტანა საწინააღმდეგო ხასიათის საჩივარი, ანდა საჩივრის შემოწმებისას დადგინდა სხვა გარემოებები.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის პროცესი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილემ, სხვა პირმა თუ ორგანომ გაასაჩივრონ სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის მოქმედება და გადაწყვეტილება. თუმცა აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებას ექვემდებარება არა ყველა გადაწყვეტილება და მოქმედება, არამედ – მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესითა და დადგენილი შემთხვევებით განსაზღვრული მოქმედებები და გადაწყვეტილებები.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, შესაძლებელია გასაჩივრდეს, მაგალითად:

– გამომძიებლის მოქმედებები და გადაწყვეტილებები – პროკურორთან;

– პროკურორის მოქმედებები და გადაწყვეტილებები – ზემდგომ პროკურორთან;

– შუამდგომლობის, საჩივრის, განცხადების დაკმაყოფილებაზე გამომძიებლის, პროკურორის უარი – სასამართლოში (მაგ.: ეჭვმიტანილს უფლება აქვს, დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე მოითხოვოს სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ექსპერტიზის დანიშვნაზე უარი შეიძლება მხოლოდ ერთხელ გასაჩივრდეს გამოძიების ადგილის მიხედვით – რა-

იონულ (საქალაქო) სასამართლოში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი);

– რაიონული სასამართლოს მოსამართლის განაჩენი – სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და ა.შ.

3. შესაბამისი საჩივრის განმხილველ პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს, როგორც წესი, უფლება არა აქვთ, საჩივარი გამოიყენონ საჩივრის შემტანი პირის ან იმ პირის საზიანოდ, რომლის ინტერესების დასაცავადაც იგი იყო შეტანილი. მაგ: სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას უფლება არა აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის თანხა ან მიიღოს განსასჯელისათვის სხვა არასასიკეთო გადაწყვეტილება, თუ საქმის გადასინჯვა ხდება მხოლოდ განსასჯელის, დამცველის, განსასჯელის კანონიერი წარმომადგენლის, სამოქალაქო მოპასუხის ან მისი წარმომადგენლის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 540-ე მუხლის პირველი ნაწილი).

4. ზემოაღნიშნულ საერთო წესს აქვს გამონაკლისი, როდესაც საჩივრის განმხილველ პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს უფლება აქვთ, დაამძიმონ საჩივრის შემტანი პირის სამართლებრივი მდგომარეობა, თუმცა – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირმა ან ორგანომ შეიტანა საწინააღმდეგო ხასიათის საჩივარი. მაგ: სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას უფლება აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებული განაჩენი, გამოიყენოს სისხლის სამართლის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის გამო გადასახდელის თანხა ან სხვა გზით გააუარესოს განსასჯელის მდგომარეობა, თუ პროკურორმა, დაზარალებულმა, ბრალდების მხარის წარმომადგენელმა პროცესის სხვა მონაწილემ შეიტანეს სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მათ ასეთი პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამასთან, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს, გასცდეს ბრალდების ფარგლებს, რომელიც განსასჯელს წაუყენეს წინასწარი გამოძიების დროს და რომელსაც მხარი დაუჭირეს პირველი ინსტანციის სასამართლოში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 540-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

5. სადავოა მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადება, რომლის თანახმად, პროცესის მწარმოებელ ორგანოს უფლება აქვს, საჩივარი გამოიყენოს საჩივრის შემტანი პირის ან იმ პირის საზიანოდ, რომლის ინტერესების დასაცავადაც იგი იყო შეტანილი, თუ საჩივრის შემოწმებისას დადგინდა სხვა გარემოებები. აღნიშნული ნორმა შეუსაბამოა, მაგალითად, იმავე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 540-ე მუხლის პირველ ნაწილთან, რომლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას უფლება არა აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის თანხა ან მიიღოს განსასჯელისათვის სხვა არასასიკეთო გადაწყვეტილება, თუ საქმის გადასინჯვა ხდება განსასჯელის, დამცველის, განსასჯელის კანონიერი წარმომადგენლის, სამოქალაქო მოპასუხის ან მისი წარმომადგენლის საჩივრის საფუძველზე (რაც უნდა სხვა, მისთვის არასასურველი გარემოებები დადგინდეს საჩივრის შემოწმებისას) და საჩივარი არ შეუტანიათ პროკურორს, დაზარალებულს ან ბრალდების მხარის წარმომადგენელ პროცესის სხვა მონაწილეს.

თავი III
სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და სახეები

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

მუხლი 22. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი ვალდებულია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ საამისოდ არსებობს საკმარისი საფუძველი.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 43[1] ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონებით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების უზრუნველყოფა.

2. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლებამოსილება გააჩნია პროკურორს დამოუკიდებლად, ზემდგომი პროკურორის თანხმობის გარეშე.

3. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლებამოსილება გააჩნია ასევე გამომძიებელს, თუმცა მას დამოუკიდებლად აღნიშნული კომპეტენცია არ გააჩნია და მისთვის საამისოდ აუცილებელია პროკურორის თანხმობა.

4. განსხვავებული წესებია დადგენილი კერძო-საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 23. სისხლისსამართლებრივი დევნის სახეები

სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება იყოს საჯარო, სუბსიდიური, კერძო-საჯარო და კერძო.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შემდეგ სახეებს:

– საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის კომენტარები);

– სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის კომენტარები);

– კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის კომენტარები);

– კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 24. საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა

1. **საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე.**
2. **საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ პროკურორი და გამომძიებელი.**
3. **საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურორი და გამომძიებელი შებოჭილნი არ არიან დაზარალებულისა და სხვა პირთა პოზიციით.**
4. **(ამოღებულია).**
5. **ბრალდების წარდგენისათვის საკმარის მტკიცებულებათა შეკრების შემდეგ გამომძიებელს პროკურორის თანხმობით ან პროკურორს გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.**

5[1]. **ბრალდების წარდგენისათვის საკმარის მტკიცებულებათა შეკრების შემდეგ, თუ გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით ან პროკურორი არ გამოიტანს დადგენილებას პირის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, დაზარალებულს, მის წარმომადგენელს, სამოქალაქო მოსარჩელეს, აგრეთვე იმ პირს, რომლის მიმართაც ხდება მტკიცებულებათა შეკრება, უფლება აქვს ამ კოდექსით დადგენილი წესით ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შეიტანოს საჩივარი და მოითხოვოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.**

5[2]. **ბრალდებულს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვს ამ კოდექსით დადგენილი წესით ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შეიტანოს საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე. საჩივრის დაკმაყოფილება წარმოადგენს ამ პირის მიმართ ამ კონკრეტულ ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველს, რომლებიც მოპოვებულ იქნა წინასწარი გამოძიების დროს მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი.**

5[3]. **ამ მუხლის 5[1] და 5[2] ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში რაიონული (საქალაქო) სასამართლო საჩივარს იხილავს ამ კოდექსის 242-ე მუხლით**

განსაზღვრული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ან საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

6. პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 48 საათისა, ხოლო დანიშნულ დროს ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში – მისი მიყვანისთანავე, გამომძიებელი ამ დადგენილებას წარუდგენს ბრალდებულს. გამომძიებელი უფლებამოსილია დაკითხოს ბრალდებული წაყენებული ბრალდების გამო ამ კოდექსის 311-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაკითხვაში მონაწილეობის უფლება აქვთ პროკურორსა და დამცველს. პირისათვის ბრალდების წარდგენისა და მისი ბრალდებულის სახით დაკითხვის ამ ნაწილით დადგენილი წესი არ გამოიყენება, თუ ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას.
7. წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ პროკურორი, თუ არსებობს საამისო საფუძველი, ადგენს საბრალდებო დასკვნას და მის ასლს გადასცემს ბრალდებულს. თუ ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, საბრალდებო დასკვნის ასლი გადაეცემა მის დამცველს.
8. პროკურორის მიერ ბრალდების შეცვლა და ბრალდებაზე უარის თქმა სავალდებულოა გამომძიებლისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამომძიებელს უფლება აქვს ამ საკითხის გადასაწყვეტად მიმართოს ზემდგომ პროკურორს (58-ე მუხლი). თუ პროკურორი სასამართლოში უარს იტყვის ბრალდებაზე, სასამართლო ვალდებულია შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე ან გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი. სასამართლოში ბრალდების შეცვლისას პროკურორი ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს ბრალდების ახალი წერილობითი ფორმულირება.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხ.63; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხ.213; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2359 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.375; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2356 – სსმ I, 2005 წ., №57, მუხ.440)

1. საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება როგორც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის, ისე – მძიმე დანაშაულისა და ნაკლებად მძიმე დანაშაულის საქმეებზე, ანუ ფაქტობრივად ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილებას ანიჭებს მხოლოდ პროკურორსა და გამომძიებელს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, თუ პროკურორი ფაქტობრივად ყველა შემთხვევაში საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას დამოუკიდებლად ახორციელებს, მისგან განსხვავებით, გამომძიებელი შეზღუდულია პროკურორის მიერ განხორციელებული წინასწარი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობით და იგი უმეტეს შემთხვევაში საჭიროებს პროკურორის სავალდებულო თანხმობას, ზოგიერთ უფლებამოსილებას კი საერთოდ ვერ ახორციელებს. მაგ.: გამომძიებლის მიერ გამოტანილ პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებას აუცილებლად სჭირდება პროკურორის თანხმობა, ხოლო საბრალდებო დასკვნის შედგენის უფლება გამომძიებელს საერთოდ არ გააჩნია.

3. საჯარო სისხლისსასამართლებრივი დევნის განხორციელების სპეციფიკური ხასიათი გამოიხატება იმაში, რომ ამ დროს დაზარალებულისა თუ პროცესის სხვა მონაწილის პოზიციას სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ სტადიაზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებასთან მიმართებით მნიშვნელობა არ ენიჭება. მაგ.:

– თუ კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე ან გამონაკლის შემთხვევებში – მისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს ასევე სხვა პირის ან ორგანოს მიერ გამომძიებლის ან პროკურორისათვის მიწოდებული დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების საფუძველზე;

– თუ ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც წესი, წყდება, საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა დაზარალებულის ბრალდებულთან (განსასჯელთან) შერიგების გამო, როგორც წესი, არ წყდება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის კომენტარები).

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ პროკურორი და გამომძიებელი საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას დაზარალებულის, პროცესის სხვა მონაწილისა თუ სხვა პირთა პოზიციით შეზღუდულები არ არიან.

5. პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება პროკურორს ან გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით, გამოაქვს მას შემდეგ, რაც შეიქმნება ბრალდების წაყენების საფუძვლები, ანუ სისხლის სამართლის საქმეზე შეიკრიბება მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული.

6. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონით კანონმდებელმა გააუქმა რა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ინსტიტუტი და შესაბამისად, ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნა წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, იმავდროულად შექმნა მექანიზმები, რათა სისხლისსამართლებრივი დევნა უსაფუძვლოდ არ გაჭიანურდეს.

7. ამ კატეგორიის საჩივრების ერთ-ერთი სახეა საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნის შესახებ.

8. აღნიშნული საჩივრის შეტანის საფუძველს წარმოადგენს პროკურორის მიერ ან პროკურორის თანხმობით, გამომძიებლის მიერ პირის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოუტანლობა, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილია ბრალდების წარდგენისათვის საკმარისი მტკიცებულებები.

9. აღსანიშნავია, რომ ბრალდების წარდგენისათვის მტკიცებულებების საკმარისობის დადგენა შეფასებითი კატეგორიაა და ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საჩივრის განმხილველი პირის, ორგანოს პოზიციას.

10. საჩივრის შეტანის უფლებამოსილება გააჩნიათ:

– დაზარალებულს;

– დაზარალებულის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოსარჩელეს;

– იმ პირს, რომლის მიმართაც ხდება მტკიცებულებათა შეკრება.

11. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მინიჭება იმ პირისათვის, რომლის მიმართაც ხდება მტკიცებულებათა შეკრება. ერთი მხრივ, შესაძლებელია ითქვას, რომ აღნიშნული არარეალურია, რადგან არავინ მოითხოვს საკუთარი თავის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, თუმცა, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია შემდეგი: შესაძლებელია, პირისათვის ცნობილი გახდეს, რომ მის მიმართ ხდება მტკიცებულებათა შეკრება, მაგრამ იგი ფაქტობრივად ვერ იცავს თავის უფლებებს, ვინაიდან ის არ არის პროცესის მონაწილე. ამდენად, დაიწყება რა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და გახდება ბრალდებული, ის ისარგებლებს პროცესის მონაწილის – ბრალდებულის უფლებებით და სრულყოფილად დაიცავს თავს.

12. ამასთან, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საჩივრის შეტანის უფლებამოსილება ე.წ. „პოტენციურ, მომავალ“ დაზარალებულს არ გააჩნია, ანუ თუ პირი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე არ არის ცნობილი დაზარალებულად, მას საჩივრის შეტანის კომპეტენცია არ გააჩნია. მის მიერ შეტანილი საჩივარი უნდა ჩაითვალოს არაუფლებამოსილი პირის საჩივრად და, შესაბამისად, არ უნდა იქნეს განხილული.

13. საჩივრის შეტანის ვადა ამ ნორმით დადგენილი არ არის, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლე საჩივარს იხილავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლით განსაზღვრული წესით, შესაძლებელია, სასამართლოში საჩივრის შეტანის ვადად ჩაითვალოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული 15-დღიანი ვადა, მას შემდეგ, რაც მომჩივნისათვის ცნობილი გახდა ის მოქმედება თუ გადაწყვეტილება, რაც მას უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მიაჩნია.

14. საჩივარი შეიტანება:

– ზემდგომ პროკურორთან ან

– გამოძიების ადგილის მიხედვით – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

15. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მას შემდეგ, რაც ეს საჩივარი უარყო პროკურორმა, ანდა იგი შეიძლება შეტანილ იქნეს უშუალოდ პირდაპირ სასამართლოში.

16. საჩივარს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე იხილავს 15 დღის ვადაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის კომენტარები).

17. საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, თუმცა, ბუნებრივია, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ რომც დააკმაყოფილოს საჩივარი, იგი თვითონ ვერ დაიწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას, რადგან მას აღნიშნული უფლებამოსილება არ გააჩნია. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს პროკურორმა ან გამომძიებელმა, პროკურორის თანხმობით.

18. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დადგენილება საჩივართან დაკავშირებით შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომლის მოსამართლე საჩივარს იხილავს 15 დღის ვადაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის კომენტარები).

19. ამ კატეგორიის საჩივრების ერთ-ერთი სახეა საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების შესახებ.

20. აღნიშნული საჩივრის შეტანის საფუძველს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურება, რაც გულისხმობს იმას, რომ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე გაცილებით ადრე სისხლის სამართლის საქმეში არსებობდა შესაბამისი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნულის დადგენა შეფასებითი კატეგორიაა და ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საჩივრის განმხილველი პირის, ორგანოს პოზიციას.

21. საჩივრის შეტანის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ ბრალდებულს, ანუ იმ პირს, ვის მიმართაც გამოტანილია დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის თაობაზე.

22. საჩივრის შეტანისათვის განსაზღვრულია 10-დღიანი ვადა, მას შემდეგ, რაც ბრალდებულს გადაეცა დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის თაობაზე.

23. საჩივარი შეიტანება:

– ზემდგომ პროკურორთან ან

– გამოძიების ადგილის მიხედვით – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

24. ამასთან, საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მას შემდეგ, რაც ეს საჩივარი უარყო პროკურორმა, ანდა იგი შეიტანება უშუალოდ პირდაპირ სასამართლოში.

25. საჩივარს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე იხილავს 15 დღის ვადაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის კომენტარები).

26. საჩივრის დაკმაყოფილება იწვევს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას. ამასთან, საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი სისხლის სამართლის საქმეში არსებული არა ყველა მტკიცებულება, არამედ – მხოლოდ

ამ პირის მიმართ ამ კონკრეტულ ბრალდებასთან დაკავშირებული ყველა ის მტკიცებულება, რაც მოპოვებულ იქნა წინასწარი გამოძიების დროს მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი.

27. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დადგენილება საჩივართან დაკავშირებით შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომლის მოსამართლე საჩივარს იხილავს 15 დღის ვადაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის კომენტარები).

28. პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გამომძიებელი ან პროკურორი განსაზღვრავს ბრალდების წაყენების ადგილსა და დროს. ბრალდება წაყენებულ უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 48 საათში, ხოლო დანიშნულ დროს ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში – მისი მიყვანიდან არა უგვიანეს 24 საათში. თუ პირი ეჭვმიტანილის სახით იყო დაკავებული, დაკავების შესახებ ოქმის შედგენიდან არა უგვიანეს 48 საათში გამოტანილ უნდა იქნეს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ და წაეყენოს ბრალდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამომძიებელი უფლებამოსილია (ანუ ვალდებული არ არის), დაკითხოს ბრალდებული წაყენებული ბრალდების გამო. დაკითხვაში მონაწილეობის უფლება აქვს დამცველს, ასევე – პროკურორს, თუ მას ეს საჭიროდ მიაჩნია, ხოლო არასრულწლოვნების, ყრუ-მუნჯთა, სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირთა საქმეებზე, აგრეთვე იმ პირთა საქმეებზე, რომელთაც შეიძლება დაენიშნოთ უვადო თავისუფლების აღკვეთა, ასევე, თუ ბრალდებული ან მისი წარმომადგენელი შუამდგომლობენ, პროკურორის მონაწილეობა დაკითხვაში სავალდებულოა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე, 284-ე, 311-ე მუხლების კომენტარები).

29. პირისათვის ბრალდების წარდგენისა და მისი ბრალდებულის სახით დაკითხვის ზემოაღნიშნული წესი არ გამოიყენება, თუ ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის კომენტარები).

30. წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ გამომძიებელი სისხლის სამართლის საქმეს, საბრალდებო დასკვნის შედგენის მიზნით, უგზავნის პროკურორს, რომელიც ვალდებულია, 5 დღე-ღამის ვადაში განიხილოს შესული სისხლის სამართლის საქმე და თუ არსებობს საამისო საფუძველი, შეადგინოს საბრალდებო დასკვნა, ხოლო მისი ასლი გადასცეს ბრალდებულს.

31. განსხვავებული წესია დადგენილი იმ დროს, როდესაც ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას. ამ შემთხვევაში საბრალდებო დასკვნის ასლი გადაეცემა მის დამცველს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის კომენტარები).

32. საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურორი ვალდებულია, დასაბუთებული უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულებები არ ადასტურებენ ბრალდებას. ამასთან, პროკურორის მიერ ბრალდების შეცვლა და ბრალდებაზე უარის თქმა სავალდებულოა გამომძიებლისათვის.

33. ამ წესიდან გამონაკლისია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევა, როდესაც, თუ გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებებს ბრალდების მოცულობის, ქმედების კვალიფიკაციის შესახებ, მას უფლება აქვს, სისხლის სამართლის საქმე და თავისი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს, რომელიც ან აუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებებს ან გამოძიებას სხვა გამომძიებელს ავალებს. ამასთან, ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხებზე საბოლოოა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლის კომენტარები).

34. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას თუ პროკურორი უარს იტყვის ბრალდებაზე, სასამართლო, როგორც წესი, ვალდებულია, შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე ან გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის კომენტარები).

35. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას პროკურორის მიერ განსასჯელის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის ან ბრალდების მოხსნის თაობაზე აუცილებელია ზემდგომი პროკურორის თანხმობა. კანონმდებელი ზემდგომი პროკურორის წერილობითი თანხმობის სავალდებულობაზე არ უთითებს. შესაძლებელია, ეს თანხმობა არ იყოს წერილობითი და სხდომაზე გამომსვლელმა პროკურორმა დაადასტუროს ზემდგომი პროკურორის თანხმობის არსებობა, რაც უნდა შევიდეს სასამართლო სხდომის ოქმში, მაგრამ მიზანშეწონილია, ყოველგვარი შესაძლო გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ზემდგომი პროკურორის თანხმობა იყოს წერილობითი, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლოში ბრალდების შეცვლისას პროკურორი ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს ბრალდების ახალი წერილობითი ფორმულირება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 446-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 25. სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა

1. **დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს უფლება აქვთ მხარი დაუჭირონ პროკურორის მიერ ფორმულირებულ სახელმწიფო ბრალდებას.**
2. **თუ პროკურორი უარს იტყვის ბრალდებაზე ან შეცვლის ბრალდებას, დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს სასამართლოში მხარი დაუჭიროს წინანდელ ბრალდებას. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ წყდება, ხოლო პროკურორს უფლება აქვს არ მიიღოს მონაწილეობა საქმის შემდგომ განხილვაში.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს სისხლისსამართლებრივი დევნის ისეთ სახეს, როგორიცაა სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა. აღნიშნული

რაიმე სპეციფიკური სახის სისხლისსამართლებრივ დევნას არ წარმოადგენს. საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნისა და კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, თუ დაზარალებული და მისი წარმომადგენელი მხარს დაუჭერენ პროკურორის მიერ ფორმულირებულ სახელმწიფო ბრალდებას, შესაბამისად, განხორციელდება სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა.

2. სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის დაზარალებულის წარმომადგენლის არსებობა და მის მიერ, შესაბამისად, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა სავალდებულო არ არის. სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის სრულებით საკმარისია მხოლოდ დაზარალებულის მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.

3. სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება მხოლოდ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას (იგულისხმება როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, ისე – სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოები). სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა წინასწარი გამოძიების სტადიაზე არ მიმდინარეობს, რადგანაც სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა გამოიხატება დაზარალებულისა და მისი წარმომადგენლის მხრიდან პროკურორის მიერ ფორმულირებული სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაში, სახელმწიფო ბრალდება კი არსებობს მხოლოდ სასამართლოში და არა – წინასწარი გამოძიების სტადიაზე.

4. სასამართლო სხდომის მოსამზადებელ სტადიაზე, სასამართლო სხდომაში დაზარალებულის მონაწილეობის საკითხის გარკვევისა და მისთვის მისი უფლება-მოვალეობების განმარტების დროს, სასამართლომ, როგორც წესი, ასევე უნდა გაარკვიოს დაზარალებულისა და მისი წარმომადგენლის პოზიცია, სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებით.

5. სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს არა აქვთ უფლება, გასცდნენ პროკურორის მიერ ფორმულირებულ სახელმწიფო ბრალდების ფარგლებს.

6. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების მოხსნის შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, წყვეტს სისხლის სამართლის საქმეს ან გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. თუმცა, თუ სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურორი უარს იტყვის ბრალდებაზე ან შეცვლის ბრალდებას, დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს, სასამართლოში მხარი დაუჭიროს წინა ბრალდებას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ წყდება და სისხლის სამართლის საქმის განხილვა სასამართლოში გრძელდება, სადაც ბრალმდებელად გამოდის დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი, ხოლო პროკურორს უფლება აქვს, საქმის შემდგომ განხილვაში მონაწილეობა არ მიიღოს, რადგანაც მან სახელმწიფო ბრალდებასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია უკვე დააფიქსირა.

მუხლი 26. კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა

1. **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, 138-ე მუხლის პირველი ნაწილით, 139-ე, 153-ე, 157-ე, 167-ე, 175-ე,**

189-ე და 189[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო არ წყდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს.

2. **თუ საქმეს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე დანაშაულის შესახებ განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ამასთანავე, დაზარალებულს უმწეო მდგომარეობის ან ბრალდებულზე დამოკიდებულების გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, პროკურორს უფლება აქვს დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუნდაც არ არსებობდეს დაზარალებულის საჩივარი, ოღონდ იმ პირობით, რომ ქმედუნარიან დაზარალებულს ამაზე წერილობითი თანხმობა აქვს მიცემული.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, მუხ.19; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2006 წლის 11 აპრილის კანონი №2835 – სსმ I, 2006 წ., №11, მუხ.76)

1. სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთი სახეა კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა. აღნიშნული სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციფიკურობა იმაში გამოიხატება, რომ ამ დროს საჯარო ინტერესების პარალელურად ფიგურირებს კერძო ინტერესები, ანუ დაზარალებულის პოზიცია.

2. კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში:

– გაუპატიურება (სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილი);

– სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება (სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის პირველი ნაწილი);

– სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება (სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი);

– სიტყვის თავისუფლების ხელყოფა (სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლი);

– პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა (სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი);

– ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა (სისხლის სამართლის კოდექსის 167-ე მუხლი);

– შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება (სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლი);

– საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა (სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი);

– სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფა (სისხლის სამართლის კოდექსის 189[1] მუხლი).

3. კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც წესი, იწყება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე.

4. ამ წესიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს გამონაკლისს, როდესაც კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს დაზარალებულის საჩივრის არარსებობის დროსაც, ოღონდ არა ყველა შემთხვევაში, კერძოდ, ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და იმავდროულად დაზარალებულს, უმწეო მდგომარეობის ან ბრალდებულზე დამოკიდებულების გამო, არ შეუძლია, დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განმარტავს ფრაზას: „საქმის განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა“. აღნიშნული კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასონ პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა.

6. ამ გამონაკლის შემთხვევაში დაზარალებულის პოზიციის წინასწარ დაფიქსირება მაინც აუცილებელია, ანუ კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ამ შემთხვევაში დაიწყება, თუ ქმედუნარიან დაზარალებულს ამაზე წერილობითი თანხმობა აქვს მიცემული.

7. ამ გამონაკლის შემთხვევაში კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს.

8. მიუხედავად იმისა, რომ კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას კერძო ინტერესებიც ფიგურირებს, მაინც კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო, როგორც წესი, არ წყდება.

9. კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო წყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც ბრალდებულს, ისე – დაზარალებულს. მაგ.: სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე გაუპატიურების ფაქტზე (დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით). გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დაზარალებულმა და ბრალდებულმა ოჯახი შექმნეს და, შესაბამისად, შერიგდნენ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელება როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს ზიანს მიაყენებს, რის გამოც იგი უნდა შეწყდეს.

10. მხარეთა შერიგება დასაშვებია მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე, როგორც პირველი ინსტანციის, ისე – სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში.

მუხლი 27. კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე და 125-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და უნდა შეწყდეს ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო.

2. **შერიგება დასაშვებია სასამართლოს (მოსამართლის) სათათბირო ოთახში გასვლამდე, მათ შორის, სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას.**
3. **შერიგების შემთხვევაში მხარეები უნდა მორიგდნენ სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაზე. თუ მორიგება ვერ ხერხდება, ხარჯებს სასამართლო ანაწილებს.**
4. **პროკურორი უფლებამოსილია სასამართლო გამოძიების დაწყებამდე ჩაებას კერძო ბრალდების საქმეში, თუ ამას წერილობით მოითხოვენ მხარეები ანდა მოითხოვს მხოლოდ დაზარალებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი. პროკურორი უფლებამოსილია ჩაებას აღნიშნული კატეგორიის საქმეში, თუ ამ უკანასკნელს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეიძლება შეწყდეს მხარეთა შერიგებით.**
5. **თუ კერძო ბრალდების საქმეზე მხარეები ერთმანეთს ბრალდებებს უყენებენ, მოსამართლე თავისი დადგენილებით დაზარალებულს ცნობს ბრალდებულადაც, ხოლო ბრალდებულს – დაზარალებულადაც.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, მუხ.19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის (კერძო ბრალდების საქმეთა წარმოებისათვის) საერთო წესებთან ერთად ადგენს განსაკუთრებულ წესებს და, შესაბამისად, მას ცალკე თავს უთმობს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის LXIIL თავის კომენტარები).

2. კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციფიკურობა არის ის, რომ ამ დროს, როგორც წესი, ფიგურირებს მხოლოდ კერძო ინტერესები, ანუ დაზარალებულის პოზიცია.

3. კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ორი სახის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში:

– ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლი);

– ცემა (სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლი).

4. კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე.

5. კერძო ინტერესების გათვალისწინებით, კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა, ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო, როგორც წესი, წყდება. ამასთან, მხარეთა შერიგება დასაშვებია მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე, რო-

გორც პირველი ინსტანციის, ისე – სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში. შერიგებისას მხარეები ასევე უნდა მორიგდნენ სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაზე, ხოლო თუ მხარეები ამის თაობაზე ვერ მორიგდებიან, მაშინ ხარჯებს მათზე სასამართლო გადაანაწილებს.

6. ამ კატეგორიის საქმეების უმრავლეს შემთხვევაში მხარეები ერთმანეთს ბრალდებებს უყენებენ (განსაკუთრებით ეს ეხება ცემის ფაქტებს – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით). ამ შემთხვევაში მოსამართლემ დაზარალებული დადგენილებით უნდა ცნოს ასევე ბრალდებულად, ხოლო ბრალდებული – ასევე დაზარალებულად.

7. მიუხედავად იმისა, რომ კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას მხოლოდ კერძო ინტერესები ფიგურირებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს კერძო ბრალდების საქმეში პროკურორის (საჯარო პირის) ჩაბმის შესაძლებლობას. აღნიშნული შესაძლებელია სამ შემთხვევაში:

– თუ ამას წერილობით ითხოვენ მხარეები;

– თუ ამას წერილობით ითხოვს მხოლოდ დაზარალებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი;

– თუ საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

8. ამასთან, აღნიშნული წარმოადგენს პროკურორის უფლებამოსილებას და არა – ვალდებულებას.

9. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში პროკურორი უფლებამოსილია, ჩაებას კერძო ბრალდების საქმეში მხოლოდ სასამართლო გამოძიების სტადიამდე.

10. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განმარტავს ფრაზას: „საქმის განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა“. აღნიშნული, კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასონ პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა.

11. თუ პროკურორი კერძო ბრალდების საქმეში ჩაებმება იმ საფუძვლით, რომ საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ამ შემთხვევაში კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა, მხარეთა შერიგების გამო, არ შეიძლება შეწყდეს, რაც, ზოგადად, კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის არსთან შეუსაბამოა.

მუხლი 28. სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები

1. სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს:

ა) თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

ბ) თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო;

გ) თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას;

დ) თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი;

ე) თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;

ვ) თუ გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

ზ) თუ არ არსებობს დაზარალებულის საჩივარი კერძო-საჯარო და კერძო ბრალდების საქმეთა გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ საქმეთა გამო სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს პროკურორი (ამ კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილი);

თ) თუ დაზარალებული შეურიგდა ბრალდებულს კერძო ბრალდების საქმეთა გამო, გარდა ამ კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 27-ე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული შემთხვევებისა, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე და 89[1] მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ი) თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ანდა სასამართლოს (მოსამართლის) განჩინება (დადგენილება) იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე;

კ) თუ არსებობს სასამართლოს ან პროკურორის დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ;

ლ) თუ ვითარების შეცვლის შედეგად ქმედება აღარ არის საშიში;

მ) თუ პროკურორი და დაზარალებული უარს იტყვიან ბრალდებაზე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

ნ) ამ კოდექსის 679[1] მუხლის მე-5 ნაწილით და 679[8] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ო) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი);

პ) ქმედითი მონანიების გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე და 322-ე მუხლები) და იმავე კოდექსის 203-ე, 221-ე, 223-ე, 236-ე, 260-ე, 323-ე, 339-ე, 370-ე, 371-ე, 375-ე, 388-ე და 389-ე მუხლების შენიშვნებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ჟ) მსჯავრდებული შეწყალებულია.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, სისხლისსამართლებრივი დევნა აგრეთვე არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული უნდა შეწყდეს, თუ:

ა) პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე–38-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) გარდაიცვალა ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმის წარმოება საჭიროა გარდაცვლილის რეაბილიტაციისა და ახლად გამოვლენილ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გამოძიების წარმართვისათვის;

გ) გასულია ამ კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვადა.

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით ან 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებები ჩადენილია პირის მიერ საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 ან/და 143^2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა აგრეთვე უნდა შეწყდეს ბრალდების იმ ნაწილში, რომლისთვისაც იგი არ ყოფილა გადმოცემული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ წინასწარი გამოძიების დროს გადაწყვეტილებას დასაბუთებული დადგენილებით ან განჩინებით იღებს პროკურორი ან სასამართლო (მოსამართლე).
4. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული გარემოებები გამოვლინდება სასამართლო განხილვის სტადიაზე, სასამართლო ამთავრებს საქმის განხილვას და გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. იგივე წესი გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე–38-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
5. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „პ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული გარემოებები გამოვლინდება სასამართლო განხილვის სტადიაზე, სასამართლო ამთავრებს საქმის განხილვას და გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, ამასთანავე, განსასჯელს ათავისუფლებს სასჯელის მოხდისაგან.
6. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „ე“, „ვ“, „ლ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა დაუშვებელია, თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება გრძელდება ჩვეულებრივი წესით და მთავრდება გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენითა და განსასჯელის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებით.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, მუხ.19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხ.75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი №333 – სსმ I, 2000 წ., №20, მუხ.51; საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2454 – სსმ I, 2003 წ., №21, მუხ.148; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხ.213; საქართველოს 2006 წლის 20 ივნისის კანონი №3310 – სსმ I, 2006 წ., №25, მუხ.197)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების საფუძვლებს, ისე – დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლებს.

2. აღნიშნული საფუძვლები განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლით, თუმცა ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და ზოგ შემთხ-

ვევებში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის სხვა დამატებით საფუძვლებსაც. მაგ.: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 638-ე მუხლით დადგენილია კერძო ბრალდების დროს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დამატებითი საფუძვლები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 638-ე მუხლის კომენტარები).

3. სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებისა და დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლებია:

– სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობა;

– ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობა, ანუ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი;

– ახალი კანონით ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმება. მაგ.: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლი ამოღებულია, ანუ საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა დანაშაულს აღარ წარმოადგენს და, შესაბამისად, ამ კატეგორიის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს;

– კანონის, რომელსაც ემყარება ბრალდება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა:

ა) ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ) ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

დ) თხუთმეტი წელი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე—342[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს;

ე) ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან);

– ამნისტიის აქტის გამოცემა, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან. მაგ.: „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2000 წლის 28 დეკემბრის კანონის შესაბამისად, არაღძვრასა და შეწყვეტას დაექვემდებარა სისხლის სამართლის საქმეები იმ დანაშაულების ჩადენის ფაქტებზე, რაც გათვალისწინებული იყო 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე, 81[1] მუხლებით, 261-ე, 262-ე მუხლებითა და მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე, 388-ე, 389-ე მუხლებით;

– დაზარალებულის საჩივრის არარსებობა კერძო-საჯარო და კერძო ბრალდების საქმეთა გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ საქმეთა გამო სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს პროკურორი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ამასთან, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითება სადავოა, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, პროკურორი უფლებამოსილია, ჩაებას დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე უკვე დაწყებულ კერძო ბრალდების საქმეში და მას დაზარალებულის საჩივრის გარეშე კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლებამოსილება არ გააჩნია (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის კომენტარები);

– დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგება კერძო ბრალდების საქმეთა გამო, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 27-ე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული შემთხვევებისა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 26-ე, 27-ე მუხლების კომენტარები);

– დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ანუ ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ შეურიგდა დაზარალებულს;

– დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 89^1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ანუ არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ შეურიგდა დაზარალებულს;

– იმავე ბრალდების გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობა;

– იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს (მოსამართლის) განჩინების (დადგენილების) არსებობა;

– სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს, პროკურორის დადგენილების (განჩინების) არსებობა;

– ვითარების შეცვლის შედეგად ქმედების საშიშროების არარსებობა;

– პროკურორის, დაზარალებულის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე, 25-ე მუხლების კომენტარები);

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679^1 მუხლის მე-5 ნაწილითა და 679^8 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების არსებობა, ანუ საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის $LXIV^1$ კომენტარები);

– დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის შესაბამისად);

– ქმედითი მონანიება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად);

– სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ქმედითი მონანიება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322-ე მუხლის შესაბამისად);

– სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლების შენიშვნებით გათვალისწინებული შემთხვევების არსებობა:

ა) პროფესიული სპორტული შეჯიბრის, ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზაციის მოსყიდვა – სისხლის სამართლის კოდექსის 203-ე მუხლი;

ბ) კომერციული მოსყიდვა – სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლი;

გ) უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა – სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლი;

დ) ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება – სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი;

ე) ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება – სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი;

ვ) ტერორისტული აქტი – სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლი;

ზ) ქრთამის მიცემა – სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლი;

თ) ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი – სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლი;

ი) მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა – სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლი;

კ) დანაშაულის დაფარვა – სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლი;

ლ) სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება – სისხლის სამართლის კოდექსის 388-ე მუხლი;

მ) დეზერტირობა – სისხლის სამართლის კოდექსის 389-ე მუხლი;

– საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულის შეწყალება.

4. სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებისა და დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლებია, აგრეთვე:

– პირის მიერ იმ ასაკისათვის მიუღწევლობა, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

– სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობა (ანუ შეცდომა – სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლი);

– სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობა (ანუ ბრძანების ან განკარგულების შესრულება – სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლი);

– სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობა (ანუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს – სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი);

– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირის გარდაცვალება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმის წარმოება საჭიროა გარდაცვლილის რეაბილიტაციისა და ახლად გამოვლენილ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. თუმცა აღსანიშნავია, რომ, თუ ეს საფუძველი გამოვლინდება (ანუ განსასჯელი გარდაიცვალა) რაიონულ (საქალაქო) სასამართლოსა ან სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, სასამართლო კი არ წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას (სისხლის

სამართლის საქმის წარმოებას), არამედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 503-ე მუხლის კომენტარები);

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული, დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევის გამო პირის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის არა უმეტეს 12 თვიანი ვადის გასვლა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის კომენტარები);

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) გათვალისწინებული ქმედების პირის მიერ ჩადენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 მუხლით (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) ან/და 143^2 მუხლით (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) გათვალისწინებული ქმედების პირის მიერ ჩადენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 მუხლით (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) ან/და 143^2 მუხლით (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა აგრეთვე უნდა შეწყდეს ბრალდების იმ ნაწილში, რომლისთვისაც იგი არ ყოფილა გადმოცემული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXXII თავის კომენტარები).

6. თუ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობა და ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობა გამოვლინდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოსა ან სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, სასამართლო კი არ წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას (სისხლის სამართლის საქმის წარმოებას), არამედ გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი.

7. სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს ასევე გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი (და არ წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას (სისხლის სამართლის საქმის წარმოებას)), თუ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოსა ან სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოვლინდება შემდეგი საფუძვლები:

– შეცდომა (სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლი);

– ბრძანების ან განკარგულების შესრულება (სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლი);

– სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს (სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი).

8. თუ ამნისტიის აქტის გამოცემა და ქმედითი მონანიება გამოვლინდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოსა ან სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-

თა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, სასამართლო კი არ წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას (სისხლის სამართლის საქმის წარმოებას), არამედ გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით.

9. თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია (შესაძლებელია, მას სურს მარეაბილიტირებელი საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ან გამამართლებელი განაჩენი), სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა შემდეგი საფუძვლებით დაუშვებელია:

– ახალი კანონით ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმება;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა;

– ამნისტიის აქტის გამოცემა;

– ვითარების შეცვლის შედეგად ქმედების საშიშროების არარსებობა;

– დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება;

– ქმედითი მონანიება.

10. ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება გრძელდება ჩვეულებრივი წესით და მთავრდება ან სასამართლოს გამამართლებელი განაჩენით, ანდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით. ამასთან, გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით გამოიტანება იმიტომ, რომ, მართალია, პირის გამართლება არ მოხდა, მაგრამ იგი სასჯელის მოხდისაგან უნდა გათავისუფლდეს, რადგან არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ზემოაღნიშნული საფუძვლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა იმ საფუძველთან მიმართებით, რასაც გულისხმობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა, რადგან სასამართლოს ამ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 503-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 29. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძვლები და ვადები

1. სისხლისსამართლებრივი დევნა ჩერდება:

ა) თუ ბრალდებული მიიმალა – მის მოძებნამდე;

ბ) თუ უცნობია ბრალდებულის ადგილსამყოფელი – ამ გარემოების დადგენიდან ბრალდებულის მოძებნამდე;

გ) თუ ბრალდებული მძიმე ავადმყოფობით დაავადდა, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით – დაუყოვნებლივ ამ ფაქტის დადგენიდან ბრალდებულის გამოჯანმრთელებამდე, ხოლო თუ ბრალდებული ფსიქიკურად დაავადდა, რაც დადასტურებულია სა-

ხელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, და მის მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახით გამოყენებულია იძულებითი მკურნალობა – ბრალდებულის გამოჯანმრთელებამდე;

დ) თუ სასამართლომ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე – მიმართვის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე;

ე) თუ დაისვა საკითხი პირისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის ან პირის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ – საკითხის დასმის დღიდან მის ოფიციალურად გადაწყვეტამდე;

ვ) თუ საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანხმობა არ მისცა შესაბამისად პარლამენტის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

ზ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 ან/და 143^2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში მოსამართლეს ან პროკურორს გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ. თუ ამ საქმეში ჩაბმულია ორი ან რამდენიმე ბრალდებული, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი ყველა ბრალდებულს არ შეეხება, პროკურორს შეუძლია გამოყოს და შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა ცალკეული ბრალდებულის მიმართ.

3. თუ ბრალდებული თანამდებობის პირია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში სისხლის- სამართლებრივი დევნა არ ჩერდება.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხ.63; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368; საქართველოს 2006 წლის 20 ივნისის კანონი №3310 – სსმ I, 2006 წ., №25, მუხ.197)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძვლებს.

2. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძვლებია:

– ბრალდებულის მიმალვა;

– ბრალდებულის ადგილსამყოფლის დაუდგენლობა;

– ბრალდებულის მძიმედ დაავადება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მძიმედ დაავადების ფაქტი უნდა დადასტურდეს არა ნებისმიერი ექსპერტის მიერ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, არამედ – მხოლოდ სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ანუ სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების ექსპერტის (ექსპერტების) მიერ;

– ბრალდებულის ფსიქიკურად დაავადება, რაც უნდა დადასტურდეს არა ნებისმიერი ექსპერტის მიერ ჩატარებული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, არამედ – მხოლოდ სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, ანუ ბრალდებულის ფსიქიკურად დაავადების ფაქტი უნდა დაადასტუროს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების ექსპერტმა (ექსპერტებმა). ამასთან, აღსანიშნავია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებისათვის მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის არსებობა საკმარისი არ არის, რადგან ამ შემთხვევაში იმავდროულად პირის მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახით გამოყენებულ უნდა იყოს იძულებითი მკურნალობა;

– საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საერთო სასამართლოს მიმართვა კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე;

– პირისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის ან პირის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ საკითხის დასმა;

– საქართველოს პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ მოთხოვნაზე საქართველოს პარლამენტის მიერ თანხმობის არმიცემა;

– საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ მოთხოვნაზე საქართველოს პარლამენტის მიერ თანხმობის არმიცემა;

– საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ მოთხოვნაზე საქართველოს პარლამენტის მიერ თანხმობის არმიცემა;

– საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ მოთხოვნაზე საქართველოს პარლამენტის მიერ თანხმობის არმიცემა;

– საქართველოს მოსამართლის (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ მოთხოვნაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ თანხმობის არმიცემა;

– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ მოთხოვნაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თანხმობის არმიცემა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^{1} მუხლით (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ მოსაფიქრებელი ვადის არსებობა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^{2} მუხლით (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ მოსაფიქრებელი ვადის არსებობა.

3. ბრალდებულის მიმალვის, ბრალდებულის ადგილსამყოფლის დაუდგენლობის, ბრალდებულის მძიმედ დაავადების, ბრალდებულის ფსიქიკურად დაავადების შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეჩერდეს მხოლოდ იმ საგამოძიებო მოქმედებების შემდეგ, რომელთა ჩატარება შესაძლებელია ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე.

4. ზემოაღნიშნულიდან რომელიმე საფუძვლის გამოვლენის შემთხვევაში სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი სისხლისსამართლებრივ დევნას აჩერებენ, რის თაობაზეც წინასწარი გამოძიების სტადიაზე პროკურორს გამოაქვს შესაბამისი დადგენილება, ხოლო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, სასამართლოს კი – განჩინება.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს შესაძლებლობას, რომ, თუ სისხლის სამართლის საქმეში ჩაბმულია ორი ან რამდენიმე ბრალდებული, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი ყველა ბრალდებულს არ შეეხება, პროკურორს შეუძლია, გამოყოს და შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა ცალკეული ბრალდებულის მიმართ.

6. განსაკუთრებული წესია დადგენილი ბრალდებული თანამდებობის პირის მიმართ, კერძოდ: თუ ბრალდებული – თანამდებობის პირი თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, მაშინ, მისი მიმალვის ან ადგილსამყოფლის დაუდგენლობის მიუხედავად, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ ჩერდება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

7. სისხლისსამართლებრივი დევნა ჩერდება:

– ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაში – ბრალდებულის მოძებნამდე;

– ბრალდებულის ადგილსამყოფლის დაუდგენლობის შემთხვევაში – ბრალდებულის მოძებნამდე;

– ბრალდებულის მძიმედ დაავადების შემთხვევაში – ბრალდებულის გამოჯანმრთელებამდე;

– ბრალდებულის ფსიქიკურად დაავადებისა და მის მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახით იძულებითი მკურნალობის გამოყენების შემთხვევაში – ბრალდებულის გამოჯანმრთელებამდე;

– საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე საერთო სასამართლოს მიმართვის შემთხვევაში – საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე;

– პირისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის ან პირის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ საკითხის დასმის შემთხვევაში – საკითხის ოფიციალურ გადაწყვეტამდე;

– საქართველოს პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ მოთხოვნაზე საქართველოს პარლამენტის მიერ თანხმობის არმიცემის შემთხვევაში – იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

– საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ მოთხოვნაზე საქართველოს პარლამენტის მიერ თანხმობის არმიცემის შემთხვევაში – იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

– საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ მოთხოვნაზე საქართველოს პარლამენტის მიერ თანხმობის არმიცემის შემთხვევაში – იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

– საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ მოთხოვნაზე საქართველოს პარლამენტის მიერ თანხმობის არმიცემის შემთხვევაში – იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

– საქართველოს მოსამართლის (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ მოთხოვნაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ თანხმობის არმიცემის შემთხვევაში – იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ მოთხოვნაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თანხმობის არმიცემის შემთხვევაში – იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 მუხლით (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ მოსაფიქრებელი ვადის არსებობის შემთხვევაში – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^2 მუხლით (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ მოსაფიქრებელი ვადის არსებობის შემთხვევაში – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

8. თუ აღარ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი, პროკურორს, მოსამართლეს, სასამართლოს გამოაქვთ, შესაბამისად, დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ.

თავი IV
სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში

მუხლი 30. სამოქალაქო სარჩელი და მისი წარდგენის საფუძველი

1. **პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი.**
2. **იურიდიულ პირს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლება აქვს მოითხოვოს ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება.**
3. **ქონებრივი ზიანი ანაზღაურდება სრული მოცულობით, პირდაპირი ზიანისა და ანაცდენი სარგებლის სახით, საშუალო-საბაზრო ფასებით ინდექსაციის გამოყენებით.**
4. **ფიზიკური ზიანი ანაზღაურდება დაკრძალვაზე, მკურნალობაზე, პროთეზირებასა და მედიკამენტების შეძენაზე გაწეული ხარჯების, გადახდილი სადაზღვევო თანხების, დახმარებისა და პენსიის კომპენსაციით.**
5. **მორალური ზიანი ანაზღაურდება ფულადი და სხვა ქონებრივი გამოხატულებით, დაზარალებულისათვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის, მათ შორის, დასახიჩრების, დამახინჯების, ბიოლოგიური და ფსიქიკური ფუნქციების მოშლისა თუ დაქვეითებისათვის, აგრეთვე სხვა სახის ფიზიკური თუ მორალური ზიანით გამოწვეული განცდებისათვის. დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური ზიანისათვის ფულადი კომპენსაციის ოდენობას ადგენს სასამართლო ზიანის სიმძიმისა და ბრალდებულის (სამოქალაქო მოპასუხის) ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.**
6. **სამოქალაქო სარჩელი შეიძლება წარედგინოს პირს, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად. ამ შემთხვევაში სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა.**

1. დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულს, როგორც წესი, ზიანი ადგება, რომლის ანაზღაურების მოთხოვნისა და, შესაბამისად, მისი მიღების წესს ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც უშვებს სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას.

2. სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას სამოქალაქო სარჩელის წარდგენისა და, შესაბამისად, ზიანის მოთხოვნის უფლება აქვს პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ზიანი, ანუ დაზარალებულს.

3. თუ გარდაიცვალა პირი, რომელსაც ზიანი მიადგა დანაშაულის ან იმ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო

ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, სამოქალაქო სარჩელის წარდგენისა და მისი დაცვის უფლება გადადის გარდაცვლილის მემკვიდრეებზე.

4. თუ მოხდა იურიდიული პირის რეორგანიზაცია, რომელსაც ზიანი მიადგა დანაშაულის ან იმ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, სამოქალაქო სარჩელის წარდგენისა და მისი დაცვის უფლება გადადის მის უფლებამონაცვლეზე.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ზიანის სამ სახეს:

– ფიზიკური ზიანი;

– ქონებრივი ზიანი;

– მორალური ზიანი.

6. ფიზიკური ზიანის ანაზღაურებაში შედის ხარჯები, რომლებიც გაწეულია:

– დაკრძალვაზე;

– მკურნალობაზე;

– პროთეზირებზე;

– მედიკამენტების შეძენაზე;

– სადაზღვევო თანხების გადახდაზე;

– დახმარებაზე;

– პენსიის კომპენსაციზე.

7. ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაში იგულისხმება საშუალო-საბაზრო ფასებით ინდექსაციის გამოყენებით, სრული მოცულობით:

– პირდაპირი ზიანი;

– ანაცდენი სარგებელი.

8. მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ დაზარალებულისათვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის, მათ შორის:

– როგორც დასახიჩრების, დამახინჯების, ბიოლოგიური და ფსიქიკური ფუნქციების მოშლისა თუ დაქვეითებისათვის,

– ისე სხვა სახის ფიზიკური თუ მორალური ზიანით გამოწვეული განცდებისათვის.

9. მორალური ზიანი ანაზღაურდება:

– ფულადი თანხით;

– სხვა ქონებრივი გამოხატულებით.

10. მიყენებული მორალური ზიანისათვის ფულადი კომპენსაციის ოდენობას ადგენს სასამართლო, რომელმაც ამ დროს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ორი ფაქტორი:

– ზიანის სიმძიმე;

– ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა.

11. ფიზიკურ პირს უფლება აქვს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მოითხოვოს ფიზიკური, ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება.

12. იურიდიულ პირს უფლება აქვს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მოითხოვოს ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება. ბუნებრივია, მას ფიზიკური ზიანის მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.

13. სამოქალაქო სარჩელი, როგორც წესი, წარედგინება ბრალდებულს.

14. სამოქალაქო სარჩელი ასევე შეიძლება წარედგინოს პირს, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად.

მუხლი 31. სამოქალაქო სარჩელის საგამოძიებო ქვემდებარეობა და განსჯადობა

1. სამოქალაქო სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს იმ გამომძიებელთან ან პროკურორთან, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე.

2. სამოქალაქო სარჩელს განიხილავს და წყვეტს სასამართლო, რომლის განსჯადიცაა სისხლის სამართლის საქმე.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სამოქალაქო სარჩელის წარდგენა დასაშვებია ფაქტობრივად მხოლოდ წინასწარი გამოძიების სტადიაზე, საბრალდებო დასკვნის ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე დადგენილების შედგენამდე, იმ გამომძიებელთან ან პროკურორთან, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის კომენტარები).

2. სამოქალაქო სარჩელის განხილვის უფლებამოსილება გააჩნია შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 32. სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლების განმარტება

თუ გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან დარწმუნდება, რომ პირს აქვს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება, იგი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მას ამ უფლების თაობაზე.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ავალდებულებს, რომ მათ შეატყობინონ პირს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლების თაობაზე.

2. შეტყობინების ვალდებულება პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს წარმოეშობათ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი, სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან გამომდინარე, დარწმუნდებიან, რომ პირს აქვს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება.

3. ასეთი სახის შეტყობინება მხოლოდ წერილობითი უნდა იყოს.

4. სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლების შესახებ პირს შესაბამისი ინფორმაცია პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა უნდა მიაწოდონ დაუყოვნებლივ, აღნიშნული გარემოების გამოვლენისთანავე.

5. სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლების შესახებ პირის ინფორმირების ვალდებულება ეკისრება:

– გამომძიებელს;
– პროკურორს.

6. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლში ასევე მოხსენიებულია სასამართლო, სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლების შესახებ პირის შესაბამისი ინფორმირების ვალდებულება სასამართლოს არ ეკისრება, რადგან „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონის შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელის წარდგენა დასაშვებია ფაქტობრივად მხოლოდ წინასწარი გამოძიების სტადიაზე, საბრალდებო დასკვნის ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე დადგენილების შედგენამდე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 33. სამოქალაქო სარჩელის წარდგენა

1. **თუ პირს მიაჩნია, რომ ზიანი მიადგა იმ პირის დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, მას უფლება აქვს წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე საბრალდებო დასკვნის ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე დადგენილების შედგენამდე.**
2. **თუ გარდაიცვალა პირი, რომელსაც ზიანი მიადგა დანაშაულის ან იმ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, სამოქალაქო სარჩელის წარდგენისა და დაცვის უფლება გადადის გარდაცვლილის მემკვიდრეებზე, ხოლო იურიდიული პირის რეორგანიზაციის შემთხვევაში, რომელსაც ზიანი მიადგა დანაშაულის შედეგად, ეს უფლება ეკუთვნის მის უფლებამონაცვლეს.**
3. **ფიზიკურმა პირმა სამოქალაქო სარჩელი შეიძლება განაცხადოს ზეპირი ფორმითაც, რაც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი.**
4. **ბრალდებულის დაუდგენლობა არ აბრკოლებს სამოქალაქო სარჩელის წარდგენას. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შემთხვევაში, თუ ბრალდებული დაიმალა, მისი ადგილსამყოფელი ან პასუხისგებაში მისაცემი პირი დაუდგენელია, სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ შეიძლება წარედგინოს სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.**
5. **სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ბაჟით არ იბეგრება.**
6. **პირს, რომელსაც არ წარუდგენია სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე პირს, რომლის სარჩელიც განუხილველი დარჩა, უფლება აქვს წარადგინოს იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.**
7. **სამოქალაქო სამართალწარმოების წესით წარდგენილ სარჩელზე უარის მიღება მოსარჩელეს უფლებას ართმევს განმეორებით წარადგინოს იგივე სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე.**

8. სისხლის სამართლის საქმეზე სარჩელის უარყოფის შემთხვევაში აღარ შეიძლება მისი წარდგენა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. პირს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება წარმოეშობა, თუ მიიჩნევს, რომ მას ზიანი მიადგა:

– ბრალდებულის დანაშაულის შედეგად;

– იმ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად.

2. სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო სარჩელი პირმა შეიძლება წარადგინოს როგორც დაზარალებულმა, ანუ იგი სამოქალაქო სარჩელის წარდგენის მომენტისათვის ამ სისხლის სამართლის საქმეში უკვე ცნობილია დაზარალებულად.

3. სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო სარჩელის წარდგენის მომენტისათვის პირი შეიძლება, არ იყოს დაზარალებულად ცნობილი.

4. იმ პირის გარდაცვალების შემთხვევაში, რომელსაც ზიანი მიადგა, სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება გადადის გარდაცვლილის მემკვიდრეებზე.

5. იმ იურიდიული პირის რეორგანიზაციის შემთხევევაში, რომელსაც ზიანი მიადგა, სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება გადადის მის უფლებამონაცვლეზე.

6. სამოქალაქო სარჩელი შესაძლებელია, წარდგენილ იქნეს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, საბრალდებო დასკვნის ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე დადგენილების შედგენამდე.

7. სამოქალაქო სარჩელის სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოში წარდგენა დაუშვებელია. თუ სასამართლო სხდომაზე დაზარალებული დააფიქსირებს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის სურვილს, სასამართლომ უნდა განუმარტოს, რომ ამ ეტაპზე მას ამის უფლება აღარ გააჩნია, ამასთან, უნდა აუხსნას ისიც, რომ მას უფლება აქვს, სამოქალაქო სარჩელი წარადგინოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. თუ დაზარალებული სასამართლოში მაინც წარადგენს სამოქალაქო სარჩელს, მოსამართლემ (სასამართლომ) დადგენილებით (განჩინებით) სამოქალაქო სარჩელის მიღებაზე უარი უნდა განაცხადოს.

8. სამოქალაქო სარჩელი, როგორც წესი, წერილობით უნდა იყოს წარდგენილი. მასში უნდა აღინიშნოს, თუ რა სახისა და რა ოდენობის ზიანი მიადგა პირს ბრალდებულის ქმედების შედეგად.

9. სამოქალაქო სარჩელი შეიძლება გაცხადებულ (დაყენებულ) იქნეს ზეპირადაც – გამომძიებლის, პროკურორის წინაშე, თუმცა იგი აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს წერილობით.

10. თუ დაზარალებულმა დაკითხვისას გამომძიებლის წინაშე ზეპირად განაცხადა აღნიშნული საკითხი (სამოქალაქო სარჩელი), გამომძიებელმა ამის თაობაზე უნდა მიუთითოს დაზარალებულის დაკითხვის ოქმში, რითაც სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში წარდგენილად ითვლება.

11. სამოქალაქო სარჩელის ზეპირად გაცხადებისას შეიძლება ამის თაობაზე შედგეს ცალკე ოქმი, თუნდაც ამის შესახებ დაზარალებულმა დაკითხვის მიმდინარეობისას განაცხადოს.

12. სამოქალაქო სარჩელის ზეპირად გაცხადების (წარდგენის) უფლება აქვს მხოლოდ ფიზიკურ პირს. იურიდიული პირი ვალდებულია, ნებისმიერ შემთხვევაში სამოქალაქო სარჩელი წერილობით წარადგინოს.

13. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის დაუდგენლობა არ აბრკოლებს სამოქალაქო სარჩელის წარდგენას, კერძოდ: თუ სისხლისსამართლებრივი დევნა შეჩერდა იმ საფუძვლით, რომ ბრალდებული დაიმალა ან მისი ადგილსამყოფელი უცნობია, ანდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით მისაცემი პირი დაუდგენელია (ანუ სახელმწიფო ვერ ახერხებს იმ პირის სასამართლოს წინაშე წარდგენას, რომლის წინააღმდეგაც დაზარალებული შეიტანდა სამოქალაქო სარჩელს), დაზარალებულს შეუძლია, წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ.

14. ამ შემთხვევაში სამოქალაქო სარჩელი წარედგინება სახელმწიფოს.

15. ამასთან, სამოქალაქო სარჩელის წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

16. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს უფლება ჯერ არ მოქმედებს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილი) დადგინდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისთანავე (1998 წლის 20 თებერვალს), იგი არ ამოქმედებულა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 681-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მისი ამოქმედების თარიღად ამჯერად განსაზღვრულია 2007 წლის 1 იანვარი.

17. სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ბაჟით არ იბეგრება.

18. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები – დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე.

19. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს სამოქალაქო სარჩელის მხოლოდ „ერთხელ, ერთი წესით“ განხილვის პრინციპს, კერძოდ: სამოქალაქო სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსარჩელეს ერთმევა სისხლის სამართლის საქმეზე იმავე სამოქალაქო სარჩელის განმეორებით წარდგენის უფლება, ისევე როგორც სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე სამოქალაქო სარჩელის წარდგენა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დაუშვებელია.

20. პირს უფლება აქვს, სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე, სამოქალაქო სარჩელი წარადგინოს პირდაპირ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, თუ მას სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე არ წარუდგენია.

21. პირს უფლება აქვს, სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე, სამოქალაქო სარჩელი ასევე წარადგინოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, თუ მან, მარ-

თალია, სამოქალაქო სარჩელი წარადგინა სისხლის სამართლის საქმეზე, მაგრამ აღნიშნული სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ განუხილველი დატოვა.

მუხლი 34. შეგებებული სამოქალაქო სარჩელის წარდგენა

კერძო ბრალდების საქმეზე დასაშვებია შეგებებული სამოქალაქო სარჩელის წარდგენა და განხილვა.

1. თუ კერძო ბრალდების საქმეზე მხარეები ერთმანეთს ბრალდებებს უყენებენ, მოსამართლის დადგენილების საფუძველზე დაზარალებული ხდება ბრალდებულიც, ხოლო ბრალდებული – ასევე დაზარალებული. შესაბამისად, კერძო ბრალდების საქმეზე შესაძლებელია, თავდაპირველმა ბრალდებულმა (რომელიც შემდგომში დაზარალებულიც გახდა) წარადგინოს შეგებებული სამოქალაქო სარჩელი.

მუხლი 35. სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის წესი

1. **თუ გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ან სასამართლო მიიჩნევს, რომ წარდგენილ სარჩელს საკმარისი საფუძველი აქვს, მას გამოაქვს დადგენილება (განჩინება) პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ. დადგენილების (განჩინების) ასლი გადაეცემა მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს. ამასთანავე, სამოქალაქო მოსარჩელეს განემარტება ამ კოდექსის 86-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, ხოლო პირს, რომელსაც უარი ეთქვა სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობაზე – ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.**
2. **სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობილ დაზარალებულს აქვს სამოქალაქო მოსარჩელის უფლება-მოვალეობებიც.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა უნდა გამოიტანონ დადგენილება პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა უნდა შეამოწმონ არა ის, თუ რამდენად დასაბუთებული და საფუძვლიანია სამოქალაქო სარჩელი, არამედ ის, თუ რამდენად დაცულია მისი წარდგენისათვის არსებული საპროცესო მოთხოვნები, ანუ ვის მიერ, ვის მიმართ, რა სახისა და რა ოდენობის ზიანის მოთხოვნის თაობაზე, რა ფორმით არის წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი.

2. პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ დადგენილება გამოაქვს:

– გამომძიებელს;

– პროკურორს.

3. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლში ასევე მოხსენიებულია მოსამართლე და სასამართლო, პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანის უფლება მოსამართლეს (სასამართლოს) არ გააჩნია, რადგან „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონის შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელის წარდგენა დასაშვებია ფაქტობრივად მხოლოდ წინასწარი გამოძიების სტადიაზე, საბრალდებო დასკვნის ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე დადგენილების შედგენამდე.

4. პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ დადგენილების ასლი პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა დაუყოვნებლივ უნდა გადასცენ სამოქალაქო მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს.

5. სამოქალაქო მოსარჩელედ შეიძლება ცნობილ იქნეს პირი, როგორც დაზარალებული, თუ იგი სამოქალაქო სარჩელის წარდგენის მომენტისათვის ამ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად უკვე ცნობილია.

6. პირი ერთდროულად შეიძლება ცნობილ იქნეს როგორც დაზარალებულად, ისე – სამოქალაქო მოსარჩელედ იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო სარჩელის წარდგენის მომენტისათვის პირი დაზარალებულად ცნობილი არ არის. ამასთან, შესაძლებელია, პირი ერთი დადგენილებით იქნეს ცნობილი როგორც დაზარალებულად, ისე – სამოქალაქო მოსარჩელედ. შესაძლებელია, აღნიშნულთან დაკავშირებით გამოტანილ იქნეს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დადგენილება.

7. პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობილ პირს (მათ შორის – დაზარალებულს) დაუყოვნებლივ უნდა განუმარტონ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისთვის მინიჭებული სამოქალაქო მოსარჩელის უფლება-მოვალეობები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის კომენტარები).

8. თუ წარდგენილ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი მიიჩნევენ, რომ არ არის დაცული სამოქალაქო სარჩელის წარდგენისათვის აუცილებელი საპროცესო მოთხოვნები (მაგ.: წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიმართ, იურიდიულმა პირმა სამოქალაქო სარჩელი განაცხადა (წარადგინა) ზეპირად და ა.შ.), მათ გამოაქვთ დადგენილება პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

9. პირს, რომელსაც სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობაზე უარი ეთქვა, პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა უნდა განუმარტონ პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გასაჩივრების წესი.

10. აღნიშნული დადგენილების გასაჩივრებასთან მიმართებით მოქმედებს ე.წ. „გასაჩივრების საერთო წესი“, რომლის თანახმად, გამომძიებლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს პროკურორთან, ხოლო პროკურორის დადგენილება – ზემდგომ პროკურორთან.

მუხლი 36. სამოქალაქო მოპასუხედ საქმეში ჩაბმა

1. **განმცხადებლის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შემდეგ გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს ან სასამართლოს გამოაქვს დადგენილება (განჩინება), იმის შესახებ, რომ სამოქალაქო მოპასუხედ ცნობს ბრალდებულს ან იმ პირს, რომელსაც მატერიალური და სხვა პასუხისმგებლობა ეკისრება მისი ქმედებისათვის, ანდა პირს, რომელსაც ასეთი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად. დადგენილების (განჩინების) ასლი და განცხადებული სამოქალაქო სარჩელის ასლი გადაეცემა სამოქალაქო მოპასუხეს ან მის წარმომადგენელს. ამასთან, სამოქალაქო მოპასუხეს განემარტება 90-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.**
2. **სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილ ბრალდებულს აქვს სამოქალაქო მოპასუხის უფლება-მოვალეობებიც.**

1. პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანონ დადგენილება პირის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის თაობაზე.

2. პირის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ დადგენილება გამოაქვს:

– გამომძიებელს;

– პროკურორს.

3. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 36-ე მუხლში ასევე მოხსენიებულია მოსამართლე და სასამართლო, პირის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანის უფლება მოსამართლეს (სასამართლოს) არ გააჩნია, რადგან „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონის შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელის წარდგენა დასაშვებია ფაქტობრივად მხოლოდ წინასწარი გამოძიების სტადიაზე, საბრალდებო დასკვნის ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე დადგენილების შედგენამდე.

4. სამოქალაქო მოპასუხედ შეიძლება ცნობილ იქნეს:

– ბრალდებული;

– პირი, რომელსაც მატერიალური და სხვა პასუხისმგებლობა ეკისრება ბრალდებულის ქმედებისათვის;

– პირი, რომელსაც მატერიალური და სხვა პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, ვის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად.

5. პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა სამოქალაქო მოპასუხეს ან მის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ უნდა გადასცენ:

– პირის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ დადგენილების ასლი.

– სისხლის სამართლის საქმეში წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის ასლი.

6. პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილ პირს დაუყოვნებლივ უნდა განუმარტონ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისთვის მინიჭებული სამოქალაქო მოპასუხის უფლება-მოვალეობები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 90-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 37. პროკურორის მიერ სამოქალაქო სარჩელის წარდგენა და მხარდაჭერა

1. პროკურორი ვალდებულია წარადგინოს სარჩელი, თუ იმ პირის დანაშაულის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც წარმოებს სისხლის სამართლის საქმე, ზიანი მიადგა სახელმწიფოს.

2. პროკურორს უფლება აქვს წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი დაზარალებულის თხოვნით, თუ დაზარალებული მოკლებულია შესაძლებლობას ჰყავდეს ადვოკატ-წარმომადგენელი ან დაიცვას თავისი ინტერესები ბრალდებულზე დამოკიდებულების, ავადმყოფობის, არასრულწლოვანებისა თუ სხვა მიზეზით.

3. პროკურორი სასამართლოში მხარს უჭერს თავის მიერ განცხადებულ სამოქალაქო სარჩელს. მას უფლება აქვს მხარი დაუჭიროს სამოქალაქო მოსარჩელის მიერ განცხადებულ სარჩელს ან გამოთქვას სარჩელის საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

(საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო სარჩელი შეიძლება წარადგინოს ასევე პროკურორმა.

2. სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო სარჩელის წარდგენასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს პროკურორისათვის როგორც ვალდებულების წარმომშობი, ისე – მისთვის უფლებამოსილების მიმნიჭებელი შემთხვევების ჩამონათვალს.

3. პროკურორი ვალდებულია, წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი, თუ ზიანი მიადგა სახელმწიფოს:

– ბრალდებულის დანაშაულის შედეგად;

– იმ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ვის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად.

4. პროკურორი უფლებამოსილია (და არა – ვალდებულია), წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი, თუ:

– დაზარალებული მოკლებულია შესაძლებლობას, ჰყავდეს ადვოკატ-წარმომადგენელი;

– დაზარალებული მოკლებულია შესაძლებლობას, დაიცვას თავისი ინტერესები ბრალდებულზე დამოკიდებულების გამო;

– დაზარალებული მოკლებულია შესაძლებლობას, დაიცვას თავისი ინტერესები ავადმყოფობის გამო;

– დაზარალებული მოკლებულია შესაძლებლობას, დაიცვას თავისი ინტერესები არასრულწლოვანების გამო;

– დაზარალებული მოკლებულია შესაძლებლობას, დაიცვას თავისი ინტერესები სხვა მიზეზით.

5. პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმეში ამ სახის სამოქალაქო სარჩელის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ დაზარალებულის მხრიდან შესაბამისი თხოვნის არსებობის შემთხვევაში.

6. პროკურორი ვალდებულია, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მხარი დაუჭიროს თავის მიერ წარდგენილ სამოქალაქო სარჩელს.

7. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სამოქალაქო მოსარჩელის მიერ წარდგენილ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით, პროკურორი უფლებამოსილია, კერძო კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გარემოებებიდან გამომდინარე:

– ან მხარი დაუჭიროს სამოქალაქო სარჩელს;

– ან გამოთქვას სამოქალაქო სარჩელის საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

მუხლი 37[1]. პროკურორის სარჩელი თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით

1. თუ პროკურორს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბრალდებული თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული ქონება შესაძლებელია იყოს მოპოვებული ამ კოდექსის 44-ე მუხლის 47-ე ნაწილში მითითებული დანაშაულის ჩადენის შედეგად, იგი აღძრავს სარჩელს თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავლების, აქციების (წილის) ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმის წარმოება მიმდინარეობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

(საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით პროკურორის სარჩელის წარდგენის წესს.

2. აღნიშნული სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში წარდგენილი სამოქალაქო სარჩელისაგან მკვეთრად განსხვავდება.

3. მართალია, თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით პროკურორის სარჩელი განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მაგრამ ამ პროცედურის დაწყება ცალსახად დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესთან.

4. თანამდებობის პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს.

5. თანამდებობის პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ სარჩელის აღძვრის უფლებამოსილება ფაქტობრივად აქვს სისხლის სამართლის საქმესთან რაიმე სახით შეხების მქონე ნებისმიერ პროკურორს და იგი არ არის მხოლოდ საქართველოს გენერალური პროკურორის, გენერალური პროკურორის მოადგილის ექსკლუზიური უფლება.

6. სარჩელის აღძვრის საფუძველს წარმოადგენს საფუძვლიანი ეჭვი (და არა – დასაბუთებული ვარაუდი), რომ ბრალდებული – თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული ქონება შესაძლებელია, მოპოვებული იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 47-ე ნაწილში მითითებული დანაშაულის ჩადენის შედეგად.

7. აღნიშნული სამართალწარმოების მთავარი მოპასუხე – თანამდებობის პირი (რომლის მიმართაც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი) შეიძლება იყოს:

– „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი (მაგ.: მინისტრი, მისი მოადგილე და ა.შ., ანუ ის პირი, რომელიც ავსებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასა და თანამდებობის პირის საფინანსო დეკლარაციას);

– საჯარო მოხელე;

– საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე;

– საწარმოში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს წილის (აქციათა) 50%-ს ან 50%-ზე მეტს, ხელმძღვანელობითი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

8. ამასთან, თანამდებობის პირის მიმართ უნდა მიმდინარეობდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ანუ გამოტანილი უნდა იყოს მისი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება.

9. თანამდებობის პირს ბრალად უნდა ედებოდეს ის დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში.

10. აღსანიშნავია, რომ თანამდებობის პირი ბრალდებული უნდა იყოს არა ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში, არამედ – მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში; კერძოდ, ეს არის:

– სამოხელეო დანაშაული;

– სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;

– უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია;

– გამოძალვა;

– მითვისება;

– გაფლანგვა;

– გადასახადებისაგან თავის არიდება;

– საბაჟო წესების დარღვევა.

11. მოპასუხის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არა აქვს სარჩელის აღძვრის მომენტისათვის იგი კვლავ განაგრძობს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას, თუ გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 47-ე ნაწილი მოპასუხეში გულისხმობს თანამდებობის პირს, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი დაკავებული თანამდებობიდან.

12. თანამდებობის პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული სამართალწარმოება ე.წ. მთავარი მოპასუხის (ანუ თანამდებობის პირის) გარდა, ასევე ითვალისწინებს სხვა შესაძლო მოპასუხეებსაც, კერძოდ:

– ოჯახის წევრს;

– ახლო ნათესავს;

– დაკავშირებულ პირს.

13. ამ სარჩელის წარმოებისას მოპასუხე ოჯახის წევრი შეიძლება იყოს:

– მეუღლე;

– არასრულწლოვანი შვილი;

– არასრულწლოვანი გერი;

– ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან ან განსასჯელთან მუდმივად მცხოვრები პირი.

14. ამ სარჩელის წარმოებისას მოპასუხე ახლო ნათესავი შეიძლება იყოს:

– მშობელი;

– შვილად ამყვანი;

– შვილი;

– შვილობილი;

– პაპა;

– ბებია;

– შვილიშვილი;

– და;

– ძმა;

– მეუღლე (მათ შორის – განქორწინებული).

15. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXIV თავის (ქონებაზე ყადაღის დადება) მიზნებისათვის ახლო ნათესავად ითვლება:

– ოჯახის წევრი;

– პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავი;

– პირდაპირი დაღმავალი შტოს ნათესავი;

– და;

– ძმა;

– მშობლის გერი;

– შვილის გერი;

– მეუღლის და;

– მეუღლის ძმა;

– მეუღლის მშობელი.

16. ამ სარჩელის წარმოებისას პირის თანამდებობის პირთან დაკავშირებულ პირად მიჩნევისათვის აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა, კერძოდ:

– ეს პირი აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს სადავო ქონების მესაკუთრეს, ანუ მას იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში უნდა ჰქონდეს ქონება;

– ეს პირი არ უნდა იყოს თანამდებობის პირის ოჯახის წევრი ან მისი ახლო ნათესავი;

– უნდა არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ სადავო ქონება მიღებულია ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად;

– უნდა არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ სადავო ქონებით სარგებლობს ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი.

17. თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავლების, აქციების (წილის) ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით პროკურორის სარჩელი, ზემოაღნიშნული პირობების დაცვით წარდგენის შემდეგ, განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[2] თავით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 37[2]. (ამოღებულია)

(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხ.63; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

მუხლი 38. სისხლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენება სამოქალაქო სარჩელის განხილვისას

1. **სამოქალაქო სარჩელის საფუძვლის მტკიცება და ფასის განსაზღვრა ხდება სისხლის სამართლის პროცესის წესით.**
2. **თუ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით წარმოქმნილი საპროცესო ურთიერთობები მოწესრიგებული არ არის ამ კოდექსით, გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპებს.**
3. **სარჩელზე უარი, სარჩელის ცნობა და მორიგება ხდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაგრამ იმ პირობით, რომ დაცულ იქნეს მოთხოვნები სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების საგნის ყველა ელემენტის დადგენის შესახებ (112-ე მუხლი).**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეში წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის საფუძვლის მტკიცება და მისი ფასის განსაზღვრა ხდება სისხლის სამართლის პროცესის წესით.

2. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარდგენილ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით წარმოქმნილი საპროცესო ურთიერთობები ბოლომდე არ იყოს მოწესრიგებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

3. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, თუმცა ნიშანდობლივია, რომ ამ დროს გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპებს.

4. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ხდება:

– სამოქალაქო სარჩელზე უარის თქმა;

– სამოქალაქო სარჩელის ცნობა;

– მორიგება.

5. აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების საგნის ყველა ელემენტის დადგენის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 39. მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენება სამოქალაქო სარჩელის განხილვისას

1. **სამოქალაქო სარჩელის განხილვისას ზიანის ანაზღაურების საფუძველს, პირობას, მოცულობასა და წესს განსაზღვრავს სამოქალაქო, შრომისა და სხვა კანონმდებლობა.**
2. **სისხლის სამართლის საქმეთა გამო აღძრულ სამოქალაქო სარჩელებზე არ ვრცელდება სამართლის სხვა დარგებში დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები.**

1. სისხლის სამართლის საქმეში წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის განხილვისას ზიანის ანაზღაურების საფუძველი, პირობა, მოცულობა და წესი განისაზღვრება სამოქალაქო, შრომის, სხვა შესაბამისი კანონმდებლობით.

2. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე, სამოქალაქო სარჩელზე არ ვრცელდება სამართლის სხვა დარგებში დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები. მაგ.: ამ დროს არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადა.

3. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, სამოქალაქო სარჩელი წარდგენილია უშუალოდ სისხლის სამართლის საქმეში, თუ იგი წარდგენილია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

მუხლი 40. მოსარჩელის უარი სამოქალაქო სარჩელზე

1. **სამოქალაქო მოსარჩელეს საქმის წარმოების ნებისმიერ მომენტში უფლება აქვს უარი თქვას სარჩელზე.**
2. **მოსარჩელისაგან უარის მიღებამდე გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ან სასამართლო, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე, ვალდებულია, მოსარჩელეს განუმარტოს სამოქალაქო სარჩელზე მისი უარის სამართლებრივი შედეგები და შეადგინოს ოქმი ან ამის შესახებ სათანადო აღნიშვნები შეიტანოს შესაბამის საგამოძიებო ოქმში.**
3. **სამოქალაქო სარჩელზე უარის მიღების შესახებ ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, გამოაქვს განჩინება (დადგენილება).**
4. **სარჩელზე უარს მოსდევს სარჩელის გამო წარმოების შეწყვეტა, რაც სამოქალაქო მოსარჩელეს ართმევს უფლებას განმეორებით წარუდგინოს სარჩელი იმავე პირს და იმავე საფუძვლით, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო სარჩელის წარმდგენ პირს უფლება აქვს, სამოქალაქო სარჩელზე უარი განაცხადოს.

2. სამოქალაქო მოსარჩელის მიერ სამოქალაქო სარჩელზე უარის თქმა დასაშვებია სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე (რასაკვირველია, სამოქალაქო მოსარჩელის მიერ სამოქალაქო სარჩელზე უარის თქმა მოსამართლის (სასამართლოს) სათათბირო ოთახში ყოფნის დროს დაუშვებელია).

3. სამოქალაქო სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებული წარმოება წყდება. ამასთან, აღნიშნულის გამო სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აღარ აქვს, განმეორებით იმავე საფუძვლით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი იმავე პირის მიმართ, როგორც სისხლის სამართალწარმოების გზით, ისე – სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

4. სამოქალაქო მოსარჩელის მიერ სამოქალაქო სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირები – გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო ვალდებული არიან, სამოქალაქო მოსარჩელეს განუმარტონ სამოქალაქო სარჩელზე მისი უარის თქმის შემთხვევაში ზემოაღნიშნული სამართლებრივი შედეგები.

5. ამ შინაარსის განმარტების თაობაზე პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა აუცილებლად უნდა აღნიშნონ შესაბამის სისხლის სამართლის საქმეში. აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია:

– ან სპეციალურად შედგეს ოქმი;

– ან ამის თაობაზე სათანადო აღნიშვნები შეტანილ იქნეს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმში;

– ან ამის თაობაზე სათანადო აღნიშვნები შეტანილ იქნეს შესაბამისი სასამართლო განხილვის ოქმში.

6. თუ განმარტების მიუხედავად, სამოქალაქო მოსარჩელე მაინც უარს განაცხადებს სამოქალაქო სარჩელზე, პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს გამოაქვთ შესაბამისი დადგენილება (განჩინება).

7. სამოქალაქო სარჩელზე უარის მიღების შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანის უფლება აქვს:

– გამომძიებელს;
– პროკურორს;
– მოსამართლეს;
– სასამართლოს.

მუხლი 41. სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილება და უარყოფა

1. **სასამართლოს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს ან უარყოს სამოქალაქო სარჩელი გამამტყუნებელ განაჩენში, აგრეთვე ამ კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“, „ვ“, „ლ“ და „ჟ“ ქვეპუნქტებში და მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ განჩინებაში (დადგენილებაში) ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისა თუ მის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაში (დადგენილებაში).**
2. **სასამართლო ვალდებულია უარყოს სარჩელი ამ კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ი“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებში და მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას.**
3. **სასამართლო ვალდებულია არ განიხილოს სარჩელი ამ კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას, აგრეთვე თუ სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით.**
4. **თუ 37[1] მუხლით გათვალისწინებული სარჩელი შეტანილია თანამდებობის პირის მიმართ, სასამართლო უფლებამოსილია, საქმე განიხილოს და შესაბამისად გადაწყვეტილება გამოიტანოს სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისაგან დამოუკიდებლად.**

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხ.75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი №333 – სსმ I, 2000 წ., №20, მუხ.51; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას სათათბირო ოთახში მყოფი მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია, სხვა საკითხებთან ერთად გადაწყვიტოს სამოქალაქო სარჩელის საკითხი.

2. სასამართლო უფლებამოსილია, სამოქალაქო სარჩელი:

– დააკმაყოფილოს მთლიანად;

– დააკმაყოფილოს ნაწილობრივ;

– უარყოს.

3. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთი სახის გადაწყვეტილება სასამართლოს შეუძლია, მიიღოს:

– გამამტყუნებელი განაჩენით;

– სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებით (დადგენილებით);

– სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებით (დადგენილებით);

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებით (დადგენილებით);

– ამნისტიის აქტის გამოცემის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებით (დადგენილებით);

– ვითარების შეცვლის შედეგად ქმედების საშიშროების არარსებობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებით (დადგენილებით);

– საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულის შეწყალების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებით (დადგენილებით);

– ბრალდებულის გარდაცვალების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებით (დადგენილებით).

4. სასამართლო ვალდებულია, უარყოს სამოქალაქო სარჩელი, თუ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა:

– სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო;

– ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო;

– ახალი კანონით ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმების გამო;

– კანონის, რომელსაც ემყარება ბრალდება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობის გამო;

– იმავე ბრალდებასთან დაკავშირებით კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობის გამო;

– იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს (მოსამართლის) განჩინების (დადგენილების) არსებობის გამო;

– სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს, პროკურორის დადგენილების (განჩინების) არსებობის გამო;

– პროკურორის, დაზარალებულის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

– პირის იმ ასაკისათვის მიუღწევლობის გამო, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

– სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობის გამო (ანუ შეცდომა – სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლი);

– სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობის გამო (ანუ ბრძანების ან განკარგულების შესრულება – სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლი);

– სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობის გამო (ანუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს – სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი);

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული, დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევასთან დაკავშირებით, პირის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის არა უმეტეს 12 თვიანი ვადის გასვლის გამო.

5. სასამართლო ვალდებულია, არ განიხილოს სამოქალაქო სარჩელი, თუ:

– სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა დაზარალებულის საჩივრის არარსებობის გამო კერძო-საჯარო და კერძო ბრალდების საქმეებზე;

– სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების გამო კერძო ბრალდების საქმეზე;

– სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების გამო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

– სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების გამო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 89[1] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

– თუ სამოქალაქო მოსარჩელე (სასამართლო სხდომაში სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლის არმონაწილების შემთხვევაში) სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა;

– თუ სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი (სასამართლო სხდომაში სამოქალაქო მოსარჩელის არმონაწილების შემთხვევაში) სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა.

6. თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავლების, აქციების (წილის) ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით პროკურორის სარჩელს სასამართლო განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისაგან დამოუკიდებლად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[2] თავით დადგენილი წესის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37[1] მუხლის კომენტარები).

მუხლი 42. სისხლის სამართლის საქმეზე დაკმაყოფილებული სამოქალაქო სარჩელის აღსრულების თავისებურებანი

სარჩელი, რომელიც დაკმაყოფილდება სისხლის სამართლის საქმეზე, აღსრულდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესებით.

1. სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მისი აღსრულება უნდა მოხდეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 43. სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა

სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე მიიღოს სარჩელის უზრუნველყოფის ზომები, თუ ისინი მანამდე არ ყოფილა მიღებული.

1. სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლოს უფლება აქვს, მიიღოს სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ზომები.

2. ამასთან, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფა შესაძლებელია მოხდეს სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

3. სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მანამდე არ ყოფილა გამოყენებული.

4. სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაა ქონებაზე ყადაღის დადება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXIV თავის კომენტარები).

თავი V
ამ კოდექსში გამოყენებული ზოგიერთი ცნების მნიშვნელობა

მუხლი 44. ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. სასამართლო – მართლმსაჯულების განმახორციელებელი კოლეგიური ორგანო; მოსამართლე – ორგანო, რომელიც ერთპიროვნულად, არსებითად განიხილავს სისხლის სამართლის საქმესა და მასალებს საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ.
2. (ამოღებულია).
3. სასამართლო ინსტანციები – პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოები.
4. საგამოძიებო კოლეგია – საოლქო სასამართლოს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც გამოძიების მოსამართლეებს აერთიანებს.
5. გამოძიების მოსამართლე – ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს და საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიების მოსამართლე, რომელიც წყვეტს ამ კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებს.
6. სასამართლო გადაწყვეტილება – სასამართლოს (მოსამართლის) განაჩენი, განჩინება, დადგენილება, ბრძანება.
7. განაჩენი – პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას.
8. განჩინება – კოლეგიური წესით გამოტანილი პირველი, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენის გარდა) ნებისმიერ საკითხზე.
9. დადგენილება – გადაწყვეტილება, რომელიც მოსამართლეს ერთპიროვნულად გამოაქვს საქმის განხილვისას; გამომძიებლის, პროკურორის გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც წარმოიშობა წინასწარი გამოძიების პროცესში.
10. შემაჯამებელი გადაწყვეტილება – გადაწყვეტილება, რომელიც ამთავრებს სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ სტადიას.
11. სასამართლო ბრძანება (მოსამართლის ბრძანება) – მოსამართლის ერთპიროვნული გადაწყვეტილება, რომელიც იძლევა დაპატიმრების, სხვა სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ნებართვას.
12. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო (თანამდებობის პირი) – გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო (მოსამართლე).

13. პროკურორი – საქართველოს გენერალური პროკურორი და მისადმი დაქვემდებარებული ყველა პროკურორი, მათი მოადგილეები და თანაშემწეები.
14. სახელმწიფო ბრალმდებელი – პროკურორი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში.
15. გამომძიებელი – საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის შესაბამისი საგამოძიებო დანაყოფის თანამდებობის პირი, რომელიც გამოძიებას აწარმოებს სრული მოცულობით.
16. (ამოღებულია).
16[1]. საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტი – პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა და განათლება მხარის მიერ დასმულ საკითხებზე საექსპერტო კვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად.
17. (ამოღებულია).
18. მხარეები – სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი, რომლებიც იცავენ საკუთარ ან მარწმუნებლების ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეში.
19. ბრალდების მხარე – პროკურორი, აგრეთვე დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე და მათი წარმომადგენლები.
20. დაცვის მხარე – ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, დამცველი, ბრალდებულის მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე და მისი წარმომადგენელი.
21. ახლო ნათესავი – მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული). ამ კოდექსის XXIV თავის მიზნებისათვის ახლო ნათესავად ითვლება ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, და და ძმა, მშობლისა და შვილის გერები, მეუღლის და, ძმა და მშობელი.
21[1]. ოჯახის წევრი – მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან ან განსასჯელთან მუდმივად მცხოვრები პირი.
21[2]. დაკავშირებული პირი – პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ იგი მიღებულია ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად და ამ ქონებით სარგებლობს ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი.
22. კანონიერი წარმომადგენელი – ახლო ნათესავი, მეურვე, მზრუნველი.
23. დასაცავი პირი – ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი ან მსჯავრდებული, რომელსაც დამცველი იცავს.
23[1]. ეჭვმიტანილი – პირი, რომლის მიმართ არსებობს გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, მაგრამ ამგვარი ეჭვი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირის მიმართ წაყენებულ იქნეს ბრალდება. პირი ეჭვმიტანი-

ლად ითვლება ამ კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დაკავებისთანავე ან პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე.

24. ბრალდებული – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი.
25. განსასჯელი – ბრალდებული, რომლის მიმართ საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ საქმე არსებითად განსახილველად ან საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგ დასამტკიცებლად ჩაბარდა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.
26. მსჯავრდებული – პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.
27. გამართლებული – პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი.
28. დაპატიმრება – წინასწარი პატიმრობა.
29. სისხლის სამართლის პროცესი – გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოსა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეთა კანონით მოწესრიგებული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ამ კოდექსის პირველი მუხლით გათვალისწინებული ამოცანების გადასაწყვეტად.
30. საპროცესო მოქმედება – სამართალწარმოების ნებისმიერი ორგანოს მოქმედება, რომელიც ტარდება ამ კოდექსით დადგენილი პროცედურის ფარგლებში.
31. საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედება – საპროცესო მოქმედება, რომელიც ტარდება მტკიცებულებათა შეკრების, დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების მიზნით.
32. საპროცესო გადაწყვეტილება – გამომძიებლის, პროკურორის დადგენილება, საბრალდებო დასკვნა, სასამართლოს (მოსამართლის) განაჩენი, განჩინება, დადგენილება.
33. პროკურორის სანქცია – პროკურორის მიერ გამომძიებლის, ქვემდგომი პროკურორის დადგენილების დამტკიცება ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
34. სისხლის სამართლის საქმე – საგამოძიებო და სასამართლო ოქმების, დოკუმენტების, ექსპერტების დასკვნების, ნივთიერ და სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობა.
35. ზიანი – უშუალო ზიანი და ანაცდენი სარგებელი.
36. ღამის დრო – 22 საათიდან 6 საათამდე.
37. არასრულწლოვანი – პირი, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია.
38. მცირეწლოვანი – პირი, რომელსაც 14 წელი არ შესრულებია.
39. ადვოკატურა, საადვოკატო ბიურო, ფირმა – ორგანიზაციული წარმონაქმნი, სადაც მუშაობენ საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ადვოკატთა კოლეგიების წევრები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილნი არიან აწარმოონ საადვოკატო საქმიანობა.
40. (ამოღებულია).

41. კერძო ბრალმდებელი – დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას სასამართლოში.
42. კერძო გამოძიება – დაცვის მხარის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დაცვისათვის საჭირო მონაცემების შეკრება და მტკიცებულებათა სახით პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის წარდგენა. აღნიშნული საქმიანობა არ წესრიგდება ამ კოდექსით.
43. წინასწარი გამოძიება – უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების დადგენა და მისი ჩამდენი პირის მხილება.
43[1]. სისხლისსამართლებრივი დევნა – ამ კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონებით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების უზრუნველყოფა.
44. დამსწრე – ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის, აგრეთვე ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში მოწვეული პირი.
45. გამოძიების ადგილი – საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის განთავსების ადგილი.
46. საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების მიზნებისათვის:
ა) გადაცემა – სახელმწიფოს მიერ პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად;
ბ) ექსტრადიცია – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსათვის პირის გადაცემა საერთაშორისო ხელშეკრულების ან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.
47. თანამდებობის პირი (რომლის მიმართაც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი) – ამ კანონის მიზნებისათვის, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე, ან საწარმოში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს წილის (აქციათა) 50%-ს ან 50%-ზე მეტს, ხელმძღვანელობითი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელსაც ბრალად ედება თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში შესაბამისად სამოხელეო ან სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, გამოძალვა, მითვისება ან გაფლანგვა, გადასახადებისაგან თავის არიდება ან საბაჟო წესების დარღვევა, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი დაკავებული თანამდებობიდან.
48. (ამოღებულია).
49. ქონების ჩამორთმევა – როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით.

50. რეკეტი – შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა.
51. რეკეტული დაჯგუფება – თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული იურიდიული პირი, აგრეთვე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა ნებისმიერი გაერთიანება.
52. რეკეტირი – პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას, ან სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა, აგრეთვე უკანონოდ წყვეტს ან მონაწილეობს რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავების გადაწყვეტაში.
53. რეკეტული ქონება – რეკეტიდან მიღებული ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რეკეტიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება, აგრეთვე რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.
54. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – ბრალდებული, რომლის მიმართაც განიხილება საქართველოში ექსტრადიციის საკითხი, ან პირი, რომლის მიმართაც განიხილება საზღვარგარეთ ექსტრადიციის საკითხი.
55. საექსტრადიციო პატიმრობა – პატიმრობა, რომელიც გამოიყენება საზღვარგარეთ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის უზრუნველსაყოფად.
56. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომელი – შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების თანამშრომელი, რომლის ვინაობა გასაიდუმლოებულია, პროცესში მონაწილეობს ფსევდონიმით და რომელიც უფლებამოსილია ჩვენება მისცეს მხოლოდ შეცვლილი გარეგნობით ან ხმით.
57. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა – პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით და სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე შეტყობინება უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის

გამართვამდე არა უგვიანეს 48 საათისა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, მუხ.19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხ.75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2001 წლის 16 მარტის კანონი №815 – სსმ I, 2001 წ., №8, მუხ.29; საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონი №949 – სსმ I, 2001 წ., №20, მუხ.74; საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი №2976 – სსმ I, 2003 წ., №26, მუხ.192; საქართველოს 2003 წლის 26 აგვისტოს კანონი №3093 – სსმ I, 2003 წ., №28, მუხ.202; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21; საქართველოს 2004 წლის 24 თებერვლის კანონი №3381 – სსმ I, 2004 წ., №5, მუხ.12; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხ.63; საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №378 – სსმ I, 2004 წ., №25, მუხ.123; საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №398 – სსმ I, 2004 წ., №25, მუხ.125; საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №809 – სსმ I, 2004 წ., №39, მუხ.188; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368; საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2543 – სსმ I, 2006 წ., №1, მუხ.9; საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2620 – სსმ I, 2006 წ., №4, მუხ.40; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სპეციალურ თავს უთმობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გამოყენებული ცნებების მნიშვნელობას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ტერმინთა განმარტება არ არის ამომწურავი და ყოვლისმომცველი.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლში განმარტებულია როგორც სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოების, თანამდებობის პირების, მხარეების, სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეების, ისე – საპროცესო გადაწყვეტილებების, საპროცესო მოქმედებებისა თუ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ტერმინები.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის, სასამართლო არის მართლმსაჯულების განმახორციელებელი კოლეგიური ორგანო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობაში შედიან მხოლოდ მოსამართლეები, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დღევანდელი მდგომარეობით არ ითვალისწინებს მართლმსაჯულების განხორციელებაში როგორც ე.წ. „სახალხო მსაჯულების“, ისე ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის შესაძლებლობას. სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობაში, როგორც წესი, 3 მოსამართლეა, თუმცა საქართველოს

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საკასაციო საჩივარს იხილავს 9 მოსამართლის მონაწილეობით.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოსამართლე არის სისხლის სამართლის საქმის ერთპიროვნულად განმხილველი ორგანო. ამასთან, მოსამართლე ასევე ერთპიროვნულად იხილავს სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

5. სისხლის სამართლის საქმეებს პირველი ინსტანციის წესით იხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, რომლებიც შექმნილია და, შესაბამისად, მათი სამოქმედო ტერიტორიები განსაზღვრულია „რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიებისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულებით.

6. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შემაჯამებელ გადაწყვეტილებებზე შეტანილ სააპელაციო საჩივრებს განიხილავს „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიებისა და სასამართლო პალატებსა და კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 27 ოქტომბრის №857 ბრძანებულების თანახმად შექმნილი თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა პალატები.

7. სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა პალატების შემაჯამებელ გადაწყვეტილებებზე შეტანილ საკასაციო საჩივრებს განიხილავს მხოლოდ ერთი სასამართლო – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა (ან საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა).

8. თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში შექმნილია საგამოძიებო კოლეგიები, რომელთა მოსამართლეების უფლებამოსილებებს განეკუთვნება ერთპიროვნულად, მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით შეტანილი საჩივრების განხილვა, ასევე სხვა საკითხების გადაწყვეტა.

9. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ე.წ. გამოძიების მოსამართლეებს წარმოადგენენ თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიების მოსამართლეები, რომლებიც ერთპიროვნულად, მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, იხილავენ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით შეტანილ საჩივრებს. ისინი წყვეტენ სხვა საკითხებსაც.

10. სასამართლო გადაწყვეტილებებია:

– სასამართლოს განაჩენი;
– სასამართლოს განჩინება;
– მოსამართლის განაჩენი;
– მოსამართლის დადგენილება;
– მოსამართლის ბრძანება.

11. თუმცა აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების ისეთ სახეს, როგორიცაა

სასამართლოს თავმჯდომარის (სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის) განკარგულება, რომელიც მიიღება სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის კომენტარები).

12. სასამართლო გადაწყვეტილების სახეა ასევე: კერძო განჩინება, კერძო დადგენილება, დავალება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის კომენტარები).

13. განაჩენი არის სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რითაც სასამართლო ახდენს:

– ან განსასჯელის დამნაშავედ ცნობას;

– ან განსასჯელის სრულად უდანაშაულოდ ცნობას მისთვის წაყენებულ ბრალდებაში.

14. შესაბამისად, განაჩენი შეიძლება იყოს:

– ან გამამტყუნებელი,

– ან გამამართლებელი,

– ან ნაწილი ბრალდების მიმართ გამამტყუნებელი, ხოლო დარჩენილი ბრალდების მიმართ – გამამართლებელი.

15. განაჩენის გამოტანის უფლება აქვს:

– რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს (სასამართლო კოლეგიას);

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას (მოსამართლეს).

16. განჩინება არის სასამართლოს მიერ კოლეგიური წესით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, გარდა განაჩენისა.

17. განჩინების გამოტანის უფლება აქვს:

– რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სასამართლო კოლეგიას;

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას;

– უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას;

– უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

18. დადგენილება არის:

– მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ერთპიროვნულად მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, განაჩენის გარდა;

– მოსამართლის მიერ, მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით შეტანილ შუამდგომლობებზე, საჩივრებსა თუ სხვა საკითხებზე ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილება, რითაც, როგორც წესი, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარია ნათქვამი;

– გამომძიებლის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება;

– პროკურორის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

19. შემაჯამებელია გადაწყვეტილება, რომლითაც მთავრდება სისხლის სამართლის პროცესის ესა თუ ის სტადია. მაგ.: საბრალდებო დასკვნა, განაჩენი და ა.შ.

20. სასამართლო ბრძანება (მოსამართლის ბრძანება) არის მოსამართლის მიერ, მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვე-

ვებში, სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებებსა და სხვა საკითხებთან, ასევე – მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილება, რითაც, როგორც წესი, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე თანხმობაა მიცემული.

21. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოა:

– სასამართლო;

– მოსამართლე.

22. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირია:

– გამომძიებელი;

– პროკურორი.

23. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის პროკურორი არის საქართველოს გენერალური პროკურორი, მისდამი დაქვემდებარებული ყველა პროკურორი და მათი მოადგილეები, რომლებიც თანამდებობაზე დანიშნული არიან „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად.

24. ნებისმიერი პროკურორი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ბრალმდებლად ავტომატურად ვერ ჩაითვლება, რადგან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბრალმდებელი არის (არიან) მხოლოდ ის პროკურორი (პროკურორები), რომელიც (რომლებიც) მხარს უჭერს (უჭერენ) ბრალდებას პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში.

25. გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია, აწარმოოს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიება.

26. წინასწარი გამოძიების წარმოების უფლება აქვს:

– საქართველოს პროკურატურის გამომძიებელს;

– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელს;

– საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამომძიებელს;

– საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამომძიებელს;

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის გამომძიებელს.

27. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლში მოცემულია მხოლოდ საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტის (და არა – ზოგადად ექსპერტის) განმარტება, რომლის თანახმად, საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტი არის პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა და განათლება (საფინანსო-საბუღალტრო სფეროში), მხარის მიერ დასმულ საკითხებზე საექსპერტო კვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად.

28. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, სისხლის სამართლის პროცესის განხორციელების პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განმარტავს მხარეების ცნებას, რაშიც გულისხმობს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს, რომლებიც იცავენ საკუთარ ან მარწმუნებლის (მარწმუნებლების) ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეში.

29. სისხლის სამართლის საქმეში, როგორც წესი, მონაწილეობს ორი მხარე:

– ბრალდების მხარე;

– დაცვის მხარე.

30. ბრალდების მხარეს წარმოადგენს:

– პროკურორი;

– დაზარალებული;

– დაზარალებულის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოსარჩელე;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი.

31. დაცვის მხარეს წარმოადგენს:

– ეჭვმიტანილი;

– ეჭვმიტანილის დამცველი;

– ეჭვმიტანილის მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი;

– ბრალდებული;

– ბრალდებულის დამცველი;

– ბრალდებულის მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი;

– განსასჯელი;

– განსასჯელის დამცველი;

– განსასჯელის მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი;

– მსჯავრდებული;

– მსჯავრდებულის დამცველი;

– მსჯავრდებულის მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოპასუხე;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი.

32. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის ახლო ნათესავი არის:

– მშობელი;

– შვილად ამყვანი;

– შვილი;

– შვილობილი;

– პაპა;

– ბებია;

– შვილიშვილი;

– და;

– ძმა;

– მეუღლე, ანუ პირი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, იმყოფება ოჯახის შექმნის მიზნით სხვა პირთან ნებაყოფლობით კავშირში, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

– განქორწინებული მეუღლე.

33. აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXIV თავის (ქონებაზე ყადაღის დადება) მიზნებისათვის ახლო ნათესავად ითვლება:

– ოჯახის წევრი;

– პირდაპირი, აღმავალი შტოს ნათესავი;

– პირდაპირი, დაღმავალი შტოს ნათესავი;

– და;

– ძმა;

– მშობლის გერი;

– შვილის გერი;

– მეუღლის და;

– მეუღლის ძმა;

– მეუღლის მშობელი.

34. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის ოჯახის წევრი არის:

– მეუღლე;

– არასრულწლოვანი შვილი;

– არასრულწლოვანი გერი;

– ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან ან განსასჯელთან მუდმივად მცხოვრები პირი.

35. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ადგენს დაკავშირებული პირის ცნებას. ამასთან, პირის დაკავშირებულ პირად მიჩნევისათვის აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა; კერძოდ:

– ეს პირი აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს სადავო ქონების მესაკუთრეს, ანუ მას იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში უნდა ჰქონდეს ქონება;

– ეს პირი არ უნდა იყოს ბრალდებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;

– უნდა არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ სადავო ქონება მიღებულია ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად;

– უნდა არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ სადავო ქონებით სარგებლობს ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი.

36. კანონიერი წარმომადგენელია:

– ახლო ნათესავი;

– მეურვე;

– მზრუნველი.

37. დასაცავი არის პირი, რომელსაც დამცველი იცავს, ანუ:

– ეჭვმიტანილი;

– ბრალდებული;

– განსასჯელი;

– მსჯავრდებული.

38. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ეჭვმიტანილი არის პირი, რომლის მიმართ არსებობს გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, მაგრამ ამგვარი ეჭვი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირის მიმართ წაყენებულ იქნეს ბრალდება.

39. პირი ეჭვმიტანილად ითვლება:

– ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის (დაკავების საფუძველი) პირველი ნაწილის საფუძველზე დაკავებისთანავე (აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ეჭვმიტანილის დაკავების შემთხვევაში პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილება არ გამოიტანება),

– ან პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე.

40. ბრალდებული, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXXV თავის შესაბამისად, არის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXXV თავის კომენტარები).

41. განსასჯელი არის ბრალდებული, რომლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ჩაჰბარდა განსჯადობის მიხედვით სასამართლოს:

– ან საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ არსებითად განსახილველად,

– ან საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგ დასამტკიცებლად.

42. მსჯავრდებული არის პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პირი მსჯავრდებულად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის მიღებისთანავე.

43. გამართლებული არის პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი.

44. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის დაპატიმრებაში იგულისხმება წინასწარი პატიმრობა.

45. სისხლის სამართლის პროცესი არის სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) – გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოსა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეთა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწესრიგებული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი ამოცანების გადასაწყვეტად.

46. საპროცესო მოქმედება არის სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედება, რომელიც ტარდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცედურის ფარგლებში. მაგ.: საგამოძიებო მოქმედება, სასამართლო მოქმედება და ა.შ.

47. საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედება არის საპროცესო მოქმედება, რომელიც ტარდება მტკიცებულებათა შეკრების, დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების მიზნით.

48. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საპროცესო გადაწყვეტილებაა:

– გამომძიებლის დადგენილება;

– პროკურორის დადგენილება;

– საბრალდებო დასკვნა;

– სასამართლოს განაჩენი;

– სასამართლოს განჩინება;

– მოსამართლის განაჩენი;

– მოსამართლის დადგენილება.

49. პროკურორის სანქცია არის პროკურორის მიერ გამომძიებლის, ქვემდგომი პროკურორის დადგენილების დამტკიცება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

50. სისხლის სამართლის საქმე არის:

– საგამოძიებო მოქმედების ოქმების,

– სასამართლო მოქმედების ოქმების,

– სასამართლო განხილვის ოქმების,

– დოკუმენტების,
– ექსპერტების დასკვნების,
– ნივთიერი მტკიცებულებების,
– სხვა მტკიცებულებების ერთობლიობა.

51. ზიანი არის:
– უშუალო ზიანი;
– ანაცდენი სარგებელი.

52. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის ღამის დროდ (მაგ.: საგამოძიებო მოქმედების ჩატარება ღამით დაუშვებელია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა) ითვლება დრო 22 საათიდან 6 საათამდე.

53. არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია.

54. მცირეწლოვანი არის პირი, რომელსაც 14 წელი არ შესრულებია.

55. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ზოგ შემთხვევაში ადგენს ასევე სხვა ასაკიდან გამომდინარე სპეციალურ წესებს. მაგ.: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დადგენილია 7 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვის განსაკუთრებული წესი; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 456-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 16 წლამდე ასაკის პირები, თუ ისინი არ არიან მხარეები ან მოწმეები, სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვებიან და ა.შ.

56. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეში დამცველის, წარმომადგენლის უფლებამოსილებას ახორციელებს ადვოკატი, რომელსაც, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, უფლება აქვს, საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად ინდივიდუალურად, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად შექმნას საადვოკატო ბიურო (ოფისი, კანტორა, იურიდიული ფირმა და ა.შ.) ამხანაგობის ან იმ სამეწარმეო იურიდიული პირის სახით, რომელშიც არანაკლებ 1 პარტნიორის პასუხისმგებლობა არ არის შეზღუდული. ამასთან, ინფორმაცია საადვოკატო ბიუროს შექმნის შესახებ მისი შექმნიდან 10 დღის ვადაში უნდა წარედგინოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს. ინფორმაციაში უნდა მიეთითოს: საადვოკატო ბიუროს მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ბიუროში გაერთიანებული ადვოკატის (ადვოკატების) ვინაობა და სამართლის ის დარგი, რომელშიც ადვოკატი (ადვოკატები) ეწევა (ეწევიან) საადვოკატო საქმიანობას, ხოლო საადვოკატო ბიუროს ორგანიზებისა და მუშაობის წესსა და სტრუქტურას განსაზღვრავს თავად საადვოკატო ბიურო.

57. სისხლის სამართლის პროცესში კერძო ბრალმდებლად გვევლინება ის დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას სასამართლოში.

58. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, კერძო გამოძიება არის დაცვის მხარის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დაცვისათვის საჭირო მონაცემების შეკრება და მტკიცებულებათა სახით პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის წარდგენა. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული საქმიანობა არ წესრიგდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამცველის მიერ ოფიციალურად წარმოებული გამოძიების გარეთ მოპოვებული მასალები, დოკუმენ-

ტები, ცნობები უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს და შეიძლება წარედგინოს სასამართლოს, როგორც მტკიცებულებანი.

59. წინასწარი გამოძიება არის უფლებამოსილი პირის (გამომძიებლის, პროკურორის) მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა (სისხლის სამართლის საქმის საბრალდებო დასკვნის შედგენის მიზნით პროკურორისთვის გადაგზავნის მომენტამდე ან საპროცესო შეთანხმების დადებამდე), რომლის მიზანია დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების დადგენა და მისი ჩამდენი პირის მხილება.

60. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონებით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების უზრუნველყოფა.

61. დამსწრე არის ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში – პირის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში მოწვეული პირი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის კომენტარები).

62. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გარკვეული მოქმედების განხორციელებას წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით. მაგ.: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრძანებას აღკვეთის ღონისძიების, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების, ქონებაზე ყადაღის დადების, ბრალდებულის ან სხვა პირის სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების, აღკვეთის ღონისძიებათა შეცვლის შესახებ, აგრეთვე დადგენილებას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან, შეცვლასთან ან ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით გაცემული ბრძანების გაუქმების შესახებ გასცემს სასამართლო, წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამოძიების ადგილად მიიჩნევს საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის განთავსების ადგილს.

63. საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების მიზნებისათვის გადაცემა არის სახელმწიფოს მიერ პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად.

64. საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების მიზნებისათვის ექსტრადიცია არის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსათვის პირის გადაცემა, საერთაშორისო ხელშეკრულების ან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

65. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის თანამდებობის პირი (რომლის მიმართაც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი) შეიძლება იყოს:

– „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი (მაგ.: მინისტრი, მისი მოადგილე და ა.შ., ანუ ის პირი, რომელიც ავსებს თანამდებობის პირის

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასა და თანამდებობის პირის საფინანსო დეკლარაციას);

– საჯარო მოხელე;

– საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე;

– საწარმოში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს წილის (აქციათა) 50%-ს ან 50%-ზე მეტს, ხელმძღვანელობითი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

66. ამასთან, თანამდებობის პირის მიმართ უნდა მიმდინარეობდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ანუ გამოტანილი უნდა იყოს მისი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება.

67. თანამდებობის პირს ბრალად უნდა ედებოდეს ის დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში.

68. აღსანიშნავია, რომ თანამდებობის პირი ბრალდებული უნდა იყოს არა ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში, არამედ – მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, ეს არის:

– სამოხელეო დანაშაული;

– სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;

– უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია;

– გამოძალვა;

– მითვისება;

– გაფლანგვა;

– გადასახადებისაგან თავის არიდება;

– საბაჟო წესების დარღვევა.

69. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის პირის თანამდებობის პირად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ამ მომენტისათვის იგი კვლავ განაგრძობს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას, თუ გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

70. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის ქონების ჩამორთმევა ნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით დადგენილი დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

71. დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს ეჭვმიტანილისთვის, ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან ამისათვის რაიმე სახით გამიზნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. ამასთან, დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ხდება სასამართლოს მიერ, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დანაშაულის საგანი ან/და იარაღი ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და მათი ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და

თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ანდა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

72. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისთვის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების (ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ასევე – იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც იძლევა უფლებას ქონებაზე), აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული ნებისმიერი ფორმის შემოსავლების ან მათი ღირებულების ეკვივალენტი ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევას სასამართლო ახდენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული.

73. სისხლის სამართლის კოდექსის 17[1] მუხლიდან (რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი) და 224[1] მუხლიდან (რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა) გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე განმარტავს რეკეტის, რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირისა და რეკეტული ქონების ცნებებს.

74. რეკეტი არის შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმართული, მრავალჯერ განხორციელებული და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა.

75. რეკეტულ დაჯგუფებად ითვლება თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული:

– იურიდიული პირი;

– ფიზიკურ პირთა ნებისმიერი გაერთიანება;

– იურიდიულ პირთა ნებისმიერი გაერთიანება;

– ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ნებისმიერი გაერთიანება.

76. რეკეტირი არის პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად:

– ან წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას,

– ან სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა,

– ან უკანონოდ წყვეტს რეკეტულ დაჯგუფებათა შორის დავებს,

– ან უკანონოდ წყვეტს რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავებს,

– ან უკანონოდ მონაწილეობს რეკეტულ დაჯგუფებათა შორის დავების გადაწყვეტაში,

– ან უკანონოდ მონაწილეობს რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავების გადაწყვეტაში.

77. რეკეტული ქონება არის:

– რეკეტიდან მიღებული ქონება;

– რეკეტიდან მიღებული ქონებიდან მიღებული შემოსავალი;

– რეკეტიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება;

– რეკეტული დაჯგუფების შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტირის შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტირის ოჯახის წევრის შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტირის ახლო ნათესავის შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტირთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტული დაჯგუფების ქონება, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტირის ქონება, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტირის ოჯახის წევრის ქონება, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტირის ახლო ნათესავის ქონება, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტირთან დაკავშირებული პირის ქონება, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტული დაჯგუფების ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტირის ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტირის ოჯახის წევრის ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტირის ახლო ნათესავის ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

– რეკეტირთან დაკავშირებული პირის ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

78. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არის:

— ბრალდებული, რომლის მიმართაც განიხილება საქართველოში ექსტრადიციის საკითხი;

– პირი, რომლის მიმართაც განიხილება საზღვარგარეთ ექსტრადიციის საკითხი.

79. საექსტრადიციო პატიმრობა არის პატიმრობა, რომელიც გამოიყენება საზღვარგარეთ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის უზრუნველსაყოფად.

80. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომელი არის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების თანამშრომელი. ამასთან:

– მისი ვინაობა გასაიდუმლოებულია;

– ის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობს ფსევდონიმით;

– ის უფლებამოსილია, ჩვენება მისცეს მხოლოდ შეცვლილი გარეგნობით ან ხმით.

81. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განმარტავს საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას.

82. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა არის სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა, რაც გამოწვეულია:

– ავადმყოფობით;

– ახლო ნათესავის გარდაცვალებით;

– სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას.

83. ამასთან, ავადმყოფობის დამადასტურებული დოკუმენტი:

– გაცემული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი სპეციალისტის მიერ;

– ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ;

– დამოწმებული უნდა იყოს ბეჭდით.

84. ავადმყოფობის დამადასტურებული დოკუმენტი პირდაპირ უნდა უთითებდეს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სისხლის სამართლის პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

85. ნიშანდობლივია, რომ წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე შეტყობინება უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის გამართვამდე არა უგვიანეს 48 საათში.

86. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.

87. ზემოაღნიშნული პირობებიდან თუნდაც ერთის დაუცველობა იწვევს იმას, რომ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა არ ჩაითვლება საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად.

კარი მეორე
სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი

თავი VI
სასამართლო

მუხლი 45. სასამართლო როგორც მართლმსაჯულების ორგანო

1. **სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი, სასჯელი დაუნიშნოს მხოლოდ დამნაშავეს.**
2. **მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა დაუშვებელია. სასამართლო განსჯადობის მიხედვით ვალდებულია განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, წარდგინება, შუამდგომლობა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შემზღუდველი საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ, ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი საჩივარი გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებებისა და აქტების გამო.**
3. **სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ამოწმებენ ქვემდგომი სასამართლოს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებით სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების პრინციპიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ საერთო სასამართლოებს.

2. განსჯადობის მიხედვით საერთო სასამართლო ვალდებულია, განიხილოს:

– სისხლის სამართლის საქმე, რის საფუძველზეც უნდა გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი (რომელიც შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი), ხოლო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში დამნაშავეს, როგორც წესი, დაუნიშნოს სასჯელი;

– სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საკითხი, რის საფუძველზეც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, როგორც წესი, გამოიყენოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

– წარდგინება, შუამდგომლობა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შემზღუდველი საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ;

– მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში დადგენილი წესით შეტანილი საჩივარი გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებებისა და აქტების გამო.

3. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს მხოლოდ სასამართლო, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

4. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

5. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების თაობაზე პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც წესი, საჩივრდება და იგი შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს, როგორც წესი, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ. თუმცა გამონაკლის შემთხვევებში პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება საჩივრდება და იგი შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ. მაგ: ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საჩივარს მისი გადაცემის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის დადგენილების თაობაზე იხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, ხოლო რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შესაბამისი გადაწყვეტილება კერძო საკასაციო საჩივრით საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

6. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის შემაჯამებელი ხასიათის გადაწყვეტილება საჩივრდება და იგი შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ.

7. მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა დაუშვებელია.

მუხლი 46. სასამართლოს უფლებამოსილება

1. **მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შუამდგომლობებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებაზე და ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.**
2. **(ამოღებულია).**
3. **რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებსა და მასალებს კანონით დადგენილი განსჯადობის შესაბამისად. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით ასევე განიხილავს შუამდგომლობებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებაზე, მათი ვადის გაგრძელებაზე და ამ კოდექ-**

სით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ამ კოდექსით დადგენილი წესით წყვეტს განსასჯელის სამართალში მიცემის საკითხს. რაიონული (საქალაქო) სასამართლო ასევე ახორციელებს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

4. სააპელაციო საჩივარს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენსა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.
5. საკასაციო საჩივარს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე, განჩინებასა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.
6. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი განიხილავს საჩივრებსა და წარდგინებებს სისხლის სამართლის საქმეებზე ამ რესპუბლიკის სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, განჩინებისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესახებ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განიხილავს საჩივრებსა და წარდგინებებს სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, განჩინებისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
8. სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება: ბრძანების გაცემა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველ შემდეგ საპროცესო მოქმედებათა შესახებ: ბრალდებულის დაპატიმრება და პატიმრობის ვადის გაგრძელება; ბრალდებულის მიმართ სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება; სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის პირის მოთავსება; საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე და საფოსტო გზავნილზე ყადაღის დადება, მათი შემოწმება და ამოღება; ჩხრეკა და ამოღება; საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ; ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადება, თანამდებობიდან (სამუშაოდან) მათი გადაყენება, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებები.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ.,

№18(25), მუხ.75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2001 წლის 16 მარტის კანონი №815 – სსმ I, 2001 წ., №8, მუხ.29; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხ.213; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხ.223)

1. სისხლის სამართლის საქმეებს პირველი ინსტანციის წესით განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენსა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე შეტანილ სააპელაციო საჩივარს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

3. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე, განჩინებასა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

4. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე, განჩინებასა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე შეტანილი საკასაციო საჩივარი შეიძლება განიხილოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ასევე განიხილავს საჩივრებსა და წარდგინებებს სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, განჩინებისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

6. სასამართლოს უფლებამოსილებას ასევე განეკუთვნება მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველ შემდეგ საპროცესო მოქმედებათა შესახებ ბრძანების გაცემა:

– ბრალდებულის დაპატიმრება, პატიმრობის ვადის გაგრძელება;

– ბრალდებულის მიმართ სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება;

– სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის პირის მოთავსება;

– საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციასა და საფოსტო გზავნილზე ყადაღის დადება, მათი შემოწმება, ამოღება;

– ჩხრეკა, ამოღება;

– საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ;

– ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადება;

– თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებები.

7. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით შუამდგომლობებს (საჩივრებს) განიხილავს:

– მაგისტრატი მოსამართლე („საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლე არის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში);

– რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე (იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე).

8. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით შეტანილ შუამდგომლობებზე (საჩივრებზე) მაგისტრატი მოსამართლისა და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე (ბრძანებაზე ან დადგენილებაზე) შეტანილ საჩივრებს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე.

მუხლი 47. საქმის ერთპიროვნულად და კოლეგიურად განხილვა სასამართლოში

1. მაგისტრატი მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს შუამდგომლობებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებასა და ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმეთა განხილვისათვის, ერთპიროვნულად საქმის განმხილველ მაგისტრატ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ:

ა) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის;

ბ) საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს საჩივრებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებაზე, მათი ვადის გაგრძელებაზე და ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

3. ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია მხარეს მისცეს შესაძლებლობა, წერილობით წარმოადგინოს მოსაზრებები სასამართლოში მხარის მიერ განსახილველად შეტანილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, მუხ.19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 –

სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხ.75; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხ.223; საქართველოს 2005 წლის 25 ნოემბრის კანონი №2129 – სსმ I, 2005 წ., №53, მუხ.349; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. სისხლის სამართლის საქმეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, როგორც წესი, განიხილავს ერთპიროვნულად.

2. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 680-ე მუხლის მე-17 ნაწილის თანახმად, 2007 წლის 1 იანვრიდან რაიონული (საქალაქო) სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეების განხილვა კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით.

3. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენსა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე შეტანილ სააპელაციო საჩივარს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, როგორც წესი, განიხილავს კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 680-ე მუხლის მე-20 ნაწილის შესაბამისად, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განაჩენებსა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე 2007 წლის 1 იანვრამდე შეტანილი საჩივრები შესაძლებელია, სააპელაციო წესით ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ.

5. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე, განჩინებასა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განიხილავს კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით.

6. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე, განჩინებასა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განიხილავს კოლეგიურად, 9 მოსამართლის შემადგენლობით.

7. ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, განჩინებისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ შეტანილ საჩივრებსა და წარდგინებებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განიხილავს კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით.

8. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით შუამდგომლობებს (საჩივრებს) მაგისტრატი მოსამართლე და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე განიხილავენ ერთპიროვნულად.

9. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით შეტანილ შუამდგომლობებზე (საჩივრებზე) მაგისტრატი მოსამართლისა და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე (ბრძანებაზე ან დადგენილებაზე) შეტანილ საჩივრებს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე განიხილავს ერთპიროვნულად.

10. საკითხის (შუამდგომლობის, საჩივრის, სისხლის სამართლის საქმის) ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის ინსტიტუტის შემოტანის პარალელურად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-3 ნაწილის ახლად ჩამოყალიბებული რედაქციის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია, მხარეს მისცეს შესაძლებლობა, წერილობით წარმოადგინოს მოსაზრებები სასამართლოში მხარის მიერ განსახილველად შეტანილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

11. აღნიშნული ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, სასამართლოში მხარის მიერ განსახილველად შეტანილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით მხარისათვის წერილობითი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობის მიცემის ვალდებულება მოსამართლეს (სასამართლოს) წარმოეშობა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში (და არა – შუამდგომლობისა თუ საჩივრის სასამართლოში ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში).

12. ნიშანდობლივია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სისხლის სამართლის საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე ზოგიერთი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრის (და არა – სისხლის სამართლის საქმის) განხილვის შესაძლებლობას. ამასთან, ამ შემთხვევებში იხილება არა შუამდგომლობა, არამედ – სააპელაციო (საკასაციო) საჩივარი.

მუხლი 48. განსჯადობა

1. **არავის არ შეიძლება აღეკვეთოს უფლება მისი საქმე განიხილოს იმ სასამართლომ ან იმ მოსამართლემ, რომლის განსჯადობასაც იგი კანონით განეკუთვნება. განსჯადობის კანონით დადგენილი წესის შეცვლა დაუშვებელია.**
2. **რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადია საქმეები მის სამოქმედო ტერიტორიაზე ჩადენილ ყველა კატეგორიის დანაშაულზე, კერძო ბრალდების საქმეები, შუამდგომლობები მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან და საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარების და მათი ვადის გაგრძელების შესახებ, ასევე საჩივრები გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებებზე და უარყოფილ შუამდგომლობებზე. მოქა-**

ლაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან და საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლო ბრძანების გაცემა, გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებების გამო ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი საჩივრების გადაწყვეტა, გამოძიების ორგანოებისა და პროკურორის მიერ უარყოფილი შუამდგომლობების განხილვა იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება წინასწარი გამოძიება, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. სააპელაციო სასამართლოს განსჯადია სააპელაციო საჩივრები მის სამოქმედო ტერიტორიაზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციით გამოტანილ განაჩენებსა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებებზე.
4. (ამოღებულია).
5. ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სააპელაციო სასამართლოების განსჯადია სააპელაციო საჩივრები მათ სამოქმედო ტერიტორიაზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციით გამოტანილ განაჩენებსა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებებზე, ასევე განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა ახლად გამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

5[1]. (ამოღებულია).

5[2]. სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება ისეთ დანაშაულზე, რომლის ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი (მუხლის ნაწილი) სასჯელად არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსჯავრდებული ითხოვს გამართლებას.

5[3]. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განსჯადია საკასაციო საჩივრები საქართველოს სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა პალატების მიერ გამოტანილ განაჩენებსა და სხვა გადაწყვეტილებებზე, საჩივრები კანონით გათვალისწინებულ, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა ახლად გამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, პრეიუდიციასთან დაკავშირებული და ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვა.

6. სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლოში დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით, ხოლო თუ არსებობს დანაშაულთა ან ერთი დანაშაულის ეპიზოდთა ერთობლიობა, – ყველაზე მძიმე დანაშაულის ან დანაშაულის ეპიზოდის ჩადენის ადგილის მიხედვით.
7. ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია პროკურორის შუამდგომლობით სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადასცეს სხვა სასამართლოს წინასწარი გამოძიების დამთავრების ადგილის ან საქმეში მო-

ნაწილე დაზარალებულთა და მოწმეთა უმრავლესობის ადგილსამყოფელის მიხედვით.

8. **(ამოღებულია).**
9. **თუ სასამართლო ან მოსამართლე დაადგენს, რომ შემოსული საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მისი განჩინებით (დადგენილებით) საქმე გადაეცემა განსჯადობის მიხედვით.**
10. **განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს ზემდგომი სასამართლოს მოსამართლე დასაბუთებული დადგენილებით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2000 წლის 28 ივნისის კანონი №411 – სსმ I, 2000 წ., №26, მუხ.73; საქართველოს 2003 წლის 26 აგვისტოს კანონი №3093 – სსმ I, 2003 წ., №28, მუხ.202; საქართველოს 2004 წლის 24 თებერვლის კანონი №3381 – სსმ I, 2004 წ., №5, მუხ.12; საქართველოს 2004 წლის 30 ივნისის კანონი №308 – სსმ I, 2004 წ., №20, მუხ.103; საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №809 – სსმ I, 2004 წ., №39, მუხ.188; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხ.213; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხ.223)

1. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. შესაბამისად, განსჯადობის კანონით დადგენილი წესის შეცვლა, როგორც წესი, დაუშვებელია.

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადია:

– სისხლის სამართლის საქმეები მის სამოქმედო ტერიტორიაზე ჩადენილ ყველა კატეგორიის დანაშაულზე;

– კერძო ბრალდების საქმეები;

3. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, ასევე:

– შუამდგომლობები მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასა და სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარებისა და მათი ვადის გაგრძელების შესახებ;

– საჩივრები გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებებსა და უარყოფილ შუამდგომლობებზე.

4. მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასა და სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ სასამართლო ბრძანების გაცემა, გამომძიებლისა და

პროკურორის უკანონო მოქმედებების გამო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად შეტანილი საჩივრების გადაწყვეტა, გამოძიების ორგანოებისა და პროკურორის მიერ უარყოფილი შუამდგომლობების განხილვა, როგორც წესი, იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ტარდება წინასწარი გამოძიება, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ზოგიერთ გამონაკლისს. მაგ.: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადაუდებელ შემთხვევაში მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებული ამოღების, ჩხრეკის, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერების შესახებ პროკურორმა 24 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს და სისხლის სამართლის საქმის მასალები გადასცეს იმ მაგისტრატ მოსამართლეს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – იმ შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება. ამასთან, შესაძლებელია, აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენდეს წინასწარი გამოძიების ტერიტორიას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის კომენტარები).

5. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განსჯადია სააპელაციო საჩივრები თავის სამოქმედო ტერიტორიაზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენებსა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს სააპელაციო გასაჩივრების დაუშვებლობის შესაძლებლობას, კერძოდ: სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილება ისეთ დანაშაულზე, რომლის ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი (მუხლის ნაწილი) სასჯელად არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას (მაგ.: ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღის დამზადების ან გამოყენების წესის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი), ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა (სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილი) და ა.შ.). მაგრამ ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც მიუხედავად ზემოაღნიშნული შემთხვევისა, სააპელაციო გასაჩივრება დაიშვება, თუმცა მხოლოდ მაშინ, როდესაც მსჯავრდებული ითხოვს გამართლებას.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განსჯადია:

– საკასაციო საჩივრები საქართველოს სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა პალატების მიერ გამოტანილ განაჩენებსა და სხვა გადაწყვეტილებებზე;

– საჩივრები პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე (საუბარია ამჟამად გაუქმებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის, საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილ შემაჯამებელ გადაწყვეტილებებზე);

– განაჩენებისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა ახლად გამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

– პრეიუდიციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვა. მაგ.: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259[1] მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართლის ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საჩივარს მისი გადაცემის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის დადგენილების თაობაზე იხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, რომლის შესაბამისი გადაწყვეტილება საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259[1] მუხლის კომენტარები).

8. სისხლის სამართლის საქმე განიხილება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით.

9. თუ არსებობს დანაშაულთა ერთობლიობა, სისხლის სამართლის საქმე განიხილება ყველაზე მძიმე დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

10. თუ არსებობს ერთი დანაშაულის ეპიზოდთა ერთობლიობა, სისხლის სამართლის საქმე განიხილება დანაშაულის ყველაზე მძიმე ეპიზოდის ჩადენის ადგილის მიხედვით – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

11. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ გამონაკლის შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმე განიხილოს იმ რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ, რომლის ტერიტორიაზეც არ ჩადენილა დანაშაული. ამისათვის, პირველ ყოვლისა, აუცილებელია, არსებობდეს პროკურორის შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმის განსახილველად სხვა სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ.

12. ამ შემთხვევაში სხვა სასამართლო შეიძლება იყოს რაიონული (საქალაქო) სასამართლო:

– წინასწარი გამოძიების დამთავრების ადგილის მიხედვით, ან

– სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე დაზარალებულთა და მოწმეთა უმრავლესობის ადგილსამყოფლის მიხედვით.

13. პროკურორის ამ სახის შუამდგომლობას განიხილავს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე.

14. ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია (და არა – ვალდებული), დააკმაყოფილოს აღნიშნული შუამდგომლობა.

15. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ამ სახის შუამდგომლობის განცხადება, განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია მხოლოდ პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის განსჯადობის მიხედვით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გადაგზავნის სტადიაზე, ანუ დაუშვებელია შესაბამის განსჯად რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის შესვლის შემდეგ აღნიშნული შუამდგომლობის განცხადება და განხილვა-გადაწყვეტა, რადგან ამ შემთხვევაში ფაქტობრივად მოხდება სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის სისხლის სამართლის საქმის განხილვისაგან ჩამოცილება, რაც, საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი (საქმეში მოსამართლის, პროკურორის,

გამომძიებლისა და სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი) კი მოსამართლის სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებად ზემოაღნიშნულს არ ითვალისწინებს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის კომენტარები).

16. თუ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) დაადგენს, რომ სისხლის სამართლის საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მაშინ მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით) სისხლის სამართლის საქმე გადაეცემა განსჯადობის მიხედვით.

17. თუ სისხლის სამართლის საქმე ერთი სასამართლოდან განსჯადობის მიხედვით გადაეცემა მეორე სასამართლოს და მეორე მოსამართლე (სასამართლო) დაადგენს, რომ სისხლის სამართლის საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მაშინ მეორე მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით) სისხლის სამართლის საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცემა ზემდგომ სასამართლოს. ამასთან, შესაძლებელია ისიც, განსჯადობის შესახებ დავა წამოწყებულ იქნეს იმ საფუძვლით, რომ მეორე მოსამართლე (სასამართლო) განსჯად სასამართლოდ მიიჩნევდეს არა პირველ სასამართლოს, არამედ – სხვა სასამართლოს.

18. განსჯადობის შესახებ დავას დადგენილებით წყვეტს ზემდგომი სასამართლოს მოსამართლე. ამასთან, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, განსჯადობის შესახებ დავას, როგორც წესი, წყვეტს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე. მაგ.: რაიონულ სასამართლოებს შორის არსებულ განსჯადობის შესახებ დავას, როგორც წესი, წყვეტს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე და ა.შ.

მუხლი 49. სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა

1. **სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.**
2. **სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია თავი შეიკავოს ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა ძიებისაგან, გაითვალისწინოს, რომ მტკიცებულებათა აღმოჩენა, წარმოდგენა და გამოკვლევა მხარეთა კომპეტენციას განეკუთვნება.**
3. **თუ მხარეს ან მხარეებს უძნელდებათ მტკიცებულებათა აღმოჩენა და წარდგენა, სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია ხელი შეუწყოს მათ მტკიცებულებათა გამოთხოვაში.**

1. სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა სასამართლოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი პოსტულატია.

2. მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია:

– რომელიმე მხარისათვის უპირატესობის მინიჭების გარეშე, მხარეებს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები;

– თავი შეიკავოს მტკიცებულებათა ძიებისაგან, ხოლო თუ მხარეს უძნელდება მტკიცებულებათა აღმოჩენა-წარდგენა, დაეხმაროს მას მტკიცებულებათა გამოთხოვაში

(იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15, 439-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 50. სასამართლოს კერძო განჩინება (დადგენილება). სასამართლო დავალება

1. **სასამართლოს სათანადო საფუძვლის არსებობისას გამოაქვს კერძო განჩინება (დადგენილება), რომლითაც სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, პოლიტიკური გაერთიანების ან თანამდებობის პირის ყურადღებას მიაქცევს საქმეზე დადგენილ კანონის დარღვევის ფაქტზე, დანაშაულის ჩადენის მიზეზსა და ხელშემწყობ პირობებზე, რომლებიც საჭიროებს სათანადო ზომების მიღებას.**
2. **კერძო განჩინება (დადგენილება) შეიძლება აგრეთვე გამოიტანოს სასამართლომ მოქალაქეთა უფლებების დარღვევისა თუ კანონის სხვა დარღვევათა გამოვლენისას, რომლებიც დაშვებული იყო წინასწარი გამოძიების ან ქვემდგომი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას.**
3. **სასამართლოს შეუძლია კერძო განჩინებით (დადგენილებით) აცნობოს შესაბამის საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას მოქალაქის მიერ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისას მაღალი შეგნებულობის, ვაჟკაცობის გამოვლენის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულის აღკვეთას ან გახსნას.**
4. **კერძო განჩინების (დადგენილების) გამო არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში მიღებულ უნდა იქნეს საჭირო ზომები, ხოლო შედეგები ეცნობოს სასამართლოს.**
5. **სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება აქვს ცალკეული საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად დავალება გაუგზავნოს იმავე ან ქვემდგომ სხვა სასამართლოს (მოსამართლეს), თუ ამ მოქმედების ჩატარება შეუძლებელია სასამართლო განხილვის ადგილას.**
6. **(ამოღებულია).**
7. **(ამოღებულია).**
8. **უცხო სახელმწიფოს სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოში სასამართლო შუამდგომლობის გაგზავნის წესს განსაზღვრავს საქართველოსა და ამ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება სამართლებრივი დახმარების შესახებ.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხ.272)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს მოსამართლის (სასამართლოს) მიერ კერძო დადგენილების (განჩინების) გამოტანის შესაძლებლობას.

2. შესაბამისი საფუძვლების არსებობისას მოსამართლეს გამოაქვს კერძო დადგენილება, ხოლო სასამართლოს – კერძო განჩინება:

– წინასწარი გამოძიებისას დაშვებულ მოქალაქეთა უფლებების დარღვევის გამო;

– წინასწარი გამოძიებისას დაშვებულ კანონის სხვა დარღვევების გამო;

– ქვემდგომი სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დაშვებულ მოქალაქეთა უფლებების დარღვევის გამო;

– ქვემდგომი სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დაშვებულ კანონის სხვა დარღვევების გამო;

– რითაც მიაქცევს სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, პოლიტიკური გაერთიანების ან თანამდებობის პირის ყურადღებას სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი კანონის დარღვევის ფაქტზე, რაც საჭიროებს სათანადო ზომების მიღებას;

– რითაც მიაქცევს სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, პოლიტიკური გაერთიანების ან თანამდებობის პირის ყურადღებას დანაშაულის ჩადენის მიზეზსა და მის ხელშემწყობ პირობებზე, რაც საჭიროებს სათანადო ზომების მიღებას;

– რითაც აცნობებს შესაბამის საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას მათი თანამშრომლის მიერ მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი მაღალი შეგნებისა და საზოგადოებრივი აქტიურობის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულის აღკვეთას;

– რითაც აცნობებს შესაბამის საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას მათი თანამშრომლის მიერ მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი მაღალი შეგნებისა და საზოგადოებრივი აქტიურობის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას.

3. კერძო დადგენილება (კერძო განჩინება) გამოტანისთანავე დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს შესაბამის ადრესატს (ორგანოს, დაწესებულებას, თანამდებობის პირს).

4. კერძო დადგენილების (კერძო განჩინების) ადრესატი ვალდებულია, არა უგვიანეს ერთ თვეში გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები და შედეგები აცნობოს კერძო დადგენილების (კერძო განჩინების) გამომტან მოსამართლეს (სასამართლოს).

5. თუ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე საპროცესო მოქმედების ჩატარება შეუძლებელია, მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, ამ საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად დავალება გაუგზავნოს სხვა სასამართლოს (მოსამართლეს).

6. აღნიშნული სასამართლო დავალება შეიძლება გაეგზავნოს მხოლოდ იმავე ინსტანციის ან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს.

7. დაუშვებელია სასამართლო დავალება გაეგზავნოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. მაგ.: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, სასამართლო დავალება გაუგზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ან ნებისმიერ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს (და არა – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას).

8. უცხო სახელმწიფოს სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოში სასამართლო შუამდგომლობის გაგზავნის წესი განისაზღვრება საქართველოსა და ამ სახელმწიფოს შორის სამართლებრივი დახმარების შესახებ დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 51. მოსამართლეთა თანასწორობა საქმის განხილვისას

სასამართლო კოლეგიის ყველა მოსამართლეს საქმის განხილვისას მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების თანაბარი უფლება აქვს.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის საქმის კოლეგიური შემადგენლობით განხილვის შემთხვევაში ყველა მოსამართლე თანაბარი უფლებით სარგებლობს. არავითარი განსხვავება სასამართლო სხდომის თავმჯდომარისა და დანარჩენი მოსამართლეების უფლებამოსილებებს შორის არ არსებობს. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ერთადერთი „უპირატესობა“ არის ის, რომ მოსამართლეთა თათბირისას სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-500 მუხლის კომენტარები).

მუხლი 52. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე წარმართავს სხდომას, მოსამართლეთა თათბირის მიმდინარეობას; მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, დაუბრკოლებლად წარმოადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებანი; განხილვას განარიდებს ყველაფერს, რასაც კავშირი არა აქვს საქმესთან; უზრუნველყოფს კანონიერებასა და სამართლიანობას საქმის განხილვისას; მხარეებს განუმარტავს მათ უფლებებს; სხდომის დარბაზიდან აძევებს წესრიგის დამრღვევს და აკისრებს მას ფულად ჯარიმას ამ კოდექსით დადგენილი წესითა და ოდენობით.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის საქმის კოლეგიური შემადგენლობით განხილვისას სასამართლო სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილებას, როგორც წესი, ახორციელებს სისხლის სამართლის საქმის მომხსენებელი მოსამართლე.

2. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე:

– წარმართავს სასამართლო სხდომას;

– წარმართავს მოსამართლეთა თათბირს;

– აძლევს მხარეებს მტკიცებულებათა წარმოდგენისა და გამოკვლევის შესაძლებლობას;

– სისხლის სამართლის საქმის განხილვას განარიდებს ყველაფერს, რასაც კავშირი არა აქვს სისხლის სამართლის საქმესთან;

– არის სისხლის სამართლის საქმის განხილვისას კანონიერებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის გარანტი;

– მხარეებს განუმარტავს თავიანთ უფლებებს;

– უზრუნველყოფს სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 53. მოსამართლის თანაშემწე

მოსამართლის თანაშემწე მოსამართლის დავალებით ამზადებს სისხლის სამართლის საქმეს სასამართლო სხდომაზე განსახილველად, პროცესის მონაწილეებს ატყობინებს სასამართლო სხდომის დროსა და ადგილს, ამზადებს სასამართლო გადაწყვეტილების პროექტებს, აგრეთვე საპროცესო დოკუმენტების ასლებს და, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მათ გადასცემს სამართალწარმოების მონაწილეებს, უზრუნველყოფს ნივთიერ მტკიცებულებათა დაცვა-შენახვას, მოსამართლეს უწევს სხვა ტექნიკურ დახმარებას.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48)

1. მოსამართლის თანაშემწის უფლებამოსილება პირობითად შეიძლება დაიყოს 2 ჯგუფად:

– საორგანიზაციო-ტექნიკური;

– სამართლებრივი.

2. მოსამართლის თანაშემწის საორგანიზაციო-ტექნიკური შინაარსის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

– მოსამართლის დავალებით სისხლის სამართლის საქმის მომზადება სასამართლო სხდომაზე განსახილველად;

– პროცესის მონაწილეებისათვის სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შეტყობინება;

– საპროცესო დოკუმენტების ასლების მომზადება;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, პროცესის მონაწილეებისათვის საპროცესო დოკუმენტების ასლების გადაცემა;

– ნივთიერ მტკიცებულებათა დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა;

– მოსამართლისათვის სხვა სახის ტექნიკური დახმარების გაწევა.

3. მოსამართლის თანაშემწის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის ის, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მას გააჩნია სასამართლო გადაწყვეტილების პროექტის მომზადების უფლებამოსილება, რაც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მოსამართლის თანაშემწის პროფესიულ დაოსტატებას და, მეორე მხრივ, შესაბამის დახმარებას უწევს მოსამართლეს.

მუხლი 54. სასამართლო სხდომის მდივანი

1. **სასამართლო სხდომის მდივანი ამოწმებს, გამოცხადდნენ თუ არა სასამართლო პროცესზე გამოძახებული პირები, და ამის თაობაზე მოახსენებს სასა-**

მართლოს; თავმჯდომარის წინადადებით საჯაროდ კითხულობს საპროცესო დოკუმენტებს, აწარმოებს სასამართლო სხდომის ოქმს.

2. **სასამართლო სხდომის მდივანი ვალდებულია სრულად და სწორად ჩაწეროს ოქმში სასამართლოს მოქმედება და გადაწყვეტილება, აგრეთვე სასამართლო სხდომის ყველა მონაწილის მოქმედება, განცხადება, შუამდგომლობა, ჩვენება და ახსნა-განმარტება. ოქმის მომზადებისას მდივანს უფლება აქვს გამოიყენოს სტენოგრაფია, დიქტოფონი და სხვა ტექნიკური საშუალებანი.**
3. **ოქმის შინაარსის გამო თავმჯდომარესთან უთანხმოების შემთხვევაში მდივანს უფლება აქვს გამოთქვას თავისი შენიშვნა ან შესაგებელი და გაუგზავნოს ისინი განსახილველად ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს.**
4. **თუ ოქმის გამო არსებობს შენიშვნები, სასამართლო სხდომის მდივანი იძლევა ახსნა-განმარტებას.**

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სასამართლო სხდომის მდივანი ვალდებულია, შეადგინოს სასამართლო სხდომის ოქმი, სადაც სრულად და სწორად უნდა ჩაიწეროს როგორც სასამართლოს მოქმედება და გადაწყვეტილება, ასევე – სასამართლო სხდომის ყველა მონაწილის მოქმედება, ჩვენება, განცხადება, შუამდგომლობა.

2. სასამართლო სხდომის მდივანი:

– ამოწმებს, გამოცხადდნენ თუ არა სასამართლო სხდომაზე გამოძახებული პირები;

– სასამართლო სხდომაზე გამოძახებული პირების გამოცხადების თაობაზე მოახსენებს სასამართლოს;

– სასამართლო სხდომის თავმჯდომარის წინადადებით კითხულობს სისხლის სამართლის საქმეში არსებულ საპროცესო დოკუმენტებს.

3. სასამართლო სხდომის ოქმის მომზადებისას სასამართლო სხდომის მდივანი უფლებამოსილია, გამოიყენოს სტენოგრაფია, დიქტოფონი, სხვა ტექნიკური საშუალებები.

4. თუ სასამართლო სხდომის ოქმის შესახებ მხარეებმა გამოთქვეს შენიშვნები, (გამოთქვა მხარემ), შენიშვნებს განიხილავს იმავე სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო), რომელსაც სასამართლო სხდომის მდივანი აძლევს ახსნა-განმარტებას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 455-ე მუხლის კომენტარები).

5. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სხდომის მდივანსა და სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს განსხვავებული პოზიციები აქვთ სასამართლო სხდომის ოქმის შინაარსთან დაკავშირებით, სასამართლო სხდომის მდივანი უფლებამოსილია, თავისი შენიშვნა ან შესაგებელი განსახილველად გაუგზავნოს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს.

თავი VII
პროკურორი

მუხლი 55. პროკურატურა
(საქართველოს 2004 წლის 30 ივნისის კანონი №280 – სსმ I, 2004 წ., №16, მუხ.56)

1. პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა აგრეთვე სრული მოცულობით აწარმოებს დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინასწარ გამოძიებას ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით; ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას; მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში; წარადგენს სამოქალაქო სარჩელს ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით; ასაჩივრებს უკანონო და დაუსაბუთებელ განაჩენს, სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებს.
2. პროკურორი თავის ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმდებელი.
3. პროკურორი თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.
4. კანონის საფუძველზე გამოტანილი პროკურორის დადგენილების, მითითებისა და მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების, თანამდებობის პირების, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.
5. ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შეიტანოს მასში ცვლილება ან შეცვალოს ახლით.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, მუხ.19; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ფუნქციიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პროკურატურა:

– წინასწარი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას;

– სრული მოცულობით ატარებს დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების წინასწარ გამოძიებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლის კომენტარები);

– ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას;

– მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში;

– წარადგენს სამოქალაქო სარჩელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის კომენტარები);

– ასაჩივრებს სასამართლო გადაწყვეტილებას.

2. პროკურორი თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. იგი თავის ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით.

3. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს.

4. პროკურორის დადგენილების, მითითებისა და მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს, თანამდებობის პირის, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

5. ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია:

– გადაწყვეტილება გააუქმოს;

– გადაწყვეტილებაში ცვლილება შეიტანოს;

– გადაწყვეტილება შეცვალოს ახალი გადაწყვეტილებით.

მუხლი 56. პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე

1. **სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას ამ კოდექსით დადგენილი წესით.**
2. **პროკურორი უფლებამოსილია:**

ა) **საქმის გამოძიება დაავალოს წინასწარი გამოძიების ორგანოს ან გამომძიებელს;**

ბ) **მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით. თუ პროკურორი თვითონ აწარმოებს წინასწარ გამოძიებას, მაშინ იგი მოქმედებს ამ კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში;**

გ) **გამომძიებელს, ქვემდგომ პროკურორს მისცეს სავალდებულო მითითებანი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, საგამოძიებო ვერსიათა შემოწმებისა და წინასწარი გამოძიების წარმოებისას წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ;**

დ) მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალები ან სისხლის სამართლის საქმე მთლიანად;
ე) მოითხოვოს ცნობები სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისა და დაპატიმრებული ბრალდებულის შესახებ;
ვ) გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ან მისცეს თანხმობა ასეთი დადგენილების გამოტანაზე, წაუყენოს პირს ბრალდება, მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულის დაკითხვაში ამ კოდექსის 284-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;
ზ) მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, მისი ვადის გაგრძელების ან აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანების მისაღებად;
თ) გააუქმოს გამომძიებლის, ქვემდგომი პროკურორის დადგენილებანი;
ი) ჩამოართვას საქმე ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ მოთხოვნათა დაცვით. საქართველოს გენერალურ პროკურორსა და მის მოადგილეს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე უფლება აქვთ საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად ამოიღონ ნებისმიერი საქმე, გადასცენ იგი გამოსაძიებლად პროკურატურის გამომძიებელს ან სხვა საგამოძიებო უწყებას;
კ) ჩამოაშოროს გამომძიებელი საქმის შემდგომ გამოძიებას;
ლ) შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა, აგრეთვე შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება, თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძვლები;
მ) დაუბრუნოს გამომძიებელს საქმე დამატებითი გამოძიებისათვის;
ნ) შეადგინოს საბრალდებო დასკვნა ან დადგენილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ და წარმართოს საქმე სასამართლოში;
ო) გადაწყვიტოს საჩივარი გამომძიებლის მოქმედებისა და დადგენილების გამო, ხოლო მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში საჭირო ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს;
პ) ამ კოდექსის 679[1] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე;
ჟ) ამ კოდექსის 37[1] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღძრას სარჩელი ბრალდებული თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით;
რ) განახორციელოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

3. საქართველოს გენერალური პროკურორი უფლებამოსილია მოსამართლის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების შესახებ

ბრძანების მიღების თაობაზე მოტივირებული შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. დაუშვებელია მოსამართლის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელება სასამართლოს სათათბირო ოთახში.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხ.75; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხ.63; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. წინასწარი გამოძიების სტადიაზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის მიზნითა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად, პროკურორი უფლებამოსილია:

– სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაავალოს წინასწარი გამოძიების ორგანოს ან გამომძიებელს;

– მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

– თვითონ, როგორც გამომძიებელმა, წარმართოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის კომენტარები);

– გამომძიებელს, ქვემდგომ პროკურორს მისცეს სავალდებულო მითითებები:

ა) საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ;

ბ) საგამოძიებო ვერსიის შემოწმების შესახებ;

გ) წინასწარი გამოძიების დროს წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ;

– მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალები ან სისხლის სამართლის საქმე მთლიანად;

– მოითხოვოს ცნობები სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისა და დაპატიმრებული ბრალდებულის შესახებ;

– გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ;

– გამომძიებელს მისცეს თანხმობა პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანაზე;

– წაუყენოს პირს ბრალდება;

– მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულის დაკითხვაში, თუ:

ა) მას ეს საჭიროდ მიაჩნია;

ბ) ბრალდებული არასრულწლოვანია;

გ) ბრალდებული ყრუ-მუნჯია;

დ) ბრალდებული სისხლის სამართლის პროცესის ენის არმცოდნეა;

ე) ბრალდებულს წარდგენილი აქვს ისეთი ბრალდება, რომელზეც შეიძლება დაენიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა;

ვ) ბრალდებული ან მისი წარმომადგენელი შუამდგომლობს ამის თაობაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის კომენტარები);

– მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, მისი ვადის გაგრძელების, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ მოსამართლის ბრძანების მისაღებად;

– მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანების მისაღებად;

– გააუქმოს გამომძიებლის დადგენილება;

– გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის დადგენილება;

– საგამოძიებო ქვემდებარეობის წესების დაცვით ჩამოართვას სისხლის სამართლის საქმე ერთ გამომძიებელს და გადასცეს იგი მეორე გამომძიებელს;

– სისხლის სამართლის საქმის შემდგომ გამოძიებას ჩამოაშოროს გამომძიებელი;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას შეწყვიტოს წინასწარი გამოძიება;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და წინასწარი გამოძიება;

– სისხლის სამართლის საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნოს გამომძიებელს;

– შეადგინოს საბრალდებო დასკვნა;

– შეადგინოს დადგენილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ;

– სისხლის სამართლის საქმე წარმართოს განსახილველად სასამართლოში;

– განიხილოს და გადაწყვიტოს საჩივარი გამომძიებლის მოქმედების თაობაზე, ხოლო მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს;

– განიხილოს და გადაწყვიტოს საჩივარი გამომძიებლის დადგენილების თაობაზე, ხოლო მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს;

– ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და, შესაბამისად, სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679[1] მუხლის კომენტარები);

– აღძრას სარჩელი ბრალდებული – თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37[1] მუხლის კომენტარები);

– განახორციელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

2. საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ამოღებისა და ამ სისხლის სამართლის საქმის გამოსაძიებლად პროკურატურის გამომძიებლის ან სხვა საგამოძიებო უწყებისათვის გადაცემის უფლება აქვს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე:

– საქართველოს გენერალურ პროკურორს;
– საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს;
– ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს.

3. მოსამართლის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების შესახებ ბრძანების მიღების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისადმი მოტივირებული შუამდგომლობით მიმართვის უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს გენერალურ პროკურორს.

4. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იცავს რა მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოებას, დაუშვებელად მიიჩნევს მოსამართლის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელებას, მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოებასთან დაკავშირებით.

მუხლი 57. პროკურორის უფლებამოსილებანი სასამართლოში

1. **პროკურორი სასამართლოში გამოდის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. მას ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა.**
2. **პროკურორი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულებანი არ ადასტურებენ ბრალდებას. ბრალდებაზე პროკურორის უარი დასაბუთებული უნდა იყოს.**
3. **პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაში. მას უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, წარმოადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვაში, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების, დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების და სხვა საკითხების განხილვაში.**
4. **პირველი ინსტანციისა და სააპელაციო წარმოების სტადიებზე პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საჯარო ბრალდების ყველა საქმის განხილვაში. იგი უფლებამოსილია: განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება; წარადგინოს მტკიცებულებანი და მონაწილეობა მიიღოს დაცვის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში; გამოთქვას აზრი სასამართლო განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხზე; მონაწილეობა მიიღოს მხარეთა კამათში და სასამართლოს გააცნოს თავისი პოზიცია ბრალდების დამტკიცების, ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის, განსასჯელის შერაცხაობის, სასჯელის სახისა და ზომის დანიშვნის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განსასჯელის განთავისუფლების შესახებ.**
5. **საკასაციო წარმოების სტადიაზე პროკურორი მხარს უჭერს თავის საჩივარს ან გამოთქვამს აზრს იმ საჩივრების შესახებ, რომლებიც სამართალწარმოების სხვა მონაწილეებმა შეიტანეს.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 –

სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სახელმწიფო ბრალმდებლად გამოდის პროკურორი.

2. რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში საჯარო სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობს პროკურორი, რომელსაც ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა. პროკურორი უფლებამოსილია:

– განაცხადოს შუამდგომლობა;

– განაცხადოს აცილება;

– წარადგინოს მტკიცებულებები;

– მონაწილეობა მიიღოს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში;

– გამოთქვას აზრი სასამართლო განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხზე;

– მონაწილეობა მიიღოს მხარეთა კამათში და სასამართლოს გააცნოს თავისი პოზიცია:

ა) ბრალდების დამტკიცების შესახებ;

ბ) ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის შესახებ;

გ) განსასჯელის შერაცხაობის შესახებ;

დ) სასჯელის სახისა და ზომის დანიშვნის შესახებ;

ე) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განსასჯელის განთავისუფლების შესახებ.

3. პროკურორი ვალდებულია, სახელმწიფო ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ თქვას დასაბუთებული უარი, თუ შეკრებილი მტკიცებულებები არ ადასტურებენ ბრალდებას. ამასთან, პროკურორს ასევე უფლება აქვს, განსასჯელისათვის უფრო მძიმე ბრალდების წარდგენის მიზნით მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიებისათვის გაგზავნა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე, 446-ე, 501-ე მუხლების კომენტარები);

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატასა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას პროკურორი:

– მხარს უჭერს თავის საჩივარს;

– გამოთქვამს აზრს პროცესის სხვა მონაწილის მიერ შეტანილი საჩივრის თაობაზე.

თავი VIII
გამომძიებელი

მუხლი 58. გამომძიებლის სტატუსი

1. გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია აწარმოოს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიება.
2. წინასწარი გამოძიების წარმოებისას ყველა გადაწყვეტილებას გამოძიების მიმართულების, საგამოძიებო ვერსიათა წამოყენებისა და შემოწმების, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ გამომძიებელი იღებს დამოუკიდებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონით გათვალისწინებულია მოსამართლის ბრძანება ან პროკურორის თანხმობა, და პასუხს აგებს მათი სრულად და დროულად ჩატარებისათვის.
3. გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, გამოავლინოს ბრალდებულის მამხილებელი და გამამართლებელი გარემოებები, აგრეთვე ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოებები.
4. გამომძიებელი ვალდებულია შეასრულოს პროკურორის წერილობითი მითითებები. თუკი გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებებს ბრალდების მოცულობის, ქმედების კვალიფიკაციის, საგამოძიებო ვერსიების, შემოწმების, ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, მას უფლება აქვს საქმე და თავისი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს, რომელიც აუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებებს ან გამოძიებას სხვა გამომძიებელს ავალებს. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხებზე საბოლოოა.
5. კანონის შესაბამისად გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულება სავალდებულოა ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის. გამომძიებლის დადგენილების შეუსრულებლობა იწვევს კანონით დაწესებულ პასუხისმგებლობას.

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის საქმის წინასწარ გამოძიებას წარმართავს გამომძიებელი.
2. გამომძიებელი, როგორც წესი, წინასწარი გამოძიებისას დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას:

– გამოძიების მიმართულების შესახებ;

– საგამოძიებო ვერსიის წამოყენების შესახებ;

– საგამოძიებო ვერსიის შემოწმების შესახებ;

– საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გამომძიებლის ზოგიერთ გადაწყვეტილებასა და მოქმედებასთან დაკავშირებით პროკურორის თანხმობის ან მოსამართლის ბრძანების არსებობის სავალდებულობას. მაგ.: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება გამომძიებელს გამოაქვს პროკურორის თანხმობით; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებელი ბინის, მიმოწერის, პირადი ჩანაწერის, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებების საიდუმლოების შეზღუდვასთან, როგორც წესი, ტარდება მოსამართლის ბრძანებით და ა.შ.

4. გამომძიებელი ვალდებულია, წინასწარი გამოძიება წარმართოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გამომძიებელი სისხლის სამართლის პროცესის მხარეს არ წარმოადგენს. ამდენად, გამომძიებელი ვალდებულია, გამოავლინოს ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი გარემოებები, მისი პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

5. გამომძიებლის კანონიერი დადგენილების შესრულება სავალდებულოა ყველა:

– საწარმოსათვის;

– დაწესებულებისათვის;

– ორგანიზაციისათვის;

– თანამდებობის პირისათვის;

– მოქალაქისათვის.

6. გამომძიებლის დადგენილების შეუსრულებლობა იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას.

7. იმის გათვალისწინებით, რომ პროკურატურა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, გამომძიებელი ვალდებულია, შეასრულოს პროკურორის წერილობითი მითითებები.

8. გამომძიებელი უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს პროკურორის წერილობით მითითებებს:

– ბრალდების მოცულობის შესახებ;

– ქმედების კვალიფიკაციის შესახებ;

– საგამოძიებო ვერსიის შესახებ;

– შემოწმების შესახებ;

– ბრალდებულის სახით პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ;

– მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ.

9. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ, თუ გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებებს, მას უფლება აქვს, წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებები და სისხლის სამართლის საქმე, თავის მოსაზრებებთან ერთად, წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს.

10. ზემდგომი პროკურორი ვალდებულია, შეისწავლოს პროკურორის წერილობითი მითითებები, შესაბამისი სისხლის სამართლის საქმე, გამომძიებელის წერილობითი მოსაზრებები, რის საფუძველზეც იგი:

– ან აუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებებს;

– ან წინასწარი გამოძიების ჩატარებას ავალებს სხვა გამომძიებელს.

11. აღნიშნულ საკითხზე გამოტანილი ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 59. გამომძიებლის უფლებამოსილებანი

1. თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძვლები, გამომძიებელი უფლებამოსილია:

ა) (ამოღებულია);

ბ) ჩაატაროს ამ კოდექსში აღნიშნული ყველა საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედება, გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

გ) გამოიყენოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ყველა ღონისძიება, გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

დ) პირს წარუდგინოს დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ამ კოდექსის 284-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით;

ე) (ამოღებულია);

ვ) (ამოღებულია);

ზ) შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების შესაბამის ორგანოებს მისცეს წერილობითი მითითებები დაკავებულთა და დაპატიმრებულთა გამოძიების ადგილას მიყვანის შესახებ;

თ) კანონით დადგენილი წესების დაცვით, ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს მისცეს წერილობითი დავალება ოპერატიულ-სამძებრო და სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით;

ი) საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს რევიზიის, ინვენტარიზაციის, საუწყებო შემოწმების ჩატარება და გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენა;

კ) მოითხოვოს საქმეში თარჯიმნის, სპეციალისტის, ამოსაცნობი პირის მონაწილეობა;

ლ) გამოიტანოს დადგენილება პირის დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ და განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობანი;

მ) უზრუნველყოს დამცველის მონაწილეობა კანონით დადგენილი წესით და შექმნას მისი საქმიანობის ხელშემწყობი პირობები;

ნ) შეასრულოს ბრალდებულისა და დამცველის მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და უზრუნველყოს დამცველის მონაწილეობა მის ჩატარებაში;

ო) გაათავისუფლოს არასმქონენი იურიდიული დახმარების გადასახადისაგან;

პ) გადაწყვიტოს პროცესის მონაწილეთა აცილების შესახებ შუამდგომლობასა და განცხადებაში აღძრული საკითხი და თავისი განმარტებები წარუდგინოს პროკურორს.

ჟ) გამომძიებლის მოქმედებისა და დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საჩივარი და საქმის მასალები პროკურორს ან სასამართლოს;

რ) (ამოღებულია);

ს) (ამოღებულია);

ტ) (ამოღებულია);

უ) გაასაჩივროს პროკურორის მითითება ზემდგომ პროკურორთან.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2003 წლის 26 აგვისტოს კანონი №3093 – სსმ I, 2003 წ., №28, მუხ.202; საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №809 – სსმ I, 2004 წ., №39, მუხ.188; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, წინასწარი გამოძიების ჩატარებისას გამომძიებელი უფლებამოსილია:

– ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება, შესაბამისად გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

– ჩაატაროს სხვა საპროცესო მოქმედება, შესაბამისად გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

– გამოიყენოს სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება, შესაბამისად გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

– პირს წარუდგინოს დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის კომენტარები);

– შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს მისცეს წერილობითი მითითებები დაკავებულთა და დაპატიმრებულთა წინასწარი გამოძიების ადგილას მიყვანის შესახებ;

– ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს მისცეს წერილობითი დავალება ოპერატიულ-სამძებრო და სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ მის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით;

– მოითხოვოს რევიზიის ჩატარება და წინასწარი გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენა;

– მოითხოვოს ინვენტარიზაციის ჩატარება და წინასწარი გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენა;

– მოითხოვოს საუწყებო შემოწმების ჩატარება და წინასწარი გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენა;

– მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმეში თარჯიმნის მონაწილეობა;

– მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმეში სპეციალისტის მონაწილეობა;

– მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმეში ამოსაცნობი პირის მონაწილეობა;

– გამოიტანოს დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ და განუმარტოს მას უფლება-მოვალეობები;

– გამოიტანოს დადგენილება პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ და განუმარტოს მას უფლება-მოვალეობები;

– გამოიტანოს დადგენილება პირის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ და განუმარტოს მას უფლება-მოვალეობები;

– უზრუნველყოს დამცველის მონაწილეობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად და შექმნას მისი საქმიანობის ხელშემწყობი პირობები;

– შეასრულოს ბრალდებულის, მისი დამცველის მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და უზრუნველყოს მის ჩატარებაში დამცველის მონაწილეობა;

– გაათავისუფლოს მატერიალურად უკიდურესად გაჭირვებული პირი იურიდიული დახმარების გადასახადისაგან;

– პროცესის მონაწილის აცილების შესახებ აღძრულ საკითხთან დაკავშირებით თავისი განმარტებები წარუდგინოს პროკურორს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის კომენტარები);

– მისი მოქმედების გასაჩივრების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საჩივარი და სისხლის სამართლის საქმის მასალები პროკურორს ან სასამართლოს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად;

– მისი დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საჩივარი და სისხლის სამართლის საქმის მასალები პროკურორს ან სასამართლოს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად;

– გაასაჩივროს პროკურორის წერილობითი მითითება (წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრებები) ზემდგომ პროკურორთან.

მუხლი 60. (ამოღებულია)

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368)

მუხლი 61. წინასწარი გამოძიების ორგანოები

1. **სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლები.**
2. **ყველა გამომძიებელს, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, აქვს თანაბარი უფლება-მოვალეობანი და მათ მიერ ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით განხორციელებული ყველა საგამოძიებო მოქმედება თანაბარი იურიდიული ძალისაა.**
3. **გამომძიებელს, რომელიც უშუალოდ არ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, პროკურორის დავალებით უფლება აქვს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით განახორციელოს ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო მოქმედება.**

(საქართველოს 2003 წლის 26 აგვისტოს კანონი №3093 – სსმ I, 2003 წ., №28, მუხ.202; საქართველოს 2004 წლის 24 თებერვლის კანონი №3381 – სსმ I, 2004 წ., №5, მუხ.12; საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №809 – სსმ I, 2004 წ., №39, მუხ.188; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარ გამოძიებას ახორციელებენ:
– საქართველოს პროკურატურის გამომძიებლები;
– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის გამომძიებლები;
– საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამომძიებლები;
– საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამომძიებლები;
– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები.

2. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი გამოძიების ორგანოები ხუთ სხვადასხვა უწყებაშია თავმოყრილი, ყველა გამომძიებელს, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვს. ამასთან, სხვადასხვა უწყების გამომძიებლების მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელებული ყველა საგამოძიებო მოქმედება თანაბარი იურიდიული ძალისაა.

3. პროკურორმა შეიძლება, საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დაავალოს იმ გამომძიებელს, რომელიც არ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს. შესაბამისად, ამ გამომძიებელს პროკურორის დავალების საფუძველზე უფლება აქვს, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით განახორციელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ყველა საგამოძიებო მოქმედება.

მუხლი 62. უწყებრივი და პერსონალური საგამოძიებო ქვემდებარეობა

1. **სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.**

2. პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობაშია საქმეები: საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს მოსამართლის, სახალხო დამცველის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, პროკურორის, გამომძიებლის, პროკურატურის მრჩევლის, პოლიციელის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე და 332-ე–342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა თაობაზე.
3. (ამოღებულია).
4. (ამოღებულია).
5. (ამოღებულია).
6. (ამოღებულია).

6[1]. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე, 189-ე, 189[1], 190-ე, 192-ე, 193-ე, 195-ე-201-ე, 204-ე-213-ე, 214-ე (გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილისა), 216-ე–221-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს.

6[2]. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე-359-ე, 383-ე-392-ე, 394-ე-403-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, აგრეთვე, იმ დანაშაულს, რომელიც ჩადენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებში.

6[3]. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342[1], 377-ე-381-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, აგრეთვე სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულებს.

6[4]. თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 383-ე-403-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული ჩადენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის მიერ, დანაშაულს იძიებს ამავე უწყების საგამოძიებო დანაყოფი.

6[5]. თუ არსებობს კონკურენცია პროკურატურისა და ამ კოდექსის 61-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული რომელიმე ორგანოს საგამოძიებო ქვემდებარეობას შორის, გამოძიებას ახორციელებს პროკურატურა.

7. ერთ წარმოებაში რამდენიმე ბრალდების (ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ) გაერთიანებისას საქმეს იძიებს გამომძიებელი, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება უფრო მძიმე დანაშაული.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, მუხ.19; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2000 წლის

5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2000 წლის 28 ივნისის კანონი №411 – სსმ I, 2000 წ., №26, მუხ.73; საქართველოს 2003 წლის 26 აგვისტოს კანონი №3093 – სსმ I, 2003 წ., №28, მუხ.202; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21; საქართველოს 2004 წლის 24 თებერვლის კანონი №3381 – სსმ I, 2004 წ., №5, მუხ.12; საქართველოს 2004 წლის 30 ივნისის კანონი №280 – სსმ I, 2004 წ., №16, მუხ.56; საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №809 – სსმ I, 2004 წ., №39, მუხ.188; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368; საქართველოს 2006 წლის 11 აპრილის კანონი №2835 – სსმ I, 2006 წ., №11, მუხ.76)

1. პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობაშია შემდეგი სისხლის სამართლის საქმეები:

– საქართველოს პრეზიდენტის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– საქართველოს მთავრობის წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– საქართველოს მოსამართლის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– სახალხო დამცველის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– კონტროლის პალატის თავმჯდომარის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– საქართველოს დესპანის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– პროკურორის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– გამომძიებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– პროკურატურის მრჩევლის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე;

– უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი);

– სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი);

– სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი);

– ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო განთავისუფლება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 334-ე მუხლი);

– განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლი);

– უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლი);

– სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 337-ე მუხლი);

– ქრთამის აღება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლი);

– ქრთამის მიცემა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლი);

– ზეგავლენით ვაჭრობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339[1] მუხლი);

– კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 340-ე მუხლი);

– სამსახურებრივი სიყალბე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე მუხლი);

– სამსახურებრივი გულგრილობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლი).

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობაშია შემდეგი სისხლის სამართლის საქმეები:

– მითვისება ან გაფლანგვა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი);

– საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი);

– სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189[1] მუხლი);

– კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლი);

– უკანონო სამეწარმეო საქმიანობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლი);

– ცრუ მეწარმეობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლი);

– მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლი);

– სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლი);

– ფალსიფიკაცია (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლი);

– ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე მუხლი);

– ეკომარკით უკანონო სარგებლობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 199-ე მუხლი);

– მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლი);

– ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან/და გამოყენება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200[1] მუხლი);

– აქციზური მარკების მეორადი გამოყენების მიზნით გასაღება, შეძენა და გამოყენება ან/და მათი სხვა პირისათვის გადაცემა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200[2] მუხლი);

– ყალბი რეკლამა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 201-ე მუხლი);

– უკანონო ქმედება გაკოტრებისას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლი);

– საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გაკოტრებისას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლი);

– განცხადების შეუტანლობა გაკოტრებისას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლი);

– კრედიტის უკანონოდ მიღება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე მუხლი);

– ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღის დამზადების ან გამოყენების წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლი);

– ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლი);

– ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 211-ე მუხლი);

– ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლი);

– ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე მუხლი);

– საბაჟო წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლი), გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილისა;

– საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 216-ე მუხლი);

– საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 217-ე მუხლი);

– გადასახადისათვის თავის არიდება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლი);

– მომხმარებლის მოტყუება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 219-ე მუხლი);

– უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლი);

– კომერციული მოსყიდვა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლი).

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობაშია შემდეგი სისხლის სამართლის საქმეები:

– წვევამდელის მიერ სამხედრო ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე მუხლი);

– სამხედრო ვალდებულის მიერ სასწავლო ან სამხედრო შეკრებისათვის თავის არიდება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 357-ე მუხლი);

– მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 358-ე მუხლი);

– ომიანობის დროს ბეგრის შესრულებისათვის ან გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 359-ე მუხლი);

– უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 383-ე მუხლი);

– უფროსისადმი წინააღმდეგობა ან მისი იძულება, დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 384-ე მუხლი);

– უფროსის მიმართ ძალადობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 385-ე მუხლი);

– ურთიერთდაუქვემდებარებელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 386-ე მუხლი);

– სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 387-ე მუხლი);

– სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 388-ე მუხლი);

– დეზერტირობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 389-ე მუხლი);

– სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუებით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 390-ე მუხლი);

– დასაღუპად განწირული სამხედრო ხომალდის დატოვება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 391-ე მუხლი);

– საბრძოლო მორიგეობის (საბრძოლო სამსახურის) წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 392-ე მუხლი);

– საყარაულო სამსახურის წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 394-ე მუხლი);

– საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის დროს სამსახურის შესრულების წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 395-ე მუხლი);

– შინაგანი სამსახურის წესდებისა და გარნიზონში პატრულირების წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 396-ე მუხლი);

– სამხედრო ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 397-ე მუხლი);

– სამხედრო ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანება ან განადგურება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 398-ე მუხლი);

– სამხედრო ქონების შენახვის წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 399-ე მუხლი);

– მანქანის მართვის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-400 მუხლი);

– საფრენი აპარატის მართვის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 401-ე მუხლი);

– ხომალდის მართვის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 402-ე მუხლი);

– გარშემომყოფისათვის მომეტებული საშიშროების შემცველ იარაღთან მოპყრობის წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 403-ე მუხლი);

– აგრეთვე, იმ დანაშაულზე, რომელიც ჩადენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებში.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობაშია შემდეგი სისხლის სამართლის საქმეები:

– სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამსახურის დადგენილი წესის დარღვევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342[1] მუხლი);

– აღწერილ, დაყადაღებულ ან ჩამორთმევას დაქვემდებარებულ ქონებასთან დაკავშირებული უკანონო ქმედება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377-ე მუხლი);

– სასამართლო აღმასრულებლისათვის ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377[1] მუხლი);

– მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედების შეუსრულებლობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377[2] მუხლი);

– წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლი);

– სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის იზოლატორსა და ჰაუპტვახტში მოთავსებული პირებისათვის აკრძალული საგნების გადაცემა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378[1] მუხლი);

– სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის იზოლატორსა და ჰაუპტვახტში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნების შენახვა, ტარება, სარგებლობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378[2] მუხლი);

– თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან, პატიმრობიდან ან ბადრაგირებისას გაქცევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 379-ე მუხლი);

– თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისათვის თავის არიდება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 380-ე მუხლი);

– განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლი);

– აგრეთვე, იმ დანაშაულზე, რომელიც ჩადენილია სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე.

5. ყველა სხვა შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელი იძიებს აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის მიერ ჩადენილ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 383-403-ე მუხლებით (კარი XIII – დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ) გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულს.

6. თუ წინასწარი გამოძიებისას წარმოიშობა კონკურენცია პროკურატურასა და სხვა ნებისმიერი ორგანოს საგამოძიებო ქვემდებარეობებს შორის, წინასწარ გამოძიებას ახორციელებს პროკურატურა.

7. თუ ერთ წარმოებაში გაერთიანდება რამდენიმე ბრალდება (ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ), სისხლის სამართლის საქმეს იძიებს გამომძიებელი, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება უფრო მძიმე დანაშაული.

მუხლი 63. ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობა

1. **წინასწარ გამოძიებას აწარმოებს გამომძიებელი, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ტერიტორიაზე, სადაც დანაშაული მოხდა.**
2. **თუ ჩადენილია რამდენიმე დანაშაული, საქმეს იძიებს გამომძიებელი, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება ყველაზე მძიმე დანაშაული.**
3. **თუ გამომძიებელი დაადგენს, რომ ეს საქმე არ განეკუთვნება მის საგამოძიებო ქვემდებარეობას, იგი ვალდებულია ჩაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებანი და საქმე გადასცეს პროკურორს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით წარმართვისათვის.**
4. **დავას საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ წყვეტს ზემდგომი პროკურორი.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. წინასწარი გამოძიების უწყებრივი ქვემდებარეობის გარდა, ასევე არსებობს ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის პრინციპიც, რომლის თანახმად, წინასწარ გამოძიებას ატარებს ის გამომძიებელი, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება იმ ტერიტორიაზე, სადაც დანაშაული მოხდა, ანუ წინასწარი გამოძიების ჩატარებისათვის უფლებამოსილი პირის დასადგენად უნდა გაირკვეს როგორც უწყებრივი, ისე – ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხი.

2. შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ წინასწარი გამოძიების დაწყების შემდეგ წინასწარი გამოძიების მწარმოებელმა გამომძიებელმა დაადგინოს, რომ სისხლის სამართლის საქმე არ განეკუთვნება მის საგამოძიებო ქვემდებარეობას (სისხლის სამართლის საქმე სხვა უწყების ან სხვა ტერიტორიულ ერთეულზე არსებული იმავე უწყების ქვემდებარეა). ასეთ შემთხვევაში წინასწარი გამოძიების მწარმოებელი გამომძიებელი ვალდებულია, ჩაატაროს გადაუდებელი, საგამოძიებო მოქმედებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სისხლის სამართლის საქმე გადასცეს პროკურორს, რათა მან სისხლის სამართლის საქმე წარმართოს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით.

3. რამდენიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ამ სისხლის სამართლის საქმეს იძიებს ის გამომძიებელი, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება ყველაზე მძიმე დანაშაული.

4. წინასწარი გამოძიების მწარმოებელ თანამდებობის პირებს შორის საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ დავის წარმოშობის შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს ამ საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობას. ასეთი უფლებამოსილება გააჩნია ზემდგომ პროკურორს, ანუ დავას საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ წყვეტს ზემდგომი პროკურორი.

მუხლი 64. გამომძიებლის დავალება

1. **თუ საჭიროა ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა წარმოება სხვა რაიონში (ქალაქში), გამომძიებელს უფლება აქვს პირადად აწარმოოს ისინი ან მათი წარმოება დაავალოს შესაბამის გამომძიებელს, რომელიც ვალდებულია ეს დავალება შეასრულოს არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.**
2. **უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საგამოძიებო შუამდგომლობის შესრულების წესს განსაზღვრავს საქართველოსა და ამ სახელმწიფოს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება.**
3. **გამომძიებელს უფლება აქვს მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით დაავალოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარება.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხ.75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხ.272)

1. გამომძიებელი უფლებამოსილია, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების (ღონისძიებების) ჩატარება დაავალოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს. ამასთან, გამომძიებლის აღნიშნული დავალება უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ინტერესებიდან.

2. შესაძლებელია, წინასწარი გამოძიების წარმოებისას დღის წესრიგში დადგეს გარკვეული საგამოძიებო მოქმედების (მოქმედებების) სხვა რაიონში (ქალაქში) ჩატარება. ამ შემთხვევაში გამომძიებელს უფლება აქვს:

– ან პირადად ჩაატაროს ეს საგამოძიებო მოქმედება (მოქმედებები);

– ან ამ საგამოძიებო მოქმედების (მოქმედებების) ჩატარება დაავალოს შესაბამის გამომძიებელს.

3. გამომძიებლის აღნიშნული დავალების მიღების შემთხვევაში დავალების მიმღები გამომძიებელი ვალდებულია, არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში შეასრულოს დავალება.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ასევე უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობით მიმართვის შესაძლებლობას, თუმცა ამ სახის შუამდგომლობის შესრულების წესი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების პარალელურად, განისაზღვრება საქართველოსა და ამ სახელმწიფოს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით (შეთანხმებით) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე, 248-ე, 249-ე მუხლების კომენტარები).

თავი IX
(ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

თავი X
დაზარალებული და მისი წარმომადგენელი

მუხლი 68. პირის დაზარალებულად ცნობა

1. დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ანდა, რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა.
2. იმ დანაშაულის საქმეზე, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება მის რომელიმე ახლო ნათესავს. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება წილისყრით.
3. დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შედეგად დაზარალებულად მიიჩნევა აგრეთვე ფიზიკური პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი.
4. დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს – განჩინება.
5. პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს პირი დაზარალებულად ცნოს კამათის დაწყებამდე.
6. თუ სამოქალაქო სარჩელის წარმდგენი დაზარალებული სამოქალაქო მოსარჩელედ იქნა ცნობილი, ეს აისახება განჩინებაში (დადგენილებაში) პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ ან ცალკე გამოტანილ განჩინებაში (დადგენილებაში).
7. დაზარალებული საჯარო ან კერძო-საჯარო ბრალდების საქმის გამო არის სუბსიდიური ბრალმდებელი, ხოლო კერძო ბრალდების საქმის გამო – კერძო ბრალმდებელი. დაზარალებულს სამართალწარმოების ნებისმიერ მომენტში შეუძლია უარი თქვას კერძო ბრალდებაზე ან ბრალდების მხარდაჭერაზე.
8. თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ განჩინების (დადგენილების) გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია გააუქმოს ეს განჩინება (დადგენილება).

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I,

2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხ.213)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული შეიძლება იყოს:

– სახელმწიფო;

– ფიზიკური პირი;

– იურიდიული პირი.

2. ამასთან, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულად ცნობისათვის აუცილებელია ზიანის შესაძლო მიყენების ფაქტის არსებობა, რომელიც შეიძლება მიყენებულ იქნეს უშუალოდ:

– დანაშაულის შედეგად;

– შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად;

– დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებული პირის მიერ.

3. ზიანი შეიძლება იყოს:

– მორალური;

– ფიზიკური;

– ქონებრივი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის კომენტარები).

4. თუ დანაშაულის შედეგად დაზარალებული გარდაიცვალა, მისი უფლებები ენიჭება მის რომელიმე ახლო ნათესავს, რომელიც ხდება დაზარალებულის უფლებამონაცვლე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

5. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულის გარდაცვალების გამო უნდა გადაწყდეს მისი უფლებამონაცვლის დადგენის საკითხი და ერთი დონის ახლო ნათესავებს (მაგ.: დასა და ძმას) შორის ამის თაობაზე არის დავა, დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება წილისყრით.

6. დაზარალებულად მიიჩნევა აგრეთვე ის ფიზიკური პირი, რომელსაც დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შედეგად შეიძლება მისდგომოდა ზიანი.

7. დაზარალებულად (მის უფლებამონაცვლედ) ცნობის შესახებ პროცესის მწარმოებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს შესაბამისი საპროცესო გადაწყვეტილება.

8. დაზარალებულად (მის უფლებამონაცვლედ) ცნობის შესახებ დადგენილება გამოაქვს:

– გამომძიებელს;

– პროკურორს;

– მოსამართლეს.

9. დაზარალებულად (მის უფლებამონაცვლედ) ცნობის შესახებ განჩინება გამოაქვს სასამართლოს.

10. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაზარალებულად ცნობის უფლება აქვს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლეს) სისხლის სამართლის საქმის განხილვისას და ისიც – სასამართლო კამათის დაწყებამდე. თუ პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი გამოვლინდა სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციის

სასამართლოში განხილვისას, სასამართლო კამათის დაწყების შემდეგ, ან სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვისას, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილი არ არის, გამოიტანოს განჩინება (დადგენილება) პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე.

11. დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში აქვს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება. შესაბამისად, თუ პირი დაზარალებულად ცნობის შემდეგ წარადგენს სამოქალაქო სარჩელს, პროცესის მწარმოებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს დადგენილება (განჩინება) დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, ხოლო, თუ პირი დაზარალებულად ცნობამდე წარადგენს სამოქალაქო სარჩელს, მაშინ პროცესის მწარმოებელი ორგანო (თანამდებობის პირი) უფლებამოსილია, გამოიტანოს:

– ან ერთი დადგენილება (განჩინება) პირის დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის თაობაზე;

– ან ცალ-ცალკე დადგენილებები (განჩინებები) პირის დაზარალებულად ცნობისა და პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის თაობაზე.

12. საჯარო ან კერძო-საჯარო ბრალდების სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას დაზარალებული შეიძლება იყოს სუბსიდიური ბრალმდებელი. ამასთან, დაზარალებულს შეუძლია, უარი თქვას ბრალდების მხარდაჭერაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის კომენტარები).

13. კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დაზარალებული არის კერძო ბრალმდებელი. ამასთან, დაზარალებულს შეუძლია, უარი თქვას კერძო ბრალდებაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის კომენტარები).

14. სისხლის სამართლის პროცესში პირის დაზარალებულად ცნობა არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ამ პირის დაზარალებულობის საკითხი დადასტურდება სასამართლო განაჩენით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ, თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ განჩინების (დადგენილების) გამოტანის შემდეგ დადგინდება, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, მაშინ პროცესის მწარმოებელი ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია, გააუქმოს პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ განჩინება (დადგენილება). ამასთან, ეს შეიძლება იყოს პროცესის იმავე მწარმოებელი ორგანო (თანამდებობის პირი) ან თუ ეს საფუძველი გამოვლინდება შემდეგ სტადიაზე – პროცესის სხვა მწარმოებელი ორგანო (თანამდებობის პირი). მაგ.: გამომძიებლის დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ შეიძლება გააუქმოს იმავე გამომძიებელმა, მაგრამ თუ ეს საფუძველი გამოვლინდა სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას, მაშინ გამომძიებლის შესაბამისი დადგენილების გაუქმების უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს (მოსამართლეს).

მუხლი 69. დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის უფლებები

დაზარალებულს ან მის უფლებამონაცვლეს აქვს უფლება:

ა) მიიღოს განმარტება თავის უფლება-მოვალეობათა შესახებ;

ბ) მისცეს ჩვენება და განმარტება;

გ) განაცხადოს აცილება;

დ) განაცხადოს შუამდგომლობანი მტკიცებულებათა გამოთხოვის, სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების, საქმის გარემოებათა შემოწმებისა და სამართალწარმოების დროს წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ;

ე) წარმოადგინოს მტკიცებულებანი;

ვ) საწინააღმდეგო აზრი გამოთქვას პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოქმედებაზე და მოითხოვოს მისი შეტანა საგამოძიებო მოქმედების ოქმში ან სასამართლო სხდომის ოქმში;

ზ) გაასაჩივროს პროკურორთან, საჩივრის უარყოფის შემთხვევაში – ზემდგომ პროკურორთან გამომძიებლის და პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, ხოლო ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევაში – სასამართლოში;

თ) პირისთვის ბრალდების წაყენების შემდეგ იცოდეს მისი არსი;

ი) მონაწილეობა მიიღოს თავისი შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;

კ) საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ გაეცნოს საქმის მთელი მასალის ასლს და ნივთიერ მტკიცებულებებს;

ლ) მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში სამართალში მიცემის სტადიაზე;

მ) მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში: წარმოადგინოს მტკიცებულებანი და გამოიკვლიოს პროცესის სხვა მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებანი; გამოვიდეს კამათში და გამოთქვას აზრი ბრალდების დასაბუთებულობის, ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის სახისა და ზომის, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და გამოთქვას მასზე შენიშვნები;

ნ) გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი თუ სხვა გადაწყვეტილება სააპელაციო ან საკასაციო წესით, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევებში – ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, და გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი პროცესის სხვა მონაწილეთა საჩივრებზე;

ო) უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), საბრალდებო დასკვნის, განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლები, თარგმნილი მისთვის გასაგებ ენაზე, თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

პ) მისცეს ჩვენება და განმარტება მშობლიურ ან მისთვის გასაგებ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით;

ჟ) მონაწილეობა მიიღოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოთა სხდომებში და დაიცვას იქ თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები;

რ) მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

ს) დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული კუთვნილი ქონება;

ტ) იყოლიოს წარმომადგენელი დაზარალებულად ცნობის მომენტიდან და სამართალწარმოების ნებისმიერ მომენტში უარი თქვას მის მომსახურებაზე;

უ) განთავისუფლდეს ადვოკატ-წარმომადგენლის შრომის ანაზღაურებისაგან 71-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ფ) პროცესის მწარმოებელ პირს მოსთხოვოს დაცვის ღონისძიებათა გატარება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და საკუთრებას.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368)

1. დაზარალებული (მისი უფლებამონაცვლე) სისხლის სამართლის პროცესში უფლებამოსილია:

– მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ;

– მისცეს ჩვენება და განმარტება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაზარალებული ვალდებულია, მისცეს ჩვენება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის კომენტარები);

– განაცხადოს აცილება;

– განაცხადოს შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ;

– განაცხადოს შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ;

– განაცხადოს შუამდგომლობა სასამართლო მოქმედების ჩატარების შესახებ;

– განაცხადოს შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შემოწმების შესახებ;

– განაცხადოს შუამდგომლობა პროცესის მიმდინარეობისას წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ;

– წარმოადგინოს მტკიცებულება;

– წინასწარი გამოძიებისას საწინააღმდეგო აზრი გამოთქვას პროცესის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედებაზე და მოითხოვოს მისი შეტანა საგამოძიებო მოქმედების ოქმში;

– სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას საწინააღმდეგო აზრი გამოთქვას პროცესის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედებაზე და მოითხოვოს მისი შეტანა სასამართლო სხდომის ოქმში;

– გაასაჩივროს პროკურორთან, საჩივრის უარყოფის შემთხვევაში – ზემდგომ პროკურორთან გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, სასამართლოში კი – მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში;

– პირისთვის ბრალდების წაყენების შემდეგ იცოდეს მისი არსი;

– მონაწილეობა მიიღოს თავისი შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;

– სისხლის სამართლის საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მთელი მასალის ასლს და ნივთიერ მტკიცებულებებს;

– მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში და:

ა) წარმოადგინოს მტკიცებულებები;

ბ) გამოიკვლიოს სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები;

გ) გამოვიდეს სასამართლო კამათში და გამოთქვას აზრი:

– ბრალდების დასაბუთებულობის შესახებ;

– ქმედების კვალიფიკაციის შესახებ;

– სასჯელის სახისა და ზომის შესახებ;

– სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ;

დ) გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს;

ე) გამოთქვას შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმზე;

– გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი თუ სხვა გადაწყვეტილება სააპელაციო (საკასაციო) წესით, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში – ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო;

– გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეთა საჩივრებზე;

– უფასოდ მიიღოს:

ა) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) ასლი, თარგმნილი მისთვის გასაგებ ენაზე, თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

ბ) წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) ასლი, თარგმნილი მისთვის გასაგებ ენაზე, თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

გ) სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) ასლი, თარგმნილი მისთვის გასაგებ ენაზე, თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

დ) საბრალდებო დასკვნის ასლი, თარგმნილი მისთვის გასაგებ ენაზე, თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

ე) განაჩენის ასლი, თარგმნილი მისთვის გასაგებ ენაზე, თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

ვ) სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი, თარგმნილი მისთვის გასაგებ ენაზე, თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

– მისცეს ჩვენება და განმარტება მშობლიურ ან მისთვის გასაგებ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით;

– მონაწილეობა მიიღოს სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციის სასამართლოს სხდომაში და დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები;

– მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

– დაიბრუნოს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს სისხლის სამართლის საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული კუთვნილი ქონება;

– იყოლიოს წარმომადგენელი დაზარალებულად ცნობის მომენტიდან და სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ მომენტში უარი თქვას მის მომსახურებაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის კომენტარები);

– გათავისუფლდეს ადვოკატ-წარმომადგენლის შრომის ანაზღაურებისაგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის კომენტარები);

– სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) მოსთხოვოს დაცვის ღონისძიებათა გატარება, თუ საფრთხე ემუქრება მის:

ა) სიცოცხლეს;

ბ) ჯანმრთელობას;

გ) საკუთრებას.

– სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) მოსთხოვოს დაცვის ღონისძიებათა გატარება, თუ საფრთხე ემუქრება მისი ახლო ნათესავის:

ა) სიცოცხლეს;

ბ) ჯანმრთელობას;

გ) საკუთრებას.

მუხლი 70. დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის მოვალეობები

1. **დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ვალდებულია გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით, გულახდილად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმესთან დაკავშირებით იცის, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს; არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა პროცესის მწარმოებელმა ორგანომ; დაიცვას ამ კოდექსით დადგენილი წესი წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში.**
2. **დაზარალებულის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება იძულებით მოიყვანონ ამ კოდექსის 173-ე და 176-ე მუხლების შესაბამისად. დაზარალებულის გამოუცხადებლობა საჯარო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეზე არ აბრკოლებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას.**
3. **დაზარალებულს ცრუ ჩვენების მიცემისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად. სისხლისსამართლებრივი დევნა ამ საფუძვლით შეიძლება დაიწყოს მხოლოდ განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.**

4. დაზარალებულის შემოწმება, ექსპერტიზა, დაკავშირებული გაშიშვლებასთან, აგრეთვე სირცხვილის გრძნობის გამომწვევი სხვა მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ დაზარალებულის თანხმობით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხ.213)

1. დაზარალებული (მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია:

– გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირების – გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს გამოძახებით;

– გულახდილად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმესთან დაკავშირებით იცის;

– უპასუხოს დასმულ შეკითხვებს;

– არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილეს პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა;

– დაიცვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი წინასწარი გამოძიების დროს;

– დაიცვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი სასამართლოში.

2. დაზარალებულის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება, იძულებით იქნეს მოყვანილი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე, 174-ე, 175-ე, 176-ე მუხლების კომენტარები).

3. აღსანიშნავია, რომ საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნისა და კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დაზარალებულის გამოუცხადებლობა საჯარო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებზე არ აბრკოლებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას.

4. ცრუ ჩვენების მიცემისათვის დაზარალებულს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად. ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნა ამ საფუძვლით შეიძლება დაიწყოს მხოლოდ საბოლოო განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ დაზარალებულის თანხმობით შეიძლება ჩატარდეს დაზარალებულის:

– შემოწმება, დაკავშირებული გაშიშვლებასთან;

– ექსპერტიზა, დაკავშირებული გაშიშვლებასთან;

– სირცხვილის გრძნობის გამომწვევი სხვა მოქმედება.

6. თუმცა აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 353-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებია დაზარალებულის იძულებითი შემოწმება. ამასთან,

აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეჭვმიტანილი (ბრალდებული) მოითხოვს შემოწმებას დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი ჩვენების გაბათილების მიზნით (მაგ.: ბრალდებული ითხოვს, შემოწმდეს დაზარალებული, რითაც დადასტურდება, რომ დაზარალებულის სხეულზე არ არის სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ის ნიშანი, რაზეც, თავის მხრივ, უთითებს დაზარალებული).

7. დაზარალებულის იძულებით შემოწმება შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით.

მუხლი 71. დაზარალებულის წარმომადგენელი

1. **დაზარალებულის ინტერესებს წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში წარმოადგენს და იცავს ადვოკატი (ადვოკატები).**
2. **თუ დაზარალებული არასრულწლოვანი, ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანია, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 ან/და 143^2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულია, ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა. ამ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს ამ პირის საქმეში ადვოკატის მონაწილეობა, რომლის ხარჯებსაც სახელმწიფო აანაზღაურებს დადგენილი წესით. დაზარალებულის ინტერესები შეიძლება დაიცვას აგრეთვე მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა.**
3. **გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, რომელსაც გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო, სახელმწიფო უზრუნველყოფს არასმქონე დაზარალებულის ინტერესების წარმომადგენლად ადვოკატის მოწვევას სახელმწიფოს ხარჯზე. გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში დაზარალებულისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროცესის მწარმოებელი ორგანო.**
4. **კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მოიწვიოს ადვოკატ-წარმომადგენელი.**
5. **დაზარალებულს შეუძლია უარი თქვას წარმომადგენელზე, მაგრამ ორგანომ, რომელიც პროცესს აწარმოებს, შეიძლება არ მიიღოს უარი, თუ დაზარალებული არასრულწლოვანი, ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანია, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 ან/და 143^2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულია.**
6. **დაზარალებულის წარმომადგენელს აქვს 69-ე მუხლში აღნიშნული უფლებები, გარდა იმავე მუხლის „ო“, „პ“, „ს“, „ტ“ და „უ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულისა.**

7. **დაზარალებულის წარმომადგენელს ეკისრება 70-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული დაზარალებულის მოვალეობები.**
8. **დაზარალებულის წარმომადგენელს უფლება არა აქვს იმოქმედოს დაზარალებულის ინტერესების საზიანოდ.**
9. **დაზარალებულის წარმომადგენელს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წარმომადგენლობა ხორციელდება დაზარალებულის ნებისაგან დამოუკიდებლად, არა აქვს უფლება, მისი თანხმობის გარეშე დაეთანხმოს უარს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტაზე, პროკურორის უარს ბრალდებაზე ან ბრალდების შეცვლაზე, უარი თქვას სარჩელზე, შეამციროს სარჩელის თანხა, მოურიგდეს ან შეურიგდეს ბრალდებულს კერძო ბრალდების საქმეთა გამო, გაასაჩივროს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება ან უარი თქვას მათ გასაჩივრებაზე.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, მუხ.19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2006 წლის 20 ივნისის კანონი №3310 – სსმ I, 2006 წ., №25, მუხ.197)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, წინასწარი გამოძიებისას და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას დაზარალებულის ინტერესები შეიძლება წარმოადგინოს და დაიცვას ადვოკატმა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულს არ ზღუდავს რაოდენობრივად წარმომადგენლების შერჩევაში. დაზარალებულის ინტერესები შეიძლება, დაიცვას ერთდროულად ორმა და ორზე მეტმა წარმომადგენელმა. მთავარია, აღნიშნული მიზნად არ ისახავდეს სისხლის სამართლის პროცესის უსაფუძვლო გაჭიანურებას.

2. პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მიერ გაცემული იმ დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს დაზარალებულის გადახდისუუნარობას, მატერიალურად უკიდურესად გაჭირვებული დაზარალებულის ინტერესების წარმომადგენლად ადვოკატის მოწვევას უზრუნველყოფს სახელმწიფო თავის ხარჯზე.

3. პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირისათვის გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში შეიძლება, პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა მიიღონ გადაწყვეტილება დაზარალებულისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევის შესახებ.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს დაზარალებულის ინტერესების დასაცავად სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობის შემთხვევების ჩამონათვალს, კერძოდ: სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ადვოკატის (წარმომადგენლის) მონაწილეობა სავალდებულოა, თუ:

– დაზარალებული არასრულწლოვანია;

– დაზარალებული ქმედუუნაროა;

– დაზარალებული შეზღუდულქმედუნარიანია;

– დაზარალებულს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია, დაიცვას თავისი ინტერესები;

– პირი ადამიანით ვაჭრობით (ტრეფიკინგით) დაზარალებულია (სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლი);

– პირი არასრულწლოვნით ვაჭრობით (ტრეფიკინგით) დაზარალებულია (სისხლის სამართლის კოდექსის 143[2] მუხლი).

5. აღნიშნულ შემთხვევებში პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან, უზრუნველყონ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის ადვოკატის (წარმომადგენლის) მონაწილეობა. ამასთან, ხარჯებს დადგენილი წესით ანაზღაურებს სახელმწიფო.

6. დაზარალებულის ინტერესები შეიძლება დაიცვას აგრეთვე მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა. კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, მოიწვიოს ადვოკატ-წარმომადგენელი.

7. დაზარალებულს შეუძლია, უარი თქვას წარმომადგენელზე, რაც პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა, როგორც წესი, უნდა მიიღონ.

8. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს იმ შემთხვევებს, როდესაც პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა დაზარალებულის მიერ განცხადებული უარი წარმომადგენლობაზე, როგორც წესი, არ უნდა მიიღონ, კერძოდ: დაზარალებულის უარი წარმომადგენლის მომსახურებაზე, როგორც წესი, არ მიიღება, თუ:

– დაზარალებული არასრულწლოვანია;

– დაზარალებული ქმედუუნაროა;

– დაზარალებული შეზღუდულქმედუნარიანია;

– დაზარალებულს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია, დაიცვას თავისი ინტერესები;

– პირი ადამიანით ვაჭრობით (ტრეფიკინგით) დაზარალებულია (სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლი);

– პირი არასრულწლოვნით ვაჭრობით (ტრეფიკინგით) დაზარალებულია (სისხლის სამართლის კოდექსის 143[2] მუხლი).

9. დაზარალებულის წარმომადგენელი უფლებამოსილია:

– მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ;

– მისცეს ჩვენება და განმარტება;

– განაცხადოს აცილება;

– განაცხადოს შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ;

– განაცხადოს შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ;

– განაცხადოს შუამდგომლობა სასამართლო მოქმედების ჩატარების შესახებ;

– განაცხადოს შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შემოწმების შესახებ;

– განაცხადოს შუამდგომლობა პროცესის მიმდინარეობისას წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ;

– წარმოადგინოს მტკიცებულება;

– წინასწარი გამოძიებისას საწინააღმდეგო აზრი გამოთქვას პროცესის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედებაზე და მოითხოვოს მისი შეტანა საგამოძიებო მოქმედების ოქმში;

– სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას საწინააღმდეგო აზრი გამოთქვას პროცესის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედებაზე და მოითხოვოს მისი შეტანა სასამართლო სხდომის ოქმში;

– გაასაჩივროს პროკურორთან, საჩივრის უარყოფის შემთხვევაში — ზემდგომ პროკურორთან გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, სასამართლოში კი – მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში;

– პირისთვის ბრალდების წაყენების შემდეგ იცოდეს მისი არსი;

– მონაწილეობა მიიღოს თავისი შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;

– სისხლის სამართლის საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მთელი მასალის ასლს და ნივთიერ მტკიცებულებებს;

– მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში და:

ა) წარმოადგინოს მტკიცებულებები;

ბ) გამოიკვლიოს სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები;

გ) გამოვიდეს სასამართლო კამათში და გამოთქვას აზრი:

– ბრალდების დასაბუთებულობის შესახებ;

– ქმედების კვალიფიკაციის შესახებ;

– სასჯელის სახისა და ზომის შესახებ;

– სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ;

დ) გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს;

ე) გამოთქვას შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმზე;

– გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი თუ სხვა გადაწყვეტილება სააპელაციო (საკასაციო) წესით, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში – ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 518-ე მუხლის თანახმად, წარმომადგენელს უფლება აქვს, შეიტანოს სააპელაციო საჩივარი მხოლოდ დაზარალებულის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზარალებული არასრულწლოვანია, ან აქვს ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 518-ე მუხლის კომენტარები);

– გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეთა საჩივრებზე;

– მონაწილეობა მიიღოს სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციის სასამართლოს სხდომაში და დაიცვას დაზარალებულის უფლებები და კანონიერი ინტერესები;

– აუნაზღაურდეს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯები;

– სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) მოსთხოვოს დაცვის ღონისძიებათა გატარება, თუ საფრთხე ემუქრება მის:

ა) სიცოცხლეს;

ბ) ჯანმრთელობას;

გ) საკუთრებას.

– სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) მოსთხოვოს დაცვის ღონისძიებათა გატარება, თუ საფრთხე ემუქრება მისი ახლო ნათესავის:

ა) სიცოცხლეს;

ბ) ჯანმრთელობას;

გ) საკუთრებას.

10. დაზარალებულის წარმომადგენელი ვალდებულია:

– გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირების – გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს გამოძახებით;

– არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილეს პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა;

– დაიცვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი წინასწარი გამოძიების დროს;

– დაიცვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი სასამართლოში;

11. დაზარალებულის წარმომადგენელს უფლება არა აქვს, იმოქმედოს დაზარალებულის ინტერესების საზიანოდ.

12. დაზარალებულის წარმომადგენელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმომადგენლობა ხორციელდება დაზარალებულის ნებისაგან დამოუკიდებლად, უფლება არა აქვს, დაზარალებულის თანხმობის გარეშე:

– დაეთანხმოს უარს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე;

– დაეთანხმოს უარს წინასწარი გამოძიების შეწყვეტაზე;

– დაეთანხმოს უარს სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტაზე;

– პროკურორის უარს ბრალდებაზე;

– პროკურორის უარს ბრალდების შეცვლაზე;

– უარი თქვას სამოქალაქო სარჩელზე;

– შეამციროს სამოქალაქო სარჩელის თანხა;

– მოურიგდეს ან შეურიგდეს ბრალდებულს კერძო ბრალდების საქმის გამო;

– გაასაჩივროს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება;

– უარი თქვას განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე.

თავი XI
ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი

მუხლი 72. პირის ეჭვმიტანილად ცნობა

1. თუ არსებობს საფუძველი ეჭვისათვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მისთვის ბრალდების წასაყენებლად, გამომძიებელი პროკურორის თანხმობით ან პროკურორი ცნობს მას ეჭვმიტანილად, რის შესახებაც გამოაქვს დადგენილება. თუ ეჭვმიტანილი დაკავებული არ არის, მას უნდა წაეყენოს ბრალდება არა უგვიანეს 30 დღისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ მას ბრალდება არ წაეყენა, დადგენილება მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ უქმდება. ეჭვმიტანილი, რომელიც დაკავებული არ არის, სარგებლობს ამ კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ყველა უფლებით, გარდა იმავე ნაწილის „ა“, „დ“ და „ლ“ ქვეპუნქტებში მითითებული უფლებებისა. მას აგრეთვე უფლება აქვს ეჭვმიტანილად ცნობისთანავე ხელზე მიიღოს მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების ასლი.
2. პირის დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. ეჭვმიტანილს ამ ვადის ამოწურვამდე უნდა წაეყენოს ბრალდება. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილება პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ, მისი არსებობის შემთხვევაში, უქმდება, ხოლო პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
3. ეჭვმიტანილს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს დუმილის უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, დამცველის მოწვევის უფლება, უფლება, დაუკავშირდეს ახლობლებს, აგრეთვე ამ კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ეჭვმიტანილის სხვა უფლებები.
4. (ამოღებულია).
5. პირის მოთხოვნა დამცველის მოწვევის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ, ახსნა-განმარტების მიცემამდე ან, თუ ეს ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება, მაქსიმალურად გონივრულ დროში, რათა ეჭვმიტანილს მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება განახორციელოს თავისი დაცვა.
6. პირის დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება პროკურორს. პროკურორი უფლებამოსილია გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, დაკავებულის დაკითხვისა და გამომძიებლის დასაბუთების მოსმენის გზით შეამოწმოს დაკავების კანონიერება და დასაბუთებულობა, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება და გაათავისუფლოს დაკავებული.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ

I 1999 წ., №16(23) მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I 1999 წ., №18(25) მუხლი 75; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/3/182,185,191 – სსმ IV, 2003 წ., №7, გვ. 7; საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №398 – სსმ I, 2004 წ., №25, მუხლი 125; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილება გამოიტანება, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ეჭვისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა, ამასთან, არსებული მტკიცებულებები არ არის საკმარისი ამ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად.

2. პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის უფლება აქვს პროკურორს ან გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით.

3. პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილება გამოიტანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება ამ პირის დაკავება ეჭვმიტანილის სახით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით პირის დაკავების შემთხვევაში დადგენილება ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ აღარ გამოიტანება. ეს ნიშნავს იმას, რომ პირმა ეჭვმიტანილის საპროცესო სტატუსი შეიძლება შეიძინოს ორგვარად:

– თუ პირის დაკავება არ ხდება, იგი ეჭვმიტანილის საპროცესო სტატუსს შეიძენს უფლებამოსილი პირის მიერ ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან;

– თუ პირის დაკავება ხდება დანაშაულის ჩადენაში ეჭვით, იგი ეჭვმიტანილის საპროცესო სტატუსს ავტომატურად (ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის გარეშე) იძენს ფაქტობრივი დაკავების (შეპყრობის) მომენტიდანვე. თუ დაკავების შემდეგ მაინც იქნა გამოტანილი დადგენილება დაკავებულის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ, ეს არ იწვევს არავითარ სამართლებრივ შედეგს – ეს პირი ეჭვმიტანილად უნდა ჩაითვალოს დაკავების და არა – ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის კომენტარები).

4. თუ ეჭვმიტანილი დაკავებული არ არის, მას უნდა წაეყენოს ბრალდება არა უგვიანეს 30 დღეში ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ მას ბრალდება არ წაეყენა, დადგენილება მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ უქმდება. ამ ვადის გასვლა არ გამორიცხავს პირის მიმართ ამ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების წაყენებას, თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები და არ არის გასული პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.

5. პირს უფლება აქვს, ხელზე მიიღოს თავისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების ასლი. თუ პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანა ხდება ამ პირის თანდასწრებით, დადგენილების ასლი მას გადაეცემა ეჭვმიტანილად ცნობისთანავე. პროკურორი (გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით) უფლებამო-

სილია, პირის „დაუსწრებლად“, სისხლის სამართლის საქმის მასალების საფუძველზე გამოიტანოს დადგენილება ამ პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ და გამოიძახოს პირი (როგორც ეჭვმიტანილი) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ასეთ შემთხვევაში ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების ასლი პირს (ეჭვმიტანილს) გადაეცემა გამომძიებელთან (პროკურორთან) გამოცხადებისთანავე, ამ პირთან რაიმე სხვა საპროცესო ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე. თუ გამოტანილია დადგენილება პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ, იგი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გამოძახებულია, მაგრამ თავს არიდებს გამოცხადებას და იძულებით მოიყვანენ, მას დადგენილება გადაეცემა იძულებით მოყვანისთანავე, მასთან რაიმე სხვა საპროცესო ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე.

6. ეჭვმიტანილი, რომელიც დაკავებული არ არის, სარგებლობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ყველა უფლებით, გარდა იმავე მუხლის იმავე ნაწილის „დ“ და „ლ“ ქვეპუნქტებში მითითებული უფლებებისა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის კომენტარები).

7. ეჭვმიტანილის სახით (ეჭვმიტანილის საპროცესო სტატუსით) პირის დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. ეჭვმიტანილს ამ ვადის ამოწურვამდე უნდა წაეყენოს ბრალდება. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილება პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ, მისი არსებობის შემთხვევაში, უქმდება, ხოლო პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. დაკავებული ეჭვმიტანილის განთავისუფლება არ გამორიცხავს პირის მიმართ ამ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების წაყენებას, თუ არსებობს საკმაო მტკიცებულებები და არ არის გასული პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა. თუ ბრალდებული ამავე ბრალდების ეპიზოდში ადრე დაკავებული იყო ეჭვმიტანილის სახით, მაგრამ გათავისუფლდა ისე, რომ ბრალი არ წაუყენებიათ, ხოლო ბრალდების წარდგენის შემდეგ პროკურორმა დააკავა იგი ბრალდებულის სახით, მაშინ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სახით დაკავების საერთო ვადა აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტამდე არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის კომენტარები).

8. ეჭვმიტანილს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს:

– რა დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი და რა არის მისი დაკავების საფუძველი;

– უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული;

– დამცველის ყოლის უფლება;

– დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება;

– ის, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში;

– უფლება, დაუკავშირდეს ახლობლებს.

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ეჭვმიტანილის სხვა უფლებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე, 73-ე მუხლების კომენტარები).

9. პირის (ეჭვმიტანილის) მოთხოვნა დამცველის მოწვევის თაობაზე სავალდებულოა პროცესის მწარმოებლისათვის და უნდა დაკმაყოფილდეს დაკავებისთანავე, დაუყოვ-

ნებლივ. თუ დაკავებულ პირთან დაკავების ადგილზევე ტარდება გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები და დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულების განადგურება, გადამალვა და სხვა, ან დაკავების ადგილის, დროისა და ვითარების სპეციფიკურობისა და სხვა ობიექტურ გარემოებათა გათვალისწინებით, შეუძლებელია დამცველის დაუყოვნებლივ მოწვევა, დამცველი მოწვეულ უნდა იქნეს ხელისშემშლელი ობიექტური ფაქტორების აღმოფხვრისთანავე, მაქსიმალურად გონივრულ დროში, რათა ეჭვმიტანილს მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება, განახორციელოს თავისი დაცვა. დამცველის მოწვევა ნიშნავს როგორც „შეთანხმებით“ დამცველის მოწვევას (იმ დამცველის მოწვევას, რომელზეც, როგორც თავის დამცველზე, მიუთითებს დაკავებული), ასევე მის მოწვევას სახელმწიფოს ხარჯზე, თუ დაკავებული არ მიუთითებს კონკრეტულ დამცველზე, მაგრამ ითხოვს დამცველის მოწვევას, ან არსებობს იძულებითი დაცვის განხორციელების გარემოებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე, 102-ე, 290-ე მუხლების კომენტარები).

10. პირის დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება პროკურორს. პროკურორი უფლებამოსილია, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, დაკითხოს (გამოკითხოს) დაკავებული, მოისმინოს გამომძიებლის დასაბუთება, შეამოწმოს დაკავების კანონიერება და დასაბუთებულობა, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება და გაათავისუფლოს დაკავებული.

მუხლი 73. ეჭვმიტანილის უფლებები

1. ეჭვმიტანილს უფლება აქვს:

ა) (ამოღებულია).

ა[1]) დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ, მისთვის გასაგებ ენაზე, ეცნობოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ ეჭვი და გადაეცეს დაკავების ოქმის ასლი;

ბ) მისცეს ან არ მისცეს ჩვენება;

გ) ისარგებლოს დამცველის მომსახურებით მასთან შეთანხმებით, ანაზღაურებით ან ანაზღაურებისაგან სრული გათავისუფლებით ამ კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

დ) პირისპირ შეხვდეს დამცველს მარტო, შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად. მოცემული უფლება გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება შეიზღუდოს გონივრული ვადით, რის შესახებაც გამოძიების მწარმოებელმა პირმა უნდა გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება;

დ[1]) ჩხრეკის, ამოღების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მოიწვიოს დამსწრე (არა უმეტეს ორისა);

ე) მისი მონაწილეობით დაკითხვისა და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, თუ მან არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

ვ) დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა, აგრეთვე სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ექსპერტიზის დანიშვნაზე უარი შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც საჩივარი განიხილება მისი მიღებიდან 24 საათში;

ზ) განაცხადოს შუამდგომლობანი და აცილებანი;

თ) წარმოადგინოს მტკიცებულებანი;

ი) მონაწილეობა მიიღოს მისი ან დამცველის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;

კ) გაასაჩივროს გამომძიებლის მოქმედებები და გადაწყვეტილებები პროკურორთან, პროკურორისა – ზემდგომ პროკურორთან, ხოლო ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში – სასამართლოში;

ლ) ამ კოდექსის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით შეატყობინოს ნათესავებსა და ახლობლებს დაკავების ადგილი ან ადგილსამყოფელი;

მ) მიიღოს ანაზღაურება ზიანისათვის, რომელიც მას მიადგა უკანონო დაკავების შედეგად;

ნ) მიიღოს გამომძიებლისაგან ამომწურავი განმარტება თავისი უფლებების და მოვალეობების შესახებ.

2. ეჭვმიტანილის მიერ თავისი უფლებების გამოუყენებლობა არ შეიძლება გაგებულ ან განმარტებულ იქნეს მისი დანაშაულის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2001 წლის 20 ივისის კანონი №980 – სსმ I, 2001 წ., №22, მუხლი 85; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/3/182,185,191 – სსმ IV, 2003 წ., №7, გვ. 7; საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №398 – სსმ I, 2004 წ., №25, მუხლი 125; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. ეჭვმიტანილს უფლება აქვს:

– დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ, მისთვის გასაგებ ენაზე ეცნობოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენისათვის არსებობს მის მიმართ ეჭვი და გადაეცეს დაკავების ოქმის ასლი;

– მისცეს ან არ მისცეს ჩვენება;

– ისარგებლოს დამცველის მომსახურებით მასთან შეთანხმებით, ანაზღაურებით ან ანაზღაურებისაგან სრული განთავისუფლებით სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის კომენტარები);

– ჩხრეკის, ამოღების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მოიწვიოს არა უმეტეს ორი დამსწრე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის კომენტარები);

– უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, თუ მან არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

– განაცხადოს შუამდგომლობა;

– განაცხადოს აცილება;

– წარმოადგინოს მტკიცებულება;

– მონაწილეობა მიიღოს თავისი ან თავისი დამცველის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;

– გაასაჩივროს გამომძიებლის მოქმედებები და გადაწყვეტილებები პროკურორთან, პროკურორისა – ზემდგომ პროკურორთან, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოში;

– დაკავებიდან არა უგვიანეს 5 საათში (თუ არასრულწლოვანია – არა უგვიანეს 3 საათში) შეატყობინოს ნათესავებსა და ახლობლებს დაკავების ადგილი ან ადგილსამყოფელი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 138-ე მუხლის კომენტარები);

– მიიღოს ანაზღაურება ზიანისათვის, რომელიც მას მიადგა უკანონო დაკავების შედეგად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 150-ე მუხლის კომენტარები);

– მიიღოს გამომძიებლისაგან ამომწურავი განმარტება თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

2. ეჭვმიტანილს უფლება აქვს, პირისპირ, მარტო შეხვდეს დამცველს, შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად.

3. გამოძიების მწარმოებელი თანამდებობის პირის მოტივირებული დადგენილებით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ეჭვმიტანილის დამცველთან შეხვედრის რაოდენობა და ხანგრძლივობა შეიძლება შეიზღუდოს გონივრული ვადით. მაგ.: გამომძიებელი მოტივირებული დადგენილებით უფლებამოსილია, დაადგინოს ეჭვმიტანილისა და მისი დამცველის შეხვედრის ხანგრძლივობის გონივრული ვადა იმ შემთხვევაში, როდესაც იწურება დაკავების 48-საათიანი ვადა და ეჭვმიტანილს ბრალდება უნდა წაეყენოს.

4. ეჭვმიტანილს უფლება აქვს, დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა. მას აგრეთვე უფლება აქვს, მოითხოვოს სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად. ეჭვმიტანილი ვალდებული არ არის, წარმოადგინოს რაიმე მტკიცებულება (დოკუმენტი) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ან რაიმე სხვა ფორმით ამტკიცოს სამედიცინო შემოწმების ან ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა. დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე ეჭვმიტანილს ყოველგვარი საფუძვლის გარეშეც შეუძლია, მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესა-

ბამისი წერილობითი დასკვნა, ან სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად და ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობა დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ფაქტობრივად არ არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნა იმპერატიული ვალდებულებაა, თუ გამომძიებელმა იგი არ შეასრულა, ექსპერტიზის დანიშვნაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს გამოძიების ადგილის მიხედვით – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც საჩივარი განიხილება მისი მიღებიდან 24 საათში. ამასთან, სასამართლო ვალდებულია, დააკმაყოფილოს საჩივარი. ამ შემთხვევაში სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვა მხოლოდ ერთხელ შეიძლება, ანუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ სასამართლოში აღარ საჩივრდება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის კომენტარები).

5. ეჭვმიტანილის მიერ თავისი უფლებების გამოუყენებლობა არ შეიძლება გაგებულ ან განმარტებულ იქნეს მის საზიანოდ, მისი დანაშაულის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

მუხლი 74. ეჭვმიტანილის მოვალეობები

1. ეჭვმიტანილი ვალდებულია:
ა) გამოძახებისთანავე გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელ ორგანოში;
ბ) ხელი არ შეუშალოს ჭეშმარიტების დადგენას მტკიცებულებათა მოსპობით, ფალსიფიკაციით, მოწმეთა და დაზარალებულთა შეგულიანებით;
გ) ხელი არ შეუშალოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს ამ კოდექსით გათვალისწინებული შემოწმების, ექსპერტიზის, საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუშების აღების, ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, პირადი ჩხრეკისა და სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ გამოტანილ კანონიერ დადგენილებათა შესრულებას.
2. თუ ეჭვმიტანილი არ შეასრულებს თავის საპროცესო მოვალეობებს, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონით გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება.

1. ეჭვმიტანილი ვალდებულია:

– გამოძახებისთანავე, დანიშნულ დროს გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელ ორგანოში, ან აცნობოს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ;

– ხელი არ შეუშალოს ჭეშმარიტების დადგენას მტკიცებულებათა მოსპობით, ფალსიფიკაციით, მოწმეებსა და დაზარალებულებზე ზემოქმედებით (მათი შეგულიანებით);

2. ეჭვმიტანილმა ხელი არ უნდა შეუშალოს პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილებათა შესრულებას:

– შემოწმების ჩატარების შესახებ;

– ექსპერტიზის ჩატარების შესახებ;

– საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუშების აღების შესახებ;

– ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ;
– პირადი ჩხრეკის ჩატარების შესახებ;
– სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ.

3. ეჭვმიტანილის მიერ საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობა (მისი არასათანადო ქცევა), როგორც წესი, იწვევს მის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებას, თუმცა ეჭვმიტანილის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღკვეთის ღონისძიება.

მუხლი 75. პირის ბრალდებულად ცნობა

1. **ბრალდებულად ითვლება პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება მისი ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ. დადგენილება უნდა შეიცავდეს იმ ქმედების აღწერას, რომლის ჩადენაც ბრალად ედება პირს, და მის სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციას.**
2. **ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ალბათობის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.**
3. **(ამოღებულია).**
4. **დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევის გამო პირი ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიცემული იყოს არა უმეტეს 12 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წაუყენებიათ ახალი ბრალდება. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ ან საქმე წარიმართება სასამართლოში არსებითად განსახილველად. ასეთი ბრალდების წაყენებისას აღნიშნული ვადის დინება წყდება და იგი გამოითვლება ახალი ბრალდების წაყენების დღიდან. თუ პირის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაუშვებელია მომავალში მისთვის იმავე ბრალდების წაყენება.**
5. **ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში არ ჩაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაშიც ბრალდებულის მიმართ შეუძლებელი იყო საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარება მისი ავადმყოფობის გამო (რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სამედიცინო დასკვნით), ანდა იგი ემალებოდა გამოძიებას და მის მიმართ გამოცხადებული იყო ძებნა, ან თავს არიდებდა გამოძიებას, ანდა მას იცავდა იმუნიტეტი.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287

– სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. ბრალდებულად ითვლება პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ბრალდებულად პირი ითვლება არა მისთვის ბრალდების წარდგენის, არამედ – ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის დადგენილების გამოტანის მომენტიდან.

2. პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის (ანუ პირის ბრალდებულად ცნობის) უფლება აქვს პროკურორს ან გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით.

3. დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა შეიცავდეს იმ ქმედების აღწერას, რომლის ჩადენაც ბრალად ედება პირს და მის სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 282-ე მუხლის კომენტარები).

4. პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის საფუძველი შეიძლება იყოს მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა, ალბათობის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენა.

5. დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევის (ერთი და იმავე ქმედების) გამო პირი ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს არა უმეტეს 12 თვისა. ამ ვადის დინებას აჩერებს გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის ბრალდებულის მიმართ საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარებას, კერძოდ:

– ბრალდებულის ავადმყოფობა (რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სამედიცინო დასკვნით);

– ბრალდებულის მიმალვა და მისი ძებნილად გამოცხადება;

– ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის თავის არიდება;

– ბრალდებულს იცავს იმუნიტეტი.

6. ბრალდებულად პასუხისგებაში ყოფნის 12-თვიანი ვადის გასვლამდე ბრალდებულისათვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო ახალი ბრალდების წაყენებით ბრალდებულად პასუხისგებაში ყოფნის 12-თვიანი ვადის ათვლა იწყება თავიდან (ახალი ბრალდების წაყენების დღიდან).

7. ბრალდებულად პასუხისგებაში ყოფნის 12-თვიანი ვადის გასვლამდე მიღებულ უნდა იქნეს წინასწარი გამოძიების ეტაპის შემაჯამებელი გადაწყვეტილება – სისხლის სამართლის საქმე არსებითი განხილვისათვის უნდა წარიმართოს სასამართლოში ან შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

8. დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევის გამო პირის ბრალდებულად პასუხისგებაში ყოფნის 12-თვიანი ვადის გასვლა (თუ არ იყო შეჩერებული ამ ვადის დინება, პირს არ წარედგინა დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო ახალი ბრალდება, ან სისხლის სამართლის საქმე არსებითი განხილვისათვის არ წარიმართა სასამართლოში) იმპერატიულად იწვევს ამ პირის მიმართ ამ ქმედებისათვის სისსხლისსმართლებრივი დევნის შეწყვეტას და გამორიცხავს მომავალში მისთვის იმავე ბრალდების წაყენებას.

მუხლი 76. ბრალდებულის უფლებები

1. ბრალდებულს უფლება აქვს ყველა კანონიერი საშუალებითა და მეთოდით დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან, ჰქონდეს საკმაო დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს დაცვისათვის.
2. ბრალდებულს აქვს ეჭვმიტანილის ყველა საპროცესო უფლება (73-ე მუხლი). ბრალდების წაყენებისას ბრალდებულს გადაეცემა მის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ ენაზე თარგმნილი დადგენილების ასლი ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ბრალდებულს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებებზე, ნათესავებსა და ახლობლებს შეატყობინოს თავისი დაპატიმრების შესახებ, მიიღოს უკანონო და დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თუ ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების ასლი გადაეცემა მის დამცველს.
3. ბრალდებულს უფლება აქვს აგრეთვე: ხელზე მიიღოს მისი ბრალდებულად დაკავების შესახებ დადგენილების ასლი; გაეცნოს დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ექსპერტის დასკვნას; განახორციელოს ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი უფლებები; სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე გაეცნოს საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას და საკუთარი ხარჯით გადაიღოს საქმის მასალის ასლები (გარდა იმ მასალისა, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან); მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების სავალდებულო ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულებანი, რომლებიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; წარუდგინოს გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს კერძო გამოძიების მონაცემები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს; სისხლის-სამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის დროს, დამოუკიდებლად ან დამცველთან ერთად გაეცნოს საქმის მთელ მასალას, ამოიწეროს საქმიდან ყველა საჭირო ცნობა, გადაიღოს ასლები, გამოძიების შევსების თაობაზე განაცხადოს შუამდგომლობა, რომლის განხილვაც სავალდებულოა; საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ დამოუკიდებლად ან დამცველთან ერთად, გაეცნოს საქმის მთელი მასალის ასლს და ნივთიერ მტკიცებულებებს; უარი თქვას დამცველზე და თავი დაიცვას დამოუკიდებლად, გარდა ამ კოდექსის 81-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა; არ დაეთანხმოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტას წინასწარი გამოძიების სტადიაზე და მოითხოვოს საქმის სასამართლო განხილვა; სასამართლოში მოითხოვოს მის მიმართ გამოყენებული სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ყველა ღონისძიების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება;

მონაწილეობა მიიღოს სამართალში მიცემასა და, სასამართლო განხილვაში და ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით; გამოვიდეს სასამართლო კამათში, თუ საქმეში არ მონაწილეობს დამცველი; გამოვიდეს საბოლოო სიტყვით; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და გამოთქვას მასზე შენიშვნები; გაასაჩივროს განაჩენი და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებანი; მიიღოს გასასაჩივრებელ გადაწყვეტილებათა ასლები; იცნობდეს საქმის გამო შეტანილ საჩივრებს და მათ შესახებ გამოთქვას საწინააღმდეგო მოსაზრებები; მონაწილეობა მიიღოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოთა სხდომებში და დაიცვას იქ თავისი ინტერესები დამოუკიდებლად ან დამცველის მეშვეობით; პროცესის მწარმოებელი ორგანოსაგან მიიღოს წერილობითი შეტყობინება თავისი უფლებების შესახებ და მათი განმარტება; დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის განცხადებიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა დაიკითხოს.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2356 – სსმ I, 2005 წ., №57, მუხლი 440)

1. ბრალდებულს უფლება აქვს, ჰქონდეს საკმაო დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს დაცვისათვის, ყველა კანონიერი საშუალებითა და მეთოდით დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან.

2. ბრალდებულს აქვს ეჭვმიტანილის ყველა საპროცესო უფლება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის კომენტარები).

3. ბრალდებულს უფლება აქვს, აგრეთვე:

– ბრალდების წაყენებისას მიიღოს თავის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ ენაზე თარგმნილი დადგენილების ასლი ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ;

– შეიტანოს საჩივარი გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებებზე;

– ნათესავებსა და ახლობლებს შეატყობინოს თავისი დაპატიმრების შესახებ;

– მიიღოს უკანონო და დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება:

– ხელზე მიიღოს მისი ბრალდებულად დაკავების შესახებ დადგენილების ასლი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის კომენტარები);

– გაეცნოს დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ექსპერტის დასკვნას;

– განახორციელოს ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი უფლებები;

– სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას და საკუთარი ხარჯით გადაიღოს საქმის მასალის ასლები (გარდა იმ მასალისა, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან);

– მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების სავალდებულო ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულებანი, რომლებიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად;

– წარუდგინოს გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს კერძო გამოძიების მონაცემები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს;

– სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის დროს, დამოუკიდებლად ან დამცველთან ერთად, გაეცნოს საქმის მთელ მასალას, ამოიწეროს საქმიდან ყველა საჭირო ცნობა, გადაიღოს ასლები, გამოძიების შევსების თაობაზე განაცხადოს შუამდგომლობა, რომლის განხილვაც სავალდებულოა;

– სისხლის სამართლის საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ, დამოუკიდებლად ან დამცველთან ერთად, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მთელი მასალის ასლს და ნივთიერ მტკიცებულებებს;

– უარი თქვას დამცველზე და თავი დაიცვას დამოუკიდებლად, გარდა იძულებითი დაცვის გარემოებების არსებობისას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის კომენტარები);

– არ დაეთანხმოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტას წინასწარი გამოძიების სტადიაზე და მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა;

– სასამართლოში მოითხოვოს მის მიმართ გამოყენებული სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება;

– მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში და ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით; გამოვიდეს სასამართლო კამათში, თუ საქმეში არ მონაწილეობს დამცველი; გამოვიდეს საბოლოო სიტყვით; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და გამოთქვას მასზე შენიშვნები; გაასაჩივროს განაჩენი და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებანი; მიიღოს გასასაჩივრებელ გადაწყვეტილებათა ასლები; იცნობდეს სისხლის სამართლის საქმის გამო შეტანილ საჩივრებს და მათ შესახებ გამოთქვას საწინააღმდეგო მოსაზრებები;

– მონაწილეობა მიიღოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოთა სხდომებში და დაიცვას იქ თავისი ინტერესები დამოუკიდებლად ან დამცველის მეშვეობით;

– პროცესის მწარმოებელი ორგანოსაგან მიიღოს წერილობითი შეტყობინება თავისი უფლებების შესახებ და მათი განმარტება;

– დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის განცხადებიდან არა უგვიანეს ერთ კვირაში დაიკითხოს.

4. თუ ბრალდებული არის თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრი და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, მისი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების ასლი გადაეცემა მის დამცველს.

მუხლი 77. ბრალდებულის მოვალეობები

ბრალდებულს ეკისრება ისეთივე მოვალეობები, როგორიც ეჭვმიტანილს (74-ე მუხლი). თუ მან ბრალდების წაყენების მომენტიდან ისინი არ შეასრულა, ბრალდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებები.

1. ბრალდებულს ეკისრება იგივე საპროცესო მოვალეობები, როგორებიც – ეჭვმიტანილს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის კომენტარები).

2. ეჭვმიტანილისაგან განსხვავებით, ბრალდებულის მიმართ საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის შეიძლება, გამოყენებულ იქნეს აღკვეთის ღონისძიება. მის მიმართ ასევე შეიძლება, გამოყენებულ იქნეს სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების სხვა ღონისძიებებიც.

მუხლი 78. დამცველი

1. **დამცველი არის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის კანონიერ ინტერესებს და უწევს მათ კვალიფიცირებულ იურიდიულ დახმარებას.**
2. **დამცველად დაიშვება უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია აწარმოოს საადვოკატო საქმიანობა.**
3. **ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს შეზღუდოს ეჭვმიტანილი და ბრალდებული დამცველის არჩევაში.**
4. **ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის თანხმობით, დაცვის განსახორციელებლად შეიძლება დაშვებულ იქნეს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ადვოკატურის სტაჟიორები.**
5. **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, დამცველებად შეიძლება დაშვებულ იქნენ უცხოელი ადვოკატები.**
6. **ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს უფლება აქვთ მთელი პროცესის მანძილზე უარი თქვან დამცველის დანიშვნაზე ან დანიშნულ დამცველზე და მოიწვიონ დამცველი შეთანხმებით ან დაცვა დამოუკიდებლად განახორციელონ. ასეთი უარი დასაშვებია მხოლოდ თვით ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის ინიციატივით. ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს უფლება აქვთ შეცვალონ თავიანთი პოზიცია და კვლავ მოითხოვონ დამცველის დანიშვნა ან მოიწვიონ დამცველი შეთანხმებით. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის მოთხოვნა საქმეში მონაწილე მათი დამცველის შეცვლის ან ახალი დამცველის მოწვევის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, თუ დამცველის შეცვლა ანდა ახალი დამცველის მოწვევა მიზნად არ ისახავს პროცესის გაჭიანურებას ან პროცესის სხვა**

მონაწილისათვის ხელის შეშლას მის უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. დამცველი არის პირი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით იცავს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის კანონიერ ინტერესებს და უწევს კვალიფიციურ იურიდიულ დახმარებას.

2. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ინტერესების დასაცავად სისხლის სამართლის პროცესში დაიშვება პირი, რომელსაც მიღებული აქვს ადვოკატის სერტიფიკატი და არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ამასთან, დასაცავი პირის თანხმობით, დაცვის განსახორციელებლად შეიძლება დაშვებულ იქნეს ადვოკატურის სტაჟიორიც, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 680[2] მუხლის კომენტარები).

3. პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს უფლება არა აქვთ, შეზღუდონ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული დამცველის არჩევაში.

4. უცხოელი ადვოკატი შეიძლება, დაშვებულ იქნეს დამცველად სისხლის სამართლის პროცესში მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობის საფუძველზე.

5. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს უფლება აქვთ, მთელი პროცესის მანძილზე უარი თქვან დამცველის დანიშვნაზე ან დანიშნულ დამცველზე და მოიწვიონ დამცველი შეთანხმებით ან დაცვა დამოუკიდებლად განახორციელონ, იძულებითი დაცვის შემთხვევის გარდა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის კომენტარები).

6. დამცველის მომსახურებაზე უარი დასაშვებია მხოლოდ თვით ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ინიციატივით. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს უფლება აქვთ, შეცვალონ თავიანთი პოზიცია და კვლავ მოითხოვონ დამცველის დანიშვნა ან მოიწვიონ დამცველი შეთანხმებით.

7. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მოთხოვნა სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე მისი დამცველის შეცვლის ან ახალი დამცველის მოწვევის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, თუ დამცველის შეცვლა, ანდა ახალი დამცველის მოწვევა მიზნად არ ისახავს პროცესის სხვა მონაწილისათვის თავისი უფლებამოსილებების განხორციელებაში ხელის შეშლას ან პროცესის გაჭიანურებას.

მუხლი 79. დაცვა შეთანხმებით

ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, მათს ნათესავებს, სხვა პირებს შეუძლიათ ადვოკატთან დადონ შეთანხმება სისხლის სამართლის საქმეში მისი მონაწილეობის შესახებ. შეთანხმების პირობებს მხარეები განსაზღვრავენ. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ დაცვა მიღებულად ითვლება და ადვოკატს უფლება არა აქვს უარი თქვას მასზე არასაპატიო მიზეზით.

1. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს, მათ ნათესავებს, სხვა პირებს შეუძლიათ, ადვოკატთან დადონ შეთანხმება სისხლის სამართლის საქმეში მათი მონაწილეობის შესახებ.

2. დამცველის შერჩევაში გადამწყვეტია დასაცავი პირის პოზიცია, ანუ თუ ადვოკატი შეარჩია ნათესავმა ან სხვა პირმა, საჭიროა დასაცავი პირის თანხმობა (დამცველი პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა უნდა წარუდგინონ ამ პირს და გაარკვიონ მისი პოზიცია), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული თავს არიდებს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, იმალება, შეურაცხადია ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეუძლებელია მისი თანხმობის მიღება.

3. შეთანხმების პირობებს მხარეები განსაზღვრავენ. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ დაცვა მიღებულად ითვლება და ადვოკატს უფლება არა აქვს, მასზე არასაპატიო მიზეზით უარი თქვას.

მუხლი 80. დაცვა დანიშვნით

1. **ორგანო, რომელიც პროცესს აწარმოებს, ვალდებულია ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს მათი თანხმობით სახელმწიფოს ხარჯზე დაუნიშნოს დამცველი-ადვოკატი, თუ ისინი არასმქონენი არიან, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტით. გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროცესის მწარმოებელი ორგანო.**
2. **დაცვა დანიშვნით ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ანაზღაურების ოდენობა არ შეიძლება იყოს დადგენილ განაკვეთზე ნაკლები.**
3. **დაცვა დანიშვნით გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს არ მოუწვევია დამცველი შეთანხმებით.**
4. **სახელმწიფო ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, აგრეთვე ადვოკატთა კოლეგიასა და ადვოკატთა სხვა გაერთიანებას უფლება აქვთ ეჭვმიტანილი და ბრალდებული გაათავისუფლონ დაცვის საფასურისაგან სხვა შემთხვევაშიც, რომელიც ამ მუხლში არ არის აღნიშნული. პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ დამცველის საფასურის გადახდისაგან განთავისუფლების**

შემთხვევაში სახელმწიფო კისრულობს მისი შრომის ანაზღაურების მთელ ხარჯებს.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს ან სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ გაცემული, უკიდურესი მატერიალური გაჭირვების ან გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან, ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს, მისი თანხმობით, სახელმწიფოს ხარჯზე დაუნიშნონ დამცველ-ადვოკატი, თუ პროცესში არ მონაწილეობს დამცველი შეთანხმებით.

2. გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი.

3. დაცვა დანიშვნით ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ანაზღაურების ოდენობა არ შეიძლება იყოს დადგენილ განაკვეთზე ნაკლები.

4. პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს, ადვოკატთა გაერთიანებას უფლება აქვთ, ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული გაათავისუფლონ დაცვის საფასურისაგან სხვა შემთხვევაშიც, რომელიც ამ მუხლში არ არის აღნიშნული. პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის მიერ დამცველის საფასურის გადახდისაგან განთავისუფლების შემთხვევაში დამცველის შრომის ანაზღაურების ხარჯებს იხდის სახელმწიფო.

მუხლი 81. იძულებითი დაცვა

1. **ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს მიიღოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, ხოლო თუ პირს ენიშნება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება – ამ პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის უარი დამცველის დანიშვნაზე, თუ:**

ა) **ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი არასრულწლოვანია;**

ბ) **ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან განსასჯელს აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც აძნელებს დაცვის უფლების განხორციელებას;**

გ) **ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა ან განსასჯელმა არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;**

დ) **ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან განსასჯელს ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც შეიძლება სასჯელად დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა;**

ე) განიხილება საკითხი პირის მიმართ სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
ვ) ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა ან განსასჯელთა ინტერესებს შორის არის წინააღმდეგობა და თუნდაც ერთ მათგანს ჰყავს დამცველი;
ზ) დაზარალებულის ან სამოქალაქო მოსარჩელის ინტერესებს იცავს მისი წარმომადგენელი.
თ) ბრალდებულთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე.
ი) თუ პროცესის მონაწილის მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიება (გარდა ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიებისა).

2. თუ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, მას ან მის ახლო ნათესავს ეძლევა შესაძლებლობა ერთი კვირის ვადაში დანიშნოს დამცველი. თუ თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრი ამ ვადაში არ დანიშნავს დამცველს, თანამდებობის პირს, რეკეტირს ან ქურდული სამყაროს წევრს დამცველი დაენიშნება სავალდებულო წესით.
3. თუ განსასჯელის (მსჯავრდებულის) დამცველი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლოში, სასამართლო უფლებამოსილია პირველივე გამოუცხადებლობის შემთხვევაში განსასჯელს (მსჯავრდებულს) დაუნიშნოს დამცველი სავალდებულო წესით, რაც არ ზღუდავს განსასჯელის (მსჯავრდებულის) უფლებას, მოიწვიოს დამცველი საკუთარი სურვილით.
4. თუ განსასჯელის (მსჯავრდებულის) მიერ არჩეული დამცველი საპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში და სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოუცხადებლობა აჭიანურებს პროცესის მიმდინარეობას ან/და ხელს უშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას, სასამართლო უფლებამოსილია განსასჯელს (მსჯავრდებულს) დაუნიშნოს დამცველი სავალდებულო წესით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I 1999 წ., №16(23,) მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25) მუხლი 75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2356 – სსმ I, 2005 წ., №57, მუხლი 440; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა, თუ:

– ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული არასრულწლოვანია;

– ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც აძნელებს დაცვის უფლების განხორციელებას;

– ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს აქვს ფსიქიკური ნაკლი, რომელიც აძნელებს დაცვის უფლების განხორციელებას;

– ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, განსასჯელმა, მსჯავრდებულმა არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

– ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც შეიძლება, სასჯელად დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა;

– განიხილება საკითხი პირის მიმართ სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;

– ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა ინტერესებს შორის არის წინააღმდეგობა და თუნდაც ერთ მათგანს ჰყავს დამცველი;

– დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ინტერესებს იცავს მისი წარმომადგენელი.

– ბრალდებულთან, განსასჯელთან, მსჯავრდებულთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე.

– თუ პროცესის მონაწილის მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიება (გარდა ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიებისა).

2. თუ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, მას ან მის ახლო ნათესავს ეძლევა შესაძლებლობა, ერთი კვირის ვადაში დანიშნოს დამცველი. თუ თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრი ამ ვადაში არ დანიშნავს დამცველს, თანამდებობის პირს, რეკეტირს ან ქურდული სამყაროს წევრს დამცველი დაენიშნება სავალდებულო წესით.

3. გარდა ზემოაღნიშნული საფუძვლებისა, სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს დამცველი შემდეგ შემთხვევებშიც:

– განსასჯელის (მსჯავრდებულის) დამცველის არასაპატიო მიზეზით სასამართლოში პირველივე გამოუცხადებლობის შემთხვევაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

– განსასჯელის (მსჯავრდებულის) დამცველის საპატიო მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ დამცველის გამოუცხადებლობა აჭიანურებს პროცესს ან/და ხელს უშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

4. გამოუცხადებლობის საფუძვლით დამცველის სავალდებულო წესით დანიშვნა არ იწვევს განსასჯელის (მსჯავრდებულის) მიერ მოწვეული დამცველის სისხლის სამართლის საქმიდან ჩამოცილებას და არ ზღუდავს განსასჯელის (მსჯავრდებულის) უფლებას, მოიწვიოს დამცველი საკუთარი სურვილით. ასეთ შემთხვევაში დაცვას ახორციელებს როგორც განსასჯელის (მსჯავრდებული) მიერ მოწვეული, ასევე – დანიშნული დამცველი და ერთ-ერთი მათგანის გამოუცხადებლობა არ იწვევს სასამართლო სხდომის გადადებას.

მუხლი 82. დამცველის დაშვება სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის

სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი პროცესის მწარმოებელ ორგანოს წარუდგენს ადვოკატთა კოლეგიის, ფირმის, ბიუროს ორდერსა და თავის მოწმობას.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ინტერესების დასაცავად სისხლის სამართლის საქმეში დაიშვება პირი, რომელსაც მიღებული აქვს ადვოკატის სერტიფიკატი და არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე, 680^2 მუხლების კომენტარები).

2. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს წარუდგენს ადვოკატთა კოლეგიის, ფირმის, ბიუროს ორდერსა და თავის მოწმობას.

მუხლი 83. დამცველის მოწვევისა და შეცვლის შესახებ მოთხოვნათა გადაწყვეტა

1. **ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს ეძლევათ დრო დამცველის ასარჩევად და მოსაწვევად.**
2. **თუ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული დაკავებულია, მას ეძლევა შესაძლებლობა, დაკავების მომენტიდან 6 საათის ვადაში შეარჩიოს და მოიწვიოს მისთვის სასურველი დამცველი. თუ ამ ვადაში ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიერ შერჩეული დამცველი ვერ გამოცხადდება, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან შესთავაზონ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს დამცველის დანიშვნა. ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს, რომლებმაც უარი განაცხადეს დამცველის დანიშვნაზე, უფლება აქვთ მათ მიერ არჩეული დამცველის გამოცხადებამდე დაცვა დამოუკიდებლად განახორციელონ. თუ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაკავებისას გამოვლინდა ამ კოდექსის 81-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, გამომძიებელს, პროკურორს უფლება არა აქვთ მიიღონ დაკავებული ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უარი დამცველის დანიშვნაზე და ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ უნდა დაუნიშნონ მას დამცველი.**
3. **გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს მოთხოვნა დამცველის დანიშვნით გამოყოფის შესახებ სავალდებულოა ადვოკატთა გაერთიანებებისათვის. დამცველი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს დაკავებულის ან დაპატიმრებულის პირველ დაკითხვაზე, თუ მას ეს დროულად შეატ-**

ყობინეს. დანარჩენ შემთხვევებში ადვოკატთა გაერთიანების ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს ადვოკატის გამოცხადება მოთხოვნაში მითითებულ ვადაში. არასაპატიო მიზეზით ამ მოთხოვნის შეუსრულებლობას მოსდევს ადვოკატთა გაერთიანებისა თუ კონკრეტული ადვოკატის მიმართ სასამართლო წესით მატერიალური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება.

4. გამომძიებელი და პროკურორი ვალდებულნი არიან ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს განუმარტონ, რომ დამცველის მოსვლამდეც და მოსვლის შემდეგაც მათ უფლება აქვთ, არ მისცენ ჩვენება.
5. თუ არჩეული ან დანიშნული დამცველი საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობას ვერ იღებს, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია, საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო დამცველს, გადადოს გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 დღისა. გადადებისთანავე გამომძიებელი, პროკურორი იწვევს სხვა დამცველს, თუ დაცვა სავალდებულოა, ხოლო სხვა შემთხვევაში დადგენილი ვადის გასვლისთანავე ატარებს საგამოძიებო მოქმედებას დამცველის მონაწილეობის გარეშე.
6. ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს რეკომენდაცია გაუწიოს კონკრეტულ დამცველს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, მათი ნათესავებისა და ახლობლების წინაშე.
7. დამცველის შეცვლა ან ახალი დამცველის მოწვევა არ დაიშვება, თუ შეცვლა მიზნად ისახავს სამართალწარმოების გაჭიანურებას და მისთვის ხელის შეშლას. დამცველის შეცვლაზე ან ახალი დამცველის მოწვევაზე უარის თქმის შემთხვევაში გამომძიებელს პროკურორის თანხმობით გამოაქვს მოტივირებული დადგენილება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან 5 დღის ვადაში. ზემდგომი პროკურორი ვალდებულია ასეთი საჩივარი განიხილოს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 72 საათისა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. სასამართლოში საქმის განხილვისას იმავე შემთხვევაში მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს დადგენილება (განჩინება).
8. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის მხარის მიერ მოწვეული დამცველის რაოდენობა პროცესის მწარმოებელმა ორგანომ შეიძლება შეზღუდოს გონივრულ ფარგლებში, თუ შეზღუდვა მიზნად ისახავს პროცესის უსაფუძვლოდ გაჭიანურების თავიდან აცილებას. იმავდროულად მხარისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კანონით მინიჭებული დაცვის უფლების სრულფასოვნად განხორციელება.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/3/182,185,191 – სსმ IV, 2003 წ., №7, გვ. 7; საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №398 – სსმ I, 2004 წ., №25, მუხლი 125; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს დამცველის ასარჩევად და მოსაწვევად ეძლევათ დრო.

2. დაკავებულ ეჭვმიტანილს, დაკავებულ ბრალდებულს დაკავებიდან 6 საათის ვადაში შეუძლიათ, შეარჩიონ და მოიწვიონ თავიანთთვის სასურველი დამცველი. თუ ამ ვადაში ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიერ შერჩეული დამცველი ვერ გამოცხადდება, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, შესთავაზონ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს დამცველის დანიშვნა.

3. დამცველის შესარჩევად 6-საათიანი ვადის მოთხოვნა დაკავებული ეჭვმიტანილისა და დაკავებული ბრალდებულის უფლებაა და არა – ვალდებულება. დაკავებულს შეუძლია, დაკავებისთანავე უარი განაცხადოს შეთანხმებით დამცველის მოწვევაზე, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მოითხოვოს დამცველის დანიშვნა სახელმწიფოს ხარჯზე, ან უარი განაცხადოს დამცველზე და დაცვა დამოუკიდებლად განახორციელოს, თუ არ არსებობს იძულებითი დაცვის გარემოება.

4. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, რომლებმაც მოიწვიეს დამცველი შეთანხმებით, მაგრამ უარი განაცხადეს დამცველის დანიშვნაზე, მოწვეული დამცველის გამოცხადებამდე უფლება აქვთ, დაცვა დამოუკიდებლად განახორციელონ. თუ გამოვლინდა იძულებითი დაცვის გარემოება, გამომძიებელს, პროკურორს უფლება არა აქვთ, მიიღონ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უარი დამცველის დანიშვნაზე და მას უნდა დაუნიშნონ დამცველი სავალდებულო წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის კომენტარები).

5. ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაკავებისას, თუ ჩასატარებელია გადაუდებელი საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედებები და ამ დროისთვის შეუძლებელია დამცველის მოწვევა, შესაძლებელია, აღნიშნული მოქმედებები ჩატარდეს დამცველის მონაწილეობის გარეშე, თუნდაც დაკავებული ითხოვდეს დამცველის მოწვევას. ასეთ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიონ დამცველი და მიიღონ ზომები დამცველის გონივრულ ვადაში გამოცხადებისათვის. გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, ეჭვმიტანილს, ბრალდებულს განუმარტონ, რომ დამცველის მოსვლამდე და მოსვლის შემდეგაც მათ უფლება აქვთ, არ მისცენ ჩვენება ან რაიმე სახის განმარტება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე, 145-ე მუხლების კომენტარები).

6. პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის მოთხოვნა დამცველის დანიშვნით გამოყოფის შესახებ სავალდებულოა ადვოკატთა გაერთიანებებისათვის. ადვოკატთა გაერთიანების ხელმძღვანელი ვალდებულია, უზრუნველყოს ადვოკატის გამოცხადება მოთხოვნაში მითითებულ ვადაში. არასაპატიო მიზეზით ამ მოთხოვნის შეუსრულებლობას მოსდევს ადვოკატთა გაერთიანების, კონკრეტული ადვოკატის მიმართ სასამართლო წესით მატერიალური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება.

7. დამცველი ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს დაკავებულის ან დაპატიმრებულის პირველ დაკითხვამდე ან მასთან სხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებამდე, თუ მას ეს დროულად შეატყობინეს.

8. თუ არჩეული ან დანიშნული დამცველი საგამოძიებო მოქმედებაში ვერ მონაწილეობს, პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან,

საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო დამცველს, გადადონ გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 დღისა. გადადებისთანავე გამომძიებელი, პროკურორი იწვევენ სხვა დამცველს, თუ დაცვა სავალდებულოა, ხოლო სხვა შემთხვევაში დადგენილი ვადის გასვლისთანავე ატარებენ საგამოძიებო მოქმედებას დამცველის მონაწილეობის გარეშე.

9. პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ კონკრეტულ დამცველს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, მათი ნათესავებისა და ახლობლების წინაშე.

10. დამცველის შეცვლა ან დამატებით სხვა (ახალი) დამცველის მოწვევა არ დაიშვება, თუ შეცვლა მიზნად ისახავს სისხლის სამართლის პროცესის გაჭიანურებას და მისთვის ხელის შეშლას. დამცველის შეცვლაზე ან ახალი დამცველის მოწვევაზე უარის თქმის შემთხვევაში გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით გამოაქვს მოტივირებული დადგენილება, რომელიც შეიძლება, გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან 5 დღის ვადაში.

11. ზემდგომი პროკურორი ვალდებულია, ასეთი საჩივარი განიხილოს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 72 საათში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

12. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას იმავე შემთხვევაში მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს დადგენილება (განჩინება), რომელიც ცალკე არ საჩივრდება.

13. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ზღუდავს პირს დამცველთა რაოდენობის განსაზღვრაში, ამასთან, მხარის მიერ მოწვეულ დამცველთა რაოდენობა პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა შეიძლება, შეზღუდონ გონივრულ ფარგლებში, თუ შეზღუდვა მიზნად ისახავს პროცესის უსაფუძვლოდ გაჭიანურების თავიდან აცილებას. აღსანიშნავია ისიც, რომ მხარისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული დაცვის უფლების სრულფასოვნად განხორციელება.

მუხლი 84. დამცველის უფლება-მოვალეობანი

1. **დამცველმა უნდა გამოიყენოს დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებენ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს, ანდა ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას, და უნდა გაუწიოს მას საჭირო იურიდიული დახმარება.**
2. **დამცველს უფლება არა აქვს იმოქმედოს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ინტერესების საზიანოდ.**
3. **დამცველს უფლება აქვს:**

ა) **იცოდეს ეჭვისა და ბრალდების არსი;**

ბ) **დაუბრკოლებლად შეხვდეს დასაცავ პირს მარტო და რაიმე მეთვალყურეობის გარეშე, აგრეთვე თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციისა და გამოძიების ორგანოს მხრივ შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად, გარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;**

გ) მონაწილეობა მიიღოს ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის მონაწილეობით ან დაცვის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში, დაუსვას შეკითხვები დასაკითხს, მოითხოვოს ოქმში იმ მონაცემების შეტანა, რომლებიც უარყოფს ბრალდებას ან ამსუბუქებს ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის პასუხისმგებლობას;

დ) მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულისათვის ბრალდების წაყენებაში და მის დაკითხვებში;

ე) განუმარტოს ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს მათი უფლებები და ყურადღება მიაქციოს ამ უფლებათა დარღვევას;

ვ) შეკრიბოს დაცვისათვის საჭირო მონაცემები და ისინი მტკიცებულებათა სახით წარუდგინოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს;

ზ) სასამართლოს მიმართოს დაცვისათვის აუცილებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობით;

თ) განაცხადოს აცილება;

ი) განაცხადოს შუამდგომლობა;

კ) გაეცნოს ეჭვმიტანილის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებას, ჩვენებას, ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილებას, დაკავების ოქმს და ამოიწეროს საჭირო ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ შეეხება მისი დასაცავი პირის ინტერესებს;

ლ) გაეცნოს დადგენილებებსა და ოქმებს დაკავებისა და დაპატიმრების შესახებ, ყველა იმ საგამოძიებო მოქმედების ოქმს, რომელთა ჩატარებაშიც მონაწილეობდა ის ან მისი დასაცავი პირი, საქმის მასალებს, რომლებიც ადასტურებს დაკავებისა და დაპატიმრების საჭიროებას, დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ექსპერტიზის დასკვნას;

მ) გაასაჩივროს პროკურორთან გამომძიებლის მოქმედება და დადგენილება, ხოლო საჩივრის უარყოფისას ამ კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გამოძიების ადგილის მიხედვით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გაასაჩივროს გამომძიებლის ან/და პროკურორის დადგენილება, რომელიც, მისი აზრით, არღვევს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაცვის უფლებას;

ნ) გამოვიდეს სასამართლოში გამომძიებლის, პროკურორის აქტებთან დაკავშირებით მის მიერ, აგრეთვე ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიერ შეტანილი საჩივრების განხილვისას;

ო) საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ გაეცნოს საქმის მთელი მასალის ასლს და ნივთიერ მტკიცებულებებს;

პ) იცოდეს მისი შუამდგომლობით საპროცესო მოქმედების ჩატარების, ასევე სასამართლო სხდომის გამართვის დრო და ადგილი;

ჟ) მონაწილეობა მიიღოს სასამართლოში საქმის განხილვის ყველა სტადიაზე და დაიცვას განსასჯელის უფლებები;

რ) მიიღოს ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების, განსასჯელის სამართალში მიცემის შესახებ დადგენილების, საბრალდებო დასკვნის, განაჩენის, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ განჩინების (დადგენილე-

ბის) ასლები, აგრეთვე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოების განაჩენისა და განჩინების ასლები, იმის მიუხედავად, რომ ეს ასლები გადაეცა ბრალდებულს (განსასჯელს);

ს) გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილებანი;

ტ) საწინააღმდეგო მოსაზრებები გამოთქვას ბრალდების მხარის მოქმედებებზე, რომლებიც, მისი აზრით, უკანონოა, და მოითხოვოს მათი შეტანა სასამართლო სხდომის ოქმში;

უ) მიიღოს მცოდნე პირთა წერილობითი მოსაზრებები და გამოიყენოს ისინი შუამდგომლობათა და საჩივართა დასაბუთებისათვის;

ფ) პირისათვის ბრალდების წაყენებისა და პირველი დაკითხვის შემდეგ გაეცნოს საქმის ყველა მასალას;

ქ) განახორციელოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

3[1]. თუ ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, ამ მუხლის მე-3 ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა დამცველს ეძლევა ბრალდებულის დაკითხვის გარეშე.

4. დამცველი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას მტკიცებულებათა მოსპობით, ფალსიფიკაციით, დაზარალებულთა, მოწმეთა შეგულიანებითა და სხვა უკანონო მოქმედებით; დროულად გამოცხადდეს საპროცესო მოქმედების ჩატარების ადგილას და სასამართლოში; დაემორჩილოს სასამართლოს თავმჯდომარის კანონიერ განკარგულებებს; პატივი სცეს სასამართლოსა და ბრალდების მხარეს; დაიცვას წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში.

5. თუ დამცველი დათქმულ დროს არ ცხადდება საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედებების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად, გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვს მის გამოცხადებამდე მოიწვიოს დამცველი დანიშვნით.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2001 წლის 16 მარტის კანონი №815 – სსმ I, 2001 წ., №8, მუხლი 29; 2001 წლის 20 ივნისის კანონი №980 – სსმ I, 2001 წ., №22, მუხლი 85; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №398 – სსმ I, 2004 წ., №25, მუხლი 125; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368;

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2359 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 375; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2356 – სსმ I, 2005 წ., №57, მუხლი 440; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. დამცველს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ინტერესების საზიანოდ. დამცველმა უნდა გამოიყენოს დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებენ ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს, ანდა ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას და უნდა გაუწიოს მას საჭირო იურიდიული დახმარება. ამასთან, დამცველი ვალდებულია, დანიშნულ დროს გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელ ორგანოში, თანამდებობის პირთან, დაემორჩილოს სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებებს, პატივი სცეს სასამართლოსა და ბრალდების მხარეს, დაიცვას წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში, ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას მტკიცებულებათა მოსპობით, ფალსიფიკაციით, დაზარალებულთა, მოწმეთა შეგულიანებითა და სხვა უკანონო მოქმედებით.

2. დამცველს უფლება აქვს:

– იცოდეს ეჭვისა და ბრალდების არსი;

– დაუბრკოლებლად შეხვდეს დასაცავ პირს მარტო და რაიმე მეთვალყურეობის გარეშე, აგრეთვე – თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციისა და გამოძიების ორგანოს მხრივ შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად. ამასთან, გამოძიების მწარმოებელი პირის მოტივირებული დადგენილებით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ეჭვმიტანილის დამცველთან შეხვედრის რაოდენობა და ხანგრძლივობა შეიძლება, შეიზღუდოს გონივრული ვადით. მაგ.: გამომძიებელი მოტივირებული დადგენილებით უფლებამოსილია, დაადგინოს ეჭვმიტანილისა და მისი დამცველის შეხვედრის ხანგრძლივობის გონივრული ვადა იმ შემთხვევაში, როდესაც იწურება დაკავების 48-საათიანი ვადა და ეჭვმიტანილს უნდა წაეყენოს ბრალდება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის კომენტარები);

– მონაწილეობა მიიღოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მონაწილეობით ან დაცვის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში, დაუსვას შეკითხვები დასაკითხს, მოითხოვოს ოქმში იმ მონაცემების შეტანა, რომლებიც უარყოფს ბრალდებას ან ამსუბუქებს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის პასუხისმგებლობას;

– მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულისათვის ბრალდების წაყენებასა და მის დაკითხვებში;

– განუმარტოს ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს თავიანთი უფლებები და ყურადღება გაამახვილოს ამ უფლებათა დარღვევაზე;

– შეკრიბოს დაცვისათვის საჭირო მონაცემები და ისინი მტკიცებულებათა სახით წარუდგინოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს;

– სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით დაცვისათვის აუცილებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ;

– განაცხადოს აცილება;

– განაცხადოს შუამდგომლობა;

– გაეცნოს ეჭვმიტანილის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებას, ჩვენებას, ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილებას, დაკავების ოქმს და ამოიწეროს საჭირო ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ შეეხება მისი დასაცავი პირის ინტერესებს;

– გაეცნოს დადგენილებებსა და ოქმებს დაკავებისა და დაპატიმრების შესახებ, ყველა იმ საგამოძიებო მოქმედების ოქმს, რომელთა ჩატარებაშიც მონაწილეობდა ის ან მისი დასაცავი პირი, საქმის მასალებს, რომლებიც ადასტურებს დაკავებისა და დაპატიმრების საჭიროებას, დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ექსპერტიზის დასკვნას;

– გაასაჩივროს პროკურორთან გამომძიებლის მოქმედება და დადგენილება, ხოლო საჩივრის უარყოფისას მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გამოძიების ადგილის მიხედვით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გაასაჩივროს გამომძიებლის ან/და პროკურორის დადგენილება, რომელიც, მისი აზრით, არღვევს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაცვის უფლებას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის კომენტარები);

– გამოვიდეს სასამართლოში გამომძიებლის, პროკურორის აქტებთან დაკავშირებით თავის მიერ, აგრეთვე – ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიერ შეტანილი საჩივრების განხილვისას;

– სისხლის სამართლის საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ გაეცნოს საქმის მთელი მასალის ასლს და ნივთიერ მტკიცებულებებს;

– იცოდეს თავისი შუამდგომლობით საპროცესო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი;

– იცოდეს სასამართლო სხდომის გამართვის დრო და ადგილი;

– მონაწილეობა მიიღოს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ყველა სტადიაზე და დაიცვას განსასჯელის, მსჯავრდებულის უფლებები;

– მიიღოს ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების ასლი, იმის მიუხედავად, რომ ეს ასლი გადაეცა ბრალდებულს;

– მიიღოს საბრალდებო დასკვნის ასლი, იმის მიუხედავად, რომ ეს ასლი გადაეცა ბრალდებულს;

– მიიღოს განაჩენის ასლი, იმის მიუხედავად, რომ ეს ასლი გადაეცა მსჯავრდებულს (გამართლებულს);

– მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების (დადგენილების) ასლი, იმის მიუხედავად, რომ ეს ასლი გადაეცა ბრალდებულს (განსასჯელს, მსჯავრდებულს);

– მიიღოს წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების ასლი, იმის მიუხედავად, რომ ეს ასლი გადაეცა ბრალდებულს;

– მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების ასლი, იმის მიუხედავად, რომ ეს ასლი გადაეცა ბრალდებულს;

– მიიღოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენის, განჩინების, დადგენილების ასლი, იმის მიუხედავად, რომ ეს ასლი გადაეცა მსჯავრდებულს (გამართლებულს);

– მიიღოს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინების ასლი, იმის მიუხედავად, რომ ეს ასლი გადაეცა მსჯავრდებულს (გამართლებულს);

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება;

– საწინააღმდეგო მოსაზრებები გამოთქვას ბრალდების მხარის მოქმედებებზე, რომლებიც, მისი აზრით, უკანონოა და მოითხოვოს მათი შეტანა სასამართლო სხდომის ოქმში;

– მიიღოს კომპეტენტური პირის წერილობითი მოსაზრებები და გამოიყენოს ის შუამდგომლობის, საჩივრის დასაბუთებისათვის;

– პირისათვის ბრალდების წაყენებისა და პირველი დაკითხვის შემდეგ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალას;

– განახორციელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

3. თუ დამცველი დათქმულ დროს არ ცხადდება საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედებების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად, გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ, მის გამოცხადებამდე მოიწვიონ დამცველი დანიშვნით.

თავი XII
სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები

მუხლი 85. სამოქალაქო მოსარჩელე

სამოქალაქო მოსარჩელეა პირი, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, რომელმაც წამოაყენა მოთხოვნა ამ ზიანის ანაზღაურების შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით და რომელიც სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობილია სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილებით (განჩინებით). 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო მოსარჩელედ მიიჩნევა პროკურორი. იურიდიული პირი ან ორგანიზაცია სამოქალაქო მოსარჩელედ მიიჩნევა, თუ ის მოითხოვს ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებას. 33-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო მოსარჩელედ მიიჩნევა გარდაცვლილი დაზარალებულის მემკვიდრე და ლიკვიდირებული იურიდიული პირის ან ორგანიზაციის უფლებამონაცვლე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სამოქალაქო მოსარჩელე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ზიანი მიადგა:

– უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შედეგად;

– შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად;

– დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებული პირის ქმედების შედეგად.

2. მიყენებული ზიანი შეიძლება იყოს:

– ქონებრივი;

– ფიზიკური;

– მორალური.

3. სამოქალაქო მოსარჩელის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის, საპროცესო სტატუსს პირი იძენს მას შემდეგ, რაც წამოაყენებს მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით და პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ცნობენ მას სამოქალაქო მოსარჩელედ.

4. სამოქალაქო მოსარჩელედ მიიჩნევა პროკურორი, თუ:

– ზიანი მიადგა სახელმწიფოს;

– დაზარალებული სთხოვს პროკურორს სარჩელის წარდგენას, როდესაც დაზარალებული ფიზიკური პირი მოკლებულია შესაძლებლობას, ჰყავდეს ადვოკატ-წარმო-

მადგენელი ან დაიცვას თავისი ინტერესები ბრალდებულზე დამოკიდებულების, ავადმყოფობის, არასრულწლოვანებისა თუ სხვა მიზეზით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის კომენტარები).

5. თუ გარდაიცვალა პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება გადადის გარდაცვლილის მემკვიდრეებზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის კომენტარები).

6. თუ ქონებრივი ან მორალური ზიანი მიადგა იურიდიულ პირს, სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობილ უნდა იქნეს ეს იურიდიული პირი და არა – მისი წარმომადგენელი ფიზიკური პირი.

7. იურიდიული პირი, ორგანიზაცია სამოქალაქო მოსარჩელედ მიიჩნევა, თუ ის მოითხოვს ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებას. იმ იურიდიული პირის, ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში, რომელსაც ზიანი მიადგა, სამოქალაქო მოსარჩელედ მიიჩნევა ლიკვიდირებული იურიდიული პირის, ორგანიზაციის უფლებამონაცვლე.

მუხლი 86. სამოქალაქო მოსარჩელის უფლება-მოვალეობანი

1. სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს თავისი უფლებების განმარტება;

ბ) იცოდეს ბრალდების არსი;

გ) იყოლიოს წარმომადგენელი წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში;

დ) წარმოადგინოს მტკიცებულებანი;

ე) განაცხადოს აცილება;

ვ) განაცხადოს შუამდგომლობა;

ზ) მოითხოვოს სარჩელის უზრუნველსაყოფად ზომების მიღება;

თ) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში, რომელიც ეხება სარჩელის საფუძველსა და თანხას, დაუსვას შეკითხვები დასაკითხ პირს, მოითხოვოს, ოქმში შეიტანონ სარჩელის დამადასტურებელი მონაცემები და სხვა საწინააღმდეგო მოსაზრებები გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედებაზე;

ი) გაასაჩივროს პროკურორთან, საჩივრის უარყოფის შემთხვევაში – ზემდგომ პროკურორთან, ხოლო ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევაში – სასამართლოში გამომძიებლის, პროკურორის მოქმედება და აქტები;

კ) არ გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და მოითხოვოს გამომძიებელთან, პროკურორთან და სასამართლოში გამოძახების შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

ლ) საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტისას, გაეცნოს საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

მ) მისცეს განმარტება წარდგენილი სარჩელის გამო, საჭიროების შემთხვევაში კი მოითხოვოს მოწმედ დაკითხვა;

ნ) მონაწილეობა მიიღოს პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევაში, ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით, გამოვიდეს სასამართლო კამათში, გაასაჩივროს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც ეხება სარჩელის საფუძველსა და თანხას, მისცეს განმარტება და დაიცვას თავისი ინტერესები სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში;

ო) გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და საჭიროებისამებრ გამოთქვას მასზე შენიშვნები;

პ) გამოთქვას საწინააღმდეგო მოსაზრებები პროცესის სხვა მონაწილეთა საჩივრებზე;

ჟ) უარი თქვას სარჩელზე ან დადოს მორიგება სამოქალაქო მოპასუხესთან.

რ) სამოქალაქო მოსარჩელე ვალდებულია:

ს) დროულად გამოცხადდეს იმ ორგანოს გამოძახებით, რომელიც პროცესს აწარმოებს;

ტ) წარუდგინოს სასარჩელო განცხადების ასლები სამოქალაქო მოპასუხეს, ბრალდებისა და დაცვის მხარეებს;

უ) დაემორჩილოს თავმჯდომარის კანონიერ განკარგულებებს, პატივი სცეს სასამართლოსა და მხარეებს, დაიცვას წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. თუ გამოვლინდა საკმაო საფუძველი, რომელიც პირს უფლებას აძლევს, წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, განუმარტონ (შეატყობინონ) მას სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება, ხოლო სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შემთხვევაში – სამოქალაქო მოსარჩელის უფლება-მოვალეობები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის კომენტარები).

2. სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვს:

– მოითხოვოს თავისი უფლებების განმარტება;

– იცოდეს ბრალდების არსი;

– იყოლიოს წარმომადგენელი წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში;

– წარმოადგინოს მტკიცებულება;

– განაცხადოს აცილება;

– განაცხადოს შუამდგომლობა;

– მოითხოვოს სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად ზომების მიღება;

– მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებაში, რომელიც ეხება სამოქალაქო სარჩელის საფუძველსა და თანხას და:

ა) დაუსვას შეკითხვები დასაკითხ პირს;

ბ) მოითხოვოს, ოქმში შეიტანონ სარჩელის დამადასტურებელი მონაცემები;

გ) საწინააღმდეგო მოსაზრებები გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედებაზე;

– გაასაჩივროს პროკურორთან, საჩივრის უარყოფის შემთხვევაში — ზემდგომ პროკურორთან, ხოლო მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ზუსტად დადგენილ შემთხვევაში – სასამართლოში გამომძიებლის, პროკურორის მოქმედება და აქტები;

– არ გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი;

– მოითხოვოს გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოძახების შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

– სისხლის სამართლის საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– მისცეს განმარტება წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის გამო;

– საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს მოწმედ დაკითხვა;

– მონაწილეობა მიიღოს პირველი ინსტანციის სასამართლოში:

ა) მტკიცებულებათა გამოკვლევაში;

ბ) ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით;

გ) გამოვიდეს სასამართლო კამათში;

დ) გაასაჩივროს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც ეხება სამოქალაქო სარჩელის საფუძველსა და თანხას;

– მისცეს განმარტება და დაიცვას თავისი ინტერესები სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში;

– მისცეს განმარტება და დაიცვას თავისი ინტერესები საკასაციო ინსტანციის სასამართლოში;

– გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს;

– გამოთქვას შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმზე;

– გამოთქვას საწინააღმდეგო მოსაზრებები პროცესის სხვა მონაწილეთა საჩივრებზე;

– უარი თქვას სამოქალაქო სარჩელზე;

– დადოს მორიგება სამოქალაქო მოპასუხესთან.

3. სამოქალაქო მოსარჩელე ვალდებულია:

– დროულად გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის გამოძახებით;

– წარუდგინოს სასარჩელო განცხადების ასლები სამოქალაქო მოპასუხეს, ბრალდებისა და დაცვის მხარეებს;

– დაემორჩილოს სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულებებს;

– პატივი სცეს სასამართლოსა და მხარეებს;

– დაიცვას წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში.

მუხლი 87. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი

1. **სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ადვოკატი, რომელიც მოწვეულია სამოქალაქო მოსარჩელის მიერ მისი ინტერესების დასაცავად დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს.**
2. **სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო მოსარჩელის ადვოკატ-წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა 71-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.**
3. **წარმომადგენელი ვალდებულია მიიღოს სამოქალაქო მოსარჩელის თანხმობა 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სამოქალაქო მოსარჩელემ შეიძლება სისხლის სამართლის საქმეში წარმომადგენლად მოიწვიოს ადვოკატი.

2. სამოქალაქო მოსარჩელის ადვოკატ-წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა, თუ სამოქალაქო მოსარჩელე:

– არასრულწლოვანია;

– ქმედუუნაროა;

– შეზღუდულქმედუნარიანია;

– ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია, დაიცვას თავისი ინტერესები;

– დაზარალებულია სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 მუხლით (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად;

– დაზარალებულია სისხლის სამართლის კოდექსის 143^2 მუხლით (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის კომენტარები).

3. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი უფლებამოსილია, მხოლოდ სამოქალაქო მოსარჩელის თანხმობით:

– სამოქალაქო სარჩელზე უარი თქვას;
– სამოქალაქო მოპასუხესთან დადოს მორიგება.

მუხლი 88. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლის უფლება-მოვალეობანი

1. წარმომადგენელი ვალდებულია გამოიყენოს კანონით ნებადართული ყველა საშუალება და ხერხი სამოქალაქო მოსარჩელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. წარმომადგენლობის მიღების შემდეგ ადვოკატს უფლება არა აქვს უარი თქვას მასზე. წარმომადგენელს უფლება არა აქვს დაიკავოს პოზიცია, რომელსაც მარწმუნებელი არ ეთანხმება. წარმომადგენელი ვალდებულია არ გაახმაუროს წარმომადგენლობასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია.

2. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს აქვს მარწმუნებლის ყველა საპროცესო უფლება, რომლებიც აღნიშნულია 86-ე მუხლის პირველ ნაწილში, გარდა იმავე ნაწილის „ა“, „გ“ და „ჟ“ ქვეპუნქტებისა.

3. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს ეკისრება 86-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული მოვალეობები.

1. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი ვალდებულია, გამოიყენოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ნებადართული ყველა საშუალება და ხერხი სამოქალაქო მოსარჩელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

2. წარმომადგენლობის მიღების შემდეგ ადვოკატს უფლება არა აქვს, უარი თქვას სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლობაზე.

3. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს უფლება არა აქვს, დაიკავოს პოზიცია, რომელსაც მარწმუნებელი არ ეთანხმება.

4. აღსანიშნავია ისიც, რომ სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი ვალდებულია, არ გაახმაუროს წარმომადგენლობასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია.

5. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს უფლება აქვს:

– იცოდეს ბრალდების არსი;

– წარმოადგინოს მტკიცებულება;

– განაცხადოს აცილება;

– განაცხადოს შუამდგომლობა;

– მოითხოვოს სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად ზომების მიღება;

– მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში, რომელიც ეხება სამოქალაქო სარჩელის საფუძველსა და თანხას და:

ა) დაუსვას შეკითხვები დასაკითხ პირს;

ბ) მოითხოვოს, ოქმში შეიტანონ სარჩელის დამადასტურებელი მონაცემები;

გ) საწინააღმდეგო მოსაზრებები გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედებაზე;

– გაასაჩივროს პროკურორთან, საჩივრის უარყოფის შემთხვევაში — ზემდგომ პროკურორთან, ხოლო მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ზუსტად

დადგენილ შემთხვევაში – სასამართლოში გამომძიებლის, პროკურორის მოქმედება და აქტები;

– არ გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი;

– მოითხოვოს გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოძახების შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

– სისხლის სამართლის საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– მისცეს განმარტება წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის გამო;

– საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს მოწმედ დაკითხვა;

– მონაწილეობა მიიღოს პირველი ინსტანციის სასამართლოში:

ა) მტკიცებულებათა გამოკვლევაში;

ბ) ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით;

გ) გამოვიდეს სასამართლო კამათში;

დ) გაასაჩივროს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც ეხება სამოქალაქო სარჩელის საფუძველსა და თანხას;

– მისცეს განმარტება და დაიცვას თავისი ინტერესები სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში;

– მისცეს განმარტება და დაიცვას თავისი ინტერესები საკასაციო ინსტანციის სასამართლოში;

– გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს;

– გამოთქვას შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმზე;

– გამოთქვას საწინააღმდეგო მოსაზრებები პროცესის სხვა მონაწილეთა საჩივრებზე;

6. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი ვალდებულია:

– დროულად გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის გამოძახებით;

– წარუდგინოს სასარჩელო განცხადების ასლები სამოქალაქო მოპასუხეს, ბრალდებისა და დაცვის მხარეებს;

– დაემორჩილოს სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულებებს;

– პატივი სცეს სასამართლოსა და მხარეებს;

– დაიცვას წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში.

მუხლი 89. სამოქალაქო მოპასუხე

1. **სამოქალაქო მოპასუხეა პირი, რომელსაც წაეყენება მოთხოვნა იმ ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც სხვა პირს მიადგა დანაშაულის ან იმ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება და რომელიც დაშვებულია სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილებით (განჩინებით).**
2. **სამოქალაქო მოპასუხედ შეიძლება ცნობილ იქნეს 36-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ფიზიკური ან იურიდიული პირი ანდა ორგანიზაცია.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სამოქალაქო მოპასუხედ პირი მიიჩნევა პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის დადგენილებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 36-ე მუხლის კომენტარები).

2. სამოქალაქო მოპასუხე არის პირი, რომელსაც სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობილი პირის სამოქალაქო სარჩელის საფუძველზე გამომძიებელი, პროკურორი წაუყენებენ მოთხოვნას იმ ქონებრივი, ფიზიკური, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დანაშაულის ან იმ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 36-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 90. სამოქალაქო მოპასუხის უფლება-მოვალეობანი

1. **სამოქალაქო მოპასუხეს იგივე უფლებები აქვს, რაც სამოქალაქო მოსარჩელეს (86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „ჟ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულის გარდა). სამოქალაქო მოპასუხეს უფლება აქვს ცნოს სარჩელი ან დადოს მორიგება სამოქალაქო მოსარჩელესთან, რაც გამორიცხავს სარჩელის გამო შემდგომ წარმოებას.**
2. **სამოქალაქო მოპასუხეს იგივე საპროცესო მოვალეობები ეკისრება, რაც სამოქალაქო მოსარჩელეს (86-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულის გარდა).**
3. **პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ და მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეებზე სამოქალაქო მოსარჩელის მტკიცებათა უარყოფის ტვირთი ეკისრება სამოქალაქო მოპასუხეს.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სამოქალაქო მოპასუხეს უფლება აქვს:

– მოითხოვოს თავისი უფლებების განმარტება;

– იცოდეს ბრალდების არსი;

– იყოლიოს წარმომადგენელი წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში;

– წარმოადგინოს მტკიცებულება;

– განაცხადოს აცილება;

– განაცხადოს შუამდგომლობა;

– მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში, რომელიც ეხება სამოქალაქო სარჩელის საფუძველსა და თანხას და:

ა) დაუსვას შეკითხვები დასაკითხ პირს;

ბ) მოითხოვოს, ოქმში შეიტანონ სარჩელის დამადასტურებელი მონაცემები;

გ) საწინააღმდეგო მოსაზრებები გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედებაზე;

– გაასაჩივროს პროკურორთან, საჩივრის უარყოფის შემთხვევაში – ზემდგომ პროკურორთან, ხოლო მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ზუსტად დადგენილ შემთხვევაში – სასამართლოში გამომძიებლის, პროკურორის მოქმედება და აქტები;

– არ გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი;

– მოითხოვოს გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოძახების შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

– სისხლის სამართლის საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– მისცეს განმარტება წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის გამო;

– საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს მოწმედ დაკითხვა;

– მონაწილეობა მიიღოს პირველი ინსტანციის სასამართლოში:

ა) მტკიცებულებათა გამოკვლევაში;

ბ) ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით;

გ) გამოვიდეს სასამართლო კამათში;

დ) გაასაჩივროს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც ეხება სამოქალაქო სარჩელის საფუძველსა და თანხას;

– მისცეს განმარტება და დაიცვას თავისი ინტერესები სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში;

– მისცეს განმარტება და დაიცვას თავისი ინტერესები საკასაციო ინსტანციის სასამართლოში;

– გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს;

– გამოთქვას შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმზე;

– გამოთქვას საწინააღმდეგო მოსაზრებები პროცესის სხვა მონაწილეთა საჩივრებზე;

2. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სამოქალაქო მოპასუხეს უფლება აქვს:

– ცნოს სამოქალაქო სარჩელი;

– სამოქალაქო მოპასუხესთან დადოს მორიგება;

3. სამოქალაქო მოპასუხე ვალდებულია:

– დროულად გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის გამოძახებით;

– დაემორჩილოს სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულებებს;

– პატივი სცეს სასამართლოსა და მხარეებს;

– დაიცვას წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გამონაკლისი შემთხვევების ჩამონათვალს, რა დროსაც სამოქალაქო მოპასუხეს ეკისრება სამოქალაქო მოსარჩელის მტკიცებათა უარყოფის ტვირთი, ესენია:

– პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ სისხლის სამართლის საქმეები;

– მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სისხლის სამართლის საქმეები.

მუხლი 91. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი

1. **სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ადვოკატი, რომელიც მოწვეულია სამოქალაქო მოპასუხის მიერ მისი ინტერესების დასაცავად დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. თუ სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილია ბრალდებული, წარმომადგენლის ფუნქციები სამოქალაქო სარჩელის განხილვისას შეიძლება დაეკისროს დამცველს.**
2. **სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო მოპასუხის ადვოკატ-წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა 71-ე მუხლის მე-2-3 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.**
3. **წარმომადგენელი ვალდებულია მიიღოს სამოქალაქო მოპასუხის თანხმობა სარჩელის სრული ან ნაწილობრივი ცნობის, მორიგების დადების, განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემთხვევაში.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ადვოკატი, რომელსაც იწვევს სამოქალაქო მოპასუხე თავისი ინტერესების დასაცავად დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს.

2. თუ ბრალდებული ცნობილია სამოქალაქო მოპასუხედ, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლის ფუნქციები შეიძლება დაეკისროს დამცველს.

3. სამოქალაქო მოპასუხის ადვოკატ-წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა, თუ სამოქალაქო მოპასუხე:

– არასრულწლოვანია;

– ქმედუუნაროა;

– შეზღუდულქმედუნარიანია;

– ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია, დაიცვას თავისი ინტერესები;

– მატერიალურად უკიდურესად გაჭირვებულია;

– სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლით (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) გათვალისწინებული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე;

– სისხლის სამართლის კოდექსის 143[2] მუხლით (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) გათვალისწინებული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის კომენტარები).

4. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი უფლებამოსილია, მხოლოდ მარწმუნებლის თანხმობით:

– ცნოს სამოქალაქო სარჩელი სრულად;

– ცნოს სამოქალაქო სარჩელი ნაწილობრივ;

– დადოს მორიგება;

– გაასაჩივროს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება.

მუხლი 92. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლის უფლება-მოვალეობანი

1. წარმომადგენელი ვალდებულია გამოიყენოს კანონით ნებადართული ყველა საშუალება და ხერხი სამოქალაქო მოპასუხის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. წარმომადგენლობის მიღების შემდეგ ადვოკატს უფლება არა აქვს უარი თქვას მასზე. წარმომადგენელი ვალდებულია არ გაახმაუროს წარმომადგენლობასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია.

2. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს აქვს მარწმუნებლის ყველა საპროცესო უფლება, გარდა 86-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული სარჩელის ცნობის, მორიგების დადების, განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების საკითხის გადაწყვეტისა.

3. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს ეკისრება იგივე საპროცესო მოვალეობები, რაც სამოქალაქო მოპასუხეს.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75)

1. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი ვალდებულია, გამოიყენოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ნებადართული ყველა საშუალება და ხერხი მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

2. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლობის მიღების შემდეგ ადვოკატს უფლება არა აქვს, უარი თქვას მასზე.

3. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი ვალდებულია, არ გაახმაუროს წარმომადგენლობასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია.

4. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს უფლება აქვს:

– იცოდეს ბრალდების არსი;

– წარმოადგინოს მტკიცებულება;

– განაცხადოს აცილება;

– განაცხადოს შუამდგომლობა;

– მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში, რომელიც ეხება სამოქალაქო სარჩელის საფუძველსა და თანხას და:

ა) დაუსვას შეკითხვები დასაკითხ პირს;

ბ) მოითხოვოს, ოქმში შეიტანონ სარჩელის დამადასტურებელი მონაცემები;

გ) საწინააღმდეგო მოსაზრებები გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედებაზე;

– გაასაჩივროს პროკურორთან, საჩივრის უარყოფის შემთხვევაში — ზემდგომ პროკურორთან, ხოლო მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ზუსტად დადგენილ შემთხვევაში – სასამართლოში გამომძიებლის, პროკურორის მოქმედება და აქტები;

– არ გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი;

– მოითხოვოს გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოძახების შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

– სისხლის სამართლის საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, გადაიღოს ასლები და სისხლის სამართლის საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;

– მისცეს განმარტება წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის გამო;

– საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს მოწმედ დაკითხვა;

– მონაწილეობა მიიღოს პირველი ინსტანციის სასამართლოში:

ა) მტკიცებულებათა გამოკვლევაში;

ბ) ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით;

გ) გამოვიდეს სასამართლო კამათში;

დ) გაასაჩივროს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც ეხება სამოქალაქო სარჩელის საფუძველსა და თანხას;

– მისცეს განმარტება და დაიცვას თავისი ინტერესები სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში;

– მისცეს განმარტება და დაიცვას თავისი ინტერესები საკასაციო ინსტანციის სასამართლოში;

– გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს;

– გამოთქვას შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმზე;

– გამოთქვას საწინააღმდეგო მოსაზრებები პროცესის სხვა მონაწილეთა საჩივრებზე;

5. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს უფლება არა აქვს:

– ცნოს სამოქალაქო სარჩელი;

– დადოს მორიგება;

– გაასაჩივროს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება.

6. სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი ვალდებულია:

– დროულად გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის გამოძახებით;

– დაემორჩილოს სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულებებს;

– პატივი სცეს სასამართლოსა და მხარეებს;

– დაიცვას წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში.

თავი XIII
სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილენი

მუხლი 93. მოწმე

1. **მოწმედ შეიძლება გამოძახებულ იქნეს ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები.**
2. **მოწმის გამოძახებისა და დაკითხვის წესი განსაზღვრულია 295-308-ე მუხლებით.**

1. მოწმე არის ფიზიკური პირი, რომელმაც იცის ან შეიძლება, იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები.

2. მოწმე შეიძლება იყოს პირი, რომელმაც იცის ან შეიძლება, იცოდეს მონაცემები როგორც ქმედების ფაქტობრივ გარემოებათა, ასევე – სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებათა შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 294-308-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 94. მოწმის უფლება-მოვალეობანი

1. **მოწმე ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით; სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს; არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ; დაიცვას წესრიგი საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს; არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი თავმჯდომარის ნებართვის გარეშე.**
2. **თუ მოწმე არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, იგი შეიძლება იძულებით მოიყვანონ 176-ე მუხლით დადგენილი წესით. გამოუცხადებლობის, თავმჯდომარის განკარგულებათა შეუსრულებლობის, საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს უპატივცემულობისათვის მოწმეს შეიძლება დაეკისროს ფულადი სახდელი შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე (208-ე მუხლი).**
3. **ჩვენებაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების მიცემისათვის, მოწმე პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-371-ე მუხლებით, ამასთან, მოწმე არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება თავისი ან მისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ.**

4. მოწმეს უფლება აქვს: იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული; ჩვენება მისცეს მშობლიურ ენაზე, თუ მან არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, და ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით; აცილება მისცეს თარჯიმანს; საკუთარი ხელით ჩამოაყალიბოს თავისი ჩვენება; გაეცნოს დაკითხვის ან მისი მონაწილეობით ჩატარებული სხვა საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა, გააკეთოს განცხადება გამოძიების უკანონო მეთოდების შესახებ; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმის იმ ნაწილს, სადაც ჩაწერილია მისი ჩვენება, და მოითხოვოს მასში დამატებების, ცვლილებებისა და დაზუსტებების შეტანა, ისარგებლოს წერილობითი ჩანიშვნებითა და დოკუმენტებით; ამ კოდექსის 368-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული იძულებითი ექსპერტიზისას ისარგებლოს 366-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებებით; გამომძიებლის უკანონო მოქმედება გაასაჩივროს პროკურორთან, არ მისცეს ჩვენება, რომელიც ამხელს მას ან მის ახლო ნათესავებს დანაშაულის ჩადენაში; მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში; გაეცნოს ოქმს და გააკეთოს განცხადებები, რომლებიც ოქმში შეიტანება.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. მოწმეს უფლება აქვს:

– იცოდეს, რომელი სისხლის სამართლის საქმის გამოა გამოძახებული;

– ჩვენება მისცეს მშობლიურ ენაზე, თუ მან არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

– ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით;

– აცილება მისცეს თარჯიმანს;

– წინასწარი გამოძიების ეტაპზე საკუთარი ხელით დაწეროს თავისი ჩვენება;

– მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

– გაეცნოს დაკითხვის ან მისი მონაწილეობით ჩატარებული სხვა საგამოძიებო მოქმედების ოქმს და გააკეთოს განცხადებები, რომლებიც ოქმში შეიტანება, მოითხოვოს ოქმში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა, გააკეთოს განცხადება გამოძიების უკანონო მეთოდების შესახებ;

– გამომძიებლის უკანონო მოქმედება გაასაჩივროს პროკურორთან;

– არ მისცეს ჩვენება, რომელიც ამხელს მას ან მის ახლო ნათესავებს დანაშაულის ჩადენაში;

– გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმის იმ ნაწილს, სადაც ჩაწერილია მისი ჩვენება და მოითხოვოს მასში დამატებების, ცვლილებებისა და დაზუსტებების შეტანა;

– ჩვენების მიცემისას ისარგებლოს წერილობითი ჩანიშვნებითა და დოკუმენტებით.

– მის მიმართ იძულებითი ექსპერტიზის ჩატარებისას:

ა) წინასწარ გაეცნოს დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;

ბ) აცილება მისცეს ექსპერტს;

გ) გაეცნოს ექსპერტიზის დასკვნას და მისი მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღეში აღძრას შუამდგომლობა დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 366-ე, 368-ე მუხლების კომენტარები).

2. მოწმე ვალდებულია:

– გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით;

– სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც სისხლის სამართლის საქმის ირგვლივ იცის;

– უპასუხოს დასმულ შეკითხვებს;

– არ გაამჟღავნოს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილეს გამომძიებელმა, პროკურორმა, სასამართლომ;

– დაიცვას წესრიგი სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიებისას;

– დაიცვას წესრიგი სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის დროს;

– არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე.

3. არასაპატიო მიზეზით გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოწმე შეიძლება, იძულებით მოიყვანონ. როგორც წინასწარი გამოძიებისას, ასევე – სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას მოწმის იძულებით მოყვანა დასაშვებია მხოლოდ მოსამართლის (სასამართლო) ბრძანების, დადგენილების (განჩინების) საფუძველზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-176-ე მუხლების კომენტარები).

4. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის, სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულების შეუსრულებლობის, წინასწარი გამოძიებისას, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის დროს წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს უპატივცემულობისათვის მოწმეს ეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203-ე, 205-ე, 207-ე, 208-ე, 209-ე, 210-ე მუხლების კომენტარები).

5. მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა, ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა, ცრუ დასმენა წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე, 371-ე, 371[1], 373-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულს. ამასთან, მოწმე პასუხს არ აგებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, თუ იგი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ახლო ნათესავია ან/და მას უნდა მიეცა დანაშაულის ჩადენაში საკუთარი თავის მამხილებელი ჩვენება (იხილეთ ასევე სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 95. პირი, რომელიც არ შეიძლება მოწმე იყოს

1. არ შეიძლება მოწმედ გამოიძახონ და დაკითხონ:

ა) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის დამცველი – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხის ან იმ პირის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

გ) ადვოკატი, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის ან წარმომადგენლობის მიღებამდე – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით;

დ) ადვოკატი, რომელიც ორგანიზაციას ემსახურებოდა – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა დაცვის ან წარმომადგენლობის განხორციელებასთან ან სხვა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით;

ე) სასულიერო პირი – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად;

ვ) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ახლო ნათესავი – თუ იგი არ დათანხმდება მისცეს ჩვენება, როგორც ბრალდების მოწმემ;

ზ) სახალხო დამცველი – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს;

თ) საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები – იმ ფაქტის გამო, რომელიც მათ გაანდეს ამომრჩევლებმა;

ი) მოსამართლე – იმ გარემოების შესახებ, რომელიც წარმოადგენს მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოებას;

კ) ჟურნალისტი – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

2. მოწმედ არ შეიძლება დაკითხონ პირი, რომელსაც მცირეწლოვნობის, ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური დაავადების გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიხსომოს ან აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება, ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

3. გამომძიებელს, სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება აქვთ მოტივირებული დადგენილებით (განჩინებით) მოწმის მოვალეობისაგან გაათავისუფლონ:

ა) ექიმი, მედიცინის და, მეანი, ფარმაცევტი, სხვა სამედიცინო მუშაკი, თუ მათ პროფესიულად ევალებათ საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა;

ბ) ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი, თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება, არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი;

გ) პირი, რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2006 წლის 20 ივნისის კანონი №3310 – სსმ I, 2006 წ., №25, მუხლი 197)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სისხლის სამართლის საქმეში პირი არ იქნეს მოწმედ დაკითხული. ამასთან, ერთ შემთხვევაში თავად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ უშვებს პირის მოწმედ დაკითხვის შესაძლებლობას, ხოლო მეორე შემთხვევაში პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს უფლება აქვთ, პირი გაათავისუფლონ მოწმის მოვალეობისაგან.

2. არ შეიძლება მოწმედ გამოიძახონ და დაკითხონ:

– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის დამცველი — იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ სისხლის სამართლის საქმეში დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

– დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის, იმ პირის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ სისხლის სამართლის საქმეში წარმომადგენლის, დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

– ადვოკატი, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის, წარმომადგენლობის მიღებამდე – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით;

– ადვოკატი, რომელიც ორგანიზაციას ემსახურებოდა – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა დაცვის, წარმომადგენლობის განხორციელებასთან ან სხვა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით;

– სასულიერო პირი – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად;

– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის – განქორწინებული) – თუ ის არ დათანხმდება, მისცეს ჩვენება, როგორც ბრალდების მოწმემ;

– სახალხო დამცველი – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს;

– საქართველოს პარლამენტის წევრი – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდო ამომრჩეველმა;

– ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდო ამომრჩეველმა;

– მოსამართლე – იმ გარემოების შესახებ, რომელიც წარმოადგენს მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოებას;

– ჟურნალისტი – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

3. მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში მოწმედ არ შეიძლება დაიკითხოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი.

4. მოწმედ არ შეიძლება დაიკითხოს პირი, რომელსაც არ შეუძლია, სწორად აღიქვას, დაიხსომოს ან აღიდგინოს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება:

– მცირეწლოვანების გამო;

– ფიზიკური ნაკლის გამო;

– ფსიქიკური დაავადების გამო.

5. ამასთან, იმის გასარკვევად, მცირეწლოვანების, ფიზიკური ნაკლის, ფსიქიკური დაავადების გამო შეუძლია თუ არა პირს მოვლენების სწორად აღქმა, დამახსოვრება, აღდგენა და გადმოცემა, შესაძლებელია, საჭირო გახდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტის მოწვევა ან ექსპერტიზის ჩატარება.

6. გამომძიებელს, მოსამართლეს, სასამართლოს უფლება აქვთ, მოტივირებული დადგენილებით, განჩინებით მოწმის მოვალეობისაგან გაათავისუფლონ:

– ექიმი, მედიცინის და, მეანი, ფარმაცევტი, სხვა სამედიცინო მუშაკი, თუ მას პროფესიულად ევალება საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა;

– ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე, მასთან გათანაბრებული პირი, თუ მას ნაკისრი აქვს ვალდებულება, არ გაამჟღავნოს მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი;

– პირი, რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ, საბანკო საიდუმლოებას.

მუხლი 96. ექსპერტი

1. **ექსპერტი არის პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის დარგში და რომელიც გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ, ბრალდებულმა, დამცველმა, დაზარალებულმა დანიშნა სპეციალური გამოკვლევის ჩასატარებლად და სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გარემოებათა შესახებ დასკვნის შესადგენად.**
2. **ექსპერტად შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა, მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში ან აქვს ლიცენზია.**
2[1]. **საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტად შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა და გამოცდილება საფინანსო ან საბუღალტრო საქმიანობაში, რაც დადასტურებულია შესაბამის დარგში უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი საბუთით, შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით ან შესაბამისი დოკუმენტით (სერტიფიკატით).**
3. **ექსპერტის გამოძახება, დანიშვნა და ექსპერტიზის ჩატარება ხდება 356-374-ე მუხლებით დადგენილი წესით.**

4. სამართლებრივ საკითხთა გადასაწყვეტად ექსპერტიზა არ ტარდება.

5. ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს იმისდა მიუხედავად, აქვს თუ არა სპეციალური ცოდნა გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს.

6. ექსპერტის დასკვნის მოპოვების უფლება აქვს მხარესაც. ამ შემთხვევაში მხარე ექსპერტის დასკვნას წარუდგენს გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს და მოითხოვს მის მონაწილეობას საქმის შემდგომ წარმოებაში. დაცვის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას სახელმწიფო არ ანაზღაურებს. ორგანომ, რომელიც პროცესს აწარმოებს, მხარეს უნდა წარუდგინოს ნივთიერი მტკიცებულებანი და საექსპერტო გამოკვლევის სხვა ობიექტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი უნდა გადაეცეს გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს მიერ დანიშნულ ექსპერტს. მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს საექსპერტო კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შეიძლება შევიდეს მის მიერ შეთავაზებული ექსპერტი.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2543 – სსმ I, 2006 წ., №1, მუხლი 9)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სამართლებრივ საკითხთა გადასაწყვეტად ექსპერტიზა არ ტარდება.

2. სისხლის სამართლის საქმეზე ექსპერტი არის პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ხელობის დარგში და რომელიც დანიშნულია სპეციალური გამოკვლევის ჩასატარებლად და სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გარემოებათა შესახებ დასკვნის შესადგენად.

3. ექსპერტად შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა, მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში ან აქვს ლიცენზია.

4. საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტად შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა და გამოცდილება საფინანსო ან საბუღალტრო საქმიანობაში, რაც დადასტურებულია შესაბამის დარგში უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი საბუთით, შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით ან შესაბამისი დოკუმენტით (სერტიფიკატით).

5. სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გასარკვევად ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს იმისდა მიუხედავად, აქვთ თუ არა სპეციალური ცოდნა პროცესის მწარმოებელ თანამდებობის პირებს – გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს.

6. ექსპერტის დასკვნის მოპოვების უფლება აქვთ არა მარტო პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს, არამედ – მხარესაც. ამ შემთხვევაში მხარე ექსპერტის დასკვნას წარუდგენს გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს, სასამართლოს და მოითხოვს დასკვნის დართვას სისხლის სამართლის საქმეზე, აგრეთვე შეუძლია, დადგენილი წესით იშუამდგომლოს თავის მიერ წარმოდგენილი დასკვნის გამცემი ექსპერტის დაკითხვის შესახებ.

7. დაცვის მხარის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯებს სახელმწიფო არ ანაზღაურებს.

8. პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა მხარის მიერ დანიშნულ ექსპერტს უნდა წარუდგინონ ნივთიერი მტკიცებულება და საექსპერტო გამოკვლევის სხვა ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის ამავე დროს უნდა გადაეცეს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს მიერ დანიშნულ ექსპერტს.

9. მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს საექსპერტო კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შეიძლება, შევიდეს მის მიერ შეთავაზებული ექსპერტი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 356-374-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 97. ექსპერტის უფლება-მოვალეობანი

1. ექსპერტი ვალდებულია:

ა) გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით;

ბ) მისცეს ჩვენება ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიებისას ან სასამართლო განხილვის დროს;

გ) მისცეს დასაბუთებული და ობიექტური წერილობითი დასკვნა დასმულ საკითხებზე;

დ) კანონით დადგენილი წესით დაიცვას და დააბრუნოს კვლევის ობიექტები;

ე) პროცესის მწარმოებელი ორგანოს ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები და ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა;

ვ) განაცხადოს თვითაცილება, თუ არსებობს 106-ე მუხლში მითითებული საფუძველი;

2. ყალბი დასკვნისათვის ექსპერტი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით.

3. ექსპერტს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს ექსპერტიზისათვის საჭირო საქმის მასალებს და ამოიწეროს საჭირო ცნობები და გადაიღოს ასლები;

ბ) მოითხოვოს დამატებითი მასალების წარდგენა;

გ) უარი თქვას დასკვნის მიცემაზე და ექსპერტიზის შემდგომ გაგრძელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი სპეციალური ცოდნის ფარგლებს ან თუ მისთვის წარდგენილი მასალები საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად;

დ) გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს (მოსამართლის) ნებართვით დაესწროს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და დასაკითხ პირებს დაუსვას შეკითხვები, რომლებიც ექსპერტიზის საგანს განეკუთვნება;

ე) სასამართლო სხდომაზე მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის საგანს მიკუთვნებულ მტკიცებულებათა კვლევაში და სასამართლოს ნებართვით შეკითხვები დაუსვას დასაკითხ პირებს;

ვ) ჩამოაყალიბოს დასკვნა არა მარტო დასმულ საკითხებზე, არამედ ექსპერტიზის საგანს მიკუთვნებულ სხვა საკითხებზედაც, რომელთა გამოც მისთვის არ დაუსვამთ კითხვები;

ზ) შეადგინოს დასკვნა და მისცეს ჩვენება მშობლიურ ენაზე, თუ მან არ იცის სამართალწარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;

თ) გამომძიებლის მოქმედებები და დადგენილებები გაასაჩივროს პროკურორთან, ხოლო პროკურორის მოქმედება – ზემდგომ პროკურორთან;

ი) გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმის იმ ნაწილს, რომელიც მის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას ეხება, და მოითხოვოს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

კ) გააკეთოს განცხადება მისი დასკვნის არასწორი ინტერპრეტაციის შესახებ.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ექსპერტს, როგორც წესი, პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა უნდა განუმარტონ უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა მათი შეუსრულებლობისათვის.

2. ექსპერტს უფლება აქვს:

– გაეცნოს ექსპერტიზისათვის საჭირო სისხლის სამართლის საქმის მასალებს, ამოიწეროს საჭირო ცნობები ან გადაიღოს ასლები;

– მოითხოვოს დამატებითი მასალების წარდგენა;

– უარი თქვას დასკვნის მიცემასა და ექსპერტიზის შემდგომ გაგრძელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი სპეციალური ცოდნის ფარგლებს;

– უარი თქვას დასკვნის მიცემასა და ექსპერტიზის შემდგომ გაგრძელებაზე, თუ მისთვის წარდგენილი მასალები საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად;

– გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს ნებართვით დაესწროს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და დასაკითხ პირებს დაუსვას შეკითხვები, რომლებიც ექსპერტიზის საგანს განეკუთვნება;

– სასამართლო სხდომაზე მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის საგანს მიკუთვნებულ მტკიცებულებათა კვლევაში და სასამართლოს ნებართვით შეკითხვები დაუსვას დასაკითხ პირებს;

– ჩამოაყალიბოს დასკვნა არა მარტო დასმულ საკითხებზე, არამედ – ექსპერტიზის საგანს მიკუთვნებულ სხვა საკითხებზეც, რომელთა გამო მისთვის არ დაუსვამთ კითხვები;

– შეადგინოს დასკვნა და მისცეს ჩვენება მშობლიურ ენაზე, თუ მან არ იცის სამართალწარმოების ენა და, შესაბამისად, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;

– გამომძიებლის მოქმედებები და დადგენილებები გაასაჩივროს პროკურორთან, ხოლო პროკურორის მოქმედება — ზემდგომ პროკურორთან;

– გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმის იმ ნაწილს, რომელიც თავის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას ეხება და მოითხოვოს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

– გააკეთოს განცხადება თავისი დასკვნის არასწორი ინტერპრეტაციის შესახებ.

3. ექსპერტი ვალდებულია:

– გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს გამოძახებით;

– მისცეს ჩვენება ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიებისას;

– მისცეს ჩვენება ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დროს;

– მისცეს დასაბუთებული და ობიექტური წერილობითი დასკვნა დასმულ საკითხებზე;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით დაიცვას და დააბრუნოს კვლევის ობიექტები, თუ ისინი მთლიანად არ გაიხარჯა ექსპერტიზის დროს;

– პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა;

– პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა;

– შესაბამისი საფუძვლების არსებობისას განაცხადოს თვითაცილება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის კომენტარები).

4. ყალბი დასკვნისათვის ექსპერტი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

მუხლი 98. სპეციალისტი

1. **სპეციალისტი საჭირო დახმარებას უწევს გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, დამაგრებასა და დემონსტრირებაში. სპეციალისტად შეიძლება გამოიძახონ კრიმინალისტი, ექიმი, ფსიქოლოგი, პედაგოგი და სხვა პირები, რომლებსაც აქვთ საჭირო ცოდნა და ჩვევები.**
2. **წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს ტექნიკური აპარატურის (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფოტო და კინოგადასაღები, სხვა აპარატები) გამოყენების მიზნით შეიძლება გამოიძახონ სპეციალისტ-ოპერატორი.**
3. **სპეციალისტი შეიძლება მოწვეულ იქნეს შესაბამისი დაწესებულებიდან. ამ შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელი გასცემს განკარგულებას იმის თაობაზე, თუ ამ დაწესებულების თანამშრომელთაგან რომელი უნდა გაიგზავნოს სპეციალისტად, რასაც აცნობებს გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს. საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში სპეციალისტის მონაწილეობის წესი გათვალისწინებულია ამ კოდექსის 99-ე მუხლით.**

(საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის კანონი №596 – სსმ I, 2004 წ., №37, მუხლი 172; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საქმეში სპეციალისტად მონაწილეობის მისაღებად შეიძლება, გამოძახებულ იქნეს:

– კრიმინალისტი;

– ექიმი;

– ფსიქოლოგი;

– პედაგოგი;

– სხვა პირი, რომელსაც აქვს საჭირო ცოდნა და ჩვევები ჩასატარებელი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების სპეციფიკის შესაბამისად.

2. სპეციალისტი საჭირო დახმარებას უწევს გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს, სასამართლოს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, დამაგრებასა და დემონსტრირებაში.

3. წინასწარი გამოძიებისა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას ტექნიკური აპარატურის (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფოტო და კინოგადასაღები, სხვა აპარატები) გამოყენების მიზნით შეიძლება, გამოიძახონ სპეციალისტ-ოპერატორი.

4. სპეციალისტი შეიძლება, მოწვეულ იქნეს შესაბამისი დაწესებულებიდან. ამ შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელი გასცემს განკარგულებას, თუ ამ დაწესებულების თანამშრომლებისაგან რომელი უნდა გაიგზავნოს სპეციალისტად, რასაც აცნობებს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს.

მუხლი 99. სპეციალისტის უფლება-მოვალეობანი

1. **სპეციალისტი ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით; მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასა და სასამართლო განხილვაში; გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, სპეციალური ცოდნა და გამოცდილება მტკიცებულებათა აღმოჩენისა და დამაგრებისათვის; გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს ყურადღება მიაპყროს გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, მისცეს განმარტებანი მის მიერ შესრულებულ მოქმედებათა გამო; გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები, აგრეთვე ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ; დაიცვას წესრიგი საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო სხდომის დროს.**
2. **თუ სპეციალისტი უარს იტყვის ან თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას არასაპატიო მიზეზით, მას შეიძლება დაეკისროს ფულადი სახდელი 203-ე მუხლით დადგენილი წესით.**
3. **სპეციალისტს უფლება აქვს: იცოდეს, რა მიზნით გამოიძახეს იგი; უარი განაცხადოს საქმეში მონაწილეობაზე, თუ არ გააჩნია სათანადო ცოდნა; ოქმში შესატანად გააკეთოს განცხადება და შენიშვნა იმ საპროცესო მოქმედებაზე, რომლის ჩატარებაშიც იგი მონაწილეობდა; გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ნებართვით შეკითხვები დაუსვას საგამოძიებო მოქმედების**

ჩატარებასა და სასამართლო განხილვაში მონაწილე პირებს; გაეცნოს საგამოძიებო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმებს.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სპეციალისტს პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა უნდა განუმარტონ უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა მათი შეუსრულებლობისათვის.

2. სპეციალისტს უფლება აქვს:

– იცოდეს, რა მიზნით გამოიძახეს იგი;

– უარი განაცხადოს სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობაზე, თუ არ გააჩნია სათანადო ცოდნა;

– ოქმში შესატანად გააკეთოს განცხადება და შენიშვნა იმ საპროცესო მოქმედებაზე, რომლის ჩატარებაშიც იგი მონაწილეობდა;

– გამომძიებლის, პროკურორის ნებართვით შეკითხვები დაუსვას საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე პირს;

– მოსამართლის ნებართვით შეკითხვები დაუსვას სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილე პირს;

– გაეცნოს საგამოძიებო მოქმედების ოქმს;

– გაეცნოს სასამართლო განხილვის ოქმს.

3. სპეციალისტი ვალდებულია:

– გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს გამოძახებით;

– მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში;

– გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, სპეციალური ცოდნა და გამოცდილება მტკიცებულებათა აღმოჩენისა და დამაგრებისათვის;

– გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს ყურადღება მიაპყროს გარემოებას, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად;

– მისცეს განმარტება თავის მიერ შესრულებული მოქმედების გამო;

– გამომძიებლის, პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები;

– გამომძიებლის, პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ;

– დაიცვას წესრიგი სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიებისას;

– დაიცვას წესრიგი სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის დროს;

– უარი განაცხადოს სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობაზე, თუ არ გააჩნია სათანადო ცოდნა და ჩვევები.

4. თუ სპეციალისტი არასაპატიო მიზეზით უარს იტყვის ან თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას, მას შეიძლება, დაეკისროს ფულადი სახდელი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203-ე, 207-ე, 208-ე, 209-ე, 210-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 100. თარჯიმანი

1. თარჯიმანს იძახებენ, როცა:

ა) გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ იციან ან სათანადოდ არ იციან ენა, რომელზედაც პროცესის მონაწილე იძლევა განმარტებას ან ჩვენებას;

ბ) ბრალდებულმა, ეჭვმიტანილმა, დამცველმა, დაზარალებულმა, სამოქალაქო მოსარჩელემ, სამოქალაქო მოპასუხემ, მათმა წარმომადგენლებმა, პროცესის სხვა მონაწილეებმა არ იციან ან სათანადოდ არ იციან სისხლის სამართლის პროცესის ენა;

გ) საჭიროა მეორე ენიდან ითარგმნოს ესა თუ ის წერილობითი ტექსტი.

2. თარჯიმნის გამოძახების შესახებ გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს – განჩინება.

3. წესები, რომლებიც ეხება თარჯიმანს, ვრცელდება იმ პირზედაც, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები და რომელიც მოწვეულია სამართალწარმოებაში მონაწილეობისათვის.

3[1]. თუ საქმის რამდენიმე მონაწილეს სჭირდება თარჯიმანი და ისინი სათანადოდ ფლობენ ერთსა და იმავე ენას, ამ კოდექსის 101-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება შეუძლია ერთ თარჯიმანს.

4. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირებს უფლება არა აქვთ შეასრულონ თარჯიმნის მოვალეობანი.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან, მოიწვიონ თარჯიმანი, როდესაც:

– გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ არ იციან ან სათანადოდ არ იციან ენა, რომელზეც პროცესის მონაწილე იძლევა განმარტებას ან ჩვენებას;

– სისხლის სამართლის პროცესის ენა არ იცის ან სათანადოდ არ იცის:

ა) ეჭვმიტანილმა;

ბ) ბრალდებულმა;

გ) დამცველმა;

დ) დაზარალებულმა;

ე) სამოქალაქო მოსარჩელემ;

ვ) სამოქალაქო მოპასუხემ;

ზ) დაზარალებულის წარმომადგენელმა;

თ) სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელმა;

ი) სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელმა;

კ) პროცესის სხვა მონაწილემ;

– საჭიროა, უცხო ენიდან სისხლის სამართლის პროცესის ენაზე ითარგმნოს ესა თუ ის წერილობითი ტექსტი;

2. თარჯიმანი სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით).

3. თარჯიმნისთვის დადგენილი წესები ვრცელდება იმ პირზეც, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები და რომელიც მოწვეულია სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობისათვის.

4. თუ სისხლის სამართლის საქმის რამდენიმე მონაწილეს სჭირდება თარჯიმანი და ისინი სათანადოდ ფლობენ ერთსა და იმავე ენას, თარჯიმანი შეიძლება იყოს ერთი პირი, ანუ თარჯიმნის მონაწილეობა რაიმე მოქმედების ჩატარებაში არ არის ამავე სისხლის სამართლის საქმეში შემდგომში ამ პირის თარჯიმნად მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოება, ე.ი. არ წარმოადგენს თარჯიმნის აცილების საფუძველს.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, თარჯიმნის მოვალეობების შესრულების უფლება არა აქვს:

– გამომძიებელს;

– პროკურორს;

– მოსამართლეს;

– სხდომის მდივანს;

– ეჭვმიტანილს;

– ბრალდებულს;

– განსასჯელს;

– მსჯავრდებულს;

– დამცველს;

– დაზარალებულს;

– სამოქალაქო მოსარჩელეს;

– სამოქალაქო მოპასუხეს;

– დაზარალებულის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს;

– მოწმეს;

– ექსპერტს;

– სპეციალისტს;

– დამსწრეს.

მუხლი 101. თარჯიმნის უფლება-მოვალეობანი

1. **თარჯიმანი ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით; ზუსტად და სრულად თარგმნოს ჩვენება და დოკუმენტი; ხელმოწერით დაადასტუროს თარგმანის უტყუარობა მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმსა და სასამართლო სხდომის ოქმში, აგრეთვე სხვა საპროცესო დოკუმენტებში, რომლებიც პროცესის მონაწილეს გადაეცემა მის მშობლიურ ენაზე ან იმ ენაზე თარგმნილი, რომელიც მან იცის; გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები, აგრეთვე ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ; დაიცვას წესრიგი საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო სხდომის დროს.**
2. **თუ თარჯიმანი უარს იტყვის ან თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას არასაპატიო მიზეზით, მას შეიძლება დაეკისროს ფულადი სახდელი 203-ე მუხლით დადგენილი წესით. არასწორი თარგმანისათვის თარჯიმანი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით.**
3. **თარჯიმანს უფლება აქვს: თარგმანის დასაზუსტებლად დაუსვას შეკითხვები პროცესის მონაწილეებს; გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს და სასამართლო სხდომის ოქმს, გამოთქვას შენიშვნები, რომლებიც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი; უარი თქვას საქმის წარმოებაში მონაწილეობაზე, თუ თარგმნისათვის საჭირო ცოდნა არ გააჩნია.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან, თარჯიმანს განუმარტონ თავისი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა მათი შეუსრულებლობისათვის. ამასთან, უფლება-მოვალეობათა და შესაძლო პასუხისმგებლობის თაობაზე განმარტების შესახებ დოკუმენტი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

2. თარჯიმანს უფლება აქვს:

– თარგმანის დასაზუსტებლად დაუსვას შეკითხვები პროცესის მონაწილეებს;

– გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს, გამოთქვას შენიშვნები, რომლებიც ოქმში უნდა აისახოს;

– გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო სხდომის ოქმს, გამოთქვას შენიშვნები, რომლებიც ოქმში უნდა აისახოს;

– უარი თქვას სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მონაწილეობაზე, თუ თარგმნისათვის საჭირო ცოდნა არ გააჩნია.

3. თარჯიმანი ვალდებულია:

– გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს გამოძახებით;

– ზუსტად და სრულად თარგმნოს ჩვენება;

– ზუსტად და სრულად თარგმნოს დოკუმენტი;

– ხელის მოწერით დაადასტუროს თარგმანის უტყუარობა თავისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმში, რომელიც პროცესის მონაწილეს გადაეცემა თავის მშობლიურ ენაზე ან იმ ენაზე თარგმნილი, რომელიც მან იცის;

– ხელის მოწერით დაადასტუროს თარგმანის უტყუარობა თავისი მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო სხდომის ოქმში, რომელიც პროცესის მონაწილეს გადაეცემა თავის მშობლიურ ენაზე ან იმ ენაზე თარგმნილი, რომელიც მან იცის;

– ხელის მოწერით დაადასტუროს თარგმანის უტყუარობა სხვა საპროცესო დოკუმენტში, რომელიც პროცესის მონაწილეს გადაეცემა თავის მშობლიურ ენაზე ან იმ ენაზე თარგმნილი, რომელიც მან იცის;

– გამომძიებლის, პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები;

– გამომძიებლის, პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ;

– დაიცვას წესრიგი სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიებისას;

– დაიცვას წესრიგი სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის დროს.

4. თუ თარჯიმანი არასაპატიო მიზეზით უარს იტყვის ან თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას, მას შეიძლება, დაეკისროს ფულადი სახდელი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203-ე, 207-ე, 208-ე, 209-ე, 210-ე მუხლების კომენტარები).

5. განზრახ არასწორად თარგმნისათვის თარჯიმანი პასუხს აგებს დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით.

მუხლი 102. დამსწრე

1. **დამსწრე მოიწვევა ჩხრეკის, ამოღების ან შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ფაქტის, მიმდინარეობისა და შედეგების დასადასტურებლად, აგრეთვე ამ კოდექსით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში. ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებულია დამსწრის მოწვევის უფლება ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი შეზღუდვის გათვალისწინებით განუმარტოს ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში მითითებულ პირებს.**
2. **ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან განსასჯელს ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე მოთხოვნის შემთხვევაში, დამსწრის მოსაწვევად მიეცემა გონივრული ვადა, მაგრამ არანაკლებ ერთი საათისა. დამსწრედ არ შეიძლება მოწვეულ იქნენ ის პირები, რომლებსაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება, არ მისცენ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის საწინააღმდეგო ჩვენება.**

3. **ჩხრეკის ან/და ამოღებისას პირს, რომელიც არ არის ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი, მაგრამ შეიძლება შეეხოს აღნიშნული საპროცესო მოქმედება, უფლება აქვს ამ მუხლით გათვალისწინებული წესით მოიწვიოს დამსწრე.**
4. **ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია დამსწრის გარეშე, მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის ან მტკიცებულებათა დაზიანება-განადგურების ან გადამალვის რეალური საფრთხე, აგრეთვე ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. საფრთხის აღმოფხვრისთანავე ეჭვმიტანილი და ბრალდებული სარგებლობენ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრული უფლებით, რის თაობაზე გამომძიებელი ან პროკურორი აღნიშნავს საგამოძიებო მოქმედების ოქმში.**
5. **საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილეობისათვის მოწვეულ პირს საგამოძიებო მოქმედების დაწყების წინ გამომძიებელი ან პროკურორი განუმარტავს მის უფლება-მოვალეობებს, მათ შორის, უფლებას, უარი განაცხადოს საგამოძიებო მოქმედებაში დამსწრედ მონაწილეობაზე.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. დამსწრე მოიწვევა ჩხრეკის, ამოღების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, აგრეთვე – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფაქტის, მიმდინარეობისა და შედეგების დასადასტურებლად.

2. დამსწრის შერჩევისა და მოწვევის უფლება არა აქვთ პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირებს – გამომძიებელს, პროკურორს.

3. დამსწრის მოწვევის უფლება აქვთ ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, აგრეთვე – პირს, რომელიც არ არის ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მაგრამ შეიძლება, შეეხოს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება (ჩხრეკა, ამოღება).

4. იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე, რომელშიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შესაძლებელია დამსწრის მონაწილეობა, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დამსწრის მოწვევის უფლება განუმარტონ ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, აგრეთვე – პირს, რომელიც არ არის ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მაგრამ შეიძლება, შეეხოს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება (ჩხრეკა, ამოღება).

5. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, აგრეთვე – პირს, რომელიც არ არის ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მაგრამ შეიძლება, შეეხოს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება (ჩხრეკა, ამოღება), უფლება აქვთ, უარი განაცხადონ დამსწრის მოწვევაზე, რაც აღინიშნება საგამოძიებო მოქმედების ოქმში, ხოლო შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება ტარდება დამსწრის მონაწილეობის გარეშე.

6. თუ ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, აგრეთვე – პირს, რომელიც არ არის ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მაგრამ შეიძლება, შეეხოს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება (ჩხრეკა, ამოღება), სურთ დამსწრის მონაწილეობა, მათ საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე დამსწრის მოსაწვევად მიეცემათ გონივრული ვადა, მაგრამ არანაკლებ ერთი საათისა.

7. დამსწრედ არ შეიძლება, მოწვეულ იქნეს ის პირი, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული აქვს უფლება, არ მისცეს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის საწინააღმდეგო ჩვენება, კერძოდ: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის – განქორწინებული).

8. გამომძიებელი, პროკურორი დამსწრედ მოწვეულ პირს განუმარტავენ უფლებას, უარი განაცხადოს საგამოძიებო მოქმედებაში დამსწრედ მონაწილეობაზე.

9. საგამოძიებო მოქმედების დაწყების წინ გამომძიებელი, პროკურორი დამსწრედ მოწვეულ პირს განუმარტავენ უფლება-მოვალეობებს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის კომენტარები).

10. გადაუდებელ შემთხვევაში, თუნდაც პირი ითხოვდეს დამსწრის მოწვევას, საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია დამსწრის გარეშე. ასეთ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ოქმში უნდა აღინიშნოს, რომ პირი ითხოვდა დამსწრის მოწვევას, მაგრამ მას უარი ეთქვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

11. აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის გადაუდებელი შემთხვევა არის:

– როდესაც არსებობს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის რეალური საფრთხე;

– როდესაც არსებობს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე;

– როდესაც არსებობს მტკიცებულებათა დაზიანება-განადგურების რეალური საფრთხე;

– როდესაც არსებობს მტკიცებულებათა გადამალვის რეალური საფრთხე;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევა.

12. საფრთხის აღმოფხვრისთანავე ეჭვმიტანილი, ბრალდებული კვლავ სარგებლობენ დამსწრის მოწვევის უფლებით, ანუ საფრთხის აღმოფხვრის შემდეგ, რაშიც ფაქტობრივად იგულისხმება, მაგალითად, ჩხრეკის ან ამოღების შემთხვევაში საძებნი საგნის (ნივთის) დაძებნა ან/და ამოღება, საგამოძიებო მოქმედების ოქმში კვლავ უნდა დაფიქსირდეს პირის პოზიცია დამსწრის მოწვევასთან დაკავშირებით, კერძოდ: უარი ხომ არ განაცხადა პირმა დამსწრის მოწვევაზე, ხოლო თუ ისურვა დამსწრის მოწვევა – ვინ იქნა მოწვეული.

მუხლი 103. დამსწრის უფლება-მოვალეობანი

1. დამსწრე ვალდებულია: მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში; საგამოძიებო მოქმედების ოქმზე ხელმოწერით დაადასტუროს ამ მოქმედების ჩატარების ფაქტი, მისი მიმდინარეობა და შედეგები; გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები.

2. თუ დამსწრე უარს იტყვის ან თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას არასაპატიო მიზეზით, მას შეიძლება დაეკისროს ფულადი სახდელი 203-ე მუხლით დადგენილი წესით.

3. დამსწრე შეიძლება დაიკითხოს, როგორც მოწმე, იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებულ გარემოებათა შესახებ, რომელშიც იგი მონაწილეობდა. ამ შემთხვევაში მას აქვს მოწმის უფლება-მოვალეობები.

4. დამსწრეს უფლება აქვს: მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში; გააკეთოს განცხადება საგამოძიებო მოქმედების გამო და გამოთქვას შენიშვნა, რომელიც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი; გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. დამსწრეს უფლება აქვს:

– მონაწილეობდეს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

– გააკეთოს განცხადება საგამოძიებო მოქმედების გამო და გამოთქვას შენიშვნა, რომელიც ამ საგამოძიებო მოქმედების ოქმში უნდა შევიდეს;

– გაეცნოს თავისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს.

2. დამსწრე ვალდებულია:

– მონაწილეობდეს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

– საგამოძიებო მოქმედების ოქმზე ხელის მოწერით დაადასტუროს ამ მოქმედების ჩატარების ფაქტი, მისი მიმდინარეობა და შედეგები;

– გამომძიებლის, პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები.

3. თუ დამსწრე არასაპატიო მიზეზით უარს იტყვის ან თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას, მას შეიძლება, დაეკისროს ფულადი სახდელი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203-ე, 207-ე, 209-ე, 210-ე მუხლების კომენტარები).

4. დამსწრე, როგორც მოწმე, შეიძლება დაიკითხოს იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებულ გარემოებათა შესახებ, რომელშიც იგი მონაწილეობდა. ამ შემთხვევაში მას აქვს მოწმის უფლება-მოვალეობები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 104. პროცესის მონაწილისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება

1. ეჭვმიტანილად (თუ იგი დაკავებული არ არის), ბრალდებულად (თუ იგი დაპატიმრებული არ არის), დაზარალებულად ან მის წარმომადგენლად, მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, დამსწრედ გამოძახებულ პირს უნარჩუნდება საშუალო ხელფასი თავის სამუშაო ადგილზე იმ დროის განმავლობაში, რომელიც მან მოახმარა გამომძიებელთან, პროკურორთან ან

სასამართლოში გამოძახებას. თუ პირი არ არის მუშა ან მოსამსახურე (გარდა ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისა), მას ეძლევა გასამრჯელო ჩვეულებრივი საქმიანობისაგან მოცდენისათვის. გარდა ამისა, ყველა აღნიშნულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს გამოძახებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

2. **სპეციალური საექსპერტო დაწესებულება (ექსპერტი), სპეციალისტი (შესაბამისი დაწესებულება, სადაც სპეციალისტი მუშაობს) და თარჯიმანი იღებენ გასამრჯელოს თავიანთი მოვალეობების შესრულებისათვის და კომპენსაციას იმ დანახარჯებისათვის, რომლებიც მათ გასწიეს ამ მოვალეობათა შესასრულებლად.**

3. **გამოძახებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება სახელმწიფო სახსრებიდან კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით. სახელმწიფო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისათვის (ექსპერტიზისათვის) სასამართლო-საექსპერტო მომსახურების (სპეციალისტის, თარჯიმნის) ანაზღაურებას ახორციელებს ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო (თანამდებობის პირი), საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ნორმებისა და ტარიფების შესაბამისად, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც აღნიშნული მომსახურების გაწევა წარმოებს სახელმწიფო სახსრებიდან გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში. კერძო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისათვის (დამოუკიდებელი ექსპერტისათვის) სასამართლო-საექსპერტო მომსახურების ანაზღაურება წარმოებს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურებისათვის.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის კანონი №596 – სსმ I, 2004 წ., №37, მუხლი 172; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. იმ დროის განმავლობაში, რომელიც პირმა დახარჯა გამომძიებელთან, პროკურორთან, მოსამართლესთან, სასამართლოში გამოძახებისას (რაშიც იგულისხმება როგორც მგზავრობის, ისე – საგამოძიებო, სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის დრო) თავის სამუშაო ადგილზე საშუალო ხელფასი უნარჩუნდება:

– ეჭვმიტანილს (თუ იგი დაკავებული არ არის);
– ბრალდებულს (თუ იგი დაპატიმრებული არ არის);
– დაზარალებულს;
– დაზარალებულის წარმომადგენელს;
– მოწმეს;
– ექსპერტს;
– სპეციალისტს;
– თარჯიმანს;
– დამსწრეს.

2. თუ პირი არ არის მუშა ან მოსამსახურე (გარდა ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისა), მას ეძლევა გასამრჯელო ჩვეულებრივი საქმიანობისაგან მოცდენისათვის.

3. პროცესის მონაწილეს, როგორც წესი, უფლება აქვს, აგრეთვე მოითხოვოს გამოძახებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯის ანაზღაურება.

4. სპეციალური საექსპერტო დაწესებულება (ექსპერტი), სპეციალისტი (შესაბამისი დაწესებულება, სადაც სპეციალისტი მუშაობს), თარჯიმანი იღებენ გასამრჯელოს თავიანთი მოვალეობების შესრულებისათვის და კომპენსაციას იმ დანახარჯისათვის, რაც მათ გასწიეს ამ მოვალეობათა შესასრულებლად.

5. გამოძახებასთან დაკავშირებული ხარჯი ანაზღაურდება სახელმწიფო სახსრებიდან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესითა და ოდენობით.

6. სახელმწიფო სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებას (ექსპერტიზისათვის) სასამართლო-საექსპერტო მომსახურების (სპეციალისტის, თარჯიმნის) ხარჯს უნაზღაურებენ ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო, თანამდებობის პირი, მთავრობის მიერ დადგენილი ნორმებისა და ტარიფების შესაბამისად.

7. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც აღნიშნული მომსახურების გაწევა ხდება სახელმწიფო სახსრებიდან გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში.

8. კერძო სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებას (დამოუკიდებელ ექსპერტს) სასამართლო-საექსპერტო მომსახურების ხარჯი უნაზღაურდება დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურებისათვის (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე, 218-ე მუხლების კომენტარები).

თავი XIV
სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი. აცილება

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368)

მუხლი 105. საქმეში მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლისა და სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი

1. მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი ან სასამართლო სხდომის მდივანი მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ:
ა) იგი არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული კანონით დადგენილი წესით;
ბ) საქმე არ არის ამ პროკურორის ან გამომძიებლის ქვემდებარე ანდა ამ სასამართლოს განსჯადი;
გ) იგი მონაწილეობს ან წინათ მონაწილეობდა იმავე საქმეში, როგორც ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, დამსწრე, მოწმე, ანდა ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის კანონიერი წარმომადგენელი;
დ) მას ამ საქმის მწარმოებელ თანამდებობის პირთან ან ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ სხვა პირებთან ნათესაური, მეგობრული ან სხვა ახლობლური ურთიერთობა აქვს;
ე) ამ ნაწილში აღნიშნულ პირებს ნათესაური ან სხვა ახლობლური ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან;
ვ) არის სხვა გარემოებები, რომლებიც ეჭვს ბადებს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.
2. მოსამართლე მონაწილეობას ვერ მიიღებს საქმის განხილვაში, თუ იგი წინათ მონაწილეობდა იმავე საქმის წარმოებაში, როგორც გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო სხდომის მდივანი.
3. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოებში ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვაში, მონაწილეობას ვერ მიიღებს ამ საქმის განხილვაში.

4. **პროკურორის მიერ თავისი ფუნქციების განხორციელება სამართალწარმოების არც ერთ სტადიაზე არ აბრკოლებს ამ საქმეში მის შემდგომ მონაწილეობას.**
5. **გამომძიებელი მონაწილეობას ვერ მიიღებს იმ საქმის წარმოებაში, რომელიც მის მიერ იქნა გამოძიებული და დაბრუნდა დამატებითი გამოძიებისათვის, თუ ამას განჩინებით (დადგენილებით) აუცილებლად მიიჩნევს სასამართლო (მოსამართლე), ან თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს პროკურორი.**
6. **საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვაში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებას არ წარმოადგენს ადრე ამავე საქმის საკასაციო წესით განხილვაში მისი მონაწილეობა.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2001 წლის 8 ივნისის კანონი №920 – სსმ I, 2001 წ., №18, მუხლი 57; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილია პირის უფლება – სისხლის სამართლის საქმე განიხილოს იმ მოსამართლემ (სასამართლომ), რომლის განსჯადიც არის იგი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ასევე დადგენილია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საგამოძიებო ქვემდებარეობა, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის პროცედურები. შესაბამისად, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი მოქმედებს სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე, განსაკუთრებით – სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შეჯიბრებითობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავს ამა თუ იმ პირის მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, ანუ წარმოადგენს აცილების (თვითაცილების) საფუძველს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის კომენტარები).

2. მოსამართლე, სასამართლო სხდომის მდივანი, პროკურორი, გამომძიებელი მონაწილეობას ვერ მიიღებენ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ:

– იგი არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული კანონით დადგენილი წესით;

– სისხლის სამართლის საქმე არ არის ამ პროკურორის, გამომძიებლის ქვემდებარე, ანდა ამ სასამართლოს განსჯადი;

– იგი მონაწილეობს ან წინათ მონაწილეობდა იმავე სისხლის სამართლის საქმეში, როგორც:

ა) ეჭვმიტანილი;

ბ) ბრალდებული;

გ) დამცველი;
დ) დაზარალებული;
ე) სამოქალაქო მოსარჩელე;
ვ) სამოქალაქო მოპასუხე;
ზ) ექსპერტი;
თ) სპეციალისტი;
ი) თარჯიმანი;
კ) დამსწრე;
ლ) მოწმე;
მ) ეჭვმიტანილის კანონიერი წარმომადგენელი;
ნ) ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი;
ო) დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენელი;
პ) სამოქალაქო მოსარჩელის კანონიერი წარმომადგენელი;
ჟ) სამოქალაქო მოპასუხის კანონიერი წარმომადგენელი;
– მას ნათესაური ურთიერთობა აქვს:
ა) ეჭვმიტანილთან;
ბ) ბრალდებულთან;
გ) დამცველთან;
დ) დაზარალებულთან;
ე) სამოქალაქო მოსარჩელესთან;
ვ) სამოქალაქო მოპასუხესთან;
ზ) ექსპერტთან;
თ) სპეციალისტთან;
ი) თარჯიმანთან;
კ) დამსწრესთან;
ლ) მოწმესთან;
მ) ეჭვმიტანილის კანონიერ წარმომადგენელთან;
ნ) ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენელთან;
ო) დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელთან;
პ) სამოქალაქო მოსარჩელის კანონიერ წარმომადგენელთან;
ჟ) სამოქალაქო მოპასუხის კანონიერ წარმომადგენელთან;
– მას მეგობრული ურთიერთობა აქვს:
ა) ეჭვმიტანილთან;
ბ) ბრალდებულთან;
გ) დამცველთან;
დ) დაზარალებულთან;
ე) სამოქალაქო მოსარჩელესთან;
ვ) სამოქალაქო მოპასუხესთან;
ზ) ექსპერტთან;
თ) სპეციალისტთან;
ი) თარჯიმანთან;
კ) დამსწრესთან;

ლ) მოწმესთან;
მ) ეჭვმიტანილის კანონიერ წარმომადგენელთან;
ნ) ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენელთან;
ო) დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელთან;
პ) სამოქალაქო მოსარჩელის კანონიერ წარმომადგენელთან;
ჟ) სამოქალაქო მოპასუხის კანონიერ წარმომადგენელთან;
– მას სხვა ახლობლური ურთიერთობა აქვს:
ა) ეჭვმიტანილთან;
ბ) ბრალდებულთან;
გ) დამცველთან;
დ) დაზარალებულთან;
ე) სამოქალაქო მოსარჩელესთან;
ვ) სამოქალაქო მოპასუხესთან;
ზ) ექსპერტთან;
თ) სპეციალისტთან;
ი) თარჯიმანთან;
კ) დამსწრესთან;
ლ) მოწმესთან;
მ) ეჭვმიტანილის კანონიერ წარმომადგენელთან;
ნ) ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენელთან;
ო) დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელთან;
პ) სამოქალაქო მოსარჩელის კანონიერ წარმომადგენელთან;
ჟ) სამოქალაქო მოპასუხის კანონიერ წარმომადგენელთან;
– მას ნათესაური ან სხვა ახლობლური ურთიერთობა აქვს პროცესში მონაწილე პირებთან;

– არის სხვა გარემოებები, რომლებიც ეჭვს ბადებს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.

3. მეგობრული ურთიერთობის, ანდა სხვა ახლობლური ურთიერთობის გამო, ან იმ საფუძვლით, რომელიც ეჭვს ბადებს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში, აცილების (თვითაცილების) საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს განსაკუთრებულ დასაბუთებას, რადგანაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია, იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი.

4. მოსამართლე აგრეთვე მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, თუ იგი:

– წინათ მონაწილეობდა იმავე სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, როგორც გამომძიებელი;

– წინათ მონაწილეობდა იმავე სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, როგორც პროკურორი;

– წინათ მონაწილეობდა იმავე სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, როგორც სასამართლო სხდომის მდივანი;

– მონაწილეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში იმავე სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში;

– მონაწილეობდა მეორე ინსტანციის სასამართლოში იმავე სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში;

– მონაწილეობდა იმავე სისხლის სამართლის საქმის ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო განხილვაში;

– მონაწილეობდა იმავე სისხლის სამართლის საქმის ახლად გამოვლენილი გარემოების გამო განხილვაში.

5. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის, საჩივრის განხილვა არ წარმოადგენს მოსამართლის აცილების საფუძველს.

6. წინასწარი გამოძიების ეტაპზე სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებული სხვა საკითხის განხილვა, როგორც წესი, არ წარმოადგენს მოსამართლის აცილების საფუძველს.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებას არ წარმოადგენს ადრე ამავე სისხლის სამართლის საქმის საკასაციო წესით განხილვაში მისი მონაწილეობა.

8. პროკურორის მიერ თავისი ფუნქციების განხორციელება პროცესის არც ერთ სტადიაზე არ აბრკოლებს ამ სისხლის სამართლის საქმეში მის შემდგომ მონაწილეობას.

9. გამომძიებელი მონაწილეობას ვერ მიიღებს იმ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, რომელიც მან გამოიძია და დაბრუნდა დამატებითი გამოძიებისათვის, თუ:

– ამას განჩინებით (დადგენილებით) აუცილებლად მიიჩნევს სასამართლო (მოსამართლე);

– ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს პროკურორი.

მუხლი 106. საქმეში ექსპერტის, სპეციალისტის ან თარჯიმნის მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოებები

1. ექსპერტს (გარდა ამ კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან სპეციალისტს უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, როცა სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებულია საქმეში მონაწილე ამა თუ იმ პირზე ან/და ნათესაური ურთიერთობა აქვს მასთან.

2. ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი აცილებული უნდა იქნენ იმ შემთხვევაშიც, თუ გამოვლინდება მათი პროფესიული არაკომპეტენტურობა.

3. საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტს უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში, თუ მეორე მხარის მოთხოვნის საპასუხოდ ის ვერ წარადგენს მისი სპეციალური განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელ საბუთს ან შესაბამის დოკუმენტს (სერტიფიკატს). ამ შემთხვევაში, საფინანსო-საბუღალტრო ექპერტის დასკვნა და ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად ჩაითვლება ამ კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2003 წლის 26 აგვისტოს კანონი №3093 – სსმ I, 2003 წ., №28, მუხლი 202; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 თებერვლის კანონი №3381 – სსმ I, 2004 წ., №5, მუხლი 12; საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №809 – სსმ I, 2004 წ., №39, მუხლი 188; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2543 – სსმ I, 2006 წ., №1, მუხლი 9)

1. ექსპერტს, სპეციალისტს უფლება არა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში:

– როდესაც სამსახურებრივად დამოკიდებული არიან სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე ამა თუ იმ პირზე;

– როდესაც სხვაგვარად დამოკიდებული არიან სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე ამა თუ იმ პირზე;

– როდესაც ნათესაური ურთიერთობა აქვთ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე ამა თუ იმ პირთან.

2. ექსპერტმა, სპეციალისტმა უნდა განაცხადონ თვითაცილება, თუ დასმული საკითხი სცილდება მათი სპეციალური ცოდნის ფარგლებს.

3. თარჯიმანმა უნდა განაცხადოს თვითაცილება, თუ სათანადოდ არ ფლობს ენას, რომელზეც ან რომლიდანაც უნდა შეასრულოს თარგმანი.

4. ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის მიერ აცილებულ უნდა იქნენ იმ შემთხვევაშიც, თუ გამოვლინდება მათი პროფესიული არაკომპეტენტურობა.

5. საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტს უფლება არა აქვს, მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში, თუ არ გააჩნია სპეციალური განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი საბუთი ან შესაბამისი სერტიფიკატი.

6. თუ დადგინდა, რომ საფინანსო-საბუღალტრო ექპერტის დასკვნა გასცა იმ პირმა, რომელსაც არ გააჩნია სპეციალური განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი საბუთი ან შესაბამისი სერტიფიკატი, ექსპერტის დასკვნა და მის მიერ მიცემული ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად ჩაითვლება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 107. საქმეში დამცველის, აგრეთვე დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლების მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი

დამცველი, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ:

ა) იგი წინათ მონაწილეობდა იმავე საქმეში, როგორც მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი ან დამსწრე;

ბ) მას ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობდა ან მონაწილეობს ამ საქმის გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში, ანდა პირთან, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება პროცესის იმ მონაწილის ინტერესებს და რომელმაც მასთან დადო შეთანხმება იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ;

გ) მას უკავია მოსამართლის, პროკურორის ან გამომძიებლის თანამდებობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი შრომისუუნარო პირის კანონიერი წარმომადგენელია, ანდა როცა დაწესებულება, რომელშიც იგი მუშაობს, ცნობილია სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ და ის ამ დაწესებულების წარმომადგენლად გამოდის;

დ) იგი იურიდიულ დახმარებას უწევს ან წინათ უწევდა პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის ინტერესებს, რომლის წარმომადგენელიც ის არის;

ე) დასაცავი პირი (მარწმუნებელი) უარს ამბობს დაცვაზე (წარმომადგენლობაზე) და უარი მიღებულია.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს არა მარტო პროცესის მწარმოებელი პირის, არამედ – დამცველისა და წარმომადგენლის აცილების საფუძვლებს.

2. დამცველი, დაზარალებულის წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი მონაწილეობას ვერ მიიღებენ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ:

– იგი წინათ მონაწილეობდა იმავე სისხლის სამართლის საქმეში, როგორც:

ა) მოსამართლე;

ბ) სასამართლო სხდომის მდივანი;

გ) პროკურორი;

დ) გამომძიებელი;

ე) მოწმე;

ვ) ექსპერტი;

ზ) სპეციალისტი;

თ) თარჯიმანი;

ი) დამსწრე;

– მას ნათესაური ურთიერთობა აქვს:

ა) მოსამართლესთან;

ბ) სასამართლო სხდომის მდივანთან;

გ) პროკურორთან;

დ) გამომძიებელთან;

ე) პირთან, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება პროცესის იმ მონაწილის ინტერესებს, რომელმაც მასთან დადო შეთანხმება იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ;

– მას უკავია მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის თანამდებობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) იგი შრომისუუნარო პირის კანონიერი წარმომადგენელია;

ბ) დაწესებულება, რომელშიც იგი მუშაობს, ცნობილია სამოქალაქო მოსარჩელედ და ის ამ დაწესებულების წარმომადგენლად გამოდის;

გ) დაწესებულება, რომელშიც იგი მუშაობს, ცნობილია სამოქალაქო მოპასუხედ და ის ამ დაწესებულების წარმომადგენლად გამოდის;

– იგი იურიდიულ დახმარებას უწევს ან წინათ უწევდა პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის ინტერესებს, რომლის წარმომადგენელიც ის არის;

– დასაცავი პირი (მარწმუნებელი) უარს ამბობს დაცვაზე (წარმომადგენლობაზე) და უარი მიღებულია.

მუხლი 108. აცილებისა და თვითაცილების განცხადებისა და გადაწყვეტის წესი

1. **თუ არსებობს ამ კოდექსის 105-ე–107-ე მუხლებში აღნიშნული გარემოებები, მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, დამცველი, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლები, ექსპერტი, სპეციალისტი ან თარჯიმანი ვალდებულნი არიან განაცხადონ თვითაცილება. თუ მათ ეს არ განუცხადებიათ, მათ აცილება შეიძლება მისცენ ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, დამცველმა, აგრეთვე დაზარალებულმა, სამოქალაქო მოსარჩელემ, სამოქალაქო მოპასუხემ და მათმა წარმომადგენლებმა, ხოლო სასამართლო სხდომაზე – სახელმწიფო ბრალმდებელმაც. პირებს, რომლებიც პროცესს აწარმოებენ, უფლება აქვთ აცილება მისცენ ერთმანეთს.**
2. **განცხადება აცილების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს.**
3. **პირს, რომელსაც აცილება მისცეს, აცილების საკითხის განხილვამდე უფლება აქვს მისცეს განმარტება.**
4. **მოსამართლის აცილების საკითხს წყვეტენ დანარჩენი მოსამართლეები იმ მოსამართლის დაუსწრებლად, რომელსაც აცილება მისცეს. აცილების საკითხს, რომელიც მოსამართლეთა უმრავლესობას ან სასამართლოს მთელ შემადგენლობას მისცეს, წყვეტს სასამართლო მთელი შემადგენლობით, ხმების უმრავლესობით. საქმის ერთპიროვნულად განხილვისას აცილების საკითხს წყვეტს საქმის განმხილველი მოსამართლე. აცილების მიღების შემთხ-**

ვევაში მოსამართლე საქმეს გადასცემს სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას განსახილველად გადასცემს სხვა მოსამართლეს. თუ აცილება მისცეს იმ სასამართლოს მოსამართლეს, სადაც არ არის ამ საქმის განმხილველი სხვა მოსამართლე, სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს გადაუგზავნის ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს.

4[1]. აცილების საკითხს, რომელიც სასამართლო სხდომის მდივანს მისცეს, წყვეტს სასამართლო მთელი შემადგენლობით, ხმების უმრავლესობით. საქმის ერთპიროვნულად განხილვისას აცილების საკითხს წყვეტს საქმის განმხილველი მოსამართლე.

5. საქმის წინასწარი გამოძიებისას პროკურორისათვის მიცემული აცილების საკითხს წყვეტს ზემდგომი პროკურორი, ხოლო საქმის სასამართლოში განხილვისას – სასამართლო, რომელიც საქმეს განიხილავს.

6. გამომძიებლის აცილების საკითხს წყვეტს პროკურორი, რომელიც მონაწილეობს წინასწარ გამოძიებაში, როგორც საპროცესო ხელმძღვანელი ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით.

7. ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის, დამცველის, აგრეთვე დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებისათვის მიცემული აცილების საკითხს წყვეტს პროკურორი, ხოლო სასამართლო სხდომაზე მიცემული აცილებისა – სასამართლო, რომელიც საქმეს განიხილავს.

8. (ამოღებულია).

9. წინასწარი გამოძიებისას განცხადებული აცილების საკითხს წყვეტს პროკურორი 24 საათის განმავლობაში. თუ აცილება განცხადებულია სასამართლო სხდომაზე, საკითხი წყდება დაუყოვნებლივ.

10. განცხადებული აცილების საკითხზე პროკურორს, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს – განჩინება.

11. ამ კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, როდესაც საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით აცილებულ იქნა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მთელი შემადგენლობა, საქმე, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად, გადაეცემა შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის შემოსვლიდან 5 დღის განმავლობაში წყვეტს აღნიშნულ საკითხს.

12. ამ კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, როდესაც საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით აცილებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მთელი შემადგენლობა, საქმე, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად, გადაეცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის შემოსვლიდან 5 დღის განმავლობაში წყვეტს აღნიშნულ საკითხს.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1496 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №25-26, გვ. 32; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048

– სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, არსებობს სისხლის სამართლის საქმისაგან პირის ჩამოცილების ორი შესაძლებლობა:

– თვითაცილება, ანუ როდესაც პროცესის მონაწილე თვითონ იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმისგან ჩამოცილების შესახებ;

– აცილება, ანუ როდესაც პროცესის ამა თუ იმ მონაწილის ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი ან ორგანო.

2. თუ არსებობს აცილების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი იმპერატიული საფუძვლები, რომლებიც არ საჭიროებენ (ნაკლებად საჭიროებენ) შეფასებას (მაგ.: შესაბამისი უფლებამოსილების არქონა, პროცესის სხვა მონაწილესთან ახლო ნათესაური კავშირი, მოსამართლის მიერ ამ სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში ადრე მონაწილეობა), მოსამართლე, სასამართლო სხდომის მდივანი, პროკურორი, გამომძიებელი, დამცველი, დაზარალებულის წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი ვალდებული არიან, განაცხადონ თვითაცილება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე, 106-ე, 107-ე მუხლების კომენტარები).

3. თუ არსებობს აცილების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლები, რომლებიც საჭიროებენ (უფრო მეტად საჭიროებენ) შეფასებას (მაგ.: პროცესის მონაწილე პირთან მეგობრული ურთიერთობა, სხვა ახლობლური ურთიერთობა, სხვა საფუძველი, რომელიც ეჭვს ბადებს პირის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში), მოსამართლე, სასამართლო სხდომის მდივანი, პროკურორი, გამომძიებელი, დამცველი, დაზარალებულის წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი უფლებამისილი არიან, განაცხადონ თვითაცილება, ამასთან, ასეთ შემთხვევაში თვითაცილების განცხადება საჭიროებს განსაკუთრებულ დასაბუთებას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე, 106-ე, 107-ე მუხლების კომენტარები).

4. თუ არსებობს აცილების საფუძვლები და, მიუხედავად ამისა, პირს არ განუცხადებია თვითაცილება, მას აცილება შეიძლება მისცეს:

– ეჭვმიტანილმა;
– ბრალდებულმა;
– დამცველმა;
– დაზარალებულმა;
– სამოქალაქო მოსარჩელემ;
– სამოქალაქო მოპასუხემ;
– დაზარალებულის წარმომადგენელმა;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელმა;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელმა;

– სახელმწიფო ბრალმდებელმა – სასამართლო სხდომაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე, 106-ე, 107-ე მუხლების კომენტარები).

5. პროცესის მწარმოებელ პირებს უფლება აქვთ, ერთმანეთს აცილება მისცენ.

6. შუამდგომლობა (განცხადება) აცილების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს, კერძოდ: კონკრეტულად უნდა მიეთითოს აცილების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძველი და გარემოებები, რომლებიც ასაბუთებენ მოთხოვნას აცილების აუცილებლობის შესახებ.

7. პირს, რომელსაც აცილება მისცეს, აცილების საკითხის განხილვამდე უფლება აქვს, მისცეს განმარტება.

8. სისხლის სამართლის საქმის ერთპიროვნულად განხილვისას მოსამართლის მიმართ განცხადებული აცილების საკითხს წყვეტს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე. აცილების მიღების შემთხვევაში მოსამართლე სისხლის სამართლის საქმეს გადასცემს სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას განსახილველად გადასცემს სხვა მოსამართლეს. თუ აცილება მისცეს იმ სასამართლოს მოსამართლეს, სადაც არ (აღარ) არის ამ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სხვა მოსამართლე, სასამართლოს თავმჯდომარე სისხლის სამართლის საქმეს გადაუგზავნის ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს.

9. სისხლის სამართლის საქმის კოლეგიური განხილვისას მოსამართლის აცილების საკითხს წყვეტენ დანარჩენი მოსამართლეები იმ მოსამართლის დაუსწრებლად, რომელსაც აცილება მისცეს.

10. აცილების საკითხს, რომელიც მოსამართლეთა უმრავლესობას ან სასამართლოს მთელ შემადგენლობას მისცეს, წყვეტს სასამართლო მთელი შემადგენლობით, ხმების უმრავლესობით.

11. როდესაც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო აცილებას აძლევს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მთელ შემადგენლობას, სისხლის სამართლის საქმე, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად, გადაეცემა შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც სისხლის სამართლის საქმის შესვლიდან 5 დღეში წყვეტს აღნიშნულ საკითხს.

12. როდესაც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო აცილებას აძლევს სააპელაციო სასამართლოს მთელ შემადგენლობას, სისხლის სამართლის საქმე, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად, გადაეცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის შესვლიდან 5 დღეში წყვეტს აღნიშნულ საკითხს.

13. სასამართლოს თავმჯდომარე ან ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე აცილების წესით შესული სისხლის სამართლის საქმის სხვა მოსამართლისათვის ან იმავე დონის სხვა სასამართლოსათვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტისას არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს გადაწყვეტილება თვითაცილების ან აცილების შესახებ, თუნდაც მიაჩნდეს, რომ გადაწყვეტილება უკანონო ან დაუსაბუთებელია.

14. სასამართლოს გადაწყვეტილება თვითაცილების, აცილების ან აცილებაზე უარის თქმის შესახებ არ საჩივრდება, თუმცა მხარე უფლებამოსილია, შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილ სააპელაციო ან საკასაციო საჩივართან ერთად გაასაჩივროს აღნიშნული დადგენილება (განჩინება), თუ მიაჩნია, რომ თვითაცილების, აცილების ან აცილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება უკანონოა.

15. აცილების საკითხს, რომელიც სასამართლო სხდომის მდივანს მისცეს, წყვეტს სასამართლო მთელი შემადგენლობით, ხმების უმრავლესობით, ხოლო სისხლის სამართლის საქმის ერთპიროვნულად განხილვისას სხდომის მდივნის აცილების საკითხს წყვეტს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე.

16. სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიებისას პროკურორის აცილების საკითხს წყვეტს ზემდგომი პროკურორი, ხოლო სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას – სასამართლო, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს. ამასთან, თუ წინასწარი გამოძიების ეტაპზე სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებული შუამდგომლობის ან საჩივრის სასამართლოს მიერ განხილვისას გამოვლინდა პროკურორის აცილების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძველი, სასამართლო უფლებამოსილია, ააცილოს პროკურორი (ანუ მოიწვიოს სხვა პროკურორი) მხოლოდ ამ შუამდგომლობის ან საჩივრის განხილვისას, ხოლო ამ სისხლის სამართლის საქმისაგან პროკურორის ჩამოცილების საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება გააჩნია ზემდგომ პროკურორს.

17. გამომძიებელი არ არის უფლებამოსილი, თვითონ განიხილოს შუამდგომლობა მის მიმართ განცხადებული აცილების შესახებ. გამომძიებლის აცილების საკითხს წყვეტს პროკურორი, რომელიც მონაწილეობს წინასწარ გამოძიებაში, როგორც საპროცესო ხელმძღვანელი. შუამდგომლობა გამომძიებლის აცილების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს შესაბამის პროკურორთან, ხოლო თუ შუამდგომლობა შეტანილია გამომძიებელთან, იგი უნდა გადაეგზავნოს პროკურორს.

18. გამომძიებელი არ არის უფლებამოსილი, თვითონ განიხილოს შუამდგომლობა ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის, დამცველის, დაზარალებულის წარმომადგენლის, სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლის აცილების შესახებ. წინასწარი გამოძიებისას აღნიშნული შუამდგომლობის გადაწყვეტის უფლებამოსილება გააჩნია პროკურორს, ხოლო სასამართლო სხდომაზე მიცემული აცილებისა – სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს (მოსამართლეს).

19. წინასწარი გამოძიებისას განცხადებული აცილების საკითხს პროკურორი წყვეტს შუამდგომლობის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

20. თუ აცილება განცხადებულია სასამართლო სხდომაზე, საკითხი წყდება დაუყოვნებლივ. ამასთან, სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, აცილების შესახებ შუამდგომლობა გადაწყვიტოს როგორც ადგილზე თათბირით (რა დროსაც გადაწყვეტილება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში), ასევე – სათათბირო ოთახში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 453-ე მუხლის კომენტარები).

21. განცხადებული აცილების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორს, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს – განჩინება.

მუხლი 109. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №809 – სსმ I, 2004 წ., №39, მუხლი 188; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

თავი XIV[1]
სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებანი

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368)

მუხლი 109[1]. დაცვის სპეციალური ღონისძიებანი

1. საქმის არსებითი განხილვის დროს დაუშვებელია სასამართლოში პროცესის მონაწილის დაკითხვა მისი ვინაობის გასაიდუმლოებით ან იდენტიფიცირების შეცვლით.
2. სასამართლო სხდომაზე პროცესის მონაწილე იკითხება უშუალოდ და ზეპირად.
3. მოსამართლე (სასამართლო), პროკურორის შუამდგომლობით უფლებამოსილია გამოიყენოს პროცესის მონაწილეთა დაცვის ერთი ან რამდენიმე შემდეგი სპეციალური ღონისძიება:

ა) საჯარო რეესტრიდან ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერიდან დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობის მქონე მონაცემთა, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შეცვლა ან ამოღება;

ბ) დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო და ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტის გასაიდუმლოება;

გ) ფსევდონიმის მინიჭება;

დ) მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება.

4. პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პროცესის მონაწილეთა დაცვის შემდეგი სახის სპეციალური ღონისძიების გამოყენებაზე:

ა) მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება;

ბ) საცხოვრებელი ადგილის დროებითი ან მუდმივი შეცვლა;

გ) გარეგნობის შეცვლა.

5. სასამართლოში არსებითი განხილვისას მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის შემდეგ პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში ჩამოთვლილი ნებისმიერი დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე.
6. პროკურორი უფლებამოსილია პროცესის მონაწილესთან დაკავშირებული პირების მიმართ გამოიყენოს ამ მუხლით გათვალისწინებული დაცვის ნებისმიერი სპეციალური ღონისძიება.

7. ბრალდებულის ან განსასჯელის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება. აღნიშნული შუამდგომლობა წარედგინება მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით.

8. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიების განხორციელების ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

9. თუ მოწმის ან დაზარალებულის მიმართ წინასწარი გამოძიების დროს გამოყენებული იყო ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაცვის სპეციალური ღონისძიება, სასამართლოში მისი დაკითხვის შემდეგ, ბრალდებულს ან მის დამცველს, მოთხოვნის შემთხვევაში, მოსამართლე (სასამართლო) აძლევს გონივრულ ვადას დაცვის მომზადებისათვის, მაგრამ არა უმეტეს 7 დღისა.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობიდან გამომდინარე, ადგენს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.

2. სისხლის სამართლის პროცესში დაცვის სპეციალური ღონისძიებებია:

– საჯარო რეესტრიდან ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერიდან დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობის მქონე მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შეცვლა ან ამოღება;

– დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი როგორც საპროცესო, ისე საჯარო რეესტრიდან ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერიდან დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობის მქონე მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების გასაიდუმლოება;

– ფსევდონიმის მინიჭება;

– მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება.

3. ამასთან, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, გამოიყენოს პროცესის მონაწილის დაცვის როგორც მხოლოდ ერთი სპეციალური ღონისძიება, ისე – ერთდროულად რამდენიმე სპეციალური ღონისძიება, თუმცა სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითად განხილვისას დაუშვებელია სასამართლოში პროცესის მონაწილის დაკითხვა მისი ვინაობის გასაიდუმლოებით ან იდენტიფიცირების შეცვლით, რადგან სასამართლო სხდომაზე პროცესის მონაწილე იკითხება უშუალოდ და ზეპირად.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პროკურორი უფლებამოსილია, გამოიტანოს დადგენილება პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ. აღნიშნული დაცვის სპეციალური ღონისძიებებია:

– მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება;

– საცხოვრებელი ადგილის დროებითი ან მუდმივი შეცვლა;

– გარეგნობის შეცვლა.

5. პროკურორი უფლებამოსილია, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილესთან დაკავშირებული პირის მიმართ გამოიყენოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 109[1] მუხლით გათვალისწინებული დაცვის ნებისმიერი სპეციალური ღონისძიება, ხოლო სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითად განხილვისას, მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის შემდეგ, პროკურორი უფლებამოსილია, გამოიტანოს დადგენილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 109[1] მუხლით გათვალისწინებული დაცვის ნებისმიერი სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

6. ამასთან, ბრალდებულის, განსასჯელის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება, რომლის თაობაზეც შესაბამისი შუამდგომლობა წარედგინება მოსამართლეს, გამოძიების ადგილის მიხედვით.

7. სასამართლოში მოწმის ან დაზარალებულის დაკითხვის შემდეგ ბრალდებულს, მის დამცველს, მხოლოდ ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, მოსამართლე (სასამართლო) დაცვის მოსამზადებლად აძლევს გონივრულ ვადას (მაგრამ არა უმეტეს 7 დღისა), თუ მოწმის, დაზარალებულის მიმართ წინასწარი გამოძიების დროს გამოყენებული იყო შესაბამისი დაცვის სპეციალური ღონისძიება:

– საჯარო რეესტრიდან ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერიდან დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობის მქონე მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შეცვლა ან ამოღება;

– დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი როგორც საპროცესო, ისე საჯარო რეესტრიდან ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერიდან დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობის მქონე მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების გასაიდუმლოება;

– ფსევდონიმის მინიჭება.

8. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების განხორციელების ხარჯს გაიღებს სახელმწიფო.

მუხლი 109[2]. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობა

1. **პროკურორი უფლებამოსილია წინასწარი გამოძიების დროს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს (სასამართლოს) გამოძიების ადგილის მიხედვით.**
2. **შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს ერთი ან რამდენიმე შემდეგი საფუძვლით:**

ა) **საქმე განიხილება ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვა თავისი ბუნებით არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;**

ბ) პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის საჯაროობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას;

გ) პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე;

დ) პროცესის მონაწილის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრება რეალური საფრთხე.

1. თუ სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიებისას დღის წესრიგში დადგა პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საკითხი, პროკურორი უფლებამოსილია, დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს (სასამართლოს), წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით.

2. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის საფუძველი შეიძლება იყოს:

– სისხლის სამართლის საქმე ეხება ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტს, რომლის საჯარო განხილვა არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;

– პროცესის მონაწილის ვინაობისა და სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის საჯაროობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მის სიცოცხლეს;

– პროცესის მონაწილის ვინაობისა და სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის საჯაროობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მის ჯანმრთელობას;

– პროცესის მონაწილის ვინაობისა და სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის საჯაროობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მის ქონებას;

– პროცესის მონაწილის ვინაობისა და სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის საჯაროობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს;

– პროცესის მონაწილის ვინაობისა და სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის საჯაროობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მისი ახლო ნათესავის ჯანმრთელობას;

– პროცესის მონაწილის ვინაობისა და სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის საჯაროობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მისი ახლო ნათესავის ქონებას;

– სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე;

– სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სიცოცხლეს ემუქრება რეალური საფრთხე;

– სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის ჯანმრთელობას ემუქრება რეალური საფრთხე.

3. ამასთან, შუამდგომლობა შესაძლებელია, დასაბუთებული იყოს როგორც ერთი, ისე – რამდენიმე საფუძვლით.

მუხლი 109³. შუამდგომლობის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება

1. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობას მოსამართლე განიხილავს დახურულ სასამართლო სხდომაზე, რომელსაც ესწრებიან: პროკურორი, შუამდგომლობის ავტორი და პროცესის მონაწილე, რომლის

მიმართაც მოითხოვება დაცვის ზომების გამოყენება (გარდა ამ კოდექსის 109[1] მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).

2. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობა განიხილება ამ კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესით. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსამართლის (სასამართლოს) გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) დაცვის რომელი სპეციალური ღონისძიება იქნეს გამოყენებული;

ბ) პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება დაცვის სპეციალური ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენების ვადა;

გ) სახელმწიფო ორგანო, რომელსაც ევალება დაცვის სპეციალური ღონისძიების აღსრულება.

3. დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს უვადოდ.

4. დაცვის სპეციალური ღონისძიების გადაწყვეტილება საჯაროდ არ ცხადდება.

5. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების გადაწყვეტილების თაობაზე დასაცავი პირის ამოცნობისა და იდენტიფიცირების მონაცემების გარეშე წერილობით ეცნობებათ მხარეებს, შუამდგომლობის ავტორსა და იმ პირს, რომელსაც შეეხო ეს ზომა.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს საქმეზე შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად.

7. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში დაცვის ღონისძიების დამნიშვნელი მოსამართლე (სასამართლო), ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლე დადგენილებით (განჩინებით) აუქმებს დაცვის სპეციალურ ღონისძიებას, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება დასაცავ პირს.

1. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობას მოსამართლე განიხილავს დახურულ სასამართლო სხდომაზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვს:

– პროკურორს;

– შუამდგომლობის ავტორს;

– სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეს, რომლის მიმართაც მოითხოვება დაცვის ზომების გამოყენება (ფსევდონიმის მინიჭების შესახებ შუამდგომლობის განხილვის შემთხვევის გარდა) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

2. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსამართლის (სასამართლოს) გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს:

– დაცვის რომელი სპეციალური ღონისძიება იქნეს გამოყენებული;

– პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება დაცვის სპეციალური ღონისძიება;

– დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ვადა;

– სახელმწიფო ორგანო, რომელსაც ევალება დაცვის სპეციალური ღონისძიების აღსრულება.

3. ნებისმიერ შემთხვევაში დაცვის სპეციალური ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილება საჯაროდ არ ცხადდება.

4. ამასთან, დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს უვადოდ.

5. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე, ოღონდ დასაცავი პირის ამოცნობისა და იდენტიფიცირების მონაცემების გარეშე, წერილობით ეცნობება:

– მხარეს;

– შუამდგომლობის ავტორს;

– იმ პირს, რომელსაც შეეხო დაცვის ეს სპეციალური ღონისძიება.

6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება ცალკე არ საჩივრდება და იგი შეიძლება მხოლოდ ერთხელ გასაჩივრდეს სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად.

7. ამასთან, თუ აღმოიფხვრება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძველი, დაცვის სპეციალური ღონისძიება უნდა გაუქმდეს. აღნიშნულ გადაწყვეტილებას თავისი დადგენილებით (განჩინებით) აუქმებს:

– დაცვის სპეციალური ღონისძიების დამნიშვნელი მოსამართლე (სასამართლო);

– დაცვის სპეციალური ღონისძიების დამნიშვნელი მოსამართლის არყოფნის შემთხვევაში – იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლე.

8. დაცვის სპეციალური ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება დასაცავ პირს.

მუხლი 109[4]. შეტყობინება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ

ამ თავით გათვალისწინებული დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ 3 დღის ვადაში უნდა ეცნობოს მოცემული ღონისძიების გამოყენების ავტორსა და მოსამართლეს (სასამართლოს).

1. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა ეცნობოს:

– დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ავტორს;

– მოსამართლეს (სასამართლოს).

2. აღნიშნული პირების ინფორმირება უნდა მოხდეს 3 დღის ვადაში.

მუხლი 109[5]. ინფორმაციის დაცვა

მოსამართლის (სასამართლოს) გადაწყვეტილება დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების თაობაზე არ არის საჯარო. იგი ხელმისაწვდომია მხოლოდ

გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის, შუამდგომლობის განხილვაში მონაწილე პირებისა და იმ უფლებამოსილი თანამდებობის პირისათვის, რომელმაც უნდა აღასრულოს ეს სასამართლოს გადაწყვეტილება.

1. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე მოსამართლის (სასამართლოს) გადაწყვეტილება არ არის საჯარო.

2. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე მოსამართლის (სასამართლოს) გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია მხოლოდ:

– გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლისათვის;

– შუამდგომლობის განხილვაში მონაწილე პირებისათვის;

– იმ უფლებამოსილი თანამდებობის პირისათვის, რომელმაც უნდა აღასრულოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე მოსამართლის (სასამართლოს) გადაწყვეტილება.

კარი მესამე
მტკიცებულებანი და მტკიცება

თავი XV
მტკიცებულებანი და მტკიცების საგანი

მუხლი 110. მტკიცებულების ცნება

1. მტკიცებულებებია კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან და წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზედაც მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ადგენენ, არსებობს თუ არა მოვლენა ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს.
2. მტკიცებულებად სისხლის სამართლის პროცესში დასაშვებია:

ა) ეჭვმიტანილის ჩვენება;
ბ) ბრალდებულის ჩვენება;
გ) განსასჯელის ჩვენება;
დ) დაზარალებულის ჩვენება;
ე) მოწმის ჩვენება;
ვ) ექსპერტის დასკვნა;
ზ) ნივთიერი მტკიცებულებანი;
თ) საგამოძიებო მოქმედების, სასამართლო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმები;
ი) სხვა დოკუმენტები;
კ) ნებისმიერი სახის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, რომლის მოპოვებისას ადგილი არ ჰქონია პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევას. ამ შემთხვევაში ფარული გადაღების მწარმოებელი პირი დაკითხული უნდა იქნეს სასამართლოში მოწმის სახით ფარული ჩანაწერის წარმომავლობასთან დაკავშირებით.

2[1]. სისხლის სამართლის პროცესში პირის ჩვენების სარწმუნოობის შესაფასებლად დასაშვებია ფარული აუდიო- ან ვიდეო ჩანაწერი, თუ იგი დაფიქსირებულია:

ა) ფარულად იმ პირის მიერ, რომლის წინააღმდეგ მიმართული იყო დანაშაული და რომელიც არის საუბრის ან ქმედების მონაწილე;
ბ) ტექნიკური საშუალებით შემთხვევით, რაც ასახავს განხორციელებულ ქმედებას.

2². ფარული აუდიო- ან ვიდეო ჩანაწერის დასაშვებობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა ხდება სასამართლო გადაწყვეტილებით.

3. მოპოვებული და მხარის მიერ წარმოდგენილი ცნობები უნდა დაერთოს საქმეს. ისინი უნდა შეამოწმოს და გამოიკვლიოს მეორე მხარემ, აგრეთვე ორგანომ, რომელიც პროცესს აწარმოებს. მხოლოდ დასაშვებად მიჩნეული მტკიცებულებები შეიძლება იქნეს გამოყენებული სასამართლო კამათსა და სასამართლო განაჩენში.

4. კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებით მიღებული მონაცემები შეიძლება გახდეს ამა თუ იმ საპროცესო წყაროს ცნობისა და ფაქტის (დოკუმენტის გარდა) შინაარსი და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიშვება, როგორც მტკიცებულებები.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. მტკიცებულებები არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წყაროებიდან და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მიღებული ცნობები, რომლებიც შეიცავენ მონაცემებს:

– ქმედების ფაქტობრივი გარემოებების შესახებ;

– მართლწინააღმდეგობის შესახებ;

– ბრალის შესახებ;

– ქმედების ჩამდენის შესახებ;

– შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების შესახებ;

– მიყენებული ზიანის ხასიათისა და ოდენობის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები).

2. მტკიცებულებებზე მითითებით, მათ საფუძველზე, მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო ადგენენ:

– არსებობს თუ არა მოვლენა ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი;

– ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა;

– დამნაშავეა თუ არა იგი;

– სისხლის სამართლის საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს.

3. სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებების სახეებია:

– ეჭვმიტანილის ჩვენება;

– ბრალდებულის ჩვენება;

– განსასჯელის ჩვენება;

– მსჯავრდებულის ჩვენება;

– დაზარალებულის ჩვენება;

– მოწმის ჩვენება;
– ექსპერტის დასკვნა;
– ნივთიერი მტკიცებულება;
– საგამოძიებო მოქმედების ოქმი;
– სასამართლო მოქმედების ოქმი;
– სასამართლო განხილვის ოქმი;
– სხვა დოკუმენტები;
– აუდიო- ვიდეოჩანაწერი.

4. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მტკიცებულებად უშვებს ნებისმიერი სახის აუდიო- ვიდეოჩანაწერს, რომლის მოპოვებისას არ დარღვეულა პირადი ცხოვრების საიდუმლოება, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ფარული ჩანაწერის წარმომავლობასთან დაკავშირებით, ამ ფარული გადაღების მწარმოებელი პირი უნდა დაიკითხოს სასამართლოში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ შემთხვევაში ენიჭება იმის გარკვევას, ამ ჩანაწერის მოპოვებისას ხომ არ დარღვეულა პირადი საიდუმლოება, რადგან ეს ჩანაწერი სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებად დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მოპოვებისას არ დარღვეულა პირადი ცხოვრების საიდუმლოება. ამასთან, ეს საკითხი კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სისხლის სამართლის საქმეში უკვე არსებული მტკიცებულების – პირის ჩვენების სარწმუნოობის შესაფასებლად სასამართლოს გადაწყვეტილებით დაშვებულ იქნეს ფარული აუდიო- ან ვიდეოჩანაწერი. ამასთან, ფარული ჩანაწერი დაფიქსირებული უნდა იყოს:

– ან ფარულად უშუალოდ იმ პირის მიერ, რომლის წინააღმდეგ იყო მიმართული დანაშაული და რომელიც ამ საუბრის ან ქმედების მონაწილეა (მაგ.: „დაზარალებულმა“ განახორციელა თავისი და „დამნაშავის“ საუბრის ფარული ვიდეოჩაწერა (და არა სხვა, ე.წ. მესამე პირის მიერ));

– ან ტექნიკური საშუალებით – შემთხვევით, რაც ასახავს განხორციელებულ ქმედებას (მაგ.: საბანკო დაწესებულებაზე მომხდარი ყაჩაღური თავდასხმა დაფიქსირდა შემთხვევით, კერძოდ: ბანკში არსებული სათვალთვალო სისტემის მიერ).

6. მხარის მიერ მოპოვებული და პროცესის მწარმოებელ ორგანოში, თანამდებობის პირთან წარდგენილი ცნობები უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. ისინი უნდა შეამოწმოს და გამოიკვლიოს მეორე მხარემ, აგრეთვე – პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა. ამასთან, მხოლოდ დასაშვებად მიჩნეული მტკიცებულებები გამოიყენება სასამართლო კამათსა და სასამართლო განაჩენში.

7. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებით მიღებული მონაცემი შეიძლება გახდეს ამა თუ იმ საპროცესო წყაროს ცნობისა და ფაქტის (დოკუმენტის გარდა) შინაარსი და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიშვება, როგორც მტკიცებულება. ცალკე აღებული ოპერატიული ინფორმაცია არ წარმოადგენს მტკიცებულებას. იგი მტკიცებულებით მნიშვნელობას შეიძენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით საპროცესო დამაგრების შემდეგ. მაგ.: ოპერატიულმა მუშაკმა (ოპერატიულმა სამსახურმა) გამომძიებელს, პროკურორს

აცნობა, რომ მის ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაციით დასტურდება ესა თუ ის ფაქტი. თავისთავად ეს ინფორმაცია არ წარმოადგენს მტკიცებულებას. ასეთ შემთხვევაში ოპერატიული მუშაკი უნდა დაიკითხოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და მტკიცებულებით მნიშვნელობას შეიძენს დაკითხვის ოქმი, რომლის შინაარსიც შეიძლება ეყრდნობოდეს ოპერატიულ ინფორმაციას.

მუხლი 111. დაუშვებელი მტკიცებულება

1. მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიღებულია:
ა) იმ თანამდებობის პირის ან ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილი არ არის შეკრიბოს მტკიცებულებანი ამ საქმეზე;
ბ) კანონით გაუთვალისწინებელი წყაროდან;
გ) კანონით დადგენილი წესის დარღვევით, აგრეთვე ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პიროვნების აბუჩად აგდების ან სხვა უკანონო მეთოდის გამოყენებით;
დ) პირისაგან, რომელმაც დაარღვია კანონი ან რომელსაც არ შეუძლია მიუთითოს, რა წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები.
2. ბრალდების მტკიცებულებათა დასაშვებობისა და დაცვის მტკიცებულებათა დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.
3. მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილებით (განჩინებით).
4. დაუშვებლად მიჩნეული მტკიცებულება ამოიღება სისხლის სამართლის საქმიდან და ინახება პროცესის მწარმოებელი ორგანოს კანცელარიაში სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადის განმავლობაში.
5. დაუშვებლად მიჩნეული ბრალდების მტკიცებულება შეიძლება დაშვებულ იქნეს დაცვის შუამდგომლობით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75)

1. სასამართლო გადაწყვეტილება, ასევე – წინასწარი გამოძიების ეტაპზე პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის გადაწყვეტილება და მთელი პროცესის განმავლობაში მხარეთა პოზიცია სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენილად მიჩნევის ან უარყოფისათვის უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ დასაშვებ მტკიცებულებებს.

2. სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს მტკიცებულებათა დასაშვებობის პრეზუმფცია, ანუ მტკიცებულება დასაშვებია, თუ პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს იგი დაუშვებლად არ მიუჩნევიათ (არ უცვნიათ).

3. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს დაუშვებელი მტკიცებულება და მტკიცებულება, რომელიც დასაშვებია, მაგრამ, შესაბამის დასაბუთებაზე მითითებით, პროცესის

მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი არ იზიარებენ, ხოლო მხარე შუამდგომლობს, რათა არ იქნეს გაზიარებული ამ მტკიცებულებით დადგენილი გარემოებები.

4. მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიღებულია:

– იმ თანამდებობის პირის, ორგანოს მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არ არიან, შეკრიბონ მტკიცებულებები ამ სისხლის სამართლის საქმეზე;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გაუთვალისწინებელი წყაროდან;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დარღვევით, ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პირის აბუჩად აგდების ან სხვა უკანონო მეთოდის გამოყენებით;

– პირისაგან, რომელმაც დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები ან რომელსაც არ შეუძლია, მიუთითოს, რა წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალმდებელს ეკისრება როგორც ბრალდების მტკიცებულებათა დასაშვებობის მტკიცების ტვირთი, ისე – დაცვის მტკიცებულებათა დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი.

6. მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის დადგენილებით, განჩინებით.

7. წინასწარი გამოძიებისას მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა შეუძლიათ გამომძიებელს, პროკურორს თავიანთი ინიციატივით ან – მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.

8. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითად განხილვისას მოსამართლე, სასამართლო მტკიცებულების დაუშვებლად ცნობაზე მსჯელობენ მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე.

9. პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის მიერ დაუშვებლად მიჩნეული ბრალდების მტკიცებულება დაცვის მხარის შუამდგომლობით შეიძლება დაშვებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეში.

10. დაუშვებლად მიჩნეული მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ამოიღება სისხლის სამართლის საქმიდან და ინახება პროცესის მწარმოებელი ორგანოს კანცელარიაში სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადის განმავლობაში. განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრებისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება არ უნდა იქნეს ამოღებული სისხლის სამართლის საქმიდან, რადგან მხარე უფლებამოსილია, მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილება (განჩინება) გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლოში შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად და იმისათვის, რომ ზემდგომმა სასამართლომ საკითხი სრულყოფილად განიხილოს და შეაფასოს, სისხლის სამართლის საქმეში უნდა იდოს დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება.

მუხლი 112. გარემოებები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე

სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დამტკიცდეს:

ა) ბრალდებულის ან სხვა პირის მოქმედება (უმოქმედობა);

ბ) მოქმედების (უმოქმედობის) მართლსაწინააღმდეგო ხასიათი;

გ) ბრალი;

დ) გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას;

ე) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოებისას, ასევე სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითად განხილვისას უნდა გაირკვეს (უნდა დამტკიცდეს):

– ბრალდებულის ან სხვა პირის მოქმედება (უმოქმედობა);

– მოქმედების (უმოქმედობის) მართლსაწინააღმდეგო ხასიათი;

– ბრალი;

– გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათზე, ხარისხზე, ახასიათებენ მას;

– დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათი, ოდენობა.

მუხლი 113. გარემოებები, რომლებიც დგინდება მტკიცებულებათა წარმოდგენის გარეშე. პრეიუდიციები

1. მტკიცებულებათა წარმოდგენისა და გამოკვლევის გარეშე მიიღება:

ა) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები;

ბ) ადრე ნასამართლობაზე განაჩენის ასლი, თუ არც ერთი მხარე და არც პროცესის მწარმოებელი ორგანო ამ ფაქტს საეჭვოდ არ ხდიან და არ მოითხოვენ მის შემოწმებას.

2. მტკიცებულებათა წარმოდგენის გარეშე არსებულად ითვლება პრეიუდიციები, რომლებიდანაც გამომდინარეობს, რომ:

ა) სხვა სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება სავალდებულოა სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლისა და მოსამართლისათვის, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე საეჭვოდ არ ხდის ამ განაჩენის კანონიერებას;

ბ) სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება სავალდებულოა სასამართლოს, პროკურორისა და გამომძიებლისათვის სისხლის სამართლის საქმის იმ საკითხის გადასაწყვეტად, მოხდა თუ არა მოვლენა ან ქმედება, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე საეჭვოდ არ ხდის ამ გადაწყვეტილებას.

3. პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი შეიძლება უარყოს მხარემ, სასამართლოს განაჩენმა, სხვა შემაჯამებელმა გადაწყვეტილებამ ან დადგენილებამ,

თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებსა და მოსამართლეთა შინაგან რწმენას.

4. **ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულ შემთხვევაში გამომძიებელსა და პროკურორს უფლება აქვთ უარყონ პრეიუდიცია და საქმე გადასცენ სასამართლოს თავიანთი შინაგანი რწმენის საფუძველზე. სასამართლოს, რომელიც შინაგანი რწმენით შეაფასებს მტკიცებულებებს, უფლება აქვს გამოიტანოს განაჩენი ან სხვა გადაწყვეტილება პრეიუდიციის მიუხედავად. ასეთი განაჩენი ან გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლისთანავე საქმესთან ერთად იგზავნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რომელიც გამოითხოვს იმ საქმეს, რომლის პრეიუდიციული მნიშვნელობაც უარყოფილია, და იმ მტკიცებულების შეფასების შემდეგ, რომელიც საფუძვლად უდევს ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებებს, აუქმებს ან ცვლის ერთ მათგანს და ძალაში ტოვებს მეორეს.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2001 წლის 16 მარტის კანონი №815 – სსმ I, 2001 წ., №8, მუხლი 29; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა წარმოდგენისა და გამოკვლევის გარეშე მიიღება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, ანუ უდავოდ დადგენილი გარემოებები.

2. მტკიცებულებათა წარმოდგენისა და გამოკვლევის გარეშე მიიღება აგრეთვე ადრე ნასამართლობაზე განაჩენის ასლი, თუ არც ერთი მხარე და არც პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ამ ფაქტს საეჭვოდ არ ხდიან და არ მოითხოვენ მის შემოწმებას.

3. მტკიცებულებათა წარმოდგენის გარეშე არსებულად ითვლება (ანუ მხოლოდ შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების წარმოდგენა საკმარისია) და, როგორც წესი, სავალდებულოა სასამართლოს, მოსამართლისათვის, პროკურორისა და გამომძიებლისათვის პრეიუდიციები, კერძოდ:

– სხვა სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე საეჭვოდ არ ხდის ამ განაჩენის კანონიერებას;

– სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის იმ საკითხის გადასაწყვეტად, მოხდა თუ არა მოვლენა ან ქმედება, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე საეჭვოდ არ ხდის ამ გადაწყვეტილებას.

4. პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტის უარყოფა შეიძლება, მოითხოვოს მხარემ და უარყოფილ იქნეს სასამართლოს განაჩენით ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, თუ პრეიუდიციით დადგენილი ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებსა და ამ მტკიცებულებათა საფუძველზე, მოსამართლის (მოსამართლეების) შინაგან რწმენას.

5. თუ სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ეწინააღმდეგება პრეიუდიციით დადგენილ გარემოებებს, გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ, უარყონ პრეიუდიცია და სისხლის სამართლის საქმე გადასცენ სასამართლოს თავიანთი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

6. სასამართლოს, რომელიც შინაგანი რწმენით შეაფასებს მტკიცებულებებს, უფლება აქვს, გამოიტანოს განაჩენი ან სხვა გადაწყვეტილება პრეიუდიციის მიუხედავად. ამასთან, ასეთი განაჩენი ან გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლისთანავე სისხლის სამართლის საქმესთან ერთად იგზავნება უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

7. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა გამოითხოვს იმ სისხლის სამართლის საქმეს, რომლის პრეიუდიციული მნიშვნელობაც უარყოფილია და იმ მტკიცებულების შეფასების შემდეგ, რომელიც საფუძვლად უდევს ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებებს, აუქმებს ან ცვლის ერთ მათგანს და ძალაში ტოვებს მეორეს.

თავი XVI
მტკიცებულებათა სახეები

მუხლი 114. ეჭვმიტანილის ჩვენება

1. **ეჭვმიტანილის ჩვენება არის დაკითხვის ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას მის მიერ მიცემული ინფორმაცია, რომელიც უარყოფს ან ადასტურებს მის მიმართ არსებულ ეჭვს, აგრეთვე ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მისთვის ცნობილი სხვა გარემოებების შესახებ.**
2. **ეჭვმიტანილს უფლება აქვს, მაგრამ ვალდებული არ არის მისცეს ჩვენება.**

1. ეჭვმიტანილს უფლება აქვს, მაგრამ ვალდებული არ არის, მისცეს ჩვენება.

2. ეჭვმიტანილს უფლება აქვს, პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს მიაწოდოს ინფორმაცია როგორც ქმედების ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ, ანუ ინფორმაცია, რომელიც უარყოფს ან ადასტურებს მის მიმართ არსებულ ეჭვს, ასევე – ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მისთვის ცნობილი სხვა გარემოებებისა და თავისი პიროვნების შესახებ.

3. ეჭვმიტანილის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოსა და თანამდებობის პირისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა დაფიქსირდეს წერილობით, ანუ უნდა მოხდეს მისი საპროცესო წესით დამაგრება, კერძოდ: ეჭვმიტანილს უფლება აქვს, თავისი ხელით დაწეროს ჩვენება, ასევე – ისაუბროს ზეპირად, რაც უნდა დააფიქსიროს გამომძიებელმა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმში. ეჭვმიტანილის ჩვენება აისახება ეჭვმიტანილის დაკითხვის ოქმში, ასევე – სხვა საგამოძიებო მოქმედების (მაგ.: ამოცნობის, ჩხრეკის და ა.შ.) ოქმში, რომელიც ტარდება ეჭვმიტანილის მონაწილეობით.

4. ეჭვმიტანილის დაკავების შემდეგ გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ, მაგრამ ვალდებული არ არიან, დაკითხონ იგი ეჭვმიტანილის სახით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 115. ბრალდებულის ჩვენება

1. **ბრალდებულის ჩვენება არის დაკითხვის ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას მის მიერ მიცემული ინფორმაცია, რომელიც უარყოფს ან ადასტურებს ბრალდებას, აგრეთვე ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მისთვის ცნობილ სხვა გარემოებათა შესახებ.**
2. **ბრალდებულს უფლება აქვს, მაგრამ ვალდებული არ არის მისცეს ჩვენება.**
3. **ბრალდებულის მიერ უარის თქმა ჩვენების მიცემაზე ან ცრუ ჩვენების მიცემა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებად.**

4. ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებასა და გამამტყუნებელ სასამართლო განაჩენს, თუ ბრალის აღიარება დამტკიცებული არ არის საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

1. ბრალდებულს უფლება აქვს, მაგრამ ვალდებული არ არის, მისცეს ჩვენება.

2. ბრალდებულს უფლება აქვს, პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს მიაწოდოს ინფორმაცია როგორც ქმედების ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ, ანუ ინფორმაცია, რომელიც უარყოფს ან ადასტურებს მის მიმართ არსებულ ბრალდებას, ასევე – ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მისთვის ცნობილი სხვა გარემოებებისა და თავისი პიროვნების შესახებ.

3. ბრალდებულის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის, თანამდებობის პირისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა დაფიქსირდეს წერილობით, ანუ უნდა მოხდეს მისი საპროცესო წესით დამაგრება, კერძოდ: ბრალდებულს უფლება აქვს, თავისი ხელით დაწეროს ჩვენება, ასევე – ისაუბროს ზეპირად, რაც გამომძიებელმა უნდა დააფიქსიროს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმში. ბრალდებულის ჩვენება ფიქსირდება ბრალდებულის დაკითხვის ოქმში, ასევე – სხვა საგამოძიებო მოქმედების (მაგ.: ამოცნობის, ჩხრეკის და ა.შ.) ოქმში, რომელიც ტარდება ბრალდებულის მონაწილეობით.

4. ბრალდების წაყენების შემდეგ გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ, მაგრამ ვალდებული არ არიან, დაკითხონ იგი ბრალდებულის სახით. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოება: თუ ბრალდებული შუამდგომლობს დაკითხვის შესახებ, ბრალდებული უნდა დაიკითხოს შუამდგომლობის განცხადებიდან არა უგვიანეს ერთ კვირაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე, 145-ე მუხლების კომენტარები).

5. ბრალდებულის მიერ დუმილის უფლების გამოყენება (ჩვენების მიცემაზე უარის თქმა) ან ცრუ ჩვენების მიცემა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ.

6. ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებასა და გამამტყუნებელ განაჩენს, თუ ბრალის აღიარება (ანუ ბრალდებულის მიერ მითითებული გარემოებები) დამტკიცებული არ არის სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

მუხლი 116. დაზარალებულის ჩვენება

დაზარალებულის ჩვენება არის შეტყობინება ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ, რომლებიც უნდა დადგინდეს სისხლის სამართლის საქმეზე, აგრეთვე შეტყობინება ეჭვმიტანილთან (ბრალდებულთან) ურთიერთობის შესახებ. დაზარალებულის შეტყობინება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ ის მოწოდებული ფაქტის წყაროს ვერ მიუთითებს, ან თუ დადგინდება, რომ მას ფსიქიკური ავადმყოფობის, ჭკუასუსტობის ან მცირეწლოვანების გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიხსომოს და აღიდგინოს ფაქტები.

1. დაზარალებულის ჩვენება არის დაზარალებულის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოსა და თანამდებობის პირისათვის მიწოდებული ინფორმაცია იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც უნდა დადგინდეს სისხლის სამართლის საქმეზე, აგრეთვე – შეტყობინება ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან, განსასჯელთან, მსჯავრდებულთან ურთიერთობის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები).

2. დაზარალებულის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის, თანამდებობის პირისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა დაფიქსირდეს წერილობით, ანუ უნდა მოხდეს მისი საპროცესო წესით დამაგრება, კერძოდ: დაზარალებულს უფლება აქვს, თავისი ხელით დაწეროს ჩვენება, ასევე – ისაუბროს ზეპირად, რაც გამომძიებელმა უნდა დააფიქსიროს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმში. დაზარალებულის ჩვენება ფიქსირდება დაზარალებულის დაკითხვის ოქმში, ასევე – სხვა საგამოძიებო მოქმედების (მაგ.: ამოცნობის, შემთხვევის ადგილის დათვალიერების და ა.შ.) ოქმში, რომელიც ტარდება დაზარალებულის მონაწილეობით.

3. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დაზარალებული იკითხება სასამართლოში მოწმის დაკითხვისათვის დადგენილი წესებით.

4. დაზარალებულის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა, თუ:

– დაზარალებული ვერ მიუთითებს წყაროს, საიდანაც მისთვის ცნობილი გახდა ესა თუ ის ფაქტი ან გარემოება;

– დადგინდება, რომ დაზარალებულს არ შეუძლია, სწორად აღიქვას, დაიხსომოს და აღიდგინოს ფაქტები:

ა) ფსიქიკური ავადმყოფობის გამო;

ბ) ჭკუასუსტობის გამო;

გ) მცირეწლოვანების გამო.

მუხლი 117. მოწმის ჩვენება

1. **მოწმის ჩვენება არის შეტყობინება ფაქტობრივი მონაცემების შესახებ, რომლებიც უნდა დადგინდეს სისხლის სამართლის საქმეზე. მოწმის შეტყობინება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ იგი მოწოდებული ფაქტის წყაროს ვერ მიუთითებს, ან თუ დადგინდება, რომ მას ფსიქიკური ავადმყოფობის, ჭკუასუსტობის ან მცირეწლოვნების გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.**
2. **თუ მოწმის მიერ წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს მიცემულ ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა მოცემული ჩვენებების ამ კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებულ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ კოდექსის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილი.**
3. **თუ არსებობს არსებითი წინააღმდეგობა ექსპერტის მიერ შედგენილ წერილობით დასკვნასა და მის მიერ სასამართლო განხილვის დროს მიცემულ**

ჩვენებას შორის, მხარეს უფლება აქვს, მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა მოცემული ჩვენების ამ კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებულ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ კოდექსის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2543 – სსმ I, 2006 წ., №1, მუხლი 9; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. მოწმის ჩვენება არის მოწმის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოსა და თანამდებობის პირისათვის მიწოდებული ინფორმაცია იმ ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ, რომლებიც უნდა დადგინდეს სისხლის სამართლის საქმეზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები).

2. მოწმის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოსა და თანამდებობის პირისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა დაფიქსირდეს წერილობით, ანუ უნდა მოხდეს მისი საპროცესო წესით დამაგრება, კერძოდ: მოწმეს უფლება აქვს, თავისი ხელით დაწეროს ჩვენება, ასევე – ისაუბროს ზეპირად, რაც გამომძიებელმა უნდა დააფიქსიროს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმში. მოწმის ჩვენება ფიქსირდება მოწმის დაკითხვის ოქმში, ასევე – სხვა საგამოძიებო მოქმედების (მაგ.: ამოცნობის, შემთხვევის ადგილის დათვალიერების და ა.შ.) ოქმში, რომელიც ტარდება მოწმის მონაწილეობით.

3. მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა:

– თუ მოწმე ვერ მიუთითებს წყაროს, საიდანაც მისთვის ცნობილი გახდა ესა თუ ის ფაქტი ან გარემოება;

– თუ დადგინდება, რომ მოწმეს არ შეუძლია, სწორად აღიქვას, დაიხსომოს და აღიდგინოს ფაქტები:

ა) ფსიქიკური ავადმყოფობის გამო;

ბ) ჭკუასუსტობის გამო;

გ) მცირეწლოვანების გამო.

4. თუ მოწმის მიერ წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს მიცემულ ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს, მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ამ ჩვენებების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს, დაუშვებლად ცნონ არა ერთ-ერთი ჩვენება, არამედ – ორივე ერთად.

5. თუ არსებობს არსებითი წინააღმდეგობა ექსპერტის მიერ შედგენილ წერილობით დასკვნასა და მის მიერ სასამართლო განხილვის დროს მიცემულ ჩვენებას შორის, მხარეს უფლება აქვს, მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ამ ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. ამ წესით მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს, დაუშვებლად ცნონ არა ექსპერტის დასკვნა, არამედ – მხოლოდ ექსპერტის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენება.

მუხლი 118. ჩვენების ზეპირი და წერილობითი ფორმა

1. **ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული ან მოწმე ჩვენებას აყალიბებს ზეპირად. ჩვენება შეაქვთ ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ ეს პირი და პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირი. ოქმს უნდა დაერთოს ჩვენების ფონოგრამა.**
2. **ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ წერილობით ჩამოაყალიბონ თავიანთი ჩვენებები დაკითხვის ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას.**
3. **თუ ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ დასაკითხ პირს უჭირს სიტყვიერად აღწეროს მოვლენა, რომლის თვითმხილველიც იგი იყო, მას შეუძლია თავისი ჩვენების შესაბამისი ნაწილი ჩამოაყალიბოს სხვა ნიშნობრივი ფორმით, სახელდობრ, ნახაზის, სქემის, ჩანახატის ან სხვა ამგვარი სახით.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული, დაზარალებული, მოწმე ჩვენებას აყალიბებენ ზეპირად. წინასწარი გამოძიების ეტაპზე ჩვენება გამომძიებელს, პროკურორს შეაქვთ დაკითხვის (ან შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების) ოქმში, რომელსაც, როგორც წესი, ხელს აწერენ დაკითხული (საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე) პირი და პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირი.

2. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, დაკითხვის დროს, ჩვენება ფიქსირდება სასამართლო სხდომის ოქმში.

3. თუ დაკითხვისას ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოყენებული იყო აუდიო-ვიდეოტექნიკა, ეს უნდა მიეთითოს ოქმში და შესაბამისი ჩანაწერი უნდა დაერთოს ოქმს (სისხლის სამართლის საქმეს).

4. პირს უფლება აქვს, წინასწარი გამოძიების ეტაპზე, დაკითხვის ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, წერილობით (თავისი ხელით) ჩამოაყალიბოს თავისი ჩვენება.

5. თუ დასაკითხ პირს უჭირს სიტყვიერად აღწეროს მოვლენა, რომლის თვითმხილველიც იყო, მას შეუძლია, თავისი ჩვენების შესაბამისი ნაწილი ჩამოაყალიბოს სხვა ნიშნობრივი ფორმით, კერძოდ:

- ნახაზის,
- სქემის,
- ჩანახატის,
- სხვა ამგვარი სახით.

მუხლი 119. ჩვენების ძალდაუტანლობა

ჩვენება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ძალდაუტანებლად. ჩვენების მისაღებად ფიზიკური და ფსიქიკური იძულების, მოტყუების, დაპირების, შანტაჟის, დაყოლიების გამოყენება აკრძალულია. ასეთი ხერხით მიღებული მტკიცებულება დაუშვებელია.

1. ჩვენება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ძალდაუტანებლად.

2. ჩვენების მისაღებად აკრძალულია:

– ფიზიკური იძულება;

– ფსიქიკური იძულება;

– მოტყუება;

– დაპირება;

– შანტაჟი;

– დაყოლიების გამოყენება.

3. ფიზიკური იძულებით, ფსიქიკური იძულებით, მოტყუებით, დაპირებით, შანტაჟით, დაყოლიების გზით მიღებული მტკიცებულება დაუშვებელია.

4. დასაკითხი პირისათვის უფლება-მოვალეობებისა და მოვალეობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ განმარტება, რაც პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის ვალდებულებაა, არ შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც მუქარა, მოტყუება, ფსიქიკური იძულება, დაპირება და ა.შ. (მაგ.: მოწმის გაფრთხილება, რომ პასუხს აგებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის; ეჭვმიტანილისათვის (ბრალდებულისათვის) განმარტება, რომ გულწრფელი აღიარება, გამოძიებასთან თანამშრომლობა, თანამონაწილის დასახელება წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს და ა.შ.).

მუხლი 120. ექსპერტის დასკვნა

1. **ექსპერტის დასკვნა არის მცოდნე პირის წერილობითი ინფორმაცია მის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიმდინარეობისა და დადგენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ, რომელთაც სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს.**
2. **ექსპერტის დასკვნაში მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს როგორც გამოკვლევით დადგენილ, ისე ექსპერტის წინაშე დასმულ საკითხზე მიღებულ დასკვნას.**
3. **გამოკვლევის დროს ექსპერტის მიერ შესრულებული ფოტო და სხვა სურათი, გრაფიკა, ცხრილი, ნახაზი ექსპერტის დასკვნის შემადგენელი ნაწილია.**
4. **შედარებითი გამოკვლევის დროს ექსპერტის მიერ გაკეთებული ექსპერიმენტული ტყვიები, მასრები და სხვა ნიმუშები უნდა დაერთოს საქმეს, როგორც ნივთიერი მტკიცებულებანი.**
5. **ექსპერტის დასკვნა დგება იმ შემთხვევაშიც, როცა ექსპერტმა გამოკვლევა დაიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა კვლევის ობიექტების არასაკმარისობის ან საკუთარი არაკომპეტენტურობის გამო.**
6. **თუ გამოკვლევის დაწყებამდე ექსპერტი დარწმუნდება კვლევის ობიექტების არასაკმარისობაში ან საკუთარ არაკომპეტენტურობაში, იგი ადგენს აქტს, რომ შეუძლებელია ექსპერტიზის ჩატარება, და ამ აქტს ექსპერტიზისათვის გაგზავნილ საგნებთან ერთად უგზავნის ორგანოს, რომელმაც ექსპერტიზა დანიშნა. თუ მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დონე ექსპერტის წი-**

ნაშე დასმულ საკითხზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ ექსპერტს არა აქვს ამისათვის საჭირო ცოდნა, ხელსაწყოები და რეაქტივები, მას უფლება აქვს მიუთითოს, რომელ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში შეიძლება ჩატარდეს ასეთი ექსპერტიზა.

7. თუ საჭირო არ არის დამატებითი და ახალი გამოკვლევის ჩატარება, ექსპერტის ჩვენება განმარტავს და ავსებს მის დასკვნას.

1. ექსპერტის დასკვნა არის შესაბამისი დარგის სპეციალისტის, ამა თუ იმ სფეროში კომპეტენტური პირის წერილობითი ინფორმაცია თავის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიმდინარეობისა და დადგენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გაცემულ ექსპერტიზის დასკვნას სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს. ექსპერტის დასკვნაში მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს:

– ექსპერტის წინაშე დასმულ საკითხზე მიღებულ დასკვნას, ანუ დასკვნის ე.წ. „სარეზოლუციო ნაწილს“;

– გამოკვლევით დადგენილ, ანუ დასკვნის ე.წ. ‘გამოკვლევით ნაწილს“.

3. ექსპერტის დასკვნის შემადგენელი ნაწილია გამოკვლევის დროს ექსპერტის მიერ შესრულებული:

– ფოტოსურათი;

– სხვა სურათი;

– გრაფიკა;

– ცხრილი;

– ნახაზი.

4. შედარებითი გამოკვლევის დროს ექსპერტის მიერ გაკეთებული ექსპერიმენტული ტყვიები, მასრები, სხვა ნიმუშები უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, როგორც ნივთიერი მტკიცებულება.

5. ექსპერტის დასკვნა დგება იმ შემთხვევაშიც, როცა ექსპერტმა გამოკვლევა დაიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა:

– კვლევის ობიექტების უკმარისობის გამო;

– საკუთარი არაკომპეტენტურობის გამო.

6. თუ გამოკვლევის დაწყებამდე ექსპერტი დარწმუნდება კვლევის ობიექტების უკმარისობაში ან საკუთარ არაკომპეტენტურობაში, იგი ექსპერტიზის ჩატარების შეუძლებლობის შესახებ ადგენს აქტს, რომელსაც ექსპერტიზისათვის გაგზავნილ საგნებთან ერთად უბრუნებს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს, რომლებმაც ექსპერტიზა დანიშნეს.

7. საჭირო ცოდნის, ხელსაწყოებისა და რეაქტივების არქონის საფუძვლით ექსპერტიზის ჩატარების შეუძლებლობის შესახებ აქტის შედგენისას ექსპერტს უფლება აქვს, მიუთითოს, რომელ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში შეიძლება ჩატარდეს ასეთი ექსპერტიზა.

8. ექსპერტის დასკვნაში არსებული უზუსტობის, ბუნდოვანების, სხვა ნაკლის შევსება, იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხთა გასარკვევად საჭირო არ არის დამატებითი ან ახალი გამოკვლევის ჩატარება, შესაძლებელია ექსპერტის დაკითხვით (ჩვენებით).

მუხლი 121. ნივთიერი მტკიცებულება

1. ნივთიერი მტკიცებულება არის ნებისმიერი საგანი, რომელიც თავისი თვისებებითა და ნიშნებით, წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ჭეშმარიტების დადგენას.
2. ნივთიერი მტკიცებულებაა დანაშაულის იარაღი, დანაშაულებრივი ქმედების საგანი ან მასზე დარჩენილი დანაშაულის კვალი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა, აგრეთვე ყველა სხვა საგანი, რომელიც შეიძლება იყოს დანაშაულის აღმოჩენის, დანაშაულის ჩამდენის დადგენის ან ბრალდების უარყოფის საშუალება.
3. შედარებითი კვლევის ნიმუში არის შენაცვლებადი ნივთიერი მტკიცებულება.
4. საგანი ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი უნდა იქნეს პროცესის მწარმოებელი ორგანოს განჩინებით (დადგენილებით). ნივთიერი მტკიცებულება საქმეზე დართვამდე უნდა შემოწმდეს და დაილუქოს. შემოწმებისას უნდა გამოვლინდეს და აღიწეროს საგნის (საგნების) ინდივიდუალური, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ არის, – გვარეობითი ნიშნები. შემოწმების მიმდინარეობა და შედეგები აისახება ოქმში.
4[1]. ჩხრეკის, ამოღების ან შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება ტარდება დამსწრის თანდასწრებით, თუ ის მოწვეულია. გამომძიებლის ან პროკურორის მიერ ლუქის მოხსნა და ნივთიერი მტკიცებულებების განმეორებითი შემოწმება ხდება იმ დამსწრის მონაწილეობით, რომელიც ესწრებოდა ნივთიერი მტკიცებულების ამოღებასა და დალუქვას. დამსწრეს იძახებს პროკურორი ან გამომძიებელი. თუ დამსწრე არ გამოცხადდება, პროკურორი ან გამომძიებელი ადგენს ოქმს და უფლებამოსილია განახორციელოს ნივთიერ მტკიცებულებაზე ლუქის მოხსნა და მოცემული მტკიცებულებების განმეორებითი შემოწმება და ხელახლა დალუქვა მის გარეშე.
5. ნივთიერი მტკიცებულება დაუშვებლად ითვლება, თუ უარყოფილი არ არის ვარაუდი მისი შესაძლო გამოცვლის, ან მისი ნიშნებისა და თვისებების არსებითი შეცვლის, ანდა მასზე დარჩენილი კვალის გაქრობის შესახებ.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნივთიერ მტკიცებულებებს, რადგანაც ნივთიერი მტკიცებულება ფაქტობრივად უფრო მეტად უტყუარია, სანდოა და არაცვალებადი ბუნებისაა, ვიდრე – ნებისმიერი პირის ჩვენება, რადგან ჩვენებაში მითითებული გარემოებები შესაძლოა, ეყრდნობოდეს ჩვენების მიმცემი პირის სუბიექტურ წარმოდგენებს ამა თუ იმ საკითხზე; ჩვენების შინაარსზე ასევე გავლენას ახდენს ჩვენების მიმცემი

პირის ასაკი, ფსიქიკური მდგომარეობა, ამ პირის მიერ მოვლენების აღქმის, დამახსოვრებისა და გადმოცემის უნარი და სხვა გარემოებები.

2. ნივთიერი მტკიცებულება არის ნებისმიერი საგანი, რომელსაც შეუძლია, ხელი შეუწყოს ჭეშმარიტების დადგენას და რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან:

– თავისი თვისებებით;
– თავისი ნიშნებით;
– წარმოშობით;
– აღმოჩენის ადგილით;
– აღმოჩენის დროით;
– მასზე დარჩენილი კვალით.

3. ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება იყოს:

– დანაშაულის იარაღი;
– დანაშაულებრივი ქმედების საგანი;
– ამა თუ იმ საგანზე, ნივთზე დარჩენილი კვალი;
– დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა;
– ნებისმიერი საგანი, რომელიც შეიძლება იყოს დანაშაულის აღმოჩენის, ქმედების ჩამდენის დადგენის ან ბრალდების უარყოფის საშუალება.

4. შედარებითი კვლევის ნიმუში არის შენაცვლებადი ნივთიერი მტკიცებულება.

5. საგანი ნივთიერ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი და სისხლის სამართლის საქმეს უნდა დაერთოს პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის განჩინებით, დადგენილებით.

6. ნივთიერი მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეზე დართვამდე უნდა შემოწმდეს და დაილუქოს. შემოწმებისას უნდა გამოვლინდეს და აღიწეროს საგნის ინდივიდუალური, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ არის, – გვარეობითი ნიშნები, ხოლო შემოწმების მიმდინარეობა და შედეგები უნდა აისახოს ოქმში.

7. ჩხრეკის, ამოღების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ნივთიერი მტკიცებულების შემოწმება, დათვალიერება და მისი ნიშნების აღწერა ტარდება დამსწრის თანდასწრებით, თუ ის მოწვეულია. ასეთ შემთხვევაში შესაბამის ოქმს ხელს აწერს დამსწრეც.

8. გამომძიებელი ან პროკურორი ლუქს ახსნის და ნივთიერ მტკიცებულებებს განმეორებით ამოწმებს იმ დამსწრის მონაწილეობით, რომელიც ესწრებოდა ნივთიერი მტკიცებულების ამოღებასა და დალუქვას. ამასთან, დამსწრეს იძახებენ გამომძიებელი, პროკურორი. თუ დამსწრე არ გამოცხადდება, გამომძიებელი ან პროკურორი ადგენს ოქმს და უფლებამოსილია, ნივთიერ მტკიცებულებას მოხსნას ლუქი, შეამოწმოს იგი განმეორებით და ხელახლა დალუქოს, დამსწრის გარეშე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის კომენტარები).

9. ნივთიერ მტკიცებულებას დაუშვებლად მიიჩნევენ პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი, თუ უარყოფილი არ არის ვარაუდი:

– მისი შესაძლო გამოცვლის შესახებ;
– მისი ნიშნების არსებითი შეცვლის შესახებ;
– მისი თვისებების არსებითი შეცვლის შესახებ;
– მასზე დარჩენილი კვალის გაქრობის შესახებ.

მუხლი 122. ნივთიერი მტკიცებულების შენახვა

1. **ნივთიერ მტკიცებულებას ინახავს პროცესის მწარმოებელი ორგანო ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის დაკარგვასა და მისი თვისებების შეცვლას.**
2. **ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც არ ნადგურდება ან მესაკუთრესა თუ მფლობელს არ უბრუნდება, ინახება სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.**
3. **სისხლის სამართლის საქმის წარმოების პერიოდში საქართველოს ეროვნულ ბანკში უნდა ინახებოდეს ძვირფასი ლითონები, ქვები და თვლები, უცხოური ვალუტა, საქართველოს ფულის ნიშნები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.**
4. **ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული საგნები ინახება სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, თუ მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს მათ ინდივიდუალურ ნიშნებს.**
5. **დიდგაბარიტიანი საგანი შეიძლება დარჩეს მის მფლობელთან ანდა ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელთან, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ საგნის დაცვაზე.**
6. **ექსპერტიზისათვის გასაგზავნი საგნები უნდა იყოს დალუქული, რაც დადასტურებული უნდა იქნეს გამომძიებლისა და ამ კოდექსის 121-ე მუხლის 4^1 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამსწრის ხელმოწერით. ექსპერტისაგან მიღებული საგნები უნდა იყოს დალუქული ექსპერტის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით. იგივე წესები უნდა იქნეს დაცული ნივთიერ მტკიცებულებათა ფოსტით გაგზავნისა და მიღების დროს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

1. ნივთიერი მტკიცებულება, როგორც წესი, ინახება პროცესის მწარმოებელ ორგანოში, თანამდებობის პირთან.

2. სისხლის სამართლის საქმის წარმოების პერიოდში საქართველოს ეროვნულ ბანკში უნდა ინახებოდეს:

– ძვირფასი ლითონები;
– ძვირფასი ქვები;
– ძვირფასი თვლები;
– საქართველოს ფულის ნიშნები;
– უცხოური ვალუტა;
– ობლიგაციები;
– სხვა ფასიანი ქაღალდები.

3. იმ შემთხვევაში, თუ ძვირფასი ლითონების, ქვების, თვლების, საქართველოს ფულის ნიშნების, უცხოური ვალუტის, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების

ინდივიდუალურ ნიშნებს მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს, შეიძლება ისინი შენახულ იქნეს არა ეროვნულ ბანკში, არამედ – პროცესის მწარმოებელ ორგანოში, თანამდებობის პირთან.

4. ნივთიერი მტკიცებულება უნდა ინახებოდეს ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს:

– მის დაკარგვას;

– მისი თვისებების შეცვლას.

5. სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით ინახება ის ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც:

– არ ნადგურდება;

– მესაკუთრეს, მფლობელს არ უბრუნდება.

6. თუ ნივთიერი მტკიცებულება დიდი ფორმის საგანია, იგი შეიძლება დარჩეს მის მფლობელთან, ანდა – ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელთან. ასეთ შემთხვევაში პირს, რომელთანაც შესანახად რჩება საგანი, შესაბამისი ოქმის შედგენით უნდა განემარტოს უფლება-მოვალეობები და შესაძლო პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის.

7. ექსპერტიზისათვის გასაგზავნი საგანი უნდა დაილუქოს, რაც უნდა დადასტურდეს გამომძიებლის ხელის მოწერით, აგრეთვე – დამსწრის ხელის მოწერით, თუ იგი მონაწილეობდა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე, 102-ე მუხლების კომენტარები).

8. ექსპერტიზის დასრულების შემდეგ ნივთიერ მტკიცებულებას ექსპერტი უბრუნებს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ექსპერტიზაზე გაგზავნილი ნივთიერება მთლიანად გაიხარჯა ექსპერტიზის ჩატარებისას). ექსპერტმა ნივთიერი მტკიცებულება ექსპერტიზის დასრულების შემდეგ, პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის, თანამდებობის პირისათვის მის დაბრუნებამდე, უნდა დალუქოს.

9. ნივთიერი მტკიცებულება ფოსტით დალუქული იგზავნება.

მუხლი 123. გადაწყვეტილება ნივთიერი მტკიცებულების შესახებ საქმის წარმოების დამთავრებამდე

1. საქმის წარმოების დამთავრებამდე გამოძიების ორგანო მესაკუთრეს ან მფლობელს უბრუნებს: მალფუჭებად საგნებს, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელ საგნებს, შინაურ პირუტყვს, ფრინველს, სხვა შინაურ ცხოველებს, სატრანსპორტო საშუალებებს, თუ მათ ყადაღა არა აქვთ დადებული.

1[1]. თუ ნივთიერი მტკიცებულება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებას – საგანს, რომელიც მესაკუთრის (მფლობელის) ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან, საქმისმწარმოებელი ორგანო უშუალოდ ან უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით წერილობით შესთავაზებს საგნის მესაკუთრეს ან კანონიერ მფლობელს, თუ ასეთი პირი ცნობილია, დაიბრუნოს

კუთვნილი საგანი. საქმისმწარმოებელმა ორგანომ წერილობითი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს საგნის მესაკუთრეს (მფლობელს) მისი ვინაობის დადგენისთანავე. წერილობითი შეტყობინების მიღება დასტურდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტით ან ამ შეტყობინებაზე მესაკუთრის (მფლობელის) ხელის მოწერით, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამისად, ოჯახის წევრის ანდა უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. საგნის მესაკუთრე (მფლობელი) წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 45 დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს თავისი კუთვნილი საგნის დაბრუნებასა და ტრანსპორტირებას. თუ მესაკუთრე (მფლობელი) აღნიშნულ ვადაში არ დაიბრუნებს თავის კუთვნილ საგანს, საქმისმწარმოებელი ორგანო უზრუნველყოფს მის შენახვას არა უმეტეს 3 თვისა. ასეთ შემთხვევაში თუ საგნის მესაკუთრე (მფლობელი) გადაწყვეტს საგნის დაბრუნებას, იგი ცენტრალურ ბიუჯეტში იხდის საგნის შენახვისა და მოვლის ხარჯებს, რომელთა დღიური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მისი საბაზრო ღირებულების 1%-ს. საგნის შეფასებას ახორციელებს ექსპერტი. სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ საგანი გადადის სახელმწიფო საკუთრებაში და მისი განკარგვა განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. **თუ ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საგნის მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი არ არის ცნობილი, არ არსებობს მისი კანონიერი წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი დაბრუნება შეუძლებელია სხვა მიზეზით, საგანი უნდა ჩაბარდეს შესაბამის ორგანიზაციას გამოსაყენებლად, შესანახად, მოსავლელად ან უნდა განხორციელდეს მისი განკარგვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

(საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №378 – სსმ I, 2004 წ., №25, მუხლი 123)

1. სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე (სისხლის სამართლის საქმის წარმოების დამთავრებამდე) გამოძიების ორგანო მესაკუთრეს, მფლობელს უბრუნებს:

– მალფუჭებად საგანს;
– ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელ საგანს;
– შინაურ პირუტყვს;
– ფრინველს;
– სხვა შინაურ ცხოველს;
– სატრანსპორტო საშუალებას

(თუ მათ ყადაღა არა აქვთ დადებული).

2. თუ ნივთიერი მტკიცებულება წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც მესაკუთრის (მფლობელის) ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან და ცნობილია მისი ვინაობა, პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი უშუალოდ ან უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით წერილობით შესთავაზებენ საგნის მესაკუთრეს (კანონიერ მფლობელს), დაიბრუნოს კუთვნილი საგანი.

3. წერილობითი შეტყობინების მიღება დასტურდება:

– უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტით;

– ამ შეტყობინებაზე მესაკუთრის (მფლობელის) ხელის მოწერით;

– მესაკუთრის (მფლობელის) არყოფნის შემთხვევაში ამ შეტყობინებაზე, შესაბამისად, ოჯახის წევრის, ანდა უფლებამოსილი პირის ხელის მოწერით.

4. საგნის მესაკუთრე (მფლობელი) წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 45 დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს თავისი კუთვნილი საგნის დაბრუნებასა და ტრანსპორტირებას.

5. თუ მესაკუთრე (მფლობელი) აღნიშნულ ვადაში არ დაიბრუნებს თავის კუთვნილ საგანს, პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი უზრუნველყოფენ მის შენახვას არა უმეტეს 3 თვის განმავლობაში.

6. თუ საგნის მესაკუთრე (მფლობელი) გადაწყვეტს საგნის დაბრუნებას, იგი ცენტრალურ ბიუჯეტში იხდის საგნის შენახვისა და მოვლის ხარჯს, რომელთა დღიური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მისი საბაზრო ღირებულების 1%-ს.

7. საგანს აფასებს ექსპერტი.

8. შენახვის სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ საგანი გადადის სახელმწიფო საკუთრებაში და მისი განკარგვა მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

9. საგანი უნდა ჩაჰბარდეს შესაბამის ორგანიზაციას გამოსაყენებლად, შესანახად, მოსავლელად, ან უნდა განხორციელდეს მისი განკარგვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, თუ:

– საგნის მესაკუთრე (კანონიერი მფლობელი) არ არის ცნობილი და მისი ვინაობა ვერ დადგინდა;

– არ არსებობს საგნის კანონიერი წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

– საგნის დაბრუნება შეუძლებელია სხვა მიზეზით.

მუხლი 124. გადაწყვეტილება ნივთიერ მტკიცებულებათა შესახებ საქმის წარმოების დამთავრების დროს

1. განაჩენში, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ განჩინებაში ან დადგენილებაში ნივთიერი მტკიცებულების საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს:

ა) თუ ჩამორთმევას დაქვემდებარებულ დანაშაულის საგანს ან/და იარაღს ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს ღირებულება, იგი უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს;

ბ) თუ ბრუნვიდან ამოღებულ ნივთს აქვს რაიმე ღირებულება, იგი გადაეცემა შესაბამის დაწესებულებას, ხოლო თუ მას ღირებულება არა აქვს, ნადგურდება;

გ) სხვა ნივთი, რომელსაც ღირებულება არა აქვს, ნადგურდება, ხოლო დაინტერესებული პირის ან დაწესებულების შუამდგომლობით, მას გადაეცემა;

დ) დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა ხმარდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ხოლო თუ ცნობილი არ არის პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, გადაეცემა სახელმწიფო ბიუჯეტს;

ე) დაზარალებულის, გამართლებულის ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი, განსასჯელისა და იმ პირის გარდა, რომელთაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, უბრუნდება მესაკუთრეს ან მფლობელს. თუ ნივთი წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებას, მასზე ვრცელდება ამ კოდექსის 123-ე მუხლის 1^1 ნაწილით დადგენილი წესი.

2. წინასწარი გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას მატერიალური ღირებულების მქონე ნივთიერი მტკიცებულების განადგურება, ჩამორთმევა და გადაცემა ხდება მხოლოდ მოსამართლის დადგენილების საფუძველზე. ამ საკითხს მოსამართლე განიხილავს ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით, იმ ცნობისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც გამომძიებელმა წარადგინა.

3. ნივთიერი მტკიცებულების კუთვნილების გამო დავა წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. თუ ასეთი დავა წარმოიშვა, ნივთიერი მტკიცებულება ინახება სისხლის სამართლის საქმესთან სარჩელის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. სასამართლოს, რომელიც ასეთ სარჩელს განიხილავს, უფლება აქვს გამოითხოვოს სისხლის სამართლის საქმესთან შენახული ნივთიერი მტკიცებულება.

4. ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში მისი მესაკუთრე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას. ეს წესი არ ვრცელდება ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება ჩამორთმევას ან სამოქალაქო სარჩელის ანაზღაურებას.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №378 – სსმ I, 2004 წ., №25, მუხლი 123; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2620 – სსმ I, 2006 წ., №4, მუხლი 40)

1. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის განჩინებით (დადგენილებით), ასევე – განაჩენით უნდა გადაწყდეს საკითხი ნივთიერ მტკიცებულებათა შესახებაც.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი (დადგენილება) ძალაში შედის მისი მიღებისთანავე (გამოცხადებისთანავე), ამასთან, ნივთიერ მტკიცებულებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს არა განაჩენის (დადგენილების) ძალაში შესვლისთანავე (ანუ გამოცხადებისთანავე), არამედ – ამ სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რაშიც იგულისხმება სააპელაციო გასაჩივრების ვადის გასვლა, ან გასაჩივრების შემთხვევაში – ზემდგომი სასამართლოს (სააპელაციო, საკასაციო) მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

3. ნივთიერი მტკიცებულების საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად:

– თუ ჩამორთმევას დაქვემდებარებულ დანაშაულის საგანს ან/და იარაღს ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება;

– თუ ჩამორთმევას დაქვემდებარებულ დანაშაულის საგანს ან/და იარაღს ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთს ღირებულება აქვს, იგი უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს;

– თუ ბრუნვიდან ამოღებულ ნივთს აქვს რაიმე ღირებულება, იგი გადაეცემა შესაბამის დაწესებულებას;

– თუ ბრუნვიდან ამოღებულ ნივთს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება;

– სხვა ნივთი, რომელსაც ღირებულება არა აქვს, ნადგურდება, თუ არ არსებობს დაინტერესებული პირის ან დაწესებულების შუამდგომლობა;

– სხვა ნივთი, რომელსაც ღირებულება არა აქვს, დაინტერესებული პირის ან დაწესებულების შუამდგომლობით, მას გადაეცემა;

– დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა ხმარდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას;

– თუ ცნობილი არ არის პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა გადაეცემა სახელმწიფო ბიუჯეტს;

– დაზარალებულის, გამართლებულის, სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი, განსასჯელის, ასევე – იმ პირის გარდა, რომელსაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, უბრუნდება მესაკუთრეს, მფლობელს.

4. თუ ნივთი წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებას, გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 123-ე მუხლით დადგენილი წესი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 123-ე მუხლის კომენტარები).

5. წინასწარი გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას, მატერიალური ღირებულების მქონე ნივთიერი მტკიცებულების განადგურების, ჩამორთმევის, გადაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება ხდება მხოლოდ მოსამართლის დადგენილების საფუძველზე, ანუ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესახებ ეცნობება სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით და წარედგინება შესაბამისი მასალები. ამ საკითხს მოსამართლე განიხილავს ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით.

6. თუ წარმოიშვა დავა ნივთიერი მტკიცებულების კუთვნილების გამო, იგი უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ასეთ შემთხვევაში ნივთიერი მტკიცებულება ინახება სისხლის სამართლის საქმესთან სარჩელის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. სამოქალაქო სარჩელის განმხილველ სასამართლოს უფლება აქვს, გამოითხოვოს სისხლის სამართლის საქმესთან შენახული ნივთიერი მტკიცებულება.

7. პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის ბრალეული ქმედების გამო ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, განადგურების, დაკარგვის შემთხვევაში მისი მესაკუთრე (მფლობელი) იღებს ფულად კომპენსაციას. ეს წესი არ ვრცელდება ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება:

– ჩამორთმევას;

– სამოქალაქო სარჩელის ანაზღაურებას.

მუხლი 125. საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ოქმები

1. სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებებია ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით შედგენილი საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ოქმები.

2. **ოქმი, რომელიც ჩვენებას აფიქსირებს, არ გამორიცხავს ჩვენების მიმცემ პირთა გამოძახებისა და დაკითხვის შესაძლებლობას.**
3. **საპროცესო გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა მითითება ჩვენებასა და კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან ამოკრებილ სხვა ცნობებზე.**

1. სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებებს წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით შედგენილი საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ოქმები. მაგ.: მტკიცებულება არის არა ჩხრეკა, არამედ – ჩხრეკის ოქმი და ა.შ.

2. საგამოძიებო მოქმედების ოქმი, რომელშიც ჩვენება ფიქსირდება, არ გამორიცხავს ჩვენების მიმცემ პირთა განმეორებით გამოძახებისა და დაკითხვის შესაძლებლობას.

3. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ხდება წინასწარი გამოძიებისას ჩვენების მიმცემი პირის გამოძახება და დაკითხვა ან მიცემული ჩვენების გამოქვეყნება.

4. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო ვალდებული არიან, საპროცესო გადაწყვეტილების მიღებისას მიუთითონ ჩვენებასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წყაროებიდან ამოკრებილ სხვა ცნობებზე (მტკიცებულებებზე), რაც ასაბუთებს გადაწყვეტილებას.

მუხლი 126. სხვა დოკუმენტები

1. **დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისათვის საჭირო ცნობებს. დოკუმენტი შეიძლება მომდინარეობდეს როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისაგან.**
2. **დოკუმენტად ითვლება წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით, ანდა ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან ტექნიკური საშუალების გამოყენებით, თუკი დაცულია ამ კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. დოკუმენტს აქვს მტკიცებულების მნიშვნელობა, თუ ცნობილია მისი წარმომავლობის წყარო და შესაძლებელია მისი უტყუარობის შემოწმება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა მეშვეობით.**
3. **დოკუმენტი იმავდროულად შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულებაც, თუ მას შეუნაცვლებლობის თვისებები აქვს.**
4. **თუ ამოღებული და საქმეზე დართული დოკუმენტი საჭიროა მიმდინარე აღრიცხვის, ანგარიშგებისა და სხვა მართლზომიერი მიზნებისათვის, ის ან მისი ასლი შეიძლება კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს ან გადაეცეს დროებით გამოსაყენებლად, თუ ეს საქმისათვის საზიანო არ იქნება.**

1. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს:

– სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისათვის საჭირო ცნობებს;

– ბრალდებულის პირად მონაცემებს (ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.), ასევე – მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს.

2. დოკუმენტი შეიძლება მომდინარეობდეს:

– იურიდიული პირისაგან;

– ფიზიკური პირისაგან.

3. დოკუმენტად ითვლება წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია:

– სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით;

– ფოტოჩანაწერის,

– კინოჩანაწერის,

– ვიდეოჩანაწერის,

– ბგერის,

– სხვა ჩანაწერის სახით;

– ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

4. დოკუმენტი მტკიცებულებად ითვლება, თუკი დაცულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები მისი მოპოვებისას და დამაგრებისას.

5. დოკუმენტს აქვს მტკიცებულების მნიშვნელობა, თუ ცნობილია მისი წარმომავლობის წყარო და შესაძლებელია მისი უტყუარობის შემოწმება სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების მეშვეობით.

6. დოკუმენტი იმავდროულად შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულებაც, თუ მას შეუნაცვლებლობის თვისებები აქვს.

7. თუ სისხლის სამართლის საქმისათვის საზიანო არ იქნება, ამოღებული და სისხლის სამართლის საქმეზე დართული დოკუმენტი ან მისი ასლი შეიძლება, კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს ან გადაეცეს დროებით გამოსაყენებლად, თუ დოკუმენტი საჭიროა:

– მიმდინარე აღრიცხვის მიზნებისათვის;

– ანგარიშგების მიზნებისათვის;

– სხვა მართლზომიერი მიზნებისათვის.

თავი XVII
მტკიცება

მუხლი 127. მტკიცების პროცესის შემადგენელი ნაწილები

1. **მტკიცება არის მტკიცებულებათა შეკრების, საპროცესო დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.**
2. **ორგანო, რომელიც პროცესს აწარმოებს, მტკიცებას ახორციელებს მხარეთა აქტიური მონაწილეობით.**

1. მტკიცების პროცესი მოიცავს მტკიცებულებათა:
– შეკრებას;
– საპროცესო დამაგრებას;
– შემოწმებას;
– შეფასებას.

2. მტკიცების პროცესში სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა მოხდეს ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის კომენტარები).

3. წინასწარი გამოძიების ეტაპზე პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი მტკიცების (ანუ მტკიცებულებათა შეკრების, საპროცესო დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების) პროცესს ახორციელებენ მხარეთა აქტიური მონაწილეობით, ხოლო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო მხარეებს უქმნის თანაბარ პირობებს მტკიცებულებათა წარდგენის, მათი ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევისათვის, ამასთან, სასამართლო შებოჭილი არ არის მხარეთა მოსაზრებებით და გადაწყვეტილება გამოაქვს მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ჩამოყალიბებული თავისი შინაგანი რწმენით.

მუხლი 128. მტკიცებულებათა შეკრება

1. **მტკიცებულებათა შეკრება ხდება წინასწარი გამოძიების, სასამართლო განხილვის, სააპელაციო წარმოებისა და განაჩენის აღსრულების პროცესში.**
2. **საკასაციო წარმოების სტადიაზე წარდგენილი ან გამოთხოვილი დამატებითი მასალა, რომელიც არ არის მტკიცებულება, თავისთავად ან საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ერთად შეიძლება გახდეს განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებისა თუ შეცვლის საფუძველი.**
3. **სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით, აგრეთვე პროკურორსა და გამომძიებელს უფლება აქვთ: მათ წარმოებაში არსებულ საქმეზე ამ კოდექსით**

გათვალისწინებული წესით დაკითხვის, დასკვნის მიცემის მიზნით ექსპერტად გამოიძახონ ნებისმიერი პირი; ჩაატარონ დათვალიერება, შემოწმება, სხვა საგამოძიებო მოქმედება; საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, კერძო პირს მოსთხოვონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნებისა და დოკუმენტების წარმოდგენა.

4. **სასამართლო განხილვისა და სააპელაციო წარმოების სტადიებზე მტკიცებულებათა შეკრება სასამართლოს შეუძლია დაავალოს გამომძიებელს ან პროკურორს, თუ ამისათვის საჭიროა ჩხრეკა, ამოღება, გვამის ექსჰუმაცია ან სხვა საგამოძიებო მოქმედება, რომლის ჩატარებაც სასამართლო სხდომაზე ვერ ხერხდება.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. მტკიცებულებების შეკრება, როგორც წესი, ხდება სისხლის სამართლის საქმის:
– წინასწარი გამოძიებისას;
– პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვისას;
– სააპელაციო განხილვისას.
2. მტკიცებულებების შეკრება დასაშვებია ასევე განაჩენის აღსრულების პროცესში.
3. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას (საკასაციო წარმოების სტადიაზე) წარდგენილი ან გამოთხოვილი დამატებითი მასალა, რომელიც არ არის მტკიცებულება (არ ყოფილა მოპოვებული წინასწარი გამოძიების, პირველი ინსტანციის ან სააპელაციო განხილვისას), თავისთავად, ან სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ერთად, შეიძლება, გახდეს განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებისა თუ შეცვლის საფუძველი.
4. სასამართლოს, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, პროკურორს, გამომძიებელს უფლება აქვთ, სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენის მიზნით:
– გამოიძახონ და დაკითხონ ნებისმიერი პირი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;
– დანიშნონ ექსპერტიზა;
– მოიწვიონ სპეციალისტი;
– ჩაატარონ დათვალიერება;
– ჩაატარონ შემოწმება;
– ჩაატარონ სხვა საგამოძიებო მოქმედება;
– მოსთხოვონ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნებისა და დოკუმენტების წარმოდგენა:
ა) საწარმოს;
ბ) დაწესებულებას;
გ) ორგანიზაციას;
დ) კერძო პირს.

5. პირველი ინსტანციის სასამართლო არ სარგებლობს თავისი ინიციატივით მოწმის გამოძახებისა და დაკითხვის უფლებამოსილებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 475-ე მუხლის კომენტარები).

6. აღსანიშნავია ისიც, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმის დამატებით დაკითხვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმე თვითონ შუამდგომლობს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას, რასაც კონკრეტულად მიუთითებს შუამდგომლობაში. მოწმე დამატებით შეიძლება დაიკითხოს ასევე სასამართლოს ინიციატივით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 533-ე მუხლის კომენტარები).

7. თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ან სააპელაციო წარმოებისას წარმოიშვა ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობა, რომელიც სასამართლო სხდომაზე ვერ ხერხდება (მაგ.: ჩხრეკა, ამოღება და ა.შ.), ამ მტკიცებულებების შეკრება სასამართლოს შეუძლია, დაავალოს გამომძიებელს, პროკურორს.

მუხლი 129. მხარეების მიერ მტკიცებულებათა შეკრება და წარდგენა

1. **დამცველს, აგრეთვე დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებს უფლება აქვთ: შეაგროვონ მათ მარწმუნებელ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის საჭირო ცნობები, მათ შორის, გამოავლინონ და შეკითხვები დაუსვან კერძო პირს, რომელიც ჯერ ოფიციალურად დაკითხული არ არის; გამოითხოვონ ცნობა, დახასიათება და სხვა დოკუმენტი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებიდან, საწარმოდან ან ორგანიზაციიდან, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ასეთი მოთხოვნა; მიმართონ მცოდნე პირს, გამოთქვას თავისი აზრი საქმის გამო წამოჭრილი სპეციალური საკითხის განსამარტავად, ჩატარებული ექსპერტიზის შესაფასებლად და შუამდგომლობის დასასაბუთებლად; მოიწვიონ ექსპერტი, ასევე საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტი დასკვნის შესადგენად; ისარგებლონ კერძო დეტექტივის მომსახურებით მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ცნობების მისაღებად.**
2. **დამცველისა და წარმომადგენლის მიერ ოფიციალურად წარმოებული გამოძიების გარეთ მოპოვებული მასალები, დოკუმენტები, ცნობები უნდა დაერთოს საქმეს და შეიძლება წარედგინოს სასამართლოს, როგორც მტკიცებულებანი.**
3. **დამცველის დასაბუთებული მოთხოვნა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სავალდებულოა გამომძიებლისა და პროკურორისათვის. ამ მოქმედების ოქმი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო მისი ასლი გადაეცეს დამცველს, რომელსაც უფლება აქვს დაიმოწმოს ისინი ბრალდებულის უდანაშაულობის ან მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა დასამტკიცებლად.**
4. **ცნობები წერილობითი და ზეპირი ფორმით, აგრეთვე საგნები და დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება იყოს მტკიცებულებები სისხლის სამართლის**

საქმეზე, უფლება აქვს წარმოადგინოს აგრეთვე ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, დაზარალებულმა, სამოქალაქო მოსარჩელემ, სამოქალაქო მოპასუხემ და მათმა წარმომადგენლებმა.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2543 – სსმ I, 2006 წ., №1, მუხლი 9; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. მტკიცებულებათა შეკრებისა და პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის, თანამდებობის პირისათვის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია:

– ეჭვმიტანილს;

– ბრალდებულს;

– განსასჯელს;

– მსჯავრდებულს;

– დამცველს;

– დაზარალებულს;

– სამოქალაქო მოსარჩელეს;

– სამოქალაქო მოპასუხეს;

– მათ წარმომადგენლებს.

2. ზემოაღნიშნულ პირებს უფლება აქვთ:

– გამოავლინონ და შეკითხვები დაუსვან კერძო პირს, რომელიც ჯერ ოფიციალურად დაკითხული არ არის;

– გამოითხოვონ ცნობა, დახასიათება და სხვა დოკუმენტი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებიდან, საწარმოდან ან ორგანიზაციიდან, რომელიც ვალდებულია, შეასრულოს ასეთი მოთხოვნა;

– სპეციალური საკითხის განსამარტავად, ჩატარებული ექსპერტიზის შესაფასებლად მიმართონ კომპეტენტურ პირს, წარუდგინონ მისი განმარტება პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს და გამოიყენონ იგი შუამდგომლობის (საჩივრის) დასასაბუთებლად;

– მოიწვიონ ექსპერტი, მათ შორის – საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტი დასკვნის შესადგენად;

– ისარგებლონ კერძო დეტექტივის მომსახურებით მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ცნობების მისაღებად.

3. დამცველისა და წარმომადგენლის მიერ ოფიციალურად ჩატარებული გამოძიების გარეთ მოპოვებული მასალები, დოკუმენტები, ცნობები უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. აღნიშნული მასალები უნდა გამოიკვლიონ პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა და შეიძლება, წარედგინოს სასამართლოს, როგორც მტკიცებულება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის კომენტარები).

4. დამცველის (სხვა უფლებამოსილი პირის) დასაბუთებული შუამდგომლობა (მოთხოვნა) საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სავალდებულოა გამომძიებლისა და პროკურორისათვის. ამ მოქმედების ოქმი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის

საქმეს, ხოლო მისი ასლი გადაეცეს დამცველს (სხვა უფლებამოსილ პირს), რომელსაც უფლება აქვს, დაიმოწმოს ისინი ბრალდებულის უდანაშაულობის ან მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა დასამტკიცებლად.

მუხლი 130. მტკიცებულებათა საპროცესო დამაგრება

1. **მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ცნობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის პროცესში, თუ ის საპროცესო წესით არის დამაგრებული, ესე იგი შეტანილია საგამოძიებო მოქმედების ან სასამართლო განხილვის ოქმში, რომელიც შედგენილია ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად. ნივთიერი მტკიცებულება უნდა აღიწეროს ოქმში და დაერთოს საქმეს სპეციალური განჩინებით (დადგენილებით). ექსპერტის მიერ დადგენილი ცნობის საპროცესო წესით დამაგრება ხდება ექსპერტის მიერ სათანადოდ შედგენილი დასკვნით. სასამართლო მოქმედების ოქმი და დოკუმენტი საქმეს უნდა დაერთოს სპეციალურად გამოტანილი დადგენილების გარეშე.**
1[1]. **მხარეთა შუამდგომლობით, ექსპერტი უნდა დაკითხონ მხარეებმა სასამართლოში მის მიერ მიცემული წერილობითი დასკვნის თაობაზე. ამ შემთხვევაში წერილობითი დასკვნა მტკიცებულებით ძალას იძენს მხოლოდ ექსპერტის მიერ თავისი წერილობითი დასკვნის სასამართლოში მიცემული ჩვენებით დადასტურების შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ექსპერტი გარდაიცვალა, იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ ან მისი ადგილსამყოფელი უცნობია, ან თუ ამოწურულია მისი სასამართლოში წარმოდგენის ყველა შესაძლებლობა. მხოლოდ აღნიშნული დასკვნა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განსასჯელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.**
2. **დამცველისა და პროცესის სხვა მონაწილის მიერ წარმოდგენილი საგანი ან მასალა მტკიცებულების მნიშვნელობას იძენს მას შემდეგ, რაც პროცესის მწარმოებელი ორგანო გამოიტანს განჩინებას (დადგენილებას) სისხლის სამართლის საქმეზე მისი დართვის შესახებ. ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს უარი უთხრას პროცესის მონაწილეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საქმისათვის დართვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პროცესის მწარმოებელი ორგანო ცნობს, რომ ეს მტკიცებულება არ განეკუთვნება საქმეს, ან როცა არ მიიჩნევს მას დასაშვებად.**

(საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2543 – სსმ I, 2006 წ., №1, მუხლი 9; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საქმეზე დასაშვებია მხოლოდ იმ მტკიცებულებების გამოყენება, რომლებიც დამაგრებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

2. მტკიცებულების ყველაზე გავრცელებული სახეა დაკითხვის ოქმი, ანუ წინასწარი გამოძიების ეტაპზე ამა თუ იმ პირის (ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმის და ა.შ.) მიერ მიწოდებული ინფორმაციის (ცნობების) საპროცესო დამაგრების საშუალება არის მათი დაკითხვის ოქმები.

3. შესაბამისი ოქმი წარმოადგენს აგრეთვე ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების საპროცესო დამაგრების საშუალებას. მაგ.: შემთხვევის ადგილის დათვალიერების საპროცესო დამაგრება ხდება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ჩხრეკის – ჩხრეკის ოქმით და ა.შ.

4. ნივთიერი მტკიცებულება უნდა აღიწეროს ოქმში. ნივთიერი მტკიცებულება უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს სპეციალური დადგენილებით (განჩინებით).

5. პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის მიერ მოპოვებული ან მხარეთა მიერ წარდგენილი დოკუმენტები სისხლის სამართლის საქმეს უნდა დაერთოს სპეციალურად გამოტანილი დადგენილების გარეშე.

6. ექსპერტის მიერ დადგენილი გარემოებების საპროცესო წესით დამაგრების საშუალებას წარმოადგენს ექსპერტის მიერ სათანადოდ შედგენილი დასკვნა.

7. სასამართლო სხდომაზე განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს ერთვის სპეციალური დადგენილების (განჩინების) გამოტანის გარეშე და წარმოადგენს მტკიცებულებას.

8. თუ მხარე (მხარეები) შუამდგომლობს (შუამდგომლობენ), სასამართლო ვალდებულია, გამოიძახოს ექსპერტი, რომელიც დაიკითხება თავის მიერ გაცემული წერილობითი დასკვნის თაობაზე სასამართლო სხდომაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

– ექსპერტი გარდაიცვალა;

– ექსპერტი იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ;

– ექსპერტის ადგილსამყოფელი უცნობია;

– თუ ამოწურულია ექსპერტის სასამართლოში წარმოდგენის ყველა შესაძლებლობა.

9. სასამართლო სხდომაზე ექსპერტის დაკითხვის შემთხვევაში მისი წერილობითი დასკვნა მტკიცებულებით ძალას იძენს მხოლოდ მაშინ, თუ ექსპერტი სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებით დაადასტურებს თავისივე წერილობით დასკვნას.

10. მხოლოდ აღნიშნული დასკვნა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განსასჯელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.

11. დამცველის, პროცესის სხვა მონაწილის მიერ წარმოდგენილი საგანი ან მასალა მტკიცებულების მნიშვნელობას იძენს მას შემდეგ, რაც პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი გამოიტანენ განჩინებას, დადგენილებას სისხლის სამართლის საქმეზე მისი დართვის შესახებ. პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს უფლება არა აქვთ, უარი უთხრან პროცესის მონაწილეს თავის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების სისხლის სამართლის საქმისათვის დართვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი:

– ცნობენ, რომ ეს მტკიცებულება არ განეკუთვნება სისხლის სამართლის საქმეს;

– არ მიიჩნევენ მტკიცებულებას დასაშვებად.

მუხლი 131. მტკიცებულებათა შემოწმება

მხარის მიერ შეკრებილი და წარდგენილი მტკიცებულებები ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა შემოწმდეს, რაც ითვალისწინებს მიღებულ მტკიცებულებათა ანალიზს, მათს შეჯერებას სხვა მტკიცებულებებთან, ახალ მტკიცებულებათა შეკრებას, იმის გარკვევას, დაცული იყო თუ არა სათანადო პროცედურა მტკიცებულებათა გამოვლენისა და საპროცესო დამაგრების დროს.

1. მხარის მიერ შეკრებილი და წარდგენილი მტკიცებულებები ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა შეამოწმონ პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა.

2. მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შემოწმება გულისხმობს მათ ანალიზს, შეჯერებას სხვა მტკიცებულებებთან, ახალი მტკიცებულებების შეკრებას, აგრეთვე – იმის გარკვევას, იყო თუ არა დაცული სათანადო პროცედურა მტკიცებულებების გამოვლენისა და საპროცესო დამაგრების დროს.

მუხლი 132. მტკიცებულებათა შეფასება

1. **თითოეული მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი დამოკიდებულების, დასაშვებობის, უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულება მათი ერთობლიობით – დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნისათვის საკმარისობის თვალსაზრისით.**
2. **გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე მტკიცებულებას აფასებენ თავისუფლად, შინაგანი რწმენით.**
3. **ეჭვი დამნაშავედ პირის ცნობისათვის მტკიცებულების უტყუარობისა და მისი საკმარისობის თაობაზე უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, თუ ეჭვი არ შეიძლება გაბათილდეს დამატებით მტკიცებულებათა შეკრებით.**
4. **არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.**
5. **გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. თითოეული მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი:

– დამოკიდებულების (ანუ შესახებობის) თვალსაზრისით;

– დასაშვებობის (ანუ მოპოვებისა და საპროცესო დამაგრებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვის) თვალსაზრისით;

– უტყუარობის თვალსაზრისით.

2. სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი შესახები, დასაშვები და უტყუარი მტკიცებულებები უნდა შეფასდეს ერთობლივად – დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნისათვის საკმარისობის თვალსაზრისით.

3. არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

4. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო მტკიცებულებას აფასებენ თავისუფლად, თავიანთი შინაგანი რწმენით. შინაგანი რწმენა უნდა ეყრდნობოდეს მტკიცებულებებს (გამომდინარეობდეს მტკიცებულებებიდან), ანუ დასაბუთებული უნდა იყოს, თუ რა მტკიცებულებებმა, რა გარემოებებმა ჩამოუყალიბა გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს, სასამართლოს ამდაგვარი შინაგანი რწმენა.

5. ეჭვი დამნაშავედ პირის ცნობისათვის მტკიცებულების უტყუარობისა და მისი საკმარისობის თაობაზე უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (განსასჯელის, მსჯავრდებულის) სასარგებლოდ, თუ ეჭვი არ შეიძლება გაბათილდეს დამატებით მტკიცებულებათა შეკრებით, ანუ ეჭვი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს არა მისი (ეჭვის) წარმოშობისთანავე, არამედ – მას შემდეგ, რაც ამოიწურება ყველა შესაძლებლობა ეჭვის გამოსარიცხად ან დასადასტურებლად.

6. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

კარი მეოთხე
სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულება

თავი XVIII
სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენების საერთო პირობები

მუხლი 133. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ამოცანები

1. **თუ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ეწინააღმდეგება საგამოძიებო ან სასამართლო მოქმედების ჩატარებას, არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ საპროცესო მოვალეობას, გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს (მოსამართლეს) ამ კოდექსით დადგენილი წესით შეუძლიათ გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული იძულების ღონისძიებანი. საჭიროების შემთხვევაში ისინი აფრთხილებენ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს, რომ აღიკვეთება ის ქცევა, რომელიც ხელს უშლის სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების შესრულებას.**
2. **სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებისას ანალოგიის ან კანონის განვრცობითი განმარტება დაუშვებელია.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. აღნიშნული მუხლი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამ თავის ნორმა-პრინციპია. იგი ადგენს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის (გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს, მოსამართლის) უფლებამოსილებას, გამოიყენონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებანი.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა მოხდეს ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად. სწორედ იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილე ხელს უშლის სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს ამ ვალდებულებისა და, ზოგადად, სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების შესრულებაში, ნებადართულია სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებათა გამოყენება.

3. სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის არა მარტო უფლება, არამედ – ვალდებულებაცაა. თუ სხვა საშუალებებით შეუძლებელია სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების შესრულება, სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან, გამოიყენონ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება. ამასთან, სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად დადგენილ შემთხვევებში და წესით.

4. ნორმის პირველი წინადადება უშვებს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერი მონაწილის მიმართ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და არ არის დაკონკრეტებული სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა საპროცესო მდგომარეობა, თუმცა ეს მხოლოდ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების უფლებამოსილების კონსტატაციაა, ხოლო სისხლის სამართლის პროცესის რომელი მონაწილის მიმართ რა სახის სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება შეიძლება იქნეს გამოყენებული, რა შემთხვევებში და რა წესით (ან საერთოდ შეიძლება თუ არა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენება), ეს დაკონკრეტებულია სხვა სპეციალურ ნორმებში.

5. აღნიშნული მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან, წინასწარ გააფრთხილონ მხოლოდ ეჭვმიტანილი და ბრალდებული, რომ აღიკვეთება ის ქცევა, რომელიც ხელს უშლის სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების შესრულებას. თუმცა სხვა სპეციალური ნორმები აწესებენ არა მარტო ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის, არამედ – სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეთა წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებასაც სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების შესაძლო გამოყენების შესახებ, რის გამოც კონკრეტულ შემთხვევაში სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა უნდა იხელმძღვანელონ შესაბამისი სპეციალური ნორმით, ანუ ამ მუხლში მხოლოდ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებაზე მითითება არ ათავისუფლებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებისაგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირდაპირ მითითებულ შემთხვევებში.

6. კანონმდებელმა პირდაპირ, იმპერატიულად აკრძალა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებისას კანონის ან სამართლის ანალოგიის, ან კანონის განვრცობითი განმარტების გამოყენების შესაძლებლობა, ანუ დასაშვებია მხოლოდ კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება პირდაპირ ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციით გათვალისწინებულ ამა თუ იმ ძირითად უფლებას, რაც, თვით კონსტიტუციის შესაბამისად, დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 134. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების სახეები

სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების სახეებია:

ა) მტკიცებულებათა შეკრების უზრუნველყოფა, თუ ამას ვინმე ეწინააღმდეგება დათვალიერების, შემოწმების, ექსპერტიზის, ჩხრეკის, ამოღების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, გვამის ექსჰუმაციის ჩატარებისას;

ბ) ზომების მიღება, რათა თავიდან აიცილონ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მართლსაწინააღმდეგო თუ სხვა დამაბრკოლებელი ქცევა, რომელიც ხელს უშლის ამ საქმის სწორად გადაწყვეტას: დაკავება, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, თანამდებობიდან გადაყენება, ქონებაზე ყადაღის დადება;

გ) ჯარიმები, სახდელები და ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები – იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ კანონს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. ამ მუხლით დადგენილია სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების ზოგადი განმარტება და კლასიფიკაცია:

– ღონისძიებები, რომელთა მიზანია მტკიცებულებათა მოპოვების უზრუნველყოფა (რომლებიც მიმართულია მტკიცებულებათა მოპოვებისაკენ) – დათვალიერების, შემოწმების, ექსპერტიზის, ჩხრეკის, ამოღების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, გვამის ექსჰუმაციის დროს. აღნიშნული, პირველ რიგში, საგამოძიებო მოქმედებებია – მათი მიზანია მტკიცებულებათა მოპოვება. თუ მითითებული მოქმედებები ტარდება წინააღმდეგობის გარეშე, იმ პირთა, ან მათი წარმომადგენლების თანხმობით, რომლებსაც ეს ეხება, ისინი იქნება მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებები. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი პირები ეწინააღმდეგებიან აღნიშნული მოქმედებების ჩატარებას, მაშინ ისინი ერთდროულად ორგვარი სამართლებრივი ბუნების მატარებელია – ერთი მხრივ, ისინი საგამოძიებო მოქმედებებია, ხოლო, მეორე მხრივ, – სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებები;

– ღონისძიებები, რომელთა მიზანია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის (იგულისხმება განსასჯელიც, რადგანაც იგი არის ბრალდებული, რომლის მიმართაც საქმე არსებითი განხილვისათვის გადაეცა სასამართლოს) ისეთი ქცევის აღკვეთა, რაც ხელს უშლის პროცესის ამოცანების შესრულებას – დაკავება, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, თანამდებობიდან გადაყენება, ქონებაზე ყადაღის დადება. ეს ნორმა ადგენს მხოლოდ ღონისძიებათა ჩამონათვალს და არ აკონკრეტებს, რა ღონისძიება ვის მიმართ, რა შემთხვევებში და რა წესით გამოიყენება (მაგ.: აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეჭვმიტანილის მიმართ). თითოეულ ამ ღონისძიებას დათმობილი აქვს კოდექსის სპეციალური თავი, სადაც დეტალურადაა საუბარი სხვადასხვა საკითხზე;

– ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება პროცესის იმ მონაწილეთა მიმართ, რომლებიც არღვევენ კანონს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას – ჯარიმები, სახდელები და კოდექსით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნორმა ადგენს მხოლოდ ღონისძიებათა ნაწილობრივ ჩამონათვალს და არ აკონკრეტებს, რომელი ღონისძიება ვის მიმართ, რა შემთხვევებში და რა წესით გამოიყენება. ეს საკითხები დაკონკრეტებულია შესაბამის სპეციალურ ნორმებში.

2. მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ზოგიერთი დეფინიცია საჭიროებს დამატებით განმარტებას.

3. „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული „ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მართლსაწინააღმდეგო თუ სხვა დამაბრკოლებელი ქცევა“ შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი, რომელიც სისხლის სამართლის პროცესის წარმოებას უშლის ხელს და არ ქმნის სხვა სახის (ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის) სამართალდარღვევას აგრეთვე შეიძლება, ცალკე აღებული წარმოადგენდეს სხვა სახის სამართალდარღვევასაც. მაგალითად, ბრალდებულს ეკრძალება პროცესის მონაწილეზე – დაზარალებულზე ზემოქმედება საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საჯარო ინტერესის საზიანოდ. თუ ბრალდებული დაზარალებულის მიმართ ისეთ ქცევას განახორციელებს, რომელიც ხელს უშლის გამოძიებას, მაგრამ არ წარმოადგენს სხვა სახის სამართალდარღვევას, ეს იქნება მხოლოდ გამოძიებისათვის ხელის შეშლა, ხოლო თუ ბრალდებულის ასეთმა ქცევამ მოგვცა დანაშაულის ახალი შემადგენლობა, ეს ერთდროულად იქნება ცალკე დანაშაულიც და გამოძიებისათვის ხელის შეშლაც.

4. „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ფრაზა – „იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ კანონს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას“, პირველ რიგში, გულისხმობს პირის მიერ მისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობას, ხოლო თუ ამ ქცევამ შედეგად მოგვცა სხვა სახის სამართალდარღვევაც, იგი განიხილება და გადაწყდება შესაბამისი წესით.

მუხლი 135. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების კანონიერება და დასაბუთებულობა

1. **სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ არსებობს ამის საფუძვლები და კანონით დადგენილი წესი.**
2. **სისხლის საპროცესო იძულების ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების (ბრძანების) საფუძველზე, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. მუხლი კიდევ ერთხელ აფიქსირებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ აკრძალვას ანალოგიის ან კანონის ვრცლად განმარტების გამოყენების დაუშვებლობის შესახებ. ამასთან, ნორმა ადგენს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის ვალდებულებას, სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას გამოკვლეულ და შეფასებულ იქნეს ორი გარემოება – ჯერ ერთი, უნდა არსებობდეს სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის დასაბუთებისათვის საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები და,

მეორე, კანონით პირდაპირ უნდა იყოს გათვალისწინებული ასეთ შემთხვევაში სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და წესი. ერთ-ერთი მათგანის არარსებობა გამორიცხავს სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.

2. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება, როგორც წესი, უნდა გამოიყენებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, თუმცა დაშვებულია სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი სხვა პირების (პროკურორის, გამომძიებლის) მიერ საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების გამონაკლისი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევები. მუხლში არ არის ჩამოთვლილი გამონაკლისი შემთხვევები. ამასთან, იმპერატიული მითითება, რომ ასეთი შემთხვევა პირდაპირ უნდა იყოს გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ნიშნავს, რომ ყველა სხვა შემთხვევაში აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილება, თუნდაც ეს ნორმაში პირდაპირ არ იყოს მითითებული. ანუ, თუ ნორმაში პირდაპირაა მითითებული გამომძიებლის ან პროკურორის უფლებამოსილება, გამოიყენოს სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება (მაგ.: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მხოლოდ მაშინ არის აღნიშნული თანამდებობის პირი უფლებამოსილი, გამოიყენოს ეს ღონისძიება. ყველა სხვა შემთხვევაში სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება გააჩნია სასამართლოს.

მუხლი 136. მოპყრობა პირისადმი, რომლის მიმართაც გამოყენებულია სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება

1. პირი, რომლის მიმართაც გამოყენებულია სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება, ინარჩუნებს თავის კონსტიტუციურ სტატუსს, მოქალაქეობას, სამართალსუბიექტობას და სარგებლობს სახელმწიფო დაცვით.

2. შეზღუდვები, რომლებიც დაკავშირებულია დაკავებული, დაპატიმრებული ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებული პირის ყოფნის რეჟიმთან, დგინდება მხოლოდ კანონით.

3. დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებულ პირს აქვს უფლება შეძლებისდაგვარი შრომისა, რომელიც ანაზღაურდება მისი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, აგრეთვე უფლება ნორმალური დასვენებისა, რომელიც საკმარისია ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. აღნიშნულ პირს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უნარჩუნდება: შრომის სამართლებრივი ურთიერთობა საწარმოსთან, ორგანიზაციასთან ან დაწესებულებასთან, სადაც ის მუშაობდა დაკავების, დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების წინ; საცხოვრებელი ბინის უფლება; საკუთრების უფლება მესაკუთრის ცალკეული უფლებამოსილების დროებით შეზ-

ღუდვით; ქონების ანდერძით და მემკვიდრეობით გადაცემის უფლება; დაქორწინების უფლება; შემოქმედებითი საქმიანობის უფლება; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საერთომოქალაქეობრივი უფლებები; პოლიტიკურ ცხოვრებაში – არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში, საყოველთაო-სახალხო განხილვაში მონაწილეობის უფლება. დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვანს აგრეთვე საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს ზოგადი განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამით.

4. **დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებულ პირს აქვს ჰუმანური მოპყრობის უფლება. მის მიმართ გამოყენებული შეზღუდვა არ უნდა იყოს იმაზე უფრო მკაცრი, რაც საჭიროა მისი გაქცევის ან სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის მცდელობის თავიდან ასაცილებლად.**
5. **აღნიშნული პირის განთავსების ადგილის პირობები უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის ღირსეულ არსებობას, მისი პატივისა და ღირსების პატივისცემას, პიროვნების ხელშეუხებლობას, ჯანმრთელობის შენარჩუნებას, თავისი ინტერესების დაცვის უნარს. დაკავებულისადმი ან დაპატიმრებულისადმი სასტიკი მოპყრობა, მისთვის ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის მიყენება ისჯება კანონით.**
6. **დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებულ პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს პირისპირ – შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად – შეხვდეს თავის დამცველს, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ისარგებლოს საკანონმდებლო მასალებითა და იურიდიული ლიტერატურით, იქონიოს ქაღალდი და საკანცელარიო საგნები საჩივრების, შუამდგომლობებისა და სხვა დოკუმენტების შესადგენად.**
7. **ბრალდებულთან, ეჭვმიტანილთან ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებულ პირთან დამცველის საუბრის მიყურადება, ფონოჩაწერა, ვიზუალური მეთვალყურეობა, აგრეთვე დამცველთან ამ პირის მიმოწერის შემოწმება დაუშვებელია. ამ მოთხოვნის დარღვევით მიღებული მონაცემი საქმეზე მტკიცებულებად არ დაიშვება.**
8. **ექსპერტიზის, შემოწმების, შედარებითი კვლევისათვის ნიმუშის აღებისა თუ სხვა საპროცესო მოქმედებების დროს დაუშვებელია ისეთი მეთოდის გამოყენება, რომელიც საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ან შეურაცხყოფს მის ღირსებას.**

(საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2454 – სსმ I, 2003 წ., №21, მუხ.148)

1. დაკავებული, დაპატიმრებული, ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებული პირის მიმართ დასაშვებია მხოლოდ იმ სახის შეზღუდვების გამოყენება, რაც გათვალისწინებულია კანონით (და არა – კანონქვემდებარე ნორმატიული

აქტებით. კანონქვემდებარე ნორმატული აქტები მხოლოდ უნდა აკონკრეტებდნენ კანონით დაწესებული შეზღუდვების არსს).

2. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უნარჩუნდება ყველა ის კონსტიტუციური უფლება, რაც ხელს არ უშლის სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებას. მუხლი არ განმარტავს კონკრეტული შეზღუდვების არსს. ეს კოდექსის სხვა, სპეციალური ნორმებისა და სპეციალური კანონმდებლობის (მაგ.: „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის) საგანია.

3. ზოგადი ხასიათის პრინციპი სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ნებისმიერი ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას შემდეგია: პირის მიმართ გამოყენებული შეზღუდვა არ უნდა იყოს იმაზე მკაცრი, რაც საჭიროა მისი გაქცევის ან სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის მცდელობის თავიდან ასაცილებლად.

4. პირის მიმართ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ (პროცესის მწარმოებელმა სხვა ორგანომ ან თანამდებობის პირმა), საქმის კონკრეტულ, ფაქტობრივ და საპროცესო გარემოებათა, ასევე – კონკრეტული პირის გათვალისწინებით, უნდა შეარჩიოს სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების ისეთი სახე, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საპროცესო მიზნების მიღწევას და, მეორე მხრივ, აუცილებელზე მეტად არ შეზღუდავს პირის უფლებას.

5. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოც ვალდებულია, ამ გადაწყვეტილების აღსრულებისას გამოიყენოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული იმ სახისა და ხასიათის შეზღუდვები, რაც მითითებულია ამ გადაწყვეტილებაში და უზრუნველყოფს გადაწყვეტილების შესრულებას და აუცილებელზე მეტად არ შეზღუდავს პირის უფლებას.

6. ნორმის ზოგიერთი დებულება სხვა კანონების მოწესრიგების სფეროს განეკუთვნება. მაგ.: მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაკავებულ, დაპატიმრებულ, ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებულ პირებს აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. იმ საკითხის გადაწყვეტა, ამ პირებს აქვთ მხოლოდ აქტიური, თუ მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება, ან ორივე – ერთად, თუ არც ერთი (მაგ.: პირი იმყოფება ე. წ. „რეაქტიული ფსიქოზის“ მდგომარეობაში, ეჭვქვეშ დგას, თუმცა ამ ეტაპზე ვერ წყდება მისი შერაცხადობის საკითხი), არ არის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საგანი და მოწესრიგდება სპეციალური (მაგ.: საარჩევნო) კანონმდებლობით.

7. დაკავებულ, დაპატიმრებულ, ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებულ პირებს უფლება აქვთ, რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად შეხვდნენ თავიანთ დამცველს. თუმცა ეს არ არის აბსოლუტური უფლება და კანონი უშვებს გამონაკლისსაც – „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი“. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოტივირებული დადგენილებით შეიძლება, შეიზღუდოს დაკავებული პირისა და მისი დამცველის შეხ-

ვედრათა რაოდენობა და ხანგრძლივობა. მაგ.: თუ იწურება ბრალდების წარდგენის კონსტიტუციით გათვალისწინებული 48-საათიანი ვადა. დაკავებული, დაპატიმრებული, ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებული პირებისა და მათი დამცველების შეხვედრა შეიძლება, შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე – ამ პირთა განთავსების ადგილის ადმინისტრაციის მიერაც (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე, 137-ე მუხლების კომენტარები).

8. დამცველისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის საუბრებისა და მიმოწერის რაიმე სახით კონტროლი აკრძალულია. ამ გზით მოპოვებული მონაცემები მტკიცებულებად არ დაიშვება.

9. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ან ღირსების შეურაცხმყოფელი მეთოდების გამოყენება დაუშვებელია ექსპერტიზის, შემოწმების და, საერთოდ, ნებისმიერი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს. საკითხი, საშიშია თუ არა ესა თუ ის მეთოდი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ექსპერტიზის, შემოწმების, შედარებითი კვლევისათვის ნიმუშის აღების ჩატარებისას, უნდა შეაფასოს შესაბამისი დარგის სპეციალისტმა, ან ექსპერტმა. საკითხის შეფასება, არის თუ არა ესა თუ ის მეთოდი ღირსების შეურაცხმყოფელი, არ არის დამოკიდებული მხოლოდ იმ პირის მოსაზრებაზე, ვისაც უნდა ჩაუტარდეს ეს საპროცესო მოქმედება. გადაწყვეტილება უნდა მიიღონ პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა იმის გათვალისწინებით, რომ მეთოდი, ზოგადად, ობიექტურად უნდა იყოს შეურაცხმყოფელი.

მუხლი 137. დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაციის საპროცესო მოვალეობა

1. დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია: უზრუნველყოს, რომ დაპატიმრებულს საბრალდებო დასკვნის, განაჩენის, განჩინების, დადგენილების ასლი გადაეცეს მისი მიღებისთანავე; დაკავებულისა და დაპატიმრებულის საჩივარი და შუამდგომლობა გასინჯვის გარეშე გაუგზავნოს გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სახალხო დამცველს, ადმინისტრაციისათვის მათი ჩაბარებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა; დროულად მიიყვანოს დაკავებული და დაპატიმრებული გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს გამოძახებით; არ დაუშვას მათი ურთიერთობა თანამდებობის პირსა და ორგანოსთან, რომელსაც საქმე თავის წარმოებაში არ მიუღია; ადვოკატურის მიერ გაცემული ორდერისა და პირადობის მოწმობის წარმოდგენის შემდეგ უზრუნველყოს დაკავებულისა და დაპატიმრებულის პირისპირ შეხვედრა დამცველთან შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად, გარდა 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა; უზრუნველყოს დაკავებულისა და დაპატიმრებულის პირისპირ შეხვედრა ექიმთან ან ექსპერტთან; შეადგინოს აქტი იმის შესახებ, რომ განსასჯელი უარს ამბობს სასამართლოში გამოცხა-

დებაზე, და დაუყოვნებლივ გაუგზავნოს იგი შესაბამის სასამართლოს; დაუყოვნებლივ შეასრულოს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის დადგენილება, სასამართლოს დადგენილება ან განჩინება დაკავებულისა თუ დაპატიმრებულის განთავისუფლების შესახებ; გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებული ან დაპატიმრებული პირი გადაიყვანოს საგამოძიებო იზოლატორში, რომელიც სხვა ტერიტორიაზე მდებარეობს; ეჭვმიტანილი დაკავების ვადის გასვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს; პატიმრობის ვადის გასვლამდე 7 დღე-ღამით ადრე შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ პროცესის მწარმოებელ ორგანოს, ხოლო თუ პატიმრობის მითითებული ვადა არ გაგრძელებულა, გაათავისუფლოს ბრალდებული საგამოძიებო იზოლატორიდან.

2. **დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაციის მიერ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობას მოსდევს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია, უზრუნველყოს პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირისა და დაკავებული, დაპატიმრებული პირის შეუფერხებელი კონტაქტი ერთმანეთთან – ერთი მხრივ, დაკავებულ, დაპატიმრებულ პირს გადასცეს ყველა საპროცესო დოკუმენტი, რომელიც ადმინისტრაციას გადაეცემა პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის მიერ დაკავებულის, დაპატიმრებულისათვის გადასაცემად და, მეორე მხრივ, პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სახალხო დამცველსაც) გადაუგზავნოს დაკავებული, დაპატიმრებული პირის ყველა საჩივარი და შუამდგომლობა.

2. ადმინისტრაცია ვალდებულია, უზრუნველყოს დაკავებული და დაპატიმრებული პირის შეხვედრა დამცველთან, შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად. თუმცა, აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის აბსოლუტური უფლება და კანონი აქვე აკეთებს დათქმას – გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამ ნორმის თანახმად, პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი უფლებამოსილი არიან, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მოტივირებული დადგენილებით შეზღუდონ დამცველისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის შეხვედრის რაოდენობა და ხანგრძლივობა გონივრული ვადით. ადმინისტრაცია ვალდებულია, შეასრულოს ეს დადგენილება. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით ადმინისტრაცია უფლებამოსილია, არ მისცეს შეხვედრის უფლება არასამუშაო დროს, ღამის საათებში, ასევე, თუ ეს აუცილებელია უსაფრთხოების მიზნებისათვის. ამ შემთხვევაში საკითხი სცილდება სისხლის სამართლის პროცესის სფეროს. თუ პირს უკანონოდ მიაჩნია ადმინისტრაციის უარი, იგი შეიძლება გაასაჩივროს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

3. საპყრობილის ადმინისტრაცია ვალდებულია, დაპატიმრების ვადის გასვლამდე 7 დღე-ღამით ადრე ამის შესახებ აცნობოს ამ პატიმრის მიმართ პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს. თუ ვადა არ გაგრძელდა, ვადის ამოწურვისთანავე ადმინისტრაცია ვალდებულია, პირი დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს.

4. ადმინისტრაციის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. ეს ნორმა არ აკონკრეტებს პასუხისმგებლობის სახესა და პროცედურას. საკითხი შეფასდება დარღვევის სახის, ხასიათის, სიმძიმის, ბრალეულობისა და სხვა თვალსაზრისით, შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 138. შეტყობინება საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ

1. გამომძიებელი და პროკურორი, მას შემდეგ, რაც გამოიყენებენ საპროცესო იძულების ღონისძიებას დაკავების სახით, აგრეთვე შეასრულებენ სასამართლო ბრძანებას პირის დაპატიმრების ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ, ვალდებულნი არიან არა უგვიანეს 5 საათისა, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ – არა უგვიანეს 3 საათისა, შეატყობინონ ეს მათი ოჯახის რომელიმე წევრს, ხოლო თუ ასეთები არ არსებობენ, – რომელიმე ნათესავს ან ახლობელს, დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში კი შეატყობინონ სამუშაო ან სწავლის ადგილას. შეტყობინების ასლი ან მისი დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი საქმეს თან ერთვის.

2. ასეთივე მოვალეობა ეკისრება სასამართლოს, თუ მან აღკვეთის ღონისძიებად აირჩია დაპატიმრება ან პირის მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის.

3. თუ დაკავებული, დაპატიმრებული ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებული პირი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ ვადებში ეს უნდა შეატყობინონ შესაბამის საელჩოს ან საკონსულოს.

4. დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებულ პირს უფლება აქვს პროცესის მწარმოებელი ორგანოს მეშვეობით შეატყობინოს თავისი მდგომარეობა კრედიტორებს, სხვა მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, რომელთა მიმართაც მას სამართლებრივი ვალდებულებები ეკისრება.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. პირის დაკავებიდან, წინასწარი გამოძიების ეტაპზე აღკვეთის ღინისძიების სახით დაპატირების გამოყენების შესახებ სასამართლო ბრძანების აღსრულებიდან, ასევე – სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებიდან არა უგვიანეს 5 სა-

ათში (არასრულწლოვნის მიმართ – არა უგვიანეს 3 საათში) გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებულია, შეატყობინოს მათი ოჯახის რომელიმე წევრს, ხოლო თუ ასეთები არ ჰყავთ, – რომელიმე ნათესავს ან ახლობელს. დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში უნდა შეატყობინონ ასევე სამუშაო ან სწავლის ადგილის ადმინისტრაციას.

2. შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, ტელეფონის მეშვეობით (რის შესახებაც შედგება ოქმი), ან სხვა საშუალებით.

3. ინფორმაცია შეტყობინების შესრულების შესახებ (შეტყობინების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი) უნდა დაერთოს საქმეს.

4. მხოლოდ აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა (შეტყობინების განუხორციელებლობა, ან ამ მუხლით დადგენილი შეტყობინების ვადის დარღვევა), ცალკე აღებული, არ ქმნის დაკავებულის (დაპატიმრებულის) განთავისუფლების აუცილებლობას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა, ან ვადის დარღვევა (განსაკუთრებით – დაკავებულის მიმართ) შეიძლება გამოიწვიოს პროცესის მწარმოებელი ორგანოსა და თანამდებობის პირისაგან დამოუკიდებელმა ობიექტურმა მიზეზებმა, კერძოდ: შეიძლება დაკავებულს არ ჰქონდეს ვინაობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, დაასახელოს არასწორი მონაცემები საკუთარი თავის შესახებ, ან – არარსებული ნათესავები, საერთოდ უარი განაცხადოს ვინაობის, ოჯახის წევრებისა და ნათესავების დასახელებაზე. ასეთ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი არ თავისუფლდებიან ვალდებულებისაგან, სხვა საშუალებებით დაადგინონ პირისა და მისი ნათესავების ვინაობა, თუმცა ეს შეიძლება შეუძლებელი გახდეს ამ მუხლით დადგენილ ვადებში. ამ ვადებში შეიძლება შეუძლებელი გახდეს თვით დაკავებულის არასრულწლოვანების ფაქტის დადგენაც.

5. ოჯახის რომელიმე წევრის, ხოლო თუ ასეთები არ არსებობენ, რომელიმე ნათესავის ან ახლობლისათვის შეტყობინების ვალდებულება აკისრია სასამართლოსაც, თუ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას მიიღება გადაწყვეტილება პირის დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების შესახებ.

6. სხვა სახელმწიფოს მოქალაქის მიმართ განხორციელებული დაკავების, დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების შესახებ იმავე ვადებში უნდა შეატყობონონ ამ პირის მოქალაქეობის სახელმწიფოს საელჩოს ან საკონსულოს საქართველოში.

7. კანონი არაფერს ამბობს იმ შემთხვევაზე, თუ ამ სახელმწიფოს საელჩო ან საკონსულო არ არსებობს საქართველოში. ასეთ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელმა ორგანომ უნდა აცნობოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ქვეყნის ინფორმირებას.

8. არ არის დაწესებული რაიმე ვადა და პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის რაიმე ვალდებულება, თავიანთი ინიციატივით გამოარკვიონ: არსებობენ თუ არა ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა მიმართაც დაკავებულ, დაპატიმრებულ, ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებულ პირს გააჩნია სამართლებრივი ვალდებულება. ამ პირს უფლება აქვს (ეს უფლება მას უნდა განემარტოს), სურვილის შემთხვევაში პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამ-

დებობის პირის მეშვეობით აცნობოს კრედიტორებს თავისი მდგომარეობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს უჩნდებათ შესაბამისი პირების ინფორმირების ვალდებულება პირის საპროცესო მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 139. დაკავებული, დაპატიმრებული ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირის კმაყოფაზე მყოფთა, მისი საცხოვრებელი ბინისა და ქონების მეურვეობის ღონისძიებანი

1. **თუ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ პირს ჰყავს არასრულწლოვანი შვილი, ხანდაზმული მშობელი, კმაყოფაზე მყოფი სხვა პირი, რომლებიც ზედამხედველობისა და დახმარების გარეშე რჩებიან, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ვალდებულნი არიან ისინი სამეურვეოდ გადასცენ ნათესავებს, სხვა პირებს ან დაწესებულებებს, ხოლო თუ პირს უზედამხედველოდ რჩება ქონება ან საცხოვრებელი ბინა, გაატარონ მისი დაცვის ღონისძიებანი.**
2. **გატარებულ ღონისძიებათა შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ პირს, რის შესახებაც გამომძიებელი ან პროკურორი ადგენს ცნობას, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს დაერთვის, ანდა კეთდება ჩანაწერი სასამართლო სხდომის ოქმში.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან, გაარკვიონ, ჰყავს თუ არა დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ პირს არასრულწლოვანი შვილი, ხანდაზმული მშობელი, კმაყოფაზე მყოფი სხვა პირი, რომლებიც ზედამხედველობისა და დახმარების გარეშე რჩებიან.

2. თუ არსებობენ სხვა პირები, რომლებსაც ისევე აკისრიათ სამართლებრივი ვალდებულება, ზედამხედველობა და დახმარება გაუწიონ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებულ პირთან ამ მუხლში ჩამოთვლილ ნათესაურ კავშირში მყოფ პირებს, მაშინ სამეურვეოდ გადაცემის საკითხი საერთოდ არ დგება. მაგ.: ერთ-ერთი მშობლის, ან შვილის დაკავების შემთხვევაში ზედამხედველობისა და დახმარების ვალდებულება ისედაც აკისრიათ მეორე მშობელსა და სხვა შვილებს. ამ მუხლის საფუძველზე ზედამხედველობისა და მეურვეობის დაწესების საკითხის დასმის აუცილებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობენ მეურვეობისა და მზრუნველობის კანონისმიერი ვალდებულების მქონე სხვა პირები, ან მათ, ობიექტურ მიზეზთა გამო (მაგ.: ხანგრძლივი მივლინება საზღვარგარეთ, მძიმე ავადმყოფობა და სხვა), არ შეუძლიათ ამ ვალდებულების განხორციელება. იგივე შეიძლება ითქვას ქონებასთან მიმართებითაც.

3. გატარებულ ღონისძიებათა შესახებ დაუყოვნებლივ აწვდიან ინფორმაციას დაკავებულს, დაპატიმრებულს, ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ პირს და ეს აისახება საქმეში (ანუ სისხლის სამართლის საქმეს დაერთვის გატარებულ ღონისძიებათა შესახებ ამ პირის ინფორმირების დამადასტურებელი დოკუმენტი).

მუხლი 140. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების სასამართლო წესი

1. პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის შუამდგომლობით მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით გასცემს ბრძანებას აღკვეთის ღონისძიების, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების, ქონებაზე ყადაღის დადების, ბრალდებულის ან სხვა პირის სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა საპროცესო სამართლებრივი იძულების გამოყენების, აღკვეთის ღონისძიებათა შეცვლის შესახებ, აგრეთვე დადგენილებას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან, შეცვლასთან ან ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით გაცემული ბრძანების გაუქმების შესახებ.
2. ჩხრეკის, ამოღების, სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის შესახებ სასამართლო ბრძანების გაცემის წესი განსაზღვრულია 290-293-ე მუხლებით.
3. პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის შუამდგომლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ერთ-ერთი საპროცესო მოქმედების ჩატარების თაობაზე მოსამართლის ბრძანების მიღების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს.
4. შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს ზუსტი მონაცემები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართაც გამოითხოვება ბრძანება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოსაყენებლად.
5. შუამდგომლობა მისი განხილვისათვის საჭირო მასალების ასლებთან ერთად წარედგინება მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. ოპერატიული მონაცემების წარდგენა დაუშვებელია.
6. მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად პროკურორის მონაწილეობით. განხილვას აგრეთვე ესწრება ის გამომძიებელი, რომელმაც პროკურორის თანხმობით შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს. სასამართლო სხდომაში მონაწილეობის უფლება აქვს ბრალდებულს, იმ პირს, რომლის მიმართაც სასამართლოში შეტანილია შუამდგომლობა სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების (თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა), თანამდებობიდან გადაყენების, ქონებაზე ყადაღის დადების, სისხლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების შესახებ, აგრეთვე მათ დამცველებსა და კანონიერ წარმომადგენლებს.

7. მოსამართლე შუამდგომლობას პირის დაპატიმრების, სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების ან მის მიმართ აღკვეთის სხვა ღონისძიების, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ განიხილავს შუამდგომლობისა და საქმის მასალების წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც დაკავებულთა მოთავსების ან პატიმრობის ადგილიდან ბრალდებულის სასამართლოში მიყვანა შეუძლებელია მისი ავადმყოფობის, სტიქიური უბედურების ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, მოსამართლეს შეუძლია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განსახილველად სასამართლო სხდომა ჩაატაროს დაკავებულთა მოთავსების ან პატიმრობის ადგილას.
8. მოსამართლეს უფლება აქვს გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობები) ასაბუთებს შუამდგომლობას, და შუამდგომლობის შემტან პირს წინადადება მისცეს წარმოადგინოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი. ამასთან, მოსამართლე არ განიხილავს პირის ბრალეულობის საკითხს და არკვევს მხოლოდ იმას, დაცული იყო თუ არა ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები მტკიცებულებათა მოპოვებისა და საპროცესო დამაგრების დროს.
9. მოსამართლე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს, რა შუამდგომლობა განიხილება, ასახელებს პროცესის მონაწილეებს, არკვევს, არის თუ არა აცილებები. იმ ორგანოს წარმომადგენელი, რომელმაც შუამდგომლობა შეიტანა, ასაბუთებს მას, რის შემდეგაც უპასუხებს მოსამართლისა და პროცესის სხვა მონაწილეთა შეკითხვებს. შუამდგომლობის აღმძვრელისა და მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.
10. თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობენ დაკავებული, დაპატიმრებული, სხვა პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე მათი დამცველები და წარმომადგენლები, პროკურორი, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მისცენ განმარტებანი და ჩამოაყალიბონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებანი.
11. სასამართლო სხდომაზე დგება ოქმი. შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გასცემს ბრძანებას სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების, მისი ვადის გაგრძელების ან შეცვლის შესახებ, ხოლო თუ საქმეში არ მოიპოვება პირის მიმართ ასეთი ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლები (არ არის საკმაო მტკიცებულებანი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის), მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების, მათ შორის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ. აღკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია სათანადო საფუძვლის მითითებით უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება და ბრალდებულს შეურჩიოს ნაკლებად

მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, ხოლო პროკურორის შუამდგომლობით – უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

12. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენება დაშვებულია აგრეთვე სასამართლოს განჩინებით (მოსამართლის დადგენილებით), თუ ამის საჭიროება წარმოიშვა, სამართალში მიცემის სტადიაზე ან სასამართლო განხილვის დროს. შერჩეული აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ შუამდგომლობს ბრალდების მხარე (გამომძიებელი პროკურორის თანხმობით ან პროკურორი).
13. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ ბრძანებაში უნდა აღინიშნოს: ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი; მოსამართლის გვარი; თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს; განკარგულება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ, ამასთან, ზუსტად უნდა იყოს მითითებული, რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება; ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბრძანების მოქმედების, აგრეთვე სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების ვადები; რომელი თანამდებობის პირი ან ორგანოა უფლებამოსილი, შეასრულოს ბრძანება; მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი. მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; მოსამართლის გვარი; თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს; განკარგულება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის შესახებ გაცემული ბრძანების გაუქმების შესახებ; რომელი თანამდებობის პირი ან ორგანოა უფლებამოსილი შეასრულოს დადგენილება; ამ კანონით გათვალისწინებული გასაჩივრების შემთხვევებში – გასაჩივრების წესი და ვადები; მოსამართლის ხელმოწერა და ბეჭედი.
14. ბრძანების ან დადგენილების შემსრულებელი ბრძანების მიღების შესახებ ადგენს ოქმს, რომელიც უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.
15. ბრძანების შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებათა გამოვლენის შემთხვევაში მოსამართლეს უფლება აქვს გააგრძელოს მისი მოქმედების ვადა 14 დღით, შუამდგომლობის განმეორებითი განხილვის გარეშე.
16. პირის დაპატიმრების, პატიმრობის ვადის გაგრძელების, აღკვეთის სხვა ღონისძიების გამოყენებისა და შეცვლის, სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების სასამართლო ბრძანებები, აგრეთვე მოსამართლის დადგენილება აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ დგება 6 ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმომდგენ ორგანოს (ერთი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს), მესამე იგზავნება დაპატიმრებულთა განთავსების ადგილას ან აღკვეთის სხვა სახის ღონისძიების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებთან, იმ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, მეოთხე გადაეცემა პროკუ-

რორს, მეხუთე გადაეცემა ბრალდებულს ან მის დამცველს, ხოლო მეექვსე ეგზემპლარი რჩება სასამართლოში.

17. ბრალდებულს, მის დამცველს, პროკურორს უფლება აქვთ ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის ან აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართონ სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შესახებ შუამდგომლობით აღნიშნული სასამართლოებისათვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს. სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარე მიმართავს სასამართლოს ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით, სასამართლო განხილვა ტარდება ზეპირი მოსმენით.
18. შუამდგომლობის შემტანს უფლება აქვს სასამართლოში მისი განხილვისას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე უკან გაითხოვოს თავისი შუამდგომლობა. იმავე საფუძვლით შუამდგომლობის განმეორებით შეტანა არ დაიშვება.
19. საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული, უცხო სახელმწიფოს მიერ ძებნილი, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების საკითხის გადასაწყვეტად პროკურორი დაკავების ადგილის მიხედვით რაიონულ სასამართლოს წარუდგენს უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური პირის (ორგანოს) მიერ გაცემულ ბრძანებას დაპატიმრების შესახებ, დადგენილებას ძებნის გამოცხადების თაობაზე და პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო დოკუმენტებს. მოსამართლე პროკურორის მონაწილეობით ერთპიროვნულად განიხილავს შუამდგომლობას მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს აქვს სასამართლო სხდომაში მონაწილეობის უფლება.
20. ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე სასამართლო აცხადებს მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ.19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხ.213; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხ.223; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2359 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.375; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. გამომძიებელი დამოუკიდებლად არ სარგებლობს სასამართლოსათვის სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების შესახებ შუამდგომლობით მიმართვის უფლებამოსილებით. ასეთი უფლებამოსილება მას გააჩნია მხოლოდ პროკურორის თანხმობით.

2. პროკურორის თანხმობა უნდა იყოს წინასწარი და წერილობითი. პროკურორის მიერ თანხმობის გამოხატვის რაიმე სპეციალურ ფორმას ნორმა არ ადგენს. ყველაზე მიღებული ფორმაა პროკურორის წერილობითი თანხმობა გამომძიებლის შუამდგომლობაზე.

3. პროკურორი უფლებამოსილია, თვითონვე შეადგინოს შუამდგომლობა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების შესახებ და მიმართოს სასამართლოს. ამ შემთხვევაში მას სხვა (ზემდგომი) პროკურორის თანხმობა არ სჭირდება.

4. თუ პროკურორი უშუალოდ თვითონ, როგორც გამომძიებელი, იძიებს საქმეს, მას საერთო წესით სჭირდება პროკურორის თანხმობა.

5. გამომძიებლის შუამდგომლობას შეიძლება, დაეთანხმოს როგორც უშუალო საპროცესო ხელმძღვანელი, ასევე – ნებისმიერი ზემდგომი პროკურორი. ყველა ამ პროკურორს გააჩნია სასამართლოსათვის უშუალოდ მიმართვის უფლებამოსილებაც.

6. შესაბამისი საფუძვლების მითითებით, გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით და პროკურორი უფლებამოსილი არიან, შუამდგომლობის სასამართლო განხილვის დამთავრებამდე (სათათბირო ოთახში გასვლამდე) შეცვალონ მოთხოვნა. მოთხოვნა შეიძლება შეიცვალოს როგორც შუამდგომლობის განხილვის დაწყებამდე, რა დროსაც საჭიროა ზემოთ აღნიშნული წესების დაცვა, ასევე – შუამდგომლობის სასამართლო განხილვისას და ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის შეცვლილი მოთხოვნის წერილობითი ჩამოყალიბება და პროკურორის წერილობითი თანხმობა. მოთხოვნის შეცვლა და პროკურორის თანხმობა აისახება სხდომის ოქმში.

7. შუამდგომლობის გადაწყვეტისას სასამართლო ვერ გასცდება პროკურორის მოთხოვნას დამძიმების თვალსაზრისით.

8. შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს მაგისტრატ მოსამართლესთან, წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შესაბამის (ანუ წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით) რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. მაგისტრატი მოსამართლის არყოფნაში იგულისხმება როგორც ის გარემოება, რომ მაგისტრატი მოსამართლე არ არის დანიშნული, ასევე – მისი ფიზიკური არყოფნა (მაგ.: ავადმყოფობა, მივლინება, შვებულება და სხვა). გამოძიების ადგილში იგულისხმება საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის განთავსების ადგილი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

9. წინასწარი გამოძიების ეტაპზე, სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებებთან დაკავშირებით, სასამართლოს გამოაქვს ბრძანება ან დადგენილება.

10. ბრძანება გაიცემა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების, მისი ვადის გაგრძელების ან შეცვლის ყველა შემთხვევაში, ანუ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების ნებისმიერი სახის გამოყენება, ვადის გაგრძელება ან ერთი სახის მეორეთი შეცვლა დაიშვება მხოლოდ ბრძანებით.

11. დადგენილება გამოიტანება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებაზე (ვადის გაგრძელებაზე) უარის თქმისა და ადრე გამოყენე-

ბული ღონისძიების გაუქმების შემთხვევებში, ანუ დადგენილება გამოიტანება მაშინ, როდესაც სასამართლო პირის მიმართ არ იყენებს არც ერთი სახის სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებას, ან აუქმებს პირის მიმართ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ ადრე გაცემულ ბრძანებას და პირის მიმართ აღარ იყენებს არც ერთი სახის სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებას, მაგალითად:

– თუ სასამართლო აკმაყოფილებს პროკურორის შუამდგომლობას ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების (გირაოს, პირადი თავდებობის და სხვა) გამოყენების შესახებ – გაიცემა ბრძანება;

– თუ სასამართლო არ აკმაყოფილებს (ნაწილობრივ აკმაყოფილებს) შუამდგომლობას ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ და იყენებს გირაოს – გაიცემა ბრძანება;

– თუ სასამართლო ნაწილობრივ აკმაყოფილებს დამცველის შუამდგომლობას ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების პირადი თავდებობით შეცვლის შესახებ და დაპატიმრებას ცვლის გირაოთი – გაიცემა ბრძანება;

– თუ სასამართლო არ აკმაყოფილებს შუამდგომლობას ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების (ან ნებისმიერი სხვა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების) გამოყენების შესახებ და ბრალდებულის მიმართ არ იყენებს აღკვეთის (სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების სხვა) ღონისძიების არც ერთ სახეს – გამოიტანება დადგენილება;

– თუ სასამართლო აუქმებს ადრე გაცემულ ბრძანებას ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების (ან ნებისმიერი სხვა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების) გამოყენების შესახებ და აღარ იყენებს აღკვეთის (სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების სხვა) ღონისძიების არც ერთ სახეს – გამოიტანება დადგენილება.

12. დადგენილება გამოიტანება იმ შემთხვევებშიც, როდესაც სასამართლო არ აკმაყოფილებს შუამდგომლობას ადრე გამოყენებული სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე და ძალაში ტოვებს ადრე გაცემულ ბრძანებას, ანუ შუამდგომლობის უარყოფის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს დადგენილება.

13. დადგენილება გამოიტანება ასევე მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების გამოყენების შესახებ ადრე გაცემული ბრძანების ე.წ. „დადასტურების“ შემთხვევაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის კომენტარები).

14. ზოგადი პრინციპია, რომ მხარეთა ნებისმიერი შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთება შეიძლება, გაიმიჯნოს ორ ნაწილად: მოთხოვნილი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) მხარის დასაბუთება და სამართლებრივი (საპროცესო) დასაბუთება კანონის შესაბამის ნორმებზე მითითებით. ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ შუამდგომლობის დასაბუთებულობაში, პირველ რიგში, იგულისხმება წერილობით შემოტანილი შუამდგომლობა, თუმცა მხარის მიერ ამ შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები ასევე ამ შუამდგომლობის, ანუ მისი დასაბუთებულობის შემადგენელი ნაწილია.

15. შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს პირის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი ყველა მონაცემი, ასევე უნდა მიეთითოს პირის ნასამართლობისა და იმ გარემოებათა შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის კომენტარები).

16. მხოლოდ პირის ვინაობის დაუდგენლობა, ანუ არაიდენტიფიცირება, არ ქმნის საკმარის საფუძველს მის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმისათვის. ამ შემთხვევაში გამოძიებამ და სასამართლომ უნდა იხელმძღვანელონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679[10] მუხლით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679[10] მუხლის კომენტარები).

17. სასამართლოში შუამდგომლობასთან ერთად სავალდებულოა არა მთლიანად სისხლის სამართლის საქმის, არამედ – შუამდგომლობის „განხილვისათვის საჭირო მასალების ასლების“ წარდგენა.

18. კანონი არ ადგენს რაიმე ჩამონათვალს, თუ რა იგულისხმება სიტყვებში – „შუამდგომლობის განხილვისათვის საჭირო მასალების ასლები“. შეიძლება, გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს სხვადასხვაგვარად ესმოდეთ ‘საჭირო მასალების ასლების“ მოცულობა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს უნდა წარედგინოს ყველა იმ მტკიცებულებისა და სხვა დოკუმენტის ასლები, რომლებიც აუცილებელია შუამდგომლობის სრულყოფილი განხილვისა და გადაწყვეტისათვის. თუ არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული, ობიექტური დამაბრკოლებელი გარემოება (მაგ. საქმე ექსპერტთანაა გადაგზავნილი, ან შუამდგომლობის განხილვის დროს მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები ამ საქმეზე და სხვა), შუამდგომლობის სასამართლო განხილვისას გამომძიებელს, პროკურორს, როგორც წესი, თან უნდა ჰქონდეთ სისხლის სამართლის საქმე, რათა საჭიროების შემთხვევაში სასამართლო გაეცნოს იმ მასალებსაც, რომელთა ასლებიც სასამართლოში წინასწარ არ ყოფილა წარდგენილი, მაგრამ სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს მათ გაცნობას შუამდგომლობის გადაწყვეტისათვის, მაგალითად: აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განხილვისას სასამართლოს, როგორც მინიმუმი, აუცილებლად უნდა წარედგინოს: დაკავების ოქმის ასლი (თუ პირი დაკავებულია, ან დაკავებული იყო), პირადი ჩხრეკის ოქმის ასლი, სხვა გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ოქმების ასლები, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების ასლი, ყველა იმ წერილობითი მტკიცებულების ასლი, რაც საფუძვლად უდევს წარდგენილ ბრალდებას (ანუ რაც მითითებულია ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში), შესაძლებლობის შემთხვევაში სასამართლოს უნდა წარედგინოს დოკუმენტები ბრალდებულის ნასამართლობისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებათა შესახებ. საკითხს, თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით კიდევ რა დოკუმენტების წარდგენაა აუცილებელი შუამდგომლობის განხილვისათვის, ანუ მოთხოვნის დასაბუთებისათვის, წყვეტენ გამომძიებელი და პროკურორი. თუმცა, შუამდგომლობის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია, შუამდგომლობის წარმომდგენს მისცეს წინადადება, წარმოადგინოს შუამდგომლობის დასაბუთებისათვის საჭირო სხვა მტკიცებულებები და დოკუმენტები.

19. გამომძიებელი და პროკურორი არ არიან უფლებამოსილი, წარუდგინონ სასამართლოს, ხოლო მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს ოპერატიული მონა-

ცემების წარდგენა. მხოლოდ ოპერატიული მონაცემი, თუ არ არის ეს მონაცემი (ინფორმაცია) საპროცესო წესით გადამოწმებული და მტკიცებულების სახით დამაგრებული, არ წარმოადგენს მტკიცებულებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შუამდგომლობის ან სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების საფუძვლად. ოპერატიულ მონაცემთა სასამართლოსათვის წარდგენის დაუშვებლობა განპირობებულია როგორც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სპეციალური წესებით, ასევე იმით, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე გავლენა არ მოახდინოს არამტკიცებულებითი ხასიათის დოკუმენტებმა.

20. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებებთან დაკავშირებულ შუამდგომლობას როგორც მაგისტრატი, ასევე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე იხილავენ ერთპიროვნულად.

21. განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ:

– პროკურორს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის კომენტარები),

– გამომძიებელს,

– პირს, რომლის მიმართაც განიხილება საპროცესო იძულების ღონისძიების საკითხი, მის დამცველებსა და კანონიერ წარმომადგენლებს (თუ ისინი მონაწილეობენ სისხლის სამართლის საქმეში).

22. სასამართლომ უნდა მიიღოს ყველა ზომა განხილვაში მონაწილეობის უფლების მქონე ყველა პირის ინფორმირებისათვის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ. კანონი არ ადგენს ამ შემთხვევისათვის რაიმე სპეციალურ, გამონაკლის წესს მხარეთა გაფრთხილების თაობაზე. შუამდგომლობის განხილვისათვის დაწესებული მცირე დროის, კონკრეტულ შემთხვევაში გამოსაძახებელ პირთა ადგილსამყოფლისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ყველაზე სწრაფი და ეფექტური ფორმა მხარის ინფორმირებისათვის. მაგ.: დეპეშა ჩაბარების შეტყობინებით, სასამართლო კურიერის მიერ უწყების ჩაბარება იმის გათვალისწინებით, რომ პირს ჰქონდეს საკმარისი დრო სასამართლოში გამოცხადებისათვის, ტელეფონის საშუალებით შეტყობინება, რის შესახებაც შედგება ოქმი (ცნობა) და დაერთვება სასამართლო წარმოების მასალებს. პროცესის სხვა მონაწილეთა გაფრთხილება და დაკავებული (დაპატიმრებული) პირის წარმოდგენისათვის ზომების მიღება, თუ ამას ობიექტური მიზეზების გამო თვითონ ვერ უზრუნველყოფს, სასამართლომ შეიძლება დაავალოს გამომძიებელს, პროკურორს.

23. შუამდგომლობა საპროცესო იძულების ღონისძიებასთან დაკავშირებით განხილულ უნდა იქნეს შუამდგომლობისა და მასალების სასამართლოში შეტანიდან არა უგვიანეს 24 საათში. ამ ვადაში უნდა დამთავრდეს შუამდგომლობის განხილვა გადაწყვეტილების გამოცხადების ჩათვლით.

24. თუ კანონში პირდაპირ მითითებული (ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება) ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება დაკავებული ან დაპატიმრებული პირის სასამართლოში წარდგენა, მოსამართლეს შეუძლია, სხდომა ჩაატაროს დაკავებულის ან დაპატიმრებულის განთავსების ადგილას. მოსამართლეს შეუძლია, შუამდგომლობა განიხილოს ამ პირის მონაწილეობის გარეშეც, თუმცა იმ პირობით, რომ აღნიშნულმა (მისი მონაწილეობის გარეშე სხდომის ჩატარებამ) ხელი არ უნდა შეუშალოს შუამდგომლობის ყოველმხრივ, ობიექტურ და სრულ განხილვას.

25. კანონი მოსამართლეს ანიჭებს უფლებას, გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობებიც) ასაბუთებს შუამდგომლობას. ეს არ არის აბსოლუტური უფლება, „კლასიკური დაკითხვა“ (როგორც საქმის არსებითი განხილვისას). პირის გამოძახება და დაკითხვა მოსამართლის და არა მხარის უფლებაა. ამ უფლების გამოყენებისას მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ საქმეზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება და ამიტომაც სასამართლო არ არის პროცესის მწარმოებელი ორგანო. მხარეს შეუძლია, იშუამდგომლოს ამა თუ იმ პირის დაკითხვის შესახებ, თუმცა საკითხი, რამდენად აუცილებელია ამ პირის დაკითხვა და უკავშირდება თუ არა იგი განსახილველ შუამდგომლობას, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ. ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ არა აქვს ბრალეულობის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის უფლებამოსილება. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ მუხლის მე-11 ნაწილით განსაზღვრული გარემოებები. როგორც წესი, სასამართლომ არ უნდა დაკითხოს პირები ქმედების ფაქტობრივ გარემოებათა (ბრალეულობის) თაობაზე. სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მოიპოვოს ახალი მტკიცებულებები ქმედების ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ, რადგანაც ეს პროცესის მწარმოებელი ორგანოს პრეროგატივაა. დაკითხვა, როგორც წესი, შეიძლება, შეეხებოდეს ბრალდებულის პიროვნებასთან დაკავშირებულ, ასევე – სხვა გარემოებებს, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილით, ანუ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საფუძვლიანობის ფორმალურ (საპროცესო) გარემოებებს.

26. სასამართლო სხდომაზე მხარეებს შეუძლიათ, სასამართლოს წარუდგინონ თავიანთი შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებები. ეს უფლება არ შეიძლება, განიმარტოს ისე, რომ სასამართლოსათვის დოკუმენტებისა და მტკიცებულებების წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ იმ მხარეს, რომლის წინასწარ წარდგენილი წერილობითი შუამდგომლობაც განიხილება. სასამართლო სხდომაზე მეორე მხარე განაცხადებს რა თავის აზრს განსახილველ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, ამით ფაქტობრივად აყალიბებს თავის შუამდგომლობას და მას უფლება აქვს, თავისი პოზიციის (მოთხოვნის, შუამდგომლობის) დასასაბუთებლად სასამართლოს წარუდგინოს დოკუმენტები და მტკიცებულებები.

27. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების (მათ შორის – აღკვეთის) ღონისძიებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე არ იხილავს პირის ბრალეულობის საკითხს და არკვევს მხოლოდ, იყო თუ არა დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები მტკიცებულებათა მოპოვებისა და საპროცესო დამაგრების დროს.

28. ბრალეულობის საკითხის განხილვის აკრძალვა იმპერატიულია, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს შემდეგს: მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება პირის ბრალეულობის – დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის – შესახებ. დაუშვებელია მოსამართლის გადაწყვეტილებაში შემდეგი აზრის განვითარება – „სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია ბრალდებულის მიერ ინკრიმინირებული ქმედების ჩადენა“, „ბრალდებულის მიერ ჩადენილია ბრალად შერაცხული ქმედება“ და სხვა ანალოგიური. მოსამართლე უფლებამოსილია მიუთითოს, რომ არსებობს (ან არ არსებობს) საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები (საკ-

მაო მტკიცებულებები) ბრალდებულის მიმართ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებისათვის.

29. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების საკითხის განხილვისას მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, მიიღოს ცალკე გადაწყვეტილება ამა თუ იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, პროცესის მწარმოებელი ორგანოს პრეროგატივაა, ხოლო წინასწარი გამოძიების ეტაპზე სასამართლო არ არის პროცესის მწარმოებელი ორგანო. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ მტკიცებულების მოპოვებისა და დამაგრებისას არსებითადაა დარღვეული კანონის მოთხოვნები, იგი უფლებამოსილია, ეს მტკიცებულება არ გაითვალისწინოს სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, თუმცა ეს მტკიცებულება რჩება საქმეში და მისი დასაშვებობის საკითხი გადაწყდება წინასწარი გამოძიების ეტაპზე ან საქმის არსებითად განხილვისას სასამართლოში.

30. მტკიცებულებებთან დაკავშირებით კანონის მოთხოვნათა დაცვის საკითხის განხილვისას სასამართლომ საკითხი უნდა გაყოს ორ ნაწილად, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს – უნდა შეფასდეს: დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები მტკიცებულებათა მოპოვებისას და დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები მტკიცებულებათა საპროცესო დამაგრებისას, მაგალითად: დაზარალებულის მიერ ქმედების ჩამდენი პირის ფიზიკური ამოცნობის ოქმი მტკიცებულებაა. საგამოძიებო მოქმედება არის ამოცნობა (ამოცნობის პროცედურა), ხოლო ამ საგამოძიებო მოქმედების საპროცესო დამაგრების საშუალება – ამოცნობის ოქმი და ამ შემთხვევაში მტკიცებულების სახეს იძენს არა ამოცნობის პროცედურა, არამედ – ამ პროცედურის ამსახველი (საპროცესოდ მისი დამმაგრებელი) დოკუმენტი – ამოცნობის ოქმი. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას ამ მტკიცებულების მოპოვებისა და დამაგრების კანონიერების საკითხი სასამართლომ უნდა განიხილოს შემდეგი თანმიმდევრობით:

– მოწმდება, დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები ამოცნობის ოქმის შედგენისას. თუ ეს მოთხოვნები დაცულია და მხარეებიც სადავოდ არ ხდიან ამოცნობის ოქმის შესაბამისობას ამოცნობის პროცედურის მიმდინარეობასთან, ანუ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებასთან, სასამართლო ვალდებულია მიიჩნიოს, რომ ამ მტკიცებულების მოპოვებისა და დამაგრებისას დაცულია კანონის მოთხოვნები.

– თუ ამოცნობის ოქმი შედგენილია კანონის მოთხოვნათა დაცვით, მაგრამ დაცვის მხარე ეჭვს გამოთქვამს ოქმის ამოცნობის პროცედურასთან შესაბამისობაზე, სასამართლო დგება შემდეგი პრობლემის წინაშე: ერთი მხრივ, დგინდება, რომ ფორმალურად დაცულია კანონის მოთხოვნები მტკიცებულების საპროცესო დამაგრებისას (ოქმის შედგენისას), მეორე მხრივ, არსებობს ეჭვი ამ მტკიცებულების მოპოვებისას კანონის შესაძლო დარღვევის (ანუ ამოცნობის ოქმში ასახული მონაცემებისა და ამოცნობის პროცედურის დროს რეალურად განვითარებული მოვლენების ურთიერთშესაბამისობის) შესახებ. სასამართლომ უნდა შეაფასოს, შუამდგომლობის განხილვისას რამდენად შეძლებს გამოთქმული ეჭვის დადგენილად მიჩნევას ან გამორიცხვას. ამის გარეშე, მხოლოდ მხარის მიერ გამოთქმული ეჭვის საფუძველზე, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დადგენილად მიიჩნიოს, რომ მტკიცებულების მოპოვებისას დაირღვა

კანონის მოთხოვნები. რასაკვირველია, ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, მაგრამ არა მისი (ეჭვის) წარმოშობისთანავე, არამედ – მას შემდეგ, რაც ამოიწურება ყველა შესაძლებლობა ამ ეჭვის დადგენილად მიჩნევის ან გამორიცხვისათვის. თუ სასამართლო შუამდგომლობის განხილვისას შეძლებს ამ საკითხის სრულყოფილ გამოკვლევას, მაშინ საკითხი, დაირღვა თუ არა კანონის მოთხოვნები მტკიცებულების მოპოვებისას, უნდა გადაწყდეს იმის შესაბამისად, რაც დადგინდება, ხოლო თუ გამოთქმული ეჭვის დადგენილად მიჩნევის ან უარყოფისათვის აუცილებელია დამატებითი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესრულება და ამას სასამართლო ვერ შეძლებს შუამდგომლობის განხილვისას, იგი არ არის უფლებამოსილი, ამ ეტაპზევე უკვე დადგენილად მიიჩნიოს, რომ დარღვეულია კანონის მოთხოვნები მტკიცებულების მოპოვებისას. ასეთი დასკვნის გაკეთება მაშინ შეიძლება, როდესაც გამოძიების პროცესში სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებით საკითხი სრულყოფილად გაირკვევა. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა სახის დარღვევაა დაშვებული – არსებითი, რომელიც უპირობოდ ეჭვქვეშ აყენებს მტკიცებულების დასაშვებობას, თუ ისეთი, რაც გავლენას არ ახდენს მტკიცებულების დასაშვებობაზე.

31. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების საკითხის განხილვისას სასამართლომ მტკიცებულების მოპოვებისას დარღვევად არ შეიძლება მიიჩნიოს მხოლოდ შეფასებითი ხასიათის გარემოებებზე დამყარებული მოსაზრებები, რომლებიც არ დასტურდება მტკიცებულებებით, მაგალითად: მხარის მოსაზრება ამოსაცნობად წარდგენილ პირთა (მათი სახის, თმის ფერის, და ა.შ.) მსგავსებისა თუ მკვეთრი განსხვავების, ამომცნობის მიერ მითითებულ ნიშანთა საკმარისობა თუ არასაკმარისობა პირის იდენტიფიკაციისათვის. ჯერ ერთი, ეს გარემოებები შეფასებითი ხასიათისაა და დამოკიდებულია თითოეული ინდივიდის აღქმისა და გადმოცემის უნარზე; მეორეც, ასეთი გარემოებების შეფასება შეუძლებელია მტკიცებულებათა უშუალობის პრინციპით გამოკვლევის გარეშე, რაც საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს უფლებამოსილებაა.

32. ანალოგიური თანმიმდევრობითა და პროცედურით უნდა შეაფასოს სასამართლომ ნებისმიერი მტკიცებულების მოპოვებისა და დამაგრებისას კანონის დაცვისა თუ დარღვევის საკითხები. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ გადაწყვეტილებაში დეტალურად აღწეროს ყველა მტკიცებულების მოპოვებისა და დამაგრებისას კანონის მოთხოვნათა დაცვისა თუ დარღვევის გარემოებები. მიუხედავად იმისა, მხარეები ითხოვენ თუ არა ამას, სასამართლო კანონისმიერადაა ვალდებული, განიხილოს საკითხი, დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას. თუ მხარეები სადავოდ არ ხდიან ამ საკითხს და სასამართლოც მიიჩნევს, რომ კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა, სწორედ ამას მიუთითებს გადაწყვეტილებაში – მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა (დარღვევის ფაქტი საქმის მასალებით არ დასტურდება). ასეთ შემთხვევაში სასამართლო არ არის ვალდებული, გადაწყვეტილებაში დეტალურად დაასაბუთოს, თუ რატომ მივიდა ამ დასკვნამდე, მთავარია, რომ ამ დასკვნის შესაძლებლობას ქმნიდეს (მის სისწორეს ადასტურებდეს) საქმის მასალები. თუ მოსამართლე თვითონ მივა იმ დასკვნამდე, რომ მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას დარღვე-

ულია კანონის მოთხოვნები (თუნდაც ამ საკითხს არც ერთი მხარე არ აყენებდეს), ამ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია, გადაწყვეტილებაში დაასაბუთოს ასეთი დასკვნის საფუძვლიანობა. ასევე, თუ მხარე სადავოდ ხდის მტკიცებულების მოპოვებისა და დამაგრების კანონიერებას, მოსამართლე ვალდებულია, დასაბუთებულად გასცეს პასუხი, დარღვეულია თუ არა კანონის მოთხოვნები ამ მტკიცებულების მოპოვებისა და დამაგრებისას.

33. თუ საკითხი შეეხება გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას, რომელსაც კანონიერად ცნობს სასამართლო და ამ მტკიცებულების კანონიერებას სასამართლოს მიერ სხვა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების საკითხის განხილვისას, როგორც წესი, ითვლება, რომ მტკიცებულების მოპოვებისა და დამაგრებისას დაცულია კანონის მოთხოვნები, რადგანაც იგი უკვე კანონიერად ცნო სასამართლომ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ ამ მოქმედების კანონიერად ცნობის შემდეგ გამოძიების პროცესში მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები, რომლებიც აშკარად ადასტურებენ მტკიცებულების მოპოვებისას კანონის დარღვევის ფაქტს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-293-ე მუხლების კომენტარები).

34. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას სასამართლო ვალდებულია, ასევე შეამოწმოს, ხომ არ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციითა და საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ვადები და შესაბამისი პროცედურები პირის დაკავებისას. ტერმინში „დაკავებისას“ იგულისხმება არა მხოლოდ უშუალოდ დაკავების (შეპყრობის) პროცესი, არამედ – დაკავების მთელი დრო ფაქტობრივი დაკავებიდან (შეპყრობიდან) აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტამდე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 141-ე, 142-ე, 150-ე მუხლების კომენტარები).

35. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების საკითხის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო სხდომის პროცედურა დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით და ამ დროს არ გამოიყენება არსებითი სასამართლო განხილვისათვის დადგენილი პროცედურები. სხდომის პროცედურა ასეთია:

– მოსამართლე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს განსახილველ საკითხს;

– მოსამართლე თავად (და არა სხდომის მდივანი) ასახელებს პროცესის მონაწილეებს;

– თუ მონაწილეობს თარჯიმანი, მოსამართლე ასახელებს მის ვინაობას, არკვევს თარჯიმნის აცილების საკითხს და აფრთხილებს თარჯიმანს კანონით დადგენილი წესით;

– მოსამართლე აცხადებს სასამართლო შემადგენლობას – მოსამართლესა და სხდომის მდივანს და არკვევს, არის თუ არა აცილებები;

– შუამდგომლობის შემომტანი პირი (ან შუამდგომლობის შემომტანი ორგანოს წარმომადგენელი) აყალიბებს შუამდგომლობის მოთხოვნას და ასაბუთებს მას;

– ამ პირს შეკითხვებს უსვამს ჯერ მოსამართლე, შემდეგ – პროცესის სხვა მონაწილენი:

– შემდეგ თავისი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად სიტყვა ეძლევა შუამდგომლობის შემომტანი მხარის სხვა წარმომადგენელს (მაგ.: თუ განიხილება პროკურორის შუამდ-

გომლობა, სიტყვა ეძლევა დაზარალებულს (თუ მონაწილეობს), ხოლო თუ განიხილება ბრალდებულის დამცველის შუამდგომლობა, სიტყვა ეძლევა ბრალდებულს და ა. შ.). ამ პირებსაც შეკითხვები შეიძლება დაუსვან იმავე რიგითობით – ჯერ მოსამართლემ, შემდეგ – პროცესის სხვა მონაწილეებმა;

– თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობენ დაკავებული, დაპატიმრებული, სხვა პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე – მათი დამცველები და წარმომადგენლები, პროკურორი, მათ ეძლევათ შესაძლებლობა, მისცენ განმარტებანი და ჩამოაყალიბონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებანი;

– ამით შუამდგომლობის სასამართლო განხილვა მთავრდება (კანონი არ ითვალისწინებს რეპლიკისა და საბოლოო სიტყვის უფლებას) და სასამართლო გადის სათათბირო (ან სპეციალურად მოწყობილ) ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად.

– საბოლოო, არსებითი გადაწყვეტილება სასამართლომ აუცილებლად სათათბირო ოთახში უნდა გამოიტანოს (არ შეიძლება ამ გადაწყვეტილების ადგილზე თათბირით მიღება). სასამართლო ვალდებულია, სათათბირო ოთახში დაწეროს დასაბუთებული (სრული) გადაწყვეტილება და არ არის უფლებამოსილი, დაწეროს და ხელი მოაწეროს მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. ამასთან, სასამართლო სათათბირო ოთახიდან გამოსვლის შემდეგ ვალდებულია, გამოაცხადოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი და არ არის უფლებამოსილი, მთლიანად გამოაცხადოს (წაიკითხოს) გადაწყვეტილება.

– სასამართლო უფლებამოსილია, შუამდგომლობის განხილვის პროცესში განცხადებული ყველა სხვა (მათ შორის – აცილებების) შუამდგომლობა გადაწყვიტოს ადგილზე თათბირით, თუმცა სასამართლო უფლებამოსილია, ნებისმიერი საკითხის გადასაწყვეტად გავიდეს სათათბირო ოთახში, თუ ეს აუცილებლად მიაჩნია. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია, სათათბირო ოთახში დაწეროს გადაწყვეტილება, ხოლო საკითხის ადგილზე თათბირით გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება შეიტანება სხდომის ოქმში.

36. შუამდგომლობის ავტორისა და მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებასთან დაკავშირებული შუამდგომლობების განხილვის მცირე დროის გათვალისწინებით, დაწესებულია ზოგადი პრინციპი, რომ მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას, არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას. ეს სასამართლოს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, რომ შუამდგომლობის განხილვის შესახებ აცნობოს განხილვაში მონაწილეობის უფლების მქონე ყველა პირს. რაიმე დოკუმენტის სახით ამ პირთა გაფრთხილების შესახებ ინფორმაცია უნდა ერთვოდეს სხდომის ოქმს, ან სასამართლო წარმოების მასალებს.

37. მხარეთა და თვით შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობაც არ აძლევს უფლებას სასამართლოს, უარი თქვას შუამდგომლობის არსებით განხილვასა და გადაწყვეტაზე, თუ შუამდგომლობა უკან არ გაუთხოვიათ. შუამდგომლობის განხილვის გადადებას არ იწვევს, მაგალითად, იძულებითი დაცვის გარემოებების არსებობის შემთხვევაში – ბრალდებულის დამცველის გამოუცხადებლობა, თუ დამცველი შუამდგომლობის განხილვის შესახებ დროულად იყო ინფორმირებული; შუამდგომლობის განხილვას არ აბრკოლებს თუნდაც საპატიო მიზეზით (მაგ.: ავადმყოფობის გამო) გამოუცხადებლობა.

ანუ შუამდგომლობა შეიძლება, განხილულ იქნეს მხოლოდ იმ პირთა მონაწილეობით, ვინც გამოცხადდება დანიშნულ დროს ან საერთოდ პირთა მონაწილეობის გარეშეც, თუ მონაწილეობის უფლების მქონე არც ერთი პირი არ გამოცხადდა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის კომენტარები).

38. ზემოაღნიშნული მხარეებს არ ართმევს უფლებას, იშუამდგომლონ, ხოლო მოსამართლეს – გადადოს შუამდგომლობის განხილვა. გასათვალისწინებელია, რომ შუამდგომლობის განხილვა უნდა დამთავრდეს 24 საათში. რაც უნდა საპატიო მიზეზი არსებობდეს ამა თუ იმ პირის გამოუცხადებლობისა და რაც უნდა აუცილებელი იყოს ამ პირის მონაწილეობა, სასამართლო მხოლოდ იმდენი ხნით არის უფლებამოსილი, გადადოს შუამდგომლობის განხილვა, რომ არ დაარღვიოს ზემოაღნიშნული ვადა. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პროცესი სრულყოფილად იყოს ორგანიზებული – დროულად მოხდეს მონაწილეობის უფლების მქონე ყველა პირის ინფორმირება და ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, შუამდგომლობის განხილვა არ უნდა გადაიდოს.

39. შუამდგომლობის განხილვის შესახებ დგება სხდომის ოქმი. ამ დროს სრული მოცულობით არ გამოიყენება არსებითი სასამართლო განხილვის დროს სხდომის ოქმის შედგენისათვის დადგენილი ზოგადი წესები. ამ შემთხვევაში სხდომის ოქმი ზუსტად უნდა ასახავდეს სხდომის მიმდინარეობას.

40. აღკვეთის (ზოგადად, სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების) ღონისძიების საკითხის განხილვისას მოსამართლე ვალდებულია შეამოწმოს, არსებობს თუ არა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლები (საკმაო მტკიცებულებანი აღკვეთის (ზოგადად, სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების) ღონისძიების გამოყენებისათვის), ანუ საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლის მსჯელობა უნდა წარიმართოს ორი კუთხით: მოსამართლემ უნდა ამტკიცოს როგორც ფორმალურ (საპროცესო), ასევე ფაქტობრივ (მტკიცებულებით) გარემოებათა არსებობა (ან არარსებობა) ამა თუ იმ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებისათვის (გამოყენებაზე უარის თქმისათვის).

41. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, განიხილოს ბრალეულობის საკითხი და ეს, პირველ რიგში, გულისხმობს იმას, რომ მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება ბრალეულობის საკითხზე. მაგრამ საერთოდ, ალბათობის გარკვეული ხარისხით, უნდა დარწმუნდეს თუ არა მოსამართლე პირის ბრალეულობაში? ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენცია ამას უწოდებს გონივრულ ეჭვს, საქართველოს კანონმდებლობა – ალბათობის მაღალ ხარისხს, დასაბუთებულ ვარაუდს. აუცილებელია, რომ მოსამართლე ამ ფარგლებში დარწმუნდეს პირის ბრალეულობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგალითად, დაპატიმრების შერჩევისას სასამართლო კონტროლი ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების – თავისუფლების უფლების – შეზღუდვაზე შეიძენს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და მოსამართლე მთლიანად იქნება დამოკიდებული მხოლოდ ბრალდების ფორმულირებაზე, რომელიც შეიძლება, არაფრით იყოს დასაბუთებული.

42. საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, აღკვეთის ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ბრალდებუ-

ლის მიმართ. ეს კი ნიშნავს, რომ პირი არა მარტო პროცესუალურად უნდა იყოს ბრალდებულის სტატუსის მქონე (ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების ფიზიკურად არსებობის გამო), არამედ უნდა არსებობდეს მისთვის ბრალდებულის საპროცესო სტატუსის დადგენის ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძველი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ალბათობის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა, ხოლო 282-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში აღინიშნება მტკიცებულებანი, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-11 ნაწილი აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლეს ავალდებულებს შეამოწმოს, არსებობს თუ არა ფაქტობრივი საფუძვლები, ანუ საკმაო მტკიცებულებანი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის. ამ ნორმათა ერთობლივი ანალიზით, აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლე ვალდებულია შეამოწმოს, მითითებულია თუ არა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში გამოძიების მიერ ბრალდების დამადასტურებლად მიჩნეული მტკიცებულებები (ანუ დაცულია თუ არა პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 282-ე მუხლის მოთხოვნები) და რეალურად არსებობს თუ არა საქმეში (წარმოდგენილ მასალებში) აღნიშნული მტკიცებულებები. თუ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში არ არის მითითებული მტკიცებულებები, მაგრამ ისინი საქმეში არსებობს და მხარეს შესაძლებლობა ჰქონდა, გასცნობოდა მათ, ეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 282-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევაა, მაგრამ მხოლოდ ეს გარემოება (დადგენილებაში მტკიცებულებათა ჩამონათვალის მიუთითებლობა) არ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველს.

43. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველთა შეფასებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ სისხლის სამართლის პროცესი, პირის ბრალეულობის მტკიცების საკითხთან მიმართებით, შედგება სხვადასხვა სტადიისაგან. ერთ-ერთი ასეთი სტადიაა ბრალდების წარდგენის, ხოლო შემდგომი – საბრალდებო დასკვნის შედგენის სტადია, ბოლოს – განაჩენის დადგენის სტადია. არ შეიძლება ყველა სტადიაზე ერთი და იმავე ხარისხით იყოს დადგენილი პირის ბრალეულობა. ბრალდების წარდგენის სტადიაზე ბრალის დასაბუთებულობა გაცილებით სავარაუდოა, ვიდრე – საბრალდებო დასკვნის შედგენისას, ხოლო განაჩენის დადგენისას მოქმედებს დასაბუთებულობის ყველაზე მაღალი სტანდარტი. თუ ყველა ამ სტადიაზე ბრალდების დასაბუთებულობის თვალსაზრისით ერთნაირი მოთხოვნა იქნება წაყენებული, მაშინ საერთოდ აღარ იქნებოდა საჭირო სხვა სტადიები, გარდა – ბრალდების წარდგენის სტადიისა. საპროცესო კანონმდებლობით ერთმანეთისაგან გამიჯნულია წინასწარი და სასამართლო გამოძიება, ამომწურავადაა დადგენილი იმ საკითხთა წრე, რომელზეც ვრცელდება სასამართლო კონტროლი წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამომძიებლისა და პროკურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მოქმედე-

ბებზე. ასევე დადგენილია სასამართლო კონტროლის განხორციელების ფარგლები და პროცედურა. აღკვეთის ღონისძიების საკითხთა განხილვისას მოსამართლე ამოწმებს მტკიცებულებათა შეკრების საპროცესო მხარეს (მოპოვებისა და დამაგრების კანონიერებას) და არ არის უფლებამოსილი, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოსათვის დადგენილი პროცედურით გამოიკვლიოს და შეაფასოს მტკიცებულებები შეფასებითი გარემოებების თვალთახედვით.

44. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით და ასევე დადგენილია ამ ღონისძიების გამოყენების წესი. სწორედ ეს იგულისხმება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების (მათ შორის – აღკვეთის) ღონისძიების გამოყენების საპროცესო (ფორმალურ) საფუძვლებში. მაგ.:

– აღკვეთის ღონისძიების შერჩევა შეიძლება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ. რაც უნდა მძიმე დანაშაულის ჩადენაში იყოს პირი ეჭვმიტანილი, რამდენჯერაც უნდა იყოს ნასამართლევი და რამდენი უტყუარი მტკიცებულებაც უნდა არსებობდეს მის მიერ დანაშაულის ჩადენის ეჭვის დასადასტურებლად, გამორიცხულია ეჭვმიტანილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. ამ შემთხვევაში არსებობს ფაქტობრივი საფუძვლები აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის, მაგრამ არ არსებობს ფორმალური (საპროცესო) საფუძველი – ბრალდებულის საპროცესო სტატუსი;

– თუ პირს ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში, რომელიც ისჯება მაქსიმუმ ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და მას არ დაურღვევია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, გამორიცხულია ამ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენება, რადგანაც არ არსებობს ფორმალური (საპროცესო) საფუძველი დაპატიმრების გამოყენებისათვის – ბრალდება დანაშაულში, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორი წლით ან მეტი ვადით, ან ამ ბრალდებულის მიერ სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების დარღვევა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის კომენტარები);

– არ შეიძლება, მაგალითად, 1 000 ლარის ოდენობით გირაოს შერჩევა, რადგანაც არ არსებობს ამის საპროცესო (ფორმალური) საფუძველი – გირაოს ოდენობა არ შეიძლება იყოს 2 000 ლარზე ნაკლები და ა. შ. ანუ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების ფორმალურ (საპროცესო) საფუძვლებში იგულისხმება კანონით ამ ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობის პირდაპირი მითითება, ამ ღონისძიების გამოყენებისათვის დადგენილი სპეციფიკური საფუძვლებისა და წინაპირობების არსებობა (იხილეთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის კომენტარები).

45. სასამართლო, პირველ რიგში, ამოწმებს ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველთა არსებობას. თუ სასამართლო დაადგენს, რომ არ არსებობს ფაქტობრივი საფუძვლები (საკმაო მტკიცებულებები) აღკვეთის (ზოგადად, სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების) ღონისძიების გამოყენებისათვის, ამ შემთხვევაში აღარ არის საჭირო ფორმალურ (საპროცესო) საფუძველთა არსებობა-არარსებობის საკითხის კვლევა, რადგანაც ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველთა არარსებობა თავისთავად გამორიცხავს სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას. ხოლო თუ ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლები

არსებობს, შემდეგ სასამართლო მსჯელობს, იქნეს თუ არა პირის მიმართ გამოყენებული სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება და კერძოდ – რომელი (ანუ არსებობს თუ არა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების ფორმალური (საპროცესო) საფუძვლები).

46. სათანადო საფუძვლების არსებობისას, მათზე დასაბუთებული მითითებით, მოსამართლე უფლებამოსილია, საერთოდ უარი თქვას სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების რაიმე სახის გამოყენებაზე, ასევე უარყოს შუამდგომლობაში მითითებული სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება და გამოიყენოს ნაკლებად მკაცრი სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება.

47. ამა თუ იმ კონკრეტული სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების ფორმალურ და ფაქტობრივ საფუძველთა შესახებ მსჯელობა ასევე მოცემულია შესაბამისი კონკრეტული მუხლის კომენტარში.

48. საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, გამოიყენოს სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებები. ეს საკითხები დეტალურად არის განხილული შესაბამისი მუხლების კომენტარებში. ზოგადი მსჯელობის სახით აქ უნდა აღინიშნოს, რომ ნორმაში რამდენიმე ტექნიკური ხარვეზია – სამართალში მიცემის სტადია აღარ არსებობს, ასევე გამომძიებელი (მით უმეტეს, საქმის არსებითად განხილვისას) არ არის ბრალდების მხარის წარმომადგენელი და არ სარგებლობს აღკვეთის ღონისძიების დამძიმების მოთხოვნის უფლებით.

49. ბრძანებაში, დადგენილებაში, როგორც მინიმუმი, მითითებული უნდა იყოს:

– გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;

– სასამართლო, მოსამართლის გვარი, სახელი;

– განკარგულება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების (ან გამოყენებაზე უარის თქმის) შესახებ. ზუსტად უნდა მიეთითოს სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების არსი და ის, თუ ვისზე ვრცელდება (ანუ უნდა მიეთითოს პირის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი საკმაო მონაცემები);

– ბრძანების მოქმედების ვადა (თუ ბრძანება რაიმე ვადით გაიცემა);

– გამოყენებული სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების მოქმედების ვადა;

– გადაწყვეტილების შემსრულებელი თანამდებობის პირი (პირები) ან ორგანო (ორგანოები);

– გასაჩივრების წესი და ვადა (იგულისხმება იმის მითითებაც, თუ არ საჩივრდება);

– მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

50. გარდა ზემოაღნიშნულისა, გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

– მონაწილეთა მითითებას;

– ბრალდების ფორმულირებას (მითითებას სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით (ნაწილით, ქვეპუნქტით) გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში ედება ბრალი), ბრალდების მოკლე აღწერას (თუ იხილება არა აღკვეთის ღონისძიების, არამედ – სხვა საპროცესო იძულების ღონისძიების საკითხი, ასევე მოკლედ უნდა აღიწეროს განსახილველი საკითხის არსი);

– მხარეთა მოთხოვნა და მათი დასაბუთების მოკლე აღწერა;

– სასამართლოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა (მთლიანად, ან ნაწილობრივ) თუ უარყოფის შესახებ, შესაბამისი საფუძვლების დასაბუთების) მითითებით (ანუ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი).

51. სასამართლოს გადაწყვეტილება დგება მინიმუმ ექვს ეგზემპლარად და იგი გადაეცემა:

– ერთი ეგზემპლარი ბრალდებულს ან დამცველს (კანონი საკმარისად თვლის ბრალდებულისათვის, ან მისი დამცველისათვის ერთი ეგზემპლარის გადაცემას და არ აწესებს ორივესათვის ცალ-ცალკე გადაცემის ვალდებულებას, მაგრამ არ კრძალავს ორივესათვის გადაცემასაც);

– ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროკურორს;

– ერთი ეგზემპლარი ეგზავნება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების აღმასრულებელ ორგანოს (დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაციას, საექსპერტო დაწესებულებას და ა. შ.);

– ორი ეგზემპლარი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ ორგანოს, თანამდებობის პირს (ერთი უნდა დაერთოს საქმეს);

– ერთი ეგზემპლარი რჩება სასამართლოში;

52. გადაწყვეტილების გადაცემაში იგულისხმება როგორც გადაწყვეტილების უშუალოდ გადაცემა, მაგალითად, მოსამართლის თანაშემწის მიერ, ასევე – ამ გადაწყვეტილების გაგზავნა უფლებამოსილი პირებისათვის (ორგანოებისთვის) კანონით გათვალისწინებული რომელიმე წესით.

53. გადაწყვეტილების უშუალოდ გადაცემის შესახებ ყველა პირს ჩამოერთმევა ხელწერილი გადაცემის დროის მითითებით და ერთვის სასამართლო წარმოების მასალებს. თუ მხარეს გადაწყვეტილება უშუალოდ არ ჩაჰბარებია, სასამართლო წარმოების მასალებს ერთვის აგრეთვე იმ გზავნილის (მიმართვის და ა.შ.) ასლი, რომლითაც მას გაეგზავნა გადაწყვეტილების ასლი.

54. ბრძანების (დადგენილების) შემსრულებელი პირი ვალდებულია, ბრძანების მიღების შესახებ შეადგინოს ოქმი, რომელიც უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

55. თუ მოსამართლის ბრძანება მასში მითითებულ ვადაში ვერ შესრულდა დამაბრკოლებელ გარემოებათა გამო, მოსამართლეს უფლება აქვს, მისი მოქმედების ვადა გააგრძელოს 14 დღით შუამდგომლობის განმეორებითი განხილვის გარეშე. ეს სპეციფიკური ნორმაა და არ ვრცელდება (არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს) სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა ბრძანებაზე. ამ საკითხის განხილვისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცნებები – საპროცესო იძულების ღონისძიების მოქმედების ვადა და ბრძანების მოქმედების ვადა, კერძოდ:

– ზოგიერთი სახის სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების მოქმედების ვადას (ამ ღონისძიების გამოყენების დასაშვებ ხანგრძლივობას) პირდაპირ განსაზღვრავს კანონი, ასევე პირდაპირ ადგენს ვადის გაგრძელების შესაძლებლობასა თუ დაუშვებლობას და ამ საკითხთა განხილვის პროცედურას. მაგ.: პატიმრობის თავდაპირველი ვადაა ზუსტად ორი თვე (არა – ორ თვემდე), ანუ დაპატიმრების შესახებ ბრძანება უნდა გაიცეს ორი თვით. ამ ვადის ათვლა იწყება პირის დაკავების მომენტი-

დან. თუ აუცილებელი გახდა ამ ორთვიანი ვადის გაგრძელება, იგი უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-163-ე მუხლებით დადგენილი წესით. მაგრამ, მაგალითად, ამოღების შესახებ ბრძანებაში მიეთითება ვადა – ამოღება განხორციელდეს, მაგალითად, 20 დღის განმავლობაში, ან, არა უგვიანეს ამა და ამ რიცხვისა. ამოღების, როგორც სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების (ანუ ამოღების პროცედურის დაწყებისა და დამთავრების), ხანგრძლივობას კანონი არ ადგენს. ასეთ შემთხვევაში, თუ ამოღება სასამართლოს მიერ ბრძანებაში მითითებულ ვადაში ობიექტური მიზეზების გამო ვერ განხორციელდა, სასამართლო უფლებამოსილია, გააგრძელოს ბრძანების მოქმედების, ანუ ამოღების განხორციელების, ვადა 14 დღით, შუამდგომლობის განმეორებითი განხილვის გარეშე.

– ასეთ შემთხვევაში აუცილებელია იმ პირის ან ორგანოს შუამდგომლობა ბრძანების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, ვისი შუამდგომლობის საფუძველზეც გაიცა ის ბრძანება, რომლის მოქმედების ვადის გაგრძელებასაც ითხოვენ. შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს დადგენილ ვადაში ბრძანების შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებათა შესახებ (საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც). ამ საკითხს მოსამართლე განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, ანუ მოსამართლე არ ატარებს სხდომას, არ იწვევს შუამდგომლობის ავტორს და სხვა პირებს, აღარ არის ვალდებული და უფლებამოსილი, განიხილოს ადრე გაცემული ბრძანების კანონიერება და მხოლოდ ის უნდა შეამოწმოს, გამოწვეულია თუ არა ბრძანების შეუსრულებლობა ობიექტური დამაბრკოლებელი გარემოებებით და ხომ არ არსებობს ამ ბრძანების შესრულების გამომრიცხავი რაიმე გარემოება. ბრძანების მოქმედების ვადის გაგრძელების, ასევე ვადის გაგრძელებაზე უარის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დადგენილება. ეს დადგენილება არის იმ ბრძანების განუყოფელი ნაწილი, რომლის მოქმედების ვადის გაგრძელების საკითხსაც ეხება, რის გამოც ამ დადგენილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით მოქმედებს იმ ბრძანებისათვის დადგენილი ზოგადი წესი, რომლის მოქმედების ვადის გაგრძელების საკითხსაც იგი შეეხება.

56. კანონი მხოლოდ ბრალდებულს, მის დამცველსა და პროკურორს ანიჭებს უფლებას, შუამდგომლობით მიმართონ სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით ბრალდებულის მიმართ ადრე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

57. ასეთი სახის შუამდგომლობის სასამართლოში შეტანა და სასამართლოს მიერ მისი განხილვა დასაშვებია მხოლოდ წინასწარი გამოძიების ეტაპზე შემაჯამებელი გადაწყვეტილებით (საბრალდებო დასკვნა, საპროცესო შეთანხმება, დადგენილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ) საქმის სასამართლოში გაგზავნამდე.

58. თუ შუამდგომლობა შეაქვს პროკურორს, იგი ვალდებულია, შუამდგომლობას დაურთოს მისი განხილვისათვის საჭირო მასალების ასლები. ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობის განხილვის 24-საათიანი ვადა იწყება შუამდგომლობისა და საჭირო მასალების ასლების სასამართლოში შეტანიდან.

59. თუ შუამდგომლობა შეაქვს ბრალდებულს ან დამცველს, იმ ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერი შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს, შუამდგომ-

ლობას უნდა ერთვოდეს მოთხოვნის დამასაბუთებელი დოკუმენტები. თუმცა, მხოლოდ ის გარემოება, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობას არ ერთვის მოთხოვნის დამასაბუთებელი დოკუმენტები, არ იძლევა შუამდგომლობის განხილვაზე უარის თქმის უფლებას, ანუ სასამართლოს უფლება არა აქვს, ამ საფუძვლით არსებითად არ განიხილოს შუამდგომლობა, ან მისცეს მხარეს ვადა შესაბამისი დოკუმენტების წარმოსადგენად და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს შუამდგომლობა. თუ შუამდგომლობას არ ერთვის, ან, სასამართლოს აზრით, მისი განხილვისათვის საჭირო მასალები (ასლები) არასაკმარისია, სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა შესაბამისი საგამოძიებო უწყებისგან რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს საჭირო მასალები (ასლები) და შუამდგომლობის განხილვის 24-საათიანი ვადა დაიწყება ამ მასალების სასამართლოში წარდგენიდან. სასამართლომ ამ შუამდგომლობის განხილვისას უნდა იხელმძღვანელოს აგრეთვე იმ მასალების ასლებით, რომლებიც წარდგენილი იყო სასამართლოში ამ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას (რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ არ შეცვლილა გამოძიების ადგილი და შუამდგომლობა შეტანილია იმავე სასამართლოში, რომელმაც ადრე გასცა ბრძანება პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ).

60. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-17 ნაწილი პირდაპირ არ უთითებს, თუ რა გარემოებები შეიძლება გახდეს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველი, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო ადრე შერჩეული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის (ან გაუქმების) შესახებ შუამდგომლობის განხილვისას არ არის უფლებამოსილი, ეჭვქვეშ დააყენოს ადრე გაცემული ბრძანების კანონიერება იმავე გარემოებებზე მითითებით, რაც საფუძვლად დაედო ბრძანების გაცემას ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ერთი და იმავე სახის შუამდგომლობა, ერთი და იმავე საფუძვლით, რაც ადრე იყო გადაწყვეტილი, განმეორებით არ განიხილება. სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. ამ ნორმათა ერთობლიობით ბრალდებულის მიმართ ადრე შერჩეული აღკვეთის ღონისძიების შეცვლას (ან გაუქმებას) საფუძვლად შეიძლება, დაედოს მხოლოდ ისეთი გარემოებები, რაც ადრე არ იყო ცნობილი სასამართლოსათვის. ახალ (როგორც ფაქტობრივ (მტკიცებულებით), ასევე ფორმალურ (საპროცესო)) გარემოებათა შეფასებისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის პრინციპებით.

61. სასამართლო უფლებამოსილია, შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის ან გაუქმების შესახებ განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო სხდომაზე მხარეები არ იქნებიან მოწვეული, შუამდგომლობის განხილვა არ ჩატარდება მხარეთა მონაწილეობით, სასამართლო ერთპიროვნულად გადაწყვეტს შუამდგომლობას და ასლებს გადასცემს (ან გაუგზავნის) უფლებამოსილ პირებს. ისევე როგორც ზეპირი მოსმენისას, ზეპირი მოსმენის გარეშეც შუამდგომლობა განხილული და გადაწყვეტილ უნდა იქნეს 24 საათში. სასამართლო ვალდებულია, შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით გადაწყვეტის დღესვე აცნობოს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირებს ზეპირი მოსმენის გარეშე

შუამდგომლობის განხილვისა და გადაწყვეტის (შედეგის) შესახებ და უშუალოდ ჩააბაროს გადაწყვეტილების ასლები, თუ ისინი გამოცხადდებიან სასამართლოში, ან გაუგზავნოს მათ ასლები კანონით დადგნილი რაიმე ფორმით. გადაწყვეტილების უშუალოდ გადაცემის შესახებ ყველა პირს ერთმევა ხელწერილი გადაცემის დროის მითითებით და ერთვის სასამართლო წარმოების მასალებს. თუ მხარეს გადაწყვეტილება უშუალოდ არ ჩაჰბარებია, სასამართლო წარმოების მასალებს ერთვის აგრეთვე იმ გზავნილის (მიმართვის და ა. შ.) ასლი, რომლითაც მას გაეგზავნა გადაწყვეტილების ასლი.

62. საკითხს, თუ რა წესით უნდა იქნეს განხილული შუამდგომლობა – ზეპირი მოსმენით, თუ ზეპირი მოსმენის გარეშე – წყვეტს მხოლოდ მოსამართლე და იგი ამის გადაწყვეტისას არ არის შეზღუდული მხარეთა მოთხოვნით, რომ შუამდგომლობა განხილულ იქნეს ზეპირი მოსმენით. ამ საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლე აფასებს, არის თუ არა აუცილებელი ზეპირი მოსმენის ჩატარება და კიდევ ერთხელ სასამართლო სხდომაზე მხარეთა იმ პოზიციების მოსმენა, რაც უკვე დაფიქსირებულია მასალებსა და შუამდგომლობაში, რათა მითითებული გარემოებები, სამართლებრივი თვალსაზრისით, სრულყოფილად შეფასდეს. ასევე, ამ დროს ხდება იმ საკითხის შეფასებაც, თუ რამდენად არის უფლებამოსილი აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განმხილველი მოსამართლე, განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებითაც დასაბუთებულია მხარის შუამდგომლობა. ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვამ ხელი არ უნდა შეუშალოს შუამდგომლობის სრულყოფილ გადაწყვეტას. შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა მოსამართლეს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, განიხილოს და უპასუხოს ყველა იმ საკითხს, რისი განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულებაც იარსებებდა ზეპირი მოსმენის შემთხვევაში.

63. მხოლოდ უშუალოდ პროკურორია (და არა – გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით) უფლებამოსილი, შეიტანოს შუამდგომლობა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა დაუშვებელია და შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს ზეპირი მოსმენით ყველა იმ წესების დაცვით, რაც ამ მუხლში შუამდგომლობის განხილვასთან დაკავშირებით იქნა მითითებული. პროკურორი ვალდებულია, შუამდგომლობას დაურთოს მისი განხილვისათვის საჭირო მასალების ასლები. შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს შუამდგომლობისა და მასალების ასლების სასამართლოში შეტანიდან 24 საათში.

64. შუამდგომლობის შემტანს უფლება აქვს, უკან გაითხოვოს შუამდგომლობა. იმავე საფუძვლით შუამდგომლობის განმეორებით შეტანა არ შეიძლება.

65. შუამდგომლობის უკან გათხოვნა დასაშვებია ნებისმიერ სტადიაზე, მისი შეტანიდან მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე.

66. შუამდგომლობის უკან გათხოვნის პროცედურა შემდეგნაირია:

– თუ შუამდგომლობა შეტანილი აქვს პროკურორს, მისი უკან გათხოვნის უფლება აქვს პროკურორს;

– თუ შუამდგომლობა შეტანილი აქვს გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით, მისი უკან გათხოვნის უფლება აქვს პროკურორს, ან გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით;

– თუ შუამდგომლობა შეტანილი აქვს ბრალდებულს, მისი უკან გათხოვნის უფლება აქვს ბრალდებულს, აგრეთვე – მის დამცველს, ბრალდებულის თანხმობით;

– თუ შუამდგომლობა შეტანილი აქვს ბრალდებულის დამცველს, მისი უკან გათხოვნის უფლება აქვს ბრალდებულს, აგრეთვე – მის დამცველს, ბრალდებულის თანხმობით;

67. კანონი არ აწესებს რაიმე პირობებს შუამდგომლობის უკან გათხოვნისათვის. ეს მხარის უპირობო უფლებაა და არ საჭიროებს დასაბუთებას. შუამდგომლობის უკან გათხოვნა გამორიცხავს მისი განხილვის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, თუნდაც სასამართლო დარწმუნებული იყოს, რომ, მაგალითად, პირი იმყოფება უკანონო პატიმრობაში. შუამდგომლობის უკან გათხოვნა შუამდგომლობის განხილვის დაწყებამდე წერილობით უნდა იყოს წარდგენილი, ანუ სასამართლოში მოთხოვნა წერილობით უნდა შევიდეს. მას შეიძლება ერქვას შუამდგომლობა, ან განცხადება შუამდგომლობის უკან გათხოვნის (განუხილველად დატოვების) შესახებ. პოზიცია შეიძლება, დაფიქსირდეს წერილობითი მიმართვის სახითაც. გამომძიებლის მოთხოვნას შუამდგომლობის უკან გათხოვნის შესახებ სჭირდება პროკურორის თანხმობა. დამცველის მოთხოვნას შუამდგომლობის უკან გათხოვნის შესახებ ესაჭიროება ბრალდებულის თანხმობა. ბრალდებული შეიძლება ეთანხმებოდეს როგორც წერილობით მოთხოვნაზე უშუალო ხელის მოწერით, ასევე შეიძლება, დამცველმა თვითონ მიუთითოს, რომ შუამდგომლობის უკან გათხოვნა შეთანხმებულია ბრალდებულთან.

68. შუამდგომლობის უკან გათხოვნა შესაძლებელია შუამდგომლობის არსებითი განხილვის დროსაც, მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე. ასეთ შემთხვევაში უკან გათხოვნის წერილობითი ფორმა არ არის სავალდებულო და მხარეთა პოზიციები ფიქსირდება სხდომის ოქმში. აქაც გამომძიებლის მიერ შუამდგომლობის უკან გათხოვნისას პროკურორის, ხოლო დამცველის მიერ შუამდგომლობის უკან გათხოვნისას – ბრალდებულის თანხმობა აუცილებელია.

69. შუამდგომლობის უკან გათხოვნის შემთხვევაში მოსამართლეს არანაირი გადაწყვეტილება არ გამოაქვს.

70. შუამდგომლობის უკან გათხოვნა გამორიცხავს მისი განმეორებით შეტანის შესაძლებლობას იმავე საფუძვლებით. ანუ, დასაშვებია თუნდაც იმავე სახის, იმავე მოთხოვნით შუამდგომლობის შეტანა, მაგრამ საფუძვლები უნდა იყოს განსხვავებული. საფუძვლებში იგულისხმება როგორც ფაქტობრივი (მტკიცებულებითი), ისე ფორმალური (საპროცესო) გარემოებები. იმავე შუამდგომლობის (ანუ იმავე მოთხოვნით) განმეორებით, მხოლოდ იმავე საფუძვლებით შეტანა დაუშვებელია, თუმცა იმავე საფუძვლებზე მითითება არ არის აკრძალული ახალ (თუნდაც ერთ) საფუძვლებთან ერთად და ასეთ შემთხვევაში ახალი შუამდგომლობის არსებითი განხილვა და გადაწყვეტა სავალდებულოა.

71. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ, უცხო სახელმწიფოს მიერ ძებნილი პირის თავისუფლების შეზღუდვაზე (მის მიმართ დაპატიმრების გამოყენებაზე) ვრცელდება საქართველოს სასამართლო ხელისუფლების კონტროლი.

72. საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული, უცხო სახელმწიფოს მიერ ძებნილი, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დაპატიმრების შერჩევის შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს პროკურორს. შუამ-

დგომლობა უნდა წარედგინოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, ამ პირის დაკავების ადგილის მიხედვით. სასამართლოს უნდა წარედგინოს მძებნელი (ექსტრადიციის მომთხოვნი) სახელმწიფოს კომპეტენტური პირის (ორგანოს) გადაწყვეტილება დაპატიმრების შესახებ, დადგენილება ძებნის გამოცხადების შესახებ და პირის იდენტიფიკაციისათვის საკმარისი დოკუმენტები. შუამდგომლობა განიხილება მისი სასამართლოში შეტანიდან არა უგვიანეს 24 საათში და განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვს ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის კომენტარები).

73. ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე სასამართლო აცხადებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. აღნიშნული, რასაკვირველია, არ ეხება საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევას, რა დროსაც გადაწყვეტილება არ ცხადდება.

თავი XIX
დაკავება

მუხლი 141. დაკავების გამოყენების პირობა და მიზანი

1. **დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, რომელიც გამოიყენება, თუ არსებობს საკმაო საფუძველი ეჭვი მიიტანონ პირზე იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, მისი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის, გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან ასაცილებლად.**
2. **პირი დაკავებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და საფუძველზე დაკავებისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხდება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული თავისუფლების შეზღუდვა პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის მიზნით.**

(საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №398 – სსმ I, 2004 წ., №25, მუხ.125)

1. დაკავება თავისი არსით წარმოადგენს კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლების ხელშეუვალობის შეზღუდვას. დაკავების დროის ათვლა იწყება თავისუფლების ხელშეუვალობის უფლების რეალურად შეზღუდვის (ანუ ფაქტობრივი დაკავების – შეპყრობის) მომენტიდან.

2. იმისათვის, რათა დაკავება ჩაითვალოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დაკავებად, მისი მიზანი უნდა იყოს დაკავებული პირის წარდგენა პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში (აქ იგულისხმება, რომ შესაბამისი საფუძვლების არსებობისას დაკავება შესაძლებელია ამ ორგანოთა ადმინისტრაციულ შენობებშიც).

3. დაკავება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმაო საფუძველი, ეჭვი მიიტანონ პირზე იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, ანუ, თუ დანაშაულისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა საერთოდ არ არის გათვალისწინებული, არ შეიძლება პირის დაკავება, თუნდაც არსებობდეს დაკავების სხვა საფუძვლები.

4. დაკავება გამოიყენება იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეჭვმიტანილის მიერ:

– დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელება,
– გაქცევა,
– დამალვა,
– მტკიცებულებათა განადგურება.

მუხლი 142. დაკავების საფუძველი

1. **დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება შეიძლება, თუ არსებობს შემდეგი საფუძვლები:**
ა) **პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;**
ბ) **თვითმხილველები, მათ შორის, დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე;**
გ) **პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;**
დ) **პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიცნო დაზარალებულმა;**
ე) **პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძებნის წარმოების შესახებ.**
2. **(ძალადაკარგულია).**
3. **დაკავებისაგან განთავისუფლებული პირის ხელმეორედ დაკავება იმავე ეჭვით არ შეიძლება.**

(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/3/182,185,191 – სსმ IV, 2003 წ., №7, გვ.7)

1. არ შეიძლება ეჭვმიტანილის დაკავება, თუ არ არსებობს ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. თუნდაც ერთი საფუძვლის არსებობა საკმარისია, რათა განხორციელდეს დაკავება.

2. დაკავების ერთ-ერთი საფუძველია – წასწრება დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე. წასწრება დანაშაულის ჩადენისას გულისხმობს, რომ პირს წაასწრებენ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების პროცესში, ქმედების დასრულებამდე. წასწრება დანაშაულის ჩადენისთანავე გულისხმობს როგორც უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების დასრულებისთანავე წასწრებას, ასევე იგი შეიძლება მოიცავდეს დროის გარკვეულ (მცირე) მონაკვეთსაც დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

3. თვითმხილველთა (მათ შორის – დაზარალებულის) უშუალო მითითება პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე, წარმოადგენს დაკავების საფუძველს. თვითმხილველთა (მათ შორის – დაზარალებულის) უშუალო მითითება შეიძლება იყოს რამდენიმეგვარი:

– როდესაც თვითმხილველი (დაზარალებული) არ იცნობს დანაშაულის ჩამდენ პირს (არ იცის მისი ვინაობა), მაგრამ უშუალოდ, ფიზიკურად მიუთითებს მასზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე. ეს ფაქტობრივად არის თვითმხილველის მიერ დანაშაულის ჩამდენი პირის „ამოცნობა“.

– როდესაც თვითმხილველი (დაზარალებული) იცნობს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს (იცის მისი ვინაობა) და მიუთითებს მასზე. თუ ეს დანაშაულის ჩადენისთანავე ხდება, მაშინ ეს არის როგორც ფიზიკურად მითითება პირზე, ასევე – მის ვინაობაზეც. თუმცა ასეთ შემთხვევაში თვითმხილველმა (დაზარალებულმა) პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე, მისი ვინაობის დაფიქსირებით შეიძლება მიუთითოს სამართალდამცავ ორგანოში შეტანილ განცხადებაშიც, დაკითხვის ოქმშიც და ა.შ.

4. პირზე, მასთან, ან მის ტანსაცმელზე დანაშაულის ჩადენის აშკარა კვალის აღმოჩენა წარმოადგენს დაკავების საფუძველს. ეს არის ფაქტობრივად ნივთიერი მტკიცებულების (მაგ.: იარაღის, ნარკოტიკული საშუალების, სისხლის ლაქების და სხვა) აღმოჩენა.

5. თუ დაზარალებული არ იცნობს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს (არ იცის მისი ვინაობა) და დანაშაულის ჩამდენი პირი მიიმალა, დაზარალებულმა შეიძლება, იგი შემდგომ ამოიცნოს, რაც წარმოადგენს დაკავების საფუძველს. ამოცნობაში იგულისხმება როგორც „შემთხვევითი“ ამოცნობა (მაგალითად, გარკვეული დროის შემდეგ დაზარალებულმა ქუჩაში ნახა დანაშაულის ჩამდენი პირი, ამოიცნო იგი და მიუთითა მასზე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს), ასევე – საგამოძიებო ორგანოს მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ჩატარებული ამოცნობის პროცედურა.

6. წინასწარი გამოძიების ეტაპზე საგამოძიებო ორგანოს მიერ ან საქმის არსებითად განხილვისას სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილება (განჩინება) პირის მიმართ ძებნის წარმოების შესახებ წარმოადგენს დაკავების ერთ-ერთ საფუძველს, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პირი თავისი საპროცესო სტატუსით ფაქტობრივად უკვე ბრალდებულს წარმოადგენს, რომლის მიმართაც, როგორც წესი, აღკვეთის ღონისძიების სახედ შერჩეულია დაპატიმრება.

7. დაკავებიდან გათავისუფლებული პირის ხელმეორედ დაკავება იმავე ეჭვით არ შეიძლება. ეს ნიშნავს ერთი და იმავე პირის ორჯერ ეჭვმიტანილის სახით დაკავების აკრძალვას ერთი და იმავე ეჭვის საფუძველზე. სათანადო საფუძვლების არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია, დააკავოს ეს პირი ბრალდებულის სახით, თუმცა აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული დაკავების საერთო ვადა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 143. პირი, რომელსაც აქვს დაკავების უფლება

პოლიციის თანამშრომელს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის და იუსტიციის სამინისტროების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვს დააკავოს და დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი. ამ მუხლის პირველ წინადადებაში აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს, თუ არსებობს ამ კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლები.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის სამართალდამცავ ორგანოში წარდგენის მიზნით დაკავების უფლება აქვთ:

– პროკურორს:

– გამომძიებელს;

– საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის სამინისტროების, ფინანსათა სამინისტროს ფინანსური პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომლებს.

2. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის სამართალდამცავ ორგანოში წარდგენის მიზნით დაკავების უფლება აქვს ასევე ნებისმიერ ფიზიკურ პირს, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს წაასწრებს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე.

მუხლი 144. პირები, რომლებიც სარგებლობენ იმუნიტეტით დაკავებისას

არ შეიძლება დაკავებული და პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში წარდგენილ იქნენ: დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო დამცველი, მოსამართლე. ეს აკრძალვა, საქართველოს პრეზიდენტის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების გარდა, არ ვრცელდება 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21; საქართველოს 2004 წლის 30 ივნისის კანონი №280 – სსმ I, 2004 წ., №16, მუხ.56; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. არც ერთი საფუძვლით არ შეიძლება დაკავებული და პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში წარდგენილ იქნეს:

– საქართველოს პრეზიდენტი;

– დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი, მისი ოჯახის წევრი.

2. მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ან ჩადენისთანავე წასწრების შემთხვევაში შეიძლება დაკავებული და პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში წარდგენილ იქნეს:

– საქართველოს პარლამენტის წევრი;

– საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე;

– საქართველოს სახალხო დამცველი;

– მოსამართლე.

3. დაკავების სხვა ყველა დანარჩენი საფუძვლების არსებობისას საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, საქართველოს სახალხო დამცველის, მოსამართლის დაკავება და პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში წარდგენა დაუშვებელია.

მუხლი 145. დაკავების წესი

1. თუ პოლიციის თანამშრომელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი დაადგენს, რომ არსებობს ამ კოდექსში აღნიშნული დაკავების საფუძვლები, იგი ვალდებულია გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს ეჭვმიტანილს, განუმარტოს, სახელდობრ, რა დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი და ასევე აცნობოს, რომ მას აქვს დამცველის ყოლის, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში. დაუშვებელ მტკიცებულებებს წარმოადგენს ის განცხადებები, რომლებიც გაკეთებულ იქნა დაკავებული პირის მიერ ამ ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე.
2. პოლიციის თანამშრომელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი ვალდებულია, დაკავებული დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში.
3. თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ეჭვისათვის, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები, დამკავებელ თანამდებობის პირს ამ კოდექსით დადგენილი წესით უფლება აქვს ჩაატაროს ჩხრეკა, რაზედაც კეთდება აღნიშვნა დაკავების ოქმში. ამ შემთხვევაში, ოქმი პირადი ჩხრეკის თაობაზე არ დგება.
4. მოქალაქე ამ კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული პირობის არსებობისას ვალდებულია, დაკავებული დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში ანდა გადასცეს იგი ხელისუფლების წარმომადგენელს.
5. პოლიციის თანამშრომელმა ან სხვა კომპეტენტურმა თანამდებობის პირმა, რომელიც ახორციელებს ეჭვმიტანილის დაკავებას ამ კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით, დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს დაკავების ოქმი. თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე ობიექტური მიზეზით (მიზეზებით) შეუძლებელია, იგი უნდა შედგეს პოლიციის დაწესებულებაში დაკავებულის მიყვანისთანავე. დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს: ვინ, სად, როდის, რა ვითარებაში, კანონში მითითებულ რომელ საფუძველზეა დაკავებული, დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში, რომელი დანაშაულის ჩადენაშია იგი ეჭვმიტანილი, მისი პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის ზუსტი დრო, ამ კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ეჭვმიტანილის უფლებების ჩამონათვალი, აგრეთვე, შესაბამის შემთხვევაში ის ობიექტური მიზეზი (მიზეზები), რომლის (რომელთა) არსებობის გამო შეუძლებელი იყო დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე. ოქმს ხელს აწერენ თანამდებობის პირი ან მოქალაქე, რომელმაც პირი დააკავა, დაკავებული და მისი დამცველი (მისი ყოფნის შემთხვევაში). ეჭვმიტანილის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე დაკავების

ოქმს ხელმოწერით ადასტურებს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირი. თუ დაკავებისას პირს არ განემარტა დუმილის, დანაშაულის არდაბრალების, ასევე დამცველის მოწვევის უფლების თაობაზე, არ გადაეცა დაკავების ოქმი, ან თუ დაკავების ოქმი შედგენილია არსებითი დარღვევით, რომელიც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, თავისუფლებაშეზღუდული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ეჭვმიტანილის დაკავების შემთხვევაში პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილება არ გამოიტანება.

6. ეჭვმიტანილი დაკავების შემდეგ შეიძლება დაიკითხოს ამ კოდექსით დადგენილი წესით. დაკავებული, მისი მოთხოვნით, დაკითხვის შემდეგ უნდა შეამოწმოს ექიმმა და უნდა შედგეს სათანადო ცნობა.
7. დაკავების ვადა დაკავების მომენტიდან ბრალდების წაყენებამდე არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან აღკვეთის ღონისძიების სხვა სახის გამოყენების შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
8. გამომძიებელს, რომელიც იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, შეუძლია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად და დასაზუსტებლად, დაკავების კანონიერების შესამოწმებლად.
9. დაკავების ვადის გასვლამდე პირს უნდა წაუყენონ ბრალდება და სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაკითხოს, როგორც ბრალდებული, ამ კოდექსის 311-ე მუხლით დადგენილი წესით. ამის შემდეგ გამოძიების ორგანოს უფლება აქვს მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით ამ კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ. ეჭვმიტანილი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს, თუ მას დაკავების ვადის განმავლობაში ბრალდება არ წარედგინა.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №398 – სსმ I, 2004 წ., №25, მუხ.125; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხ.213; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. დაკავებულ პირს აუცილებლად უნდა განემარტოს:

– რა დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი და რა არის მისი დაკავების საფუძველი;

– დამცველის ყოლის უფლება;

– დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება;

– ის, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში.

2. არ შეიძლება მტკიცებულებად გამოყენებულ იქნეს დაკავებული პირის მიერ ამ უფლებათა განმარტებამდე გაკეთებული რაიმე განცხადება.

3. კანონი არ ადგენს ამ უფლებათა განმარტების რაიმე სპეციალურ საპროცესო ფორმას. კანონში მითითებულია, რომ ამ უფლებათა განმარტება უნდა მოხდეს „გასაგები ფორმით“, დაკავებისთანავე, დაკავების განხორციელების (მიმდინარეობის) პროცესში, დაკავების ადგილზევე, დაუყოვნებლივ. დაკავების განმახორციელებელი პირი დაკავებულს განმარტებას, როგორც წესი, აძლევს ზეპირად (შემდგომში ეს უფლებები, როგორც ეჭვმიტანილის უფლებათა შემადგენელი ნაწილი, წერილობითაც აისახება დაკავების ოქმში).

4. დაკავების განმახორციელებელი თანამდებობის პირი ან ფიზიკური პირი ვალდებულია, დაკავებული დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში. თუ დაკავება განახორციელა ფიზიკურმა პირმა, მას შეუძლია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს პოლიციას, სხვა სამართალდამცავ ორგანოს (ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელს) და გადასცეს მათ დაკავებული პირი. „დაუყოვნებლივ მიყვანა“ გულისხმობს დაკავებულის გონივრულ ვადაში მიყვანას შესაბამის დაწესებულებაში, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს, მაგალითად, ბუნებრივი პირობები და სხვა ობიექტური გარემოებები, აგრეთვე ის, რომ შეიძლება დაკავებულის მონაწილეობით აუცილებელი იყოს ადგილზევე რაიმე საგამოძიებო მოქმედების (მაგ.: პირადი ჩხრეკის, ბინის ჩხრეკის და სხვა) ჩატარება, ან საჭირო იყოს დაკავებულის მიყვანა ჯერ, მაგალითად, საექსპერტო დაწესებულებაში (მაგ.: ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის საკითხის გასარკვევად) და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს დაკავებულის მიყვანა პოლიციის დაწესებულებაში. ასეთ შემთხვევებში არ ირღვევა „დაუყოვნებლივ მიყვანის“ წესი.

5. თუ არსებობს საფუძველი ეჭვისათვის, რომ დაკავებულს აქვს იარაღი, ან აპირებს, მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში თავისი მამხილებელი მტკიცებულება, დამკავებელ თანამდებობის პირს უფლება აქვს, ჩაატაროს დაკავებულის პირადი ჩხრეკა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს ბრძანება ან უფლებამოსილი პირის დადგენილება ჩხრეკის ჩატარების შესახებ აუცილებელი არ არის. ჩხრეკის წარმოების შესახებ ცალკე ოქმი არ დგება და ჩხრეკის მიმდინარეობა და შედეგები აისახება დაკავების ოქმში. ამასთან, ჩხრეკის წარმოებისას დაცულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ყველა სხვა წესი. ამ სახით ჩატარებული პირადი ჩხრეკის კანონიერების საკითხიც საერთო წესით უნდა განიხილოს შესაბამისმა სასამართლომ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის კომენტარები).

6. დაკავების ოქმი უნდა შედგეს დაკავების ადგილზე, დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ. თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავების ადგილზე ობიექტური მიზეზებით შეუძლებელია, იგი უნდა შედგეს დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში (სხვა სამართალდამცავ ორგანოში) მიყვანისთანავე და ასეთ შემთხვევაში ოქმში აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის მიზეზები, რომელთა გამოც ოქმი ვერ შედგა დაკავების ადგილზე.

7. თუ დაკავება განახორციელა ფიზიკურმა პირმა, მას არ ევალება და არა აქვს უფლებამოსილება, შეადგინოს დაკავების ოქმი. ასეთ შემთხვევაში დაკავების ოქმი შედგება დაკავებულის უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის ან შესაბამის დაწესებულებაში მისი წარდგენის შემდეგ.

8. დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს:

– დაკავების ადგილი;

– დაკავების განმახორციელებელი თანამდებობის პირის სამუშაო ადგილი (უწყების დასახელება და თანამდებობა), სახელი, გვარი;

– დაკავებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები (მხოლოდ პირის ვინაობის დაუდგენლობა (არაიდენტიფიცირებულობა), თუ არსებობს მის მიერ დანაშაულის ჩადენის ეჭვი და დაკავების სხვა საფუძვლები, არ არის დაკავების დამაბრკოლებელი გარემოება);

– დაკავების ვითარება (წინააღმდეგობის გაწევა, გაქცევის მცდელობა და სხვა);

– დაკავების საფუძველი (საფუძვლები), რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით (არა ამ საფუძველთა სრული ჩამონათვალი, არამედ – ამ კონკრეტული პირის დაკავების კონკრეტული საფუძველი (საფუძვლები));

– დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში;

– დანაშაული, რომლის ჩადენაშიცაა ეჭვმიტანილი პირი (უნდა მიეთითოს როგორც საკანონმდებლო ფორმულირება, ასევე – ქმედების მოკლე ფაბულა, მაგ.: ეჭვმიტანილია მოქ. X-ს ძარცვაში, დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით);

– ფაქტობრივი დაკავების ზუსტი დრო;

– დაკავებულის პოლიციის (ან სხვა) დაწესებულებაში მიყვანის ზუსტი დრო;

– ეჭვმიტანილის უფლებათა ჩამონათვალი, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლით;

– თუ დაკავების ადგილზევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით ჩატარდა დაკავებულის პირადი ჩხრეკა, დაკავების ოქმში აისახება ჩხრეკის მიმდინარეობა და შედეგებიც;

– თუ დაკავების ოქმი შედგა არა დაკავების ადგილზე, არამედ – დაკავებულის პოლიციაში (ან სხვა უწყებაში) მიყვანის შემდეგ, ოქმში მიეთითება ის მიზეზებიც, რომელთა გამოც შეუძლებელი იყო დაკავების ოქმის შედგენა დაკავების ადგილზე.

9. ოქმს ხელს აწერენ დაკავების განმახორციელებელი თანამდებობის პირი, დაკავებული და მისი დამცველი (თუ მონაწილეობს). თუ დაკავების ოქმი შეიცავს პირადი ჩხრეკის შესახებ მონაცემებსაც და ჩხრეკას ესწრებოდნენ დამსწრეები, მაშინ ოქმს ხელს აწერენ დამსწრეებიც.

10. დაკავების ოქმის ასლი უნდა ჩაჰბარდეს დაკავებულ პირს. ოქმის ასლის ჩაბარების დამადასტურებლად დაკავებულმა პირმა ხელი უნდა მოაწეროს დაკავების ოქმის შესაბამის გრაფაში. ოქმზე ხელის მოწერა და მისი ასლის ჩაბარება დაკავებულის უფლებაა და არა – ვალდებულება. მან შეიძლება, ჩაიბაროს ოქმის ასლი, მაგრამ არ მოაწეროს ხელი ოქმს, ან საერთოდ უარი განაცხადოს ოქმის როგორც გაცნობაზე, ასევე – მასზე ხელის მოწერასა და ასლის ჩაბარებაზე. ასეთ შემთხვევაში დაკავების განმახორციელებელი თანამდებობის პირი აკეთებს ოქმზე შესაბამის აღნიშვნას, მაგალითად: „დაკავებულმა ჩაიბარა ოქმის ასლი, მაგრამ უარი განაცხადა ხელის მოწერაზე“; „დაკავებულმა უარი განაცხადა ოქმის გაცნობაზე, ხელის მოწერასა და ასლის ჩაბარებაზე“ და სხვა.

11. ეჭვმიტანილის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე დაკავების ოქმს ხელის მოწერით ადასტურებს უფლებამოსილი თანამდებობის პირი. თუ დაკავება განახორციელა გამომძიებელმა ან პროკურორმა, ოქმს დადასტურება არ სჭირდება.

12. კანონი ადგენს დაკავების წესის დარღვევის გამო დაკავებულის დაუყოვნებელი განთავისუფლების ვალდებულებას შემდეგ შემთხვევებში:

– თუ დაკავებისას პირს არ განემარტა დუმილის, დანაშაულის არდაბრალების, დამცველის მოწვევის უფლება, არ გადაეცა დაკავების ოქმის ასლი. ამ შემთხვევევაში დაკავებულის განთავისუფლების საფუძველს წარმოადგენს არა ცალკე აღებული რომელიმე ზემოაღნიშნული უფლების არგანმარტება, არამედ – ერთობლივად ოთხივე გარემოების არსებობა. გასათვალისწინებელია, რომ დაკავებულს ზემოაღნიშნული სამი უფლება განემარტება როგორც ზეპირად, ასევე – დაკავების ოქმში ეჭვმიტანილის უფლებათა ჩამონათვალის შეტანით. თუ რომელიმე წესით დაკავებულს განემარტა ზემოაღნიშნული უფლებები, არ არსებობს მისი განთავისუფლების საფუძველი;

– თუ დაკავების ოქმი შედგენილია არსებითი დარღვევით, რომელიც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას. ამ შემთხვევაში დაკავებულის განთავისუფლებაზე მსჯელობის საფუძველი შეიძლება, გახდეს დაკავების ოქმის შედგენისას დაშვებული არა ყოველგვარი, არამედ – მხოლოდ არსებითი დარღვევა, თანაც განთავისუფლების საფუძველია არა ზოგადად არსებითი დარღვევა, არამედ – მხოლოდ ისეთი არსებითი დარღვევა, რომელიც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

13. პირის დაკავების შემთხვევაში დადგენილება ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ არ გამოიტანება. ეს ნიშნავს იმას, რომ პირმა ეჭვმიტანილის საპროცესო სტატუსი შეიძლება შეიძინოს ორგვარად:

– თუ არ ხდება პირის დაკავება, იგი ეჭვმიტანილის საპროცესო სტატუსს შეიძენს უფლებამოსილი პირის (გამომძიებლის, პროკურორის) მიერ ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის კომენტარები);

– თუ პირის დაკავება ხდება დანაშაულის ჩადენაში ეჭვის საფუძველზე, იგი ეჭვმიტანილის საპროცესო სტატუსს ავტომატურად (ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის გარეშე) იძენს ფაქტობრივი დაკავების (შეპყრობის) მომენტიდანვე. თუ დაკავების შემდეგ მაინც იქნა გამოტანილი დადგენილება დაკავებულის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ, ეს იქნება აბსოლუტურად ზედმეტი საპროცესო დოკუმენტი და არ იწვევს არავითარ სამართლებრივ შედეგს – ეს პირი ეჭვმიტანილად უნდა ჩაითვალოს დაკავების მომეტიდან და არა – ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანიდან.

14. დაკავებული ეჭვმიტანილის დაკითხვა პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის უფლებამოსილებაა. მას შეუძლია, დაკითხოს დაკავებული ეჭვმიტანილი, შეუძლია, არ დაკითხოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაკითხვის შესახებ შუამდგომლობს დაკავებული ეჭვმიტანილი ან მისი დამცველი.

15. თუ მოხდა დაკავებული ეჭვმიტანილის დაკითხვა, მისი მოთხოვნით დაკავებული დაკითხვის შემდეგ აუცილებლად უნდა შეამოწმოს ექიმმა, რის (დაკავებულის ფიზიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობის) შესახებაც ექიმმა უნდა შეადგინოს სათანადო ცნობა, რომელიც უნდა დაერთოს საქმეს.

16. პირის ეჭვმიტანილის სახით ფაქტობრივი დაკავების (შეპყრობის) მომენტიდან ბრალდების წაყენებამდე ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ პირისათვის არ წაუყენებიათ ბრალდება, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ბრალდების წაყენებაში იგულისხმება არა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა, არამედ – დაკავებული პირისათვის ამ დადგენილების გაცნობა. თუ დაკავებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა შესაძლებლობას, გაეცნოს დადგენილებას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის ბრალდების წაყენებას უთანაბრდება ამ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა, რაც უნდა განხორციელდეს იმავე ვადაში – დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათში. დადგენილება უნდა გაეცნოს და ასლი გადაეცეს ამ ბრალდებულის დამცველს, ხოლო ბრალდებულს დადგენილება გაეცნობა და ასლი გადაეცემა მას შემდეგ, როდესაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამას შესაძლებელს გახდის.

17. ბრალდების წაყენების შემდეგ დაკავებული ბრალდებულის დაკითხვა პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის უფლებამოსილებაა. მას შეუძლია, დაკითხოს ბრალდებული, შეუძლია, არ დაკითხოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაკითხვის შესახებ შუამდგომლობს ბრალდებული ან მისი დამცველი. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს, დაიკითხოს დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის განცხადებიდან არა უგვიანეს ერთ კვირაში.

18. ბრალდების წაყენების შემდეგ პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი უფლებამოსილი არიან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ.

19. სასამართლომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხი უნდა გადაწყვიტოს 24 საათის განმავლობაში (საერთო ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ფაქტობრივი დაკავებიდან (შეპყრობიდან) 72 საათს). თუ ამ ვადაში არ იქნა მიღებული (გამოტანილი) სასამართლო გადაწყვეტილება, დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მუხლი 146. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/3/182,185,191 – სსმ IV, 2003 წ., №7, გვ.7; საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №398 – სსმ I, 2004 წ., №25, მუხ.125; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

მუხლი 147. მსჯავრდებულის დაკავება

მოსამართლეს უფლება აქვს გასცეს ბრძანება პირობით მსჯავრდებულის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით ვადამდე განთავისუფლებულის 7 დღე-ღამით დაკავების შესახებ, თუ არსებობს საშიშროება, რომ იგი მიიმალება. დაკავების შესახებ სასამართლო ბრძანება გაიცემა პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამოძიების სხვა ორგანოს შუამდგომლობით, რომლის წარმოებაშიც არის სისხლის სამართლის საქმე ახალი დანაშაულის შესახებ.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. თუ არსებობს ეჭვი, რომ პირობით მსჯავრდებულმა ან თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით ვადამდე გათავისუფლებულმა პირმა ჩაიდინა ახალი დანაშაული და არსებობს საშიშროება, რომ იგი მიიმალება, ახალი დანაშაულის შესახებ საქმის გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით, ან პროკურორი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით მსჯავრდებულის 7 დღე-ღამით დაკავების შესახებ. ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს ბრძანება, ხოლო უარყოფის შემთხვევაში – დადგენილება.

2. აღნიშნული ნორმა, მასში დაფიქსირებული დაკავების ვადიდან გამომდინარე, შეუსაბამოა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტთან, რომლის თანახმად, დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათში. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მუხლი 148. დაკავების დროის ჩათვლა

პირის ეჭვმიტანილის სახით დაკავების მომენტიდან აღრიცხული დრო ითვლება ბრალდებულის პატიმრობის ვადაში.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65)

1. პირის ეჭვმიტანილის სახით დაკავების, ანუ შეპყრობის (ფაქტობრივი დაკავების) მომენტიდან აღრიცხული დრო ითვლება ბრალდებულის პატიმრობისა და, შესაბამისად, სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადაში.

მუხლი 149. დაკავებულის ყოფნის ადგილი

დაკავებული იმყოფება დროებითი ყოფნის იზოლატორში, ხოლო სამხედრო მოსამსახურე – ჰაუპტვახტში. დაკავებულთა ყოფნის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

1. დაკავებული პირი უნდა მოთავსდეს დროებითი ყოფნის იზოლატორში.

2. თუ დაკავებული პირი სამხედრო მოსამსახურეა, იგი უნდა მოთავსდეს ჰაუპტვახტში.

3. დაკავებულთა ყოფნის წესს დეტალურად არ განსაზღვრავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იგი მოწესრიგებულია სპეციალური ნორმატიული აქტებით.

მუხლი 150. დაკავებისაგან განთავისუფლების საფუძველი და წესი

1. **დაკავებული უნდა განთავისუფლდეს, თუ:**
ა) **არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული;**
ბ) **დაკავებულის დაპატიმრება არ არის აუცილებელი;**
გ) **გავიდა დაკავების კანონით დადგენილი ვადა, ანდა არ იქნა მიღებული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობა;**
დ) **დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი.**
2. **დაკავებული თავისუფლდება იმ თანამდებობის პირის დადგენილებით, რომელმაც იგი დააკავა, აგრეთვე გამომძიებლის, ან პროკურორის დადგენილებით, ანდა დაკავებულთა ყოფნის ადგილის უფროსის დადგენილებით, თუ დაკავების ვადა გავიდა.**
3. **დაკავებულს განთავისუფლებისას მიეცემა ცნობა, რომელშიც აღინიშნება, ვინ, სად, როდის, რის საფუძველზე დააკავა იგი და რის საფუძველზე და როდის იქნა განთავისუფლებული.**
4. **უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იმის მიუხედავად, იქნება თუ არა დაკავებული მსჯავრდებული.**
5. **პროკურორის დადგენილებით, შესაძლებელია დაკავებულის დროებითი გამოყვანა დაკავების ადგილიდან მის მიერ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩასატარებელია ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომელში მონაწილეობაც მოითხოვს დაკავებულის თანხმობას. დაკავებულს საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე, დაუყოვნებლივ აბრუნებენ დაკავების ადგილას.**

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. დაკავებული უნდა გათავისუფლდეს, თუ:

– არ დადასტურდა ეჭვი, რომ დაკავებულმა ჩაიდინა დანაშაული, ან დადგინდა, რომ მან ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომელიც არ ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით;

– მისი დაპატიმრება არ არის აუცილებელი, ანუ არ არსებობს მიმალვის, მტკიცებულებათა განადგურების, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების და ა. შ. დასაბუთებული ვარაუდი;

– გავიდა დაკავების კანონით დადგენილი ვადა, მაგალითად: ბრალდების წარდგენის 48-საათიანი ვადა ან აღკვეთის ღონისძიების შერჩევის 24-საათიანი (დაკავებიდან 72-საათიანი) ვადა;

– სასამართლო მის მიმართ საერთოდ არ გამოიყენებს აღკვეთის ღონისძიებას ან გამოიყენებს ისეთ აღკვეთის ღონისძიებას, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების შეზღუდვასთან;

– დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი.

2. პირველ ოთხ შემთხვევაში მითითებული გარემოებები ნაკლებად შეფასებითია და არ საჭიროებს დამატებით დეტალურ განმარტებას, ხოლო დაკავებისას სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევის საფუძვლით დაკავებულის განთავისუფლების საკითხის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ განთავისუფლების საფუძველია არა ყოველგვარი, არამედ – მხოლოდ არსებითი დარღვევები, თანაც ისეთი ხასიათის, რაც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას. დაკავებისგან განთავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევების დაშვება, რაც გამორიცხავს დაპატიმრების გამოყენებას. ამასთან, ასეთი დარღვევების არსებობა შეიძლება იყოს არა ზოგადად აღკვეთის ღონისძიების რაიმე სახის, არამედ – მხოლოდ დაპატიმრების გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველი. ანუ, თუ დაკავებისას დაშვებულია ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევები, რაც გამორიცხავს პირის დაპატიმრებას, დასაშვებია მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სხვა სახის გამოყენება, თუ არსებობს შესაბამისი საფუძვლები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის კომენტარები).

3. სათანადო საფუძვლების არსებობისას და მათზე დასაბუთებული მითითებით დაკავებული შეიძლება გაათავისუფლონ დამკავებელმა თანამდებობის პირმა, გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ, აგრეთვე – დაკავებულთა მოთავსების დაწესებულების ხელმძღვანელმა დაკავების ვადის ამოწურვის საფუძვლით.

4. განთავისუფლებისას ყოფილ დაკავებულ პირს მიეცემა ცნობა, რომელშიც აღინიშნება:

– ვინ დააკავა იგი;

– დაკავების დრო და ადგილი;

– დაკავების საფუძველი;

– განთავისუფლების საფუძველი;

– განთავისუფლების დრო.

5. გათავისუფლებულ ყოფილ დაკავებულ პირს გადაეცემა ასევე დადგენილება (ან სხვა საპროცესო დოკუმენტი), რომლის საფუძველზეც მოხდა მისი განთავისუფლება.

6. თუ დადგინდა, რომ პირი უკანონოდ და დაუსაბუთებლად იყო დაკავებული, მას მიყენებული ზიანი სრული მოცულობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუნაზღაურდება, მიუხედავად იმისა, ეს პირი შემდგომში იქნება თუ არა მსჯავრდებული.

7. დაკავებულთან ან მისი მონაწილეობით საგამოძიებო მოქმედების (მოქმედებების) ჩატარების საფუძვლით პროკურორი უფლებამოსილია, გამოიტანოს დადგენილება დაკავებულის (დაკავებულთა) მოთავსების ადგილიდან დროებითი გამოყვანის შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზე უნდა მოხდეს დაკავებულის გამოყვანა დაკავების ადგილიდან და მიყვანა პროკურორის დადგენილებაში მითითებულ ადგილას. საგამოძიებო მოქმედების (მოქმედებების) დასრულების შემდეგ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა დააბრუნონ დაკავებულთა მოთავსების ადგილას. დაკავებულის გამოყვანა, როგორც წესი, არ შეიძლება იმ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც მოითხოვს მის თანხმობას. ასეთ შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია, გამოიტანოს დადგენილება დაკავებულის გამოყვანის შესახებ მხოლოდ იმ პირობით, თუ წინასწარ მიიღებს დაკავებულის წერილობით თანხმობას საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის თაობაზე.

თავი XX
აღკვეთის ღონისძიებანი

მუხლი 151. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი და საფუძველი

1. **აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეეშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს არ შეიძლება შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა ან აღკვეთის სხვა ღონისძიება, თუ უფრო ნაკლებად შემზღუდავი აღკვეთის ღონისძიება უზრუნველყოფს ამ ნაწილით გათვალისწინებულ მიზნებს.**
2. **აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი შეიძლება იყოს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოზე, გაანადგურებს მტკიცებულებებს, დაემუქრება პროცესის მონაწილეებს ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.**
3. **აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახის მიზანშეწონილობა და უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების სახის გამოყენების შეუძლებლობა, ხოლო წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შუამდგომლობის წარდგენისას – მოთხოვნილი ვადის აუცილებლობა.**
4. **სასამართლო უფლებამოსილია აღკვეთის ღონისძიების სახით პირს შეუფარდოს პატიმრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ:
– ბრალდებულმა თავი არ აარიდოს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს;
– აღიკვეთოს ბრალდებულის შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა;
– ხელი არ შეეშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას;
– უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება.

2. შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს თავის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახის მიზანშეწონილობა და უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობა.

3. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევის უფლებამოსილება სასამართლოს გააჩნია მხოლოდ მაშინ, როდესაც აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. ასევე, ნებისმიერი სხვა სახის აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას სასამართლო ვალდებულია, დაასაბუთოს ამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და სხვა, უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობა.

4. ზოგადად, აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საფუძველი შეიძლება იყოს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი:

– მიიმალება;

– არ გამოცხადდება სასამართლოზე;

– გაანადგურებს მტკიცებულებებს;

– დაემუქრება პროცესის მონაწილეებს;

– ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

5. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლების არსებობის საკითხის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ აუცილებელი არ არის ფაქტების არსებობა, რომ პირმა უკვე განახორციელა ზემოაღნიშნული ქმედებები; საკმარისია არსებობდეს ამ ქმედებათა შესაძლო განხორციელების დასაბუთებული ვარაუდი.

6. დასაბუთებული ვარაუდი, პირველ რიგში, შეიძლება, შექმნას პირის მიერ რაიმე ქმედების უკვე განხორციელებამ, მაგ.:

– დაკავებისას პირი ცდილობდა გაქცევას, მიმალვას, ან მტკიცებულების განადგურებასა და თავიდან მოცილებას. ასეთ შემთხვევაში არსებობს საფუძველი დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირი კვლავ განახორციელებს ანალოგიურ ქმედებებს;

– პირი ცდილობს, ზეგავლენა მოახდინოს დაზარალებულზე, მოწმეებზე იმ მიზნით, რომ მათ გამოძიებას (სასამართლოს) მისცენ არასწორი, მისთვის სასარგებლო ჩვენებები. ასეთ შემთხვევაშიც არსებობს საფუძველი დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირი კვლავ განახორციელებს ანალოგიურ ქმედებებს;

7. პირის მიერ გარკვეული ქმედების განხორციელება ერთდროულად შეიძლება, ქმნიდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის დასაბუთებულ ვარაუდსაც და წარმოადგენდეს დამოუკიდებელ, ცალკე აღებულ სამართალდარღვევასაც, მაგ.: თუ პირმა დაზარალებულის ან მოწმის მიმართ განახორციელა სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის, ანდა ქონების დაზიანების რეალური მუქარა იმ მიზნით, რომ მათ გამოძიებას (სასამართლოს) მისცენ არასწორი, მისთვის სასარგებლო ჩვენებები, ან ამავე მიზნით სხეულის დაზიანებები მიაყენა მათ, ეს ერთდროულად იქნება როგორც ცალკე აღებული დანაშაული, ასევე – აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის დასაბუთებული ვარაუდის არსებობის საფუძველიც.

8. დასაბუთებული ვარაუდი არსებობს არა მარტო მაშინ, როდესაც პირი უკვე განახორციელებს ზემოაღნიშნულ ქმედებებს, არამედ – მაშინაც, როდესაც ბრალდების სიმძიმე, საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ბრალდებულის პიროვნება და სხვა გარემოებათა ერთობლიობა ქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ პირმა შეიძლება განახორციელოს აღნიშნული ქმედებები.

მუხლი 152. აღკვეთის ღონისძიების სახეები

1. **აღკვეთის ღონისძიების სახეებია: ბრალდებულის დაპატიმრება, გირაო, პირადი თავდებობა, აგრეთვე არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა და სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა.**
2. **თუ არ არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, ბრალდებულს უნდა განემარტოს მისი ვალდებულება გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით და უნდა შეატყობინოს მათ, თუ შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს.**
3. **ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ვალდებულების ჩამორთმევა არ გამოიყენება იმის მიმართ, ვისაც ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ორ წელზე მეტი ვადით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368)

1. აღკვეთის ღონისძიების სახეებია:
– ბრალდებულის დაპატიმრება;
– გირაო;
– პირადი თავდებობა;
– არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა;
– სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა.

2. თუ პირს ბრალი ედება ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქციის სახით არ არის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა, ან გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ორი წლის ვადით, ამასთან, თუ არ არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, პროცესის მწარმოებელი ორგანო უფლებამოსილია, ბრალდებულის მიმართ არ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე და ჩამოართვას მას წერილობითი ვალდებულება იმის შესახებ, რომ გამოძახების შემთხვევაში გამოცხადდეს გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში და შეატყობინოს მათ, თუ საცხოვრებელ ადგილს შეიცვლის.

3. იმისათვის, რომ პირს არ შეერჩეს აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე და ჩამოერთვას ვალდებულება, საჭიროა ორივე პირობის ერთდროულად არსებობა – მას ბრალი უნდა ედებოდეს ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქციის სახით არ არის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა, ან გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ორი წლის ვადით და არ უნდა არსებობდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი. ერთ-ერთი ზემოაღნიშნული პირობის არარსებობა გამორიცხავს ვალდებულების ჩამორთმევის შესაძლებლობას.

მუხლი 153. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები

1. **აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას პროკურორი და სასამართლო ითვალისწინებენ წარდგენილი ბრალდების სიმძიმეს, ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, ბრალდებულის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, პირის მიერ მისთვის შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.**
2. **მოსამართლე არკვევს მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობას, ასევე საკითხს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ. შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში მოსამართლე მოქმედებს ამ კოდექსის LXIV[1] თავის შესაბამისად. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ კოდექსის 48-ე მუხლით დადგენილი განსჯადობის წესი.**

(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხ.63; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

– წარდგენილი ბრალდების სიმძიმე;

– ბრალდებულის პიროვნება;

– ბრალდებულის საქმიანობა;

– ბრალდებულის ასაკი;

– ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა;

– ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობა;

– ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა;

– ბრალდებულის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება;

– პირის მიერ მისთვის შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი;

– სხვა გარემოებები.

2. ბრალდების სიმძიმე აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას გასათვალისწინებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა. ბრალდების სიმძიმის გათვალისწინება ნიშნავს როგორც დანაშაულის კატეგორიის (ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე), ასევე – ბრალის ფორმის (განზრახვა, გაუფრთხილებლობა) გათვალისწინებას. დანაშაულთა კატეგორიებად დაყოფით, პირველ რიგში, კანონმდე-

ბელმა განსაზღვრა ამ ქმედებათა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი; დანაშაულის კატეგორია მიუთითებს მისი ჩამდენი პირის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზეც. გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ კონკრეტული პირის მიერ ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ხასიათი, გამოყენებული ხერხი და საშუალება, მიყენებული ზიანის ოდენობა და სხვა გარემოებები ქმედების ფაქტობრივ მხარესთან დაკავშირებით. აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებით გათვალისწინებული ქმედებისათვის დადგენილი სანქციის სახე და ზომა, ანუ საკითხი უნდა შეფასდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების იმ მიზნის უზრუნველსაყოფადაც, როგორიცაა განაჩენის აღსრულება.

3. აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღება ბრალდებულის ნასამართლობა, საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობის, ოჯახური, ქონებრივი მდგომარეობა, დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ეს გარემოებები უნდა შეფასდეს არა ცალკე, არამედ – ბრალდების სიმძიმესა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლივად.

4. პირის მიერ მისთვის შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ამ პირმა შეიძლება, კვლავ დაარღვიოს აღკვეთის ღონისძიება, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას. აღკვეთის ღონისძიების დარღვევაში, პირველ რიგში, იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც ამ პირს ამავე საქმეზე შერჩეული ჰქონდა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება და მან იგი დაარღვია, ასევე – ის შემთხვევა, როდესაც ეს პირი ადრე ნასამართლევია და არღვევდა იმ სისხლის სამართლის საქმის (რომელზეც ნასამართლევია) გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში შერჩეულ აღკვეთის ღონისძიებას. აღკვეთის ღონისძიების დარღვევა, როგორც წესი, იწვევს უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიების შერჩევას.

5. აღკვეთის ღონისძიების დარღვევაში იგულისხმება როგორც მიმალვა, არგამოცხადება, მტკიცებულებათა განადგურება და პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედება, ასევე – ახალი დანაშაულის ჩადენაც. ახალი დანაშაულის ჩადენა (აქ იგულისხმება ახალი დანაშაულის ჩადენაში ბრალდება) აღკვეთის ღონისძიების ყველაზე უხეში დარღვევაა, რადგანაც შერჩეული აღკვეთის ღონისძიებით ვერ იქნა მიღწეული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების უმთავრესი მიზანი – ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება.

6. სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, პირის მიმართ ბრალდების წარდგენის შემდეგ პროკურორი უფლებამოსილია, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით როგორც აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, ასევე – საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

7. თუ შუამდგომლობების შეტანიდან მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს და დაამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას, სასამართლო აღარ ურჩევს პირს აღკვეთის ღონისძიებას, რადგანაც საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ გამოიტანება განაჩენი, პირი უკვე მსჯავრდებულია და მსჯავრდებულის მიმართ არ გამოიყენება აღკვეთის ღონისძიება.

8. თუ შუამდგომლობების შეტანიდან მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს და არ დაამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას და სისხლის სამართლის საქმეს უკან დაუბრუნებს პროკურორს, სასამართლო ვალდებულია, გადაწყვიტოს აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხი.

9. თუ შუამდგომლობების შეტანიდან მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო ვერ ასწრებს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების ან სისხლის სამართლის საქმის პროკურორისათვის დაბრუნების საკითხის გადაწყვეტას, სასამართლო ვალდებულია, ამ ვადაში (24 საათში) გადაწყვიტოს აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხი, რაც არ გასაჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რადგანაც სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე მიღებული აქვს წარმოებაში, პირი ითვლება განსასჯელად, მის მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების ან სისხლის სამართლის საქმის პროკურორისათვის დაბრუნების საკითხი გადაწყდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადაში და წესით და შესაბამისი საფუძვლების არსებობისას გასაჩივრდება საერთო წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის LXIV[1] თავის კომენტარები).

მუხლი 154. პირი, რომლის მიმართაც შეიძლება აღკვეთის ღონისძიების გამოყენება

1. ბრალდებულის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს 151-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისას აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დაიშვება სასამართლო განჩინების აღსრულების უზრუნველსაყოფად. ეს პირი უნდა მოთავსდეს სპეციალურ განყოფილებაში ან პალატაში, რომელიც განკუთვნილია ფსიქიკურად დაავადებული ავადმყოფისათვის.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65)

1. განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელია ყველა იმ გარემოების გათვალისწინება, რაც დადგენილია ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის კომენტარები).

2. ფსიქიკურად დაავადებული პირის მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისას აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ აღსრულების უზრუნველსაყოფად. პირი უნდა მოთავსდეს სპეციალურ განყოფილებაში ან პალატაში, რომელიც განკუთვნილია ფსიქიკურად დაავადებული ავადმყოფისათვის.

მუხლი 155. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა და გაუქმება

1. **აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და შეცვლა ხდება მოსამართლის ბრძანებით, აგრეთვე სასამართლოს განაჩენით, განჩინებით (დადგენილებით).**
2. **აღკვეთის ღონისძიება უქმდება მოსამართლის დადგენილებით, აგრეთვე სასამართლოს განაჩენით, განჩინებით (დადგენილებით), თუ აღარ არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.**
3. **გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება უქმდება აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე პროკურორის მიერ მიღებული დადგენილებით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, ერთი სახის მეორეთი შეცვლის ან გაუქმების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ სასამართლოს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

2. ზემოაღნიშნული წესიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ: აღკვეთის ღონისძიება უქმდება წინასწარი გამოძიების ეტაპზე პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილებით პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ. პროკურორი ვალდებულია, აღნიშნულ დადგენილებაში მიუთითოს პირის (პირთა) მიმართ აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ. თუ პროკურორის დადგენილება ასეთ პირდაპირ მითითებას არ შეიცავს, აღკვეთის ღონისძიება მაინც გაუქმებულად ითვლება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების გაუქმება კანონისმიერი იმპერატიული ვალდებულებაა და არა – პროკურორის უფლება.

მუხლი 156. სასამართლო ბრძანება წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ

1. **აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და შეცვლის შესახებ ბრძანების გაცემისას მოსამართლე განიხილავს შუამდგომლობას 140-ე მუხლით დადგენილი წესით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65)

1. წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ მხარეთა შუამდგომლობებს სასამართლო განიხილავს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 157. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება საქმის სასამართლოში განხილვისას

1. **აღკვეთის ღონისძიება შეიძლება შეირჩეს, შეიცვალოს ან გაუქმდეს სამართალში მიცემის სტადიაზე, მოსამართლის (სასამართლოს) დასაბუთებული დადგენილებით (განჩინებით).**
2. **პირველი ინსტანციის სასამართლოს თავისი განჩინებით (დადგენილებით) საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე მხარის შუამდგომლობით შეუძლია შეარჩიოს, შეცვალოს ან გააუქმოს აღკვეთის ღონისძიება. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს აღკვეთის ღონისძიების საკითხი.**
3. **სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებს განაჩენის გაუქმებისას უფლება აქვთ დატოვონ წინანდელი აღკვეთის ღონისძიება, შეცვალონ ან გააუქმონ იგი, აგრეთვე შეარჩიონ ის ხელმეორედ, თუ ამის საფუძველი არსებობს საქმის ან დამატებით წარმოდგენილ (გამოთხოვილ) მასალებში.**
4. **საქმის სასამართლოში განხილვისას აღკვეთის ღონისძიების ერთი სახის შეცვლა უფრო მკაცრი სახით დაიშვება მხოლოდ პროკურორის ან დაზარალებულის (მისი წარმომადგენლის) მოთხოვნით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე განსასჯელის მიმართ შეარჩიოს, შეცვალოს ან გააუქმოს აღკვეთის ღონისძიება.

2. ყველა ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ძალაში შედის მიღებისთანავე. პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებულია, განაჩენის გამოტანისას ყველა შემთხვევაში გააუქმოს პირის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება (მიუხედავად გამართლებისა თუ გამტყუნებისა), რის გამოც სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოები აღკვეთის ღონისძიების საკითხს, როგორც წესი, არ წყვეტენ.

3. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენის გაუქმებისა და სისხლის სამართლის საქმის ახალი სასამართლო განხილვისათვის გაგზავნის შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, პირის მიმართ ხელმეორედ შეარჩიოს აღკვეთის ღონისძიება, თუ ამის საფუძ-

ველი არსებობს სისხლის სამართლის საქმის ან დამატებით წარმოდგენილ (გამოთხოვილ) მასალებში.

4. ყველა ინსტანციის სასამართლო ვალდებულია, გააუქმოს აღკვეთის ღონისძიება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში.

5. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით დაიშვება მხოლოდ პროკურორის ან დაზარალებულის (მისი წარმომადგენლის) შუამდგომლობის საფუძველზე. წინასწარი გამოძიების ეტაპზე კი ასეთი შუამდგომლობის განცხადების უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 158. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ოქმი

1. **აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ გამომძიებელი ან პროკურორი, აგრეთვე ბრალდებული, აღინიშნება, ვინ, როდის, რა საფუძველზე შეარჩია, შეცვალა ან გააუქმა აღკვეთის ღონისძიება. ამასთან, ბრალდებულს განემარტება მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების არსი, მისთვის დაკისრებული შეზღუდვების ხასიათი და აღკვეთის ღონისძიების შერჩევის ან შეცვლის შესახებ სასამართლო ბრძანებისა თუ განჩინების (დადგენილების) გასაჩივრების წესი, რაც უნდა აისახოს ოქმში.**
2. **სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლის ან გაუქმების დროს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული მონაცემები უნდა აისახოს სასამართლო სხდომის ოქმში.**

1. წინასწარი გამოძიების ეტაპზე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებულია, შეადგინოს ოქმი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომლითაც ბრალდებულს განემარტება:

– ვინ გამოიყენა (შეცვალა, გააუქმა) მის მიმართ აღკვეთის ღონისძიება;
– როდის იქნა მიღებული გადაწყვეტილება;
– რა საფუძველზე შეირჩა (შეიცვალა, გააუქმდა) მის მიმართ აღკვეთის ღონისძიება;
– რა არის გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების არსი;
– რა შეზღუდვები უწესდება და რა ვალდებულებები ეკისრება მას;
– ამ შეზღუდვებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგები;
– სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

2. ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი პირი და ბრალდებული. შესაძლოა, ოქმს ხელი მოაწეროს ბრალდებულის დამცველმაც. თუ ბრალდებული უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ეს აღინიშნება ოქმში.

3. საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში განსასჯელს ზემოაღნიშნულ განმარტებას აძლევს მოსამართლე, რაც აისახება სასამართლო სხდომის ოქმში და ამისათვის ცალკე ოქმი არ დგება.

მუხლი 159. დაპატიმრება

1. **არავის დაპატიმრება არ შეიძლება მოსამართლის ბრძანების ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.**
2. **სასამართლო, პროკურორი და გამომძიებელი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ უკანონოდ დაპატიმრებული ნებისმიერი პირი.**
3. **დაპატიმრება გამოიყენება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლით ან მეტი ვადით. აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება, როგორც წესი, არ გამოიყენება მძიმე ავადმყოფის, არასრულწლოვნის, ხანდაზმულის (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან), 12 კვირაზე მეტი ხნის ორსული და ჩვილბავშვიანი (ერთ წლამდე ასაკის) ქალის მიმართ, აგრეთვე არ შეიძლება იქნეს გამოყენებული იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა გაუფრთხილებლობით – გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლით ან მეტი ვადით. დაპატიმრება გამოიყენება ასევე ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა დაარღვია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2454 – სსმ I, 2003 წ., №21, მუხ.148; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. დაპატიმრების გამოყენების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ სასამართლოს, მოსამართლეს.

2. პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირები – სასამართლო, მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი ვალდებული არიან, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ პირი, თუ დადგინდება, რომ იგი უკანონოდაა დაპატიმრებული.

3. დაპატიმრების გამოყენება დაუშვებელია იმ პირის მიმართ, ვისაც ბრალი ედება ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც გათვალისწინებული არ არის სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით.

4. დაპატიმრების გამოყენება დაუშვებელია იმ პირის მიმართ, ვისაც ბრალი ედება ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც სანქციის სახით კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ორ წელზე ნაკლები ვადით. თუ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით, დასაშვებია დაპატიმრების გამოყენება შესაბამისი საფუძვლების არსებობისას.

5. დაპატიმრების გამოყენება დაუშვებელია იმ არასრულწლოვნის მიმართ, ვისაც ბრალი ედება ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც სანქციის სახით კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამი წლით ან ნაკლები ვადით. თუ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით, მაინც დაუშვებელია დაპატიმრების გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 652-ე მუხლის კომენტარები).

6. თუ ბრალდებულმა დაარღვია მისთვის შერჩეული სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, დაპატიმრების გამოყენების შემზღუდველ გარემოებას აღარ წარმოადგენს ბრალდება ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც ითვალისწინებს ორ წელზე ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთას, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ – სამი წლით ან ნაკლები ვადით. ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების დარღვევის შემთხვევაშიც კი არ შეიძლება დაპატიმრების გამოყენება, თუ დანაშაულისათვის საერთოდ არ არის გათვალისწინებული სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთა.

7. დაპატიმრება, როგორც წესი, არ გამოიყენება:

– მძიმე ავადმყოფის მიმართ;

– არასრულწლოვნის მიმართ;

– ხანდაზმულის (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან) მიმართ;

– 12 კვირაზე მეტი ხნის ორსული და ჩვილბავშვიანი (ერთ წლამდე ასაკის) ქალის მიმართ.

8. ზემოაღნიშნული გარემოებები არ არის შეფასებითი ხასიათის. ისინი უტყუარად უნდა იყოს დადგენილი შესაბამისი მტკიცებულებებით.

9. არც ერთი ზემოაღნიშნული გარემოება იმპერატიულად არ გამორიცხავს დაპატიმრების გამოყენების შესაძლებლობას, თუ არსებობს დაპატიმრების გამოყენების ფაქტობრივი და საპროცესო საფუძვლები და სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით შეუძლებელი იქნება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების უზრუნველყოფა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 151-ე და 153-ე მუხლების კომენტარები).

10. დაპატიმრების გამოყენება დაუშვებელია გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენაში ბრალდების შემთხვევაში, თუ კანონი არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამი წლით ან მეტი ვადით. ასეთ გამონაკლის შემთხვევებშიც კი დაპატიმრების გამოყენება დასაშვებია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების დარღვევის შემთხვევაში, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით.

მუხლი 160. აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების შერჩევის წესი

1. პროკურორს ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელს, რომელიც პირს წარუდგენს ბრალდებას და დაჰკითხავს, როგორც ბრალდებულს, შეუძლია ამ კოდექსის 140-ე მუხლის შესაბამისად მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით დაპატიმრების შესახებ ბრძანების გაცემის თაობაზე. თუ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს მტკიცებულებებს, დაემუქრება პროცესის მონაწილეებს ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, პროკურორი უფლებამოსილია დააკავოს ბრალდებული და დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ. ბრალდებული, გამომძიებლის ან პროკურორის წერილობითი დავალებით, დაკავებულის ყოფნის ადგილის ადმინისტრაციას მიჰყავს მოსამართლესთან, რომელსაც წარედგინება აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლი.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული შუამდგომლობა შეიძლება წარედგინოს მოსამართლეს პირის მიმალვის შემთხვევაშიც, თუ შეკრებილია დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები და გამოტანილია დადგენილება ამ პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ასეთ შემთხვევაში დაპატიმრების შემდეგ ბრალდებული გამოძიების ადგილას მიყვანის შემდეგ არა უგვიანეს 48 საათისა უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს მოსამართლეს, რომელმაც გასცა ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ, ხოლო ბრძანების გამცემი მოსამართლის არყოფნისას – იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლეს ან მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. ეს ვადა სტიქიური უბედურების ან სხვა დაუძლეველი ძალის არსებობისას, აგრეთვე ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების დროს, რაც დადასტურებულია სამედიცინო ცნობით, რომლის გამოც შეუძლებელია ბრალდებულის წარდგენა შესაბამის სასამართლოში, შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 15 დღისა, ხოლო ძებნილი ბრალდებულის უცხოეთში დაკავების შემთხვევაში საქართველოში გამოძიების ადგილზე მისი ჩამოყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა იგი უნდა წარედგინოს შესაბამის მოსამართლეს. მოსამართლე ისმენს დაპატიმრებული ბრალდებულისა და მისი დამცველის, აგრეთვე პროკურორისა და იმ გამომძიებლის განმარტებებს, რომელმაც მოსამართლეს მიმართა შუამდგომლობით ბრალდებულის დაპატიმრების თაობაზე, რის შესახებაც დგება ოქმი. თუ დაპატიმრებულ ბრალდებულსა და მის დამცველს ბრალდებულისათვის დანიშნული აღკვეთის ღონისძიება მიაჩნიათ უკანონოდ ან დაუსაბუთებლად, მათ უფლება აქვთ გაასაჩივრონ იგი ზემდგომ სასამართლოში ამ კოდექსით დადგენილი წესით. ბრალდებულსა და მის დამცველს აგრეთვე უფლება აქვთ მოსამართლეს მიმართონ შუამდგომლობით დაპატიმრების უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის თაობაზე. ასეთ შუამდგომლობას მოსამართლე განიხილავს და გადაწყვეტს ამ კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესით. თანამდებობის პირის, რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრის დაპატიმრების შემდეგ მისი დაკითხვის, სასამართლოში წარდგენის და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ამ ნაწილით დადგენილი წესი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრი დაპატიმრებულია მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.
3. შუამდგომლობის შინაარსი, მისი განხილვისა და დაპატიმრების შესახებ ბრძანების გაცემის წესი განსაზღვრულია 140-ე მუხლით.
4. დაპატიმრების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება (დადგენილება), როგორც წესი შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ განსასჯელის დაკითხვისა და იმ მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას ან იმყოფება მიმალვაში), რომლებიც გავლენას ახდენენ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტაზე, აგრეთვე მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ.

5. **თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ თანამდებობის პირმა, რეკეტირმა ან ქურდული სამყაროს წევრმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო მის მიმართ შეუძლებელია საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ან იგი მიმალვაშია, გამომძიებელს თანამდებობის პირის, რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრის დაუსწრებლად გამოაქვს დადგენილება მისი ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ, ხოლო ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და ბრალდების წაყენების შემდეგ უფლება აქვს პროკურორის თანხმობით შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.**
6. **აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გაუქმების საკითხები განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სასამართლო სხდომის დახურვის ამ კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლები ან სხდომის დახურვა აუცილებელია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხ.63; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 16 სექტემბრის კანონი №1904 – სსმ I, 2005 წ., №43, მუხ.305; საქართველოს 2005 წლის 9 ნოემბრის კანონი №2020 – სსმ I, 2005 წ., №48, მუხ.317; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2356 – სსმ I, 2005 წ., №57, მუხ.440)

1. პირისათვის ბრალდების წარდგენის შემდეგ პროკურორს ან პროკურორის თანხმობით, გამომძიებელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების შერჩევის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

2. თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს მტკიცებულებებს, დაემუქრება პროცესის მონაწილეებს ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, პროკურორი უფლებამოსილია, დააკავოს ბრალდებული. ამ შემთხვევაში ბრალდებულის დაკავების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ პროკურორს (და არა – გამომძიებელს, ან გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით). იმისათვის, რომ პროკურორი უფლებამოსილი იყოს, დააკავოს ბრალდებული, აუცილებელია, რომ პირი უკვე მიცემული იყოს პასუხისგებაში ბრალდებულის სახით, ანუ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა წინ უნდა უსწრებდეს მის დაკავებას. ბრალდებულის დაკავების შესახებ ცალკე დადგენილების გამოტანა აუცილებელი არ არის. ამ შემთხვევაში საკმარისია, პროკურორმა ბრალდებულის დაკავების ოქმი შეადგინოს.

3. შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების შერჩევის შესახებ და შესაბამისი მასალების ასლები სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს ბრალდებულის დაკავებიდან არა უგვიანეს 24 საათში. სასამართლომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხი უნდა გადაწყვიტოს მომდევნო 24 საათში, ანუ ასეთ შემთხვევაში ბრალდებულის დაკავებიდან აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხის გადაწყვეტამდე საერთო ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 48 საათს. თუ ბრალდებული ამავე ბრალდების ეპიზოდში ადრე დაკავებული იყო ეჭვმიტანილის სახით, მაგრამ გათავისუფლდა ისე, რომ მისთვის ბრალი არ წარუდგენიათ, ხოლო ბრალდების წარდგენის შემდეგ პროკურორმა დააკავა იგი ბრალდებულის სახით, მაშინ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სახით დაკავების საერთო ვადა აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტამდე არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს.

4. ასეთ შემთხვევებში სასამართლო სხდომაზე ბრალდებულის წარდგენისათვის ზომების მიღება ევალება გამომძიებელს ან პროკურორს, რომელიც უფლებამოსილია, ბრალდებულის მოთავსების ადგილის ადმინისტრაციას მისცეს დავალება ბრალდებულის სასამართლოში წარდგენის შესახებ.

5. თუ შეკრებილია დანაშაულის ჩადენაში პირის მამხილებელი საკმაო მტკიცებულებები და გამოტანილია დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მაგრამ დადგინდება, რომ პირი მიიმალა, რაც შეუძლებელს ხდის მისთვის დადგენილების გაცნობას (ბრალდების წაყენებას), პროკურორი ან გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების შერჩევის შესახებ.

6. პირის, როგორც ბრალდებულის, მიმალულად მიჩნევისათვის აუცილებელი არ არის, ამ პირმა იცოდეს, რომ მიცემულია პასუხისგებაში ბრალდებულის სახით. მთავარია, რომ გამოძიებამ მიიღოს ყველა ზომა მისი ადგილსამყოფლის დასადგენად და მისთვის ბრალდების წასაყენებლად. პირის მიმალვა ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ იგი მიემალა გამოძიებას ან სასამართლოს, არამედ – იმასაც, რომ, მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მისი ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა, ანუ იგი მიმალულია და ამ ეტაპზე შეუძლებელია მისთვის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების გაცნობა (ბრალდების წაყენება) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის კომენტარები).

7. მიმალვაში მყოფი პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ეცნობოს მის დამცველს (თუ იგი მონაწილეობს სისხლის სამართლის საქმეში), ასევე დამცველს უნდა ეცნობოს ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების შერჩევის შესახებ შუამდგომლობის განხილვის დრო და ადგილი. შუამდგომლობის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 151-ე, 153-ე და 159-ე მუხლებით დადგენილი საფუძვლები და გარემოებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 151-ე, 153-ე და 159-ე მუხლების კომენტარები).

8. ძებნილი ბრალდებულის დაპატიმრების შემთხვევაში გამოძიების ადგილას მიყვანიდან 48 საათში ბრალდებული უნდა წარედგინოს სასამართლოს. გამოძიების ადგილი არის საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის ადგილმდებარეობის ადგილი. ბრალდებული წარედგინება ბრძანების გამცემ მოსამართლეს, ხოლო მის

არყოფნისას (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, სხვა საქმეზე სათათბირო ოთახში ყოფნა და სხვა), – ბრძანების გამცემი სასამართლოს სხვა მოსამართლეს ან მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით.

9. სტიქიური უბედურების, ან სხვა დაუძლეველი ძალის არსებობისას, აგრეთვე – ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისას, რაც შეუძლებელს ხდის ბრალდებულის წარდგენას მოსამართლესთან, 48-საათიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 15 დღით.

10. ძებნილი ბრალდებულის უცხოეთში დაკავების შემთხვევაში მოსამართლესთან წარდგენის 48-საათიანი ვადის ათვლა იწყება საქართველოში გამოძიების ადგილზე მისი მიყვანიდან.

11. მხოლოდ მოსამართლესთან წარდგენის 48-საათიანი ვადის დარღვევა ავტომატურად არ იწვევს ბრალდებულის პატიმრობიდან განთავისუფლებას, ვინაიდან მას შერჩეული აქვს დაპატიმრება კანონით განსაზღვრული ვადით და მხოლოდ მოსამართლესთან წარდგენის 48-საათიანი ვადის დარღვევა არ აქცევს მას უკანონო პატიმრად. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ბრალდებულის დამკავებელმა პირმა (ორგანომ) ან საპყრობილის ადმინისტრაციამ დროულად აცნობა თუ არა საგამოძიებო ორგანოს ძებნილი ბრალდებულის დაკავების შესახებ და სხვა გარემოებები, რამაც გამოიწვია 48-საათიანი ვადის დარღვევა.

12. პატიმრობაშერჩეული ძებნილი ბრალდებულის დაკავების (დაპატიმრების შესახებ ბრძანების აღსრულების) შემთხვევაში მისი მოსამართლისათვის წარდგენისას სასამართლოში შუამდგომლობა არ შეიტანება. სასამართლოს მიემართება წერილობით ბრალდებულის წარდგენის თაობაზე.

13. 48-საათიან ვადაში უნდა მოხდეს არა მარტო ბრალდებულის წარდგენა მოსამართლესთან, არამედ ამავე ვადაში უნდა დამთავრდეს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვაც.

14. ასეთ შემთხვევაში მოსამართლესთან ბრალდებულის წარდგენის მიზანი არ არის ადრე გაცემული ბრძანების კანონიერების საკითხის გადამოწმება. მოსამართლემ უნდა შეამოწმოს ბრალდებულის პიროვნება. შეიძლება არსებობდეს საკითხის განხილვის სამი შესაძლო ვარიანტი:

ა) როდესაც პროკურორი და გამომძიებელი ითხოვენ დაპატიმრების შესახებ ადრე გაცემული ბრძანების ძალაში დატოვებას („დადასტურებას“) და ბრალდებული და დამცველი ეთანხმებიან მას (არ აყენებენ შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ). ასეთ შემთხვევაში მოსამართლე არ გადის სათათბირო ოთახში, არ ქმნის რაიმე ცალკე საპროცესო დოკუმენტს, დგება მხოლოდ სასამართლო სხდომის ოქმი, რომელშიც მიეთითება დაპატიმრების თაობაზე ადრე გაცემული ბრძანების ძალაში დატოვების შესახებ და განიმარტება გასაჩივრების წესი და ვადა;

ბ) როდესაც პროკურორი და გამომძიებელი ითხოვენ დაპატიმრების შესახებ ადრე გაცემული ბრძანების ძალაში დატოვებას („დადასტურებას“), ხოლო ბრალდებული და დამცველი უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევენ ბრძანებას, ანუ ითხოვენ აღკვეთის ღონისძიების გაუქმებას (რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიების შერჩევაზე უარის თქმას). ასეთ შემთხვევაშიც მოსამართლე არ გადის სათათბირო ოთახში, არ ქმნის რაიმე ცალკე საპროცესო დოკუმენტს, დგება მხოლოდ სასამართლო სხდომის ოქმი,

რომელშიც მიეთითება დაპატიმრების შესახებ ადრე გაცემული ბრძანების ძალაში დატოვების შესახებ და განიმარტება გასაჩივრების წესი და ვადა;

გ) როდესაც პროკურორი და გამომძიებელი ითხოვენ დაპატიმრების შესახებ ადრე გაცემული ბრძანების ძალაში დატოვებას („დადასტურებას“), ხოლო ბრალდებული და დამცველი შუამდგომლობენ დაპატიმრების უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შესახებ. ასეთ შემთხვევებში სასამართლო სხდომა ტარდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი ყველა წესის დაცვით, მოსამართლე გადის სათათბირო ოთახში და იღებს გადაწყვეტილებას დადგენილების ან ბრძანების ფორმით (იმის მიხედვით, აკმაყოფილებს თუ არა შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ), რომელშიც მიეთითება გასაჩივრების წესი და ვადა.

15. ზემოაღნიშნული წესი თანამდებობის პირის, რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრის დაპატიმრებისას გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრი დაპატიმრებულ იქნა მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

16. თუ მძიმე ავადმყოფობის გამო შეუძლებელია დანაშაულის შესაძლო ჩამდენ პირთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ან იგი მიმალვაშია და თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წარმომადგენელია, გამომძიებელი უფლებამოსილია, ამ პირის დაუსწრებლად გამოიტანოს დადგენილება პირის ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის ან ბრალდების წაყენების შემდეგ (თუ იგი არ არის მიმალვაში ან თუ ამის შესაძლებლობას იძლევა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა) პროკურორს ან გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით უფლება აქვს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

17. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის, გაუქმების საკითხებთან დაკავშირებული სასამართლო სხდომები, როგორც წესი, ღიაა. სხდომა შეიძლება დაიხუროს იმ შემთხვევებში და იმ საფუძვლებით, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით. გარდა ზემოაღნიშნული ზოგადი საფუძვლებისა, სხდომა ასევე შეიძლება დაიხუროს იმ შემთხვევაშიც, თუ ეს აუცილებელია სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. ამ საფუძვლით სხდომის დახურვა მოსამართლეს შეუძლია თავისი ინიციატივითაც, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის კომენტარები).

18. სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება (განჩინება) განსასჯელის დაპატიმრების შესახებ შეიძლება გამოტანილ იქნეს, როგორც წესი, სასამართლო სხდომაზე მხარეთა აზრის მოსმენის, განსასჯელის დაკითხვისა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმალვაშია, ან თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას) და იმ მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ, რაც გავლენას ახდენს აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტაზე.

მუხლი 161. გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს მითითება პატიმრობაში ყოფნის პირობების შესახებ

1. გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს უფლება აქვთ მისცენ მითითება საგამოძიებო იზოლატორის ადმინისტრაციას ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ რამდენიმე საქმეზე ბრალდებულთა (განსასჯელთა) ცალ-ცალკე ყოფნისა და ერთმანეთთან ურთიერთობის დაუშვებლობის შესახებ.

2. მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან შეიძლება გადაიყვანონ საგამოძიებო იზოლატორში ან დატოვონ საგამოძიებო იზოლატორში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, თუ ის არის მოწმე, დაზარალებული ან ბრალდებული სხვა საქმეზე.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ტერიტორიულად დაშორებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებისგან და ბადრაგირების განხორციელება გართულებულია, მოსამართლის დადგენილებით შესაძლებელია განსასჯელი საქმის განხილვისას დროებით მოთავსდეს უახლოეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ან დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც მასზე ზედამხედველობას განახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს უფლება აქვთ, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის განთავსების ადგილის ადმინისტრაციას მისცენ მითითებები ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებული ან დაპატიმრებული პირების ცალ-ცალკე ყოფნისა და ერთმანეთთან ურთიერთობის დაუშვებლობის შესახებ. აღნიშნულის საფუძველი შეიძლება იყოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის თავიდან აცილება, ამ პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა.

2. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, თუ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული არის მოწმე, დაზარალებული, ბრალდებული ან განსასჯელი სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, იგი შეიძლება, სასჯელის მოხდის ადგილიდან გადაიყვანონ საგამოძიებო იზოლატორში ან დატოვონ საგამოძიებო იზოლატორში. აღნიშნულის შესახებ დადგენილება (განჩინება) გამოაქვთ პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირებს – გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს, სასამართლოს. მსჯავრდებულის საგამოძიებო იზოლატორში გადაყვანის ან საგამოძიებო იზოლატორში დატოვების ვადას (ხანგრძლივობას) კანონი არ ადგენს, თუმცა იგი არ შეიძლება აღემატებოდეს მოსახდელი სასჯელის ვადას.

3. სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას, როდესაც სასამართლო ტერიტორიულად დაშორებულია პატიმრობაში მყოფი განსასჯელის განთავსების დაწესებულებიდან და ბადრაგირება გართულებულია, რაც ხელს უშლის სისხლის სამარ-

თლის საქმის სწრაფ განხილვას, მოსამართლე უფლებამოსილია, გამოიტანოს დადგენილება განსასჯელის დროებითი გადმოყვანისა და მოთავსების შესახებ სასამართლოსთან უახლოეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ან დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც განსასჯელზე ზედამხედველობა უნდა განახორციელოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა. გადმოყვანის ვადას კანონი არ ადგენს. იგი არ უნდა აღემატებოდეს პატიმრობის კანონით დადგენილ ვადას. განსასჯელი უნდა დააბრუნონ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თუ პროცესი ხანგრძლივი დროით გადაიდება, ასევე – განაჩენის გამოტანის შემდეგ.

მუხლი 162. პატიმრობის ვადა

1. **ბრალდებულისა და განსასჯელის პატიმრობის საერთო ვადა არ აღემატება 9 თვეს და აითვლება დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა, – ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლო ბრძანების აღსრულების მომენტიდან.**
2. **პატიმრობის ვადის დინება წყდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისთანავე.**
3. **ბრალდებულის პატიმრობის პირველადი ვადაა 2 თვე. ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს 1 თვით, მაგრამ არა უმეტეს ორჯერ, თუ არსებობს ამ კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები ან/და:**

ა) **თუ პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ ბრალდებულმა დაარღვია მისთვის შერჩეული ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება;**

ბ) **თუ ბრალდებულს უფრო მძიმე ბრალდება წარედგინა;**

გ) **საქმის სირთულის გამო.**

4. **საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას იმავე სასამართლოს მოსამართლეს ან მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით, პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობით, შეუძლია ბრალდებულის პატიმრობის ვადა გააგრძელოს კიდევ 60 დღემდე. ამ ვადის ამოწურვისთანავე ბრალდებული დაუყოვნებლივ თავისუფლდება პატიმრობიდან. ამ ნაწილით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე.**
5. **საქართველოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უცხო სახელმწიფოში დაპატიმრების შემთხვევაში მისი პატიმრობის ვადები აითვლება საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მისი ფაქტობრივი გადმოცემის მომენტიდან. საქართველოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უცხო სახელმწიფოში პატიმრობის ვადა ჩაითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის საერთო ვადაში.**
6. **ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამომძიებლის წარდგინების საფუძველზე პროკურორის მიერ შედგენილი მოტივირებული შუამდგომლობით ბრალდებულის პატიმრობის ვადა შეიძლება გააგრძელოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ.**

7. **საქართველოში ექსტრადიციის მიზნით პირის უცხო სახელმწიფოში დაპატიმრებისა და ბრალდებულის სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო არ ჩაითვლება პატიმრობის ვადაში.**
8. **სასამართლოში საქმის შესვლიდან 24 საათში მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე იხილავს განსასჯელის აღკვეთის ღონისძიების საკითხს.**
9. **რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში პროკურორის მიერ სასამართლოში საქმის ჩაბარებიდან შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე აითვლება განსასჯელის პატიმრობის ვადა, რომელიც უნდა იყოს გონივრული, მაგრამ ბრალდებულისა და განსასჯელის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხ.75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2000 წლის 13 ივნისის კანონი №373 – სსმ I, 2000 წ., №23, მუხ.61; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/5/193 – სსმ IV, 2003 წ., №49, გვ. 15; საქართველოს 2004 წლის 30 ივნისის კანონი №280 – სსმ I, 2004 წ., №16, მუხ.56; საქართველოს 2004 წლის 16 სექტემბრის კანონი №430 – სსმ I, 2004 წ., №26, მუხ.126; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხ.223; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2359 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.375; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. 2007 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის ნორმა, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულისა და განსასჯელის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ცხრა თვეს. პატიმრობის ვადის დინება იწყება დაკავებით ან დაპატიმრების შერჩევის შესახებ ბრძანების აღსრულებით და წყდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისთანავე.

2. ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების შერჩევა ხდება ორი თვით. უფრო ნაკლები ვადით დაპატიმრების შერჩევის შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს.

3. დაპატიმრების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ორჯერ, თითო-თითო თვით. არ შეიძლება დაპატიმრების ვადის გაგრძელება პირდაპირ ორიდან ოთხ თვემდე. იგი შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით ორჯერ (სულ ოთხ თვემდე).

4. გამომძიებელი წარდგინებით მიმართავს პროკურორს ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების ვადის გაგრძელების საკითხზე, რის საფუძველზეც დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ პროკურორს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 163-ე მუხლის კომენტარები).

5. დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობა შეიტანება გამოძიების ადგილის მიხედვით – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. დაპატიმრების ვადის გაგრძელება დასაშვებია, თუ არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები ან/და:

– თუ პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ ბრალდებულმა დაარღვია მისთვის შერჩეული ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება;

– თუ ბრალდებულს უფრო მძიმე ბრალდება წარედგინა;

– საქმის სირთულის გამო.

6. სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას პროკურორის შუამდგომლობით შესაძლებელია ბრალდებულის პატიმრობის ვადის გაგრძელება კიდევ 60 დღემდე. სასამართლო უფლებამოსილია, დაპატიმრების ვადა გააგრძელოს არა მთლიანად 60 დღით, არამედ – არა უმეტეს 60 დღემდე (20, 30, 40 დღით და ა.შ.), სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა და შესასრულებელ მოქმედებათა მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით.

7. პროკურორმა შეიძლება, გამომძიებლის მიერ მისთვის გადაცემულ სისხლის სამართლის საქმეზე არ შეადგინოს საბრალდებო დასკვნა და წერილობითი მითითებებით დაუბრუნოს გამომძიებელს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. ასეთ შემთხვევაში, თუ იწურება და აუცილებელია ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების ვადის გაგრძელება, პროკურორი საერთო წესით შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ. თუ დარჩენილი ვადა საკმარისია დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად, პროკურორი უფლებამოსილია, არ მიმართოს სასამართლოს დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ. ასევე, პროკურორი უფლებამოსილია, საქმის დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნებისთანავე არ მიმართოს სასამართლოს დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ. თუ დარჩენილ ვადაში ვერ მოესწრო დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და აუცილებელი გახდა დაპატიმრების ვადის გაგრძელება, პროკურორი უფლებამოსილია, საერთო წესით შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 163-ე მუხლების კომენტარები).

8. სისხლის სამართლის საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად შეიძლება, დაბრუნდეს ასევე სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სტადიიდანაც. ასეთ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია, სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნებასთან ერთად იშუამდგომლოს დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებაც (რასაკვირველია, თუ არ ითხოვს დაპატიმრების შეცვლას სხვა აღკვეთის ღონისძიებით). სასამართლო ვალდებულია, სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნების შესახებ დადგენილებაში (განჩინებაში) იმსჯელოს ასევე დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებაც. ასეთ შემთხვევაში დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში არ საჩივრდება, იგი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით საქმის დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად. სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ რა ვადით გააგრძელა დაპატიმრების ვადა (30 დღით, 40 დღით და ა.შ.), ხოლო ამ ვადის

ათვლა უნდა დაიწყოს არა გადაწყვეტილების გამოტანისთანავე, არამედ – პროკურორის მიერ დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნებული საქმის მიღებისთანავე.

9. ბრალდებულის პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, კანონით დადგენილ ვადაში არ ითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც ბრალდებული მოთავსებული იყო სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზის ჩასატარებლად. ეს ვადა ჩაითვლება განაჩენით დადგენილი სასჯელის საერთო ვადაში. ეს არ ვრცელდება განსასჯელზე, ანუ განსასჯელის სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზისათვის ყოფნის დრო ითვლება პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, ვადაში. სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზისათვის ყოფნის დრო აითვლება სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის მომენტიდან სამედიცინო დაწესებულებიდან გამოყვანის მომენტამდე და არა – სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზისათვის გადაყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

10. საქართველოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უცხო სახელმწიფოში დაპატიმრების შემთხვევაში მისი პატიმრობის ვადა აითვლება საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მისი ფაქტობრივი გადმოცემის მომენტიდან, ანუ უცხო სახელმწიფოში ამ პირის პატიმრობაში ყოფნის დრო საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის ფაქტობრივ გადმოცემამდე არ ითვლება ამ პირის პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, ვადაში და პატიმრობის ვადის ათვლა იწყება ფაქტობრივი გადმოცემის მომენტიდან. საქართველოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უცხო სახელმწიფოში პატიმრობის ვადა ჩაითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის საერთო ვადაში.

11. არსებითი განხილვისათვის სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათში მოსამართლე ვალდებულია, განიხილოს განსასჯელის აღკვეთის ღონისძიების საკითხი. ამ ვადის ათვლა იწყება სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან. აღკვეთის ღონისძიების საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის (მხარეთა მოწვევისა და მათი მონაწილეობით სასამართლო სხდომის ჩატარების) გარეშე. 24-საათიან ვადაში განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა კანონისმიერი იმპერატიული ვალდებულებაა და არ არის დამოკიდებული სასამართლოს შეხედულებაზე ან მხარეთა შუამდგომლობაზე.

მუხლი 163. პატიმრობის ვადის გაგრძელების წესი

1. **ბრალდებულის პატიმრობის კანონით დადგენილი ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 5 დღისა პროკურორი ვალდებულია შესაბამის მოსამართლეს წარუდგინოს სისხლის სამართლის საქმე და პროკურორის დასაბუთებული შუამდგომლობა. შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს გამოძიების გაჭიანურების მიზეზები, გარემოებანი, რომელთა შემოწმებაც საჭიროა, და მოთხოვნილი ვადა.**
2. **შუამდგომლობა განიხილება მისი მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, სასამართლო სხდომაზე, პროკურორის, ბრალდებულის ან მისი დამცველისა და**

კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, ამ კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით.

3. შუადგომლობის განხილვის შედეგად მოსამართლეს უფლება აქვს მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) გასცეს ბრძანება პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ;

ბ) უარყოს შუამდგომლობა, გაათავისუფლოს ბრალდებული და აღკვეთის ღონისძიება შეუცვალოს ნაკლებად მკაცრი ღონისძიებით, ანდა გააუქმოს აღკვეთის ღონისძიება.

4. სასამართლო ბრძანება პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. მოსამართლე იმავე დღეს ატყობინებს საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციას გაცემული ბრძანების (დადგენილების) შესახებ.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხ.75; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. პროკურორი ვალდებულია, ბრალდებულის დაპატიმრების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს ხუთ დღეში გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ. მხოლოდ ამ ვადის დარღვევა (მაგ.: შუამდგომლობის შეტანა პატიმრობის ვადის გასვლამდე ოთხი დღით ადრე) არ წარმოადგენს ბრალდებულის პატიმრობიდან განთავისუფლების იმპერატიულ საფუძველს, თუ არსებობს დაპატიმრების გამოყენებისა და მისი ვადის გაგრძელების ფაქტობრივი და საპროცესო საფუძვლები. სასამართლომ უნდა შეაფასოს გარემოებები, რამაც გამოიწვია ვადის დარღვევა და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს შესაბამისი სისხლის სამართლის საქმე.

2. შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. მასში უნდა მიეთითოს: მოთხოვნილი ვადა, გარემოებები, რომლებმაც გამოიწვია არსებულ ვადაში გამოძიების დაუმთავრებლობა. ასევე მითითებული უნდა იყოს, თუ რა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებია ჩასატარებელი.

3. შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს სასამართლოში შეტანიდან არა უგვიანეს ხუთ დღეში, მაგრამ ბრალდებულის პატიმრობის დარჩენილი ვადის ამოწურვამდე.

4. შუამდგომლობა განიხილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესების დაცვით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

5. შუამდგომლობის განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) ბრძანება დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ;

ბ) ბრძანება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების სხვა (უფრო მსუბუქი) აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ;

გ) დადგენილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გაუქმების (რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის) შესახებ.

6. სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულდება. სასამართლო ვალდებულია, იმავე დღეს შეატყობინოს საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. შეტყობინებაში იგულისხმება როგორც გადაწყვეტილების მიღების დღესვე ასლის გადაცემა საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციისათვის, ასევე (თუ ეს ტექნიკური მიზეზებით შეუძლებელია), ტელეფონით ან რაიმე სხვა ტექნიკური საშუალებით შეტყობინება, რის შესახებაც შედგება ოქმი (ცნობა) და დაერთვება სასამართლო წარმოების მასალებს.

მუხლი 164. პატიმრობიდან განთავისუფლება

1. **წინასწარი გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში ბრალდებული პატიმრობიდან თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის დღეს.**
2. **გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას განსასჯელი პატიმრობიდან თავისუფლდება დაუყოვნებლივ სასამართლოს დარბაზში.**
3. **სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან ისეთი სასჯელის დანიშვნის დროს, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, განსასჯელი პატიმრობიდან თავისუფლდება დაუყოვნებლივ სასამართლო დარბაზიდან, ხოლო თუ იგი სასამართლო სხდომაში არ მონაწილეობდა, – არა უგვიანეს იმ დღისა, როცა საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია მიიღებს ოფიციალურ ცნობას პატიმრობიდან პირის განთავისუფლების შესახებ.**
4. **სასამართლო საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციას უგზავნის განაჩენს, დადგენილებას ან განჩინებას, რომლითაც შეიცვალა ან გაუქმდა პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიება.**
5. **პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე ოფიციალურად დამოწმებული შეტყობინება, რომელიც კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებით გადაიცა, სასამართლო განაჩენის, დადგენილების ან განჩინების მიღებამდე განთავისუფლების საფუძველია.**
6. **პროკურორის დადგენილებით და ბრალდებულის თანხმობით, შესაძლებელია ბრალდებულის დროებითი გამოყვანა საპატიმრო ადგილიდან მის მიერ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად. ბრალდებულს საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე, დაუყოვნებლივ აბრუნებენ საპატიმრო ადგილას.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. განსასჯელი (ბრალდებული) პატიმრობიდან თავისუფლდება:

– გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას;

– ისეთი სასჯელის დანიშვნის დროს, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან;

– თავისუფლების აღკვეთის იმ ვადით დანიშვნისას, რაც პირმა უკვე მოიხადა;

– პირობითი მსჯავრის გამოყენებისას;

– განაჩენის აღსრულების გადავადებისას;

– დაპატიმრების სხვა, უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლისას;

– აღკვეთის ღონისძიების გაუქმებისას;

– პროკურორის ან სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ან წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას;

2. თუ განსასჯელი (ბრალდებული) მონაწილეობს სასამართლო სხდომაში, იგი პატიმრობიდან თავისუფლდება დაუყოვნებლივ, სასამართლო სხდომის დარბაზშივე.

3. თუ განსასჯელი (ბრალდებული) სასამართლო სხდომას არ ესწრება, მას საპყრობილის ადმინისტრაცია პატიმრობიდან ათავისუფლებს არა უგვიანეს იმ დღისა, როდესაც საპყრობილის ადმინისტრაცია მიიღებს შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილების ასლს ან ოფიციალურად დამოწმებულ შეტყობინებას კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებებით.

4. სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დღესვე ატყობინებს საპყრობილის ადმინისტრაციას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. შეტყობინებაში იგულისხმება როგორც გადაწყვეტილების მიღების დღესვე ასლის გადაცემა საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციისათვის, ასევე (თუ ეს გარკვეული მიზეზებით შეუძლებელია) რაიმე კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებით შეტყობინება, რომლის შესახებ დოკუმენტი (ოქმი, ცნობა და სხვა) დაერთვება სისხლის სამართლის საქმის მასალებს. სასამართლო გადაწყვეტილების ასლი ყველა შემთხვევაში ეგზავნება საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციას.

5. წინასწარი გამოძიების ეტაპზე პროკურორის მიერ წინასწარი გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში ბრალდებული პატიმრობიდან თავისუფლდება პროკურორის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღესვე.

6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს საპატიმრო ადგილიდან ბრალდებულის დროებითი გამოყვანის შესაძლებლობას საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მიღების მიზნით. ამისათვის აუცილებელია, ერთი მხრივ, პროკურორის დადგენილებისა და, მეორე მხრივ, ბრალდებულის თანხმობის არსებობა.

7. საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა დააბრუნონ საპატიმრო ადგილას.

მუხლი 165. უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

1. ქონებრივი ზიანი პირს სრული მოცულობით უნაზღაურდება, თუ დადგინდა, რომ მისი დაკავება ან დაპატიმრება უკანონო ან დაუსაბუთებელი იყო. ქო-

ნებრივი ზიანი ანაზღაურდება, თუ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი ან საქმე შეწყდა ამ კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლებით.

2. **ფიზიკური ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ თანხის გადახდით, მკურნალობის ხარჯების, შრომისუნარიანობის დაკარგვის ან დაქვეითების საკომპენსაციოდ, თუ დაავადება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევამ.**

3. **მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით ბოდიშის მოხდის გზით, აგრეთვე ფულადი კომპენსაციით.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. თუ დადგინდა, რომ პირის დაკავება ან დაპატიმრება უკანონო და დაუსაბუთებელი იყო, მიყენებული ქონებრივი ზიანი მთლიანად ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა, პირი იქნება თუ არა მსჯავრდებული. ქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტი და ზიანის ოდენობა უნდა დადგინდეს შესაბამისი მტკიცებულებებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 150-ე მუხლის კომენტარები).

2. მიყენებული ქონებრივი ზიანი ანაზღაურდება იმ შემთხვევაში, თუ:

– გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი;

– სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო;

– სისხლის სამართლის საქმე შეწყდა პირის მიერ იმ ასაკისათვის მიუღწევლობის გამო, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

– სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობის გამო (ანუ შეცდომა – სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლი);

– სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობის გამო (ანუ ბრძანების ან განკარგულების შესრულება – სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლი);

– სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობის გამო (ანუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს – სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი).

3. ქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტი და ზიანის ოდენობა უნდა დადგინდეს შესაბამისი მტკიცებულებებით.

4. თუ საპატიმრო ადგილებში ყოფნის რეჟიმის დარღვევამ გამოიწვია პირის დაავადება, შრომისუნარიანობის დაკარგვა ან დაქვეითება, მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო თანხის გადახდით, მკურნალობის ხარჯების, შრომისუნარიანობის დაკარგვის ან დაქვეითების საკომპენსაციოდ. ამასთან, პირის დაავადების, შრომისუნარიანობის დაკარგვის ან დაქვეითების მხოლოდ ფაქტის არსებობა საკმარისი არ არის, შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა დადგინდეს, რომ პირის დაავადება, შრომისუნა-

რიანობის დაკარგვა ან დაქვეითება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში ყოფნის რეჟიმის დარღვევამ.

5. მორალური ზიანი ანაზღაურდება ფულადი კომპენსაციის სახით, ასევე – პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში ბოდიშის მოხდის გზით.

მუხლი 166. (ამოღებულია)

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368)

მუხლი 167. (ამოღებულია)

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368)

მუხლი 168. გირაო

1. გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება. ფულადი თანხა სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დეპოზიტზე შეაქვს ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი სახელით სხვა პირს სასამართლოსათვის მიცემული წერილობითი ვალდებულებით ბრალდებულის, განსასჯელის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში დროული გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე. ფულადი თანხის ნაცვლად შეტანილ უძრავ ქონებას ედება ყადაღა. გირაოს მიღების შესახებ დგება ოქმი, რომლის ერთი ასლი გადაეცემა გირაოს შემტანს.
2. პროკურორი სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენის დროს განსაზღვრავს გირაოს თანხის ოდენობას და მისი შეტანის ვადას. გირაოს თანხის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი სახელით სხვა პირს გირაოს თანხის ნაცვლად შეუძლია შეიტანოს ფულადი თანხის ეკვივალენტური უძრავი ან მოძრავი ქონება. გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებ-

რივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს 2 000 ლარზე ნაკლები.

3. გირაო, როგორც წესი, არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალი ედება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში. გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში.
4. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი ან გამომძიებელი პროკურორის თანხმობით მიმართავს შესაბამის სასამართლოს ამ კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესით.
5. თუ ბრალდებულმა ან განსასჯელმა დადგენილ ვადაში არ უზრუნველყო სასამართლოს მიერ გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის საქმის განმხილველი სასამართლოს ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დეპოზიტზე შეტანა ან უძრავი ქონების შეტანა, პროკურორი მიმართავს სასამართლოს უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ კოდექსის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
6. სასამართლო უფლებამოსილია, პროკურორის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით ბრალდებულს შეუფარდოს წინასწარი პატიმრობა მის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ 50%-ისა) შეტანამდე. გირაოს შეტანას ადასტურებს ის სასამართლო ან ორგანო, რომლის დეპოზიტზედაც შეიტანება გირაოს თანხა.
7. თუ ბრალდებულმა ან განსასჯელმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, არასაპატიო მიზეზით თავი აარიდა გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში გამოცხადებას, გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, ხოლო გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა პირის მიმართ განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, უძრავი ქონება კი გადაეცემა სახელმწიფოს.
8. ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი სახელით გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება, თუ ბრალდებული ან განსასჯელი ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს და მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.
9. თუ ბრალდებულის ან განსასჯელის სახელით გირაოს შემტანი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წერილობით მიმართავს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის ან განსასჯელის სათანადო ქცევას და მის დროულ გამოცხადებას გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში, გირაოს შემტანს ერთი თვის ვადაში სრუ-

ლად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით), მოძრავი ან უძრავი ქონება, ხოლო ბრალდებულის ან განსასჯელის მიმართ შეიძლება შეირჩეს აღკვეთის უფრო მკაცრი ღონისძიება.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხ.213; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენების (თავდაპირველი შერჩევის) შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს პროკურორს ან გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით. სათანადო საფუძვლების არსებობისას ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების (მაგალითად, პატიმრობის) გირაოთი შეცვლის შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ, აგრეთვე – ბრალდებულს, მის დამცველს. შესაბამის საფუძვლებზე მითითებით, სასამართლოს უფლება აქვს, არ დააკმაყოფილოს პროკურორის (პროკურორის თანხმობით, გამომძიებლის) მიერ შეტანილი შუამდგომლობა დაპატიმრების გამოყენების შესახებ და ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს გირაო.

2. გირაოს ოდენობა არ შეიძლება იყოს 2 000 ლარზე ნაკლები. გირაო, როგორც წესი, არ გამოიყენება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის მიმართ. გირაოს ოდენობა განისაზღვრება ბრალდების სიმძიმის, ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის, ასევე – ბრალდებულის პიროვნების, ზიანის ოდენობისა და ყველა იმ გარემოების გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე, 153-ე მუხლების კომენტარები).

3. აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს პროკურორის მოთხოვნას დამძიმების თვალსაზრისით, ანუ სასამართლო ვერ გამოიყენებს დაპატიმრებას (თუნდაც არსებობდეს ამის საფუძვლები), თუ პროკურორი ითხოვს ბრალდებულის მიმართ გირაოს (ან სხვა აღკვეთის ღონისძიების) გამოყენებას. სასამართლო ასევე არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს გირაო იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე შუამდგომლობს პროკურორი.

4. გირაო შეიძლება შეტანილ იქნეს ფულადი თანხის სახით, ასევე შესაძლებელია, გირაოს სახით განსაზღვრული თანხის სანაცვლოდ ყადაღა დაედოს შესაბამისი (გირაოს ოდენობის) ღირებულების უძრავ ქონებას. მოძრავი ქონებით გირაოს უზრუნველყოფა დაუშვებელია.

5. გირაოს გამოყენების ყველა შემთხვევაში (თუნდაც წინასწარ იყოს ცნობილი, რომ გირაოს ნაცვლად უძრავ ქონებას უნდა დაედოს ყადაღა) სასამართლო ვალდებულია, გირაოს ოდენობა მიუთითოს თანხაში (ლარში).

6. გირაოს სახით განსაზღვრული ფულადი თანხის ნაცვლად შესაბამისი ღირებულების ქონებაზე ყადაღის დადებასთან მიმართებით შეიძლება, არსებობდეს ორი განსხვავებული პროცედურა:

– როდესაც პროკურორი ან გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით შუამდგომლობს ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენების შესახებ და ამავე დროს პროკურორი (ან პროკურორის თანხმობით, გამომძიებელი) შუამდგომლობს (იმავე ან ცალკე შუამდგომლობით, ერთდროულად) გირაოს ნაცვლად შესაბამისი ღირებულების ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, ერთდროულად განიხილოს და გადაწყვიტოს ორივე საკითხი – ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენოს გირაო (გირაოს ოდენობა უნდა მიუთითოს აუცილებლად თანხაში (ლარში)), ხოლო ბრძანების სხვა პუნქტში მიუთითოს, რომ გირაოს ნაცვლად ყადაღა დაედოს შესაბამის უძრავ ქონებას. თუმცა სასამართლო არ არის შეზღუდული, სათათბირო ოთახში გამოიტანოს ორი ბრძანებაც – გირაოს შერჩევის შესახებ და გირაოს ნაცვლად შესაბამის უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ;

– გირაოს თანხის სანაცვლოდ ქონებაზე ყადაღის დადების საკითხი შეიძლება, დაისვას მას შემდეგაც, რაც გაიცემა ბრძანება ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენების შესახებ. ასეთ შემთხვევაში დაცვის მხარე არ არის უფლებამოსილი, ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს პირდაპირ სასამართლოს. შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა წარედგინოს პროკურორს (ან გამომძიებელს), რომელიც შეისწავლის წარდგენილ დოკუმენტაციას და თუ ისინი აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს, პროკურორი (ან გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით) შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს გირაოს ნაცვლად შესაბამისი ღირებულების ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. შუამდგომლობა შეიტანება პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოძიების ადგილის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშეც (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის კომენტარები).

7. გირაოს სანაცვლოდ ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნის შემთხვევაში დაცვის მხარემ პროკურორს ან გამომძიებელს უნდა წარუდგინოს, როგორც მინიმუმი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ქონების საკუთრებისა და იმის შესახებ, რომ ქონება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოა, აუდიტის დასკვნა ქონების ღირებულების შესახებ, თუ ბრალდებულის (განსასჯელის) სახელით გირაო შეაქვს სხვა პირს (სხვა პირია ქონების მესაკუთრე), ამ პირის (მესაკუთრის) თანხმობა. თუ ეს დოკუმენტები აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს, პროკურორი ვალდებულია, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გირაოს თანხის სანაცვლოდ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, ანუ გირაოს შეტანის ფორმის (თანხით თუ ქონებით) არჩევის უფლებას კანონი ანიჭებს მხოლოდ ბრალდებულს (განსასჯელს) და პროკურორს უფლება არა აქვს, უარი თქვას გირაოს ნაცვლად უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, მაგ.: ქონების მესაკუთრე არ არის თანახმა, ქონება დატვირთულია სხვა ვალდებულებით და სხვა.

8. წინასწარი გამოძიების ეტაპზე გირაოს შერჩევისას გირაო შეიტანება პროცესის მწარმოებელი ორგანოს – პროკურატურის შესაბამის ანგარიშზე, ხოლო სისხლის სა-

მართლის საქმის არსებითი განხილვისას გირაოს შერჩევის შემთხვევაში – სასამართლოს შესაბამის ანგარიშზე.

9. ბრალდებულის მიმართ გირაოს შერჩევის შემთხვევაში არსებობს ბრალდებულის პატიმრობიდან (დაკავებიდან) განთავისუფლების ორი წესი:

– ბრალდებული შეიძლება, გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან მოსამართლის მიერ მის მიმართ გირაოს შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე. თუ ბრალდებული არ ესწრება სხდომას, სასამართლო ვალდებულია, დაუყოვნებლივ (იმავე დღეს) აცნობოს ბრალდებულის მოთავსების ადგილის ადმინისტრაციას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (უზრუნველყოს გადაწყვეტილების ასლის (ან ოფიციალურად დამოწმებული შეტყობინების) გაგზავნა) და ბრალდებულს საპყრობილის ადმინისტრაცია პატიმრობიდან გაათავისუფლებს არა უგვიანეს იმ დღისა, როდესაც საპყრობილის ადმინისტრაცია მიიღებს შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილების ასლს ან ოფიციალურად დამოწმებულ შეტყობინებას კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 164-ე მუხლის კომენტარები).

– გირაოს შერჩევის შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ შეიძლება, გამოყენებულ იქნეს წინასწარი პატიმრობა გირაოს სრული მოცულობის ან ნაწილობრივ (არანაკლებ 50%-ისა) შეტანამდე. ასეთ შემთხვევაში ბრალდებული პატიმრობიდან უნდა გათავისუფლდეს მას შემდეგ, რაც გირაოს თანხის შეტანას ან გირაოს ნაცვლად შესაბამისი ღირებულების უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას დაადასტურებს ორგანო, რომლის დეპოზიტზეც შეიტანება გირაო – წინასწარი გამოძიების ეტაპზე – პროკურორი, სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას – სასამართლო, ანუ თუ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია პატიმრობა გირაოს შეტანამდე, მას საპყრობილის ადმინისტრაცია პატიმრობიდან ათავისუფლებს არა გირაოს გადახდის შესახებ დოკუმენტის წარდგენით, არამედ – გირაოს შეტანის შესახებ იმ ორგანოს (პროკურორის ან სასამართლოს) დადასტურებით, რომლის დეპოზიტზეც შეიტანება გირაო.

10. გირაოს სრული მოცულობით ან ნაწილობრივ შეტანამდე ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების შერჩევის შემთხვევაში არ იგულისხმება, რომ ბრალდებულის მიმართ ერთდროულად შერჩეულია აღკვეთის ღონისძიების ორი სახე – დაპატიმრება და გირაო, რადგანაც გირაო, როგორც აღკვეთის ღონიძიება, მოქმედებას იწყებს არა გირაოს შერჩევის შესახებ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან, არამედ – გირაოს სახით განსაზღვრული თანხის შესაბამის დეპოზიტზე შეტანის ან შესაბამისი ღირებულების ქონებაზე ყადაღის დადების ფაქტის იმ ორგანოს მიერ დადასტურებიდან, რომლის დეპოზიტზეც შეიტანება გირაო, ანუ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება – გირაოს შეტანის დადასტურებამდე, ხოლო გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიება, მოქმედებას იწყებს უფლებამოსილი პირის მიერ გირაოს შეტანის დადასტურების შემდეგ.

11. დაპატიმრება გირაოს სრული მოცულობით (ან ნაწილობრივ) შეტანამდე გამოიყენება როგორც პროკურორის შუამდგომლობით, ასევე – სასამართლოს ინიციატივითაც, ოღონდ, იმ პირობით, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს პროკურორის მოთხოვნას ბრალდებულის საზიანოდ: სასამართლო ვერ გამოიყენებს დაპატიმრებას გირაოს გადახდამდე, თუ პროკურორი არ შუამდგომლობს გირაოს გადახდამდე დაპატიმ-

რების გამოყენების შესახებ. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, გამოიყენოს დაპატიმრება გირაოს გადახდამდე, თუ პროკურორი (ან გამომძიებელი პროკურორის თანხმობით) შუამდგომლობს ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების შერჩევის შესახებ, სასამართლო არ აკმაყოფილებს ამ შუამდგომლობას და დაცვის მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით ბრალდებულის მიმართ გამოიყენებს გირაოს და აუცილებლად მიიჩნევს გირაოს შეტანამდე ბრალდებულის დაპატიმრებას.

12. გირაოს შეტანამდე ბრალდებულის მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენება დაუშვებელია იმ შემთხვევებში, როდესაც დაუშვებელია დაპატიმრების გამოყენება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე, 159-ე მუხლების კომენტარები).

13. დაპატიმრება (წინასწარი პატიმრობა) გირაოს სრული მოცულობით (ან ნაწილობრივ) შეტანამდე ბრალდებულის მიმართ გამოიყენება გირაოს შეტანამდე, მაგრამ არა უმეტეს პატიმრობისათვის დადგენილი ვადის – არა უმეტეს ორი თვისა და ამ ვადის ათვლა იწყება დაკავების მომენტიდან (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე, 148-ე მუხლების კომენტარები).

14. გირაოს გამოყენების ყველა შემთხვევაში (არდაკავებისას, დარბაზიდან განთავისუფლებისას, გირაოს შეტანამდე წინასწარი პატიმრობის შერჩევისას) სასამართლო ვალდებულია, მიუთითოს გირაოს შეტანის ვადა. გირაოს შეტანის ვადაზე შეიძლება მიუთითონ შუამდგომლობის (საჩივრის) აღმძვრელმა პირებმა (პროკურორმა, გამომძიებელმა, პროკურორის თანხმობით, ბრალდებულმა, მისმა დამცველმა), თუმცა ეს არის მხარეთა მოსაზრებები და გირაოს შეტანის ვადას საბოლოოდ განსაზღვრავს სასამართლო. გირაოს შეტანის ვადის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება გირაოს ოდენობა, ბრალდებულის (ან მისი სახელით – გირაოს შემტანი პირის) ქონებრივი შესაძლებლობები, საკითხი იმის შესახებ, გირაოს შეტანა უნდა მოხდეს თანხით, თუ შესაბამის ქონებაზე ყადაღის დადებით (რაც მოითხოვს დამატებით დროს), ბრალდებულის პიროვნება და ის გარემოებები, რაც გავლენას ახდენენ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევაზე. გირაოს შეტანამდე წინასწარი პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში გირაოს შეტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 55 დღეს, რადგანაც ამ ვადაში გირაოს შეუტანლობისა და პატიმრობის ვადის გაგრძელების აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს კანონით დადგენილი ვადებისა და პროცედურების დაცვა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე, 153-ე, 162-ე, 163-ე მუხლების კომენტარები).

15. თუ ბრალდებულის მიმართ შერჩეულია წინასწარი პატიმრობა გირაოს შეტანამდე და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მან არ უზრუნველყო გირაოს თანხის შეტანა, ან კანონით დადგენილი წესით არ მოხდა გირაოს ნაცვლად შესაბამისი ღირებულების ქონებაზე ყადაღის დადება, სასამართლოში აღარ შეიტანება შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ გირაოს დაპატიმრებით შეცვლის შესახებ, რადგანაც ბრალდებულს უკვე შერჩეული აქვს წინასწარი პატიმრობა (დაპატიმრება) ორი თვის ვადით, ხოლო გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიება, არ ამოქმედებულა დადგენილ ვადაში მისი შეუტანლობის გამო. ამ შემთხვევაში, თუ გამოძიება ვერ მთავრდება ორთვიან ვადაში, საერთო წესით შეიძლება შეტანილ იქნეს შუამდგომლობა დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე, 163-ე მუხლების კომენტარები).

16. თუ ბრალდებულის მიმართ შერჩეულია გირაო, მის მიმართ არ არის გამოყენებული წინასწარი პატიმრობა გირაოს გადახდამდე და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ მოხდა გირაოს თანხის შეტანა ან კანონით დადგენილი წესით გირაოს სანაცვლოდ – ქონებაზე ყადაღის დადება, ასეთ შემთხვევაში პროკურორი (და არა გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით) სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით ბრალდებულის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. პროკურორი აღარ არის ვალდებული, ამტკიცოს მის მიერ მოთხოვნილი უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახის მიზანშეწონილობა და უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობა.

17. თუ ბრალდებული ან მისი დამცველი სასამართლოს მიერ გირაოს შეტანისათვის დაწესებულ ვადაში პროკურორს (ან გამომძიებელს) წარუდგენს სრულყოფილ დოკუმენტაციას გირაოს ნაცვლად უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების საკითხზე სასამართლოსათვის შუამდგომლობის წარსადგენად, ითვლება, რომ არ დარღვეულა გირაოს შეტანის სასამართლოს მიერ დაწესებული ვადა, თუნდაც გირაოს თანხის ნაცვლად ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოში პროკურორის მიერ (გამომძიებლის მიერ, პროკურორის თანხმობით) შუამდგომლობის შეტანისას და სასამართლოს მიერ ამ შუამდგომლობის განხილვა-გადაწყვეტისას უკვე გასული იყოს სასამართლოს მიერ გირაოს შეტანისათვის დაწესებული ვადა.

18. თუ გირაო შეაქვს ბრალდებულს, მას ხელწერილის ჩამორთმევით (ან ოქმის შედგენით) განემარტება, რომ ვალდებულია, გამოცხადდეს გამოძახების შესაბამისად: გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში. მას ასევე განემარტება, რომ თუ მიიმალება, არასაპატიო მიზეზით თავს აარიდებს გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებას, გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, ხოლო გირაოს თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, უძრავი ქონება კი გადაეცემა სახელმწიფოს. ხელწერილი ბრალდებულს შეიძლება ჩამოართვას (ოქმი შეიძლება შეადგინოს) გამომძიებელმა და იგი დაერთვება სისხლის სამართლის საქმეს. ზემოაღნიშნული ვალდებულებები ბრალდებულს შეიძლება, განუმარტოს სასამართლომ, რაც შეიტანება სხდომის ოქმში ან ფორმდება ცალკე, წერილობით.

19. გირაოს შეტანა შეუძლია ბრალდებულს (განსასჯელს) ან მისი სახელით – ნებისმიერ სხვა პირს. თუ გირაო შეაქვს არა ბრალდებულს, არამედ მისი სახელით – სხვა პირს, მას ჩამოერთმევა ხელწერილი (ან შედგება ოქმი), რომლითაც განემარტება, რომ ვალდებულია, უზრუნველყოს ბრალდებულის სათანადო ქცევა და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში დროული გამოცხადება, მას ასევე განემარტება, რომ თუ ბრალდებული (განსასჯელი) მიიმალა, არასაპატიო მიზეზით თავი აარიდა გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებას, გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, ხოლო გირაოს თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, უძრავი ქონება კი გადაეცემა სახელმწიფოს. ბრალდებულის სათანადო ქცევაში იგულისხმება ისეთი ქცევა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლით. თუ ბრალდებულის მიმართ გირაოს შერჩევის შესახებ შუამდგომლობს პროკურორი ან გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით და წინასწარ ცნობილია, რომ გირაო ბრალდებულის სახელით შეაქვს სხვა პირს,

ან თუ სასამართლოს მიერ ბრალდებულის მიმართ გირაოს შერჩევის შემდეგ გაირკვა, რომ ბრალდებულის სახელით გირაოს შეტანა სურს სხვა პირს, ზემოაღნიშნულ ხელწერილს (ოქმს) აფორმებს გამომძიებელი (ან პროკურორი) და დაერთვება სისხლის სამართლის საქმეს. თუ გირაოს შერჩევა ხდება დაცვის მხარის მოთხოვნის საფუძველზე და ცნობილია, რომ გირაო შეაქვს ბრალდებულის სახელით – სხვა პირს, ამ პირს სასამართლო განუმარტავს ამის თაობაზე, რაც შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში ან ფორმდება ცალკე, წერილობით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის კომენტარები).

20. თუ ბრალდებულის ან განსასჯელის სახელით გირაოს შემტანი პირი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წერილობით მიმართავს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, რომ ის ვერ (ვეღარ) უზრუნველყოფს ბრალდებულის ან განსასჯელის სათანადო ქცევას და მის დროულ გამოცხადებას გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში, ამ (პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის წერილობითი მიმართვის) დროიდან გირაოს შემტანი პირი პასუხს აღარ აგებს ბრალდებულის ქცევაზე და მას ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით), უძრავი ქონება, ხოლო ბრალდებულის ან განსასჯელის მიმართ შეიძლება, შეირჩეს აღკვეთის უფრო მკაცრი ღონისძიება.

21. ვალდებულებათა დარღვევისა და არასათანადო ქცევის გამო ბრალდებულის მიმართ გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შემთხვევაში, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში, გირაოს თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო თუ გირაოს ნაცვლად დაყადაღებული იყო უძრავი ქონება, ეს ქონება გადაეცემა სახელმწიფოს.

22. ბრალდებულს (განსასჯელს) ან მისი სახელით – გირაოს შემტან პირს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება, თუ ბრალდებული (განსასჯელი) ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდა ვალდებულებებს და მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ზემოაღნიშნული პირობების არსებობისას გირაოს თანხა (ან ქონება) ექვემდებარება დაბრუნებას გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაშიც.

მუხლი 169. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368)

მუხლი 170. პირადი თავდებობა

1. **პირადი თავდებობისას სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით მათთან გამოცხადებას.**
2. **თავდებთა რიცხვს განსაზღვრავს ორგანო, რომელიც აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეს. გამონაკლის შემთხვევაში თავდები შეიძლება იყოს ერთი განსაკუთრებით სანდო პირი.**
3. **პირადი თავდებობის არჩევა დასაშვებია მხოლოდ თავდებთა შუამავლობით ან თანხმობით, აგრეთვე ბრალდებულის თანხმობით.**
4. **თავდებს უნდა გააცნონ იმ ბრალდების არსი, რომელთან დაკავშირებითაც არჩეულია ეს აღკვეთის ღონისძიება, სასჯელი, რომელიც შეიძლება დაენიშნოს ბრალდებულს, და პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრება თავდებს, თუ ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც გამოყენებულ იქნა თავდებობა. გარდა ამისა, თითოეული თავდები იძლევა ხელწერილს თავდებობის შესახებ, რომელიც დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს.**
5. **თავდებს შეუძლია უარი თქვას ნაკისრ ვალდებულებაზე იმ საფუძვლის გამოვლენამდე, რომელსაც მისი პასუხისმგებლობა მოსდევს. თავდებს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლება არა აქვს თავი იმართლოს იმით, რომ ბრალდებულის საქციელის კონტროლის შესაძლებლობა არ ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის მოქმედებას.**
6. **თუ ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც გამოყენებულ იქნა თავდებობა, თითოეულ თავდებს სასამართლომ შეიძლება დააკისროს ფულადი სახდელი შრომის ანაზღაურების ას მინიმალურ ოდენობამდე, 206-ე მუხლით დადგენილი წესით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368)

1. პირადი თავდებობის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ თავდებ პირთა და ბრალდებულის თანხმობით, ანუ, თუ თავდებად დასახელებული პირი არ არის თანახმა, იკისროს პირადი თავდებობა, ან ბრალდებული არ არის თანახმა, მისი პირადი თავდები იყოს ესა თუ ის პირი, ამ პირის პირადი თავდებობის გამოყენება დაუშვებელია.

2. თავდებობის გამოყენება დასაშვებია თავდებ პირთა მიერ ნაკისრი წერილობითი ვალდებულებით, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით მათთან გამოცხადებას. ბრალდებულის სათანადო ქცევაში იგულისხმება ისეთი ქცევა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის კომენტარები).

3. თავდებ პირს უნდა გააცნონ ბრალდების არსი, სასჯელის სახე და ზომა, რომელიც შეიძლება დაენიშნოს ბრალდებულს, ასევე უნდა განუმარტონ, რომ, თუ ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას და მის გამოცხადებას გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში, თავდებს სასამართლოს დადგენილებით შეიძლება დაეკისროს ფულადი სახდელი შრომის ანაზღაურების ას მინიმალურ ოდენობამდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის კომენტარები).

4. თუ ბრალდებულის მიმართ პირადი თავდებობის შერჩევის შესახებ შუამდგომლობს პროკურორი ან გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით, პირადი თავდებობის შესახებ წერილობითი ვალდებულება წარედგინება გამომძიებელს, ასევე თავდებისთვის უფლება-მოვალეობათა და შესაძლო პასუხისმგებლობის განმარტებას წერილობით აფორმებს გამომძიებელი და დაერთვება სისხლის სამართლის საქმეს. თუ პირადი თავდებობის შერჩევა ხდება დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თავდების თანხმობის საკითხს არკვევს, მას თავის უფლება-მოვალეობებს და შესაძლო პასუხისმგებლობას განუმარტავს სასამართლო, რაც შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში ან ფორმდება ცალკე, წერილობით.

5. პირად თავდებს ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის შეიძლება, არ დაეკისროს პასუხისმგებლობა ორ შემთხვევაში:

– თუ პროცესის მწარმოებელ ორგანოს მიმართავს წერილობით და უარს იტყვის ნაკისრ ვალდებულებაზე იმ საფუძვლის გამოვლენამდე, რასაც მისი პასუხისმგებლობა მოსდევს;

– თუ დაამტკიცებს, რომ მის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოიწვია დაუძლეველი ძალის მოქმედებამ.

6. თუ ბრალდებულის მიმართ პირადი თავდებობის შერჩევის შესახებ შუამდგომლობს პროკურორი ან გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით, თავდებ პირთა რაოდენობას ისინი მიუთითებენ შუამდგომლობაში, ხოლო თუ პირადი თავდებობის შერჩევა ხდება დაცვის მხარის შუამდგომლობით, თავდებთა რაოდენობას დაცვის მხარის მიერ მითითებულ პირთაგან განსაზღვრავს სასამართლო. თავდები, როგორც წესი, უნდა იყოს არანაკლებ ორი პირი. გამონაკლის შემთხვევაში თავდები შეიძლება იყოს ერთი, განსაკუთრებით სანდო პირიც. თავდების სანდოობა განისაზღვრება არა მისდამი მხარის ნდობით, არამედ ის ზოგადად, ობიექტურად სანდო პირი უნდა იყოს და ეს საკითხი უნდა შეაფასოს სასამართლომ.

7. პირადი თავდებობის გამოყენების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება არა მარტო ის, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა პირადი თავდებობა, არამედ აუცილებლად უნდა მიეთითოს თავდებ პირთა ვინაობაც (საიდენტიფიკაციო მონაცემები).

მუხლი 171. არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა

1. მშობლების, მეურვეების, მზრუნველების ან დახურული საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის მეთვალყურეობაში გადაცემის მიზანია, აღნიშნულ პირთაგან ერთ-ერთმა ან ადმინისტრაციამ იკისროს წერილობითი ვალ-

დებულება, რომ უზრუნველყოფს არასრულწლოვანი ბრალდებულის გამოცხადებას გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში, აგრეთვე მის სათანადო ქცევას.

2. **არასრულწლოვნის გადაცემა მშობლების, მეურვეების, მზრუნველების ან სხვა პირების მეთვალყურეობაში შეიძლება მხოლოდ ამ პირთა და თავად არასრულწლოვნის თანხმობით.**
3. **არასრულწლოვნის მეთვალყურეობაში გადაცემის წინ გამომძიებელმა, პროკურორმა, სასამართლომ უნდა შეკრიბონ ცნობები მშობლების, მეურვეების ან მზრუნველების პიროვნების, არასრულწლოვანთან მათი ურთიერთობის შესახებ და დარწმუნდნენ, რომ მათ შეუძლიათ სათანადოდ განახორციელონ მასზე მეთვალყურეობა.**
4. **მშობლებს, მეურვეებს, მზრუნველებს უფლება აქვთ ნებისმიერ მომენტში უარი თქვან არასრულწლოვნის მეთვალყურეობაზე ავადმყოფობის, ოჯახში ურთიერთობის გაუარესების, სხვა მიზეზების გამო, რომლებიც გამორიცხავენ არასრულწლოვნის სათანადო ქცევის შესაძლებლობას.**
5. **მშობელს, მეურვეს, მზრუნველს, დახურული საბავშვო დაწესებულების ხელმძღვანელს ხელწერილის ჩამორთმევისას უნდა გააცნონ იმ ბრალდების არსი, რომელთან დაკავშირებითაც არჩეულია ეს აღკვეთის ღონისძიება, სასჯელი, რომლიც შეიძლება დაენიშნოს ბრალდებულს და პასუხისმგებლობა, რომელიც მათ დაეკისრებათ, თუ არასრულწლოვანი ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც იგი გადაეცა მეთვალყურეობაში. ეს ცნობები უნდა აისახოს მეთვალყურეობაში გადაცემის ოქმში ან სასამართლო სხდომის ოქმში.**
6. **პირს, რომელიც მეთვალყურეობს არასრულწლოვანს, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლება არა აქვს თავი იმართლოს იმით, რომ ბრალდებულის საქციელის კონტროლის შესაძლებლობა არ ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის მოქმედებას.**
7. **თუ არასრულწლოვანი ბრალდებული არ შეასრულებს თავის მოვალეობას, პირს, რომელიც მას მეთვალყურეობს, სასამართლომ შეიძლება დააკისროს ფულადი სახდელი შრომის ანაზღაურების ას მინიმალურ ოდენობამდე, 206-ე მუხლით დადგენილი წესით.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65)

1. თვრამეტ წელს მიუღწეველ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეიძლება შეერჩეს:

– ან მშობლების,

– ან მეურვეების,

– ან მზრუნველების,

– ან საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის მეთვალყურეობაში გადაცემა.

2. არასრულწლოვანი ბრალდებული მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაეცეს მეურვის, მზრუნველის ან საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის მეთვალყურეობაში, როდესაც კანონით დადგენილი წესით გაფორმებულია მეურვეობა ან მზრუნველობა, ან არასრულწლოვანი მოთავსებულია საბავშვო დაწესებულებაში.

3. არასრულწლოვნის გადაცემა მეთვალყურეობაში დასაშვებია მხოლოდ არასრულწლოვანი ბრალდებულისა და იმ პირის (პირთა) თანხმობით, ვისაც ბრალდებული უნდა გადაეცეს სამეთვალყურეოდ.

4. მეთვალყურეობაში გადაცემის საკითხის გადაწყვეტამდე გამომძიებელმა, პროკურორმა, სასამართლომ უნდა შეკრიბონ შესაბამისი ინფორმაცია მშობლების, მეურვეების, მზრუნველების პიროვნების, არასრულწლოვნისა და ამ პირთა ურთიერთობის შესახებ იმ საკითხის გადასაწყვეტად, შეუძლიათ თუ არა ამ პირებს სათანადოდ განახორციელონ არასრულწლოვნის მეთვალყურეობა.

5. პირი, რომელსაც გადაეცემა არასრულწლოვანი ბრალდებული სამეთვალყურეოდ, ვალდებულია, უზრუნველყოს ბრალდებულის გამოცხადება გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში, აგრეთვე – მისი სათანადო ქცევა. ბრალდებულის სათანადო ქცევაში იგულისხმება ისეთი ქცევა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის კომენტარები).

6. პირს, რომელსაც უნდა გადაეცეს არასრულწლოვანი ბრალდებული სამეთვალყურეოდ, უნდა გააცნონ ბრალდების არსი, სასჯელის სახე და ზომა, რომელიც შეიძლება დაენიშნოს ბრალდებულს, ასევე უნდა განუმარტონ, რომ, თუ ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას და მის გამოცხადებას გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში, სასამართლოს დადგენილებით შეიძლება, დაეკისროს ფულადი სახდელი შრომის ანაზღაურების ას მინიმალურ ოდენობამდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულ საკითხთა განმარტების შესახებ პირს ჩამოერთმევა ხელწერილი, რომელიც დაერთვის საქმეს. ეს მონაცემებიც უნდა აისახოს სამეთვალყურეოდ გადაცემის ოქმში ან სასამართლო სხდომის ოქმში. (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის კომენტარები).

7. მეთვალყურეობის განმახორციელებელ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ მომენტში უარი თქვას არასრულწლოვნის მეთვალყურეობაზე ავადმყოფობის, ოჯახში ურთიერთობის გაუარესების ან სხვა მიზეზით, რომელიც გამორიცხავს მეთვალყურის მიერ არასრულწლოვანი ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფის შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულის შესახებ მეთვალყურემ წერილობით უნდა მიმართოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, რის შემდეგაც მას, როგორც მეთვალყურეს, აღარ დაეკისრება პასუხისმგებლობა მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის.

8. მეთვალყურეს უფლება არა აქვს, თავი იმართლოს იმით, რომ ბრალდებულის საქციელის კონტროლის შესაძლებლობა არ ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის მოქმედებას.

9. არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით მეთვალყურეობაში გადაცემის შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ მხედველობაში უნდა

მიიღოს, რომ 18 წლის შესრულების შემდეგ სისხლის სამართლის პროცესი პირის მიმართ გრძელდება ჩვეულებრივი წესით. ამიტომაც სასამართლომ მეთვალყურეობაში გადაცემის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოს, თუ რა დრო რჩება პირის სრულწლოვანებამდე და რა დრო დასჭირდება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას. მაგალითად, თუ სრულწლოვანებამდე პირს დარჩენილი აქვს ოთხი თვე და, სისხლის სამართლის საქმის სირთულიდან და სხვა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ ვადაში გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დამთავრება, უმჯობესია, პირის მიმართ გამოყენებულ იქნეს არა მეთვალყურეობაში გადაცემა, არამედ, მაგალითად, იმ პირთა პირადი თავდებობა, ვისაც უნდა გადასცემოდა ის სამეთვალყურეოდ.

10. თუ არასრულწლოვნის მიმართ შერჩეული იყო მეთვალყურეობაში გადაცემა და იგი გახდა სრულწლოვანი, ხოლო სისხლის სამართლის საქმის წარმოება (გამოძიება ან სასამართლო განხილვა) გრძელდება, უნდა დაისვას საკითხი პირის მიმართ სხვა აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ. მხოლოდ ეს გარემოება (18 წლის შესრულება) არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პირის მიმართ დაპატიმრების შერჩევას, თუ მას არ ჩაუდენია ისეთი ქცევა, რაც იწვევს დაპატიმრების გამოყენების აუცილებლობას.

11. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით მეთვალყურეობაში გადაცემის გამოყენების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება არა მარტო ის, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა მეთვალყურეობაში გადაცემა, არამედ, აუცილებლად უნდა მიეთითოს მეთვალყურეთა ვინაობაც (საიდენტიფიკაციო მონაცემები).

12. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას გასათვალისწინებელ ზოგიერთ სპეციფიკურ გარემოებათა შესახებ საუბარია ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 649-ე, 650-ე, 652-ე მუხლებში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 649-ე, 650-ე, 652-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 172. სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა

1. ბრალდებული, რომელიც ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურე ან სასწავლო შეკრებაზე გაწვეული სამხედროვალდებულია, სასამართლო ბრძანებით შეიძლება გადაეცეს სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობის მეთვალყურეობაში.

2. სარდლობის მეთვალყურეობა გულისხმობს შეიარაღებული ძალების წესდებით გათვალისწინებული ზომების მიღებას ბრალდებულის სათანადო ქცევის და გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით მათთან გამოცხადების უზრუნველსაყოფად.

3. ამ აღკვეთის ღონისძიების მოქმედების პერიოდში ბრალდებული არ უნდა დაინიშნოს გუშაგად და სხვა პასუხსაგებ განწესში. მას უნდა ჩამოერთვას მშვიდობიან დროში იარაღის ტარების უფლება, არ გაიგზავნოს ნაწილის გარეთ მარტო სამუშაოდ, არ განთავისუფლდეს ნაწილიდან და იმყოფებოდეს მეთაურებისა და უფროსების მეთვალყურეობაში.

4. სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობას უნდა განემარტოს იმ ბრალდების არსი, რომელთან დაკავშირებითაც შერჩეულია ეს აღკვეთის ღონისძიება.

5. სასამართლო ბრძანება (განჩინება) ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლისა თუ გაუქმების შესახებ სავალდებულოა სარდლობისათვის.

6. მეთვალყურეობის დაწესების შესახებ სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობა ატყობინებს თანამდებობის პირს ან ორგანოს, რომელმაც ეს აღკვეთის ღონისძიება შეარჩია.

7. სამხედრო მეთაური, რომელსაც სამეთვალყურეოდ გადაეცა ბრალდებული, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს ამ ბრალდებულის არასათანადო ქცევის შესახებ, რომლის თავიდან ასაცილებლადაც შერჩეულ იქნა ეს აღკვეთის ღონისძიება. ამ შემთხვევაში უნდა შეირჩეს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368)

1. ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრალდებულის მიმართ, რომელიც არის:

– სავალდებულო (მათ შორის – ვადიან საკონტრაქტო) სამხედრო სამსახურში მყოფი პირი;

– სასწავლო შეკრებაზე გაწვეული სამხედროვალდებული პირი.

2. სარდლობის მეთვალყურეობა არ გამოიყენება ოფიცრების მიმართ.

3. სარდლობის მეთვალყურეობაში გადაცემის გამოყენებისათვის საჭირო არ არის სარდლობის (სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობის) წინასწარი თანხმობა. პირიქით, სასამართლოს ბრძანება სარდლობის მეთვალყურეობის გამოყენების შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად სარდლობისათვის (სამხედრო ნაწილის მეთაურებისათვის), თუმცა, როგორც წესი, ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევამდე უნდა გაირკვეს სამხედრო ნაწილის მეთაურების პოზიცია, ხოლო სარდლობის მეთვალყურეობის შერჩევისას ერთ-ერთი გარემოება, რომელიც უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ, არის სარდლობის მიერ ბრალდებულის დახასიათება, რათა შეფასდეს, რამდენად იქნება შესაძლებელი სარდლობის მეთვალყურეობის შერჩევით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველყოფა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის კომენტარები).

4. სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობას უნდა განემარტოს იმ ბრალდების არსი, რომელთან დაკავშირებითაც შერჩეულია ეს აღკვეთის ღონისძიება. თუ სარდლობის მეთვალყურეობის შერჩევის შესახებ შუამდგომლობს პროკურორი ან გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით, განმარტება შესაბამისი ოქმის შედგენით შეიძლება წინასწარ (სასამართლო სხდომამდე) გააკეთოს გამომძიებელმა ან პროკურორმა და ოქმი დაერთვება სისხლის სამართლის საქმეს. სასამართლო სხდომაზე განმარტება შეიძლება გააკეთოს მოსამართლემ, თუ შესაბამისი პირი ესწრება სხდომას და ეს აისახება სასამართლო სხდომის ოქმში. თუ სარდ-

ლობის მეთვალყურეობის შერჩევა ხდება დაცვის მხარის ინიციატივით და შესაბამისი პირი არ ესწრება სხდომას, განმარტებას შემდგომში გააკეთებს გამომძიებელი ან პროკურორი შესაბამისი ოქმის შედგენით, რომელიც საქმეს დაერთვება.

5. სარდლობის მეთვალყურეობაში გადაცემა გულისხმობს სარდლობის ვალდებულებას, უზრუნველყოს ბრალდებულის სათანადო ქცევა და მისი გამოცხადება გამოძახების შესაბამისად: გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში. ბრალდებულის სათანადო ქცევაში იგულისხმება ისეთი ქცევა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის კომენტარები).

6. სარდლობას უნდა განემარტოს, რომ ის ბრალდებული (სამხედრო მოსამსახურე), რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია სარდლობის მეთვალყურეობა, ამ აღკვეთის ღონისძიების მოქმედების პერიოდში არ უნდა დაინიშნოს გუშაგად და სხვა პასუხსაგებ განწესში. მას უნდა ჩამოერთვას მშვიდობიან დროში იარაღის ტარების უფლება, არ გაიგზავნოს ნაწილის გარეთ მარტო სამუშაოდ, არ გათავისუფლდეს ნაწილიდან და იმყოფებოდეს მეთაურებისა და უფროსების მეთვალყურეობაში.

7. ბრალდებულის მიმართ მეთვალყურეობის დაწესების შესახებ სარდლობამ უნდა შეატყობინოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს – წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამომძიებელს ან პროკურორს, სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას – მოსამართლეს, სასამართლოს.

8. სამხედრო მეთაური, რომელსაც სამეთვალყურეოდ გადაეცა ბრალდებული, ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს ამ ბრალდებულის არასათანადო ქცევის შესახებ, რომლის თავიდან ასაცილებლადაც შეირჩა ეს აღკვეთის ღონისძიება. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესების დაცვით უნდა დაისვას საკითხი ბრალდებულის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ.

9. ბრალდებულის მიმართ სარდლობის მეთვალყურეობაში გადაცემის შერჩევისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, თუ რა დრო რჩება სამხედრო სამსახურის (კონტრაქტის, სასწავლო შეკრების) ვადის დამთავრებამდე და რა დრო დასჭირდება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას. მაგალითად, თუ ვადის დამთავრებამდე დარჩენილია ორი თვე და, სისხლის სამართლის საქმის სირთულიდან და სხვა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ამ ვადაში გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დამთავრება, უმჯობესია, პირის მიმართ გამოყენებულ იქნეს არა სარდლობის მეთვალყურეობაში გადაცემა, არამედ – სხვა აღკვეთის ღონისძიება (მაგალითად, გირაო), ვინაიდან სამხედრო სამსახურის (კონტრაქტის, სასწავლო შეკრების) ვადის გასვლის შემდეგ სარდლობის მეთვალყურეობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, ვეღარ იმოქმედებს.

10. თუ პირის მიმართ შერჩეულია სარდლობის მეთვალყურეობა, გავიდა სამხედრო სამსახურის (კონტრაქტის, სასწავლო შეკრების) ვადა, ხოლო სისხლის სამართლის საქმის წარმოება (გამოძიება ან სასამართლო განხილვა) გრძელდება, უნდა დაისვას საკითხი პირის მიმართ სხვა აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ. მხოლოდ ეს გარემოება (სამხედრო სამსახურის, კონტრაქტის, სასწავლო შეკრების ვადის გასვლა) არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პირის მიმართ დაპატიმრების შერჩევას, თუ მას არ ჩაუდენია ისეთი ქცევა, რაც იწვევს დაპატიმრების გამოყენების აუცილებლობას.

თავი XXI
მოყვანა

მუხლი 173. გამოცხადების სავალდებულოობა

1. **პირები, რომლებსაც კანონით დადგენილი წესით იძახებენ გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ზუსტად დანიშნულ დროს. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროცესის მონაწილენი შეიძლება იძულებით მოიყვანონ.**
2. **ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის იძულებით მოყვანა დაიშვება მხოლოდ პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოტივირებული დადგენილებით (განჩინებით).**

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. კანონით დადგენილი წესით გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში გამოძახებული პირები ვალდებული არიან, გამოცხადდნენ ზუსტად დანიშნულ დროს.

2. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოძახებული პირი (პროცესის მონაწილე) შეიძლება, იძულებით მიიყვანონ გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში.

3. ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის იძულებით მოყვანა ხორციელდება მხოლოდ პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირების – გამომძიებლის, პროკურორის მოტივირებული დადგენილებით და ამისათვის საჭირო არ არის სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვა და მოყვანის შესახებ სასამართლო ბრძანების მიღება.

4. განსასჯელის იძულებით მოყვანა შეიძლება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) მოტივირებული დადგენილებით (განჩინებით).

5. მოწმის ან დაზარალებულის იძულებით მოყვანა პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დასაშვებია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების (ბრძანება – წინასწარი გამოძიებისას, დადგენილება ან განჩინება – სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას) საფუძველზე.

მუხლი 174. მოსაყვანი პირი

1. **მოყვანა ხორციელდება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საგამოძიებო მოქმედებაში ან სასამართლო სხდომაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, დაზარალებულის, მოწმის მონაწილეობა, თუ ეს პირები უარს ამბობენ ნებაყოფლობით გამოცხადებაზე და, ამასთან, დადგენილია გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზები.**
2. **ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მოყვანა წინასწარი გამოძახების გარეშე შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული პირები ემალებიან წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს, ან არა აქვთ გარკვეული საცხოვრებელი ადგილი.**
3. **განსასჯელის მოყვანა სასამართლოში მისი გამოუცხადებლობის მიზეზის წინასწარი გარკვევის გარეშე დაშვებულია განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა საქმის მოსმენა უნდა გადაიდოს განსასჯელის დაუსწრებლობისა და, ამასთანავე, იმის გამო, რომ არ არსებობს ცნობები მისი ადგილსამყოფლის შესახებ.**
4. **როგორც წესი, არ შეიძლება 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა, ფეხმძიმე ქალთა და მძიმე ავადმყოფთა მოყვანა.**
5. **საქმის სასამართლოში განხილვისას არ შეიძლება დაზარალებულის მოყვანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე და 141-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსამართლეს მიაჩნია, რომ მისი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმის გადაწყვეტა.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. მოყვანის მიზანია საგამოძიებო მოქმედებაში ან სასამართლო სხდომაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, დაზარალებულის, მოწმის მონაწილეობის უზრუნველყოფა.

2. იძულებით მოყვანის ზოგადი წინაპირობაა პირის გამოძახება კანონით დადგენილი წესით, მის მიერ ნებაყოფლობით გამოცხადებაზე უარის თქმა და გამოუცხადებლობის არასაპატიოობის დადგენა (გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არარსებობა).

3. მოწმის ან დაზარალებულის მოყვანა, მათი წინასწარი გამოძახების, მათ მიერ ნებაყოფლობით გამოცხადებაზე უარის თქმის, გამოუცხადებლობის მიზეზების (არასაპატიოობის) გარკვევის გარეშე, დაუშვებელია.

4. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის იძულებით მოყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა, მათი წინასწარი გამოძახების გარეშე დასაშვებია, თუ ისინი ემალებიან გამოძიებას ან სასამართლოს, ან არა აქვთ გარკვეული საცხოვრებელი ადგილი.

5. განსასჯელის მოყვანა სასამართლოში, მისი გამოუცხადებლობის მიზეზის წინასწარი გარკვევის გარეშე, დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის საქმის მოსმენა უნდა გადაიდოს განსასჯელის დაუსწრებლობისა და, ამასთანავე, იმის გამო, რომ არ არსებობს ცნობები მისი ადგილსამყოფლის შესახებ.

6. როგორც წესი, არ შეიძლება 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა, ფეხმძიმე ქალთა და მძიმე ავადმყოფთა იძულებით მოყვანა, თუმცა სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა და ამ პირთა ჩვენების სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობისა და აუცილებლობის გათვალისწინებით, შესაძლებელია, სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება მათი იძულებით მოყვანის შესახებ.

7. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას, როგორც წესი, არ შეიძლება დაზარალებულის იძულებით მოყვანა შემდეგ დანაშაულთა საქმეებზე:

– სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან (სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლი);

– გარყვნილი ქმედება (სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლი).

8. თუმცა, თუ მოსამართლეს (სასამართლოს) მიაჩნია, რომ დაზარალებულთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტა, მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, გამოიტანოს დადგენილება (განჩინება) ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე დაზარალებულის იძულებით მოყვანის შესახებ.

მუხლი 175. მოსამართლის ბრძანება და სასამართლო განჩინება (დადგენილება) მოყვანის შესახებ

1. **გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლე გასცემს ბრძანებას წინასწარი გამოძიების ადგილას გარკვეული პირის იძულებით მოყვანის შესახებ, ხოლო სასამართლოს, რომელიც საქმეს განიხილავს, გამოაქვს დასაბუთებული განჩინება (დადგენილება) აღნიშნული პირის მოყვანის თაობაზე.**
2. **მოყვანის შესახებ ბრძანებაში ან განჩინებაში (დადგენილებაში) აღნიშნული უნდა იყოს: მოსაყვანი პირის სახელი, გვარი, საპროცესო მდგომარეობა, საცხოვრებელი ან სამსახურის ადგილი; მისი მოყვანის გამოყენების საფუძვლები; როდის, სად უნდა მიიყვანონ პირი, რომელსაც მოყვანა შეეფარდა; ვის ევალება მოყვანის განხორციელება.**
3. **მოყვანის შესახებ სასამართლო ბრძანების გაცემამდე ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) გამოტანამდე მოწმდება მოსაყვანი პირის გამოუცხადებლობის მიზეზი.**
4. **სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. წინასწარი გამოძიების ეტაპზე ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის იძულებით მოყვანის შესახებ გამომძიებელს (პროკურორს) გამოაქვს დასაბუთებული (მოტივირებული) დადგენილება.

2. წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოწმის, დაზარალებულის იძულებით მოყვანის შესახებ სასამართლო გასცემს დასაბუთებულ ბრძანებას გამომძიებლის (პროკურორის) შუამდგომლობის საფუძველზე.

3. შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. როგორც შუამდგომლობაში, ასევე სასამართლოს ბრძანებაში უნდა მიეთითოს მოსაყვანი პირის სახელი, გვარი, საპროცესო მდგომარეობა, საცხოვრებელი ან სამსახურის ადგილი, მოყვანის გამოყენების საფუძვლები, როდის და სად (ვისთან) უნდა მიიყვანონ იგი, ვის ევალება მოყვანის განხორციელება.

4. მოყვანის შესახებ ბრძანების გაცემამდე უნდა შემოწმდეს, გამოძახებული იყო თუ არა პირი, რომლის იძულებით მოყვანასაც ითხოვენ კანონით დადგენილი წესით, ასევე უნდა გაირკვეს მისი გამოუცხადებლობის მიზეზი. ამიტომ სასამართლოში შეტანილ შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს შესაბამისი მასალები (ან ასლები), რომლებითაც შესაძლებელი იქნება ზემოაღნიშნული საკითხების გარკვევა.

5. სასამართლო უფლებამოსილია, წინასწარი გამოძიების ეტაპზე პირის იძულებით მოყვანის შესახებ გამომძიებლის (პროკურორის) შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

6. სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას პირის იძულებით მოყვანის შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს მოტივირებული დადგენილება (განჩინება).

მუხლი 176. მოყვანის შესახებ სასამართლო ბრძანებისა და განჩინების (დადგენილების) აღსრულება

1. მოყვანის შესახებ სასამართლო ბრძანება ან განჩინება (დადგენილება) აღსასრულებლად გადაეცემა პოლიციის ორგანოს.

2. როცა მოსაყვან პირს აღმოაჩენენ, პოლიციის მუშაკი მას ხელწერილით აცნობს სასამართლო ბრძანებას ან განჩინებას (დადგენილებას) მოყვანის შესახებ და მიჰყავს იმ ორგანოში, რომელიც აღნიშნულია ბრძანებაში ან განჩინებაში (დადგენილებაში). ამასთან, ბრძანებაზე ან განჩინებაზე (დადგენილებაზე) უნდა გაკეთდეს ჩანაწერი პირის აღმოჩენის დროისა და ადგილის, მოყვანის დროის, აგრეთვე მოყვანასთან დაკავშირებით მისი განცხადებების, საჩივრებისა და შუამდგომლობების შესახებ.

3. თუ პოლიციის მუშაკი დაადგენს, რომ მოყვანა შეუძლებელია სათანადო პირის გაქცევის, შვებულების, მივლინების, მძიმე ავადმყოფობისა და სხვა მიზეზების გამო, ამის თაობაზე ის აკეთებს ჩანაწერს მოყვანის შესახებ სასამართლო ბრძანებაზე ან განჩინებაზე (დადგენილებაზე) და აღსრულების გარეშე უბრუნებს განჩინების (დადგენილების) გამომტან მოსამართლეს ან სასამართლოს თავისი ახსნა-განმარტებითურთ.

4. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, მოსამართლის, აგრეთვე დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების მოყვანა დაუშვებელია.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისი კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21)

1. პირის მოყვანის შესახებ მოსამართლის (სასამართლო) ბრძანება, დადგენილება (განჩინება) ან წინასწარი გამოძიების ეტაპზე ეჭვმიტანილის, ბრალდებულის იძულებით მოყვანის შესახებ გამომძიებლის (პროკურორის) დადგენილება აღსასრულებლად ყველა შემთხვევაში გადაეცემა პოლიციის ორგანოს.

2. მოსაყვანი პირის აღმოჩენის შემთხვევაში პოლიციის მუშაკი მას ხელწერილით აცნობს მოსამართლის (სასამართლო) ბრძანებას, დადგენილებას (განჩინებას) ან გამომძიებლის (პროკურორის) დადგენილებას მოყვანის შესახებ და მიჰყავს იმ ორგანოში, რომელიც აღნიშნულია ბრძანებაში, დადგენილებაში, განჩინებაში. ამასთან, ბრძანებაზე, დადგენილებაზე, განჩინებაზე უნდა გაკეთდეს ჩანაწერი მოსაყვანი პირის აღმოჩენის დროისა და ადგილის, მოყვანის დროის, აგრეთვე – მოყვანასთან დაკავშირებით მისი განცხადებების, საჩივრებისა და შუამდგომლობების შესახებ. აღნიშნული გარემოებები პოლიციის თანამშრომელმა შესაძლოა, აღწეროს ცალკე ოქმშიც, რომელიც ხელის მოსაწერად უნდა წარუდგინოს მოსაყვან პირს და ოქმი წარადგინოს იმ ორგანოში, სადაც ხორციელდება პირის იძულებით მიყვანა.

3. თუ პოლიციის მუშაკი დაადგენს, რომ მოსაყვანი პირი მიმალულია (გაქცეულია), შვებულებაშია, მივლინებაშია, მძიმე ავადმყოფია, ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია მისი მოყვანა, ამის თაობაზე ის აკეთებს ჩანაწერს მოყვანის შესახებ მოსამართლის (სასამართლო) ბრძანებაზე, დადგენილებაზე (განჩინებაზე) და აღსრულების გარეშე უბრუნებს ორგანოს, სადაც უნდა განხორციელებულიყო პირის იძულებით მოყვანა. ამ ორგანოს პოლიციის თანამშრომელი წარუდგენს ასევე თავის ახსნა-განმარტებას. პოლიციის თანამშრომელი უფლებამოსილია, იძულებით მოყვანის შეუძლებლობის მიზეზების შესახებ მიუთითოს ახსნა-განმარტებაშიც.

4. დაუშვებელია, იძულებით მიყვანილ იქნეს:

– საქართველოს პრეზიდენტი;
– საქართველოს პარლამენტის წევრი;
– საქართველოს სახალხო დამცველი;
– საქართველოს მოსამართლე;
– დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი;
– დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის ოჯახის წევრი.

თავი XXII
პირის მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზის ჩასატარებლად

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368)

მუხლი 177. სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი

1. **თუ სასამართლო-სამედიცინო ან სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის ან ჩატარების დროს დადგება სტაციონარული მეთვალყურეობის საჭიროება, გამომძიებელს, პროკურორს სასამართლო ბრძანების ან განჩინების (დადგენილების) საფუძველზე უფლება აქვთ ბრალდებული, განსასჯელი მოათავსონ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.**
2. **ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის შეიძლება აგრეთვე მოათავსონ პირი, რომლის ფსიქიკური მდგომარეობაც გამორიცხავს ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემასა და ბრალდების წაყენებას, თუმცა არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ მან ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება.**
3. **თუ პირი ბრალდების წაყენებამდე მოთავსებულია სამედიცინო დაწესებულებაში, ექსპერტიზის შედეგების საფუძველზე მას უნდა წაეყენოს ბრალდება, ან ის ცნობილ უნდა იქნეს პირად, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65)

1. სამედიცინო დაწესებულებაში პირი შეიძლება მოთავსდეს ორი სახის ექსპერტიზის ჩასატარებლად:

– სასამართლო-სამედიცინო;

– სასამართლო-ფსიქიატრიული.

2. სტაციონარული ექსპერტიზის დანიშვნისათვის აუცილებელი არ არის, რომ წინასწარ ჩატარებული იყოს არასტაციონარული (ამბულატორიული) ექსპერტიზა. სტაციონარული ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს ორ შემთხვევაში:

– როდესაც ექსპერტიზის დანიშვნისას წინასწარ არის ცნობილი, რომ საჭიროა სტაციონარული ექსპერტიზის ჩატარება. მაგ.: გამომძიებელმა წინასწარ დაკითხა შესაბამისი დარგის სპეციალისტი, გააცნო მას დოკუმენტაცია და მან განმარტა, რომ მოცემული დოკუმენტაციის საფუძველზე პირის ჯანმრთელობის ან ფსიქიკური მდგომარეობის გასარკვევად უშედეგო იქნება ამბულატორიული ექსპერტიზის ჩატარება და ამ საკითხთა გასარკვევად საჭიროა სტაციონარული მეთვალყურეობა;

– ამბულატორიული ექსპერტიზის ჩატარებისას ვერ გაიცა დასკვნა, ან გაიცა შუალედური დასკვნა იმის მითითებით, რომ პირის ჯანმრთელობის ან ფსიქიკური მდგომარეობის გასარკვევად აუცილებელია სტაციონარული მეთვალყურეობა.

3. სტაციონარული ექსპერტიზის ჩასატარებლად სამედიცინო დაწესებულებაში შეიძლება, მოთავსდეს ბრალდებული, განსასჯელი, ასევე – პირი, რომლის ფსიქიკური მდგომარეობაც გამორიცხავს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემას და ბრალდების წაყენებას.

4. თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ ამ პირის ფსიქიკური მდგომარეობის გამო შეიძლება, გამოირიცხოს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა და ბრალდების წაყენება, ამ პირის მიმართ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისა და ბრალდების წარდგენის გარეშე შეიძლება, დაინიშნოს სტაციონარული ექსპერტიზა და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე პირი შეიძლება მოთავსდეს სამედიცინო დაწესებულებაში. ასეთ პირს სტაციონარული ექსპერტიზის შედეგების საფუძველზე შეიძლება, წარედგინოს ბრალდება (თუ ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად შერაცხადი (ან შეზღუდული შერაცხადობის მქონე) პირია) და სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება ან სასამართლო განხილვა გაგრძელდეს საერთო წესებით, ან, თუ ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, პირი შეურაცხადია, მის მიმართ საქმის წარმოება უნდა გაგრძელდეს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სპეციალური წესებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის LXIVL თავის კომენტარები).

მუხლი 178. მოსამართლის ბრძანება და სასამართლო განჩინება (დადგენილება) სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების შესახებ

1. **სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზისათვის პირი თავსდება მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, რომელიც მან გასცა პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის შუამდგომლობით, ანდა საქმის განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული განჩინების (დადგენილების) საფუძველზე.**
2. **პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე სასამართლო ბრძანება და განჩინება (დადგენილება) დგება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ განჩინებისაგან (დადგენილებისაგან) დამოუკიდებლად. მასში უნდა აღინიშნოს: სამედიცინო დაწესებულებაში მოსათავსებელი პირის სახელი, გვარი და საპროცესო მდგომარეობა; სამედიცინო დაწესებულების დასახელება, რომელშიც პირი თავსდება; გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – განკარგულება სამედიცინო დაწესებულებაში პირის ეტაპირების შესახებ.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზისათვის პირი შეიძლება მოთავსდეს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. წინასწარი გამოძიების ეტაპზე სტაციონარული ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს პროკურორს ან გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით.

3. წინასწარი გამოძიების ეტაპზე სტაციონარული ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების შესახებ მოსამართლე გასცემს ბრძანებას, ხოლო შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე (სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებაზე) უარის თქმის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება.

4. სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს დადგენილება (განჩინება).

5. პროკურორის ან პროკურორის თანხმობით, გამომძიებლის შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. როგორც შუამდგომლობაში, ასევე სასამართლოს ბრძანებაში უნდა მიეთითოს სამედიცინო დაწესებულებაში მოსათავსებელი პირის სახელი, გვარი, საპროცესო მდგომარეობა, სამედიცინო დაწესებულება, რომელშიც უნდა მოთავსდეს პირი, მოთავსების ვადა, რა აღკვეთის ღონისძიებაა შერჩეული პირის მიმართ, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძველი. ასევე შესაძლოა, ბრძანებაში მიეთითოს განკარგულება სამედიცინო დაწესებულებაში პირის ეტაპირების შესახებ. ამიტომ სასამართლოში შეტანილ შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს შესაბამისი მასალები (ან ასლები), რომლებითაც ზემოაღნიშნული საკითხები გაირკვევა.

6. პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე მოსამართლის (სასამართლო) ბრძანება, დადგენილება, (განჩინება) დგება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებისაგან (განჩინებისაგან) დამოუკიდებლად. არ შეიძლება ერთი და იმავე დადგენილებით (განჩინებით) ექსპერტიზის დანიშვნაც და პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაც. გადაწყვეტილება პირის მიმართ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ფაქტობრივად წინ უნდა უსწრებდეს გადაწყვეტილებას პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ.

7. წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამომძიებელმა, პროკურორმა დადგენილება პირის მიმართ სტაციონარული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ უნდა გამოიტანონ პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვამდე.

8. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას შუამდგომლობები პირის მიმართ სტაციონარული ექსპერტიზის დანიშვნისა და მისი სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ შეიძლება განცხადდეს და განხილულ იქნეს ერთდროულად. შუამდგომლობების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსამართლე (სასამართლო) გამოიტანს ორ დადგენილებას (განჩინებას) – პირის მიმართ სტაციონარული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ამ პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ.

მუხლი 179. პირი, რომელიც არ შეიძლება იძულებით მოთავსებულ იქნეს სამედიცინო დაწესებულებაში

1. დაზარალებული და მოწმე არ შეიძლება იძულებით მოათავსონ სამედიცინო დაწესებულებაში, გარდა 368-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1. დაზარალებული და მოწმე, როგორც წესი, არ შეიძლება, იძულებით მოათავსონ სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზის ჩასატარებლად.

2. დაზარალებული და მოწმე შეიძლება, იძულებით მოათავსონ სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზის ჩასატარებლად შემდეგ შემთხვევებში:

– ვენერიული დაავადების დასადგენად;

– ინფექციური დაავადების დასადგენად;

– თუ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული ითხოვს იმ დაზარალებულის ჩვენების შემოწმებას, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის კომენტარები).

3. დაზარალებულის ჩვენების შემოწმების მიზნით მის მიმართ იძულებითი ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების შესახებ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის შუამდგომლობის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის სახე და ის გარემოება, მოახდენს თუ არა გავლენას ქმედების კვალიფიკაციაზე ან სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე ექსპერტიზის შედეგები, ანუ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიერ ზემოაღნიშნული სახის შუამდგომლობის განცხადება იმპერატიულად არ წარმოშობს მისი დაკმაყოფილების აუცილებლობას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 180. აღკვეთის ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების დროს

დაუშვებელია სამედიცინო დაწესებულებაში ბრალდებულის, განსასჯელის ან იმ პირის მოთავსება, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, თუ ეს დაწესებულება მოუწყობელია დაპატიმრებულთა მოსათავსებლად.

(საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხ.213)

1. სამედიცინო დაწესებულება, სადაც პირი უნდა მოთავსდეს სტაციონარული ექსპერტიზის ჩასატარებლად, მოწყობილი უნდა იყოს დაპატიმრებულთა განსათავსებლად, ანუ შესაძლებელი იყოს აქ მოთავსებულ პირთა გაქცევის თავიდან აცილება, ასევე მათ მიმართ – იმ შეზღუდვების დაწესება, რაც უწესდება პატიმრობაშერჩეულ პირს.

მუხლი 181. ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში პირის ყოფნის ვადა

1. ბრალდებული, განსასჯელი ან პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, შეიძლება სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსდეს არა უმეტეს 20 დღის ვადით.

2. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ექიმთა დასკვნის საფუძველზე, რომლებიც სტაციონარულ ექსპერტიზას ატარებენ, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 10 დღით იმ მოსამართლის ბრძანების ან იმ სასამართლოს განჩინების (დადგენილების) საფუძველზე, რომლის წარმოებაშიცაა საქმე. ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია, თუნდაც სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი ამაზე თანახმა იყოს.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხ.368; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხ.89)

1. პირი სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზისათვის შეიძლება მოთავსდეს არა უმეტეს 20 დღის ვადით.

2. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ექსპერტიზის ჩამტარებელ ექიმთა (ექსპერტთა) შუალედური დასკვნის საფუძველზე, რომელშიც მითითებულია სტაციონარული მეთვალყურეობის გაგრძელების აუცილებლობაზე, პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების ვადა შეიძლება გაგრძელდეს წინასწარი გამოძიების ეტაპზე პროკურორის ან გამომძიებლის მიერ, პროკურორის თანხმობით შეტანილი შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანებით, ან სისხლის სამართლის საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით) კიდევ 10 დღით (და არა 10 დღემდე).

3. პირის სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზისათვის მოთავსების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია, თუნდაც სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი ამაზე თანახმა იყოს, ანუ პირის სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზისათვის მოთავსების მაქსიმალური ვადა არის 30 დღე.

4. პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების (ყოფნის) ვადის ათვლა იწყება მისი სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანით და მთავრდება მისი სამედიცინო დაწესებულებიდან გამოყვანით. ამიტომ მოსამართლის (სასამართლო) ბრძანებაში, დადგენილებაში, განჩინებაში უნდა მიეთითოს მხოლოდ პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა (მაგ.: მოთავსებულ იქნეს 20 დღით, მოთავსების ვადა გაგრძელდეს 10 დღით) და არა – ამ ვადის ათვლისა და დამთავრების კონკრეტული თარიღი.

5. წინასწარი გამოძიების ეტაპზე ბრალდებულის სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზისათვის ყოფნის (სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვა-

ნიდან სამედიცინო დაწესებულებიდან გამოყვანამდე) დრო არ ითვლება ბრალდებულის პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, ვადაში, ხოლო სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას განსასჯელის სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზისათვის ყოფნა არ აჩერებს პატიმრობის ვადის დინებას და სამედიცინო დაწესებულებაში განსასჯელის ყოფნის დრო ითვლება პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, ვადაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 182. სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირის უფლება

სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ პირს აქვს დაცვის მოთხოვნის უფლება. მას შეუძლია ისარგებლოს დამცველის მომსახურებით, შეხვდეს მას მარტო, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

1. სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზისათვის მოთავსებულ პირს აქვს დაცვის მოთხოვნის, დამცველის მომსახურების უფლება.

2. თუ განიხილება პირის მიმართ სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის საკითხი, ან პირს აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც აძნელებს დაცვის უფლების განხორციელებას, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ პირს არა მარტო აქვს დამცველის მოთხოვნის უფლება, არამედ – სახეზეა იძულებული დაცვის გარემოებები და პროცესის მწარმოებელი ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია, დანიშნოს დამცველი, თუნდაც პირი ამას არ ითხოვდეს ან წინააღმდეგი იყოს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის კომენტარები).

თავი XXIII
ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება

მუხლი 183. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საფუძველი

1. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება შეიძლება, თუ არის სარწმუნო მონაცემები, რომ ამ სამუშაოზე დარჩენით იგი ხელს შეუშლის ჭეშმარიტების დადგენას, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ან განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას.

2. თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებულ ბრალდებულს უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ უნდა იყოს შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, თუ იგი დაპატიმრებული არ არის და სხვაგან არ მუშაობს.

1. ბრალდებული შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან, ასევე – სამუშაოდან.

2. ბრალდებული თანამდებობიდან (სამუშაოდან) შეიძლება გადაყენებულ იქნეს, თუ არსებობს სარწმუნო მონაცემები (საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის), რომ ამ თანამდებობაზე (სამუშაოზე) დარჩენით ბრალდებული:

– ხელს შეუშლის ჭეშმარიტების დადგენას;

– ხელს შეუშლის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას;

– განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას.

3. სარწმუნო მონაცემები (საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის) არსებობს არა მარტო მაშინ, როდესაც ბრალდებულმა უკვე განახორციელა ზემოაღნიშნული ქმედებები, არამედ – მაშინაც, როდესაც ბრალდების სიმძიმე, ქმედების ხასიათი, ბრალდებულის თანამდებობრივი ან სამსახურებრივი უფლებამოსილება, სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ბრალდებულის პიროვნება და სხვა გარემოებათა ერთობლიობა ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ ბრალდებულმა შეიძლება განახორციელოს აღნიშნული ქმედებები.

4. თუ თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებული ბრალდებულის მიმართ შერჩეული არ არის დაპატიმრება და ამავე დროს იგი სხვაგან არ მუშაობს, მას უფლება აქვს, მიიღოს სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ უნდა იყოს შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

მუხლი 184. მოსამართლის ბრძანება და სასამართლო განჩინება (დადგენილება) ბრალდებულის (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ

1. **ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს მოსამართლეს, რომელიც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გასცემს ბრძანებას ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ. განსასჯელი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან (სამუშაოდან) აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით (დადგენილებით).**
2. **მოსამართლის ბრძანებაში ან სასამართლო განჩინებაში (დადგენილებაში) უნდა აღინიშნოს: თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადასაყენებელი პირი, მისი სამუშაო ადგილი და თანამდებობა, თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საფუძველი, ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების მოთხოვნა, რომელიც დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელს ეგზავნება.**
3. **მოსამართლის ბრძანება ან სასამართლო განჩინება (დადგენილება) ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ სავალდებულოა შესაბამისი დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, რომელიც ვალდებულია, მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) შემოსვლის შემდეგ დაუყოვნებლივ აღასრულოს იგი და ამის თაობაზე შეატყობინოს შესაბამისად სასამართლოს ან მოსამართლეს.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. ბრალდებულის (განსასჯელის) თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება, როგორც სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მოსამართლის (სასამართლოს) დასაბუთებული ბრძანების, დადგენილების (განჩინების) საფუძველზე.

2. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს პროკურორს ან გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით.

3. პროკურორის ან პროკურორის თანხმობით, გამომძიებლის შუამდგომლობა ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს. როგორც შუამდგომლობაში, ასევე მოსამართლის ბრძანებაში უნდა მიეთითოს ბრალდებულის სახელი, გვარი, მისი სამუშაო ადგილი და თანამდებობა, თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლები, ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების მოთხოვნა, რომელიც

დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელს ეგზავნება, თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების ვადა, რა აღკვეთის ღონისძიებაა შერჩეული პირის მიმართ. შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი მასალები (ან ასლები), რომლებითაც შესაძლებელი იქნება ზემოაღნიშნული საკითხების გარკვევა.

4. მოსამართლის ბრძანება ან სასამართლო (მოსამართლის) განჩინება (დადგენილება) ბრალდებულის (განსასჯელის) თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად ბრალდებულის სამუშაო ადგილის დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, რომელიც ვალდებულია, მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო (მოსამართლის) განჩინების (დადგენილების) შემოსვლის შემდეგ დაუყოვნებლივ აღასრულოს იგი და ამის თაობაზე შეატყობინოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს – წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამომძიებელს ან პროკურორს, სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას – სასამართლოს.

5. შეიძლება არსებობდეს წინასწარი გამოძიებისას ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვის ორი განსხვავებული შემთხვევა:

– პროკურორი (გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით) უფლებამოსილია, სასამართლოში ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ შუამდგომლობასთან ერთად წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების შესახებაც. არ იქნება კანონის დარღვევა ორივე მოთხოვნის ერთ შუამდგომლობაში ასახვაც. მოსამართლე უფლებამოსილია, ორივე შუამდგომლობა (ან ერთ შუამდგომლობაში ასახული ორივე მოთხოვნა) განიხილოს ერთდროულად. ასეთ შემთხვევაში, სათანადო საფუძვლების არსებობისას, მოსამართლე უფლებამოსილია, ერთი ბრძანებით დააკმაყოფილოს ორივე შუამდგომლობა, თუმცა შესაძლებელია, მოსამართლემ გამოიტანოს ერთდროულად ორი ბრძანება. თუ სასამართლო არ აკმაყოფილებს არც ერთ შუამდგომლობას (უარს ამბობს როგორც რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიების შერჩევაზე (ანუ საერთოდ არ ურჩევს ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიებას) და ასევე ტოვებს ბრალდებულს თანამდებობაზე (სამუშაოზე)), მოსამართლე უფლებამოსილია, გამოიტანოს ერთი დადგენილება ან ცალ-ცალკე დადგენილებები, ხოლო თუ სასამართლო აკმაყოფილებს ერთ-ერთ შუამდგომლობას და უარს ამბობს მეორის დაკმაყოფილებაზე, მაშინ ყველა შემთხვევაში გამოიტანება ორი საპროცესო აქტი – ბრძანება და დადგენილება;

– ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ შუამდგომლობა სასამართლოში შეიძლება შეტანილ იქნეს მას შემდეგაც, რაც პირის მიმართ უკვე შერჩეულია აღკვეთის ღონისძიება. ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობა განიხილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესების დაცვით და სასამართლო გასცემს ბრძანებას (შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში), ან გამოიტანს დადგენილებას (შუამდგომლობის უარყოფის შემთხვევაში) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 185. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების ვადა

1. **მოსამართლეს უფლება აქვს გასცეს ბრძანება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე.**
2. **მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების ან გადაყენებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს 243-ე მუხლით დადგენილი წესით.**

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხ.178)

1. წინასწარი გამოძიების ეტაპზე ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება ყველა შემთხვევაში ხდება სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვამდე, ანუ ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება არ ხდება (არ შეიძლება) რაიმე კონკრეტული ვადით (მაგ.: ერთი თვით და ა.შ.), არამედ ბრძანებაში ყველა შემთხვევაში უნდა მიეთითოს, რომ ბრალდებული თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებულია სასამართლოს მიერ ამ სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვამდე.

2. წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ ან დადგენილება გადაყენებაზე უარის თქმის შესახებ მისი გაცემიდან (გამოტანიდან) 48 საათის ვადაში შეიძლება მხოლოდ ერთხელ გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 186. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ ბრძანების დადასტურება და გაუქმება

სასამართლო და მოსამართლე საქმის განხილვისას ვალდებულნი არიან დაადასტურონ ან გააუქმონ ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება, ანდა, პროკურორის ან დაზარალებულის შუამდგომლობით, გადაწყვიტონ ამ ღონისძიების გამოყენების საკითხი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

1. თუ ბრალდებული თანამდებობიდან (სამუშაოდან) წინასწარი გამოძიების ეტაპზე იყო გადაყენებული, სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია, ან დაადასტუროს პირის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება, ან გააუქმოს იგი.

2. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას მოსამართლე (სასამართლო) პროკურორის ან დაზარალებულის შუამდგომლობის საფუძველზე წყვეტს განსასჯელის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საკითხს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

მუხლი 187. ზოგიერთი პირის თანამდებობიდან გადაყენება (თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან ჩამოცილება)

1. საქართველოს პარლამენტის წევრის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატების, საქართველოს სახალხო დამცველის, მოსამართლის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების (თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან ჩამოცილების) საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირთა თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს საქართველოს გენერალურ პროკურორს.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხ.21)

1. მხოლოდ საქართველოს გენერალური პროკურორია უფლებამოსილი, მოითხოვოს შემდეგ თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენება (თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან ჩამოცილება):

– საქართველოს პარლამენტის წევრი;

– აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატი;

– საქართველოს სახალხო დამცველი;

– მოსამართლე;

– კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

2. ზემოაღნიშნულ პირთა თანამდებობიდან გადაყენების საკითხი წყდება არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, არამედ – შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 188. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაყენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

1. თანამდებობიდან (სამუშაოდან) უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაყენების შედეგად ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სრული მოცულობით, საქმის შედეგის მიუხედავად.

2. ზიანის ანაზღაურების წესი განსაზღვრულია 223-ე მუხლით.

(საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი №333 – სსმ I, 2000 წ., №20, მუხ.51; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ.94)

1. თუ დადგინდება, რომ ბრალდებულის (განსასჯელის) თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება უკანონო და დაუსაბუთებელი იყო, მიყენებული ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა პირი მსჯავრდებული (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 189. ეჭვმიტანილის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება

183-188-ე მუხლებში აღნიშნული დებულებები ვრცელდება ეჭვმიტანილზედაც.

1. თანამდებობიდან (სამუშაოდან) შეიძლება, გადაყენებულ იქნენ არა მარტო ბრალდებული და განსასჯელი, არამედ – ეჭვმიტანილიც.

2. ეჭვმიტანილის თანამდებობიდან გადაყენებაზე ვრცელდება ბრალდებულისა და განსასჯელის თანამდებობიდან გადაყენებისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 183-188-ე მუხლებით გათვალისწინებული დებულებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 183-ე, 184-ე, 185-ე, 186-ე, 187-ე, 188-ე მუხლების კომენტარები).

თავი XXIV
ქონებაზე ყადაღის დადება

მუხლი 190. ქონებაზე ყადაღის დადების მიზანი და საფუძველი

1. სარჩელის, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია ყადაღა დაადოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ანდა დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არის მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ, ანდა რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ ამ ქონების მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია დააყადაღოს ამ ქონების ექვივალენტური ღირებულების ქონება. ამ ნაწილში მითითებული პირობების არსებობისას, თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი თანამდებობის პირია, პროკურორი ვალდებულია აღძრას შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე თანამდებობის პირის ქონების, მათ შორის, საბანკო ანგარიშების, დაყადაღების, აგრეთვე თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს სახელით დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეჩერების ან სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.
2. ამ კოდექსით გათვალისწინებული ქონებაზე ყადაღის დადების ღონისძიება ასევე გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე–330-ე და 331[1]-ე მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ან სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისას, აგრეთვე მათი აღკვეთის უზრუნველსაყოფად, თუ არის საკმარისი მონაცემები, რომ ეს ქონება გამოყენებული იქნება დანაშაულის ჩასადენად.
3. სასამართლოს შეუძლია ყადაღა დაადოს ქონებას, თუ არის საკმარისი მონაცემები, რომ ეს ქონება რეკეტულია ან ქურდული სამყაროს წევრის ქონებაა.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2002 წლის 28 დეკემბრის კანონი №1910 – სსმ I, 2003 წ., №4, მუხლი 24; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის

კანონი №2356 – სსმ I, 2005 წ., №57, მუხლი 440; საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2620 – სსმ I, 2006 წ., №4, მუხლი 40; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

1. ყადაღა შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

– სარჩელის უზრუნველსაყოფად;

– სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების უზრუნველსაყოფად;

– ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად.

2. სარჩელისა და ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად ყადაღა შეიძლება დაედოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის, ანდა დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის – საბანკო ანგარიშებს. ზემოაღნიშნულ პირთა ქონებას ყადაღა შეიძლება დაედოს იმ შემთხვევაში, თუ არის მონაცემები, რომ:

– ქონებას გადამალავენ;

– ქონებას დახარჯავენ;

– ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.

3. სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების – გირაოს – უზრუნველსაყოფად ყადაღა შეიძლება დაედოს ბრალდებულის ქონებას ან მისი სახელით – გირაოს შემტანი ნებისმიერი პირის ქონებას ამ პირის (ქონების მესაკუთრის) თანხმობით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის კომენტარები).

4. თუ დადგინდა, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ ამ ქონების მოძიება ვერ მოხერხდა, სასამართლო უფლებამოსილია, დააყადაღოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონება.

5. თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი თანამდებობის პირია და არსებობს ქონებაზე ყადაღის დადების საფუძვლები, პროკურორი ვალდებულია, აღძრას შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე თანამდებობის პირის ქონების, მათ შორის – საბანკო ანგარიშების, დაყადაღების თაობაზე.

6. თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი თანამდებობის პირია, პროკურორი ვალდებულია, სასამართლოს ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს წინაშე აღძრას შუამდგომლობა (დასვას საკითხი) თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს სახელით დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეჩერების ან სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

7. თუ არის საკმარისი მონაცემები, რომ ქონება გამოყენებული იქნება დანაშაულის ჩასადენად, შეიძლება მას ყადაღა დაედოს შემდეგი დანაშაულების მომზადებისას, ასევე – ამ დანაშაულთა ჩადენის თავიდან აცილების მიზნით:

– ტერორისტული აქტი (სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლი);

– ტექნოლოგიური ტერორიზმი (სისხლის სამართლის კოდექსის 324-ე მუხლი);

– კიბერტერორიზმი (სისხლის სამართლის კოდექსის 324^1 მუხლი);

– საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა (სისხლის სამართლის კოდექსის 325-ე მუხლი);

– საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა (სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლი);

– ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა (სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლი);

– უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება, ანდა მისი დახმარება ტერორისტულ საქმიანობაში (სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლი);

– მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით (სისხლის სამართლის კოდექსის 329-ე მუხლი);

– სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით (სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე მუხლი);

– ტერორიზმის დაფინანსება (სისხლის სამართლის კოდექსის 331[1] მუხლი);

– ნებისმიერი სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

8. ქონებას ყადაღა შეიძლება დაედოს იმ შემთხვევაშიც, თუ არის საკმარისი მონაცემები, რომ ეს ქონება რეკეტულია ან ქურდული სამყაროს წევრის ქონებაა და არსებობს ყადაღის დადების საფუძვლები.

მუხლი 191. ქონებაზე ყადაღის დადებისას მესაკუთრის უფლებამოსილებათა შეზღუდვა

ქონებაზე ყადაღის დადება მესაკუთრეს ან მფლობელს უკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – აგრეთვე ქონებით სარგებლობას.

1. ქონებაზე ყადაღის დადება მესაკუთრეს ყველა შემთხვევაში უკრძალავს დაყადაღებული ქონების განკარგვას.

2. ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში, თუ არსებობს ამის აუცილებლობა, ამ ქონების მესაკუთრეს (ან მფლობელს) შეიძლება, აგრეთვე აეკრძალოს დაყადაღებული ქონებით სარგებლობაც.

მუხლი 192. ქონება, რომელზედაც ყადაღის დადება არ შეიძლება

1. **არ შეიძლება ყადაღა დაედოს ბრალდებულისა და მისი ოჯახის წევრებისათვის საჭირო კვების პროდუქტებს, სათბობს, პროფესიული საქმიანობის ინვენტარსა და სხვა საგნებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს.**

(საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

1. არ შეიძლება ყადაღა დაედოს ქონებასა და ნივთებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს:

– ბრალდებულისა და მისი ოჯახის წევრებისათვის საჭირო კვების პროდუქტებს;

– სათბობს;

– პროფესიული საქმიანობის ინვენტარს;

– სხვა საგნებს.

მუხლი 193. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობა და მისი განხილვის წესი

1. თუ არსებობს ამ კოდექსის 190-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი ქონებაზე ყადაღის დადებისათვის, პროკურორი ან მისი თანხმობით გამომძიებელი ადგენს, სად და ვის ხელშია ეს ქონება. ამ მიზნით შეიძლება ჩატარდეს საჭირო საგამოძიებო მოქმედება ბანკში, ლომბარდში, შემნახველ საკანში, საფოსტო და სხვა დაწესებულებებში ან საცავში ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და საგნების აღმოსაჩენად.

2. პროკურორი ან მისი თანხმობით გამომძიებელი ამ კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით ადგენს და სასამართლოს უგზავნის დასაბუთებულ შუამდგომლობას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს მოსამართლის ბრძანების მისაღებად საჭირო მონაცემები.

3. შუამდგომლობას განიხილავს მოსამართლე ამ კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესით. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვამდე პროკურორი ან მისი თანხმობით, გამომძიებელი ადგენს ქონების მესაკუთრეს, მფლობელს, ადგილსამყოფელს, შესაძლო ღირებულებას და სხვა გარემოებებს, რაც აუცილებელია ქონებაზე ყადაღის დადების საკითხის გადასაწყვეტად. ამ გარემოებათა გასარკვევად შეიძლება, ჩატარდეს საჭირო საგამოძიებო მოქმედებები ბანკში, ლომბარდში, შემნახველ საკანში, საფოსტო და სხვა დაწესებულებებში ან საცავში ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და საგნების აღმოსაჩენად.

2. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს პროკურორს ან გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

3. პროკურორის ან პროკურორის თანხმობით, გამომძიებლის მიერ შეტანილი შუამდგომლობა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს. შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს მოსამართლის ბრძანების მისაღებად საჭირო მონაცემები, კერძოდ:

– რა არის ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნის საფუძველი;

– რა არის ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნის მიზანი;

– ვინ არის ქონების მესაკუთრე, მფლობელი;

– სად და ვისთან ინახება ქონება;

– რა საგნებისაგან, ფასიანი ქაღალდებისაგან, ფულისაგან, ფასეულობებისაგან შედგება ქონება (თუ ეს უკვე დადგენილია);

– ხომ არ არის ქონება დატვირთული სხვა ვალდებულებით;

– ხომ არ არსებობენ თანამესაკუთრეები;

– ერთობლივი საკუთრების რომელ წილს ედება ყადაღა;

– რა თანხას უნდა დაედოს ყადაღა სარჩელის უზრუნველსაყოფად და ა.შ.

4. იმისათვის, რომ მოსამართლემ შეძლოს ზემოაღნიშნული საკითხების შეფასება, შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს შესაბამისი მასალები (ან ასლები).

5. შუამდგომლობა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლემ უნდა განიხილოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

6. მოსამართლე უფლებამოსილია, აღნიშნული შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

მუხლი 194. მოსამართლის ბრძანება და სასამართლო განჩინება (დადგენილება) ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ

1. ქონებაზე ყადაღა ედება მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, რომლის ასლიც ეძლევა გამომძიებელს ან პროკურორს თავისი შუამდგომლობის შესაბამისად, ანდა საქმის განმხილველი სასამართლოს დასაბუთებული განჩინების (დადგენილების) საფუძველზე.

2. მოსამართლის ბრძანებაში ან სასამართლო განჩინებაში (დადგენილებაში) უნდა აღინიშნოს: ვის ქონებას ედება ყადაღა, სად და ვისთან ინახება იგი; რა საგნებისაგან, ფასიანი ქაღალდებისაგან, ფულისაგან, ფასეულობებისაგან შედგება იგი, თუ ეს გამოძიებას დადგენილი აქვს; ერთობლივი საკუთრების რომელ წილს ედება ყადაღა; ვის ევალება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანების შესრულება; დასაშვებია თუ არა ჩხრეკა იმ შემთხვევაში, როცა ქონების ნებაყოფლობით ჩაბარებაზე უარია მიღებული, ვის და სად ეძლევა ჩხრეკის ჩატარების უფლება; რა თანხას უნდა დაედოს ყადაღა სარჩელის უზრუნველსაყოფად.

3. თუ ქონება, ფული, ფასეულობა ინახება რამდენიმე ადგილას და სხვადასხვა პირთან, უნდა გაიცეს სათანადო რაოდენობის მოსამართლის ბრძანება ან სასამართლო განჩინება (დადგენილება) ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. წინასწარი გამოძიების ეტაპზე ქონებაზე ყადაღა ედება მოსამართლის ბრძანების საფუძველზე (გარდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევისა) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის კომენტარები).

2. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას ქონებაზე ყადაღის დადება შეიძლება მხოლოდ მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილების (განჩინების) საფუძველზე.

3. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის (სასამართლოს) ბრძანების, დადგენილების (განჩინების) ასლი გადაეცემა შუამდგომლობის აღმძვრელ პირს – პროკურორს ან გამომძიებელს, რომელმაც პროკურორის თანხმობით შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს.

4. მოსამართლის (სასამართლო) ბრძანება, დადგენილება (განჩინება) ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს. მასში უნდა აღინიშნოს:

– რა არის ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველი;

– რა არის ქონებაზე ყადაღის დადების მიზანი;

– ვინ არის ქონების მესაკუთრე, მფლობელი;

– სად და ვისთან ინახება ქონება;

– რა საგნების, ფასიანი ქაღალდების, ფულისა და ფასეულობებისაგან შედგება იგი (თუ ეს გამოძიების მიერ უკვე დადგენილია);

– ხომ არ არსებობენ თანამესაკუთრეები;

– ერთობლივი საკუთრების რა წილს ედება ყადაღა;

– ვის ევალება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანების შესრულება;

– დასაშვებია თუ არა ჩხრეკა იმ შემთხვევაში, როცა ქონების ნებაყოფლობით ჩაბარებაზე უარი იქნება მიღებული;

– ვის და სად ეძლევა ჩხრეკის ჩატარების უფლება;

– რა თანხას უნდა დაედოს ყადაღა სარჩელის უზრუნველსაყოფად.

5. თუ ქონება, ფული ან ფასეულობა, რომელსაც უნდა დაედოს ყადაღა, ინახება რამდენიმე ადგილას და სხვადასხვა პირთან, შუამდგომლობის წარმომდგენს უნდა გადაეცეს სათანადო რაოდენობის მოსამართლის (სასამართლოს) ბრძანება, დადგენილება (განჩინება) ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

მუხლი 195. დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ

1. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ქონებას გადამალავენ ან გაანადგურებენ, პროკურორს ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელს უფლება აქვს გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. დადგენილებაში უნდა აღინიშნოს ამ კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მონაცემები.

2. დადგენილებას აღასრულებს მისი გამომტანი პირი, რის შესახებაც მან 24 საათის განმავლობაში უნდა შეატყობინოს მოსამართლეს, რომელიც ადას-

ტურებს დადგენილების კანონიერებას ან უკანონოდ ცნობს მას და აუქმებს ქონებაზე ყადაღის დადებას.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I 1999 წ., №16(23) მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ იმ დროში, რაც დასჭირდება მოსამართლის ბრძანების მიღებას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, ქონებას გადამალავენ ან გაანადგურებენ, პროკურორი ან გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით უფლებამოსილია, გამოიტანოს დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

2. დადგენილების გამოტანისას აუცილებელია, არსებობდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლის კომენტარები).

3. დადგენილებაში უნდა აღინიშნოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მონაცემები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის კომენტარები).

4. დადგენილებას გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აღასრულებს მისი გამომტანი პირი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების დაცვით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-ე, 197-ე, 198-ე მუხლების კომენტარები).

5. გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ქონებაზე ყადაღის დადებიდან 24 საათის განმავლობაში პროკურორმა (ან გამომძიებელმა, პროკურორის თანხმობით) უნდა შეატყობინოს მოსამართლეს და წარუდგინოს შესაბამისი მასალები ან ასლები. მოსამართლე მომდევნო 24 საათის განმავლობაში ადასტურებს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დადგენილების კანონიერებას ან უკანონოდ ცნობს მას და აუქმებს ქონებაზე ყადაღის დადებას. ამ შემთხვევაში მოსამართლე არ განიხილავს ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურის კანონიერებას, იგი აფასებს მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის ფაქტისა და ქონებაზე ყადაღის დადების იმ მიზნებისა და საფუძვლების არსებობას, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 196. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) აღსრულების წესი

1. გამომძიებელი ან პროკურორი მოსამართლის ბრძანებას, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – თავის დადგენილებას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ წარუდგენს იმ პირს, რომელთანაც არის ქონება, და მოითხოვს ამ ქონების გადმოცემას. თუ ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარი

ითქვა, ან არსებობს სარწმუნო მონაცემები, რომ მთელი ქონება არ გადმოცემულა, ტარდება ჩხრეკა ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. **სასამართლო განჩინების (დადგენილების) თანახმად, ქონებას ყადაღას ადებს სასამართლოს აღმასრულებელი.**
3. **სასამართლოს აღმასრულებელი თვითონ განსაზღვრავს, რა საგანსა და ფასეულობას უნდა დაედოს ყადაღა სასამართლო ბრძანებაში ან სასამართლო განჩინებაში (დადგენილებაში) აღნიშნული თანხის ფარგლებში.**
4. **ქონებაზე ყადაღის დადებაში მონაწილეობს სპეციალისტი – საქონელმცოდნე, რომელიც განსაზღვრავს ქონების ღირებულებას.**
5. **დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა და იმ ქონების ღირებულება, რომელსაც ყადაღა ედება, განისაზღვრება საშუალო საბაზრო ფასებით.**
6. **ფულად ანაბარზე ყადაღის დადებისას წყდება საანაბრო ოპერაციები.**
7. **ყადაღა ედება ბრალდებულის წილს მეუღლეების ან ოჯახის ერთობლივ საკუთრებაში, ხოლო თუ არსებობს მონაცემები, რომ ერთობლივი საკუთრება შეძენილი ან გაზრდილია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით, ყადაღა შეიძლება დაედოს მთელ ქონებას ან მის მეტ წილს. ყადაღა ედება ბრალდებულის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის, დაკავშირებული პირის ან/და რეკეტული დაჯგუფების ქონებას, მიუხედავად ბრალდებულის წილისა ამ ქონებაში, თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ ეს ქონება ან მისი ნაწილი რეკეტულია.**
8. **დასაყადაღებელი ქონების წილის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დანაშაულის ჩადენაში თითოეული ბრალდებულის მონაწილეობის ხარისხი. ყველა შემთხვევაში ბრალდებულის ქონების ღირებულება, რომელსაც ყადაღა ედება, არ უნდა აღემატებოდეს იმ ზიანის საერთო თანხას, რომლის მიყენებაშიც მონაწილეობდა ყველა ბრალდებული.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I 1999 წ., №16(23) მუხლი 65; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ქონების მესაკუთრეს ან იმ პირს, რომელთანაც არის ქონება, გამომძიებელი ან პროკურორი აცნობს მოსამართლის ბრძანებას, ან მის მიერვე გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამოტანილ დადგენილებას და ითხოვს ამ ქონების გადმოცემას.

2. თუ ქონების გადმოცემის მოთხოვნის შესრულებაზე უარს განაცხადებენ, ან არსებობს სარწმუნო მონაცემები, რომ მთელი ქონება არ გადმოცემულა, დანარჩენი ქონების აღმოჩენისა და დაყადაღების მიზნით უნდა ჩატარდეს ჩხრეკა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

3. სასამართლო (მოსამართლის) განჩინების (დადგენილების) თანახმად, ქონებას ყადაღას ადებს სასამართლოს აღმასრულებელი. სასამართლო აღმასრულებელი არ

არის უფლებამოსილი, გასცდეს სასამართლოს გადაწყვეტილების ფარგლებს და დააყადაღოს ქონება, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, მაგრამ, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია მხოლოდ გარკვეული თანხის ქონების დაყადაღების შესახებ, არ არის დაკონკრეტებული დასაყადაღებელი ქონების ზუსტი მონაცემები და ყადაღის დადებისას აღმოჩნდება, რომ არსებობს არჩევანი დასაყადაღებელ ქონებას შორის, მაშინ სასამართლოს აღმასრულებელი თვითონ განსაზღვრავს, რა საგანსა და ფასეულობას უნდა დაედოს ყადაღა მოსამართლის (სასამართლო) ბრძანებაში, დადგენილებაში (განჩინებაში) აღნიშნული თანხის ფარგლებში.

4. საჭიროების შემთხვევაში, როდესაც წინასწარ არ არის დადგენილი დასაყადაღებელი ქონების ღირებულება, ქონებაზე ყადაღის დადებაში მონაწილეობს სპეციალისტი – საქონელმცოდნე, რომელიც განსაზღვრავს ქონების ღირებულებას. დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა და იმ ქონების ღირებულება, რომელსაც ყადაღა ედება, განისაზღვრება საშუალო საბაზრო ფასებით.

5. ფულად ანაბარზე ყადაღის დადება იწვევს საანაბრო და შესაბამისი საბანკო ოპერაციების შეწყვეტას.

6. თანასაკუთრებაში არსებული ქონების დაყადაღებისას ყადაღა ედება ბრალდებულის წილს, ხოლო თუ არსებობს მონაცემები, რომ ერთობლივი საკუთრება შეძენილი ან გაზრდილია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით, ყადაღა შეიძლება დაედოს მთელ ქონებას ან მის მეტ წილს.

7. თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ ქონება ან მისი ნაწილი რეკეტულია, ამ ქონებაში ბრალდებულის წილის მიუხედავად, ყადაღა ედება:

– ბრალდებულის ქონებას;
– ბრალდებულის ოჯახის წევრის ქონებას;
– ბრალდებულის ახლო ნათესავის ქონებას;
– ბრალდებულთან დაკავშირებული პირის ქონებას;
– რეკეტული დაჯგუფების ქონებას.

8. თუ ყადაღის დადების საფუძველია მხოლოდ კონკრეტული დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფა, დასაყადაღებელი ქონების წილის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დანაშაულის ჩადენაში თითოეული ბრალდებულის მონაწილეობის ხარისხი. ყველა შემთხვევაში ბრალდებულის ქონების ღირებულება, რომელსაც ყადაღა ედება, არ უნდა აღემატებოდეს იმ ზიანის საერთო თანხას, რომლის მიყენებაშიც მონაწილეობდა ყველა ბრალდებული.

მუხლი 197. ქონებაზე ყადაღის დადების ოქმი

1. **ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გამომძიებელი ან პროკურორი ადგენს ოქმს ამ კოდექსის 287-ე მუხლის მიხედვით, ხოლო სასამართლოს აღმასრულებელი აღწერს ქონებას. ოქმში (აღწერაში) უნდა აღინიშნოს დასაყადაღებელი ქონების ზუსტი დასახელება, რაოდენობა, ზომა, წონა, ცვეთის ხარისხი,**

სხვა ინდივიდუალური ნიშნები და ღირებულება; მიეთითოს, თუ რა ქონებაა ჩამორთმეული და რა დარჩა შესანახად; ეკუთვნის თუ არა ეს ქონება ან მისი ნაწილი სხვა პირებს; მოყვანილ იქნეს განცხადებები იმ პირის მოქმედების შესახებ, რომელიც ქონებას აყადაღებს.

2. **ბეჭდით დამოწმებული ოქმის (აღწერის) ასლი ხელწერილით გადაეცემა პირს, რომლის ქონებასაც ყადაღა დაედო, ხოლო თუ ქონებას ყადაღა დაედო ამ პირის არყოფნაში, – მისი ოჯახის ერთ-ერთ სრულწლოვან წევრს ან ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელს. დაწესებულების, საწარმოსა თუ ორგანიზაციის ტერიტორიაზე ქონების დაყადაღებისას ოქმის ასლი ხელწერილით გადაეცემა ადმინისტრაციის წარმომადგენელს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გამომძიებელი ან პროკურორი ადგენს ოქმს საგამოძიებო მოქმედების ოქმისათვის დადგენილი საერთო წესების დაცვით, ხოლო აღმასრულებელი აღწერს ქონებას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის კომენტარები).

2. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ოქმში უნდა აღინიშნოს:

– დასაყადაღებელი ქონების ზუსტი დასახელება;

– დასაყადაღებელი ქონების რაოდენობა;

– ზომა, წონა, ცვეთის ხარისხი, სხვა ინდივიდუალური ნიშნები და ღირებულება;

– რა ქონებაა ჩამორთმეული;

– რა ქონება დარჩა შესანახად და – ვისთან;

– ეკუთვნის თუ არა ეს ქონება ან მისი ნაწილი სხვა პირებს.

3. ოქმში თანმიმდევრობით უნდა აღიწეროს იმ პირის მოქმედებები, რომელიც ქონებას აყადაღებს, ასევე, უნდა მიეთითოს დაყადაღების პროცედურაში მონაწილე პირთა განცხადებები.

4. ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ბეჭდით დამოწმებული ოქმის (აღწერის) ასლი ხელწერილით გადაეცემა პირს, რომლის ქონებასაც ყადაღა დაედო, ხოლო თუ ის არ ესწრებოდა ქონებაზე ყადაღის დადებას – მისი ოჯახის ერთ-ერთ სრულწლოვან წევრს, მათი არყოფნის შემთხვევაში კი – ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელს.

5. თუ ყადაღა ედება დაწესებულების, საწარმოსა თუ ორგანიზაციის ქონებას ან მათ ტერიტორიაზე არსებულ ქონებას, დაყადაღების ოქმის ასლი ხელწერილით გადაეცემა შესაბამისი ადმინისტრაციის წარმომადგენელს.

მუხლი 198. დაყადაღებული ქონების შენახვა

1. **დაყადაღებული ქონება, გარდა უძრავი და დიდგაბარიტიანი საგნებისა, ამოღებულ უნდა იქნეს.**

2. ძვირფასი ლითონები, ქვები და თვლები, უცხოური ვალუტა, ჩეკები, ფასიანი ქაღალდები შესანახად ბარდება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში, ხოლო ობლიგაციები და ლატარიის ბილეთები – შემნახველ ბანკში. ფული შედის იმ სასამართლოს დეპოზიტზე, რომლის განსჯადიცაა სისხლის სამართლის საქმე. დანარჩენი ამოღებული საგნები ილუქება და ინახება იმ ორგანოში, რომლის შუამდგომლობითაც ყადაღა დაედო ქონებას, ანდა შესანახად გადაეცემა ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელს.

3. დაყადაღებული და ამოღებული ქონება გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული ქონებისა, ილუქება და შესანახად რჩება მესაკუთრესთან, მფლობელთან ან ბრალდებულის ოჯახის სრულწლოვან წევრთან. ამ პირებს უნდა განემარტოთ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ამ ქონების გასხვისებისა თუ გაფუჭებისათვის, რის შესახებაც მათ ჩამოერთმევათ ხელწერილი.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. შესაბამის საბანკო დაწესებულებებში შესანახად ჰბარდება ყადაღადადებული:
– ძვირფასი ლითონები;
– ძვირფასი ქვები;
– ძვირფასი თვლები;
– უცხოური ვალუტა;
– ჩეკები;
– ფასიანი ქაღალდები;
– ობლიგაციები;
– ლატარიის ბილეთები.

2. ფული შედის იმ სასამართლოს დეპოზიტზე, რომლის განსჯადიცაა სისხლის სამართლის საქმე.

3. დაყადაღებული ქონება, გარდა უძრავი და დიდი ფორმის საგნებისა, ამოღებულ უნდა იქნეს.

4. დაყადაღებული და ამოღებული ქონება (გარდა ძვირფასი ლითონებისა, ქვებისა და თვლებისა, უცხოური ვალუტისა, ჩეკებისა, ფასიანი ქაღალდებისა, ობლიგაციებისა, ლატარიის ბილეთებისა) დალუქვის შემდეგ შესაძლებელია, შესანახად დარჩეს მესაკუთრესთან, მფლობელთან, ბრალდებულის ოჯახის სრულწლოვან წევრთან. ამ პირებს უნდა განემარტოთ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ამ ქონების გასხვისებისა თუ გაფუჭებისათვის, რის შესახებაც მათ ჩამოერთმევათ ხელწერილი.

5. დაყადაღებული და ამოღებული საგნები (გარდა ძვირფასი ლითონებისა, ქვებისა და თვლებისა, უცხოური ვალუტისა, ჩეკებისა, ფასიანი ქაღალდებისა, ობლიგაციებისა, ლატარიის ბილეთებისა), დალუქული სახით, როგორც წესი, ინახება იმ ორგანოში, რომლის შუამდგომლობითაც ყადაღა დაედო ქონებას, ანდა შესანახად გადაეცემა ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელს.

მუხლი 199. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) მოქმედების ვადა

1. **ქონებას ყადაღა ედება გამამტყუნებელი განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე ან სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტამდე.**
2. **ამ კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„დ“ და „ჟ“ ქვეპუნქტებში და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში ქონებაზე ყადაღა უქმდება.**
3. **ამ კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“, „თ“-„მ“ ქვეპუნქტებში და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“-„გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სარჩელის დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, თუ ასეთი სარჩელი განცხადებული იქნება, მოსამართლეს ან სასამართლოს უფლება აქვს გააგრძელოს ქონებაზე ყადაღის დადების ვადა 30 დღით.**
4. **სამოქალაქო სარჩელის გამოხმობის ან ქონებაზე ყადაღის დადების სხვა საფუძვლების მოსპობის შემთხვევაში ეს ღონისძიება შეიძლება გააუქმოს მოსამართლემ პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის შუამდგომლობით, ანდა საქმის განმხილველმა სასამართლომ თავისი განჩინებით.**
5. **გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ბრალდებულის ქონების მიმართ გამოყენებული ყადაღის დადების ღონისძიება უქმდება აგრეთვე პროკურორის დადგენილებით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ.**
6. **სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებს განაჩენის გაუქმებისა და ახალი სასამართლო განხილვისათვის საქმის დაბრუნების შემთხვევაში უფლება აქვთ არ გააუქმონ ბრალდებულის ქონებაზე ყადაღა, ხოლო განაჩენის უცვლელად დატოვების შემთხვევაში – გასცენ განკარგულება ყადაღის შენარჩუნების შესახებ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ქონებაზე ყადაღის დადება არ ხდება რაიმე კონკრეტული ვადით (მაგალითად, ერთი თვით და ა.შ.). ქონებაზე ყადაღის დადება (თუ მანამდე არ მოხდა ქონებაზე ყადაღის მოხსნა კანონით დადგენილი წესით) მოქმედებს:

– გამამტყუნებელი განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე;

– სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტამდე.

2. ქონებაზე ყადაღა უქმდება:

– სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში;

– ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში;

– ახალი კანონით ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში;

– კანონის, რომელსაც ემყარება ბრალდება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში;

– საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულის შეწყალების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში;

– პირის მიერ იმ ასაკისათვის მიუღწევლობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

– სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში (ანუ შეცდომა – სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლი);

– სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში (ანუ ბრძანების ან განკარგულების შესრულება – სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლი);

– სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში (ანუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს – სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი);

– გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში.

3. მოსამართლეს (სასამართლოს) უფლება აქვს, გააგრძელოს ქონებაზე ყადაღის დადების ვადა 30 დღით სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, თუ ასეთი სამოქალაქო სარჩელი განცხადებული იქნება შემდეგ შემთხვევებში:

– ამნისტიის აქტის გამოცემის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

– კერძო ბრალდების საქმეებზე დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას (გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 27-ე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული შემთხვევებისა) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 26-ე და 27-ე მუხლების კომენტარები);

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 89[1] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას;

– იმავე ბრალდების გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას;

– იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს (მოსამართლის) განჩინების (დადგენილების) არსებობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას;

– სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს, პროკურორის დადგენილების (განჩინების) არსებობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას;

– ვითარების შეცვლის შედეგად ქმედების საშიშროების არარსებობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით პროკურორის, დაზარალებულის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას;

– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირის გარდაცვალების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმის წარმოება საჭიროა გარდაცვლილის რეაბილიტაციისა და ახლად გამოვლენილ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო);

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული, დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევის გამო პირის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის არა უმეტეს 12 თვიანი ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის კომენტარები);

– გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას.

4. თუ სამოქალაქო მოსარჩელემ გაითხოვა სამოქალაქო სარჩელი, ან აღარ არსებობს საფუძველი, რომლითაც ყადაღა დაედო ქონებას, ქონებაზე ყადაღის დადება წინასწარი გამოძიებისას შეიძლება, გააუქმოს მოსამართლემ პროკურორის ან პროკურორის თანხმობით, გამომძიებლის შუამდგომლობით, ხოლო სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას – სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) თავისი დადგენილებით (განჩინებით).

5. ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) უქმდება აგრეთვე პროკურორის დადგენილებით ამ ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

6. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენის გაუქმებისა და ახალი სასამართლო განხილვისათვის სისხლის სამართლის საქმის დაბრუნებისას უფლებამოსილია, არ გააუქმოს ყადაღა.

მუხლი 200. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრება

1. მოსამართლის ბრძანება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მისი გაცემიდან ან აღსრულებიდან 72 საათის ვადაში, ხოლო დადგენილება ქონებისათვის ყადაღის დადებაზე უარის თქმის შესახებ – მისი გამოტანიდან 48 საათის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 243-ე მუხლით დადგენილი წესით. გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების აღსრულებას.

2. პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ მის ქონებას ყადაღა უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაედო, მათ შორის, საქმესთან კავშირის არმქონე პირსაც, რომლის ქონებაც შეცდომით მოხვდა ოქმში (აღწერაში), უფლება აქვს მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის შესაბამისად. ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის გამო სასამართლო გადაწყვეტილება სავალდებულოა გამომძიებლისა და პროკურორისათვის, აგრეთვე საქმის განმხილველი სასამართლოსათვის.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223)

1. წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს 72 საათში:

– ბრძანების გაცემიდან ან

– ბრძანების აღსრულებიდან, ანუ ყადაღის დადებიდან.

2. არ არსებობს ერთდროულად გასაჩივრების ორმაგი უფლება – თუ ბრძანება გასაჩივრდა მისი გაცემიდან 72 საათში, იგი განმეორებით ვეღარ გასაჩივრდება მისი აღსრულების შემდეგ.

3. წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილება ქონებისათვის ყადაღის დადებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 48 საათში.

4. საჩივარი შეიტანება და განიხილება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის კომენტარები).

5. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს ბრძანება ძალაში შედის გაცემისთანავე და გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

6. თუ პირს მიაჩნია, რომ მის ქონებას ყადაღა უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაედო (მათ შორის – სისხლის სამართლის საქმესთან კავშირის არმქონე პირსაც, რომლის ქონებაც შეცდომით მოხვდა ყადაღის დადების ოქმში), უფლება აქვს, მოითხოვოს

ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის შესაბამისად.

7. ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის გამო სასამართლო გადაწყვეტილება სავალდებულოა პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის, თანამდებობის პირებისათვის – გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლისა და სასამართლოსათვის.

მუხლი 201. ქონების დაბრუნება რეაბილიტაციის დროს

ბრალდებულის ან მსჯავრდებულის რეაბილიტაციის შემთხვევაში დაყადაღებული და ამოღებული ქონება უნდა დაუბრუნდეს მას ნატურით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, – ფულით, რეაბილიტაციის დღეს არსებული მისი საშუალო საბაზრო ფასის მიხედვით.

1. ბრალდებულის, მსჯავრდებულის რეაბილიტაცია წარმოშობს სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში დაყადაღებული და ამოღებული ქონების ნატურით დაბრუნების ვალდებულებას.

2. თუ ქონების ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, მისი ღირებულება უნდა ანაზღაურდეს ფულით, რეაბილიტაციის დღეს არსებული მისი საშუალო საბაზრო ფასის მიხედვით.

თავი XXV
პასუხისმგებლობა წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 202. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 სექტემბრის კანონი №1904 – სსმ I, 2005 წ., №43, მუხლი 305; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

მუხლი 203. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა პასუხისმგებლობა გამოცხადებასა და თავიანთ მოვალეობათა შესრულებაზე უარის თქმისათვის

1. **თუ მოწმე ან დაზარალებული უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე, მას დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.**
2. **თუ ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი ან დამსწრე უარს იტყვის გამოცხადებაზე ან ამ კოდექსით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე, მას დაეკისრება ფულადი ჯარიმა 500 ლარამდე ოდენობით.**
3. **იძულებით მოყვანის შემთხვევაში პროცესის მონაწილე არ თავისუფლდება გამოძახებისას გამოუცხადებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხ.65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხ.48; საქართველოს 2005 წლის 16 სექტემბრის კანონი №1904 – სსმ I, 2005 წ., №43, მუხლი 305)

1. მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან მოწმე, დაზარალებული, რომლებმაც უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე საკუთარი

თავის ან ახლო ნათესავის (მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის – განქორწინებული)) საწინააღმდეგოდ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

2. ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის ან დამსწრის მიერ გამოცხადებაზე, ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა გამოიწვევს მათ დაჯარიმებას 500 ლარამდე ოდენობით. ზემოაღნიშნული პროცესის მონაწილის დაჯარიმება პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის ვალდებულებაა და არა – უფლება. ამასთან, ამ პირს ჯარიმა დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოუცხადებლობა არასაპატიოა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

3. თუ პროცესის მონაწილე არ გამოცხადდა და იგი შემდგომში იძულებით იქნა მოყვანილი, ეს გარემოება (იძულებით მოყვანა) მას არ ათავისუფლებს გამოუცხადებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან, ანუ მას მაინც დაეკისრება ჯარიმა 500 ლარამდე ოდენობით.

მუხლი 204. პასუხისმგებლობა ცრუ ცნობების მიწოდებისათვის

1. **ცრუ დასმენას, დაზარალებულის ან მოწმის ცრუ ჩვენებას, ექსპერტის ყალბ დასკვნას, წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში თარჯიმნის არასწორ თარგმანს, დაზარალებულის ან მოწმის მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემას მოსდევს ამ პირთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე, 371[1], 373-ე მუხლებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.**
2. **ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის პასუხს არ აგებენ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის პასუხს არ აგებენ აგრეთვე მოწმე და დაზარალებული, თუ ისინი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის ახლო ნათესავები არიან, ანდა რომლებსაც უნდა ეპასუხათ დანაშაულის ჩადენაში მათ მამხილებელ შეკითხვებზე.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 სექტემბრის კანონი №1904 – სსმ I, 2005 წ., №43, მუხლი 305)

1. მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა ან ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა, ანდა თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნა წინასწარი გამოძიების დროს ან სასამართლოში წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. ამასთან, მოწმე,

დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი თავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ისინი წინასწარი გამოძიების პროცესში, ანდა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებაყოფლობით განაცხადებენ თავიანთ მიერ ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემის, ანდა განზრახ არასწორად თარგმნის შესახებ.

2. მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს.

3. დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს.

4. ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული პასუხს არ აგებენ თავიანთი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე ცრუ ჩვენების მიცემისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის.

5. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის პასუხს არ აგებენ მოწმე, დაზარალებული, თუ ისინი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ახლო ნათესავები არიან (მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის – განქორწინებული)), ან/და რომელსაც დანაშაულის ჩადენაში საკუთარი თავის მამხილებელ შეკითხვებზე უნდა ეპასუხა.

მუხლი 205. პასუხისმგებლობა სხვა საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის

ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის მოსამართლე (სასამართლო) ფულად ჯარიმას 500 ლარამდე ოდენობით დააკისრებს:

ა) დაზარალებულსა და მოწმეს, რომლებიც უარს იტყვიან შემოწმების, ექსპერტიზის ჩატარების, შედარებითი კვლევისათვის ნიმუშების მიღების შესახებ გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს კანონიერი მოთხოვნების შესრულებაზე;

ბ) სხვა პირებს, რომლებიც ხელს შეუშლიან შემთხვევის ადგილის დათვალიერების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, გვამის ექსჰუმაციის, ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებას;

გ) იურიდიულ პირთა ან ადმინისტრაციულ ორგანოთა ხელმძღვანელებს, რომლებიც ხელს შეუშლიან გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გამოძახებით იმ პირთა გამოცხადებას, რომლებიც არიან: ბრალდებული, ეჭვმიტანილი, დაზარალებული, მოწმე, სპეციალისტი, ექსპერტი, თარჯიმანი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, მათი წარმომადგენლები; აგრეთვე იმისთვის, თუ განუხილველი დარჩა ან/და დროულად არ გაეცა პასუხი კერძო განჩინებას (დადგენილებას) ან წარდგინებას კანონის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების შესახებ.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ.,

№14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 სექტემბრის კანონი №1904 – სსმ I, 2005 წ., №43, მუხლი 305)

1. მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია (და არა – უფლებამოსილი), სისხლის სამართლის საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის 500 ლარამდე ოდენობით ფულადი ჯარიმა დააკისროს:

– დაზარალებულს, რომელიც უარს იტყვის შემოწმების, ექსპერტიზის ჩატარების, შედარებითი კვლევისათვის ნიმუშების მიღების შესახებ გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს კანონიერი მოთხოვნის შესრულებაზე;

– მოწმეს, რომელიც უარს იტყვის შემოწმების, ექსპერტიზის ჩატარების, შედარებითი კვლევისათვის ნიმუშების მიღების შესახებ გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს კანონიერი მოთხოვნის შესრულებაზე;

– სხვა პირს, რომელიც ხელს შეუშლის შემთხვევის ადგილის დათვალიერების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, გვამის ექსჰუმაციის, ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებას;

– იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს, რომელიც ხელს შეუშლის გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით იმ პირების გამოცხადებას, რომლებიც არიან: ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული, დაზარალებული, მოწმე, სპეციალისტი, ექსპერტი, თარჯიმანი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, მათი წარმომადგენლები;

– იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს, იმისთვის, რომ განუხილველად დარჩა სასამართლოს (მოსამართლის) კერძო განჩინება (დადგენილება) ან წარდგინება კანონის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თაობაზე.

– იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს, იმისთვის, რომ დროულად არ გაეცა პასუხი სასამართლოს (მოსამართლის) კერძო განჩინებას (დადგენილებას) ან წარდგინებას კანონის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თაობაზე.

მუხლი 206. პასუხისმგებლობა აღკვეთის ღონისძიების დაუცველობისათვის

თუ ბრალდებული სათანადოდ არ იქცევა, რის თავიდან ასაცილებლადაც იყო შერჩეული აღკვეთის ღონისძიება, მისი გირაოს მიმცემს, თავდებს, მშობლებს, მეურვეებსა და მზრუნველებს ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ 168-ე, 170-171-ე მუხლების შესაბამისად, 205-ე მუხლით დადგენილი წესით.

1. ბრალდებულის (განსასჯელის) სახელით გირაოს შემტან პირს, პირად თავდებს, იმ პირს, რომელსაც მეთვალყურეობაში გადაეცა ბრალდებული, განსასჯელი (მშობელს, მეურვეს, მზრუნველს) დაეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლით დადგენილი ოდენობით, თუ მათ ვერ უზრუნველყვეს მოვალეობათა შესრულება და ბრალდებულის სათანადო ქცევა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე, 170-ე, 171-ე, 205-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 207. პასუხისმგებლობა საქმის განხილვის ან საგამოძიებო მოქმედების გადადებით გამოწვეული ზიანისათვის

1. **კანონით დადგენილი წესით გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში გამოძახებული პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, სასამართლოში საქმის განხილვის ან საგამოძიებო მოქმედების გადადებით გამოწვეული ხარჯები კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გადახდება გამოუცხადებელ პირს.**
2. **ამ კოდექსით დადგენილი წესით სასამართლოში გამოძახებული პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას მას მოსამართლე (სასამართლო) აკისრებს ჯარიმას 100-დან 500 ლარამდე ოდენობით, რაც პროცესის მონაწილეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. თუ დადგინდა, რომ კანონით დადგენილი წესით გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოძახებული პროცესის მონაწილე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა და ამან გამოიწვია სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ან საგამოძიებო მოქმედების გადადება, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ან საგამოძიებო მოქმედების გადადებით გამოწვეული ხარჯები კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გადახდება გამოუცხადებელ პირს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე და 218-ე მუხლების კომენტარები).

2. თუ კანონით დადგენილი წესით სასამართლოში გამოძახებული პროცესის მონაწილე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია (და არა – უფლებამოსილი), არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებელ პირს დააკისროს ჯარიმა 100-დან 500 ლარამდე ოდენობით.

3. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებელი პირის დაჯარიმება მას გამოცხადების ვალდებულებისაგან არ ათავისუფლებს.

მუხლი 208. პასუხისმგებლობა სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის

1. **სასამართლოში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო სხდომის დარბაზში – სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე), რომელიც გასცემს სათანადო განკარგულებებს. სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) უფლებამოსილია დარბაზის ფართობიდან გამომდინარე შეზღუდოს სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა.**
2. **სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს უპატივცემულობის შემთხვევაში პროცესის მონაწილეს და სხდომაზე დამსწრეს სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებით აჯარიმებენ**

ან/და აძევებენ სასამართლო სხდომის დარბაზიდან და საქმის მოსმენა გრძელდება მის დაუსწრებლად. სხდომის დარბაზიდან გაძევებული პირის მიმართ, რომელიც კვლავ აგრძელებს წესრიგის დარღვევას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული პატიმრობა.

3. თუ სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება გაძევების შესახებ ეხება ბრალმდებელს ან დამცველს, საქმის მოსმენა გადაიდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ერთი პირის ბრალდებას ან დაცვას თავიდანვე ახორციელებდა რამდენიმე ბრალმდებელი ან რამდენიმე დამცველი. გაძევებული ბრალმდებლის ან დამცველის არასათანადო ქცევის შესახებ სასამართლოს გამოაქვს კერძო განჩინება (დადგენილება), რომელიც ეგზავნება შესაბამისად ზემდგომ პროკურორს ან ადვოკატთა გაერთიანებას.
4. თუ ბრალდებული ან განსასჯელი გაძევებულ იქნა სხდომის დარბაზიდან, სასამართლო განაჩენი, განჩინება ან დადგენილება ცხადდება მისი თანდასწრებით, ხოლო თუ იგი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, განაჩენის, განჩინების ან დადგენილების გამოცხადება ხდება ბრალდებულის ან განსასჯელის გარეშე, რის შემდეგაც მას ხელწერილით გადაეცემა სასამართლო განაჩენის, განჩინების თუ დადგენილების ასლი.

4[1]. პირი სხდომიდან გაძევებულად ითვლება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დასრულებამდე. მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გაძევებულ პირს მისცეს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა.

5. სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს, მათ შორის, გაძევებულ პირს, გარდა ბრალდებულისა ან განსასჯელისა, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 50 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით. თუ დაჯარიმებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) შეუძლია დაუყოვნებლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა ამ ნაწილით განსაზღვრულ ფარგლებში.
6. თუ სასამართლოს მიმართ გამოხატულია აშკარა და უხეში უპატივცემულობა, სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) შეუძლია გამოიტანოს განკარგულება პირის 30 დღე-ღამემდე ვადით დაპატიმრების შესახებ. აღნიშნული განკარგულება დაუყოვნებლივ აღსრულდება. თუ განკარგულება გამოტანილ იქნა პროცესის მონაწილის მიმართ, სასამართლო სხდომა შეიძლება გადაიდოს აღნიშნული ვადით.

6[1]. სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება მიიღება ადგილზე თათბირით, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება – ზეპირი მოსმენის გარეშე და არ საჩივრდება.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ.,

№18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 16 სექტემბრის კანონი №1904 – სსმ I, 2005 წ., №43, მუხლი 305; საქართველოს 2005 წლის 25 ნოემბრის კანონი №2129 – სსმ I, 2005 წ., №53, მუხლი 349; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სასამართლოში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო სხდომის დარბაზში — სხდომის თავმჯდომარე.

2. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, დარბაზის ფართობიდან გამომდინარე, შეზღუდოს სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა. სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის უზრუნველყოფა იწყება სასამართლო დარბაზში მოსამართლის შესვლამდე, კერძოდ, სასამართლოს მანდატურის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს, რომ დარბაზში იყოს მხოლოდ იმდენი პირი, რამდენი ადგილიცაა დარბაზში (იგულისხმება დასაჯდომი ადგილები). სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დროს არ დაიშვება დარბაზში მოძრაობა, დარბაზიდან გასვლა ან დარბაზში შესვლა მოსამართლის ნებართვის გარეშე.

3. თუ პროცესის მონაწილე ან სხდომაზე დამსწრე პირი არღვევს წესრიგს, არ ემორჩილება სხდომის თავმჯდომარის განკარგულებას, ან გამოხატავს სასამართლოსადმი უპატივცემულობას, მას სხდომის თავმჯდომარე განკარგულებით აჯარიმებს ან/და აძევებს სასამართლო სხდომის დარბაზიდან და საქმის მოსმენა გრძელდება მის დაუსწრებლად.

4. თუ სხდომის დარბაზიდან გაძევებული პირი სხდომის დარბაზიდან გაყვანამდე კვლავ აგრძელებს წესრიგის დარღვევას, სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, მის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლით გათვალისწინებული პატიმრობა.

5. თუ სხდომის დარბაზიდან გაძევებული პირი სასამართლოს შენობაში კვლავ აგრძელებს წესრიგის დარღვევას, სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, მის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლით გათვალისწინებული პატიმრობა.

6. თუ გაძევებულ იქნა ბრალმდებელი ან დამცველი, საქმის მოსმენა გადაიდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ერთი პირის ბრალდებას ან დაცვას თავიდანვე ახორციელებდა რამდენიმე ბრალმდებელი ან რამდენიმე დამცველი. თუ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობს ერთი დამცველი, მისი გაძევების შემთხვევაში სხდომის გაგრძელება შესაძლებელია, აგრეთვე, თუ არ არსებობს იძულებითი დაცვის გარემოებები და ბრალდებული (განსასჯელი, მსჯავრდებული) უარს აცხადებს დამცველის მოწვევაზე (არ სურს, ჰყავდეს დამცველი).

7. გაძევებული ბრალმდებლის ან დამცველის არასათანადო ქცევის შესახებ სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია (და არა – უფლებამოსილი), გამოიტანოს კერძო განჩინება (კერძო დადგენილება), რომელიც ეგზავნება, შესაბამისად – ზემდგომ პროკურორს ან ადვოკატთა გაერთიანებას.

8. პირის სხდომიდან გაძევება არ ხდება რაიმე კონკრეტული ვადით, იგი გაძევებულად ითვლება ამ ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დასრულებამდე, ანუ პირი გაძევებულად ითვლება ამ ინსტანციის სასამართლოში ამ სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოცხადების ჩათვლით. გამონაკლისია ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული, კერძოდ: თუ ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული გაძევებულ

იქნა სხდომის დარბაზიდან, სასამართლო განაჩენი ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილება (განჩინება, დადგენილება) ცხადდება მისი თანდასწრებით, ხოლო თუ იგი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, განაჩენი, განჩინება, დადგენილება გამოცხადდება ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის გარეშე, რის შემდეგაც მას ხელწერილით გადაეცემა სასამართლო განაჩენის, განჩინების, დადგენილების ასლი.

9. მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, გაძევებული პირი დააბრუნოს და დაუშვას სხდომაზე.

10. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრებათ ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს.

11. სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს ჯარიმა ეკისრება, წესრიგის დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, 50 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით.

12. თუ პირი დაჯარიმდა, მაგრამ არ არის გასული სხდომის დარბაზიდან და იგი კვლავ აგრძელებს წესრიგის დარღვევას, სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია, დაუყოვნებლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა 500 ლარამდე. ჯარიმის ოდენობა შეიძლება, გაიზარდოს იმ შემთხვევაში, თუ მისი ოდენობა იყო 500 ლარზე ნაკლები. თუ ჯარიმის ოდენობა იყო 500 ლარი, ამავე პირის მიერ ამავე სხდომაზე წესრიგის განმეორებითი დარღვევისათვის ჯარიმის განმეორებით გამოყენება დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სხვა ღონისძიება (გაძევება ან დაპატიმრება). ერთი და იმავე პირის მიერ სხვადასხვა სხდომაზე (სხდომის სხვადასხვა დღეს) წესრიგის დარღვევის სხვადასხვა შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია, გამოიყენოს ჯარიმა 50 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით თითოეული დარღვევისათვის, თუნდაც ჯარიმების საერთო ჯამი აჭარბებდეს 500 ლარს.

13. ერთდროულად შესაძლებელია ორი სახდელის – გაძევებისა და ჯარიმის გამოყენება, ანუ სასამართლო უფლებამოსილია, ერთი დარღვევისათვის პირი გააძევოს სხდომის დარბაზიდან და ამავე დროს დააკისროს ჯარიმაც.

14. თუ სასამართლოს მიმართ გამოხატულია აშკარა და უხეში უპატივცემულობა, სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია, გამოიტანოს განკარგულება პირის 30 დღე-ღამემდე ვადით დაპატიმრების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ აღსრულდება. თუ განკარგულება გამოტანილ იქნა პროცესის მონაწილის მიმართ, სასამართლო სხდომა შეიძლება გადაიდოს აღნიშნული ვადით.

15. სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილება, წესრიგის დამრღვევის მიმართ გაძევების, ჯარიმის, დაპატიმრების გამოყენებასთან დაკავშირებით, იწყება სხდომის თავმჯდომარის სხდომის დარბაზში შესვლის მომენტიდან (მიუხედავად იმისა, უკვე გამოცხადდა თუ არა განსახილველი სისხლის სამართლის საქმე, სასამართლო შემადგენლობა და ა.შ.) და გრძელდება გადაწყვეტილების გამოცხადების დამთავრებამდე და სასამართლო შემადგენლობის დარბაზიდან გასვლამდე. ანუ, თუ წესრიგის დარღვევა ან სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატვა ხდება განსახილველი სისხლის სამართლის საქმისა და სასამართლო შემადგენლობის გამოცხადებამდე, ან სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების დროს, ანდა გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, სასამართლო შემადგენლობის დარბაზიდან გასვლამდე, სასამართლო უფლებამოსილია, გამოიყენოს შესაბამისი ღონისძიება.

16. თუ წესრიგის დარღვევა ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა ჩადენილია სასამართლოში, მაგრამ არა – სასამართლო სხდომის დროს სასამართლო სხდომის დარბაზში, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარე უფლე-

ბამოსილია, წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი, ანუ სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, დაავალოს მანდატურის სამსახურს, გააძევონ (გაიყვანონ) დამრღვევი სასამართლოდან, დააჯარიმოს ის 50 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით ან დააპატიმროს 30 დღე-ღამემდე ვადით.

17. გაძევების, დაჯარიმების, დაპატიმრების შესახებ როგორც სხდომის თავმჯდომარის, ისე სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება მიიღება განკარგულების სახით.

18. გაძევების, დაჯარიმების, დაპატიმრების შესახებ განკარგულება სხდომის თავმჯდომარეს გამოაქვს ადგილზე თათბირით.

19. გაძევების, დაჯარიმების, დაპატიმრების შესახებ განკარგულება სასამართლოს თავმჯდომარეს გამოაქვს ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე.

20. გაძევების, დაჯარიმების, დაპატიმრების შესახებ როგორც სხდომის თავმჯდომარის განკარგულება, ასევე სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, არ საჩივრდება.

21. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2006 წლის 20 ივლისის №1/4/393,397 საოქმო ჩანაწერის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად მიღებულ იქნა საქართველოს მოქალაქეების – ვ. მ.-შვილის 393-ე და ო. მ.-იას 397-ე ნომრებით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ იმის თაობაზე, რომ კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-6 ნაწილი (მთლიანად) და მე-7 ნაწილის ნორმა სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო დაპატიმრების შესახებ. ამასთან, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ამ საოქმო ჩანაწერის სხდომის დარბაზში გამოცხადების დღიდან – 2006 წლის 20 ივლისიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა მოქმედება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-7 ნაწილის იმ ნორმისა, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო დაპატიმრების თაობაზე მიღებული განკარგულება არ საჩივრდება.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2006 წლის 21 ივლისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს საჩივრით მიმართეს იმ პირთა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა, რომელთაც სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით შეეფარდათ დაპატიმრება 30 დღე-ღამის ვადით იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული პირები არღვევდნენ წესრიგს, ახდენდნენ ზეწოლას სასამართლოს საქმიანობაზე და გამოხატავდნენ აშკარა და უხეშ უპატივცემულობას სასამართლოსადმი და არ დაემორჩილნენ სასამართლოს მანდატურის მოთხოვნას, დაეცვათ წესრიგი.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის 2006 წლის 26 ივლისის დადგენილებით აღინიშნა შემდეგი გარემოება: საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული ნორმის მოქმედების შეჩერება აპრიორი არ ნიშნავს მხარისათვის გასაჩივრების უფლების მინიჭებას. ამასთან, კანონი არ განსაზღვრავს მსგავს შემთხვევებში გასაჩივრების პროცედურას. ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი შესაძლებელია, დაადგინოს კანონმდებელმა. მიუხედავად ყოველივე ამისა,

მიჩნეულ იქნა, რომ აღნიშნული წესის დადგენამდე სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სამართლის ზოგადი პრინციპები. გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია უზრუნველყოფს პირის უფლებას, კანონიერი დაპატიმრების შემთხვევაში თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ ითვალისწინებს აღნიშნული განკარგულების გასაჩივრების წესს და პროცედურას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო შეიზღუდოს სამართლისა და კანონის ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობისაგან პირის ინტერესების სასარგებლოდ. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, კონკრეტულ პირთა მიერ განხორციელებული ქმედება, თავისი სამართლებრივი ბუნებით, წარმოადგენს ადმინისტრაციულ გადაცდომას, ხოლო მოსამართლის გადაწყვეტილება სამართალდამრღვევი პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებაა. მართალია, სასამართლომ გასაჩივრებული განკარგულების მიღებისას იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის დანაწესით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას. ნიშანდობლივია ისიც, რომ სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ასევე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც იმავდროულად გამოიყენება ადმინისტრაციულ პროცესში. ყოველგვარი ქმედება, რომელიც იწვევს სასამართლოში წესრიგის ხელყოფას, წარმოადგენს ადმინისტრაციულ გადაცდომას იმისდა მიუხედავად, თუ საპროცესო სამართლის რომელი დარგითაა განსაზღვრული დამრღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 279-ე მუხლი ანიჭებს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლებამოსილებას, გადასინჯოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ამ შემთხვევაში იხელმძღვანელა სამართლის ანალოგიით, გამოიყენა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი, ყველაზე უფრო მსგავსი სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, დაუშვა საჩივარი და განიხილა იგი.

24. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2006 წლის 15 დეკემბრის №1/3/393,397 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-7 ნაწილი (იმ ნაწილში, რომელიც ეხება სასამართლოსადმი აშკარა და უხეში უპატივცემულობის გამო დაპატიმრებას).

მუხლი 209. წინასწარი გამოძიების სტადიაზე სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევისათვის პირის პასუხისგებაში მიცემის წესი

1. თუ პროცესის რომელიმე მონაწილე წინასწარი გამოძიების სტადიაზე ჩაიდენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 კარით გათვალისწინებულ დანაშაულს (დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღ-

მდეგ), ცრუ ჩვენების მიცემის გარდა, გამომძიებელი ან პროკურორი აწარმოებს გამოძიებას ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. პროკურორის მიერ დამტკიცებული ოქმი სამართალდარღვევის შესახებ (ამ კოდექსის 203-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით ან 205-ე მუხლით გათვალისწინებულ საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის) და თანდართული მასალები დაუყოვნებლივ იგზავნება სასამართლოში.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე პროცესის რომელიმე მონაწილის მიერ სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში (ცრუ ჩვენების მიცემის გარდა) ამ ფაქტზე გამოძიება ტარდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

2. ცრუ ჩვენების მიცემისათვის პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის კომენტარები).

3. სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიების წარმოების ეტაპზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 203-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 205-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევების შესახებ გამომძიებელი ადგენს და პროკურორი ამტკიცებს ოქმს, რომელიც თანდართული მასალებით დაუყოვნებლივ იგზავნება გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203-ე, 205-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 210. წინასწარი გამოძიების დროს ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

1. 209-ე მუხლის შესაბამისად შედგენილ სამართალდარღვევის ოქმსა და თანდართულ მასალებს განიხილავს მოსამართლე გამოძიების ადგილის მიხედვით პასუხისგებაში მიცემული პირის გამოძახებით.

2. სხდომაში მონაწილეობის უფლება აქვს პროკურორს, აგრეთვე იმ პირის მიერ მოწვეულ დამცველს, რომელსაც ბრალად ედება სამართალდარღვევის ჩადენა.

3. პროკურორს, პირს, რომელსაც ბრალად ედება სამართალდარღვევის ჩადენა, და მის დამცველს უფლება აქვთ გაეცნონ ოქმს სამართალდარღვევის შესახებ, სასამართლოში წარდგენილ სხვა მასალებს, განაცხადონ აცილება და შუამდგომლობა, წარმოადგინონ მტკიცებულებანი.

4. პირი, რომელსაც ბრალად ედება სამართალდარღვევის ჩადენა, სასამართლოს აძლევს ჩვენებას. სასამართლოს შეუძლია გამოიძახოს და დაკითხოს მოწმეები, გამოითხოვოს დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებები, დანიშნოს ექსპერტიზა.

5. თუ არსებობს პირის ბრალეულად ცნობის საფუძველი, მოსამართლე მას აკისრებს ჯარიმას ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ოდენობით.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნული მოსამართლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს 546-573-ე მუხლებით დადგენილი წესით.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ეტაპზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის შესაბამისად შედგენილ სამართალდარღვევის ოქმსა და თანდართულ მასალებს განიხილავს მოსამართლე გამოძიების ადგილის მიხედვით.

2. სამართალდამრღვევს უნდა განემარტოს, რომ აქვს დამცველის მოწვევის უფლება.

3. სასამართლო ვალდებულია, კოდექსით დადგენილი წესით აცნობოს სხდომის დღე პასუხისგებაში მიცემულ პირს, აგრეთვე – მის დამცველსა და პროკურორს.

4. პროცესის მონაწილეებს – პროკურორს, პირს, რომელსაც ბრალად ედება სამართალდარღვევის ჩადენა, მის დამცველს უფლება აქვთ, გაეცნონ ოქმს სამართალდარღვევის შესახებ, სასამართლოში წარდგენილ სხვა მასალებს, განაცხადონ აცილება, შუამდგომლობა, წარმოადგინონ მტკიცებულებანი.

5. სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალდებული პირი სასამართლოს აძლევს ჩვენებას. სასამართლოს, სამართალდარღვევის საკითხის სრულყოფილად გარკვევისათვის, შეუძლია, გამოიძახოს და დაკითხოს მოწმეები, დანიშნოს ექსპერტიზა, გამოითხოვოს დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებები.

6. სამართლდარღვევის შესახებ ოქმისა და შესაბამისი მასალების განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს დადგენილება:

– პირის სამართალდამრღვევად ცნობისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ოდენობით ჯარიმის დაკისრების შესახებ;

– სამართალდამრღვევად პირის არცნობისა და მისთვის ჯარიმის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ.

7. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის დადგენილება პირის სამართალდამრღვევად ცნობისა და ჯარიმის დაკისრების შესახებ შეიძლება, გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

მუხლი 211. სასამართლო სხდომაზე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

თუ სასამართლოში საქმის განხილვისას გამოვლინდა, რომ არსებობს საფუძველი სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის პროცესის მონაწილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად სასამართლო ადგენს, რომ სათანადო მასალები გაეგზავნოს პროკურორს წინასწარი გამოძიებისათვის.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №66(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. თუ განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო (მოსამართლე) დაადგენს, რომ არსებობს საფუძველი სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის პროცესის მონაწილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, განაჩენთან ან სხვა შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად სასამართლოს (მოსამართლეს) გამოაქვს განჩინება (დადგენილება), რაც სათანადო მასალებთან ერთად ეგზავნება პროკურორს წინასწარი გამოძიებისათვის.

კარი მეხუთე
ზოგადი ნაწილის სხვა დებულებანი

თავი XXVI
საპროცესო ვადები

მუხლი 212. ვადების გამოთვლის წესი

1. **ამ კოდექსით დადგენილი ვადები გამოითვლება საათებით, დღე-ღამეებით, თვეებით. ვადების გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება, გარდა დაკავებისა და დაპატიმრებისა, რომელთა ხანგრძლივობაც გამოითვლება წუთებით.**
2. **ვადის დამთავრების დროში შედის არასამუშაო დროც, მათ შორის, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეები.**
3. **დღე-ღამეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო დღე-ღამის 24 საათზე. თვეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო თვის შესაბამის რიცხვში, ხოლო თუ ბოლო თვეს არა აქვს შესაბამისი რიცხვი, – ამ თვის ბოლო დღე-ღამეს.**

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადების დაცვა სავალდებულოა პროცესის ყველა მონაწილისათვის.

2. დაკავებისა და დაპატიმრების ვადები გამოითვლება წუთებით, ასევე წუთებით გამოითვლება აღკვეთის ღონისძიების საკითხთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრების 48-საათიანი ვადაც.

3. დღე-ღამეებით და საათებით გამოსათვლელი ვადის ათვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება. დღე-ღამეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო დღე-ღამის 24 საათზე. თვეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო თვის შესაბამის რიცხვში, ხოლო თუ ბოლო თვეს არა აქვს შესაბამისი რიცხვი – ამ თვის ბოლო დღე-ღამეს. მაგ.: პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის სააპელაციო გასაჩივრების ვადაა ერთი თვე. თუ განაჩენი გამოტანილია 31 აგვისტოს, სააპელაციო გასაჩივრების ვადა ამოიწურება 30 სექტემბერს.

4. ვადის დამთავრების დროში შედის არასამუშაო დროც, მათ შორის – დასვენებისა და სადღესასწაულო დღეები.

მუხლი 213. ვადის დაცვა

ვადა გაცდენილად არ ჩაითვლება, თუ საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი ვადის ამოწურვამდე გადაეცა ფოსტას, გადაეცა ან გამოეცხადა მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, გადაეცა წინასწარი პატიმრობის ადგილის ან სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას, თუ პირი შესაბამისად დაპატიმრებულია ან იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში.

1. საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადაში უნდა ჩაჰბარდეს მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს ან ორგანოს.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში საჩივარი ან შუამდგომლობა შეიძლება განცხადებულ იქნეს ზეპირი ფორმითაც, რაც შეიტანება შესაბამის საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედების ოქმში.

3. ვადა გაცდენილად არ ჩაითვლება, თუ საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი ვადის ამოწურვამდე გადაეცა ფოსტას.

4. თუ პირი დაპატიმრებულია ან იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში, ვადა გაცდენილად არ ჩაითვლება, თუ საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი ვადის ამოწურვამდე გადაეცა წინასწარი პატიმრობის ადგილის ან სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას.

მუხლი 214. ვადის გაგრძელება

ვადის გაგრძელება, ამ კოდექსით დადგენილი წესით, შეუძლია ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს.

1. თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ არის დადგენილი რაიმე საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარების ვადა, აღნიშნული მოქმედება უნდა ჩატარდეს ამ ვადაში.

2. ვადის გაგრძელება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, შეუძლია პროცესის მწარმოებელ ორგანოს. ვადის გაგრძელებისაგან განსხვავდება გაცდენილი ვადის აღდგენა. ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და ისიც, მხოლოდ წინა ვადის გასვლამდე, ხოლო როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არ არის გათვალისწინებული ვადის გაგრძელება, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას შეიძლება გაცდენილი ვადის აღდგენა და არა – გაგრძელება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 215. გაცდენილი ვადის აღდგენა

1. **საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადა უნდა აღდგეს იმ ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილებით, რომლის წარმოებაშიცაა საქმე.**

2. საპატიო მიზეზით ვადის გაცდენის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვადის გამცდენ პირს.

3. ვადის აღდგენაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით.

4. ვადის გაცდენასთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება, დაინტერესებული პირის შუამდგომლობით, შეიძლება შეჩერდეს გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ საკითხის გადაწყვეტამდე.

1. პროცესის მონაწილეს უფლება აქვს, მოითხოვოს საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადის აღდგენა. მტკიცების ტვირთი, რომ ვადა საპატიო მიზეზით იქნა გაცდენილი, ეკისრება ვადის გამცდენ (ვადის აღდგენის მომთხოვნ) პირს.

2. წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამომძიებლის მოქმედებათა ან გადაწყვეტილებათა პროკურორთან გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ შუამდგომლობით უნდა მიმართონ გამომძიებელს, ხოლო პროკურორის მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ შუამდგომლობით უნდა მიმართონ პროკურორს.

3. წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამომძიებლისა და პროკურორის სასამართლოში გასაჩივრებას დაქვემდებარებულ გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ შუამდგომლობით უნდა მიმართონ იმ სასამართლოს, სადაც უნდა შეტანილიყო საჩივარი.

4. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებათა ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ შუამდგომლობით უნდა მიმართონ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

5. თუ სასამართლო (ან თანამდებობის პირი), რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება, დაადგენს, რომ საჩივარი შეტანილია ვადის დარღვევით (გაცდენილია გასაჩივრების ვადა), საჩივარი არ უნდა გადაიგზავნოს ზემდგომ სასამართლოში (შესაბამის თანამდებობის პირთან), რის შესახებაც უნდა ეცნობოს საჩივრის შემტანს და განემარტოს საპატიო მიზეზის არსებობისას ვადის აღდგენის მოთხოვნის უფლება. თუ შუამდგომლობა ვადის აღდგენის შესახებ არ იქნება შეტანილი, საჩივარი არ გადაიგზავნება. ვადის აღდგენის მოთხოვნის გარეშე არ არსებობს ვადის აღდგენაზე მსჯელობის უფლება.

6. ვადის აღდგენის შესახებ შუამდგომლობის შეტანა შეიძლება იმ წესით, რომლითაც დასაშვებია საჩივრის შეტანა, მაგალითად, თუ საჩივრის შეტანას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს მხოლოდ მარწმუნებლის თანხმობით, ვადის აღდგენის შესახებ შუამდგომლობის შეტანაც დაიშვება მხოლოდ მარწმუნებლის თანხმობით.

7. გადაწყვეტილება გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ არ საჩივრდება. ვადის აღდგენის შემთხვევაში არსებითი საჩივარი, ვადის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება და შესაბამისი მასალები ეგზავნება თანამდებობის პირს ან ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია, გადაწყვიტოს საჩივარი.

8. ვადის აღდგენაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს იმ ორგანოში ან თანამდებობის პირთან, სადაც (ვისთანაც) უნდა გასაჩივრებულიყო ის გადაწყვეტილება, რომლის გა-

საჩივრების ვადის აღდგენაზეც ითქვა უარი. აღნიშნული ორგანო (თანამდებობის პირი) უფლებამოსილია, აღადგინოს (საპატიოდ მიიჩნიოს) გაცდენილი ვადა და არსებითად გადაწყვიტოს საჩივარი, ასევე, უფლებამოსილია, უარი თქვას ვადის აღდგენაზე და არსებითად არ განიხილოს საჩივარი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლის კომენტარები).

9. ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება იმ ვადაში, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით იმ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის არის დაწესებული, რომლის გასაჩივრების ვადის აღდგენაზეც ითქვა უარი.

მუხლი 216. ვადის გაცდენის შედეგები

საპროცესო მოქმედება, რომელიც დადგენილი ვადის შემდეგ ჩატარდა, ბათილად ითვლება, თუ ვადა არ იქნება აღდგენილი.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საპროცესო მოქმედების ჩატარება იწვევს ამ მოქმედების ბათილობას, თუ ვადა არ იქნა აღდგენილი, ანუ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ვადის აღდგენის გარეშე, საპროცესო მოქმედების შესრულება ან მიღებული გადაწყვეტილება იურიდიული ძალის არმქონეა.

თავი XXVII
სასამართლო ხარჯები და მათი ანაზღაურება

მუხლი 217. სასამართლო ხარჯების სახეები

1. სასამართლო ხარჯებია:
ა) წინასწარი გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლოს შესანახად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული ფულადი სახსრები სისხლის სამართლის თითოეულ საქმეზე;
ბ) პროცესის მწარმოებელ ორგანოში საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში მონაწილეობისათვის პროცესის მონაწილეთა გამოძახებასთან დაკავშირებით მათი გადასახდელებისა და გასამრჯელოსათვის დახარჯული ფულადი სახსრები.
2. სასამართლო ხარჯები შედგება:
ა) დაზარალებულის, მოწმის, სპეციალისტის, ექსპერტისათვის გადახდილი თანხებისაგან – გამოცხადების ხარჯებისა და დღიური თანხის ანაზღაურების წესით;
ბ) (ამოღებულია);
გ) საპროცესო მოვალეობათა შესასრულებლად კერძო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისათვის (დამოუკიდებელი ექსპერტისათვის), საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტისათვის, სპეციალისტისა და თარჯიმნისათვის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი თანხებისაგან;
დ) მოწმისათვის, დაზარალებულისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის, რომელთაც მუდმივი ხელფასი არა აქვთ, გადახდილი თანხებისაგან, თუ ეს პირები მოსცდნენ ჩვეულებრივ საქმიანობას;
ე) პროცესის მწარმოებელ ორგანოში პროცესის მონაწილეთა გამოძახებასთან დაკავშირებით მათ მიერ გაცდენილი მთელი დროის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების სახით გადახდილი თანხებისაგან;
ვ) ეჭვმიტანილისათვის, ბრალდებულისა თუ განსასჯელისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად დამცველისათვის სახელმწიფოს მიერ გადახდილი თანხებისაგან – იმ შემთხვევებში, როცა ეს პირები განთავისუფლებულნი არიან დამცველის შრომის ანაზღაურებისაგან, ან როცა მონაწილეობს დამცველი დანიშვნით;
ზ) ნივთიერ მტკიცებულებათა შენახვისა და გადაგზავნისათვის დახარჯული თანხებისაგან;
თ) სახელმწიფო სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან;
ი) ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარების სახით გადახდილი თანხებისაგან, თუ ეს პირები გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან;

კ) დაზარალებულისათვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაციის სახით გადახდილი თანხებისაგან, თუ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეძლეს დანაშაულის გახსნა;

ლ) წინასწარ გამოძიებასთან ან სასამართლოში განხილვასთან დაკავშირებით გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლისა და ოპერატიული მუშაკებისათვის ხელფასის სახით გადახდილი თანხებისაგან.

(საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის კანონი №596 – სსმ I, 2004 წ., №37, მუხლი 172; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2543 – სსმ I, 2006 წ., №1, მუხლი 9)

1. სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოებისა და სასამართლო განხილვისათვის გაწეული ხარჯების ერთობლიობა წარმოადგენს სასამართლო ხარჯებს, ამ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით სასამართლო ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე ის ხარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების ჩატარების, ან სასამართლო სხდომის მომზადებისათვის და ვერ ჩატარდა პროცესის მონაწილის არასაპატიო გამოუცხადებლობის გამო, გადახდება პროცესის გამოუცხადებელ მონაწილეს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე, 218-ე მუხლების კომენტარები).

3. სასამართლო ხარჯებია: წინასწარი გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლოს შესანახად, ასევე – პროცესის მწარმოებელ ორგანოში საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში მონაწილეობისათვის პროცესის მონაწილეთა გამოძახებასთან დაკავშირებით და მათთვის გადასახდელებისა და გასამრჯელოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული ფულადი სახსრები სისხლის სამართლის თითოეულ საქმეზე.

4. სასამართლო ხარჯები შედგება:

– დაზარალებულის, მოწმის, სპეციალისტის, ექსპერტისათვის გადახდილი თანხებისაგან – გამოცხადების ხარჯებისა და დღიური თანხის ანაზღაურების წესით;

– საპროცესო მოვალეობათა შესასრულებლად კერძო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისათვის (დამოუკიდებელი ექსპერტისათვის), საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტისათვის, სპეციალისტისა და თარჯიმნისათვის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი თანხებისაგან;

– მოწმისათვის, დაზარალებულისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის, რომელთაც მუდმივი ხელფასი არა აქვთ, გადახდილი თანხებისაგან, თუ ეს პირები მოსცდნენ ჩვეულებრივ საქმიანობას;

– პროცესის მწარმოებელ ორგანოში პროცესის მონაწილეთა გამოძახებასთან დაკავშირებით მათ მიერ გაცდენილი მთელი დროის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების სახით გადახდილი თანხებისაგან;

– ეჭვმიტანილისათვის, ბრალდებულისა თუ განსასჯელისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად დამცველისათვის სახელმწიფოს მიერ გადახდილი თანხებისაგან –

იმ შემთხვევებში, როცა ეს პირები გათავისუფლებული არიან დამცველის შრომის ანაზღაურებისაგან, ან როცა მონაწილეობს დამცველი დანიშვნით;

– ნივთიერ მტკიცებულებათა შენახვისა და გადაგზავნისათვის დახარჯული თანხებისაგან;

– სახელმწიფო სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან;

– ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარების სახით გადახდილი თანხებისაგან, თუ ეს პირები გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან;

– წინასწარ გამოძიებასა ან სასამართლოში განხილვასთან დაკავშირებით გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლისა და ოპერატიული მუშაკებისათვის ხელფასის სახით გადახდილი თანხებისაგან;

– დაზარალებულისათვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაციის სახით გადახდილი თანხებისაგან, თუ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეძლეს დანაშაულის გახსნა;

5. აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლო ხარჯების ის სახე, რომელიც არის დაზარალებულისათვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაციის სახით გადახდილი თანხა, თუ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეძლეს დანაშაულის გახსნა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 681-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უნდა ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 218. სასამართლო ხარჯების გადახდევინება

1. **სასამართლო ხარჯები ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.**
2. **მსჯავრდებულისა და პროცესის სხვა მონაწილეთა სახსრებიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება საგამოძიებო აპარატის, ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების, პროკურორის, სასამართლოს, სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების, წინასწარი პატიმრობის ადგილის შესანახი, თარჯიმნის შრომის ანაზღაურების ხარჯები, თუ პროცესის მწარმოებელმა ორგანომ საჭიროდ ცნო მათი მონაწილეობა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში.**
3. **217-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული სასამართლო ხარჯები სასამართლომ შეიძლება დააკისროს მსჯავრდებულს და მიღებული თანხები ჩარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში ანდა გადაუხადოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს მის მიერ გაწეული ხარჯების კომპენსაციის სახით, ხოლო 217-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტში აღნიშნული სასამართლო ხარჯები სახელმწიფო სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებას აუნაზღაურდება ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ ამ კოდექსის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.**
4. **სასამართლოში საქმის გაგზავნისას გამომძიებელი ადგენს ცნობას წინასწარი გამოძიების ხარჯების შესახებ, რომლის უტყუარობაც მოწმდება სასა-**

მართლო სხდომაზე. თუ საქმე შეწყდა წინასწარი გამოძიების სტადიაზე, სისხლის სამართლის საქმის გამო გაწეული ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

5. სასამართლო ხარჯების თანხას განსაზღვრავენ აგრეთვე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციები.
6. სასამართლოს უფლება აქვს მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს სასამართლო ხარჯების გადახდისაგან ვალაუვალობის (გადახდისუუნარობის), შრომისუუნარობის ან ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო.
7. წინასწარი გამოძიების დროს, აგრეთვე განსასჯელის გამართლების ან სარეაბილიტაციო საფუძველზე საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო ხარჯების გადახდა არ ხდება.
8. რამდენიმე პირის მსჯავრდების დროს სასამართლო ხარჯები გადახდება თითოეულ მათგანს წილობრივად – ბრალის ხარისხის, დანიშნული სასჯელის სიმკაცრისა და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. გადახდევინებისას სოლიდარული პასუხისმგებლობის გამოყენება დაუშვებელია.
9. მხარეთა შერიგების გამო კერძო ბრალდების საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს სასამართლო ხარჯები დააკისროს ორსავე ან ერთ-ერთ მხარეს.
10. გარდაცვლილი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მემკვიდრეები თავისუფლდებიან სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.
11. მსჯავრდებულისაგან გადახდევინებას მიკუთვნებული სასამართლო ხარჯების საერთო თანხა უნდა შემცირდეს ხარჯების იმ ოდენობით, რომელიც გამოიწვია გამოძიების დაყოვნებამ, არასაჭირო საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამ, დამატებითი გამოძიებისათვის ან ახალი სასამართლო განხილვისათვის საქმის დაბრუნებამ, სასამართლო შეცდომების გამოვლენამ და გამოსწორებამ.
12. სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება სამოქალაქო მოპასუხეს, ხოლო მისი უარყოფის შემთხვევაში – სამოქალაქო მოსარჩელეს.
13. პროცესის ყველა მონაწილეს, მსჯავრდებულის, დამცველის, ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენლის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელთა გარდა, სამუშაო ადგილას უნარჩუნდება საშუალო ხელფასი (მათ შორის – პრემია, დანამატი და ანაზღაურება შეთავსებითი სამუშაოსათვის) წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში მათ მონაწილეობაზე დახარჯული მთელი დროის განმავლობაში. თუ არასახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინისტრაცია უარს ამბობს პროცესის მონაწილისათვის საშუალო ხელფასის გადახდაზე, მაშინ გადახდა წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
14. სასამართლო ხარჯების გამოანგარიშების მეთოდიკა დგინდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I 1999 წ., №16(23) მუხლი 65; საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის კანონი №596 – სსმ I,

2004 წ., №37, მუხლი 172; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება და პროცესის მონაწილეთა სახსრებიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება საგამოძიებო აპარატის, ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების, პროკურორის, სასამართლოს, სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების, წინასწარი პატიმრობის ადგილის შესანახი, თარჯიმნის შრომის ანაზღაურების ხარჯები, თუ პროცესის მწარმოებელმა ორგანომ საჭიროდ ცნო მათი მონაწილეობა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში.

2. სასამართლომ შეიძლება, დააკისროს მსჯავრდებულს და მიღებული თანხები ჩარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ანდა გადაუხადოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მის მიერ გაწეული ხარჯების კომპენსაციის სახით, შემდეგი სასამართლო ხარჯები:

– დაზარალებულის, მოწმის, სპეციალისტის, ექსპერტისათვის გადახდილი თანხები – გამოცხადების ხარჯებისა და დღიური თანხის ანაზღაურების წესით;

– საპროცესო მოვალეობათა შესასრულებლად კერძო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისათვის (დამოუკიდებელი ექსპერტისათვის), საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტისათვის, სპეციალისტისა და თარჯიმნისათვის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი თანხები;

– მოწმისათვის, დაზარალებულისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის, რომელთაც მუდმივი ხელფასი არა აქვთ, გადახდილი თანხები, თუ ეს პირები მოსცდნენ ჩვეულებრივ საქმიანობას;

– პროცესის მწარმოებელ ორგანოში პროცესის მონაწილეთა გამოძახებასთან დაკავშირებით მათ მიერ გაცდენილი მთელი დროის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების სახით გადახდილი თანხები;

– ეჭვმიტანილისათვის, ბრალდებულისა თუ განსასჯელისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად დამცველისათვის სახელმწიფოს მიერ გადახდილი თანხები – იმ შემთხვევებში, როცა ეს პირები გათავისუფლებული არიან დამცველის შრომის ანაზღაურებისაგან, ან როცა მონაწილეობს დამცველი დანიშვნით;

– ნივთიერ მტკიცებულებათა შენახვისა და გადაგზავნისათვის დახარჯული თანხები.

3. სახელმწიფო სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებას აუნაზღაურებს ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო (თანამდებობის პირი) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის კომენტარები).

4. თანამონაწილეობის (რამდენიმე პირის მსჯავრდების) დროს სასამართლო ხარჯები გადახდება თითოეულ მსჯავრდებულს წილობრივად – ბრალის ხარისხის, დანიშნული სასჯელის სიმკაცრისა და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. გადახდევინებისას სოლიდარული პასუხისმგებლობის გამოყენება დაუშვებელია.

5. მსჯავრდებულს არ შეიძლება, დაეკისროს ის ხარჯები, რომლებიც გამოიწვია გამოძიების დაყოვნებამ (უსაფუძვლო გაჭიანურებამ), არასაჭირო საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამ, დამატებითი გამოძიების ან ახალი სასამართლო განხილვი-

სათვის სისხლის სამართლის საქმის დაბრუნებამ, სასამართლო შეცდომების გამოვლენამ და გამოსწორებამ.

6. სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება სამოქალაქო მოპასუხეს, ხოლო სარჩელის უარყოფის შემთხვევაში – სამოქალაქო მოსარჩელეს.

7. სასამართლოს უფლება აქვს, მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს სასამართლო ხარჯების გადახდისაგან:

– ვალაუვალობის (გადახდისუუნარობის) გამო;

– შრომისუუნარობის გამო;

– ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო.

8. მხარეთა შერიგების გამო კერძო ბრალდების საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს, სასამართლო ხარჯები დააკისროს ორივე ან ერთ-ერთ მხარეს.

9. გარდაცვლილი ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მემკვიდრეები თავისუფლდებიან სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

10. წინასწარი გამოძიების დროს, აგრეთვე – განსასჯელის გამართლების ან სარეაბილიტაციო საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო ხარჯების გადახდა არ ხდება.

11. პროცესის ყველა მონაწილეს, მსჯავრდებულის, დამცველის, ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენლის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელთა გარდა, სამუშაო ადგილას უნარჩუნდება საშუალო ხელფასი (მათ შორის – პრემია, დანამატი და ანაზღაურება შეთავსებითი სამუშაოსათვის) წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში მათ მონაწილეობაზე დახარჯული მთელი დროის განმავლობაში.

12. თუ არასაბიუჯეტო საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინისტრაცია უარს ამბობს პროცესის მონაწილისათვის საშუალო ხელფასის გადახდაზე, მაშინ გადახდა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

13. არსებითი განხილვისათვის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის გაგზავნისას უნდა შედგეს და საქმეს დაერთოს ცნობა წინასწარი გამოძიების ხარჯების შესახებ, რომლის უტყუარობაც მოწმდება სასამართლო სხდომაზე.

14. თუ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წინასწარი გამოძიების სტადიაზე, სისხლის სამართლის საქმის გამო გაწეული ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

15. სასამართლო ხარჯებში შედის, აგრეთვე, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითად განხილვისას გაწეული ხარჯები, ანუ წინასწარი გამოძიებისას გაწეულ სასამართლო ხარჯებს დაემატება ყველა ინსტანციის სასამართლოში გაწეული სასამართლო ხარჯები. სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო ვალდებულია, დაადგინოს სასამართლო ხარჯების ოდენობა.

16. სასამართლო ხარჯები ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. სასამართლო ხარჯების გამოანგარიშების მეთოდიკა დგინდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

თავი XXVIII
რეაბილიტაცია და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 219. რეაბილიტაციის საფუძვლები

1. **უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მსჯავრდებულს, ბრალდებულს ან იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნილს უნდა აღუდგეს უფლებები (რეაბილიტირებულ უნდა იქნეს), თუ დადგინდება მისი უდანაშაულობა ან იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნის უსაფუძვლობა.**
2. **რეაბილიტაციის საფუძველია გამამართლებელი განაჩენი, აგრეთვე მოსამართლის ან პროკურორის დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ამ კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„დ“, „ი“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებში და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით, აგრეთვე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე უკანონო სასამართლო განჩინების (დადგენილების) გაუქმების შესახებ.**
3. **რეაბილიტირებულ უნდა იქნეს აგრეთვე პირი, რომლის მიმართაც ხორციელდებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლო განხილვა, მას შემდეგ, რაც გამოვლინდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი და დევნა შეწყდა ამ კოდექსის 28-ე მუხლში აღნიშნული ნებისმიერი საფუძვლით.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. თუ დადგინდება პირის უდანაშაულობა ან იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნის უსაფუძვლობა, უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მსჯავრდებულს, ბრალდებულს ან იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნილს უნდა აღუდგეს უფლებები (რეაბილიტირებულ უნდა იქნეს).

2. რეაბილიტაციის საფუძველებია, ანუ პირი რეაბილიტირებულად ითვლება, თუ გამოტანილ იქნა:

ა) გამამართლებელი განაჩენი;

ბ) სასამართლოს, მოსამართლის, პროკურორის განჩინება, დადგენილება სისხლის-სამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

– სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობა;

– ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობა, ანუ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი;

– ახალი კანონით ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმება;

– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელსაც ემყარება ბრალდება;

– იმავე ბრალდების გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობა;

– იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს (მოსამართლის) განჩინების (დადგენილების) არსებობა;

– სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს, პროკურორის დადგენილების (განჩინების) არსებობა;

– პროკურორის, დაზარალებულის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

– პირის მიერ იმ ასაკისათვის მიუღწევლობა, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

– სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობა (ანუ შეცდომა – სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლი);

– სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობა (ანუ ბრძანების ან განკარგულების შესრულება – სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლი);

– სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობა (ანუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს – სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი);

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული, დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევის გამო პირის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის არა უმეტეს 12- თვიანი ვადის გასვლა;

გ) დადგენილება (განჩინება) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე უკანონო სასამართლო განჩინების (დადგენილების) გაუქმების შესახებ.

3. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ნებისმიერი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის გაგრძელება ასევე რეაბილიტაციის საფუძველია, ანუ რეაბილიტირებულ უნდა იქნეს, აგრეთვე, პირი, რომლის მიმართაც ხორციელდებოდა (გრძელდებოდა) სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლო განხილვა, მას შემდეგ, რაც გამოვლინდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ნებისმიერი საფუძველი და დევნა შეწყდა.

მუხლი 220. ნაწილობრივი რეაბილიტაცია

ნაწილობრივ რეაბილიტაციას ექვემდებარება პირი, თუ ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ შეცვალა ქმედების კვალიფიკაცია ან სასჯელის ღონისძიება ისე, რომ ფაქტობრივად მოხდილი სასჯელი აღმოჩნდა მეტი ან უფრო მკაცრი, ვიდრე საბოლოოდ დანიშნული, ანდა თუ განაჩენიდან ამოირიცხა ბრალდებათა ნაწილი, რის გამოც აღარ არის საფუძველი დაკავებისათვის, დაპატიმრებისათვის ან თავისუფლების აღკვეთისათვის.

1. თუ სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციების სასამართლოებმა შეცვალეს ქვემდგომი სასამართლოს განაჩენით დადგენილი ქმედების კვალიფიკაცია ან სასჯელის ღონისძიება ისე, რომ ფაქტობრივად მოხდილი სასჯელი აღმოჩნდა მეტი ან უფრო მკაცრი, ვიდრე – საბოლოოდ (ანუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ) დანიშნული, ანდა თუ განაჩენიდან ამოირიცხა ბრალდებათა ნაწილი, რის გამოც აღარ არის საფუძველი დაკავების, დაპატიმრების ან თავისუფლების აღკვეთისათვის, პირი ექვემდებარება ნაწილობრივ რეაბილიტაციას.

მუხლი 221. სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები

უნდა ანაზღაურდეს, საქმის შედეგის მიუხედავად, ზიანი, რომელიც პირს მიადგა უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაკავების, დაპატიმრების ანდა სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების შედეგად, აგრეთვე თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, შემოწმების, სამართალწარმოების ორგანოების სხვა უკანონო ან დაუსაბუთებელ მოქმედებათა შედეგად, რომლებმაც ბრალდებულსა თუ სხვა პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიაყენა.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ანაზღაურებას ექვემდებარება ბრალდებულისა თუ სხვა პირისათვის მიყენებული ქონებრივი, ფიზიკური, მორალური ზიანი, რომლებიც გამოწვეულია:

– უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავებით;

– უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრებით;

– სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოთავსებით;

– თანამდებობიდან უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაყენებით;

– უკანონო ან დაუსაბუთებელი ჩხრეკით;

– უკანონო ან დაუსაბუთებელი ამოღებით;

– ქონებაზე უკანონო ან დაუსაბუთებელი ყადაღის დადებით;

– უკანონო ან დაუსაბუთებელი საგამოძიებო ექსპერიმენტით;

– უკანონო ან დაუსაბუთებელი შემოწმებით;

– პროცესის მწარმოებელი ორგანოების, თანამდებობის პირების სხვა უკანონო ან დაუსაბუთებელ მოქმედებათა შედეგად.

2. ზიანის ანაზღაურებისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება სისხლის სამართლის საქმის შედეგს, ანუ ზიანი ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა, პირი მსჯავრდებულ იქნა თუ გამართლდა.

მუხლი 222. ბრალეულობის საკითხი რეაბილიტაციის დროს უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას

1. რეაბილიტაციის დროს სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას ყველა გადასახდელი გადაიხდევინება, ამ ორგანოების თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

2. გადასახდელი არ ინიშნება, თუ უდანაშაულო პირისათვის მსჯავრის დადება და მის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენება გამოწვეული იყო წინასწარგანზრახულად ცრუ აღიარებით (თვითგათქმით), რომელიც მიღებულია რაიმე იძულების გარეშე.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლით დადგენილი საფუძვლების არსებობისას სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანი ექვემდებარება სრულად ანაზღაურებას, ამ ორგანოების თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

2. გადასახდელი არ ინიშნება (ანუ ზიანი არ ანაზღაურდება), თუ უდანაშაულო პირისათვის მსჯავრის დადება და მის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენება გამოწვეული იყო რაიმე იძულების გარეშე მიღებული მის მიერ წინასწარგანზრახულად ცრუ აღიარებით (თვითგათქმით).

მუხლი 223. უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება

1. რეაბილიტირებულისათვის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდება.

2. უნდა ანაზღაურდეს:

ა) ხელფასი ან სხვა შემოსავალი, რომელიც სარეაბილიტაციო პირს მოაკლდა, მათ შორის, ანაცდენი სარგებელი;

ბ) პენსია, დახმარება, – თუ მათი გადახდა შეჩერებული იყო;

გ) ფული, ფულადი ანაბრები და მათი პროცენტები, ობლიგაციები და მათი წილხვედრი მოგება, სხვა ფასიანი ქაღალდები და მათზე მიღებული შემოსავალი;

დ) სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ნივთებისა და სხვა ქონების ღირებულება;

ე) სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე გადახდევინებული ჯარიმები და სასამართლო ხარჯები;

ვ) თანხა, რომელიც გადახდა მსჯავრდებულს დანიშვნით დაცვის განხორციელებისათვის;

ზ) ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარი შეთანხმებით დაცვის განხორციელებისათვის;

თ) სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები.

3. იმ პირის გარდაცვალებისას, რომელსაც ზიანი მიადგა, ზიანის ანაზღაურების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე.

4. დასაბრუნებელი ფულისა და ნივთების ღირებულების ინდექსაცია ხდება გადახდის დღეს არსებული საშუალო-საბაზრო ფასებით, ინფლაციის გათვალისწინებით.

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ ზიანს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურებენ საფინანსო ორგანოები, ხოლო იმავე ნაწილის ბ ქვეპუნქტში აღნიშნულ ზიანს – სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები.

1. უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდება, კერძოდ: ანაზღაურებას ექვემდებარება:

– ხელფასი ან სხვა შემოსავალი, რომელიც რეაბილიტირებულ პირს მოაკლდა, მათ შორის – ანაცდენი სარგებელი;

– პენსია, დახმარება, თუ მათი გადახდა შეჩერებული იყო;

– ფული, ფულადი ანაბრები და მათი პროცენტები, ობლიგაციები და მათი წილხვედრი მოგება, სხვა ფასიანი ქაღალდები და მათგან მიღებული შემოსავალი;

– სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ნივთებისა და სხვა ქონების ღირებულება;

– სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე გადახდევინებული ჯარიმები და სასამართლო ხარჯები;

– თანხა, რომელიც გადახდა მსჯავრდებულს დანიშვნით დაცვის განხორციელებისათვის;

– ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარი შეთანხმებით დაცვის განხორციელებისათვის;

– სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები.

2. გადაუხდელ (შეჩერებულ) პენსიას, დახმარებას ანაზღაურებენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები, ხოლო ყველა სხვა სახის ზიანს – შესაბამისი საფინანსო ორგანოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. დასაბრუნებელი ფულისა და ნივთების ღირებულების ინდექსაცია ხდება გადახდის დღეს არსებული საშუალო-საბაზრო ფასებით, ინფლაციის გათვალისწინებით.

4. აღსანიშნავია, რომ იმ პირის გარდაცვალებისას, რომელსაც ზიანი მიადგა, ზიანის ანაზღაურების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე.

მუხლი 224. უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ფიზიკური ზიანის ანაზღაურება

1. თუ დადგინდება, რომ პირს ჯანმრთელობა დაუზიანდა დაკავების, დაპატიმრების, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულის ყოფნის წესების დარღვევის ან სამედიცინო დახმარების დროულად გაუწევლობის, ასევე კანონით დადგენილი სასამართლო ექსპერტიზისა და სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარების წესის დარღვევის შედეგად, სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას მთლიანად აანაზღაუროს ეს ზიანი, რისთვისაც:

ა) მიყენებული ზიანისათვის იძლევა ერთდროულ გადასახდელს, რომლის ოდენობასაც სასამართლო განსაზღვრავს დაავადების სიმძიმისა და პროგნოზის გათვალისწინებით, მაგრამ შრომის ანაზღაურების ას მინიმალურ ოდენობამდე;

ბ) ანაზღაურებს მკურნალობის ხარჯებს;

გ) იძლევა ორმაგი ოდენობის პენსიას ინვალიდობის დადგენის შემთხვევაში.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები შეიძლება წაყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, სასჯელის მოხდის პროცესში და მისი მოხდის შემდეგ 6 თვის განმავლობაში.

3. ჯანმრთელობის შერყევის მიზეზის დასადგენად აუცილებელია სამედიცინო ექსპერტიზა.

1. თუ არსებობს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, პირის ჯანმრთელობა შერყეულია და მას ჯანმრთელობა დაუზიანდა დაკავების, დაპატიმრების, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყოფნის წესების დარღვევის ან სამედიცინო დახმარების დროულად გაუწევლობის, ასევე – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სასამართლო ექსპერტიზისა და სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარების წესის დარღვევის შედეგად, სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, მთლიანად აანაზღაუროს ეს ზიანი.

2. თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირს ჯანმრთელობა დაუზიანდა ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, ამ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს:

– მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება;

– ორმაგი ოდენობის პენსია ინვალიდობის დადგენის შემთხვევაში;

– ერთდროული გადასახდელი (დახმარება), რომლის ოდენობასაც სასამართლო განსაზღვრავს დაავადების სიმძიმისა და მისი პროგნოზის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს შრომის ანაზღაურების ასი მინიმალური ოდენობით.

მუხლი 225. უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება

1. **პუბლიკაცია სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაციის ყველა შემთხვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში.**
2. **მოსამართლე, პროკურორი ან გამომძიებელი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის შესახებ, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის თაობაზე საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და შრომით კოლექტივს, სადაც მუშაობდა ან სწავლობდა რეაბილიტირებული.**
3. **თუ ცნობები დაკავების, დაპატიმრების, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, სხვა იძულებითი მოქმედების, ბრალდების შინაარსისა და გამამტყუნებელი განაჩენის შესახებ გაავრცელეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ისინი ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ ინფორმაცია რეაბილიტაციისა თუ სათანადო საპროცესო მოქმედების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის შესახებ.**
4. **ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება რეაბილიტაციის შესახებ, რეაბილიტირებულს აძლევს მისი უდანაშაულობის დამადასტურებელ დოკუმენტს.**
5. **თუ რომელიმე საპროცესო მოქმედების შედეგად პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიადგა, ამ ზიანის ანაზღაურების გარდა, სამართალწარმოების შესაბამისი ორგანო დაზარალებულს წერილობით უხდის ბოდიშს.**

1. სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილება (ან შესაბამისი ინფორმაცია) უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში.

2. რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობის პირი ან ორგანო ვალდებულია, რეაბილიტაციის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და შრომით კოლექტივს, სადაც მუშაობდა ან სწავლობდა რეაბილიტირებული.

3. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული იყო ცნობები პირის დაკავების, დაპატიმრების, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, სხვა იძულებითი მოქმედების, ბრალდების შინაარსისა და

გამამტყუნებელი განაჩენის შესახებ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ ინფორმაცია რეაბილიტაციისა თუ სათანადო საპროცესო მოქმედების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის შესახებ.

4. რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, თანამდებობის პირი ვალდებული არიან, რეაბილიტირებულს გადასცენ რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების ასლი.

5. თუ რომელიმე საპროცესო მოქმედების უკანონოდ ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების არსებითი დარღვევით ჩატარების შედეგად პირს ქონებრივი, ფიზიკური, მორალური ზიანი მიადგა, ამ ზიანის ანაზღაურების გარდა, პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი, რომელთა უკანონო ქმედებამაც გამოიწვია ზიანის მიყენება, მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში ამ ქმედებით დაზარალებულ პირს წერილობით უხდიან ბოდიშს.

მუხლი 226. სხვა უფლებათა აღდგენა

1. **პირს, რომელიც სამუშაოდან (თანამდებობიდან) გაათავისუფლეს იმასთან დაკავშირებით, რომ უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაედო მსჯავრი, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაში იმყოფებოდა, იყო დაკავებული ან მოთავსებული სამედიცინო დაწესებულებაში, სამუშაოდან (თანამდებობიდან) გადააყენეს ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით, უნდა მიეცეს წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ეს შეუძლებელია, – სხვა ტოლფასი სამუშაო (თანამდებობა).**
2. **აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაში ყოფნის დრო, სასჯელის მოხდის დრო, აგრეთვე ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირი არ მუშაობდა სამუშაოდან უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაყენების გამო, და სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის დრო ითვლება საერთო სამუშაო და სპეციალობით მუშაობის სტაჟში, ხოლო თუ რეაბილიტაციის აქტის ძალაში შესვლის დღესა და სამუშაოს დაწყების დღეს შორის წყვეტილობა 3 თვეს არ აღემატება, – უწყვეტ შრომითს სტაჟშიც.**
3. **პირი, რომელიც სასწავლებლიდან გარიცხეს იმასთან დაკავშირებით, რომ უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაედო მსჯავრი, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაში იმყოფებოდა, იყო დაკავებული ან მოთავსებული სამედიცინო დაწესებულებაში, უნდა აღდგეს სასწავლებელში.**
4. **პირს, რომელმაც დაკარგა საცხოვრებელი ბინა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაედო მსჯავრი, ანდა მის მიმართ გამოიყენეს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, უნდა დაუბრუნდეს წინათ დაკავებული საცხოვრებელი ბინა, ხოლო თუ ასეთი დაბრუნება შეუძლებელია, სახელმწიფომ მას რიგგარეშე უნდა მისცეს ტოლფასი, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინა იმავე დასახლებულ პუნქტში, საბინაო ფართის მოქმედი ნორმებისა და მისი ოჯახის შემადგენლობის გათვალისწინებით.**

5. პირებს, რომელთაც ჩამოერთვათ სამხედრო და სხვა წოდებები, საკლასო ჩინები, აგრეთვე ორდენები და მედლები, დადგენილი წესით უნდა აღუდგეთ წოდებები, საკლასო ჩინები, დაუბრუნდეთ ორდენები და მედლები.

1. უკანონო ან დაუსაბუთებელი მსჯავრდების, დაკავების, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაში ყოფნის, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით სამუშაოდან (თანამდებობიდან) გადაყენების გამო პირის სამუშაოდან (თანამდებობიდან) განთავისუფლების შემთხვევაში რეაბილიტირებულს უნდა მიეცეს წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ეს შეუძლებელია – სხვა ტოლფასი სამუშაო (თანამდებობა).

2. დრო, რომლის განმავლობაშიც პირი არ მუშაობდა სამუშაოდან უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაყენების გამო, აგრეთვე – სასჯელის მოხდის, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაში ყოფნის დრო ითვლება საერთო სამუშაო და სპეციალობით მუშაობის სტაჟში, ხოლო თუ რეაბილიტაციის აქტის ძალაში შესვლის დღიდან სამუშაოს დაწყებამდე (გაგრძელებამდე) დრო არ აღემატება 3 თვეს – უწყვეტ შრომით სტაჟშიც.

3. თუ პირის სასწავლებლიდან გარიცხვას საფუძვლად დაედო მსჯავრდება, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაში ყოფნა, დაკავება, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება და დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული ქმედებები (გადაწყვეტილებები) უკანონო და დაუსაბუთებელი იყო, რეაბილიტირებული პირი უნდა აღდგეს სასწავლებელში.

4. თუ უკანონო ან დაუსაბუთებელმა მსჯავრდებამ, ანდა სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებამ გამოიწვია საცხოვრებელი ბინის დაკარგვა, რეაბილიტირებულს უნდა დაუბრუნდეს წინათ დაკავებული საცხოვრებელი ბინა, ხოლო თუ ასეთის დაბრუნება შეუძლებელია, სახელმწიფომ მას რიგგარეშე უნდა მისცეს ტოლფასი, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინა იმავე დასახლებულ პუნქტში, საბინაო ფართის მოქმედი ნორმებისა და მისი ოჯახის შემადგენლობის გათვალისწინებით.

5. პირებს, რომელთაც უკანონო და დაუსაბუთებელი სასამართლო განაჩენით ჩამოერთვათ სამხედრო და სხვა წოდებები, საკლასო ჩინები, აგრეთვე – ორდენები და მედლები, რეაბილიტაციის შემთხვევაში დადგენილი წესით უნდა აღუდგეთ წოდებები, საკლასო ჩინები, დაუბრუნდეთ ორდენები და მედლები.

მუხლი 227. რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საპროცესო წესი

1. თუ არსებობს მონაცემები, რომ ზიანი მიყენებულია გამომძიებლის ან პროკურორის უკანონო ანდა დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად, პირს, რომელსაც თავი დაზარალებულად მიაჩნია, უფლება აქვს საჩივარი შეიტანოს სასამართლოში წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე. მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, მომჩივნისა და იმ ორგანოს წარმომად-

გენლის მონაწილეობით, რომლის მოქმედებაც საჩივრდება. მოსამართლის დადგენილება უნდა შეიცავდეს მიყენებული ზიანის სახეობისა და ოდენობის დასაბუთებულ მითითებას და მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების შესახებ, ან საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის დასაბუთებას.

2. მოსამართლეს, რომელმაც წინასწარი გამოძიების დროს განიხილა საჩივარი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, უფლება არა აქვს შემდგომში განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, რომლის გამოც შეტანილი იყო საჩივარი. მოსამართლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით. მოსამართლის კანონიერ ძალაში შესული დადგენილება გამორიცხავს სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იმავე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიმართვის შესაძლებლობას.
3. მას შემდეგ, რაც პროკურორი შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას ან/და წინასწარ გამოძიებას იმ საფუძვლით, რომელსაც რეაბილიტაცია მოსდევს, საქმეს გადასცემს სასამართლოს, რომლის განსჯადიც იყო ეს საქმე, და ეს იმავე დღეს უნდა ეცნობოს რეაბილიტირებულს. თუ პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას არ განსაზღვრავს ზიანის ოდენობას, რეაბილიტირებულს უფლება აქვს პირდაპირ მიმართოს სასამართლოს. საქმის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა მოსამართლე ატარებს სხდომას ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული წესების მიხედვით და გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოსამართლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.
4. თუ რეაბილიტაციის საფუძველი გამოვლინდა სასამართლოში, მოსამართლემ (სასამართლომ) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გამამართლებელ განაჩენში ან განჩინებაში (დადგენილებაში), რომელსაც რეაბილიტაცია მოსდევს, უნდა ცნოს რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების უფლება. განაჩენის ან განჩინების (დადგენილების) ასლი რეაბილიტირებულს უნდა გადაეცეს ხელზე ან გაეგზავნოს ფოსტით. მას განემარტება, რომ ზიანის ანაზღაურებისა და უფლებების აღდგენის შესახებ განცხადება სასამართლოში შეტანილი უნდა იქნეს გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის სხვა აქტის გამოტანის დღიდან 6 თვის ვადაში. რეაბილიტირებულს უფლება აქვს მიმართოს რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, რომელიც რეაბილიტირებულის განცხადების მიხედვით განსაზღვრავს მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს საფინანსო და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების გაანგარიშებას. თუ სასამართლომ საქმე შეწყვიტა მისი საკასაციო წესით განხილვისას, ზიანის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა, ოღონდ სხვა შემადგენლობით.
5. ზიანის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება (დადგენილება) ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ. გერბიანი ბეჭდით დამოწმებული განჩინების (დადგენილების) ასლი გადაეცემა ან ეგზავ-

ნება რეაბილიტირებულს, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში – მის მემკვიდრეებს, რათა ეს ასლი წარუდგინონ ორგანოებს, რომლებიც ვალდებულნი არიან აანაზღაურონ ყველა სახის ზიანი.

6. **რეაბილიტაციის შესახებ განჩინების (დადგენილების) შესრულება სავალდებულოა ყველა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, საკუთრების ფორმის მიუხედავად.**
7. **რეაბილიტირებულისათვის ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ განჩინება (დადგენილება) შეიძლება სააპელაციო წესით გაასაჩივრონ რეაბილიტირებულმა, პროკურორმა, დაინტერესებულმა პირმა და ორგანიზაციამ, რომლებსაც ეხება სასამართლოს მოთხოვნა რეაბილიტირებულისათვის ყველა უფლების აღდგენის შესახებ.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისას (ანუ წინასწარი გამოძიების ნებისმიერ სტადიაზე, მის დამთავრებამდე), თუ პირი თვლის, რომ გამომძიებლის ან პროკურორის უკანონო ანდა დაუსაბუთებელმა მოქმედებამ მას ზიანი მიაყენა, ანუ, თუ მას ამ საფუძვლით თავი დაზარალებულად მიაჩნია, უფლება აქვს, საჩივარი შეიტანოს წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

2. საჩივარი დასაბუთებული უნდა იყოს. მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს, თუ გამომძიებლის ან პროკურორის რომელი მოქმედებაა უკანონო, ანდა დაუსაბუთებელი, რა ზიანი გამოიწვია მან, ასევე ის, რომ ზიანი დადგა და იგი სწორედ გამომძიებლის ან პროკურორის უკანონო, ანდა დაუსაბუთებელმა მოქმედებამ გამოიწვია.

3. მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, საჩივრის ავტორისა და იმ ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით, რომლის მოქმედებაც საჩივრდება.

4. მოსამართლე უფლებამოსილია, გამოიტანოს ორი სახის გადაწყვეტილება:

– დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს მიყენებული ზიანის სახეობა და ოდენობა;

– დასაბუთებული დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

5. მოსამართლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

6. მოსამართლეს, რომელმაც წინასწარი გამოძიების დროს განიხილა საჩივარი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, უფლება არა აქვს, შემდგომში განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, რომლის გამოც საჩივარი იყო შეტანილი.

7. ზემოაღნიშნული წესით გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული დადგენილება გამორიცხავს სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იმავე მოთხოვნით მიმართვის შესაძლებლობას.

8. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ გამამართლებელი განაჩენი, სასამართლოს, მოსამართლის, პროკურორის განჩინება, დადგენილება მარეაბილიტირე-

ბელი საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ თავად წარმოადგენს გადაწყვეტილებას პირის რეაბილიტაციის შესახებ და ამ საკითხის (თვით რეაბილიტაციის ფაქტის) დასადგენად სასამართლო განხილვა აღარ ტარდება. სასამართლო განხილვა რეაბილიტაციასთან დაკავშირებით შეეხება არა თვით რეაბილიტაციის ფაქტის დადგენას (რაც უკვე დადგენილია შესაბამისი მარეაბილიტირებელი გადაწყვეტილებით), არამედ – უკვე რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და მის აღდგენას სხვა უფლებებში, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXVIII თავით.

9. მას შემდეგ, რაც პროკურორი შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას ან/და წინასწარ გამოძიებას მარეაბილიტირებელი საფუძვლით (ანუ ფაქტობრივად სცნობს პირს რეაბილიტირებულად), მან სისხლის სამართლის საქმე უნდა გადასცეს სასამართლოს, რომლის განსჯადიც იყო ეს სისხლის სამართლის საქმე და ეს იმავე დღეს უნდა ეცნობოს რეაბილიტირებულს.

10. თუ პროკურორი მარეაბილიტირებელი საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას არ განსაზღვრავს ზიანის ოდენობას და არ მიმართავს სასამართლოს, რეაბილიტირებულს უფლება აქვს, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს.

11. საქმის მიღებიდან არა უგვიანეს ერთ თვეში მოსამართლე ატარებს სხდომას. საკითხს მოსამართლე განიხილავს ერთპიროვნულად. განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ რეაბილიტირებულს, პროკურორს, ასევე – ყველა იმ პირს ან ორგანოს წარმომადგენელს, რომელთაც შეიძლება, შეეხოთ მოთხოვნა რეაბილიტირებულისათვის ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ. განხილვის შედეგად მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ.

12. მოსამართლის აღნიშნული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

13. თუ რეაბილიტაციის საფუძველი გამოვლინდა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას, მოსამართლემ (სასამართლომ) გამამართლებელ განაჩენში ან მარეაბილიტირებელი საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში (განჩინებაში) უნდა ცნოს რეაბილიტირებულის უფლება, მოითხოვოს მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურება.

14. განაჩენის, განჩინების, დადგენილების ასლი რეაბილიტირებულს უნდა გადაეცეს ხელზე ან გაეგზავნოს ფოსტით. ამასთან, მას უნდა განემარტოს, რომ ზიანის ანაზღაურებისა და უფლებების აღდგენის შესახებ განცხადება სასამართლოში შეიტანება გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის სხვა აქტის გამოტანის დღიდან 6 თვის ვადაში.

15. განცხადება ზიანის ანაზღაურების შესახებ შეიტანება რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, ანუ იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი ან სხვა გადაწყვეტილება რეაბილიტაციის შესახებ.

16. სასამართლო (მოსამართლე) განსაზღვრავს რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას შესაბამისი მასალების საფუძველზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს საფინანსო და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების გაან-

გარიშებას, რის საფუძველზეც გამოაქვს განჩინება (დადგენილება) რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ.

17. სასამართლოს გერბიანი ბეჭდით დამოწმებული განჩინების (დადგენილების) ასლი გადაეცემა ან ეგზავნება რეაბილიტირებულს, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში – მის მემკვიდრეებს, რათა ეს ასლი წარუდგინონ ორგანოებს, რომლებიც ვალდებული არიან, აანაზღაურონ ყველა სახის ზიანი. სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე გადაეცემა ან ეგზავნება პროკურორს, დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას, რომლებსაც ეხება სასამართლოს მოთხოვნა რეაბილიტირებულისათვის ყველა უფლების აღდგენის შესახებ.

18. მოსამართლის დადგენილება სააპელაციო წესით შეიძლება, გაასაჩივრონ რეაბილიტირებულმა, პროკურორმა, დაინტერესებულმა პირმა და ორგანიზაციამ, რომლებსაც ეხება სასამართლოს მოთხოვნა რეაბილიტირებულისათვის ყველა უფლების აღდგენის შესახებ.

19. იმავე პირებს უფლება აქვთ, სააპელაციო სასამართლოს განჩინება, დადგენილება გაასაჩივრონ საკასაციო წესით.

20. თუ სასამართლომ მარეაბილიტირებელი საფუძვლით სისხლის სამართლის საქმე შეწყვიტა საკასაციო წესით განხილვისას, ზიანის ოდენობის განსაზღვრის შესახებ განცხადება შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში, სადაც მას განიხილავს სხვა შემადგენლობა.

21. რეაბილიტაციის შესახებ განჩინების (დადგენილების) შესრულება სავალდებულოა ყველა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის.

მუხლი 228. უფლების აღდგენა სასარჩელო წესით

1. **თუ მოქალაქის მოთხოვნა შრომითი, საპენსიო, საბინაო ან სხვა უფლების აღდგენის, ანდა ქონებისა თუ მისი ღირებულების დაბრუნების შესახებ არ დაკმაყოფილებულა, ან თუ მოქალაქე არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნით, სასარჩელო წარმოების წესით, გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის შესახებ სხვა აქტის გამოტანის დღიდან 3 წლის განმავლობაში.**
2. **საპატიო მიზეზით ამ ვადის გადაცილებისას, დაინტერესებულ პირთა განცხადებით, ეს ვადა სასამართლომ უნდა აღადგინოს.**

1. რეაბილიტირებულს უფლება აქვს, გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის შესახებ სხვა აქტის გამოტანის დღიდან 3 წლის განმავლობაში სასარჩელო წესით მიმართოს სასამართლოს შრომითი, საპენსიო, საბინაო ან სხვა უფლების აღდგენის, ანდა ქონებისა თუ მისი ღირებულების დაბრუნების შესახებ.

2. სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის სამწლიანი ვადის გაშვების შემთხვევაში პირი უფლებამოსილია, გაცდენილი ვადის აღდგენის (საპატიოდ ჩათვლის) შესახებ განცხადებით მიმართოს იმ სასამართლოს, რომელშიც უნდა შეტანილიყო სარჩელი. ვადის საპატიო მიზეზით გაცდენისას სასამართლომ ეს ვადა უნდა აღადგინოს.

მუხლი 229. რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება

თუ გამამართლებელი განაჩენი ან განჩინება (დადგენილება) რეაბილიტაციის შესახებ გაუქმებულია და გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია, სასამართლომ შეიძლება შეცდომით რეაბილიტირებულს დააკისროს ზიანის ასანაზღაურებლად მიღებული თანხის გადახდა. სასამართლოს აგრეთვე შეუძლია გააუქმოს რეაბილიტაციის სხვა ღონისძიებები.

1. თუ გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის შესახებ სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე პირს უკვე აუნაზღაურდა მიყენებული ზიანი, ხოლო შემდგომში გაუქმდა გამამართლებელი განაჩენი ან რეაბილიტაციის შესახებ სხვა გადაწყვეტილება და გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, სასამართლომ შეიძლება, შეცდომით რეაბილიტირებულს დააკისროს ზიანის ასანაზღაურებლად მიღებული თანხის გადახდა.

თავი XXIX
შუამდგომლობა

მუხლი 230. შუამდგომლობის განცხადების უფლება

1. **შუამდგომლობის განცხადების უფლება აქვს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ მონაწილეს, აგრეთვე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომლის ინტერესებსაც ეხება სისხლის სამართლის საქმის წარმოება.**
2. **შუამდგომლობა წარედგინება თანამდებობის პირს ან ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა თუ გადაწყვეტისათვის.**
3. **შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს თხოვნას საპროცესო მოქმედების ჩატარების ან საპროცესო გადაწყვეტილების მიღების შესახებ შუამდგომლობის შემტანი ან მარწმუნებელი (დასაცავი) პირის ინტერესებისათვის. მტკიცებულებათა აღმოსაჩენად საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების შესახებ შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს, რა გარემოებათა დასადგენად არის საჭირო მათი ჩატარება.**

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შუამდგომლობის განცხადების უფლებას ანიჭებს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ მონაწილეს, აგრეთვე – ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომლის ინტერესებსაც ეხება სისხლის სამართლის საქმის წარმოება. თუმცა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ეს არის ზოგადად შუამდგომლობის განცხადების უფლების აღიარება (დეკლარირება), ხოლო რა წესით, ვის მიერ, რა ფორმით (და ა.შ.) შეიძლება იქნეს განცხადებული შუამდგომლობა, ეს საკითხები დაკონკრეტებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმებში.

2. შუამდგომლობა წარედგინება პროცესის მწარმოებელ თანამდებობის პირს, ორგანოს.

3. შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს თხოვნას შუამდგომლობის შემტანი ან მისი მარწმუნებელი (დასაცავი) პირის ინტერესებისათვის საპროცესო მოქმედების ჩატარების ან საპროცესო გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

4. შუამდგომლობაში, რომლითაც ითხოვენ საგამოძიებო ან სასამართლო მოქმედების ჩატარებას მტკიცებულებათა მოსაპოვებლად (აღმოსაჩენად), დასაბუთებულად უნდა მიეთითოს, სისხლის სამართლის საქმის რა გარემოებათა დასადგენად არის საჭირო მათი ჩატარება.

მუხლი 231. შუამდგომლობის განცხადების წესი

1. **შუამდგომლობის განცხადება შეიძლება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. სასამართლო კამათის დაწყების შემდეგ შუამდგომლო-**

ბის განცხადება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოსაკვლევია არსებითად ახალი მტკიცებულება და ამ მტკიცებულების წარმოდგენა მხარის მიერ სასამართლო კამათის დაწყებამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო.

2. **შუამდგომლობა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. იგი უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა იქნეს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან.**
3. **წერილობითი შუამდგომლობა და მისი დამასაბუთებელი მასალები უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.**
4. **ზეპირი შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს იმ საგამოძიებო მოქმედების ოქმში, რომლის ჩატარების დროსაც იყო იგი განცხადებული, ცალკე შედგენილ ოქმში ან სასამართლო სხდომის ოქმში.**
5. **შუამდგომლობის უარყოფა განმცხადებელს არ ართმევს უფლებას, ახალი არსებითი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს შუამდგომლობით სისხლის სამართლის პროცესის იმავე ან სხვა სტადიაზე.**
6. **შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი განცხადების მომენტიდან არა უგვიანეს 3 დღე-ღამისა.**
7. **სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს იმავე სასამართლო სხდომაზე.**
8. **სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობის დასაყენებლად და დასასაბუთებლად მოსამართლე მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.**
9. **სასამართლოში საქმის განხილვისას დაყენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით მოსამართლე მხარეს პოზიციის გამოსახატავად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე განცხადებული შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. შუამდგომლობა (როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი) უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სტრუქტურით:

– პირველ რიგში (შუამდგომლობის დასაწყისშივე) უნდა მიეთითოს მოთხოვნა, ხოლო შემდეგ – მისი არგუმენტაცია (დასაბუთება);

– შუამდგომლობაში დასაშვებია მხოლოდ იმ არგუმენტაციის (დასაბუთების, გარემოებების) მითითება, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან ანუ მოთხოვნასთან.

2. წინასწარი გამოძიების ეტაპზე შუამდგომლობა შეიძლება, განცხადებულ იქნეს წერილობით ან ზეპირად. ზეპირი შუამდგომლობა შეიტანება იმ საგამოძიებო მოქმე-

დების ოქმში, რომლის ჩატარების დროსაც იყო იგი განცხადებული ან დაფიქსირდება ცალკე შედგენილ ოქმში.

3. წერილობითი შუამდგომლობა და შუამდგომლობის შემტანის მიერ წარდგენილი მისი დამასაბუთებელი მასალები უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

4. შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი განცხადების მომენტიდან, როგორც წესი, არა უგვიანეს 3 დღე-ღამეში.

5. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს წერილობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას განაცხადებს ზეპირად იმავე სასამართლო სხდომაზე, ანუ თუ მხარე სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ითხოვს შუამდგომლობის ზეპირად განცხადებას, იგი ვალდებულია დაასაბუთოს, რომ ამ შუამდგომლობის წერილობით წარმოდგენის შესაძლებლობა მას არ ჰქონდა, ვინაიდან შუამდგომლობის განცხადების საფუძველი მისთვის ცნობილი გახდა სწორედ იმ სხდომაზე, ე.ი. იმ სხდომაზე გამოვლინდა შუამდგომლობის განცხადებისათვის ახალი არსებითი გარემოება, რაც მისთვის ადრე არ იყო ცნობილი. ზეპირი შუამდგომლობა შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

6. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას შუამდგომლობის განცხადებისა და დასაბუთებისათვის მოსამართლე მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, ამავე დროს მოსამართლე მეორე მხარეს შუამდგომლობასთან დაკავშირებით პოზიციის გამოსახატავად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

7. სასამართლო კამათის დაწყების შემდეგ შუამდგომლობის განცხადება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოსაკვლევია არსებითად ახალი მტკიცებულება და ამ მტკიცებულების წარმოდგენა მხარის მიერ სასამართლო კამათის დაწყებამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო.

8. შუამდგომლობის უარყოფა შუამდგომლობის შემტანს არ ართმევს უფლებას, ახალი არსებითი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს შუამდგომლობით სისხლის სამართლის პროცესის იმავე ან სხვა სტადიაზე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ერთი და იმავე შინაარსის შუამდგომლობა, რომელზეც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, მეორედ აღარ განიხილება, ამიტომაც მხარეს ერთი და იმავე შინაარსის (ერთი და იმავე მოთხოვნით) შუამდგომლობის განმეორებითი განცხადების უფლება აქვს მხოლოდ ახალ, არსებით გარემოებებზე მითითებით; ამასთან, მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ ეს გარემოება მისთვის ადრე ობიექტურად ვერ იქნებოდა ცნობილი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 232. შუამდგომლობის გადაწყვეტა

1. **შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ იგი ხელს უწყობს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად დადგენას.**
2. **ბრალდებისა და დაცვის მხარეთა შუამდგომლობები ერთნაირი ყურადღებით უნდა განიხილებოდეს.**

3. **ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, დამცველის, დაზარალებულის, დაზარალებულის წარმომადგენლის, პროცესის სხვა მონაწილის დასაბუთებული შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვის, სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ უნდა დააკმაყოფილონ გამომძიებელმა, პროკურორმა, პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა.**
4. **ბრალდების მხარის შუამდგომლობა იმ მტკიცებულების გამოთხოვის, საქმეზე დართვისა და გამოკვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს წაყენებულ ბრალდებას ან ამძიმებს განსასჯელის პასუხისმგებლობას, აუცილებლად უნდა დააკმაყოფილონ პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა.**
5. **შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს.**
6. **შუამდგომლობის უარყოფის შესახებ ორგანოს ან პირს, რომლის სახელზეც იყო იგი შეტანილი, გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება (განჩინება). ეს დადგენილება (განჩინება) წინასწარი გამოძიების დროს გადაეცემა შუამდგომლობის შემტან პირს, ხოლო სასამართლოში იგი გამოცხადდება. ერთი და იმავე შინაარსის შუამდგომლობა, რომელზედაც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, მეორედ აღარ განიხილება.**
7. **თუ განმცხადებელი არ ეთანხმება გამომძიებლის მიერ შუამდგომლობის უარყოფას, მას უფლება აქვს ასეთივე შუამდგომლობით მიმართოს პროკურორს.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ იგი ხელს უწყობს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად დადგენას. ბრალდებისა და დაცვის მხარეთა შუამდგომლობები ერთნაირი ყურადღებით უნდა განიხილებოდეს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის კომენტარები).

2. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, დამცველის, დაზარალებულის, დაზარალებულის წარმომადგენლის, პროცესის სხვა მონაწილის დასაბუთებული შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვის, სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ, ასევე ბრალდების მხარის შუამდგომლობა იმ მტკიცებულების გამოთხოვის, საქმეზე დართვისა და გამოკვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს წაყენებულ ბრალდებას ან ამძიმებს განსასჯელის პასუხისმგებლობას, უნდა დააკმაყოფილონ, შესაბამისად: გამომძიებელმა, პროკურორმა, პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა.

3. შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შუამდგომლობის შემტანს.

4. შუამდგომლობის უარყოფის შესახებ ორგანოს ან პირს, რომლის სახელზეც იყო იგი შეტანილი, გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება (განჩინება), რომელიც წინასწარი გამოძიების დროს გადაეცემა შუამდგომლობის შემტან პირს, ხოლო სასამართლოში იგი გამოცხადდება.

5. ერთი და იმავე შინაარსის შუამდგომლობა, რომელზეც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, მეორედ აღარ განიხილება, ამასთან, ახალი არსებითი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია, მიმართოს იმავე შუამდგომლობით (ანუ იმავე მოთხოვნით, მაგრამ ახალ, არსებით გარემოებაზე (ახალ დასაბუთებაზე) მითითებით) პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს.

6. თუ შუამდგომლობის შემტანი არ ეთანხმება გამომძიებლის მიერ შუამდგომლობის უარყოფას, მას უფლება აქვს, გამომძიებლის დადგენილება შუამდგომლობის უარყოფის შესახებ გაასაჩივროს პროკურორთან, ან ასეთივე შუამდგომლობით მიმართოს პროკურორს.

მუხლი 233. შუამდგომლობა სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენებისა და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ

1. **სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების, შეცვლის, გაგრძელების ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობას, აგრეთვე შუამდგომლობას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, რომელიც ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ადგენს გამომძიებელი და ეთანხმება პროკურორი.**
2. **შუამდგომლობას განიხილავს მოსამართლე ამ კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.**
3. **პროკურორის მონაწილეობა მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების, შეცვლის, ვადის გაგრძელების ან ამ ღონისძიების გაუქმების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას სავალდებულოა, გარდა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევისა.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. გამომძიებელი დამოუკიდებლად არ არის უფლებამოსილი, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების, შეცვლის, გაგრძელების ან გაუქმების, აგრეთვე – იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, რომელიც ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს. ასეთი შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება

აქვს პროკურორს ან გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით. ამასთან, პროკურორის თანხმობა უნდა იყოს წინასწარი და წერილობითი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

2. ბრალდებულის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლისა და დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 163-ე მუხლების კომენტარები).

3. შუამდგომლობას განიხილავს მოსამართლე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას არ მონაწილეობენ მხარეები, მათ შორის – პროკურორი.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პროკურორის მონაწილეობა მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების, შეცვლის, ვადის გაგრძელების ან ამ ღონისძიების გაუქმების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას სავალდებულოა. მხედველობაშია მისაღები, რომ სასამართლომ პროკურორს, ისევე როგორც პროცესის სხვა მონაწილეებს, უნდა აცნობოს შუამდგომლობის განხილვის დრო და ადგილი. პროკურორი ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოში შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

თავი XXX
საჩივარი

მუხლი 234. სისხლის სამართლის პროცესის განმახორციელებელი ორგანოს და თანამდებობის პირის მოქმედების ან გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება

გამომძიებლის, გამოძიების ორგანოს უფროსის, პროკურორის, მოსამართლის ან სასამართლოს მოქმედების ან გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ პროცესის მონაწილეებს, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ამ კოდექსით დადგენილი წესით.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს ან თანამდებობის პირის (სასამართლოს, მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის) მოქმედების ან გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ პროცესის მონაწილეებს, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

2. საჩივარი შეიტანება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 235. საჩივრის შეტანა

1. **საჩივარი შეაქვთ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოში ან იმ თანამდებობის პირთან, რომელიც კანონით უფლებამოსილია განიხილოს შესაბამისი საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება. დასაშვებია საჩივრის შეტანა იმ პირთან ან იმ ორგანოში, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილებაც საჩივრდება. ამ შემთხვევაში საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს ადრესატს.**
2. **საჩივარი გამომძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს შესაბამის პროკურორს. საჩივარი პროკურორის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს ზემდგომ პროკურორს. თანამდებობის პირმა, რომელმაც მიიღო საჩივარი თავისი მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო, ადრესატისათვის მისი გაგზავნისას უნდა დაურთოს საკუთარი განმარტებები.**
3. **საჩივარი შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი. ზეპირი საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ განმცხადებელი და საჩივრის**

მიმღები თანამდებობის პირი. საჩივარს შეიძლება დაერთოს მისი დამადასტურებელი მასალები.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. წინასწარი გამოძიების ეტაპზე საჩივარი შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი.

2. ზეპირი საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საჩივრის შემტანი (განმცხადებელი) და საჩივრის მიმღები თანამდებობის პირი. საჩივარს შეიძლება დაერთოს მისი დამადასტურებელი მასალები.

3. წინასწარი გამოძიების ეტაპზე საჩივარი შეიტანება თანამდებობის პირთან (ან ორგანოში), რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით უფლებამოსილია, განიხილოს ეს საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება. საჩივარი გამომძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის უფლებამოსილების მქონე პროკურორს (ან შეტანილ იქნეს შესაბამის პროკურატურაში). საჩივარი პროკურორის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს ზემდგომ პროკურორს (ან შეტანილ იქნეს შესაბამის პროკურატურაში). ამასთან, წინასწარი გამოძიების ეტაპზე დასაშვებია საჩივრის შეტანა იმ პირთან ან იმ ორგანოში, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილება საჩივრდება. ამ შემთხვევაში საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს ადრესატს. თანამდებობის პირმა, რომელმაც მიიღო საჩივარი თავისი მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო, ადრესატისათვის მისი გაგზავნისას უნდა დაურთოს საკუთარი განმარტებები.

4. წინასწარი გამოძიების ეტაპზე საჩივარი გამომძიებლისა და პროკურორის იმ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე, რომლებიც საჩივრდება სასამართლოში, შეიტანება შესაბამის (საჩივრის განხილვის განსჯადობის მიხედვით) სასამართლოში.

5. საჩივარი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეიტანება მხოლოდ წერილობით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. თუ საჩივარი შეტანილია კანონით დადგენილი წესით და ვადებში, იგი შესაბამის მასალებთან ერთად იგზავნება ზემდგომ სასამართლოში.

მუხლი 236. საჩივრის შეტანის ვადა

1. **გამომძიებლის, გამოძიების ორგანოს უფროსის ან პროკურორის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო საჩივრის შეტანა შეიძლება წინასწარი გამოძიების მთელი წარმოების განმავლობაში.**
2. **სასამართლოს (მოსამართლის) მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო საჩივრის შეტანა შეიძლება ამ კოდექსის კერძო ნაწილში დადგენილ ვადებში.**
3. **საპატიო მიზეზით საჩივრის შეტანის გაცდენილი დროის აღდგენა შეუძლია სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ საჩივრის გამო.**

4. მოსამართლის დადგენილება გაშვებული ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საერთო წესით, ერთჯერადად ზემდგომ სასამართლოში. სასამართლოს უფლება აქვს აღადგინოს გაშვებული ვადა და არსებითად განიხილოს საქმე საჩივრის საფუძველზე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო საჩივრის შეტანა შეიძლება წინასწარი გამოძიების მთელი წარმოების განმავლობაში, წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე. აღნიშნული არ ვრცელდება პროკურორისა და გამომძიებლის იმ გადაწყვეტილებებზე, რომელთა გასაჩივრებაც შეიძლება სასამართლოში და რომლებზეც საჩივარი სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლით დადგენილ ვადაში.

2. სასამართლოს (მოსამართლის) მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო საჩივრის შეტანა შეიძლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლით დადგენილ ვადაში.

3. თუ დადგენილია წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებათა პროკურორთან (ზემდგომ პროკურორთან) გასაჩივრების ვადა და იგი გაშვებულ იქნა, საჩივრის შეტანის საპატიო მიზეზით გაცდენილი დროის აღდგენა შეუძლია სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელიც უფლებამოსილია, არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ამ საჩივრის გამო.

4. წინასწარი გამოძიების ეტაპზე პროკურორისა და გამომძიებლის იმ გადაწყვეტილებებზე, რომელთა გასაჩივრებაც შეიძლება სასამართლოში, გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენა (აღდგენის საკითხზე მსჯელობა) შეუძლია მხოლოდ ამ საჩივრის განმხილველ სასამართლოს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის კომენტარები).

5. სასამართლო გადაწყვეტილების ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ შუამდგომლობა (განცხადება) შეიტანება გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში.

6. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ არ საჩივრდება.

7. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება საერთო წესით მხოლოდ ერთხელ გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში, ანუ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და თუ სააპელაციო სასამართლოც უარს იტყვის ვადის აღდგენაზე (ძალაში დატოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ), ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და საკასაციო წესით აღარ საჩივრდება. საკასაციო

წესით გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის კომენტარები).

8. ზემდგომი სასამართლო უფლებამოსილია, საპატიო მიზეზის არსებობისას აღადგინოს (საპატიოდ მიიჩნიოს) გაშვებული ვადა (ანუ გააუქმოს ქვემდგომი სასამართლოს დადგენილება ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ) და არსებითად განიხილოს სისხლის სამართლის საქმე საჩივრის საფუძველზე.

მუხლი 237. გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას. სხვა შემთხვევაში საჩივრის შეტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას აჩერებს, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის საჩივრის განმხილველი პირი.

1. თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირაა დადგენილი, რომ საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას, საჩივრის შეტანიდან მის გადაწყვეტამდე დროის განმავლობაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება ჩერდება.

2. სხვა შემთხვევაში საჩივრის შეტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას აჩერებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის საჩივრის განხილვის უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირი, ორგანო. გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება დაუშვებელია (არ შეჩერდება), თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს, რომ გასაჩივრება არ აჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას (მაგ.: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 238. საჩივრის განხილვის ზოგადი წესი

1. **საჩივრის განხილვა არ შეიძლება დაევალოს იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომლის მოქმედებაც საჩივრდება, აგრეთვე იმ ორგანოს ან პირს, რომელმაც დაამტკიცა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.**
2. **ორგანო ან პირი, რომელიც საჩივარს განიხილავს, შეზღუდული არ არის საჩივარში ჩამოყალიბებული მოსაზრებებით და უფლება აქვს შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – საქმის მთელი წარმოება.**
3. **საჩივრის განხილვისას პროკურორი და სასამართლო ვალდებულნი არიან ყოველმხრივ შეამოწმონ მასში ჩამოყალიბებული მოსაზრებები, ხოლო საჭი-**

როების შემთხვევაში – გამოითხოვონ დამატებითი მასალები და განმარტებები.

4. **ორგანო ან პირი, რომელიც საჩივარს განიხილავს, ვალდებულია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა, სხვა პირთა, აგრეთვე დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღსადგენად.**

1. საჩივრის განხილვისაგან ჩამოცილებულ უნდა იქნეს პირი, თუ სახეზეა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებული აცილების საფუძვლები. საჩივრის განხილვა არ შეიძლება დაევალოს იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომლის მოქმედებაც საჩივრდება, აგრეთვე – იმ ორგანოს ან პირს, რომელმაც დაამტკიცა გასაჩივრებული გადაწყვეტილება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის კომენტარები).

2. ორგანო ან პირი, რომელიც საჩივარს განიხილავს, შეზღუდული არ არის მხოლოდ საჩივარში ჩამოყალიბებული მოსაზრებებით, ხოლო პროკურორი და სასამართლო ვალდებული არიან, სრული მოცულობით შეამოწმონ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა, საჭიროების შემთხვევაში კი გამოითხოვონ დამატებითი მასალები, განმარტებები და შეამოწმონ სისხლის სამართლის საქმის მთელი წარმოება.

3. თუ საჩივრის განხილვისას დადგინდა, რომ დარღვეულია პროცესის მონაწილის, სხვა პირის, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის უფლებები და კანონიერი ინტერესები, ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც საჩივარს განიხილავს, ვალდებულია, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის, სხვა პირის, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღსადგენად.

მუხლი 239. საჩივრის განხილვის ვადა

საჩივრის განხილვის ვადები განისაზღვრება ამ კოდექსით დადგენილი წესით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტისათვის რაიმე ზოგად ვადას.

2. საჩივრის განხილვის ვადები განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლით.

3. საჩივრის განხილვისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადაში უნდა დაიწყოს არა მხოლოდ საჩივრის განხილვა, არამედ ამ ვადაში უნდა დამთავრდეს საჩივრის განხილვა გადაწყვეტილების მიღების ჩათვლით.

მუხლი 240. გადაწყვეტილება საჩივრის გამო

1. **საჩივრის განხილვის შედეგად შეიძლება მიღებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის გაუქმების ან შეცვლის შესახებ; სისხლისსამართლებრივი დევნის სრული ან ბრალდების ნაწილში შეწყვეტის შესახებ; გასაჩივრებული მოქმედების იურიდიული ძალის არმქონედ ცნობის შესახებ; საჩივრის უარყოფის შესახებ.**
2. **საჩივრის გამო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს ან თანამდებობის პირს შეუძლია შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ანდა მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, თუ ამას არ მოჰყვება საჩივრის შემტანი პირის ან იმ პირის მდგომარეობის გაუარესება, რომლის ინტერესებისთვისაც იყო იგი შეტანილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჩივარი იმავე საფუძველზე შეიტანა საპირისპირო მხარემ.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. საჩივრის განხილვის შედეგად შეიძლება მიღებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

– გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის გაუქმების ან შეცვლის შესახებ;

– სისხლისსამართლებრივი დევნის სრული ან ბრალდების ნაწილში შეწყვეტის შესახებ;

– გასაჩივრებული მოქმედების იურიდიული ძალის არმქონედ ცნობის შესახებ;

– საჩივრის უარყოფის შესახებ.

2. საჩივრის გამო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, თანამდებობის პირს შეუძლიათ, შეცვალონ გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ანდა მიიღონ ახალი გადაწყვეტილება, თუ ამას არ მოჰყვება საჩივრის შემტანი პირის ან იმ პირის მდგომარეობის გაუარესება, რომლის ინტერესებისთვისაც იგი იყო შეტანილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საჩივარი იმავე საფუძველზე შეიტანა საპირისპირო მხარემ, ანუ სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე საჩივრის განხილვის დროს მოქმედებს საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის პრინციპი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 540-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 241. საჩივრის გამო გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინება

1. **საჩივრის შემტან პირს უნდა შეატყობინონ, რომ მიღებულია გადაწყვეტილება საჩივრის გამო, და განუმარტონ გასაჩივრების შემდგომი წესი. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს.**
2. **თუ გასაჩივრებული მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო პირს არამართლზომიერი მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიადგა, მას უნდა განემარტოს ამ ზიანის ანაზღაურების უფლება.**

3. საჩივარი და მასზე პასუხის ასლი, აგრეთვე საჩივრის შემოწმების მასალები უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

1. საჩივრის უარყოფის შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

2. საჩივრის შემტან პირს უნდა შეატყობინონ, რომ მიღებულია გადაწყვეტილება საჩივრის გამო და განუმარტონ გასაჩივრების შემდგომი წესი. გასაჩივრების წესი უნდა მიეთითოს თვით საჩივრის უარყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში. თუ საჩივარი უარყო სასამართლომ, გასაჩივრების წესი განიმარტება სასამართლო სხდომაზეც და შესაბამისი ჩანაწერი შეიტანება სხდომის ოქმში (გარდა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა).

3. თუ გასაჩივრებული მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო პირს არამართლზომიერი მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიადგა, მას უნდა განემარტოს ამ ზიანის ანაზღაურების უფლება და წესი.

4. საჩივარი, საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება (ან ასლი), აგრეთვე – საჩივრის შემოწმების მასალები უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

მუხლი 242. გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში

1. **ამ კოდექსით დადგენილი წესით სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, რომლებიც, მომჩივნის აზრით, უკანონო და დაუსაბუთებელია, კერძოდ:**

ა) **სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება;**

ბ) **ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება (73-ე მუხლი).**

2. **ამ კოდექსით დადგენილი წესით სასამართლოსთვის საჩივრით მიმართვის უფლება აქვს პროცესის ყოველ მონაწილეს, რომელიც იცავს საკუთარ ან მარწმუნებლის ინტერესს, კერძოდ, ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველს, კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს, მათს წარმომადგენლებს.**

3. **ამ მუხლით დადგენილი წესით პროცესის მონაწილეს უფლება აქვს გამომძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო საჩივრით მიმართოს სასამართლოს მას შემდეგ, რაც ეს საჩივარი უარყო პროკურორმა, ანდა უშუალოდ სასამართლოს.**

4. **საჩივარს განიხილავს სასამართლო გამოძიების ადგილის მიხედვით. საჩივარი შეიტანება არა უგვიანეს 15 დღისა მას შემდეგ, რაც მომჩივნისათვის ცნობილი გახდა მოქმედება თუ გადაწყვეტილება, რომელიც მას უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია. გასაჩივრების ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში მისი აღდგენა შეუძლია სასამართლოს. მიღებულ საჩივარს სასამართლო განიხილავს 15 დღის ვადაში.**

5. **საჩივრის განხილვის შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ.**

ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე აუქმებს დადგენილებას სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, ხოლო სისხლის სამართლის საქმეს უგზავნის პროკურორს საქმეზე წინასწარი გამოძიების განსაახლებლად.

6. **ამ მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნული მოსამართლის დადგენილება შეიძლება 10 დღის ვადაში გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, სადაც საჩივარი განიხილება 15 დღის ვადაში, ამ კოდექსის 243-ე მუხლით დადგენილი წესით.**
7. **განმცხადებელი თავისუფლდება ბაჟის გადასახადისაგან.**
8. **სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული საჩივრები განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. ზეპირი მოსმენის შემთხვევაში მოსამართლე აცხადებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2000 წლის 28 ივნისის კანონი №411 – სსმ I, 2000 წ., №26, მუხლი 73; საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონი №980 – სსმ I, 2001 წ., №22, მუხლი 85; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით დადგენილი წესით სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს გამომძიებლის ან პროკურორის ქმედებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც, მომჩივნის აზრით, უკანონო და დაუსაბუთებელია.

2. წინასწარი გამოძიების ეტაპზე პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლით დადგენილი წესით შეიძლება შეტანილ იქნეს საჩივარი:

– პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების (ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის) მოთხოვნით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის კომენტარები);

– სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის კომენტარები);

– დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე განცხადებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის

შესახებ გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის კომენტარები);

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 227-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 227-ე მუხლის კომენტარები); საქართველოს გენერალური პროკურორის დადგენილებაზე პირის ექსტრადიციის (სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის) შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259[1] მუხლის კომენტარები);

– პროკურორის დადგენილებაზე სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის კომენტარები);

– პროკურორის დადგენილებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვისათვის წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 596-ე მუხლის კომენტარები).

3. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებაზე საჩივრის განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: ეჭვმიტანილს უფლება აქვს, მხოლოდ დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა, აგრეთვე – სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად. ეჭვმიტანილი ვალდებული არ არის, წარმოადგინოს რაიმე მტკიცებულება (დოკუმენტი) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ან რაიმე სხვა ფორმით ამტკიცოს სამედიცინო შემოწმების ან ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა. დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე ეჭვმიტანილს ყოველგვარი საფუძვლის გარეშეც შეუძლია, მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა, ან სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად და ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობა დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ფაქტობრივად არ არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნა იმპერატიული ვალდებულებაა, თუ გამომძიებელმა, პროკურორმა არ შეასრულეს ეს ვალდებულება, ექსპერტიზის დანიშვნაზე უარი ეჭვმიტანილმა ან მისმა დამცველმა შეიძლება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც საჩივარი განიხილება მისი მიღებიდან 24 საათში. სასამართლო ვალდებულია, დააკმაყოფილოს საჩივარი. სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვა მხოლოდ ერთხელ შეიძლება, ანუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ სასამართლოში არ საჩივრდება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის კომენტარები).

4. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ან მის დამცველს უფლება აქვს, საქართველოს გენერალური პროკურორის დადგენილება პირის ექსტრადიციის შესახებ დადგენილების ასლის მიღებიდან არა უგვიანეს 15 დღეში გაასაჩივროს შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციული შენობის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, საჩივარი გენერალური პროკურორის დადგენილებაზე პირის ექსტრადიციის შესახებ ყველა შემთხვევაში შეიტანება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სა-

სამართლო კოლეგიაში. სასამართლომ საჩივარი უნდა განიხილოს 15 დღის ვადაში. საჩივრის განხილვისას სასამართლო ამოწმებს, პირის ექსტრადიციის შესახებ დადგენილების გამოტანისას დაცულია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ საქართველოს საერთაშორისო და ამავე საკითხზე გადაცემის მომთხოვნ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი (თუ არსებობს) ხელშეკრულებების, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (მე-6 მუხლი) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (თავი XXXII) მოთხოვნები. პროკურორს, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს, მის დამცველს უფლება აქვთ, პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივრონ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რომელიც საჩივარს განიხილავს 10 დღის ვადაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259[1] მუხლის კომენტარები).

5. პროკურორის დადგენილება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ამ დადგენილების ასლის მიღებიდან 15 დღე-ღამის ვადაში შეიძლება, გასაჩივრდეს გამოძიების ადგილის მიხედვით – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. საჩივრის შეტანის უფლება აქვთ: ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს, წარმომადგენელს, აგრეთვე – პირს, რომლის განცხადებითაც დაიწყო გამოძიება. საჩივრის შეტანის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებიც გამოძიების პროცესში ცნეს ეჭვმიტანილად, ბრალდებულად, დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ, სამოქალაქო მოპასუხედ და არა იმ პირებს, რომელთაც თავი ასეთად მიაჩნიათ. საჩივრის შეტანის უფლებამოსილებას კანონი ანიჭებს კიდევ ერთ სუბიექტს – პირს, რომლის განცხადებითაც დაიწყო გამოძიება. ამ საკითხის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ განცხადება წინ უნდა უსწრებდეს საქმეზე გამოძიების დაწყებას, განცხადება (მასში მითითებული გარემოებები) უნდა იყოს საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი. სხვა შემთხვევაში, როდესაც საქმეზე უკვე დაწყებულია გამოძიება და ამის შემდეგ პირს შეაქვს განცხადება, იგი არ სარგებლობს შემდგომში საქმეზე წინასწარი გამოძიების ან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებით. საჩივრის განხილვისას სასამართლო ამოწმებს, ჩატარებულია თუ არა გამოძიება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, გარკვეულია თუ არა სისხლის სამართლის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და ამოწურულია თუ არა მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობა. სასამართლო არ უნდა გასცდეს ქმედების იმ კვალიფიკაციას, რაზეც დაიწყო, მიმდინარეობდა და შეწყდა გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა. სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დადგენილების გაუქმების საფუძვლად გამოიყენოს და მითითება მისცეს პროკურორს იმ ფაქტებზე გამოძიების ჩატარების თაობაზე, რაზეც არ დაწყებულა და არ წარმართულა გამოძიება, რადგანაც სასამართლო არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების (ასეთი მითითების მიცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანო (გარდა კერძო ბრალდების საქმეებისა). პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება ამავე სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით 10 დღის ვადაში შეუძლიათ, გაასაჩივრონ პროკურორმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, დამცველმა, დაზა-

რალებულმა, სამოქალაქო მოსარჩელემ, სამოქალაქო მოპასუხემ, წარმომადგენელმა, აგრეთვე – პირმა, რომლის განცხადებითაც დაიწყო გამოძიება, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომელიც საჩივარს განიხილავს 15 დღის ვადაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის კომენტარები).

6. პროკურორის დადგენილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვისათვის წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ ამ დადგენილების ასლის მიღებიდან 15 დღე-ღამის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილების გამოტანის ადგილის მიხედვით – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება აქვთ პირს, რომელიც ითხოვდა წარმოების აღძვრას და მის დამცველს. საჩივრის განხილვისას სასამართლო, პირველ რიგში, ამოწმებს, არის თუ არა გარემოება ახლად აღმოჩენილი. თუ საჩივარი დასაბუთებულია იმით, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა ესა თუ ის ფაქტობრივი გარემოება, უსაფუძვლოდ გაიზიარა თუ არ გაიზიარა ესა თუ ის მტკიცებულება (ანუ თუ საჩივარი ფაქტობრივად წარმოადგენს სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებაზე ან დასაბუთებულობაზე), ასეთი გარემოებები არ შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილად. თუ სასამართლო დაადგენს, რომ საჩივრის საფუძვლად მითითებული გარემოება ახალია, უნდა შეფასდეს, რამდენად არსებითია ეს გარემოება, ანუ საკითხის განხილვისას უნდა შეფასდეს საჩივრის ავტორის მიერ ახლად აღმოჩენილად მიჩნეული გარემოება მოახდენს თუ არა არსებით გავლენას იმ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის გადასინჯვასაც ითხოვენ. საჩივრის განხილვისას უნდა შეფასდეს ასევე, რამდენად ახლად აღმოჩენილია გარემოება, ანუ, როდის გახდა საჩივრის ავტორისათვის ეს გარემოება ცნობილი და შეეძლო თუ არა ამ გარემოებაზე მიეთითებინა (მოეთხოვა მისი გამოკვლევა) იმ საქმის განხილვისას, რომელზე გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვასაც ითხოვს. პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება ამავე სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით 10 დღის ვადაში შეუძლიათ, გაასაჩივრონ პროკურორმა, პირმა, რომელიც ითხოვდა წარმოების აღძვრას, მისმა დამცველმა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომელიც საჩივარს განიხილავს 15 დღის ვადაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 594-ე, 596-ე მუხლების კომენტარები).

7. პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლით დადგენილი წესით განხილვას დაქვემდებარებულ ყველა საკითხზე სასამართლოს გამოაქვს დადგენილება.

8. თუ სასამართლო დაადგენს, რომ საჩივრის ავტორი არაუფლებამოსილი პირია, საჩივარი არ ექვემდებარება არსებით განხილვას.

9. თუ სასამართლოში გასაჩივრდა წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამომძიებლის ან პროკურორის მიერ მიღებული ის გადაწყვეტილება, რომლის სასამართლოში გასაჩივრებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს, საჩივარი ასევე არ ექვემდებარება არსებით განხილვას.

10. თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს რაიმე გადაწყვეტილების როგორც პროკურორთან, ასევე უშუალოდ სასამართლოში გასაჩივრების უფ-

ლებას, პირს შეუძლია, გამოიყენოს ორივე უფლება, შემდეგი თავისებურების გათვალისწინებით: მას შეუძლია, გადაწყვეტილება ჯერ გაასაჩივროს პროკურორთან, ხოლო პროკურორის მიერ საჩივრის უარყოფის შემთხვევაში – სასამართლოში. ამ დროს საჩივარი სასამართლოში შეიტანება საჩივრის უარყოფის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან (იმ დროიდან, როდესაც პირისათვის ცნობილი გახდა პროკურორის გადაწყვეტილების შესახებ) იმ ვადაში, რომელშიც უნდა მიემართა უშუალოდ სასამართლოსათვის საჩივრის შეტანის შემთხვევაში. თუ პირმა საჩივრით მიმართა უშუალოდ სასამართლოს, ასეთ შემთხვევაში იმავე გადაწყვეტილების პროკურორთან გასაჩივრება აღარ დაიშვება.

11. თუ გაშვებულ იქნა პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების ვადა, ვადის აღდგენის შესახებ უნდა მიმართონ იმ სასამართლოს, სადაც უნდა შეტანილიყო საჩივარი. საპატიო მიზეზის არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია, აღადგინოს ვადა და არსებითად განიხილოს საჩივარი.

12. საჩივრის შემტანი ბაჟს არ იხდის.

13. სასამართლო უფლებამოსილია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლით დადგენილი წესით განხილვას დაქვემდებარებული საჩივრები განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 243. წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ასევე პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრების წესი

1. **წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ასევე პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) მისი გაცემიდან (გამოტანიდან) 48 საათის ვადაში შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს ბრალდებულმა, მისმა დამცველმა, პროკურორმა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.**
2. **საჩივარი შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამცემ (გამომტან) მოსამართლესთან, რომელიც ამ საჩივარსა და საქმის მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების (დადგენილების) აღსრულებასა და საქმის გამოძიებას.**
3. **საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს საქმის მასალების მიღებიდან არა უგვიანეს 72 საათისა.**
4. **საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, პროკურორისა და მხარეთა მონაწილეობით. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. საჩივრის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ ბრალდებულს, მის დამცველსა და კანონიერ წარმომად-**

გენელს, აგრეთვე დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს. საჩივრის განმხილველ მოსამართლეს უფლება აქვს გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საჩივრის გადაწყვეტისათვის, წინადადება მისცეს მხარეებს, წარმოადგინონ საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებანი. მოსამართლე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს, რა საჩივარი განიხილება, ასახელებს მხარეებს, არკვევს, არის თუ არა აცილებები. აცილების საკითხი წყდება ამ კოდექსით დადგენილი წესით. თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობენ მხარეები, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, განმარტებანი მისცენ სასამართლოს და ჩამოაყალიბონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

5. საჩივრის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ ბრძანების (დადგენილების) გაცემისას (გამოტანისას) დაიცვა თუ არა მოსამართლემ ამ კოდექსის 151-ე-172-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები.
6. საჩივრის განხილვის შემდეგ მოსამართლე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) გასაჩივრებული ბრძანების (დადგენილების) ძალაში დატოვების და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) გასაჩივრებული ბრძანების (დადგენილების) გაუქმების (შეცვლის) და საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ.

7. საჩივრის შემტან მხარეს უფლება აქვს სასამართლოში მისი განხილვისას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე უკან გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.
8. საჩივრის განხილვის შედეგად გამოტანილი დადგენილების ასლები გადაეცემა მხარეებს, ეგზავნება ბრძანების (დადგენილების) გამცემ მოსამართლეს და ამ გადაწყვეტილების აღმსრულებელ ორგანოს.
9. ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად გამოტანილი დადგენილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
10. მოსამართლე უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული საჩივრები განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. ზეპირი მოსმენის შემთხვევაში მოსამართლე აცხადებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება №2/3/286 – სსმ IV, 2005 წ., №8, გვ. 7; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განსჯადია შემდეგი სახის საჩივრები:

– წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების (გამოყენებაზე უარის თქმის), შეცვლის (შეცვლაზე უარის თქმის), გაუქმების (გაუქმებაზე უარის თქმის), პატიმრობის ვადის გაგრძელების (გაგრძელებაზე უარის თქმის), ასევე – მიმალვაში მყოფი ბრალდებულის დაკავების (დაპატიმრების) შემდეგ პატიმრობის კანონიერების შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანებაზე (დადგენილებაზე);

– საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევისა (შერჩევაზე უარის თქმის) და ვადის გაგრძელების (გაგრძელებაზე უარის თქმის) შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანებაზე (დადგენილებაზე) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის კომენტარები);

– წინასწარი გამოძიების სტადიაზე ეჭვმიტანილის, ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების (გადაყენებაზე უარის თქმის) შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანებაზე (დადგენილებაზე) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის კომენტარები);

– წინასწარი გამოძიების სტადიაზე ქონებაზე ყადაღის დადების (უარის თქმის) შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანებაზე (დადგენილებაზე) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის კომენტარები);

– სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების (ჩატარებაზე უარის თქმის), ან გადაუდებელი აუცილებლობით, მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად (უკანონოდ) ცნობის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანებაზე (დადგენილებაზე) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლის კომენტარები);

– პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების (ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის) მოთხოვნით შეტანილ საჩივართან დაკავშირებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის კომენტარები);

– სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის კომენტარები);

– სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილებაზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის კომენტარები);

– ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვისათვის წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილებაზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 596-ე მუხლის კომენტარები);

2. უშუალოდ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში შეიტანება:

– იმ ბრალდებულის (მისი დამცველის) საჩივარი, რომელსაც, როგორც მიმალვაში მყოფს, დაპატიმრება შერჩეული აქვს 1997 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით პროკურორის მიერ სანქციონირებული დადგენილებით (საჩივარი შეიტანება ძებნილი ბრალდებულის დაკავების (დაპატიმრების) შემდეგ) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 680-ე მუხლის კომენტარები);

– პროკურორის შუამდგომლობა პირის მიმართ შერჩეული საექსტრადიციო პატიმრობის ხუთი თვიდან შვიდ თვემდე გაგრძელების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის კომენტარები).

3. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს იმ ბრძანებაზე (დადგენილებაზე), რომელიც საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, საჩივარი შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამცემ (გამომტან) მოსამართლესთან (ამ სასამართლოში), რომელიც ამ საჩივარსა და საქმის მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას. „დაუყოვნებლივ“ გადაგზავნაში იგულისხმება მაქსიმალურად მცირე, გონივრული ვადა – ის დრო, რაც სჭირდება საქმის მასალებისა და სასამართლო სხდომის ოქმის (გარდა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევისა) მომზადებას საგამოძიებო კოლეგიაში გადასაგზავნად. საჩივარი და მასალები, როგორც წესი, არ უნდა გადაიგზავნოს ფოსტით, რადგან ამან არ გამოიწვიოს საჩივრის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება. ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების (დადგენილების) აღსრულებასა და სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას.

4. საგამოძიებო კოლეგიის სხდომის ზოგადი განაწესი ასეთია: საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, მოსამართლე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს, რა საჩივარი განიხილება, ასახელებს მხარეებს, არკვევს, არის თუ არა აცილებები. აცილების საკითხი წყდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესით. მხარეთა (მათ შორის – პროკურორის) გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. საჩივრის განმხილველ მოსამართლეს უფლება აქვს, გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საჩივრის გადაწყვეტისათვის, წინადადება მისცეს მხარეებს, წარმოადგინონ საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებანი. თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობენ მხარეები, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, განმარტებები მისცენ სასამართლოს და ჩამოაყალიბონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებები.

5. აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) მისი გაცემიდან (გამოტანიდან), ანუ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან (და არა იმ დროიდან, როდესაც მხარეს ჩაჰბარდა გადაწყვეტილება) 48 საათის ვადაში შეიძლება გაასაჩივრონ ბრალდებულმა, მისმა დამცველმა, პროკურორმა. აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებულ საჩივრებს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე განიხილავს საჩივრისა და საქმის მასალების მიღებიდან არა უგვიანეს 72 საათში. საჩივრის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ პროკურორს, გამომძიებელს, ბრალდებულს, მის დამცველს, კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე – დაზარალებულს, მის წარმომადგენელს. საჩივრის განსახილ-

ველად მომზადების პროცედურა (მხარეთა გამოძახების და ა.შ.) იგივეა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით. სასამართლო საჩივრის განხილვისას არკვევს იმავე ფაქტობრივ და საპროცესო გარემოებებს და – იმავე წესით, რაც განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით. დამატებით სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ამოწმებს, გასაჩივრებული ბრძანების (დადგენილების) გაცემისას (გამოტანისას) დაიცვა თუ არა მოსამართლემ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-172-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საჩივრის განხილვის შედეგად სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს გამოაქვს:

ა) დადგენილება, თუ:

– უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე;

– აუქმებს აღკვეთის ღონისძიებას, ანუ აუქმებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ბრძანებას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და უარს ამბობს ბრალდებულის მიმართ რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე;

– ცვლილება შეაქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში, თუ ეს ცვლილება არ იწვევს აღკვეთის ღონისძიების სახის შეცვლას. მაგ.: ამცირებს ან ზრდის პირველი ინსტანციის სასამართლოს ბრძანებით განსაზღვრულ გირაოს ოდენობას, ცვლის თავდებ პირებს (ან მეთვალყურეებს, მზრუნველებს) ან მათ რაოდენობას და სხვა.

ბ) ბრძანება, თუ:

– ცვლის აღკვეთის ღონისძიების ერთ სახეს მეორეთი;

– აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის დადგენილებას ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ და იყენებს აღკვეთის ღონისძიებას (ნებისმიერ სახეს) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 151-172-ე მუხლების კომენტარები).

6. წინასწარი გამოძიების სტადიაზე ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების (გადაყენებაზე უარის თქმის) შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) მისი გაცემიდან (გამოტანიდან), ანუ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან (და არა იმ დროიდან, როდესაც მხარეს ჩაჰბარდება გადაწყვეტილება) 48 საათის ვადაში შეიძლება გაასაჩივრონ ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მისმა დამცველმა, პროკურორმა. საჩივარი შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამცემ (გამომტან) სასამართლოს მოსამართლესთან (ამ სასამართლოში), რომელიც ამ საჩივარსა და საქმის მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას. საჩივრის განსახილველად მომზადების პროცედურა (მხარეთა გამოძახების და ა.შ.) იგივეა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით. საჩივრის განხილვის შედეგად სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს გამოაქვს:

ა) დადგენილება, თუ:

– უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე;

– აუქმებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანებას პირის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ და უარს ამბობს თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებაზე;

ბ) ბრძანება, თუ:

– აუქმებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დადგენილებას პირის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებაზე უარის თქმის შესახებ და იღებს გადაწყვეტილებას თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

7. წინასწარი გამოძიების სტადიაზე ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანება მისი გაცემიდან (ანუ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან) ან აღსრულებიდან (ანუ იმ დროიდან, როდესაც უფლებამოსილი პირი ჩაატარებს ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურას) 72 საათში, ხოლო ქონებისათვის ყადაღის დადებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილება მისი გამოტანიდან 48 საათის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. საჩივარი შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამცემ (გამომტან) სასამართლოს მოსამართლესთან (ამ სასამართლოში), რომელიც ამ საჩივარსა და საქმის მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას. საჩივრის განხილვის შედეგად სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს გამოაქვს:

ა) დადგენილება, თუ:

– უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე;

– აუქმებს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანებას და უარს ამბობს ქონებაზე ყადაღის დადებაზე;

– ცვლილება შეაქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში, მაგ.: ქონების ნაწილს (და არა მთლიან დაყადაღებულ ქონებას) ათავისუფლებს ყადაღისაგან;

ბ) ბრძანება, თუ:

– აუქმებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დადგენილებას ქონებაზე ყადაღის დადებაზე უარის თქმის შესახებ და იღებს გადაწყვეტილებას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ;

– ნაწილობრივ აუქმებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დადგენილებას ქონებაზე ყადაღის დადებაზე უარის თქმის შესახებ და იღებს გადაწყვეტილებას ქონების ნაწილზე ყადაღის დადების შესახებ.

8. წინასწარი გამოძიების სტადიაზე სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანება მისი გაცემიდან ან აღსრულებიდან (ანუ იმ დროიდან, როდესაც უფლებამოსილი პირის მიერ ჩატარდება საგამოძიებო მოქმედების პროცედურა), ან გადაუდებელი აუცილებლობით მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დადგენილება მისი გამოტანიდან (ანუ სასამართლოს მიერ დადგენილების მიღებიდან) 72 საათში, ხოლო საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილება მისი გამოტანიდან 48 საათში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. საჩივარი შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამცემ (გამომტან) სასამართლოს მოსამართლესთან (ამ სასამართლოში), რომელიც ამ საჩივარსა და საქმის მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას. საჩივრის განსახილ-

ველად მომზადების პროცედურა (მხარეთა გამოძახების და ა. შ.), ასევე, საჩივრის განხილვისას გამოსარკვევ ფაქტობრივ და საპროცესო გარემოებებათა მოცულობა და წესი იგივეა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 290-293-ე მუხლებით. საჩივრის განხილვის შედეგად სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს გამოაქვს:

ა) დადგენილება, თუ:

– უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე;

– აუქმებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების (ნებართვის მიცემის) შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანებას და უარს ამბობს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის მიცემაზე;

– აუქმებს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დადგენილებას და უკანონოდ ცნობს მას;

ბ) ბრძანება, თუ:

– აუქმებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დადგენილებას საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ და იღებს გადაწყვეტილებას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის მიცემის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 290-ე, 291-ე, 292-ე, 293-ე მუხლების კომენტარები).

9. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დადგენილებები – პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების (ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის), სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვისათვის წარმოების აღძვრაზე უარის თქმის – საკითხებზე 10 დღის ვადაში, დადგენილების გამომტან სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით, საჩივრდება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. საჩივრები სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ უნდა განიხილოს მიღებიდან 15 დღის ვადაში. საჩივრის განსახილველად მომზადება და განხილვა ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე, 243-ე მუხლებით დადგენილი ზოგადი პროცედურების დაცვით. საჩივრების განხილვისას საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე აფასებს და მხედველობაში იღებს იმავე ფაქტობრივ და საპროცესო გარემოებებს, რაზედაც მითითებულია ამ კატეგორიის საჩივრების რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის მიერ განხილვისას. ზემოაღნიშნული კატეგორიის საჩივრების განხილვის შედეგად ყველა შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე, 140-ე, 24-ე, 399-ე, 596-ე მუხლების კომენტარები).

10. საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევისა (შერჩევაზე უარის თქმის) და ვადის გაგრძელების (გაგრძელებაზე უარის თქმის) შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანება (დადგენილება), ამავე სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით, საექსტრადიციო პატიმრობაშერჩეულმა პირმა, მისმა დამცველმა და პროკურორმა შეიძლება, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის გადა-

ცემიდან 15 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. საჩივრის განსახილველად მომზადების პროცედურა (მხარეთა გამოძახების და ა.შ.) იგივეა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით. სასამართლომ საჩივრის განხილვისას უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების (ვადის გაგრძელების, ზოგადად – პატიმრობის) საფუძვლები, რაც დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (რასაკვირველია, საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით), ასევე მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ საექსტრადიციო პროცედურებს დაქვემდებარებული ბრალდებულის მიმართ პატიმრობის შერჩევის საკითხზე ვრცელდება ორმაგი სასამართლო კონტროლი – ერთი მხრივ, ამ პირის მიმართ პატიმრობის შერჩევის კანონიერების საკითხს იხილავს ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფო (მას პატიმრობა შერჩეული აქვს ამ სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ) და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს აკისრია გარკვეული ვალდებულებები და, მეორე მხრივ, ამ პირის პატიმრობის (ვადის გაგრძელების) კანონიერების საკითხს იხილავს დაკავების განმახორციელებელი სახელმწიფოს – საქართველოს – სასამართლო. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს საჩივრისა და მასალების მიღებიდან 10 დღის ვადაში. საჩივრის განხილვის შედეგად საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს გამოაქვს:

ა) დადგენილება, თუ:

– უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე;

– აუქმებს საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანებას და უარს ამბობს საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევაზე;

– აუქმებს საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანებას და უარს ამბობს საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელებაზე;

ბ) ბრძანება, თუ:

– აუქმებს საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევაზე უარის თქმის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დადგენილებას და იღებს გადაწყვეტილებას საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევის შესახებ;

– აუქმებს საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დადგენილებას და იღებს გადაწყვეტილებას საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 259-ე მუხლების კომენტარები).

11. პროკურორის შუამდგომლობა ექსტრადიციის პროცედურებს დაქვემდებარებული ბრალდებულის მიმართ შერჩეული საექსტრადიციო პატიმრობის ვადის ხუთი თვიდან შვიდ თვემდე გაგრძელების შესახებ და შესაბამისი საექსტრადიციო წარმოების მასალები საექსტრადიციო პატიმრობის ხუთთვიანი ვადის გასვლამდე, არა უგვიანეს ხუთ დღეში, შეტანილ უნდა იქნეს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში (სააპელაციო სასამართლოში). სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე შუამდგომლობას ზეპირი მოსმენით განიხილავს არა უგვიანეს ხუთ დღეში (მაგრამ საექსტრადიციო პატიმრობის ხუთთვიანი ვადის გასვლამდე).

შუამდგომლობის განხილვის შედეგად მოსამართლეს გამოაქვს ბრძანება საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ ან დადგენილება საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ.

12. თუ მიმალვაში მყოფი, ძებნილი ბრალდებულის მიმართ პატიმრობა შერჩეულია 1997 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით პროკურორის მიერ სანქციონირებული დადგენილებით, ბრალდებულს (მის დამცველს) უფლება აქვთ, ამ დადგენილების აღსრულებიდან (ანუ ძებნილის დაკავებიდან (დაპატიმრებიდან), ხოლო უცხოეთში დაკავების შემთხვევაში – მისი საქართველოში გამოძიების ადგილზე ჩამოყვანიდან) 10 დღის ვადაში საჩივრით მიმართონ შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას. აღნიშნული უფლება ბრალდებულს უნდა განუმარტოს წინასწარი გამოძიების მწარმოებელმა თანამდებობის პირმა. საჩივარი შეიტანება პირდაპირ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში (სააპელაციო სასამართლოში). საჩივრის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს, იყო თუ არა დაცული პროკურორის მიერ სანქციონირებული დადგენილებით ბრალდებულის მიმართ პატიმრობის შერჩევისას იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და არსებობს თუ არა საჩივრის განხილვის დროს მოქმედი კანონმდებლობით დაპატიმრების გამოყენების ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) და ფორმალური (საპროცესო) საფუძვლები. საჩივრის განხილვის შედეგად სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს გამოაქვს:

ა) დადგენილება, თუ:

– უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე;

– აუქმებს ბრალდებულის მიმართ შერჩეულ დაპატიმრებას და არ იყენებს აღკვეთის ღონისძიების არც ერთ სახეს;

ბ) ბრძანება, თუ:

– ბრალდებულის მიმართ შერჩეულ დაპატიმრებას ცვლის აღკვეთის ღონისძიების სხვა სახით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 151-ე, 159-ე, 680-ე მუხლების კომენტარები).

13. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის დადგენილება და ბრძანება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

14. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ბრალდებულის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის ვადის ხუთი თვიდან შვიდ თვემდე გაგრძელების (გაგრძელებაზე უარის თქმის) შესახებ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრების წესს, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2006 წლის 6 ოქტომბერს აღნიშნულ საკითხზე ბრალდებულის დამცველის საჩივარი დაუშვა და დაადგინა გასაჩივრების წესი. ამ განჩინების თანახმად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის ბრძანება პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის ვადის ხუთი თვიდან შვიდ თვემდე გაგრძელების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს 48 საათში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რომელიც საჩივარს განიხილავს არა უგვიანეს 72 საათში.

15. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე უფლებამოსილია, საჩივრები განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

16. ზეპირი მოსმენის გარეშე არ შეიძლება განხილულ იქნეს პროკურორის შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის ვადის ხუთი თვიდან შვიდ თვემდე გაგრძელების შესახებ და 1997 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით პროკურორის მიერ სანქციონირებული დადგენილებით პატიმრობაშერჩეული ბრალდებულის, მისი დამცველის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 680-ე მუხლით დადგენილი წესით შეტანილი საჩივარი.

17. საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში მოსამართლე აცხადებს მიღებული დადგენილების (ბრძანების) სარეზოლუციო ნაწილს.

18. საჩივრის განხილვის შედეგად სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილების (ბრძანების) ასლები გადაეცემა მხარეებს, ეგზავნება ბრძანების (დადგენილების) გამცემ მოსამართლეს და ამ გადაწყვეტილების აღმსრულებელ ორგანოს. ზეპირი მოსმენის გარეშე საჩივრის განხილვისას გადაწყვეტილების მიღების დღესვე ტექნიკური საშუალებით (მაგ.: ტელეფონის საშუალებით) უნდა ეცნობოთ უფლებამოსილ პირებს (ორგანოებს). მათვე უნდა გადაეცეთ ან გაეგზავნოთ გადაწყვეტილების ასლი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

19. მხარეს, რომელმაც საჩივრით მიმართა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას, უფლება აქვს, სასამართლოში მისი განხილვისას, მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე, უკან გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

მუხლი 244. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

თავი XXXI
სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება და გამოყოფა

მუხლი 245. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება

სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება ხდება პროკურორის მოტივირებული დადგენილებით ან პროკურორის შუამდგომლობით, მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით).

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების რაიმე სპეციალურ გარემოებებს (საფუძვლებს) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს.

2. წინასწარი გამოძიების ეტაპზე სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ პროკურორს. საქმეთა გაერთიანების შესახებ პროკურორს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება.

3. სასამართლოს არ გააჩნია თავისი ინიციატივით სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების უფლებამოსილება. საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) უფლება აქვს, დადგენილებით (განჩინებით) გააერთიანოს სისხლის სამართლის საქმეები მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობის არსებობისას და მის საფუძველზე. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება დასაშვებია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ ადგენს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების წესს. პროკურორი უფლებამოსილია, შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების შესახებ განაცხადოს, როგორც იმ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, რომელთანაც უნდა მოხდეს სხვა სისხლის სამართლის საქმის გაერთიანება, ასევე იმ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, რომელიც უნდა გაუერთიანდეს სხვა სისხლის სამართლის საქმეს. თუმცა, როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობა უმჯობესია, განცხადებულ იქნეს იმ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, რომელთანაც უნდა მოხდეს სხვა სისხლის სამართლის საქმის გაერთიანება.

მუხლი 246. სისხლის სამართლის საქმის გამოყოფა

1. **პროკურორს, სასამართლოს (მოსამართლეს) პროკურორის შუამდგომლობით უფლება აქვთ მოტივირებული დადგენილებით (განჩინებით) სისხლის სამართლის საქმიდან გამოყონ საქმე ცალკე წარმოებისათვის.**
2. **გამოყოფას ექვემდებარება საქმის მასალების დედნები, ხოლო მათი სათანადოდ დამოწმებული ასლები რჩება საქმეში, რომლიდანაც გამოიყო მასალები.**
3. **გამოყოფილი საქმის წინასწარი გამოძიების ვადა იწყება გამოყოფის შესახებ დადგენილების გამოტანის დღიდან.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საქმიდან ახალი სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებისათვის გამოყოფის რაიმე სპეციალურ გარემოებებს (საფუძვლებს) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს.

2. წინასწარი გამოძიების ეტაპზე სისხლის სამართლის საქმიდან ახალი სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებისათვის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ პროკურორს. სისხლის სამართლის საქმიდან ახალი სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებისათვის გამოყოფის შესახებ პროკურორს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება.

3. სასამართლოს არ გააჩნია თავისი ინიციატივით სისხლის სამართლის საქმიდან ახალი სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებისათვის გამოყოფის უფლებამოსილება. სისხლის სამართლის საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) უფლება აქვს, დადგენილებით (განჩინებით) სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებისათვის გამოყოს ახალი სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობის არსებობისას და მის საფუძველზე.

4. გამოყოფას ექვემდებარება სისხლის სამართლის საქმის მასალების დედნები, ხოლო მათი სათანადოდ დამოწმებული ასლები რჩება ე.წ. „ძირითად“ სისხლის სამართლის საქმეში, რომლიდანაც გამოიყო მასალები. გამოიყოფა (გამოყოფილ საქმეში გადაიტანება) არა ე.წ. „ძირითად“ სისხლის სამართლის საქმეში არსებული ყველა მტკიცებულებისა და სხვა მასალის დედანი, არამედ მხოლოდ იმ მტკიცებულებებისა და მასალების დედნები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ახალი სისხლის სამართლის საქმისათვის. საკითხს, თუ წინასწარი გამოძიების ეტაპზე რა მასალები უნდა იქნეს გამოყოფილი დედნების სახით, წყვეტს პროკურორი, ხოლო სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითად განხილვისას სისხლის სამართლის საქმიდან ახალი სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შესახებ შუამდგომლობის განცხადებისას პროკურორმა უნდა მიუთითოს, რომელი მტკიცებულებებისა და სხვა მასალების „გამოყოფას“ (ახალ სისხლის სამართლის საქმეში გადატანას) ითხოვს დედნების სახით.

5. წინასწარი გამოძიების ეტაპზე სისხლის სასამართლის საქმიდან ახალი სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შემთხვევაში გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ვადა იწყება პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შესახებ დადგენილების გამოტანის დღიდან. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითად განხილვისას ცალკე წარმოებად სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შემთხვევაში გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ვადა იწყება პროკურორის მიერ ცალკე წარმოებად გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმის მასალების მიღების დღიდან.

თავი XXXII
საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში

(საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

მუხლი 247. სამართლებრივი დახმარების სახეები

1. სამართლებრივი დახმარების შესახებ ამ კოდექსის და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, სასამართლოს (მოსამართლეს), პროკურორსა და გამომძიებელს უფლება აქვთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ან საქართველოს გენერალური პროკურატურის მეშვეობით:

ა) მოითხოვონ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ჩატარება; ასეთი მოქმედებები ჩაატარონ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობით;

ბ) მოითხოვონ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის გადმოცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად ან/და საქართველოს ტერიტორიაზე განაჩენის აღსასრულებლად; ამავე მიზნით გადასცენ უცხო სახელმწიფოს მისი კომპეტენტური ორგანოების მიერ ძებნილი პირი;

გ) მოითხოვონ უცხო სახელმწიფოში მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის გადმოცემა საქართველოში სასჯელის მოსახდელად; საქართველოში მსჯავრდებული უცხო სახელმწიფოს მოქალაქე გადასცენ მის ქვეყანაში სასჯელის მოსახდელად.

1[1]. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაცემის უფლება აქვს აგრეთვე გემის კაპიტანს.

2. თუ უცხო სახელმწიფოსთან არ არის დადებული ხელშეკრულება სამართლებრივი დახმარების შესახებ, ასეთი დახმარების გაწევის საკითხი შეიძლება გადაწყდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრს ან საქართველოს გენერალურ პროკურორსა და აღნიშნული სახელმწიფოს შესაბამის თანამდებობის პირთა შორის სპეციალურად ამ შემთხვევისათვის დადებული შეთანხმებით. ამ შემთხვევაში სამართლებრივი დახმარება ხორციელდება 248-260-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით.

3. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხები რეგულირდება „სისხლის სამართლის საერთაშო-

რისო სასამართლოს წესდებისა“ (რომის სტატუტის) და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

(საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი №2976 – სსმ I, 2003 წ., №26, მუხლი 192; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3543 – სსმ I, 2006 წ., №36, მუხლი 269; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

1. სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი დახმარების სახეები და პროცედურა განსაზღვრულია როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (თავი XXXII), ასევე ამ სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, კერძოდ: საქართველოს სასამართლოს (მოსამართლეს), პროკურორს, გამომძიებელს უფლება აქვთ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ან საქართველოს გენერალური პროკურატურის მეშვეობით:

– მოითხოვონ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ჩატარება, ან უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობით ასეთი მოქმედებები ჩაატარონ საქართველოს ტერიტორიაზე;

– მოითხოვონ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის გადმოცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად ან/და საქართველოს ტერიტორიაზე განაჩენის აღსასრულებლად, ან ამავე მიზნით გადასცენ უცხო სახელმწიფოს მისი კომპეტენტური ორგანოების მიერ ძებნილი პირი;

– მოითხოვონ უცხო სახელმწიფოში მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის გადმოცემა საქართველოში სასჯელის მოსახდელად, ან საქართველოში მსჯავრდებული უცხო სახელმწიფოს მოქალაქე გადასცენ თავის ქვეყანას სასჯელის მოსახდელად.

2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაცემის უფლება აქვს, აგრეთვე, გემის კაპიტანს.

3. თუ სახელმწიფოსთან, რომელიც ითხოვს სამართლებრივ დახმარებას, არ არის დადებული ხელშეკრულება სამართლებრივი დახმარების შესახებ, ასეთი დახმარების გაწევის საკითხი შეიძლება გადაწყდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრს ან საქართველოს გენერალურ პროკურორსა და აღნიშნული სახელმწიფოს შესაბამის თანამდებობის პირთა შორის სპეციალურად ამ შემთხვევისათვის დადებული შეთანხმებით. ამ შემთხვევაშიც სამართლებრივი დახმარება ხორციელდება სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის დადგენილი წესების დაცვით.

4. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხებს აწესრიგებს „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი)“ და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

მუხლი 248. უცხო სახელმწიფოში სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის გაგზავნა

1. **თუ აუცილებლობა მოითხოვს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების ჩატარებას, გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო ამ კოდექსის 251-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით მიმართავს მისი ჩატარების თხოვნით შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს.**
2. **შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ იგზავნება საქართველოს გენერალური პროკურორის ან მის მიერ საამისო უფლებამოსილებით აღჭურვილი პროკურორის მეშვეობით, ხოლო სასამართლო მოქმედების ჩატარების შესახებ – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მეშვეობით.**
3. **თუ ეს კოდექსი საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად მოითხოვს განსაკუთრებულ სასამართლო გადაწყვეტილებას (ბრძანებას), მოსამართლის ხელმოწერითა და გერბიანი ბეჭდით დამოწმებული ეს გადაწყვეტილება უნდა დაერთოს შუამდგომლობას.**
4. **შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ დგება იმ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, სადაც ის იგზავნება, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.**
5. **საგანგებო შემთხვევაში შუამდგომლობა შეიძლება გადაიცეს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, შემდეგ კი დადასტურდეს წერილობით.**

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

1. თუ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოებისას ან სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოვლინდა უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების ჩატარების აუცილებლობა, გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო მისი ჩატარების შესახებ უცხო სახელმწიფოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს წინაშე შუამდგომლობის გადაგზავნის თხოვნით მიმართავენ – საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მიერ საამისო უფლებამოსილებით აღჭურვილ პროკურორს, თუ შუამდგომლობა შეეხება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, ან – საქართველოს იუსტიციის მინისტრს, თუ შუამდგომლობა შეეხება სასამართლო მოქმედების ჩატარებას.

2. თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად მოითხოვს განსაკუთრებულ სასამართლო გადაწყვეტილებას (ბრძანებას), უცხო სახელმწიფოში გასაგზავნ ამ სახის საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობას უნდა დაერთოს საქართველოს მოსამართლის ხელმოწერითა და გერბიანი ბეჭდით დამოწმებული ეს გადაწყვეტილება.

3. შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ დგება იმ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, სადაც ის იგზავნება, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. საგანგებო შემთხვევაში შუამდგომლობა შეიძლება გადაიცეს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, შემდეგ კი დადასტურდეს წერილობით.

მუხლი 249. უცხო სახელმწიფოში საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობის შინაარსი

საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობა უნდა შედგეს წერილობით, შუამდგომლობის გამგზავნის ხელმოწერით. იგი დამოწმებული უნდა იყოს დაწესებულების გერბიანი ბეჭდით. შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს:

ა) შუამდგომლობის გამგზავნი ორგანოს დასახელებასა და მისამართს;

ბ) იმ ორგანოს დასახელებასა და მისამართს, რომელსაც ეგზავნება შუამდგომლობა;

გ) საქმის ფაქტობრივ გარემოებებს;

დ) თხოვნის არსს, კერძოდ, იმ საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედების შინაარსს, რომელიც უნდა ჩატარდეს;

ე) მონაცემებს იმ პირთა ვინაობის, მოქალაქეობრივი კუთვნილების, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების, საქმიანობისა და სისხლის სამართლის საქმისადმი დამოკიდებულების შესახებ, რომელთა მიმართაც უნდა განხორციელდეს საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედება;

ვ) გამოთხოვილი დოკუმენტებისა და ნივთიერი მტკიცებულებების ნუსხას.

(საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

1. საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობა უნდა შედგეს წერილობით, იგი ხელმოწერილი უნდა იყოს შუამდგომლობის გაგზავნის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ და დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი დაწესებულების გერბიანი ბეჭდით.

2. შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს:

– შუამდგომლობის გამგზავნი ორგანოს დასახელებასა და მისამართს;

– იმ ორგანოს დასახელებასა და მისამართს, რომელსაც ეგზავნება შუამდგომლობა;

– სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებათა აღწერას;

– თხოვნის არსს, კერძოდ, იმ საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედების შინაარსს, რომელიც უნდა ჩატარდეს;

– მონაცემებს იმ პირთა ვინაობის, მოქალაქეობრივი კუთვნილების, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების, საქმიანობისა და სისხლის სამართლის საქმისადმი დამოკიდებულების შესახებ, რომელთა მიმართაც უნდა განხორციელდეს საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედება;

– გამოთხოვილი დოკუმენტებისა და ნივთიერი მტკიცებულებების ნუსხას.

მუხლი 250. უცხო სახელმწიფოს მოქალაქის გამოძახება სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის

1. უცხო სახელმწიფოს მოქალაქე შეიძლება მოიწვიონ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის, როგორც მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი, სამოქალაქო მოსარჩელე ან სამოქალაქო მოპასუხე, ხოლო ბრალდებულის შუამდგომლობით – როგორც დამცველი ან კანონიერი წარმომადგენელი.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული პირების (გარდა ადვოკატისა, რომელთანაც დადებულია შეთანხმება) საქართველოში ჩამოსვლისა და ყოფნის ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. თუ შუამდგომლობა ამ პირების გამოძახების შესახებ უარყოფილია, მათი გამოძახების ხარჯები ეკისრება იმ მხარეს, რომელმაც შეიტანა შუამდგომლობა.

3. საგამოძიებო მოქმედებასა და სასამართლოში მონაწილეობისათვის უცხო სახელმწიფოდან კონკრეტული პირების გამოძახების შესახებ თხოვნა იგზავნება 248-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით. ასეთი თხოვნა იმავდროულად შეიძლება გაეგზავნოს გამოსაძახებელ პირებსაც.

4. უცხო სახელმწიფოს მოქალაქის მონაწილეობით ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებები ტარდება ამ კოდექსით დადგენილი წესებით, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის უცხო სახელმწიფოს მოქალაქე შეიძლება მოიწვიონ, როგორც:

– მოწმე;

– დაზარალებული;

– ექსპერტი;

– სამოქალაქო მოსარჩელე:

– სამოქალაქო მოპასუხე;

– დამცველი ან კანონიერი წარმომადგენელი (ბრალდებულის შუამდგომლობით).

2. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად უცხო სახელმწიფოს მოქალაქის საქართველოში ჩამოსვლისა და ყოფნის ხარჯები (გარდა ადვოკატისა, რომელთანაც დადებულია შეთანხმება) ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. თუ შუამდგომლობა პირის გამოძახების შესახებ უარყოფილია, მისი გამოძახების ხარჯები ეკისრება იმ მხარეს, რომელმაც შეიტანა შუამდგომლობა.

4. თხოვნა საგამოძიებო მოქმედებაში უცხო სახელმწიფოდან კონკრეტული პირის გამოძახების შესახებ იგზავნება საქართველოს გენერალური პროკურორის ან მის მიერ საამისო უფლებამოსილებით აღჭურვილი პროკურორის მეშვეობით, ხოლო სასამართლოში მონაწილეობისათვის – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მეშვეობით. ასეთი თხოვნა იმავდროულად შეიძლება, გაეგზავნოს გამოსაძახებელ პირებსაც.

5. საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებები უცხო სახელმწიფოს მოქალაქის მონაწილეობით ტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 251. საქართველოს მოქალაქის მიმართ საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების შესახებ უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობის შესრულება

1. სასამართლო, პროკურორი ან გამომძიებელი საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქის მიმართ საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების შესახებ უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობას ასრულებს ამ კოდექსით დადგენილი წესებით.
2. შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სრულდება საქართველოს გენერალური პროკურორის ან მის მიერ საამისო უფლებამოსილებით აღჭურვილი პროკურორის მითითებით, ხოლო სასამართლო მოქმედების ჩატარების შესახებ – საქართველოს იუსტიციის მინისტრის დავალებით.
3. უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობა სრულდება, თუ ის შეიცავს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და ამ კოდექსის 249-ე მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებს. თუ შუამდგომლობაში არ არის ეს მონაცემები, ან თუ ისინი არასაკმარისია, გამოითხოვება დამატებითი მონაცემები.
4. საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქის იძულებასთან და მისი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან, ტარდება, თუ ისინი სანქციონირებულია უცხო სახელმწიფოს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ.
5. შუამდგომლობის შესრულებისას შესაძლებელია უცხო სახელმწიფოს საპროცესო ნორმების გამოყენება, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით.
6. საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში შუამდგომლობის შესრულებას შეიძლება ესწრებოდეს უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს წარმომადგენელი.
7. თუ შუამდგომლობის შესრულება შეუძლებელია, მიღებული დოკუმენტები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ან საქართველოს გენერალური პროკურატურის მეშვეობით უნდა დაუბრუნდეს უცხო სახელმწიფოს, ამასთანავე, უნდა მიეთითოს მისი შესრულების ხელშემშლელი მიზეზები. შუამდგომლობა ბრუნდება იმ შემთხვევაშიც, როცა მისმა შესრულებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, სუვერენიტეტსა და უშიშროებას.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

1. უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობით გათვალისწინებული საგამოძიებო და სასამართლო მოქმედება საქართველოს მოქალაქის მიმართ საქართველოს ტერიტორიაზე ტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით. თუმცა, შუამდგომლობის შესრულებისას შესაძლებელია უცხო სახელმწიფოს საპროცესო ნორმების გამოყენებაც, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით. ამასთან, მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში შუამდგომლობის შესრულებას შეიძლება ესწრებოდეს უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს წარმომადგენელი.

2. შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სრულდება საქართველოს გენერალური პროკურორის ან მის მიერ საამისო უფლებამოსილებით აღჭურვილი პროკურორის მითითებით, ხოლო სასამართლო მოქმედების ჩატარების შესახებ – საქართველოს იუსტიციის მინისტრის დავალებით.

3. უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობა სრულდება, თუ ის შეიცავს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული შუამდგომლობის სავალდებულო მონაცემებს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის კომენტარები).

4. თუ შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, ან თუ მასში მითითებული მონაცემები არასაკმარისია, გამოითხოვება დამატებითი მონაცემები. თუ შუამდგომლობა შეეხება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, დამატებით მონაცემებს გამოითხოვს საქართველოს გენერალური პროკურორი ან მის მიერ საამისო უფლებამოსილებით აღჭურვილი პროკურორი, ხოლო თუ შუამდგომლობა შეეხება სასამართლო მოქმედების ჩატარებას – საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

5. მოქალაქის იძულებასა და მისი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებები ტარდება, თუ ამის თაობაზე არსებობს უცხო სახელმწიფოს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს სანქცია.

6. თუ შუამდგომლობის შესრულება შეუძლებელია, მიღებული დოკუმენტები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ან საქართველოს გენერალური პროკურატურის მეშვეობით უნდა დაუბრუნდეს უცხო სახელმწიფოს, ამასთანავე, უნდა მიეთითოს მისი შესრულების ხელშემშლელ მიზეზებზე.

7. შუამდგომლობა უნდა დაბრუნდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მისმა შესრულებამ შეიძლება, ზიანი მიაყენოს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, სუვერენიტეტსა და უშიშროებას.

მუხლი 252. უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის შესახებ მასალების გაგზავნა

თუ უცხო სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინა დანაშაული, გავიდა საქართველოს ტერიტორიიდან, გამოძიებული საქმის ყველა მასალა უნდა გადაეცეს საქართველოს

გენერალურ პროკურორს ან მის მიერ საამისო უფლებამოსილებით აღჭურვილ პროკურორს ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობაზე უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც აღნიშნულ მასალებს უგზავნის უცხო სახელმწიფოს შესაბამის დაწესებულებას ან/და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სისხლისსამართლებრივი დევნის გასაგრძელებლად ან მიმართავს თხოვნით საქართველოს ხელისუფლებისათვის ბრალდებულის გადმოცემის შესახებ.

(საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი №2976 – სსმ I, 2003 წ., №26, მუხლი 192; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. თუ უცხო სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინა დანაშაული, გავიდა საქართველოს ტერიტორიიდან, გამოძიებული სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალა უნდა გადაეცეს საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მიერ საამისო უფლებამოსილებით აღჭურვილ პროკურორს ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობაზე უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც:

– ან საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXXII თავით დადგენილი წესით აღძრავს შუამდგომლობას (მოთხოვნას) ბრალდებულის საქართველოს ხელისუფლებისათვის გადმოცემის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 254-ე მუხლის კომენტარები);

– ან აღნიშნულ მასალებს უგზავნის უცხო სახელმწიფოს შესაბამის დაწესებულებას ან/და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სისხლისსამართლებრივი დევნის გასაგრძელებლად.

მუხლი 253. საქართველოს მოქალაქის მიერ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის შესახებ მოთხოვნის განხილვა

1. **უცხო სახელმწიფოს მოთხოვნას გამოსაძიებლად გადასცენ მასალები საქართველოს მოქალაქის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და საქართველოში დაბრუნდა, განიხილავს საქართველოს გენერალური პროკურატურა. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, შეიძლება მიღებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: გამოძიების დამთავრებამდე მასალების გადაცემის შესახებ; საქართველოს ტერიტორიაზე გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ჩატარების შესახებ; საქართველოს მოქალაქის გადაცემის შესახებ იმ უცხო სახელმწი-**

ფოს ტერიტორიაზე გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ჩასატარებლად, სადაც მოხდა დანაშაული.

2. **უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე დადგენილი წესით ჩატარებული გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს მიღებულ მტკიცებულებას საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.**

3. **თუ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფმა საქართველოს მოქალაქემ ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად დანაშაულია, მაგრამ ამ ქმედებისათვის იგი მსჯავრდებული არ ყოფილა უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ, საქართველოს კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს მის მიმართ ჩაატაროს გამოძიება და გამოიტანოს განაჩენი. ამასთან, შეიძლება მასალებისა და მტკიცებულებათა გამოთხოვა იმ სახელმწიფოდან, სადაც ჩადენილია დანაშაული და წამოყენებულია მოთხოვნა დევნილი პირის საქართველოს ხელისუფლებისათვის გადმოცემის შესახებ.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. თუ საქართველოს მოქალაქემ სხვა სახელმწიფოში ჩაიდინა დანაშაული და დაბრუნდა საქართველოში, ამ პირის მიმართ გამოსაძიებლად მასალების გადაცემის შესახებ უცხო სახელმწიფოს მოთხოვნას განიხილავს საქართველოს გენერალური პროკურატურა. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, შეიძლება მიღებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

– საქართველოს ტერიტორიაზე გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ჩატარების შესახებ;

– გამოძიების დამთავრებამდე მასალების გადაცემის შესახებ;

– საქართველოს მოქალაქის გადაცემის შესახებ იმ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ჩასატარებლად, სადაც მოხდა დანაშაული.

2. საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შუამდგომლობით ან ამის გარეშე უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე დადგენილი წესით ჩატარებული გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს მიღებულ მტკიცებულებას სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

3. თუ საქართველოს მოქალაქემ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩაიდინა ქმედება, რომელიც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაულია, მაგრამ ამ ქმედებისათვის იგი მსჯავრდებული არ ყოფილა უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ, საქართველოში მის მიმართ შესაძლებელია, ჩატარდეს წინასწარი გამოძიება, სასამართლო განხილვა და გამოტანილ იქნეს განაჩენი. ამასთან, დასაშვებია მასალებისა და მტკიცებულებათა გამოთხოვა იმ სახელმწიფოდან, სადაც ჩადენილია დანაშაული და წამოყენებულია მოთხოვნა დევნილი პირის საქართველოს ხელისუფლებისათვის გადმოცემის შესახებ.

მუხლი 254. ექსტრადიციის მოთხოვნა

1. საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, საქართველოს გენერალური პროკურატურა უცხო სახელმწიფოს შესაბამის დაწესებულებას მიმართავს იმ პირის გადმოცემის მოთხოვნით, რომლის მიმართაც საქართველოში მიმდინარეობს სისხლის სამართლის პროცესი, ან თუ კანონიერ ძალაშია შესული მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილის წესები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირს ბრალად ედება ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია თავისუფლების აღკვეთით ერთ წელზე მეტი ვადით, ან როცა ის მსჯავრდებულია ამგვარი დანაშაულისათვის.
3. გადმოცემის მოთხოვნა უნდა შეიცავდეს:

ა) ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სახელსა და გვარს;

ბ) ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივ გარემოებათა შინაარსს, იმ კანონის სანქციის მითითებით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის;

გ) მითითებას პირის დაკავების ან დაპატიმრების, მისი დაკითხვისა და ჩხრეკის საჭიროების შესახებ;

დ) მითითებას გადმოსაცემი პირის გადმოცემის ადგილის, დროის, წესისა და იმ ორგანოს შესახებ, რომელსაც იგი გადმოეცემა.

4. ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობას უნდა დაერთოს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ ან საბრალდებო დასკვნა, დადგენილება ძებნის გამოცხადების შესახებ, მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – სხვა დამატებითი დოკუმენტები.
5. ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობა და თანდართული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს გერბიანი ბეჭდით.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

1. იმ შემთხვევაში, როცა პირს ბრალად ედება ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია თავისუფლების აღკვეთით ერთ წელზე მეტი ვადით, ან როცა ის მსჯავრდებულია ამგვარი დანაშაულისათვის, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, საქართველოს გენერალური პროკურატურა უცხო სახელმწიფოს შესაბამის დაწესებულებას მიმართავს იმ პირის გადმოცემის მოთხოვნით, რომლის მიმართაც საქართველოში მიმდინარეობს სისხლის სამართლის

პროცესი, ან კანონიერ ძალაშია შესული მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

2. გადმოცემის მოთხოვნა უნდა შეიცავდეს:

– მონაცემს ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ვინაობის თაობაზე (მის სახელსა და გვარს);

– ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივ გარემოებათა შინაარსს, იმ სისხლის სამართლის კოდექსის სანქციის მითითებით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის;

– მითითებას პირის დაკავების ან დაპატიმრების, მისი დაკითხვისა და ჩხრეკის საჭიროების შესახებ;

– მითითებას გადმოსაცემი პირის გადმოცემის ადგილის, დროის, წესისა და იმ ორგანოს შესახებ, რომელსაც იგი გადმოეცემა.

3. ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

– დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ ან საბრალდებო დასკვნა;

– დადგენილება ძებნის გამოცხადების შესახებ;

– მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შესახებ;

– სხვა დამატებითი დოკუმენტები, საჭიროების შემთხვევაში.

4. ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობა და თანდართული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს გერბიანი ბეჭდით.

მუხლი 255. გადმოცემის პირობები

1. **არ შეიძლება უცხო სახელმწიფოს მიერ გადმოცემული პირი გადაეცეს მესამე სახელმწიფოს ამ ან სხვა დანაშაულისათვის, გადმომცემი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე.**
2. **ამ მუხლის პირველი ნაწილის წესები არ ვრცელდება გადმოცემის შემდეგ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაზე.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. საქართველოსათვის უცხო სახელმწიფოს მიერ გადმოცემული პირის მესამე სახელმწიფოსათვის გადაცემა ამ ან სხვა დანაშაულისათვის დასაშვებია მხოლოდ ამ პირის საქართველოსათვის გადმომცემი სახელმწიფოს თანხმობის არსებობის შემთხვევაში.

2. საქართველოსათვის გადმოცემული პირის მესამე სახელმწიფოსათვის გადაცემა, გადმომცემი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, დასაშვებია მხოლოდ გადმოცემის შემდეგ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით.

მუხლი 256. უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ექსტრადიცია

1. სამართლებრივი დახმარების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად, უცხო სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი იმ პირის ექსტრადიცია, რომლის მიმართაც მომთხოვნ სახელმწიფოში მიმდინარეობს სისხლის სამართლის პროცესი, ან თუ მას მსჯავრი დასდო თავისი ქვეყნის სასამართლომ.
2. ექსტრადიციის მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილ რეკვიზიტებს და მომდინარეობდეს კომპეტენტური ორგანოდან.
3. მოთხოვნა შეიძლება გადაიცეს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, შემდეგ კი დადასტურდეს წერილობით.
4. თუ საქართველოს გენერალური პროკურორი მოთხოვნას დასაბუთებულად და კანონიერად მიიჩნევს, იგი იძლევა მითითებას მისი შესრულების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი ხელშეწყობას სთხოვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.
5. თუ პირის ექსტრადიციას რამდენიმე უცხო სახელმწიფო მოითხოვს, მაშინ გადაწყვეტილებას, თუ რომელ სახელმწიფოს უნდა გადაეცეს იგი, საქართველოს გენერალური პროკურორი იღებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსა და საქართველოს იუსტიციის მინისტრთან კონსულტაციების შემდეგ.
6. თუ უცხო სახელმწიფოს მოქალაქე, რომლის მიმართაც შემოსულია მოთხოვნა ექსტრადიციის შესახებ, სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი სხვა დანაშაულისათვის, ექსტრადიცია შეიძლება გადავადდეს სასჯელის მოხდამდე ან სხვა კანონიერი საფუძვლით სასჯელისაგან განთავისუფლებამდე. თუ უცხო სახელმწიფოს მოქალაქე ბრალდებულად მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის, ექსტრადიცია შეიძლება გადავადდეს განაჩენის გამოტანამდე, სასჯელის მოხდამდე ან სხვა კანონიერი საფუძვლით მის განთავისუფლებამდე.
7. ამ მუხლის მე-6 ნაწილში აღნიშნულ შემთხვევაში საქართველოს უზენაეს სასამართლოს უფლება აქვს, უცხო სახელმწიფოს შესაბამის ორგანოთა თხოვნით, გამოიტანოს დადგენილება გარკვეული ვადით ამ სახელმწიფოს მოქალაქის ექსტრადიციის შესახებ. თუ ამ პირს თავისი ქვეყნის სასამართლო შეუფარდებს უფრო მკაცრ ან საქართველოში მოუხდელი სასჯელის თანაბარ სასჯელს, იგი სასჯელს მოიხდის თავის ქვეყანაში და საქართველოში დაბრუნებას არ ექვემდებარება.

(საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი №2976 – სსმ I, 2003 წ., №26, მუხლი 192; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

1. სამართლებრივი დახმარების შესახებ საერთაშორისო მრავალმხრივი (ან ამ ქვეყანასთან დადებული ორმხრივი) ხელშეკრულების თანახმად, უცხო სახელმწიფოს შეუძლია, მოითხოვოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი იმ პირის ექსტრადიცია, რომლის მიმართაც მომთხოვნ სახელმწიფოში მიმდინარეობს სისხლის სამართლის პროცესი, ან თუ მას მსჯავრი დასდო თავისი ქვეყნის სასამართლომ.

2. ექსტრადიციის მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო მრავალმხრივი (ან ამ ქვეყანასთან დადებული ორმხრივი) ხელშეკრულებით დადგენილ რეკვიზიტებს და მომდინარეობდეს ექსტრადიციის მომთხოვნი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოდან. მოთხოვნა შეიძლება გადაიცეს ტექნიკური საშუალებებითაც, შემდეგ კი დადასტურდეს წერილობით საერთაშორისო მრავალმხრივი (ან ამ ქვეყანასთან დადებული ორმხრივი) ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

3. თუ საქართველოს გენერალური პროკურორი საექსტრადიციო მასალების საფუძველზე მოთხოვნას დასაბუთებულად და კანონიერად მიიჩნევს, იგი იძლევა მითითებას მისი შესრულების შესახებ. თუ ექსტრადიციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამატებითი გარემოებების გარკვევა, საქართველოს გენერალური პროკურორი ხელშეწყობას სთხოვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

4. თუ პირის ექსტრადიციის მოთხოვნა შემოსულია რამდენიმე უცხო სახელმწიფოდან, მაშინ გადაწყვეტილებას, თუ რომელ სახელმწიფოს უნდა გადაეცეს პირი, საქართველოს გენერალური პროკურორი იღებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსა და საქართველოს იუსტიციის მინისტრთან კონსულტაციების შემდეგ.

5. თუ ექსტრადიციის მოთხოვნა შეეხება უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი სხვა (ანუ არა ექსტრადიციის მოთხოვნის საფუძვლად მიჩნეული) დანაშაულისათვის, ექსტრადიცია შეიძლება გადავადდეს სასჯელის მოხდამდე ან სხვა კანონიერი საფუძვლით სასჯელისაგან განთავისუფლებამდე.

6. თუ ექსტრადიციის მოთხოვნა შეეხება უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც ბრალდებულად მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის, ექსტრადიცია შეიძლება გადავადდეს განაჩენის გამოტანამდე, სასჯელის მოხდამდე ან სხვა კანონიერი საფუძვლით მის განთავისუფლებამდე.

7. თუ ექსტრადიციის მოთხოვნა შეეხება უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის, საქართველოს უზენაეს სასამართლოს უფლება აქვს, უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს თხოვნით, გამოიტანოს დადგენილება გარკვეული ვადით ამ სახელმწიფოს მოქალაქის ექსტრადიციის შესახებ. თუ ამ პირს თავისი ქვეყნის სასამართლო შეუფარდებს უფრო მკაცრ ან საქართველოში მოუხდელი სასჯელის თანაბარ სასჯელს, იგი სასჯელს მოიხდის თავის ქვეყანაში და საქართველოში დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მუხლი 257. ექსტრადიციაზე უარის თქმა

ექსტრადიცია არ დაიშვება, თუ:

ა) პირს მიცემული აქვს პოლიტიკური თავშესაფარი საქართველოში ან მინიჭებული აქვს ლტოლვილის სტატუსი საქართველოში;

ბ) ქმედება, რომელიც იყო გადაცემის, ექსტრადიციის მოთხოვნის საფუძველი, არ ითვლება დანაშაულად საქართველოში, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი;

გ) პირის მიმართ უკვე გამოტანილია იმავე დანაშაულთან დაკავშირებით კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი;

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა გასულია, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

(საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი №2976 – სსმ I, 2003 წ., №26, მუხლი 192; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

1. პირის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის გამომრიცხველი გარემოებებია, ანუ ექსტრადიცია არ დაიშვება, თუ:

– პირს მიცემული აქვს პოლიტიკური თავშესაფარი საქართველოში;

– პირს მინიჭებული აქვს ლტოლვილის სტატუსი საქართველოში;

– ქმედება, რომელიც იყო ექსტრადიციის მოთხოვნის საფუძველი, საქართველოში დანაშაულად არ ითვლება, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი;

– პირის მიმართ უკვე გამოტანილია იმავე დანაშაულთან დაკავშირებით კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი;

– გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 258. მოქალაქეობის არმქონე პირის ექსტრადიცია

მოქალაქეობის არმქონე პირის ექსტრადიცია ხდება 256-ე მუხლით დადგენილი წესით.

(საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი №2976 – სსმ I, 2003 წ., №26, მუხლი 192)

1. მოქალაქეობის არმქონე პირის ექსტრადიცია ხდება იმავე წესების დაცვით, რაც დადგენილია უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ექსტრადიციისათვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის თანახმად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 259. უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენება

1. საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის დაკავებისთანავე უნდა ეცნობოს შესაბამისი რაიონის პროკურორს, რომელიც 48 საათში შუამდგომლობით მიმართავს დაკავების ადგილის მიხედვით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით. სასამართლო აღნიშნულ საკითხს განიხილავს ამ კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს პირისათვის გადაწყვეტილების გადაცემიდან 15 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს განიხილავს 10 დღის ვადაში.
2. საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საექსტრადიციო პატიმრობის ვადა განისაზღვრება 3 თვით, რომელიც ექსტრადიციის განხორციელებისათვის გამოწვეული საჭიროების გამო შეიძლება გაგრძელდეს 2 თვით, მაგრამ არა უმეტეს ორჯერ.
3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე 2 თვემდე, ხოლო სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია – კიდევ 2 თვემდე აგრძელებს საექსტრადიციო პატიმრობის ვადას.
4. ექსტრადიციის მიზნით დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს პატიმრობიდან, თუ დადგინდა, რომ იგი საქართველოს მოქალაქეა.
5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ პირმა უცხო სახელმწიფოში ჩაიდინა საქართველოს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით დასჯადი ქმედება, საქართველოს გენერალური პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით შესაბამისი ქვეყნიდან გამოითხოვს პირის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს.
6. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ღონისძიების გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გადაცემის მომთხოვნი მხარის კომპეტენტურ ორგანოს.
7. ამ მუხლით გათვალისწინებული საექსტრადიციო პატიმრობის მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 243-ე მუხლი.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი №2976 – სსმ I, 2003 წ., №26, მუხლი 192; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

1. საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის დაკავებისთანავე უნდა ეცნობოს შესაბამისი (ანუ დაკავების ადგილის მიხედვით) რაიონის პროკურორს, რომელიც 48 საათში შუამდგომლობით მიმართავს დაკავების ადგილის მიხედვით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით.

2. პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევის შესახებ პროკურორის შუამდგომლობა განსახილველად მომზადდება და განიხილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

3. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გასცემს ბრძანებას საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევის შესახებ, ან გამოიტანს დადგენილებას საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევაზე უარის თქმის შესახებ.

4. პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გადაცემის მომთხოვნი მხარის კომპეტენტურ ორგანოს.

5. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილება საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევის ან შერჩევაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გაასაჩივრონ საექსტრადიციო პროცედურებს დაქვემდებარებულმა პირმა, მისმა დამცველმა და პროკურორმა მათთვის გადაწყვეტილების გადაცემიდან (ასლის მიღებიდან) 15 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომელიც საჩივარს განიხილავს 10 დღის ვადაში.

6. საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საექსტრადიციო პატიმრობის მაქსიმალური ვადაა შვიდი თვე. პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობა თავდაპირველად შეირჩევა სამი თვის ვადით, რომელიც, ექსტრადიციის განხორციელებისათვის გამოწვეული საჭიროების გამო, შეიძლება შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ გააგრძელოს 2 თვით, სამი თვიდან ხუთ თვემდე, ხოლო სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ – კიდევ 2 თვით, ხუთი თვიდან შვიდ თვემდე. პატიმრობის ვადის გაგრძელება ხდება პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 163-ე მუხლით დადგენილი პროცედურების დაცვით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 163-ე მუხლის კომენტარები).

7. ექსტრადიციის მიზნით დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან, თუ დადგინდა, რომ იგი საქართველოს მოქალაქეა. ამასთან, თუ ამ პირის მიმართ უცხო სახელმწიფოდან გამოთხოვილ და გადმოცემულ იქნა სისხლის სამართლის საქმის მასალები და საქართველოში გაგრძელდა გამოძიება, ან პირს ბრალი წარედგინა სხვა დანაშაულისათვის და მის მიმართ საერთო წესით აღკვეთის ღონისძიების სახით შეირჩა დაპატიმრება, პირი არ ექვემდებარება განთავისუფლებას, თუნდაც დადგინდეს, რომ იგი საქართველოს მოქალაქეა.

8. თუ დადგინდა, რომ ექსტრადიციის მიზნით დაკავებული პირი საქართველოს მოქალაქეა და არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ ამ პირმა უცხო სახელმწიფოში ჩაიდინა საქართველოს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით დასჯადი ქმედება, საქართველოს გენერალური პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორ-

ციელების მიზნით შესაბამისი ქვეყნიდან გამოითხოვს პირის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს და მასალების მიღების შემდეგ საქმეზე გამოძიება ჩატარდება საერთო წესით.

9. საექსტრადიციო პატიმრობასთან მიმართებით გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი, კერძოდ, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებები საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

10. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს ბრალდებულის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის ვადის ხუთი თვიდან შვიდ თვემდე გაგრძელების (გაგრძელებაზე უარის თქმის) შესახებ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრების წესს, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2006 წლის 6 ოქტომბერს აღნიშნულ საკითხზე ბრალდებულის დამცველის საჩივარი დაუშვა და დაადგინა გასაჩივრების წესი. ამ განჩინების თანახმად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის ბრძანება პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის ვადის ხუთი თვიდან შვიდ თვემდე გაგრძელების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს 48 საათში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რომელიც საჩივარს განიხილავს არა უგვიანეს 72 საათში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის კომენტარები).

11. სასამართლოებმა საექსტრადაციო პატიმრობასთან დაკავშირებული შუამდგომლობებისა და საჩივრების განხილვისას უნდა შეაფასონ, არსებობს თუ არა პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების (ვადის გაგრძელების, ზოგადად პატიმრობის) საფუძვლები, რაც დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (რასაკვირველია, საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით); ასევე მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ საექსტრადიციო პროცედურებს დაქვემდებარებული ბრალდებულის მიმართ პატიმრობის შერჩევის საკითხზე ვრცელდება ორმაგი სასამართლო კონტროლი – ერთი მხრივ, ამ პირის მიმართ პატიმრობის შერჩევის კანონიერების საკითხი განხილულია ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ (მას პატიმრობა შერჩეული აქვს ამ სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ) და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს აკისრია გარკვეული ვალდებულებები და, მეორე მხრივ, ამ პირის პატიმრობის (ვადის გაგრძელების) კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს, როგორც დაკავების განმახორციელებელი სახელმწიფოს, სასამართლო.

მუხლი 259[1]. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

1. **ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი სარგებლობს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებულისთვის მინიჭებული ყველა უფლებით.**
2. **ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს მისი გადაცემის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენი-**

ლების მიღებიდან არა უგვიანეს 15 დღისა გაასაჩივროს იგი შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელიც საჩივარს განიხილავს 15 დღის ვადაში.

3. **რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება კერძო საკასაციო საჩივრის შეტანის გზით მხარეებმა შეიძლება გაასაჩივრონ დადგენილების მიღებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რომელიც საჩივარს განიხილავს 10 დღის ვადაში.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი სარგებლობს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებულისთვის მინიჭებული ყველა უფლებით.

2. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს (მის დამცველს) უფლება აქვს, მისი გადაცემის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილება მიღებიდან (ჩაბარებიდან) არა უგვიანეს 15 დღეში გაასაჩივროს შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციული შენობის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, საჩივარი პირის გადაცემის შესახებ გენერალური პროკურორის დადგენილებაზე ყველა შემთხვევაში შეიტანება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში.

3. სასამართლომ საჩივარი უნდა განიხილოს 15 დღის ვადაში. საჩივრის განხილვისას სასამართლო ამოწმებს, პირის გადაცემის შესახებ დადგენილების გამოტანისას დაცულია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ საქართველოს საერთაშორისო და ამავე საკითხზე გადაცემის მომთხოვნ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი (თუ არსებობს) ხელშეკრულებების, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXXII თავის მოთხოვნები.

4. პროკურორს, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს (მის დამცველს) უფლება აქვთ, საქალაქო სასამართლოს მოსამართლის დადგენილება მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივრონ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რომელიც საჩივარს განიხილავს 10 დღის ვადაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 260. ნივთიერ მტკიცებულებათა და დოკუმენტთა გადაცემა

1. **ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისათვის ჩამორთმეული საგნები და დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებებად სისხლის სამართლის საქმეზე, ეგზავნება ექსტრადიციის მომთხოვნ ორგანოს.**

2. მატერიალური ღირებულების მქონე საგნებისა და დოკუმენტების გაგზავნა, თუ ისინი არ ეკუთვნის ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს, უნდა მოხდეს მათი შენახვისა და მესაკუთრისათვის დაბრუნების გარანტიის მიღების შემდეგ. გარანტიას იძლევა ორგანო, რომელიც მოითხოვს პირის ექსტრადიციას.

(საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი №2976 – სსმ I, 2003 წ., №26, მუხლი 192)

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისათვის ჩამორთმეული, სისხლის სამართლის საქმისათვის შესაძლო მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე საგნები და დოკუმენტები ეგზავნება ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოს (შესაბამის ორგანოს).

2. მატერიალური ღირებულების მქონე საგნები და დოკუმენტები, თუ ისინი არ ეკუთვნის ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს, უნდა გაიგზავნოს მათი შენახვისა და მესაკუთრისათვის დაბრუნების შესახებ პირის ექსტრადიციის მომთხოვნი ორგანოს მიერ გაცემული გარანტიის მიღების შემდეგ.

მუხლი 260[1]. ინფორმაციის გადაცემა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 227[1] და 227[2] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების გარემოებების, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის მიმართ მიღებული ზომებისა და აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცნობებს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ხოლო 231[1] და 324-ე მუხლებით გათვალისწინებული (ბირთვულ ნივთიერებებთან დაკავშირებული) დანაშაულების შემთხვევაში – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცნობებს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალურ დირექტორს.

(საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3543 – სსმ I, 2006 წ., №36, მუხლი 269)

1. თუ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის 227[1] მუხლით (წყლის ხომალდის ნაოსნობისათვის საშიშროების შექმნა) ან სისხლის სამართლის კოდექსის 227[2] მუხლით (სტაციონარული პლატფორმის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება, განადგურება, ან დაზიანება) გათვალისწინებული დანაშაულები, დანაშაულის გარემოებების, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის მიმართ მიღებული ზომებისა და ამ სახის დანაშაულების აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცნობებს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

2. თუ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის 231[1] მუხლით (ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მუქარა) ან სისხლის სამართლის კოდექსის 324-ე მუხლით (ტექნოლოგიური ტერორიზმი) გათვალისწინებული (ბირთვულ ნივთიერებებთან დაკავშირებული) დანაშაულები, დანაშაულის გარემოებების, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის მიმართ მიღებული ზომებისა და დანაშაულების აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცნობებს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალურ დირექტორს.

კერძო ნაწილი

კარი მეექვსე
წინასწარი გამოძიების წარმოების ზოგადი დებულებანი

თავი XXXIII
წინასწარი გამოძიების ზოგადი დებულებანი

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 261. წინასწარი გამოძიების დაწყების მოვალეობა

დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან დაიწყონ წინასწარი გამოძიება. გამომძიებლის მიერ წინასწარი გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის (აღძვრაზე უარის თქმის) ინსტიტუტი აღარ არსებობს.

2. პროკურორი და გამომძიებელი დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან, დაიწყონ წინასწარი გამოძიება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 263-ე, 265-ე მუხლების კომენტარები).

3. გამომძიებლის მიერ წინასწარი გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს, რაც გულისხმობს, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად გონივრულ ვადას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს, თუ კონკრეტულად რა ფორმით უნდა ეცნობოს პროკურორს გამომძიებლის მიერ წინასწარი გამოძიების დაწყების შესახებ. ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს ნებისმიერი საშუალებით (ტელეფონით (რის შესახებაც შედგება ოქმი), სხვა ტექნიკური საშუალებით, წერილობით და ა.შ.).

მუხლი 262. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 263. ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ

1. **წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს ფიზიკურმა ანდა იურიდიულმა პირმა, სახელმწიფო ან თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა, თანამდებობის პირმა, ოპერატიულ-სამძებრო ორგანომ, ბრალის აღიარებით გამოცხადებულმა პირმა, ანდა ისინი მოძიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, აგრეთვე უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესის ორგანოს მიერ საქმის გამოძიებისას აღმოჩენილი ცნობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ორგანოს წარმომადგენელი დანაშაულის თვითმხილველი ან დაზარალებულია, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას გამოვლენილი ცნობები.**
2. **ანონიმური ცნობების საფუძველზე გამომძიებელი ან პროკურორი უფლებამოსილია დაიწყოს წინასწარი გამოძიება. დაუშვებელია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მხოლოდ ანონიმური ცნობის საფუძველზე.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს წინასწარი გამოძიების დაწყების შესახებ რაიმე სპეციალური საპროცესო დოკუმენტის გამოტანას. თუ შემოსულია ზეპირი ან წერილობითი ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, ამ ცნობების შემცველი დოკუმენტი წარმოადგენს ამ საქმეზე პირველ საპროცესო დოკუმენტს. პრაქტიკაში წინასწარი გამოძიების დაწყების შესახებ ივსება წინასწარი გამოძიების დაწყების სააღრიცხვო ბარათი, თუმცა ამ ბარათის არარსებობა არ იწვევს არავითარ სამართლებრივ შედეგს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის კომენტარები).

2. წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც გამომძიებელს, პროკურორს მიაწოდეს:

– ფიზიკურმა პირმა;
– იურიდიულმა პირმა;
– სახელმწიფო ორგანომ;
– თვითმმართველობის, მმართველობის ორგანომ;

– თანამდებობის პირმა;

– ოპერატიულ-სამძებრო ორგანომ;

– ბრალის აღიარებით გამოცხადებულმა პირმა;

– ისინი მოძიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

– უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესის ორგანოს მიერ საქმის გამოძიებისას აღმოჩენილი ცნობები (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ორგანოს წარმომადგენელი დანაშაულის თვითმხილველია);

– უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესის ორგანოს მიერ საქმის გამოძიებისას აღმოჩენილი ცნობები (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ორგანოს წარმომადგენელი დაზარალებულია);

– სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას გამოვლენილი ცნობები.

3. ანონიმური ცნობები არ წარმოშობს წინასწარი გამოძიების დაწყების ვალდებულებას, თუმცა გამომძიებელი, პროკურორი უფლებამოსილი არიან, ანონიმური ცნობების საფუძველზე დაიწყონ წინასწარი გამოძიება. ამასთან, ანონიმური ცნობები შეიძლება გახდეს მხოლოდ წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი და დაუშვებელია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მხოლოდ ანონიმური ცნობის საფუძველზე, ანუ ანონიმური ცნობების საფუძველზე დასაშვებია დანაშაულის ფაქტზე წინასწარი გამოძიების დაწყება და არა – პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. თუ ანონიმური ცნობების საფუძველზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებისას გამოიკვეთა მონაცემები კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ (შეიკრიბა საკმაო მტკიცებულებები), სწორედ ეს მონაცემები (მტკიცებულებები) ედება საფუძვლად პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.

4. პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ აუცილებელია არ არის რაიმე სპეციალური საპროცესო აქტის გამოტანა. პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ფაქტობრივად დაწყებულად ითვლება იმ საპროცესო მოქმედების ჩატარებით, რომელიც აშკარად მიმართულია ამ პირის წინააღმდეგ მტკიცებულებათა მოპოვებისაკენ, ან რაც ზღუდავს კონსტიტუციით გარანტირებულ მის უფლებებს. მაგ.: პირს უტარდება პირადი ჩხრეკა იმ ეჭვის (მტკიცებულებების) საფუძველზე, რომ უკანონოდ ატარებს ცეცხლსასროლ იარაღს; პირის ეჭვმიტანილად ცნობა ან დაკავება; ბრალდების წარდგენა (ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა) და ა.შ.

მუხლი 264. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 265. დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების განხილვის წესი

1. **ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი.**
2. **ზეპირი ცნობის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ განმცხადებელი და განცხადების მიმღები თანამდებობის პირი.**

3. **სისხლის სამართლის საქმის პირველადი დოკუმენტია ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტი.**
4. **14 წელს მიღწეულ განმცხადებელს ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებენ ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობები შეიძლება იყოს:
– წერილობითი;
– ზეპირი.

2. თუ დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობები ზეპირია, ისინი შეიტანება ოქმში, რომელსაც ადგენს ის თანამდებობის პირი, ვისთანაც ზეპირად განაცხადეს (ზეპირად მიაწოდეს) ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ. ოქმს ხელს აწერენ განცხადების მიმღები თანამდებობის პირი და განმცხადებელი (ცნობების მიმწოდებელი).

3. ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით მიღებული ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, თუ განმცხადებლის ვინაობა უცნობია (არ ასახელებს ვინაობას), უთანაბრდება ანონიმურ ცნობებს, ხოლო თუ ამ საშუალებებით ცნობების მიმწოდებელი ასახელებს ვინაობას, შემდგომში იგი ხელს აწერს მის მიერვე მიწოდებული ცნობების ამსახველ ოქმს, ან დაიკითხება შესაბამისი საპროცესო სტატუსით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის კომენტარები).

4. სისხლის სამართლის საქმის პირველადი დოკუმენტია დანაშაულის ჩადენის შესახებ წერილობითი განცხადება (მიმართვა, შეტყობინება და ა.შ.) ან შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ შედგენილი ოქმი, რომელიც შედგენილია დანაშაულის ჩადენის შესახებ ზეპირი ცნობების საფუძველზე.

5. დანაშაულის ჩადენის შესახებ ზეპირი თუ წერილობითი ფორმით განმცხადებელს, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი, ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებენ ცრუ დასმენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 266. საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნა

თუ წინასწარი გამოძიების დაწყების შემდეგ გამოიკვეთა, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება განეკუთვნება გამოძიების სხვა ორგანოს კომპეტენციას, გამომძიებელი პროკურორის თანხმობით გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების შემდეგ დაუყოვნებლივ გადააგზავნის საქმეს ქვემდებარეობის მიხედვით.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. სისხლის სამართლის საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნა არის პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირის ვალდებულება (და – არა უფლება).

2. წინასწარი გამოძიება, როგორც წესი, უნდა დაიწყოს ქვემდებარეობის წესების დაცვით. თუ წინასწარი გამოძიების დაწყების შემდეგ გამოიკვეთა, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება განეკუთვნება გამოძიების სხვა ორგანოს ან ამავე საგამოძიებო ორგანოს სხვა სტრუქტურული დანაყოფის კომპეტენციას, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების შემდეგ სისხლის სამართლის საქმე დაუყოვნებლივ იგზავნება ქვემდებარეობის მიხედვით.

3. სისხლის სამართლის საქმე ქვემდებარეობით იგზავნება პროკურორის დადგენილების ან გამომძიებლის მიერ პროკურორის თანხმობით გამოტანილი დადგენილების საფუძველზე.

4. საკითხის შეფასებისას, თუ რა მოქმედებებია გადაუდებელი, ანუ რა მოქმედებები უნდა ჩატარდეს სისხლის სამართლის საქმის ქვემდებარეობის მიხედვით გადაგზავნამდე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, ხომ არ გამოიწვევს ამ მოქმედების ჩაუტარებლობა შემდგომში მისი ჩატარების შეუძლებლობას და ხომ არ შეიქმნება მტკიცებულების დაკარგვის, განადგურების (მოპოვების შეუძლებლობის) საფრთხე. მაგ.: თუ დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საქმე სხვა ორგანოს ქვემდებარეა, მაგრამ ამავე დროს გამოიკვეთა ბინის გადაუდებელი ჩხრეკის აუცილებლობა და ჩხრეკის დაუყოვნებლივ ჩაუტარებლობა გამოიწვევს მტკიცებულების გადამალვას, დაკარგვას, განადგურებას, ჯერ უნდა ჩატარდეს ჩხრეკა და შემდეგ გადაწყდეს საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნის საკითხი.

მუხლი 267. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 268. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 269. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

თავი XXXIV
წინასწარი გამოძიების ჩატარების პირობები

მუხლი 270. წინასწარი გამოძიების სავალდებულოობა

1. **(ამოღებულია).**
2. **წინასწარი გამოძიება, რომელსაც გამომძიებელი ან პროკურორი ატარებს, სავალდებულოა ყველა სისხლის სამართლის საქმეზე, კერძო ბრალდების საქმეთა გარდა.**
3. **კერძო ბრალდების საქმეზე წინასწარი გამოძიება ტარდება დაზარალებულის ან განსასჯელის მოთხოვნით, პროკურორის წინადადებით, თუ მხარეები არ არიან ამის წინააღმდეგი, და მოსამართლის ინიციატივით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. წინასწარი გამოძიების ჩატარება სავალდებულოა ყველა საჯარო და კერძო-საჯარო სისხლის სამართლის საქმეზე.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება ტარდება:

– დაზარალებულის მოთხოვნით;

– განსასჯელის მოთხოვნით;

– პროკურორის წინადადებით, თუ მხარეები ამის წინააღმდეგი არ არიან;

– მოსამართლის ინიციატივით.

3. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 635-ე მუხლის მიხედვით, კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს უფლება აქვს, გასცეს განკარგულება კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარების შესახებ. ამასთან, როგორც წესი, ასეთი განკარგულება უნდა გაიცეს იშვიათ (უკიდურეს) შემთხვევაში და ისიც მაშინ, როდესაც კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმის სასამართლოს მიერ განხილვისას აუცილებელი გახდება ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რომელსაც სასამართლო ვერ შეძლებს (მაგ.: ჩხრეკა, ამოღება და ა.შ.). კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ მხოლოდ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება უნდა დაავალოს გამომძიებელს, პროკურორს და მთლიანად სისხლის სამართლის საქმე არ უნდა წარმართოს წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 635-ე მუხლის კომენტარები).

4. წინასწარი გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება გააჩნია:

– გამომძიებელს;

– პროკურორს.

მუხლი 271. წინასწარი გამოძიების ვადა

წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადებში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2004 წლის 30 ივნისის კანონი №280 – სსმ I, 2004 წ., №16, მუხლი 56; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. წინასწარი გამოძიების ვადასთან დაკავშირებით დადგენილია შემდეგი წესი:

– წინასწარი გამოძიება არ შეიძლება ჩატარდეს შესაბამისი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ;

– წინასწარი გამოძიება უნდა ჩატარდეს (უნდა დამთავრდეს) გონივრულ ვადაში.

2. სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა არის აბსოლუტურად განსაზღვრული გარემოება, ხოლო „გონივრული ვადა“ – შეფასებითი გარემოება.

3. წინასწარი გამოძიების ვადის „გონივრულობის“ საკითხის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

– სისხლის სამართლის საქმის სირთულე;

– ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებების მოცულობა:

– ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებების ხასიათი;

– სხვა ობიექტური გარემოებები.

მუხლი 272. (ამოღებულია)

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 273. შეტყობინება დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ

1. პირის დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ გამომძიებელი ან პროკურორი ატყობინებს ამ პირებს ან მათს წარმომადგენლებს და გადასცემს ან უგზავნის მათ სათანადო დადგენილების ასლს. დადგენილებაში ჩამოთვლილი უნდა იყოს დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის ან მათი წარმომადგენლების საპროცესო უფლება-მოვალეობები.

2. დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის ან მათი წარმომადგენლების თხოვნით, გამომძიებელი განუმარტავს მათს უფლება-მოვალეობებს, რის შესახებაც აკეთებს აღნიშვნას დადგენილებაზე.

1. პირის დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ, სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გამომძიებელი, პროკურორი:

– ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით იძახებენ აღნიშნულ პირს ან მის წარმომადგენელს და გადასცემენ დადგენილების ასლს;

– ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით უგზავნიან აღნიშნულ პირს ან მის წარმომადგენელს დადგენილების ასლს.

2. დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს (ან დადგენილებას უნდა ერთვოდეს) დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის, მათი წარმომადგენლების საპროცესო უფლება-მოვალეობები.

3. დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის, მათი წარმომადგენლების თხოვნით გამომძიებელი განუმარტავს უფლება-მოვალეობებს, რის შესახებაც:

– ან აკეთებს სათანადო აღნიშვნას დადგენილებაზე;

– ან ადგენს ცალკე ოქმს უფლება-მოვალეობების განმარტების (უფლება-მოვალეობების ნუსხის გადაცემის) შესახებ.

მუხლი 274. წინასწარი გამოძიების მონაცემების გამჟღავნების დაუშვებლობა

1. გამომძიებელი და პროკურორი უზრუნველყოფენ, რომ არ გამჟღავნდეს მონაცემები საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისა და მისი შედეგების, ჩვენებათა შინაარსის, მთლიანად საქმის ან მისი გარკვეული ნაწილის შინაარსის თაობაზე, აგრეთვე მონაცემები ექსპერტთა დასკვნის შესახებ. ამ მიზნით მათ შეუძლიათ საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს ჩამოართვან ხელწერილი – ვალდებულება, რომ მათი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნონ საქმეში არსებული ცნობები, და გააფრთხილონ ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

2. სისხლის სამართლის საქმის მონაცემების გაუმჟღავნებლობის ვალდებულება არ შეიძლება დაეკისროთ ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს.

3. დამცველის ვალდებულება სისხლის სამართლის საქმის მონაცემების გაუმჟღავნებლობის შესახებ არ ვრცელდება მის საუბარზე ბრალდებულთან ან ეჭვმიტანილთან.

4. ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება შეუძლია განახორციელოს სასამართლომ, თუ საქმე განიხილება დახურულ სხდომაზე.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურება წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. ამასთან, პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებს პასუხს წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურებისათვის, თუ იგი პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის მიერ წინასწარ გაფრთხილებული იყო გახმაურების აკრძალვის შესახებ.

2. სისხლის სამართლის საქმის მონაცემების გაუმჟღავნებლობის ვალდებულება არ შეიძლება დაეკისროს:

– ეჭვმიტანილს;

– ბრალდებულს;

– განსასჯელს;

– მსჯავრდებულს.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დამცველის ვალდებულება სისხლის სამართლის საქმის მონაცემების გაუმჟღავნებლობის შესახებ არ ვრცელდება მის საუბარზე:

– ეჭვმიტანილთან;

– ბრალდებულთან;

– განსასჯელთან:

– მსჯავრდებულთან.

4. გამომძიებელმა, პროკურორმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, წინასწარი გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, რა მონაცემის გახმაურება მიაჩნიათ დაუშვებლად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის კომენტარები).

5. გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ, პროცესის მონაწილეს აუკრძალონ:

– საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობის გახმაურება;

– საგამოძიებო მოქმედების შედეგების გახმაურება;

– ჩვენების შინაარსის გახმაურება;

– სისხლის სამართლის საქმის შინაარსის გახმაურება;

– სისხლის სამართლის საქმის გარკვეული ნაწილის შინაარსის გახმაურება;

– ექსპერტის დასკვნის შესახებ მონაცემების გახმაურება.

6. გამომძიებელმა, პროკურორმა პროცესის მონაწილეს უნდა ჩამოართვან ხელწერილი – ვალდებულება, რომ მათი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნებენ სისხლის სამართლის საქმეში არსებულ ცნობებს. ამასთან, პირი უნდა გაფრთხილდეს შესაბამისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, ხოლო ხელწერილი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

7. თუ სისხლის სამართლის საქმე განიხილება დახურულ სასამართლო სხდომაზე, სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, პროცესის მონაწილეები გააფრთხილოს მონაცემების გაუხმაურებლობის შესახებ.

მუხლი 275. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 276. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 277. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 278. რამდენიმე გამომძიებლის მიერ საგამოძიებო მოქმედების შესრულება

თუ დათვალიერების, ჩხრეკის, საგამოძიებო ექსპერიმენტის ან სხვა საგამოძიებო მოქმედების მონაწილენი ერთდროულად უნდა იყვნენ სხვადასხვა შენობაში ან ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულნი, საგამოძიებო მოქმედება შეიძლება განახორციელოს რამდენიმე გამომძიებელმა. ამასთან, ერთ-ერთი გამომძიებელი ხელმძღვანელობს დანარჩენ გამომძიებელთა საქმიანობას.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ერთი საგამოძიებო მოქმედება ჩაატაროს რამდენიმე გამომძიებელმა. აღნიშნული შესაძლებელია, განხორციელდეს მაშინ, როდესაც საგამოძიებო მოქმედების მონაწილეები ერთდროულად უნდა იყვნენ:
– სხვადასხვა შენობაში;
– ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულები.
2. ასეთი საგამოძიებო მოქმედება შეიძლება იყოს:
– დათვალიერება;
– ჩხრეკა;
– საგამოძიებო ექსპერიმენტი;
– სხვა საგამოძიებო მოქმედება.
3. ერთი საგამოძიებო მოქმედების რამდენიმე გამომძიებლის მიერ ჩატარებისას ერთ-ერთი გამომძიებელი ხელმძღვანელობს დანარჩენ გამომძიებელთა საქმიანობას.

მუხლი 279. გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. გამომძიებლის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გამო საჩივარი წარედგინება შესაბამის პროკურორს.

2. პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გამომძიებლის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გამო საჩივარი წარედგინება შესაბამის პროკურორს. საჩივარი გამომძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის უფლებამოსილების მქონე პროკურორს (ან შეტანილი იქნეს შესაბამის პროკურატურაში). ამასთან, დასაშვებია საჩივრის შეტანა იმ გამომძიებელთან (ან იმ ორგანოში, სადაც გამომძიებელი მუშაობს), რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილება საჩივრდება. ამ შემთხვევაში საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს პროკურორს. ამასთან, გამომძიებელმა, რომელმაც მიიღო საჩივარი თავისი მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო, პროკურორისათვის მისი გაგზავნისას მას უნდა დაურთოს საკუთარი განმარტებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 235-ე მუხლის კომენტარები).

2. გამომძიებლის ზოგიერთი ქმედება და გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე, 73-ე, 227-ე, 242-ე მუხლების კომენტარები).

3. პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან. საჩივარი პროკურორის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს ზემდგომ პროკურორს (ან შეტანილი იქნეს შესაბამის პროკურატურაში). ამასთან, დასაშვებია საჩივრის შეტანა იმ პროკურორთანაც, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილება საჩივრდება. ამ შემთხვევაში საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს ზემდგომ პროკურორს. ამასთან, პროკურორმა, რომელმაც მიიღო საჩივარი თავისი მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო, ზემდგომი პროკურორისათვის მისი გაგზავნისას მას უნდა დაურთოს საკუთარი განმარტებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 235-ე მუხლის კომენტარები).

4. პროკურორის ზოგიერთი ქმედება და გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე, 73-ე, 227-ე, 242-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 280. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენა

1. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენისას გამომძიებელი ან პროკურორი შესაბამისი ორგანიზაციის თანამდებობის პირს უგზავნის წარდგინებას ამ გარემოებათა გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

2. **წარდგინების განხილვა სავალდებულოა. განხილვის შედეგი ერთი თვის ვადაში უნდა ეცნობოს წარდგინების ავტორს.**
3. **ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 20 მინიმალურ ოდენობამდე. ამ საკითხზე პროკურორის მიერ შეტანილი შუამდგომლობა განიხილება ამ კოდექსის 210-ე მუხლით დადგენილი წესით.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიებისას, მტკიცების საგნის სხვა აუცილებელ გარემოებებთან ერთად, პროკურორი, გამომძიებელი ადგენენ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებებს.

2. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებების დადგენისას გამომძიებელი, პროკურორი შესაბამისი ორგანიზაციის თანამდებობის პირს უგზავნიან წარდგინებას ამ გარემოებების გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად. მაგ.: სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიებისას დადგინდა, რომ ორგანიზაცია არაერთხელ გაიქურდა და ეს უმეტესწილად გამოიწვია დაწესებულების არასათანადოდ დაცვამ.

3. ორგანიზაცია ვალდებულია, წარდგინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში განიხილოს გამომძიებლის, პროკურორის წარდგინება და აცნობოს მას, რა ღონისძიებები გატარდა დანაშაულის ჩადენის ხელშემწობი გარემოებების აღმოსაფხვრელად.

4. თუ ორგანიზაცია წარდგინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში არ განიხილავს წარდგინებას და შედეგებს არ აცნობებს გამომძიებელს, პროკურორს, აღნიშნული იწვევს დაჯარიმებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე, 209-ე, 210-ე მუხლების კომენტარები).

თავი XXXV
ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა, ბრალდების წაყენება და შეცვლა, ბრალდებაზე უარი

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

მუხლი 281. ბრალდების წაყენების საფუძვლები

ბრალდების წაყენების საფუძველია იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული.

1. პირი ბრალდებულად ითვლება (ბრალდებულის საპროცესო სტატუსს იძენს) ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის კომენტარები).

2. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა, ანუ უფლებამოსილი პირის მიერ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა და ბრალდების წაყენება, ანუ ბრალდებულისათვის ბრალდების გამოცხადება, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გაცნობა, დადგენილების ასლის გადაცემა, უფლება-მოვალეობათა განმარტება.

3. პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისა და ბრალდების წაყენების საფუძველია იმ მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 282. დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ

1. ამ კოდექსით დადგენილი წესით გამომძიებელს პროკურორის თანხმობით, პროკურორს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. დადგენილებაში აღინიშნება:

ა) ბრალდებული პირის სახელი და გვარი, მისი დაბადების რიცხვი, თვე და წელი;

ბ) ბრალდების ფორმულირება, ესე იგი ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხისა თუ საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

გ) მტკიცებულებანი, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა;

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, მუხლის ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული.

2. სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით, მუხლის ნაწილით ან ქვეპუნქტით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ცალ-ცალკე უნდა იყოს მითითებული თითოეული ამ დანაშაულის კვალიფიკაცია.

3. დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებას ამ პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

4. საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა. საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის უფლებამოსილება გააჩნია:

– პროკურორს;

– გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით.

2. პროკურორის თანხმობა უნდა იყოს წერილობითი. პროკურორის მიერ თანხმობის გამოხატვის რაიმე სპეციალურ ფორმას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს. ყველაზე მიღებული ფორმაა პროკურორის წერილობითი თანხმობა გამომძიებლის მიერ გამოტანილ დადგენილებაზე პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

3. დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს. მასში აღინიშნება:

– დადგენილების გამოტანის ადგილი;

– დადგენილების გამოტანის თარიღი – წელი, თვე, რიცხვი (უმჯობესია მიეთითოს საათიც);

– დადგენილების გამომტანი პირის სამუშაო ადგილი (თანამდებობა), სახელი, გვარი;

– სისხლის სამართლის საქმის დასახელება (სისხლის სამართლის საქმის ნომერი და კვალიფიკაცია, რომლითაც სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო ან მიმდინარეობს გამოძიება);

– ბრალდებულის სახელი და გვარი, მისი დაბადების რიცხვი, თვე და წელი. (უმჯობესია, მიეთითოს ბრალდებულის სხვა პიროვნული მონაცემებიც, როგორიცაა:

ა) მოქალაქეობა;

ბ) ოჯახური მდგომარეობა;

გ) საცხოვრებელი ადგილი;

დ) სამუშაო ადგილი;

ე) ნასამართლობა და ა.შ.);

– ბრალდების ფორმულირება, ესე იგი ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე – ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

– მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, მუხლის ნაწილი, ქვეპუნქტი, რომლითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული.

4. სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით, მუხლის ნაწილით, ქვეპუნქტით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში თითოეული ამ დანაშაულის კვალიფიკაცია ცალ-ცალკე უნდა მიეთითოს.

5. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებას პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ანუ უნდა მიეთითოს პირის სახელი, გვარი (საჭიროების შემთხვევაში – სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემიც) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, მუხლის ნაწილი, ქვეპუნქტი, რომლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც დაედო ამ პირს ბრალი.

6. საქართველოს პარლამენტის წინასწარი თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცეს:

– საქართველოს პარლამენტის წევრი;

– საქართველოს სახალხო დამცველი;

– საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე;

– საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წინასწარი თანხმობა.

8. რაიონული (საქალაქო), სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინასწარი თანხმობა.

მუხლი 283. მოქმედება, რომელიც წინ უძღვის ბრალდების წაყენებას

1. პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გამომძიებელი ან პროკურორი განსაზღვრავს ბრალდების

წაყენების დროსა და ადგილს. ბრალდება წაყენებული უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 48 საათისა, ხოლო დანიშნულ დროს ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში – არა უგვიანეს მისი მოყვანიდან 24 საათში. თუ პირი ეჭვმიტანილის სახით იყო დაკავებული, დაკავების შესახებ ოქმის შედგენიდან არა უგვიანეს 48 საათისა გამოტანილი უნდა იქნეს დადგენილება პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ, წაეყენოს ბრალდება და პროცესის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაიკითხოს ბრალდებულის სახით. ბრალდების წაყენების და ბრალდებულის სახით დაკითხვის ამ ნაწილით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას.

2. გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებულია ბრალდების წაყენების დროს უზრუნველყოს დამცველის მონაწილეობა – ამ კოდექსით დადგენილი წესით.
3. პირს, რომელიც ბრალდებულად იქნა პასუხისგებაში მიცემული, იბარებენ უწყებით ან სხვა საშუალებით. თუ ეს პირი თავს არიდებს გამოცხადებას ან სხვა მიზეზით შეუძლებელია მისთვის ბრალდების პირადად წარდგენა, გამომძიებელი ან პროკურორი უფლებამოსილია ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება გაუგზავნოს ბრალდებულს ფოსტით ან გადასცეს მის დამცველს. განსაკუთრებულ შემთხვევაში გამომძიებელი ან პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის მოყვანის შესახებ. თუ ბრალდებული დაემალა გამოძიებას, გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს სასამართლოს წინაშე აღძრას შუამდგომლობა მის მიმართ პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. მოსამართლის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ცხადდება ასეთი პირის ძებნა.
4. თუ პირი დაკავებული ან დაპატიმრებულია, გამომძიებელი ან პროკურორი განკარგულებას აძლევს თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციას ბრალდების წასაყენებლად გარკვეულ ადგილას და გარკვეულ დროს პირის მოყვანის თაობაზე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2356 – სსმ I, 2005 წ., №57, მუხლი 440)

1. პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გამომძიებელი, პროკურორი განსაზღვრავენ ბრალდების წაყენების დროსა და ადგილს. ბრალდების წაყენების დროისა და ადგილის განსაზღვრისას გამომძიებელმა, პროკურორმა მხედველობაში უნდა მიიღონ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული პირი დაკავებულია თუ არა ეჭვმიტანილის სახით.

2. თუ პირი ეჭვმიტანილის სახით იყო დაკავებული, დაკავების შესახებ ოქმის შედგენიდან არა უგვიანეს 48 საათში გამოტანილ უნდა იქნეს დადგენილება პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ და წაეყენოს ბრალდება. გამომძიებელი, პროკურორი განკარგულებას აძლევენ დაკავებულის მოთავსების ადგილის ადმინისტრაციას ბრალდების წასაყენებლად გარკვეულ ადგილას და გარკვეულ დროს პირის მიყვანის თაობაზე.

3. თუ პირი დაკავებული არ არის, მას ბრალდება უნდა წაეყენოს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 48 საათში, ხოლო დანიშნულ დროს ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში — არა უგვიანეს მისი მოყვანიდან 24 საათში.

4. პირს, რომელიც ეჭვმიტანილის სახით არ ყოფილა დაკავებული და რომელიც ბრალდებულად იქნა პასუხისგებაში მიცემული, იბარებენ უწყებით (ფოსტით, კურიერის ან სხვა პირის მეშვეობით) ან სხვა საშუალებით (მაგ.: სატელეფონო შეტყობინებით, რის შესახებაც დგება ოქმი და ა.შ.). თუ ეს პირი თავს არიდებს გამოცხადებას ან სხვა მიზეზით შეუძლებელია მისთვის ბრალდების პირადად წარდგენა, გამომძიებელი, პროკურორი უფლებამოსილი არიან, ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება:

– ან გაუგზავნონ ბრალდებულს ფოსტით;

– ან გადასცენ ბრალდებულის დამცველს.

5. განსაკუთრებულ შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი უფლებამოსილი არიან, გამოიტანონ დადგენილება ბრალდებულის იძულებით მოყვანის შესახებ და დაავალონ ბრალდებულის იძულებით მოყვანა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირს (უწყებას).

6. თუ ბრალდებული დაემალა გამოძიებას ან ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი, ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით ან პროკურორს უფლება აქვთ, სასამართლოს წინაშე აღძრან შუამდგომლობა მისი, როგორც მიმალვაში მყოფი ბრალდებულის, მიმართ პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. თუ მოსამართლე შუამდგომლობას დააკმაყოფილებს, გამომძიებელი აცხადებს ასეთი პირის ძებნას.

7. ბრალდების წაყენების შემდეგ ბრალდებულის დაკითხვა არის გამომძიებლის, პროკურორის უფლება და არა – ვალდებულება. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ თუ ბრალდებული შუამდგომლობს დაკითხვის შესახებ, იგი უნდა დაიკითხოს შუამდგომლობის განცხადებიდან არა უგვიანეს ერთ კვირაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე, 115-ე, 145-ე მუხლების კომენტარები).

8. გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, ბრალდების წაყენების დროს უზრუნველყონ დამცველის მონაწილეობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე, 78-83-ე, 284-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 284. ბრალდების წაყენება

1. გამომძიებელი ან პროკურორი ბრალდების წასაყენებლად გამოძახებულ პირსა და მის დამცველს გააცნობს დადგენილებას პირის ბრალდებულად

პასუხისგებაში მიცემის შესახებ. გამომძიებელი პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს. გამოძახებული პირი და დამცველი წერილობით ადასტურებენ, რომ ისინი გაეცნენ დადგენილებას. დადგენილების ასლს ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხით გამომძიებელი ან პროკურორი გადასცემს ბრალდებულსა და დამცველს. გარდა ამისა, გამომძიებელი ან პროკურორი, დამცველის მონაწილეობით, ბრალდებულს განუმარტავს მის უფლება-მოვალეობებს.

1[1]. თუ ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, გამომძიებელი ან პროკურორი თანამდებობის პირის, რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრის მიმართ ბრალდების წასაყენებლად იძახებს ბრალდებულის დამცველს და გააცნობს დადგენილებას თანამდებობის პირის, რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რაც ჩაითვლება ბრალდების წაყენებად. ბრალდებულის დამცველი წერილობით ადასტურებს თანამდებობის პირის, რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრობაში ბრალდებულის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გაცნობის ფაქტს.

2. ბრალდების წაყენების შემდეგ ბრალდებულს აქვს თავის დამცველთან პირისპირ კონსულტაციის უფლება. თუ ბრალდებული დაკავებულია, მის მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

3. დამცველთან ბრალდებულის პირისპირ საუბრის შემდეგ გამომძიებელი უფლებამოსილია დაკითხოს ბრალდებული წაყენებული ბრალდების ყველა პუნქტის მიხედვით, გარდა ამ მუხლის 1[1] ნაწილით განსაზღვრული შემთხვევისა. დაკითხვაში მონაწილეობენ დამცველი, აგრეთვე პროკურორი, თუ მას ეს საჭიროდ მიაჩნია, ხოლო არასრულწლოვანთა, ყრუ-მუნჯთა, სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირთა საქმეებზე, იმ პირთა საქმეებზე, რომელთაც შეიძლება დაენიშნოთ უვადო თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე, თუ ბრალდებული ან მისი წარმომადგენელი შუამდგომლობენ, პროკურორის მონაწილეობა დაკითხვაში სავალდებულოა.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ბრალდების წარდგენის წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ბრალდებულს დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ გაეგზავნა ფოსტით ან გადაეცა მის დამცველს.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/3/182,185,191 – სსმ IV, 2003 წ., №7, გვ. 7; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №398 – სსმ I,

2004 წ., №25, მუხლი 125; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2356 – სსმ I, 2005 წ., №57, მუხლი 440)

1. ბრალდების წაყენება ნიშნავს გამომძიებლის, პროკურორის მიერ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული პირისათვის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გაცნობას, დადგენილების ასლის გადაცემას, უფლება-მოვალეობების განმარტებას (ნუსხის გადაცემას).

2. გამომძიებელი პირისათვის ბრალდების წაყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს.

3. ბრალდებული (პირი, რომელსაც წაეყენა ბრალდება) და მისი დამცველი (თუ მონაწილეობს) წერილობით ადასტურებენ, რომ ისინი გაეცნენ დადგენილებას პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ბრალდებული ასევე ხელმოწერით ადასტურებს, რომ განემარტა უფლება-მოვალეობები, გადაეცა დადგენილების ასლი და უფლება-მოვალეობების ნუსხა. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გაცნობა, მისი ასლის მიღება, უფლება-მოვალეობების განმარტების მოსმენა, უფლება-მოვალეობების ნუსხის ჩაბარება ბრალდებულის უფლებაა და არა – ვალდებულება. ბრალდებულს შეუძლია, უარი განაცხადოს ზემოაღნიშნული უფლებების გამოყენებაზე (ანუ არ ჩაიბაროს დადგენილების ასლი, უფლება-მოვალეობების ნუსხა, ან ჩაიბაროს, მაგრამ არ მოაწეროს ხელი, რომ ჩაიბარა და ა.შ.). გამომძიებელმა, პროკურორმა დადგენილებაში ან სხვა ფორმით (უფლება- მოვალეობების ნუსხის ასლზე ან ცალკე ოქმში) უნდა აღნიშნოს ბრალდებულის ზემოაღნიშნული ქმედებები. ამასთან, დამცველი უფლებამოსილი არ არის, ხელი არ მოაწეროს შესაბამისი საპროცესო მოქმედების ოქმს, სხვა საპროცესო დოკუმენტს, თუმცა დამცველს უფლება აქვს, გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი (მინაწერი) საპროცესო დოკუმენტზე და მიუთითოს, მისი აზრით, ბრალდებულის უფლებების დარღვევისა და სხვა გარემოებების შესახებ.

4. თუ ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი, ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამომძიებო ორგანოებში გამოცხადებას, გამომძიებელი, პროკურორი თანამდებობის პირის, რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრის მიმართ ბრალდების წასაყენებლად იძახებენ ბრალდებულის დამცველს და მას გააცნობენ დადგენილებას თანამდებობის პირის, რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ და გადასცემენ დადგენილების ასლს, რაც ჩაითვლება ბრალდების წაყენებად. ბრალდებულის დამცველი წერილობით ადასტურებს თანამდებობის პირის, რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრობაში ბრალდებულის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გაცნობისა და ასლის მიღების ფაქტს.

5. ბრალდების წაყენების შემდეგ ბრალდებულს აქვს თავის დამცველთან პირისპირ კონსულტაციის უფლება. ამასთან, წინასწარი გამოძიების მწარმოებელი თანამდებობის პირის მოტივირებული დადგენილებით, წინასწარი გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დაკავებული ბრალდებულის დამცველთან შეხვედრის რაოდენობა და ხანგრძლივობა შეიძლება, შეიზღუდოს გონივრული ვადით, სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესის თანახმად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის კომენტარები).

6. დამცველთან ბრალდებულის პირისპირ საუბრის შემდეგ გამომძიებელი უფლებამოსილია, დაკითხოს ბრალდებული წაყენებული ბრალდების ყველა პუნქტის მიხედვით. ბრალდების წაყენების შემდეგ ბრალდებულის დაკითხვა არის გამომძიებლის, პროკურორის უფლება და არა – ვალდებულება. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ თუ ბრალდებული შუამდგომლობს დაკითხვის შესახებ, იგი უნდა დაიკითხოს შუამდგომლობის განცხადებიდან არა უგვიანეს ერთ კვირაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე, 115-ე, 145-ე, 283-ე მუხლების კომენტარები).

7. თუ ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი, ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, მისი დაკითხვა წინასწარი გამოძიების მიერ ვერ მოხდება.

8. ბრალდებულის დაკითხვაში მონაწილეობს დამცველი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე, 78-83-ე, 283-ე მუხლების კომენტარები).

9. ბრალდებულის დაკითხვაში მონაწილეობს პროკურორი, თუ მას ეს საჭიროდ მიაჩნია.

10. პროკურორის მონაწილეობა ბრალდებულის დაკითხვაში სავალდებულოა, თუ:

– ბრალდებული არასრულწლოვანია;

– ბრალდებული ყრუ-მუნჯია;

– ბრალდებული პროცესის ენის არმცოდნეა;

– ბრალდებულს ბრალი ედება ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც შეიძლება, დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა;

– ბრალდებული, დამცველი, კანონიერი წარმომადგენელი შუამდგომლობენ ამის თაობაზე.

11. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების წარდგენის წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ:

– ბრალდებულს გაეგზავნა ფოსტით;

– გადაეცა ბრალდებულის დამცველს.

მუხლი 285. ბრალდების შეცვლა და უარი ბრალდებაზე

1. **წინასწარი გამოძიებისას წაყენებული ბრალდების შეცვლის ან შევსების საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელს 283-284-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით გამოაქვს ახალი დადგენილება პირის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.**
2. **პროკურორს ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელს უფლება აქვს შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის მიმართ, წაყენებული ბრალდების ამა თუ იმ ნაწილში.**

3. **სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება გადაეცემა ბრალდებულსა და დამცველს.**
4. **ბრალდების შეცვლის, შევსებისა და მასზე უარის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად პროკურორს უფლება აქვს წინასწარი გამოძიების ნებისმიერ მომენტში მოსთხოვოს გამომძიებელს სისხლის სამართლის საქმე არა უმეტეს 3 დღის ვადით.**

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. თუ წინასწარი გამოძიებისას გამოვლინდა წაყენებული ბრალდების შეცვლის ან შევსების საფუძველი, გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით, პროკურორს გამოაქვთ ახალი დადგენილება პირის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე, 284-ე მუხლების კომენტარები).

2. ბრალდების შეცვლაში იგულისხმება:

– ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა დამძიმების თვალსაზრისით (მაგ.: ძარცვის კვალიფიკაციის შეცვლა ყაჩაღობით);

– ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა შემსუბუქების თვალსაზრისით (მაგ.: ყაჩაღობის კვალიფიკაციის შეცვლა ძარცვით).

3. ბრალდების შევსებაში იგულისხმება:

– ბრალდებით გათვალისწინებულ ქმედებასთან ერთად სხვა დამოუკიდებელი დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდების წარდგენა (მაგ.: პირს ბრალი ედება ყაჩაღობის ჩადენაში, გამოძიების პროცესში შეგროვდა მტკიცებულებები, რომ ამავე პირს ჩადენილი აქვს თაღლითობაც და ახალი დადგენილებით ბრალი დაედება ორივე დანაშაულის ჩადენაში);

– ბრალდების დამძიმება ამავე ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოების გამოვლენის გამო (მაგ.: გაირკვა, რომ ბრალდებული ადრე ნასამართლევია და ეს წარმოადგენს ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებას);

– შემთხვევა, როდესაც ბრალდების ფორმულირება (კვალიფიკაცია) რჩება იგივე (არ ხდება ბრალდების დამძიმება ან შემსუბუქება), მაგრამ წინასწარი გამოძიების პროცესში, მოპოვებულ დამატებით მტკიცებულებებსა და მათი მეშვეობით დადგენილ ახალ გარემოებებზე მითითებით, იცვლება (შეივსება) ბრალდების დასაბუთების („სამოტივაციო“) ნაწილი.

4. ახალი დამოუკიდებელი დანაშაულის ჩადენის შესახებ გარემოებების გამოვლენის საფუძვლით ბრალდების დამძიმების დროს შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს რამდენიმე განსხვავებულ შემთხვევას, კერძოდ:

– წინასწარი გამოძიება დამოუკიდებლად მიმდინარეობს ორ (ან რამდენიმე) სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთაგან თითოეულზე პირს უკვე წარდგენილი აქვს ბრალდება და ამ სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანების შემდეგ პირს წარედგინება ერთიანი ბრალდება ყველა ეპიზოდში;

– წინასწარი გამოძიება დამოუკიდებლად მიმდინარეობს ორ (ან რამდენიმე) სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთაგან პირს ბრალდება წარდგენილი აქვს მხოლოდ ერთზე

(ან რამდენიმეზე, მაგრამ არა – ყველაზე) და ამ სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანების შემდეგ პირს ან პირდაპირ წარედგინება ერთიანი ბრალდება ყველა ეპიზოდში, ან ჯერ ცალკე წარედგინება ბრალდება იმ ეპიზოდში, რომელშიც არ ჰქონდა წარდგენილი და შემდეგ წარედგინება ერთიანი ბრალდება.

5. პროკურორს, პროკურორის თანხმობით, გამომძიებელს უფლება აქვთ, შეწყვიტონ სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის მიმართ:

– წაყენებული ბრალდების ყველა ეპიზოდში:

– წაყენებული ბრალდების ამა თუ იმ ნაწილში.

6. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების ასლი გადაეცემა ბრალდებულს, რომლის მიმართაც შეწყდა დევნა და მის დამცველს.

7. ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდებოდეს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა და ბრალდების შეცვლა, კერძოდ: მაგ.: როდესაც ხდება ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა ყაჩაღობიდან ძარცვაზე, ან პირიქით, – ეს არის ბრალდების (კვალიფიკაციის) შეცვლა და არა – სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა.

8. ბრალდების შეცვლის, ბრალდების შევსების, მასზე უარის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად პროკურორს უფლება აქვს, წინასწარი გამოძიების ნებისმიერ მომენტში არა უმეტეს 3 დღის ვადით მოსთხოვოს გამომძიებელს სისხლის სამართლის საქმე.

კარი მეშვიდე
საგამოძიებო მოქმედება

თავი XXXVI
ზოგადი დებულებანი
საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ

მუხლი 286. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საერთო წესები

1. **გამომძიებელი ამოწმებს კანონით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაში ჩაბმულ მონაწილეებს, რომელთაც განუმარტავს მათს უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესებს.**
2. **საგამოძიებო მოქმედების ჩატარება ღამით დაუშვებელია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.**
3. **საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას შეიძლება გამოიყენონ დანაშაულის კვალისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებები და მეთოდები.**
4. **საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დაუშვებელია ძალის, მუქარის, შანტაჟის, მოტყუებისა და სხვა უკანონო ხერხების გამოყენება, ასევე დაუშვებელია ამ მოქმედებაში მონაწილე პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა.**

1. საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე გამომძიებელი ამოწმებს საგამოძიებო მოქმედებაში ჩაბმულ მონაწილეებს, განუმარტავს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე – საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესებს. მაგ.: მოწმის დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელმა უნდა შეამოწმოს მოწმის ვინაობა (გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს, რომ ნამდვილად ის პირია გამოცხადებული, ვინც უნდა დაიკითხოს მოწმის სახით, გაარკვიოს მისი ასაკი დაკითხვის შესაბამისი წესების დაცვით ჩატარების მიზნით და ა.შ.), უნდა განუმარტოს მოწმეს თავისი უფლება-მოვალეობები და გააფრთხილოს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის, ცრუ ჩვენების მიცემის, ცრუ დასმენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე, მოწმეს უნდა განემარტოს დაკითხვის ჩატარების წესები – მოწმის დაკითხვის ხანგრძლივობა, ჩვენების საკუთარი ხელით ჩამოყალიბების უფლება და ა.შ.

2. საგამოძიებო მოქმედების ჩატარება ღამით (ანუ 22 საათიდან 6 საათამდე) დაუშვებელია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გადაუდებელია შემთხვევა, როდესაც:

– არსებობს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის რეალური საშიშროება;

– არსებობს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საშიშროება;

– არსებობს დანაშაულის კვალის მოსპობის რეალური საშიშროება;

– არსებობს დანაშაულის კვალის დაკარგვის რეალური საშიშროება;

– არსებობს ნივთიერი მტკიცებულების მოსპობის რეალური საშიშროება;

– არსებობს ნივთიერი მტკიცებულების დაკარგვის რეალური საშიშროება;

– პირს წაასწრებენ დანაშაულის ფაქტზე;

– სისხლის სამართლის საქმისათვის საჭირო საგნები აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, კერძოდ:

ა) შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას;

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტისას;

გ) შემოწმებისას;

– სისხლის სამართლის საქმისათვის საჭირო დოკუმენტები აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, კერძოდ:

ა) შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას;

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტისას;

გ) შემოწმებისას;

– შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე, 102-ე, 290-ე მუხლების კომენტარები).

3. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას შეიძლება, გამოყენებულ იქნეს დანაშაულის კვალისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციის, ამოღების მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებები და მეთოდები. თუ საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარებისას გამოყენებულ უნდა იქნეს ფოტო- და კინოგადაღება, აუდიო- და ვიდეოჩაწერა, სხვა ტექნიკური საშუალებები, ამის შესახებ წინასწარ უნდა აცნობონ საგამოძიებო მოქმედების მონაწილე პირებს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის კომენტარები).

4. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დაუშვებელია:

– ძალის გამოყენება;

– მუქარა;

– შანტაჟი;

– მოტყუება;

– სხვა უკანონო ხერხის გამოყენება;

– ისეთი საშუალების გამოყენება, რომელიც საფრთხეს უქმნის (შეიძლება შეუქმნას) საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირების სიცოცხლეს;

– ისეთი საშუალების გამოყენება, რომელიც საფრთხეს უქმნის (შეიძლება შეუქმნას) საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირების ჯანმრთელობას.

მუხლი 287. საგამოძიებო მოქმედების ოქმი

1. საგამოძიებო მოქმედების ოქმი დგება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ან უშუალოდ მისი დამთავრების შემდეგ.

2. **ოქმი შეიძლება დაიწეროს ხელით, დაიბეჭდოს მანქანაზე ან დამზადდეს კომპიუტერით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ოქმის სისრულისათვის შეიძლება სტენოგრაფიის, ფოტო- და კინოგადაღების, ვიდეო- და აუდიოჩაწერის გამოყენება. სტენოგრაფიული ჩანაწერი საქმეს არ დაერთვის, ხოლო ფოტო- და კინოგადაღების, - ვიდეო- და აუდიოჩაწერის მასალები ინახება საქმეში.**
3. **ოქმში აღნიშნული უნდა იყოს: საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი და თარიღი, მისი დაწყებისა და დამთავრების დრო, ჩატარების პირობები, იმ პირის თანამდებობა და გვარი, რომელმაც ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება, საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა სახელი და გვარი, ხოლო საჭიროების შემთხვევებში – მათი მისამართიც; ოქმში ჩამოყალიბებული უნდა იყოს გამომძიებლის მოქმედების თანამიმდევრობა, გამოვლენილი მტკიცებულებები და საქმისათვის არსებითი გარემოებები, აგრეთვე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე პირთა განცხადებები.**
4. **თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოყენებული იყო ფოტო- და კინოგადაღება, აუდიო- და ვიდეოჩაწერა, ან დამზადდა კვალის ანაბეჭდები და ტვიფრები, შედგა ნახაზები და სქემები, უნდა აღინიშნოს აგრეთვე შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოყენებული სხვა ტექნიკური საშუალებებიც, მათი გამოყენების პირობები და წესი, ობიექტები, რომელთა მიმართაც გამოიყენეს ეს საშუალებები და მიღებული შედეგები. ოქმში, გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შესახებ წინასწარ შეატყობინეს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე პირებს.**
5. **ოქმი გასაცნობად წარედგინება საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილეს. მათვე უნდა განემარტოთ, რომ უფლება აქვთ გამოთქვან შენიშვნები, რომლებიც ოქმში აისახება. ოქმში შეტანილი ყველა შენიშვნა, დამატება და შესწორება დადასტურებული უნდა იყოს მათი ხელმოწერით.**
6. **ოქმს ხელს აწერს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე ყველა პირი.**
7. **ოქმს დაერთვის ფოტონეგატივი და სურათი, ინფორმაციის შემცველი ელექტრონული საშუალებები, კინოფირი, დიაპოზიტივი, დაკითხვის ფონოგრამა, ვიდეოჩანაწერის კასეტა, ნახაზი, გეგმა, სქემა, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დამზადებული კვალის ტვიფრი და ანაბეჭდი.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობა და შედეგები აისახება საგამოძიებო მოქმედების ოქმში.

2. საგამოძიებო მოქმედების ოქმი დგება:

– ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას – პარალელურად);

– ან უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების დამთავრების შემდეგ.

3. საგამოძიებო მოქმედების ოქმს ადგენს საგამოძიებო მოქმედების მწარმოებელი პირი. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

– თუ დაკითხვის წარმოებისას დასაკითხმა პირმა გამოთქვა ჩვენების თავისი ხელით ჩამოყალიბების სურვილი, დაკითხვის მწარმოებელი პირი ავსებს დაკითხვის ოქმის „თავფურცელს“ (მონაცემები დაკითხვის დროის, ადგილის, დასაკითხი პირის, მისთვის უფლება-მოვალეობების განმარტების შესახებ და ა.შ.), ხოლო დასაკითხი პირი თავისი ხელით წერს ჩვენებას. ჩვენების ჩამოყალიბების შემდეგ გამომძიებელი უფლებამოსილია, შეკითხვები დაუსვას დასაკითხ პირს, შეკითხვა ოქმში შეაქვს გამომძიებელს, ხოლო პასუხი – გამომძიებელს ან სურვილის შემთხვევაში – დასაკითხ პირს;

– სხვა საგამოძიებო მოქმედების (ამოცნობა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება და ა.შ.) ჩატარებისას საგამოძიებო მოქმედების ოქმს ადგენს საგამოძიებო მოქმედების მწარმოებელი პირი. ამასთან, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირს უფლება აქვს, საკუთარი ხელით ჩაწეროს საგამოძიებო მოქმედების ოქმში თავისი მოსაზრება საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობის თაობაზე, ასევე – ჩვენება (მაგ.: ამოცნობის წარმოებისას);

– დაკითხვის ოქმი, როგორც წესი, დგება დაკითხვის მიმდინარეობისას, ანუ დასაკითხი პირის საუბრის პარალელურად გამომძიებელს, პროკურორს შეაქვთ ჩვენება დაკითხვის ოქმში, ან პირი თავისი ხელით აყალიბებს ჩვენებას;

– სხვა საგამოძიებო მოქმედების (ამოცნობა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება და ა.შ.) ოქმი შეიძლება შედგეს როგორც საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას (პარალელურად), ასევე – უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების დამთავრებისთანავე. აღსანიშნავია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია დაკავებული ეჭვმიტანილის პირადი ჩხრეკის ოქმის შედგენა ჩხრეკის (ანუ დაკავების) ადგილზევე, ასეთ შემთხვევაში პირადი ჩხრეკის ოქმი უნდა შედგეს დაკავებულის შესაბამის ორგანოში (პოლიციის დაწესებულებაში, პროკურატურაში, სხვა საგამოძიებო ორგანოში) მიყვანისთანავე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის კომენტარები);

– როდესაც საგამოძიებო მოქმედებას (მაგ.: შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, ჩხრეკას, ამოღებას და ა.შ.) ატარებს რამდენიმე გამომძიებელი (რამდენიმე პირი), უშუალოდ საგამოძიებო მოქმედება (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება და ა.შ.) ერთდროულად შეიძლება, ჩაატაროს ყველა პირმა და ოქმი შედგეს საგამოძიებო მოქმედების დამთავრების შემდეგ, ან საგამოძიებო მოქმედება ჩაატაროს რამდენიმე პირმა, ხოლო ერთ-ერთმა პარალელურად შეადგინოს ოქმი.

4. საგამოძიებო მოქმედების ოქმი შეიძლება:

– დაიწეროს ხელით;

– დაიბეჭდოს მანქანაზე;

– მომზადდეს კომპიუტერით;

– მომზადდეს სხვა ტექნიკური საშუალებით.

5. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დასაშვებია (ოქმის სისრულისათვის) სტენოგრაფიის, ფოტო- და კინოგადაღების, ვიდეო- და აუდიოჩაწერის გამოყენება. სტე-

ნოგრაფიული ჩანაწერი სისხლის სამართლის საქმეს არ დაერთვის, ხოლო ფოტო- და კინოგადაღების, ვიდეო- და აუდიოჩაწერის მასალები ინახება სისხლის სამართლის საქმეში.

6. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ (საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე ან ტექნიკური საშუალებების გამოყენების დაწყებამდე) უნდა შეატყობინონ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე პირებს.

7. საგამოძიებო მოქმედების ოქმში უნდა აღინიშნოს:

– საგამოძიებო მოქმედების მწარმოებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი (თანამდებობა);

– საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი და თარიღი (წელი, თვე, რიცხვი);

– საგამოძიებო მოქმედების დაწყებისა და დამთავრების ზუსტი დრო (საათი, წუთი);

– საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პირობები (საგამოძიებო მოქმედების სპეციფიკის გათვალისწინებით – განათება (ხილვადობა), საგნების (ობიექტების) მდებარეობა, ურთიერთგანლაგება, სხვა გარემოებები);

– საგამოძიებო მოქმედების მონაწილეების სახელი და გვარი, ხოლო საჭიროების შემთხვევებში – მათი მისამართი;

– საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებისათვის უფლება-მოვალეობების განმარტების შესახებ (თუ ეს ცალკე არ გაკეთებულა);

– საგამოძიებო მოქმედების მწარმოებელი პირის (პირების) ქმედებები იმ თანმიმდევრობით, რომლითაც ჩატარდა მოქმედება;

– საგამოძიებო მოქმედების შედეგად გამოვლენილი მტკიცებულებები და სისხლის სამართლის საქმისათვის არსებითი გარემოებები;

– საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას:

ა) ფოტოგადაღების შესახებ;

ბ) კინოგადაღების შესახებ;

გ) აუდიოჩაწერის შესახებ;

დ) ვიდეოჩაწერის შესახებ;

ე) კვალის ანაბეჭდების დამზადების შესახებ;

ვ) კვალის ტვიფრების დამზადების შესახებ;

ზ) ნახაზის შედგენის შესახებ;

თ) სქემის შედგენის შესახებ;

ი) სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენების შესახებ;

კ) სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენების პირობებისა და წესის შესახებ;

ლ) იმ ობიექტის შესახებ, რომლის მიმართ გამოიყენეს ეს საშუალება და შესაბამისად მიღებული შედეგები;

– აღნიშვნა, რომ ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ შეატყობინეს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე პირებს;

– საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე პირების მიერ გამოთქმული შენიშვნები და განცხადებები.

8. საგამოძიებო მოქმედების ოქმი გასაცნობად წარედგინება საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილეს. მათ უნდა განემარტოთ, რომ უფლება აქვთ, გამოთქვან შე-

ნიშვნები, რომლებიც ოქმში აისახება. ამასთან, საგამოძიებო მოქმედების ოქმში შეტანილი ყველა შენიშვნა, დამატება და შესწორება უნდა დადასტურდეს მათი ხელის მოწერით.

9. საგამოძიებო მოქმედების ოქმს ხელს აწერს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე ყველა პირი.

10. საგამოძიებო მოქმედების ოქმს უნდა დაერთოს:

- ფოტონეგატივი;
- სურათი;
- ინფორმაციის შემცველი ელექტრონული საშუალება;
- კინოფირი;
- დიაპოზიტივი;
- დაკითხვის ფონოგრამა;
- ვიდეოჩანაწერის კასეტა;
- ნახაზი;
- გეგმა;
- სქემა;
- საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დამზადებული კვალის ტვიფრი;
- საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დამზადებული კვალის ანაბეჭდი.

მუხლი 288. საგამოძიებო მოქმედების ოქმის ხელმოწერაზე უარის ან ხელმოწერის შეუძლებლობის ფაქტის დადასტურება

1. თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მოწმე ან სხვა პირი უარს ამბობს საგამოძიებო მოქმედების ოქმის ხელმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში კეთდება აღნიშვნა, რასაც ხელმოწერით ადასტურებს საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი.

2. ოქმის ხელმოწერაზე უარის მთქმელ პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა განმარტოს უარის მიზეზი და ეს უნდა აღინიშნოს ოქმში.

3. თუ ბრალდებულმა ან სხვა პირმა საგამოძიებო მოქმედების ოქმს ხელი არ მოაწერა, ეს ეცნობება პროკურორს. იგი ვალდებულია დაადგინოს ოქმის ხელის მოწერაზე უარის მიზეზი და მონაწილეობა მიიღოს შემდგომ დაკითხვაში.

4. თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული ან მოწმე ფიზიკური ნაკლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოკლებულია შესაძლებლობას ხელი მოაწეროს ოქმს, გამომძიებელი იწვევს გარეშე პირს, რომელიც დასაკითხი პირის თანხმობით ამოწმებს და ხელმოწერით ადასტურებს მისი ჩვენების ჩანაწერის სისწორეს. ოქმს ხელს აწერს გამომძიებელი.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მოწმე, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე სხვა პირი უარს აცხადებენ საგამოძიებო მოქმედების ოქმზე ხელის მოწერაზე, ამის შესახებ საგამოძიებო მოქმედების ოქმში კეთდება აღნიშვნა, რასაც ხელის მოწერით ადასტურებს საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი.

2. საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირს, რომელმაც უარი განაცხადა საგამოძიებო მოქმედების ოქმზე ხელის მოწერაზე, უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განმარტოს უარის მიზეზი და ეს უნდა აღინიშნოს საგამოძიებო მოქმედების ოქმში. თუ პირმა უარი განაცხადა საგამოძიებო მოქმედების ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმის მიზეზის განმარტებაზე, აღნიშნული უნდა დაფიქსირდეს საგამოძიებო მოქმედების ოქმში.

3. თუ ბრალდებულმა, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე სხვა პირმა საგამოძიებო მოქმედების ოქმს ხელი არ მოაწერეს, გამომძიებელი (საგამოძიებო მოქმედების მწარმოებელი პირი) ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ აცნობოს პროკურორს.

4. პროკურორი ვალდებულია, დაადგინოს პირის მიერ საგამოძიებო მოქმედების ოქმზე ხელის მოწერაზე უარის მიზეზი – გაეცნოს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმს (სისხლის სამართლის საქმის სხვა მასალებს), შეხვდეს პირს, რომელმაც უარი თქვა საგამოძიებო მოქმედების ოქმზე ხელის მოწერაზე, გაესაუბროს მიზეზების შესახებ, შეადგინოს ოქმი აღნიშნულის შესახებ. ამასთან, თუ პირმა არ ისურვა პროკურორთან შეხვედრა, ამის თაობაზე უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი.

5. პროკურორი ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს იმ პირის შემდგომ დაკითხვაში, რომელმაც უარი თქვა საგამოძიებო მოქმედების ოქმზე ხელის მოწერაზე.

6. აღსანიშნავია ისიც, რომ გამომძიებლის ვალდებულება – პროკურორს აცნობოს პირის მიერ საგამოძიებო მოქმედების ოქმზე ხელის მოწერაზე უარის შესახებ და პროკურორის ვალდებულება – გაარკვიოს მიზეზები (შეხვდეს ამ პირს), წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც პირმა უარი განაცხადა საგამოძიებო მოქმედების ოქმზე ხელის მოწერაზე და არა იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა უარი განაცხადა სხვა საპროცესო მოქმედების (რომელიც არ არის საგამოძიებო მოქმედება) ოქმზე ხელის მოწერაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

7. თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული, მოწმე, ფიზიკური ნაკლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მოკლებული არიან შესაძლებლობას, ხელი მოაწერონ საგამოძიებო მოქმედების ოქმს, გამომძიებელი იწვევს გარეშე პირს, რომელიც, დასაკითხი პირის თანხმობით, ამოწმებს და ხელის მოწერით ადასტურებს მისი ჩვენების ჩანაწერის სისწორეს. ამასთან, საგამოძიებო მოქმედების ოქმს ხელს აწერენ გამომძიებელი და მოწვეული პირი.

მუხლი 289. საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთათვის უფლებების განმარტებისა და უზრუნველყოფის სავალდებულოობა

გამომძიებელი ვალდებულია ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათს წარმომადგენლებს, აგრეთვე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე სხვა პირებს განუმარ-

ტოს მათი უფლებები და უზრუნველყოს ამ უფლებათა განხორციელების შესაძლებლობა. ამავე დროს მათ უნდა განუმარტონ, თუ რა მოვალეობა ეკისრებათ და რა შედეგი მოსდევს ამ მოვალეობათა შეუსრულებლობას. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და სამოქალაქო მოპასუხეს გადაეცემათ მათი უფლება-მოვალეობების წერილობითი ნუსხა.

1. გამომძიებელი (საგამოძიებო მოქმედების მწარმოებელი პირი) ვალდებულია, საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე უფლებები განუმარტოს:
- ეჭვმიტანილს;
- ბრალდებულს;
- დაზარალებულს;
- სამოქალაქო მოსარჩელეს;
- სამოქალაქო მოპასუხეს;
- მათ წარმომადგენლებს;
- საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე სხვა პირს.

2. გამომძიებელი (საგამოძიებო მოქმედების მწარმოებელი პირი) ვალდებულია, უზრუნველყოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე პირების უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

3. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე პირს საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე უნდა განემარტოს, თუ რა მოვალეობები ეკისრება და რა შედეგი მოსდევს ამ მოვალეობების შეუსრულებლობას.

4. გამომძიებელი ვალდებულია, უფლება-მოვალეობების წერილობითი ნუსხა გადასცეს:
- ეჭვმიტანილს;
- ბრალდებულს;
- დაზარალებულს;
- სამოქალაქო მოსარჩელეს;
- სამოქალაქო მოპასუხეს.

5. ამასთან, შესაძლებელია, საგამოძიებო მოქმედების სხვა მონაწილესაც გადაეცეს უფლება-მოვალეობების წერილობითი ნუსხა, თუმცა მას უფლება-მოვალეობები შეიძლება გააცნონ ზეპირადაც. ამასთან, ამ პირმა ხელი უნდა მოაწეროს:
- ან ცალკე შედგენილ ოქმს, რომ განემარტა უფლება-მოვალეობები;
- ან შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმის იმ გრაფაში, სადაც მითითებულია მისთვის უფლება-მოვალეობების განმარტების შესახებ.

მუხლი 290. მოსამართლის ბრძანებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება

1. საგამოძიებო მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებელი ბინის, მიმოწერის, პირადი ჩანაწერის, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებების საიდუმლოების შეზღუდვასთან, ტარდება მოსამართლის ბრძანებით.

2. ამოღება, ჩხრეკა, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით (გარდა ამ კოდექსის 145-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა), რის შესახებაც მაგისტრატ მოსამართლეს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, პროკურორმა უნდა აცნობოს 24 საათის განმავლობაში და გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების აუცილებლობას. მასალების შემოსვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, პროკურორის მონაწილეობით ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას. მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, უფლებამოსილია განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც ამოღება, ჩხრეკა და საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება ჩაატარა მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, მოსამართლის ბრძანების გარეშე. მასალების განხილვის შემდეგ მაგისტრატ მოსამართლეს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, გამოაქვს დადგენილება:

ა) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;

ბ) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის და ამ მოქმედებით მიღებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ.

3. (ამოღებულია).

4. გადაუდებელია შემთხვევა, როდესაც: არსებობს კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების დაკარგვის რეალური საშიშროება, პირს დანაშაულის ფაქტზე წაასწრებენ; საქმისათვის საჭირო საგნები და დოკუმენტები აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, შემოწმება) ან შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო.

5. (ამოღებულია).

6. გამომძიებლისა და პროკურორის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეიძლება მიღებულ იქნეს მოსამართლის ბრძანება პირის იძულებით შემოწმების, მოყვანის, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების მიღების შესახებ.

7. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო სხდომის ოქმი არ დგება. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ.,

№18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონი №980 – სსმ I, 2001 წ., №22, მუხლი 85; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №214 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 62; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/6/264 – სსმ IV, 2004 წ., №52, გვ. 9; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2359 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 375; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ფაქტობრივ, ანუ მტკიცებულებით საფუძველთან (რაც ასაბუთებს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას) ერთად, საჭიროა სამართლებრივი საფუძვლის – საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანების, ან გადაუდებელ შემთხვევაში პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილების არსებობა იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის, რომელიც დაკავშირებულია:

– საცხოვრებელი ბინის საიდუმლოების შეზღუდვასთან;
– მიმოწერის საიდუმლოების შეზღუდვასთან;
– პირადი ჩანაწერის საიდუმლოების შეზღუდვასთან;
– საფოსტო შეტყობინებების საიდუმლოების შეზღუდვასთან;
– სატელეგრაფო შეტყობინებების საიდუმლოების შეზღუდვასთან;
– სხვა შეტყობინების საიდუმლოების შეზღუდვასთან.

2. გამონაკლისია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა – როდესაც პირის დაკავებისას არსებობს პირადი ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობა (მაგ.: დაკავებულს აქვს იარაღი, ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი მტკიცებულებები), დამკავებელ თანამდებობის პირს უფლება აქვს, ჩაატაროს პირადი ჩხრეკა მოსამართლის ბრძანების, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილების გარეშე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის კომენტარები).

3. საგამოძიებო მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებელი ბინის, მიმოწერის, პირადი ჩანაწერის, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებების საიდუმლოების შეზღუდვასთან, ექვემდებარება ე.წ. სასამართლო კონტროლს. არსებობს სასამართლო კონტროლის ორი ფორმა:

– წინასწარი, ანუ „სანებართვო“;
– შემდგომი.

4. წინასწარი, ანუ „სანებართვო“ სასამართლო კონტროლი გულისხმობს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანების (ანუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის) მიღებას საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე (დაწყებამდე).

5. შემდგომი სასამართლო კონტროლი გულისხმობს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, მოსამართლის ბრძანების

გარეშე და მოსამართლისათვის შესაბამისი მასალების წარდგენას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერების საკითხის შემოწმების მიზნით.

6. გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას მოსამართლის ბრძანების გარეშეც, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით, შეიძლება ჩატარდეს:

– ამოღება;

– ჩხრეკა;

– საცხოვრებელი ბინის დათვალიერება;

– სხვა მფლობელობის დათვალიერება.

7. გადაუდებელია შემთხვევა, როდესაც:

– არსებობს კვალის დაკარგვის რეალური საშიშროება;

– არსებობს ნივთიერი მტკიცებულების დაკარგვის რეალური საშიშროება;

– პირს დანაშაულის ფაქტზე წაასწრებენ;

– სისხლის სამართლის საქმისათვის საჭირო საგანი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას:

ა) შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას;

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტისას;

გ) შემოწმებისას;

– სისხლის სამართლის საქმისათვის საჭირო დოკუმენტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას:

ა) შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას;

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტისას;

გ) შემოწმებისას;

– შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო.

8. მოსამართლის ბრძანების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, ამოღების, ჩხრეკის, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერების ჩატარების შესახებ გამომძიებელმა (საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელმა პირმა) უნდა აცნობოს პროკურორს. პროკურორი ვალდებულია, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან (ანუ დამთავრებიდან) არა უგვიანეს 24 საათში აცნობოს და, შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედების კანონიერების საკითხის განხილვისათვის საჭირო მასალების ასლები, რაც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას, წარუდგინოს შესაბამის სასამართლოს.

9. საჭირო მასალების ასლები წარედგინება იმ მაგისტრატ მოსამართლეს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ანუ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილს და არა – ზოგადად ამ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოების ადგილს.

10. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს კონკრეტულ ჩამონათვალს, თუ რა მასალები უნდა წარედგინოს სასამართლოს. როგორც მინიმუმი, სასამართლოს უნდა წარედგინოს პროკურორის, გამომძიებლის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ (გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლით გათვალისწინებული პირადი ჩხრეკის შემთხვევისა, რა დროსაც დადგენილების არსებობა აუცილებელი არ არის)

და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმი. სასამართლოს შეიძლება წარედგინოს ასევე იმ მასალების ასლები (ან სასამართლომ მოითხოვოს მათი წარდგენა), რომლებიც აუცილებელია შუამდგომლობის სრულყოფილი განხილვისა და გადაწყვეტისათვის. მაგ.: იმ პირის ჩვენება, რომლის მიმართაც ჩატარდა (რომლის ინტერესებსაც შეეხო) საგამოძიებო მოქმედება, დამსწრეთა ჩვენებები (თუ მონაწილეობდნენ), ექსპერტის დასკვნა ამოღებული ნივთმტკიცების (ნარკოტიკული საშუალების, იარაღის და ა.შ.) შესახებ (თუ უკვე გაცემულია) და სხვა.

11. მოსამართლემ აღნიშნული საკითხი უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათში.

12. მოსამართლე უფლებამოსილია, შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის (ანუ პროკურორის მოწვევის) გარეშე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 243-ე მუხლების კომენტარები).

13. თუ მოსამართლე გადაწყვეტს შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვას, იწვევს მხოლოდ პროკურორს და მისი მონაწილეობით ამოწმებს მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას. ამასთან, მოსამართლე უფლებამოსილია, განმარტების მისაცემად გამოიძახოს საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი.

14. მასალების განხილვის შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება:

– ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;

– ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის და ამ მოქმედებით მიღებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ.

15. მოსამართლის ბრძანების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების საკითხის განხილვისას სასამართლო ამოწმებს:

– არსებობდა თუ არა გადაუდებელი შემთხვევა, ანუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობა მოსამართლის ბრძანების გარეშე;

– დაცულია თუ არა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

16. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, ან საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენისას (ზოგადად, მტკიცებულების დამაგრებისას) დაშვებული ყოველგვარი დარღვევა არ იწვევს საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ და ამ მოქმედებით მიღებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას. დაუშვებლობის საფუძველი შეიძლება იყოს ისეთი ხასიათის დარღვევა, რაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად, შეუძლებელს ხდის სისხლის სამართლის საქმეზე ამ მტკიცებულების გამოყენებას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის კომენტარები).

17. სასამართლომ საკითხი უნდა შეაფასოს ორი მიმართულებით:

ა) დაცულია თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (მიმდინარეობისას);

ბ) დაცულია თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედებისა და მოპოვებული მტკიცებულებების საპროცესო დამაგრებისას (შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენისას) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

18. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სასამართლო საკითხს აფასებს წარდგენილი მასალების საფუძველზე. ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაშიც კი სასამართლო უფლებამოსილია, გამოიძახოს მხოლოდ პროკურორი და საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი. სხვა პირებს სასამართლო ვერ დაკითხავს (ვერ გამოკითხავს). უმთავრესი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც სასამართლო ამოწმებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას და მტკიცებულებების მოპოვებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვის საკითხებს, ეს არის შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმი, ანუ სასამართლო, პირველ რიგში, ამოწმებს, დაცულია თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედების საპროცესო დამაგრების შესახებ დოკუმენტის – საგამოძიებო მოქმედების ოქმის – შედგენისას. თუ სასამართლო დაადგენს, რომ არსებობდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა, დარწმუნდება, რომ საგამოძიებო მოქმედების ოქმის შესაბამისად საგამოძიებო მოქმედება ჩატარებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, ეს ქმნის საფუძველს, რომ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება კანონიერად იქნეს ცნობილი. საგამოძიებო მოქმედების ოქმში მითითებული გარემოებები სასამართლომ შეიძლება უარყოს მხოლოდ სხვა მტკიცებულებებზე მითითებით, ხოლო თუ ასეთი მტკიცებულებები სასამართლოს მიერ საკითხის განხილვის დროისათვის არ არსებობს და ამავე დროს საგამოძიებო მოქმედების ოქმისა და წარდგენილი მასალების შესაბამისად საგამოძიებო მოქმედება ჩატარებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო საგამოძიებო მოქმედებას ცნობს კანონიერად. ამასთან, თუ შემდგომში (წინასწარი გამოძიების დროს ან სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას) მოპოვებული იქნება მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტს, მტკიცებულების დაუშვებლობის საკითხს პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი გადაწყვეტენ საერთო წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის კომენტარები).

19. საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაშიც სასამართლო სხდომის ოქმი არ დგება.

მუხლი 291. შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად მოსამართლის ბრძანების გაცემის შესახებ

1. **სასამართლოში წარმოების დაწყების საფუძველია უფლებამოსილი პირის შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად მოსამართლის ბრძანების გაცემის შესახებ.**
2. **(ამოღებულია).**
3. **შუამდგომლობაში მოყვანილი უნდა იყოს მონაცემები დანაშაულის შესახებ, რომლის გამოც დასახულია შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რა მონაცემები უნდა მიიღონ ასეთი მოქმედების შედეგად, მისი ჩატარების ვადა, ადგილი, უშუალო შემსრულებელი, აგრეთვე სასამართლოს კანონიერი**

და დასაბუთებული გადაწყვეტილებისათვის საჭირო სხვა მონაცემები და, თუ ყოველივე ეს საკმარისი არ არის, მოსამართლეს უფლება აქვს მოითხოვოს მათი შევსება.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის ე.წ. „ნებართვის“ (საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ბრძანების) მისაღებად სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვთ პროკურორს, გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 233-ე, 290-ე მუხლების კომენტარები).

2. შუამდგომლობა შეიტანება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში – წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით, იმისდა მიუხედავად, სად უნდა ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედება. მაგ.: წინასწარ გამოძიებას ატარებს თბილისის პროკურატურა, ჩასატარებელია ჩხრეკა თბილისში – შუამდგომლობა ბრძანების მისაღებად შეიტანება თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამავე სისხლის სამართლის საქმეზე ჩასატარებელია ჩხრეკა ლანჩხუთში – შუამდგომლობა ბრძანების მისაღებად შეიტანება თბილისის საქალაქო სასამართლოში, მაგრამ თუ ამ სისხლის სამართლის საქმეზე ჩხრეკა ჩატარდა ლანჩხუთში მოსამართლის ბრძანების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, ამ ჩხრეკის კანონიერების შემოწმების შესახებ პროკურორი მიმართავს არა თბილისის საქალაქო სასამართლოს, არამედ – ლანჩხუთის რაიონულ სასამართლოს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 290-ე მუხლების კომენტარები).

3. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანების მისაღებად სასამართლოში შეტანილ შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს:

– სისხლის სამართლის საქმისა და იმ უწყების დასახელება, რომელიც წარმართავს წინასწარ გამოძიებას ამ სისხლის სამართლის საქმეზე;

– მონაცემები დანაშაულის შესახებ, რომლის გამოც დასახულია შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება;

– რა საგამოძიებო მოქმედებაა ჩასატარებელი;

– რა მონაცემები უნდა მიიღონ ამ საგამოძიებო მოქმედების შედეგად;

– საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა;

– საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი;

– ვინ (კონკრეტულმა პირმა ან უწყებამ) უნდა შეასრულოს უშუალოდ საგამოძიებო მოქმედება.

4. შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. მასში უნდა მიეთითოს გარემოებები, რომლებზე დაყრდნობითაც შუამდგომლობის ავტორი ითხოვს მოსამართლის ბრძანების გაცემას.

5. შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო მასალების ასლები. თუ შუამდგომლობას მასალები არ ერთვის ან არასრულად ერთვის, მოსამართლეს უფლება აქვს, მოითხოვოს მათი შევსება.

მუხლი 292. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობის განხილვის წესი

1. შუამდგომლობას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ერთპიროვნულად იხილავს მოსამართლე წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით.
2. პროკურორსა და გამომძიებელს უფლება აქვთ სასამართლო განხილვის დაწყებამდე უკან გაითხოვონ შუამდგომლობა.
3. მოსამართლეს უფლება აქვს გამოიძახოს და დაკითხოს პირები, რომელთა ჩვენებები ასაბუთებენ ან უარყოფენ შუამდგომლობას, გამოითხოვოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებები.
4. ჩხრეკის, ამოღების, ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერების შესახებ შუამდგომლობა მოსამართლემ უნდა განიხილოს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა.
5. მოსამართლე დანიშნულ დროს ხსნის სასამართლო სხდომას, აცხადებს, რომელი შუამდგომლობა განიხილება, ამოწმებს პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილებას.
6. პროკურორი და გამომძიებელი შუამდგომლობას ასაბუთებენ ზეპირად და უპასუხებენ მოსამართლისა და პროცესის სხვა მონაწილეთა შეკითხვებს.
7. თუ სხდომაში მონაწილეობს პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე მისი დამცველი და წარმომადგენელი, მათაც ეძლევათ შესაძლებლობა მისცენ განმარტებანი და ჩამოაყალიბონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებანი.
8. შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების დამთავრებისთანავე მოსამართლე თავისი ბრძანებით ნებას რთავს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, ანდა გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
9. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. შუამდგომლობას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ერთპიროვნულად იხილავს მოსამართლე წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე უფლებამოსილია, შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის (ანუ მხარეთა მოწვევისა და მათი მონაწილეობით სასამართლო სხდომის ჩატარების) გარეშე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 243-ე მუხლების კომენტარები).

2. პროკურორს, გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით უფლება აქვთ როგორც შუამდგომლობის ზეპირი განხილვისას, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე შუამდგომლობის განხილვამდე უკან გაითხოვონ შუამდგომლობა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

3. შუამდგომლობა მოსამართლემ უნდა განიხილოს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათში. ამასთან, ამ ვადაში მიღებულ უნდა იქნეს სასამართლო გადაწყვეტილებაც.

4. შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას და უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირების ინფორმირებას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

5. მოსამართლე დანიშნულ დროს ხსნის სასამართლო სხდომას, აცხადებს, რომელი შუამდგომლობა განიხილება, ამოწმებს პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილებას, არკვევს აცილების საკითხს. პროკურორი და გამომძიებელი შუამდგომლობას ასაბუთებენ ზეპირად და უპასუხებენ მოსამართლისა და პროცესის სხვა მონაწილეთა შეკითხვებს. თუ სხდომაში მონაწილეობს პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე – მისი დამცველი და წარმომადგენელი, მათაც ეძლევათ შესაძლებლობა, მისცენ განმარტებები და ჩამოაყალიბონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებები. მოსამართლეს უფლება აქვს, გამოიძახოს და დაკითხოს პირები, რომელთა ჩვენებები ასაბუთებენ ან უარყოფენ შუამდგომლობას, გამოითხოვოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

6. ზეპირი მოსმენის შემთხვევაში მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ მოსამართლე გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად.

7. შუამდგომლობის განხილვის შედეგად (მნიშვნელობა არა აქვს ზეპირი მოსმენით, თუ – მის გარეშე) მოსამართლე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

– გასცემს ბრძანებას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ (ნებას რთავს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე);

– გამოაქვს დადგენილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე (ანუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის მიცემაზე) უარის თქმის შესახებ.

8. მოსამართლის ბრძანება და დადგენილება დასაბუთებული უნდა იყოს.

მუხლი 293. მოსამართლის ბრძანება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ

1. მოსამართლის ბრძანებაში აღნიშნული უნდა იყოს მისი შედგენის თარიღი და ადგილი, მოსამართლის გვარი, თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც მას შუამდგომლობით მიმართა, განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ იმის ზუსტი მითითებით, თუ რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება იგი, ბრძანების მოქმედების ვადა, თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს ბრძანება, მოსამართლის ხელმოწერა, დამოწმებული სასამართლოს ბეჭდით.

2. **(ძალადაკარგულია).**

3. **მოსამართლის ბრძანება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ან დადგენილება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ მისი გამოცემიდან ან აღსრულებიდან 72 საათში, ხოლო დადგენილება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ – მისი გამოტანიდან 48 საათში შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 243-ე მუხლით დადგენილი წესით, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ან საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების აღსრულებას.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/6/264 – სსმ IV, 2004 წ., №52, გვ. 9; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. მოსამართლის ბრძანებაში, როგორც მინიმუმი, უნდა აღინიშნოს:

– სასამართლო, მოსამართლის გვარი;

– ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

– თანამდებობის პირი, ორგანო, რომლებმაც მას შუამდგომლობით მიმართეს;

– განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ იმის ზუსტი მითითებით, თუ რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება იგი;

– ბრძანების მოქმედების ვადა (ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის განსაზღვრული ვადა);

– თანამდებობის პირი, ორგანო, რომლებმაც უნდა შეასრულონ ბრძანება;

– მოსამართლის ხელმოწერა, დამოწმებული სასამართლოს ბეჭდით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

2. წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს 72 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში:

– ბრძანების გაცემიდან;

– ბრძანების აღსრულებიდან, ანუ შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან.

3. არ არსებობს ერთდროულად გასაჩივრების ორმაგი უფლება – თუ ბრძანება გასაჩივრდა მისი გაცემიდან 72 საათში, იგი განმეორებით, მისი აღსრულების შემდეგ ვეღარ გასაჩივრდება.

4. წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

5. გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ მოსამართლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 72 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

6. საჩივარი შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამცემ (გამომტან) სასამართლოში და მასალებთან ერთად იგზავნება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 243-ე მუხლების კომენტარები).

7. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის გაცემისთანავე და გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

თავი XXXVII
დაკითხვა

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

მუხლი 294. დაკითხვის ადგილი

მოწმეებს, დაზარალებულებს, ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულებს გამომძიებელი დაკითხავს წინასწარი გამოძიების წარმოების ან დასაკითხის ყოფნის ადგილას.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაკითხვის ადგილს იმპერატიულად არ ადგენს.

2. მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაკითხვა შესაძლებელია ჩატარდეს:

– წინასწარი გამოძიების ადგილას;

– დასაკითხის ყოფნის ადგილას.

3. წინასწარი გამოძიების ადგილას პირის დაკითხვაში იგულისხმება დაკითხვის ჩატარება საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში:

– გამომძიებლის სამუშაო კაბინეტში;

– პროკურორის სამუშაო კაბინეტში;

– სპეციალურად დაკითხვისათვის მოწყობილ ოთახში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

4. დასაკითხის ყოფნის ადგილას პირის დაკითხვაში იგულისხმება დაკითხვის ჩატარება დასაკითხი პირის:

– საცხოვრებელ ადგილზე;

– სამუშაო ადგილზე;

– სწავლის ადგილზე;

– სხვა ადგილზე.

5. თუ დასაკითხი პირი იმყოფება თავისუფლების აღკვეთის ადგილას, იგი დაიკითხება მისი მოთავსების ადგილას (სასჯელაღსრულების დაწესებულების შენობაში), ან ეს პირი გამომძიებლის, პროკურორის დავალებით დაკითხვის მიზნით მიჰყავთ საგამოძიებო ორგანოში.

მუხლი 295. გამოძახება დაკითხვაზე

1. **მოწმეს, დაზარალებულს, აგრეთვე თავისუფლებაში მყოფ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს გამომძიებელთან ან პროკურორთან იძახებენ უწყებით. უწყება იგზავნება ფოსტით ან შიკრიკის ხელით. გამოძახება შეიძლება აგრეთვე ტელეფონოგრამით, დეპეშით, რადიოგრამით, ფაქსით ან კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით.**
2. **გამოძახების შესახებ უწყებასა თუ სხვა შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს, ვინ და რისთვის, ვისთან და რა მისამართზე არის პირი გამოძახებული, გამოცხადების დღე და საათი, აგრეთვე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგები.**
3. **უწყების (შეტყობინების) ხელზე მიღება გამოძახებულმა ხელის მოწერით უნდა დაადასტუროს. თუ გამოძახებული ადგილზე არ იმყოფება, უწყება (შეტყობინება) მისთვის გადასაცემად ხელმოწერით უნდა ჩაჰბარდეს მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელს.**
4. **პირებს, რომლებიც საგამოძიებო ან დროებითი ყოფნის იზოლატორში, მიმღებგამანაწილებელში, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ან აღმზრდელობით კოლონიაში იმყოფებიან, იძახებენ ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციის მეშვეობით.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. მოწმეს, დაზარალებულს, თავისუფლებაში მყოფ ეჭვმიტანილს, თავისუფლებაში მყოფ ბრალდებულს გამომძიებელთან, პროკურორთან იძახებენ:

– უწყებით (უწყება იგზავნება ფოსტით ან სხვა საშუალებით);

– ტელეფონოგრამით;

– დეპეშით;

– რადიოგრამით;

– ფაქსით;

– კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით.

2. გამოძახების შესახებ უწყებასა თუ სხვა შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს:

– გამოძახებული პირის მონაცემები;

– გამომძახებელი პირის (გამომძიებლის, პროკურორის) სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი (უწყების დასახელება);

– გამოძახებული პირის სტატუსი (გამოძახებულია მოწმედ, დაზარალებულად და ა.შ.);

– იმ ორგანოს მისამართი, სადაც პირია გამოძახებული;

– გამოცხადების დღე და საათი;

– არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგები (ანუ პასუხისმგებლობა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისათვის).

3. უწყების (შეტყობინების) ხელზე მიღება გამოძახებულმა ხელის მოწერით უნდა დაადასტუროს.

4. თუ გამოძახებულ პირს უწყება პირადად ვერ ჩაჰბარდა ადგილზე არყოფნის გამო, უწყება (შეტყობინება) მისთვის გადასაცემად ხელმოწერით უნდა ჩაჰბარდეს მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელს.

5. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსებულ პირს დაკითხვაზე იძახებენ ამ დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით.

მუხლი 296. დასაკითხის პიროვნების დადგენა

გამომძიებელმა დაკითხვის წინ დასაკითხს უნდა გამოჰკითხოს სახელი და გვარი, დაბადების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი) და ადგილი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები, თანამდებობა, სარგებლობს თუ არა იმუნიტეტით, არის თუ არა ნასამართლევი, და ეს მონაცემები შეუდაროს დასაკითხის პირად დოკუმენტებში არსებულ მონაცემებს ან სხვაგვარად დარწმუნდეს მის ვინაობაში.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს დასაკითხი პირის:
– სახელი, გვარი;
– დაბადების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი);
– დაბადების ადგილი;
– საცხოვრებელი ადგილი;
– სამუშაო ადგილი;
– თანამდებობა;
– სარგებლობს თუ არა იმუნიტეტით;
– არის თუ არა ნასამართლევი.

2. დასაკითხი პირის მიერ მითითებული ზემოაღნიშნული მონაცემები გამომძიებელმა უნდა შეადაროს მის პირად დოკუმენტებში არსებულ მონაცემებთან ან სხვაგვარად დარწმუნდეს მის ვინაობაში, ანუ გამომძიებელმა უნდა მოახდინოს პირის იდენტიფიცირება.

3. „პირად დოკუმენტებში“ იგულისხმება ნებისმიერი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება.

4. დასაკითხი პირის ვინაობაში „სხვაგვარად დარწმუნებაში“ იგულისხმება, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც პირს არ გააჩნია დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება მისი ვინაობის იდენტიფიცირება, მაგრამ მის ვინაობას ადასტურებენ სხვა პირები.

5. თუ დასაკითხ პირს თან არა აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამასთან, დაკითხვის დაუყოვნებლივ ჩატარება აუცილებელია (მაგ.: პოლიციაში გამოცხადდა დაზარალებული, განაცხადა ძარცვის შესახებ, მაგრამ თან არა აქვს რაიმე დო-

კუმენტი), გამომძიებელი დაკითხავს ამ პირს იმ მონაცემებით (იმ სახელით, გვარით და ა.შ.), რომლებზეც იგი მიუთითებს და დაუყოვნებლივ იღებს ზომებს დაკითხული პირის ვინაობაში დასარწმუნებლად (პირის პირადი დოკუმენტის მოძიების (წარმოდგენის) გზით ან სხვა საშუალებით).

მუხლი 297. ენა, რომელზედაც ტარდება დაკითხვა

დამკითხავმა უნდა დაადგინოს, იცის თუ არა დასაკითხმა სამართალწარმოების ენა, ან რომელ ენაზე შეუძლია და სურს ჩვენებების მიცემა. მე-100 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში იძახებენ თარჯიმანს, რომლის მოსვლამდეც დაკითხვა უნდა გადაიდოს.

1. პროცესის ენის არმცოდნის დაკითხვაში თარჯიმნის მონაწილეობა სავალდებულოა.

2. დამკითხავმა თანამდებობის პირმა დაკითხვის დაწყებამდე უნდა დაადგინოს, იცის თუ არა დასაკითხმა პირმა პროცესის ენა.

3. პროცესის ენის ცოდნაში იგულისხმება პროცესის ენაზე საუბრის, სხვისი საუბრის გაგების, წერა-კითხვის შესაძლებლობა.

4. თუ დასაკითხი პირი განაცხადებს, რომ იცის პროცესის ენა, მაგრამ გამომძიებელი (დაკითხვის მწარმოებელი პირი) დასაკითხთან საუბრით ან დაკითხვის პროცესში დარწმუნდება, რომ დასაკითხმა პირმა სათანადოდ არ იცის პროცესის ენა, თარჯიმანი მოწვეული უნდა იქნეს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის კომენტარები).

5. გამომძიებელი (დაკითხვის მწარმოებელი პირი) არკვევს, რომელ ენაზე შეუძლია და სურს პირს ჩვენების მიცემა.

6. თარჯიმნის მოსვლამდე დაკითხვა უნდა გადაიდოს.

მუხლი 298. საქმის გარემოებათა შესახებ თავისუფალი თხრობა და კითხვების დასმა

1. **დასაკითხ პირს უნდა განემარტოს, რა საქმეზეა გამოძახებული, და წინადადება მიეცეს მოჰყვეს, რა იცის საქმის გარემოებათა შესახებ. თავისუფალი თხრობის შეწყვეტა დაუშვებელია, მაგრამ, თუ დასაკითხი ლაპარაკობს გარემოებებზე, რომლებიც აშკარად არ ეხება საქმეს, გამომძიებელს შეუძლია მისი შეჩერება.**
2. **თავისუფალი თხრობის შემდეგ დასაკითხ პირს მისი ჩვენების შევსებისა და დაზუსტების მიზნით შეიძლება დაუსვან კითხვები.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. დაკითხვის დაწყებამდე დასაკითხ პირს უნდა განემარტოს:

– რა სისხლის სამართლის საქმეზეა გამოძახებული;

– რა საპროცესო სტატუსი აქვს მას (მოწმე, დაზარალებული და ა.შ.);

– უფლება-მოვალეობები;

– პასუხისმგებლობა მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის.

2. დასაკითხ პირს უნდა მიეცეს წინადადება, მოჰყვეს, რა იცის სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ.

3. თავისუფალი თხრობის შეწყვეტა დაუშვებელია, მაგრამ თუ დასაკითხი პირი ლაპარაკობს გარემოებებზე, რომლებიც აშკარად არ ეხება სისხლის სამართლის საქმეს, გამომძიებელს შეუძლია მისი შეჩერება.

4. თავისუფალი თხრობის შემდეგ დასაკითხ პირს შეიძლება, დაუსვან შეკითხვები მისი ჩვენების:

– შევსების მიზნით;

– დაზუსტების მიზნით.

მუხლი 299. მისახვედრი კითხვების დასმის დაუშვებლობა

მისახვედრია კითხვები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიანიშნებენ მოსალოდნელ პასუხს. მისახვედრი კითხვების დასმა დაუშვებელია.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. დასაკითხი პირისათვის მისახვედრი კითხვების დასმა დაუშვებელია.

2. მისახვედრი კითხვის დასმის უფლება არა აქვს როგორც დაკითხვის მწარმოებელ პირს, ასევე – დაკითხვაში მონაწილე სხვა პირს (მაგ.: დამცველს).

3. მისახვედრია კითხვა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიანიშნებს მოსალოდნელ პასუხს.

მუხლი 300. დასაკითხის მიერ დოკუმენტებისა და სხვა ჩანაწერების გამოყენება

1. **დაკითხვის დროს დასაკითხ პირს შეუძლია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ან საქმეზე დართული დოკუმენტები, ანდა სხვა ჩანაწერები.**
2. **გამომძიებელს და პროკურორს შეუძლიათ დასაკითხ პირს მოსთხოვონ დოკუმენტები და სხვა ჩანაწერები, რომლებსაც ისინი იყენებდნენ დაკითხვისას, ხოლო შემოწმების შემდეგ დაუბრუნონ ან დაურთონ საქმეს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ჩვენების მიცემის (დაკითხვის) დროს დასაკითხ პირს შეუძლია, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ან სისხლის სამართლის საქმეზე დართული:

– დოკუმენტი;

– სხვა ჩანაწერი.

2. გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ დასაკითხ პირს მოსთხოვონ დოკუმენტი, სხვა ჩანაწერი, რომელსაც ის იყენებდა დაკითხვისას.

3. თუ პირის მიერ ჩვენების მიცემისას გამოყენებულ დოკუმენტს, სხვა ჩანაწერს შეიძლება სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობა ჰქონდეს, ის უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო სხვა შემთხვევაში – შემოწმების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს პირს.

მუხლი 301. დასაკითხისათვის საგნებისა და დოკუმენტების წარდგენა

1. **დაკითხვისას გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს შეუძლიათ დასაკითხს წარუდგინონ საქმეზე დართული საგნები და დოკუმენტები.**
2. **დაკითხვის ოქმში უნდა აღინიშნოს, რა საგანი ან დოკუმენტი წარედგინა დასაკითხს, მათი აღწერილობა, რა კითხვები ახლდა წარდგენას და რა განმარტება მისცა ამასთან დაკავშირებით დასაკითხმა.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. დაკითხვისას გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს შეუძლიათ დასაკითხ პირს წარუდგინონ სისხლის სამართლის საქმეზე დართული საგნები, დოკუმენტები.

2. თუ დასაკითხ პირს საგანი უნდა წარედგინოს მისი ამოცნობის მიზნით, წინასწარი გამოძიების ეტაპზე ეს უნდა განხორციელდეს არა დაკითხვისას, არამედ ცალკე საგამოძიებო მოქმედების – საგნის ამოსაცნობად წარდგენის – ჩატარების გზით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 348-ე, 349-ე მუხლების კომენტარები).

3. დაკითხვის ოქმში უნდა აღინიშნოს:

– რა საგანი, დოკუმენტი წარედგინა დასაკითხ პირს;

– საგნის აღწერილობა;

– რა კითხვები ახლდა საგნის, დოკუმენტის წარდგენას;

– რა განმარტება მისცა დასაკითხმა პირმა აღნიშნულზე.

მუხლი 302. დაკითხვის ხანგრძლივობა

დაკითხვა 4 საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს. დაშვებულია დღის განმავლობაში პირის რამდენჯერმე დაკითხვა დასასვენებლად არანაკლებ ერთსაათიანი პაუზებით. ამასთან, დაკითხვის საერთო ხანგრძლივობა დღის განმავლობაში 8 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

1. დაკითხვის საერთო ხანგრძლივობა დღის განმავლობაში 8 საათს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან, დაკითხვა შესვენების გარეშე 4 საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს.

2. შესაძლებელია, პირი შეუსვენებლად იკითხებოდეს 4 საათის განმავლობაში, გამოცხადდეს არანაკლებ ერთსაათიანი შესვენება, რის შემდეგაც შეიძლება კვლავ გაგრძელდეს დაკითხვა, რომლის ხანგრძლივობამაც არ უნდა გადააჭარბოს 4 საათს. თუ დაკითხვა ერთ დღეში ვერ დამთავრდა, იგი შეიძლება გაგრძელდეს მეორე დღეს (სხვა დროს) იმავე წესების დაცვით.

3. განსხვავებული წესია დადგენილი არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკითხვასთან დაკავშირებით, კერძოდ: არასრულწლოვანი ეჭვმიტანილი, ბრალდებული შესაძლებელია, შეუსვენებლად იკითხებოდეს 2 საათის განმავლობაში, გამოცხადდეს შესვენება, რის შემდეგაც შეიძლება კვლავ გაგრძელდეს დაკითხვა, რომლის ხანგრძლივობამაც არ უნდა გადააჭარბოს 2 საათს. თუ დაკითხვა ერთ დღეში ვერ დამთავრდა, იგი შეიძლება გაგრძელდეს მეორე დღეს (სხვა დროს) იმავე წესების დაცვით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საროცესო კოდექსის 647-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 303. დაკითხვის მიმდინარეობისა და შედეგების დაფიქსირება

1. **დაკითხვის მიმდინარეობა და შედეგები ფიქსირდება დაკითხვის ოქმში.**
2. **დაკითხვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე გამოსახულების ან/და ხმის ჩაწერის შესაბამისი ტექნიკური საშუალება. დაკითხვა ყოველთვის უნდა ჩაიწეროს ამგვარი ტექნიკური საშუალებით, თუ დასაკითხი პირი შუამდგომლობს დაკითხვის ჩაწერაზე და ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფს ჩაწერას.**
3. **ჩვენება ოქმში უნდა ჩაიწეროს პირველ პირში, შეძლებისდაგვარად სიტყვა-სიტყვით. კითხვა-პასუხი ფიქსირდება ისეთივე თანამიმდევრობით, როგორც დაკითხვისას. ოქმში შეტანილ უნდა იქნეს ის შეკითხვაც, რომელიც განარიდა გამომძიებელმა ან პროკურორმა, აგრეთვე შეკითხვა, რომლის პასუხის გაცემაზედაც უარი თქვა დასაკითხმა.**
4. **ოქმში თანამიმდევრულად უნდა დაფიქსირდეს დაკითხვისას ჩატარებული ყველა მოქმედება. დაკითხვის ტექნიკური საშუალებებით ჩანაწერი ერთვის დაკითხვის ოქმს.**
5. **დაკითხვის დამთავრებისთანავე ოქმი წასაკითხად წარედგინება დაკითხულს, ან მისი თხოვნით ოქმს წაუკითხავს გამომძიებელი ან პროკურორი.**
6. **დაკითხულის მოთხოვნა ოქმში შესწორებისა და დამატების შეტანის თაობაზე აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს.**
7. **დასაკითხს უფლება აქვს თვითონ დაწეროს ჩვენება.**
8. **ოქმის წაკითხვის შემდეგ დასაკითხი ხელმოწერით ადასტურებს ჩვენების ჩანაწერის სისწორეს, ხელს აწერს ოქმის ბოლოს, ხოლო თუ ჩვენება რამდენიმე გვერდზეა, ხელს აწერს თითოეულ გვერდს.**

9. თუ დაკითხვაში მონაწილეობს თარჯიმანი, იგი ზეპირად უთარგმნის დასაკითხს მისი ჩვენების ჩანაწერს, ხოლო წერილობით – მისი ხელით დაწერილ ჩვენებას. თარჯიმანი ხელს აწერს ჩვენების ჩანაწერს ოქმის ბოლოს და მის თითოეულ გვერდს ცალ-ცალკე, აგრეთვე დასაკითხის ხელით დაწერილი ჩვენების თარგმანს.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. დაკითხვის მიმდინარეობა და შედეგები ფიქსირდება დაკითხვის ოქმში.

2. ჩვენებას ოქმში აფიქსირებს გამომძიებელი (დაკითხვის მწარმოებელი პირი). ამასთან, დასაკითხ პირს უფლება აქვს, თვითონ დაწეროს ჩვენება.

3. დაკითხვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე გამოსახულების ან/და ხმის ჩაწერის შესაბამისი ტექნიკური საშუალება, ანუ პირის ჩვენება ყველა შემთხვევაში უნდა დაფიქსირდეს წერილობით – დაკითხვის ოქმში, ამასთან, პარალელურად შეიძლება მოხდეს ჩვენების აუდიო-, ვოდეოჩაწერაც. დაკითხვის ტექნიკური საშუალებებით ჩანაწერი უნდა დაერთოს დაკითხვის ოქმს (სისხლის სამართლის საქმეს). ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ დასაკითხი პირი წინასწარ უნდა გაფრთხილდეს. დაკითხვის ოქმში უნდა მიეთითოს, რომ გამოყენებული იყო ტექნიკური საშუალებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 304ე მუხლის კომენტარები).

4. დაკითხვა ყოველთვის უნდა ჩაიწეროს ტექნიკური საშუალებით, თუ დასაკითხი პირი შუამდგომლობს დაკითხვის ჩაწერაზე და თავად წარადგენს ტექნიკურ საშუალებებს ჩაწერის განსახორციელებლად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 304-ე მუხლის კომენტარები).

5. დაკითხვის ოქმში თანამიმდევრულად უნდა დაფიქსირდეს დაკითხვისას ჩატარებული ყველა მოქმედება. ჩვენება დაკითხვის ოქმში უნდა ჩაიწეროს პირველ პირში, შეძლებისდაგვარად – სიტყვასიტყვით. კითხვა-პასუხი უნდა დაფიქსირდეს ისეთივე თანამიმდევრობით, როგორც – დაკითხვისას. ამასთან, დაკითხვის ოქმში უნდა შევიდეს ის შეკითხვაც, რომელიც განარიდეს გამომძიებელმა, პროკურორმა, აგრეთვე ის შეკითხვა, რომლის პასუხის გაცემაზეც დასაკითხმა პირმა უარი თქვა.

6. დაკითხვის დამთავრების შემდეგ დაკითხულ პირს უფლება აქვს:

– ან პირადად წაიკითხოს დაკითხვის ოქმი;

– ან ოქმის წაკითხვა სთხოვოს გამომძიებელს, პროკურორს.

7. დაკითხვის ოქმის გაცნობის შემდეგ დაკითხულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს დაკითხვის ოქმში შესწორებისა და დამატების შეტანა, რაც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს.

8. დაკითხულმა პირმა ხელი უნდა მოაწეროს დაკითხვის ოქმის თითოეულ გვერდს. ოქმის ბოლოს დაკითხული პირი თავისი ხელით ან გამომძიებელი აფიქსირებს, რომ პირი გაეცნო დაკითხვის ოქმს (წაიკითხა პირადად ან წაუკითხეს), ჩვენება დაფიქსირებულია სრულად, მისი სიტყვებით და რაიმე შენიშვნა ან დამატება არ გააჩნია, რასაც ხელის მოწერით ადასტურებს დაკითხული პირი. ოქმის ბოლოს ხელს აწერს გამომძიებელი (დაკითხვის მწარმოებელი პირი).

9. თუ დასაკითხმა პირმა არ იცის პროცესის ენა და დაკითხვაში მონაწილეობს თარჯიმანი, მან დაკითხვის მიმდინარეობისას ზეპირად, სინქრონულად უნდა თარგმნოს დასაკითხი პირის ჩვენება, რომელსაც გამომძიებელი აფიქსირებს ოქმში, ასევე მისთვის გასაგებ ენაზე დასაკითხ პირს უნდა უთარგმნოს დასმული შეკითხვები.

10. თუ დასაკითხმა პირმა ჩვენება თვითონ დაწერა არა იმ ენაზე, რომელზეც მიმდინარეობს პროცესი, თარჯიმანმა წერილობით უნდა თარგმნოს დასაკითხი პირის მიერ დაწერილი ჩვენება.

11. თარჯიმანი ხელს აწერს ჩვენების ჩანაწერს დაკითხვის ოქმის ბოლოს და მის თითოეულ გვერდს ცალ-ცალკე, აგრეთვე – დასაკითხი პირის ხელით დაწერილ ჩვენების თარგმანს.

მუხლი 304. ხმის ჩაწერის გამოყენება დაკითხვისას

1. **ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, მოწმის ან დაზარალებულის დაკითხვისას შეიძლება ხმის ჩაწერა.**
2. **გამომძიებელი გადაწყვეტილებას იღებს ხმის ჩაწერის შესახებ და ამის თაობაზე დასაკითხს აცნობებს დაკითხვის დაწყებამდე.**
3. **ხმის ჩანაწერი უნდა ასახავდეს დაკითხვის მთელ მიმდინარეობას. დაკითხვის ნაწილის ჩაწერა, აგრეთვე იმავე დაკითხვისას მიცემული ჩვენების გამეორება სპეციალურად ჩაწერისათვის დაუშვებელია.**
4. **დაკითხვის დამთავრებისთანავე ხმის ჩანაწერი მთლიანად უნდა მოასმენინონ დასაკითხს და ჰკითხონ, სურს თუ არა რაიმე დაუმატოს ან დააზუსტოს და ადასტურებს თუ არა ჩანაწერის სისწორეს. ხმის ჩაწერის შემდეგ დასაკითხის დამატებითი ჩვენებაც ფირზე იწერება.**
5. **ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის შუამდგომლობით მისი ჩვენება შეიძლება ჩაწერილ იქნეს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური საშუალებებით.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. დაკითხვისას შეიძლება განხორციელდეს ხმის ჩაწერა.

2. გადაწყვეტილებას ხმის ჩაწერის შესახებ იღებს გამომძიებელი. „გადაწყვეტილების მიღებაში“ არ იგულისხმება საპროცესო გადაწყვეტილების – დადგენილების გამოტანა. თუ გამომძიებელი გადაწყვეტს ხმის ჩაწერას, ეს უნდა აისახოს დაკითხვის ოქმში.

3. ხმის ჩაწერის თაობაზე დასაკითხ პირს უნდა აცნობონ დაკითხვის დაწყებამდე. ამასთან, ჩაწერის განხორციელებისათვის საჭირო არ არის დასაკითხი პირის თანხმობა, რადგან ხმის ჩაწერა შეიძლება განხორციელდეს მისი ნების საწინააღმდეგოდაც.

4. ხმის ჩანაწერი უნდა ასახავდეს დაკითხვის მთელ მიმდინარეობას. დაკითხვის ნაწილის ჩაწერა, აგრეთვე სპეციალურად ჩაწერისათვის იმავე დაკითხვისას მიცემული ჩვენების გამეორება დაუშვებელია.

5. დაკითხვის დამთავრებისთანავე ხმის ჩანაწერი მთლიანად უნდა მოასმენინონ დაკითხულ პირს და ჰკითხონ, სურს თუ არა რაიმე დაუმატოს ან დააზუსტოს, ამასთან, ადასტურებს თუ არა ჩანაწერის სისწორეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხმის ჩაწერის შემდეგ დასაკითხი პირის დამატებითი ჩვენებაც ფირზე იწერება.

6. შეიძლება გამომძიებელს (დაკითხვის მწარმოებელ პირს) საჭიროდ არ მიაჩნდეს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენების ტექნიკური საშუალებით ჩაწერა, მაგრამ თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული შუამდგომლობენ თავიანთი ჩვენების ჩაწერის შესახებ და წარადგენენ ტექნიკურ საშუალებას (უზრუნველყოფენ ჩაწერას), ჩვენება უნდა ჩაიწეროს ტექნიკური საშუალებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 305. მოწმის დაკითხვა

1. **მოწმის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ იმ გარემოების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, აგრეთვე ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და დაზარალებულის ვინაობის დასადგენად.**
2. **მოწმე უნდა დაიკითხოს სხვა მოწმეთაგან განცალკევებით. ამასთან, გამომძიებელი იღებს ზომებს, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს არ ჰქონდეთ ურთიერთობა დაკითხვის დამთავრებამდე.**
3. **დაკითხვამდე გამომძიებელმა უნდა დაადგინოს მოწმის ვინაობა, აუხსნას, რა საქმეზეა გამოძახებული, და გააფრთხილოს, რომ ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც იცის ამ საქმესთან დაკავშირებით, აგრეთვე უნდა გააფრთხილოს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. მოწმეს უნდა განუმარტონ, რომ იგი ვალდებული არ არის მისცეს დანაშაულის ჩადენაში თავისი ან ახლო ნათესავების მამხილებელი ჩვენება. გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს მოწმის დამოკიდებულება ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და დაზარალებულის მიმართ.**
4. **დაკითხვის დაწყებისთანავე მოწმეს უნდა შესთავაზონ თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმის შესახებ, რის შემდეგაც შეიძლება მას დაუსვან კითხვები.**
5. **მოწმის თხოვნით დაკითხვას ესწრება მისი ადვოკატი. ადვოკატის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას.**
6. **მხარის შუამდგომლობით და მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს. მოწმის იდენტიფიკაცია ხდება დაკითხვის ადგილას შესაბამისი სასამართლოს მიერ.**

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონი №980 – სსმ I, 2001 წ., №22, მუხლი 85; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. გამომძიებელმა უნდა დაადგინოს იმ პირთა წრე, ვინც შეიძლება, ფლობდეს გარკვეულ ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ.

2. მოწმის დაკითხვა შეიძლება მტკიცების საგნისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ, აგრეთვე – ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის ვინაობის დასადგენად.

3. გამომძიებელი იღებს ზომებს, რათა ერთ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ.

4. მოწმე უნდა დაიკითხოს სხვა მოწმისაგან განცალკევებით.

5. დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელმა უნდა დაადგინოს მოწმის ვინაობა, ამასთან, აუხსნას, რა სისხლის სამართლის საქმეზეა გამოძახებული და გააფრთხილოს, რომ ვალდებულია, თქვას ყველაფერი, რაც იცის ამ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

6. გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს მოწმის დამოკიდებულება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის მიმართ, კერძოდ:

– ხომ არ არის მათ შორის ნათესაური კავშირი;

– ხომ არ არის მათ შორის მეგობრული კავშირი;

– ხომ არ არის მათ შორის სხვაგვარი კავშირი;

– ხომ არ არის მათ შორის რაიმე კონფლიქტი;

– ხომ არ გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ პირადი ინტერესი, რამაც შეიძლება, გავლენა მოახდინოს ჩვენების შინაარსზე და ა.შ.

7. მოწმეს უნდა განუმარტონ, რომ იგი ვალდებული არ არის, მისცეს დანაშაულის ჩადენაში პირადი ან თავისი ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება.

8. მოწმეს უნდა განუმარტონ, რომ უფლებამოსილია, ჩვენების მიცემის დროს ჰყავდეს (მოიწვიოს) ადვოკატი. ამასთან, ადვოკატის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საგამომძიებო მოქმედების ჩატარებას.

9. მოწმე ხელწერილის ჩამორთმევით ან სხვა ფორმით (ოღონდ წერილობით) უნდა გააფრთხილონ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, ცრუ ჩვენებისა და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

10. დაკითხვის დაწყებისთანავე მოწმეს უნდა შესთავაზონ, თქვას ყველაფერი, რაც იცის სისხლის სამართლის საქმის შესახებ.

11. მოწმე ჩვენებას აფიქსირებს საკუთარი ხელით, ან მისი თხოვნით (თანხმობით) ჩვენებას წერს გამომძიებელი. ჩვენების ჩამოყალიბების შემდეგ მოწმეს შეიძლება დაუსვან კითხვები.

12. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მხარის შუამდგომლობითა და მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს. ამასთან, მოწმის იდენტიფიკაციას დაკითხვის ადგილას ახდენს შესაბამისი სასამართლო.

მუხლი 306. არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა

1. **არასრულწლოვანი მოწმე შეიძლება დაიკითხოს იმ პირობით, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით წარმოადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ცნობები.**
2. **არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა ტარდება არასრულწლოვანი მოწმის პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით. 7 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ მშობლის ან მისი არარსებობისას მეურვის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.**
3. **დაკითხვის დაწყებამდე ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ პირებს უნდა განემარტოთ, რომ უფლება აქვთ დაესწრონ დაკითხვას, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და, გამომძიებლის ნებართვით, დასვან შეკითხვები. გამომძიებელს უფლება აქვს განარიდოს კითხვები, რომლებიც საქმეს არ ეხება ან მისახვედრია, მაგრამ ისინი ოქმში უნდა იქნეს შეტანილი.**
4. **14 წლამდე ასაკის მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2454 – სსმ I, 2003 წ., №21, მუხლი 148)

1. არასრულწლოვანი მოწმე შეიძლება დაიკითხოს იმ შემთხვევაში, თუ მას ასაკის, ფსიქიკური მდგომარეობის, უნარ-ჩვევებისა და სხვა თვისებების ერთობლიობით შეუძლია, სიტყვიერად ან სხვა ფორმით მიაწოდოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ცნობები.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის არასრულწლოვნად ითვლება პირი 18 წლის ასაკის მიღწევამდე. ამასთან, განსხვავებული პროცედურებია დადგენილი 7 წლამდე, 7-დან 14 წლამდე და 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვისათვის.

3. 7 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ მშობლის ან მისი არარსებობის შემთხვევაში – მეურვის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

4. 14 წლამდე ასაკის მოწმეს უნდა განუმარტონ მოვალეობა, ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე, მაგრამ მას არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, ცრუ ჩვენებისა და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

5. არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა ტარდება არასრულწლოვანი მოწმის პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით.

6. არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დაწყებამდე კანონიერ წარმომადგენელს, პედაგოგს უნდა განემარტოს, რომ უფლება აქვს, დაესწროს დაკითხვას, გამოთქვას

თავისი მოსაზრებები და დასვას შეკითხვები (ეს უკანასკნელი – მხოლოდ გამომძიებლის თანხმობის არსებობის შემთხვევაში).

7. გამომძიებელს უფლება აქვს, განარიდოს კითხვები, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეს არ ეხება ან მისახვედრია, მაგრამ ისინი დაკითხვის ოქმში უნდა იქნეს შეტანილი.

მუხლი 307. ყრუ-მუნჯი და მძიმედ დაავადებული მოწმის დაკითხვა

1. **ყრუ-მუნჯი მოწმის დაკითხვა ტარდება იმ პირის მონაწილეობით, რომელიც იგებს მის ნიშნებს და შეუძლია მისთვის იმავე ნიშნებით აზრის გაგებინება. დაკითხვაში ასეთი პირის მონაწილეობა ოქმში უნდა აისახოს.**
2. **მძიმე ავადმყოფი მოწმის დაკითხვა ყველა შემთხვევაში ტარდება ექიმის წერილობითი ნებართვით, ხოლო თუ ამას აუცილებლად მიიჩნევს ექიმი – მისი თანდასწრებით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. ყრუ-მუნჯი მოწმის დაკითხვაზე მიწვეულ უნდა იქნეს პირი, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები. ამ პირის მიწვევა და დაკითხვაში მონაწილეობა მოწესრიგებულია იმავე წესებით, რაც დადგენილია თარჯიმნისათვის (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის კომენტარები).

2. დაკითხვაში ყრუ-მუნჯთა ნიშნების მცოდნე პირის მონაწილეობა უნდა აისახოს დაკითხვის ოქმში.

3. მძიმე ავადმყოფი მოწმის დაკითხვისათვის ყველა შემთხვევაში საჭიროა ექიმის წერილობითი ნებართვა.

4. მძიმე ავადმყოფი მოწმის დაკითხვას აუცილებლად უნდა დაესწროს ექიმი, თუ ამას იგი აუცილებლად მიიჩნევს.

მუხლი 308. მოწმის დაკითხვის ოქმი

1. **მოწმის დაკითხვის შესახებ დგება ოქმი. მასში უნდა აისახოს დამკითხველი პირის თანამდებობა და გვარი, მოწმის სახელი და გვარი, ასაკი, მოქალაქეობა, განათლება, სამუშაო ადგილი, საქმიანობა ან თანამდებობა, საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე მისი ურთიერთობა ეჭვმიტანილთან, ბრალდებულსა თუ დაზარალებულთან. ოქმში უნდა აისახოს, რომ მოწმეს განუმარტეს მისი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა.**
2. **მოწმის ჩვენება და დასმულ კითხვაზე პასუხი გადმოცემული უნდა იყოს პირველ პირში, შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვით.**
3. **მოწმე ჩვენებას იძლევა იმ ენაზე, რომელიც იცის. თუ მოწმემ არ იცის სამართალწარმოების ენა, დაკითხვა ხდება თარჯიმნის მონაწილეობით.**

4. **მოწმეს უფლება აქვს ჩვენება დაწეროს საკუთარი ხელით, რის შემდეგაც მას შეიძლება დაუსვან კითხვები.**
5. **დაკითხვის დამთავრებისთანავე მოწმეს უნდა გააცნონ ოქმი; მასში უნდა შეიტანონ დამატება-შესწორებანი, თუ ასეთები არსებობს.**
6. **ოქმს ხელი უნდა მოაწერონ მოწმემ და გამომძიებელმა, აგრეთვე დაკითხვაში მონაწილე სხვა პირებმა. ამასთან, მოწმე ხელს აწერს ოქმის თითოეულ გვერდს.**
7. **თუ მოწმე უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს ამის მიზეზი, გააკეთოს შესაბამისი მინაწერი დაკითხვის ოქმის ბოლოს და დაამოწმოს ოქმი თავისი ხელმოწერით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. მოწმის დაკითხვის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც უნდა აღინიშნოს:
– დამკითხველი პირის თანამდებობა, გვარი, სახელი;
– მოწმის სახელი, გვარი;
– მოწმის ასაკი;
– მოწმის მოქალაქეობა;
– მოწმის განათლება;
– მოწმის სამუშაო ადგილი, საქმიანობა, თანამდებობა;
– მოწმის საცხოვრებელი ადგილი;
– მოწმის ურთიერთობა ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან, დაზარალებულთან;
– მითითება მოწმისათვის უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განმარტების შესახებ.

2. დაკითხის ოქმს ადგენს (მოწმის ჩვენება დაკითხვის ოქმში შეაქვს) გამომძიებელი (დაკითხვის მწარმოებელი პირი). ამასთან, მოწმე უფლებამოსილია, ჩვენება დაწეროს თავისი ხელით.

3. მოწმის ჩვენება და დასმულ კითხვაზე პასუხი უნდა გადმოიცეს პირველ პირში, შეძლებისდაგვარად – სიტყვასიტყვით.

4. მოწმე ჩვენებას იძლევა იმ ენაზე, რომელიც იცის. თუ მოწმემ არ იცის პროცესის ენა, დაკითხვა ხდება თარჯიმნის მონაწილეობით. თუ მოწმე ჩვენებას იძლევა ზეპირად და არა იმ ენაზე, რომელზეც პროცესი მიმდინარეობს, მისი ჩვენება გამომძიებელს ოქმში შეაქვს პროცესის ენაზე ისე, როგორც თარგმნის თარჯიმანი. თუ მოწმე თავისი ხელით წერს ჩვენებას არა იმ ენაზე, რომელზეც პროცესი მიმდინარეობს, თარჯიმანი მის ჩვენებას თარგმნის წერილობით.

5. ჩვენების ზეპირად ან თავისი ხელით წერილობით ჩამოყალიბების შემდეგ მოწმეს შეიძლება დაუსვან კითხვები. დაკითხვის ოქმში შეიტანება როგორც პასუხი, ასევე – შეკითხვა, მათ შორის, ის შეკითხვაც, რომელიც გამომძიებელმა განარიდა, ან რომელზეც მოწმემ პასუხი არ გასცა.

6. დაკითხვის დამთავრებისთანავე მოწმეს უნდა გააცნონ დაკითხვის ოქმი. ამასთან, დაკითხვის ოქმში აუცილებლად უნდა შეიტანონ ის დამატება-შესწორებები, რასაც მოწმე ითხოვს.

7. დაკითხვის ოქმს ხელი უნდა მოაწერონ მოწმემ და გამომძიებელმა, აგრეთვე – დაკითხვაში მონაწილე სხვა პირებმა. ამასთან, მოწმე ხელს აწერს დაკითხვის ოქმის თითოეულ გვერდს, ხოლო დაკითხვის ოქმის ბოლოს მოწმე ან გამომძიებელი აკეთებენ ჩანაწერს, რომ მოწმე გაეცნო პირადად, ან გააცნეს ოქმის შინაარსი, იგი ჩაწერილია სრულად, მისი სიტყვებით, რასაც მოწმე ადასტურებს ხელის მოწერით.

8. თუ მოწმე უარს ამბობს დაკითხვის ოქმზე ხელის მოწერაზე, გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს ამის მიზეზი, გააკეთოს შესაბამისი მინაწერი დაკითხვის ოქმის ბოლოს და დაამოწმოს თავისი ხელის მოწერით. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლით დადგენილი წესი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 309. დაზარალებულის დაკითხვა

1. **დაზარალებულის დაკითხვა ტარდება მოწმის დაკითხვისათვის დადგენილი წესით.**
2. **16 წლამდე ასაკის, აგრეთვე ფსიქიკური და ფიზიკური ნაკლის მქონე დაზარალებულის დაკითხვა ტარდება მისი წარმომადგენლის მონაწილეობით.**

1. დაზარალებულის დაკითხვა შეიძლება მტკიცების საგნისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ, აგრეთვე – ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ვინაობის დასადგენად.

2. გამომძიებელი იღებს ზომებს, რათა ერთ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძახებულ დაზარალებულებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ.

3. დაზარალებული უნდა დაიკითხოს სხვა დაზარალებულისაგან განცალკევებით.

4. დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელმა უნდა დაადგინოს დაზარალებულის ვინაობა, ამასთან, აუხსნას, რა სისხლის სამართლის საქმეზეა გამოძახებული და გააფრთხილოს, რომ ვალდებულია, თქვას ყველაფერი, რაც იცის ამ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

5. გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს დაზარალებულის დამოკიდებულება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მიმართ, კერძოდ:

- ხომ არ არის მათ შორის ნათესაური კავშირი;
- ხომ არ არის მათ შორის მეგობრული კავშირი;
- ხომ არ არის მათ შორის სხვაგვარი კავშირი;
- ხომ არ არის მათ შორის რაიმე კონფლიქტი;
- ხომ არ გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ პირადი ინტერესი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩვენების შინაარსზე და ა.შ.

6. დაზარალებულს უნდა განუმარტონ, რომ იგი ვალდებული არ არის, მისცეს დანაშაულის ჩადენაში პირადი ან თავისი ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება.

7. დაზარალებულს უნდა განუმარტონ, რომ უფლებამოსილია, ჩვენების მიცემის დროს ჰყავდეს (მოიწვიოს) ადვოკატი. ამასთან, ადვოკატის გამოუცხადებლობა არ აბრ-

კოლებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას (სავალდებულო წარმომადგენლობის შემთხვევის გარდა).

8. დაზარალებული ხელწერილის ჩამორთმევით ან სხვა ფორმით (ოღონდ – წერილობით) უნდა გააფრთხილონ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, ცრუ ჩვენებისა და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

9. დაკითხვის დაწყებისთანავე დაზარალებულს უნდა შესთავაზონ, თქვას ყველაფერი, რაც იცის სისხლის სამართლის საქმის შესახებ.

10. დაზარალებული ჩვენებას აფიქსირებს საკუთარი ხელით, ან მისი თხოვნით (თანხმობით) ჩვენებას წერს გამომძიებელი. ჩვენების ჩამოყალიბების შემდეგ დაზარალებულს შეიძლება, დაუსვან კითხვები.

11. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მხარის შუამდგომლობითა და მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დაზარალებულის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან, რაც მხარეებს წინასწარ ეცნობება. ამასთან, დაზარალებულის იდენტიფიკაციას დაკითხვის ადგილას ახდენს შესაბამისი სასამართლო.

12. ყრუ-მუნჯი დაზარალებულის დაკითხვაზე უნდა მოიწვიონ პირი, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები. ამ პირის მიწვევა და დაკითხვაში მონაწილეობა მოწესრიგებულია იმავე წესებით, რაც დადგენილია თარჯიმნისათვის (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის კომენტარები).

13. დაკითხვაში ყრუ-მუნჯთა ნიშნების მცოდნე პირის მონაწილეობა უნდა აისახოს დაკითხვის ოქმში.

14. მძიმე ავადმყოფი დაზარალებულის დაკითხვისათვის ყველა შემთხვევაში საჭიროა ექიმის წერილობითი ნებართვა.

15. მძიმე ავადმყოფი დაზარალებულის დაკითხვას აუცილებლად უნდა დაესწროს ექიმი, თუ იგი ამას აუცილებლად მიიჩნევს.

16. დაზარალებულის დაკითხვის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

– დამკითხველი პირის თანამდებობა, გვარი, სახელი;
– დაზარალებულის სახელი, გვარი;
– დაზარალებულის ასაკი;
– დაზარალებულის მოქალაქეობა;
– დაზარალებულის განათლება;
– დაზარალებულის სამუშაო ადგილი, საქმიანობა, თანამდებობა;
– დაზარალებულის საცხოვრებელი ადგილი;
– დაზარალებულის ურთიერთობა ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან;

– მითითება დაზარალებულისათვის უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განმარტების შესახებ.

17. დაკითხის ოქმს ადგენს (დაზარალებულის ჩვენება დაკითხვის ოქმში შეაქვს) გამომძიებელი (დაკითხვის მწარმოებელი პირი). ამასთან, დაზარალებული უფლებამოსილია, ჩვენება დაწეროს თავისი ხელით.

18. დაზარალებულის ჩვენება და დასმულ კითხვაზე პასუხი უნდა გადმოიცეს პირველ პირში, შეძლებისდაგვარად – სიტყვასიტყვით.

19. დაზარალებული ჩვენებას იძლევა იმ ენაზე, რომელიც იცის. თუ დაზარალებულმა არ იცის პროცესის ენა, დაკითხვა ხდება თარჯიმნის მონაწილეობით. თუ დაზარალებული ჩვენებას იძლევა ზეპირად და არა იმ ენაზე, რომელზეც პროცესი მიმდინარეობს, მისი ჩვენება გამომძიებელს ოქმში შეაქვს პროცესის ენაზე ისე, როგორც თარგმნის თარჯიმანი. თუ დაზარალებული თავისი ხელით წერს ჩვენებას არა იმ ენაზე, რომელზეც პროცესი მიმდინარეობს, თარჯიმანი მის ჩვენებას თარგმნის წერილობით.

20. ჩვენების ზეპირად ან თავისი ხელით წერილობით ჩამოყალიბების შემდეგ დაზარალებულს შეიძლება, დაუსვან კითხვები. დაკითხვის ოქმში შეიტანება როგორც პასუხი, ასევე – შეკითხვა, მათ შორის, ის შეკითხვაც, რომელიც გამომძიებელმა განარიდა, ან რომელზეც დაზარალებულმა პასუხი არ გასცა.

21. დაკითხვის დამთავრებისთანავე დაზარალებულს უნდა გააცნონ დაკითხვის ოქმი. ამასთან, დაკითხვის ოქმში აუცილებლად უნდა შეიტანონ ის დამატება-შესწორებები, რასაც დაზარალებული ითხოვს.

22. დაკითხვის ოქმს ხელი უნდა მოაწერონ დაზარალებულმა და გამომძიებელმა, აგრეთვე – დაკითხვაში მონაწილე სხვა პირებმა. ამასთან, დაზარალებული ხელს აწერს დაკითხვის ოქმის თითოეულ გვერდს, ხოლო დაკითხვის ოქმის ბოლოს დაზარალებულმა ან გამომძიებელმა უნდა გააკეთოს ჩანაწერი, რომ დაზარალებული გაეცნო პირადად, ან გააცნეს ოქმის შინაარსი, იგი ჩაწერილია სრულად, მისი სიტყვებით, რასაც დაზარალებული ადასტურებს ხელის მოწერით.

23. თუ დაზარალებული უარს ამბობს დაკითხვის ოქმზე ხელის მოწერაზე, გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს ამის მიზეზი, გააკეთოს შესაბამისი მინაწერი დაკითხვის ოქმის ბოლოს და დაამოწმოს თავისი ხელის მოწერით. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლით დადგენილი წესი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 288-ე, 305-ე, 307-ე, 308-ე მუხლების კომენტარები).

24. აღსანიშნავია ისიც, რომ დაზარალებული უნდა დაიკითხოს დაზარალებულის წარმომადგენლის მონაწილეობით, თუ დაზარალებული:

– 16 წლამდე ასაკისაა;
– ფსიქიკური ნაკლის მქონეა;
– ფიზიკური ნაკლის მქონეა.

მუხლი 310. ეჭვმიტანილის დაკითხვა

1. **(ამოღებულია).**
2. **ეჭვმიტანილს უფლება აქვს ჩვენება მისცეს დამცველის თანდასწრებით. თუ შეუძლებელია დამცველის მონაწილეობის დაუყოვნებლივ უზრუნველყოფა, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან მისი მონაწილეობა უზრუნველყონ და განუმარტონ დაკავებულს, რომ დამცველის მოსვლამდე უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება.**
3. **დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელმა და პროკურორმა ეჭვმიტანილს უნდა აცნობონ ეჭვის არსი და განუმარტონ მისი უფლებები.**

4. **დაკითხვის დაწყებისთანავე ეჭვმიტანილს უნდა შესთავაზონ, რომ მისცეს ჩვენება ეჭვისა და სხვა გარემოებათა შესახებ, რომელთაც, მისი აზრით, შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს საქმისათვის.**
5. **ეჭვმიტანილის დაკითხვისას უნდა იხელმძღვანელონ ბრალდებულის დაკითხვისათვის დადგენილი წესით.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. დაკავებული ეჭვმიტანილის დაკითხვა არის გამომძიებლის უფლებამოსილება და არა – ვალდებულება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე, 145-ე მუხლების კომენტარები).

2. ეჭვმიტანილს უფლება აქვს, მაგრამ იგი ვალდებული არ არის, მისცეს ჩვენება.

3. ეჭვმიტანილის დაკითხვა იძულებითი დაცვის გარემოებების არსებობისას ყველა შემთხვევაში მიმდინარეობს დამცველის თანდასწრებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის კომენტარები).

4. თუ არ არსებობს იძულებითი დაცვის გარემოებები, ამასთან, ეჭვმიტანილს სურს დამცველის მოწვევა შეთანხმებით ან დამცველის დანიშვნა და შეუძლებელია დამცველის მონაწილეობის დაუყოვნებლივ უზრუნველყოფა, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, მიიღონ ზომები დამცველის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და განუმარტონ დაკავებულს, რომ დამცველის მოსვლამდე უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება.

5. დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელმა, პროკურორმა ეჭვმიტანილს უნდა აცნობონ ეჭვის არსი და განუმარტონ თავისი უფლება-მოვალეობები.

6. დაკითხვის დაწყებისთანავე ეჭვმიტანილს უნდა შესთავაზონ, რომ მისცეს ჩვენება ეჭვისა და სხვა გარემოების შესახებ, რომელსაც, მისი აზრით, შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმისათვის.

7. ეჭვმიტანილის დაკითხვა უნდა განხორციელდეს ბრალდებულის დაკითხვისათვის დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 311. ბრალდებულის დაკითხვა

1. **(ამოღებულია).**
1[1]. **(ამოღებულია).**
2. **ბრალდებული უნდა დაიკითხოს დღის საათებში, გარდა გადაუდებელი შემთხვევისა.**
3. **ბრალდებული უნდა დაიკითხოს წინასწარი გამოძიების ადგილას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – იქ, სადაც იგი იმყოფება.**
4. **ბრალდებულის დაკითხვა ტარდება სხვა ბრალდებულთაგან განცალკევებით.**

5. **ბრალდებულის დაკითხვაზე დასწრების უფლება აქვს დამცველს. ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა.**
6. **ბრალდებულის პირველ დაკითხვაში მონაწილეობს პროკურორი ამ კოდექსით დადგენილი წესით.**
7. **ყრუ-მუნჯი ბრალდებულის დაკითხვა ტარდება იმ პირის მონაწილეობით, რომელიც იგებს მის ნიშნებს და შეუძლია იმავე ნიშნებით აზრის გაგებინება მისთვის.**
8. **ბრალდებული უნდა დაიკითხოს წაყენებული ბრალდების არსის მიხედვით, აგრეთვე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებათა შესახებ.**
9. **დაკითხვის დაწყებამდე ბრალდებულს უნდა განემარტოს, რომ უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე.**
10. **დაკითხვის დაწყებისთანავე გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს, ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში.**
11. **ბრალდებულის დუმილი ნიშნავს, რომ ის თავს დამნაშავედ არ ცნობს.**
12. **ბრალდებულმა ჩვენების მიცემისას თავისუფლად უნდა ჩამოაყალიბოს მისთვის ცნობილი ყველა გარემოება, რის შემდეგაც მას შეიძლება დაუსვან კითხვა გამომძიებელმა, პროკურორმა და დამცველმა. გამომძიებელს უფლება აქვს განარიდოს კითხვა, თუ იგი საქმეს არ ეხება ან მისახვედრია, მაგრამ კითხვა უნდა დაფიქსირდეს ოქმში.**
13. **18 წლამდე ასაკის ბრალდებულის დაკითხვაში მონაწილეობს პედაგოგი ან კანონიერი წარმომადგენელი.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23) მუხლი 65; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. ბრალდების წაყენების შემდეგ ბრალდებულის დაკითხვა არის გამომძიებლის, პროკურორის უფლება და არა – ვალდებულება. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ თუ ბრალდებული შუამდგომლობს დაკითხვის შესახებ, იგი უნდა დაიკითხოს შუამდგომლობის განცხადებიდან არა უგვიანეს ერთი კვირაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე, 115-ე, 145-ე, 283-ე, 284-ე მუხლების კომენტარები).

2. ბრალდებული, როგორც წესი, უნდა დაიკითხოს დღის საათებში – 06-დან 22 საათამდე. გადაუდებელ შემთხვევაში ბრალდებული შეიძლება დაიკითხოს ღამის საათებშიც.

3. ბრალდებული, როგორც წესი, უნდა დაიკითხოს წინასწარი გამოძიების ადგილას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – იქ, სადაც იგი იმყოფება (სამუშაო ადგილზე, საცხოვრებელ ადგილზე, დაკავებულის მოთავსების ადგილზე და ა.შ.).

4. ბრალდებულის დაკითხვა ტარდება ამავე სისხლის სამართლის საქმეზე სხვა ბრალდებულისაგან განცალკევებით.

5. ბრალდებულის დაკითხვა იძულებითი დაცვის გარემოებების არსებობისას ყველა შემთხვევაში მიმდინარეობს დამცველის თანდასწრებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის კომენტარები).

6. თუ არ არსებობს იძულებითი დაცვის გარემოებები, ამასთან, ბრალდებულს სურს დამცველის მოწვევა შეთანხმებით ან დამცველის დანიშვნა და შეუძლებელია დამცველის მონაწილეობის დაუყოვნებლივ უზრუნველყოფა, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან მიიღონ ზომები დამცველის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და განუმარტონ ბრალდებულს, რომ დამცველის მოსვლამდე უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება.

7. ბრალდებულის პირველ დაკითხვაში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა, თუ:

– პროკურორს ეს საჭიროდ მიაჩნია;

– ბრალდებული არასრულწლოვანია;

– ბრალდებული ყრუ-მუნჯია;

– ბრალდებული პროცესის ენის არმცოდნეა;

– ბრალდებულს ბრალი ედება იმ დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც შეიძლება, დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა;

– ბრალდებული, მისი წარმომადგენელი შუამდგომლობენ დაკითხვაში პროკურორის მონაწილეობის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის კომენტარები).

8. ყრუ-მუნჯი ბრალდებულის დაკითხვაში სავალდებულოა იმ პირის მონაწილეობა, ვინც იგებს მის ნიშნებს და შეუძლია იმავე ნიშნებით აზრის გაგებინება მისთვის. ამ პირის მოწვევა და დაკითხვაში მონაწილეობა მოწესრიგებულია იმავე წესებით, რაც დადგენილია თარჯიმნისათვის (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის კომენტარები).

9. ბრალდებული უნდა დაიკითხოს:

– წაყენებული ბრალდების არსის მიხედვით;

– სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების შესახებ.

10. აღსანიშნავია, რომ დაკითხვის დაწყებამდე ბრალდებულს უნდა განემარტოს, რომ უფლება აქვს, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. ამასთან, დაკითხვის დაწყებისთანავე გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს, ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში.

11. ბრალდებულის დუმილი ნიშნავს, რომ ის თავს დამნაშავედ არ ცნობს.

12. ბრალდებული უფლებამოსილია, ჩვენების მიცემისას თავისუფალი თხრობით ჩამოაყალიბოს მისთვის ცნობილი ყველა გარემოება და ეს ჩვენება დაკითხვის ოქმში შეაქვს გამომძიებელს, ან ბრალდებული თავისი ხელით წერს ჩვენებას. თავისუფალი თხრობის დასრულების ან ჩვენების საკუთარი ხელით დაწერის შემდეგ ბრალდებულს შეიძლება დაუსვან კითხვა:

– გამომძიებელმა;

– პროკურორმა;

– დამცველმა.

13. გამომძიებელს უფლება აქვს, განარიდოს კითხვა, თუ იგი:

– სისხლის სამართლის საქმეს არ ეხება;

– მისახვედრია.

14. გამომძიებლის მიერ განრიდებული კითხვა უნდა დაფიქსირდეს დაკითხვის ოქმში.

15. დაკითხვის დროისათვის არასრულწლოვანი (18 წლამდე ასაკის) ბრალდებულის დაკითხვა ყველა შემთხვევაში ტარდება:

– კანონიერი წარმომადგენლის ან პედაგოგის სავალდებულო მონაწილეობით;

– დამცველის სავალდებულო მონაწილეობით;

– პროკურორის სავალდებულო მონაწილეობით.

მუხლი 312. ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ოქმი

1. **ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ყოველი დაკითხვისას გამომძიებელი ადგენს ოქმს, რომელშიც უნდა აისახოს დაკითხვის ადგილი, დრო, გამომძიებლის გვარი და თანამდებობა, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სახელი და გვარი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი და დაბადების ადგილი, მოქალაქეობა, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა ან თანამდებობა, ინფორმაცია იმის თაობაზე, იყო თუ არა ნასამართლევი, აქვს თუ არა მიღებული სახელმწიფო ჯილდოები, აგრეთვე მონაცემები ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის შესახებ, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის.**
2. **ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენება, აგრეთვე დასმულ კითხვაზე მათი პასუხი გადმოცემული უნდა იყოს პირველ პირში და შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვით.**
3. **დაკითხვის დამთავრებისთანავე გამომძიებელმა ოქმი უნდა გააცნოს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს. მათ უფლება აქვთ მოითხოვონ ოქმში დამატებისა თუ შესწორების შეტანა, რაც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს.**
4. **ოქმს ხელს აწერენ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, გამომძიებელი, აგრეთვე პროკურორი, დამცველი, კანონიერი წარმომადგენელი, პედაგოგი, თარჯიმანი, თუ ისინი მონაწილეობდნენ დაკითხვაში. თუ ოქმი რამდენიმე გვერდზეა დაწერილი, ეჭვმიტანილმა და ბრალდებულმა ხელი უნდა მოაწერონ თითოეულ გვერდს.**

1. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ყოველი დაკითხვისას გამომძიებელი ადგენს ოქმს, რომელშიც უნდა აისახოს:

– დაკითხვის ადგილი;

– დაკითხვის დაწყების დრო;

– დაკითხვის დამთავრების დრო;

– გამომძიებლის გვარი და თანამდებობა;

– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის სახელი, გვარი;

– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაბადების წელი, თვე, რიცხვი;

– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაბადების ადგილი;

– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მოქალაქეობა;

– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის განათლება;

– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობა;

– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის სამუშაო, საქმიანობა, თანამდებობა;

– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის საცხოვრებელი ადგილი;

– ინფორმაცია იმის თაობაზე, ეჭვმიტანილი, ბრალდებული არიან თუ არა ნასამართლევი;

– ეჭვმიტანილს, ბრალდებულს აქვთ თუ არა მიღებული სახელმწიფო ჯილდო;

– სხვა მონაცემი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის შესახებ, რასაც მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმისათვის.

2. ბრალდებულის დაკითხვის დაწყებისთანავე უნდა გაირკვეს და დაკითხვის ოქმში აისახოს, ცნობს თუ არა პირი თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში.

3. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაკითხის ოქმს ადგენს (ჩვენება დაკითხვის ოქმში შეაქვს) გამომძიებელი. ამასთან, ეჭვმიტანილი, ბრალდებული უფლებამოსილი არიან, თავიანთი ხელით დაწერონ ჩვენება.

4. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენება და დასმულ კითხვაზე პასუხი უნდა გადმოიცეს პირველ პირში, შეძლებისდაგვარად – სიტყვასიტყვით.

5. ეჭვმიტანილი, ბრალდებული ჩვენებას აძლევენ იმ ენაზე, რომელიც იციან. თუ ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა არ იციან პროცესის ენა, დაკითხვა ხდება თარჯიმნის მონაწილეობით. თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული ჩვენებას აძლევენ ზეპირად და არა პროცესის ენაზე, მისი ჩვენება გამომძიებელს დაკითხვის ოქმში შეაქვს პროცესის ენაზე, ისე, როგორც თარგმნის თარჯიმანი. თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული თავიანთი ხელით წერენ ჩვენებას არა იმ ენაზე, რომელზეც პროცესი მიმდინარეობს, თარჯიმანი მის ჩვენებას თარგმნის წერილობით.

6. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ჩვენების ზეპირად, ან თავიანთი ხელით წერილობით ჩამოყალიბების შემდეგ შეიძლება დაუსვან კითხვები. დაკითხვის ოქმში შეიტანება როგორც პასუხი, ასევე – შეკითხვა, მათ შორის, ის:

– რომელიც გამომძიებელმა განარიდა;

– რომელზეც ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა პასუხი არ გასცეს.

7. დაკითხვის დამთავრებისთანავე დაკითხვის ოქმი უნდა გააცნონ:

– ეჭვმიტანილს;

– ბრალდებულს;

– დამცველს;

– კანონიერ წარმომადგენელს.

8. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველს, კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ მოითხოვონ დაკითხვის ოქმში დამატებისა თუ შესწორების შეტანა, რაც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს.

9. დაკითხვის ოქმს ხელს აწერს:
– ეჭვმიტანილი;
– ბრალდებული;
– გამომძიებელი;
– პროკურორი, თუ ის მონაწილეობდა დაკითხვაში;
– დამცველი, თუ ის მონაწილეობდა დაკითხვაში;
– კანონიერი წარმომადგენელი, თუ ის მონაწილეობდა დაკითხვაში;
– პედაგოგი, თუ ის მონაწილეობდა დაკითხვაში;
– თარჯიმანი, თუ ის მონაწილეობდა დაკითხვაში.

10. თუ დაკითხვის ოქმი რამდენიმე გვერდს მოიცავს, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა ხელი უნდა მოაწერონ თითოეულ გვერდს. დაკითხვის ოქმის ბოლოს ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან გამომძიებელი აკეთებს ჩანაწერს, რომ ეჭვმიტანილი, ბრალდებული გაეცნენ პირადად, ან მათ გააცნეს დაკითხვის ოქმის შინაარსი, იგი ჩაწერილია სრულად, მათი სიტყვებით, რასაც ეჭვმიტანილი, ბრალდებული ადასტურებენ ხელის მოწერით.

11. თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული უარს ამბობენ დაკითხვის ოქმზე ხელის მოწერაზე, გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს ამის მიზეზი, გააკეთოს შესაბამისი მინაწერი დაკითხვის ოქმის ბოლოს და დაამოწმოს თავისი ხელის მოწერით. ამასთან, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლით დადგენილი წესი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 313. ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიერ ჩვენების დაწერა

ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი ხელით დაწერონ ჩვენება, რაც გამომძიებელმა უნდა აღნიშნოს ოქმში. ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის წერილობითი ჩვენების გაცნობის შემდეგ გამომძიებელს შეუძლია მას კითხვა დაუსვას. კითხვაც და მიღებული პასუხიც შეტანილ უნდა იქნეს ოქმში.

1. დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, განუმარტონ ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, რომ მათ უფლება აქვთ საკუთარი ხელით დაწერონ ჩვენება, რაც უნდა აღინიშნოს ოქმში.

2. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის წერილობითი ჩვენების გაცნობის შემდეგ გამომძიებელს შეუძლია, მათ კითხვა დაუსვას. ამასთან, კითხვაც და მიღებული პასუხიც ოქმში უნდა აისახოს. კითხვა დაკითხვის ოქმში შეაქვს გამომძიებელს, ხოლო პასუხი – გამომძიებელს ან სურვილის შემთხვევაში – ეჭვმიტანილს, ბრალდებულს.

მუხლი 314. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

თავი XXXVIII
ამოღება და ჩხრეკა

მუხლი 315. ამოღებისა და ჩხრეკის მიზანი

1. **ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ და ამოიღონ დანაშაულის იარაღი, საგანი, რომელსაც დანაშაულის კვალი ატყვია, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი და ფასეულობა, სხვა საგანი და დოკუმენტი, რომლებიც საჭიროა საქმის გარემოებათა გასარკვევად.**
2. **ჩხრეკის ჩატარება შეიძლება აგრეთვე ძებნილი პირისა და გვამის აღმოსაჩენად.**

1. ამოღება და ჩხრეკა საგამოძიებო მოქმედებებია და როგორც ნებისმიერი სხვა საგამოძიებო მოქმედება, ტარდება მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

2. ამოღების ან ჩხრეკის შედეგად შეიძლება მოპოვებულ იქნეს როგორც ქმედების ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ასევე – სხვა საგანი და დოკუმენტი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მტკიცების საგნის გარემოებების დასადგენად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები).

3. ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ და ამოიღონ:

– დანაშაულის იარაღი;

– საგანი, რომელსაც დანაშაულის კვალი ატყვია;

– დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი;

– დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფასეულობა;

– სხვა საგანი, რაც საჭიროა სისხლის სამართლის საქმის გარემოებების გასარკვევად;

– სხვა დოკუმენტი, რაც საჭიროა სისხლის სამართლის საქმის გარემოებების გასარკვევად.

4. ჩხრეკის ჩატარება შეიძლება, აგრეთვე:

– ძებნილი პირის აღმოსაჩენად;

– გვამის აღმოსაჩენად.

5. ამოღება და ჩხრეკა გარკვეულწილად მსგავსი საგამოძიებო მოქმედებებია, თუმცა მათ შორის არის განსხვავებებიც, როგორც ამ მოქმედებათა ჩატარების საფუძვლების, ასევე – ჩატარების პროცედურის თვალსაზრისით.

6. ამოღება ნიშნავს საგნის, დოკუმენტის ამოღებას ძებნის გარეშე, ხოლო ჩხრეკა – საგნის, დოკუმენტის ამოღებას ძებნის შედეგად.

7. ამოღება ტარდება, როდესაც წინასწარ ზუსტად არის ცნობილი, თუ საიდან რა საგანი, დოკუმენტი არის ამოსაღები. ჩხრეკა ტარდება, როდესაც წინასწარ ზუსტად არ არის ცნობილი კონკრეტულად საიდან არის საგანი, დოკუმენტი ამოსაღები. მაგ.:

ა) დაწესებულებიდან ამოსაღებია გარკვეული პერიოდის საბუღალტრო დოკუმენტაცია – ტარდება ამოღება, რადგანაც წინასწარ არის ცნობილი ამოღების ადგილი (დაწესებულების ოფისი) და ამოსაღები საგნები (საბუღალტრო დოკუმენტები);

ბ) არსებობს გარკვეული ინფორმაცია, რომ ბინაში ინახება (შესაძლებელია, ინახებოდეს) დანაშაულის ჩადენის იარაღი (პისტოლეტი) – ტარდება ჩხრეკა, რადგანაც წინასწარ ზუსტად არ არის ცნობილი, საიდან (ბინიდან, მაგრამ კონკრეტულად რა ადგილიდან) უნდა მოხდეს იარაღის ამოღება.

8. როგორც ამოღების, ასევე ჩხრეკის მიზანია საგნის, დოკუმენტის ამოღება, ანუ ჩხრეკაც შეიძლება დამთავრდეს („შედეგიანი" ჩხრეკა ყველა შემთხვევაში მთავრდება) ამოღებით. საკითხის გადასაწყვეტად, ჩხრეკა უნდა ჩატარდეს თუ ამოღება და, შესაბამისად, ჩხრეკისა თუ ამოღების ოქმი უნდა შედგეს, მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები:

ა) დაიწყო (უნდა დაიწყოს) ჩხრეკა, მაგრამ პირმა ნებაყოფლობით წარმოადგინა საძებნი (ამოსაღები) საგანი (დოკუმენტი) და აღარ გახდა აუცილებელი მისი ძებნა (ჩხრეკის ჩატარება) – დგება ამოღების ოქმი, თუ არ გაგრძელდა (მაინც არ ჩატარდა) ჩხრეკა. მაგ.: ბინიდან (ან პირისაგან) ამოღებულ უნდა იქნეს დანაშაულის ჩადენის იარაღი (მაგ.: პისტოლეტი) ან სხვა ნივთმტკიცება (მაგ.: ნარკოტიკული საშუალება) და პირმა ნებაყოფლობით წარმოადგინა საძებნი საგანი. თუ ჩხრეკა აღარ გაგრძელდება, დგება ამოღების ოქმი. მაგრამ, მიუხედავად ამოსაღები საგნის ნებაყოფლობით წარმოდგენისა, თუ გამომძიებელი მიიჩნევს, რომ მაინც საჭიროა ჩხრეკის ჩატარება სხვა შესაძლო მტკიცებულების ამოსაღებად ან იმის გადასამოწმებლად, სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ამოსაღები საგანი და ამ მიზნით ჩატარდა (გაგრძელდა) ჩხრეკა, დგება ჩხრეკის ოქმი, მიუხედავად იმისა, ამოღებული იქნება თუ არა სხვა საგანი, დოკუმენტი (პირის მიერ წარმოდგენილის გარდა);

ბ) თუ უნდა ჩატარდეს ამოღება, მაგრამ ამოღების დაწყებისას პირი უარს განაცხადებს ამოსაღები საგნის (დოკუმენტის) წარდგენაზე, მისი ზუსტი ადგილსამყოფლის მითითებაზე და საჭირო გახდება მისი ძებნა, ან ამოსაღები დოკუმენტი (საგანი) წარმოდგენილი იქნება არასრულად, ან ამოღების დროს გამოიკვეთება სხვა დანაშაულის შესაძლო ჩადენის ნიშნები და წარმოიშვება სხვა საგნის, დოკუმენტის ამოღების აუცილებლობა და მას ნებაყოფლობით არ წარადგენენ (ან არასრულად წარადგენენ (არსებობს ეჭვი შესაძლო არასრული წარდგენისა)), ტარდება ჩხრეკა. მაგ.: გამომძიებელი მიდის დაწესებულებაში საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოსაღებად, ადმინისტრაცია უარს აცხადებს დოკუმენტაციის გადაცემასა და მისი ზუსტი ადგილსამყოფლის მითითებაზე, ან დოკუმენტაცია წარდგენილი იქნება არასრულად – ტარდება ჩხრეკა და დგება ჩხრეკის ოქმი.

მუხლი 316. ამოღების საფუძველი

გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს ამოიღოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი და დოკუმენტი, თუ შეკრებილი მტკიცებულებები იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ისინი ინახება გარკვეულ ადგილას, გარკვეულ პირთან და მათი ძებნა საჭირო არ არის.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ამოღების ჩატარებისათვის საჭიროა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების (წინა პირობების) არსებობა.

2. ამოღების ჩატარების ფაქტობრივ საფუძვლებში იგულისხმება მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ, რომ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი გარკვეულ ადგილას, გარკვეულ პირთან ინახება და მის ამოსაღებად ძებნა საჭირო არ არის.

3. ამოღების ჩატარების სამართლებრივი საფუძვლებია:

– მოსამართლის ბრძანება ამოღების ჩატარების (ნებადართვის) შესახებ;

– პროკურორის, გამომძიებლის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, მოსამართლის ბრძანების გარეშე, ამოღების ჩატარების შესახებ;

4. ამოღება შეიძლება განახორციელონ გამომძიებელმა, პროკურორმა.

5. იმისათვის, რომ ამოღების (და არა – ჩხრეკის) ჩატარება დაიგეგმოს, საჭირო არ უნდა იყოს ამოსაღები საგნის (დოკუმენტის) ძებნა, ანუ ზუსტად უნდა იყოს დადგენილი:

– ამოღების ჩატარების ადგილი;

– ამოსაღები საგანი (დოკუმენტი).

6. ამოღების ადგილის წინასწარ დადგენაში ყოველთვის არ იგულისხმება ამოსაღები საგნის ზუსტი ადგილმდებარეობის წინასწარ ცოდნა. მაგ.: ამოღებულ უნდა იქნეს დაწესებულების საბუღალტრო დოკუმენტაცია, არ არის აუცილებელი წინასწარ ზუსტად იყოს ცნობილი ოფისის რომელ სართულზე, რომელ ოთახში (და ა.შ.) არის განთავსებული ამოსაღები დოკუმენტაცია. მთავარია, გარკვეული იყოს, რომ ეს დოკუმენტაცია ინახება დაწესებულების ოფისში.

7. იმისათვის, რომ დოკუმენტის ამოსაღებად დაიგეგმოს ამოღების და არა – ჩხრეკის ჩატარება, ყოველთვის აუცილებელი არ არის ამოსაღები დოკუმენტების ზუსტი რაოდენობისა და ინდივიდუალური ნიშნების წინასწარ ცოდნა. მაგ.: საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოსაღებად ტარდება ამოღება და არა – ჩხრეკა, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ არ არის ცნობილი ამოსაღები დოკუმენტების ზუსტი რაოდენობა და ზუსტი დასახელება, ანუ ამ შემთხვევაში საკმარისია ამოსაღები დოკუმენტაციის გვარეობითი ნიშნების (მაგ.: კონკრეტული დაწესებულების 2005 წლის საბუღალტრო დოკუმენტაცია) ცოდნა.

8. იმისათვის, რომ ჩატარდეს საგნის ამოღება და არა – ჩხრეკა, ამოსაღები საგნის ადგილმდებარეობასთან ერთად წინასწარ უნდა გაირკვეს ამოსაღები საგნის ინდივიდუალური ნიშნები. მაგ.: ამოსაღებია მკვლელობის მცდელობის შედეგად დაზარალებულის ტანსაცმელი და წინასწარ ცნობილია, თუ კონკრეტულად რა უნდა იქნეს ამოღებული – ტარდება ამოღება, მაგრამ, თუ ამოღებულ უნდა იქნეს ბრალდებულის ტანსაცმელი და კონკრეტულად არ არის ცნობილი, რა ტანსაცმელია ეს, ანუ ცნობილია ტანსაცმლის მხოლოდ სავარაუდო აღწერილობა და ის, რომ შესაძლებელია მასზე დანაშაულის კვალი (მაგ.: სისხლის ლაქები) იყოს – ტარდება ჩხრეკა.

9. მოქმედება შეიძლება დაიწყოს როგორც ამოღება, მაგრამ გაგრძელდეს როგორც ჩხრეკა. მაგ.: თუ ამოღებისას უარს განაცხადებენ ამოსაღები საგნის (დოკუმენტის) წარდგენაზე, მისი ზუსტი ადგილსამყოფლის მითითებაზე და საჭირო გახდება მისი ძებნა, ან ამოსაღები საგანი (დოკუმენტი) წარმოდგენილი იქნება არასრულად, ან ამოღების დროს გამოიკვეთება სხვა დანაშაულის შესაძლო ჩადენის ნიშნები და წარმოიშობა სხვა საგნის, დოკუმენტის ამოღების აუცილებლობა და მას ნებაყოფლობით არ

წარადგენენ (ან არასრულად წარადგენენ (არსებობს ეჭვი შესაძლო არასრული წარდგენისა)), ტარდება ჩხრეკა (ან დაწყებული ამოღება გრძელდება, როგორც ჩხრეკა).

მუხლი 317. ჩხრეკის საფუძველი

გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ ჩაატარონ ჩხრეკა, თუ სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ გარკვეულ საცხოვრებელ, სამსახურებრივ, საწარმოო სათავსში, ამა თუ იმ ადგილას ან ამა თუ იმ პირთან ინახება ამ კოდექსის 315-ე მუხლში აღნიშნული საგანი, დოკუმენტი, და არსებობს მონაცემები, რომ მათ ნებაყოფლობით არ გასცემენ.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ჩხრეკის ჩატარებისათვის საჭიროა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების (წინა პირობების) არსებობა.

2. ჩხრეკის ფაქტობრივ საფუძვლებში იგულისხმება სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, რომლებიც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ გარკვეულ საცხოვრებელ, სამსახურებრივ, თუ საწარმოო სათავსებში, ამა თუ იმ ადგილას, ამა თუ იმ პირთან ინახება (ან არსებობს საკმაო მტკიცებულებითი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ შეიძლება ინახებოდეს) სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი და არსებობს მონაცემები, რომ მას ნებაყოფლობით არ გასცემენ.

3. ჩხრეკის სამართლებრივი საფუძვლებია:

– მოსამართლის ბრძანება ჩხრეკის ჩატარების შესახებ;

– პროკურორის, გამომძიებლის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, მოსამართლის ბრძანების გარეშე, ჩხრეკის ჩატარების შესახებ.

4. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ არსებობს ეჭვი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი, ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულება, დამკავებელ თანამდებობის პირს დაკავებისას (დაკავების ადგილზევე) უფლება აქვს, ჩაატაროს დაკავებულის პირადი ჩხრეკა მოსამართლის ბრძანების, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილების (ანუ ჩხრეკის ჩატარების შესახებ საპროცესო გადაწყვეტილების) გარეშე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 318. შუამდგომლობა ამოღების ან ჩხრეკის ჩასატარებლად მოსამართლის ბრძანების გაცემის შესახებ

1. **თუ არსებობს ამოღების ან ჩხრეკის საფუძველი, პროკურორმა ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელმა მოტივირებული შუამდგომლობით უნდა მიმართოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის თაობაზე მოსამართლის ბრძანების მისაღებად.**

2. **შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს: სად ან ვისთან უნდა მოხდეს ამოღება ან ჩხრეკა; იმ საგნისა და დოკუმენტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის და რომელთა ამოღებაც უნდა მოხდეს; მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობას; ბრძანების შესასრულებლად გამოთხოვილი ვადა; თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელსაც ევალება ბრძანების შესრულება.**
3. **შუამდგომლობა და სისხლის სამართლის საქმის მასალები მოსამართლეს უნდა წარედგინოს 290-291-ე მუხლებით დადგენილი წესით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. ამოღების, ჩხრეკის ჩატარების ფაქტობრივი საფუძველების არსებობისას ბრძანების გასაცემად სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვთ პროკურორს, გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 315-ე, 316-ე, 317-ე მუხლების კომენტარები).

2. ამოღების, ჩხრეკის ჩატარების შესახებ ბრძანების გასაცემად შუამდგომლობით სასამართლოს მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ამ მოქმედების ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა. გადაუდებელი აუცილებლობისას ამოღება, ჩხრეკა ტარდება მოსამართლის ბრძანების გარეშე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის კომენტარები).

3. შუამდგომლობა შეიტანება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით, მიუხედავად ამოღების, ჩხრეკის ჩატარების ადგილისა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 291-ე მუხლების კომენტარები).

4. შუამდგომლობა მოტივირებული (დასაბუთებული) უნდა იყოს. მასში მიეთითება:

– სისხლის სამართლის საქმისა და იმ უწყების დასახელება, რომელიც ატარებს წინასწარ გამოძიებას ამ სისხლის სამართლის საქმეზე;

– მონაცემები დანაშაულის შესახებ, რომლის გამოც დასახულია შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება;

– რა საგამოძიებო მოქმედებაა ჩასატარებელი;

– სად ან ვისთან უნდა მოხდეს ამოღება, ჩხრეკა;

– იმ საგნის, დოკუმენტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმისათვის და რომელთა ამოღება უნდა მოხდეს;

– მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ამოღების, ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობას;

– ბრძანების შესასრულებლად გამოთხოვილი ვადა (ანუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა);

– ვინ (კონკრეტულმა პირმა ან უწყებამ) უნდა შეასრულოს უშუალოდ საგამოძიებო მოქმედება (ანუ თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელსაც ევალება ბრძანების შესრულება) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლის კომენტარები).

5. შუამდგომლობას უნდა დაერთოს გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო მასალების ასლები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 233-ე, 290-ე, 291-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 319. ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ შუამდგომლობის განხილვის წესი

მოსამართლე ამ კოდექსის 292-ე-293-ე მუხლებით დადგენილი წესით განიხილავს პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის შუამდგომლობას ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ და ბრძანებით იძლევა ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვას. ბრძანებაში აღნიშნული უნდა იყოს აგრეთვე შენობა, რომელშიც ნებადართულია ამოღება ან ჩხრეკა, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ეკუთვნის ეს შენობა, მოქალაქე, რომლის მიმართაც ნებადართულია პირადი ჩხრეკის ჩატარება, ჩხრეკისა თუ ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები საგანი, დოკუმენტი და მათი ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ შუამდგომლობა უნდა განიხილონ და გადაწყვიტონ შუამდგომლობისა და მასალების მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათში.

2. შუამდგომლობის განხილვის შედეგად მოსამართლე:

– ან გასცემს ბრძანებას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ (იძლევა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვას);

– ან გამოაქვს დადგენილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ (უარს ამბობს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემაზე).

3. ბრძანებაში ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ ასევე უნდა აღინიშნოს:

– შენობა, რომელშიც ნებადართულია ამოღება, ჩხრეკა;

– ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ეკუთვნის ეს შენობა;

– მოქალაქე, რომლის მიმართაც ნებადართულია პირადი ჩხრეკის ჩატარება;

– ჩხრეკის, ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები საგანი, დოკუმენტი;

– ჩხრეკის, ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები საგნის, დოკუმენტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 290-ე, 291-ე, 292-ე, 293-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 320. ამოღება და ჩხრეკა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების (დადგენილების) საფუძველზე

1. თუ პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ამოღების ან ჩხრეკის საფუძველი გამოვლინდა, სასამართლოს (მოსამართლეს) გამოაქვს განჩინება (დადგენილება), რომელშიც აღინიშნება ამ კოდექსის 316-ე-317-ე მუხლებში მითითებული მონაცემები, და ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ავალებს გამომძიებელს ან პროკურორს.

2. ამოღების ან ჩხრეკის ოქმს და მისი ჩატარებისას ამოღებულ საგანსა და დოკუმენტს გამომძიებელი ან პროკურორი დაუყოვნებლივ გადასცემს სასამართლოს.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ამოღების, ჩხრეკის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილების (განჩინების) საფუძველზე.

2. მოსამართლე (სასამართლო) დადგენილებას (განჩინებას) გადასცემს და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ავალებს გამომძიებელს, პროკურორს.

3. ჩხრეკის, ამოღების ჩატარების შესახებ დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს იმავე მიზნით, იმავე ფაქტობრივი საფუძვლების არსებობისას და დადგენილებაში (განჩინებაში) მითითება იგივე მონაცემები, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 315-319-ე მუხლებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 315-ე, 316-ე, 317-ე, 318-ე, 319-ე მუხლების კომენტარები).

4. ამოღების, ჩხრეკის ოქმსა და მისი ჩატარებისას ამოღებულ საგანს, დოკუმენტს გამომძიებელი, პროკურორი დაუყოვნებლივ გადასცემენ სისხლის სამართლის საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს).

მუხლი 321. დამსწრის და სხვა პირთა მონაწილეობა ამოღების ან ჩხრეკის დროს

1. ამოღების ან ჩხრეკის დროს ეჭმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით შეიძლება მოწვეულ იქნეს დამსწრე (არა უმეტეს ორისა).

2. ამოღების ან ჩხრეკის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმ პირის ან მისი ოჯახის თუნდაც ერთი სრულწლოვანი წევრის დასწრება, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა. თუ მათი დასწრების უზრუნველყოფა შეუძლებელია, უნდა მოიწვიონ სახლის მფლობელი ან/და ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი.

3. **ამოღება ან ჩხრეკა საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის შენობაში უნდა ჩატარდეს მისი ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის დასწრებით.**
4. **პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა, აგრეთვე დამსწრეს, სპეციალისტს, საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან (წარმომადგენელს) უფლება აქვს დაესწროს გამომძიებლის, პროკურორის ყველა მოქმედებას, გააკეთოს განცხადება, რაც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ამოღების, ჩხრეკის დროს შეიძლება მოწვეულ იქნეს არა უმეტეს ორი დამსწრე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის კომენტარები).

2. საცხოვრებელ ბინაში, სხვა პირად მფლობელობაში ამოღების, ჩხრეკის ჩატარების დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმ პირის ან მისი ოჯახის თუნდაც ერთი სრულწლოვანი წევრის დასწრება, რომელთანაც ტარდება ამოღება, ჩხრეკა.

3. შეიძლება ეჭვმიტანილი (ბრალდებული) დააკავონ სხვაგან და არსებობდეს მის საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების აუცილებლობა. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი, ეჭვმიტანილი მიიყვანონ ბინის ჩხრეკაზე დასასწრებად. საკმარისია, უზრუნველყოფილ იქნეს ოჯახის სხვა სრულწლოვანი წევრის დასწრება.

4. თუ ჩხრეკისას, ამოღებისას ამ პირის, მესაკუთრის (მფლობელის), მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის დასწრების უზრუნველყოფა შეუძლებელია, მოწვეულ უნდა იქნეს სახლის მფლობელი ან/და ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი.

5. ამოღება, ჩხრეკა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შენობაში უნდა ჩატარდეს მისი ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის დასწრებით.

6. ჩხრეკაში, ამოღებაში მონაწილე პირებს (პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა (თუ იგი არ მონაწილეობს – მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, სახლის მფლობელს ან/და ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელს), დამსწრეს, სპეციალისტს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს (ან წარმომადგენელს)) უფლება აქვთ, დაესწრონ გამომძიებლის, პროკურორის ყველა მოქმედებას, გააკეთონ განცხადება, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს საგამოძიებო მოქმედების ოქმში.

მუხლი 322. ამოღებისა და ჩხრეკის ადგილი

1. **ამოღება და ჩხრეკა შეიძლება სამსახურებრივ შენობაში, საცხოვრებელ ბინასა და სხვა მფლობელობაში, სატრანსპორტო საშუალებაში თუ სხვა ადგილას, სადაც შეიძლება იყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი ან დოკუმენტი.**

2. გასაჩხრეკთან ერთ ბინაში მცხოვრები სხვა პირის ნივთის ამოღება ან ჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმაო საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დამალა მოსაძებნი საგანი ან დოკუმენტი.

3. თუ ამოღების ან ჩხრეკის დროს წარმოიშვა იმ შენობისა თუ ადგილის შემოწმების აუცილებლობა, რომელიც არ არის მითითებული მოსამართლის ბრძანებაში ან სასამართლო განჩინებაში (დადგენილებაში), საჭიროა დამატებითი ბრძანების ან განჩინების (დადგენილების) მიღება ძებნის სფეროს გაფართოების თაობაზე. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღება ან ჩხრეკა შეიძლება მოსამართლის ბრძანების გარეშეც, მაგრამ შემდგომ მოსამართლეს უნდა ეცნობოს ამის შესახებ 290-ე მუხლის მე-2-3 ნაწილებით დადგენილი წესით.

1. ამოღება, ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის ამოღების მიზნით:

– პირის მიმართ (მისი ტანსაცმლიდან, მის ხელთ არსებული ნივთიდან, მისი სხეულიდან საგნის, დოკუმენტის ამოღება (პირადი ჩხრეკა)) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 325-ე მუხლის კომენტარები);

– სამსახურებრივ შენობაში, საცხოვრებელ ბინაში, სხვა მფლობელობაში, სატრანსპორტო საშუალებაში, სხვა ადგილას.

2. გასაჩხრეკთან ერთ ბინაში მცხოვრები სხვა პირის ჩხრეკა და ნივთის ამოღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმაო საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დამალა მოსაძებნი საგანი, დოკუმენტი.

3. თუ ამოღება, ჩხრეკა ტარდება მოსამართლის ბრძანების საფუძველზე და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს წარმოიშვა იმ შენობის, ადგილის შემოწმების აუცილებლობა, რომელიც არ არის მითითებული მოსამართლის (სასამართლოს) ბრძანებაში, დადგენილებაში (განჩინებაში), საჭიროა დამატებითი ბრძანების (დადგენილების, განჩინების) მიღება ძებნის სფეროს გაფართოების თაობაზე. ამასთან, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღება, ჩხრეკა შეიძლება მოსამართლის ბრძანების გარეშეც, მაგრამ მოსამართლეს შემდგომ უნდა ეცნობოს ამის შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის კომენტარები).

4. თუ ამოღება, ჩხრეკა ტარდება მოსამართლის ბრძანების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს წარმოიშვა იმ შენობის, ადგილის შემოწმების აუცილებლობა, რომელიც არ არის მითითებული პროკურორის, გამომძიებლის დადგენილებაში და ამავე დროს არსებობს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილებით საერთო წესით ტარდება ჩხრეკა, ამოღება, რის შესახებაც ეცნობება შესაბამის სასამართლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის კომენტარები).

5. თუ ჩხრეკის, ამოღების ადგილზე მისვლისას აღმოჩნდა, რომ ჩხრეკა, ამოღება ჩასატარებელია არა იმ ადგილას, რომელიც მითითებულია მოსამართლის ბრძანებაში,

მიღებულ უნდა იქნეს ახალი ბრძანება. ამასთან, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღება, ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც, მაგრამ მოსამართლეს შემდგომ უნდა ეცნობოს ამის შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის კომენტარები).

6. მოსამართლის ბრძანებაში დაშვებული ყოველგვარი შეცდომა არ წარმოშობს ახალი ბრძანების მიღების აუცილებლობას. ახალი ბრძანების მიღება აუცილებელია მაშინ, როდესაც შეცდომა იმდენად არსებითია, რომ შეუძლებელია ბრძანების გამოყენება ჩხრეკის, ამოღების სამართლებრივ საფუძვლად.

მუხლი 323. ამოღებისა და ჩხრეკის წესი

1. **ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) საფუძველზე გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვთ ბინაში შევიდნენ (ან სხვა მფლობელობაში) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნისა თუ დოკუმენტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ბინაში (ან სხვა მფლობელობაში) შესვლა ხდება იძულების წესით.**
2. **ამოღების ან ჩხრეკის დაწყებისას გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებულია ხელმოწერით გააცნოს სასამართლო ბრძანება ან განჩინება (დადგენილება) პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა, ხოლო მისი არყოფნისას – 321-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ ერთ-ერთ პირს.**
3. **გამომძიებელი და პროკურორი ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები, რათა არ გახმაურდეს ამოღების ან ჩხრეკის, აგრეთვე ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოვლენილი პირადი ცხოვრების გარემოებანი.**
4. **გამომძიებელს და პროკურორს უფლება აქვთ ამოღების ან ჩხრეკის ადგილზე მყოფ ან იქ მისულ პირს აუკრძალონ წასვლა, ერთმანეთთან ან სხვა პირთან ურთიერთობა ამოღებისა თუ ჩხრეკის დამთავრებამდე.**
5. **ამოღებისას მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) წარდგენის შემდეგ გამომძიებელი ან პროკურორი წინადადებას იძლევა ნებაყოფლობით გადასცეს ჩამოსართმევი საგანი ან დოკუმენტი. უარის შემთხვევაში ამოღება ხდება იძულებით. თუ ამოსაღები საგანი ან დოკუმენტი არ აღმოჩნდა იმ ადგილას, რომელიც მითითებულია ბრძანებაში ან განჩინებაში (დადგენილებაში), ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმავე სადგომში ამ კოდექსით დადგენილი წესით.**
6. **ჩხრეკის დაწყების წინ გამომძიებელი ან პროკურორი წინადადებას იძლევა ნებაყოფლობით გადასცენ ჩამოსართმევი საგანი ან დოკუმენტი. გადაცემის შემთხვევაში უნდა შედგეს ამოღების ოქმი, ხოლო თუ არ გადასცემენ ან არასრულად გადასცემენ, უნდა ჩატარდეს ჩხრეკა.**
7. **ჩხრეკისას იძებნება და ამოიღება ის საგანი თუ დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულია მოსამართლის ბრძანებაში ან სასამართლო განჩინებაში (დადგე-**

ნილებაში). ამოღებულ უნდა იქნეს აგრეთვე სხვა საგანი, დოკუმენტი ან ნივთი, რომელსაც მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს ამ საქმისათვის, ან აშკარად მიუთითებს სხვა დანაშაულის ჩადენაზე, აგრეთვე ნივთი, რომლის შენახვაც აკრძალულია კანონით. ჩხრეკის ოქმში გამომძიებელმა ან პროკურორმა უნდა აღნიშნონ, რატომ ამოიღეს აღნიშნული საგანი ან დოკუმენტი.

8. **ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოჩენილი ყველა საგანი ან დოკუმენტი, მათ ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს და დაწვრილებით აღიწეროს ოქმში, შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. შეფუთულ ნივთზე ლუქის გარდა აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, ვინც მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო მოქმედებაში.**
9. **ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვთ გააღონ დაკეტილი სათავსი და საცავი, თუ გასაჩხრეკი უარს ამბობს ნებაყოფლობით გააღოს ისინი. ამასთან, შეძლებისდაგვარად უნდა მოერიდონ საკეტის, კარის, სხვა საგნის დაზიანებას და ბინაში ან სხვა გასაჩხრეკ სადგომში წესრიგის დარღვევას.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ მოსამართლის (სასამართლოს) ბრძანების, დადგენილების (განჩინების), ან, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ შევიდნენ ბინაში (ან სხვა მფლობელობაში) სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად.

2. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ბინაში (ან სხვა მფლობელობაში) შესასვლელად დასაშვებია იძულების გამოყენება, რაშიც იგულისხმება დაკეტილი სათავსის, საცავის იძულებით გახსნა, სხვა იძულების ღონისძიების გამოყენება იმ ქმედების აღსაკვეთად, რაც ხელს უშლის ჩხრეკის, ამოღების ნორმალურ ჩატარებას. ამასთან, გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი საშუალებები, რომლებიც გამოიწვევს ნაკლებ დაზიანებას.

3. ამოღების, ჩხრეკის დაწყებისას გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, ხელმოწერით გააცნონ მოსამართლის (სასამართლო) ბრძანება, დადგენილება (განჩინება) ან პროკურორის, გამომძიებლის დადგენილება პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა, ხოლო მისი არყოფნისას – მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, სახლის მფლობელს ან/და ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელს, აგრეთვე – საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს (წარმომადგენელს) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 321-ე მუხლის კომენტარები).

4. გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან მიიღონ ზომები, რათა არ გახმაურდეს ამოღების, ჩხრეკის, აგრეთვე ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოვლენილი პირადი ცხოვრების გარემოებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 274-ე მუხლის კომენტარები).

5. ამოღებისას მოსამართლის (სასამართლოს) ბრძანების, დადგენილების (განჩინების) ან პროკურორის, გამომძიებლის დადგენილების წარდგენის შემდეგ გამომძიებელი, პროკურორი წინადადებას აძლევენ, ნებაყოფლობით გადასცენ ამოსაღები საგანი, დოკუმენტი. უარის შემთხვევაში ამოღება ხდება იძულებით. თუ ცნობილია საიდან და რა არის ამოსაღები, ხდება ამოღება და დგება ამოღების ოქმი, ხოლო თუ საჭიროა ძებნა – ტარდება ჩხრეკა და დგება ჩხრეკის ოქმი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 315-ე, 316-ე მუხლების კომენტარები).

6. თუ ამოსაღები საგანი, დოკუმენტი არ აღმოჩნდა იმ ადგილას, რაც მითითებულია ბრძანებაში, დადგენილებაში, განჩინებაში, ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმავე სადგომში და საჭიროა მოსამართლის ბრძანება ძებნის სფეროს გასაფართოებლად, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა, როდესაც ჩხრეკა, ამოღება შეიძლება გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 322-ე მუხლის კომენტარები).

7. ჩხრეკის დაწყების წინ გამომძიებელი, პროკურორი წინადადებას აძლევენ, ნებაყოფლობით გადასცენ საძებნი საგანი, დოკუმენტი. გადაცემის შემთხვევაში უნდა შედგეს ამოღების ოქმი, თუ გადაცემა მოხდა სრულად და აღარ ჩატარდა (გაგრძელდა) ჩხრეკა. მაგრამ თუ საგანს, დოკუმენტს არ გადასცემენ ან არასრულად გადასცემენ (არსებობს ეჭვი, რომ არასრულად გადასცეს), უნდა ჩატარდეს ჩხრეკა და შედგეს ჩხრეკის ოქმი, თუნდაც ჩხრეკის შედეგად საერთოდ არაფერი, ან ნებაყოფლობით უკვე გადაცემული საგნის (დოკუმენტის) გარდა სხვა აღარაფერი იქნეს ამოღებული (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 315-ე, 316-ე მუხლების კომენტარები).

8. ჩხრეკისას იძებნება და ამოიღება ის საგანი, დოკუმენტი, რაც აღნიშნულია მოსამართლის (სასამართლოს) ბრძანებაში, დადგენილებაში (განჩინებაში), პროკურორის (გამომძიებლის) დადგენილებაში.

9. ბრძანებაში, დადგენილებაში (განჩინებაში) პირდაპირ მითითებული საგნის (დოკუმენტის) გარდა ამოღებულ უნდა იქნეს აგრეთვე სხვა საგანი, დოკუმენტი, ნივთი, რასაც მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს (ალბათობის გარკვეული ხარისხით შეიძლება ჰქონდეს) ამ სისხლის სამართლის საქმისათვის, ან აშკარად მიუთითებს სხვა დანაშაულის ჩადენაზე, ასევე – ნივთი, რომლის შენახვაც კანონმდებლობით აკრძალულია.

10. ჩხრეკის, ამოღების დროს აღმოჩენილი ყველა საგანი, დოკუმენტი, მათ ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს და დაწვრილებით აღიწეროს ოქმში, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში – უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. შეფუთულ ნივთზე ლუქის გარდა უნდა აღინიშნოს თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, ვინც მონაწილეობდნენ საგამოძიებო მოქმედებაში.

11. ამოღების, ჩხრეკის ჩატარებისას გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ, გააღონ დაკეტილი სათავსი, საცავი, თუ პირი უარს ამბობს ნებაყოფლობით გააღოს იგი. ამასთან, შეძლებისდაგვარად უნდა მოერიდონ საკეტის, კარის, სხვა საგნის დაზიანებას და ბინაში, სხვა გასაჩხრეკ სადგომში წესრიგის დარღვევას.

12. გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ, ამოღების, ჩხრეკის ადგილზე მყოფ პირს ან იქ მისულ პირს აუკრძალონ წასვლა, ერთმანეთთან ან სხვა პირთან ურთიერთობა ამოღების, ჩხრეკის დამთავრებამდე.

მუხლი 324. უკანონო და უსაფუძვლო ამოღებისა და ჩხრეკის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

1. თუ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას არ აღმოჩნდა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი ან დოკუმენტი, იმ პირს, რომელთანაც ტარდებოდა ეს საგამოძიებო მოქმედება, ბოდიში უნდა მოუხადონ, ხოლო თუ ის მოითხოვს, ეს უნდა გაკეთდეს წერილობით.

2. ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შემდეგ, თუ არ აღმოჩნდა მოსაძებნი საგანი ან დოკუმენტი, გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებულია უზრუნველყოს სადგომში წესრიგის აღდგენა და იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მოქალაქეს მიადგა ამოღების ან ჩხრეკის შედეგად.

3. თუ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას დაირღვა ამ საგამოძიებო მოქმედების კანონით დადგენილი წესი, ამოღებული საგანი ან დოკუმენტი არ იძენს ან კარგავს მტკიცებულების მნიშვნელობას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრალდებისა და გამამტყუნებელი განაჩენის დასასაბუთებლად.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი ჩხრეკის, ამოღების ჩატარება პირს უფლებას ანიჭებს, მოითხოვოს დარღვეული უფლებების აღდგენა.

2. თუ ამოღების, ჩხრეკის ჩატარებისას არ აღმოჩნდა სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, იმ პირს, რომელთანაც ტარდებოდა ეს საგამოძიებო მოქმედება, ბოდიში უნდა მოუხადონ, ხოლო თუ ის მოითხოვს, ეს უნდა გაკეთდეს წერილობით.

3. ამოღების, ჩხრეკის ჩატარების შემდეგ, თუ არ აღმოჩნდა მოსაძებნი საგანი, დოკუმენტი, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, უზრუნველყონ სადგომში წესრიგის აღდგენა და იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მოქალაქეს მიადგა ამოღების, ჩხრეკის შედეგად.

4. თუ დადგინდა, რომ ამოღების, ჩხრეკის ჩატარებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, ამოღებული საგანი, დოკუმენტი არ იძენს ან კარგავს მტკიცებულების მნიშვნელობას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ბრალდების, ისე გამამტყუნებელი განაჩენის დასასაბუთებლად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე, 290-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 325. პირადი ჩხრეკა და ამოღება

1. ამ კოდექსის 316-ე-317-ე მუხლებში აღნიშნული საფუძვლების არსებობისას გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს ამოიღოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი ან დოკუმენტი, რომელიც აღმოჩენილია პირის ტანსაცმელზე, მის ხელთ არსებულ ნივთებში ან სხეულზე.

2. პირადი ჩხრეკა ან ამოღება ტარდება 321-324-ე და 326-327-ე მუხლებში აღნიშნული წესებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) გარეშე პირადი ჩხრეკა ან ამოღება შეიძლება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ 142-ე მუხლის შესაბამისად, ეჭვმიტანილის შეპყრობისას არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მას თან აქვს იარაღი ან ცდილობს თავიდან მოიშოროს მტკიცებულება, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში;

ბ) ამ კოდექსის 145-ე მუხლის მიხედვით პოლიციაში ეჭვმიტანილის მიყვანის შემდეგ დაკავების ოქმის შედგენისას.

გ) ბრალდებულის დაპატიმრებისას, თუ საკმარისი საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ მას თან აქვს იარაღი, საგანი, რომლის შენახვაც კანონით იკრძალება, ანდა საგანი ან დოკუმენტი, რომელსაც საქმისათვის მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს;

დ) თუ საკმარისი საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების ადგილას მყოფი პირი მალავს ამოსაღებ საგანს ან დოკუმენტს.

4. პირადი ჩხრეკა და პირისაგან საგნის, ნივთისა თუ დოკუმენტის ამოღება, რასაც თან სდევს გაშიშვლება, უნდა ჩაატაროს იმავე სქესის თანამდებობის პირმა, ასევე იმავე სქესის სპეციალისტმა თუ ის მოწვეულია.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. პირადი ჩხრეკა და ამოღება ნიშნავს საგნის, დოკუმენტის ამოღებას პირის:

– ტანსაცმლიდან;

– ხელთ არსებული ნივთებიდან;

– სხეულიდან.

2. პირადი ჩხრეკა და ამოღება ტარდება იმავე მიზნითა და იმავე ფაქტობრივი საფუძვლების არსებობისას, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 315-317-ე მუხლებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 315-ე, 316-ე, 317-ე მუხლების კომენტარები).

3. პირადი ჩხრეკის, ამოღების ჩატარების უფლებამოსილება გააჩნია:

– პროკურორს;

– გამომძიებელს;

– ეჭვმიტანილის დაკავებისას – დამკავებელ თანამდებობის პირს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის კომენტარები).

4. პირადი ჩხრეკის, ამოღების სამართლებრივი საფუძვლები იგივეა, რაც ზოგადად ჩხრეკისა და ამოღებისა – მოსამართლის ბრძანება ან, გადაუდებელი აუცილებლობისას, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილება. ამასთან, გამონაკლისის სახით, დაშვებულია დაკავებისას დაკავებულის პირადი ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება ბრძანების, დადგენილების გარეშე, ანუ პირად ჩხრეკასთან, ამოღებასთან მიმართებით დადგენილია როგორც ზოგადი წესების მსგავსი, ასევე – სპეციფიკური სამართლებრივი რეჟიმიც, კერძოდ:

– მოსამართლის (სასამართლო) ბრძანების, დადგენილების (განჩინების) გარეშე, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილებით, პირადი ჩხრეკის, ამოღების ჩატარება დასაშვებია, თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე, 290-ე მუხლების კომენტარები);

– ეჭვმიტანილის დაკავებისას დამკავებელი თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ჩაატაროს დაკავებულის პირადი ჩხრეკა მოსამართლის ბრძანების, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილების გარეშე, თუ არსებობს ეჭვი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი, ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში თავისი მამხილებელი მტკიცებულება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის კომენტარები).

5. მოსამართლის ბრძანების გარეშე პირადი ჩხრეკა, ამოღება შეიძლება ჩატარდეს ასევე, თუ საკმარისი საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ ამოღების, ჩხრეკის ჩატარების ადგილას მყოფი პირი მალავს ამოსაღებ საგანს, დოკუმენტს.

6. პირადი ჩხრეკა და ამოღება, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს ადგილზე, რაშიც იგულისხმება, რომ პირადი ჩხრეკა უნდა ჩატარდეს ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) დაკავების ადგილზე, ან იმ ადგილზე, სადაც იმყოფება პირი, რომლის მიმართაც მიღებულია გადაწყვეტილება პირადი ჩხრეკის, ამოღების ჩატარების შესახებ.

7. დაკავების ადგილიდან გარკვეული მანძილით (რამდენიმე მეტრის) დაშორებით პირადი ჩხრეკის ჩატარება ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ჩხრეკა არ ჩატარდა დაკავების ადგილზე, თუ სახეზეა ობიექტური გარემოებები. მაგ.:

ა) ეჭვმიტანილი დააკავეს (შეიპყრეს) ქუჩაში, ღამის საათებში. მას პირადი ჩხრეკა ჩაუტარდა დაკავების ზუსტი ადგილიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით, იმის გამო, რომ დაკავების ადგილზე არ იყო განათება, ხოლო რამდენიმე მეტრში ქუჩა განათებული იყო;

ბ) ეჭვმიტანილი დააკავეს ქუჩაში, ხოლო პირადი ჩხრეკა დაკავშირებულია გაშიშვლებასთან, რის გამოც, იგი მიიყვანეს ახლომდებარე ნაგებობაში (მაგ.: ჯიხურში), სადაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით ჩატარდა პირადი ჩხრეკა.

8. ამასთან, დაკავებისა და ჩხრეკის ადგილს შორის დაცილება უმნიშვნელო უნდა იყოს და იგი ფაქტობრივად უნდა აღიქმებოდეს, როგორც დაკავების ადგილი.

9. თუ დაკავებულს დაკავებისთანავე უტარდება პირადი ჩხრეკა, ამოღება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლით დადგენილი წესით, ჩხრეკის, ამოღების მიმდინარეობა და შედეგები შეიტანება დაკავების ოქმში და ცალკე ოქმი ჩხრეკის, ამოღების შესახებ არ დგება. ამ შემთხვევაში დაკავების ოქმი (რომელშიც შეიტანება ჩხრეკის, ამოღების შესახებ მონაცემები და რომელიც ფაქტობრივად არის „დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი“), როგორც წესი, უნდა შედგეს დაკავების ადგილზე. ამასთან, ობიექტური გარემოებების არსებობისას ოქმი შეიძლება, შედგეს დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის შემდეგ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე, 326-ე მუხლების კომენტარები).

10. თუ დაკავებისას პირს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, ამოღება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლით დადგენილი წესით და ცალ-ცალკე შედგა დაკავების ოქმი და პირადი ჩხრეკის, ამოღების ოქმი, მხოლოდ ეს გარემოება (ერთი ოქმის ნაცვლად ორის შედგენა) არ წარმოადგენს ჩხრეკის, ამოღებისა და მისი შედეგების დაუშვებლად ცნობის საფუძველს.

11. პირადი ჩხრეკის, ამოღების ჩატარება დაკავების ადგილზე ყველა შემთხვევაში არ გულისხმობს ჩხრეკის, ამოღებისა და მის საპროცესო გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის დასრულებას დაკავების (ჩხრეკის) ადგილზევე. პირადი ჩხრეკა, ამოღება, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს დაკავების ადგილზე. ამასთან, ობიექტური ხელისშემშლელი გარემოებების არსებობისას პირადი ჩხრეკის, ამოღების საპროცესო გაფორმება (დაკავების ოქმის (რომელში ასახული იქნება ჩხრეკის მონაცემებიც) შედგენა) შეიძლება დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის შემდეგაც.

12. პირადი ჩხრეკის დაკავების ადგილზე ჩატარების ვალდებულების საკითხის განმარტებისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს პირადი ჩხრეკა, ამოღება, როგორც მოქმედება საგნის (დოკუმენტის) ამოსაღებად და ამ მოქმედების საპროცესო გაფორმება (დამაგრება) – ოქმის შედგენა. პირადი ჩხრეკა ან ამოღება (ანუ თვით ეს პროცედურა) დამთავრებულად ითვლება გასაჩხრეკი პირისაგან ამოსაღები ნივთის (დოკუმენტის) ჩხრეკის ან ამოღების მწარმოებელი პირის ხელში გადასვლით. სწორედ ეს პროცედურა უნდა ჩატარდეს ყველა შემთხვევაში დაკავების ადგილზე. ამის შემდეგ, თუ არსებობს (წარმოიშვა) ჩხრეკის ან ამოღების საპროცესო გაფორმების (შესაბამისი ოქმის) შედგენის ობიექტური ხელისშემშლელი გარემოებები, დაკავებული (გაჩხრეკილი) პირი უნდა წაიყვანონ პოლიციის (ან სხვა შესაბამის) ორგანოში, სადაც უნდა შედგეს შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ოქმები. ოქმის შედგენისას ყველა შემთხვევაში უნდა მიეთითოს, რომ ჩხრეკა ან ამოღება ჩატარდა დაკავების ადგილზე, ასევე უნდა მიეთითოს იმ გარემოების შესახებ, რამაც ხელი შეუშალა ოქმის (ოქმების) ადგილზე შედგენას.

13. თუ დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში მიყვანისა და მისი მონაწილეობით შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მისი განთავისუფლების შესახებ, დაკავებული უნდა მოთავსდეს დაკავებულთა მოთავსების ადგილზე (საკანში) და მანამდე მას უნდა ჩაუტარდეს პირადი ჩხრეკა დაკავებულისათვის აკრძალული ნივთების ჩამოსართმევად (და არა სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების ამოსაღებად, რაც უნდა მომხდარიყო დაკავების ადგილზევე).

14. პირადი ჩხრეკა და პირისაგან საგნის, ნივთის, დოკუმენტის ამოღება, რასაც თან სდევს გაშიშვლება, უნდა ჩაატაროს იმავე (გასაჩხრეკი პირის) სქესის თანამდებობის პირმა, იმავე სქესის პირთა (მაგ.: დამსწრის, სპეციალისტის და ა.შ.) შესაძლო მონაწილეობით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 315-324-ე მუხლების, 326-ე, 327-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 326. ამოღებისა და ჩხრეკის ოქმი

1. ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ გამომძიებელი, პროკურორი, აგრეთვე ამ კოდექსის 145-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული პირები ადგენენ ოქმს ამ კოდექსის 287-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ ამოღების ან ჩხრეკის ჩამტარებელი თანამდებობის

პირი, დამსწრე, სპეციალისტი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ჩატარდა ჩხრეკა ან ამოღება, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – ამ კოდექსის 321-ე მუხლში აღნიშნულ პირთაგან ერთ-ერთი.

2. **ოქმში მითითებული უნდა იყოს, რა ადგილას და რა ვითარებაშია აღმოჩენილი საგანი ან დოკუმენტი, ნებაყოფლობითაა ის გადაცემული, თუ – იძულებით ჩამორთმეული. ყველა ჩამორთმეული საგანი და დოკუმენტი ოქმში უნდა აღინიშნოს მათი რაოდენობის, წონის, ღირებულების (თუ ეს შესაძლებელია), ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნების მითითებით.**

3. **თუ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას იყო მცდელობა, გაენადგურებინათ და გადაემალათ მოსაძებნი საგანი ან დოკუმენტი, ანდა თუ გასაჩხრეკმა ან სხვა პირმა წინააღმდეგობა გასწია, ეს უნდა აღინიშნოს ოქმში. ოქმში ასევე უნდა აღინიშნოს გამომძიებლის, პროკურორის, აგრეთვე ამ კოდექსის 145-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული პირების მიერ განხორციელებული ღონისძიებანი.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. ამოღების ან ჩხრეკის საპროცესო დამაგრების საშუალება არის ამოღების ან ჩხრეკის ოქმი.

2. ამოღების, ჩხრეკის ჩატარების შედეგად მტკიცებულებით მნიშვნელობას იძენს ამოღების, ჩხრეკის ოქმი და ამოღებული ნივთმტკიცებები.

3. ეჭვმიტანილის დაკავებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლით დადგენილი წესით ჩხრეკის ჩატარებისას ჩხრეკის, ამოღების შესახებ მონაცემები შეიტანება დაკავების ოქმში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე, 325-ე მუხლების კომენტარები).

4. ამოღების, ჩხრეკის ოქმს ადგენს:

– გამომძიებელი;

– პროკურორი.

5. ეჭვმიტანილის დაკავებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლით დადგენილი წესით ჩხრეკის ჩატარებისას ოქმს ადგენს დამკავებელი თანამდებობის პირი.

6. ჩხრეკის, ამოღების ოქმი დგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე, 325-ე მუხლების კომენტარები).

7. ჩხრეკის, ამოღების ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ:

– ჩხრეკის, ამოღების ჩამტარებელი თანამდებობის პირი;

– დამსწრე;

– სპეციალისტი;

– პირი, რომელთანაც ჩატარდა ჩხრეკა, ამოღება;

– ამ პირის არყოფნის შემთხვევაში — მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრი ან სახლის მფლობელი ან/და ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი;

– საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი (წარმომადგენელი) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე, 321-ე მუხლების კომენტარები).

8. ჩხრეკის, ამოღების ოქმში უნდა მიეთითოს:

– რა ადგილას და რა ვითარებაშია აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი;

– ნებაყოფლობით არის ის გადაცემული, თუ – იძულებით ჩამორთმეული;

9. ყველა ჩამორთმეული საგანი, დოკუმენტი ჩხრეკის, ამოღების ოქმში უნდა აღინიშნოს მისი:

– რაოდენობის მითითებით;

– წონის მითითებით;

– ღირებულების მითითებით;

– ინდივიდუალური ნიშნების მითითებით;

– გვარეობითი ნიშნების მითითებით.

10. ამოღებული ნივთის, საგნის წონა და ღირებულება ოქმში უნდა მიეთითოს იმ შემთხვევაში, თუ ეს გარემოებები ამოღების (ოქმის შედგენის) დროისათვის გარკვეულია (შესაძლებელია მათი გარკვევა). მაგ.: ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა 4 აბი რაღაც პრეპარატი (სავარაუდოდ, „სუბოტექსი“). ჩხრეკის ოქმში უნდა მიეთითოს რაოდენობა (4 აბი), აღწერილობა (თეთრი ფერის, წარწერით „B-8“ და ა.შ.). ბუნებრივია, ვერ იქნება მითითებული წონა და ნარკოტიკული საშუალების შემცველობა. ამ საკითხებს გაარკვევს და პასუხს გასცემს ექსპერტი.

11. თუ ამოღების, ჩხრეკის ჩატარებისას იყო მცდელობა, გაენადგურებინათ და გადაემალათ მოსაძებნი საგანი, დოკუმენტი, ანდა თუ გასაჩხრეკმა პირმა ან სხვა პირმა წინააღმდეგობა გასწია, ეს უნდა აღინიშნოს ოქმში. ოქმში ასევე უნდა აღინიშნოს ზემოაღნიშნული ქმედებების აღსაკვეთად გამომძიებლის, პროკურორის, დამკავებელი თანამდებობის პირის მიერ განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 327. ამოღების ან ჩხრეკის ოქმის ასლის გადაცემა

1. **ამოღების ან ჩხრეკის ოქმის ასლი ხელმოწერით გადაეცემა პირს, რომელთანაც ჩატარდა ამოღება ან ჩხრეკა, ან მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – სახლის პატრონს ანდა ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს იმ წარმომადგენელს, რომელიც ჩხრეკას ესწრებოდა.**
2. **თუ ამოღება ან ჩხრეკა ტარდებოდა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, ოქმის ასლი ხელმოწერით გადაეცემა შესაბამის ადმინისტრაციას ან დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს.**

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178)

1. ამოღების ან ჩხრეკის ოქმის ასლი ხელმოწერით გადაეცემა პირს, რომელთანაც ჩატარდა ამოღება ან ჩხრეკა, ან მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – სახლის პატრონს ანდა ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს იმ წარმომადგენელს, რომელიც ჩხრეკას ესწრებოდა, ან დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, ან დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელს (წარმომადგენელს).

2. დაკავების ოქმის ასლის მიღებას პირი ადასტურებს ხელმოწერით ოქმის პირველი პირის (რომელიც რჩება გამომძიებელთან) შესაბამის გრაფაში, ან ოქმის ასლის გადაცემის შესახებ დგება ცალკე ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ ასლის გადამცემი თანამდებობის პირი და ასლის მიმღები პირი.

3. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ოქმის ასლის ჩაბარება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, ოქმის ასლის მიღების უფლებამოსილების მქონე სხვა პირის უფლებამოსილებაა და არა – ვალდებულება. მათ შეიძლება უარი განაცხადონ ასლის მიღებაზე, ან მიიღონ ასლი, მაგრამ უარი განაცხადონ ხელმოწერაზე, რომ მიიღეს ოქმის ასლი. ასეთ შემთხვევაში ოქმში უნდა გაკეთდეს ჩანაწერი, ან შედგეს ცალკე ოქმი იმის თაობაზე, რომ პირმა უარი განაცხადა ოქმის ასლის მიღებაზე, ან მიიღო ასლი, მაგრამ უარი განაცხადა ასლის მიღების ფაქტის ხელმოწერით დადასტურებაზე.

მუხლი 328. ამოღება და ჩხრეკა დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან

1. ამოღების ან ჩხრეკის ჩატარება დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში შეიძლება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თხოვნით ან თანხმობით.

2. ამოღების ან ჩხრეკის ჩასატარებლად დიპლომატიური წარმომადგენლის ან მისი ოჯახის წევრების თანხმობის გამოთხოვა ხდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.

3. დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების მიერ დაკავებულ შენობაში ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას აუცილებელია პროკურორისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის დასწრება.

1. დაუშვებელია დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, მისი ოჯახის წევრების მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში ამოღების ან ჩხრეკის ჩატარება დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის წინასწარი თანხმობის ან მისივე თხოვნის გარეშე.

2. თანხმობის გამოთხოვა უნდა მოხდეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.

3. სავალდებულოა პროკურორისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის დასწრება დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, მისი ოჯახის წევრების მიერ დაკავებულ შენობაში ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას.

მუხლი 329. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე ყადაღის დადება და ამოღება

1. თუ საკმარისი საფუძველი არსებობს ვარაუდისთვის, რომ საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი შეიცავს ცნობას ჩადენილი დანაშაულის, მიმალული ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ადგილსამყოფლის შესახებ, ანდა სისხლის სამართლის საქმისათვის მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს ან საგანს, პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი მოსამართლეს მიმართავს შუამდგომლობით ამ საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე ყადაღის დადების შესახებ.
2. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დაყადაღება ნიშნავს, რომ იკრძალება ადრესატისათვის მისი გადაცემა და მისი მიღების ფაქტის შეტყობინება მოსამართლის საგანგებო განკარგულებამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტამდე ან განაჩენის გამოტანამდე.
3. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილს განეკუთვნება ყველა სახის წერილი, დეპეშა, რადიოგრამა, ბანდეროლი, ამანათი, საფოსტო კონტეინერი, ტელექსით, ფაქსით ან კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინება.
4. მოსამართლის ბრძანებაში საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დაყადაღებისა და ამოღების შესახებ, გარდა ამ კოდექსის 293-ე მუხლით გათვალისწინებული ზოგადი ცნობებისა, მითითებული უნდა იყოს: იმ პირის სახელი და გვარი, ვისაც ეგზავნება დასაყადაღებელი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი; გამგზავნის სახელი და გვარი, მისამართი — თუ არის ცნობა ამის შესახებ; დაყადაღებული საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის სახე; ყადაღის დადების ვადა; იმ საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულების დასახელება, რომელსაც ევალება დააკავოს საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი; გამომძიებლის და პროკურორის უფლება საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დათვალიერებასა და ამოღებაზე.
5. მომკვლევი, გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებულია საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დათვალიერება და ამოღება ჩაატაროს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით). დათვალიერებისა და ამოღების ოქმი დაყადაღებულ საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილთან ერთად დაუყოვნებლივ იგზავნება სასამართლოში.
6. გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებულია საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დათვალიერება და ამოღება ჩაატაროს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით). დათვალიერე-

ბისა და ამოღების ოქმი დაყადაღებულ საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილთან ერთად დაუყოვნებლივ იგზავნება სასამართლოში.

7. **მოსამართლის ბრძანება ან სასამართლო განჩინება (დადგენილება) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დაყადაღებისა და ამოღების შესახებ გამომძიებელმა ან პროკურორმა უნდა წარუდგინოს შესაბამისი საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულების უფროსს. მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) შეუსრულებლობა ან გახმაურება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.**
8. **საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულების უფროსი აჩერებს მოსამართლის ბრძანებაში ან სასამართლო განჩინებაში (დადგენილებაში) აღნიშნულ კორესპონდენციას, სხვა გზავნილებს და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს გამომძიებელს ან პროკურორს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილს ყადაღა ედება, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი შეიცავს:

– ცნობას ჩადენილი დანაშაულის შესახებ;

– ცნობას მიმალული ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ადგილსამყოფლის შესახებ;

– სისხლის სამართლის საქმისათვის მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს, საგანს.

2. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობით წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ პროკურორს, გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 193-ე, 233-ე, 291-ე მუხლების კომენტარები).

3. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დაყადაღება ნიშნავს, რომ იკრძალება ადრესატისათვის მისი გადაცემა, აგრეთვე იკრძალება ადრესატისათვის საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის მიღების ფაქტის შეტყობინება:

– მოსამართლის საგანგებო განკარგულებამდე;

– სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე;

– წინასწარი გამოძიების შეწყვეტამდე;

– სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტამდე;

– განაჩენის გამოტანამდე.

4. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილს განეკუთვნება ყველა სახის:

– წერილი;

– დეპეშა;

– რადიოგრამა;

– ბანდეროლი;

– ამანათი;

– საფოსტო კონტეინერი;

– ტელექსით მიღებული შეტყობინება;

– ფაქსით მიღებული შეტყობინება;

– კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინება.

5. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დაყადაღებისა და ამოღების შესახებ მოსამართლის ბრძანებაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლით გათვალისწინებული მონაცემების გარდა, ასევე უნდა მიეთითოს:

– იმ პირის სახელი, გვარი, ვისაც ეგზავნება დასაყადაღებელი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი;

– გამგზავნის სახელი, გვარი, მისამართი (თუ არის ცნობა ამის შესახებ);

– დაყადაღებული საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის სახე;

– ყადაღის დადების ვადა;

– იმ საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულების დასახელება, რომელსაც ევალება საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დაკავება;

– გამომძიებლის, პროკურორის უფლება საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დათვალიერებასა და ამოღებაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლის კომენტარები).

6. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილს ყადაღა შეიძლება დაედოს აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით).

7. გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დათვალიერება და ამოღება ჩაატარონ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით). ამასთან, დათვალიერებისა და ამოღების ოქმი დაყადაღებულ საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილთან ერთად დაუყოვნებლივ იგზავნება სასამართლოში.

8. მოსამართლის (სასამართლო) ბრძანება, დადგენილება (განჩინება) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დაყადაღებისა და ამოღების შესახებ გამომძიებელმა, პროკურორმა უნდა წარუდგინონ შესაბამისი საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულების უფროსს და გააფრთხილონ მისი შეუსრულებლობის ან გახმაურების შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე, 274-ე მუხლების კომენტარები).

9. საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულების უფროსმა უნდა შეაჩეროს (არ გადასცეს ადრესატს) მოსამართლის (სასამართლოს) ბრძანებაში, დადგენილებაში (განჩინებაში) აღნიშნული კორესპონდენცია, სხვა გზავნილი და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს გამომძიებელს, პროკურორს.

მუხლი 330. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დათვალიერება და ამოღება

1. საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებაში გამომძიებელი ან პროკურორი აღნიშნული დაწესებულების წარმომადგენლის მონაწილეობით, ხოლო თუ საჭიროა – შესაბამისი სპეციალისტის მონაწილეობით ხსნის და ათვალი-

ერებს დაყადაღებულ საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილს. თუ გამომძიებელმა ან პროკურორმა აღმოაჩინა სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ცნობა, დოკუმენტი ან საგანი, მან უნდა ამოიღოს შესაბამისი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი ან გადაიღოს მისი ასლი. სისხლის სამართლის საქმისათვის მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ცნობის, დოკუმენტის ან საგნის არარსებობის შემთხვევაში გამომძიებელი ან პროკურორი იძლევა მითითებას, დათვალიერებული საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი გადასცენ ადრესატს ან შეაჩერონ ის მოსამართლის ბრძანებაში ან სასამართლო განჩინებაში (დადგენილებაში) მითითებული ვადით.

2. **შეჩერებული გზავნილის დათვალიერების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება, რომელი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი დაათვალიერეს და ამოიღეს, რომელი უნდა გადაეცეს ადრესატს ან დროებით შეჩერდეს, რომელი კორესპონდენციის ასლი გადაიღეს, რა ტექნიკური საშუალება გამოიყენეს და რა გამოვლინდა ამის შედეგად. ოქმს ხელს აწერს თანამდებობის პირი, რომელმაც ჩაატარა დათვალიერება და ამოღება, აგრეთვე ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული სხვა პირები.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. დაყადაღებულ საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილს ხსნიან და ათვალიერებენ გამომძიებელი, პროკურორი ამ საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულების წარმომადგენლის და, საჭიროების შემთხვევაში, — შესაბამისი სპეციალისტის მონაწილეობით.

2. თუ გამომძიებელმა, პროკურორმა აღმოაჩინეს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ცნობა, დოკუმენტი, საგანი, მათ:

– ან უნდა ამოიღონ შესაბამისი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი;

– ან უნდა გადაიღონ შესაბამისი დოკუმენტის ასლი.

3. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილში სისხლის სამართლის საქმისათვის მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ცნობის, დოკუმენტის, საგნის არარსებობის შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი, სისხლის სამართლის საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, იღებენ ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას და იძლევიან შესაბამის მითითებას, რომ:

– ან დათვალიერებული საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი გადასცენ ადრესატს;

– ან შეაჩერონ საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის გადაცემა გარკვეული ვადით.

4. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დათვალიერების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება:

– რომელი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი დაათვალიერეს;

– საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი ამოიღეს თუ არა;

– საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი უნდა გადაეცეს თუ არა ადრესატს;

– უნდა შეჩერდეს თუ არა საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის გადაცემა და რა ვადით;

– რომელი კორესპონდენციის ასლი გადაიღეს;

– რა ტექნიკური საშუალება გამოიყენეს;

– რა გამოვლინდა ტექნიკური საშუალების გამოყენების შედეგად.

5. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დათვალიერების (ან დათვალიერებისა და ამოღების) ოქმს ხელს აწერენ:

– თანამდებობის პირი, რომელმაც ჩაატარა დათვალიერება და ამოღება;

– საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულების წარმომადგენელი;

– სპეციალისტი (იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეობდა).

მუხლი 331. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე დადებული ყადაღის მოხსნა

საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე ყადაღას აუქმებს მოსამართლე პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის შუამდგომლობით, ანდა სასამართლო, როცა ამ ზომის გამოყენება აღარ არის საჭირო. ყველა შემთხვევაში ყადაღა უნდა მოიხსნას სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტისთანავე ან განაჩენის გამოტანისთანავე.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიების ეტაპზე საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე ყადაღა უქმდება:

– მოსამართლის დადგენილებით, რომელიც გამოიტანება პროკურორის, პროკურორის თანხმობით, გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე;

– სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში;

– წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში;

– სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში.

2. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე ყადაღას აუქმებს სასამართლო:

– როდესაც მისი გამოყენება საჭირო აღარ არის;

– სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში;

– განაჩენით.

მუხლი 332. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის უკანონო ან უსაფუძვლო დაყადაღებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

1. პირს, რომელმაც შეიტყო მისთვის გამოგზავნილი ან მის მიერ გაგზავნილი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დაყადაღების, დათვალიერებისა და ამოღების შესახებ, უფლება აქვს ამ მოქმედების უკანონობის ან უსაფუძვ-

ლობის გამო საჩივრით მიმართოს შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, აგრეთვე საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას, სადაც მის საჩივარს ერთპიროვნულად განიხილავს მოსამართლე მომჩივნის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობით. თუ საჩივარი საფუძვლიანად ცნეს, მომჩივანს წერილობით უნდა მოუხადოს ბოდიში ბრძანების გამცემმა მოსამართლემ. მომჩივანს აგრეთვე უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის მატერიალური ანაზღაურება და დამნაშავე პირის დასჯა.

2. **საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის უკანონო დაყადაღების, დათვალიერებისა და ამოღების შედეგად მიღებული მასალა, დოკუმენტი, საგანი არ შეიძლება მტკიცებულებად იქნეს გამოყენებული ბრალდებისა და გამამტყუნებელი განაჩენის დასასაბუთებლად.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე ყადაღის დადების თაობაზე ბრძანების გაცემისა და საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე ყადაღის დადების შესახებ გზავნილის გამგზავნ და მიმღებ პირებს არ ეცნობებათ. პირიქით, მათთვის ამ მონაცემების გამჟღავნება იწვევს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 274-ე, 329-ე მუხლების კომენტარები).

2. მიუხედავად ამისა, პირს, რომელმაც შეიტყო მისთვის გამოგზავნილი ან მის მიერ გაგზავნილი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დაყადაღების, დათვალიერებისა და ამოღების შესახებ, უფლება აქვს, ამ მოქმედების უკანონობის ან უსაფუძვლობის გამო, საჩივრით მიმართოს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას.

3. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს მომჩივნის (მისი წარმომადგენლის) მონაწილეობით.

4. თუ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს საფუძვლიანად ცნობს, მომჩივანს წერილობით ბოდიში უნდა მოუხადოს ბრძანების გამცემმა მოსამართლემ.

5. მომჩივანს უფლება აქვს აგრეთვე მოითხოვოს:

– მიყენებული მორალური ზიანის მატერიალური ანაზღაურება;

– დამნაშავე პირის დასჯა.

6. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის უკანონო დაყადაღების, დათვალიერებისა და ამოღების შედეგად მიღებული მასალა, დოკუმენტი, საგანი არ შეიძლება მტკიცებულებად იქნეს გამოყენებული:

– ბრალდების დასასაბუთებლად;

– გამამტყუნებელი განაჩენის დასასაბუთებლად.

თავი XXXIX
დათვალიერება

მუხლი 333. დათვალიერების მიზანი და სახეები

1. **დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევის მიზნით გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვთ დაათვალიერონ შემთხვევის ადგილი, გვამი, ადგილმდებარეობა, სადგომი, საგანი, დოკუმენტი ან სხვა ობიექტი.**
2. **ადამიანის სხეულის დათვალიერება ხდება შემოწმების ან ექსპერტიზის ჩატარებისას, ხოლო საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილისა – მისი დაყადაღებისა და ამოღების დროს.**
3. **ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების შედეგად აღმოჩენილი დოკუმენტის, საგნისა და კვალის დათვალიერება ხდება ამ საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. დათვალიერების მიზანია:
– დანაშაულის კვალის აღმოჩენა;
– ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენა;
– ქმედების ფაქტობრივი გარემოებების გარკვევა;
– სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევა.
2. დათვალიერების წარმოების უფლება აქვს:
– გამომძიებელს;
– პროკურორს.
3. შეიძლება დათვალიერებულ იქნეს:
– შემთხვევის ადგილი;
– გვამი;
– ადგილმდებარეობა;
– სადგომი;
– საგანი;
– დოკუმენტი;
– სხვა ობიექტი.
4. ადამიანის სხეულის დათვალიერება უნდა მოხდეს:
– შემოწმების ჩატარებისას;

– ექსპერტიზის ჩატარებისას.

5. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დათვალიერება უნდა მოხდეს მისი დაყადაღებისა და ამოღების დროს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე, 330-ე მუხლების კომენტარები).

6. ამოღების, ჩხრეკის ჩატარების შედეგად აღმოჩენილი დოკუმენტის, საგნის, კვალის დათვალიერება ხდება ამ საპროცესო მოქმედების ჩატარებისას და აღიწერება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმში.

მუხლი 334. ზოგადი დებულებები დათვალიერების წესის შესახებ

1. **დათვალიერებაში მონაწილეობისათვის შეიძლება მოწვეულ იქნენ სპეციალისტი და ექსპერტი, აგრეთვე ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი, სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეები.**
2. **აუცილებლობის შემთხვევაში დათვალიერებისას, გამომძიებელი ან პროკურორი აწარმოებს ფოტო და კინოგადაღებას, ხმის ჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ადგენს გეგმას, სქემას, ნახაზს, ამზადებს კვალის ტვიფრსა და ანაბეჭდებს.**
3. **დათვალიერებაში მონაწილე პირს უფლება აქვს გამომძიებლის ან პროკურორის ყურადღება მიაპყროს ყველაფერს, რამაც, მისი აზრით, შეიძლება ხელი შეუწყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოვლენას.**
4. **დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგნები თუ დოკუმენტები მათ ამოღებამდე უნდა წარუდგინონ დათვალიერების მონაწილეებს. ამასთან, უნდა მოხდეს მხოლოდ საქმესთან დაკავშირებული საგნის, დოკუმენტის, კვალის, ტვიფრის ან ანაბეჭდის ამოღება.**
5. **თუ ამოღებული საგნის, დოკუმენტისა და კვალის დასათვალიერებლად საჭიროა ხანგრძლივი დრო ან დამატებითი ტექნიკური საშუალება, დათვალიერება შეიძლება გაგრძელდეს გამოძიების ჩატარების ადგილას.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. გამომძიებელმა, პროკურორმა დათვალიერებაში მონაწილეობისათვის შეიძლება მოიწვიონ:

– სპეციალისტი;

– ექსპერტი;

– ეჭვმიტანილი (ბრალდებული);

– დამცველი;

– სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეები (დაზარალებული და სხვა).

2. დათვალიერებაში მონაწილე ზემოაღნიშნულ პირებს უფლება აქვთ, ხოლო ექსპერტი და სპეციალისტი ვალდებული არიან, გამომძიებლის, პროკურორის ყურადღება

მიაპყრონ ყველაფერს, რამაც, მათი აზრით, შეიძლება ხელი შეუწყოს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოვლენას.

3. დათვალიერებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

– ფოტოგადაღება;

– კინოგადაღება;

– ხმის ჩაწერა;

– ვიდეოჩაწერა.

4. ამასთან, ტექნიკური საშუალების გამოყენების შესახებ დათვალიერების მონაწილეებს წინასწარ უნდა ეცნობოს.

5. დათვალიერებისას შეიძლება შედგეს (დამზადდეს):

– გეგმა;

– სქემა;

– ნახაზი;

– კვალის ტვიფრი;

– ანაბეჭდი.

6. დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი მის ამოღებამდე უნდა წარუდგინონ დათვალიერების მონაწილეებს.

7. ამოღებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული (სავარაუდოდ დაკავშირებული):

– საგანი;

– დოკუმენტი;

– კვალი;

– ტვიფრი;

– ანაბეჭდი.

8. ამოღებული საგნების დათვალიერება, როგორც წესი, ხდება ადგილზე, თუმცა დათვალიერება შეიძლება გაგრძელდეს წინასწარი გამოძიების ჩატარების ადგილას, თუ ამოღებული საგნის, დოკუმენტის, კვალის დასათვალიერებლად საჭიროა:

– ხანგრძლივი დრო;

– დამატებითი ტექნიკური საშუალება.

მუხლი 335. შემთხვევის ადგილის დათვალიერება

1. **შემთხვევის ადგილის დათვალიერება ტარდება იქ, სადაც მოხდა დანაშაული ან აღმოჩენილია მისი კვალი. დათვალიერების დამთავრებამდე შემთხვევის ადგილი დაცული უნდა იყოს.**
2. **(ამოღებულია).**
3. **პირმა, რომელიც დათვალიერებას ატარებს, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული საგანი და დოკუმენტი, აგრეთვე კვალის ტვიფრი და ანაბეჭდი უნდა შეფუთოს და დალუქოს, შეფუთულ საგანზე, ლუქის გარდა, აღინიშნება საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირთა ხელმოწერები და თარიღი.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. შემთხვევის ადგილის დათვალიერება დათვალიერების ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა.

2. შემთხვევის ადგილში იგულისხმება:

– ადგილი, სადაც უშუალოდ განხორციელდა დანაშაულებრივი ქმედება (მოხდა დანაშაული);

– ადგილი, სადაც აღმოჩენილია დანაშაულის კვალი.

3. შემთხვევის ადგილის დათვალიერება, როგორც წესი, არის გადაუდებელი და შეუცვლელი (განუმეორებელი) საგამოძიებო მოქმედება.

4. „გადაუდებლობაში“ იგულისხმება ის, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ, რაც შეიძლება სწრაფად, რადგანაც დრო ცვლის შემთხვევის ადგილის თავდაპირველ სურათს და ზრდის მტკიცებულებათა დაკარგვის ალბათობას.

5. „შეუცვლელობაში (განუმეორებლობაში)“ იგულისხმება ის, რომ შემთხვევის ადგილის იმ მდგომარეობაში დათვალიერება, რაც შეიქმნა დანაშაულის შემდეგ, შეიძლება მხოლოდ დაუყოვნებლივ, რადგანაც გარკვეული დროის შემდეგ შემთხვევის ადგილის თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა თითქმის შეუძლებელია.

6. დათვალიერების დამთავრებამდე შემთხვევის ადგილი დაცული უნდა იყოს. გამომძიებელმა, პროკურორმა, როგორც კი მიიღებენ ინფორმაციას ისეთი დანაშაულის ჩადენის შესახებ, რაც წარმოშობს შემთხვევის ადგილის დათვალიერების აუცილებლობას, დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები შემთხვევის ადგილის დასაცავად (მაგ.: გააგზავნოს პოლიციის თანამშრომელი შემთხვევის ადგილზე. პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, დაიცვას შემთხვევის ადგილი გამომძიებლის, პროკურორის მისვლამდე).

7. უნდა შეიფუთოს და დაილუქოს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული:

– საგანი;

– დოკუმენტი;

– კვალის ტვიფრი;

– კვალის ანაბეჭდი.

8. შეფუთულ საგანზე, ლუქის გარდა, უნდა აღინიშნოს:

– საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირების ხელმოწერები;

– თარიღი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე, 339-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 336. გვამის დათვალიერება

1. **გვამის გარეგნულ დათვალიერებას ატარებს გამომძიებელი ან პროკურორი სასამართლო ექსპერტის მონაწილეობით, ხოლო თუ სასამართლო ექსპერტის მონაწილეობა შეუძლებელია – სხვა ექიმის მონაწილეობით. საჭიროების შემთხვევაში, გვამის დასათვალიერებლად შეიძლება მოწვეულ იქნეს სხვა სპეციალისტიც.**
2. **ამოუცნობი გვამის დაქტილოსკოპირება სავალდებულოა. გვამის დათვალიერებისას შეიძლება საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშის აღება 375-384-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.**

3. ამოუცნობი გვამის დამარხვა ან კრემაცია პროკურორის ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. შემთხვევის ადგილზე გვამის გარეგნულ დათვალიერებას ახდენენ გამომძიებელი, პროკურორი.

2. გვამის გარეგნული დათვალიერება უნდა მოხდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის, ხოლო მისი მოწვევის შეუძლებლობის შემთხვევაში — სხვა ექიმის მონაწილეობით.

3. საჭიროების შემთხვევაში გვამის დასათვალიერებლად შეიძლება მოწვეულ იქნეს სხვა სპეციალისტიც.

4. ამოუცნობი გვამის დაქტილოსკოპირება სავალდებულოა. დაქტილოსკოპირებას ახდენენ გამომძიებელი, პროკურორი ან მის მიერ მიწვეული შესაბამისი დარგის სპეციალისტი (ექსპერტი).

5. გვამის დათვალიერებისას შეიძლება საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშის აღება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375-384-ე მუხლების კომენტარები).

6. ამოუცნობი გვამის დამარხვის ან კრემაციისათვის აუცილებელია პროკურორის ნებართვა (თანხმობა).

მუხლი 337. ადგილმდებარეობისა და შენობის დათვალიერება

1. **გამომძიებელი ან პროკურორი ადგილმდებარეობისა და შენობის დათვალიერებას ატარებს ამ კოდექსის 334-ე-339-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.**
2. **საცხოვრებელ, სამსახურებრივ სადგომებში ან დახურულ ტერიტორიაზე მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ დათვალიერების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი მიმართავს მოსამართლეს, რომელიც შესაბამისი საფუძვლის არსებობისას გასცემს ბრძანებას დათვალიერების ჩასატარებლად. ბრძანება ხელმოწერით უნდა გააცნონ პირს, რომლის ბინაშიც ტარდება დათვალიერება, ხოლო თუ დათვალიერება ტარდება საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში – მის ხელმძღვანელს ან წარმომადგენელს.**
3. **გადაუდებელი აუცილებლობისას, როცა დაყოვნებას შეიძლება მოჰყვეს ნივთიერ მტკიცებულებათა განადგურება, დამალვა ან გაფუჭება, გამონაკლისის სახით დასაშვებია ბინაში ან სამსახურებრივ სადგომში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ დათვალიერების ჩატარება მოსამართლის ბრძანების გარეშე, ამ კოდექსით დადგენილი წესით.**
4. **დათვალიერებისას შედგენილი ოქმი და მასზე დართული გეგმა, სქემა, ნახაზი, ფოტოსურათი, ვიდეოჩანაწერი, კინოფილმი, ხმის ჩანაწერი, ტვიფრი, ანა-**

ბეჭდი ოქმზე ხელმოწერით უნდა დაადასტურონ ამ მოქმედებაში მონაწილე პირებმა.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. თუ საცხოვრებელი სადგომის, სამსახურებრივი შენობის, დახურული ტერიტორიის მესაკუთრე, მფლობელი თანახმაა, ჩატარდეს დათვალიერება, მისი ჩატარება დასაშვებია მოსამართლის ბრძანების, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილების გარეშე. თანხმობა უნდა გაფორმდეს წერილობით:

– ან ცალკე ოქმით;

– ან დათვალიერების ოქმის შესაბამის გრაფაში ხელმოწერით.

2. საცხოვრებელ, სამსახურებრივ სადგომებში, დახურულ ტერიტორიაზე მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ დათვალიერების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორი, პროკურორის თანხმობით, გამომძიებელი მიმართავს მოსამართლეს, რომელიც შესაბამისი საფუძვლის არსებობისას გასცემს ბრძანებას დათვალიერების ჩასატარებლად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 291-ე, 292-ე, 293-ე მუხლების კომენტარები).

3. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში საცხოვრებელ, სამსახურებრივ სადგომებში, დახურულ ტერიტორიაზე მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ დათვალიერების ჩატარება დასაშვებია მოსამართლის ბრძანების გარეშე, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის კომენტარები).

4. მოსამართლის ბრძანება, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილება დათვალიერების დაწყებამდე ხელმოწერით უნდა გააცნონ პირს, რომლის ბინაშიც ტარდება დათვალიერება, ხოლო თუ დათვალიერება ტარდება საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში – მის ხელმძღვანელს (წარმომადგენელს).

5. დათვალიერებაში მონაწილე პირებმა ოქმზე ხელმოწერით უნდა დაადასტურონ:

– დათვალიერებისას შედგენილი ოქმი;

– ოქმზე დართული:

ა) გეგმა;

ბ) სქემა;

გ) ნახაზი;

დ) ფოტოსურათი;

ე) ვიდეოჩანაწერი;

ვ) კინოფილმი;

ზ) ხმის ჩანაწერი;

თ) ტვიფრი;

ი) ანაბეჭდი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე, 339-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 338. საგნისა და დოკუმენტის დათვალიერება

1. **გამომძიებელი ან პროკურორი ათვალიერებს საგანს ან დოკუმენტს მისი აღმოჩენის ადგილას, ხოლო თუ დასათვალიერებლად ხანგრძლივი დრო ან დამატებითი ტექნიკური საშუალებაა საჭირო, დათვალიერებას აგრძელებს წინასწარი გამოძიების ჩატარების ადგილას.**
2. **აუცილებლად უნდა მოხდეს იმ საგნის ან დოკუმენტის დათვალიერება, რომელიც თანამდებობის პირმა ან მოქალაქემ წარუდგინა გამომძიებელს ან პროკურორს ამ კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.**
3. **დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს ტექნიკური საშუალებებით, თუ ეს არ გამოიწვევს საგნის ან დოკუმენტის განადგურებას ან დაზიანებას.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. დათვალიერებისას აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტის დათვალიერება გამომძიებელმა, პროკურორმა უნდა მოახდინონ მისი აღმოჩენის ადგილას. ამასთან, დათვალიერება შეიძლება გაგრძელდეს წინასწარი გამოძიების ჩატარების ადგილას, თუ დასათვალიერებლად საჭიროა:

– ხანგრძლივი დრო;

– დამატებითი ტექნიკური საშუალება.

2. მხარეების მიერ გამომძიებლისათვის, პროკურორისათვის წარდგენილი საგანი, დოკუმენტი სისხლის სამართლის საქმეზე დართვამდე აუცილებლად უნდა დათვალიერდეს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის კომენტარები).

3. დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ამასთან, ტექნიკური საშუალების გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს საგნის, დოკუმენტის:

– განადგურება;

– დაზიანება.

მუხლი 339. დათვალიერების ოქმი

1. **დათვალიერების შესახებ გამომძიებელი ან პროკურორი ადგენს ოქმს ამ კოდექსის 287-ე–289-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.**
2. **ოქმში უნდა აღიწეროს დათვალიერებისას გამომძიებლის ან პროკურორის ყველა მოქმედება, აგრეთვე დათვალიერების დროს აღმოჩენილი ყველა კვალი, საგანი თუ დოკუმენტი. ამოღებული საგნის ან დოკუმენტის მფლობელს აძლევენ სათანადო ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული ოქმის ასლს.**
3. **ოქმში აგრეთვე უნდა აღინიშნოს, თუ რა დროს, როგორ ამინდში და როგორი განათების პირობებში ჩატარდა დათვალიერება, რა ტექნიკური საშუალებები გამოიყენეს და რა შედეგები მიიღეს, ვინ მონაწილეობდა დათვალიერებაში**

და რაში გამოიხატებოდა ეს მონაწილეობა, რა საგანი და დოკუმენტი დაილუქა და როგორი ლუქით, სად გაიგზავნა დათვალიერების შემდეგ გვამი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნები და დოკუმენტები.

4. **დათვალიერებისას შედგენილი ოქმი და მასზე დართული გეგმა, სქემა, ნახაზი, ფოტოსურათი, ვიდეოჩანაწერი, კინოფირი, ხმის ჩანაწერი, ტვიფრი, ანაბეჭდი უნდა დაადასტურონ დათვალიერების ჩამტარებელმა პირმა, დამსწრემ, სპეციალისტმა და დათვალიერების მონაწილე სხვა პირმა.**

5. **კანონის დარღვევით ჩატარებული დათვალიერების შედეგად ამოღებულ საგანს, კვალის ტვიფრსა და ანაბეჭდს, დოკუმენტს მტკიცებულების მნიშვნელობა არა აქვს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. დათვალიერების შესახებ ოქმის შედგენისას გამოიყენება საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენის ზოგადი წესები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე, 288-ე, 289-ე მუხლების კომენტარები).

2. დათვალიერების ოქმში უნდა აღიწეროს დათვალიერებისას გამომძიებლის, პროკურორის:

– ყველა მოქმედება;

– დათვალიერების დროს აღმოჩენილი ყველა:

ა) კვალი;

ბ) საგანი;

გ) დოკუმენტი.

3. დათვალიერების ოქმში აგრეთვე უნდა აღინიშნოს:

– რა დროს ჩატარდა დათვალიერება;

– როგორ ამინდში ჩატარდა დათვალიერება;

– როგორი განათების პირობებში ჩატარდა დათვალიერება;

– რა ტექნიკური საშუალება გამოიყენეს;

– რა შედეგები მიიღეს ტექნიკური საშუალების გამოყენებით;

– ვინ მონაწილეობდა დათვალიერებაში;

– რაში გამოიხატებოდა ეს მონაწილეობა;

– რა საგანი, დოკუმენტი დაილუქა;

– რა ლუქით დაილუქა;

– სად გაიგზავნა დათვალიერების შემდეგ:

ა) გვამი;

ბ) სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი;

გ) სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი.

4. დათვალიერების ჩამტარებელმა პირმა, დამსწრემ, სპეციალისტმა, დათვალიერების მონაწილე სხვა პირმა ოქმზე ხელის მოწერით უნდა დაადასტურონ:

– დათვალიერებისას შედგენილი ოქმი;

– ოქმზე დართული:

ა) გეგმა;
ბ) სქემა;
გ) ნახაზი;
დ) ფოტოსურათი;
ე) ვიდეოჩანაწერი;
ვ) კინოფირი;
ზ) ხმის ჩანაწერი;
თ) ტვიფრი;
ი) ანაბეჭდი.

5. ამოღებული საგნის, დოკუმენტის მფლობელს უნდა გადაეცეს სათანადო ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული დათვალიერების ოქმის ასლი.

6. სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მნიშვნელობა არა აქვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით ჩატარებული დათვალიერების შედეგად ამოღებულ:

– საგანს;
– კვალის ტვიფრს;
– კვალის ანაბეჭდს;
– დოკუმენტს.

თავი X
საგამოძიებო ექსპერიმენტი

მუხლი 340. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების საფუძველი და მიზანი

1. გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების, სხვა მტკიცებულების ანდა საქმის გამო წამოჭრილი ვერსიის შესამოწმებლად, რისთვისაც შეიძლება მოაწყოს საჭირო ცდა, რათა აღადგინოს გამოსაკვლევი მოვლენა, გარკვეული მოქმედება, ვითარება და გარემოება ამა თუ იმ ფაქტის აღქმის, მოქმედების ჩადენის ან მოვლენის დადგომის შესაძლებლობის, მისი მექანიზმისა და კვალის წარმოქმნის შესამოწმებლად.

2. საცხოვრებელ სადგომში ან სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად აუცილებელია მოსამართლის ბრძანება.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების უფლება აქვს:
– გამომძიებელს;
– პროკურორს.
2. საგამოძიებო ექსპერიმენტი შეიძლება ჩატარდეს, რათა შემოწმდეს:
– მოწმის ჩვენება;
– დაზარალებულის ჩვენება;
– ეჭვმიტანილის ჩვენება;
– ბრალდებულის ჩვენება;
– სხვა მტკიცებულება;
– სისხლის სამართლის საქმის გამო წამოჭრილი ვერსია.

3. საგამოძიებო ექსპერიმენტი ნიშნავს ცდას, რათა ამა თუ იმ ფაქტის აღქმის, მოქმედების ჩადენის, მოვლენის დადგომის შესაძლებლობის, მისი მექანიზმის, კვალის წარმოქმნის შესამოწმებლად აღდგენილ იქნეს:
– გამოსაკვლევი მოვლენა;
– გარკვეული მოქმედება;
– ვითარება;
– გარემოება.

4. საცხოვრებელ სადგომში, სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა თანხმობით საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება მოსამართლის ბრძანების გარეშე. თანხმობა უნდა გაფორმდეს წერილობით:

– ან ცალკე ოქმით;

– ან საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შესაბამის გრაფაში ხელის მოწერით.

5. საცხოვრებელ სადგომში, სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად აუცილებელია მოსამართლის ბრძანება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 291-ე, 292-ე, 293-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 341. დადგენილება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ

1. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს დადგენილება. საგამოძიებო ექსპერიმენტით მიყენებულ ზიანს სახელმწიფო ანაზღაურებს.

2. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება დაუშვებელია, თუ იგი არღვევს საზოგადობრივ წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

1. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებამდე გამომძიებელს, პროკურორს გამოაქვთ დადგენილება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ.

2. საგამოძიებო ექსპერიმენტით მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს სახელმწიფომ.

3. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება დაუშვებელია, თუ იგი:

– არღვევს საზოგადობრივ წესრიგს;

– არღვევს ზნეობრივ ნორმებს;

– საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს;

– საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

მუხლი 342. საგამოძიებო ექსპერიმენტის წესი

1. საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის შეიძლება მოიწვიონ სპეციალისტი (სპეციალისტები) და ექსპერტი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, საცდელ მოქმედებათა ჩატარებაში შეიძლება ჩააბან სხვა პირები.

2. საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის შეიძლება მიიწვიონ პირი, რომლის ჩვენებაც უნდა შემოწმდეს. ამასთან, მოწმე და დაზარალებული უნდა გააფრთხილონ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საგამოძიებო ექსპერიმენტში. დამცველს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მონაწილეობით ჩატარებულ ყველა საგამოძიებო ექსპერიმენტში. საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილეს უნდა გააცნონ ექსპერიმენტის მიზანი და ჩატარების წესი.

3. **თუ ექსპერიმენტი ტარდება გამოსაკვლევი გარემოების აღსადგენად, იგი უნდა შეესაბამებოდეს შესამოწმებელ ჩვენებას ან ვერსიას. ამისათვის ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, დაზარალებულსა და მოწმეს წინადადება ეძლევათ აღიდგინონ შემთხვევის ვითარება, რომლის მონაწილე ან თვითმხილველიც თავად იყვნენ. საჭიროების შემთხვევაში, ექსპერიმენტი ტარდება არაერთგზის. მან შეიძლება აგრეთვე სახე იცვალოს.**
4. **ექსპერიმენტი მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული იმ ვითარებას, რომელშიც ხდებოდა აღსადგენი მოქმედება და შემთხვევა.**
5. **საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილეს შეუძლია გამომძიებლის ან პროკურორის ყურადღება მიაპყროს, მისი აზრით, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას, მოითხოვოს ექსპერიმენტის პირობის დაზუსტება და საცდელი მოქმედების განმეორება.**
6. **გამომძიებელი ან პროკურორი, საჭიროების შემთხვევაში, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას ახდენს გაზომვას, ფოტოგრაფირებას, კინოგადაღებას, აუდიო- და ვიდეოჩაწერას, ადგენს გეგმას, სქემას, ნახაზს, ამზადებს კვალის ექსპერიმენტულ ტვიფრსა და ანაბეჭდს.**
7. **კანონის დარღვევით მიღებული ექსპერიმენტის შედეგებს სისხლის სამართლის საქმეზე არა აქვს მტკიცებულების მნიშვნელობა.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. საგამოძიებო ექსპერიმენტისას ჩასატარებელი მოქმედების სირთულის, ხასიათის, საცდელი მოქმედების ჩატარების, შედეგების შეფასებისათვის სპეციალური ცოდნის აუცილებლობის შემთხვევაში საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის შეიძლება მიწვეულ იქნეს:

– სპეციალისტი (სპეციალისტები);

– ექსპერტი;

– სხვა პირი.

2. საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის შეიძლება მიიწვიონ პირი, რომლის ჩვენებაც უნდა შემოწმდეს.

3. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს უფლება აქვთ, მაგრამ ვალდებული არ არიან მონაწილეობა მიიღონ საგამოძიებო ექსპერიმენტში.

4. მოწმე, დაზარალებული, თუ ის მიიწვიეს, ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო ექსპერიმენტში. ამასთან, ის უნდა გაფრთხილდეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, ცრუ ჩვენებისა და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

5. დამცველს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მონაწილეობით ჩატარებულ ყველა საგამოძიებო ექსპერიმენტში.

6. საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილეს უნდა გააცნონ ექსპერიმენტის:

– მიზანი;

– ჩატარების წესი.

7. თუ ექსპერიმენტი ტარდება გამოსაკვლევი გარემოების აღსადგენად, იგი უნდა შეესაბამებოდეს შესამოწმებელ ჩვენებას ან ვერსიას. ამისათვის ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, დაზარალებულს, მოწმეს წინადადება ეძლევათ, აღიდგინონ შემთხვევის ვითარება, რომლის მონაწილე ან თვითმხილველი თვითონ იყვნენ.

8. საჭიროების შემთხვევაში საგამოძიებო ექსპერიმენტი შეიძლება ჩატარდეს არაერთგზის.

9. თუ ერთსა და იმავე საკითხზე არსებობს განსხვავებული ჩვენებები, განსხვავებული ვერსიები და ამის გადასამოწმებლად ტარდება საგამოძიებო ექსპერიმენტი, იგი შეიძლება ჩატარდეს განსხვავებული მონაცემებით ყველა ვერსიის ან ჩვენებებში აღწერილი გარემოებების გადასამოწმებლად.

10. საგამოძიებო ექსპერიმენტი მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული იმ ვითარებასთან, რომელშიც ხდებოდა აღსადგენი:

– მოქმედება;

– შემთხვევა.

11. საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილეს შეუძლია, გამომძიებლის, პროკურორის ყურადღება მიაპყროს, მისი აზრით, სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას, ამასთან, მოითხოვოს:

– ექსპერიმენტის პირობის დაზუსტება;

– საცდელი მოქმედების განმეორება.

12. გამომძიებელი, პროკურორი, სპეციალისტი, ექსპერტი უფლებამოსილი არიან, საჭიროების შემთხვევაში, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას, მოახდინონ (შეადგინონ):

– გაზომვა;

– ფოტოგრაფირება;

– კინოგადაღება;

– აუდიოჩაწერა;

– ვიდეოჩაწერა;

– გეგმა;

– სქემა;

– ნახაზი;

– კვალის ექსპერიმენტული ტვიფრი;

– კვალის ანაბეჭდი.

13. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით მიღებული საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგებს მტკიცებულების მნიშვნელობა არა აქვს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 343. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი

1. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას გამომძიებელი ან პროკურორი ადგენს ოქმს 287-289-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ოქმში უნდა აღი-

ნიშნოს, თუ რა მიზნით, სად და რა პირობებში, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით ჩატარდა ექსპერიმენტი, კონკრეტულად რაში გამოიხატა შემთხვევის ვითარებისა და გარემოების აღდგენა, რა საცდელი მოქმედება, როგორი თანამიმდევრობით, ვის მიერ და რამდენჯერ მოეწყო და რა შედეგია მიღებული.

2. **ოქმი და საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას შედგენილი გეგმა, სქემა, ნახაზი, ფოტოსურათი, ხმის ჩანაწერი, კინო, ვიდეოჩანაწერი, დამზადებული ექსპერიმენტული ტვიფრი და ანაბეჭდი ოქმში ხელმოწერით უნდა დაადასტურონ ექსპერიმენტში მონაწილე პირებმა.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში უნდა აღინიშნოს:
– რა მიზნით ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი;
– სად ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი;
– რა პირობებში ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი;
– ვისი თანდასწრებით ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი;
– ვისი მონაწილეობით ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი;
– კონკრეტულად რაში გამოიხატა შემთხვევის ვითარების, გარემოების აღდგენა;
– რა საცდელი მოქმედება მოეწყო;
– როგორი თანმიმდევრობით მოეწყო საცდელი მოქმედება;
– ვის მიერ მოეწყო საცდელი მოქმედება;
– რამდენჯერ მოეწყო საცდელი მოქმედება;
– რა შედეგი იქნა მიღებული.

2. საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირებმა ოქმზე ხელის მოწერით უნდა დაადასტურონ:
– საგამოძიებო ექსპერიმენტისას შედგენილი ოქმი;
– ოქმზე დართული:
ა) გეგმა;
ბ) სქემა;
გ) ნახაზი;
დ) ფოტოსურათი;
ე) ვიდეოჩანაწერი;
ვ) კინოფირი;
ზ) ხმის ჩანაწერი;
თ) ტვიფრი;
ი) ანაბეჭდი.

3. საგამოძიებო ექსპერიმენტის შესახებ ოქმის შედგენისას გამოიყენება საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენის ზოგადი წესები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე, 288-ე, 289-ე მუხლების კომენტარები).

თავი XLI
ჩვენების ადგილზე შემოწმება

მუხლი 344. ჩვენების ადგილზე შემოწმების საფუძველი და მიზანი

1. **გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენება შეამოწმოს შემთხვევის ადგილზე.**
2. **ჩვენების ადგილზე შემოწმება ტარდება იმ მიზნით, რომ:**

ა) **აღმოაჩინონ საგანი, დოკუმენტი, კვალი, რომლის ადგილსამყოფელიც ცნობილია პირისათვის, რომლის ჩვენებაც მოწმდება;**

ბ) **დააზუსტონ ადგილი, სადაც გამოძიებისას აღმოჩენილი იყო საგანი, დოკუმენტი, გვამი, კვალი;**

გ) **გამოავლინონ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ადგილი ან მარშრუტი, ერთი და იმავე გარემოების შესახებ რამდენიმე პირის ჩვენების დამთხვევა ან განსხვავება;**

დ) **შეამოწმონ ჩვენების უტყუარობა მისი აღდგენისა და შემთხვევის ვითარებასთან შეჯერების გზით.**

3. **პირი, რომლის ჩვენებაც მოწმდება, შემთხვევის ადგილზე იძლევა განმარტებას, რასაც თან ახლავს გარკვეულ მოქმედებათა დემონსტრირება და მის მიერ მიცემული ჩვენების დაზუსტება.**
4. **ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემოწმების შედეგებს მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს მაშინ, თუ გარკვეული შემთხვევის, საგნისა და ფაქტის შესახებ ამ პირის ინფორმირებულობა შეიძლება აიხსნას დანაშაულის ჩადენაში მისი მონაწილეობით.**
5. **საცხოვრებელ სადგომში ან სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ ჩვენების შესამოწმებლად აუცილებელია მოსამართლის ბრძანება.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს საგამოძიებო ექსპერიმენტსა და ჩვენების ადგილზე შემოწმებას. ორივე საგამოძიებო მოქმედების მიზანი შეიძლება ერთი და იგივე იყოს – ამა თუ იმ პირის ჩვენების შემოწმება, თუმცა საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ჩვენების შესამოწმებლად ტარდება გარკვეული ექსპერიმენტი, საცდელი ქმედებები იმის გადასამოწმებლად, შეიძლებოდა თუ არა მოვლენების ისე განვითარება, როგორც ამას აღწერს პირი ჩვენებაში; ხოლო ჩვენების ადგილზე შემოწმების დროს ხდება პირის ჩვენების შეჯერება იმ ადგილმდებარეობასთან, საგნებთან, გარემოებებთან, რომელშიც (რომელთა არსებობისასაც) პირმა ნახა (მონაწილეობა მიიღო) მის მიერ ჩვენებაში აღწერილი ქმედება თუ მოვლენა.

2. ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების უფლება აქვს:

– გამომძიებელს;

– პროკურორს.

3. ადგილზე შეიძლება შემოწმდეს:

– მოწმის ჩვენება;

– დაზარალებულის ჩვენება;

– ეჭვმიტანილის ჩვენება;

– ბრალდებულის ჩვენება.

4. ჩვენების ადგილზე შემოწმება ტარდება იმ მიზნით, რომ:

– აღმოაჩინონ საგანი, დოკუმენტი, კვალი, რომლის ადგილსამყოფელიც ცნობილია პირისათვის, რომლის ჩვენებაც მოწმდება;

– დააზუსტონ ადგილი, სადაც გამოძიებისას აღმოაჩინეს:

ა) საგანი;

ბ) დოკუმენტი;

გ) გვამი;

დ) კვალი;

– გამოავლინონ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე:

ა) ადგილი;

ბ) მარშრუტი;

გ) ერთი და იმავე გარემოების შესახებ რამდენიმე პირის ჩვენების დამთხვევა;

დ) ერთი და იმავე გარემოების შესახებ რამდენიმე პირის ჩვენების განსხვავება;

– შეამოწმონ ჩვენების უტყუარობა მისი აღდგენისა და შემთხვევის ვითარებასთან შეჯერების გზით.

5. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემოწმების შედეგებს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა გარკვეული შემთხვევის, საგნის, ფაქტის შესახებ ამ პირის ინფორმირებულობა შეიძლება აიხსნას დანაშაულის ჩადენაში მისი მონაწილეობით.

6. მოწმის, დაზარალებულის, სხვა პირის ჩვენების ადგილზე შემოწმება, როგორც წესი, შეიძლება ჩატარდეს მაშინ, როდესაც პირი არის მის მიერ ჩვენებაში აღწერილი გარემოებების თვითმხილველი.

7. პირმა, რომლის ჩვენებაც მოწმდება, შემთხვევის ადგილზე უნდა მისცეს განმარტება, რასაც უნდა ახლდეს გარკვეული მოქმედებების დემონსტრირება და მის მიერ მიცემული ჩვენების დაზუსტება.

8. საცხოვრებელ სადგომში, სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა თანხმობით ჩვენების ადგილზე შემოწმება ტარდება მოსამართლის ბრძანების გარეშე. თანხმობა უნდა გაფორმდეს წერილობით:

- ან ცალკე ოქმით;

– ან ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმის შესაბამის გრაფაში ხელმოწერით.

9. საცხოვრებელ სადგომში, სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩასატარებლად აუცილებელია მოსამართლის ბრძანება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 291-ე, 292-ე, 293-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 345. ჩვენების ადგილზე შემოწმების წესი

1. **ჩვენების ადგილზე შემოწმება ხდება 344-346-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.**
2. **ჩვენების ადგილზე შემოწმებას ატარებს გამომძიებელი ან პროკურორი. შემოწმებაში მონაწილეობისათვის შეიძლება მოიწვიონ სპეციალისტი და ექსპერტი, აგრეთვე ეჭვმიტანილი, ბრალდებული და დამცველი, თუ ეს მოქმედება ტარდება მათი შუამდგომლობით.**
3. **გამომძიებელი ან პროკურორი საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილის თანდასწრებით კითხულობს შესამოწმებელ ჩვენებას, წინადადებას აძლევს ჩვენების მიმცემ პირს დაადასტუროს ან დააზუსტოს მიცემული ჩვენება, ხოლო საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს განუმარტავს ამ მოქმედების მიზანსა და წესს. თუ ამოწმებენ მოწმის ან დაზარალებულის ჩვენებას, იგი უნდა გააფრთხილონ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, აგრეთვე განუმარტონ, რომ უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ.**
4. **რამდენიმე პირის ჩვენების ადგილზე ერთდროული შემოწმება დაუშვებელია.**
5. **ჩვენების მიმცემი პირი 344-ე მუხლში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით განმარტებას იძლევა სხვათა ჩაურევლად, კარნახისა და მისახვედრი კითხვების გარეშე.**
6. **საგამოძიებო მოქმედების მონაწილეს შეუძლია დასვას კითხვები, მოითხოვოს მოქმედების განმეორება, მონაწილეობა მიიღოს აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტისა თუ კვალის დათვალიერებაში და გამომძიებლის ან პროკურორის ყურადღება მიაპყროს, მისი აზრით, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს.**
7. **ადგილზე შემოწმების შედეგად აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი ან კვალი, რომელსაც სისხლის სამართლის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, დათვალიერებულ და ამოღებულ უნდა იქნეს დადგენილი წესით.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების უფლება აქვს:

– გამომძიებელს;

– პროკურორს.

2. ჩვენების ადგილზე შემოწმებისას, გადასამოწმებელი საკითხების სირთულისა და სპეციფიურობის გათვალისწინებით (მაგ.: წინასწარ ცნობილია, რომ პირმა ჩვენების ადგილზე შემოწმებისას უნდა მიუთითოს დანაშაულის ჩადენის კვალზე, იარაღზე და ა.შ.), შემოწმებაში მონაწილეობისათვის შეიძლება მიწვეულ იქნეს:

– სპეციალისტი;

– ექსპერტი.

3. ჩვენების ადგილზე შემოწმებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მიწვეულ იქნეს, აგრეთვე:

– ეჭვმიტანილი, თუ ეს მოქმედება ტარდება მისი შუამდგომლობით;

– ბრალდებული, თუ ეს მოქმედება ტარდება მისი შუამდგომლობით;

– დამცველი, თუ ეს მოქმედება ტარდება მისი შუამდგომლობით.

4. ჩვენების ადგილზე შემოწმება უნდა დაიწყოს გამომძიებლის, პროკურორის მიერ საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილის თანდასწრებით შესამოწმებელი ჩვენების წაკითხვით, რის შემდეგაც გამომძიებელმა, პროკურორმა წინადადება უნდა მისცენ ჩვენების მიმცემ პირს, დაადასტუროს ან დააზუსტოს მიცემული ჩვენება, ხოლო საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს უნდა განუმარტონ ამ მოქმედების:

– მიზანი;

– წესი.

5. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს უფლება აქვთ, მაგრამ ვალდებული არ არიან მონაწილეობა მიიღონ ჩვენების ადგილზე შემოწმებაში.

6. მოწმე, დაზარალებული ვალდებული არიან, მონაწილეობა მიიღონ თავიანთი ჩვენების ადგილზე შემოწმებაში. ისინი უნდა გააფრთხილონ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენებისა და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. აგრეთვე, მათ უნდა განუმარტონ, რომ უფლება აქვთ არ მისცენ ჩვენება:

– საკუთარი თავის წინააღმდეგ;

– ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

7. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, რამდენიმე პირის ჩვენების ადგილზე ერთდროული შემოწმება დაუშვებელია.

8. პირმა, რომლის ჩვენებაც მოწმდება, განმარტება უნდა მისცეს სხვების ჩაურევლად, კარნახის, მისახვედრი კითხვების გარეშე.

9. საგამოძიებო მოქმედების მონაწილეს უფლება აქვს:

– დასვას კითხვები;

– მოითხოვოს მოქმედების განმეორება;

– მონაწილეობა მიიღოს აღმოჩენილი საგნის დათვალიერებაში;

– მონაწილეობა მიიღოს აღმოჩენილი დოკუმენტის დათვალიერებაში;

– მონაწილეობა მიიღოს აღმოჩენილი კვალის დათვალიერებაში;

– გამომძიებლის, პროკურორის ყურადღება მიაპყროს, მისი აზრით, სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე.

10. ჩვენების ადგილზე შემოწმების შედეგად აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, კვალი, რომლებსაც სისხლის სამართლის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, დათვალიერებული და ამოღებულ უნდა იქნეს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 344-ე, 346-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 346. ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმი

1. ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩასატარებლად გამომძიებელი ან პროკურორი ადგენს ოქმს 287-289-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

2. ოქმი უნდა შეიცავდეს ცნობას იმის შესახებ, თუ სად, როდის, რა პირობებში, რომელ პირთა დასწრებითა და მონაწილეობით ტარდებოდა ჩვენების შემოწმება, რა შინაარსისაა ადგილზე მიცემული ჩვენება, რა საგანი, დოკუმენტი ან კვალია აღმოჩენილი, დათვალიერებული და ამოღებული, რა დაზუსტება შეიტანა პირმა თავის ჩვენებაში.

3. ოქმი და ჩვენების შემოწმებისას შედგენილი მისი დანართები უნდა დაამოწმონ შემოწმების ჩამტარებელმა და იმ პირმა, რომლის ჩვენებაც მოწმდება, აგრეთვე დამსწრემ, სპეციალისტმა, ექსპერტმა და ამ საგამოძიებო მოქმედების სხვა მონაწილემ.

1. ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმში უნდა მიეთითოს:

– სად ტარდებოდა ჩვენების შემოწმება;

– როდის ტარდებოდა ჩვენების შემოწმება;

– რა პირობებში ტარდებოდა ჩვენების შემოწმება;

– ვისი დასწრებით ტარდებოდა ჩვენების შემოწმება;

– ვისი მონაწილეობით ტარდებოდა ჩვენების შემოწმება;

– რა შინაარსისაა ადგილზე მიცემული ჩვენება;

– რა საგანი, დოკუმენტი, კვალია აღმოჩენილი, დათვალიერებული და ამოღებული;

– რა დაზუსტება შეიტანა პირმა თავის ჩვენებაში.

2. ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმი და ჩვენების შემოწმებისას შედგენილი მისი დანართები (გეგმა, სქემა, ნახაზი, ფოტოსურათი და ა.შ.) უნდა დაამოწმოს:

– ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩამტარებელმა პირმა;

– იმ პირმა, რომლის ჩვენებაც მოწმდება;

– დამსწრემ;

– სპეციალისტმა;

– ექსპერტმა;

– ამ საგამოძიებო მოქმედების სხვა მონაწილემ.

3. ჩვენების ადგილზე შემოწმების შესახებ ოქმის შედგენისას გამოიყენება საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენის ზოგადი წესები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე, 288-ე, 289-ე მუხლების კომენტარები).

თავი XLII
წარდგენა ამოსაცნობად

მუხლი 347. პირის წარდგენა ამოსაცნობად

1. პირის ამოსაცნობად წარდგენამდე გამომძიებელმა უნდა დაკითხოს მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი ან ბრალდებული, ამ პირის გარეგნობისა და სხვა ნიშნების, აგრეთვე იმ გარემოების შესახებ, რომელშიც ამომცნობმა ნახა ეს პირი.
2. თუ ამომცნობი მოწმეა ან დაზარალებული, იგი უნდა გააფრთხილონ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ჩვენების მიცემისაგან თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, აგრეთვე განუმარტონ, რომ უფლება აქვს არ გამოვიდეს მოწმედ საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ.
3. ამომცნობს ამოსაცნობი პირი უნდა წარუდგინონ იმავე სქესის არანაკლებ სამ ისეთ პირთან ერთად, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად არ განსხვავდებიან გარეგნობითა და ტანსაცმლით.
4. ამოცნობამდე გამომძიებელი ამოსაცნობს სთავაზობს დაიკავოს ნებისმიერი ადგილი სხვა პირთა შორის.
5. გამომძიებლის გადაწყვეტილებით, პირის ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს ამოსაცნობის ვიზუალური დაკვირვების გარეშე.
6. ამოცნობა არ ტარდება, ხოლო ჩატარებული არ ჩაითვლება დასაბუთებულად, თუ ამომცნობმა მიუთითა ისეთ ნიშანზე, რომელიც არ არის საკმარისი ამოსაცნობი პიროვნების იდენტიფიკაციისათვის. ერთი და იმავე ამომცნობის მიერ პირის ამოცნობის ხელმეორედ ჩატარება დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როცა წინა ამოცნობა ჩატარდა ფოტოსურათით.
7. განსაკუთრებულ შემთხვევაში პირის ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს ფოტოსურათით. ასეთ შემთხვევაში ამომცნობს უნდა წარედგინოს არანაკლებ სამი სხვადასხვა პირის ფოტოსურათი, რომლებზედაც ამოსაცნობნი მკვეთრად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გარეგნობითა და ტანსაცმლით.
8. დამცველს უფლება აქვს დაესწროს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ამოცნობას.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ამოცნობა შეიძლება:

– პირის;

– საგნის;

– გვამის;

– გვამის ნაწილის.

2. პირის ამოცნობა შეიძლება იყოს:

– ფიზიკური (ამოცნობა პირზე ვიზუალური დაკვირვებით);

– ფოტოსურათით.

3. პირის ამოსაცნობად წარდგენის უფლება აქვს (ამოცნობას ატარებს):

– გამომძიებელი;

– პროკურორი.

4. პირის ამოსაცნობად წარდგენამდე გამომძიებელმა, პროკურორმა უნდა დაკითხონ ამომცნობი პირი (მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი, ბრალდებული):

– ამოსაცნობი პირის გარეგნობის შესახებ;

– ამოსაცნობი პირის სხვა ნიშნების შესახებ;

– იმ გარემოების შესახებ, რომელშიც ამომცნობმა ნახა ამოსაცნობი.

5. „ამოსაცნობად წარდგენამდე ამომცნობის დაკითხვა“ არ გულისხმობს მხოლოდ უშუალოდ ამოცნობის პროცედურის დაწყების წინ დაკითხვას. ამომცნობი პირი შეიძლება დაიკითხოს ამოცნობამდე გარკვეული დროით (თუნდაც ხანგრძლივი დროით) ადრე, მაგრამ თუ მას ჩვენებაში აღწერილი აქვს ის ნიშნები, რითაც შეუძლია ამოცნობა და ის გარემოებები, რომელშიც ნახა ამოსაცნობი, ამოცნობის წინ ამომცნობის განმეორებით დაკითხვა ამ გარემოებების შესახებ აუცილებელი აღარ არის. მთავარია, დაცულ იქნეს პრინციპი – ამომცნობი ამოცნობამდე (ამოცნობის დაწყების წინ, ან თუნდაც მანამდე გარკვეული დროით ადრე) აუცილებლად უნდა დაიკითხოს და არ შეიძლება ამოცნობის ჩატარება ისე, რომ ამომცნობი საერთოდ არ იყოს დაკითხული.

6. გამომძიებელმა (პროკურორმა) ამოცნობამდე ჩატარებული დაკითხვისას ამომცნობ პირს უნდა ჰკითხოს, შეუძლია თუ არა ამოცნობა და წინადადება მისცეს, ჩამოთვალოს ის ნიშნები, რომლებზე მითითებითაც შეუძლია ამოცნობა. ამასთან, ამომცნობის მიერ მითითებული ნიშნები არ უნდა იყოს ძალზე ზოგადი და უნდა იძლეოდეს პირის იდენტიფიკაციის (სხვებისაგან გამორჩევის) საშუალებას ინდივიდუალურ ნიშნებზე მითითებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ჩამოთვლის იმ ნიშნებს, რომლებიც საკმარისი იქნებოდა პირის იდენტიფიკაციისათვის. ამომცნობის მიერ მითითებულ ნიშანთა საკმარისობა თუ არასაკმარისობა პირის იდენტიფიკაციისათვის შეფასებითი ხასიათის გარემოებაა.

7. თუ ამომცნობი მოწმე ან დაზარალებულია, იგი უნდა გაფრთხილდეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ჩვენების მიცემისაგან თავის არიდებისათვის, ცრუ ჩვენებისა და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, აგრეთვე განემარტოს, რომ უფლება აქვს, არ გამოვიდეს მოწმედ:

– საკუთარი თავის წინაღმდეგ;

– ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

8. ფიზიკური ამოცნობისას ამომცნობს ამოსაცნობი პირი უნდა წარედგინოს იმავე სქესის არანაკლებ სამ ისეთ პირთან ერთად (ანუ უნდა წარედგინოს სულ ცოტა ოთხი პირი), რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად არ განსხვავდებიან:

– გარეგნობით;

– ტანსაცმლით.

9. ამოსაცნობად წარდგენილი პირების გარეგნობისა და მათი ტანსაცმლის მსგავსება თუ მკვეთრი განსხვავება ასევე შეფასებითი ხასიათის გარემოებაა. მაგ.: აუცილებელი არ არის, ყველას ეცვას ზუსტად ერთი ფერის (პირობითად, შავი) ტანსაცმელი. შესაძლებელია, ეცვათ სხვადასხვა ფერის, მაგრამ არა – მკვეთრად განსხვავებული (მაგ.: შავი და მუქი ლურჯი და ა.შ.). ასევე, ამოსაცნობად წარდგენილ პირთა ასაკში შეიძლება იყოს განსხვავება (მაგ.: ათი წელი) იმ პირობით, რომ ისინი გარეგნობით მკვეთრად არ განსხვავდებიან. ამომცნობის მიერ ამოცნობამდე ჩვენებაში ამოსაცნობად მითითებული ნიშანი სასურველია, ახასიათებდეს ამოსაცნობად წარდგენილ ყველა პირს.

10. ამოცნობის დაწყებამდე (ამოცნობის ჩატარების ადგილზე ამომცნობის შეყვანამდე) გამომძიებელმა ამოსაცნობს უნდა შესთავაზოს დაიკავოს ნებისმიერი ადგილი სხვა პირთა შორის. ამოსაცნობს ამოცნობის დაწყებამდე შეუძლია, მოითხოვოს ამოსაცნობად წარსადგენ სხვა პირთა შეცვლა ან ტანსაცმლის გამოცვლა. ამოსაცნობის მიერ ამ საკითხების განცხადება ავტომატურად არ იწვევს მის დაკმაყოფილებას. იგი უნდა შეაფასონ გამომძიებელმა, პროკურორმა. თუ ამოსაცნობის მიერ განცხადებული მოთხოვნა ხელს შეუწყობს ამოცნობის უფრო სრულყოფილად ჩატარებას (უფრო მეტი მსგავსების მიღწევას ამოსაცნობად წარდგენილ პირთა გარეგნობასა და ტანსაცმელში), იგი უნდა დაკმაყოფილდეს და, პირიქით, თუ ზემოაღნიშნული მოთხოვნა შექმნის ამოცნობის შედეგების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს. მაგ.: ყველა ამოსაცნობს აცვია შავი ფერის ტანსაცმელი, ამოსაცნობი პირი კი ითხოვს, რომ მას ეცვას თეთრი ტანსაცმელი. ეს მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგანაც იგი შექმნის მკვეთრ განსხვავებას ამოსაცნობად წარდგენილი პირების ტანსაცმელში და წინასწარვე ეჭვქვეშ აყენებს ამოცნობის შედეგს.

11. პირის ფიზიკური (ვიზუალური) ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს ორგვარად:

ა) ამომცნობი შეჰყავთ იმ ოთახში, სადაც იმყოფებიან ამოსაცნობად წარდგენილი პირები და უშუალო დაკვირვებით ტარდება ამოცნობა (ამოცნობა ორმხრივი ვიზუალური კონტაქტით);

ბ) ამოსაცნობი პირები იმყოფებიან ერთ ოთახში, ხოლო ამომცნობი მათ აკვირდება გვერდითი ოთახიდან. ამ ოთახებს ჰყოფს სპეციალური კონსტრუქციის ცალმხრივი ხედვის ტიხარი – ამომცნობი ხედავს ამოსაცნობ პირებს, ხოლო ისინი ვერ ხედავენ ამომცნობს (ამოცნობა ცალმხრივი ვიზუალური კონტაქტით).

12. ამოცნობა არ უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში, როდესაც წინასწარვეა ცნობილი სავარაუდო შედეგი – ამომცნობი პირდაპირ მიუთითებს პირზე (მის ვინაობაზე), იცნობს მას (დანაშაულის ჩადენამდეც იცნობდა, მათ შორის იყო გარკვეული ურთიერთობა) და ყველა შემთხვევაში მას ამოიცნობს. თუმცა ეს არ გამორიცხავს შემთხვევას, როდესაც ამომცნობმა იცის (გაიგო) ამოსაცნობის სახელი და გვარი, ზედმეტსახელი, არსებობს მონაცემები მათ შორის შესაძლო გარკვეული ურთიერთობების შესახებ, ამასთან, ამომცნობი თვითონ არ არის დარწმუნებული ან არსებობს ეჭვი, რომ ამომცნობი შეიძლება ცდებოდეს.

13. ერთმანეთისაგან განსხვავდება ამოცნობა, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347-ე მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი საგამოძიებო

მოქმედება და დაზარალებულის, მოწმის მიერ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე, მითითება. დაზარალებულმა, მოწმემ დანაშაულის ჩადენისთანავე (ჩადენიდან მცირე დროის შემდეგ) შეიძლება პოლიციის თანამშრომელს მიუთითონ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე, ან დანაშაულის ჩადენიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შეიძლება ქუჩაში (სხვა ვითარებაში) ნახონ დანაშაულის ჩამდენი პირი, „ამოიცნონ (იცნონ)“ იგი და მიუთითონ პოლიციის თანამშრომელს მასზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე. ეს, რა თქმა უნდა, არის „ამოცნობა (ცნობა)“, მაგრამ არა – როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედება. ასეთ შემთხვევაში ამოცნობის ჩატარება საფუძველს მოკლებულია, რადგანაც წინასწარ არის ცნობილი სავარაუდო შედეგი – პირი, რომელმაც მეორე პირი ქუჩაში (სხვა ვითარებაში) „იცნო“, მასვე ამოიცნობს ამოცნობის დროსაც. ამ დროს მტკიცებულებით მნიშვნელობას იძენს დაზარალებულის, მოწმის ჩვენება, რომ მათ იცნეს პირი და მიუთითეს პოლიციის თანამშრომელს მასზე, ასევე პოლიციის თანამშრომლის ჩვენება, რომ სწორედ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე, მიუთითეს მას დაზარალებულმა, მოწმემ.

14. განსაკუთრებულ შემთხვევაში პირის ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს ფოტოსურათით. ასეთ შემთხვევაში ამომცნობს უნდა წარედგინოს არანაკლებ სამი სხვადასხვა პირის ფოტოსურათი, რომლებზედაც ამოსაცნობნი მკვეთრად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან:

– გარეგნობით;

– ტანსაცმლით.

15. ფოტოსურათით ამოცნობის დროს ფოტოსურათებზე გამოსახული პირების გარეგნობისა და ტანსაცმლის მსგავსებისა თუ განსხვავების, ასევე ამომცნობის მიერ მითითებულ ნიშანთა იდენტიფიკაციისათვის საკმარისობის საკითხის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს იგივე წესები, რაც ფიზიკური ამოცნობის დროს.

16. ამოცნობა არ ტარდება, ხოლო ჩატარებული არ ჩაითვლება დასაბუთებულად, თუ ამომცნობმა მიუთითა ისეთ ნიშანზე, რომელიც არ არის საკმარისი ამოსაცნობი პირის იდენტიფიკაციისათვის.

17. ერთი და იმავე ამომცნობი პირის მიერ პირის ამოცნობის ხელმეორედ ჩატარება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინა ამოცნობა ჩატარდა ფოტოსურათით.

18. დამცველს უფლება აქვს დაესწროს:

– ეჭვმიტანილის ამოცნობას;

– ბრალდებულის ამოცნობას.

მუხლი 348. საგნის წარდგენა ამოსაცნობად

1. **ამოსაცნობად საგნის წარდგენისას გამომძიებელმა საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე უნდა დაკითხოს ამომცნობი ამოსაცნობი საგნის ნიშნებისა და იმ ვითარების შესახებ, რომელშიც მან ეს საგანი ნახა.**
2. **თუ ამომცნობი მოწმეა ან დაზარალებული, მას აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, თავის არიდების, ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, აგრეთვე განუმარტავენ, რომ უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ.**

3. **ამოსაცნობი საგანი ამომცნობს უნდა წარუდგინონ სხვა ერთგვაროვან საგნებთან ერთად, რომელთა რაოდენობაც სამზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამომცნობს სთავაზობენ მიუთითოს საგანი, რომლის ამოცნობაც შეუძლია, და განმარტოს, რა ნიშნებით ამოიცნო იგი.**
4. **გვამის, მისი ნაწილის, აგრეთვე ისეთი საგნის ამოცნობისას, რომლის ანალოგიური საგნის შერჩევაც შეუძლებელია, ამოცნობა ტარდება მხოლოდ წარმოდგენილი საგნის (გვამის) მიხედვით.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ამოსაცნობად საგნის წარდგენისას გამომძიებელმა საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე უნდა დაკითხოს ამომცნობი პირი:

– ამოსაცნობი საგნის ნიშნების შესახებ;

– იმ ვითარების შესახებ, რომელშიც მან ეს საგანი ნახა.

2. „საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე“ დაკითხვა გულისხმობს როგორც დაკითხვას უშუალოდ ამოცნობის დაწყებამდე, ასევე მანამდე – გარკვეული დროით ადრე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347-ე მუხლის კომენტარები).

3. თუ ამომცნობი მოწმე ან დაზარალებულია, იგი უნდა გაფრთხილდეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ჩვენების მიცემისაგან თავის არიდებისათვის, ცრუ ჩვენებისა და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, აგრეთვე უნდა განემარტოს, რომ უფლება აქვს, არ გამოვიდეს მოწმედ:

– საკუთარი თავის წინააღმდეგ;

– ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

4. ამოსაცნობი საგანი ამომცნობს უნდა წარედგინოს სხვა ერთგვაროვან საგნებთან ერთად, რომელთა რაოდენობაც სამზე ნაკლები არ უნდა იყოს.

5. ამომცნობს უნდა შესთავაზონ, მიუთითოს საგანზე, რომლის ამოცნობაც შეუძლია, ამასთან, განმარტოს, რა ნიშნებით ამოიცნო იგი.

6. საგნის ამოცნობისას ყურადღება უნდა მიექცეს იდენტიფიკაციისათვის აუცილებელ ინდივიდუალურ ნიშნებს, განსაკუთრებით სერიული წარმოების საგნების ამოცნობისას. მაგ.: პირმა შეიძლება ამოიცნოს ქურდობის შედეგად გატაცებული ტელევიზორი, მაგრამ ამ დროს საკმარისი არ არის მხოლოდ გვარეობით ნიშნებზე (საფირმო ნიშანი, მოდელი და ა.შ.) მითითება, რომლებიც საერთოა ყველა ანალოგიური ნივთისათვის. ამასთან ერთად, აუცილებლად უნდა მიეთითოს ინდივიდუალურ ნიშნებზეც, რომლებიც მხოლოდ ამომცნობი პირისათვის (ან პირთა ვიწრო წრისათვის) შეიძლება ყოფილიყო ცნობილი (განაფხაჭნები, წარწერა, თერმული დაზიანების კვალი, შეკეთების კვალი და ა.შ.).

7. საგნის ამოსაცნობად წარდგენა აუცილებელი არ არის, თუ შესაძლებელია ამ საგნის იდენტიფიცირება სხვა საშუალებითაც. მაგ.: ნივთი სერიული წარმოებისაა, მაგრამ გააჩნია ქარხნული საიდენტიფიკაციო ნომერი და პირმა წარმოადგინა ამ საგნის საკუთრების (მფლობელობის) დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული მონაცემები ემთხვევა საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

8. გვამის, მისი ნაწილის, აგრეთვე ისეთი საგნის ამოცნობისას, რომლის ანალოგიური საგნის შერჩევაც შეუძლებელია, ამოცნობა უნდა ჩატარდეს მხოლოდ წარმოდგენილი საგნის (გვამის) მიხედვით.

მუხლი 349. ამოსაცნობად წარდგენის ოქმი

1. **პირის ან საგნის ამოსაცნობად წარდგენის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აისახება ამომცნობის ვინაობა, აგრეთვე ცნობები ამოსაცნობად წარდგენილი პირისა და საგნის აღწერილობის თაობაზე. ოქმში დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ამოიცნეს პირი ან საგანი.**
2. **ოქმში უნდა აღინიშნოს ამოცნობის ჩატარების ადგილი და დრო, აგრეთვე მისი ჩამტარებელი პირის თანამდებობა და გვარი.**
3. **ოქმს ხელს აწერს საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილე. ოქმს უნდა დაერთოს ამოცნობისას გამოყენებული კინო- ან ვიდეოგადაღების მასალა, ფოტოსურათი და ფირი.**
4. **თუ ამომცნობმა განაცხადა, რომ არ არის დარწმუნებული, ეჭვობს და ორჭოფობს ამოცნობის სისწორეში, აგრეთვე, თუ ამოცნობა ჩატარდა ამ კოდექსით დადგენილი წესის დარღვევით, ამოსაცნობად წარდგენის ოქმი მტკიცებულებად არ გამოიყენება.**

1. ამოცნობის, როგორც საგამოძიებო მოქმედების, საპროცესო დამაგრების საშუალებაა ამოსაცნობად წარდგენის ოქმი.

2. ამოსაცნობად წარდგენის ოქმში უნდა აღინიშნოს:

– ამოცნობის ჩატარების ადგილი;

– ამოცნობის ჩატარების დრო;

– ამოცნობის ჩამტარებელი პირის თანამდებობა და გვარი;

– ამომცნობის ვინაობა;

– ამოსაცნობად წარდგენილი პირების ვინაობა, მათი გარეგნობისა და ტანსაცმლის აღწერილობა;

– ადგილი, რომელიც აირჩია ამოსაცნობმა პირმა სხვა პირებს შორის;

– ამოსაცნობად წარდგენილი საგნის აღწერილობა;

– ამომცნობის ჩვენება და ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ამოიცნეს პირი;

– ამომცნობის ჩვენება და ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ამოიცნეს საგანი;

– ამოსაცნობის ჩვენება (თუ სურს ჩვენების მიცემა);

– ამოცნობაში მონაწილე პირთა მიერ გამოთქმული შენიშვნები და განცხადებები.

3. ამოსაცნობად წარდგენის ოქმის შედგენისას გამოიყენება ასევე საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენის ზოგადი წესები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე, 288-ე, 289-ე მუხლების კომენტარები).

4. ამოსაცნობად წარდგენის ოქმს ხელს აწერს საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილე. ამოსაცნობად წარდგენის ოქმს უნდა დაერთოს ამოცნობისას გამოყენებული:

– კინოგადაღების მასალა;

– ვიდეოგადაღების მასალა;

– ფოტოსურათი;

– ფირი.

5. თუ ამომცნობმა განაცხადა, რომ არ არის დარწმუნებული, ეჭვობს და ორჭოფობს ამოცნობის სისწორეში, აგრეთვე, თუ ამოცნობა ჩატარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დარღვევით, ამოსაცნობად წარდგენის ოქმი მტკიცებულებად არ გამოიყენება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის კომენტარები).

თავი XLIII
შემოწმება

მუხლი 350. შემოწმების საფუძველი და მიზანი

შემოწმება ტარდება იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა:

ა) აღმოაჩინონ ადამიანის სხეულზე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნიშანი ან თავისებურება, რისთვისაც ექსპერტიზა საჭირო არ არის;

ბ) ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებით გამოავლინონ ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური სიმთვრალის ან სხვა ფიზიოლოგიური მდგომარეობა, თუ ამისათვის ექსპერტიზა საჭირო არ არის.

1. შემოწმების მიზანია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოების ან მტკიცების საგნის სხვა გარემოების შესახებ მტკიცებულების, მონაცემის მიღება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები).

2. შემოწმება უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა:

– აღმოაჩინონ ადამიანის სხეულზე სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნიშანი, რისთვისაც ექსპერტიზა საჭირო არ არის;

– აღმოაჩინონ ადამიანის სხეულზე სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე თავისებურება, რისთვისაც ექსპერტიზა საჭირო არ არის;

– ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებით გამოავლინონ ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობა, თუ ამისათვის ექსპერტიზა საჭირო არ არის;

– ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებით გამოავლინონ ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობა, თუ ამისათვის ექსპერტიზა საჭირო არ არის;

– ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებით გამოავლინონ ტოქსიკური სიმთვრალის მდგომარეობა, თუ ამისათვის ექსპერტიზა საჭირო არ არის;

– ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებით გამოავლინონ სხვა ფიზიოლოგიური მდგომარეობა, თუ ამისათვის ექსპერტიზა საჭირო არ არის.

3. შემოწმების ჩატარებისას (მიმდინარეობისას) შეიძლება გამოიკვეთოს ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა. ამასთან, რაიმე საკითხზე შემოწმების ჩატარება არ არის დამაბრკოლებელი გარემოება ამავე საკითხზე ექსპერტიზის ჩატარებისათვის. ასეთ შემთხვევაში ექსპერტს შეიძლება, წარედგინოს შემოწმების შედეგებიც (მასალები).

მუხლი 351. შესამოწმებელი პირი

შეიძლება შემოწმდეს ბრალდებული, ეჭვმიტანილი და დაზარალებული. მოწმის შემოწმება დასაშვებია მხოლოდ მისი ჩვენების სისწორის გასარკვევად.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, შემოწმება შეიძლება ჩაუტარდეს:

– ეჭვმიტანილს;

– ბრალდებულს;

– დაზარალებულს;

– მოწმეს.

2. მოწმის შემოწმება დასაშვებია მხოლოდ მისი ჩვენების სისწორის გასარკვევად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 352-ე, 353-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 352. დადგენილება შემოწმების ჩატარების შესახებ

1. **გამომძიებელს ან პროკურორს შემოწმების ჩასატარებლად გამოაქვს მოტივირებული დადგენილება, რომელიც უნდა ემყარებოდეს საკმარის მონაცემებს, რომ ადამიანს სხეულზე აჩნევია დანაშაულის კვალი ან ამ კოდექსის 350-ე მუხლში მითითებული სხვა ნიშნები.**
2. **დადგენილებაში აღნიშნული უნდა იყოს, ვინ და რა მიზნით ატარებს შემოწმებას, ვინ უნდა შემოწმდეს, ვისთან და როდის უნდა გამოცხადდეს პირი შესამოწმებლად.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელია ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) და სამართლებრივი (ფორმალური, საპროცესო) საფუძვლების არსებობა.

2. შემოწმების ჩატარების ფაქტობრივი საფუძველია საკმარისი მონაცემების არსებობა, რომ ადამიანს სხეულზე ამჩნევია (შესაძლებელია, აჩნდეს), ან ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებით შეიძლება გამოვლინდეს დანაშაულის კვალი ან სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 350-ე მუხლის კომენტარები).

3. შემოწმების ჩატარების სამართლებრივი საფუძველია:

– მოსამართლის ბრძანება მოწმის, დაზარალებულის მიმართ იძულებითი შემოწმების ჩატარების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 353-ე მუხლის კომენტარები);

– გამომძიებლის, პროკურორის მოტივირებული დადგენილება – ყველა სხვა შემთხვევაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 353-ე მუხლის კომენტარები).

4. თუ მოწმე, დაზარალებული მათ მიმართ შემოწმების ჩატარებაზე თანხმობას განაცხადებენ, მოსამართლის ბრძანების მიღება საჭირო აღარ არის და შემოწმება ტარდება პროკურორის, გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე. დაზარალებულის, მოწმის თანხმობა ფორმდება:

– ან ცალკე ოქმის შედგენის გზით;

– ან პროკურორის, გამომძიებლის დადგენილებაზე თანხმობის დაფიქსირებითა და ხელის მოწერით;

– ან შემოწმების ოქმის შესაბამის გრაფაში ხელის მოწერით.

5. მოსამართლის ბრძანებაში, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილებაში უნდა აღინიშნოს:

– ვინ ატარებს შემოწმებას;

– რა მიზნით ტარდება შემოწმება;

– ვინ უნდა შემოწმდეს;

– ვისთან უნდა გამოცხადდეს პირი შესამოწმებლად;

– როდის უნდა გამოცხადდეს პირი შესამოწმებლად.

მუხლი 353. შემოწმების ჩატარების შესახებ დადგენილების სავალდებულოობა

1. შემოწმების შესახებ გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება სავალდებულოა იმ პირისათვის, რომელსაც იგი ეხება.

2. ეჭვმიტანილი და ბრალდებული, რომლებიც თავს არიდებენ შემოწმებას, შეიძლება იძულებით მოიყვანონ და შეამოწმონ.

3. დაზარალებული და მოწმე იძულებით შეიძლება შეამოწმონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მოითხოვს შემოწმებას დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი ჩვენების გაბათილების მიზნით. მოწმისა და დაზარალებულის იძულებით შემოწმება შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. შემოწმების ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანება, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილება სავალდებულოა იმ პირისათვის, რომელსაც იგი ეხება.

2. ეჭვმიტანილი, ბრალდებული, რომლებიც თავს არიდებენ შემოწმებას, შეიძლება იძულებით იქნენ მიყვანილი და შემოწმებული.

3. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მიყვანისა და იძულებით შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანება აუცილებელი არ არის და ამ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია:

– პროკურორს;

– გამომძიებელს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე, 352-ე მუხლების კომენტარები).

4. დაუშვებელია მოწმის, დაზარალებულის იძულებით შემოწმება მხოლოდ პროკურორის, გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე. მოწმისა და დაზარალებულის იძულებით შემოწმება შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 352-ე მუხლის კომენტარები).

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაზარალებული, მოწმე იძულებით შეიძლება შემოწმდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეჭვმიტანილი, ბრალდებული მოითხოვენ შემოწმებას დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი ჩვენების გაბათილების მიზნით.

მუხლი 354. გამომძიებლის ან პროკურორის მიერ შემოწმების ჩატარების წესი

1. **შემოწმების ჩასატარებლად დადგენილებას ხელმოწერით აცნობენ შესამოწმებელს. შემოწმების ყველა მონაწილეს უნდა განემარტოს მათი უფლება-მოვალეობანი.**
2. **შემოწმებას, რომელიც დაკავშირებული არ არის სხეულის გაშიშვლებასთან ან ადამიანის სხეულზე ძალადობის კვალის გამოვლენასთან, ატარებს გამომძიებელი ან პროკურორი, საჭიროების შემთხვევაში – სპეციალისტის მონაწილეობით.**
3. **შემოწმებისას, რომელიც დაკავშირებულია სხეულის გაშიშვლებასთან ან ადამიანის სხეულზე ძალადობის კვალის გამოვლენასთან, აგრეთვე ამ კოდექსის 350-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულ გარემოებებთან, გამომძიებლის ან პროკურორის დავალებით, ატარებს ექიმი. ექიმს უფლება აქვს დაათვალიეროს შესამოწმებელი პირის სხეული, ჩაატაროს საჭირო გაზომვა და გამოიყენოს გასინჯვის ინსტრუმენტული მეთოდი. თუ შემოწმება ითვალისწინებს გაშიშვლებას, სპეციალისტი უნდა იყოს იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის შესამოწმებელი.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. შემოწმების დაწყებამდე მოსამართლის ბრძანება, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილება შემოწმების ჩატარების შესახებ ხელის მოწერით უნდა გააცნონ შესამოწმებელ პირს. ბრძანების, დადგენილების გაცნობის შესახებ:

– ან შესამოწმებელმა პირმა ხელი უნდა მოაწეროს ბრძანებაზე, დადგენილებაზე;

– ან უნდა შედგეს ცალკე ოქმი.

2. შემოწმების დაწყებამდე შემოწმების ყველა მონაწილეს უნდა განემარტოს თავისი უფლება-მოვალეობები. უფლება-მოვალეობათა განმარტების შესახებ:

– ან მონაცემები უნდა შევიდეს შემოწმების ოქმში, რაც ხელის მოწერით უნდა დაადასტურონ შესაბამისმა პირებმა;

– ან უნდა შედგეს ცალკე ოქმი.

3. გამომძიებელი, პროკურორი თვითონ, საჭიროების შემთხვევაში კი – სპეციალისტის მონაწილეობით ატარებენ შემოწმებას, რომელიც დაკავშირებული არ არის:

– სხეულის გაშიშვლებასთან;

– ადამიანის სხეულზე ძალადობის კვალის გამოვლენასთან;

– ინსტრუმენტული კვლევის მეთოდების გამოყენებასთან.

4. ექიმი გამომძიებლის, პროკურორის დავალებით, მოსამართლის ბრძანების, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე ატარებს შემოწმებას, რაც დაკავშირებულია:

– სხეულის გაშიშვლებასთან;

– ადამიანის სხეულზე ძალადობის კვალის გამოვლენასთან;

– ინსტრუმენტული კვლევის მეთოდის გამოყენებასთან (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 350-ე მუხლის კომენტარები).

5. შემოწმების ჩატარებისას ექიმს უფლება აქვს:

– დაათვალიეროს შესამოწმებელი პირის სხეული;

– ჩაატაროს საჭირო გაზომვა;

– გამოიყენოს გასინჯვის ინსტრუმენტული მეთოდი.

6. თუ შემოწმება ითვალისწინებს გაშიშვლებას, ეს უნდა ჩაატაროს შესამოწმებელი პირის სქესის სპეციალისტმა.

მუხლი 355. შემოწმების ოქმი

1. **შემოწმების ჩატარებისას გამომძიებელი ან პროკურორი ადგენს ოქმს ამ კოდექსის 287-ე-289-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ოქმში აღწერილი უნდა იყოს შემმოწმებელი პირის ყველა მოქმედება იმ თანამიმდევრობით, როგორითაც ის სრულდებოდა, და შემოწმებისას აღმოჩენილი ყველა კვალი, თავისებურება და ნიშანი. ოქმს ხელს აწერენ გამომძიებელი ან პროკურორი, აგრეთვე შემოწმებული, ექიმი და სხვა სპეციალისტი.**
2. **თუ შემოწმებას ატარებს ექიმი, იგი ადგენს და ხელს აწერს ოქმს, რომელსაც ასევე ხელმოწერით ადასტურებს შემოწმებული, რის შემდეგაც იგი გადაეცემა გამომძიებელს ან პროკურორს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. შემოწმების ოქმის შედგენისას გამოიყენება საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენის ზოგადი წესები. ამასთან, შემოწმების ოქმში უნდა მიეთითოს:

– შემმოწმებელი პირის ყველა მოქმედება იმ თანამიმდევრობით, როგორითაც ის სრულდებოდა;

– შემოწმებისას აღმოჩენილი:

ა) კვალი;

ბ) თავისებურება;

გ) ნიშანი.

2. შემოწმების ოქმს ხელს აწერენ:

– გამომძიებელი (პროკურორი);

– შემოწმებული პირი;

– ექიმი;

– სხვა სპეციალისტი.

3. თუ შემოწმებას ატარებს ექიმი, მან უნდა შეადგინოს შემოწმების ოქმი და ხელი მოაწეროს მას. ამასთან, შემოწმების ოქმი ხელის მოწერით უნდა დაადასტუროს შემოწმებულმა პირმა, რის შემდეგ შემოწმების ოქმი უნდა გადაეცეს გამომძიებელს, პროკურორს.

თავი XLIV
ექსპერტიზა

მუხლი 356. ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი

1. **ექსპერტიზა ტარდება გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით, ასევე სასამართლოს დადგენილებით დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დასადგენად საჭიროა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის სპეციალისტთა დასკვნა. თუ გამომძიებელს, პროკურორს ან სპეციალისტს აქვთ სპეციალური ცოდნა, ეს არ გამორიცხავს ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობას.**
2. **საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზა ტარდება მხარის დავალებით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დასადგენად საჭიროა შესაბამისი დარგის სპეციალისტთა დასკვნა.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2543 – სსმ I, 2001 წ., №1, მუხლი 9)

1. ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუცილებელია ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) და ფორმალური (საპროცესო, სამართლებრივი) საფუძვლების (წინა პირობების) არსებობა.

2. ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების ფაქტობრივ საფუძვლებში იგულისხმება სისხლის სამართლის საქმეზე უკვე შეკრებილი მტკიცებულებები, რომლებიც წარმოშობს რაიმე ფაქტობრივი გარემოების გადამოწმების საჭიროებას და ამისათვის აუცილებელია მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის, ამა თუ იმ ხელობის სპეციალისტის დასკვნა.

3. ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა სპეციალური ცოდნა გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს, სასამართლოს.

4. სამართლებრივი საკითხების შესაფასებლად ექსპერტიზა არ ინიშნება. სამართლებრივ საკითხებს წყვეტენ და აფასებენ პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი.

5. ექსპერტიზის ჩატარების ფორმალური (საპროცესო, სამართლებრივი) საფუძველია:

– ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამომძიებლის, პროკურორის დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებისას;

– ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილება (განჩინება) სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას;

– მხარის შეთანხმება ექსპერტთან (საექსპერტო დაწესებულებასთან) ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის კომენტარები).

6. საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზას ექსპერტი ატარებს მხარის დავალებითაც, თუ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად საჭიროა შესაბამისი დარგის სპეციალისტის დასკვნა. ამასთან, საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზას ატარებს საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 359-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 357. სასამართლო ექსპერტიზის საპროცესო ფორმა

1. **ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს მხოლოდ კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით.**
2. **ექსპერტიზის ჩატარების წინაპირობა არ შეიძლება იყოს რევიზია.**

(საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №398 – სსმ I, 2004 წ., №25, მუხლი 125; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს და ექსპერტის დასკვნა უნდა გაიცეს მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საპროცესო ფორმითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 356-372-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 356-ე, 358-372-ე მუხლების კომენტარები).

2. ექსპერტიზის ჩატარების წინა პირობა არ შეიძლება იყოს რევიზია. ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარებისათვის აუცილებელი არ არის ამავე საკითხზე ჯერ რევიზიის ჩატარება, თუმცა არ არის აკრძალული, რომ ჯერ ჩატარდეს რევიზია და შემდეგ – ექსპერტიზა, იმ პირობით, რომ ექსპერტიზის ჩატარების ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძველი (წინა პირობა) არ იქნება მხოლოდ რევიზიის აქტი, ხოლო ექსპერტიზის მიზანი – მხოლოდ რევიზიის აქტით დადგენილი გარემოებების გადამოწმება.

მუხლი 358. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

მუხლი 359. ექსპერტად დანიშნული პირი

1. **ექსპერტიზას ატარებს საექსპერტო ან სხვა დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის სპეციალისტი ან სხვა მცოდნე პირი, რომელსაც ნიშნავს გამომძიებელი ან პროკურორი, ანდა ანაზღაურებით იწვევენ მხარეები.**
2. **სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკურ ექსპერტიზას ატარებს საექსპერტო დაწესებულების, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი – სხვა დაწესებულების სპეციალისტი ან კერძო პირი.**
2[1]. **საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზას ატარებს საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტი.**
3. **სასამართლოს, გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნა ექსპერტად დანიშნული პირის გამოძახებისა და მის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად სპეციალური ცოდნის მქონე პირისათვის, აგრეთვე იმ დაწესებულების, საწარმოსა თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, სადაც ეს პირი მუშაობს.**
4. **მხარის მოთხოვნით, ექსპერტიზა ტარდება სპეციალური ცოდნის მქონე პირთან და იმ დაწესებულებასთან შეთანხმებით, სადაც იგი მუშაობს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2543 – სსმ I, 2001 წ., №1, მუხლი 9)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ექსპერტიზას ატარებს:
– საექსპერტო დაწესებულების სპეციალისტი;
– სხვა დაწესებულების სპეციალისტი;
– სხვა საწარმოს სპეციალისტი;
– სხვა ორგანიზაციის სპეციალისტი;
– სხვა მცოდნე პირი.
2. ექსპერტიზის ჩასატარებლად პირს (ექსპერტს):
– ნიშნავს გამომძიებელი;
– პროკურორი;
– მოსამართლე;
– სასამართლო;
– ანაზღაურებით იწვევს მხარე.

3. გამომძიებელმა, პროკურორმა, სასამართლომ, მოსამართლემ ექსპერტიზის ჩასატარებლად შეიძლება დანიშნონ (ანუ დაავალონ ექსპერტიზის ჩატარება) არა კონკრეტული პირი (ექსპერტი), არამედ ეს დაავალონ ამა თუ იმ საექსპერტო დაწესებულებას, ხოლო საკითხი, კონკრეტულად რომელმა პირმა (ექსპერტმა) ჩაატაროს ექსპერტიზა, უნდა გადაწყვიტოს საექსპერტო დაწესეულების ხელმძღვანელმა.

4. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასა და კრიმინალისტიკურ ექსპერტიზას ატარებს საექსპერტო დაწესებულების სპეციალისტი, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი:

– სხვა დაწესებულების სპეციალისტი;

– კერძო პირი.

5. საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტს.

6. მხარის მოთხოვნით, ექსპერტიზა ტარდება სპეციალური ცოდნის მქონე პირსა და იმ დაწესებულებასთან შეთანხმებით, სადაც იგი მუშაობს.

7. სასამართლოს, მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის მოთხოვნა ექსპერტად დანიშნული პირის გამოძახებისა და მის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად:

– ექსპერტად დანიშნული (მოწვეული) სპეციალური ცოდნის მქონე პირისათვის;

– იმ დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, სადაც ეს პირი მუშაობს.

მუხლი 360. ექსპერტიზის ობიექტი

1. **ექსპერტის გამოკვლევის ობიექტი შეიძლება იყოს ნივთიერი მტკიცებულება, ცოცხალი ადამიანის სხეული, ფსიქიკური მდგომარეობა, გვამი, დოკუმენტი.**
2. **საექსპერტო გამოკვლევის ობიექტი, თუ მისი მოცულობა და თვისება ამის საშუალებას იძლევა, ექსპერტს უნდა გადაეცეს შეფუთული და დალუქული სახით.**
3. **ექსპერტიზის ობიექტი შეიძლება დაიხარჯოს იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა საექსპერტო გამოკვლევისათვის.**
4. **ექსპერტიზის დამთავრებისთანავე გამოკვლევის დაუხარჯავი ობიექტი უნდა დაუბრუნდეს ექსპერტიზის დამნიშვნელ პირს ან ორგანოს შეფუთული და დალუქული სახით.**
5. **ექსპერტიზის ობიექტი ინახება საექსპერტო დაწესებულებაში, საგამოძიებო ორგანოში ან პროკურატურაში ნივთიერი მტკიცებულების შენახვის წესის დაცვით.**
6. **საექსპერტო გამოკვლევის ობიექტი შეიძლება იყოს აგრეთვე ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებული მონაცემი, რომელიც ასახულია სისხლის სამართლის საქმის მასალებში. საქმის მასალების მიხედვით ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტიზის დამნიშვნელმა უნდა მიუთითოს, რომელი მონაცემი მიაჩნია სარწმუნოდ, ან დაავალოს ექსპერტს გასცეს რამდენიმე ვარიანტით პასუხი დასმულ შეკითხვაზე იმისდა მიხედვით, თუ საქმის ურთიერთსაწინააღმდეგო მასალიდან რომელი დაედო საფუძვლად საექსპერტო დასკვნას.**

1. ექსპერტის გამოკვლევის ობიექტი შეიძლება იყოს:

– ნივთიერი მტკიცებულება;

– ცოცხალი ადამიანის სხეული;

– ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა;

– გვამი;

– დოკუმენტი.

2. თუ საექსპერტო გამოკვლევის ობიექტის მოცულობა და თვისება ამის საშუალებას იძლევა, იგი ექსპერტს უნდა გადაეცეს შეფუთული და დალუქული სახით.

3. ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტიზის ობიექტი უნდა დაიხარჯოს მხოლოდ იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა საექსპერტო გამოკვლევისათვის.

4. ექსპერტიზის დამთავრებისთანავე გამოკვლევის დაუხარჯავი ობიექტი უნდა დაუბრუნდეს ექსპერტიზის დამნიშვნელ ორგანოს, თანამდებობის პირს შეფუთული და დალუქული სახით.

5. ექსპერტის დასკვნაში ზუსტად უნდა მიეთითოს ობიექტის გამოკვლევის დროს ობიექტის დახარჯული და დარჩენილი ოდენობა. თუ გამოსაკვლევი ობიექტი სრულად გაიხარჯა, ესეც უნდა მიეთითოს დასკვნაში.

6. ექსპერტიზის ობიექტი ნივთიერი მტკიცებულების შენახვის წესის დაცვით ინახება:

– საექსპერტო დაწესებულებაში;

– საგამოძიებო ორგანოში;

– პროკურატურაში;

– სასამართლოში.

7. საექსპერტო გამოკვლევის ობიექტი შეიძლება იყოს აგრეთვე ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებული მონაცემი, რომელიც ასახულია სისხლის სამართლის საქმის მასალებში.

8. სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტიზის დამნიშვნელმა უნდა მიუთითოს, რომელი მონაცემი მიაჩნია სარწმუნოდ, ან დაავალოს ექსპერტს, პასუხი დასმულ შეკითხვაზე გასცეს რამდენიმე ვარიანტად იმისდა მიხედვით, თუ სისხლის სამართლის საქმის ურთიერთსაწინააღმდეგო მასალიდან რომელი დაედო საფუძვლად საექსპერტო დასკვნას. მაგ.: სატრანსპორტო დანაშაულთან დაკავშირებით საექსპერტო გამოკვლევის ობიექტი შეიძლება იყოს შემთხვევის ადგილზე შედგენილი სქემა, მოწმეების, სხვა პირების ჩვენებებში აღწერილი გარემოებები, რომლებიც შეიძლება განსხვავებული იყოს. ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობით, რამაც შეიძლება განაპირობოს განსხვავებული დასკვნების მიღება, რაც უნდა შეაფასონ პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა.

მუხლი 361. დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზა

1. დამატებით ექსპერტიზას ატარებს იგივე ან სხვა ექსპერტი ჩატარებული გამოკვლევის ან დასკვნის შესავსებად.

2. განმეორებითი ექსპერტიზა ტარდება მაშინ, როცა ექსპერტის დასკვნა დაუსაბუთებელია, მისი სისწორე საეჭვოა, ან არასარწმუნოა მტკიცებულება, რომელსაც იგი ემყარება, ანდა მოხდა ექსპერტიზის ჩატარების საპროცესო წესის არსებითი დარღვევა. განმეორებითი ექსპერტიზა ევალება სხვა ექსპერტს. განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში უნდა აღი-

ნიშნოს მოტივი, რატომ არის საეჭვო წინა ექსპერტიზის დასკვნა. წინა ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტი შეიძლება დაესწროს განმეორებით ექსპერტიზას და მისცეს განმარტება, მაგრამ გამოკვლევასა და დასკვნის შედგენაში ის არ მონაწილეობს.

3. **თუ გამოკვლევა დაიწყო ერთმა ექსპერტმა და დაასრულა მეორემ, მისი განმეორება არ არის საჭირო, თუ გამოყენებული მეთოდები მეორე ექსპერტის ეჭვს არ იწვევს.**

1. ერთსა და იმავე საკითხზე ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს როგორც დამატებით, ისე – განმეორებით.

2. დამატებითი ექსპერტიზა ინიშნება და ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა:

– ჩატარებული გამოკვლევის შევსება;

– დასკვნის შევსება.

3. თუ საჭიროა არა დამატებითი კვლევის ჩატარება ექსპერტიზის დასკვნის შესავსებად, არამედ – ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული გარკვეული სპეციფიკური საკითხების განმარტება, ეს შეიძლება განხორციელდეს არა დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნით (ჩატარებით), არამედ – ექსპერტის დაკითხვის გზით.

4. დამატებით ექსპერტიზას ატარებს:

– ან იგივე ექსპერტი;

– ან სხვა ექსპერტი, ანუ დამატებითი ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტის აცილების საფუძველს არ წარმოადგენს მის მიერ ადრე ამავე საკითხზე ექსპერტიზის ჩატარება (მასში მონაწილეობა) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის კომენტარები).

5. განმეორებითი ექსპერტიზა ტარდება, როდესაც:

– ექსპერტის დასკვნა დაუსაბუთებელია;

– ექსპერტის დასკვნის სისწორე საეჭვოა;

– დადგინდა, რომ არასარწმუნოა მტკიცებულება, რომელსაც ექსპერტის დასკვნა ემყარება;

– ექსპერტიზა ჩატარებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების არსებითი დარღვევით.

6. განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში უნდა აღინიშნოს მოტივი, რამაც განაპირობა განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა (რატომ არის საეჭვო წინა ექსპერტიზის დასკვნა).

7. განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება უნდა დაევალოს სხვა ექსპერტს, ამასთან, წინა ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტი შეიძლება, დაესწროს განმეორებით ექსპერტიზას და მისცეს განმარტება, მაგრამ გამოკვლევასა და დასკვნის შედგენაში ის არ მონაწილეობს.

8. თუ გამოკვლევა დაიწყო ერთმა ექსპერტმა და დაასრულა მეორემ, წინა ექსპერტის მიერ უკვე ჩატარებული გამოკვლევების განმეორება საჭირო არ არის, თუ გამოყენებული მეთოდები მეორე ექსპერტის ეჭვს არ იწვევს.

მუხლი 362. საკომისიო ექსპერტიზა

1. **რთული ექსპერტიზა შეიძლება ჩაატარონ ერთი სპეციალობის მქონე ექსპერტთა კომისიებმა. მხარეთა მოთხოვნით, საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ მათ მიერ მოწვეული ექსპერტები. ისინი თათბირობენ და, თუ საერთო აზრს გამოიტანენ, ხელს აწერენ დასკვნას. ექსპერტთა შორის უთანხმოების შემთხვევაში თითოეული იძლევა ცალკე დასკვნას უთანხმოების გამომწვევ ყველა ან ზოგიერთ საკითხზე.**
2. **გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნა საკომისიო ექსპერტიზის ჩასატარებლად სავალდებულოა შეასრულოს საექსპერტო დაწესებულებამ. თუ ექსპერტიზა დაევალა საექსპერტო დაწესებულებას, მის ხელმძღვანელს უფლება აქვს ორგანიზაცია გაუწიოს საკომისიო ექსპერტიზის ჩატარებას.**
3. **დაუშვებელია საექსპერტო გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღონ იმ პირებმა, რომლებიც არ არიან ექსპერტთა კომისიის წევრები.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. რთული ექსპერტიზა შეიძლება ჩაატარონ ერთი სპეციალობის მქონე ექსპერტთა კომისიებმა.

2. გადაწყვეტილებას ექსპერტიზის კომისიური წესით ჩატარების შესახებ იღებენ ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო, თანამდებობის პირი. ამასთან, ექსპერტს, რომელსაც დაევალა ექსპერტიზის ჩატარება ერთპიროვნულად (არა – კომისიური წესით), უფლება აქვს, მიმართოს ექსპერტიზის დამნიშვნელ ორგანოს, თანამდებობის პირს იმის თაობაზე, რომ, მისი აზრით, გამოკვლევის სრულყოფილად ჩატარებისათვის საჭიროა საკომისიო ექსპერტიზის ჩატარება.

3. მხარეების მოთხოვნით, საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ მათ მიერ მოწვეული ექსპერტები. საექსპერტო კომისიაში კონკრეტული ექსპერტის მონაწილეობის შესახებ მხარემ შუამდგომლობა უნდა წარუდგინოს (უნდა მიმართოს) პროცესის მწარმოებელ (ექსპერტიზის დამნიშვნელ) ორგანოს, თანამდებობის პირს.

4. მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის მიერ დანიშნული ექსპერტიზის ჩატარებაში კონკრეტული პირის, როგორც ექსპერტის, მონაწილეობის შესახებ ავტომატურად არ დაკმაყოფილდება, რადგან მხარის მიერ მითითებული პირი, რომლის ექსპერტიზის ჩატარებაში ჩართვასაც იგი ითხოვს, უნდა აკმაყოფილებდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 359-ე მუხლის კომენტარები).

5. საექსპერტო კომისიის წევრები, თუ საერთო აზრს შეიმუშავებენ, ხელს აწერენ დასკვნას.

6. ექსპერტთა შორის უთანხმოების შემთხვევაში თითოეული წერს ცალკე დასკვნას უთანხმოების გამომწვევ ყველა ან ზოგიერთ საკითხზე.

7. საკომისიო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ გამომძიებლის, პროკურორის მოთხოვნა შესასრულებლად სავალდებულოა საექსპერტო დაწესებულებისათვის. თუ ექსპერტიზა დაევალა საექსპერტო დაწესებულებას, მისი ხელმძღვანელი ვალდებულია, ორგანიზაცია გაუწიოს საკომისიო ექსპერტიზის ჩატარებას, მათ შორის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ექსპერტიზის ჩატარება დაავალოს ამ დაწესებულებაში მომუშავე ნებისმიერ ექსპერტს, თუ ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში პირდაპირ არ არის მითითებული კონკრეტული ექსპერტის (ექსპერტების) მიერ ექსპარტიზის ჩატარების შესახებ.

8. დაუშვებელია საექსპერტო გამოკვლევაში მონაწილეობდეს ის პირი, რომელიც ექსპერტთა კომისიის წევრი არ არის.

მუხლი 363. კომპლექსური ექსპერტიზა

1. **თუ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ცოდნის ერთი ან სხვადასხვა დარგისა თუ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის ფარგლებში რამდენიმე გამოკვლევის ჩატარებით, უნდა დაინიშნოს კომპლექსური ექსპერტიზა.**
2. **კომპლექსური ექსპერტიზის მონაწილე ექსპერტები თავიანთი მეცნიერული კომპეტენციის ფარგლებში აყალიბებენ დასკვნებს იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა დასადგენადაც დაინიშნა ექსპერტიზა.**
3. **კომპლექსურ ექსპერტიზაში მონაწილე ყველა სპეციალისტს აქვს ამ სისხლის სამართლის საქმის ექსპერტის სტატუსი. თითოეული მათგანი გამოკვლევას ატარებს დამოუკიდებლად, აკისრია პასუხისმგებლობა მის გამო და იძლევა დასკვნას მხოლოდ თავისი სამეცნიერო კომპეტენციის ფარგლებში. ექსპერტს უფლება არა აქვს ხელი მოაწეროს კომპლექსური ექსპერტიზის დასკვნის იმ ნაწილს, რომელიც სცილდება მისი მეცნიერული კომპეტენციის ფარგლებს.**
4. **თუ ექსპერტიზა დავალებული აქვს საექსპერტო დაწესებულებას, კომპლექსური გამოკვლევის ორგანიზაცია ეკისრება მის ხელმძღვანელს.**

1. კომპლექსური ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს, როდესაც სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ:

– მეცნიერების ერთ დარგში რამდენიმე გამოკვლევის ჩატარებით;

– მეცნიერების სხვადასხვა დარგში რამდენიმე გამოკვლევის ჩატარებით;

– სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის ფარგლებში რამდენიმე გამოკვლევის ჩატარებით.

2. კომპლექსური ექსპერტიზის მონაწილე ექსპერტებმა თავიანთი მეცნიერული კომპეტენციის ფარგლებში უნდა ჩამოაყალიბონ დასკვნები იმ გარემოებების შესახებ, რომელთა დასადგენადაც დაინიშნა ექსპერტიზა.

3. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კომპლექსურ ექსპერტიზაში მონაწილე ყველა სპეციალისტს აქვს ამ სისხლის სამართლის საქმის ექსპერტის სტატუსი.

4. კომპლექსური ექსპერტიზის მონაწილე თითოეული ექსპერტი:
– გამოკვლევას ატარებს დამოუკიდებლად თავისი კომპეტენციის სფეროში;
– აღნიშნულის გამო აკისრია პასუხისმგებლობა;
– აძლევს დასკვნას მხოლოდ თავისი სამეცნიერო კომპეტენციის ფარგლებში.

5. ექსპერტს უფლება არა აქვს, ხელი მოაწეროს კომპლექსური ექსპერტიზის დასკვნის იმ ნაწილს, რომელიც სცილდება მისი მეცნიერული კომპეტენციის ფარგლებს, ანუ კომპლექსური ექსპერტიზის შედეგად გაიცემა ერთი დასკვნა, რომელიც შეიძლება დაიყოს ნაწილებად გამოკვლევის სფეროების მიხედვით და თითოეული ნაწილის ბოლოს ხელი მოაწეროს ამ კონკრეტული გამოკვლევის ჩამტარებელმა ექსპერტმა. ამასთან, საკითხის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შეიძლება დასკვნა არ იყოს ჩამოყალიბებული მკვეთრად გამიჯნულ ნაწილებად, იგი შეიძლება დაიწეროს ერთიანი თანმიმდევრობით და კომპლექსურ ექსპერტიზაში მონაწილე ყველა ექსპერტმა დასკვნის ბოლოს მოაწეროს ხელი, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც იგულისხმება, რომ ესა თუ ის ექსპერტი პასუხს აგებს გამოკვლევის მხოლოდ თავის მიერ ჩატარებულ ნაწილზე, რის შესახებაც (თუ რომელმა ექსპერტმა კონკრეტულად რა გამოკვლევები ჩაატარა) უნდა მიეთითოს დასკვნაში.

6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დასაშვებია კომპლექსური ექსპერტიზის შემადგენელ საექსპერტო გამოკვლევებზე ცალ-ცალკე დაინიშნოს და ჩატარდეს ექსპერტიზები.

7. თუ კომპლექსური ექსპერტიზა დავალებული აქვს საექსპერტო დაწესებულებას, კომპლექსური გამოკვლევის ორგანიზაცია ეკისრება მის ხელმძღვანელს, რომელიც ვალდებულია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ექსპერტიზის ჩატარება დაავალოს ამ დაწესებულებაში მომუშავე ნებისმიერ ექსპერტს, თუ ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში პირდაპირ არ არის მითითებული კონკრეტული ექსპერტის (ექსპერტების) მიერ ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.

მუხლი 364. ალტერნატიული ექსპერტიზა

1. **მხარეს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივითა და თავის ხარჯზე ჩაატაროს ექსპერტიზა იმ გარემოების დასადგენად, რომელსაც, მისი აზრით, შეუძლია ხელი შეუწყოს მისივე ინტერესების დაცვას. საექსპერტო დაწესებულება ვალდებულია ჩაატაროს მხარის მიერ დანიშნული და ანაზღაურებული ექსპერტიზა. მხარის მოთხოვნით, ექსპერტის დასკვნა სავალდებულო წესით დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს და შეფასდება სხვა მტკიცებულებებთან ერთად.**
2. **თუ ბრალდებული ან განსასჯელი არასმქონეა, მას უფლება აქვს სახელმწიფოს ხარჯზე, სისხლის სამართლის საქმესთან უშუალოდ დაკავშირებული ალტერნატიული ექსპერტიზის ჩასატარებლად მიმართოს სასამართლოს ან სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2004 წლის 13 აგვისტოს კანონი №398 – სსმ I, 2004 წ., №25, მუხლი 125; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. მხარეს უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივითა და თავის ხარჯზე ჩაატაროს ექსპერტიზა იმ გარემოების დასადგენად, რომელსაც, მისი აზრით, შეუძლია, ხელი შეუწყოს მისივე ინტერესების დაცვას.

2. ალტერნატიული ექსპერტიზის შესახებ მხარემ უნდა აცნობოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს.

3. მხარის მიერ ალტერნატიული ექსპერტიზის ჩასატარებლად დანიშნული ექსპერტი უნდა აკმაყოფილებდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 359-ე მუხლის კომენტარები).

4. საექსპერტო დაწესებულება ვალდებულია, ჩაატაროს მხარის მიერ დანიშნული და ანაზღაურებული ექსპერტიზა.

5. მხარის მოთხოვნით, ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა სავალდებულო წესით უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს და შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

6. თუ ბრალდებული, განსასჯელი მატერიალურად გაჭირვებულია, მას უფლება აქვს, სისხლის სამართლის საქმესთან უშუალოდ დაკავშირებული ალტერნატიული ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს სახელმწიფოსაგან და ამის შესახებ შუამდგომლობით მიმართოს:

– გამომძიებელს – წინასწარი გამოძიებისას;
– პროკურორს – წინასწარი გამოძიებისას;
– სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს).

მუხლი 365. ექსპერტის კომპეტენციის ფარგლები

ექსპერტის წინაშე დასმული საკითხები და მისი დასკვნა არ უნდა სცილდებოდეს ექსპერტის სპეციალური ცოდნის ფარგლებს.

1. ექსპერტის წინაშე დასმული საკითხები და მისი დასკვნა არ უნდა სცილდებოდეს ექსპერტის სპეციალური ცოდნის ფარგლებს.

2. ამა თუ იმ საექსპერტო დაწესებულებაში ექსპერტიზის დანიშვნამდე, ან კონკრეტული პირის ექსპერტად დანიშვნამდე გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო უნდა დარწმუნდნენ (მათთვის ცნობილი უნდა იყოს), რომ ამ კონკრეტული საექსპერტო გამოკვლევის ჩატარების უფლებამოსილება, ტექნიკური შესაძლებლობა და შესაბამისი ცოდნა გააჩნია კონკრეტულ საექსპერტო დაწესებულებას ან კონკრეტულ ექსპერტს.

3. თუ გამოკვლევის დაწყებამდე ექსპერტი დარწმუნდება, რომ მის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად არ ჰყოფნის ცოდნა, მან უნდა შეადგინოს აქტი ექსპერტიზის ჩატარების (დასკვნის შედგენის) შეუძლებლობის შესახებ და გაუგზავნოს ექსპერტიზის დამნიშვნელ ორგანოს, თანამდებობის პირს.

მუხლი 366. ექვმიტანილისა, ბრალდებულისა და დაზარალებულის უფლებები ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დროს

1. ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დროს ექვმიტანილს, ბრალდებულს ან დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს:

ა) ექსპერტიზის ჩატარებამდე გაეცნოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;

ბ) აცილება მისცეს ექსპერტს;

გ) მოითხოვოს, რომ ექსპერტი დანიშნონ მის მიერ მითითებულ პირთაგან;

დ) ჩაატაროს ალტერნატიული ექსპერტიზა თავისი ინიციატივითა და საკუთარი ხარჯებით, მოითხოვოს ექსპერტიზის დასკვნის სისხლის სამართლის საქმეზე დართვა;

ე) დამატებითი კითხვები დაუსვას გამომძიებლის ან პროკურორის მიერ დანიშნულ ექსპერტს;

ვ) გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვით დაესწროს ექსპერტიზას, მისცეს ექსპერტს ახსნა-განმარტება, ექსპერტის დასკვნის მიღების შემდეგ მოსთხოვოს მას განმარტება გამოყენებული კვლევის მეთოდების არსისა და მიღებული შედეგების თაობაზე;

ზ) გაეცნოს ექსპერტის დასკვნას. მისი მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღის შემდეგ აღძრას შუამდგომლობა დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე;

თ) მონაწილეობა მიიღოს ექსპერტის დაკითხვაში, როცა ექსპერტიზა მისი შუამდგომლობით იყო დანიშნული.

2. ზემოთჩამოთვლილი უფლებები აქვს აგრეთვე პირს, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, თუ ამის საშუალებას იძლევა მისი ფსიქიკური მდგომარეობა.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დროს:

ა) ექვმიტანილს;

ბ) ბრალდებულს;

გ) დამცველს;

დ) დაზარალებულს;

ე) დაზარალებულის წარმომადგენელს;

ვ) პირს, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, თუ ამის საშუალებას იძლევა მისი ფსიქიკური მდგომარეობა, უფლება აქვს:

– ექსპერტიზის ჩატარებამდე გაეცნოს გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რაც უნდა გაფორმდეს:

ა) ან ამ დადგენილებაზე ხელის მოწერით;

ბ) ან ექსპერტიზის დანიშვნის გამოცხადების შესახებ ცალკე ოქმის შედგენის გზით;

– აცილება მისცეს ექსპერტს;

– მოითხოვოს ექსპერტის დანიშვნა მის მიერ მითითებული პირებისაგან;

– ჩაატაროს ალტერნატიული ექსპერტიზა თავისი ინიციატივითა და საკუთარი ხარჯით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის კომენტარები);

– მოითხოვოს ექსპერტიზის დასკვნის სისხლის სამართლის საქმეზე დართვა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის კომენტარები);

– დამატებითი კითხვები დაუსვას გამომძიებლის, პროკურორის მიერ დანიშნულ ექსპერტს;

– გამომძიებლის, პროკურორის ნებართვით დაესწროს ექსპერტიზას;

– მისცეს ექსპერტს ახსნა-განმარტება;

– ექსპერტის დასკვნის მიღების შემდეგ მოსთხოვოს ექსპერტს განმარტება გამოყენებული კვლევის მეთოდების არსისა და მიღებული შედეგების თაობაზე;

– გაეცნოს ექსპერტის დასკვნას, რაც უნდა განხორციელდეს გამომძიებლის, პროკურორის მიერ მისთვის ექსპერტის დასკვნის გასაცნობად წარდგენის შესახებ ოქმის შედგენით;

– დასკვნის მიღებიდან (გაცნობიდან) არა უგვიანეს 10 დღეში აღძრას შუამდგომლობა დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე;

– მონაწილეობა მიიღოს ექსპერტის დაკითხვაში, როდესაც ექსპერტიზა მისი შუამდგომლობით იყო დანიშნული.

მუხლი 367. დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ

1. **გამომძიებელს ან პროკურორს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოაქვს დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, ნივთიერი მტკიცებულებები და ექსპერტიზისათვის გაგზავნილი სხვა ობიექტები იმის მითითებით, თუ სად, როდის და რა ვითარებაში აღმოაჩინეს ცნობები, რომლებსაც უნდა დაემყაროს ექსპერტის დასკვნები, ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები, საექსპერტო დაწესებულების დასახელება ან იმ პირის გვარი, რომელსაც დაევალა ექსპერტიზის ჩატარება.**
2. **დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სავალდებულოა იმ პირთათვის, რომელთაც იგი ეხებათ.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. გამომძიებელს, პროკურორს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოაქვს დადგენილება.

2. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს:

– თარიღი;

– გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი);

– სისხლის სამართლის საქმის დასახელება, ქმედების კვალიფიკაცია;

– ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი;

– ნივთიერი მტკიცებულებები იმის მითითებით, თუ სად, როდის, რა ვითარებაში აღმოაჩინეს ცნობები, რომლებსაც უნდა დაემყაროს ექსპერტის დასკვნა;

– ექსპერტიზისათვის გაგზავნილი სხვა ობიექტები იმის მითითებით, თუ სად, როდის, რა ვითარებაში აღმოაჩინეს ცნობები, რომლებსაც უნდა დაემყაროს ექსპერტის დასკვნა;

– ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები;

– საექსპერტო დაწესებულების დასახელება ან იმ პირის გვარი, რომელსაც დაევალა ექსპერტიზის ჩატარება.

3. თუ დადგენილებაში ასახული არ არის, საექსპერტო დაწესებულებას ცალკე უნდა მიეწოდოს მხარის მიერ დამატებით დასმული კითხვები და ასევე ეცნობოს, რომელი პირი უნდა იქნეს დაშვებული საექსპერტო გამოკვლევაზე მხარის შუამდგომლობით.

4. თუ გამოსაკვლევი ობიექტი უძრავი ნივთია, დიდი მოცულობის საგანია ან სხვა ობიექტური მიზეზებით ვერ ხერხდება მისი ექსპერტისათვის გადაგზავნა, უნდა მიეთითოს ამ საგნის ადგილმდებარეობა.

5. თუ ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს პატიმრობაში მყოფ პირს, დადგენილებაში უნდა მიეთითოს მისი განთავსების ადგილი.

6. დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სავალდებულოა იმ პირისათვის, რომელსაც იგი ეხება.

მუხლი 368. იძულების ფარგლები ექსპერტიზის ჩატარებისას

1. **ქირურგიული ან სამედიცინო გამოკვლევის სხვა მეთოდების გამოყენება, რომლებიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ იმ პირის თანხმობით, რომელსაც ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს, ხოლო თუ მას 16 წლის ასაკისათვის არ მიუღწევია ან ფსიქიკურად არის დაავადებული, – მშობლების, მეურვეების ან მზრუნველების თანხმობით.**
2. **დაზარალებულისა და მოწმის იძულებითი ექსპერტიზა დაუშვებელია, გარდა ვენერიული თუ სხვა ინფექციური დაავადებების დადგენისა და აგრეთვე იმ შემთხვევებისა, როცა ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მოითხოვს იმ დაზარალებულის ჩვენების შემოწმებას, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში. დაზარალებულისა და მოწმის იძულებითი ექსპერტიზა დასაშვებია მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.**

1. ექსპერტიზის ჩატარებისას დაუშვებელია ისეთი საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც საფრთხეს უქმნიან:

– ადამიანის სიცოცხლეს;

– ადამიანის ჯანმრთელობას.

2. ქირურგიული ან სამედიცინო გამოკვლევის სხვა მეთოდების გამოყენება, რომლებიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ იმ პირის თანხმობით, რომელსაც ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს.

3. იმ შემთხვევაში, თუ პირს, რომელსაც ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს, 16 წლის ასაკისათვის არ მიუღწევია ან იგი ფსიქიკურად დაავადებულია, ძლიერი ტკივილის შეგრძნების გამომწვევი ქირურგიული ან სამედიცინო გამოკვლევის სხვა მეთოდების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ:

– მშობლების;

– მეურვეების;

– მზრუნველების თანხმობით.

4. დაზარალებულისა და მოწმის იძულებითი ექსპერტიზა, როგორც წესი, დაუშვებელია.

5. ამ საერთო წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც:

– იძულებითი ექსპერტიზა ტარდება ვენერიული დაავადების დასადგენად;

– იძულებითი ექსპერტიზა ტარდება სხვა ინფექციური დაავადების დასადგენად;

– ეჭვმიტანილი ითხოვს იმ დაზარალებულის ჩვენების შემოწმებას, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში;

– ბრალდებული ითხოვს იმ დაზარალებულის ჩვენების შემოწმებას, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში.

6. დაზარალებულისა და მოწმის იძულებითი ექსპერტიზა დასაშვებია მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 369. ექსპერტიზის ჩატარება საექსპერტო დაწესებულებაში

1. **გამომძიებელი ან პროკურორი დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, გამოსაკვლევ ობიექტებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – სისხლის სამართლის საქმის ასლსაც, უგზავნის საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელმაც განკარგულება უნდა გასცეს იმის თაობაზე, თუ ამ დაწესებულების თანამშრომელთაგან რომელი ჩაატარებს ექსპერტიზას, რასაც აცნობებს ექსპერტიზის დამნიშვნელ პირს.**
2. **საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანიზაციას უწევს ექსპერტიზის ჩატარებას, უზრუნველყოფს გამოკვლევის ობიექტების დაცვა-შენახვას, განსაზღვრავს ექსპერტიზის დამთავრების ვადებს. საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება არა აქვს მიიწვიოს ექსპერტიზის ჩატარებისას პირი, რომელიც არ მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში, აგრეთვე ექსპერტიზის დამნიშვნელი პირის დადგენილების გარეშე მოითხოვოს სხვა დაწესებულებიდან ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტი, ნივთიერი და სხვა მტკიცებულება.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ექსპერტიზა, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს საექსპერტო დაწესებულებაში.

2. გამომძიებელმა, პროკურორმა დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ უნდა გადაუგზავნონ საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს.

3. თუ დადგენილებაში პირდაპირ არის მითითებული ექსპერტიზის კონკრეტული ექსპერტის მიერ ჩატარების შესახებ, საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელმა ექსპერტიზის ჩატარება უნდა დაავალოს ამ პირს. თუ შეუძლებელია ამ პირის მიერ ექსპერტიზის ჩატარება ან – დროულად ჩატარება (მივლინების, შვებულების, ავადმყოფობის გამო და ა.შ.), საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელმა ამის შესახებ უნდა აცნობს ექსპერტიზის დამნიშვნელ ორგანოს, თანამდებობის პირს.

4. თუ დადგენილებაში არ არის მითითება ექსპერტიზის კონკრეტული ექსპერტის მიერ ჩატარების შესახებ, საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა გასცეს განკარგულება, თუ ამ დაწესებულების თანამშრომელთაგან რომელი ჩაატარებს ექსპერტიზას, რაც უნდა აცნობოს ექსპერტიზის დამნიშვნელ ორგანოს, თანამდებობის პირს.

5. საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს უნდა გაეგზავნოს გამოსაკვლევი ობიექტები, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — სისხლის სამართლის საქმის ასლი.

6. საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელმა:

– ორგანიზაცია უნდა გაუწიოს ექსპერტიზის ჩატარებას;

– უზრუნველყოს გამოკვლევის ობიექტების დაცვა-შენახვა;

– განსაზღვროს ექსპერტიზის დამთავრების ვადები.

7. საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება არა აქვს:

– მიიწვიოს ექსპერტიზის ჩატარებისას პირი, რომელიც არ მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში;

– ექსპერტიზის დამნიშვნელი პირის დადგენილების გარეშე მოითხოვოს სხვა დაწესებულებიდან ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო:

ა) დოკუმენტი;

ბ) ნივთიერი მტკიცებულება;

გ) სხვა მტკიცებულება.

მუხლი 370. ექსპერტიზის ჩატარება არასაექსპერტო დაწესებულებაში

1. **თუ ექსპერტიზა ტარდება არასაექსპერტო დაწესებულებაში, გამომძიებელი ან პროკურორი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გამოიძახებს პირს, რომელსაც ევალება ექსპერტიზა, რწმუნდება ამ პიროვნების კომპეტენტურობაში, ადგენს ექსპერტის დამოკიდებულებას ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან თუ დაზარალებულთან, პროცესის სხვა მონაწილეებთან და ამოწმებს, ხომ არ არსებობს ექსპერტის აცილების საფუძველი.**
2. **ექსპერტიზის დამნიშვნელი პირი ექსპერტს გადასცემს დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, განუმარტავს 364-ე მუხლით გათვალისწინებულ მის უფლება-მოვალეობებს და აფრთხილებს ყალბი დასკვნისათვის სის-**

ხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ამ გაფრთხილებას ექსპერტი ადასტურებს ხელმოწერით. ამგვარადვე ფიქსირდება ექსპერტის განცხადება და შუამდგომლობა. ექსპერტის შუამდგომლობის უარყოფის შესახებ ექსპერტიზის დამნიშვნელ პირს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება.

3. **ექსპერტიზის დამნიშვნელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულისა და მოწმის ექსპერტთან მიყვანა, თუ აუცილებელი გახდა მათი სხეულის ან ფსიქიკის გამოკვლევა, ან თუ შესაძლებლადაა მიჩნეული ექსპერტიზაზე აღნიშნულ პირთა (მოწმის გარდა) დასწრება.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. თუ ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს არასაექსპერტო დაწესებულებაში, გამომძიებელმა, პროკურორმა ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ (ან გამოტანამდე):

– უნდა გამოიძახონ პირი, რომელსაც ევალება (უნდა დაევალოს) ექსპერტიზის ჩატარება;

– უნდა დარწმუნდნენ ამ პირის კომპეტენტურობაში;

– უნდა დაადგინონ ექსპერტის დამოკიდებულება:

ა) ეჭვმიტანილთან;

ბ) ბრალდებულთან;

გ) დაზარალებულთან;

დ) პროცესის სხვა მონაწილეებთან;

– უნდა შეამოწმონ, ხომ არ არსებობს ექსპერტის აცილების საფუძველი;

– ექსპერტს უნდა გადასცენ დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;

– ექსპერტს უნდა განუმარტონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული მისი უფლება-მოვალეობები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის კომენტარები);

– ექსპერტი უნდა გააფრთხილონ ყალბი დასკვნისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, რაც ექსპერტმა ხელის მოწერით უნდა დაადასტუროს.

2. ექსპერტიზის დამნიშვნელი პირი ვალდებულია – უზრუნველყოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმის ექსპერტთან მიყვანა, თუ:

– აუცილებელი გახდა მისი სხეულის გამოკვლევა;

– აუცილებელი გახდა მისი ფსიქიკის გამოკვლევა;

– შესაძლებლად იქნა მიჩნეული ექსპერტიზაზე ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის დასწრება.

მუხლი 371. ექსპერტის დასკვნა

1. **საჭირო გამოკვლევების შემდეგ ექსპერტი ადგენს წერილობით დასკვნას, რომელსაც ადასტურებს თავისი ხელმოწერით.**
2. **ექსპერტის დასკვნაში უნდა აღინიშნოს ექსპერტის ვინაობა (სახელი, გვარი, განათლება, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება, თანამდებობა), ექსპერტის გაფრთხილება განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი, ვინ ესწრებოდა მას, სისხლის სამართლის საქმის რა მასალები გამოიყენა ექსპერტმა, რა ნივთიერი მტკიცებულებები, ნიმუშები ან სხვა ობიექტები გამოიკვლია, რა გამოკვლევა ჩაატარა და რა მეთოდები გამოიყენა, საკმარისად საიმედოა თუ არა ისინი, დასაბუთებული პასუხები დასმულ კითხვებზე, ექსპერტის ინიციატივით დადგენილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებანი.**
3. **ექსპერტის დასკვნაში შეიძლება მიეთითოს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებები და მათი აცილების ორგანიზაციულ-ტექნიკური რეკომენდაციები.**
4. **ექსპერტის დასკვნას უნდა დაერთოს გამოკვლევის შემდეგ დარჩენილი ნივთიერი მტკიცებულებები, ნიმუშები, ფოტოსურათები, სქემები და გრაფიკები, სხვა მასალები, რომლებიც ადასტურებენ ექსპერტის დასკვნებს.**
5. **ექსპერტის დასკვნა უნდა შეიცავდეს ყველა ან ზოგიერთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაუცემლობის მიზეზის დასაბუთებას, თუ გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ მისთვის წარდგენილი მასალები არ არის საკმარისი, ან ექსპერტი არაკომპეტენტურია.**
6. **გამოსაკვლევ გარემოებათა შესახებ ექსპერტის საალბათო დასკვნებს მტკიცებულების მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ისინი მაინც უნდა აისახოს ექსპერტის დასკვნაში.**

1. ექსპერტიზის შედეგების საპროცესო დამაგრების საშუალებაა ექსპერტის წერილობითი დასკვნა, რომელსაც ადგენს ექსპერტი (ექსპერტები).

2. ექსპერტის დასკვნა დგება საექსპერტო გამოკვლევების დასრულების შემდეგ.

3. ექსპერტის დასკვნას ხელის მოწერით ადასტურებს ექსპერტი (ექსპერტები).

4. ექსპერტის დასკვნაში უნდა აღინიშნოს:

– საექსპერტო დაწესებულების დასახელება, სადაც ჩატარდა ექსპერტიზა;

– ექსპერტის სახელი, გვარი;

– განათლება;

– სპეციალობა;

– სპეციალობით მუშაობის სტაჟი;

– სამეცნიერო ხარისხი;

– სამეცნიერო წოდება;

– თანამდებობა;

– ექსპერტის გაფრთხილება განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ;

– ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი;
– ვინ ესწრებოდა ექსპერტიზის ჩატარებას;
– სისხლის სამართლის საქმის რა მასალები გამოიყენა ექსპერტმა;
– რა ნივთიერი მტკიცებულებები გამოიკვლია ექსპერტმა;
– რა ნიმუშები გამოიკვლია ექსპერტმა;
– სხვა რა ობიექტები გამოიკვლია ექსპერტმა;
– რა გამოკვლევა ჩაატარა ექსპერტმა;
– რა მეთოდი გამოიყენა ექსპერტმა, საკმარისად საიმედოა თუ არა ის;
– დასაბუთებული პასუხები დასმულ კითხვებზე;
– ექსპერტის ინიციატივით დადგენილი და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომელთა შესახებაც არ იყო დასმული შეკითხვა.

5. ექსპერტის დასკვნაში შეიძლება მიეთითოს:
– დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებები;
– მათი აცილების ორგანიზაციულ-ტექნიკური რეკომენდაციები.

6. ექსპერტის დასკვნას უნდა დაერთოს გამოკვლევის შემდეგ დარჩენილი:
– ნივთიერი მტკიცებულება;
– ნიმუში;
– ფოტოსურათი;
– სქემა;
– გრაფიკი;
– სხვა მასალა, რომელიც ადასტურებს ექსპერტის დასკვნას.

7. თუ ექსპერტი პასუხს ვერ სცემს დასმულ შეკითხვებს ან შეკითხვების ნაწილს, მის დასკვნაში უნდა დასაბუთდეს ყველა ან ზოგიერთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაუცემლობის მიზეზი (მაგ.: გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ წარდგენილი მასალები არ არის საკმარისი, ექსპერტი არაკომპეტენტურია და ა.შ.).

8. თუ დასმულ შეკითხვაზე შეუძლებელია კატეგორიული პასუხის გაცემა, ექსპერტი უფლებამოსილია, კატეგორიული პასუხის გაუცემლობის დასაბუთებაზე მითითებით, გააკეთოს საალბათო დასკვნა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ გამოსაკვლევი გარემოებების შესახებ ექსპერტის საალბათო დასკვნებს მტკიცებულების მნიშვნელობა არა აქვს, ისინი მაინც უნდა აისახოს ექსპერტის დასკვნაში.

მუხლი 372. აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ

თუ გამოკვლევის დაწყებამდე ექსპერტი აღმოაჩენს, რომ მის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად მისი ცოდნა არ არის საკმარისი, ან მისთვის წარდგენილი ობიექტები არ კმარა ექსპერტიზის ჩასატარებლად, იგი ადგენს მოტივირებულ აქტს დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ და უგზავნის ექსპერტიზის დამნიშვნელ პირს.

1. ექსპერტი არ არის უფლებამოსილი, ჩაატაროს გამოკვლევა და გასცეს დასკვნა:
– ისეთ საკითხზე, რომელიც სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს;

– თუ მისთვის წარდგენილი ობიექტები არ კმარა ექსპერტიზის ჩასატარებლად;

– თუ მის ხელთ (საექსპერტო დაწესებულებაში) არსებული ტექნიკური საშუალებები არ იძლევა შესაბამისი გამოკვლევების ჩატარების შესაძლებლობას და კვლევის არასრულყოფილი საშუალებებით ჩატარებამ შეიძლება გამოიწვიოს საკვლევი ობიექტების უშედეგო გახარჯვა ან გაუვარგისება შემდგომი საექსპერტო კვლევისათვის.

2. თუ გამოკვლევის დაწყებამდე ექსპერტი დარწმუნდება ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობაში, მან უნდა შეადგინოს მოტივირებული აქტი ექსპერტიზის ჩატარების (დასკვნის შედგენის) შეუძლებლობის შესახებ და გადაუგზავნოს ექსპერტიზის დამნიშვნელ ორგანოს, თანამდებობის პირს.

მუხლი 373. ექსპერტის დაკითხვა

1. **თუ ექსპერტის დასკვნა გაუგებარია, ან აქვს ხარვეზი, მაგრამ მის შესავსებად საჭირო არ არის დამატებითი გამოკვლევის ჩატარება, ანდა აუცილებელია ექსპერტის მიერ გამოყენებული მეთოდისა და ტერმინების დაზუსტება, გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს დაკითხოს ექსპერტი ამ კოდექსის 305-ე მუხლში ჩამოყალიბებული წესების დაცვით.**
2. **დასკვნის წარმოდგენამდე ექსპერტის დაკითხვა დაუშვებელია.**
3. **ექსპერტის მიერ დაკითხვისას მიცემული ჩვენება წარმოადგენს მტკიცებულებას.**
4. **თუ მხარე შუამდგომლობს ექსპერტის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს, ექსპერტი უნდა დაკითხონ მხარეებმა სასამართლო სხდომაზე. ამ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს, თუ ის არ დადასტურდება ექსპერტის ზეპირი ჩვენებით სასამართლოში.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2543 – სსმ I, 2001 წ., №1, მუხლი 9; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. ექსპერტის დასკვნა უნდა შედგეს გასაგები ენით. იგი ზედმეტად არ უნდა გადაიტვირთოს სპეციფიკური, მხოლოდ შესაბამისი დარგის სპეციალისტებისათვის გასაგები ტერმინებით, ხოლო ასეთი ტერმინების გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში ექსპერტმა უნდა განმარტოს ისინი წერილობით დასკვნაშივე.

2. გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ, დაკითხონ ექსპერტი, თუ:

– ექსპერტის დასკვნა გაუგებარია;

– ექსპერტის დასკვნას აქვს ხარვეზი, მაგრამ მის შესავსებად საჭირო არ არის დამატებითი გამოკვლევის ჩატარება;

– აუცილებელია ექსპერტის მიერ გამოყენებული მეთოდისა და ტერმინების დაზუსტება (განმარტება) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 361-ე მუხლის კომენტარები).

3. ექსპერტის დაკითხვა ხდება მოწმის დაკითხვისათვის დადგენილი წესებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 117-ე, 305-ე მუხლების კომენტარები).

4. ექსპერტის დასკვნის წარმოდგენამდე ექსპერტის დაკითხვა დაუშვებელია.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ექსპერტის მიერ დაკითხვისას მიცემული ჩვენება წარმოადგენს მტკიცებულებას.

6. თუ მხარე შუამდგომლობს ექსპერტის დაკითხვას სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის დროს, სასამართლო სხდომაზე ექსპერტის გამოძახება მხარეების მიერ მისი დაკითხვის მიზნით სავალდებულოა. ამ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს, თუ მას სასამართლოში დაკითხვისას არ დაადასტურებს ექსპერტი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე, 117-ე, 130-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 374. ექსპერტის დასკვნის შეფასება

1. **ექსპერტის დასკვნას აფასებს გამომძიებელი ან პროკურორი იმ თვალსაზრისით, თუ როგორ არის იგი დასაბუთებული, შეესაბამება თუ არა სისხლის სამართლის საქმეზე არსებულ მტკიცებულებებს და არის თუ არა დაცული ექსპერტიზის ჩასატარებლად დადგენილი საპროცესო წესები.**
2. **ექსპერტის დასკვნა სავალდებულო არ არის ექსპერტიზის დამნიშვნელი პირისათვის, მაგრამ, თუ იგი არ ეთანხმება დასკვნას, ეს მოტივირებული უნდა იყოს.**
3. **თუ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა რამდენიმე ექსპერტიზა და ექსპერტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა, მე10 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ეჭვი უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სასარგებლოდ.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ექსპერტის დასკვნას, ისევე – როგორც სხვა მტკიცებულებას, არა აქვს წინასწარ დადგენილი სავალდებულო იურიდიული ძალა.

2. ექსპერტის დასკვნას აფასებენ გამომძიებელი, პროკურორი იმ თვალსაზრისით:

– თუ როგორ არის იგი დასაბუთებული;

– შეესაბამება თუ არა სისხლის სამართლის საქმეზე არსებულ სხვა მტკიცებულებებს;

– არის თუ არა დაცული ექსპერტიზის ჩასატარებლად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები.

3. ექსპერტის დასკვნა სავალდებულო არ არის გამომძიებლისა და პროკურორისათვის, მაგრამ, თუ ისინი არ ეთანხმებიან ექსპერტის დასკვნას, ეს უნდა დასაბუთდეს.

4. თუ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა რამდენიმე ექსპერტიზა, ექსპერტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა და შეუძლებელია ეჭვის გამორიცხვა სხვა საშუალებებით, ეჭვი უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის სასარგებლოდ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის კომენტარები).

თავი XLV
ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის

მუხლი 375. ნიმუშის აღების საფუძველი, სახე და ხერხი

1. **გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს აიღოს ადამიანის, გვამის, ცხოველის, ნივთიერების, საგნის თვისებების ამსახველი ნიმუში, თუ მისი გამოკვლევა საჭიროა ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის გადასაწყვეტად.**
2. **ცოცხალი ადამიანისაგან შეიძლება აიღონ ნიმუში, რომელიც ასახავს შემდეგ თავისებურებებს: ბიოლოგიურს – სისხლი, თმა, ნერწყვი, გამონაყოფი; ფსიქოფიზიკურს – ხელწერა; ანატომიურს – კანის ნახჭის ანაბეჭდები, კბილების ტვიფრი; ხმის თავისებურება და პროფესიული ჩვევა.**
3. **ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული გამოკვლევისათვის აღებული ნიმუში (გარდა ხელწერისა და ხმის თავისებურებისა) შეიძლება აიღონ გვამის დათვალიერებისას, ხოლო ნიმუშები ბიოლოგიური ობიექტების სახით – ცხოველისაგან.**
4. **ნიმუშად შეიძლება აიღონ ნედლეულის, პროდუქციისა და მასალების სინჯები, რომლებიც გამოხატავს ნივთიერებათა გვარეობით ან ინდივიდუალურ, ფიზიკურ ან ქიმიურ თავისებურებებს.**
5. **გამოკვლევის პროცესში ექსპერტს უფლება აქვს აიღოს მასრის, ტყვიისა და სხვა ობიექტების საცდელი ნიმუშები მათი იდენტურობის ან სხვაობის დასადგენად.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ნიმუშის აღების მიზანია მისი გამოყენებით საექსპერტო გამოკვლევის ჩატარება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გასარკვევად.

2. ნიმუში შეიძლება აღებულ იქნეს:

– ადამიანისგან;

– ცხოველისგან;

– გვამისგან;

– ნივთიერებისგან;

– საგნისგან.

3. ცოცხალი ადამიანისაგან შეიძლება აღებულ იქნეს:

– ბიოლოგიური ნიმუში:

ა) სისხლი;

ბ) თმა;

გ) ნერწყვი;

დ) გამონაყოფი;

– ფსიქოფიზიკური ნიმუში:

ა) ხელწერა;

– ანატომიური ნიმუში:

ა) კანის ნახჭის ანაბეჭდი;

ბ) კბილების ტვიფრი;

– ხმის თავისებურება,

– პროფესიული ჩვევა.

4. გვამის დათვალიერებისას შეიძლება აღებულ იქნეს ყველა ზემოაღნიშნული ნიმუში, ხელწერისა და ხმის თავისებურების გარდა.

5. ცხოველისაგან შეიძლება აღებულ იქნეს ნიმუშები ბიოლოგიური ობიექტების სახით.

6. ნიმუშად შეიძლება აღებულ იქნეს:

– ნედლეულის;

– პროდუქციის;

– მასალების სინჯები, რომლებიც გამოხატავს ნივთიერებათა:

ა) გვარეობით თავისებურებებს;

ბ) ინდივიდუალურ თავისებურებებს;

გ) ფიზიკურ თავისებურებებს;

დ) ქიმიურ თავისებურებებს.

7. გამოკვლევის პროცესში ექსპერტს უფლება აქვს, იდენტურობის ან სხვაობის დასადგენად აიღოს:

– მასრის საცდელი ნიმუშები;

– ტყვიის საცდელი ნიმუშები;

– სხვა ობიექტის საცდელი ნიმუშები.

მუხლი 376. პირი, რომელსაც უფლება აქვს აიღოს ნიმუში

1. **გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს სპეციალისტისა და ექსპერტის მონაწილეობით პირისაგან აიღოს ნიმუში საექსპერტო გამოკვლევისათვის, თუ ეს არ არის დაკავშირებული მის გაშიშვლებასთან და არ მოითხოვს განსაკუთრებულ პროფესიულ ჩვევებს.**
2. **თუ ნიმუშის აღება დაკავშირებულია ადამიანის სხეულის გაშიშვლებასთან, გამომძიებლის ან პროკურორის დავალებით, საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუშს იღებს ექიმი.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ნიმუშის აღების უფლება აქვს:

– გამომძიებელს;

– პროკურორს;
– ექსპერტს;
– სპეციალისტს;
– ექიმს.

2. გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ, სპეციალისტის, ექსპერტის მონაწილეობით პირისაგან აიღონ ნიმუში იმ შემთხვევაში, როდესაც ნიმუშის აღებისათვის არ არის აუცილებელი განსაკუთრებული სპეციალური ცოდნა (არ მოითხოვს განსაკუთრებულ პროფესიულ ჩვევებს) და ეს არ არის დაკავშირებული ადამიანის სხეულის გაშიშვლებასთან. მაგ.: ხელწერის ნიმუშის აღება, თითის ანაბეჭდის ნიმუშის აღება და ა.შ.

3. თუ ნიმუშის აღება დაკავშირებულია ადამიანის სხეულის გაშიშვლებასთან, გამომძიებლის, პროკურორის დავალებით, საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუში უნდა აიღოს ექიმმა.

მუხლი 377. პირი, რომლისგანაც შეიძლება ნიმუშის აღება

1. **საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუში შეიძლება აიღონ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისაგან, აგრეთვე პირისაგან, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.**
2. **თუ არსებობს მონაცემები, რომ შემთხვევის ადგილას კვალი ან ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება სხვა პირის დატოვებული იყოს, საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუში შეიძლება ამ პირისაგან აიღონ მას შემდეგ, რაც დაკითხავენ როგორც დაზარალებულს ან მოწმეს ამ ნიმუშთან დაკავშირებულ გარემოებათა გამო.**

1. საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუში შეიძლება აიღონ:
– ეჭვმიტანილისაგან;
– ბრალდებულისაგან;
– პირისაგან, რომლის მიმართაც გამოიყენება (შეიძლება გამოყენებულ იქნეს) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება;
– დაზარალებულისაგან;
– მოწმისაგან.

2. დაზარალებულისა და მოწმისაგან ნიმუშის აღება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მონაცემები, რომ შემთხვევის ადგილას კვალი ან ნივთიერი მტკიცებულება მათაც შეიძლებოდა დაეტოვებინათ. მაგ.: ჩადენილია ბინის ქურდობა და შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ იქნა თითის ანაბეჭდები. ამ შემთხვევაში თითის ანაბეჭდის ნიმუშები, შემდგომი შედარებითი კვლევის მიზნით, შეიძლება აღებულ იქნეს დაზარალებულისგან, ასევე – სხვა პირებისგან, თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ კვალი შეიძლებოდა მათაც დაეტოვებინათ.

3. მოწმისა და დაზარალებულისაგან საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუში შეიძლება აიღონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ დაკითხავენ როგორც მოწმეს, დაზარალებულს, ამ ნიმუშთან დაკავშირებული გარემოებების გამო.

მუხლი 378. დადგენილება ნიმუშის აღების შესახებ

ნიმუშის აღების შესახებ გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ნიმუშის ამღები პირი, ის პირი, რომლისგანაც უნდა აიღონ ნიმუში, როგორი ნიმუშებია ასაღები და რა რაოდენობით, როდის და ვისთან უნდა მივიდეს პირი ნიმუშების ასაღებად, როდის და ვის უნდა გადაეცეს ნიმუშები მათი აღების შემდეგ.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ნიმუშის აღებისათვის აუცილებელია ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) და ფორმალური (საპროცესო, სამართლებრივი) საფუძვლების (წინა პირობების) არსებობა.

2. ფაქტობრივ საფუძვლებში იგულისხმება უკვე არსებული მონაცემები (მტკიცებულებები), რომლებიც წარმოშობს რაიმე ფაქტობრივი გარემოების გადამოწმების საჭიროებას და ამ გარემოების გადასამოწმებლად აუცილებელია რაიმე სახის ნიმუშის აღება.

3. ნიმუშის აღების ფორმალური (საპროცესო, სამართლებრივი) საფუძველია:

– ნიმუშის აღების შესახებ გამომძიებლის, პროკურორის დადგენილება;

– მოწმისაგან, დაზარალებულისაგან ნიმუშის იძულებით აღების შესახებ მოსამართლის ბრძანება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის კომენტარები).

4. ნიმუშის აღების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს:

– თარიღი;

– გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი);

– სისხლის სამართლის საქმის დასახელება, ქმედების კვალიფიკაცია;

– ნიმუშის აღების საფუძველი (რა გარემოებების დასადგენად არის საჭირო ნიმუშის აღება);

– პირი (ან დაწესებულება), რომელსაც უფლება ეძლევა (ევალება), აიღოს ნიმუში;

– ის პირი (გვამი, ცხოველი, ნივთიერება, საგანი), რომლისგანაც უნდა აიღონ ნიმუში;

– როგორი ნიმუშია ასაღები;

– რა რაოდენობით არის ნიმუში ასაღები;

– როდის უნდა მივიდეს პირი ნიმუშების ასაღებად;

– ვისთან უნდა მივიდეს პირი ნიმუშების ასაღებად;

– როდის უნდა გადაეცეს ნიმუში მისი აღების შემდეგ;

– ვის უნდა გადაეცეს ნიმუში მისი აღების შემდეგ.

მუხლი 379. ნიმუშის აღების შესახებ დადგენილების სავალდებულოობა

1. **ბრალდებული და ეჭვმიტანილი, რომლებიც თავს არიდებენ ნიმუშის აღებას, შეიძლება იძულებით მოიყვანონ და ნიმუშიც იძულებით აიღონ, თუ საამისოდ**

გამოყენებული მეთოდები საფრთხეს არ უქმნის მათს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას.

2. დაზარალებულისა და მოწმისაგან ნიმუშების იძულებით აღება დაუშვებელია, გარდა 368-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1. ეჭვმიტანილი, ბრალდებული, რომლებიც თავს არიდებენ ნიმუშის აღებას, შეიძლება იძულებით მოიყვანონ და ნიმუში იძულებით აიღონ, თუ საამისოდ გამოყენებული მეთოდები:

– საფრთხეს არ უქმნის მათ სიცოცხლეს;

– საფრთხეს არ უქმნის მათ ჯანმრთელობას;

– არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას.

2. ეჭვმიტანილის და ბრალდებულისაგან ნიმუშის იძულებით ასაღებად საჭირო არ არის სასამართლოს თანხმობა (ნებართვა). აღნიშნული უნდა განხორციელდეს გამომძიებლის, პროკურორის დადგენილების საფუძველზე.

3. დაზარალებულისა და მოწმისაგან ნიმუშის იძულებით აღება, როგორც წესი, დაუშვებელია.

4. ამ საერთო წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც:

– ნიმუშის იძულებით აღება ტარდება ვენერიული დაავადების დასადგენად;

– ნიმუშის იძულებით აღება ტარდება სხვა ინფექციური დაავადების დასადგენად;

– ეჭვმიტანილი ითხოვს იმ დაზარალებულის ჩვენების შემოწმებას, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში;

– ბრალდებული ითხოვს იმ დაზარალებულის ჩვენების შემოწმებას, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში.

5. დაზარალებულისა და მოწმისაგან ნიმუშის იძულებით აღება დასაშვებია მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 380. გამომძიებლისა და პროკურორის მიერ ნიმუშის აღების საპროცესო წესი

1. გამომძიებელი ან პროკურორი იძახებს პირს ან თავად მიდის მასთან და ხელმოწერით აცნობს დადგენილებას ნიმუშის აღების შესახებ, განუმარტავს მას, აგრეთვე სპეციალისტს მათ უფლება-მოვალეობებს.

2. გამომძიებელი ან პროკურორი საჭიროების მიხედვით მოქმედებს და იღებს ნიმუშს საექსპერტო გამოკვლევისათვის; ამასთან, შეიძლება გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდები, რომლებიც არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას და არ არის საშიში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ნიმუშად მიღებული ბიოლოგიური ობიექტები იფუთება და ილუქება.

3. ნედლეულის, პროდუქციის, ნივთიერებისა და სხვა მასალების სინჯების ნიმუშების აღება ხდება ამოღების ან ჩხრეკის გზით.

4. გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს დადგენილება, რომ სისხლის სამართლის საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად დაურთონ ნიმუში, და დადგენილებასა და ნიმუშის აღების ოქმთან ერთად უგზავნის შესაბამის ექსპერტს.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. გამომძიებელმა, პროკურორმა:

– ან უნდა გამოიძახონ პირი, რომლისგანაც უნდა აიღონ ნიმუში;

– ან თვითონ უნდა მივიდნენ პირთან, რომლისგანაც უნდა აიღონ ნიმუში.

2. ნიმუშის აღებამდე გამომძიებელმა, პროკურორმა პირს, რომლისგანაც უნდა აიღონ ნიმუში, უნდა გააცნონ დადგენილება ნიმუშის აღების შესახებ და განუმარტონ თავისი უფლება-მოვალეობები. დადგენილების გაცნობა და უფლება-მოვალეობების განმარტება უნდა დაფიქსირდეს:

– ან ამ დადგენილებაზე ხელის მოწერით;

– ან ცალკე ოქმის შედგენის გზით.

3. უფლება-მოვალეობები უნდა განემარტოს აგრეთვე ნიმუშის აღებაში მონაწილე სპეციალისტს.

4. გამომძიებელი, პროკურორი მოქმედებენ საჭიროების მიხედვით და იღებენ ნიმუშს საექსპერტო გამოკვლევისათვის. ნიმუშის აღებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდები, რომლებიც:

– არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას;

– არ არის საშიში ადამიანის სიცოცხლისათვის;

– არ არის საშიში ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

5. ნიმუშად მიღებული ბიოლოგიური ობიექტები უნდა შეიფუთოს და დაილუქოს.

6. ამოღებით ან ჩხრეკით უნდა აიღონ:

– ნედლეულის სინჯების ნიმუშები;

– პროდუქციის სინჯების ნიმუშები;

– ნივთიერების სინჯების ნიმუშები;

– სხვა მასალების სინჯების ნიმუშები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე, 291-ე, 292-ე, 293-ე, 315-332-ე მუხლების კომენტარები).

7. აღებული ნიმუში, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

8. ექსპერტს უნდა გადაეგზავნოს როგორც ნიმუში, ასევე – დადგენილება ნიმუშის აღების შესახებ და ნიმუშის აღების ოქმი.

მუხლი 381. ექიმის ან სხვა სპეციალისტის მიერ ნიმუშის აღების საპროცესო წესი

1. გამომძიებელი ან პროკურორი ექიმს ან სხვა სპეციალისტს წარუდგენს შესაბამის პირს, აგრეთვე დადგენილებას მისგან ნიმუშის აღების შესახებ. დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს ამ საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილის უფლება-მოვალეობები. ექიმის, სხვა სპეციალისტის აცილების საკითხს წყვეტს დადგენილების გამომტანი გამომძიებელი ან პროკურორი.

2. ექიმი ან სხვა სპეციალისტი ატარებს საჭირო მოქმედებას და იღებს ნიმუშს საექსპერტო გამოკვლევისათვის, რისთვისაც შეიძლება გამოიყენოს მეცნიერულ-ტექნიკური მეთოდები და საშუალებები, თუ ეს არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას და არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ნიმუშს ათვალიერებენ, ფუთავენ, ლუქავენ, ხელს აწერენ და ნიმუშის აღების ოქმთან ერთად გადასცემენ გამომძიებელს ან პროკურორს.

3. გამომძიებელი ან პროკურორი ცხოველებისაგან ნიმუშების აღებას ავალებს ექიმ-ვეტერინარს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — სხვა სპეციალისტს.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. როდესაც ადამიანისაგან ნიმუშის აღება ევალება ექიმს, სხვა სპეციალისტს, გამომძიებელი, პროკურორი მას გადასცემენ დადგენილებას ნიმუშის აღების შესახებ და წარუდგენენ პირს, რომლისგანაც აღებულ უნდა იქნეს ნიმუში.

2. ნიმუშის აღების შესახებ დადგენილებაში უნდა მიეთითოს ამ საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილის უფლება-მოვალეობები. ამასთან, გამომძიებელმა, პროკურორმა შესაძლებელია, ნიმუშის აღების დაწყებამდე საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილეს განუმარტონ უფლება-მოვალეობები, რაც უნდა დაფიქსირდეს წერილობით (მაგ.: ოქმის შედგენით).

3. ექიმის, სხვა სპეციალისტის აცილების საკითხს წყვეტენ დადგენილების გამომტანი ორგანო, თანამდებობის პირი.

4. ექიმი, სხვა სპეციალისტი ატარებენ საჭირო მოქმედებას და იღებენ ნიმუშს საექსპერტო გამოკვლევისათვის, რისთვისაც შეიძლება გამოიყენონ მეცნიერულ-ტექნიკური მეთოდები და საშუალებები, თუ ეს:

– არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას;

– არ არის საშიში სიცოცხლისათვის;

– არ არის საშიში ჯანმრთელობისათვის.

5. ექიმი, სხვა სპეციალისტი:

– ნიმუშს ათვალიერებენ;

– ნიმუშს ფუთავენ;

– ნიმუშს ლუქავენ;

– ხელს აწერენ;

– ნიმუშის აღების ოქმთან ერთად გადასცემენ გამომძიებელს, პროკურორს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლის კომენტარები).

6. ცხოველისაგან ნიმუშის აღება, როგორც წესი, უნდა დაევალოს ექიმ-ვეტერინარს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — სხვა სპეციალისტს.

მუხლი 382. ნიმუშის აღების ოქმი

1. **გამომძიებელი ან პროკურორი ამ კოდექსის 287-ე-289-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ადგენს ოქმს, რომელშიც აღწერს თვით ნიმუშს, მის ასაღებად განხორციელებულ ყველა მოქმედებას, აგრეთვე გამოყენებულ მეცნიერულ-ტექნიკურ მეთოდებსა და საშუალებებს იმ თანამიმდევრობით, როგორითაც სრულდებოდა ეს მოქმედებები.**
2. **381-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნიმუშის აღების ოქმს ადგენს ექიმი ან სხვა სპეციალისტი.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ნიმუშის აღების ოქმს, როგორც წესი, ადგენენ გამომძიებელი, პროკურორი.

2. თუ დადგენილების საფუძველზე ნიმუშს იღებენ ექიმი, სხვა სპეციალისტი, ნიმუშის აღების ოქმს ადგენს ნიმუშის ამღები პირი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის კომენტარები).

3. გამომძიებელი, პროკურორი ნიმუშის აღების შესახებ ოქმს ადგენენ საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენისათვის დადგენილი ზოგადი წესების დაცვით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე, 288-ე, 289-ე მუხლების კომენტარები).

4. ნიმუშის აღების ოქმში უნდა აღიწეროს:

– ნიმუში (რა იქნა აღებული);

– ნიმუშის ასაღებად განხორციელებული მოქმედებები;

– გამოყენებული მეცნიერულ-ტექნიკური მეთოდები და საშუალებები.

მუხლი 383. პიროვნების უფლებათა დაცვა ნიმუშის აღებისას

1. **საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუშის აღების მეცნიერულ-ტექნიკური მეთოდები და საშუალებები უსაფრთხო უნდა იყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ძლიერი ტკივილის შეგრძნების გამომწვევი სამედიცინო მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება დასაშვებია იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც უნდა აიღონ ნიმუში, ხოლო თუ იგი 16 წლამდე ასაკისაა ან ფსიქიკურად ავადმყოფი ან ჭკუასუსტია, – მისი კანონიერი წარმომადგენლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობით.**
2. **ნიმუშის აღებისას დაუშვებელია ადამიანის პიროვნების პატივისა და ღირსების შეურაცხმყოფელი მოქმედებები.**
3. **თუ ნიმუშის აღება დაკავშირებულია პირის გაშიშვლებასთან, სპეციალისტი იმავე სქესის უნდა იყოს, რაც ის პირი, რომლისგანაც იღებენ ნიმუშს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუშის აღებისას დასაშვებია იმ მეცნიერულ-ტექნიკური მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, რომლებიც:

– უსაფრთხოა სიცოცხლისათვის;

– უსაფრთხოა ჯანმრთელობისათვის;

– არ არის პიროვნების პატივის შეურაცხმყოფელი;

– არ არის პიროვნების ღირსების შეურაცხმყოფელი.

2. ძლიერი ტკივილის შეგრძნების გამომწვევი სამედიცინო მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება დასაშვებია იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც უნდა აიღონ ნიმუში.

3. თუ პირი, რომლისგანაც უნდა აიღონ ნიმუში, 16 წლამდე ასაკისაა, ან ფსიქიკურად ავადმყოფია, ან ჭკუასუსტია, ძლიერი ტკივილის შეგრძნების გამომწვევი სამედიცინო მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება დასაშვებია ამ პირის:

– კანონიერი წარმომადგენლის;

– მეურვის;

– მზრუნველის თანხმობით.

4. თუ ნიმუშის ასაღებად საჭიროა პირის გაშიშვლება, ნიმუში უნდა აიღოს იმავე სქესის სპეციალისტმა.

5. ისეთი საკითხების განმარტებისას, როგორიცაა „სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი, ან პატივისა და ღირსების შემლახველი მეთოდები და საშუალებები“, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ეს მეთოდები და საშუალებები ობიექტურად უნდა წარმოადგენდეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველს, პატივისა და ღირსების შემლახველს და არა მხოლოდ სუბიექტურად – იმ პირის წარმოდგენით, ვისგანაც უნდა აიღონ ნიმუში, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში, პირის მახასიათებელი სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, პატივისა და ღირსების შესაძლო შელახვის საკითხის შეფასებისას უნდა გაითვალისწინონ სუბიექტური გარემოებებიც.

მუხლი 384. ექსპერტის მიერ ნიმუშის აღება

1. **გამოკვლევის პროცესში საცდელი ნიმუში შეიძლება აიღოს ექსპერტმა.**
2. **გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს დაესწროს საცდელი ნიმუშის აღებას, რაც აისახება მის მიერ შედგენილ ოქმში.**
3. **გამოკვლევის შემდეგ ექსპერტი დალუქულ ნიმუშს ურთავს თავის დასკვნას.**
4. **გამომძიებელი ან პროკურორი ექსპერტისაგან მიღებულ ნიმუშსა და დასკვნას ურთავს სისხლის სამართლის საქმეს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ნიმუშის აღების აუცილებლობა შესაძლებელია, წარმოიშვას ექსპერტიზის ჩატარებისას (მიმდინარეობისას).

2. ექსპერტიზის ჩატარებისას (მიმდინარეობისას), ძირითადად, შეიძლება მოხდეს საცდელი ნიმუშის აღება შედარებითი გამოკვლევის ჩასატარებლად.

3. გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ, დაესწრონ ექსპერტის მიერ საცდელი ნიმუშის აღებას, რაც უნდა აისახოს მათ მიერ შედგენილ ოქმში.

4. გამოკვლევის შემდეგ ექსპერტმა მის მიერ აღებული ნიმუში უნდა დაურთოს თავის დასკვნას დალუქული სახით.

5. გამომძიებელმა, პროკურორმა ექსპერტისაგან მიღებული ნიმუში და დასკვნა უნდა დაურთონ სისხლის სამართლის საქმეს.

თავი XLVI
გვამის ექსჰუმაცია

მუხლი 385. გვამის ექსჰუმაციის საფუძველი და მიზანი

თუ დათვალიერების, ამოცნობის ან საექსპერტო გამოკვლევის ჩასატარებლად გვამის ამოღება აუცილებელია, პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი ამის თაობაზე აღძრავს მოტივირებულ შუამდგომლობას, რომელსაც განიხილავს მოსამართლე და, თუ არის ამის საფუძველი, გასცემს ბრძანებას გვამის ექსჰუმაციის შესახებ.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. იმისათვის, რათა არ წარმოიშვას გვამის ექსჰუმაციის აუცილებლობა, გამომძიებელმა, პროკურორმა გარდაცვლილის დაკრძალვამდე უნდა ჩაატარონ სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისათვის აუცილებელი ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება:

– დათვალიერება;

– ამოცნობა;

– ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის;

– ექსპერტიზა.

2. გვამის ექსჰუმაციისათვის აუცილებელია ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) და ფორმალური (საპროცესო, სამართლებრივი) საფუძვლების (წინა პირობების) არსებობა.

3. ფაქტობრივ საფუძვლებში იგულისხმება მტკიცებულებები, რომლებიც წარმოშობს გვამის დათვალიერების, ამოცნობის, საექსპერტო გამოკვლევის ჩატარების აუცილებლობას, როდესაც:

– ან ისინი არ ჩატარებულა;

– ან აუცილებელია მათი განმეორებით ჩატარება.

4. გვამის ექსჰუმაციის ფორმალური (საპროცესო, სამართლებრივი) საფუძველია პროკურორის შუამდგომლობის ან პროკურორის თანხმობით, გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანება გვამის ექსჰუმაციის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები).

5. გვამის ექსჰუმაცია, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუძლებელია გამოსაკვლევი გარემოებების გამორკვევა სხვა საშუალებებით. ამასთან, გასათვალისწინებელია, მოიტანს თუ არა შედეგს გვამის დათვალიერება, ამოცნობა, საექსპერტო გამოკვლევა, ამისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაკრძალვიდან გასული დრო, გვამის მდგომარეობა დაკრძალვისას და ა.შ.

მუხლი 386. გვამის ექსჰუმაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების სავალდებულოობა

მოსამართლის ბრძანება გვამის ექსჰუმაციის შესახებ სავალდებულოა დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციისათვის, გარდაცვლილის ნათესავებისა და სხვა პირებისათვის.

1. გვამის ექსჰუმაციისათვის ყველა შემთხვევაში აუცილებელია მოსამართლის ბრძანება, თუნდაც არ იყვნენ ცნობილი გარდაცვლილის ნათესავები, ან გარდაცვლილის ნათესავები თანახმანი იყვნენ გვამის ექსჰუმაციაზე.

2. მოსამართლის ბრძანება გვამის ექსჰუმაციის შესახებ სავალდებულოა:

– დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციისათვის;

– გარდაცვლილის ნათესავისათვის;

– სხვა პირისათვის.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გვამის ექსჰუმაცია უნდა ჩატარდეს გარდაცვლილის ნათესავებისა თუ სხვა პირების წინააღმდეგობის მიუხედავად.

მუხლი 387. გვამის ექსჰუმაციის წესი

1. **გამომძიებელი ან პროკურორი ატარებს გვამის ექსჰუმაციას დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მონაწილეობით. გვამის ექსჰუმაციის ჩატარებაში მონაწილეობს სასამართლო ექსპერტი, ხოლო თუ ეს საჭიროა – სხვა სპეციალისტიც.**
2. **გვამის ექსჰუმაციის ჩატარებაში შეიძლება ჩააბან ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული, მოწმე, რომლებსაც შეუძლიათ ამოიცნონ გვამი და მისი ტანსაცმელი.**
3. **გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვით, გვამის ექსჰუმაციას შეიძლება დაესწრონ გარდაცვლილის ნათესავები.**
4. **გვამის ექსჰუმაციის შესახებ ოქმი დგება 287-289-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ოქმს შეიძლება დაერთოს სამარხის, კუბოსა და გვამის ფოტოსურათები, კინო- და ვიდეოგადაღების ფირები.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. გვამის ექსჰუმაციას ატარებენ, ანუ მის ჩატარებას უზრუნველყოფენ და ხელმძღვანელობენ:

– გამომძიებელი;

– პროკურორი.

2. გვამის ექსჰუმაციას უნდა ესწრებოდნენ:

– დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციის წარმომადგენელი;

– სასამართლო ექსპერტი.

3. გამომძიებლის, პროკურორის გადაწყვეტილებით გვამის ექსჰუმაციაში მონაწილეობენ (შეიძლება დაესწრონ):

– სხვა სპეციალისტი;

– ეჭვმიტანილი, რომელსაც შეუძლია ამოიცნოს:

ა) გვამი;

ბ) მისი ტანსაცმელი;

– ბრალდებული, რომელსაც შეუძლია ამოიცნოს:

ა) გვამი;

ბ) მისი ტანსაცმელი;

– დაზარალებული, რომელსაც შეუძლია ამოიცნოს:

ა) გვამი;

ბ) მისი ტანსაცმელი;

– მოწმე, რომელსაც შეუძლია ამოიცნოს:

ა) გვამი;

ბ) მისი ტანსაცმელი.

4. გამომძიებლის, პროკურორის ნებართვით გვამის ექსჰუმაციას შეიძლება დაესწროს გარდაცვლილის ნათესავი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი მონაწილეობა გვამის დათვალიერების ან ამოცნობის ჩატარებაში აუცილებელი არ არის.

5. გვამის ექსჰუმაციის შესახებ ოქმი დგება საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენისათვის დადგენილი ზოგადი წესების დაცვით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე, 288-ე, 289-ე მუხლების კომენტარები).

6. გვამის ექსჰუმაციის ოქმს შეიძლება დაერთოს:

– სამარხის ფოტოსურათები;

– კუბოს ფოტოსურათები;

– გვამის ფოტოსურათები;

– კინოგადაღების ფირები;

– ვიდეოგადაღების ფირები.

მუხლი 388. გვამის ექსჰუმაციასთან დაკავშირებული საპროცესო მოქმედებანი

1. თუ გვამის ექსჰუმაცია ტარდება მისი შემდგომი გაკვეთის მიზნით, საჭიროა დადგენილების გამოტანა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ამასთან, გვამი იგზავნება საექსპერტო დაწესებულებაში ან ექსპერტიზა ტარდება სხვა ადგილას.

2. გვამის დათვალიერება, ამოცნობა და შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშის აღება ხდება 336-ე, 348-ე, 375-384-ე მუხლებით გათვალისწინებული წესებით.

1. თუ გვამის ექსჰუმაციის მიზანია მისი შემდგომი გაკვეთა და შესაბამისი გამოკვლევების ჩატარება, გვამის ექსჰუმაციამდე გამომძიებელმა, პროკურორმა უნდა გამოიტანონ დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 367-ე მუხლის კომენტარები).

2. ასეთ შემთხვევაში ექსჰუმაციის შემდეგ გვამი უნდა გაიგზავნოს:

– საექსპერტო დაწესებულებაში;

– სხვა ადგილას, სადაც შესაძლებელია ექსპერტიზის ჩატარება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 369-ე, 370-ე მუხლების კომენტარები).

3. გვამის დათვალიერება, ამოცნობა, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშის აღება ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების დაცვით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 336-ე, 348-ე, 375-384-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 389. გვამის დამარხვა ექსჰუმაციის შემდეგ

ექსჰუმაციის შემდეგ გვამის დამარხვა ხდება იმ პირის თანდასწრებით, რომლის შუამდგომლობითაც მოხდა გვამის ექსჰუმაცია, ხოლო მისი ნებართვით – გარდაცვლილის ნათესავების თანდასწრებითაც.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. გვამის ექსჰუმაციის შედეგად შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების (დათვალიერების, ამოცნობის, საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშის აღების, საექსპერტო გამოკვლევის) დასრულების შემდეგ გვამის დამარხვა ხდება გამომძიებლის, პროკურორის თანდასწრებით, დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მონაწილეობით.

2. გამომძიებლის, პროკურორის ნებართვით გვამის დამარხვას შეიძლება, დაესწროს გარდაცვლილის ნათესავიც.

კარი მერვე
წინასწარი გამოძიების დამთავრება და შეწყვეტა, სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება და შეწყვეტა

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ, 2005 წ., №14, მუხლი 94)

თავი XLVII
სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 390. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი

1. **სისხლისსამართლებრივ დევნას აჩერებს პროკურორი ან მოსამართლე ამ კოდექსის 29-ე მუხლში მითითებული საფუძვლით და იმავე მუხლით დადგენილ ვადებში.**
2. **სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ პროკურორს, მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება, ხოლო სასამართლოს – მოტივირებული განჩინება.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების უფლებამოსილება გააჩნიათ:

– პროკურორს – სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოებისას;

– მოსამართლეს (სასამართლოს) – სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის კომენტარები).

2. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ დადგენილება გამოაქვთ:

– პროკურორს;

– მოსამართლეს.

3. სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ გამოაქვს განჩინება.

მუხლი 391. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 392. სისხლისსამართლებრივი დევნის ნაადრევი შეჩერების დაუშვებლობა

ამ კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი დევნა ჩერდება მხოლოდ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემდეგ, რომლებიც შესაძლებელია ბრალდებულის გარეშე.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება არ უნდა იყოს ნაჩქარევი.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ყველა ის საგამოძიებო მოქმედება, რომლის ჩატარება შესაძლებელია ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე, უნდა ჩატარდეს სისხლისსამართლებრივი დევნის შემდეგი საფუძვლით შეჩერებამდე:

– ბრალდებულის მიმალვა;

– ბრალდებულის ადგილსამყოფლის დაუდგენლობა;

– ბრალდებულის მძიმედ დაავადება;

– ბრალდებულის ფსიქიკურად დაავადება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის კომენტარები).

3. პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება არ წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე იმ საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარების ხელისშემშლელ გარემოებას, რომელთა ჩატარებაც შესაძლებელია ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე. ასეთ მოქმედებათა ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში პირის მიმართ შეჩერებული სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება საჭირო არ არის, თუ არ აღმოფხვრილა სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი.

მუხლი 393. მიმალული ბრალდებულის ძებნა

1. **მიმალული ბრალდებულის ძებნას აცხადებს გამომძიებელი ან პროკურორი და ამის განხორციელებას ავალებს საქართველოს ფინანსთა, იუსტიციის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროების ან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესაბამის ორგანოს.**
2. **ძებნილის მიმართ შეიძლება შეირჩეს აღკვეთის ღონისძიება.**
3. **ორგანოს, რომელსაც დავალებული აქვს ძებნა, ვალდებულია თვეში ერთხელ მაინც წარუდგინოს ძებნის გამომცხადებელს ანგარიში ძებნასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ.**

(საქართველოს 2003 წლის 26 აგვისტოს კანონი №3093 – სსმ I, 2003 წ., №28, მუხლი 202; საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №809 – სსმ I, 2004 წ., №39, მუხლი 188; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. მიმალული ბრალდებულის ძებნას აცხადებენ გამომძიებელი, პროკურორი სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისას.

2. მიმალული ბრალდებულის ძებნა ევალება:

– ფინანსთა სამინისტროს შესაბამის ორგანოს;

– იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ორგანოს;

– თავდაცვის სამინისტროს შესაბამის ორგანოს;

– შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოს;

– სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესაბამის ორგანოს.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ძებნილის მიმართ შეიძლება შეირჩეს აღკვეთის ღონისძიება.

4. ორგანო, რომელსაც დავალებული აქვს ძებნა, ვალდებულია, თვეში ერთხელ მაინც წარუდგინოს ძებნის გამომცხადებელს ანგარიში ძებნასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ. თუ ზემოაღნიშნული ინფორმაცია ამ ვადაში არ იქნა წარდგენილი (მიღებული), გამომძიებელმა, პროკურორმა უნდა გამოითხოვონ იგი.

მუხლი 394. შეჩერებული სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება

თუ აღარ არსებობს ამ კოდექსის 29-ე მუხლში მითითებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი, სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს განჩინება, ხოლო მოსამართლე და პროკურორი ვალდებულნი არიან გამოიტანონ დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის კომენტარები).

2. სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ დადგენილება გამოაქვთ:

– პროკურორს – სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოებისას;

– სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს.

3. სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ გამოაქვს განჩინება.

თავი XLVIII
სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 395. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა

სასამართლო (მოსამართლე) ან პროკურორი ვალდებულია შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება, როგორც კი წარმოიშობა ამ კოდექსის 28-ე მუხლში მითითებული საფუძველი.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას სისხლის სამართლის საქმეზე შეიძლება შეწყდეს:

– სისხლისსამართლებრივი დევნა პირის (პირების) მიმართ;

– წინასწარი გამოძიება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის კომენტარები).

2. არ შეიძლება, შეწყდეს სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება და, როგორც წესი, არ შეწყდეს ამ სისხლის სამართლის საქმეზე პირის (პირთა) მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან, შესაძლებელია, შეწყდეს პირის (პირთა) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და სისხლის სამართლის საქმეზე არ შეწყდეს წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა სხვა პირის (პირთა) მიმართ.

3. შესაბამისი საფუძვლების არსებობისას სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა პროცესის მწარმოებელი ორგანოს, თანამდებობის პირის ვალდებულებაა და არა – უფლება.

მუხლი 396. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის წესი

სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობისას სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, ხოლო მოსამართლეს ან პროკურორს – მოტივირებული დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის უფლებამოსილება გააჩნიათ:

– პროკურორს – სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოებისას;

– მოსამართლეს (სასამართლოს) – სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის კომენტარები).

2. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება გამოაქვთ:

– პროკურორს;

– მოსამართლეს.

3. სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ გამოაქვს განჩინება.

მუხლი 397. დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ

1. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი შედგენის დრო და ადგილი, მოსამართლის ან პროკურორის გვარი, თანამდებობა, ცნობები განსახილველი საქმის შესახებ.

2. დადგენილების (განჩინების) აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება წინასწარი გამოძიების დაწყების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი, გამორკვეული გარემოებები, რომლებიც განაპირობებენ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტას.

3. დადგენილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილში ყალიბდება მოსამართლის ან პროკურორის გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის, აგრეთვე აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, ქონების ყადაღის გაუქმების, ნივთიერი მტკიცებულებებისა და შეტანილი სამოქალაქო სარჩელის ბედის შესახებ.

4. მარეაბილიტირებელ საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას დაუშვებელია დადგენილებაში (განჩინებაში) ისეთი ფორმულირების შეტანა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს პირის უდანაშაულობას.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება (განჩინება) უნდა შედგებოდეს:

– შესავალი ნაწილისაგან;

– აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილისაგან;

– სარეზოლუციო ნაწილისაგან.

2. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) შესავალ ნაწილში უნდა აღინიშნოს:

– შედგენის დრო;

– შედგენის ადგილი;

– შემდგენელი პირის გვარი, თანამდებობა;

– ცნობები განსახილველი სისხლის სამართლის საქმის შესახებ.

3. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს:

– წინასწარი გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი;

– სისხლის სამართლის საქმის გამოძიების (სასამართლო განხილვის) შედეგად გამორკვეული გარემოებები;

– გადაწყვეტილების დასაბუთება (ანუ გარემოებები, რომლებიც განაპირობებენ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტას).

4. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილში უნდა აღინიშნოს:

– გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ;

– აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ;

– ქონებაზე ყადაღის გაუქმების შესახებ;

– ნივთიერ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

– სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

5. სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ან/და პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დადგენილებით ამ საქმეზე პირის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება აუცილებლად უნდა გაუქმდეს. თუ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ან/და პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დადგენილებაში არ იქნება მითითებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ, იგი ფაქტობრივად მაინც გაუქმებულად ითვლება, რადგანაც ამ დროს აღკვეთის ღონისძიების გაუქმება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმპერატიული ვალდებულებაა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 155-ე მუხლის კომენტარები).

6. მარეაბილიტირებელ საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას დაუშვებელია სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ან/და პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დადგენილებაში (განჩინებაში) ისეთი ფორმულირების შეტანა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს პირის უდანაშაულობას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 398. პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოქმედება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემდეგ

1. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ სასამართლო განჩინების, ხოლო მოსამართლე და პროკურორი – დადგენილების ასლებს უგზავნის ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველს,

დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე იმ პირს, რომლის განცხადებითაც დაიწყო წინასწარი გამოძიება.

2. **ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ პირებს განემარტებათ საქმის მასალების გაცნობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) გასაჩივრების უფლება და წესი.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) ასლი უნდა გაეგზავნოს:

– ეჭვმიტანილს;
– ბრალდებულს;
– დამცველს;
– დაზარალებულს;
– დაზარალებულის წარმომადგენელს;
– სამოქალაქო მოსარჩელეს;
– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს;
– სამოქალაქო მოპასუხეს;
– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს;
– იმ პირს, რომლის განცხადებითაც დაიწყო წინასწარი გამოძიება.

2. ზემოაღნიშნულ პირებს უნდა განემარტოთ:

– სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლება და წესი;

– სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) გასაჩივრების უფლება და წესი.

3. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) გასაჩივრების უფლებისა და წესის თაობაზე, როგორც წესი, უნდა მიეთითოს თვით ამ გადაწყვეტილებაში. თუ მასში მითითებული არ არის აღნიშნულის თაობაზე, განმარტება უნდა გაკეთდეს სხვა ფორმით. მაგ.: ოქმის შედგენით, ხელწერილის ჩამორთმევით და ა.შ.

მუხლი 399. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) გასაჩივრება

1. **დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ შეიძლება გაასაჩივრონ ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა და დამცველმა, დაზარალებულმა და მისმა წარმომადგენელმა, სამოქალაქო მოსარჩელემ, სამოქალაქო მოპასუხემ და მათმა წარმომადგენლებმა, აგრეთვე პირმა, რომლის განცხადებითაც დაიწყო გამოძიება.**

2. **საჩივარი სასამართლოში შეტანილი უნდა იქნეს დადგენილების (განჩინების) ასლის მიღებიდან 15 დღე-ღამის განმავლობაში.**
3. **საჩივარს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსის 238-ე-242-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.**
4. **ამ მუხლით გათვალისწინებული მოსამართლის განჩინება გასაჩივრდება კერძო საჩივრის წესით.**

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. წინასწარი გამოძიების ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება შეიძლება გაასაჩივროს:
– ეჭვმიტანილმა;
– ბრალდებულმა;
– დამცველმა;
– დაზარალებულმა;
– დაზარალებულის წარმომადგენელმა;
– სამოქალაქო მოსარჩელემ;
– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელმა;
– სამოქალაქო მოპასუხემ;
– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელმა;
– პირმა, რომლის განცხადებითაც დაიწყო წინასწარი გამოძიება.

2. საჩივარი სასამართლოში შეაქვს გასაჩივრების უფლების მქონე პირს პროკურორის დადგენილების ასლის მიღებიდან 15 დღე-ღამის განმავლობაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 238-ე, 239-ე, 240-ე, 241-ე, 242-ე, 243-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 400. შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების განახლება

1. **სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება უნდა განახლდეს, თუ სასამართლომ (მოსამართლემ) ან პროკურორმა გააუქმა დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, ოღონდ იმ პირობით, თუ არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.**
2. **სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების განახლების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და დამცველს, დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე პირს, რომლის განცხადებითაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23) მუხლი 65; საქართველოს 2004 წლის 30 ივნისის კანონი №280 – სსმ I, 2004 წ., №16, მუხლი 56; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება უნდა განახლდეს, თუ პროკურორმა, მოსამართლემ (სასამართლომ) გააუქმეს დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ (თუ არ გასულა სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა).

2. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების განახლების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს:

– ეჭვმიტანილს;

– ბრალდებულს;

– დამცველს;

– დაზარალებულს;

– დაზარალებულის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოსარჩელეს;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოპასუხეს;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს;

– პირს, რომლის განცხადებითაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება.

თავი XLIX
წინასწარი გამოძიების დამთავრება და სასამართლოში საქმის გაგზავნა

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 401. (ამოღებულია)

(საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2004 წლის 16 სექტემბრის კანონი №430 – სსმ I, 2004 წ., №26, მუხლი 126; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

მუხლი 402. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

მუხლი 403. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

მუხლი 404. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2004 წლის 16 სექტემბრის კანონი №430 – სსმ I, 2004 წ., №26, მუხლი 126; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

მუხლი 405. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2004 წლის 16 სექტემბრის კანონი №430 – სსმ I, 2004 წ., №26, მუხლი 126; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

მუხლი 406. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/5/193 – სსმ IV, 2003 წ., №49, გვ. 15; საქართველოს 2004 წლის 16 სექტემბრის კანონი №430 – სსმ I, 2004 წ., №26, მუხლი 126; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

მუხლი 407. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2004 წლის 16 სექტემბრის კანონი №430 – სსმ I, 2004 წ., №26, მუხლი 126; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

მუხლი 408. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

მუხლი 409. საბრალდებო დასკვნა

1. საბრალდებო დასკვნა არის ბრალდებულისადმი წაყენებული ბრალდების მოკლე წერილობითი აღწერა და განსასჯელის სამართალში მიცემის საფუძველი.

2. საბრალდებო დასკვნაში მითითებულია:

ა) ბრალდებულის (ბრალდებულთა) სახელი, გვარი და მამის სახელი; სქესი; დაბადების ადგილი და დრო; საცხოვრებელი ადგილი; ნასამართლობა;

ბ) სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი (მუხლები), მუხლის ნაწილი (ნაწილები), რომლის (რომელთა) მიხედვითაც კვალიფიცირდება ბრალდებულის (ბრალდებულთა) ქმედება;

გ) დანაშაულის გარემოებანი – ადგილი, დრო, ხერხი, მოტივი, შედეგი;

დ) მტკიცებულებათა ნუსხა, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებულის ბრალეულობას;

ე) პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

3. საბრალდებო დასკვნას ადგენს და ხელს აწერს პროკურორი, მისი შედგენის ადგილისა და თარიღის მითითებით.

(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №214 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 62; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ გამომძიებელი სისხლის სამართლის საქმეს საბრალდებო დასკვნის შედგენის საკითხის გადასაწყვეტად უგზავნის პროკურორს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის კომენტარები).

2. საბრალდებო დასკვნა არის წინასწარი გამოძიების ერთ-ერთი სახის შემაჯამებელი დოკუმენტი.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საბრალდებო დასკვნას ადგენს და ხელს აწერს პროკურორი.

4. საბრალდებო დასკვნა არის ბრალდებულისადმი წაყენებული ბრალდების მოკლე წერილობითი აღწერა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის საფუძველი.

5. საბრალდებო დასკვნაში უნდა მიეთითოს:

– შედგენის ადგილი;

– შედგენის თარიღი;

– შემდგენი პროკურორის სახელი, გვარი, თანამდებობა;

– ბრალდებულის (ბრალდებულების):

ა) სახელი, გვარი, მამის სახელი;

ბ) სქესი;

გ) დაბადების ადგილი;

დ) დაბადების დრო;

ე) საცხოვრებელი ადგილი;

ვ) ნასამართლობა;

– სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი (მუხლები), მუხლის ნაწილი (ნაწილები), მუხლის ნაწილის ქვეპუნქტი (ქვეპუნქტები), რომლის (რომელთა) მიხედვითაც კვალიფიცირდება ბრალდებულის (ბრალდებულების) ქმედება;

– დანაშაულის გარემოებები:

ა) ადგილი;

ბ) დრო;

გ) ხერხი;

დ) მოტივი;

ე) შედეგი;

– მტკიცებულებების ნუსხა, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებულის ბრალეულობას;

– პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

მუხლი 410. საბრალდებო დასკვნის დანართი

1. **საბრალდებო დასკვნას დაერთვის სასამართლოში გამოსაძახებელ პირთა სია, რომელიც უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან – ბრალდების დამადასტურებელ პირთა და ბრალდებულისა და დამცველის მიერ დასახელებულ პირთა სიისაგან.**
2. **საბრალდებო დასკვნას დაერთვის აგრეთვე ცნობები გამოძიების ვადების, აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ, პატიმრობაში ყოფნის დროის მითითებით, ნივთიერი მტკიცებულებების, სამოქალაქო სარჩელის ან სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომებისა თუ საპროცესო ხარჯების შესახებ.**
3. **სასამართლო სხდომაზე გამოსაძახებელ პირთა სიაში მითითებული უნდა იყოს მათი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, აგრეთვე საქმის ფურცლები, სადაც ჩამოყალიბებულია მათი ჩვენებები ან დასკვნები.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2620 – სსმ I, 2006 წ., №4, მუხლი 40)

1. საბრალდებო დასკვნას უნდა დაერთოს:

– სასამართლოში გამოსაძახებელ პირთა სია;

– ცნობა.

2. სასამართლოში გამოსაძახებელ პირთა სია უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან:

– ბრალდების დამადასტურებელ პირთა სია;

– ბრალდებულის, დამცველის მიერ დასახელებულ პირთა სია.

3. სასამართლოში გამოსაძახებელ პირთა სიის შედგენისას მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები:

– აუცილებელი არ არის სიაში მიეთითოს წინასწარი გამოძიების პროცესში დაკითხული ყველა პირი. წინასწარი გამოძიების პროცესში შეიძლება დაიკითხოს პირი (პირე-

ბი), რადგანაც არსებობს ვარაუდი, რომ ის შესაძლებელია, ფლობდეს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას, მაგრამ დაკითხვით გაირკვეს, რომ ის არ ფლობს ასეთ ინფორმაციას. ასეთი მოწმის (მოწმეების) მითითება სასამართლოში გამოსაძახებელ პირთა სიაში (ანუ ფაქტობრივად მისი სასამართლოში შესაძლო დაკითხვა) საფუძველს მოკლებულია;

– დაცვის მხარის მოწმეები სიაში მიეთითება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა, დამცველმა პროკურორს ან გამომძიებელს საბრალდებო დასკვნის შედგენამდე ან სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გადაგზავნამდე წარუდგინეს ასეთი სია. დაცვის მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს სიაში იმ პირის შეყვანა, რომელიც დაკითხულია წინასწარი გამოძიების პროცესში. ამასთან, დაცვის მხარე უფლებამოსილია, სასამართლოში გამოსაძახებელ პირთა სია (მათ შორის, იმ პირთა სია, ვინც არ ყოფილა დაკითხული წინასწარი გამოძიების პროცესში) თავად წარუდგინოს სასამართლოს სასამართლო სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 5 დღეში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 475-ე მუხლის კომენტარები).

4. სასამართლო სხდომაზე გამოსაძახებელ პირთა სიაში უნდა მიეთითოს მოწმეების არა მარტო სახელი და გვარი, არამედ:

– მათი საცხოვრებელი ადგილი (ადგილსამყოფელი);

– სისხლის სამართლის საქმის ფურცლები, სადაც ჩამოყალიბებულია მათი ჩვენებები (დასკვნები).

5. საბრალდებო დასკვნის თანდართულ ცნობაში უნდა აღინიშნოს:

– როდის დაიწყო წინასწარი გამოძიება;

– რა აღკვეთის ღონისძიებაა გამოყენებული ბრალდებულის (ბრალდებულების) მიმართ;

– პატიმრობაში ყოფნის ვადები;

– ნივთიერი მტკიცებულებების ჩამონათვალი და მითითება, ერთვის თუ არა ისინი სისხლის სამართლის საქმეს, თუ არ ერთვის – სად ინახება;

– განცხადებულია თუ არა სამოქალაქო სარჩელი და სამოქალაქო სარჩელის, სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები;

– ინფორმაცია საპროცესო ხარჯების შესახებ.

მუხლი 411. სისხლის სამართლის საქმის გადაგზავნა პროკურორისათვის

წინასწარი გამოძიების დასრულებისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემდეგ გამომძიებელი სისხლის სამართლის საქმეს საბრალდებო დასკვნის შედგენის მიზნით დაუყოვნებლივ უგზავნის პროკურორს.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. გამომძიებელს სისხლის სამართლის საქმეზე საბრალდებო დასკვნის შედგენის უფლებამოსილება არ გააჩნია. საბრალდებო დასკვნას ადგენს და ხელს აწერს პრო-

კურორი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის კომენტარები).

2. წინასწარი გამოძიების დასრულების შემდეგ გამომძიებელმა სისხლის სამართლის საქმე საბრალდებო დასკვნის შედგენის საკითხის გადასაწყვეტად დაუყოვნებლივ უნდა გადაუგზავნოს პროკურორს.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ უთითებს, თუ როდის შეიძლება ჩაითვალოს წინასწარი გამოძიება დასრულებულად. ამასთან, იმისათვის, რათა წინასწარი გამოძიება დასრულებულად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, რომ გარკვეული იყოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება, ან მიღებული იყოს ყველა ზომა და ამოწურული – ყველა საშუალება ამ გარემოებათა გასარკვევად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები).

4. გამომძიებლის მიერ წინასწარი გამოძიების დასრულებულად მიჩნევის შესახებ რაიმე საპროცესო გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აწესებს. თუ გამომძიებელი ჩათვლის, რომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება, იგი სისხლის სამართლის საქმეს გადასცემს პროკურორს, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება, შეაფასოს, დასრულებულია თუ არა სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება.

5. წინასწარი გამოძიების დასრულების მკვეთრად განსაზღვრულ ვადას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს. წინასწარი გამოძიება უნდა დასრულდეს გონივრულ ვადაში, მაგრამ შესაბამისი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის კომენტარები).

6. აღსანიშნავია წინასწარი გამოძიების დასრულებისა და პროკურორისათვის სისხლის სამართლის საქმის გადაცემის ვადის საკითხი იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეული აქვს დაპატიმრება. ამ შემთხვევაშიც არ ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თუ რა ვადაში უნდა დასრულდეს წინასწარი გამოძიება და სისხლის სამართლის საქმე გადაეცეს პროკურორს. ამასთან, ასეთ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები:

ა) პატიმრობის ვადა განსაზღვრულია ორი თვით დაკავების მომენტიდან. ამ ვადის ამოწურვამდე მიღებულ უნდა იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

– აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის კომენტარები);

– პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე, 163-ე მუხლების კომენტარები);

– სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 155-ე, 395-ე, 396-ე, 397-ე, 398-ე, 399-ე, მე-400 მუხლების კომენტარები);

– შედგეს საბრალდებო დასკვნა და სისხლის სამართლის საქმე არსებითი განხილვისათვის გადაეცეს სასამართლოს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე, 416-ე მუხლების კომენტარები);

ბ) პროკურორს საბრალდებო დასკვნის შედგენის ან სხვა გადაწყვეტილების მისაღებად აქვს 5-დღიანი ვადა, ხოლო საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გადაგზავნისათვის – არა უმეტეს 48-საათიანი ვადა. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ შესაძლებელია, პროკურორმა არ შეადგინოს საბრალდებო დასკვნა და სისხლის სამართლის საქმე გამოძიების გასაგრძელებლად დაუბრუნოს გამომძიებელს, ასევე შესაძლებელია, დადგეს პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხი, რის შესახებაც შუამდგომლობა სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს პატიმრობის ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 5 დღეში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე, 163-ე მუხლების კომენტარები).

7. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აწესებს ვადას, თუ როდის უნდა გადაეცეს სისხლის სამართლის საქმე პროკურორს საბრალდებო დასკვნის შედგენის საკითხის გადასაწყვეტად, საპატიმრო საქმეებზე გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული გარემოებები, თუმცა, გამომძიებელმა სისხლის სამართლის საქმე პროკურორს ბრალდებულის პატიმრობის ვადის გასვლამდე სამი დღით ადრეც რომ გადასცეს, თუ ამ ვადაში შედგება საბრალდებო დასკვნა და სისხლის სამართლის საქმე გადაეცემა სასამართლოს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დაირღვევა.

მუხლი 412. შემოსულ საქმეზე პროკურორის მიერ გადასაწყვეტი საკითხები

გამომძიებლისაგან შემოსული საქმის განხილვისას პროკურორი ვალდებულია შეამოწმოს:

ა) იყო თუ არა ქმედება, რომელიც ბრალდებულს ერაცხება, და არის თუ არა ამ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა;

ბ) ხომ არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები;

გ) ყოველმხრივი, სრული და ობიექტურია თუ არა წინასწარი გამოძიება;

დ) დასაბუთებულია თუ არა წაყენებული ბრალდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით;

ე) წაყენებული აქვს თუ არა პირს ბრალდება ყველა დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა;

ვ) მიცემულია თუ არა პასუხისმგებლობაში ბრალდებული, ასევე დანაშაულის ჩადენაში მხილებული ყველა პირი;

ზ) სწორია თუ არა დანაშაულის კვალიფიკაცია;

თ) სწორად არის თუ არა შერჩეული აღკვეთის ღონისძიება;

ი) მიღებულია თუ არა ზომები წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის ან/და ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად;

კ) გამოვლენილია თუ არა მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას, და მიღებულია თუ არა ზომები მათ აღსაკვეთად;

ლ) დაცულია თუ არა წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ ამ კოდექსის ყველა სხვა მოთხოვნა.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ.,

№14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2620 – სსმ I, 2006 წ., №4, მუხლი 40)

1. წინასწარი გამოძიების ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად წარმართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ გამომძიებელს, არამედ – პროკურორსაც, როგორც წინასწარი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18, 55-ე, 56-ე მუხლების კომენტარები).

2. გამომძიებლისაგან შესული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას პროკურორმა უნდა შეამოწმოს:

– მოხდა თუ არა ქმედება, რომელიც ბრალდებულს ერაცხება;

– არის თუ არა ამ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა;

– ხომ არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები;

– ჩატარდა თუ არა წინასწარი გამოძიება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად;

– დასაბუთებულია თუ არა წაყენებული ბრალდება სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით;

– წაყენებული აქვს თუ არა პირს ბრალდება ყველა დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა;

– მიცემულია თუ არა პასუხისმგებლობაში ბრალდებული, ასევე – დანაშაულის ჩადენაში მხილებული ყველა პირი;

– სწორია თუ არა დანაშაულის კვალიფიკაცია;

– სწორად არის თუ არა შერჩეული აღკვეთის ღონისძიება;

– მიღებულია თუ არა ზომები წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის ან/და ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად;

– გამოვლენილია თუ არა მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას;

– მიღებულია თუ არა ზომები მათ აღსაკვეთად;

– წინასწარი გამოძიების ორგანოებმა დაიცვეს თუ არა წინასწარი გამოძიების ჩატარებისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

მუხლი 413. პროკურორის გადაწყვეტილება შემოსული საქმის გამო

პროკურორი ვალდებულია 5 დღე-ღამის ვადაში განიხილოს შემოსული საქმე და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) შეადგინოს საბრალდებო დასკვნა, თუ მიიჩნევს, რომ არსებობს საფუძველი საქმის სასამართლოში გადასაგზავნად;

ბ) დაუბრუნოს საქმე თავისი წერილობითი მითითებებით გამომძიებელს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად;

გ) შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და შეადგინოს შესაბამისი დადგენილება ამ კოდექსით დადგენილი წესით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. გამომძიებლისაგან შესულ სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად პროკურორს აქვს ვადა, არა უმეტეს ხუთი დღე-ღამისა.

2. თუ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეული აქვს დაპატიმრება და პატიმრობის ვადის გასვლამდე დარჩენილია ხუთ დღე-ღამეზე ნაკლები, პროკურორმა პატიმრობის ვადის გასვლამდე:

– ან უნდა შეადგინოს საბრალდებო დასკვნა და სისხლის სამართლის საქმე ჩააბაროს სასამართლოს;

– ან მიიღოს სხვა გადაწყვეტილება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის კომენტარები).

3. პროკურორი უფლებამოსილია, მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

– შეადგინოს საბრალდებო დასკვნა, თუ მიიჩნევს, რომ არსებობს საფუძველი სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გადასაგზავნად;

– დაუბრუნოს სისხლის სამართლის საქმე წერილობითი მითითებებით გამომძიებელს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად;

– შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება ან/და პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 155-ე, 395-ე, 396-ე, 397-ე, 398-ე, 399-ე, მე-400 მუხლების კომენტარები).

მუხლი 414. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 415. ბრალდების შეცვლა უფრო მძიმე ბრალდებით

თუ აუცილებელია ბრალდების შეცვლა უფრო მძიმე ან ისეთი ბრალდებით, რომელიც თავდაპირველი ბრალდებისაგან არსებითად განსხვავდება ფაქტობრივი გარემოებებით, პროკურორი საქმეს უბრუნებს გამომძიებელს ახალი ბრალდების წარსადგენად ან უშუალოდ წარუდგენს ბრალდებულს ახალ ბრალდებას.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. თუ პროკურორი სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლით დარწმუნდება, რომ პირს არასწორად აქვს წარდგენილი ბრალდება (არასწორია ქმედების კვალიფიკაცია), იგი უფლებამოსილია, შეცვალოს ბრალდების ფორმულირება როგორც შემსუბუქების, ასევე – დამძიმების თვალსაზრისით, შემდეგი წესით:

– თუ წინასწარი გამოძიება ჩატარებულია სრულყოფილად, არ არის საჭირო დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება, მაგრამ მოპოვებული მტკიცებულებები სამართლებრივად არასწორად არის შეფასებული (არასწორია ქმედების კვალიფიკაცია), პროკურორმა სისხლის სამართლის საქმე გამომძიებელს უნდა დაუბრუნოს ახალი ბრალდების წარსადგენად ან თვითონ უნდა წარუდგინოს პირს ახალი ბრალდება, რის შემდეგაც გადაწყვიტოს საბრალდებო დასკვნის შედგენის საკითხი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის კომენტარები);

– თუ პროკურორი დარწმუნდება, რომ კვალიფიკაციის დასაზუსტებლად საჭიროა დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, მან სისხლის სამართლის საქმე წერილობითი მითითებებით უნდა დაუბრუნოს გამომძიებელს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 413-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 416. საქმის სასამართლოში გაგზავნა

1. **საბრალდებო დასკვნა დაერთვის საქმეს.**
2. **საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ პროკურორი საბრალდებო დასკვნის ასლს აბარებს ბრალდებულს, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – დამცველს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს. თუ ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, საბრალდებო დასკვნის ასლი უნდა ჩაბარდეს მის დამცველს. ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროკურორი სისხლის სამართლის საქმეს განსჯადობის მიხედვით უგზავნის შესაბამის სასამართლოს.**
3. **პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნის შედგენიდან არა უგვიანეს 48 საათისა საქმე განსჯადობის მიხედვით უნდა გადაეგზავნოს შესაბამის სასამართლოს.**
4. **სასამართლოსათვის საქმის გადაცემის შემდეგ ყოველგვარი შუამდგომლობა და საჩივარი წარედგინება უშუალოდ სასამართლოს.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2356 – სსმ I, 2005 წ., №57, მუხლი 440)

1. პროკურორის მიერ შედგენილი და ხელმოწერილი საბრალდებო დასკვნა უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

2. საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ პროკურორმა საბრალდებო დასკვნის ასლი უნდა ჩააბაროს ბრალდებულს. საბრალდებო დასკვნის ბრალდებულისათვის ჩაბარება (გადაცემა) სავალდებულოა. საბრალდებო დასკვნის ბრალდებულისათვის ჩაბარების (გადაცემის) შესახებ დოკუმენტი (ხელწერილი, ოქმი და ა.შ.) უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. ამასთან, საბრალდებო დასკვნის ჩაბარება ბრალდებულის უფლებაა და არა – ვალდებულება. თუ ბრალდებული უარს აცხადებს საბრალდებო დასკვნის ასლის ჩაბარებაზე, ამის შესახებ უნდა შედგეს დოკუმენტი (ხელწერილი, ოქმი და ა.შ.), რომელშიც უნდა მიეთითოს საბრალდებო დასკვნის ასლის ჩაბარებაზე უარის მიზეზი და იგი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

3. მოთხოვნის შემთხვევაში საბრალდებო დასკვნის ასლი უნდა გადაეცეს:

— დამცველს;

– დაზარალებულს;

– დაზარალებულის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოსარჩელეს;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოპასუხეს;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს.

4. თუ ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, საბრალდებო დასკვნის ასლი უნდა ჩაჰბარდეს მის დამცველს.

5. პროკურორი ვალდებულია, საბრალდებო დასკვნის შედგენიდან არა უგვიანეს 48 საათში სისხლის სამართლის საქმე განსჯადობის მიხედვით გადაუგზავნოს შესაბამის სასამართლოს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თუ ბრალდებული პატიმარია, სისხლის სამართლის საქმე სასამართლოს უნდა ჩაჰბარდეს მისი პატიმრობის ვადის გასვლამდე.

6. სასამართლოსათვის სისხლის სამართლის საქმის გადაცემის შემდეგ ყოველგვარი შუამდგომლობა და საჩივარი უნდა წარედგინოს უშუალოდ იმ მოსამართლეს (სასამართლოს), რომელსაც გადაეცა სისხლის სამართლის საქმე არსებითი განხილვისათვის. ამასთან, შესაძლებელია, სხვა სასამართლოში (მოსამართლესთან) აღმოჩნდეს იმ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით განუხილველი შუამდგომლობა ან საჩივარი, რომელიც უკვე საბრალდებო დასკვნით შესულია სასამართლოში. მაგ.: სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრდა ბრძანება (დადგენილება) აღკვეთის ღონისძიების, ჩხრეკის, ამოღების და ა.შ. შესახებ. თუ დადგინდება, რომ ამ საჩივრის განხილვის დროისათვის სისხლის სამართლის საქმე საბრალდებო დასკვნით უკვე შესულია სასამართლოში, საჩივარი არსებით განხილვასა და გადაწყვეტას სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის მიერ აღარ ექვემდებარება.

მუხლი 416[1]. შეტყობინება საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოსათვის გადაგზავნის შესახებ

1. გამოძიების დამთავრების და საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოსთვის გადაგზავნის შესახებ პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი წერილობით ატყობინებს ბრალდებულს (მათ შორის პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს), დამცველს, ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს. შეტყობინებასთან ერთად გამომძიებელი ბრალდებულს და მის დამცველს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ხარჯით გადაიღონ სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალის ასლი (გარდა იმ მასალისა, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან), ასევე განუმარტავს უფლებას სასამართლოში ნივთიერი მტკიცებულების გაცნობის შესახებ. თუ ბრალდებული არასმქონეა, საქმის მთელი მასალის ასლი მას გადაეცემა სახელმწიფოს ხარჯზე. თუ ბრალდებული თანამდებობის პირი ან რეკეტირია, ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, გამოძიების დამთავრების შესახებ გამომძიებელი წერილობით ატყობინებს ბრალდებულის დამცველს.

2. პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს, მის დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს გასაცნობად ნივთიერი მტკიცებულებები წარედგინება სასამართლოს მეშვეობით.

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრების, საბრალდებო დასკვნის შედგენისა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოსთვის გადაგზავნის შესახებ პროკურორმა, პროკურორის თანხმობით, გამომძიებელმა წერილობით უნდა შეატყობინოს:

– ბრალდებულს (მათ შორის – პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს);
– დამცველს;
– ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენელს;
– დაზარალებულს;
– დაზარალებულის წარმომადგენელს;
– სამოქალაქო მოსარჩელეს;
– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს;
– სამოქალაქო მოპასუხეს;
– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს.

2. შეტყობინების ფორმას და წესს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს. ეს შეიძლება განხორციელდეს ზემოაღნიშნული პირებისათვის წერილობითი შეტყობინების (მიმართვის, წერილის და ა.შ.) გაგზავნით. პროკურორი, გამომძიებელი,

პროკურორის თანხმობით უფლებამოსილია, ასევე გამოიძახოს ზემოაღნიშნული პირები და წერილობით (ოქმის შედგენით, ხელწერილის ჩამორთმევით და ა.შ.) აცნობოს წინასწარი გამოძიების დამთავრებისა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ.

3. რა ფორმითაც არ უნდა იყოს შედგენილი შეტყობინება, მასში გარკვევით უნდა მიეთითოს პირის ვინაობა, მისი საპროცესო მდგომარეობა და ის, რომ მას ეცნობა წინასწარი გამოძიების დამთავრებისა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ.

4. გამომძიებელმა ბრალდებულსა და მის დამცველს უნდა მისცეს შესაძლებლობა, საკუთარი ხარჯით გადაიღონ სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალის ასლი (გარდა იმ მასალისა, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან).

5. თუ ბრალდებული მატერიალურად გაჭირვებულია, სისხლის სამართლის საქმის მთელი მასალის ასლი მას უნდა გადაეცეს სახელმწიფოს ხარჯზე.

6. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შემდეგ ბრალდებულსა და მის დამცველს უფლება აქვთ, ნივთიერ მტკიცებულებას გაეცნონ სასამართლოში, რის შესახებაც მათ უნდა განუმარტოს გამომძიებელმა.

7. პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს, მის დამცველს, კანონიერ წარმომადგენელს ნივთიერი მტკიცებულება გასაცნობად უნდა წარედგინოთ სასამართლოს მეშვეობით.

8. თუ ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ გამომძიებელმა წერილობით უნდა შეატყობინოს ბრალდებულის დამცველს.

მუხლი 416[2]. ექსპერტიზის დასკვნის გარეშე საქმის სასამართლოში გაგზავნა

1. **თუ გამოძიების დამთავრებამდე რომელიმე მხარის მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის მიღება ჭიანურდება და ამასთანავე, არსებობს საბრალდებო დასკვნის შესადგენად საკმარისი მტკიცებულებები, პროკურორი უფლებამოსილია საქმე საბრალდებო დასკვნით გაგზავნოს სასამართლოში ექსპერტიზის დასკვნის დართვის გარეშე. ამ შემთხვევაში, ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა შესაძლებელია საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს.**
2. **მხარეები ვალდებული არიან საბრალდებო დასკვნის შედგენამდე ერთმანეთს აცნობონ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. თუ მხარეს არ ეცნობა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ექსპერტიზის დასკვნა საქმის არსებითი განხილვის დროს წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას.**

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, შესაძლებელია საბრალდებო დასკვნის შედგენა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გადაგზავნა უკვე დანიშნული ექსპერტიზის დასრულებასა და შესაბამისი დასკვნის მიღებამდე.

2. ექსპერტის დასკვნის მიღებამდე სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გადაგზავნა პროკურორის უფლებაა და არა – ვალდებულება.

3. ექსპერტის დასკვნის მიღებამდე სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გადაგზავნა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტის დასკვნის გარეშეც არსებობს საკმარისი მტკიცებულებები საბრალდებო დასკვნის შესადგენად და ექსპერტიზის შედეგები არსებით გავლენას არ მოახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე.

4. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნის წარდგენა შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს.

5. მხარეები ვალდებული არიან, საბრალდებო დასკვნის შედგენამდე ერთმანეთს აცნობონ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. თუ მხარეს არ ეცნობა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ექსპერტის დასკვნა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას.

კარი მეცხრე
წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

თავი L (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

მუხლი 417-433. (ამოღებულია)

თავი LI
ზოგადი დებულებანი სასამართლო განხილვის შესახებ

მუხლი 434. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223)

მუხლი 435. საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობა

1. **სასამართლომ საქმე ერთი და იმავე შემადგენლობით უნდა განიხილოს. თუ რომელიმე მოსამართლეს არ შეუძლია სხდომაში მონაწილეობის მიღება, მას ცვლიან იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლით და საქმის განხილვა იწყება ხელახლა, გარდა 436-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.**
2. **მოსამართლე, რომელიც სასამართლო სხდომაში ვერ იღებს მონაწილეობას საპატიო მიზეზით, შეიძლება შეცვალოს იმავე დონის სხვა სასამართლოს მოსამართლემ კანონით დადგენილი წესით.**

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმე, როგორც წესი, უნდა განიხილოს სასამართლოს ერთი და იმავე შემადგენლობამ.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე სისხლის სამართლის საქმის განხილვაში ვერ მონაწილეობს, მისი შეცვლა დასაშვებია:

– იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლით;

– „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იმავე სასამართლოში მივლინებული სხვა სასამართლოს მოსამართლით.

3. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის სხვა მოსამართლით შეცვლის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განხილვა, როგორც წესი, ხელახლა იწყება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 436-ე მუხლით გათვალისწინებული ე.წ. სათადარიგო მოსამართლით შეცვლის შემთხვევის გარდა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 436-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 436. სათადარიგო მოსამართლე

1. **სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საქმეზე შეიძლება დაინიშნოს სათადარიგო მოსამართლე, რომელიც ცვლის სასამართლო შემადგენლობიდან გამოსულ მოსამართლეს, და საქმის განხილვა გრძელდება.**
2. **თუ სათადარიგო მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმეზე მისთვის შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ცალკეულ სასამართლო მოქმედებათა ჩატარება, შესაძლებელია ცალკეული მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევა, რის შემდეგაც გრძელდება საქმის განხილვა.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე შეიძლება შეიცვალოს სათადარიგო მოსამართლით.

2. სისხლის სამართლის საქმეზე სათადარიგო მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს:

– იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლე;

– „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იმავე სასამართლოში მივლინებული სხვა სასამართლოს მოსამართლე.

3. სისხლის სამართლის საქმეზე სათადარიგო მოსამართლეს ნიშნავს სასამართლოს თავმჯდომარე.

4. სისხლის სამართლის საქმეზე სათადარიგო მოსამართლის დანიშვნისათვის მნიშვნელობა არა აქვს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის სისხლის სამართლის საქმის განხილვისაგან ჩამოცილების საფუძველს (პირადი განცხადების გამო თანამდებობიდან განთავისუფლება, საპენსიო ასაკის მიღწევა, სხვა სასამართლოში გამწესება და ა.შ.).

5. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის სათადარიგო მოსამართლით შეცვლის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განხილვა, როგორც წესი, გრძელდება.

6. თუ სათადარიგო მოსამართლე მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მისი შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ცალკეული სასამართლო მოქმედების ჩატარება, მას უფლება აქვს, ცალკეული მტკიცებულება ხელახლა გამოიკვლიოს. ამასთან, აღნიშნულის შემდეგ სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა გაგრძელდეს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 435-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 437. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილება

1. **რაიონულ (საქალაქო) სასამართლო სხდომას თავმჯდომარეობს ამ სასამართლოს თავმჯდომარე ან მოსამართლე, ხოლო სხვა სასამართლო სხდომას, – ამ სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან სასამართლოს წევრი.**
2. **თავმჯდომარე წარმართავს სასამართლო სხდომას, ახორციელებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ყველა საპროცესო მოქმედებას, რაც აუცილებელია მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და ჭეშმარიტების დასადგენად; ამასთან, სასამართლო განხილვას განარიდებს ყველაფერს, რაც არ არის დაკავშირებული განსახილველ საქმესთან, უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას.**
3. **თავმჯდომარე უზრუნველყოფს სასამართლოს დარბაზში წესრიგის დაცვას. მისი განკარგულებები წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით სავალდებულოა მხარეებისა და სასამართლოს დარბაზში დამსწრე ყველა პირისათვის.**
4. **თავმჯდომარის მოქმედებათა გამო რომელიმე მხარის ან სხვა პირის პრეტენზიები შეაქვთ სასამართლო სხდომის ოქმში და მათ სასამართლოს შემადგენლობა განიხილავს იმავე სხდომაზე.**
5. **თუ თავმჯდომარე გამოეთიშა სხდომას, მის მოვალეობას ასრულებს ასაკით უფროსი მოსამართლე.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სისხლის სამართლის საქმის განხილვას სასამართლოში თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომის თავმჯდომარე.

2. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე:

– წარმართავს სასამართლო სხდომას;

– ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა საპროცესო მოქმედებას, რაც აუცილებელია მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და ჭეშმარიტების დასადგენად;

– სასამართლო განხილვას განარიდებს ყველაფერს, რაც არ არის დაკავშირებული განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან;

– უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას;

– უზრუნველყოფს სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას.

3. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მოქმედებასთან დაკავშირებით პროცესის მონაწილის, სხვა პირის პრეტენზია უნდა დაფიქსირდეს სასამართლო სხდომის ოქმში. ამასთან, აღნიშნული პრეტენზია სასამართლომ იმავე სხდომაზე უნდა განიხილოს.

4. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის სისხლის სამართლის საქმის განხილვისაგან ჩამოცილების შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა უნდა შეასრულოს სისხლის სამართლის საქმის კოლეგიურ განხილვაში მონაწილე ასაკით უფროსმა მოსამართლემ.

მუხლი 437[1]. მოსამართლეები საქმის კოლეგიური განხილვის დროს

1. **მოსამართლეები საქმის კოლეგიური განხილვის დროს პირველი ინსტანციის სასამართლოში ქმნიან სასამართლო კოლეგიას, ხოლო სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში – პალატას, რომელიც საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხს წყვეტს და გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით.**
2. **მტკიცებულებათა გამოკვლევისა და გადაწყვეტილების მიღების დროს კოლეგიისა და პალატის ყველა წევრი სარგებლობს თანაბარი უფლებით.**

(საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის კოლეგიური განხილვის შესაძლებლობას.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეს კოლეგიურად განიხილავს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, სამი მოსამართლის შემადგენლობით.

3. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეს კოლეგიურად განიხილავს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, სამი მოსამართლის შემადგენლობით.

4. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეს კოლეგიურად, როგორც წესი, განიხილავს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, სამი მოსამართლის შემადგენლობით.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში სისხლის სამართლის საქმეს კოლეგიურად განიხილავს ცხრა მოსამართლე.

6. სისხლის სამართლის საქმის კოლეგიური განხილვისას კოლეგიური შემადგენლობის ყველა მოსამართლე თანაბარი უფლებით სარგებლობს. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხზე სასამართლომ გადაწყვეტილება ხმე-

ბის უმრავლესობით უნდა მიიღოს. ამასთან, სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ერთადერთი „უპირატესობა“ არის ის, რომ მოსამართლეთა თათბირის დროს სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-500 მუხლის კომენტარები).

მუხლი 438. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 439. სასამართლო განხილვის შეჯიბრებითობა

1. **სასამართლო განხილვა მიმდინარეობს ბრალდებისა და დაცვის მხარეთა პოლემიკის სახით.**
2. **ბრალდებისა და დაცვის მხარეებს აქვთ თანაბარი საპროცესო უფლებები და შესაძლებლობები.**
3. **სასამართლოს უფლება არა აქვს შეასრულოს ბრალდების ან დაცვის ფუნქციები.**
4. **სასამართლო უზრუნველყოფს მხარეთა მიერ მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევისათვის საჭირო პირობებს, ამასთან, იცავს მიუკერძოებლობას და თავს იკავებს საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვისაგან.**
5. **განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს უფლება არა აქვს გამოთქვას აზრი განსასჯელის დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის შესახებ.**
6. **ერთი მხარის შუამდგომლობასა და განცხადებასთან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც.**
7. **სასამართლო განხილვისას ბრალდების მხარეს წარმოადგენენ პროკურორი – სახელმწიფო ბრალმდებელი, დაზარალებული (კერძო ბრალმდებელი), სამოქალაქო მოსარჩელე და მათი წარმომადგენლები; დაცვის მხარეს – დამცველი, განსასჯელი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, და მისი წარმომადგენელი.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, ბრალდების მხარისა და დაცვის მხარის პოლემიკის ფორმით.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მხარეებისა და სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის ფუნქციები ერთმანეთისაგან გამიჯნულია და სასამართლოს უფლება არა აქვს, შეასრულოს რომელიმე მხარის ფუნქცია.

3. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ბრალდების მხარეს წარმოადგენს:

– პროკურორი (სახელმწიფო ბრალმდებელი);

– დაზარალებული (კერძო ბრალმდებელი);

– დაზარალებულის (კერძო ბრალმდებლის) წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოსარჩელე;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი.

4. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დაცვის მხარეს წარმოადგენს:

– განსასჯელი (მსჯავრდებული);

– დამცველი;

– განსასჯელის (მსჯავრდებულის) კანონიერი წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოპასუხე;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი;

– პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება;

– იმ პირის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

5. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სასამართლომ (მოსამართლემ) უნდა დაიცვას მიუკერძოებლობა და თავი შეიკავოს საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებების გამოთხოვისაგან (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 475-ე მუხლის კომენტარები).

6. სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ (მოსამართლემ):

– უნდა უზრუნველყოს მხარეების მიერ მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევისათვის საჭირო პირობების შექმნა;

– ერთი მხარის შუამდგომლობასა და განცხადებასთან დაკავშირებით უნდა მოისმინოს მეორე მხარის აზრი.

7. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას მოსამართლეს განაჩენის, სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე უფლება არა აქვს, გამოთქვას აზრი განსასჯელის დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15, 49-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 440. სასამართლო განხილვის უშუალობა და ზეპირობა

1. **საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევა განსასჯელის, დაზარალებულის, მოწმეების დაკითხვის, ექსპერტთა დასკვნების შესწავლისა და ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერების გზით, საჭიროების შემთხვევაში – საჯაროდ წაიკითხოს საგამოძიებო მოქმედების ოქმი და დოკუმენტები.**

2. **სასამართლომ ფაქტების შესახებ ცნობები შეძლებისდაგვარად პირველწყაროდან უნდა მიიღოს.**
3. **წინასწარი გამოძიების მასალები შეიძლება სასამართლოში გამოქვეყნდეს მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლომ მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევა უნდა უზრუნველყოს:
– განსასჯელის დაკითხვის გზით;
– დაზარალებულის დაკითხვის გზით;
– მოწმის დაკითხვის გზით;
– ექსპერტის დასკვნის შესწავლის გზით;
– ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერების გზით.

2. ამასთან, სასამართლომ ფაქტების შესახებ ცნობები შეძლებისდაგვარად პირველწყაროდან უნდა მიიღოს. თუმცა შესაძლებელია, წინასწარი გამოძიების მასალები სასამართლოში გამოქვეყნდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე და 481-ე მუხლების კომენტარები).

3. სისხლის სამართლის პროცესის უშუალობისა და ზეპირობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იყო სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით. ამასთან, ამ მუხლის მიზნებისათვის სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობა არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას და იგივე წესი ვრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ იმ შემთხვევებზე, როდესაც სასამართლო სხდომა მიმდინარეობს მხარის მონაწილეობის გარეშე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის კომენტარები).

მუხლი 441. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

მუხლი 442. პროცესის სხვა პრინციპები სასამართლო განხილვის სტადიაზე

სასამართლო განხილვის სტადიაზე სრულად მოქმედებს პირველი კარის II თავში ჩამოყალიბებული სამართალწარმოების სხვა პრინციპები.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას მოქმედებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6-21-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 443. განსასჯელის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში

1. **სასამართლო განხილვაში მონაწილეობს განსასჯელი.**
2. **განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა:**

ა) **განსასჯელი საქართველოს ფარგლებს გარეთაა და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას;**

ბ) **განსასჯელი (მსჯავრდებული), რომელსაც შეიძლება დაენიშნოს (დანიშნული აქვს) თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს 3 წლისა, შუამდგომლობს, საქმე განიხილონ მის დაუსწრებლად, ან განსასჯელი (მსჯავრდებული) თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, ამასთანავე, სასამართლოს მიაჩნია, რომ განსასჯელის დაუსწრებლად განხილვა ხელს არ შეუშლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევას;**

გ) **განსასჯელი თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას.**

3. **თუ საქმე იხილება ორი ან მეტი განსასჯელის მიმართ და სასამართლო გამოძიების სტადიაზე რომელიმე მათგანი სხდომაზე არ გამოცხადდა, სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვა განაგრძოს სხვათა მიმართ, თუ ეს არ შელახავს გამოუცხადებელი განსასჯელის ინტერესებს და გავლენას არ მოახდენს სასამართლო გამოძიების სისრულესა და ობიექტურობაზე. ამასთანავე, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს განსასჯელისათვის მისი მონაწილეობის გარეშე წარმოებული ოქმის გაცნობა.**
4. **თუ პატიმრობაში მყოფი განსასჯელი (მსჯავრდებული) სასამართლო სხდომაზე არ იქნა წარმოდგენილი ბადრაგირების განუხორციელებლობის გამო, სასამართლო გადადებს სხდომას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, და ამის თაობაზე აცნობებს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომელიც ვალდებულია მომდევნო სხდომაზე უზრუნველყოს განსასჯელის წარმოდგენა და სასამართლოს აცნობოს ბადრაგირების განუხორციელებლობის მიზეზი.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2356 – სსმ I, 2005 წ., №57, მუხლი 440; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში განსასჯელი, როგორც წესი, მონაწილეობს.

2. განსასჯელის (მსჯავრდებულის) დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვა დასაშვებია გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ:

– როდესაც განსასჯელი საქართველოს ფარგლებს გარეთ არის და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას;

– როდესაც განსასჯელი, რომელსაც შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს 3 წლის ვადით, შუამდგომლობს, რომ სისხლის სამართლის საქმე განიხილონ მის დაუსწრებლად, ამასთან, სასამართლოს მიაჩნია, რომ განსასჯელის დაუსწრებლად განხილვა ხელს არ შეუშლის სისხლის სამართლის საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევას;

– როდესაც მსჯავრდებული, რომელსაც დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს 3 წლის ვადით, შუამდგომლობს, რომ სისხლის სამართლის საქმე განიხილონ მის დაუსწრებლად, ამასთან, სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის დაუსწრებლად განხილვა ხელს არ შეუშლის სისხლის სამართლის საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევას;

– როდესაც განსასჯელი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, ამასთან, სასამართლოს მიაჩნია, რომ განსასჯელის დაუსწრებლად განხილვა ხელს არ შეუშლის სისხლის სამართლის საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევას;

– როდესაც მსჯავრდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, ამასთან, სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის დაუსწრებლად განხილვა ხელს არ შეუშლის სისხლის სამართლის საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევას;

– როდესაც განსასჯელი თანამდებობის პირია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას;

– როდესაც განსასჯელი რეკეტირია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას;

– როდესაც განსასჯელი ქურდული სამყაროს წევრია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას.

3. თუ სისხლის სამართლის საქმე იხილება ორი (ორზე მეტი) განსასჯელის მიმართ და სასამართლო გამოძიების სტადიაზე რომელიმე მათგანი სხდომაზე არ გამოცხადდება, სასამართლოს უფლება აქვს, სისხლის სამართლის საქმის განხილვა განაგრძოს სხვა განსასჯელის (განსასჯელების) მიმართ, თუ ეს:

– არ შელახავს გამოუცხადებელი განსასჯელის ინტერესებს;

– გავლენას არ მოახდენს სასამართლო გამოძიების სისრულესა და ობიექტურობაზე.

4. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასამართლომ უნდა უზრუნველყოს განსასჯელისათვის მისი მონაწილეობის გარეშე წარმოებული ოქმის გაცნობა.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმრობაში მყოფი განსასჯელი (მსჯავრდებული) სასამართლო სხდომაზე ვერ იქნა წარმოდგენილი ბადრაგირების განუხორციელებლობის გამო, სასამართლომ (მოსამართლემ) უნდა გადადოს სასამართლო სხდომა გონივრული ვადით (მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა). ამასთან, სასამართლომ (მოსამართლემ)

ამის თაობაზე უნდა აცნობოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს.

6. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, თავის მხრივ, ვალდებულია:

– მომდევნო სხდომაზე უზრუნველყოს განსასჯელის წარმოდგენა;

– სასამართლოს აცნობოს ბადრაგირების განუხორციელებლობის მიზეზი.

მუხლი 444. განსასჯელის გამოუცხადებლობის შედეგები

1. **განსასჯელის გამოუცხადებლობისას სასამართლო განხილვა გადაიდება, გარდა 443-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.**
2. **არასაპატიო მიზეზით განსასჯელის გამოუცხადებლობისას იგი შეიძლება მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით) მოიყვანონ, ხოლო სათანადო საფუძვლის არსებობისას ამ კანონით დადგენილი წესით გამოიყენონ მის მიმართ აღკვეთის ღონისძიება ან შერჩეული აღკვეთის ღონისძიება შეცვალონ უფრო მკაცრით.**
3. **მოყვანილ განსასჯელს შეუძლია არ მიიღოს მონაწილეობა სასამართლო განხილვაში.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას განსასჯელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო განხილვა, როგორც წესი, უნდა გადაიდოს.

2. ამ საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 443-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 443-ე მუხლის კომენტარები).

3. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას არასაპატიო მიზეზით განსასჯელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, იგი შეიძლება მოყვანილ იქნეს მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე, 174-ე, 175-ე, 176-ე მუხლების კომენტარები).

4. ამასთან, სასამართლოში მოყვანილ განსასჯელს უფლება აქვს, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობა არ მიიღოს.

5. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას არასაპატიო მიზეზით განსასჯელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სათანადო საფუძვლის არსებობისას, შესაძლებელია განსასჯელის მიმართ:

– გამოყენებულ იქნეს აღკვეთის ღონისძიება;

– შერჩეული აღკვეთის ღონისძიება შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

მუხლი 445. დამცველის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მისი გამოუცხადებლობის შედეგები

1. **დამცველი მონაწილეობს სასამართლო განხილვაში და აქვს ისეთივე უფლებები, როგორიც ბრალმდებელს (მე-15 მუხლი).**
2. **თუ დამცველი არ გამოცხადდა სხდომაზე, სასამართლო განსასჯელს დაუნიშნავს დამცველს სახაზინო წესით და გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა. მომდევნო სხდომაზე სასამართლო უფლებამოსილია კიდევ ერთხელ გადადოს საქმის განხილვა არა უმეტეს 5 დღისა, თუ დაცვის მხარე წარმოადგენს მოტივირებულ შუამდგომლობას, რომელშიც დასაბუთებულია დამცველის გამოუცხადებლობის ობიექტური მიზეზი. შუამდგომლობის წარმოუდგენლობის, წარმოდგენილი შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის ან დაკმაყოფილების შემდეგ დამცველის კვლავ გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომა გრძელდება სახაზინო დამცველის მონაწილეობით.**
3. **თუ საქმე იხილება ორი ან მეტი განსასჯელის მიმართ და სასამართლო გამოძიების სტადიაზე რომელიმე მათგანის დამცველი სხდომაზე არ გამოცხადდა, სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვა განაგრძოს სხვათა მიმართ, თუ ეს არ შელახავს განსასჯელის ინტერესებს და გავლენას არ მოახდენს სასამართლო გამოძიების სისრულესა და ობიექტურობაზე. ამასთან, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს დამცველისათვის მისი მონაწილეობის გარეშე წარმოებული ოქმის გაცნობა.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვა მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას დამცველს აქვს ისეთივე უფლებები, როგორც – ბრალმდებელს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის კომენტარები).

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას სასამართლო სხდომაზე დამცველის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლომ:

– განსასჯელს უნდა დაუნიშნოს დამცველი სახაზინო წესით;

– სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა გადადოს გონივრული ვადით (მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა).

3. მომდევნო სასამართლო სხდომაზე დამცველის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს, კიდევ ერთხელ გადადოს სისხლის სამართლის საქმის განხილვა (არა უმეტეს 5 დღისა) მხოლოდ მაშინ, როდესაც დაცვის მხარე წარმოადგენს მოტივირებულ შუამდგომლობას დამცველის გამოუცხადებლობის ობიექტური მიზეზის თაობაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

4. სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა გაგრძელდეს სახაზინო დამცველის მონაწილეობით:

– აღნიშნული შუამდგომლობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში;

– აღნიშნული შუამდგომლობის წარმოდგენისა და მისი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში;

– აღნიშნული შუამდგომლობის წარმოდგენის, მისი დაკმაყოფილებისა და ამის შემდეგ დამცველის კვლავ გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

5. თუ სისხლის სამართლის საქმე იხილება ორი (ორზე მეტი) განსასჯელის მიმართ და სასამართლო გამოძიების სტადიაზე რომელიმე მათგანის დამცველი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება, სასამართლოს უფლება აქვს, სისხლის სამართლის საქმის განხილვა განაგრძოს სხვა განსასჯელის (განსასჯელების) მიმართ, თუ ეს:

– არ შელახავს განსასჯელის ინტერესებს;

– გავლენას არ მოახდენს სასამართლო გამოძიების სისრულესა და ობიექტურობაზე.

6. ამასთან, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს დამცველისათვის მისი მონაწილეობის გარეშე შედგენილი ოქმის გაცნობა.

მუხლი 446. პროკურორის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მისი გამოუცხადებლობის შედეგები

1. **სასამართლო განხილვაში პროკურორი მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, ხელმძღვანელობს კანონის მოთხოვნებით და თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება სასამართლო გამოძიებისას განხილულ მტკიცებულებებს.**
2. **პროკურორი წარმოადგენს მტკიცებულებებს, მონაწილეობს დაცვის მტკიცებულებათა გამოკვლევაში, გამოთქვამს თავის აზრს სასამართლოს გადასაწყვეტ ყველა საკითხზე.**
3. **პროკურორი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე, თუ, მისი რწმენით, იგი არ დადასტურდა სასამართლო განხილვისას.**
4. **ბრალდებაზე პროკურორის უარის შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარდაჭერაზე უარი თქვა დაზარალებულმაც, სასამართლო წყვეტს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას.**
5. **პროკურორს უფლება აქვს შეცვალოს ბრალდება განსასჯელის სასარგებლოდ ან მოითხოვოს საქმის დაბრუნება უფრო მკაცრი ბრალდების წარსადგენად. განსასჯელის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის ან ბრალდების მოხსნის თაობაზე აუცილებელია ზემდგომი პროკურორის თანხმობა.**
6. **პროკურორის გამოუცხადებლობისას სასამართლო გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, და ამის თაობაზე აცნობებს გენერალურ პროკურატურას და ზემდგომ პროკურორს, რომელიც ვალდებულია მომდევნო სხდომაზე უზრუნველყოს პროკურორის მონაწილეობა და სასამართლოს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი.**

(საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერს პროკურორი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

2. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას პროკურორმა უნდა იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებითა და თავისი შინაგანი რწმენით, რაც უნდა ემყარებოდეს სასამართლო გამოძიებისას განხილულ მტკიცებულებებს.

3. პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი:

– წარმოადგენს მტკიცებულებებს;

– მონაწილეობს დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევაში;

– გამოთქვამს თავის აზრს სასამართლოს გადასაწყვეტ ყველა საკითხზე.

4. პროკურორი ვალდებულია, უარი თქვას ბრალდებაზე, თუ, მისი რწმენით, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას ბრალდება არ დადასტურდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თუ ბრალდების მხარდაჭერაზე პროკურორთან ერთად დაზარალებულიც უარს იტყვის, სასამართლომ სისხლის სამართლის საქმის წარმოება უნდა შეწყვიტოს.

5. პროკურორს ასევე უფლება აქვს, შეცვალოს ბრალდება განსასჯელის სასარგებლოდ.

6. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას პროკურორის მიერ განსასჯელის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის ან ბრალდების მოხსნის თაობაზე აუცილებელია ზემდგომი პროკურორის თანხმობა. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ზემდგომი პროკურორის თანხმობის წერილობითი ფორმით არსებობის სავალდებულობაზე მითითება არ არსებობს. შესაძლებელია, ეს თანხმობა არ იყოს წერილობითი და სხდომაზე გამომსვლელმა პროკურორმა სიტყვიერად დაადასტუროს ზემდგომი პროკურორის თანხმობა, რაც უნდა აღინიშნოს სასამართლო სხდომის ოქმში. თუმცა მიზანშეწონილია, ზემდგომი პროკურორის თანხმობა იყოს წერილობითი, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლოში ბრალდების შეცვლისას პროკურორი ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს ბრალდების ახალი წერილობითი ფორმულირება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე, 57-ე მუხლების კომენტარები).

7. პროკურორს უფლება აქვს, მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის დაბრუნება უფრო მძიმე ბრალდების წარსადგენად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 501-ე მუხლის კომენტარები).

8. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას პროკურორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლომ:

– სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა გადადოს გონივრული ვადით (მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა);

– აღნიშნულის თაობაზე უნდა აცნობოს:

ა) გენერალურ პროკურატურას;

ბ) ზემდგომ პროკურორს.

9. ზემდგომი პროკურორი ვალდებულია:

– სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს აცნობოს პროკურორის გამოუცხადებლობის მიზეზი;

– მომდევნო სასამართლო სხდომაზე უზრუნველყოს პროკურორის მონაწილეობა.

მუხლი 447. დაზარალებულის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მისი გამოუცხადებლობის შედეგები

1. **სასამართლო განხილვაში მონაწილე დაზარალებული სარგებლობს მხარის ყველა უფლებით (მე-15 მუხლი).**
2. **საჯარო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეზე დაზარალებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო ისმენს მხარეთა აზრს და წყვეტს მის დაუსწრებლად საქმის განხილვის შესაძლებლობის საკითხს.**
3. **არასაპატიო მიზეზით დაზარალებულის გამოუცხადებლობისას სასამართლოს უფლება აქვს დაზარალებული მოაყვანინოს, თუ, სასამართლოს ან თუნდაც ერთი მხარის აზრით, საქმის განხილვაში მისი მონაწილეობა აუცილებელია.**
4. **არასაპატიო მიზეზით კერძო ბრალდების საქმეზე დაზარალებულის გამოუცხადებლობისას საქმის წარმოება წყდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განსასჯელი მოითხოვს საქმის განხილვას.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას დაზარალებული სარგებლობს მხარის ყველა უფლებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის კომენტარები).

2. აღსანიშნავია, რომ საჯარო და კერძო-საჯარო ბრალდების სისხლის სამართლის საქმეებზე დაზარალებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლომ მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ უნდა გადაწყვიტოს დაზარალებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვის შესაძლებლობის საკითხი. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 469-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ დაზარალებული არ გამოცხადდა, სასამართლომ მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ უნდა გამოიტანოს განჩინება (დადგენილება):

– ან სასამართლო განხილვის გაგრძელებისა და გამოუცხადებელი პირის მიმართ ზომების მიღების შესახებ;

– ან სასამართლო განხილვის გადადების შესახებ.

3. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას დაზარალებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო განხილვა უნდა გაგრძელდეს, თუ დაზარალებულის გამოუცხადებლობა ხელს არ უშლის სისხლის სამართლის საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 469-ე მუხლის კომენტარები).

4. არასაპატიო მიზეზით დაზარალებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება აქვს, გამოიტანოს განჩინება (დადგენილება) დაზარალებულის მოყვანის თაობაზე, თუ სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში დაზარალებულის მონაწილეობა აუცილებელია:

– სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს (მოსამართლის) აზრით;

– ბრალდების მხარის აზრით;

– დაცვის მხარის აზრით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე, 174-ე, 175-ე, 176-ე მუხლების კომენტარები).

5. კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე არასაპატიო მიზეზით დაზარალებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის წარმოება, როგორც წესი, უნდა შეწყდეს. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც განსასჯელი, დაზარალებულის გამოუცხადებლობის მიუხედავად, ითხოვს სისხლის სამართლის საქმის განხილვას.

მუხლი 448. სამოქალაქო მოსარჩელის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მისი გამოუცხადებლობის შედეგები

1. სამოქალაქო მოსარჩელე, რომელიც სარგებლობს მხარის უფლებებით (მე-15 მუხლი), მხარს უჭერს მის მიერ განცხადებულ სამოქალაქო სარჩელს.

2. სამოქალაქო მოსარჩელის ან მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო სამოქალაქო სარჩელს არ განიხილავს. ამასთან, სამოქალაქო სარჩელის განმცხადებელ პირს უნარჩუნდება უფლება წარადგინოს იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სასამართლოს უფლება აქვს, სამოქალაქო მოსარჩელის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით, სამოქალაქო სარჩელი განიხილოს მის დაუსწრებლად. სასამართლო სამოქალაქო სარჩელს განიხილავს ყველა შემთხვევაში, თუ სარჩელს მხარს უჭერს პროკურორი.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სამოქალაქო მოსარჩელემ მხარი უნდა დაუჭიროს სამოქალაქო სარჩელს. ამასთან, სამოქალაქო მოსარჩელე სარგებლობს მხარის უფლებებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის კომენტარები).

2. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სამოქალაქო მოსარჩელის (მისი წარმომადგენლის) გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლომ (მოსამართლემ) სამოქალაქო სარჩელი არ უნდა განიხილოს, ხოლო სამოქალაქო სარჩელის განმცხადებელ პირს უფლება აქვს, სამოქალაქო სარჩელი წარადგინოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის კომენტარები).

3. სამოქალაქო მოსარჩელის (მისი წარმომადგენლის) შუამდგომლობის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, სამოქალაქო სარჩელი განიხილოს მის დაუსწრებლად.

4. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია, სამოქალაქო სარჩელი განიხილოს ყველა შემთხვევაში, თუ სამოქალაქო სარ-

ჩელს მხარს უჭერს პროკურორი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 449. სამოქალაქო მოპასუხის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მისი გამოუცხადებლობის შედეგები

1. **სამოქალაქო მოპასუხე, რომელიც იცავს თავის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს განცხადებულ სარჩელთან დაკავშირებით, სასამართლო განხილვაში სარგებლობს მხარეთა უფლებებით (მე-15 მუხლი).**
2. **სამოქალაქო მოპასუხის ან მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა ხელს არ უშლის სამოქალაქო სარჩელის განხილვას. საპატიო მიზეზის არსებობისას სასამართლო განხილვა შეიძლება სამოქალაქო მოპასუხის თხოვნით გადაიდოს, მაგრამ არა უმეტეს 7 დღის ვადით.**

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სამოქალაქო მოპასუხემ უნდა დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები განცხადებულ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით. ამასთან, სამოქალაქო მოპასუხე სარგებლობს მხარის უფლებებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის კომენტარები).

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სამოქალაქო მოპასუხის (მისი წარმომადგენლის) გამოუცხადებლობა სამოქალაქო სარჩელის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს.

3. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, სამოქალაქო მოპასუხის თხოვნის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა გადაიდოს (თუმცა არა უმეტეს 7 დღის ვადით).

მუხლი 450. სასამართლო განხილვის ფარგლები

საქმის სასამართლო განხილვა ტარდება განსასჯელის მიმართ მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროკურორმა ბრალდება შეცვალა განსასჯელის სასარგებლოდ.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, განსასჯელის მიმართ სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა უნდა ჩატარდეს მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც ბრალდებულის მიმართ შედგა საბრალდებო დასკვნა და სისხლის სამართლის საქმე საბრალდებო დასკვნასთან ერთად განსჯადობის მიხედვით გადაეგზავნა შესაბამის სასამართლოს.

2. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სახელმწიფო ბრალმდებელმა განსასჯელის სასარგებლოდ შეცვალა ბრალდება. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა უნდა ჩატარდეს პროკურორის მიერ განსასჯელის სასარგებლოდ შეცვლილი ბრალდების ფარგლებში.

მუხლი 451. სასამართლო განხილვის შეჩერება და განახლება

1. **განსასჯელის ფსიქიკური ან სხვა მძიმე ავადმყოფობით დაავადების შემთხვევაში, რაც დადასტურებული იქნება სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების ექსპერტის (ექსპერტების) მიერ, მოსამართლე (სასამართლო) გამოიტანს დადგენილებას (განჩინებას) განსასჯელის გამოჯანმრთელებამდე სასამართლო განხილვის შეჩერების შესახებ.**
2. **ამ კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას.**
3. **ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არარსებობის შემთხვევაში საქმის წარმოება განახლდება.**
4. **დღის 18 საათის შემდეგ მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით შესაძლებელია სასამართლომ შეწყვიტოს სხდომის მიმდინარეობა.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2356 – სსმ I, 2005 წ., №57, მუხლი 440; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას განსასჯელის ფსიქიკური, სხვა მძიმე ავადმყოფობით დაავადების შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) დადგენილებით (განჩინებით) შეაჩეროს სისხლის სამართლის საქმის განხილვა. ამასთან, განსასჯელის ფსიქიკური, სხვა მძიმე ავადმყოფობით დაავადების ფაქტი უნდა დაადასტუროს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების ექსპერტმა (ექსპერტებმა).

2. განსასჯელის ფსიქიკური, სხვა მძიმე ავადმყოფობით დაავადების გამო სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა შეჩერდეს განსასჯელის გამოჯანმრთელებამდე.

3. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა შეჩერდეს, აგრეთვე:

– საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე საერთო სასამართლოს მიმართვის შემთხვევაში;

– პირისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის ან პირის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ საკითხის დასმის შემთხვევაში;

4. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე საერთო სასამართლოს მიმართვის გამო სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა შეჩერდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

5. პირისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის ან პირის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ საკითხის დასმის გამო სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა შეჩერდეს ამ საკითხის ოფიციალურ გადაწყვეტამდე.

6. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის მიმდინარეობა დროში შეზღუდული არ არის, ანუ გარკვეული დროის (მაგ.: 16 სთ-ის, 18 სთ-ის, 20 სთ-ის და ა.შ.) დადგომის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განხილვა ავტომატურად არ წყდება.

7. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას, 18 საათის შემდეგ, შესაძლებელია, სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) შეწყვიტოს სასამართლო სხდომის მიმდინარეობა.

8. გადაწყვეტილება 18 საათის შემდეგ სასამართლო სხდომის მიმდინარეობის შეწყვეტის თაობაზე სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) შეიძლება მიიღოს:

– საკუთარი ინიციატივით;

– მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.

მუხლი 452. სასამართლოს მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებანი

1. **(ამოღებულია).**
2. **(ამოღებულია).**
3. **სასამართლო წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძველზე.**
4. **გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი სასამართლოს გამოაქვს 503-504-ე მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე.**
5. **სასამართლო წყვეტს საკითხს აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, შეცვლის ან შერჩევის შესახებ.**

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის შედეგად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს), როგორ წესი, გამოაქვს:

– ან გამამართლებელი განაჩენი;
– ან გამამტყუნებელი განაჩენი.

2. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) სხვა საკითხებთან ერთად შესაძლებელია, გადაწყვიტოს:
– სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის;
– აღკვეთის ღონისძიების გაუქმების;
– აღკვეთის ღონისძიების შეცვლის;
– აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხები.

მუხლი 453. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის წესი

1. **სასამართლოს (მოსამართლეს) გადაწყვეტილება გამოაქვს ადგილზე თათბირით. გადაწყვეტილება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.**
2. **სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია გადაწყვეტილება გამოიტანოს სათათბირო ოთახში.**

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 16 სექტემბრის კანონი №1904 – სსმ I, 2005 წ., №43, მუხლი 305; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) ნებისმიერი გადაწყვეტილება (განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გარდა), როგორც წესი, გამოაქვს ადგილზე თათბირით, ანუ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ამ კატეგორიის გადაწყვეტილებების მისაღებად მოსამართლის (სასამართლოს) სათათბირო ოთახში გასვლის ვალდებულება არ არსებობს.

2. ადგილზე თათბირით მიღებული გადაწყვეტილება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

3. ზემოაღნიშნული წესის მიუხედავად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, ნებისმიერი გადაწყვეტილება გამოიტანოს სათათბირო ოთახში.

მუხლი 454. სასამართლო სხდომის ოქმი

1. **სასამართლო სხდომის ოქმში აღინიშნება: სხდომის ადგილი და დრო იმის მითითებით, თუ როდის გაიხსნა და დაიხურა იგი, სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, მდივანი, თარჯიმანი, ბრალმდებელი, დამცველი,**

განსასჯელი, აგრეთვე დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, სასამართლოს მიერ დაბარებული სხვა პირები, განსახილველი საქმე, განსასჯელის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება, მონაცემები განსასჯელის პიროვნების შესახებ, სასამართლოს ყველა მოქმედება თანამიმდევრობით, პროცესის მონაწილეთა და სხვა პირთა განცხადებანი და შუამდგომლობანი, სასამართლოს მიერ სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოტანილი განჩინებანი, მითითება სათათბირო ოთახში განჩინებათა გამოტანის შესახებ, განსასჯელისა და საქმეში მონაწილე სხვა პირებისათვის მათი უფლება-მოვალეობათა განმარტება, ჩვენებათა შინაარსი, სასამართლო სხდომაზე ჩატარებულ დათვალიერებათა და მტკიცებულებათა შეგროვებასა და გამოკვლევასთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებათა შედეგები, ყოველივე იმის შინაარსი, რისი ოქმში შეტანაც პროცესის მონაწილეებმა ითხოვეს, მითითება სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევის ფაქტებზე, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა, და დამრღვევის პიროვნებაზე, სასამართლო კამათის მოკლე შინაარსი და განსასჯელის საბოლოო სიტყვა, მითითება განაჩენის გამოქვეყნების, მისი გასაჩივრების წესისა და ვადის განმარტების შესახებ.

2. **ოქმი უნდა მომზადდეს და მას ხელი უნდა მოაწერონ სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ და მდივანმა სასამართლო სხდომის დამთავრებიდან არა უგვიანეს 5 დღე-ღამისა, რის შესახებაც უნდა აცნობონ მხარეებს.**
3. **თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს მხარეებისათვის ოქმის გაცნობის შესაძლებლობა.**

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის მიმდინარეობა სრულად და სწორად უნდა აისახოს სასამართლო სხდომის ოქმში.

2. სასამართლო სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:

– სასამართლო სხდომის ადგილი;

– სასამართლო სხდომის დრო, სასამართლო სხდომის გახსნისა და დახურვის დროის მითითებით;

– სასამართლოს სახელწოდება;

– სასამართლოს შემადგენლობა;

– სასამართლო სხდომის მდივანი;

– თარჯიმანი (მისი არსებობის შემთხვევაში);

– ბრალმდებელი;

– განსასჯელი;

– დამცველი;

– დაზარალებული;

– დაზარალებულის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოსარჩელე;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოპასუხე;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი;

– სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) მიერ დაბარებული სხვა პირი;

– განსახილველი სისხლის სამართლის საქმე;

– განსასჯელის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება;

– მონაცემები განსასჯელის შესახებ;

– სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) ყველა მოქმედება – თანამიმდევრობით;

– სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის, სხვა პირის შუამდგომლობა;

– სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის, სხვა პირის განცხადება;

– სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) მიერ სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოტანილი დადგენილება (განჩინება);

– მითითება სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) მიერ სათათბირო ოთახში დადგენილების (განჩინების) გამოტანის შესახებ;

– განსასჯელისათვის მისი უფლება-მოვალეობების განმარტება;

– სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე სხვა პირისათვის მისი უფლება-მოვალეობების განმარტება;

– ჩვენების შინაარსი;

– სასამართლო სხდომაზე ჩატარებული დათვალიერების შედეგი;

– სასამართლო სხდომაზე ჩატარებული მტკიცებულების შეგროვებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედების შედეგი;

– სასამართლო სხდომაზე ჩატარებული მტკიცებულების გამოკვლევასთან დაკავშირებული სხვა მოქმედების შედეგი;

– ყოველივე იმის შინაარსი, რისი სასამართლო სხდომის ოქმში შეტანაც ითხოვა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილემ;

– მითითება სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევის ფაქტზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

– მითითება სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დამრღვევის პიროვნებაზე;

– სასამართლო კამათის მოკლე შინაარსი;

– განსასჯელის საბოლოო სიტყვა;

– მითითება განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შესახებ;

– მითითება განაჩენის გასაჩივრების წესისა და ვადის განმარტების შესახებ.

3. სასამართლო სხდომის ოქმს ხელს აწერენ:

– სასამართლო სხდომის თავმჯდომარე;

– სასამართლო სხდომის მდივანი.

4. სასამართლო სხდომის ოქმი უნდა მომზადდეს სასამართლო სხდომის (საბოლოო სხდომის) დამთავრებიდან არა უგვიანეს 5 დღე-ღამეში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის კომენტარები).

5. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, უზრუნველყოს მხარეებისათვის სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობის შესაძლებლობა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 455-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 455. შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმზე და მათი განხილვის წესი

1. **სასამართლოს სხდომის ოქმის ხელმოწერის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ 5 დღე-ღამის განმავლობაში გააკეთონ შენიშვნები ოქმზე. შენიშვნებს განიხილავს იმავე საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო).**
2. **შენიშვნების განხილვის შემდეგ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს დადგენილება (განჩინება), რომლითაც ადასტურებს შენიშვნების სისწორეს ან უარყოფს მათ. ოქმზე შენიშვნები და მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილება (განჩინება) ყველა შემთხვევაში დაერთვის საქმეს.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. მას შემდეგ, რაც სასამართლო სხდომის თავმჯდომარე და სასამართლო სხდომის მდივანი სასამართლო სხდომის ოქმზე ხელს მოაწერენ, ხელმოწერის შემდეგ, 5 დღე-ღამის განმავლობაში მხარეს უფლება აქვს, სასამართლო სხდომის ოქმზე გააკეთოს შენიშვნები.

2. სასამართლო სხდომის ოქმზე გაკეთებული შენიშვნები უნდა განიხილოს ამ სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ).

3. სასამართლო სხდომის ოქმზე გაკეთებული შენიშვნების განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) სასამართლო სხდომის მდივანმა უნდა მისცეს ახსნა-განმარტება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის კომენტარები).

4. სასამართლო სხდომის ოქმზე გაკეთებული შენიშვნების განხილვის შედეგად მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გამოიტანოს დადგენილება (განჩინება):

– ან სასამართლო სხდომის ოქმზე გაკეთებული შენიშვნების სისწორის დადასტურების შესახებ;

– ან სასამართლო სხდომის ოქმზე გაკეთებული შენიშვნების უარყოფის შესახებ.

5. სისხლის სამართლის საქმეს აუცილებლად უნდა დაერთოს:

– სასამართლო სხდომის ოქმზე გაკეთებული შენიშვნები;

– სასამართლო სხდომის ოქმზე გაკეთებულ შენიშვნებთან დაკავშირებით გამოტანილი მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილება (განჩინება).

მუხლი 456. სასამართლო სხდომის განაწესი

1. **სასამართლო სხდომის დარბაზში სასამართლოს შემოსვლისა და დარბაზიდან გასვლის წინ სასამართლოს მდივანი აცხადებს: „ადექით, სასამართლო მოდის!“ ან: „ადექით, სასამართლო გადის!“ ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე სასამართლო სხდომის ყველა დამსწრე ფეხზე დგება.**
2. **სასამართლო განხილვის ყველა მონაწილე მოსამართლეს (სასამართლოს) მიმართავს „ბატონო მოსამართლევ!“, „ბატონო მოსამართლენო!“, რის შემ-**

დეგაც ფეხზე ამდგარი აკეთებს საჭირო განცხადებას. გამონაკლისი სასამართლოში ქცევის წესებიდან დასაშვებია თავმჯდომარის ნებართვით.

3. **თავმჯდომარის განკარგულებათა შესრულება სავალდებულოა სასამართლო განხილვის მონაწილე და სასამართლო სხდომის დამსწრე ყოველი პირისათვის.**
4. **16 წლამდე ასაკის პირები, თუ ისინი არ არიან მხარეები ან მოწმეები, სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვებიან.**
5. **სასამართლოში წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს უპატივცემლობის შემთხვევაში იყენებენ 208-ე მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლო სხდომის განაწესს (სასამართლო სხდომის დარბაზში ქცევის ზოგიერთ წესს).

2. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (მოსამართლეების) სასამართლო სხდომის დარბაზში შესვლის წინ სასამართლო სხდომის მდივანი აცხადებს: „ადექით, სასამართლო მოდის!“.

3. სასამართლო სხდომის მდივნის მიერ აღნიშნული სიტყვების წარმოთქმისთანავე სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი ყველა პირი, როგორც წესი, ფეხზე უნდა ადგეს.

4. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (მოსამართლეების) სასამართლო სხდომის დარბაზიდან გასვლის წინ სასამართლო სხდომის მდივანი აცხადებს: „ადექით, სასამართლო გადის!“.

5. სასამართლო სხდომის მდივნის მიერ აღნიშნული სიტყვების წარმოთქმისთანავე სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი ყველა პირი, როგორც წესი, ფეხზე უნდა ადგეს.

6. სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილე ნებისმიერმა პირმა მოსამართლეს (მოსამართლეებს) უნდა მიმართოს სპეციალური ფრაზით: „ბატონო მოსამართლევ (მოსამართლენო)!“.

7. სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილე პირმა მხოლოდ აღნიშნული მიმართვის შემდეგ ფეხზე მყოფმა უნდა გააკეთოს შესაბამისი განცხადება.

8. სასამართლო სხდომის დარბაზში ქცევის წესებიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვის საფუძველზე.

9. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულების შესრულება სავალდებულოა:

– სისხლის სამართლის პროცესის მონაწილისათვის;

– სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი ნებისმიერი სხვა პირისათვის.

10. სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევის, სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის, მოსამართლის (სასამართლოს) უპატივცემულობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის კომენტარები).

11. 16 წელს მიუღწეველი პირი, თუ ის არ არის მხარე ან მოწმე, სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება.

12. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში, როგორც წესი, არ დაიშვება.

13. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება მხოლოდ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვით. ასეთი პირი შეიძლება იყოს, როგორც წესი, იუსტიციის სამინისტროს საბადრაგო სამსახურის თანამშრომელი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის კომენტარები).

თავი LII
სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი

მუხლი 457. სასამართლო სხდომის გახსნა

დანიშნულ დროს თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს, რომელ სისხლის სამართლის საქმეს განიხილავენ.

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვა იწყება სასამართლო სხდომისათვის განსაზღვრულ დროს სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ სასამართლო სხდომის გახსნით, რა დროსაც სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გამოაცხადოს, თუ რომელ სისხლის სამართლის საქმეს განიხილავენ.

მუხლი 458. სასამართლო სხდომაზე გამოძახებულ პირთა გამოცხადების შემოწმება და გაფრთხილება

სასამართლო სხდომის მდივანი სასამართლოს მოახსენებს მხარეების, მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნის გამოცხადებას და გამოუცხადებლობის მიზეზებს, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) აფრთხილებს პროცესის მონაწილეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების სავალდებულობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების თაობაზე.

(საქართველოს 2005 წლის 25 ნოემბრის კანონი №2129 – სსმ I, 2005 წ., №53, მუხლი 349)

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ სასამართლო სხდომის გახსნისა და განსახილველი სისხლის სამართლის საქმის გამოცხადების შემდეგ სასამართლო სხდომის მდივანმა სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) უნდა მოახსენოს, გამოცხადდა თუ არა სასამართლო სხდომაზე:

– მხარე;
– მოწმე;
– ექსპერტი;
– სპეციალისტი;
– თარჯიმანი.

2. სასამართლო სხდომაზე აღნიშნული პირის (პირების) გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის მდივანმა სისხლის სამართლის საქმის განმხილველ

მოსამართლეს (სასამართლოს) უნდა მოახსენოს მისი (მათი) გამოუცხადებლობის მიზეზები (ცნობილია თუ არა ეს მიზეზები; თუ ცნობილია, რაში გამოიხატა იგი).

3. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, პროცესის გადამღებ ოპერატორებს სასამართლოს სხდომის დარბაზში შეურჩიოს ისეთი ადგილი, საიდანაც მათ შეეძლებათ პროცესის მიმდინარეობის ჩაწერა და ამით, რაც მთავარია, სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს პროცესის სრულყოფილად წარმართვაში ხელი არ შეეშლება. ამასთან, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ ასევე უნდა შეზღუდოს სხვა, ე.წ. „მწერალ“ ჟურნალისტთა სასამართლო სხდომის დარბაზში საკუთარი სურვილით გადაადგილება, საუბარი ან პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის სხვაგვარად შეშლა.

4. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ შესაბამისი მითითებების ზეპირად მიცემა ფაქტობრივად წარმოადგენს მისი მოტივირებული გადაწყვეტილების გამოვლენის ფორმას, რასაც ამ შემთხვევაში არ სჭირდება მოსამართლის წერილობითი გადაწყვეტილების მიღება. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ შესაბამისი მითითებების მიცემის შესახებ უნდა დაფიქსირდეს სასამართლო სხდომის ოქმში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის კომენტარები).

5. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გააფრთხილოს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები და სასამართლო სხდომაზე დამსწრე სხვა პირები სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევის, სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის, მოსამართლის (სასამართლოს) უპატივცემულობის შემთხვევაში შესაძლო პასუხისმგებლობის თაობაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 459. თარჯიმნისათვის მისი უფლება-მოვალეობების განმარტება და მისი აცილების საკითხის გადაწყვეტა

1. **თავმჯდომარე აცხადებს, თუ ვინ მონაწილეობს თარჯიმნად, განუმარტავს მას 101-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს, ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებს არასწორი თარგმნისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.**
2. **თავმჯდომარე მხარეებს, მოწმეებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს განუმარტავს, რომ უფლება აქვთ აცილება მისცენ თარჯიმანს, და უხსნის აცილების კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებს.**
3. **ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ პირთა მოსმენის შემდეგ სასამართლო წყვეტს თარჯიმნისათვის განცხადებული აცილების საკითხს.**

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას თარჯიმნის მონაწილეობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გამოაცხადოს, თუ ვინ მონაწილეობს თარჯიმნად სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში.

2. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილე თარჯიმანს უნდა განუმარტოს უფლება-მოვალეობები და

შესაბამისი ხელწერილის ჩამორთმევით გააფრთხილოს არასწორი თარგმნისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის კომენტარები).

3. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ თარჯიმნისათვის აცილების მიცემის უფლებისა და, ზოგადად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი აცილების საფუძვლების თაობაზე უნდა განუმარტოს:

– მხარეს;

– მოწმეს;

– ექსპერტს;

– სპეციალისტს.

4. თარჯიმნისათვის აცილების მიცემის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გადაწყვიტოს თარჯიმნისათვის განცხადებული აცილების საკითხი.

მუხლი 460. მოწმეთა გაყვანა სასამართლო სხდომის დარბაზიდან

თავმჯდომარე იძლევა განკარგულებას მოწმეების მათთვის განკუთვნილ ოთახში გაყვანის შესახებ და იღებს ზომებს, რათა ისინი დაკითხვამდე არ ესაუბრონ ერთმანეთს. მოსამართლეს შეუძლია მოწმეს წასვლის ნება დართოს და დაუნიშნოს მას სასამართლოში გამოცხადების დღე და საათი.

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გასცეს განკარგულება სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მოწმის (მოწმეების) სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისთვის (მათთვის) განკუთვნილ ოთახში გაყვანის შესახებ.

2. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ ზომები უნდა მიიღოს, რომ მოწმეებს ერთმანეთთან კონტაქტი არ ჰქონდეთ და დაკითხვამდე ერთმანეთს არ ესაუბრონ.

3. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სისხლის სამართლის საქმის განხილვის სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგ.: სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა 25 დასაკითხი მოწმე), სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულ მოწმეს (მოწმეებს) მისცეს წასვლის ნება და მას (მათ) დაუნიშნოს სასამართლოში გამოცხადების დღე და საათი.

მუხლი 461. სასამართლოს შემადგენლობის გამოცხადება და მოსამართლის აცილების საკითხის გადაწყვეტა

1. თავმჯდომარე აცხადებს სასამართლო შემადგენლობას და მხარეებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ აცილება მისცენ როგორც ცალკეულ მოსამართლეებს, ისე სასამართლოს მთელ შემადგენლობას ამ კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძველზე. ეს წესი გამოიყენება სათადარიგო მოსამართლის მიმართაც.

2. მოსამართლის, სასამართლოს, სათადარიგო მოსამართლის, აგრეთვე სასამართლო სხდომის მდივნის აცილების საკითხი წყდება ამ კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული წესებით.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გამოაცხადოს, თუ ვინ (რომელი მოსამართლე (მოსამართლეები)) იხილავს სისხლის სამართლის საქმეს. ამასთან, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ ასევე უნდა გამოაცხადოს სასამართლო სხდომის მდივნისა და სათადარიგო მოსამართლის (სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას მისი არსებობის შემთხვევაში) თაობაზე.

2. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ მხარეებს უნდა განუმარტოს, რომ მათ უფლება აქვთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით აცილება მისცენ:

– სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (მოსამართლეებს);

– სათადარიგო მოსამართლეს;

– სასამართლო სხდომის მდივანს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის კომენტარები).

3. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (მოსამართლეების), სათადარიგო მოსამართლის, სასამართლო სხდომის მდივნისათვის აცილების მიცემის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გადაწყვიტოს განცხადებული აცილების საკითხი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 462. განსასჯელის ვინაობის დადგენა და მისთვის საბრალდებო დასკვნის ასლის დროულად გადაცემა

1. თავმჯდომარე ადგენს განსასჯელის ვინაობას, არკვევს მის სახელსა და გვარს, დაბადების წელს, თვეს, დღესა და ადგილს.

2. თავმჯდომარე ეკითხება განსასჯელს, გადასცეს თუ არა მას საბრალდებო დასკვნის ასლი ან დაზარალებულის საჩივარი. თუ აღნიშნული დოკუმენტები გადაცემული არ არის, სასამართლო სხდომა გადაიდება არანაკლებ 3 დღე-ღამით.

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა დაადგინოს განსასჯელის ვინაობა, რა მიზნითაც უნდა გაარკვიოს მისი:

– სახელი, გვარი;

– დაბადების წელი, თვე, დღე;

– დაბადების ადგილი.

2. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა ჰკითხოს განსასჯელს, გადაეცა თუ არა მას:

– საბრალდებო დასკვნის ასლი;

– დაზარალებულის საჩივარი (კერძო ბრალდების საქმის წარმოებისას).

3. თუ აღმოჩნდება, რომ საბრალდებო დასკვნის ასლი (დაზარალებულის საჩივარი) განსასჯელისათვის არ გადაუციათ, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა უნდა გადაიდოს არანაკლებ 3 დღე-ღამის ვადით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს განსასჯელისათვის საბრალდებო დასკვნის ასლის (დაზარალებულის საჩივრის) გადაცემა და განსასჯელის მიერ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

მუხლი 463. სახელმწიფო ბრალმდებლის შესახებ აცილების საკითხის გადაწყვეტა

1. თავმჯდომარე აცხადებს, თუ ვინ უჭერს მხარს სახელმწიფო ბრალდებას (სახელი, გვარი, საკლასო წოდება, დაკავებული თანამდებობა) ან კერძო ბრალდებას და მხარეებს განუმარტავს, რომ უფლება აქვთ აცილება განუცხადონ პროკურორს 105-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით.

2. თუ პროკურორს აცილება განუცხადა ერთ-ერთმა მხარემ, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე ისმენს ამ საკითხზე მეორე მხარის აზრს.

3. აცილების დაკმაყოფილებისას სასამართლო განხილვა გადაიდება.

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გამოაცხადოს, თუ ვინ უჭერს მხარს სახელმწიფო ბრალდებას, რა მიზნითაც უნდა გამოაცხადოს სახელმწიფო ბრალმდებლის:

– სახელი, გვარი;

– საკლასო წოდება;

– დაკავებული თანამდებობა.

2. კერძო ბრალდების საქმის წარმოებისას სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გამოაცხადოს, თუ ვინ უჭერს მხარს კერძო ბრალდებას.

3. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ მხარეებს უნდა განუმარტოს, რომ მათ უფლება აქვთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით აცილება მისცენ სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერ პროკურორს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის კომენტარები).

4. მხარის მიერ სახელმწიფო ბრალმდებლისათვის აცილების მიცემის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) აცილების საკითხზე უნდა მოისმინოს მეორე მხარის აზრი.

5. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) მიერ სახელმწიფო ბრალმდებლის აცილების შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა უნდა გადაიდოს.

მუხლი 464. დამცველის საქმეში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებათა არსებობის საკითხის გადაწყვეტა

1. თავმჯდომარე აცხადებს, თუ ვინ არის დამცველი (სახელი და გვარი, ადვოკატთა რომელი კოლეგიის წევრია), განუმარტავს მხარეებს, 107-ე მუხლით გათვალისწინებულ რა გარემოებათა არსებობისას არ შეუძლია დამცველს საქმეში მონაწილეობა, და ეკითხება მათ, შუამდგომლობენ თუ არა ისინი დამცველის აცილებას.

2. 107-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებათა არსებობისას სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივითაც მისცეს აცილება დამცველს და შესთავაზოს განსასჯელს, სხვა დამცველი მოიწვიოს ან თვითონ სასამართლომ დაუნიშნოს იგი.

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გამოაცხადოს, თუ ვინ არის სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას განსასჯელის ინტერესების დამცველი, რა მიზნითაც მან უნდა გამოაცხადოს დამცველის:

– სახელი, გვარი;

– საადვოკატო ბიურო.

2. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ მხარეებს უნდა განუმარტოს სისხლის სამართლის საქმეში დამცველის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებების თაობაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლის კომენტარები).

3. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გაარკვიოს, აქვთ თუ არა მხარეებს შუამდგომლობა დამცველის აცილების თაობაზე.

4. სისხლის სამართლის საქმეში დამცველის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოების არსებობის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით აცილება მისცეს დამცველს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლის კომენტარები).

5. ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) განსასჯელს:

– ან უნდა შესთავაზოს სხვა დამცველის მოწვევა;

– ან თვითონ უნდა დაუნიშნოს დამცველი.

მუხლი 465. დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები სასამართლოში

თავმჯდომარე აცხადებს, თუ ვინ არის დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, და მხარეებს განუმარტავს, რომ უფლება აქვთ აცილება მისცენ დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებს, და უხსნის, რა საფუძვლით შეიძლება მათი აცილება.

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გამოაცხადოს, თუ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ვინ არის:

– დაზარალებული;

– დაზარალებულის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოსარჩელე;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოპასუხე;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი.

2. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ მხარეებს უნდა განუმარტოს სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის წარმომადგენლის, სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებების თაობაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლის კომენტარები).

3. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ მხარეებს უნდა განუმარტოს, რომ მათ უფლება აქვთ, აცილება მისცენ:

– დაზარალებულის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს.

მუხლი 466. ექსპერტისა და სპეციალისტის აცილების საკითხის გადაწყვეტა

1. თავმჯდომარე აცხადებს, თუ ვინ არის ექსპერტი, სპეციალისტი, და წყვეტს ექსპერტისა და სპეციალისტის აცილების საკითხს 106-ე მუხლის საფუძველზე.

2. თუ ექსპერტის აცილება დაკმაყოფილებულია, სასამართლო, მხარეთა აზრის გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას მეორე ექსპერტის დანიშვნის შესახებ. ახალი ექსპერტის მოსაწვევად მხარეს ეძლევა დრო, თუ აცილებული ექსპერტი მის მიერ იყო მოწვეული.

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გამოაცხადოს, თუ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ვინ არის:

– ექსპერტი;

– სპეციალისტი.

2. სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საფუძვლების გათვალისწინებით, უნდა გადაწყვიტოს ექსპერტის, სპეციალისტის აცილების საკითხი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის კომენტარები).

3. სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვიდან ექსპერტის აცილების შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სხვა ექსპერტის დანიშვნის თაობაზე.

4. სისხლის სამართლის საქმის განხილვიდან ექსპერტის აცილების გამო სხვა ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გაითვალისწინოს მხარეთა აზრი.

5. თუ სისხლის სამართლის საქმის განხილვიდან აცილებული ექსპერტი მხარის მიერ იყო მოწვეული, ახალი ექსპერტის მოსაწვევად მას დრო უნდა მიეცეს.

მუხლი 467. პროცესის მონაწილეთათვის მათი უფლება-მოვალეობების განმარტება

თავმჯდომარე განსასჯელს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათს წარმომადგენლებს, ექსპერტსა და სპეციალისტს განუმარტავს მათს უფლება-მოვალეობებს.

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უფლება-მოვალეობები უნდა განუმარტოს:

- განსასჯელს;
- დამცველს;
- დაზარალებულს;
- დაზარალებულის წარმომადგენელს;
- სამოქალაქო მოსარჩელეს;
- სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს;
- სამოქალაქო მოპასუხეს;
- სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს;
- ექსპერტს;
- სპეციალისტს.

მუხლი 468. შუამდგომლობის განცხადება და გადაწყვეტა

1. **თავმჯდომარე პროცესის მონაწილე ბრალდებისა და დაცვის მხარეთა წარმომადგენლებს ეკითხება, აქვთ თუ არა შუამდგომლობა აცილების, ახალი არსებითი გარემოების გამო აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების, აგრეთვე ახალი მტკიცებულებების ან დოკუმენტების გამოთხოვის ან საქმისთვის დართვის, მოწმეების, ექსპერტების მოწვევის, ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ერთგვაროვანი სახის შუამდგომლობები სასამართლოს წარედგინება ერთად. პირი, რომელიც აღძრავს შუამდგომლობას, ვალდებულია მიუთითოს, რა გარემოებათა დასადგენად არის განცხადებული შუამდგომლობა.**
2. **სასამართლომ უნდა განიხილოს ყოველი განცხადებული შუამდგომლობა და გაიგოს პროცესის მონაწილეთა აზრი. თუ გარემოებები, რომელთა დასად-**

გენადაც განცხადებულია შუამდგომლობა, საქმისათვის მნიშვნელოვანია, სასამართლო აკმაყოფილებს შუამდგომლობას. პირს, რომელსაც უარი უთხრეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, უფლება აქვს განაცხადოს იგი სასამართლო გამოძიებისას საქმისათვის ახალი არსებითი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში.

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გაარკვიოს, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ბრალდებისა და დაცვის მხარეების წარმომადგენლებს აქვთ თუ არა შუამდგომლობა:

– აცილების შესახებ;

– ახალი არსებითი გარემოების გამო აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ;

– ახალი არსებითი გარემოების გამო აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ;

– ახალი მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ;

– ახალი მტკიცებულების სისხლის სამართლის საქმისთვის დართვის შესახებ;

– ახალი დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ;

– ახალი დოკუმენტის სისხლის სამართლის საქმისთვის დართვის შესახებ;

– მოწმის მოწვევის შესახებ;

– ექსპერტის მოწვევის შესახებ;

– ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

2. შუამდგომლობის აღძვრის შემთხვევაში შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია მიუთითოს, თუ რა გარემოების დასადგენად იქნა განცხადებული შუამდგომლობა.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ერთგვაროვანი სახის შუამდგომლობები სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) უნდა წარედგინოს ერთად. მაგ.: თუ დაცვის მხარეს სურს, რომ სისხლის სამართლის საქმეს დაერთოს ახალი მტკიცებულებები – დაიკითხოს სამი პირი მოწმის სახით, მან აღნიშნული მოთხოვნა არ უნდა განაცხადოს სამი სხვადასხვა შუამდგომლობის სახით. დაცვის მხარემ სამი პირის მოწმის სახით დაკითხვა უნდა მოითხოვოს ერთი შუამდგომლობით.

4. სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) შუამდგომლობის განხილვისას უნდა მოისმინოს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეების პოზიცია განცხადებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

5. შუამდგომლობის განხილვის შედეგად სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო):

– ან შუამდგომლობას აკმაყოფილებს;

– ან შუამდგომლობას არ აკმაყოფილებს.

6. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში შუამდგომლობის განმცხადებელ პირს, როგორც წესი, უფლება არა აქვს, იგივე შუამდგომლობა განმეორებით განაცხადოს.

7. ამ საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიუხედავად, პირს, რომელსაც უარი უთხრეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, უფლება აქვს, განაცხადოს იგი მხოლოდ სასამართლო გამოძიებისას, თუ სისხლის სამართლის საქმისათვის ახალი არსებითი გარემოება გამოვლინდება.

მუხლი 469. საკითხის გადაწყვეტა დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტისა და სპეციალისტის გარეშე საქმის განხილვის შესახებ

1. თუ დაზარალებული, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი არ გამოცხადდა, სასამართლოს მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ გამოაქვს განჩინება (დადგენილება) სასამართლო განხილვის გაგრძელებისა და გამოუცხადებელ პირთა მიმართ ზომების მიღების ან სასამართლო განხილვის გადადების შესახებ. სასამართლო განხილვა გრძელდება, თუ აღნიშნულ პირთა გამოუცხადებლობა ხელს არ უშლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას.

2. საქმის განხილვის გადადების შესახებ განჩინების (დადგენილების) გამოტანისას სასამართლოს უფლება აქვს დაკითხოს გამოცხადებული დაზარალებული და მოწმე. გადადებულ საქმეს განიხილავს მოსამართლეთა იგივე შემადგენლობა. დაკითხულ დაზარალებულსა და მოწმეს გამოიძახებენ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლომ მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ უნდა გადაწყვიტოს დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვის შესაძლებლობის საკითხი. ამასთან, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, გამოიტანოს დადგენილება (განჩინება):

– ან სასამართლო განხილვის გაგრძელებისა და გამოუცხადებელი პირის მიმართ ზომების მიღების შესახებ;

– ან სასამართლო განხილვის გადადების შესახებ.

2. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო განხილვა უნდა გაგრძელდეს, თუ დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის გამოუცხადებლობა ხელს არ უშლის სისხლის სამართლის საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს იმის შესაძლებლობას, რომ ზემოაღნიშნული მიზეზით სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის გადა-

დების მიუხედავად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) დაკითხოს:

– გამოცხადებული დაზარალებული;

– გამოცხადებული მოწმე.

4. ამ წესით დაკითხული დაზარალებულისა და მოწმის სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას გამოძახება დასაშვებია მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

5. ამასთან, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა გრძელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესის შესაბამისად.

თავი LIII
სასამართლო გამოძიება

მუხლი 470. სასამართლო გამოძიების დაწყების გამოცხადება

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სასამართლო იწყებს სასამართლო გამოძიებას.

1. სასამართლო გამოძიება იწყება იმით, რომ სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სასამართლოს მიერ სასამართლო გამოძიების დაწყებას.

მუხლი 471. სასამართლო გამოძიების დაწყება

1. **სასამართლო გამოძიება იწყება სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ საბრალდებო დასკვნის სარეზოლუციო ნაწილის წაკითხვით.**
2. **კერძო ბრალდების საქმეზე დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – სასამართლო სხდომის მდივანი კითხულობს დაზარალებულის საჩივარს.**

1. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) მიერ სასამართლო გამოძიების დაწყებისას უნდა გამოცხადდეს განსასჯელის წინააღმდეგ არსებული ბრალდება (მისი ფორმულირება).

2. კერძო ბრალდების საქმეზე დაზარალებულის საჩივარი სასამართლო სხდომაზე უნდა წაიკითხოს:

– ან დაზარალებულმა;

– ან მისმა წარმომადგენელმა.

3. როდესაც კერძო ბრალდების საქმეზე სასამართლო სხდომაზე დაზარალებული და მისი წარმომადგენელი არ იმყოფებიან, დაზარალებულის საჩივარი უნდა წაიკითხოს სასამართლო სხდომის მდივანმა.

4. ყველა სხვა საქმეზე სახელმწიფო ბრალმდებელმა უნდა წაიკითხოს საბრალდებო დასკვნის სარეზოლუციო ნაწილი.

მუხლი 472. ბრალდების არსის განმარტება და განსასჯელის პოზიციის გარკვევა

1. **თავმჯდომარე განსასჯელს განუმარტავს მისთვის წაყენებული ბრალდების არსს, მისი ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელს, წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის საფუძ-**

ველსა და ოდენობას. თუ განსასჯელი რამდენიმეა, ასეთი განმარტება ეძლევა ყოველ მათგანს. განსასჯელს უფლება აქვს უარი თქვას განმარტების მოსმენაზე. საქმეში განსასჯელის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობისას ასეთი უარის მიღება შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით.

2. **თავმჯდომარე ეკითხება თითოეულ განსასჯელს, ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ და, თუ ცნობს, – რაში. განსასჯელს უნდა განემარტოს, რომ იგი არ არის შეზღუდული წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ ბრალის აღიარებით ან უარყოფით, არ არის ვალდებული პასუხი გასცეს დასმულ კითხვას და რომ პასუხის გაცემაზე უარი არ შეიძლება მის საწინააღმდეგოდ იქნეს გამოყენებული. განსასჯელს უფლება აქვს დაასაბუთოს თავისი პასუხი ჩვენების ჩამოუყალიბებლად. განსასჯელის დუმილი ნიშნავს, რომ იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს.**

3. **თავმჯდომარე განსასჯელს ეკითხება, ცნობს თუ არა მისთვის წარდგენილ სამოქალაქო სარჩელს მთლიანად ან ნაწილობრივ. განსასჯელს უფლება აქვს დაასაბუთოს პასუხი. დუმილი მიჩნეულია სამოქალაქო სარჩელის არცნობად.**

4. **მხარეებს უფლება აქვთ განსასჯელს დაუსვან დამაზუსტებელი კითხვები.**

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ განსასჯელს უნდა განუმარტოს:

– განსასჯელისათვის წაყენებული ბრალდების არსი;

– განსასჯელის ქმედების კვალიფიკაცია;

– განსასჯელისათვის წაყენებული ბრალდებისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელი;

– წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის საფუძველი და ოდენობა.

2. თუ სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე განსასჯელია, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ ასეთი განმარტება უნდა მისცეს თითოეულ განსასჯელს.

3. განსასჯელს უფლება აქვს, უარი თქვას სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განმარტების მოსმენაზე.

4. როდესაც სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობს განსასჯელის კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განმარტების მოსმენაზე განსასჯელის უარის მიღება დასაშვებია მხოლოდ განსასჯელის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

5. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ განსასჯელს უნდა დაუსვას კითხვა, ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ.

6. თუ განსასჯელი თავს დამნაშავედ ცნობს, სასამართლოს ხდომის თავმჯდომარემ განსასჯელს უნდა დაუსვას კითხვა, თუ კონკრეტულად რაში ცნობს იგი თავს დამნაშავედ.

7. ამასთან, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ განსასჯელს უნდა განუმარტოს, რომ:

– განსასჯელი არ არის შეზღუდული წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ ბრალის აღიარებით (უარყოფით);

– განსასჯელი არ არის ვალდებული, დასმულ კითხვას პასუხი გასცეს;

– პასუხის გაცემაზე უარი არ შეიძლება განსასჯელის საწინააღმდეგოდ იქნეს გამოყენებული.

8. თუ სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე განსასჯელია, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ ასეთი კითხვა და განმარტება უნდა მისცეს თითოეულ განსასჯელს ცალ-ცალკე.

9. განსასჯელის მიერ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე პასუხის გაცემის შემთხვევაში განსასჯელს უფლება აქვს, დაასაბუთოს თავისი პასუხი ჩვენების ჩამოუყალიბებლად.

10. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით განსასჯელის დუმილი ნიშნავს იმას, რომ განსასჯელი თავს დამნაშავედ არ ცნობს.

11. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ განსასჯელს უნდა დაუსვას კითხვა, ცნობს თუ არა იგი მისთვის წარდგენილ სამოქალაქო სარჩელს.

12. თუ სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე განსასჯელია, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ ასეთი კითხვა უნდა მისცეს თითოეულ განსასჯელს ცალ-ცალკე.

13. განსასჯელის მიერ სამოქალაქო სარჩელის ცნობის შემთხვევაში უნდა დაზუსტდეს, იგი სამოქალაქო სარჩელს ცნობს მთლიანად, თუ – ნაწილობრივ.

14. განსასჯელის მიერ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე პასუხის გაცემის შემთხვევაში განსასჯელს უფლება აქვს, დაასაბუთოს თავისი პასუხი.

15. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით განსასჯელის დუმილი ნიშნავს იმას, რომ განსასჯელი სამოქალაქო სარჩელს არ ცნობს.

16. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მხარეს უფლება აქვს, განსასჯელს დაუსვას მხოლოდ დამაზუსტებელი კითხვა.

მუხლი 473. სასამართლო გამოძიების გაუქმების, შეკვეცის ან გაგრძელების საკითხის გადაწყვეტა

1. თუ განსასჯელმა სასამართლოს (მოსამართლის) წინაშე თავი დამნაშავედ ცნო და ეს აღიარება ნებაყოფლობითია, არ იწვევს მხარეთა დავასა და სასამართლოს ეჭვს, სასამართლო გამოძიება სასამართლო განჩინებით (დადგენილებით) შეიძლება არ ჩატარდეს ან შეიკვეცოს. განსასჯელის დაკითხვა ყველა შემთხვევაში სავალდებულოა.

2. სასამართლო (მოსამართლე), რომელიც განიხილავს განსასჯელის მიერ ბრალის აღიარებას, ვალდებულია მხარეთა მონაწილეობით დარწმუნდეს, რომ:

ა) განსასჯელს გაცნობიერებული აქვს ბრალის არსი და შედეგები;

ბ) განსასჯელს ჰქონდა საკმარისი დრო და საშუალება, მიეღო შესაბამისი სამართლებრივი დახმარება თავისი დამცველისაგან, თუ მას დამცველი ჰყავს;

გ) აღიარება ნებაყოფლობითია და ბრალდებულის (განსასჯელის) მიმართ არ ყოფილა მუქარა, დაშინება, იძულება ან სხვაგვარი ზეწოლა ან/და მოტყუება;

დ) აღიარება დადასტურებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი მასალებით, რომელთაც ეთანხმება განსასჯელი.

3. თუ საქმეში რამდენიმე განსასჯელია და თუნდაც ერთ მათგანს განსხვავებული აზრი აქვს სასამართლო გამოძიების გაუქმების ან შეკვეცის თაობაზე, მტკიცებულებათა გამოკვლევა ტარდება სრული მოცულობით ან იმ მოცულობით, რომელსაც ითხოვს ეს განსასჯელი.

4. სასამართლო გამოძიების გაუქმება ან შეკვეცა დაუშვებელია, თუ განსასჯელს არ შესრულებია 16 წელი, ფსიქიკური ნაკლი აქვს ან ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა, ასევე თუ საქმეში არის ორი ან მეტი განსასჯელი და თუნდაც ერთი მათგანი არ აღიარებს დანაშაულს.

5. (ამოღებულია).

6. განსასჯელის დაკითხვას იწყებს დამცველი, დაცვის მხარის წარმომადგენელი; შემდეგ მას დაკითხავენ პროცესის სხვა მონაწილენი, რომლებიც არ წარმოადგენენ ბრალდების მხარეს, შემდეგ ბრალმდებელი, ბრალდების მხარის წარმომადგენელი და პროცესის სხვა მონაწილეები, ბოლოს კი მოსამართლე. ამის შემდეგ დამცველს უფლება აქვს დამატებითი კითხვები დაუსვას განსასჯელს.

7. თუ განსასჯელმა აღიარა დანაშაული, მაგრამ დაკითხვისას განაცხადა ფაქტები, რომლებიც შემოწმებას მოითხოვს, სასამართლო გამოძიება უნდა გაგრძელდეს.

8. იმ განსასჯელის დაკითხვის შემდეგ, რომელმაც აღიარა დანაშაული, სასამართლო აცხადებს სასამართლო გამოძიების დამთავრებას და გადადის მხარეთა კამათის მოსმენაზე.

9. თუ სასამართლო გამოძიების დასაწყისში სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მისი სრული მოცულობით ჩატარების შესახებ, შემდგომ სასამართლო გამოძიების შეკვეცა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროკურორი და დაზარალებული უარს ამბობენ ბრალდებაზე.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2543 – სსმ I, 2006 წ., №1, მუხლი 9; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლო გამოძიების გაუქმებისა და შეკვეცის შესაძლებლობას.

2. სასამართლო გამოძიების შეკვეცა ან გაუქმება შესაძლებელია, თუ:

– განსასჯელი სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) წინაშე თავს ცნობს დამნაშავედ;

– განსასჯელის აღიარება ნებაყოფლობითია;

– განსასჯელის აღიარება არ იწვევს მხარეთა დავას;

– განსასჯელის აღიარება არ იწვევს სასამართლოს ეჭვს.

3. ამასთან, სასამართლო გამოძიების შეკვეცის ან გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ყველა ზემოაღნიშნული წინაპირობის ერთად არსებობა.

4. აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო), განსასჯელის მიერ ბრალის აღიარებასთან მიმართებით, ვალდებულია, მხარეთა მონაწილეობით დარწმუნდეს, რომ:

– განსასჯელს გაცნობიერებული აქვს ბრალის არსი და შესაბამისი შედეგები;

– განსასჯელს ჰქონდა საკმარისი დრო და საშუალება, მიეღო შესაბამისი სამართლებრივი დახმარება თავისი დამცველისაგან (თუ მას დამცველი ჰყავს);

– განსასჯელის აღიარება ნებაყოფლობითია და მის მიმართ არ ყოფილა:

ა) მუქარა;

ბ) დაშინება;

გ) იძულება;

დ) სხვაგვარი ზეწოლა;

ე) მოტყუება;

– განსასჯელის აღიარება დადასტურებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი მასალებით, რასაც განსასჯელი ეთანხმება.

5. გადაწყვეტილება სასამართლო გამოძიების შეკვეცის ან გაუქმების თაობაზე სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა მიიღოს დადგენილებით (განჩინებით).

6. თუ სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე განსასჯელია და თუნდაც ერთ განსასჯელს აქვს განსხვავებული აზრი სასამართლო გამოძიების გაუქმების ან შეკვეცის თაობაზე, მტკიცებულებების გამოკვლევა უნდა ჩატარდეს:

– ან სრული მოცულობით;

– ან იმ მოცულობით, რომელსაც ითხოვს ეს განსასჯელი.

7. სასამართლო გამოძიების გაუქმებისა და შეკვეცის ყველა წინა პირობის არსებობის მიუხედავად, სასამართლო გამოძიების შეკვეცა ან გაუქმება დაუშვებელია, თუ:

– განსასჯელს არ შესრულებია 16 წელი;

– განსასჯელს აქვს ფსიქიკური ნაკლი;

– განსასჯელს ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ვადით;

– განსასჯელს ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთა;

– სისხლის სამართლის საქმეში არის ორი (ორზე მეტი) განსასჯელი და თუნდაც ერთი განსასჯელი არ აღიარებს დანაშაულს.

8. სასამართლო გამოძიების შეკვეცის ან გაუქმების მიუხედავად, ყველა შემთხვევაში განსასჯელის დაკითხვა სავალდებულოა.

9. ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში განსასჯელის დაკითხვა ხდება საერთო წესისაგან განსხვავებული თანამიმდევრობით, კერძოდ, პროცესში მონაწილე პირებმა განსასჯელი უნდა დაკითხონ შემდეგი თანამიმდევრობით:

– დამცველი, დაცვის მხარის წარმომადგენელი;

– პროცესის სხვა მონაწილე, რომელიც არ წარმოადგენს ბრალდების მხარეს;

– ბრალმდებელი, ბრალდების მხარის წარმომადგენელი;
– პროცესის სხვა მონაწილე;
– მოსამართლე (მოსამართლეები);
– დამცველი.

10. განსასჯელის დაკითხვის შემდეგ სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ), როგორც წესი, სასამართლო გამოძიება დამთავრებულად უნდა გამოაცხადოს და უნდა გადავიდეს სასამართლო კამათზე.

11. იმ შემთხვევაში, თუ განსასჯელმა, დანაშაულის აღიარების მიუხედავად, დაკითხვისას განაცხადა ფაქტები, რომლებიც შემოწმებას მოითხოვს, სასამართლო გამოძიება უნდა გაგრძელდეს.

12. თუ სასამართლო გამოძიების დასაწყისში სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) მიიღო გადაწყვეტილება სასამართლო გამოძიების სრული მოცულობით ჩატარების შესახებ, სასამართლო გამოძიების შემდეგ შეკვეცა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროკურორმა და დაზარალებულმა უარი თქვეს ბრალდებაზე. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროკურორისა და დაზარალებულის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა საერთოდ სისხლის-სამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველია (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 474. მტკიცებულების გამოკვლევის თანამიმდევრობა

1. სასამართლო გამოძიების დროს იკვლევენ მტკიცებულებებს, რომლებიც:
ა) წარმოადგინა ბრალდების მხარემ – პროკურორმა, დაზარალებულმა, მისმა წარმომადგენელმა, სამოქალაქო მოსარჩელემ და მისმა წარმომადგენელმა;
ბ) წარმოადგინა დაცვის მხარემ – განსასჯელმა, მისმა დამცველმა, განსასჯელის კანონიერმა წარმომადგენელმა, სამოქალაქო მოპასუხემ და მისმა წარმომადგენელმა;
გ) გამოთხოვილია სასამართლოს მიერ მხარეთა ინიციატივით.
2. ჯერ იკვლევენ ბრალდების მხარის, შემდეგ – დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. ბრალდებისა და დაცვის მხარეები წარადგენენ მტკიცებულებებს ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი თანამიმდევრობით. ბრალდების ან დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევის რიგითობას განსაზღვრავენ პირები, რომლებმაც ისინი წარადგინეს.
3. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს დაცვის მხარე, შემდეგ – მოსამართლენი; დაცვის მხარის წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს ბრალდების მხარე, შემდეგ კი – მოსამართლენი.
4. სასამართლოს ინიციატივით გამოთხოვილ მტკიცებულებას ჯერ ბრალდების მხარე იკვლევს, შემდეგ – დაცვისა. მოსამართლენი ამ მტკიცებულებათა გამოკვლევაში ბოლოს იღებენ მონაწილეობას.

5. ჯვარედინი დაკითხვის შემთხვევაში ბოლოს კითხვების დასმის უფლება აქვს პირს, რომლის ინიციატივითაც არის გამოძახებული დასაკითხი.

1. სასამართლო გამოძიების დროს ჯერ გამოკვლეულ უნდა იქნეს მტკიცებულებები, რომლებიც წარადგინა ბრალდების მხარემ:

– პროკურორმა;

– დაზარალებულმა;

– დაზარალებულის წარმომადგენელმა;

– სამოქალაქო მოსარჩელემ;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელმა.

2. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ გამოკვლეულ უნდა იქნეს მტკიცებულებები, რომლებიც წარადგინა დაცვის მხარემ:

– განსასჯელმა;

– დამცველმა;

– განსასჯელის კანონიერმა წარმომადგენელმა;

– სამოქალაქო მოპასუხემ;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელმა.

3. აღნიშნულის შემდეგ გამოკვლეულ უნდა იქნეს ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოითხოვა სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) მხარეთა ინიციატივის საფუძველზე.

4. ამასთან, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის რიგითობა უნდა განსაზღვროს თვითონ ამ მტკიცებულებების წარმდგენმა პირმა.

5. მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში მონაწილეობენ მეორე მხარე და სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (მოსამართლეები).

6. პროცესში მონაწილე პირები ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს გამოიკვლევენ შემდეგი თანამიმდევრობით:

– ბრალდების მხარე;

– დაცვის მხარე;

– მოსამართლე (მოსამართლეები).

7. პროცესში მონაწილე პირები დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს გამოიკვლევენ შემდეგი თანამიმდევრობით:

– დაცვის მხარე;

– ბრალდების მხარე;

– მოსამართლე (მოსამართლეები).

8. პროცესში მონაწილე პირები სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) მეშვეობით გამოთხოვილ მტკიცებულებებს გამოიკვლევენ შემდეგი თანამიმდევრობით:

– ბრალდების მხარე;

– დაცვის მხარე;

– მოსამართლე (მოსამართლეები).

9. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯვარედინი დაკითხვის შემთხვევაში დაკითხვის ბოლოს კითხვების დასმის უფლება აქვს პირს, რომლის ინიციატივითაც არის გამოძახებული დასაკითხი პირი. მაგ.: ბრალდების მხარის მოწმის ჯვარედინი დაკითხვის შემთხვევაში მას ჯერ დაკითხავენ ბრალდების მხარის წარმომადგენლები, შემდეგ – დაცვის მხარის წარმომადგენლები, შემდეგ – მოსამართლე (მოსამართლეები), ბოლოს კი კითხვების დასმის უფლება აქვს ბრალდების მხარის წარმომადგენელს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 475-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 475. მტკიცებულების წარდგენა

1. **სასამართლო გამოძიება შედგება განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან (პირველი ეტაპი), აგრეთვე იმ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას და გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე (მეორე ეტაპი).**
2. **მტკიცებულებას ჯერ ბრალდების მხარე წარადგენს, შემდეგ – დაცვისა. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს შეიძლება დაცვის მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა ბრალდების მხარის თანხმობით. სასამართლო მტკიცებულებას არ წარადგენს, მაგრამ ხელს უწყობს მხარეებს მათს გამოთხოვაში.**
2[1]. **დაცვისა და ბრალდების მხარეები თავად უზრუნველყოფენ სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა წარმოდგენას. მტკიცებულების წარმოსადგენად სასამართლო მხარეებს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა. ამ ვადის განმავლობაში სასამართლო ატარებს სულ მცირე ერთ სასამართლო სხდომას. თუ აღნიშნულ ვადაში მხარეებმა ვერ უზრუნველყვეს მოწმის (მოწმეების) გამოცხადება, მოსამართლე უფლებამოსილია მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე განუსაზღვროს მას დამატებითი ვადა მტკიცებულების წარმოდგენისათვის და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიტანოს დადგენილება (განჩინება) მოწმის იძულებითი წარმოდგენის შესახებ. თუ მხარე კვლავ ვერ უზრუნველყოფს მტკიცებულების წარმოდგენას დანიშნულ ვადაში, სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით გამოიტანოს გადაწყვეტილება მტკიცებულების გამოქვეყნების თაობაზე.**
2[2]. **თუ მხარე არ შუამდგომლობს რომელიმე მოწმის დაკითხვას სასამართლოში, სასამართლოს მიერ ამ მოწმის საკუთარი ინიციატივით გამოძახება და დაკითხვა დაუშვებელია.**
3. **შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, ბრალდების ან დაცვის მხარე დაკითხავს მოწმეს, მოწინააღმდეგე მხარე კითხვებს უსვამს დაკითხულ მოწმეს (ჯვარედინი დაკითხვა) და მოწმის გამომძახებელი მხარე ისევ უსვამს მას კითხვებს (ხელახალი დაკითხვა).**
4. **ბრალდების მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულება, რომელიც მითითებულია საბრალდებო დასკვნის დანართში. თუ ახალი მტკიცებულება**

გამოვლინდა სასამართლო განხილვისას, სასამართლო აცხადებს შესვენებას იმ დროით, რომელიც საჭიროა დაცვისათვის ამ მტკიცებულების გასაცნობად. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში შეიძლება გამოცხადდეს შესვენება, რათა ამ მტკიცებულებას გაეცნოს ბრალდების მხარე. დაცვის მხარე მტკიცებულებებს (მათ შორის, მოწმის სახით დასაბარებელ პირთა სიას) სასამართლოში წარადგენს სასამართლო სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

5. თუ დამკითხავი განსასჯელს, დაზარალებულს ან მოწმეს უსვამს შეურაცხმყოფელ, მისახვედრ ან ისეთ კითხვებს, რომლებიც საქმეს არ ეხება, მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს განაცხადოს პროტესტი. სასამართლო აკმაყოფილებს ან უარყოფს პროტესტს. სასამართლოს უფლება აქვს ასეთი კითხვები თავისი ინიციატივითაც განარიდოს. კითხვის დასასმელად და დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად სასამართლო განსაზღვრავს გონივრულ ვადას.
6. მხარე თავად ირჩევს დაკითხვის მეთოდს: ჯერ თავისუფალი თხრობა, შემდეგ კითხვა-პასუხი, ან მხოლოდ კითხვა-პასუხი.
7. მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება დაისვას, განხილულ იქნეს და გადაწყდეს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისა და განხილვიდან ამოღების საკითხი. აღნიშნული შუამდგომლობები უნდა დადგეს ერთად სასამართლო გამოძიების სტადიაზე მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ.
8. (ამოღებულია).
9. დაცვის მტკიცებულებათა გამოკვლევის დამთავრებისთანავე სასამართლო აცხადებს, რომ გადადის იმ მტკიცებულებათა განხილვაზე, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას, შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. მტკიცებულებას წარადგენენ და იკვლევენ 474-475-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით. მხარეები განსჯის საგნად აქცევენ განსასჯელის ადრინდელ ნასამართლობას, მის სამსახურებრივ დახასიათებას, მონაცემებს ოჯახსა და სამსახურში მისი ქცევის, დამსახურების, ჯილდოების შესახებ და სხვა მონაცემებს.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სასამართლო გამოძიება შედგება:

– განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევისაგან;

– იმ მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევისაგან, რომლებიც:

ა) ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას;

ბ) გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე.

2. სასამართლო გამოძიებისას პირველად მტკიცებულებები უნდა წარადგინოს ბრალდების მხარემ.

3. ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ მტკიცებულებები უნდა წარადგინოს დაცვის მხარემ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 474-ე მუხლის კომენტარები).

4. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის დროს გამოკვლეულ იქნეს დაცვის მხარის მტკიცებულებები, თუმცა ამისათვის აუცილებელია ბრალდების მხარის თანხმობა.

5. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) მიერ მტკიცებულების წარდგენა დაუშვებელია, მაგრამ მან მხარეებს ხელი უნდა შეუწყოს მტკიცებულებების გამოთხოვაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 474-ე მუხლის კომენტარები).

6. სასამართლო გამოძიების მნიშვნელოვანი პრინციპი არის ის, რომ დაცვისა და ბრალდების მხარეებმა თვითონ უნდა უზრუნველყონ სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებების წარმოდგენა.

7. მტკიცებულებების წარმოსადგენად სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) მხარეებს უნდა განუსაზღვროს გონივრული ვადა (არა უმეტეს 10 დღისა). ამასთან, ამ ვადის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა ჩაატაროს, სულ მცირე, ერთი სასამართლო სხდომა.

8. ნიშანდობლივია ისიც, რომ თუ აღნიშნულ ვადაში მხარე ვერ უზრუნველყოფს მოწმის (მოწმეების) გამოცხადებას, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე განუსაზღვროს მას დამატებითი ვადა მტკიცებულების წარმოსადგენად.

9. საჭიროების შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წინა პირობების არსებობისას, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, გამოიტანოს დადგენილება (განჩინება) მოწმის იძულებითი წარმოდგენის (მოყვანის) შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე, 174-ე, 175-ე, 176-ე მუხლების კომენტარები).

10. თუ მხარე კვლავ ვერ უზრუნველყოფს დანიშნულ ვადაში მტკიცებულების წარმოდგენას, სასამართლო უფლებამოსილია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წინა პირობების არსებობისას, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება მტკიცებულების გამოქვეყნების თაობაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 477-ე, 481-ე, 484-ე მუხლების კომენტარები).

11. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ მხარე არ შუამდგომლობს სასამართლოში მოწმის დაკითხვას, დაუშვებელია, სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) ეს მოწმე საკუთარი ინიციატივით გამოიძახოს და დაკითხოს.

12. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, ბრალდების მხარემ (დაცვის მხარემ) უნდა დაკითხოს მოწმე, მოწინააღმდეგე მხარემ შესაძლებელია, კითხვები დაუსვას დაკითხულ მოწმეს (ჯვარედინი დაკითხვა), ხოლო მოწმის გამომძახებელი მხარე უფლებამოსილია, ისევ დაუსვას მოწმეს კითხვები (ხელახალი დაკითხვა).

13. ბრალდების მხარეს, როგორც წესი, უფლება აქვს, წარადგინოს ის მტკიცებულება, რომელიც მითითებულია საბრალდებო დასკვნის დანართში. ამასთან, თუ ახალი მტკიცებულება გამოვლინდა სასამართლო განხილვისას, სასამართლომ უნდა გამოაცხადოს შესვენება იმ დროით, რაც საჭიროა დაცვის მხარისათვის ამ მტკიცებულების გასაცნობად.

14. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში შეიძლება, გამოცხადდეს შესვენება, რათა ამ მტკიცებულებას გაეცნოს ბრალდების მხარე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დაცვის მხარემ მტკიცებულებები (მათ შორის – მოწმის სახით დასაბარებელ პირთა სია) სასამართლოში უნდა წარადგინოს სასამართლო სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 5 დღეში.

15. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს, განაცხადოს პროტესტი, თუ დამკითხავი პირი განსასჯელს, მოწმეს, დაზარალებულს უსვამს:

– შეურაცხმყოფელ კითხვას;

– მისახვედრ კითხვას;

– ისეთ კითხვას, რაც სისხლის სამართლის საქმეს არ ეხება.

16. მხარის მიერ პროტესტის განცხადების შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო), იმისდა მიხედვით, საფუძვლიანია თუ არა პროტესტი:

– ან აკმაყოფილებს პროტესტს;

– ან უარყოფს.

17. ამასთან, სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) უფლება აქვს, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კითხვა განარიდოს თავისი ინიციატივით (მხარის მიერ პროტესტის განცხადების გარეშე).

18. მხარეს უფლება აქვს, თვითონ აირჩიოს დაკითხვის მეთოდი.

19. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაკითხვა შეიძლება წარიმართოს:

– ან ჯერ თავისუფალი თხრობით, შემდეგ – კითხვა-პასუხით;

– ან მხოლოდ კითხვა-პასუხით.

20. აღსანიშნავია, რომ კითხვის დასასმელად სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა განსაზღვროს გონივრული ვადა.

21. დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა განსაზღვროს გონივრული ვადა.

22. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისა და განხილვიდან ამოღების საკითხი შეიძლება დაისვას, განხილულ იქნეს და გადაწყდეს:

– მხარის შუამდგომლობით;

– მოსამართლის (სასამართლოს) ინიციატივით.

23. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისა და განხილვიდან ამოღების შესახებ შუამდგომლობა წარდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ მტკიცებულებების გამოკვლევის დასრულების შემდეგ.

24. ამასთან, მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობისა და განხილვიდან ამოღების შესახებ ყველა შუამდგომლობა წარდგენილ უნდა იქნეს ერთად. მაგ.: თუ დაცვის მხარეს სურს, მოითხოვოს მოწმისა და დაზარალებულის ჩვენებების დაუშვებლად ცნობა და განხილვიდან ამოღება, მან აღნიშნული მოთხოვნა უნდა წარადგინოს ერთად, ანუ

ფაქტობრივად ერთი შუამდგომლობით მოითხოვოს როგორც მოწმის, ისე დაზარალებულის ჩვენებების დაუშვებლად ცნობა და განხილვიდან ამოღება.

25. დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევის დამთავრებისთანავე სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გამოაცხადოს, რომ იწყებს იმ მტკიცებულებების განხილვას, რომლებიც:

– ახასიათებს განსასჯელს;
– შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს;
– შეეხება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს.

26. ამ საკითხთან მიმართებით მხარეებმა განსჯის საგნად უნდა აქციონ:

– განსასჯელის ადრინდელი ნასამართლობა;
– განსასჯელის სამსახურებრივი დახასიათება;
– მონაცემები განსასჯელის ოჯახის შესახებ;
– მონაცემები სამსახურში განსასჯელის ქცევის შესახებ;
– მონაცემები განსასჯელის დამსახურების შესახებ;
– მონაცემები განსასჯელის ჯილდოების შესახებ;
– სხვა მონაცემები.

27. ამ სახის მტკიცებულებების წარდგენა და გამოკვლევა უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევის საერთო წესის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 474-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 476. განსასჯელის დაკითხვა

1. **თავმჯდომარე წინადადებას აძლევს განსასჯელს, მისცეს ჩვენება მისთვის წაყენებული ბრალდების გამო და საქმის სხვა გარემოებათა შესახებ. განსასჯელს განუმარტავენ, რომ მას უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება და ჩვენების მიცემაზე უარი არ შეიძლება გამოიყენონ მის საზიანოდ.**
2. **განსასჯელს დაკითხავენ პროცესის მონაწილენი შემდეგი თანამიმდევრობით: სახელმწიფო ბრალმდებელი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე და სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, მისი დამცველი, სხვა განსასჯელები და მათი დამცველები, ბოლოს კი სასამართლო.**
3. **განსასჯელს უფლება აქვს, თავმჯდომარის ნებართვით, მისცეს ჩვენება ყოველი მტკიცებულების გამოკვლევისას.**
4. **დაკითხვისას განსასჯელს უფლება აქვს ისარგებლოს წერილობითი შენიშვნებითა და დოკუმენტებით.**
5. **განსასჯელის მიერ მის ხელთ არსებული დოკუმენტების წაკითხვის შემდეგ ისინი გადაეცემა სასამართლოსა და მხარეებს მიმოხილვისა და საქმეზე დასართავად.**
6. **განსასჯელის დაკითხვისას მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ საქმეზე დართული ან მათ ხელთ არსებული საგანი ან დოკუმენტი და ამასთან დაკავშირებით განსასჯელს დაუსვან კითხვები.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ წინადადება უნდა მისცეს განსასჯელს, მისცეს ჩვენება:

– მისთვის წაყენებული ბრალდების გამო;

– სისხლის სამართლის საქმის სხვა გარემოებების შესახებ.

2. ამასთან, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ განსასჯელს უნდა განუმარტოს, რომ:

– მას უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება;

– ჩვენების მიცემაზე უარი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის საზიანოდ.

3. პროცესის მონაწილეებმა განსასჯელი უნდა დაკითხონ შემდეგი თანამიმდევრობით:

– სახელმწიფო ბრალმდებელი;

– დაზარალებული;

– დაზარალებულის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოსარჩელე;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოპასუხე;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი;

– ამ განსასჯელის დამცველი;

– სხვა განსასჯელი;

– სხვა განსასჯელის დამცველი;

– მოსამართლე (მოსამართლეები).

4. განსასჯელის დაკითხვისას მხარეს შეუძლია, წარადგინოს:

– სისხლის სამართლის საქმეზე დართული საგანი;

– სისხლის სამართლის საქმეზე დართული დოკუმენტი;

– მის ხელთ არსებული საგანი;

– მის ხელთ არსებული დოკუმენტი.

5. ამასთან, მხარეს უფლება აქვს, აღნიშნულთან დაკავშირებით განსასჯელს დაუსვას კითხვები.

6. განსასჯელს უფლება აქვს, ჩვენება მისცეს ყოველი მტკიცებულების გამოკვლევისას, თუმცა ამისათვის აუცილებელია სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვა.

7. განსასჯელის დაკითხვისას მას უფლება აქვს, ისარგებლოს:

– წერილობითი შენიშვნებით;

– დოკუმენტებით.

8. განსასჯელის მიერ მის ხელთ არსებული დოკუმენტის წაკითხვის შემდეგ ის გასაცნობად უნდა გადაეცეს:

– სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს);

– მხარეებს.

9. აღნიშნულის შემდეგ დოკუმენტი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

მუხლი 477. წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვის ან მისი მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობა

თუ განსასჯელი წინააღმდეგია, წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ მიცემული ჩვენების სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა და მისი ჩვენების ხმის ჩანაწერის საჯაროდ მოსმენა, ასევე მისი მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს წინასწარი გამოძიების დროს სისხლის სამართლის საქმისათვის დართული წერილობითი მტკიცებულებისა და საგამოძიებო მოქმედების ოქმის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვის საერთო წესს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის კომენტარები).

2. ამასთან, აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული წესია დადგენილი განსასჯელის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენების სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვასთან მიმართებით, კერძოდ: თუ განსასჯელი წინააღმდეგია, დაუშვებელია წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ მიცემული ჩვენების როგორც სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა და მისი ჩვენების ხმის ჩანაწერის საჯაროდ მოსმენა, ისე – მისი მტკიცებულებად გამოყენება. მაგ.: თუ განსასჯელი სასამართლო გამოძიებისას არ აღიარებს თავის მიერ დანაშაულის ჩადენას და იმავდროულად წინასწარი გამოძიების დროს მიცემული თავისი ჩვენების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნების წინააღმდეგია, დაუშვებელია წინასწარი გამოძიებისას მის მიერ მიცემული ჩვენების (გინდაც ეს ჩვენება იყოს აღიარებითი ხასიათის) სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა და შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას მისი მტკიცებულებად გამოყენება.

მუხლი 478. მოწმისათვის მის უფლება-მოვალეობათა განმარტება

1. მოწმის დაკითხვის წინ თავმჯდომარე რწმუნდება მის ვინაობაში და განუმარტავს:

ა) უფლებას უარი თქვას გამოვიდეს მოწმედ საკუთარი თავის ან თავისი ახლო ნათესავების წინააღმდეგ;

ბ) მოვალეობას თქვას სრული სიმართლე, რაც იცის ამ საქმესთან დაკავშირებით;

გ) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის, რაზედაც ჩამოერთმევა ხელწერილი.

2. ამ მოთხოვნების შესრულება აღინიშნება სასამართლო სხდომის ოქმში.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. სასამართლო გამოძიების სტადიაზე, მოწმის დაკითხვის წინ, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უნდა დარწმუნდეს მის ვინაობაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 296-ე მუხლის კომენტარები).

2. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ დაკითხვის წინ მოწმეს უნდა განუმარტოს:

– უფლება, უარი თქვას, გამოვიდეს მოწმედ საკუთარი თავის წინააღმდეგ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის კომენტარები);

– უფლება, უარი თქვას, გამოვიდეს მოწმედ თავისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე, 95-ე მუხლების კომენტარები);

– მოვალეობა, თქვას სრული სიმართლე, რაც იცის ამ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით;

– ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ;

– ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ;

– არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

3. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენებისა და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილების თაობაზე მოწმეს უნდა ჩამოერთვას ხელწერილი, რაც უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

4. სასამართლო სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ მოწმის ვინაობის დადგენისა და მისთვის შესაბამისი უფლება-მოვალეობების განმარტების თაობაზე.

მუხლი 479. მოწმის დაკითხვის წესი

1. **სრულწლოვანი მოწმე ჩვენების მიცემის წინ დებს ფიცს: ვფიცავ ვილაპარაკო სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა!**
2. **მოწმეთა დაკითხვა ხდება ცალ-ცალკე და დასაკითხ მოწმეთა დაუსწრებლად.**
3. **თავმჯდომარე არკვევს, თუ რა ურთიერთობა აქვს მოწმეს განსასჯელთან, დაზარალებულთან, სამოქალაქო მოსარჩელესთან, სამოქალაქო მოპასუხესა და საქმეში მონაწილე სხვა პირებთან, სთავაზობს მოწმეს თქვას ყველაფერი, რაც იცის ამ საქმესთან დაკავშირებით.**

4. მხარის შუამდგომლობით გამოძახებულ მოწმეს ჯერ დაკითხავს ამ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი, შემდეგ – ამ მხარის წარმომადგენელი სხვა პირები, ბოლოს კი – მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები და სასამართლო. ამის შემდეგ მოწმეს კითხვებს უსვამს მისი გამომძახებელი პირი.

5. სასამართლოს ინიციატივით გამოძახებულ მოწმეს ჯერ დაკითხავს სასამართლო, შემდეგ – დაცვისა, ბოლოს კი – ბრალდების მხარე.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას, სასამართლო გამოძიების სტადიაზე, მოწმეები უნდა დაიკითხონ ცალ-ცალკე. ამასთან, მოწმის დაკითხვისას სასამართლო სხდომის დარბაზში დასაკითხი მოწმე არ უნდა იმყოფებოდეს.

2. სრულწლოვანმა მოწმემ ჩვენების მიცემის წინ უნდა დადოს ფიცი.

3. მოწმის ფიცი არ არის რელიგიური ხასიათის და მისი ტექსტი ყველასათვის იდენტურია, კერძოდ: „ვფიცავ, ვილაპარაკო სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა!“

4. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გაარკვიოს, თუ რა ურთიერთობა აქვს მოწმეს:

– განსასჯელთან;

– დაზარალებულთან;

– სამოქალაქო მოსარჩელესთან;

– სამოქალაქო მოპასუხესთან;

– სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილე სხვა პირთან.

5. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა შესთავაზოს მოწმეს, თქვას ყველაფერი, რაც იცის ამ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

6. მხარის შუამდგომლობით გამოძახებული მოწმე უნდა დაიკითხოს შემდეგი თანამიმდევრობით:

– შუამდგომლობის აღმძვრელი პირი;

– ამ მხარის წარმომადგენელი სხვა პირი;

– მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი;

– სასამართლო;

– მისი გამომძახებელი პირი.

7. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) მიერ მხარეთა ინიციატივის საფუძველზე გამოძახებული მოწმე უნდა დაიკითხოს შემდეგი თანამიმდევრობით:

– მოსამართლე (მოსამართლეები);

– დაცვის მხარის წარმომადგენელი;

– ბრალდების მხარის წარმომადგენელი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 474-ე, 475-ე მუხლების კომენტარები).

8. აღსანიშნავია, რომ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მხარის შუამდგომლობითა და მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის

დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს. ამასთან, მოწმის იდენტიფიკაციას ახდენს დაკითხვის ადგილას შესაბამისი სასამართლო (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 305-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 480. არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა

1. **14 წელზე ნაკლები ასაკის მოწმეს არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. იგი პირობას დებს, რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავს, რის შესახებაც კეთდება ჩანაწერი სასამართლო სხდომის ოქმში.**
2. **16 წლამდე ასაკის მოწმე დაკითხვის დამთავრებისთანავე სასამართლო სხდომის დარბაზიდან უნდა გაიყვანონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სასამართლო, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, საჭიროდ მიიჩნევს დარბაზში მის დარჩენას.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას, სასამართლო გამოძიების სტადიაზე, 14 წელზე ნაკლები ასაკის მოწმე არ უნდა გაფრთხილდეს:

– ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ;

– ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ;

– არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

2. 14 წელზე ნაკლები ასაკის მოწმემ უნდა დადოს პირობა, რომ:

– იტყვის მხოლოდ სიმართლეს;

– არაფერს დამალავს.

3. სასამართლო სხდომის ოქმში აღნიშნულის შესახებ უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი.

4. 16 წლამდე ასაკის მოწმე დაკითხვის დამთავრებისთანავე სასამართლო სხდომის დარბაზიდან, როგორც წესი, უნდა გაიყვანონ.

5. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც 16 წლამდე ასაკის მოწმე დაკითხვის დამთავრების შემდეგ სასამართლო სხდომის დარბაზიდან შესაძლებელია, არ იქნეს გაყვანილი, თუ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) საჭიროდ მიიჩნევს სასამართლო სხდომის დარბაზში მის დარჩენას.

6. გადაწყვეტილება დაკითხვის დამთავრების შემდეგ 16 წლამდე ასაკის მოწმის სასამართლო სხდომის დარბაზში დარჩენის შესახებ სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) შეიძლება მიიღოს:

– მხარის შუამდგომლობით;
– თავისი ინიციატივით.

მუხლი 481. მოწმის ჩვენების წაკითხვა

1. **სასამართლო განხილვაზე წინასწარი გამოძიების დროს მოწმის მიერ მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა და მისი ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა დასაშვებია, თუ მოწმე გარდაიცვალა, იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ ან მისი ადგილსამყოფელი უცნობია, ან თუ ამოწურულია მისი სასამართლოში წარმოდგენის ყველა შესაძლებლობა. ჩვენების საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე მისი აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა დასაშვებია ასევე თვით მოწმის შუამდგომლობით ან მისი თანხმობით. მხოლოდ აღნიშნული ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განსასჯელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.**
2. **მოწმის ხმის ჩანაწერის საჯაროდ მოსმენა შესაძლებელია მხოლოდ მისი დაკითხვის ოქმის საჯაროდ წაკითხვის შემდეგ.**
2[1]. **თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ მოწმის ან დაზარალებულის მიმართ იყო იძულება, მუქარა, დაშინება ან მოსყიდვა, მხარეს უფლება აქვს სასამართლოს (მოსამართლის) წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ამ მუხლის პირველი ნაწილის დაუცველად მოწმის ან დაზარალებულის ჩვენების საჯაროდ წაკითხვის, ასევე მისი აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენის შესახებ. ამ შემთხვევაში მოცემული ჩვენება მიიჩნევა დასაშვებ მტკიცებულებად.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2359 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 375; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს წინასწარი გამოძიების დროს სისხლის სამართლის საქმისათვის დართული წერილობითი მტკიცებულებისა და საგამოძიებო მოქმედების ოქმის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვის საერთო წესს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის კომენტარები).

2. ამასთან, აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული წესია დადგენილი მოწმის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენების სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვასთან მიმართებით, კერძოდ: სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას, სასამართლო გამოძიების სტადიაზე, მოწმის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა და მისი ჩვენების აუდიოჩანაწერის ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა დასაშვებია, თუ:

– მოწმე გარდაიცვალა;

– მოწმე იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ;

– მოწმის ადგილსამყოფელი უცნობია;

– ამოწურულია მოწმის სასამართლოში წარმოდგენის ყველა შესაძლებლობა.

3. მოწმის გარდაცვალების ფაქტი უნდა დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებით. მაგ.: გარდაცვალების მოწმობით და ა.შ.

4. მოწმის საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნის ფაქტი უნდა დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებით. მაგ.: საზღვრის დაცვის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ცნობით და ა.შ.

5. მოწმის ადგილსამყოფლის დაუდგენლობის ფაქტი უნდა დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებით. მაგ.: გაგზავნილი უწყება დაბრუნდა კურიერის შესაბამისი აქტით, რომ მოწმე აღნიშნულ მისამართზე აღარ (არ) ცხოვრობს და მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ა.შ.

6. მოწმის სასამართლოში წარმოდგენის ყველა შესაძლებლობის ამოწურვის ფაქტი უნდა დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებით. მაგ.: გაგზავნილი უწყება დაბრუნდა კურიერის შესაბამისი აქტით, რომ მოწმე აღნიშნულ მისამართზე აღარ (არ) ცხოვრობს და მისი ადგილსამყოფელი უცნობია; მოწმის იძულებით მოყვანის შესახებ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) მიერ მიღებული დადგენილების (განჩინების) მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა მოწმის სასამართლოში წარმოდგენა და ა.შ.

7. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას, სასამართლო გამოძიების სტადიაზე, მოწმის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა და მისი ჩვენების აუდიოჩანაწერის ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა დასაშვებია აგრეთვე მოწმის:

– შუამდგომლობით (ანუ თავისი ინიციატივით);

– თანხმობით (ანუ სხვის ინიციატივაზე მისი დათანხმებით).

8. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 481-ე მუხლის შესაბამისად წაკითხული მოწმის მხოლოდ ეს ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განსასჯელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას. გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა (და არა – ერთი მტკიცებულება) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის კომენტარები).

9. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 481-ე მუხლის შესაბამისად წაკითხული მოწმის ჩვენება სხვა მტკიცებულებებთან ერთად შესაძლებელია, საფუძვლად დაედოს განსასჯელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, ანდა განსასჯელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას საფუძვლად დაედოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 481-ე მუხლის შესაბამისად წაკითხული მოწმეების ჩვენებების ერთობლიობა.

10. მოწმის ხმის ჩანაწერის საჯაროდ მოსმენა შესაძლებელია მხოლოდ მოწმის დაკითხვის ოქმის საჯაროდ წაკითხვის შემდეგ.

11. თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულება, რომ მოწმის, დაზარალებულის მიმართ იყო იძულება, მუქარა, დაშინება, მოსყიდვა, მხარეს უფლება აქვს, სისხლის სამართლის

საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) წინაშე დააყენოს შუამდგომლობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 481-ე მუხლის პირველი ნაწილის დაუცველად მოწმის, დაზარალებულის ჩვენების საჯაროდ წაკითხვის, აგრეთვე მისი აუდიოჩანაწერის ან ვიდეოჩანაწერის მოსმენის შესახებ. ამასთან, ამ შემთხვევაში მოცემული ჩვენება მიიჩნევა დასაშვებ მტკიცებულებად.

მუხლი 482. დაზარალებულის დაკითხვა

1. **დაზარალებულის დაკითხვა ხდება მოწმის დაკითხვის წესით.**
2. **დაზარალებულს, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას, ჯერ დაკითხავს ბრალდების მხარე, შემდეგ – დაცვისა; დაზარალებულს, რომელმაც უარი თქვა ბრალდების მხარდაჭერაზე, ჯერ დაკითხავს დაცვის მხარე, შემდეგ – ბრალდებისა, ბოლოს კი – სასამართლო.**

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას დაზარალებულის დაკითხვა უნდა მოხდეს მოწმის დაკითხვის წესის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 478-ე, 479-ე, 480-ე მუხლების კომენტარები).

2. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს დაზარალებულის დაკითხვის თანამიმდევრობის განსხვავებულ წესს, იმისდა მიხედვით, უჭერს თუ არა მხარს დაზარალებული ბრალდებას, კერძოდ:

ა) თუ დაზარალებული ბრალდებას მხარს უჭერს, ის უნდა დაიკითხოს შემდეგი თანამიმდევრობით:

– ბრალდების მხარე;

– დაცვის მხარე;

– მოსამართლე (მოსამართლეები);

ბ) თუ დაზარალებული ბრალდებას მხარს არ უჭერს, ის უნდა დაიკითხოს შემდეგი თანამიმდევრობით:

– დაცვის მხარე;

– ბრალდების მხარე;

– მოსამართლე (მოსამართლეები).

მუხლი 482[1]. ექსპერტის დაკითხვა მოწმის სახით

თუ მხარე შუამდგომლობს საქმეში მონაწილე ექსპერტის დაკითხვას, ექსპერტს სასამართლოში გამოიძახებენ და დაკითხავენ მოწმის სახით, წერილობით დასკვნაში მოყვანილი საკითხების თაობაზე.

(საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2543 – სსმ I, 2006 წ., №1, მუხლი 9; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ მხარე შუამდგომლობს სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე ექსპერტის დაკითხვას, ექსპერტის წერილობით დასკვნაში მოყვანილი საკითხების თაობაზე ექსპერტი სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოში უნდა გამოიძახონ და დაკითხონ მოწმის სახით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 478-ე, 479-ე, 480-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 483. ექსპერტიზა სასამართლოში

1. **სასამართლოში შეიძლება გამოიძახონ ექსპერტები, რომლებმაც ჩაატარეს ექსპერტიზა წინასწარი გამოძიებისას, ახალი ექსპერტები, ან ერთნიც და მეორენიც.**
2. **სასამართლოს უფლება არა აქვს უარი უთხრას მხარეს იმ ექსპერტის გამოძახებაზე, რომელიც ექსპერტიზას ატარებდა მისი დავალებით, თუ არ არსებობს საფუძველი აცილებისათვის. მხარეთა შეთანხმებით, სასამართლოს შეუძლია ექსპერტიზის ჩატარება დაავალოს იმ ექსპერტთა კომისიას, რომელთაგან ერთნი მოწვეულნი არიან ბრალდების, ხოლო მეორენი – დაცვის მხრიდან.**
3. **სასამართლოში ექსპერტიზა ტარდება 356-374-ე მუხლებით დადგენილი და ქვემოთ მოყვანილი წესებით.**
4. **მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით სასამართლოს გამოაქვს და სხდომაზე საჯაროდ კითხულობს განჩინებას (დადგენილებას) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. განჩინებაში (დადგენილებაში) მითითებული უნდა იყოს პირი ან საექსპერტო დაწესებულება, რომელსაც ევალება ექსპერტიზის ჩატარება. ამასთან, მხარეს უფლება აქვს აცილება მისცეს ექსპერტს, იშუამდგომლოს, რომ ექსპერტად შეიყვანონ მის მიერ მითითებული პირი, ექსპერტს დაუსვას დამატებითი კითხვა, თავად დაესწროს ექსპერტიზას. ექსპერტის აცილების შესახებ შუამდგომლობასა და განცხადებას სასამართლო განიხილავს 106-ე მუხლის წესების დაცვით.**
5. **ექსპერტი მონაწილეობს სასამართლო გამოძიებაში. მას უფლება აქვს ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებით კითხვა დაუსვას განსასჯელს, დაზარალებულს, მოწმეს, სხვა ექსპერტებს, მონაწილეობა მიიღოს დათვალიერებაში, ექსპერიმენტსა და სხვა საპროცესო მოქმედებაში დასკვნის შესადგენად საჭირო ინფორმაციის მისაღებად.**
6. **სასამართლო გამოძიების დროს სასამართლოსა და მხარეებს უფლება აქვთ დამატებითი კითხვები დაუსვან ექსპერტს.**
7. **ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის დამთავრების შემდეგ სასამართლო ექსპერტს გადასცემს თავის განჩინებას (დადგენილებას), რომელშიც საბოლოოდ არის ჩამოყალიბებული სასამართლოსა და მხარეების მიერ ექსპერტის წინაშე დასმულ საკითხთა ნუსხა. თუ საჭიროა ლაბორატორიული გამოკვლევა, სასამართლო სათანადო ობიექტს**

გადასცემს ექსპერტს (ექსპერტებს) და აძლევს მათ გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად საჭირო დროს.

8. **თუ სასამართლო გამოძიების მონაცემებმა ეჭვქვეშ ვერ დააყენეს წინასწარი გამოძიების დროს ექსპერტის მიერ შედგენილი დასკვნა, ექსპერტს უფლება აქვს დაიმოწმოს ადრე ჩატარებული გამოკვლევა და აღარ გაიმეოროს იგი. ამასთან, ის ვალდებულია თავის დასკვნაში პასუხი გასცეს მის წინაშე დასმულ ყველა საკითხს.**
9. **სასამართლო სხდომაზე ექსპერტი საჯაროდ კითხულობს თავის დასკვნას, რის შემდეგაც იგი შეიძლება დაკითხონ მხარეებმა და სასამართლომ ამ დასკვნის განსამარტავად და დასაზუსტებლად.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას შეიძლება, გამოძახებულ იქნეს:

– წინასწარი გამოძიებისას ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტი;

– ახალი ექსპერტი.

2. სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) უფლება არა აქვს, უარი უთხრას მხარეს იმ ექსპერტის გამოძახებაზე, რომელიც ექსპერტიზას ატარებდა მისი დავალებით, თუ არ არსებობს აცილების საფუძველი.

3. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) შეუძლია, ექსპერტიზის ჩატარება დაავალოს ექსპერტთა კომისიას, რომლის წევრებს (ექსპერტებს) მოიწვევენ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეები.

4. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ექსპერტიზის ჩატარების საერთო წესებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 483-ე მუხლით განსაზღვრული წესების შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 356-374-ე მუხლების კომენტარები).

5. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, დადგენილება (განჩინება) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოიტანოს:

– მხარის შუამდგომლობის საფუძველზე;

– საკუთარი ინიციატივით.

6. დადგენილება (განჩინება) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) სასამართლო სხდომაზე საჯაროდ უნდა წაიკითხოს.

7. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებაში (განჩინებაში) უნდა აღინიშნოს:

– ან პირი, რომელსაც ევალება ექსპერტიზის ჩატარება;

– ან საექსპერტო დაწესებულება, რომელსაც ევალება ექსპერტიზის ჩატარება.

8. მხარეს უფლება აქვს:

– აცილება მისცეს ექსპერტს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის კომენტარები);

– იშუამდგომლოს, რომ ექსპერტად დაინიშნოს თავის მიერ მითითებული პირი;

– დამატებითი კითხვა დაუსვას ექსპერტს;

– დაესწროს ექსპერტიზას.

9. ექსპერტი სასამართლო გამოძიებაში უნდა მონაწილეობდეს.

10. ექსპერტს უფლება აქვს:

– ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებით კითხვა დაუსვას:

ა) განსასჯელს;

ბ) დაზარალებულს;

გ) მოწმეს;

დ) სხვა ექსპერტს;

– დასკვნის შესადგენად საჭირო ინფორმაციის მისაღებად მონაწილეობდეს დათვალიერებაში;

– დასკვნის შესადგენად საჭირო ინფორმაციის მისაღებად მონაწილეობდეს ექსპერიმენტში;

– დასკვნის შესადგენად საჭირო ინფორმაციის მისაღებად მონაწილეობდეს სხვა საპროცესო მოქმედებაში.

11. სასამართლო გამოძიების დროს ექსპერტს დამატებითი კითხვები შეიძლება დაუსვან:

– მოსამართლემ (მოსამართლეებმა);

– მხარემ.

12. ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებული მტკიცებულებების გამოკვლევის დამთავრების შემდეგ სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) ექსპერტს უნდა გადასცეს დადგენილება (განჩინება) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, სადაც საბოლოოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოსა) და მხარეების მიერ ექსპერტის წინაშე დასმულ საკითხთა ნუსხა.

13. თუ საჭიროა ლაბორატორიული გამოკვლევა, სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) სათანადო ობიექტი უნდა გადასცეს ექსპერტს (ექსპერტებს). ამასთან, მოსამართლემ (სასამართლომ) ექსპერტს (ექსპერტებს) უნდა მისცეს საკმარისი დრო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად.

14. აღსანიშნავია, რომ, თუ სასამართლო გამოძიების მონაცემებმა ეჭვქვეშ ვერ დააყენა წინასწარი გამოძიების დროს ექსპერტის მიერ შედგენილი დასკვნა, ექსპერტს უფლება აქვს, დაიმოწმოს ადრე ჩატარებული გამოკვლევა და აღარ გაიმეოროს იგი. ამასთან, ექსპერტი ვალდებულია, თავის დასკვნაში პასუხი გასცეს მის წინაშე დასმულ ყველა საკითხს.

15. სასამართლო სხდომაზე ექსპერტმა დასკვნა საჯაროდ უნდა წაიკითხოს.

16. ექსპერტის მიერ სასამართლო სხდომაზე დასკვნის საჯაროდ წაკითხვის შემდეგ, ამ დასკვნის განმარტებისა და დაზუსტების მიზნით შესაძლებელია, ექსპერტი დაკითხონ:

– მხარემ;

– მოსამართლემ (მოსამართლეებმა).

მუხლი 484. წერილობითი მტკიცებულებებისა და საგამოძიებო მოქმედების ოქმის გამოკვლევა

1. **მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით, სასამართლო სხდომის მდივანი საჯაროდ კითხულობს წინასწარი გამოძიების დროს საქმისთვის დართულ წერილობით მტკიცებულებებსა და საგამოძიებო მოქმედების ოქმს. ამასთანავე, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე.**
2. **სასამართლოს მოთხოვნით წარდგენილ დოკუმენტებს სასამართლოს თავმჯდომარე საჯაროდ კითხულობს და აცნობს მათ მხარეებს, რომლებიც გამოთქვამენ თავიანთ აზრს ამ დოკუმენტების მნიშვნელობის შესახებ.**
3. **მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებს საჯაროდ კითხულობენ და ურთავენ საქმეს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს წინასწარი გამოძიების დროს სისხლის სამართლის საქმისათვის დართული წერილობითი მტკიცებულებისა და საგამოძიებო მოქმედების ოქმის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვის საერთო წესს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 477-ე, 481-ე მუხლების კომენტარები).

2. წინასწარი გამოძიების დროს სისხლის სამართლის საქმისთვის დართული წერილობითი მტკიცებულება და საგამოძიებო მოქმედების ოქმი სასამართლო სხდომის მდივანმა სასამართლო სხდომაზე საჯაროდ უნდა წაიკითხოს:

– მხარის შუამდგომლობის საფუძველზე;

– სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) ინიციატივით.

3. ამასთან, უნდა გაირკვეს ამ მტკიცებულების:

– მიღების ხერხის საკითხი;

– სანდოობის საკითხი;

– შესახებობის საკითხი;

– დასაშვებობის საკითხი.

4. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) მიერ გამოთხოვილი დოკუმენტი სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ საჯაროდ უნდა წაიკითხოს და გააცნოს მხარეებს.

5. ამასთან, მხარეს უფლება აქვს, გამოთქვას თავისი აზრი ამ დოკუმენტის მნიშვნელობის შესახებ.

6. მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტი საჯაროდ უნდა იქნეს წაკითხული და ის უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

მუხლი 485. დათვალიერება

1. **დათვალიერება ტარდება 333-339-ე მუხლებით დადგენილი და ქვემოთ მოყვანილი წესებით.**
2. **წინასწარი გამოძიების დროს საქმისთვის დართულ ნივთიერ მტკიცებულებებს, აგრეთვე უშუალოდ სასამართლო განხილვისას მხარეთა ან სხვა პირთა მიერ წარმოდგენილ საგანს სასამართლო ათვალიერებს სასამართლო სხდომის დარბაზში მხარეთა მონაწილეობით. დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს ექსპერტი, სპეციალისტი და მოწმე.**
3. **ადგილმდებარეობის, შენობის, ნაგებობის, სათავსოს, აგრეთვე ტრანსპორტისა და სხვა იმ ობიექტის დათვალიერებას, რომლის მოტანაც სასამართლო სხდომის დარბაზში შეუძლებელია, სასამართლო ატარებს ამ ობიექტის მდებარეობის ადგილზე ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ პირთა მონაწილეობით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას დათვალიერება უნდა ჩატარდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი დათვალიერების ჩატარების საერთო წესებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 485-ე მუხლით განსაზღვრული წესების შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 333-339-ე მუხლების კომენტარები).

2. სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) მხარეთა მონაწილეობით სასამართლო სხდომის დარბაზში უნდა დაათვალიეროს:

– წინასწარი გამოძიების დროს სისხლის სამართლის საქმისთვის დართული ნივთიერი მტკიცებულება;

– სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას მხარის მიერ წარმოდგენილი საგანი;

– სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სხვა პირის მიერ წარმოდგენილი საგანი.

3. დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) შეუძლია მიიწვიოს:

– ექსპერტი;

– სპეციალისტი;

– მოწმე.

4. სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ), საერთო წესების დაცვით, ადგილზე უნდა ჩაატაროს დათვალიერება:

– ადგილმდებარეობის;

– შენობის;

– ნაგებობის;
– სათავსის;
– ტრანსპორტის;
– იმ ობიექტის, რომლის მიტანაც სასამართლო სხდომის დარბაზში შეუძლებელია.

მუხლი 486. შემოწმება

1. შემოწმებას სასამართლო ატარებს 350-355-ე მუხლებით დადგენილი და ქვემოთ მოყვანილი წესებით.

2. შემოწმება, რომელიც საჭიროებს პირის გაშიშვლებას, ტარდება ცალკე ოთახში ექიმის ან სხვა სპეციალისტის მიერ. შემოწმების დამთავრების შემდეგ პროცესის მონაწილენი ადგენენ ოქმს, ხელს აწერენ მას, ბრუნდებიან სასამართლო სხდომის დარბაზში და ექიმი ან სხვა სპეციალისტი მხარეების, შესამოწმებელი პირისა და სასამართლო სხდომის დამსწრეთა წინაშე საჯაროდ კითხულობს ოქმს, რომელიც დაერთვის საქმეს.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას შემოწმება უნდა ჩატარდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი შემოწმების ჩატარების საერთო წესებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 486-ე მუხლით განსაზღვრული წესების შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 350-355-ე მუხლების კომენტარები).

2. შემოწმებას, რომელიც საჭიროებს პირის გაშიშვლებას, ცალკე ოთახში ატარებს:
– ან ექიმი;
– ან სხვა სპეციალისტი.

3. შემოწმების დამთავრების შემდეგ პროცესის მონაწილეებმა ოქმი უნდა შეადგინონ და მას ხელი უნდა მოაწერონ.

4. სასამართლო სხდომის დარბაზში დაბრუნების შემდეგ ექიმმა (სხვა სპეციალისტმა) საჯაროდ უნდა წაიკითხოს ოქმი:
– მხარეების წინაშე;
– შესამოწმებელი პირის წინაშე;
– სასამართლო სხდომის დამსწრე პირების წინაშე.

5. აღნიშნული ოქმი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

მუხლი 487. ამოსაცნობად წარდგენა, ექსპერიმენტის ჩატარება და ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის

1. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება, ამოსაცნობად წარდგენა და ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის ხდება 340-343-ე, 347-349-ე და 375-384-ე

მუხლებით დადგენილი წესებით. მხარეებს უფლება აქვთ აღნიშნულ სასამართლო მოქმედებებთან დაკავშირებით აღძრან შუამდგომლობა და გამოთქვან შენიშვნები.

2. **სასამართლოს უფლება აქვს გამომძიებელს ან პროკურორს მოსთხოვოს ხელშეწყობა ამ მოქმედებათა შესრულებისათვის.**
3. **ამოსაცნობად წარდგენის, ექსპერიმენტის ჩატარებისა და ნიმუშის აღების მიმდინარეობა და შედეგები, აგრეთვე ამ სასამართლო მოქმედებათა ჩატარებასთან დაკავშირებით აღძრული შუამდგომლობა, გამოთქმული შენიშვნები და განმარტებები უნდა დაფიქსირდეს სასამართლო სხდომის ოქმში.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას საგამოძიებო ექსპერიმენტი უნდა ჩატარდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების საერთო წესების შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 340-ე, 341-ე, 342-ე, 343-ე მუხლების კომენტარები).

2. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას ამოსაცნობად წარდგენა უნდა ჩატარდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების საერთო წესების შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347-ე, 348-ე, 349-ე მუხლების კომენტარები).

3. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშის აღების საერთო წესების შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375-384-ე მუხლების კომენტარები).

4. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების, ამოსაცნობად წარდგენისა და საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშის აღებასთან დაკავშირებით მხარეს უფლება აქვს:

– აღძრას შუამდგომლობა;

– გამოთქვას შენიშვნა.

5. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, ამ მოქმედებათა შესრულებისათვის ხელშეწყობა მოსთხოვოს:

– გამომძიებელს;

– პროკურორს.

6. სასამართლო სხდომის ოქმში უნდა დაფიქსირდეს საგამოძიებო ექსპერიმენტის, ამოსაცნობად წარდგენისა და საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშის აღების:

– მიმდინარეობა;

– შედეგები;

– მათ ჩატარებასთან დაკავშირებით:

ა) აღძრული შუამდგომლობა;

ბ) გამოთქმული შენიშვნები;

გ) გამოთქმული განმარტებები.

მუხლი 488. სასამართლო გამოძიების დამთავრება

მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე სასამართლო გამოძიებას დამთავრებულად აცხადებს.

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. მტკიცებულების გამოკვლევის, მტკიცებულების (მტკიცებულებების) დაუშვებლად ცნობისა და განხილვიდან ამოღების შესახებ შუამდგომლობის გადაწყვეტის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ სასამართლო გამოძიება დამთავრებულად უნდა გამოაცხადოს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 475-ე მუხლის კომენტარები).

თავი LIV
სასამართლო კამათი და განსასჯელის საბოლოო სიტყვა

მუხლი 489. სასამართლო კამათის დაწყების გამოცხადება

1. **სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ იწყება სასამართლო კამათი.**
2. **თუ სასამართლო კამათში მონაწილეობის უფლების მქონე რომელიმე პირი შუამდგომლობს, რომ მას მისცენ დრო გამოსვლისათვის მოსამზადებლად, თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას და აღნიშნავს მის ხანგრძლივობას.**

1. სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გამოაცხადოს, რომ იწყება სასამართლო კამათი.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს იმის შესაძლებლობას, რომ სასამართლო კამათში მონაწილეობის უფლების მქონე პირმა იშუამდგომლოს სასამართლო კამათში გამოსასვლელად მომზადებისათვის მისთვის დროის მიცემის თაობაზე. ამასთან, თუ სასამართლო კამათში მონაწილეობის უფლების მქონე პირი შუამდგომლობს, რომ მას მისცენ დრო გამოსვლისათვის მოსამზადებლად, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ:

– უნდა გამოაცხადოს შესვენება (და არა გადადოს სისხლის სამართლის საქმის განხილვა);

– თვითონ უნდა აღნიშნოს (დაადგინოს) შესვენების ხანგრძლივობა.

მუხლი 490. მხარეთა კამათი

1. **სასამართლო კამათი მოიცავს გამოსვლებს, რომლებსაც რიგითობით წარმოთქვამენ სახელმწიფო ან კერძო ბრალმდებელი (დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი), სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი, დამცველი ან განსასჯელი (თუ დამცველი სასამართლო განხილვაში არ მონაწილეობს), სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი.**
2. **თუ ბრალდებას მხარს უჭერს რამდენიმე ბრალმდებელი, ანდა საქმეში მონაწილეობს რამდენიმე დაზარალებული, დამცველი, სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი, განსასჯელი, მაშინ თავმჯდომარე მათ აძლევს წინადადებასა და დროს, რათა შეათანხმონ გამოსვლათა რიგითობა. თუ აღნიშნული პირები ვერ შეთანხმდებიან, ტარდება კენჭისყრა.**

3. **კამათისას მხარეებს უფლება აქვთ გამოთქვანან აზრი განსასჯელის დამნაშავედ ცნობის ან უდანაშაულობის, ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელისა და განაჩენში გადასაწყვეტ სხვა საკითხების შესახებ.**
4. **კამათის მონაწილეებს უფლება არა აქვთ თავიანთ გამოსვლებში დაიმოწმონ მტკიცებულება, რომელიც არ გამოკვლეულა სასამართლოზე.**
5. **სასამართლო (მოსამართლე) მხარეს კამათში გამოსვლისას განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო კამათისას მხარეებმა საკამათო სიტყვა უნდა წარმოთქვან შემდეგი თანამიმდევრობით:

– სახელმწიფო ბრალმდებელი ან კერძო ბრალმდებელი (დაზარალებული ან დაზარალებულის წარმომადგენელი);

– სამოქალაქო მოსარჩელე ან სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი;

– დამცველი ან განსასჯელი (ამასთან, აღსანიშნავია, რომ განსასჯელი უფლებამოსილია, გამოვიდეს სასამართლო კამათში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო განხილვაში დამცველი არ მონაწილეობს);

– სამოქალაქო მოპასუხე ან სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი.

2. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ გამოსვლათა რიგითობის შესათანხმებლად მხარეებს უნდა მისცეს წინადადება და დრო, თუ სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობს რამდენიმე:

– სახელმწიფო ბრალმდებელი;

– დაზარალებული ან დაზარალებულის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოსარჩელე ან სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი;

– დამცველი;

– განსასჯელი;

– სამოქალაქო მოპასუხე ან სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი.

3. თუ აღნიშნული პირები გამოსვლათა რიგითობაზე ვერ შეთანხმდებიან, უნდა ჩატარდეს კენჭისყრა.

4. სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) მხარეს სასამართლო კამათში გამოსვლისას უნდა განუსაზღვროს გონივრული ვადა.

5. სასამართლო კამათისას მხარეს უფლება აქვს, გამოთქვას აზრი:

– განსასჯელის დამნაშავედ ცნობის (უდანაშაულობის) შესახებ;

– ქმედების კვალიფიკაციის შესახებ;

– სასჯელის შესახებ;

– განაჩენში გადასაწყვეტი სხვა საკითხის შესახებ.

6. სასამართლო კამათის მონაწილეს უფლება არა აქვს, თავის გამოსვლაში დაიმოწმოს ის მტკიცებულება, რომელიც სასამართლო განხილვისას არ გამოკვლეულა.

მუხლი 491. რეპლიკა

მას შემდეგ, რაც სასამართლო კამათის ყველა მონაწილე გამოვა სიტყვით, თითოეულ მათგანს უფლება აქვს კიდევ ერთხელ, სასამართლოს მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში, მოკლედ გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი ან შენიშვნა გამოსვლაში ნათქვამის თაობაზე, ამ კოდექსის 490-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული თანამიმდევრობით.

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სასამართლო კამათისას მხარეების მიერ საკამათო სიტყვით გამოსვლის შემდეგ მხარეს უფლება აქვს, კიდევ ერთხელ, მოკლედ გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი (შენიშვნა) გამოსვლაში ნათქვამის თაობაზე (ანუ ისარგებლოს რეპლიკის უფლებით).

2. მხარეებმა რეპლიკა უნდა წარმოთქვან შემდეგი თანამიმდევრობით:

– სახელმწიფო ბრალმდებელი ან კერძო ბრალმდებელი (დაზარალებული ან დაზარალებულის წარმომადგენელი);

– სამოქალაქო მოსარჩელე ან სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი;

– დამცველი ან განსასჯელი (ამასთან, აღსანიშნავია, რომ განსასჯელი უფლებამოსილია, გამოვიდეს სასამართლო კამათში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო განხილვაში დამცველი არ მონაწილეობს);

– სამოქალაქო მოპასუხე ან სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი.

3. სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) მხარეს რეპლიკისათვის უნდა განუსაზღვროს გონივრული ვადა.

მუხლი 492. განსასჯელის საბოლოო სიტყვა

1. **სასამართლო კამათის დამთავრების შემდეგ განსასჯელს ეძლევა საბოლოო სიტყვა. ამ დროს განსასჯელისათვის კითხვის დასმა დაუშვებელია.**
2. **განსასჯელს უფლება აქვს საბოლოო სიტყვაში უარყოს ბრალდება, დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა ან ნაკლები ბრალი, ახსნას ჩადენილის მოტივები და გამოთქვას აზრი განაჩენში გადასაწყვეტ ყველა საკითხზე.**
3. **სასამართლოს უფლება არა აქვს დაადგინოს განსასჯელის საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა, მაგრამ თავმჯდომარეს შეუძლია გააჩეროს განსასჯელი, თუ ის ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან.**

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სასამართლო კამათის დამთავრების შემდეგ განსასჯელს უნდა მიეცეს საბოლოო სიტყვის წარმოთქმის უფლება.

2. საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას განსასჯელს უფლება აქვს:

– უარყოს ბრალდება;

– დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა;

– დაამტკიცოს თავისი ნაკლები ბრალი;

– ახსნას ჩადენილის მოტივები;

– გამოთქვას აზრი განაჩენში გადასაწყვეტ ყველა საკითხზე.

3. სასამართლოს უფლება არა აქვს, დაადგინოს განსასჯელის საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა, მაგრამ თუ განსასჯელი ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, გააჩეროს განსასჯელი.

4. განსასჯელის მიერ საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას მისთვის კითხვის დასმა დაუშვებელია.

მუხლი 493. (ამოღებულია)

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

მუხლი 494. სასამართლოს გასვლა სათათბირო ოთახში

განსასჯელის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ სასამართლო (მოსამართლე) გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად.

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. განსასჯელის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) უნდა გავიდეს სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად.

თავი LV
განაჩენის დადგენა

მუხლი 495. განაჩენის დადგენა საქართველოს სახელით

განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით.

1. განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით. ამასთან, როგორც წესი, განაჩენის სათაურშივე უნდა იყოს მითითებული, რომ იგი დადგენილია საქართველოს სახელით.

მუხლი 496. განაჩენის კანონიერება, დასაბუთებულობა და სამართლიანობა

1. **სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.**
2. **სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს.**
3. **სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.**
4. **განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება დამნაშავის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.**

1. სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს:
– კანონიერი;
– დასაბუთებული;
– სამართლიანი.

2. განაჩენი კანონიერია, თუ მისი დადგენისას (გამოტანისას) დაცულია საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტების, სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, ასევე სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნები, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს.

3. განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ (განხილულ) უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცე-

ბულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. განაჩენის დასაბუთებულობაში იგულისხმება, რომ გარკვეული უნდა იყოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება და განაჩენი უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, გამოკვლეულ იქნა სასამართლო სხდომაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები).

4. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს, რაშიც იგულისხმება სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნის დასაბუთება მტკიცებულებებსა და ასევე შესაბამის ნორმატიულ აქტზე მითითებით.

5. განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება დამნაშავის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. განსასჯელის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 565-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 497. მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება

1. **სასამართლოს მიერ საქმის კოლეგიურად განხილვის შემდეგ განაჩენი დგინდება სათათბირო ოთახში, სადაც შეიძლება იყვნენ მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლენი და ტექნიკური თანამშრომელი, რომელიც აკეთებს ჩანაწერს.**
2. **საქმის ერთპიროვნულად განხილვისას მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი ამ მიზნით სპეციალურად მოწყობილ და დაცულ ოთახში.**
3. **განაჩენის დადგენისას სასამართლოს ან მოსამართლეს შეუძლია შესვენება, აგრეთვე დასვენება უქმე დღეებში.**
4. **განაჩენის დადგენის დროს დაუშვებელია საქმესთან დაკავშირებით სხვა პირებთან რაიმე ურთიერთობა, აგრეთვე ტელეფონით ან სხვა გზით თათბირი განაჩენში გადასაწყვეტ საკითხებზე.**
5. **მოსამართლესა და ტექნიკურ თანამშრომელს უფლება არა აქვთ გაახმაურონ მოსამართლეთა თათბირის დროს გამოთქმული მოსაზრებანი.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სისხლის სამართლის საქმის ერთპიროვნულად განხილვისას მოსამართლეს, როგორც წესი, განაჩენი გამოაქვს ამ მიზნით სპეციალურად მოწყობილ და დაცულ ოთახში.

2. სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის კოლეგიურად განხილვის შემდეგ განაჩენი დგინდება სათათბირო ოთახში.

3. სათათბირო ოთახში (სხვა ოთახში), სადაც მოსამართლეს (სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას) გამოაქვს განაჩენი, შეიძლება დაშვებულ იქნეს ტექნიკური მუ-

შაკი (მაგ.: მბეჭდავი), რომელმაც მოსამართლის (სასამართლოს) დავალებით უნდა გააკეთოს ჩანაწერი (ტექნიკურად უნდა გააფორმოს მოსამართლის (სასამართლოს) გადაწყვეტილება).

4. განაჩენის დადგენისას მოსამართლეს (მოსამართლეებს) შეუძლია შესვენება, აგრეთვე დასვენება უქმე დღეებში. ამასთან, განაჩენის დადგენის დროს დაუშვებელია სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მოსამართლის (მოსამართლეების) სხვა პირთან ურთიერთობა ნებისმიერი ფორმით (პირადი, სატელეფონო და ა.შ.).

5. მოსამართლეს, ტექნიკურ თანამშრომელს უფლება არა აქვთ, გაახმაურონ მოსამართლეთა თათბირის დროს გამოთქმული მოსაზრებები. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე არ შეიძლება მოწმედ გამოიძახონ და დაკითხონ იმ გარემოების შესახებ, რომელიც წარმოადგენს მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოებას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 498. განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები

1. განაჩენის დადგენისას სასამართლო თანამიმდევრობით წყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) ჩაიდინა თუ არა განსასჯელმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

ბ) არის თუ არა განსასჯელის ქმედება მართლსაწინააღმდეგო;

გ) შეერაცხება თუ არა განსასჯელს ბრალად ჩადენილი ქმედება;

დ) უნდა დაისაჯოს თუ არა განსასჯელი მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის;

ე) რა სასჯელი უნდა დაენიშნოს განსასჯელს და რა ზომით;

ვ) უნდა მოიხადოს თუ არა განსასჯელმა დანიშნული სასჯელი;

ზ) (ამოღებულია);

თ) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სამოქალაქო სარჩელი, ვის სასარგებლოდ და რა ოდენობით;

ი) გასაუქმებელია თუ არა სამოქალაქო სარჩელის ან/და ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები;

კ) სამოქალაქო სარჩელის ან/და ქონების ჩამორთმევის საკითხს;

ლ) როგორი იქნება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი;

მ) საჭიროა თუ არა გაუქმდეს, შეიცვალოს ან შეირჩეს აღკვეთის ღონისძიება;

ნ) ვის უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯები და რა ოდენობით;

ო) დამნაშავედ მიჩნეული პირის მიმართ უნდა გამოიყენონ თუ არა იძულებითი მკურნალობა.

2. გამამართლებელი განაჩენის დადგენისას სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას გამართლებულისათვის გამოძიების ორგანოების, პროკურატურისა თუ სასამართლოს უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

3. რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში პირის მსჯავრდებისას სასამართლო წყვეტს ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მითითებულ საკითხებს თითოეული დანაშაულის მიხედვით ცალ-ცალკე და მთლიანად.

4. დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე განსასჯელის მსჯავრდებისას ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველი განსასჯელის მიმართ ცალ-ცალკე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2620 – სსმ I, 2006 წ., №4, მუხლი 40; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. განაჩენის გამოტანისას უტყუარად უნდა იყოს დადგენილი მტკიცების საგნის ყველა გარემოება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები).

2. განაჩენის დადგენისას მოსამართლემ (სასამართლომ) თანამიმდევრობით უნდა გადაწყვიტოს შემდეგი საკითხები:

– ჩაიდინა თუ არა განსასჯელმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

– არის თუ არა განსასჯელის ქმედება მართლსაწინააღმდეგო;

– შეერაცხება თუ არა განსასჯელს ბრალად ჩადენილი ქმედება;

– უნდა დაისაჯოს თუ არა განსასჯელი მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის;

– რა სასჯელი უნდა დაენიშნოს განსასჯელს;

– რა ზომით უნდა დაენიშნოს სასჯელი განსასჯელს;

– უნდა მოიხადოს თუ არა განსასჯელმა დანიშნული სასჯელი;

– უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სამოქალაქო სარჩელი;

– ვის სასარგებლოდ უნდა დაკმაყოფილდეს სამოქალაქო სარჩელი;

– რა ოდენობით უნდა დაკმაყოფილდეს სამოქალაქო სარჩელი;

– გასაუქმებელია თუ არა სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები;

– გასაუქმებელია თუ არა ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები;

– ქონების ჩამორთმევის საკითხი;

– ნივთიერ მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხი;

– აღკვეთის ღონისძიების საკითხი;

– ვის უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯები;

– რა ოდენობით უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯები;

– დამნაშავედ მიჩნეული პირის მიმართ უნდა გამოიყენონ თუ არა იძულებითი მკურნალობა.

3. რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში პირის მსჯავრდებისას მოსამართლემ (სასამართლომ) ზემოაღნიშნული საკითხები უნდა გადაწყვიტოს თითოეული დანაშაულის მიხედვით ცალ-ცალკე და მთლიანად.

4. დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე განსასჯელის მსჯავრდებისას ზემოაღნიშნული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველი განსასჯელის მიმართ ცალ-ცალკე.

5. გამამართლებელი განაჩენის დადგენისას მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გამართლებულისათვის გამოძიების ორგანოების, პროკურატურისა თუ სასამართლოს უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-229-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 499. განსასჯელის შეურაცხაობის საკითხის განხილვა

1. **თუ წინასწარი გამოძიების ან სასამართლო განხილვის დროს წამოიჭრა საკითხი ბრალდებულის შერაცხადობის ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ მისი ფსიქიკურად დაავადების შესახებ, რის გამოც დაინიშნა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, სასამართლო ვალდებულია განაჩენის დადგენისას კიდევ ერთხელ განიხილოს ეს საკითხი.**
2. **თუ დადგინდა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას განსასჯელი შეურაცხად მდგომარეობაში იყო ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაავადდა ფსიქიკურად, სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს განჩინება (დადგენილება) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახით იძულებითი მკურნალობის გამოყენების შესახებ.**

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. თუ დადგინდა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილია შეურაცხის მიერ, ან პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა, სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 660-679-ე მუხლებით გათვალისწინებული სპეციალური წესების დაცვით და მოსამართლეს (სასამართლოს) უფლება აქვს, გამოიტანოს დადგენილება (განჩინება) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახით იძულებითი მკურნალობის გამოყენების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 660-679-ე მუხლების კომენტარები).

2. თუ წინასწარი გამოძიების (სასამართლო განხილვის) დროს წამოიჭრა საკითხი ბრალდებულის (განსასჯელის) შერაცხადობის ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ მისი ფსიქიკურად დაავადების შესახებ, რის გამოც დაინიშნა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, სასამართლო ვალდებულია, განაჩენის დადგენისას კიდევ ერთხელ განიხილოს ეს საკითხი, ანუ, თუ არსებობდა ეჭვი შერაცხადობის საკითხზე და დანიშნული იყო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, მიუხედავად იმისა, რომ ვერ დადგინდა პირის შეურაცხაობა დანაშაულის ჩადენისას, ან მისი ფსიქიკური დაავადება დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია, განაჩენის დადგენისას კიდევ ერთხელ განიხილოს ეს საკითხი.

მუხლი 500. მოსამართლეთა თათბირისა და საქმის ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი

1. **საქმის კოლეგიურად განხილვისას განაჩენის დადგენას წინ უძღვის მოსამართლეთა თათბირი.**
2. **თავმჯდომარე მოსამართლეთა გადასაწყვეტ საკითხებს სვამს 498-ე მუხლში მითითებული თანამიმდევრობით. იმავე თანამიმდევრობით წყვეტს ამ საკითხებს მოსამართლე, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს.**
3. **ყოველ საკითხზე თითოეულმა მოსამართლემ უნდა გასცეს დადებითი ან უარყოფითი პასუხი. არც ერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს.**
4. **საკითხები წყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. გადაწყვეტილება სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ მოსამართლეებმა შეიძლება მიიღონ მხოლოდ ერთხმად.**
5. **498-ე მუხლში აღნიშნულ თითოეულ საკითხზე პირველად კენჭს უყრიან მოსამართლის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ყველაზე სასიკეთოა განსასჯელისათვის. თუ დანაშაულის ჩადენაში განსასჯელის გამართლება მოითხოვა ერთმა მოსამართლემ, ხოლო ორ სხვა მოსამართლეს სხვადასხვა აზრი აქვს ამ დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ, მოსამართლის ხმა განსასჯელის გასამართლებლად დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უერთდება იმ მოსამართლის ხმას, რომლის გადაწყვეტილებაც განსასჯელისათვის ყველაზე სასიკეთოა.**
6. **მოსამართლეს (მოსამართლეებს), რომელსაც განსხვავებული აზრი აქვს, უფლება აქვს იგი წერილობით ჩამოაყალიბოს განაჩენის გამოცხადების მომენტიდან 7 დღე-ღამის განმავლობაში. განსხვავებულ აზრს წარუდგენენ თავმჯდომარეს და ურთავენ საქმეს.**
7. **მხარეებს უნდა მიეცეთ საშუალება გაეცნონ განსხვავებულ აზრს.**

1. სისხლის სამართლის საქმის ერთპიროვნულად განხილვის შემთხვევაში მოსამართლე თანმიმდევრობით წყვეტს ყველა იმ საკითხს, რაც უნდა გადაწყდეს განაჩენის დადგენისას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 498-ე მუხლის კომენტარები).

2. სისხლის სამართლის საქმის კოლეგიურად განხილვისას განაჩენის დადგენას წინ უძღვის მოსამართლეთა თათბირი, რაშიც იგულისხმება:

– სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის თავმჯდომარემ განაჩენის დადგენისას გადასაწყვეტი საკითხები კენჭისყრაზე უნდა დააყენოს ცალ-ცალკე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 498-ე მუხლში მითითებული თანამიმდევრობით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 498-ე მუხლის კომენტარები);

– ყოველ საკითხზე თითოეულმა მოსამართლემ უნდა გასცეს:

ა) ან დადებითი პასუხი;

ბ) ან უარყოფითი პასუხი;

– არც ერთ მოსამართლეს უფლება არა აქვს, თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან;

– სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ ხმა უნდა მისცეს ბოლოს;

– საკითხები წყდება, როგორც წესი, ხმათა უბრალო უმრავლესობით. გამონაკლისს წარმოადგენს გადაწყვეტილება სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ, რომელიც მოსამართლეებმა შეიძლება მიიღონ მხოლოდ ერთხმად;

– თითოეულ საკითხზე პირველად კენჭი უნდა ეყაროს მოსამართლის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ყველაზე სასიკეთოა განსასჯელისათვის;

– თუ დანაშაულის ჩადენაში განსასჯელის გამართლება მოითხოვა ერთმა მოსამართლემ, ხოლო ორ სხვა მოსამართლეს სხვადასხვა აზრი აქვს ამ დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ, მოსამართლის ხმა განსასჯელის გასამართლებლად დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უერთდება იმ მოსამართლის ხმას, რომლის გადაწყვეტილებაც განსასჯელისათვის ყველაზე სასიკეთოა. მაგ.: პირს ბრალი ედება ყაჩაღობის ჩადენაში, ერთი მოსამართლე ითხოვს გამართლებას, ხოლო მეორე მოსამართლე მიიჩნევს, რომ ჩადენილია ძარცვა და ითხოვს სასჯელის სახით სამი წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას, მესამე მოსამართლე კი მიიჩნევს, რომ ჩადენილია ყაჩაღობა და ითხოვს სასჯელის სახით ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას. ასეთ შემთხვევაში დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ პირმა ჩაიდინა ძარცვა და სასჯელის სახით უნდა დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით.

3. მოსამართლეს, რომელსაც განსხვავებული აზრი აქვს, უფლება აქვს, იგი წერილობით ჩამოაყალიბოს განაჩენის გამოცხადების მომენტიდან 7 დღე-ღამის განმავლობაში, ანუ განსხვავებული აზრის წერილობით ჩამოყალიბება მოსამართლის უფლებაა და არა – ვალდებულება.

4. წერილობით ჩამოყალიბებული განსხვავებული აზრი უნდა წარედგინოს სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს და უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

5. მხარეს უფლება აქვს, გაეცნოს განსხვავებულ აზრს. შესაბამისად, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, განსხვავებული აზრის გაცნობით უზრუნველყოს მხარე (მხარის მიერ ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 501. სისხლის სამართლის საქმის გაგზავნა დამატებითი გამოძიებისათვის

თუ პროკურორი შუამდგომლობს განსასჯელისათვის უფრო მძიმე ბრალდების წარდგენას, მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიებისათვის გაგზავნის თაობაზე და საქმეს უბრუნებს პროკურორს.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ.,

№18(25), მუხლი 75; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) არ არის უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით, ან პროკურორის გარდა სხვა პირის შუამდგომლობის საფუძველზე გააგზავნოს სისხლის სამართლის საქმე დამატებითი გამოძიებისათვის.

2. თუ პროკურორი შუამდგომლობს განსასჯელისათვის უფრო მძიმე ბრალდების წარდგენას, სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გამოიტანოს დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიებისათვის გაგზავნის თაობაზე და სისხლის სამართლის საქმე უნდა დაუბრუნოს პროკურორს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის კომენტარები).

3. ზემოაღნიშნული პირობების არსებობისას სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია (და არა – უფლებამოსილი), გამოიტანოს დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიებისათვის გაგზავნის თაობაზე.

მუხლი 502. განაჩენის სახეები

1. **სასამართლოს განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი.**
2. **განაჩენი შეიძლება იყოს ზოგი ბრალდების მიმართ გამამტყუნებელი, ხოლო სხვა ბრალდების მიმართ – გამამართლებელი.**

1. სასამართლოს განაჩენი თავისი შინაარსით (ანუ პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის შესახებ სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნის შესაბამისად) შეიძლება იყოს:

– გამამტყუნებელი;

– გამამართლებელი.

2. თუ ერთი განაჩენით სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას რამდენიმე პირის მიმართ, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, განაჩენი შეიძლება იყოს ზოგიერთი პირის მიმართ გამამართლებელი, ხოლო ზოგიერთი პირის მიმართ – გამამტყუნებელი.

3. თუ ერთი განაჩენით სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ბრალდების რამდენიმე ეპიზოდთან დაკავშირებით, განაჩენი შეიძლება იყოს ზოგი ბრალდების მიმართ გამამტყუნებელი, ხოლო ზოგი ბრალდების მიმართ – გამამართლებელი.

მუხლი 503. გამამტყუნებელი განაჩენი

1. **გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ.**
2. **გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე.**
3. **გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გამოიტანონ:**

ა) **მოსახდელი სასჯელის დანიშვნით;**

ბ) **სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით;**

გ) **სასჯელის დაუნიშნავად.**

4. **მოსახდელი სასჯელის დანიშვნით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს სასჯელის სახე, ზომა და სასჯელის მოხდის ვადის დაწყება. პირის დაკავებისა და წინასწარ პატიმრობაში, აგრეთვე სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო ითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში.**
5. **სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გამოცემულია აქტი ამნისტიის შესახებ, რომელიც ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.**
6. **სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად, თუ მისი გამოტანის მომენტისათვის:**

ა) **ამოიწურა ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;**

ბ) **განსასჯელი გარდაიცვალა.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. გამამტყუნებელია განაჩენი, რომელიც შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ.

2. გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი უნდა დადგინდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განსასჯელის სასარგებლოდ. ეჭვის განსასჯელის სასარგებლოდ გადაწყვეტის საკითხის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ეჭვი განსასჯელის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს არა მისი (ეჭვის) წარმოშობისთანავე, არამედ მას შემდეგ, რაც ამოიწურება ეჭვის დადასტურების (გამორიცხვის) ყველა შესაძლებლობა, ანუ ეჭვი ვერ გამოირიც-

ხება (ვერ დადასტურდება) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის კომენტარები).

3. გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს:

– მოსახდელი სასჯელის დანიშვნით;

– სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით;

– სასჯელის დაუნიშნავად.

4. მოსახდელი სასჯელის დანიშვნით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს:

– სასჯელის სახე;

– სასჯელის ზომა;

– სასჯელის მოხდის ვადის დაწყება.

5. აღნიშნული საკითხები განაჩენში უნდა მიეთითოს გარკვევით, არ უნდა იწვევდეს ორაზროვნებასა და არაერთგვაროვანი განმარტების შესაძლებლობას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 509-ე მუხლის კომენტარები).

6. პირის დაკავების, წინასწარ პატიმრობაში (მათ შორის, ამ ბრალდებასთან დაკავშირებით ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უცხო სახელმწიფოში პატიმრობაში), აგრეთვე სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო ითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის კომენტარები).

7. სასამართლომ უნდა დაადგინოს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გამოცემულია აქტი ამნისტიის შესახებ, რომელიც მსჯავრდებულს ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

8. სასამართლომ უნდა დაადგინოს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად, თუ მისი გამოტანის მომენტისათვის:

– ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა;

– განსასჯელი გარდაიცვალა.

მუხლი 504. გამამართლებელი განაჩენი

1. გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს განსასჯელის სრულ უდანაშაულობას მისთვის წაყენებულ ბრალდებაში.

2. გამამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს გამართლებულის სახელის გამტეხ ფორმულირებებს.

3. გამამართლებელი განაჩენის საფუძველია:

ა) განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

ბ) განსასჯელის ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო;

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი №333 – სსმ I, 2000 წ., №20, მუხლი 51)

1. გამამართლებელია განაჩენი, რომელიც შეიცავს დასკვნას განსასჯელის სრული უდანაშაულობის შესახებ მისთვის წაყენებულ ბრალდებაში.

2. გამამართლებელი განაჩენის საფუძველია:

– განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

– განსასჯელის ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო.

3. გამამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს გამართლებულის სახელის გამტეხ ფორმულირებებს, ანუ განაჩენში არ უნდა იყოს ისეთი დასკვნა, რომ განსასჯელი იმიტომ გამართლდა, რომ მთლიანად ვერ გაბათილდა ეჭვი, ან ბოლომდე ვერ დადასტურდა მისი ბრალი და ა.შ.

4. სასამართლოს მიერ ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა არ ნიშნავს განსასჯელის გამართლებას. მაგ.: საბრალდებო დასკვნით ბრალდებულის ქმედება დაკვალიფიცირებული იყო როგორც ყაჩაღობა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განსასჯელის მიერ ჩადენილია არა ყაჩაღობა, არამედ – ძარცვა. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ ძარცვის ჩადენისათვის (ანუ დგინდება გამამტყუნებელი განაჩენი და არა განაჩენი ყაჩაღობის ჩადენის ბრალდების ეპიზოდში მისი გამართლების შესახებ).

მუხლი 505. სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა განაჩენის დადგენისას

1. განაჩენის დადგენისას სასამართლო აკმაყოფილებს წარდგენილ სარჩელს მთლიანად ან ნაწილობრივ, ან უარყოფს მას, ანდა საერთოდ არ განიხილავს.

2. სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებისას სასამართლოს უფლება აქვს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე მიიღოს ზომები სარჩელის უზრუნველსაყოფად, თუ ისინი მანამდე მიღებული არ ყოფილა.

1. განაჩენის დადგენისას, სათანადო საფუძვლების არსებობისას და მათზე მითითებით, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო):

– აკმაყოფილებს წარდგენილ სამოქალაქო სარჩელს მთლიანად;

– აკმაყოფილებს წარდგენილ სამოქალაქო სარჩელს ნაწილობრივ;

– უარს ამბობს სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებაზე;

– არ განიხილავს სამოქალაქო სარჩელს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-43-ე მუხლების კომენტარები).

2. სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებისას სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) უფლება აქვს, სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენის აღსრულებამდე მიიღოს ზომები სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად, თუ ისინი მანამდე მიღებული არ ყოფილა.

მუხლი 506. განაჩენის შედგენა

1. განაჩენი იწერება სამართალწარმოების ენაზე ცხადი და გასაგები ფრაზებით.

2. განაჩენი უნდა დაიწეროს ხელით ან დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. მას ხელი უნდა მოაწეროს ყველა მოსამართლემ, განსხვავებული აზრის მქონეთა გარდა.

3. განაჩენში შეტანილი შესწორება განაჩენის გამოცხადებამდე წინასწარ უნდა შეათანხმოს და ხელმოწერით დაადასტუროს ყველა მოსამართლემ.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. განაჩენი ყველა შემთხვევაში უნდა შედგეს სისხლის სამართლის პროცესის ენაზე.
2. განაჩენი უნდა შედგეს (დაიწეროს) ნათლად და გასაგებად.
3. განაჩენი შეიძლება:
– დაიწეროს ხელით;
– დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალების გამოყენებით.
4. განაჩენს ხელი უნდა მოაწეროს, როგორც წესი, ყველა მოსამართლემ.
5. განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე განაჩენს ხელს არ აწერს.
6. თუ სათათბირო ოთახში განაჩენის დადგენის შემდეგ, მის გამოცხადებამდე, მასში შეტანილ იქნა შესწორება, იგი განაჩენის გამოცხადებამდე წინასწარ უნდა შეათანხმოს და ხელის მოწერით დაადასტუროს ყველა მოსამართლემ.

მუხლი 507. განაჩენის შესავალი ნაწილი

განაჩენის შესავალ ნაწილში აღინიშნება:

ა) განაჩენი დადგენილია საქართველოს სახელით;

ბ) განაჩენის დადგენის დრო და ადგილი;

გ) განაჩენის დამდგენი სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, ბრალმდებელი, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, დამცველი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები;

დ) განსასჯელის სახელი და გვარი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, განათლება, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ცნობები;

ე) სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც განსასჯელი მისცეს სამართალში.

(საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. განაჩენი შედგება:
– შესავალი ნაწილისაგან;
– აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილისაგან;

– სარეზოლუციო ნაწილისაგან.

2. განაჩენის შესავალ ნაწილში უნდა აღინიშნოს:

– განაჩენის დადგენა საქართველოს სახელით;

– განაჩენის დადგენის დრო;

– განაჩენის დადგენის ადგილი;

– განაჩენის დამდგენი სასამართლოს სახელწოდება;

– განაჩენის დამდგენი სასამართლოს შემადგენლობა;

– სასამართლო სხდომის მდივანი;

– სახელმწიფო ბრალმდებელი;

– დაზარალებული;

– დაზარალებულის წარმომადგენელი;

– დამცველი;

– სამოქალაქო მოსარჩელე;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოპასუხე;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი;

– განსასჯელის:

ა) სახელი, გვარი;

ბ) დაბადების წელი, თვე, რიცხვი;

გ) დაბადების ადგილი;

დ) ოჯახური მდგომარეობა;

ე) სამუშაო ადგილი;

ვ) თანამდებობა;

ზ) განათლება;

თ) ნასამართლობა;

– სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ცნობები;

– სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც განსასჯელს ბრალი დაედო საბრალდებო დასკვნით.

მუხლი 508. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

1. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დამტკიცებულად ცნო. ამასთან, მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი და შედეგი. განაჩენში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო სხვა. აღნიშნული უნდა იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებანი, ხოლო თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლოდაა მიჩნეული, ან დანაშაულს

არასწორი კვალიფიკაცია აქვს მიცემული, – ბრალდების შეცვლის საფუძველი და მოტივები.

2. **სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს აგრეთვე სასჯელის სახე და ზომა, პირობითი მსჯავრის გამოყენება, ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ უდაბლეს ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა და უფრო მსუბუქ სასჯელზე გადასვლა, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილება ან უარყოფა, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიების გამოყენება.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დამტკიცებულად ცნო.

2. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს:

– ქმედების ჩადენის ადგილი;
– ქმედების ჩადენის დრო;
– ქმედების ჩადენის ხერხი;
– ბრალის ფორმა;
– დანაშაულის მოტივი;
– დანაშაულის მიზანი;
– დანაშაულის შედეგი.

3. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს საბრალდებო დასკვნაში ან პროკურორის მიერ სასამართლო კამათის დროს მითითებული ქმედების საკანონმდებლო ფორმულირება, ასევე მოკლედ უნდა მიეთითოს დაცვის მხარის მიერ სასამართლო კამათის დროს გამოთქმული მოსაზრება და შემდეგ უნდა აღიწეროს ის ქმედება, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო.

4. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში უნდა მიეთითოს მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს ესა თუ ის დასკვნა. მტკიცებულებებზე მითითება არ გულისხმობს არც სასამართლოს მიერ განაჩენში გამოთქმული მოსაზრების დამადასტურებლად გამოყენებული მტკიცებულების შინაარსის მთლიანად გადმოწერას განაჩენში და არც მხოლოდ ამ მტკიცებულების დასახელებაზე მითითებას. მტკიცებულებაზე მითითება უნდა იყოს არაორაზროვანი და ზუსტად უნდა იყოს შესაძლებელი როგორც იმის გარკვევა, თუ რომელ მტკიცებულებაზე უთითებს სასამართლო, ასევე ისიც, თუ რა გარემოებას გულისხმობს სასამართლო დადგენილად ამ მტკიცებულებაზე მითითებით. მაგ.: თუ მოწმე რამდენჯერმეა დაკითხული, ან ერთსა და იმავე საკითხზე რამდენიმე ექსპერტიზაა ჩატარებული, სასამართლომ ზუსტად უნდა მიუთითოს, თუ მოწმის რომელ ჩვენებას ან ექსპერტიზის რომელ დასკვნას იყენებს მტკიცებულებად. ამასთან, აუცილებელი არ არის სასამართლომ განაჩენში გადმოწეროს ჩვენების ან ექსპერტის დასკვნის შინაარსი, საკმარისია

მიეთითოს – მაგ.: „მოწმე X-ის მიერ სასამართლო გამოძიებისას მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ შემთხვევა მოხდა ოც საათზე“, ან „წინასწარი გამოძიების ეტაპზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითა და სასამართლო გამოძიების დროს ექსპერტ Y-ის დაკითხვით დადგენილია, რომ დაზარალებულს მიყენებული აქვს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება“ და ა.შ.

5. თუ სასამართლო განაჩენის დადგენისას უარყოფს ერთ მტკიცებულებას და იყენებს მეორეს, სასამართლო ვალდებულია, დაასაბუთოს მოტივი, რომლის მიხედვითაც მიიღო ერთი და უარყო სხვა მტკიცებულება, ანუ სასამართლო უფლებამოსილია, გაიზიაროს ესა თუ ის მტკიცებულება და არ გაიზიაროს სხვა, მაგრამ სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს, რატომ იზიარებს (არ იზიარებს) ამა თუ იმ მტკიცებულებას.

6. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან/და დამამძიმებელი გარემოებები, ხოლო თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლოდაა მიჩნეული, ან სასამართლო ცვლის საბრალდებო დასკვნის ან პროკურორის მიერ სასამართლო კამათის დროს დადგენილად მიჩნეული ქმედების კვალიფიკაციას – ბრალდების შეცვლის საფუძველი და მოტივები.

7. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში დასაბუთებული უნდა იყოს, აგრეთვე:

– სასჯელის სახე;

– სასჯელის ზომა;

– პირობითი მსჯავრის გამოყენება;

– ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ უდაბლეს ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა;

– ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქ სასჯელზე გადასვლა;

– სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილება (უარყოფა);

– სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიების გამოყენება.

მუხლი 509. გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი

1. გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება:

ა) განსასჯელის სახელი და გვარი;

ბ) გადაწყვეტილება ჩადენილ დანაშაულში განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ;

გ) სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლის მიხედვითაც განსასჯელი მიჩნეულია დამნაშავედ;

დ) იმ სასჯელის სახე და ზომა, რომელიც განსასჯელს დაენიშნა ყოველი დანაშაულისათვის, მოსახდელი სასჯელის საბოლოო ზომა;

ე) გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა, თუ გამოყენებულია პირობითი მსჯავრი;

ვ) გადაწყვეტილება სასჯელის ვადაში დაკავების, დაპატიმრების, აგრეთვე სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დროის ჩათვლის შესახებ;

ზ) გადაწყვეტილება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ;
თ) მსჯავრდებულისათვის განაჩენის აღსრულების გადავადების ხანგრძლივობა და მისთვის დაკისრებული მოვალეობები;
ი) სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა;
კ) ნივთმტკიცების საკითხის გადაწყვეტა;
ლ) გადაწყვეტილება მსჯავრდებულისათვის სახელმწიფო ჯილდოს, სამხედრო, საპატიო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ;
მ) განაჩენის გასაჩივრების უფლება;
ნ) სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა;
ო) ქონების ჩამორთმევის საკითხის გადაწყვეტა.

2. თუ განსასჯელს წაყენებული ჰქონდა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, რომელ ბრალდებაში გაამართლეს განსასჯელი და რომელში დასდეს მსჯავრი.

3. სასჯელის მოხდისაგან განსასჯელის განთავისუფლების შემთხვევაში ეს უნდა აღინიშნოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში.

4. ყველა შემთხვევაში განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ განაჩენის აღსრულებისას არ წარმოიშვას რაიმე ეჭვი სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2620 – სსმ I, 2006 წ., №4, მუხლი 40; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს ნათლად და გასაგებად. არ უნდა იყოს ორაზროვანი და არ უნდა წარმოშვას რაიმე ეჭვი სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.

2. გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში უნდა აღინიშნოს:

– განსასჯელის სახელი, გვარი, მამის სახელი, სხვა მონაცემები, რაც საკმარისი იქნება პირის იდენტიფიკაციისათვის;

– გადაწყვეტილება ჩადენილ დანაშაულში განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ;

– სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, მუხლის ნაწილი, მუხლის ნაწილის ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც განსასჯელი მიჩნეულ იქნა დამნაშავედ;

– იმ სასჯელის სახე, რომელიც განსასჯელს დაენიშნა ყოველი დანაშაულისათვის;

– იმ სასჯელის ზომა, რომელიც განსასჯელს დაენიშნა ყოველი დანაშაულისათვის;

– მოსახდელი სასჯელის საბოლოო ზომა;

– გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა, თუ გამოყენებულია პირობითი მსჯავრი;

– გადაწყვეტილება სასჯელის ვადაში დაკავების, დაპატიმრების, სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დროის ჩათვლის შესახებ და სასჯელის მოხდის დაწყების ზუსტი დროს მითითება;

– გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ;

– მსჯავრდებულისათვის განაჩენის აღსრულების გადავადების ხანგრძლივობა და მასზე დაკისრებული მოვალეობები;

– სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა;

– ნივთმტკიცების საკითხის გადაწყვეტა;

– გადაწყვეტილება მსჯავრდებულისათვის სახელმწიფო ჯილდოს ჩამორთმევის შესახებ;

– გადაწყვეტილება მსჯავრდებულისათვის სამხედრო წოდების ჩამორთმევის შესახებ;

– გადაწყვეტილება მსჯავრდებულისათვის საპატიო წოდების ჩამორთმევის შესახებ;

– გადაწყვეტილება მსჯავრდებულისათვის სპეციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ;

– განაჩენის გასაჩივრების უფლება;

– სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა;

– ქონების ჩამორთმევის საკითხის გადაწყვეტა.

3. თუ განსასჯელს წაყენებული ჰქონდა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა მიეთითოს, რომელ ბრალდებაში გაამართლეს განსასჯელი და რომელში დასდეს მსჯავრი.

4. თუ სასამართლო მსჯავრდებულს უნიშნავს სასჯელს, მაგრამ ათავისუფლებს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ეს უნდა აღინიშნოს.

მუხლი 510. გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება: ბრალდების არსი, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს; სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს სასამართლოს დასკვნას განსასჯელის უდანაშაულობის შესახებ; მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო არასარწმუნოდ ან არასაკმარისად მტკიცებულებას, რომელსაც ემყარებოდა განსასჯელის მიმართ წაყენებული ბრალდება, ანდა რატომ მიიჩნევს სასამართლო, რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა, ან რომ განსასჯელის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული; სამოქალაქო სარჩელის მიმართ გადაწყვეტილების მოტივები.

(საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს:

– ბრალდების არსი, რომლითაც პირს ბრალი დაედო საბრალდებო დასკვნით ან პროკურორის მიერ სასამართლო კამათის დროს;

– სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს სასამართლოს დასკვნას განსასჯელის უდანაშაულობის შესახებ;

– მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო არასარწმუნოდ მტკიცებულებას, რომელსაც ემყარებოდა განსასჯელის მიმართ წაყენებული ბრალდება;

– მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო არასაკმარისად მტკიცებულებას, რომელსაც ემყარებოდა განსასჯელის მიმართ წაყენებული ბრალდება;

– მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო, რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა;

– მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო, რომ განსასჯელის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული;

– სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება და მისი მოტივები (დასაბუთება) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 508-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 511. გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი

გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება:

ა) განსასჯელის სახელი და გვარი;

ბ) გადაწყვეტილება განსასჯელის უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების შესახებ;

გ) გადაწყვეტილება განსასჯელისათვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ, ხოლო თუ იგი პატიმარია, – გადაწყვეტილება სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისი დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ;

დ) გადაწყვეტილება წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების შესახებ, თუ სარჩელი არ დაკმაყოფილებულა;

ე) გადაწყვეტილება ქონების ჩამორთმევის შესახებ, თუ არის ამის აუცილებლობა ამ კოდექსის შესაბამისად;

ვ) გადაწყვეტილება ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების შესახებ, თუ ასეთი ღონისძიებები განხორციელდა;

ზ) გამართლებულის უფლება, აუნაზღაურდეს მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანი ამ კოდექსის 219-ე-228-ე მუხლებით დადგენილი წესით;

თ) განაჩენის გასაჩივრების უფლება;

ი) რა ვადაში და სად შეიძლება გასაჩივრდეს განაჩენი.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2620 – სსმ I, 2006 წ., №4, მუხლი 40)

1. გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს ნათლად და გასაგებად.

2. გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში უნდა აღინიშნოს:

– განსასჯელის სახელი, გვარი, მამის სახელი, სხვა მონაცემები, რაც საკმარისი იქნება პირის იდენტიფიკაციისათვის;

– გადაწყვეტილება განსასჯელის უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების შესახებ;

– გადაწყვეტილება განსასჯელისათვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ, ხოლო თუ იგი პატიმარია — გადაწყვეტილება მისი განთავისუფლების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 513-ე, 602-ე მუხლების კომენტარები);

– გადაწყვეტილება წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების შესახებ, თუ სამოქალაქო სარჩელი არ დაკმაყოფილებულა;

– გადაწყვეტილება ქონების ჩამორთმევის შესახებ, თუ არის ამის აუცილებლობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად;

– გადაწყვეტილება ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების შესახებ, თუ ასეთი ღონისძიებები განხორციელდა;

– გამართლებულის უფლება, აუნაზღაურდეს მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-228-ე მუხლების კომენტარები);

– განაჩენის გასაჩივრების უფლება, წესი და ვადა.

მუხლი 512. განაჩენის გამოცხადება

1. **გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სასამართლო (მოსამართლე) ბრუნდება სასამართლო სხდომის დარბაზში და თავმჯდომარე ან რომელიმე მოსამართლე აცხადებს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს.**
2. **სასამართლო სხდომის დარბაზში ყველა დამსწრე, მათ შორის, სასამართლოს შემადგენლობა, განაჩენს ფეხზე ამდგარი ისმენს.**
3. **თუ განაჩენი დაწერილია იმ ენაზე, რომელიც განსასჯელმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის, განაჩენის გამოცხადებისთანავე ან სინქრონიულად ის უნდა წაიკითხოს თარჯიმანმა განსასჯელის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე.**
4. **თავმჯდომარე განსასჯელსა და პროცესის სხვა მონაწილეებს განუმარტავს განაჩენის გასაჩივრების წესსა და ვადებს. განსასჯელს განუმარტავენ აგრეთვე შეწყალების შესახებ შუამდგომლობის უფლებას.**

(საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2359 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 375; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოსამართლე (სასამართლო) ბრუნდება სასამართლო სხდომის დარბაზში და აცხადებს განაჩენის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილს.

2. მხარეებისათვის ცნობილი უნდა იყოს განაჩენის გამოცხადების ადგილი და დრო, რაშიც იგულისხმება, რომ სათათბირო ოთახში გასვლისას მოსამართლემ (სასამართლომ) მხარეებს უნდა აცნობოს (განუმარტოს) განაჩენის გამოცხადების დრო, ან თუ ეს შეუძლებელია (ანუ მოსამართლისათვის (სასამართლოსათვის) წინასწარ შეუძლებელია იმ დროის ზუსტად განსაზღვრა, რაც დასჭირდება თათბირს (გადაწყვეტილების მიღებას)), გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მისი გამოცხადების დრო და ადგილი უნდა ეცნობოს მხარეებს. თუ მხარეებისათვის ცნობილია განაჩენის გამოცხადების დრო და ადგილი, მაგრამ ისინი არ გამოცხადდნენ (მიუხედავად მიზეზის საპატიოობის თუ არასაპატიოობისა), დანიშნულ დროს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოცხადდეს.

3. სისხლის სამართლის საქმის ერთპიროვნულად განხილვისას განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოაცხადოს სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ.

4. სისხლის სამართლის საქმის კოლეგიურად განხილვისას განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოაცხადოს:

– სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ;

– სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის რომელიმე სხვა მოსამართლემ.

5. სასამართლო სხდომის დარბაზში ყველა დამსწრემ, მათ შორის – სასამართლოს შემადგენლობამ, განაჩენი ფეხზე ამდგარმა უნდა მოისმინოს.

6. თუ განაჩენი დაწერილია იმ ენაზე, რომელიც განსასჯელმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას ის სინქრონულად უნდა თარგმნოს თარჯიმანმა განსასჯელის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე. შესაძლებელია, აგრეთვე თარჯიმანმა განაჩენის გამოცხადების შემდეგ მსჯავრდებულის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე წაიკითხოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი.

7. განაჩენის გამოცხადების შემდეგ სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ მსჯავრდებულსა და პროცესის სხვა მონაწილეებს უნდა განუმარტოს განაჩენის გასაჩივრების წესი და ვადა.

8. ამასთან, მსჯავრდებულს ასევე უნდა განემარტოს შეწყალების შესახებ შუამდგომლობის უფლების თაობაზე.

მუხლი 513. განსასჯელის პატიმრობიდან განთავისუფლება

პატიმრობაში მყოფი განსასჯელი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან, თუ:

ა) განსასჯელი გაამართლეს;

ბ) დაადგინეს გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ განსასჯელს არ დაუნიშნეს სასჯელი;

გ) გაათავისუფლეს სასჯელისაგან;
დ) პირობითად დასდეს მსჯავრი;
ე) გადაუვადეს განაჩენის აღსრულება;
ვ) დაუნიშნეს სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან;
ზ) სასჯელად დაუნიშნეს თავისუფლების აღკვეთა ისეთი ვადით, რომელიც არ აღემატება წინასწარ პატიმრობაში მსჯავრდებულის ფაქტობრივ ყოფნას.

1. პატიმრობაში მყოფი განსასჯელი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან, თუ:

– განსასჯელი გაამართლეს;

– დაადგინეს გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ მსჯავრდებულს არ დაუნიშნეს სასჯელი;

– მსჯავრდებული გაათავისუფლეს სასჯელის მოხდისაგან;

– მსჯავრდებულს პირობითად დასდეს მსჯავრი;

– მსჯავრდებულს გადაუვადეს განაჩენის აღსრულება;

– მსჯავრდებულს დაუნიშნეს სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან;

– მსჯავრდებულს სასჯელად დაუნიშნეს თავისუფლების აღკვეთა ისეთი ვადით, რაც არ აღემატება წინასწარ პატიმრობაში მსჯავრდებულის ფაქტობრივ ყოფნას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 602-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 514. მსჯავრდებულისა და გამართლებულისათვის განაჩენის ასლის გადაცემა

განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღე-ღამისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღე-ღამისა განაჩენის ასლი უნდა გადაეცეს მსჯავრდებულს ან გამართლებულს. პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით იმავე ვადაში გადაეცემა.

1. განაჩენის ასლი მსჯავრდებულს (გამართლებულს), როგორც წესი, უნდა გადაეცეს განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღე-ღამეში.

2. განაჩენის ასლი მსჯავრდებულს (გამართლებულს) შესაძლებელია, გადაეცეს განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 14 დღე-ღამეში:

– რთულ სისხლის სამართლის საქმეზე;

– მრავალტომიან სისხლის სამართლის საქმეზე;

– მრავალი პირის სისხლის სამართლის საქმეზე.

3. სასამართლო ვალდებულია, თავისი ინიციატივით განაჩენის ასლი გადასცეს მხოლოდ მსჯავრდებულს (გამართლებულს).

4. პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი უნდა გადაეცეს მისივე მოთხოვნის საფუძველზე, იმავე ვადაში.

მუხლი 515. სხვა საკითხები, რომლებსაც სასამართლო წყვეტს განაჩენის დადგენისთანავე

1. თუ მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა, ჰყავს არასრულწლოვანი შვილები, ხანდაზმული მშობლები, კმაყოფაზე მყოფი სხვა პირი, რომელიც მეთვალყურეობისა და დახმარების გარეშე რჩება, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთანავე გამოაქვს განჩინება იმის შესახებ, რომ მათზე მზრუნველობა ან მეურვეობა დაეკისროს ნათესავს, სხვა პირს მათი თანხმობით, ან სათანადო დაწესებულებას, ხოლო თუ მსჯავრდებულს აქვს ქონება ან ბინა, რომელიც უმეთვალყურეოდ რჩება, – განჩინება იმის შესახებ, რომ მისი დაცვა ევალება სათანადო ორგანოს.

2. თუ საქმეში დამცველად ან წარმომადგენლად მონაწილეობდა 81-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული ადვოკატი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მას გადაუხადონ თანხა იმ ოდენობით, რაც დადგენილია კანონმდებლობით.

3. შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად სასამართლოს გამოაქვს განჩინება (დადგენილება) ან კერძო განჩინება, თუ არსებობს საამისო საფუძველი.

4. სასამართლო სხდომის დარბაზში განაჩენის გამოცხადებისთანავე ამ მუხლში აღნიშნული ყველა საპროცესო გადაწყვეტილება საჯაროდ უნდა იქნეს წაკითხული.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. თუ მოსამართლე (სასამართლო) მსჯავრდებულს სასჯელის სახით უნიშნავს თავისუფლების აღკვეთას, განაჩენის დადგენისთანავე სათანადო საფუძვლების არსებობისას მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია, გამოიტანოს დადგენილება (განჩინება):

– მსჯავრდებულის ნათესავისათვის (მისი თანხმობით), სხვა პირისათვის (მისი თანხმობით), სათანადო დაწესებულებისათვის მსჯავრდებულის არასრულწლოვანი შვილის, ხანდაზმული მშობლის, კმაყოფაზე მყოფი სხვა პირის, რომელიც მეთვალყურეობისა და დახმარების გარეშე რჩება, მზრუნველობის (მეურვეობის) დაკისრების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 604-ე მუხლის კომენტარები);

– სათანადო ორგანოსათვის მსჯავრდებულის უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქონების დაცვის დავალების შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 604-ე მუხლის კომენტარები).

2. იმისათვის, რომ განაჩენის დადგენისას მოსამართლემ (სასამართლომ) შეძლოს ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტა, სასამართლო გამოძიების დროს უნდა გაირკვეს, ჰყავს თუ არა განსასჯელს კმაყოფაზე პირი, რომელიც შეიძლება საჭიროებდეს

მეურვეობას (მზრუნველობას), გააჩნია თუ არა განსასჯელს უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქონება, იყო თუ არა გამოყენებული სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებისას მეურვეობის (მზრუნველობის), ქონების დაცვის ღონისძიებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლის კომენტარები).

3. თუ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობს დამცველი დანიშვნით, მოსამართლემ (სასამართლომ) განაჩენთან ერთად უნდა გამოიტანოს დადგენილება (განჩინება) დამცველისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის იმ ოდენობით ანაზღაურების შესახებ, რაც დადგენილია კანონმდებლობით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80, 81-ე მუხლების კომენტარები).

4. შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გამოიტანოს დადგენილება (განჩინება), კერძო დადგენილება (კერძო განჩინება), თუ არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი შესაბამისი საფუძველი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის კომენტარები).

5. სასამართლო სხდომის დარბაზში განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისთანავე საჯაროდ უნდა გამოცხადდეს ასევე ამ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მოსამართლის (სასამართლოს) მიერ გამოტანილი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები.

მუხლი 516. მსჯავრდებულის ნათესავებსა და ახლობლებთან შეხვედრის უფლება

განაჩენის გამოცხადებისთანავე პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის წერილობითი თხოვნით, თავმჯდომარე ვალდებულია მისცეს მას ნათესავებსა და ახლობლებთან შეხვედრის ნება.

1. განაჩენის გამოცხადებისთანავე პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის წერილობითი თხოვნით, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, მისცეს მას ნათესავებსა და ახლობლებთან შეხვედრის ნება, ანუ პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულისათვის ნათესავთან, ახლობელთან შეხვედრის ნებართვის მიცემა სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია მხოლოდ ერთხელ, განაჩენის გამოცხადების შემდეგ.

კარი მეათე
განაჩენისა და სხვა გადაწყვეტილების გასაჩივრება

თავი LVI
აპელაცია

მუხლი 517. პირის უფლება, საქმე განიხილონ ორ სასამართლო ინსტანციაში

მსჯავრდებულს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და სამოქალაქო მოპასუხეს უფლება აქვთ მოითხოვონ საქმის განხილვა არანაკლებ ორ სასამართლო ინსტანციაში.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მსჯავრდებულს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს უფლება აქვთ, მოითხოვონ სისხლის სამართლის საქმის განხილვა არანაკლებ ორ სასამართლო ინსტანციაში.

მუხლი 518. სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტი

1. **სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ სახელმწიფო ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს, დაზარალებულს, მსჯავრდებულს, დამცველს, მსჯავრდებულისა და დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, და მის წარმომადგენელს.**
2. **სააპელაციო წარმოება ტარდება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე.**
3. **სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათს წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ განაჩენი მხოლოდ სარჩელის საფუძვლისა და თანხის ნაწილში.**

4. დამცველსა და წარმომადგენელს უფლება აქვთ შეიტანონ სააპელაციო საჩივარი მხოლოდ მსჯავრდებულის, დაზარალებულისა და მარწმუნებლის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზარალებული, მსჯავრდებული ან მარწმუნებელი არასრულწლოვანია, ან აქვს ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178)

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით სრული მოცულობით გასაჩივრების უფლება აქვთ:

– სახელმწიფო ბრალმდებელს;

– ზემდგომ პროკურორს;

– დაზარალებულს;

– დაზარალებულის წარმომადგენელს;

– დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს;

– მსჯავრდებულს;

– დამცველს;

– მსჯავრდებულის კანონიერ წარმომადგენელს;

– პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება;

– იმ პირის დამცველს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება;

– იმ პირის კანონიერ წარმომადგენელს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

2. მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის საფუძვლისა და თანხის ნაწილში განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვთ:

– სამოქალაქო მოსარჩელეს;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოპასუხეს;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს.

3. დამცველსა და წარმომადგენელს, როგორც წესი, უფლება აქვთ, სააპელაციო საჩივარი შეიტანონ მხოლოდ მსჯავრდებულის, დაზარალებულის, მარწმუნებლის თანხმობით.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებული, დაზარალებული, მარწმუნებელი არასრულწლოვანია, ან აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, დამცველსა და წარმომადგენელს უფლება აქვთ, სააპელაციო საჩივარი შეიტანონ მსჯავრდებულის, დაზარალებულის, მარწმუნებლის თანხმობის გარეშე.

5. აღსანიშნავია, რომ თუ გარკვეული მიზეზების გამო სახელმწიფო ბრალმდებელს სააპელაციო საჩივარი ვერ შეაქვს (შვებულება, მივლინება და ა.შ.), მაშინ სააპელაციო საჩივარი უნდა შეიტანოს ზემდგომმა პროკურორმა და არა – იმავე ან თანაბარ თანამ-

დებობაზე მყოფმა პროკურორმა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

6. სააპელაციო წარმოება ტარდება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე.

მუხლი 519. სააპელაციო გასაჩივრების საგანი

სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება, რომელიც, აპელანტის აზრით, დაუსაბუთებელია. განაჩენის, სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობაში იგულისხმება ის, რომ არ არის დამტკიცებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს და იგი უნდა განიხილოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ, თუ სადავო ხდება განაჩენის დასაბუთებულობა ან/და კანონიერება.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს:

– რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენი;

– რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილება;

– რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ არის შემაჯამებელი ხასიათის (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 525-ე მუხლის კომენტარები).

2. სააპელაციო საჩივრის საფუძველი შეიძლება იყოს განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) როგორც დასაბუთებულობა, ისე – კანონიერება.

3. განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) დაუსაბუთებლობაში იგულისხმება ის, რომ არ არის გამოკვლეული და დამტკიცებული მტკიცების საგანთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 520. სააპელაციო საჩივრის განხილვის სავალდებულოობა

1. სააპელაციო საჩივრის შეტანა სავალდებულო წესით იწვევს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვას და ახალი სასამართლო გამოძიების ჩატარებას. დაუშვებელია სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე უარის თქმა.

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანა სავალდებულო წესით იწვევს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვას.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით, შეტანილი სააპელაციო საჩივრის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე უარის თქმა დაუშვებელია.

მუხლი 521. სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო

1. **რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენსა თუ სხვა გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივარს სააპელაციო წესით განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.**
2. **სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის საფუძველზე საქმეს განიხილავს 3 მოსამართლის შემადგენლობით. სააპელაციო სასამართლოში საქმის განმხილველ მოსამართლეთა შემადგენლობის თავმჯდომარედ ინიშნება ამ შემადგენლობის ერთ-ერთი მოსამართლე.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223)

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენზე (სხვა გადაწყვეტილებაზე) შეტანილ სააპელაციო საჩივარს სააპელაციო წესით განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

2. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სააპელაციო საჩივრის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეს, როგორც წესი, განიხილავს კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით.

3. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომას თავმჯდომარეობს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო შემადგენლობის ერთ-ერთი მოსამართლე.

მუხლი 522. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის საფუძველი

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის საფუძველია რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენისა თუ სხვა გადაწყვეტილების როგორც დასაბუთებულობის, ისე კანონიერების თაობაზე შეტანილი საჩივარი.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I 1999 წ., №16(23) მუხლი 65)

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვის საფუძველი შესაძლებელია იყოს:

– რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენის (სხვა გადაწყვეტილების) დასაბუთებულობის თაობაზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი;

– რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენის (სხვა გადაწყვეტილების) კანონიერების თაობაზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი;

– რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენის (სხვა გადაწყვეტილების) დასაბუთებულობისა და კანონიერების თაობაზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი.

მუხლი 523. სააპელაციო გასაჩივრების ვადები

1. **მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში.**
2. **საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება დადგენილებით აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა.**
3. **სააპელაციო საჩივრის ფოსტითა და კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებებით გაგზავნისას საჩივარი შეტანილად ითვლება იმ დღიდან, როცა იგი გადაეცა ფოსტას ან კავშირგაბმულობის სხვა ორგანოს.**
4. **მსჯავრდებულ თანამდებობის პირს, რეკეტირს ან ქურდული სამყაროს წევრს, რომლის მიმართ სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა მის დაუსწრებლად, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს განაჩენი დაკავების ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან 14 დღის ვადაში, თუ განაჩენი ამ კანონით დადგენილი წესით არ ყოფილა გასაჩივრებული მისი დამცველის ან წარმომადგენლის მიერ.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი №333 – სსმ I, 2000 წ., №20, მუხლი 51; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2356 – სსმ I, 2005 წ., №57, მუხლი 440; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. მხარეს შეუძლია, სააპელაციო საჩივარი შეიტანოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 518-ე მუხლის კომენტარები).

2. გასაჩივრების ვადის ათვლა გასაჩივრების უფლების მქონე ყველა სუბიექტისათვის, მათ შორის – პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულისათვის, იწყება განაჩენის გამოცხადების მომენტიდან.

3. სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

4. სააპელაციო საჩივრის ფოსტით (კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით) გაგზავნის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი შეტანილად ითვლება იმ დღეს, როდესაც იგი გადაეცა ფოსტას (კავშირგაბმულობის სხვა ორგანოს).

5. თუ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა თანამდებობის პირის, რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრის მიმართ, მის დაუსწრებლად, მას უფლება აქვს, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში გაასაჩივროს განაჩენი, მისი დაკავების ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან 14 დღის ვადაში, თუ განაჩენი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით არ გაუსაჩივრებია მის დამცველს, წარმომადგენელს.

6. სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ (რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ) შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, ანუ:

ა) თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია გასაჩივრების ვადის დარღვევით და არ არის წარდგენილი მოთხოვნა გასაჩივრების ვადის აღდგენის შესახებ, რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე არ უნდა გადააგზავნოს სააპელაციო სასამართლოში და სააპელაციო საჩივრის შემტანს უნდა აცნობოს, რომ გასაჩივრების ვადის გაშვების გამო სისხლის სამართლის საქმე არ გადაიგზავნება სააპელაციო სასამართლოში;

ბ) რაიონული (საქალაქო) სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით, მხარის მოთხოვნის (შუამდგომლობის, განცხადების) გარეშე იმსჯელოს გასაჩივრების ვადის აღდგენის საკითხზე;

გ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ მოთხოვნა (შუამდგომლობა, განცხადება) შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში;

დ) გასაჩივრების ვადის აღდგენის მოთხოვნა შეიძლება მიეთითოს:

– ან სააპელაციო საჩივარში;

– ან ცალკე შეტანილ მოთხოვნაში (შუამდგომლობაში, განცხადებაში);

ე) დაუშვებელია, სააპელაციო გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენაზე პირდაპირ იმსჯელოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ;

ვ) თუ გაშვებული იყო გასაჩივრების ვადა და რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ მაინც გადააგზავნა სისხლის სამართლის საქმე სააპელაციო სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოდან სისხლის სამართლის საქმე უნდა დაუბრუნდეს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს;

ზ) რაიონული (საქალაქო) სასამართლო სათანადო საფუძვლების არსებობისას უფლებამოსილია:

– აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა;

– უარი თქვას გასაჩივრების ვადის აღდგენაზე;

თ) მტკიცების ტვირთი, რომ გასაჩივრების ვადა საპატიო მიზეზით იქნა გაცდენილი, ეკისრება გასაჩივრების ვადის გამცდენ (გასაჩივრების ვადის აღდგენის მომთხოვნ) პირს;

ი) სასამართლოს გადაწყვეტილება გაცდენილი გასაჩივრების ვადის აღდგენის შესახებ არ საჩივრდება, ანუ თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლო საპატიოდ მიიჩნევს და აღადგენს გაცდენილ გასაჩივრების ვადას, სისხლის სამართლის საქმე სააპელაციო საჩივართან ერთად საერთო წესით უნდა გადაეგზავნოს სააპელაციო სასამართლოს და იგი ექვემდებარება სააპელაციო განხილვას;

კ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება გაცდენილი გასაჩივრების ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება, საერთო წესით მხოლოდ ერთხელ გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში, ანუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრების ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ უნდა გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და თუ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უარს იტყვის გასაჩივრების ვადის აღდგენაზე (ძალაში დატოვებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილებას გასაჩივრების ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ), ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და საკასაციო წესით არ საჩივრდება;

ლ) სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, საპატიო მიზეზის არსებობისას აღადგინოს (საპატიოდ მიიჩნიოს) გაშვებული გასაჩივრების ვადა (ანუ გააუქმოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილება ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ) და განიხილოს სისხლის სამართლის საქმე სააპელაციო საჩივრის საფუძველზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე, 213-ე, 214-ე, 215-ე, 216-ე, 236-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 524. სააპელაციო საჩივრის შეტანა

1. **განაჩენის გამომტან სასამართლოში შეაქვთ სააპელაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ იგი ამ სასამართლომ გადასცეს პროცესის ყოველ მონაწილეს, რომელსაც მხარის საპროცესო მდგომარეობა უკავია.**
2. **ზემდგომ სასამართლოში საქმის გაგზავნისას მას უნდა დაერთოს განაჩენის იმდენი ეგზემპლარი, რამდენი პირის მიმართაც იქნა განაჩენი დადგენილი.**

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2005 წლის 25 ნოემბრის კანონი №2129 – სსმ I, 2005 წ., №53, მუხლი 349)

1. სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი ვალდებულია, განაჩენის გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შეიტანოს სააპელაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ იგი სასამართლომ გადასცეს პროცესის ყოველ მონაწილეს, რომელსაც სისხლის სამართლის საქმეში მხარის საპროცესო მდგომარეობა უკავია.

2. სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის გაგზავნისას სისხლის სამართლის საქმეს უნდა დაერთოს განაჩენის იმდენი ეგზემპლარი, რამდენი პირის მიმართაც არის განაჩენი დადგენილი.

მუხლი 525. კერძო სააპელაციო საჩივარი

1. **პირველი ინსტანციის სასამართლოს ყოველი შემაჯამებელი გადაწყვეტილება, განაჩენის გარდა, შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით, კერძო სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით.**
2. **რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განჩინება (დადგენილება), რომელიც გამოტანილია საქმის განხილვისას და არ არის შემაჯამებელი ხასიათისა, შეიძლება სააპელაციო წესით სასამართლოს განაჩენთან ერთად გასაჩივრდეს.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დადგენილია სააპელაციო საჩივრის ორი ფორმა:

– სააპელაციო საჩივარი;

– კერძო სააპელაციო საჩივარი.

2. განაჩენზე შეიტანება სააპელაციო საჩივარი.

3. კერძო სააპელაციო საჩივარი შეიტანება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოტანილ ყველა შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე (განაჩენის გარდა), რითაც მთავრდება ამ სისხლის სამართლის საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში. მაგ.: დადგენილებაზე სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიებისათვის გაგზავნის შესახებ.

4. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შუალედური, არაშემაჯამებელი ხასიათის დადგენილება (განჩინება), რაც გამოტანილია სისხლის სამართლის საქმის განხილვისას და რითაც არ მთავრდება ამ სისხლის სამართლის საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში, შეიძლება სააპელაციო წესით გასაჩივრდეს განაჩენთან ერთად. მაგ.: დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ. შუალედური გადაწყვეტილების განაჩენთან ერთად გასაჩივრება არ გულისხმობს შუალედურ გადაწყვეტილებაზე აუცილებლად მხოლოდ ცალკე სააპელაციო საჩივრის შეტანის ვალდებულებას. პირი უფლებამოსილია, განაჩენზე შეტანილ სააპელაციო საჩივარშივე მიუთითოს შუალედური გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის ან/და უკანონობის შესახებაც და ცალკე არ შეიტანოს სააპელაციო საჩივარი შუალედურ გადაწყვეტილებაზე.

მუხლი 526. დამატებითი სააპელაციო საჩივარი

სააპელაციო გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადაში ძირითადი საჩივრის ხარვეზის შესავსებად შეიძლება დამატებითი სააპელაციო საჩივრის შეტანა 524-ე მუხლში აღნიშნული პირობების დაცვით.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ძირითადი სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების მიზნით შესაძლებელია დამატებითი სააპელაციო საჩივრის შეტანა.

2. დამატებითი სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო გასაჩივრებისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 523-ე, 524-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 527. სააპელაციო საჩივრის შესაგებელი

1. **მხარეს უფლება აქვს მიიღოს სააპელაციო საჩივრის ასლი მისი შეტანიდან არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო მომდევნო 5 დღის ვადაში იმავე სასამართლოს წარუდგინოს შესაგებელი. შესაგებელი საჩივარსა და საქმესთან ერთად იგზავნება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.**
2. **სააპელაციო ინსტანციაში საქმის გაგზავნამდე აპელანტს უფლება აქვს სასამართლოსაგან მიიღოს საჩივრის შესაგებლის ასლი.**

1. მხარეს უფლება აქვს, მიიღოს სააპელაციო საჩივრის ასლი მისი შეტანიდან არა უგვიანეს 5 დღეში.

2. პირს (მხარეს), რომელმაც მიიღო სააპელაციო საჩივრის ასლი, უფლება აქვს, 5 დღის ვადაში იმავე სასამართლოს წარუდგინოს შესაგებელი.

3. შესაგებელი სააპელაციო საჩივარსა და სისხლის სამართლის საქმესთან ერთად უნდა გადაეგზავნოს სააპელაციო სასამართლოს.

4. სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის გაგზავნამდე აპელანტს უფლება აქვს, სასამართლოსაგან მიიღოს სააპელაციო საჩივრის შესაგებლის ასლი.

მუხლი 528. სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის ვადები

1. **საქმე, საჩივარი და მისი შესაგებელი რაიონული (საქალაქო) სასამართლოდან სააპელაციო სასამართლოში უნდა გაიგზავნოს განაჩენის გამოტანიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.**
2. **სააპელაციო ინსტანციამ საქმე უნდა განიხილოს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საქმე, სააპელაციო საჩივარი და მისი შესაგებელი რაიონული (საქალაქო) სასამართლოდან სააპელაციო სასამართლოში უნდა გაიგზავნოს განაჩენის გამოტანიდან არა უგვიანეს ერთ თვეში. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო გასაჩივრების ვადა არის ერთი თვე. მხარემ შეიძლება, სააპელაციო საჩივარი შეიტანოს გასაჩივრების ვადის გასვლის ბოლო დღეს, რამაც შეუძლებელი გახადოს განაჩენის გამოტა-

ნიდან ერთთვიან ვადაში სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნა იმის გათვალისწინებით, რომ მეორე მხარეს უნდა გადაეცეს სააპელაციო საჩივრის ასლი და ა.შ. ამასთან, მეორე მხრივ, სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნა ხელოვნურად არ უნდა გაჭიანურდეს.

2. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სისხლის სამართლის საქმე უნდა განიხილოს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვეში.

მუხლი 529. სააპელაციო საჩივარი

1. **სააპელაციო საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. მასში აღინიშნება:**
ა) **სასამართლოს სახელწოდება, სადაც იგზავნება საჩივარი;**
ბ) **საჩივრის შემტანი პირის სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საპროცესო მდგომარეობა;**
გ) **გასაჩივრებული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, მისი გამოტანის თარიღი;**
დ) **განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებული დებულებანი;**
ე) **გასაჩივრებულ დებულებათა მცდარობა და, კერძოდ, რაში გამოიხატება მათი მცდარობა;**
ვ) **მომჩივნის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი;**
ზ) **მტკიცებულება, მათ შორის, ახლად აღმოჩენილი, რომელიც უნდა გამოიკვლიოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ;**
თ) **დამატებით წარმოდგენილი მასალები.**
2. **სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს იმ პირთა სია, რომელთა გამოძახებასაც აპელანტი მოითხოვს;**
3. **თუ საჩივარი არ შეესაბამება ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე აპელანტს აძლევს დროს 5 დღის ვადით საჩივრის ხარვეზის შესავსებად, ან ამავე მიზნით ნიშნავს დამცველს. თუ აპელანტი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, სააპელაციო საჩივარი არ განიხილება, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი და სხვა სასამართლო გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და მიექცევა აღსასრულებლად ამ კოდექსით დადგენილი წესით. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება.**
4. **აპელანტს უფლება აქვს სათათბირო ოთახში შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე უკან გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საჩივრის განმეორებით შეტანა არ დაიშვება, ხოლო სასამართლოს მიერ ამ საკითხზე გამოტანილი განჩინება არ გასაჩივრდება.**
5. **მომჩივანი სახელმწიფო ბაჟს არ იხდის.**
6. **სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საჩივრის მიღებიდან 2 კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს**

მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე. ზეპირი მოსმენის გარეშე მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია დანიშნული სასჯელი შეამციროს არა უმეტეს ერთი მეოთხედით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სააპელაციო საჩივარი დასაბუთებული უნდა იყოს.

2. სააპელაციო საჩივარში აღინიშნება:

– იმ სააპელაციო სასამართლოს სახელწოდება, სადაც იგზავნება სააპელაციო საჩივარი;

– სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი;

– სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

– სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის საპროცესო მდგომარეობა;

– გასაჩივრებული განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გამომტანი სასამართლო;

– გასაჩივრებული განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გამოტანის თარიღი;

– განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გასაჩივრებული დებულებები;

– გასაჩივრებული დებულებების მცდარობა;

– რაში გამოიხატება გასაჩივრებული დებულებების მცდარობა;

– მომჩივნის პოზიციის (სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის) დამადასტურებელი მტკიცებულებები;

– მტკიცებულება, მათ შორის – ახლად აღმოჩენილი, რომელიც უნდა გამოიკვლიოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ;

– დამატებით წარმოდგენილი მასალები.

3. სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს იმ პირთა სია, რომელთა გამოძახებასაც აპელანტი მოითხოვს.

4. საკითხის შეფასების უფლება, აკმაყოფილებს თუ არა სააპელაციო საჩივარი ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს და აქვს თუ არა სააპელაციო საჩივარს ხარვეზი, აქვს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეს და არა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, ანუ, თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია უფლებამოსილი პირის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადაში, რაიონული (საქალაქო) სასამართლო ვალდებულია, სააპელაციო საჩივარი და სისხლის სამართლის საქმე გადაუგზავნოს სააპელაციო სასამართლოს, მიუხედავად იმისა, აკმაყოფილებს თუ არა სააპელაციო საჩივარი ყველა ზემოაღნიშნულ მოთხოვნას.

5. თუ სააპელაციო საჩივარი არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ:

– ან აპელანტს უნდა მისცეს დრო (5 დღის ვადით) სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად;

– ან ამავე მიზნით აპელანტს უნდა დაუნიშნოს დამცველი.

6. თუ აპელანტი არ შეასრულებს მოთხოვნას ხარვეზის შევსების შესახებ, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო საჩივარი არ უნდა განიხილოს და უნდა გამოიტანოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. აპელანტს უფლება აქვს, სათათბირო ოთახში შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე უკან გაითხოვოს თავისი სააპელაციო საჩივარი. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განმეორებით შეტანა არ დაიშვება. ამასთან, სასამართლოს მიერ ამ საკითხზე გამოტანილი განჩინება არ გასაჩივრდება.

8. სისხლის სამართლის საქმეზე სააპელაციო საჩივრის შეტანისას მომჩივანი სახელმწიფო ბაჟს არ იხდის.

9. სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივრის მიღებიდან 2 კვირის ვადაში ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს:

– მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეზე, მიუხედავად საჩივარში განცხადებული მოთხოვნისა (სასჯელის დამძიმება, სასჯელის შემსუბუქება, მსჯავრდებულის მდგომარეობის სხვაგვარი შემსუბუქება თუ დამძიმება);

– მხარის საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულის საქმეზე.

10. ზემოაღნიშნული პირობების არსებობისას, ზეპირი მოსმენის გარეშე სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგად, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, დანიშნული სასჯელი შეამციროს არა უმეტეს ერთი მეოთხედით.

მუხლი 530. საქმის მომზადება მოსმენისათვის

1. **თუ სასამართლო შემადგენლობის ერთ-ერთი ან ყველა მოსამართლე საჭიროდ მიიჩნევს, ისინი შეისწავლიან მიღებულ სისხლის სამართლის საქმეს, საჩივრებსა და მათს შესაგებლებს. შესწავლის შედეგების მიხედვით მოსამართლე ადგენს ცნობას, რომელშიც აყალიბებს საქმის არსს, საჩივრების შინაარსსა და მომჩივანთა მოსაზრებას, საჩივრის შესაგებლის შინაარსს, აღნიშნავს მომჩივანთა პოზიციის დამადასტურებელ ან გამაბათილებელ მტკიცებულებებს, მაგრამ თავის აზრს არ გამოთქვამს. ცნობის ასლები ამ შემადგენლობის ყველა მოსამართლეს გადაეცემა.**
2. **სასამართლო შემადგენლობის თავმჯდომარე იძლევა განკარგულებებს სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღისა და ადგილის, პროცესის მონაწილეების, პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის გამოძახებისა და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის მოსმენის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.**

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178)

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე, რომელსაც განსახილველად გადაეცემა სისხლის სამართლის საქმე, ან სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის ყველა მოსამართლე უფლებამოსილია, შეისწავლოს სისხლის სამართლის საქმე, სააპელაციო საჩივრები, მათი შესაგებლები სისხლის სამართლის საქმის განხილვის დაწყებამდე.

2. შესწავლის შედეგების მიხედვით მოსამართლემ უნდა შეადგინოს ცნობა, რომელშიც უნდა ჩამოაყალიბოს სისხლის სამართლის საქმის არსი, სააპელაციო საჩივრების შინაარსი, მომჩივანთა მოსაზრება, სააპელაციო საჩივრის შესაგებლის შინაარსი, უნდა აღნიშნოს მომჩივანთა პოზიციის დამადასტურებელი ან/და გამაბათილებელი მტკიცებულებები, მაგრამ თავისი აზრი არ უნდა გამოთქვას.

3. ცნობის ასლი ამ შემადგენლობის ყველა მოსამართლეს უნდა გადაეცეს.

4. სასამართლო შემადგენლობის თავმჯდომარემ უნდა გასცეს განკარგულებები:

– სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღის შესახებ;

– სასამართლო სხდომის ჩატარების ადგილის შესახებ;

– პროცესის მონაწილეების, მათ შორის – პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის გამოძახების შესახებ;

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის მოსმენის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 531. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის მონაწილენი

1. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

2. დამცველის მოწვევა და დანიშვნა დასაშვებია იმავე საფუძველზე და იმავე წესით, რაც სასამართლო განხილვისას.

3. პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მიჰყავთ, თუ იგი ამის წინააღმდეგი არ არის.

4. მსჯავრდებულს, რომელიც პატიმრობაში არ იმყოფება, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათს წარმომადგენლებს იძახებენ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, თუმცა მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას, მაგრამ, თუ რომელიმე მათგანის სააპელაციო საჩივარი განიხილება, საქმის მოსმენა გადაიდება. ამ პირთა განმეორებითი გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე მათ დაუსწრებლად განიხილება.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა, რაც

ნიშნავს როგორც სასამართლოს ვალდებულებას, აცნობოს პროკურორს (შესაბამის პროკურატურას) სხდომის დღე, ასევე – შესაბამისი პროკურატურის ვალდებულებას, უზრუნველყოს პროცესში პროკურორის მონაწილეობა და პროკურორის ვალდებულებას, მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო წესით განხილვაში.

2. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დამცველის მოწვევა და დანიშვნა დასაშვებია იმავე საფუძველზე და იმავე წესით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80, 81-ე, 445-ე მუხლების კომენტარები).

3. პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას უნდა მიიყვანონ, თუ იგი ამის წინააღმდეგი არ არის, ანუ სასამართლო ვალდებულია, აცნობოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ან პირდაპირ პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის მოთავსების ადგილის ადმინისტრაციას (თუ სასამართლოსათვის ცნობილია მისი მოთავსების ზუსტი ადგილი) სხდომის დრო. მათ უნდა უზრუნველყონ ამის თაობაზე მსჯავრდებულის ინფორმირება. თუ მსჯავრდებული გამოთქვამს სასამართლო სხდომაზე დასწრების სურვილს, შესაბამისი სამსახურები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მსჯავრდებულის წარდგენა სასამართლოში, ხოლო თუ მსჯავრდებულს არ სურს სხდომაზე დასწრება, ეს უნდა გაფორმდეს წერილობით (შუამდგომლობის, განცხადების, ოქმის, მიმართვის სახით და ა.შ.), დამოწმდეს შესაბამისი დაწესებულების მიერ და წარედგინოს სასამართლოს სხდომის დაწყებამდე.

4. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას უნდა გამოიძახონ:

– მსჯავრდებული, რომელიც პატიმრობაში არ იმყოფება (გამართლებული);
– დაზარალებული;
– დაზარალებულის წარმომადგენელი;
– სამოქალაქო მოსარჩელე;
– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი;
– სამოქალაქო მოპასუხე;
– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი.

5. მსჯავრდებულის, რომელიც პატიმრობაში არ იმყოფება (გამართლებულის), დაზარალებულის, დაზარალებულის წარმომადგენლის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლის, სამოქალაქო მოპასუხის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა, როგორც წესი, არ აბრკოლებს სისხლის სამართლის საქმის განხილვას, მაგრამ, თუ რომელიმე მათგანის სააპელაციო საჩივარი განიხილება, სისხლის სამართლის საქმის მოსმენა უნდა გადაიდოს.

6. ამ პირთა განმეორებითი გამოუცხადებლობის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე მათ დაუსწრებლად უნდა განიხილონ.

მუხლი 532. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მოსამზადებელი ნაწილი

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მოსამზადებელი ნაწილი ტარდება 457-469-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი უნდა ჩატარდეს იმავე წესებით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 457-469-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 533. სასამართლო გამოძიება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში

1. **სასამართლო გამოძიება იწყება სისხლის სამართლის საქმის შემსწავლელი მოსამართლის მოხსენებით, რომელშიც ჩამოყალიბებულია საქმის არსი, განაჩენის ძირითადი შინაარსი, აპელანტის მოთხოვნები, პროცესის მონაწილეთაგან შემოსული საჩივრის შესაგებელი. მომხსენებელმა თავი უნდა შეიკავოს საქმის გადაწყვეტის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან. მას უფლება აქვს ყურადღება მიაპყროს საჩივარში მიუთითებელ ფაქტობრივ გარემოებებსა და კანონის დარღვევებს იმის გათვალისწინებით, რომ ისინი განსასჯელის საზიანოდ არ იქნეს გაგებული.**
2. **მხარეებს, შემდეგ კი მოსამართლეებს უფლება აქვთ კითხვები დაუსვან მომხსენებელს. კითხვებს ჯერ ბრალდების მხარე სვამს.**
3. **მოსამართლის მოხსენების შემდეგ გამოდის აპელანტი ან მისი დამცველი (წარმომადგენელი) და ასაბუთებს საჩივრის მოსაზრებებს. მხარეებსა და მოსამართლეებს უფლება აქვთ აპელანტს დაუსვან კითხვები ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული თანამიმდევრობით.**
4. **აპელანტის გამოსვლის შემდეგ მტკიცებულებებს წარმოადგენს ბრალდების მხარე – პროკურორი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე ან მათი წარმომადგენლები, შემდეგ კი – დაცვის მხარე – განსასჯელი ან დამცველი, კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი. სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დაიშვება მხოლოდ სააპელაციო ინსტანციაში წარმოდგენილი საქმისათვის ახალი მტკიცებულების გამოკვლევა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულება გამოკვლეული იყო კანონის არსებითი დარღვევით და მხარე შუამდგომლობს ამგვარი მტკიცებულების ხელმეორედ გამოკვლევას ან სასამართლო, თავისი ინიციატივით, საჭიროდ მიიჩნევს მტკიცებულების ხელმეორედ გამოკვლევას.**

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმის დამატებით დაკითხვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმე თვითონ შუამდგომლობს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას, რასაც კონკრეტულად მიუთითებს შუამდგომლობაში. მოწმე დამატებით შეიძლება დაიკითხოს ასევე სასამართლოს ინიციატივით.

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო გამოძიება უნდა დაიწყოს სისხლის სამართლის საქმის შემსწავლელი მოსამართლის მოხსენებით.

2. სისხლის სამართლის საქმის შემსწავლელი მოსამართლის მოხსენებაში უნდა ჩამოყალიბდეს:

– სისხლის სამართლის საქმის არსი;

– გასაჩივრებული განაჩენის ძირითადი შინაარსი;

– აპელანტის მოთხოვნები;

– პროცესის მონაწილისაგან შესული საჩივრის შესაგებელი.

3. სისხლის სამართლის საქმის შემსწავლელ მოსამართლეს უფლება აქვს, ყურადღება მიაპყროს სააპელაციო საჩივარში მიუთითებელ:

– ფაქტობრივ გარემოებებზე, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი მსჯავრდებულის (გამართლებულის) საზიანოდ არ იქნეს გაგებული;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნების დარღვევებზე, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი მსჯავრდებულის (გამართლებულის) საზიანოდ არ იქნეს გაგებული.

4. ამასთან, მომხსენებელმა მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან.

5. მოხსენების მოსმენის შემდეგ პროცესის მონაწილეებს უფლება აქვთ, მომხსენებელ მოსამართლეს მოხსენებასთან დაკავშირებით დაუსვან კითხვები შემდეგი თანამიმდევრობით:

– ბრალდების მხარე;

– დაცვის მხარე;

– მოსამართლეები.

6. მოსამართლის მოხსენების მოსმენისა და მოხსენებასთან დაკავშირებული კითხვა-პასუხის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აპელანტმა ან მისმა დამცველმა (წარმომადგენელმა) უნდა დაასაბუთოს თავისი სააპელაციო საჩივრის მოსაზრებები.

7. აპელანტის ან მისი დამცველის (წარმომადგენლის) მიერ თავისი მოსაზრებების წარმოდგენის შემდეგ პროცესის მონაწილეებს უფლება აქვთ, აპელანტს ან მის წარმომადგენელს (დამცველს) დაუსვან კითხვები შემდეგი თანამიმდევრობით:

– ბრალდების მხარე;

– დაცვის მხარე;

– მოსამართლეები.

8. აპელანტის ან მისი დამცველის (წარმომადგენლის) გამოსვლისა და შესაბამისი კითხვა-პასუხის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარეებმა უნდა წარმოადგინონ მტკიცებულებები.

9. მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის აპელანტი (ბრალდების მხარე, დაცვის მხარე, ორივე მხარე ერთად), თავდაპირველად მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს ბრალდების მხარემ:

– პროკურორმა;

– დაზარალებულმა;

– დაზარალებულის წარმომადგენელმა;

– სამოქალაქო მოსარჩელემ;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელმა.

10. ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს დაცვის მხარემ:

– განსასჯელმა;

– დამცველმა;

– განსასჯელის კანონიერმა წარმომადგენელმა;

– სამოქალაქო მოპასუხემ;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელმა.

11. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო ინსტანციაში წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმისათვის ახალი მტკიცებულების გამოკვლევა.

12. ამასთან, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულება, როგორც წესი, ითვლება გამოკვლეულად, ანუ სააპელაციო სასამართლოში, როგორც წესი, აღარ ხდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებების განმეორებით გამოკვლევა. მაგ.: თუ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოქვეყნდა ჩხრეკის ოქმი, დათვალიერებულ იქნა ნივთიერი მტკიცებულება, დაიკითხა მოწმე – სააპელაციო სასამართლოში ამ მტკიცებულებების განმეორებით გამოკვლევა, როგორც წესი, არ უნდა მოხდეს.

13. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ზემოაღნიშნული წესიდან უშვებს გამონაკლისი შემთხვევების არსებობის შესაძლებლობას, კერძოდ: სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას შესაძლებელია, მტკიცებულება ხელმეორედ იქნეს გამოკვლეული, თუ:

– მტკიცებულება გამოკვლეული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით და მხარე შუამდგომლობს ამ მტკიცებულების ხელმეორედ გამოკვლევას;

– სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო, თავისი ინიციატივით, საჭიროდ მიიჩნევს მტკიცებულების ხელმეორედ გამოკვლევას.

14. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულების სააპელაციო სასამართლოს მიერ ხელმეორედ გამოკვლევის შესახებ მხარის შუამდგომლობა ავტომატურად არ იწვევს ამ მტკიცებულების სააპელაციო სასამართ-

ლოს მიერ ხელმეორედ გამოკვლევას. შუამდგომლობა უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ, რა დროსაც მან უნდა გაარკვიოს, არსებითად დაარღვია თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლომ მტკიცებულების გამოკვლევისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები.

15. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკითხული მოწმის სააპელაციო სასამართლოს მიერ დამატებითი დაკითხვის შესაძლებლობას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ: რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ დაკითხული მოწმის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში დამატებით დაკითხვა დასაშვებია:

– როდესაც მოწმე თვითონ (და არა – მხარე ან სხვა პირი) შუამდგომლობს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას, რასაც კონკრეტულად მიუთითებს შუამდგომლობაში;

– სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ინიციატივით.

16. პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმის მიერ შუამდგომლობის განცხადება სააპელაციო სასამართლოში დამატებითი დაკითხვის შესახებ ავტომატურად არ იწვევს მოწმის დამატებით დაკითხვას. შუამდგომლობა უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ, რა დროსაც მან მხედველობაში უნდა მიიღოს მოწმის მიერ შუამდგომლობაში მითითებული დამატებითი ინფორმაცია.

მუხლი 534. სასამართლო კამათი და მსჯავრდებულის საბოლოო სიტყვა სააპელაციო ინსტანციაში

სასამართლო კამათისა და მსჯავრდებულის საბოლოო სიტყვის მიმართ მოქმედებს 489-492-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19)

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო კამათი უნდა ჩატარდეს და მსჯავრდებულს საბოლოო სიტყვა უნდა მიეცეს იმავე წესებით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 489-ე, 490-ე, 491-ე, 492-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 535. განაჩენის დადგენა

1. განაჩენის დადგენისას სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ხელმძღვანელობს 495-516-ე მუხლებით.

2. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს.

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას განაჩენის დადგენა უნდა მოხდეს იმავე წესებით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 495-516-ე მუხლების კომენტარები).

2. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი ცვლის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 536-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 536. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებათა სახეები

1. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო განაჩენით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს;

ბ) აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს;

გ) შეაქვს ცვლილება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში;

დ) უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

2. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) აჩერებს სასამართლო განხილვას;

ბ) აუქმებს ან ძალაში ტოვებს სასამართლოს კერძო განჩინებას დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა შესახებ;

გ) აკმაყოფილებს ან უარყოფს კერძო სააპელაციო საჩივრებს;

დ) აკმაყოფილებს ან უარყოფს ყველა სხვა საჩივარს, რომლებიც ამ კოდექსის მიხედვით შეიძლება შეიტანონ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას გამოაქვს ორი სახის გადაწყვეტილება:

– განაჩენი;

– განჩინება.

2. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განაჩენით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

– აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს;

– აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს;

– შეაქვს ცვლილება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში;

– უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

3. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

– აჩერებს სასამართლო განხილვას;

– აუქმებს სასამართლოს კერძო განჩინებას დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა შესახებ;

– ძალაში ტოვებს სასამართლოს კერძო განჩინებას დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა შესახებ;

– აკმაყოფილებს კერძო სააპელაციო საჩივარს;

– უარყოფს კერძო სააპელაციო საჩივარს;

– აკმაყოფილებს ყველა სხვა საჩივარს;

– უარყოფს ყველა სხვა საჩივარს.

მუხლი 537. სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი

1. სააპელაციო წესით განაჩენის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) არასრული ან ცალმხრივი წინასწარი გამოძიება, ანდა სასამართლო განხილვა, რაც ვერ შეივსება სააპელაციო წესით საქმის განხილვისას;

ბ) განაჩენში ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნების შეუსაბამობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, თუ შეუძლებელია დამატებითი მტკიცებულებების შეგროვება სააპელაციო წესით საქმის განხილვისას.

გ) სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა.

2. განაჩენის შეცვლა ხდება ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ საფუძველზე, თუ იგი ეხება ზოგიერთ ბრალდებას ან ბრალდებათა ეპიზოდებს.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

– არასრული ან ცალმხრივი წინასწარი გამოძიება, რაც ვერ შეივსება სააპელაციო წესით სისხლის სამართლის საქმის განხილვისას;

– არასრული ან ცალმხრივი სასამართლო განხილვა, რაც ვერ შეივსება სააპელაციო წესით სისხლის სამართლის საქმის განხილვისას;

– განაჩენში (სხვა სასამართლო გადაწყვეტილებაში) ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნების შეუსაბამობა სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, თუ შეუძლებელია დამატებითი მტკიცებულებების შეგროვება სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევა.

2. ზემოაღნიშნული საფუძვლებით განაჩენი უნდა შეიცვალოს, თუ იგი ეხება ზოგიერთ ბრალდებას ან ბრალდებათა ეპიზოდებს.

მუხლი 538. წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის არასრულობა და ცალმხრივობა

1. წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა არასრულად და ცალმხრივად ჩაითვლება, თუ არ არის დადგენილი დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება.

2. წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის უსრულობა და ცალმხრივობა ყველა შემთხვევაში ნიშნავს, რომ არ დაუკითხავთ ან არასრულად დაკითხეს ის პირები, რომელთა ჩვენებებსაც მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების დასადგენად; არ ჩატარებულა ექსპერტიზა, თუმცა მისი ჩატარება კანონის თანახმად სავალდებულო იყო; არ შესრულებულა სხვა საპროცესო მოქმედებები, რომლებიც საჭირო იყო საქმის ფაქტობრივ გარემოებათა დასადგენად; არ გამოუთხოვიათ დოკუმენტები და არ აღმოუჩენიათ ნივთიერი მტკიცებულებები, რომელთა გარეშეც განაჩენი ვერ ჩაითვლება დასაბუთებულად; არ შემოწმებულა განსასჯელისა და დამცველის მიერ ბრალდების გასაბათილებლად გამოთქმული მოსაზრებები; არ გამოკვლეულა გარემოებები, რომლებიც აღნიშნულია სასამართლო განჩინებაში (დადგენილებაში) ახალი სასამართლო განხილვისათვის საქმის დაბრუნების შესახებ.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა არასრულად და ცალმხრივად უნდა ჩაითვალოს, თუ არ არის დადგენილი დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები).

2. წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის არასრულობა და ცალმხრივობა ნიშნავს, რომ:

– არ დაუკითხავთ ის პირები, რომელთა ჩვენებებსაც მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების დასადგენად;

– არასრულად დაკითხეს ის პირები, რომელთა ჩვენებებსაც მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების დასადგენად;

– არ ჩატარებულა ექსპერტიზა, თუმცა მისი ჩატარება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სავალდებულო იყო;

– არ შესრულებულა სხვა საპროცესო მოქმედებები, რომლებიც საჭირო იყო სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად;

– არ გამოუთხოვიათ დოკუმენტები, რომელთა გარეშეც განაჩენი ვერ ჩაითვლება დასაბუთებულად;

– არ აღმოუჩენიათ ნივთიერი მტკიცებულებები, რომელთა გარეშეც განაჩენი ვერ ჩაითვლება დასაბუთებულად;

– არ შემოწმებულა განსასჯელისა და დამცველის მიერ ბრალდების გასაბათილებლად გამოთქმული მოსაზრებები.

მუხლი 539. განაჩენსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებაში მოყვანილი სასამართლო დასკვნების შეუსაბამობა საქმეზე არსებულ მტკიცებულებებთან

განაჩენი და სხვა სასამართლო გადაწყვეტილება უსაფუძვლოა და გასაუქმებელი ან შესაცვლელია, თუ:

ა) განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ სასამართლოს დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან;

ბ) არ აღმოფხვრილა მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობა, რაც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლო დასკვნებს;

გ) სასამართლოს არ გაუთვალისწინებია საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი;

დ) დასკვნების დასასაბუთებლად სასამართლომ გამოიყენა მტკიცებულებები, რომლებიც დაუშვებელია ან საქმეს არ ეხება;

ე) წინააღმდეგობრივ მტკიცებულებათა არსებობისას სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება;

ვ) სასამართლომ ეჭვი არ განმარტა მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

1. განაჩენი (სხვა სასამართლო გადაწყვეტილება) უსაფუძვლოა და სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ უნდა გააუქმოს (შეცვალოს), თუ:

– განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ სასამართლოს დასკვნა არ გამომდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობიდან;

– არ აღმოფხვრილა მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობა, რაც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლო დასკვნებს;

– სასამართლოს არ გაუთვალისწინებია სისხლის სამართლის საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები;

– დასკვნების დასასაბუთებლად სასამართლომ გამოიყენა მტკიცებულებები, რომლებიც დაუშვებელია;

– დასკვნების დასასაბუთებლად სასამართლომ გამოიყენა მტკიცებულებები, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეს არ ეხება;

– წინააღმდეგობრივი მტკიცებულებების არსებობისას სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ერთი მტკიცებულება და მიიღო მეორე მტკიცებულება;

– სასამართლომ ეჭვი არ განმარტა მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

მუხლი 540. შებრუნება საუარესოდ

1. **სააპელაციო ინსტანციას უფლება არა აქვს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის თანხა ან მიიღოს მსჯავრდებულისათვის სხვა არასასიკეთო გადაწყვეტილება, თუ საქმის გადასინჯვა ხდება მსჯავრდებულის, დამცველის, მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის, სამოქალაქო მოპასუხის ან მისი წარმომადგენლის საჩივრის საფუძველზე და საჩივარი არ შეუტანია პროკურორს, დაზარალებულს ან ბრალდების მხარის წარმომადგენელ პროცესის სხვა მონაწილეს.**
2. **სააპელაციო ინსტანციას უფლება აქვს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებული განაჩენი, გამოიყენოს სისხლის სამართლის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის გამო გადასახდელის თანხა ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ პროკურორმა, დაზარალებულმა, ბრალდების მხარის წარმომადგენელმა პროცესის სხვა მონაწილემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მათ ასეთი პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს გასცდეს ბრალდების ფარგლებს, რომელიც მსჯავრდებულს წაუყენეს წინასწარი გამოძიების დროს და რომელსაც მხარი დაუჭირეს პირველი ინსტანციის სასამართლოში.**
3. **ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული პირობების არსებობისას მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესება შესაძლებელია, თუ საჩივარი შეიტანეს ბრალდების მხარის წარმომადგენელმა პროცესის მონაწილეებმა.**
4. **მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესება დაუშვებელია იმ საფუძველზე, რომელიც ბრალდების მხარის წარმომადგენელ პროცესის მონაწილეთა სააპელაციო საჩივარში არ არის მითითებული.**
5. **გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა გამამართლებლის ნაცვლად შესაძლებელია, თუ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ სასამართლო გამოძიება სრული მოცულობით ჩაატარა.**

6. თუ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ გააუქმა განაჩენი დაცვის მხარის საჩივრით, როცა ბრალდების მხარის საჩივარი არ არსებობს, დამატებითი გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას ბრალდებულის მდგომარეობა არ უნდა გაუარესდეს.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საუარესოდ შებრუნება ნიშნავს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ:

– გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას;

– სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლის გამოყენებას;

– უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნას;

– სამოქალაქო სარჩელის თანხის გაზრდას;

– მსჯავრდებულისათვის (გამართლებულისათვის) სხვა არასასიკეთო გადაწყვეტილების მიღებას.

2. საუარესოდ შებრუნება დაუშვებელია, თუ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს მხოლოდ დაცვის მხარის:

– მსჯავრდებულის;

– დამცველის;

– მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის;

– სამოქალაქო მოპასუხის;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლის – საპელაციო საჩივრის საფუძველზე და სააპელაციო საჩივარი საუარესოდ შებრუნების მოთხოვნით არ შეუტანია ბრალდების მხარეს:

– პროკურორს;

– დაზარალებულს;

– ბრალდების მხარის წარმომადგენელ პროცესის სხვა მონაწილეს.

3. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას უფლება აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებული განაჩენი, გამოიყენოს სისხლის სამართლის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის გამო გადასახდელი თანხა ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის (გამართლებულის) მდგომარეობა, თუ პროკურორმა, დაზარალებულმა, ბრალდების მხარის წარმომადგენელმა პროცესის სხვა მონაწილემ:

– სააპელაციო საჩივარი შეიტანეს სწორედ ამ მოთხოვნით;

– ასეთივე პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის სასამართლოში;

– სააპელაციო სასამართლოს სხდომაზეც მხარი დაუჭირეს თავიანთ საჩივარს (ანუ საუარესოდ შებრუნების მოთხოვნას).

4. ამასთან, ყველა ეს წინა პირობა ერთად უნდა არსებობდეს. თუნდაც ერთ-ერთი ზემოაღნიშნული პირობის არარსებობა გამორიცხავს საუარესოდ შებრუნების შესაძ-

ლებლობას. მაგ.: დაზარალებული პირველი ინსტანციის სასამართლოში ითხოვდა განსასჯელის დამნაშავედ ცნობას ყაჩაღობის ჩადენაში და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას. სასამართლომ პირი დამნაშავედ ცნო ძარცვის ჩადენაში და სასჯელის სახით დაუნიშნა ჯარიმა. პროკურორს განაჩენი არ გაუსაჩივრებია. დაზარალებულმა გაასაჩივრა განაჩენი და სააპელაციო საჩივრით მოითხოვა მსჯავრდებულისათვის თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა, მაგრამ არ მოითხოვა კვალიფიკაციის შეცვლა ძარცვიდან ყაჩაღობაზე. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა მოითხოვა კვალიფიკაციის შეცვლაც. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, იმსჯელოს მხოლოდ სასჯელის დამძიმებაზე და ვერ იმსჯელებს კვალიფიკაციის შეცვლაზე. ამასთან, საკითხის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ აუცილებელი არ არის დაზარალებული პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო საჩივარში, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სასამართლო სხდომაზე პირდაპირ მიუთითებდეს დანაშაულის საკანონმდებლო კვალიფიკაციას – რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა არა ძარცვა, არამედ – ყაჩაღობა. თუ დაზარალებული მიუთითებს, რომ მსჯავრდებულმა დანაშაულის ჩადენისას გამოიყენა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა, ეს განხილულ უნდა იქნეს, როგორც მისი პოზიცია ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

5. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ იმ საკითხის შეფასებისას, თუ რა პოზიცია ეკავა (რა მოთხოვნა ჰქონდა) მხარეს პირველი ინსტანციის სასამართლოში, რას ითხოვს სააპელაციო საჩივრით და რას ითხოვს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, გასათვალისწინებელია შემდეგი:

– აუცილებელი არ არის, რომ დაზარალებული პირველი ინსტანციის სასამართლოში აყენებდეს აბსოლუტურად განსაზღვრულ მოთხოვნას. მაგ.: დაზარალებული პირველი ინსტანციის სასამართლოში (სასამართლო სხდომის ოქმის შესაბამისად) ითხოვდა განსასჯელის „მკაცრად დასჯას“, „მკაცრი სასჯელის გამოყენებას“ და ა.შ., მაგრამ მოთხოვნა მკაცრად განსაზღვრული (მაგ.: 5 წლით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება) არ ყოფილა. თუ დაზარალებული მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი ლმობიერია, შეიტანს სააპელაციო საჩივარს და მოითხოვს სასჯელის დამძიმებას, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, დაამძიმოს მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელი;

– გადამწყვეტი არ არის, თუ პირველი ინსტანციის სასამართლო განხილვის რა ეტაპზეა დაფიქსირებული დაზარალებულისა და ბრალდების მხარის სხვა წარმომადგენლის (პროკურორის გარდა) პოზიცია, ანუ აუცილებელი არ არის, რომ პოზიცია (მოთხოვნა) დაფიქსირდეს აუცილებლად სასამართლო კამათის დროს. მაგ.: დაზარალებულმა სასამართლოში დაკითხვისას განაცხადა, რომ მას არ შეუძლია შემდგომ სხდომებში (სასამართლო კამათის დროს) მონაწილეობა და აქვე, დაკითხვისას დააფიქსირა თავისი მოთხოვნა. თუ დაზარალებული შემდგომში შეიტანს სააპელაციო საჩივარს საუარესოდ შებრუნების მოთხოვნით იმავე საფუძვლით, რაც მან დააფიქსირა სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებაში, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, დაამძიმოს მსჯავრდებულის მდგომარეობა;

– პროკურორის საჩივრით საუარესოდ შებრუნების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ დაზარალებულისა და ბრალდების მხარის სხვა წარმომადგენლისაგან განსხვავებით, პროკურორის პოზიცია (მოთხოვნა) პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო საჩივარში და სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე უფრო კონკრეტული უნდა იყოს. მაგ.: პროკურორი ვალდებულია, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, ისე სააპელაციო საჩივარში და სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომაზე ზუსტად მიუთითოს იმ ქმედების საკანონმდებლო კვალიფიკაცია, რომლის ჩადენისათვისაც ითხოვს განსასჯელის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ ცნობას, ასევე – სასჯელის სახე და ზომა, რომლის გამოყენებასაც ითხოვს განსასჯელის (მსჯავრდებულის) მიმართ და ა.შ.

6. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას უფლება არა აქვს, დამძიმების თვალსაზრისით გასცდეს:

– ბრალდების ფარგლებს, რომელიც ბრალდებულს წაუყენეს წინასწარი გამოძიების დროს, ანუ რომლითაც პირს ბრალი ედება საბრალდებო დასკვნით;

– ბრალდების ფარგლებს, რომელსაც მხარი დაუჭირეს პირველი ინსტანციის სასამართლოში.

7. მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესება (ანუ შებრუნება საუარესოდ) შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საუარესოდ შებრუნების მოთხოვნით საჩივარი შეიტანეს ბრალდების მხარის წარმომადგენელმა პროცესის მონაწილეებმა, ანუ საუარესოდ შებრუნების მოთხოვნით ბრალდების მხარის წარმომადგენელთა საჩივრის არარსებობა გამორიცხავს საუარესოდ შებრუნების შესაძლებლობას.

8. ამასთან, მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესება დაუშვებელია იმ საფუძველზე, რომელიც ბრალდების მხარის წარმომადგენელ პროცესის მონაწილეთა სააპელაციო საჩივარში არ არის მითითებული.

9. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ სასამართლო გამოძიება სრული მოცულობით ჩაატარა.

მუხლი 541. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 542. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების მიქცევა აღსასრულებლად

1. (ამოღებულია).

2. **სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიიქცევა 602-606-ე მუხლებით დადგენილი წესებით.**
3. **სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომლის საფუძველზედაც მსჯავრდებული პატიმრობიდან თავისუფლდება, აღსრულდება დაუყოვნებლივ, თუ მსჯავრდებული სასამართლო სხდომაში მონაწილეობს. სხვა შემთხვევებში განაჩენის ასლი დაუყოვნებლივ იგზავნება აღსასრულებლად წინასწარი პატიმრობის ადგილას. პირის პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ განკარგულება შეიძლება გადაიცეს ტელეგრაფით ან კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებებით.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 602-606-ე მუხლებით დადგენილი წესების შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 602-606-ე მუხლების კომენტარები).

2. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, რომლის საფუძველზეც მსჯავრდებული პატიმრობიდან თავისუფლდება, უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ და პირი სასამართლო სხდომის დარბაზშივე უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან, თუ იგი სასამართლო სხდომაში მონაწილეობს.

3. სხვა შემთხვევებში განაჩენის ასლი დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს აღსასრულებლად წინასწარი პატიმრობის ადგილას. პირის პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ განკარგულება შეიძლება გადაიცეს ტელეგრაფით (კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 602-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 543. სარევიზიო საწყისი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობაში

1. **სააპელაციო ინსტანციის სასამართლო არ იზღუდება საჩივრებში მოყვანილი დასკვნებით და ვალდებულია საქმე შეამოწმოს სრული მოცულობით, მათ შორის, იმ მსჯავრდებულთა მიმართაც, რომლებსაც არ შეუტანიათ საჩივრები. ამასთან, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს მსჯავრდებულთა სასარგებლოდ, მაგრამ უფლება არა აქვს გააუარესოს მათი მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარის წარმომადგენელ პროცესის მონაწილეებს თავიანთ საჩივრებში ამის შესახებ არ უთხოვიათ.**
2. **სარევიზიო წესით საქმის განხილვა არ გამორიცხავს იმ მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის განხილვას, რომელმაც გაუშვა გასაჩივრების ვადა საპატიო მიზეზით და ეს ვადა სასამართლომ აღადგინა.**

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა არ იზღუდება სააპელაციო საჩივარში მოყვანილი დასკვნებით და ვალდებულია, სისხლის სამართლის საქმე შეამოწმოს სრული მოცულობით, მათ შორის – იმ მსჯავრდებულის მიმართაც, რომელსაც სააპელაციო საჩივარი არ შეუტანია.

2. სარევიზიო საწყისის გამოყენებით სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შეუძლია, გადაწყვეტილება მიიღოს მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

3. სარევიზიო საწყისის გამოყენებით სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას უფლება არა აქვს, გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ ამის შესახებ ბრალდების მხარის წარმომადგენელ პროცესის მონაწილეებს თავიანთ სააპელაციო საჩივრებში არ უთხოვიათ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 540-ე მუხლის კომენტარები).

4. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სარევიზიო წესით სისხლის სამართლის საქმის განხილვა არ გამორიცხავს იმ მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის შემდგომში განხილვას, რომელმაც გაუშვა გასაჩივრების ვადა საპატიო მიზეზით და სასამართლომ ეს ვადა აღადგინა.

მუხლი 544. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომის განაწესი და ღონისძიებები მის დამრღვევთა მიმართ

სააპელაციო ინსტანციის სასამართლო იცავს სხდომის განაწესს და ახორციელებს ღონისძიებებს მის დამრღვევთა მიმართ 456-ე და 208-ე მუხლების შესაბამისად.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23) მუხლი 65)

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომის განაწესი სასამართლომ უნდა დაიცვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 456-ე მუხლის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 456-ე მუხლის კომენტარები).

2. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 545. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი უნდა შეიცავდეს 454-ე მუხლში მითითებულ ცნობებს.

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომის ოქმი უნდა შედგეს იმავე წესებით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 454-ე მუხლის კომენტარები).

თავი LVII
კასაცია

მუხლი 546. საკასაციო გასაჩივრების სუბიექტები

საკასაციო გასაჩივრების სუბიექტები არიან 518-ე მუხლში მითითებული პირები.

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილების საკასაციო წესით სრული მოცულობით გასაჩივრების უფლება აქვს:

– სახელმწიფო ბრალმდებელს;

– ზემდგომ პროკურორს;

– დაზარალებულს;

– დაზარალებულის წარმომადგენელს;

– დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს;

– მსჯავრდებულს;

– დამცველს;

– მსჯავრდებულის კანონიერ წარმომადგენელს;

– პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება;

– იმ პირის დამცველს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება;

– იმ პირის კანონიერ წარმომადგენელს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

2. მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის საფუძვლისა და თანხის ნაწილში განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვს:

– სამოქალაქო მოსარჩელეს;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოპასუხეს;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს.

3. დამცველსა და წარმომადგენელს, როგორც წესი, უფლება აქვთ, საკასაციო საჩივარი შეიტანონ მხოლოდ მსჯავრდებულის, დაზარალებულის, მარწმუნებლის თანხმობით.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებული, დაზარალებული, მარწმუნებელი არასრულწლოვანია, ან აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, დამცველსა და წარმომადგენელს უფლება აქვთ, საკასაციო საჩივარი შეიტანონ მსჯავრდებულის, დაზარალებულის, მარწმუნებლის თანხმობის გარეშე.

5. აღსანიშნავია, რომ თუ გარკვეული მიზეზების გამო სახელმწიფო ბრალმდებელს საკასაციო საჩივარი ვერ შეაქვს (შვებულება, მივლინება და ა.შ.), მაშინ საკასაციო საჩივარი უნდა შეიტანოს ზემდგომმა პროკურორმა და არა – იმავე ან თანაბარ თანამ-

დებობაზე მყოფმა პროკურორმა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

6. საკასაციო წარმოება ტარდება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე.

მუხლი 547. საკასაციო წესით გასაჩივრების საგანი

1. **საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი, განჩინება და სხვა გადაწყვეტილება, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა. განაჩენის, განჩინებისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების უკანონობაში იგულისხმება: სათანადო სამართლებრივი პროცედურის არსებითი დარღვევა, რომელიც არ გამოუვლენია პირველი ინსტანციის ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ან რომელიც მან დაუშვა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს; მსჯავრდებულის ქმედების არასწორი კვალიფიკაცია ან სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტის დროს სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენებისას დაშვებული შეცდომა; სასჯელის ისეთი სახის ან ზომის გამოყენება, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას.**
2. **საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ:**

ა) **საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;**

ბ) **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;**

გ) **სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს:

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა;

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა;

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხვა გადაწყვეტილება, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა.

2. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენის (განჩინების, სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) უკანონობაში იგულისხმება:

– სათანადო სამართლებრივი პროცედურის არსებითი დარღვევა, რომელიც არ გამოუვლენია პირველი ინსტანციის სასამართლოს (სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს);

– სათანადო სამართლებრივი პროცედურის არსებითი დარღვევა, რომელიც დაუშვა პირველი ინსტანციის სასამართლომ (სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ) სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს;

– მსჯავრდებულის ქმედების არასწორი კვალიფიკაცია;

– სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტის დროს სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენებისას დაშვებული შეცდომა;

– სასჯელის ისეთი სახის გამოყენება, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას;

– სასჯელის ისეთი ზომის გამოყენება, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას.

3. აღსანიშნავია ისიც, რომ საკასაციო საჩივრის წარდგენა ავტომატურად არ იწვევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივრის განხილვის ვალდებულების წარმოშობას, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დადგენილია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ინსტიტუტი, რომლის თანახმად, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საკასაციო საჩივარი უნდა განიხილოს მხოლოდ საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 555[1], 680-ე მუხლების კომენტარები).

4. საკასაციო საჩივარი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ განსახილველად დაშვებულ უნდა იქნეს, თუ:

– სისხლის სამართლის საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სისხლის სამართლის საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგზე.

მუხლი 548. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223)

მუხლი 549. საკასაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო

1. **საკასაციო საჩივარს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა 3 მოსამართლის შემადგენლობით.**
2. **საქმის საკასაციო წესით განმხილველ შემადგენლობას „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოტივირებული განჩინებით შეუძლია საქმე განსახილველად გადასცეს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.**
3. **უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმე საკასაციო წესით განიხილება ამ კოდექსისა და „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2001 წლის 8 ივნისის კანონი №920 – სსმ I, 2001 წ., №18, მუხლი 57)

1. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილ განაჩენზე, განჩინებასა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით.

2. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილ განაჩენზე, განჩინებასა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე შეტანილი საკასაციო საჩივარი „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, შეიძლება განიხილოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ.

3. სისხლის სამართლის საქმის საკასაციო წესით განმხილველ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის შემადგენლობას „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია, მოტივირებული განჩინებით სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადასცეს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

– სისხლის სამართლის საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

– უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას);

– უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

4. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილ განაჩენზე, განჩინებასა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარს „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული

კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განიხილავს კოლეგიურად, 9 მოსამართლის შემადგენლობით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად.

მუხლი 550. საკასაციო გასაჩივრების ვადა

1. **მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში.**
2. **საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება დადგენილებით აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა.**
3. **საკასაციო საჩივრის ფოსტით, კავშირგაბმულობით და სხვა ტექნიკური საშუალებებით გაგზავნისას საჩივარი შეტანილად ითვლება იმ დღიდან, როცა იგი გადაეცა ფოსტას ან კავშირგაბმულობის სხვა ორგანოს.**

(საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. მხარეს შეუძლია, საკასაციო საჩივარი შეიტანოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის კომენტარები).

2. გასაჩივრების ვადის ათვლა გასაჩივრების უფლების მქონე ყველა სუბიექტისათვის, მათ შორის – პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულისათვის, იწყება განაჩენის გამოცხადების მომენტიდან.

3. საკასაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

4. საკასაციო საჩივრის ფოსტით (კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით) გაგზავნის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი შეტანილად ითვლება იმ დღეს, როდესაც იგი გადაეცა ფოსტას (კავშირგაბმულობის სხვა ორგანოს).

5. სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ (სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ) შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, ანუ:

ა) თუ საკასაციო საჩივარი შეტანილია გასაჩივრების ვადის დარღვევით და არ არის განცხადებული მოთხოვნა გასაჩივრების ვადის აღდგენის შესახებ, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სისხლის სამართლის საქმე არ უნდა გადააგზავნოს უზენაეს სასამართლოში და საკასაციო საჩივრის შემტანს უნდა აცნობოს, რომ გასაჩივრების ვადის გაშვების გამო სისხლის სამართლის საქმე არ იქნება გადაგზავნილი უზენაეს სასამართლოში;

ბ) სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა არ არის უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით, მხარის მოთხოვნის (შუამდგომლობის, განცხადების) გარეშე იმსჯელოს გასაჩივრების ვადის აღდგენის საკითხზე;

გ) სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ მოთხოვნა (შუამდგომლობა, განცხადება) შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში;

დ) გასაჩივრების ვადის აღდგენის მოთხოვნა შეიძლება დაფიქსირდეს:

– ან საკასაციო საჩივარში;

– ან ცალკე შეტანილ მოთხოვნაში (შუამდგომლობაში, განცხადებაში);

ე) საკასაციო გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენაზე პირდაპირ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ მსჯელობა დაუშვებელია;

ვ) თუ გაშვებული იყო გასაჩივრების ვადა და სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მაინც გადააგზავნა სისხლის სამართლის საქმე უზენაეს სასამართლოში, უზენაესი სასამართლოდან სისხლის სამართლის საქმე უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს;

ზ) სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სათანადო საფუძვლების არსებობისას უფლებამოსილია:

– აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა;

– უარი თქვას გასაჩივრების ვადის აღდგენაზე;

თ) მტკიცების ტვირთი, რომ გასაჩივრების ვადა საპატიო მიზეზით იქნა გაცდენილი, ეკისრება გასაჩივრების ვადის გამცდენ (გასაჩივრების ვადის აღდგენის მომთხოვნ) პირს;

ი) სასამართლოს გადაწყვეტილება გაცდენილი გასაჩივრების ვადის აღდგენის შესახებ არ საჩივრდება, ანუ, თუ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა საპატიოდ მიიჩნევს და აღადგენს გაცდენილ გასაჩივრების ვადას, სისხლის სამართლის საქმე საკასაციო საჩივართან ერთად საერთო წესით უნდა გადაეგზავნოს უზენაეს სასამართლოს და იგი ექვემდებარება საკასაციო განხილვას;

კ) სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება გაცდენილი გასაჩივრების ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება საერთო წესით მხოლოდ ერთხელ გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში, ანუ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება გასაჩივრების ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ უნდა გასაჩივრდეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და თუ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უარს იტყვის გასაჩივრების ვადის აღდგენაზე (ძალაში დატოვებს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებას გასაჩივრების ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ), ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება;

ლ) უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, საპატიო მიზეზის არსებობისას აღადგინოს (საპატიოდ მიიჩნიოს) გაშვებული გასაჩივრების ვადა (ანუ გააუქმოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ) და განიხილოს სისხლის სამართლის საქმე საკასაციო საჩივრის საფუძველზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე, 213-ე, 214-ე, 215-ე, 216-ე, 236-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 551. საკასაციო საჩივრის შეტანისა და განხილვის ვადები

1. **საკასაციო საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით მოქმედებს ამ კოდექსის 524-ე მუხლით დადგენილი წესები.**
2. **საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. საკასაციო საჩივრის შემტანი პირი ვალდებულია, განაჩენის გამომტან სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში შეიტანოს საკასაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ იგი სასამართლომ გადასცეს პროცესის ყოველ მონაწილეს, რომელსაც სისხლის სამართლის საქმეში მხარის საპროცესო მდგომარეობა უკავია.

2. უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის გაგზავნისას სისხლის სამართლის საქმეს უნდა დაერთოს განაჩენის იმდენი ეგზემპლარი, რამდენი პირის მიმართაც არის განაჩენი დადგენილი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 524-ე მუხლის კომენტარები).

3. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

მუხლი 552. საკასაციო საჩივარი

1. **საკასაციო საჩივარში აღინიშნება:**
ა) **იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შედის საჩივარი;**
ბ) **მონაცემები იმ პირის შესახებ, რომელსაც შეაქვს საჩივარი (სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საპროცესო მდგომარეობა);**
გ) **გასაჩივრებული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილება, მისი გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი;**
დ) **მომჩივნის აზრით, რა სამართლებრივი საკითხები გადაწყდა არასწორად და რა ადასტურებს ამას;**
ე) **რაში მდგომარეობს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის უსამართლობა;**
ვ) **საპროცესო ნორმების რა მოთხოვნები დაირღვა და არსებითია თუ არა ეს დარღვევები;**
ზ) **დამატებით წარმოდგენილი მასალები;**
2. **თუ საჩივარი არ შეესაბამება ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, საკასაციო სასამართლოს მოსამართლე კასატორს აძლევს**

დროს 5 დღის ვადით, რომელიც საჭიროა საჩივრის ხარვეზის შესავსებად, ხოლო თუ მომჩივანს უჭირს ამის გაკეთება, უნიშნავს მას დამცველს. თუ კასატორი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას საკასაციო საჩივარი არ განიხილება, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი და სხვა სასამართლო გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და მიექცევა აღსასრულებლად ამ კოდექსით დადგენილი წესით. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. **კასატორს უფლება აქვს სათათბირო ოთახში შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე უკან გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საჩივრის განმეორებით შეტანა არ დაიშვება, ხოლო სასამართლოს მიერ ამ საკითხზე გამოტანილი განჩინება არ გასაჩივრდება.**
4. **მომჩივანი სახელმწიფო ბაჟს არ იხდის.**
5. **საკასაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223)

1. საკასაციო საჩივარში უნდა აღინიშნოს:

– იმ სასამართლოს დასახელება, სადაც შედის საკასაციო საჩივარი;

– საკასაციო საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი;

– საკასაციო საჩივრის შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

– საკასაციო საჩივრის შემტანი პირის საპროცესო მდგომარეობა;

– გასაჩივრებული განაჩენი (სხვა სასამართლო გადაწყვეტილება);

– გასაჩივრებული განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გამომტანი სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა;

– გასაჩივრებული განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გამოტანის თარიღი;

– კასატორის აზრით, რა სამართლებრივი საკითხები გადაწყდა არასწორად;

– კასატორის აზრით, რა ადასტურებს სამართლებრივი საკითხების არასწორად გადაწყვეტის ფაქტს;

– რაში მდგომარეობს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ დანიშნული სასჯელის უსამართლობა;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რა მოთხოვნები დაირღვა;

– არსებითია თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევები;

– დამატებით წარმოდგენილი მასალები.

2. საკითხის შეფასების უფლება, აკმაყოფილებს თუ არა საკასაციო საჩივარი ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს და აქვს თუ არა საკასაციო საჩივარს ხარვეზი, აქვს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეს და არა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, ანუ, თუ საკასაციო საჩივარი შეიტანა უფლებამოსილმა პირმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადაში, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ვალდებულია, საკასაციო საჩივარი და სისხლის სამართლის საქმე გადაუგზავოს უზენაეს სასამართლოს, მიუხედავად იმისა, აკმაყოფილებს თუ არა საკასაციო საჩივარი ყველა ზემოაღნიშნულ მოთხოვნას.

3. თუ საკასაციო საჩივარი არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ კასატორს უნდა მისცეს დრო (5 დღის ვადა) საკასაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად, ხოლო თუ კასატორს უჭირს ამის გაკეთება, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ კასატორს უნდა დაუნიშნოს დამცველი.

4. თუ კასატორი არ შეასრულებს მოთხოვნას ხარვეზის შევსების შესახებ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საკასაციო საჩივარი არ უნდა განიხილოს და უნდა გამოიტანოს განჩინება საკასაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. კასატორს უფლება აქვს, სათათბირო ოთახში შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე უკან გაითხოვოს თავისი საკასაციო საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის განმეორებით შეტანა არ დაიშვება. ამასთან, სასამართლოს მიერ ამ საკითხზე გამოტანილი განჩინება არ საჩივრდება.

6. სისხლის სამართლის საქმეზე საკასაციო საჩივრის შეტანისას მომჩივანი სახელმწიფო ბაჟს არ იხდის.

7. საკასაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, საკასაციო საჩივრის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმე განიხილოს:

– ზეპირი მოსმენით;

– ზეპირი მოსმენის გარეშე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 555[1] მუხლის კომენტარები).

მუხლი 553. კერძო საკასაციო საჩივარი

1. **კერძო საკასაციო საჩივარი შეაქვთ 547-ე მუხლში მითითებული სასამართლოების ყველა შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას დაშვებულ კანონის დარღვევაზე, გარდა განაჩენისა.**
2. **547-ე მუხლში მითითებული სასამართლოების მიერ საქმის განხილვისას გამოტანილი განჩინებები და დადგენილებები, რომელთაც არა აქვთ შემაჯამებელი ხასიათი, შეიძლება საკასაციო წესით გასაჩივრდეს განაჩენთან ერთად.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დადგენილია საკასაციო საჩივრის ორი ფორმა:

– საკასაციო საჩივარი;

– კერძო საკასაციო საჩივარი.

2. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენზე შეიტანება საკასაციო საჩივარი.

3. კერძო საკასაციო საჩივარი შეიტანება სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოტანილ ყველა შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე (განაჩენის გარდა), რითაც მთავრდება ამ სისხლის სამართლის საქმის წარმოება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

4. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის შუალედური, არაშემაჯამებელი ხასიათის განჩინება (დადგენილება), რაც გამოტანილია სისხლის სამართლის საქმის განხილვისას და რითაც არ მთავრდება ამ სისხლის სამართლის საქმის წარმოება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, შეიძლება საკასაციო წესით გასაჩივრდეს განაჩენთან ერთად. მაგ.: განჩინება სასამართლო შემადგენლობის აცილებაზე უარის თქმის შესახებ. შუალედური გადაწყვეტილების განაჩენთან ერთად გასაჩივრება არ გულისხმობს შუალედურ გადაწყვეტილებაზე აუცილებლად მხოლოდ ცალკე საკასაციო საჩივრის შეტანის ვალდებულებას. პირი უფლებამოსილია, განაჩენზე შეტანილ საკასაციო საჩივარშივე მიუთითოს შუალედური გადაწყვეტილების უკანონობის შესახებაც და ცალკე არ შეიტანოს საკასაციო საჩივარი შუალედურ გადაწყვეტილებაზე.

მუხლი 554. დამატებითი საკასაციო საჩივარი

დამატებითი საკასაციო საჩივარი, 526-ე მუხლით დადგენილი წესით, შეაქვთ მხოლოდ სამართლის საკითხებზე.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ძირითადი საკასაციო საჩივრის ხარვეზის შევსების მიზნით შესაძლებელია დამატებითი საკასაციო საჩივრის შეტანა.

2. დამატებითი საკასაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხოლოდ საკასაციო გასაჩივრებისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 550-ე, 551-ე მუხლების კომენტარები).

3. დამატებითი საკასაციო საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ სამართლის საკითხებზე.

მუხლი 555. საკასაციო საჩივრის შესაგებელი

საკასაციო საჩივრის შესაგებელს მხარეები აყენებენ 527-ე მუხლით დადგენილი წესით.

1. მხარეს უფლება აქვს, მიიღოს საკასაციო საჩივრის ასლი მისი შეტანიდან არა უგვიანეს 5 დღეში.

2. პირს (მხარეს), რომელმაც მიიღო საკასაციო საჩივრის ასლი, უფლება აქვს, 5 დღის ვადაში იმავე სასამართლოს წარუდგინოს შესაგებელი.

3. შესაგებელი საკასაციო საჩივარსა და სისხლის სამართლის საქმესთან ერთად უნდა გადაეგზავნოს უზენაეს სასამართლოს.

4. უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის გაგზავნამდე კასატორს უფლება აქვს, სასამართლოსაგან მიიღოს საკასაციო საჩივრის შესაგებლის ასლი.

მუხლი 555[1]. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

1. **თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს ამ კოდექსის 552-ე მუხლის მოთხოვნებს, სასამართლო იღებს წარმოებაში საკასაციო საჩივარს ამავე კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად.**
2. **ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს სასამართლო წყვეტს ზეპირი განხილვის გარეშე.**

(საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეტანილი საკასაციო საჩივარი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ უნდა მიიღოს წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 552-ე მუხლის კომენტარები).

2. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა საკასაციო საჩივარს განსახილველად დაუშვებს, თუ:

– სისხლის სამართლის საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სისხლის სამართლის საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რასაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის კომენტარები).

3. თუ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს დასაშვებობის ზემოაღნიშნულ პირობებს, საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული.

4. დასაშვებობის შესამოწმებლად საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის (საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მისი განხილვის) საკითხები უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ უნდა გადაწყვიტოს ზეპირი განხილვის გარეშე.

5. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა საკასაციო საჩივარს არ იხილავს.

6. საკასაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, საკასაციო საჩივრის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმე განიხილოს:

– ზეპირი მოსმენით;

– ზეპირი მოსმენის გარეშე.

მუხლი 556. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223)

მუხლი 557. საქმის მოსასმენად მომზადება

საკასაციო სასამართლოში მოსასმენად საქმე მზადდება 530-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესებით.

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178)

1. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე, რომელსაც განსახილველად გადაეცემა სისხლის სამართლის საქმე, ან სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის ყველა მოსამართლე უფლებამოსილია, შეისწავლოს სისხლის სამართლის საქმე, საკასაციო საჩივრები, მათი შესაგებლები სისხლის სამართლის საქმის განხილვის დაწყებამდე.

2. შესწავლის შედეგების მიხედვით მოსამართლემ უნდა შეადგინოს ცნობა, რომელშიც უნდა ჩამოაყალიბოს სისხლის სამართლის საქმის არსი, საკასაციო საჩივრების შინაარსი, მომჩივანთა მოსაზრება, საკასაციო საჩივრის შესაგებლის შინაარსი, უნდა აღნიშნოს მომჩივანთა პოზიციის დამადასტურებელი ან/და გამაბათილებელი მტკიცებულებები, მაგრამ თავისი აზრი არ უნდა გამოთქვას.

3. ცნობის ასლი ამ შემადგენლობის ყველა მოსამართლეს უნდა გადაეცეს.

მუხლი 558. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის მონაწილენი

საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვაში მონაწილეობენ 531-ე მუხლის პირველ ოთხ ნაწილში მითითებული პირები. პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული – მისი შუამდგომლობით და სასამართლოს გადაწყვეტილებით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287

– სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2000 წლის 28 ივნისის კანონი №411 – სსმ I, 2000 წ., №26, მუხლი 73)

1. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა, რაც ნიშნავს როგორც სასამართლოს ვალდებულებას, აცნობოს პროკურორს (შესაბამის პროკურატურას) სხდომის დღე, ასევე შესაბამისი პროკურატურის ვალდებულებას, უზრუნველყოს პროცესში პროკურორის მონაწილეობა და პროკურორის ვალდებულებას – მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის საკასაციო წესით განხილვაში.

2. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დამცველის მოწვევა და დანიშვნა დასაშვებია იმავე საფუძველზე და იმავე წესით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80, 81-ე, 445-ე მუხლების კომენტარები).

3. პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომაზე უნდა მიიყვანონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული შუამდგომლობს აღნიშნულის თაობაზე და უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა დააკმაყოფილებს ამ შუამდგომლობას, ანუ მხოლოდ პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის შუამდგომლობის არსებობა არ წარმოშობს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომაზე მისი წარმოდგენის ვალდებულებას.

4. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას უნდა გამოიძახონ:

– მსჯავრდებული, რომელიც პატიმრობაში არ იმყოფება (გამართლებული);
– დაზარალებული;
– დაზარალებულის წარმომადგენელი;
– სამოქალაქო მოსარჩელე;
– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი;
– სამოქალაქო მოპასუხე;
– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი.

5. მსჯავრდებულის, რომელიც პატიმრობაში არ იმყოფება (გამართლებულის), დაზარალებულის, დაზარალებულის წარმომადგენლის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლის, სამოქალაქო მოპასუხის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა, როგორც წესი, არ აბრკოლებს სისხლის სამართლის საქმის განხილვას, მაგრამ, თუ რომელიმე მათგანის საკასაციო საჩივარი განიხილება, სისხლის სამართლის საქმის მოსმენა უნდა გადაიდოს.

6. ამ პირთა განმეორებითი გამოუცხადებლობის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე მათ დაუსწრებლად უნდა განიხილონ.

მუხლი 559. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

მუხლი 560. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საჩივრებისა და საქმის განხილვის წესი

1. **საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საჩივრებისა და საქმის განხილვა იწყება 533-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილი წესებით.**
2. **მოსამართლის მოხსენებისა და მომჩივნის გამოსვლის შემდეგ საჩივრისა და განაჩენის შესახებ თავის მოსაზრებებს აყალიბებს მომჩივანი მხარის სხვა წარმომადგენელი.**
3. **შემდეგ თავიანთ მოსაზრებებს აყალიბებს მომჩივნის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი. გამოსვლების თანამიმდევრობას ისინი თავად განსაზღვრავენ, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში თანამიმდევრობას განსაზღვრავს სასამართლო.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრისა და სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა დაიწყოს სისხლის სამართლის საქმის შემსწავლელი მოსამართლის მოხსენებით.

2. სისხლის სამართლის საქმის შემსწავლელი მოსამართლის მოხსენებაში უნდა ჩამოყალიბდეს:

– სისხლის სამართლის საქმის არსი;

– გასაჩივრებული განაჩენის ძირითადი შინაარსი;

– კასატორის მოთხოვნები;

– პროცესის მონაწილისაგან შესული საჩივრის შესაგებელი.

3. სისხლის სამართლის საქმის შემსწავლელ მოსამართლეს უფლება აქვს, ყურადღება მიაპყროს საკასაციო საჩივარში მიუთითებელ:

– გარემოებებზე, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი მსჯავრდებულის (გამართლებულის) საზიანოდ არ იქნეს გაგებული;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნების დარღვევებზე, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი მსჯავრდებულის (გამართლებულის) საზიანოდ არ იქნეს გაგებული.

4. ამასთან, მომხსენებელმა მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან.

5. მოხსენების მოსმენის შემდეგ პროცესის მონაწილეებს უფლება აქვთ, მომხსენებელ მოსამართლეს მოხსენებასთან დაკავშირებით დაუსვან კითხვები შემდეგი თანამიმდევრობით:

– ბრალდების მხარე;
– დაცვის მხარე;
– მოსამართლეები.

6. მოსამართლის მოხსენების მოსმენისა და მოხსენებასთან დაკავშირებული კითხვა-პასუხის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კასატორმა ან მისმა დამცველმა (წარმომადგენელმა) უნდა დაასაბუთოს თავისი საკასაციო საჩივრის მოსაზრებები.

7. კასატორის ან მისი დამცველის (წარმომადგენლის) მიერ თავისი მოსაზრებების წარმოდგენის შემდეგ პროცესის მონაწილეებს უფლება აქვთ, კასატორს ან მის წარმომადგენელს (დამცველს) დაუსვან კითხვები შემდეგი თანამიმდევრობით:
– ბრალდების მხარე;
– დაცვის მხარე;
– მოსამართლეები.

8. კასატორის ან მისი დამცველის (წარმომადგენლის) გამოსვლისა და შესაბამისი კითხვა-პასუხის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკასაციო საჩივრისა და განაჩენის შესახებ თავისი მოსაზრებები უნდა ჩამოაყალიბოს მომჩივანი მხარის სხვა წარმომადგენელმა.

9. აღნიშნულის შემდეგ თავისი მოსაზრებები უნდა ჩამოაყალიბოს მომჩივნის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა. ამასთან, მისთვის კითხვების დასმა დაუშვებელია.

10. თუ სასამართლო სხდომაზე მხარეს რამდენიმე წარმომადგენელი წარმოადგენს, გამოსვლების თანამიმდევრობა მათ თვითონ უნდა განსაზღვრონ. ამასთან, წარმომადგენლებს შორის გამოსვლების თანამიმდევრობასთან დაკავშირებით უთანხმოების არსებობის შემთხვევაში მათი გამოსვლების თანამიმდევრობა უნდა განსაზღვროს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ.

მუხლი 561. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სახეები

1. საკასაციო ინსტანცია განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) განაჩენს ან განჩინებას უცვლელად ტოვებს, ხოლო საჩივრებს – დაუკმაყოფილებლად;
ბ) აუქმებს განაჩენს და საქმეს გზავნის ახალი სასამართლო განხილვისათვის;
გ) აუქმებს განაჩენს და წყვეტს საქმეს;
დ) ცვლის განაჩენს მსჯავრდებულის სასიკეთოდ;
ე) აუქმებს პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების განაჩენს ან განჩინებას.
2. თუ განსასჯელი მიჩნეულია დამნაშავედ რამდენიმე დანაშაულში, რომელთაგან თითოეული კვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით და შეიძლება ცალკე იქნეს განხილული, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს შეუძლია გააუქმოს განაჩენი და გაგზავ-

ნოს საქმე ხელახალი სასამართლო განხილვისათვის ერთი ან რამდენიმე ბრალდების ნაწილში და უცვლელად დატოვოს დანარჩენ ნაწილში.

3. **განაჩენის შეცვლისას სასამართლოს უფლება აქვს გამორიცხოს ბრალდების ის ნაწილები ან ეპიზოდები, ანდა ის გარემოებები, რომლებიც ამძიმებენ ბრალდებულის პასუხისმგებლობას.**
4. **სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენის გაუქმებისას საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად გადაეცემა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.**
5. **თუ განაჩენის გაუქმებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დროს ვერ დადგინდა დანაშაულის შემთხვევა ან ვერ დამტკიცდა განსასჯელის მონაწილეობა დანაშაულში, საკასაციო განჩინებაში აღინიშნება, რომ სამოქალაქო სარჩელს უარი ეთქვა.**
6. **სხვა საფუძვლით განაჩენის გაუქმებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დროს განჩინების სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება, რომ სარჩელი არ განიხილება.**
7. **საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გამოაცხადოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ყველა შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს განჩინების სახით.

2. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განჩინებით შესაძლებელია, მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

– განაჩენი (განჩინება) დატოვოს უცვლელად, ხოლო საკასაციო საჩივარი – დაუკმაყოფილებლად;

– გააუქმოს განაჩენი და სისხლის სამართლის საქმე გაგზავნოს ახალი სასამართლო განხილვისათვის;

– გააუქმოს განაჩენი და შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე;

– შეცვალოს განაჩენი მსჯავრდებულის სასიკეთოდ;

– გააუქმოს პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების განაჩენი (განჩინება).

3. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, გამოაცხადოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ თუ პირი მიჩნეულია დამნაშავედ რამდენიმე დანაშაულში, რომელთაგან თითოეული კვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი

მუხლით და შეიძლება ცალკე იქნეს განხილული, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, ერთი (რამდენიმე) ბრალდების ნაწილში განაჩენი გააუქმოს და სისხლის სამართლის საქმე გააგზავნოს ხელახალი სასამართლო განხილვისათვის, ხოლო განაჩენი დანარჩენ ნაწილში უცვლელად დატოვოს. მაგ.: სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებული დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისა და ყაჩაღობის ჩადენაში. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი უცვლელად დატოვოს ყაჩაღობის ჩადენის ნაწილში, ხოლო განაჩენი მსჯავრდებულის მიერ დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენის ნაწილში – გააუქმოს და სისხლის სამართლის საქმე ამ ნაწილში გააგზავნოს ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.

5. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენის შეცვლისას უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, გამორიცხოს ბრალდების ის ნაწილები (ეპიზოდები), ანდა ის გარემოებები, რომლებიც ამძიმებენ პირის პასუხისმგებლობას.

6. თუ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენის გაუქმებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დროს ვერ დადგინდა დანაშაულის შემთხვევა ან ვერ დამტკიცდა პირის მონაწილეობა დანაშაულში, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებაში უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7. თუ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი გააუქმა და სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა სხვა საფუძვლით, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებაში უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სარჩელი არ განიხილება.

8. თუ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი გააუქმა სამოქალაქო სარჩელის ნაწილში, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ხელახლა განსახილველად უნდა გადაეცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ანუ სამოქალაქო სარჩელი განსახილველად უნდა გადაეგზავნოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს (და არა – სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს).

მუხლი 562. საკასაციო წესით განაჩენის გაუქმებისა და შეცვლის საფუძველი

საკასაციო წესით განაჩენის გაუქმებისა და შეცვლის საფუძველია:

ა) სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა;

ბ) სისხლის სამართლის ან სხვა მატერიალური სამართლის კანონის არასწორი გამოყენება;

გ) სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შეუსაბამობა მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს საკასაციო წესით განაჩენის გაუქმებისა და შეცვლის საფუძველს, კერძოდ: სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ უნდა გააუქმოს (შეცვალოს), თუ:

– არსებითად დარღვეულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 563-ე მუხლის კომენტარები);

– არასწორად არის გამოყენებული სისხლის სამართლის (სხვა მატერიალური სამართლის) კანონი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 564-ე მუხლის კომენტარები);

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ დანიშნული სასჯელი შეუსაბამოა მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და პიროვნებასთან (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 565-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 563. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევები

1. **არსებითად ითვლება ამ კოდექსის მოთხოვნათა ისეთი დარღვევები, რომლებმაც შეზღუდეს პროცესის მონაწილეთა უფლებები, ხელი შეუშალეს საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, გავლენა მოახდინეს კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე.**
2. **განაჩენი გასაუქმებელია ყველა შემთხვევაში, თუ:**

ა) **წინასწარი გამოძიება ან სასამართლო განხილვა ჩატარდა სისხლის სამართალწარმოების გამომრიცხავი საფუძვლების არსებობისას;**

ბ) **განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს;**

გ) **(ამოღებულია);**

დ) **ბრალდებული ან მისი დამცველი საქმის ყველა მასალის გაცნობის უფლებით არ იქნენ უზრუნველყოფილი;**

ე) **განსასჯელი სამართალში არ არის მიცემული კანონით დადგენილი წესით;**

ვ) **საქმე გამოიძიეს ან განიხილეს დამცველის მონაწილეობის გარეშე, როცა კანონით მისი მონაწილეობა სავალდებულო იყო;**

ზ) **დაირღვა ბრალდებულის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის უფლება ისარგებლოს მშობლიური ენით ან სხვა ენით, რომელიც მან იცის;**

თ) **დაირღვა განსჯადობის წესები;**

ი) **საქმე განიხილეს მსჯავრდებულის დაუსწრებლად, როცა კანონით მისი დასწრება სავალდებულოა;**

კ) **მსჯავრდებულს არ მისცეს საბოლოო სიტყვა;**

ლ) **განაჩენი გამოიტანა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;**

მ) **დაირღვა მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება;**

ნ) **საქმეში არ არის სასამართლო სხდომის სათანადოდ გაფორმებული ოქმი;**

ო) **განაჩენზე რომელიმე მოსამართლეს არ მოუწერია ხელი, გარდა 506-ე მუხლის მე-2 ნაწილისა.**

3. გამამართლებელი განაჩენი არ შეიძლება გაუქმდეს, თუ დაირღვა ბრალდებულის დაცვის უფლება.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების არსებითი დარღვევების ზოგად ჩამონათვალს, ისე – განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძვლების ჩამონათვალს.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების არსებითი დარღვევებია ისეთი, რომლებმაც:

– შეზღუდეს პროცესის მონაწილეების უფლებები;

– ხელი შეუშალეს სისხლის სამართლის საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას;

– გავლენა მოახდინეს კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე.

3. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განაჩენი უნდა გააუქმოს, თუ:

– წინასწარი გამოძიება ჩატარდა სისხლის სამართალწარმოების გამომრიცხავი საფუძვლების არსებობისას;

– სასამართლო განხილვა ჩატარდა სისხლის სამართალწარმოების გამომრიცხავი საფუძვლების არსებობისას;

– განაჩენი ემყარება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის კომენტარები);

– ბრალდებული სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალის გაცნობის უფლებით არ იქნა უზრუნველყოფილი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 416^1 მუხლის კომენტარები);

– დამცველი სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალის გაცნობის უფლებით არ იქნა უზრუნველყოფილი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 416^1 მუხლის კომენტარები);

– სისხლის სამართლის საქმე გამოიძიეს დამცველის მონაწილეობის გარეშე, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მისი მონაწილეობა სავალდებულო იყო (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის კომენტარები);

– სისხლის სამართლის საქმე განიხილეს დამცველის მონაწილეობის გარეშე, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მისი მონაწილეობა

სავალდებულო იყო (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის კომენტარები);

– დაირღვა ბრალდებულის (განსასჯელის, მსჯავრდებულის) უფლება – ისარგებლოს მშობლიური ენით ან სხვა ენით, რომელიც მან იცის (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის კომენტარები);

– დაირღვა განსჯადობის წესები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის კომენტარები);

– სისხლის სამართლის საქმე განიხილეს მსჯავრდებულის დაუსწრებლად, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მისი დასწრება სავალდებულოა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 443-ე მუხლის კომენტარები);

– მსჯავრდებულს არ მისცეს საბოლოო სიტყვა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 492-ე მუხლის კომენტარები);

– განაჩენი გამოიტანა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;

– დაირღვა მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 497-ე მუხლის კომენტარები);

– სისხლის სამართლის საქმეში არ არის სასამართლო სხდომის სათანადოდ გაფორმებული ოქმი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 454-ე მუხლის კომენტარები);

– განაჩენზე რომელიმე მოსამართლეს ხელი არ მოუწერია (განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლის გარდა) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 506-ე მუხლის კომენტარები).

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გამამართლებელი განაჩენი არ შეიძლება გაუქმდეს, თუ დაირღვა ბრალდებულის დაცვის უფლება. მაგ.: დაუშვებელია, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გააუქმოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გამამართლებელი განაჩენი იმ საფუძვლით, რომ გამართლებულისათვის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას საბოლოო სიტყვა არ მიუციათ.

მუხლი 564. სისხლის სამართლის ან სხვა მატერიალური კანონის არასწორი გამოყენება

კანონი არასწორად გამოიყენება, როცა სასამართლო:

ა) არ იყენებს კანონს, რომელიც უნდა გამოეყენებინა;

ბ) იყენებს კანონს, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;

გ) სწორად არ განმარტავს კანონს.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დადგენილია სისხლის სამართლის (სხვა მატერიალური) კანონის არასწორად გამოყენების შემთხვევების ჩამონათვალი, კერძოდ, კანონი არასწორად არის გამოყენებული, როდესაც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო:

– არ იყენებს სისხლის სამართლის (სხვა მატერიალურ) კანონს, რომელიც უნდა გამოეყენებინა;

– იყენებს სისხლის სამართლის (სხვა მატერიალურ) კანონს, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;

– სწორად არ განმარტავს სისხლის სამართლის (სხვა მატერიალურ) კანონს.

მუხლი 565. სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შეუსაბამობა მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და პიროვნებასთან

მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო აშკარად უსამართლოა.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლით (მუხლის ნაწილით, მუხლის ნაწილის ქვეპუნქტით) გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით აშკარად უსამართლოა:

– მეტისმეტი სიმკაცრის გამო;

– მეტისმეტი სიმსუბუქის გამო (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები).

2. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას უზენესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს და ა.შ.

მუხლი 566. საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა

1. **საკასაციო ინსტანციას უფლება არა აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები ან დამტკიცებულად არ ჩათვალოს განაჩენსა თუ გასაჩივრებულ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებაში მოყვანილი ფაქტები, გააფართოოს ბრალდების მოცულობა, გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის თანხა, ან მიიღოს მსჯავრდებულის საზიანო სხვა გადაწყვეტილება.**
2. **საკასაციო ინსტანციას უფლება არა აქვს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოტივით გააუქმოს სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნოს ხელახალი სასამართლო განხილვისათვის, თუ დაცული არ არის ამ კოდექსის 540-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობები.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლო იხილავს სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილების მხოლოდ კანონიერების საკითხს, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას უფლება არა აქვს:

– დაადგინოს ახალი ფაქტები;

– დამტკიცებულად არ ჩათვალოს განაჩენში (გასაჩივრებულ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებაში) მოყვანილი ფაქტები;

– გააფართოოს ბრალდების მოცულობა;

– გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი (მუხლის ნაწილი, მუხლის ნაწილის ქვეპუნქტი);

– დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი;

– გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის თანხა;

– მიიღოს მსჯავრდებულის საზიანო სხვა გადაწყვეტილება.

2. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოტივით გააუქმოს სასამართლოს გადაწყვეტილება და სისხლის სამართლის საქმე დააბრუნოს ხელახალი სასამართლო განხილვისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროკურორმა, დაზარალებულმა, ბრალდების მხარის წარმომადგენელმა პროცესის სხვა მონაწილემ:

– საკასაციო საჩივარი შეიტანეს სწორედ ამ მოთხოვნით (გაუარესების მოტივით);

– ასეთივე პოზიცია ეკავათ პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში;

– უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სასამართლო სხდომაზეც მხარი დაუჭირეს თავიანთ საჩივარს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 540-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 567. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობის სარევიზიო საწყისი

1. **საკასაციო ინსტანციის სასამართლო არ იზღუდება საჩივარში ჩამოყალიბებული დასკვნებით და ვალდებულია საქმე სრული მოცულობით შეამოწმოს, მათ შორის იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანიათ. ამასთან, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასარგებლოდ, მაგრამ უფლება არა აქვს გააუარესოს მისი მდგომარეობა.**
2. **სარევიზიო წესით საქმის შემოწმება არ გამორიცხავს იმ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის განხილვას, რომელმაც გასაჩივრების ვადა გააცდინა საპატიო მიზეზით და ეს ვადა სასამართლომ აღადგინა.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75)

1. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა არ იზღუდება საკასაციო საჩივარში მოყვანილი დასკვნებით და ვალდებულია, სისხლის სამართლის საქმე შეამოწმოს სრული მოცულობით, მათ შორის – იმ მსჯავრდებულის მიმართაც, რომელსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანია.

2. სარევიზიო საწყისის გამოყენებით უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შეუძლია, გადაწყვეტილება მიიღოს მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

3. სარევიზიო საწყისის გამოყენებით უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას უფლება არა აქვს, გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა.

4. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სარევიზიო წესით სისხლის სამართლის საქმის განხილვა არ გამორიცხავს იმ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის შემდგომში განხილვას, რომელმაც გაუშვა გასაჩივრების ვადა საპატიო მიზეზით და სასამართლომ ეს ვადა აღადგინა.

მუხლი 568. საკასაციო განჩინების შინაარსი

1. საკასაციო განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს:
ა) განჩინების გამოტანის დრო და ადგილი;
ბ) განჩინების გამომტანი სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის მონაწილე პირები;
გ) საჩივრის შემტანი პირი;
დ) განაჩენისა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი, რომელზედაც შეტანილია საჩივარი;
ე) საჩივრის არსი და შესაგებელი, საკასაციო სხდომის მონაწილე პირთა ახსნა-განმარტების მოკლე შინაარსი.
2. საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში განჩინებაში უნდა აღინიშნოს საფუძველი, რის გამოც საჩივრის დასკვნები არასწორად ან არაარსებითად არის მიჩნეული.
3. თუ განაჩენი გაუქმდა ან შეიცვალა, განჩინებაში უნდა აღინიშნოს, კანონის რომელი მუხლის მოთხოვნები დაირღვა და რაში გამოიხატა ეს დარღვევები.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებაში უნდა აღინიშნოს:

– განჩინების გამოტანის დრო;

– განჩინების გამოტანის ადგილი;

– განჩინების გამომტანი სასამართლოს სახელწოდება;

– განჩინების გამომტანი სასამართლოს შემადგენლობა;

– უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვის მონაწილე პირები;

– საკასაციო საჩივრის შემტანი პირი;

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი, რომელზეც შეტანილია საკასაციო საჩივარი;

– საკასაციო საჩივრის არსი;

– შესაგებელი;

– უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სასამართლო სხდომის მონაწილე პირების ახსნა-განმარტების მოკლე შინაარსი.

2. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებაში უნდა აღინიშნოს საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივრის დასკვნები:

– არასწორად არის მიჩნეული;

– არაარსებითად არის მიჩნეული.

3. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენის გაუქმებისას (შეცვლისას) უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებაში უნდა აღინიშნოს:

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რომელი მუხლის მოთხოვნები დარღვა;

– რაში გამოიხატა ეს დარღვევები.

მუხლი 569. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება განაჩენის გაუქმებისას ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას

დანაშაულის შემთხვევის ან ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობისას, აგრეთვე მაშინ, როდესაც განსასჯელი არ მონაწილეობდა დანაშაულში, დაუშვებელია განაჩენის გაუქმების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებაში ისეთ ფორმულირებათა შეტანა, რომლებიც საეჭვოს ხდის იმ პირის უდანაშაულობას, რომლის მიმართაც წყდება საქმე.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ განაჩენის გაუქმების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებაში დაუშვებელია ისეთი ფორმულირების შეტანა, რომელიც საეჭვოს ხდის იმ პირის უდანაშაულობას, რომლის მიმართაც წყდება სისხლის სამართლის საქმე, თუ განაჩენი გაუქმდა ან სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა:

– დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო;

– ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო;

– იმის გამო, რომ პირი არ მონაწილეობდა დანაშაულში.

მუხლი 570. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებანი

1. **ხელახალი სასამართლო განხილვისათვის საქმის დაბრუნებისას საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს მისცეს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს სავალდებულო მითითებები, რომელთა მიზანია წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს დაშვებული ხარვეზების შევსება და სამართლებრივი შეცდომის გამოსწორება.**
2. **მითითებათა შესრულების შემდეგ გამომძიებელი ან პროკურორი პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოები გადაწყვეტილებას იღებენ თავისი შინაგანი რწმენით და სამართალგაგებით.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. თუ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა მიიღებს განჩინებას განაჩენის გაუქმებისა და ახალი სასამართლო განხილვისათვის სისხლის სამართლის საქმის გაგზავნის შესახებ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილია, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მისცეს სავალდებულო მითითებები.

2. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ მიცემული სავალდებულო მითითებების მიზანი უნდა იყოს:

– წინასწარი გამოძიების დროს დაშვებული ხარვეზების შევსება და სამართლებრივი შეცდომის გამოსწორება;

– სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის დროს დაშვებული ხარვეზების შევსება და სამართლებრივი შეცდომის გამოსწორება.

3. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მითითებების შესრულება სავალდებულოა.

4. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ მიცემული სავალდებულო მითითებების შესრულების შემდეგ სისხლის სამართლის საქმის განხილველმა სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს:

– თავისი შინაგანი რწმენით;

– სამართალგაგებით.

მუხლი 571. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინების მიქცევა აღსასრულებლად

1. **საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე, იგი საბოლოოა და შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში 593-601-ე მუხლებით დადგენილი წესით.**
2. **საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება აღსასრულებლად მიიქცევა 602-606-ე მუხლებით დადგენილი წესებით.**

3. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება, რომლის საფუძველზედაც მსჯავრდებული პატიმრობიდან თავისუფლდება, აღსრულდება დაუყოვნებლივ, თუ მსჯავრდებული სასამართლო სხდომაში მონაწილეობს. სხვა შემთხვევებში განჩინების ასლი დაუყოვნებლივ იგზავნება აღსასრულებლად წინასწარი პატიმრობის ადგილას. განკარგულება პატიმრობიდან პირის განთავისუფლების შესახებ შეიძლება გადაიცეს ტელეგრაფით ან კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებებით.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75)

1. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება:

– საბოლოოა;

– კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

2. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ:

– ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

– ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-601-ე მუხლების კომენტარები).

3. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება აღსასრულებლად უნდა მიექცეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 602-606-ე მუხლებით დადგენილი წესების შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 602-606-ე მუხლების კომენტარები).

4. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება, რომლის საფუძველზეც მსჯავრდებული პატიმრობიდან თავისუფლდება, უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ და პირი სასამართლო სხდომის დარბაზშივე უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან, თუ იგი სასამართლო სხდომაში მონაწილეობს.

5. სხვა შემთხვევებში უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინების ასლი დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს აღსასრულებლად წინასწარი პატიმრობის ადგილას. პირის პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ განკარგულება შეიძლება გადაიცეს ტელეგრაფით (კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით) (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 602-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 572. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომის განაწესი და ღონისძიებები დამრღვევთა წინააღმდეგ

საკასაციო ინსტანციის სასამართლო იცავს სხდომის განაწესს და ახორციელებს ღონისძიებებს მის დამრღვევთა წინააღმდეგ 456-ე და 208-ე მუხლების შესაბამისად.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19)

1. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომის განაწესი სასამართლომ უნდა დაიცვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 456-ე მუხლის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 456-ე მუხლის კომენტარები).

2. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 573. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი უნდა შეიცავდეს 454-ე მუხლში მითითებულ ცნობებს.

1. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომის ოქმი უნდა შედგეს იმავე წესებით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 454-ე მუხლის კომენტარები).

თავი LVIII
(ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

თავი LIX
განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

მუხლი 593. ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა სახეები

1. განაჩენი და შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ არსებობს ფაქტობრივი ან სამართლებრივი ხასიათის ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი.
2. ახლად აღმოჩენილია ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებითაც შეპირობებულია უკანონო ან დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა. ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება:

ა) როცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მოწმის ჩვენება ან ექსპერტის დასკვნა, აგრეთვე ყალბია სხვა მტკიცებულება, რომლებიც საფუძვლად დაედო განაჩენს ან განჩინებას;

ბ) როცა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დადგენილია მოსამართლის, გამომძიებლის ან პროკურორის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მან ჩაიდინა ამ საქმის განხილვის დროს;

გ) სხვა გარემოება, რომელიც განაჩენის ან განჩინების გამოტანის დროს სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო, ხოლო თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ან იმ პირის ბრალეულობას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

დ) გარემოებანი, რომლებიც მოწმობენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას, იმ მტკიცებულებათა დაუშვებლობას, რომლებიც საფუძვლად დაედო გაანჩენს;

3. ახლად გამოვლენილია სამართლებრივი გარემოებანი, რომლებითაც შეპირობებულია უკანონო ან დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა. ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება:

ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენისას გამოყენებული კანონი;

ბ) კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ახალი კანონის მიღება, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა არსებობისას შეიძლება, გადაისინჯოს სასამართლო განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული და საბოლოოა.

2. კანონიერ ძალაში შესული და საბოლოო განაჩენი ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება, გაუქმდეს მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ არსებობს:

– ფაქტობრივი ხასიათის ახლად აღმოჩენილი გარემოებები;

– სამართლებრივი ხასიათის ახლად გამოვლენილი გარემოებები.

3. ახლად აღმოჩენილად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ფაქტობრივი ხასიათის ახალი გარემოებები, ხოლო ახლად გამოვლენილად – მხოლოდ სამართლებრივი ხასიათის ახალი გარემოებები.

4. ახლად აღმოჩენილია ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც შეპირობებულია უკანონო ან დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა. ახლად აღმოჩენილი გარემოებებია:

– როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მოწმის ჩვენება, რომელიც საფუძვლად დაედო განაჩენს (განჩინებას);

– როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია ექსპერტის დასკვნა, რომელიც საფუძვლად დაედო განაჩენს (განჩინებას);

– როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია სხვა მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო განაჩენს (განჩინებას);

– როდესაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დადგენილია მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მან ჩაიდინა ამ სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს;

– როდესაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დადგენილია გამომძიებლის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მან ჩაიდინა ამ სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს;

– როდესაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დადგენილია პროკურორის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მან ჩაიდინა ამ სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს;

– სხვა გარემოება, რომელიც განაჩენის (განჩინების) გამოტანის დროს სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო, ხოლო თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად, ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას;

– სხვა გარემოება, რომელიც განაჩენის (განჩინების) გამოტანის დროს სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო, ხოლო თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად, ამტკიცებს მსჯავრდებულის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო;

– სხვა გარემოება, რომელიც განაჩენის (განჩინების) გამოტანის დროს სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო, ხოლო თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად, ამტკიცებს მსჯავრდებულის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო;

– სხვა გარემოება, რომელიც განაჩენის (განჩინების) გამოტანის დროს სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო, ხოლო თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად, ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას;

– სხვა გარემოება, რომელიც განაჩენის (განჩინების) გამოტანის დროს სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო, ხოლო თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად, ამტკიცებს იმ პირის ბრალეულობას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

– გარემოებები, რომლებიც მოწმობენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას;

– გარემოებები, რომლებიც მოწმობენ იმ მტკიცებულებების დაუშვებლობას, რომლებიც საფუძვლად დაედო განაჩენს.

5. ახლად გამოვლენილია სამართლებრივი გარემოებები, რომლებითაც შეპირობებულია უკანონო ან დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა. ახლად გამოვლენილი გარემოებებია:

– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) დადგენისას გამოყენებული კანონი;

– კანონიერ ძალაში შესული განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გამოტანის შემდეგ ახალი კანონის მიღება, რომელიც აუქმებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას;

– კანონიერ ძალაში შესული განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გამოტანის შემდეგ ახალი კანონის მიღება, რომელიც ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მუხლი 594. საჩივრის შეტანა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივარი შეაქვთ:

ა) საქართველოს გენერალურ პროკურორთან საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებთან – შესაბამისად ამ რესპუბლიკების სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივარი უშუალოდ შეაქვთ:

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში – საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში შესაბამისად ამ რესპუბლიკის სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

3. ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს, ხოლო მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში – მის ნათესავს, დამცველს ან სხვა დაინტერესებულ პირს.

4. სასამართლო და პროკურატურა ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ დაინტერესებულ პირებს იმ დოკუმენტების ასლების მიღებაში, რომლებიც ადასტურებენ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა არსებობას.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2001 წლის 16 მარტის კანონი №815 – სსმ I, 2001 წ., №8, მუხლი 29; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. ახლად აღმოჩენილ (ანუ ახალ ფაქტობრივ) გარემოებათა გამოვლენის გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივარი უნდა შეიტანონ:

– საქართველოს გენერალურ პროკურორთან – საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე;

– აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებთან – შესაბამისად, ამ რესპუბლიკების სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

2. ახლად გამოვლენილ (ანუ ახალ სამართლებრივ) გარემოებათა გამოვლენის გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივარი უნდა შეიტანონ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

3. ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს.

4. მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება აქვთ:

– მსჯავრდებულის ნათესავს;

– დამცველს;

– სხვა დაინტერესებულ პირს.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო და პროკურატურა ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ დაინტერესებულ პირებს იმ დოკუმენტების ასლების მიღებაში, რომლებიც ადასტურებენ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა არსებობას.

მუხლი 595. საჩივარი ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ

1. **ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ საჩივარი უნდა შეიცავდეს 552-ე მუხლში აღნიშნულ მონაცემებს, აგრეთვე დასკვნებს, რომლებიც ასაბუთებენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და (ან) შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებლობას.**
2. **საჩივარს უნდა დაერთოს საპროცესო ან სხვა დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებენ ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გაუქმების აუცილებლობას.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. საჩივარი ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გადასინჯვისათვის წარმოების დაწყების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს.

2. ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გადასინჯვისათვის წარმოების დაწყების შესახებ საჩივარში უნდა აღინიშნოს:

– იმ სასამართლოს (პროკურატურის) დასახელება, სადაც შედის საჩივარი;

– საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი;

– საჩივრის შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

– საჩივრის შემტანი პირის საპროცესო მდგომარეობა;

– გასაჩივრებული განაჩენი (სხვა სასამართლო გადაწყვეტილება);

– გასაჩივრებული განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გამომტანი სასამართლო;

– გასაჩივრებული განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გამოტანის თარიღი;

– დასკვნები, რომლებიც ასაბუთებენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის და/ან შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებლობას.

3. ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გადასინჯვისათვის წარმოების დაწყების შესახებ საჩივარს უნდა დაერთოს საპროცესო ან სხვა დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებენ ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის (ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გადასინჯვის აუცილებლობას.

მუხლი 596. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრა და გამოძიება

1. **საქართველოს გენერალურ პროკურორთან, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორთან შეტანილი საჩივრის საფუძველზე ქვემდგომი პროკურორები გამოითხოვენ შესაბამის სისხლის სამართლის საქმეს და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებას. საჩივრის საფუძვლიანობის შემთხვევაში საქართველოს გენერალური პროკურორი ან ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი აღძრავს წარმოებას და გამოძიებას ავალებს პროკურორს ან გამომძიებელს, ხოლო თუ არ არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრის საფუძველი, პროკურორს ან გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 242-ე მუხლით დადგენილი წესით.**
2. **საჩივრის შემოწმება ხდება ამ კოდექსით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გზით.**
3. **თუ ვერ დადგინდა საქმის გადასინჯვის საფუძველი, პროკურორი ან გამომძიებელი წყვეტს წარმოებას მოტივირებული დადგენილებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისად საქართველოს გენერალური პროკურორი ან ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი. დადგენილების ასლი ეგზავნება მომჩივანს, რომელსაც უფლება აქვს მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.**
4. **თუ დადგინდა საქმის გადასინჯვის შემაპირობებელი საფუძველი, რომელიც მითითებულია 593-ე მუხლის მე-2 ნაწილში პროკურორი ან გამომძიებელი, რომელმაც გამოძიება ჩაატარა, ადგენს მოტივირებულ დასკვნას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ. დასკვნაში აღინიშნება აგრეთვე:**

ა) დასკვნის შედგენის დრო და ადგილი;
ბ) გამოძიების ჩამტარებელი პირის გვარი და თანამდებობა;
გ) სისხლის სამართლის საქმის მონაცემები, რომელთა გადასინჯვასაც მოითხოვს მომჩივანი;
დ) გამოძიებით დადგენილი ახლად აღმოჩენილი გარემოებები;
ე) ამ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები.

5. ამ კოდექსის 593-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ გარემოებათა არსებობის გამო საქმის გადასინჯვის შესახებ დასკვნას ამტკიცებს საქართველოს გენერალური პროკურორი ან ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი, რომლებიც დასკვნის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 10 დღისა წარდგინებით მიმართავენ შესაბამისად საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს. წარდგინებასთან ერთად პალატას და პრეზიდიუმს გადაეცემა გამოძიების მასალები, პროკურორის მიერ დამტკიცებული დასკვნა და გადასასინჯი სისხლის სამართლის საქმე. საქართველოს გენერალურ პროკურორს უფლება აქვს, თუ არსებობს შესაბამისი საფუძველი, ასეთი წარდგინებით მიმართოს აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს.
6. საქართველოს გენერალურ პროკურორს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს, თუ არსებობს შესაბამისი საფუძველი, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უფლება აქვთ საკუთარი ინიციატივითაც წარდგინებით მიმართონ შესაბამისად საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს სახელმწიფოსა და მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. თუ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი უარყოფს საქართველოს გენერალური პროკურორის ან ამ ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მიერ შეტანილ წარდგინებას, საქართველოს გენერალური პროკურორი უფლებამოსილია იმავე საქმეზე წარდგინებით მიმართოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე ამ მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნულ წარდგინებასთან დაკავშირებით მოხსენებით გამოდის პროკურორი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარდგინება განიხილება ამ კოდექსის 560-ე-573-ე მუხლებით დადგენილი წესით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2001 წლის 16 მარტის კანონი №815 – სსმ I,

2001 წ., №8, მუხლი 29; საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №208 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 63; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. ახლად აღმოჩენილ (ანუ ახალ ფაქტობრივ) გარემოებათა გამო საჩივრის განხილვის შედეგად შეიძლება მიღებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

– უარი ითქვას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრაზე;

– აღიძრას წარმოება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გადასასინჯად.

2. გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დადგენილების სახით.

3. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საჩივრის მიღების შემდეგ მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილია შემდეგი პროცედურა: საქართველოს გენერალურ პროკურორთან (ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორთან) შეტანილი საჩივრის საფუძველზე ქვემდგომმა პროკურორმა უნდა გამოითხოვოს შესაბამისი სისხლის სამართლის საქმე და სხვა სასამართლო გადაწყვეტილება. საჩივრის საფუძვლიანობის შემთხვევაში საქართველოს გენერალურმა პროკურორმა (ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორმა) უნდა აღძრას წარმოება და გამოძიება დაავალოს პროკურორს ან გამომძიებელს, ხოლო თუ არ არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრის საფუძველი, პროკურორმა ან გამომძიებელმა უნდა გამოიტანოს დადგენილება წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

4. წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ გამომძიებლის (პროკურორის) დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის კომენტარები).

5. წარმოების აღძვრის შემთხვევაში საჩივარში მითითებული გარემოებები უნდა შემოწმდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გზით.

6. თუ ვერ დადგინდა სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის საფუძველი, პროკურორმა (გამომძიებელმა) მოტივირებული დადგენილებით უნდა შეწყვიტოს წარმოება, რომელიც უნდა დაამტკიცოს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა (ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორმა).

7. დადგენილების ასლი უნდა გაეგზავნოს მომჩივანს, რომელსაც უფლება აქვს, მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში აღნიშნული დადგენილება გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

8. თუ დადგინდა სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის შემაპირობებელი საფუძველი, პროკურორმა (გამომძიებელმა), რომელმაც გამოძიება ჩაატარა, უნდა შეადგინოს მოტივირებულ დასკვნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-ე მუხლის კომენტარები).

9. დასკვნაში უნდა აღინიშნოს:

– დასკვნის შედგენის დრო;

– დასკვნის შედგენის ადგილი;

– გამოძიების ჩამტარებელი პირის გვარი და თანამდებობა;

– სისხლის სამართლის საქმის მონაცემები, რომელთან დაკავშირებით გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვასაც მოითხოვდა მომჩივანი და რომლის გადასინჯვის მოთხოვნაც საფუძვლიანად იქნა მიჩნეული;

– გამოძიებით დადგენილი ახლად აღმოჩენილი გარემოებები;

– ახლად აღმოჩენილ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები.

10. დასკვნა უნდა დაამტკიცოს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა (ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორმა).

11. საქართველოს გენერალურმა პროკურორმა (ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორმა) დასკვნის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 10 დღეში წარდგინებით უნდა მიმართოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. წარდგინებასთან ერთად უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას უნდა გადაეცეს გამოძიების მასალები, პროკურორის მიერ დამტკიცებული დასკვნა და გადასასინჯი სისხლის სამართლის საქმე.

12. საქართველოს გენერალურ პროკურორს (ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს), თუ არსებობს შესაბამისი საფუძველი, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივითაც წარდგინებით მიმართოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას სახელმწიფოსა და მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

13. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე წარდგინებასთან დაკავშირებით მოხსენებით უნდა გამოვიდეს პროკურორი. ამასთან, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარდგინება უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ უნდა განიხილოს საკასაციო საჩივრის განხილვის წესის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 560-573-ე მუხლებისა და 599-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 597. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჩივრის შეტანა

593-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას მხარეს საჩივარი უშუალოდ შეაქვს:

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში – საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში – ამ რესპუბლიკის საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2001 წლის 16 მარტის კანონი №815 – სსმ I, 2001 წ., №8, მუხლი 29; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. თუ არსებობს სამართლებრივი ხასიათის ახლად გამოვლენილი გარემოებები, საჩივარი უნდა შეიტანონ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 598. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჩივრის განხილვა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში

1. **ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შეტანილ საჩივარს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე შესასწავლად გადასცემს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრ ერთ-ერთ მოსამართლეს, რომელიც დაუყოვნებლივ გამოითხოვს იმ სისხლის სამართლის საქმეს, რომლის თაობაზედაც საჩივარი იქნა შეტანილი.**
2. **საქმის შესწავლის შემდეგ, საჩივრის შემოსვლიდან არა უგვიანეს 30 დღისა, მოსამართლე ადგენს დასკვნას და გამოთხოვილ საქმესთან ერთად განსახილველად წარუდგენს პრეზიდიუმს. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლის დასკვნის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა ნიშნავს პრეზიდიუმის სხდომას საჩივრის არსებითად განხილვისათვის. პრეზიდიუმი საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს 560-573-ე მუხლებით დადგენილი წესით. პრეზიდიუმს გადაწყვეტილება გამოაქვს დადგენილების სახით, ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილება არ მიიღება და საჩივარი არ დაკმაყოფილდება.**
3. **ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება მისი გამოტანიდან არა უგვიანეს 7 დღისა ეგზავნება მხარეს. მას უფლება აქვს აღნიშნული დადგენილება მისი მიღებიდან არა უგვიანეს 14 დღისა გაასაჩივროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2001 წლის 16 მარტის კანონი №815 – სსმ I, 2001 წ., №8, მუხლი 29; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები აღარ არსებობს, აღნიშნული მუხლი ფაქტობრივად უმოქმედოა.

მუხლი 599. ახლად გამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საჩივრის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში

1. **საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში ახლად გამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის, განჩინებისა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ შეტანილი საჩივარი განიხილება 598-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დადგენილი წესით.**
2. **საჩივრის განხილვის შედეგად სისხლის სამართლის საქმეთა პალატა იღებს გადაწყვეტილებას 561-ე მუხლის შესაბამისად.**
3. **სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.**
4. **პალატის გადაწყვეტილებას ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე ყველა მოსამართლე.**
5. **(ამოღებულია).**
6. **პალატაში საჩივრის განხილვისას მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, უფლება აქვს წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. იგი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.**
7. **გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან არა უგვიანეს 10 დღისა უნდა გაეგზავნოს საჩივრის ავტორს.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2001 წლის 16 მარტის კანონი №815 – სსმ I, 2001 წ., №8, მუხლი 29)

1. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში ახლად გამოვლენილ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის, განჩინებისა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ შეტანილ საჩივარს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განიხილავს საკასაციო საჩივრის განხილვის წესის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 560-573-ე მუხლების კომენტარები).

2. ახლად გამოვლენილ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის, განჩინებისა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ შეტანილი საჩივრის განხილვის შედეგად უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ უნდა მიიღოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 561-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 561-ე მუხლის კომენტარები).

3. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება:

– საბოლოოა;

– არ საჩივრდება.

4. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილე ყველა მოსამართლემ, მათ შორის – იმ მოსამართლემ, რომელსაც განსხვავებული აზრი აქვს, რაც განსხვავდება საერთო წესისაგან, რომლის თანახმად, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე განაჩენს ხელს არ აწერს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 506-ე მუხლის კომენტარები).

5. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში ახლად გამოვლენილ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის, განჩინებისა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ შეტანილი საჩივრის განხილვისას მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, უფლება აქვს (მაგრამ ვალდებული არ არის), წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი.

6. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის განსხვავებული აზრი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

7. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან არა უგვიანეს 10 დღეში უნდა გაეგზავნოს საჩივრის ავტორს.

მუხლი 600. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178)

მუხლი 601. ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები

1. **ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო გადაწყვეტილების მსჯავრდებულის სასარგებლოდ გასაჩივრების ვადა შეუზღუდავია.**
2. **გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენისა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამართლებულის ან მსჯავრდებულის საზიანოდ გასაჩივრება დასაშვებია ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა პირი საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატას, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს ან საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართავს შესაბამისად საჩივრით ან თხოვნით, დაადგინონ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა არსებობა.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2399ა – სსმ I 1999 წ., №40(50), მუხლი 228)

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) მსჯავრდებულის სასარგებლოდ გადასინჯვის შესახებ საჩივრის შეტანის ვადა შეუზღუდავია.

2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) მსჯავრდებულის სასარგებლოდ გადასინჯვის შესახებ საჩივრის შეტანის ვადა შეუზღუდავია.

3. გამამართლებელი განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გამართლებულის საზიანოდ გასაჩივრება დასაშვებია ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც პირი საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართავს, შესაბამისად – საჩივრით ან თხოვნით, დაადგინონ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა არსებობა.

4. გამამართლებელი განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) გამართლებულის საზიანოდ გასაჩივრება დასაშვებია ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც პირი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მიმართავს, შესაბამისად – საჩივრით ან თხოვნით, დაადგინონ ახლად გამოვლენილ გარემოებათა არსებობა.

5. გამამტყუნებელი განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) მსჯავრდებულის საზიანოდ გასაჩივრება დასაშვებია ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც პირი საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართავს, შესაბამისად – საჩივრით ან თხოვნით, დაადგინონ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა არსებობა.

6. გამამტყუნებელი განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) მსჯავრდებულის საზიანოდ გასაჩივრება დასაშვებია ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც პირი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მიმართავს, შესაბამისად – საჩივრით ან თხოვნით, დაადგინონ ახლად გამოვლენილ გარემოებათა არსებობა.

კარი მეთერთმეტე
სასამართლო განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება

თავი LX
სასამართლო განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა

მუხლი 602. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და აღსასრულებლად მიქცევა

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი (დადგენილება), სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი (განჩინება), ასევე საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა სასამართლოს მიერ მისი მიღებისთანავე.
2. (ამოღებულია).
3. სასამართლო განაჩენის გამოცხადებისთანავე სასამართლო სხდომის დარბაზშივე ათავისუფლებს პატიმრობიდან:

ა) გამართლებულს;
ბ) მსჯავრდებულს სასჯელის დაუნიშნავად;
გ) მსჯავრდებულს სასჯელისაგან განთავისუფლებით;
დ) მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა იმ ვადით, რომელიც არ აღემატება მისი დაკავებისა და პატიმრობაში ყოფნის დროს;
ე) მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა პირობით ან განაჩენის აღსრულების გადავადებით;
ვ) მსჯავრდებულს, რომელსაც დაენიშნა ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, განაჩენის (სასამართლოს სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების) გასაჩივრება არ აჩერებს მის ძალაში შესვლასა და აღსასრულებლად მიქცევას.

2. მოსამართლის (სასამართლოს) მიერ მისი მიღებისთანავე კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად უნდა მიექცეს:

– რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენი (დადგენილება);

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი (განჩინება);

– უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის მოსამართლის (სასამართლოს) მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე გულისხმობს:

– მოსამართლის (სასამართლოს) მიერ სისხლის სამართლის საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შემთხვევაში – გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტს;

– მოსამართლის (სასამართლოს) მიერ სისხლის სამართლის საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში – მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერის მომენტს.

4. განაჩენის გამოცხადებისთანავე მოსამართლემ (სასამართლომ) სასამართლო სხდომის დარბაზშივე პატიმრობიდან უნდა გაათავისუფლოს:

– გამართლებული;

– სასჯელის დაუნიშნავად მსჯავრდებული;

– სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებული მსჯავრდებული;

– მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა იმ ვადით, რომელიც არ აღემატება მისი დაკავებისა და პატიმრობაში ყოფნის დროს;

– მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა პირობით;

– მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა განაჩენის აღსრულების გადავადებით;

– მსჯავრდებული, რომელსაც დაენიშნა ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

მუხლი 603. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

მუხლი 604. განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსასრულებლად მიქცევის წესი

1. განაჩენის, განჩინების ან დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა ევალება ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. სასამართლო გადაწყვეტი-

ლების აღსრულების შესახებ განკარგულებას მოსამართლე (სასამართლო) სასამართლო გადაწყვეტილების ასლებთან ერთად უგზავნის განაჩენის აღმსრულებელ ორგანოს.

2. **განაჩენის აღმსრულებელი ორგანო აღსრულების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს გადაწყვეტილების გამომტან პირველი ინსტანციის სასამართლოს.**
3. **თუ განაჩენი ითვალისწინებს მსჯავრდებულისათვის საპატიო, სამხედრო ან სპეციალური წოდების ანდა სახელმწიფო ჯილდოს ჩამორთმევას, სასამართლო განაჩენის ასლს უგზავნის ორგანოს, რომელმაც მსჯავრდებული დააჯილდოვა ანდა მიანიჭა მას საპატიო, სამხედრო ან სპეციალური წოდება.**
4. **დაჯარიმებისა და სხვა ქონებრივი სახდელის ნაწილში განაჩენის აღსასრულებლად იწერება სააღსრულებო ფურცელი.**
5. **თუ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება – თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის არასრულწლოვანი შვილი, აგრეთვე მის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირი მზრუნველობისათვის გადასცეს შესაბამის დაწესებულებას, ნათესავებს ან სხვა პირებს, იგი ამის შესახებ აცნობებს ბავშვის ადგილსამყოფლის მიხედვით სამეურვეო ორგანოს, აგრეთვე მსჯავრდებულს.**
6. **მსჯავრდებულის უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქონებისა და ბინის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას სასამართლო აკისრებს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს.**

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2005 წლის 25 ნოემბრის კანონი №2129 – სსმ I, 2005 წ., №53, მუხლი 349; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის და აღსასრულებლად უნდა მიექცეს ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, ხოლო მისი გასაჩივრება არ აჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლასა და აღსრულებას, განაჩენის, განჩინების, დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა ევალება ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, ანუ ყველა ინსტანციის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება უნდა მიაქციოს აღსასრულებლად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 602-ე მუხლის კომენტარები).

2. სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა გულისხმობს:

– განკარგულების გაცემას თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის (ან სხვა სასჯელის) აღსრულებასთან დაკავშირებით;

– განკარგულების გაცემას განაჩენის იმ ნაწილში აღსასრულებლად, რომელიც შეეხება მსჯავრდებულისათვის საპატიო, სამხედრო, სპეციალური წოდების, ანდა სახელმწიფო ჯილდოს ჩამორთმევას;

– განკარგულების გაცემას განაჩენის იმ ნაწილში აღსასრულებლად, რომელიც შეეხება თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის არასრულწლოვანი შვილის, აგრეთვე მის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირის მზრუნველობისათვის გადაცემას;

– განკარგულების გაცემას განაჩენის იმ ნაწილში აღსასრულებლად, რომელიც შეეხება თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქონებისა და ბინის დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;

– სააღსრულებო ფურცლის გამოწერას – განაჩენით დანიშნული ჯარიმის ან ზიანის ანაზღაურების აღსრულების ნაწილში.

3. მოსამართლემ (სასამართლომ) განაჩენის აღსრულება უნდა დაავალოს:

– თავისუფლების აღკვეთის ნაწილში – სასჯელაღსრულების დეპარტამენტს;

– იმ სასჯელის (ან პირობითი მსჯავრის) აღსრულების ნაწილში, რომელიც განეკუთვნება პრობაციის სამსახურის კომპეტენციას – პრობაციის დეპარტამენტს (პრობაციის ბიუროს);

– განაჩენით დანიშნული ჯარიმის ან ზიანის ანაზღაურების აღსრულების ნაწილში – სააღსრულებო დეპარტამენტს (სააღსრულებო ბიუროს);

– მსჯავრდებულისათვის საპატიო, სამხედრო, სპეციალური წოდების ანდა სახელმწიფო ჯილდოს ჩამორთმევის ნაწილში – ორგანოს, რომელმაც მსჯავრდებული დააჯილდოვა ანდა მიანიჭა მას საპატიო, სამხედრო, სპეციალური წოდება;

– თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის არასრულწლოვანი შვილის, აგრეთვე მის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირის მზრუნველობისათვის გადაცემის ნაწილში – მსჯავრდებულის არასრულწლოვანი შვილის ან მსჯავრდებულის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირის ადგილსამყოფლის მიხედვით – სამეურვეო ორგანოს;

– მსჯავრდებულის უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქონებისა და ბინის დაცვის ღონისძიებათა განხორციელების ნაწილში – ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს.

4. მოსამართლემ (სასამართლომ) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ უნდა გასცეს განკარგულება და სასამართლო გადაწყვეტილების ასლებთან ერთად იგი უნდა გაუგზავნოს განაჩენის აღმსრულებელ ორგანოს.

5. სისხლის სამართლის საქმეზე სააღსრულებო ფურცელი იწერება მხოლოდ დაჯარიმებისა და სხვა ქონებრივი სახდელის ნაწილში განაჩენის აღსასრულებლად.

6. განაჩენის აღმსრულებელმა ორგანომ აღსრულების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გადაწყვეტილების გამომტან პირველი ინსტანციის სასამართლოს.

მუხლი 605. შეტყობინება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შესახებ

1. **განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისა და აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ, რომლითაც მსჯავრდებულს სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია სასამართლოს და მსჯავრდებულის ოჯახს შეატყობინოს, სად გაიგზავნა იგი სასჯელის მოსახდელად, ხოლო შემდგომ აცნობოს მათ სასჯელის მოხდის ადგილის შეცვლის შესახებ.**
2. **სასამართლოს ნებართვით, პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის ნახვის უფლება აქვთ ახლო ნათესავებს, მსჯავრდებულის მეუღლესა და სხვა პირებს.**

1. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია, სასამართლოს

და მსჯავრდებულის ოჯახს შეატყობინოს, სად გაიგზავნა მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად.

2. საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციამ სასამართლოს და მსჯავრდებულის ოჯახს უნდა აცნობოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოხდის ადგილის შეცვლის შესახებ.

3. განაჩენის გამოცხადებისთანავე, პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის წერილობითი თხოვნით, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, მისცეს მას ნათესავებსა და ახლობლებთან შეხვედრის ნება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 516-ე, 535-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 606. მსჯავრდებულის უფლებათა უზრუნველყოფა განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე

1. **განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მსჯავრდებულის იმ უფლებათა სასამართლო დაცვა, რომლებიც დაკავშირებულია განაჩენის აღსასრულებლად მიქცევასა და აღსრულებასთან.**
2. **პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება და მოსამართლის დადგენილება, რომლის გასაჩივრება არ დაიშვება, კანონიერ ძალაში შედის და აღსრულდება დაუყოვნებლივ, მისი გამოტანის შემდეგ.**
3. **მსჯავრდებულს უფლება აქვს მიმართოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს განცხადებით: განაჩენის აღსრულების გადავადების, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის ასაკის ან გადავადების დროის გასვლის მიზეზით სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების, პირობით ვადამდე განთავისუფლების, სასჯელის ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების შეცვლისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტის შესახებ.**
4. **განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების სასამართლო განხილვისას მსჯავრდებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სხდომაში და მისცეს ჩვენება, წარმოადგინოს მტკიცებულება, განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, გაეცნოს საქმის ყველა მასალას, შეიტანოს საჩივრები სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გამო.**
5. **მსჯავრდებულს შეუძლია თავისი უფლებები განახორციელოს პირადად ან დამცველის დახმარებით. დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა, თუ სასამართლო განიხილავს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხს მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც არასრულწლოვანია, აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, ანდა არ იცის სამართალწარმოების ენა.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1631 – სსმ I, 2002 წ., №23, მუხლი 115)

1. მოსამართლის (სასამართლოს) მიერ სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გამოტანამდე და აღსასრულებლად მიქცევამდე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს განაჩენის აღსასრულებლად მიქცევასა და აღსრულებასთან დაკავშირებული მსჯავრდებულის უფლებების დაცვა.

2. მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიმართოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს განცხადებით:

– განაჩენის აღსრულების გადავადების შესახებ;

– ავადმყოფობის მიზეზით სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების შესახებ;

– ინვალიდობის მიზეზით სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების შესახებ;

– ხანდაზმულობის ასაკის მიზეზით სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების შესახებ;

– გადავადების დროის გასვლის მიზეზით სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების შესახებ;

– პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ;

– სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ;

– განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტის შესახებ.

3. განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების სასამართლო განხილვისას მსჯავრდებულს უფლება აქვს:

– მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სხდომაში;

– მისცეს ჩვენება;

– წარმოადგინოს მტკიცებულება;

– განაცხადოს შუამდგომლობა;

– განაცხადოს აცილება;

– გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალას;

– შეიტანოს საჩივარი სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციის მოქმედების გამო;

– შეიტანოს საჩივარი სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილების გამო.

4. მსჯავრდებულს უფლება აქვს, თავისი უფლებები განახორციელოს:

– პირადად;

– დამცველის დახმარებით.

5. დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა, თუ სასამართლო განიხილავს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხს იმ მსჯავრდებულის მიმართ:

– რომელიც არასრულწლოვანია;

– რომელსაც აქვს ფიზიკური ნაკლი;

– რომელსაც აქვს ფსიქიკური ნაკლი;

– რომელმაც არ იცის პროცესის ენა.

მუხლი 606[1]. მსჯავრდებულის ძებნა

1. **„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ, აგრეთვე „არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლო აღმასრულებლის მიმართვის საფუძველზე, სასამართლოს გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მსჯავრდებულის ძებნის შესახებ.**
2. **მსჯავრდებულის წარმოდგენის შემთხვევაში სასამართლო (მოსამართლე) განჩინებით (დადგენილებით) წყვეტს დაკისებული სასჯელის უფრო მკაცრი სახის სასჯელით შეცვლის საკითხს, ხოლო პირობითი მსჯავრის, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების და სასჯელის მოხდის გადავადების შემთხვევაში, სასამართლო წყვეტს პირობითი მსჯავრის, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების და სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმების საკითხს და შეუძლია დაადგინოს, რომ აღსრულდეს განაჩენით დანიშნული სასჯელი, სასჯელის მოუხდელი ნაწილი ან მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად გაიგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას.**
3. **მსჯავრდებულის მიერ პირობითი მსჯავრის პირობების დარღვევის შემთხვევაში, თუ მისი ადგილსამყოფლის დადგენა შეუძლებელია, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული განხილვა წარმოებს მსჯავრდებულის მონაწილეობის გარეშე.**

(საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონი №949 – სსმ I, 2001 წ., №20, მუხლი 74; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) აღსრულების პროცესში მსჯავრდებულის ძებნის შესახებ სასამართლოს შეიძლება, მიმართონ შემდეგ შემთხვევებში:

– მოვალის მიმართ – საქმეებზე ალიმენტის გადახდევინების, სხეულის დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე – მარჩენლის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, როდესაც მოვალის ადგილსამყოფელი უცნობია, ან როცა იგი სპეციალურად არიდებს თავს მოვალეობის შესრულებას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი);

– თუ მსჯავრდებული არ ცხოვრობს სასამართლოს მიერ მიღებულ, აღსასრულებლად მიქცეულ, გადაწყვეტილებაში მითითებულ მისამართზე („არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი).

2. კანონის მითითება – „მსჯავრდებული არ ცხოვრობს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ მისამართზე“ – არ უნდა განიმარტოს განვრცობითად, მსჯავრდებულის საზიანოდ. სასამართლოს მიერ მითითებულ მისამართზე

მსჯავრდებულის არყოფნის (არცხოვრების) ყველა შემთხვევა ავტომატურად არ ქმნის სასამართლოსათვის მსჯავრდებულის ძებნის გამოცხადების შესახებ მიმართვის საფუძველს. ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები:

– თუ განაჩენში არასწორად (შეცდომით) არის მითითებული მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილი, ეს წარმოადგენს მოსამართლის (სასამართლოს) მიერ განაჩენში უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანის საფუძველს (და არა – მსჯავრდებულის მიმართ ძებნის გამოცხადების საფუძველს);

– სასამართლოსათვის მსჯავრდებულის მიმართ ძებნის გამოცხადების შესახებ მიმართვის საფუძველია არა მარტო შემთხვევა, როდესაც სააღსრულებო ან პრობაციის სამსახურები დაადგენენ, რომ მსჯავრდებული არ ცხოვრობს მითითებულ მისამართზე (ანუ ვერ დაიწყო აღსრულების ან პრობაციის პროცედურები), არამედ – შემთხვევაც, როდესაც მსჯავრდებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდა მითითებულ მისამართზე და მის მიმართ ხორციელდებოდა პრობაციის ან აღსრულების პროცედურები, მაგრამ შემდეგ იგი უნებართვოდ ან წინასწარი ინფორმირების გარეშე წავიდა საცხოვრებელი ადგილიდან, ანუ მსჯავრდებული აღარ ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, თავი აარიდა, „მიემალა“ აღსრულებას, პრობაციას;

– გადაწყვეტილებაში მითითებულ საცხოვრებელ მისამართზე მსჯავრდებულის არყოფნის (აღარ ყოფნის) ფაქტი მისი გამოვლენისთანავე ავტომატურად არ იწვევს სასამართლოსათვის მსჯავრდებულის მიმართ ძებნის გამოცხადების შესახებ მიმართვის აუცილებლობას. მანამდე სააღსრულებო ან პრობაციის სამსახურებმა უნდა მიიღონ გარკვეული ზომები მსჯავრდებულის ადგილსამყოფლის დასადგენად. მაგ.: გამოკითხონ მსჯავრდებულის ახლობლები, მოიპოვონ ინფორმაცია მსჯავრდებულის სამუშაო ან სწავლის ადგილიდან და ა.შ.

3. პრობაციის ბიუროს უფროსს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს წარდგინებით:

– მსჯავრდებულისათვის დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომითი სასჯელის სხვა სახით შეცვლის შესახებ;

– მსჯავრდებულისათვის დანიშნული გამასწორებელი სამუშაოს სასჯელის სხვა სახით შეცვლის შესახებ;

– სასამართლოს მიერ პირობით მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების ან მისთვის ახალი მოვალეობის დაკისრების შესახებ;

– პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და მსჯავრდებულისათვის ნასამართლობის მოხსნის შესახებ;

– პირობით მსჯავრდებულისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების გამო გამოსაცდელი ვადის არა უმეტეს ერთი წლით გაგრძელების შესახებ;

– პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების შესახებ;

– პირობით ვადამდე განთავისუფლების გაუქმებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის აღსრულების შესახებ;

– სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმებისა და მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გაგზავნის შესახებ;

– იურიდიული პირისათვის დანიშნული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სასჯელის სხვა სახით შეცვლის შესახებ.

4. აღნიშნული წარდგინება შეტანილ უნდა იქნეს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

5. წარდგინებაში უნდა მიეთითოს:

– სასამართლო გადაწყვეტილების დასახელება, რომლის აღსრულების პროცესში წარმოიშვა სასამართლოსათვის წარდგინებით მიმართვის აუცილებლობა;

– მონაცემები მსჯავრდებულის შესახებ;

– სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობები;

– ცნობები მსჯავრდებულის ყოფაქცევის შესახებ;

– სასამართლოსათვის წარდგინებით მიმართვის მიზეზი;

– წარდგინების შინაარსი ანუ მოთხოვნა.

6. წარდგინებას უნდა დაერთოს წარდგინებაში მოყვანილი ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებანი.

7. სასამართლომ წარდგინების განხილვა უნდა დაასრულოს და გადაწყვეტილება მიიღოს წარდგინების სასამართლოში შეტანიდან არა უგვიანეს ერთ თვეში.

8. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს:

– წარდგინება ძებნის გამოცხადების შესახებ;

– წარდგინება პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების შესახებ;

– ერთობლივი (ერთიანი მოთხოვნით) წარდგინება როგორც ძებნის გამოცხადების, ისე პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების შესახებ და ა.შ.

9. ძებნის გამოცხადების შესახებ წარდგინების შემთხვევაში სასამართლომ უნდა განიხილოს მხოლოდ ეს საკითხი – გამოცხადდეს თუ არა მსჯავრდებულის ძებნა. წარდგინების დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მსჯავრდებულის ძებნის შესახებ. როდესაც წარდგინებით მოთხოვნილია მსჯავრდებულის მიმართ მხოლოდ ძებნის გამოცხადება, მოძებნის შემდეგ მსჯავრდებული უნდა წარედგინოს არა სასამართლოს, არამედ – ძებნის ინიციატორს (ძებნის შესახებ წარდგინების შემტან ორგანოს) – შესაბამის პრობაციის ან სააღსრულებო ბიუროს. ძებნილის პრობაციის ბიუროში წარდგენისა და იმ გარემოებათა გარკვევის შემდეგ, რაც გავლენას ახდენს სასამართლოში წარდგინების შეტანის საკითხის გადაწყვეტაზე, პრობაციის ბიურო უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს წარდგინებით პირობითი მსჯავრის ან განაჩენის აღსრულების გადავადების გაუქმების (ანუ, ზოგადად, მსჯავრდებულის მდგომარეობის დამძიმების) შესახებ, ხოლო თუ არ დადასტურდა მსჯავრდებულის მდგომარეობის დამძიმების შესახებ სასამართლოსათვის წარდგინებით მიმართვის საფუძვლების არსებობა, პრობაციის ბიურო არ მიმართავს სასამართლოს წარდგინებით და მსჯავრდებულის მიმართ პრობაცია საერთო წესით გრძელდება.

10. შესაძლებელია, ერთი წარდგინებით ერთდროულად მოთხოვნილ იქნეს როგორც პირობითი მსჯავრის ან განაჩენის აღსრულების გადავადების გაუქმება და მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის აღსრულება (ანუ, ზოგადად, მსჯავრდებულის

მდგომარეობის დამძიმება), ასევე – მსჯავრდებულის ძებნის გამოცხადება. ასეთ სახის წარდგინების განხილვისას სასამართლო უფლებამოსილია, ჯერ დააკმაყოფილოს წარდგინება მსჯავრდებულის ძებნის ნაწილში, მოძებნა დაავალოს პოლიციის ორგანოებს, დაელოდოს მსჯავრდებულის წარმოდგენას და მისი მონაწილეობით განიხილოს წარდგინება პირობითი მსჯავრის, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების, სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმების შესახებ. ამავე დროს სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ წარდგინება განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში. ამასთან, მსჯავრდებულის მიერ პირობითი მსჯავრის პირობების დარღვევის შემთხვევაში, თუ მისი ადგილსამყოფლის დადგენა შეუძლებელია, წარდგინება უნდა განიხილონ და გადაწყვეტილება მიიღონ მსჯავრდებულის მონაწილეობის გარეშე.

11. მსჯავრდებულის მდგომარეობის დამძიმების შესახებ წარდგინების განხილვის შედეგად სასამართლომ უნდა მიიღოს ერთ-ერთ შემდეგი გადაწყვეტილება:

– წარდგინების დაკმაყოფილების შესახებ;

– წარდგინების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

თავი LXI
განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხთა გადაწყვეტა

მუხლი 607. განაჩენის აღსრულების გადავადება

1. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის აღსრულება სასამართლომ შეიძლება გადაავადოს სასამართლო-სამედიცინო ან სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განაჩენით, ხოლო მისი გამოტანის შემდეგ — განჩინებით (დადგენილებით), შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

ა) მსჯავრდებული დაავადდა ფსიქიკურად ან დაავადებულია სხვა მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, – მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე;

ბ) მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულადაა, – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე;

გ) მსჯავრდებულს მცირეწლოვანი შვილი ჰყავს, – სანამ ბავშვი 5 წლის გახდება;

დ) სასჯელის დაუყოვნებლივ მოხდას შეიძლება მსჯავრდებულისა და მისი ოჯახისათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვეს ხანძრის ან სხვა სტიქიური უბედურების, ოჯახის ერთადერთი შრომისუნარიანი წევრის მძიმე ავადმყოფობის, სიკვდილის ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, – სასამართლოს მიერ დადგენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა.

2. ჯარიმის გადახდა, თუ დაუყოვნებლივ გადახდა შეუძლებელია, შეიძლება გადავადდეს ან განაწილდვადდეს 6 თვემდე ვადით.

3. სამოქალაქო ნაწილში განაჩენის აღსრულების გადავადების ან განაწილვადების საკითხს სასამართლო წყვეტს მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

4. განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების საკითხს სასამართლო განიხილავს მსჯავრდებულის, მისი დამცველის, კანონიერი წარმომადგენლის, ახლო ნათესავის ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის აღსრულება შეიძლება გადავადდეს:

– განაჩენის გამოტანისთანავე (ანუ იმავე განაჩენით, რომლითაც პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა), თუ განაჩენის გამოტანის დროისათვის არსებობს განაჩენის აღსრულების გადავადების საფუძველი (საფუძვლები);

– განაჩენის გამოტანის შემდეგ, მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით), თუ განაჩენის აღსრულების გადავადების საფუძველი (საფუძვლები) გამოვლინდა განაჩენის გამოტანის შემდეგ.

2. განაჩენის აღსრულების გადავადების საფუძვლებია:

– მსჯავრდებული დაავადდა ფსიქიკურად — მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე;

– მსჯავრდებული დაავადებულია სხვა მძიმე სნეულებით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას – მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე;

– მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულადაა — მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე;

– მსჯავრდებულს მცირეწლოვანი შვილი ჰყავს – სანამ ბავშვი 5 წლის გახდება;

– სასჯელის დაუყოვნებლივ მოხდას შეიძლება მსჯავრდებულისა და მისი ოჯახისათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვეს:

ა) ხანძრის გამო;

ბ) სხვა სტიქიური უბედურების გამო;

გ) ოჯახის ერთადერთი შრომისუნარიანი წევრის მძიმე ავადმყოფობის გამო:

დ) ოჯახის ერთადერთი შრომისუნარიანი წევრის სიკვდილის გამო;

ე) სხვა განსაკუთრებული გარემოებების გამო – სასამართლოს მიერ დადგენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა.

3. ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობა განაჩენის აღსრულების გადავადების არა იმპერატიული, არამედ – შეფასებითი საფუძვლებია, ანუ ამ გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს განაჩენის აღსრულების გადავადებას. საკითხი უნდა განიხილოს და შეაფასოს მოსამართლემ (სასამართლომ) ქმედების სიმძიმის, ხასიათის, მსჯავრდებულის პიროვნების, დაავადების სახის, სიმძიმისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს განაჩენის აღსრულების გადავადებისა და ასევე იმ საკითხების გადაწყვეტაზე, რაც დაკავშირებულია სასჯელის მიზნებთან.

4. ჯარიმის გადახდა, თუ დაუყოვნებლივ გადახდა შეუძლებელია, შეიძლება 6 თვემდე ვადით:

– გადავადდეს;

– განაწილვადდეს.

5. სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენის აღსრულების გადავადების (განაწილვადების) საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

6. განაჩენის (სხვა სასამართლო გადაწყვეტილების) აღსრულების გადავადების საკითხი მოსამართლემ (სასამართლომ) შეიძლება განიხილოს:

– მსჯავრდებულის შუამდგომლობით;

– დამცველის შუამდგომლობით;
– მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით;
– მსჯავრდებულის ახლო ნათესავის შუამდგომლობით;
– სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობით.

მუხლი 608. ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე და „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, მსჯავრდებულის ან, თუ იგი ფსიქიკურად დაავადებულია მისი კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით ან/და სასჯელაღსრულებითი დაწესებულების დირექტორის წარდგინებით, ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირის, აგრეთვე სამედიცინო ან სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე, მძიმე ან განუკურნებელი სენით დაავადებული პირის მიმართ სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს განჩინება (დადგენილება) მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ.

2. ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის განთავისუფლებისას სასამართლოს უფლება აქვს იგი დამატებითი სასჯელისაგანაც გაათავისუფლოს.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1631 – სსმ I, 2002 წ., №23, მუხლი 115; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. ის, ვინც დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაავადდა ფსიქიკურად, რის გამოც მას არ შეუძლია, გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა უხელმძღვანელოს მას, თავისუფლდება სასჯელისაგან, ხოლო ის, ვინც სასჯელს იხდის, თავისუფლდება მისი შემდგომი მოხდისაგან (სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლი). მათ შეიძლება დაენიშნოთ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 660-679-ე მუხლების კომენტარები).

2. სასჯელის მოხდის ან შემდგომი მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს ასევე მძიმე ან განუკურნებელი დაავადებით დაავადმყოფებული მსჯავრდებული („პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლი). ასეთ დაავადებათა ჩამონათვალს ამტკიცებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

3. სასამართლოს შეუძლია, სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი – 65 წლიდან, მამაკაცი – 70 წლიდან), თუ

მას მისჯილი არა აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი (სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლი, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლი).

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის მძიმე ან ფსიქიკური დაავადებით დაავადმყოფების ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების დასკვნით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 609. იმ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, რომლის მიმართაც გადავადებულია განაჩენის აღსრულება. განაჩენის აღსრულების გადავადების გაუქმება

1. მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც გადავადებულია განაჩენის აღსრულება, სასამართლო ათავისუფლებს სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის, მისი დამცველის ან კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით.

2. სასამართლო თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის აღსრულების გადავადებას აუქმებს და მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად აგზავნის სასჯელის აღმსრულებელი ორგანოს წარდგინებით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. მსჯავრდებული, რომლის მიმართაც გადავადებულია განაჩენის (განაჩენით დანიშნული სასჯელის) აღსრულება, სასამართლომ შეიძლება, გაათავისუფლოს სასჯელის მოხდისაგან:

– მსჯავრდებულის შუამდგომლობით;

– დამცველის შუამდგომლობით;

– მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით.

2. მსჯავრდებულის მიმართ განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის აღსრულების გადავადება სასამართლომ შეიძლება, გააუქმოს და მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად გაგზავნოს სასჯელის აღმსრულებელი ორგანოს (ანუ იმ ორგანოს, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას მსჯავრდებულზე სასჯელის მოხდის გადავადების პერიოდში) წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 610. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა

1. სასამართლო მსჯავრდებულს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ათავისუფლებს და სასჯელის მოუხდელ ნაწილს უფრო მსუბუქი სასჯელით

უცვლის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინებით.

2. **სასამართლო მსჯავრდებულს რაიმე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან ათავისუფლებს მსჯავრდებულის ან მისი დამცველის შუამდგომლობით.**
3. **თუ სასამართლო უარს იტყვის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლებაზე ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე, ამავე საკითხებზე წარდგინების ან შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ.**
4. **სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლებისას სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2001 წლის 10 აპრილის კანონი №843 – სსმ I, 2001 წ., №11, მუხლი 38; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასამართლო სასჯელის შემდგომი (მოსახდელი ნაწილის) მოხდისაგან პირობით ვადამდე ათავისუფლებს და სასჯელის მოუხდელ ნაწილს უფრო მსუბუქი სასჯელით უცვლის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინებით.

2. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედმა კომისიამ სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე წარდგინებით უნდა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს („პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლი).

3. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

4. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედ კომისიას სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე შუამდგომლობით უნდა მიმართოს:

– მსჯავრდებულმა;
– დამცველმა;
– მსჯავრდებულის კანონიერმა წარმომადგენელმა;
– მსჯავრდებულის ახლო ნათესავმა;
– სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორმა.

5. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია, სასამართლოს წარუდგინოს სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი

სასჯელით შეცვლის მასალები, თუ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობებს. ამასთან, კომისიის წარდგინებას უნდა ახლდეს მსჯავრდებულის პირადი საქმე.

6. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ სასამართლოში წარდგინების შეტანისას და სასამართლოს მიერ მისი განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე მსჯავრდებულის პიროვნება, ოჯახური პირობები, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მოხდილი სასჯელი და სხვა გარემოებები, რომლებიც დადებითად ახასიათებს მას.

7. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის უარი, წარდგინებით მიმართოს სასამართლოს სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე, მოტივირებული უნდა იყოს.

8. თუ სასამართლო უარს იტყვის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლებაზე ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე, ამავე საკითხზე წარდგინების (შუამდგომლობის) ხელახლა შეტანა და განხილვა შესაძლებელია მხოლოდ 6 თვის შემდეგ.

9. სასამართლო მსჯავრდებულს რაიმე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან ათავისუფლებს:

– მსჯავრდებულის შუამდგომლობით;

– დამცველის შუამდგომლობით.

10. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლებისას, თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია, მსჯავრდებულს დააკისროს განსაზღვრული მოვალეობის შესრულება:

– პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი;

– არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება, იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში;

– არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი;

– მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს;

– გაიაროს ალკოჰოლიზმის მკურნალობის კურსი;

– გაიაროს ნარკომანიის მკურნალობის კურსი;

– გაიაროს ტოქსიკომანიის მკურნალობის კურსი;

– გაიაროს ვენერიული სენის მკურნალობის კურსი;

– სხვა მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას.

მუხლი 611. სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, მსჯავრდებულის ან მისი დამცველის შუამდ-

გომლობით, სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეუცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 05 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სასამართლოს შეუძლია, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, სასჯელის მოხდის დროს მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით, შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით. ამასთან, იგი შეიძლება, მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (ქონების ჩამორთმევის გარდა) (სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლი).

2. აღსანიშნავია, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეიძლება შეეცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი.

3. სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა სასამართლოს შეუძლია:

– მსჯავრდებულის შუამდგომლობით;

– დამცველის შუამდგომლობით.

მუხლი 612. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2000 წლის 28 ივნისის კანონი №411 – სსმ I, 2000 წ., №26, მუხლი 73; საქართველოს 2001 წლის 10 აპრილის კანონი №843 – სსმ I, 2001 წ., №11, მუხლი 38; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

მუხლი 613. სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის დროის ჩათვლა სასჯელის მოხდის ვადაში

თუ მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით იხდის, მოთავსებული იყო სამკურნალო დაწესებულებაში, იქ ყოფნის დრო მას სასჯელის ვადაში ეთვლება.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის სახით, სასჯელის მოხდის ვადაში ეთვლება სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსების დრო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 614. განაჩენის აღსრულება სისრულეში მოუყვანელი სხვა განაჩენის არსებობისას

თუ მსჯავრდებულის მიმართ არსებობს სისრულეში მოუყვანელი რამდენიმე განაჩენი, რაც არ იყო ცნობილი ბოლო განაჩენის გამომტანი სასამართლოსათვის, ამ სასამართლოს ან განაჩენის აღსრულების ადგილზე იმავე დონის სასამართლოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-60-61-ე მუხლების საფუძველზე გამოაქვს განჩინება (დადგენილება) მსჯავრდებულისათვის სასჯელის ყველა აღნიშნული განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც ერთი და იმავე პირის მიმართ არსებობს ორი (რამდენიმე) კანონიერ ძალაში შესული, მაგრამ აღუსრულებელი (სისრულეში მოუყვანელი) განაჩენი, რაც ცნობილი არ იყო ბოლო განაჩენის გამომტანი მოსამართლისთვის (სასამართლოსათვის).

2. ამ შემთხვევაში მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გამოიტანოს დადგენილება (განჩინება) მსჯავრდებულისათვის სასჯელის ყველა განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, რომლის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამება:

– თავისუფლების შეზღუდვის ორი დღე;
– გამასწორებელი სამუშაოს სამი დღე;
– სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის სამი დღე;
– საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის რვა საათი.

3. მსჯავრდებულისათვის სასჯელის ყველა განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ დადგენილება (განჩინება) შეიძლება გამოიტანოს:

– ბოლო განაჩენის გამომტანმა მოსამართლემ (სასამართლომ);
– განაჩენის აღსრულების ადგილზე იმავე დონის მოსამართლემ (სასამართლომ).

მუხლი 615. განაჩენის აღსრულებისას გამოვლენილ ბუნდოვანება -უზუსტობათა აღმოფხვრა

1. განაჩენის გამომტან სასამართლოს უფლება აქვს აღმოფხვრას მასში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობები, რაც არ გამოიწვევს განაჩენის გაუქმებას ან შეცვლას:

ა) დააზუსტოს დაკავებისა და დაპატიმრების თარიღები, აგრეთვე ვადა, რომელიც ჩაითვალა სასჯელის დანიშვნისას;
ბ) შესწორება შეიტანოს პროცესის მონაწილის სახელსა და გვარში;
გ) დააზუსტოს და გაანაწილოს სასამართლო ხარჯები;
დ) გადაწყვიტოს ნივთიერ მტკიცებულებათა საკითხი;
ე) განაჩენში შეიტანოს სხვა დაზუსტება, რომელიც გავლენას არ მოახდენს სასამართლოს დასკვნაზე მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის ღონისძიების, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებისა და სარჩელის თანხის განსაზღვრის შესახებ.
2. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული განმარტებებისა და დაზუსტებების შეტანა თავიანთ განჩინებაში შეუძლიათ აგრეთვე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებს.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. განაჩენის გამომტან მოსამართლეს (სასამართლოს) უფლება აქვს, აღმოფხვრას მასში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობები, რამაც არ უნდა გამოიწვიოს განაჩენის გაუქმება ან შეცვლა.

2. განაჩენში შეიძლება დაზუსტდეს (შესწორდეს):
– დაკავების თარიღი;
– დაპატიმრების თარიღი;
– ვადა, რომელიც ჩაითვალა სასჯელის მოხდაში;
– პროცესის მონაწილის სახელი და გვარი;
– სასამართლო ხარჯები;
– სასამართლო ხარჯების განაწილება;
– ნივთიერ მტკიცებულებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა;
– სხვა მონაცემები, რომლებიც გავლენას არ მოახდენენ სასამართლოს დასკვნაზე:
ა) მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის შესახებ;
ბ) სასჯელის შესახებ;
გ) სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ;
დ) სამოქალაქო სარჩელის თანხის განსაზღვრის შესახებ.

3. განაჩენში დაშვებული ბუნდოვანება-უზუსტობების გასწორება, თუ იგი აღმოჩენილ იქნა, მოსამართლის (სასამართლოს) ვალდებულებაა (და არა – უფლება).

4. განაჩენში დაშვებული ბუნდოვანება-უზუსტობების გასწორების უფლება მოსამართლეს (სასამართლოს) აქვს როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე სხვა პირის ინიციატივით.

5. განაჩენში შესწორება შეტანილ უნდა იქნეს განაჩენის გამომტანი მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით).

6. თუ განაჩენში შესწორების შეტანის საკითხის გადაწყვეტის დროისათვის აღარ მუშაობს ის მოსამართლე, რომლის განაჩენშიც შესწორება უნდა იქნეს შეტანილი, განაჩენში შესწორების შეტანის უფლება აქვს იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლეს.

7. განმარტებებისა და დაზუსტებების შეტანა თავის განჩინებაში შეუძლია, აგრეთვე:

– სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას;

– უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მუხლი 616. სასამართლო, რომელიც წყვეტს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს

1. განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამომტანი სასამართლო წყვეტს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსასრულებლად მიქცევისას წამოჭრილ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: განაჩენის აღსრულების გადავადება, ჯარიმის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, თავისუფლების შეზღუდვის, გამასწორებელი სამუშაოს სასჯელის სხვა ღონისძიებით შეცვლა, ფსიქიკური ავადმყოფის მიმართ გამოყენებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება, გაგრძელება ან შეწყვეტა.
2. თუ განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება ხდება განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამომტანი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ საკითხებს წყვეტს იმავე დონის სასამართლო, ხოლო თუ განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულების ადგილზე იმავე დონის სასამართლო არ არსებობს – ზემდგომი სასამართლო. ყველა შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამომტან სასამართლოს.
3. სასჯელის მოხდის ადგილზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილებით წყდება ისეთი საკითხები, როგორიცაა: ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, სასჯელის მოხდის გადავადება, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა, პატიმრობის სახით სასჯელის მოსახდელად იმ პირის გაგზავნა, რომელსაც პირობით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა.
4. მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლო დადგენილებით წყდება ისეთი საკითხები, როგორიცაა: პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის შემცირება ან გაზრდა ანდა პირობითი მსჯავრის გაუქმება და მსჯავრდებულის გაგზავნა განაჩენით დადგენილი სასჯელის მოსახდელად, იმ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, რომლის მიმართაც გადავადებულია განაჩენის აღსრულება, განაჩენის აღსრულების გადავადების გაუქმება და მსჯავრდებულის გაგზავნა განაჩენით დადგენილი სასჯელის მოსახდელად.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18,

მუხლი 48; საქართველოს 2001 წლის 10 აპრილის კანონი №843 – სსმ I, 2001 წ., №11, მუხლი 38; საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1631 – სსმ I, 2002 წ., №23, მუხლი 115; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. განაჩენის, განჩინების, დადგენილების გამომტანმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს განაჩენის, განჩინების, დადგენილების აღსასრულებლად მიქცევისას წამოჭრილი ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

– განაჩენის აღსრულების გადავადება;

– ჯარიმის სასჯელის სხვა ღონისძიებით შეცვლა;

– საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სასჯელის სხვა ღონისძიებით შეცვლა;

– თავისუფლების შეზღუდვის სასჯელის სხვა ღონისძიებით შეცვლა;

– გამასწორებელი სამუშაოს სასჯელის სხვა ღონისძიებით შეცვლა;

– ფსიქიკური ავადმყოფის მიმართ გამოყენებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება;

– ფსიქიკური ავადმყოფის მიმართ გამოყენებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაგრძელება;

– ფსიქიკური ავადმყოფის მიმართ გამოყენებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეწყვეტა.

2. თუ განაჩენის, განჩინების, დადგენილების აღსრულება ხდება განაჩენის, განჩინების, დადგენილების გამომტანი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, მაშინ განაჩენის აღსრულების გადავადების, ჯარიმის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, თავისუფლების შეზღუდვის, გამასწორებელი სამუშაოს სასჯელის სხვა ღონისძიებით შეცვლის, ფსიქიკური ავადმყოფის მიმართ გამოყენებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების, გაგრძელების, შეწყვეტის საკითხები უნდა გადაწყვიტოს იმავე დონის სასამართლომ, ხოლო თუ განაჩენის, განჩინების, დადგენილების აღსრულების ადგილზე იმავე დონის სასამართლო არ არსებობს — ზემდგომმა სასამართლომ.

3. სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი უნდა გაეგზავნოს განაჩენის, განჩინების, დადგენილების გამომტან სასამართლოს.

4. სასჯელის მოხდის ადგილზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილებით უნდა გადაწყდეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

– ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება;

– სასჯელის მოხდის გადავადება;

– სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება;

– სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა;

– პატიმრობის სახით სასჯელის მოსახდელად იმ პირის გაგზავნა, რომელსაც განაჩენით პირობით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა.

5. მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილებით უნდა გადაწყდეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

– პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის შემცირება;

– პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის გაზრდა;

– პირობითი მსჯავრის გაუქმება და მსჯავრდებულის გაგზავნა განაჩენით დადგენილი სასჯელის მოსახდელად;

– იმ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, რომლის მიმართაც გადავადებულია განაჩენის აღსრულება;

– განაჩენის აღსრულების გადავადების გაუქმება და მსჯავრდებულის გაგზავნა განაჩენით დადგენილი სასჯელის მოსახდელად.

მუხლი 617. განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესი

1. განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს სასამართლო განიხილავს სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულის მონაწილეობით. მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ კოდექსის 76-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებით.
2. თუ საკითხი ეხება განაჩენის აღსრულებას სამოქალაქო სარჩელის ნაწილში, სასამართლო სხდომაზე იძახებენ აგრეთვე სამოქალაქო მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს. ამ პირთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას.
3. სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან ავადმყოფობის გამო განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას სავალდებულოა დასკვნის გამცემი საექიმო კომისიის წარმომადგენლის დასწრება.
4. თუ სასამართლო განიხილავს სასჯელის მოხდისაგან ხანდაზმულობის გამო ან პირობით ვადამდე განთავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხებს, სასამართლო სხდომაზე იძახებენ სასჯელის აღმსრულებელი ორგანოს წარმომადგენელს.
5. თუ სასამართლო საქმეს განიხილავს სასჯელის აღმსრულებელი ორგანოსა და სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი ან შეთანხმებული წარდგინებით, იგი ატყობინებს კომისიებს წარდგინების განხილვის დროსა და ადგილს და მათ მიერ უფლებამოსილ პირებს უზრუნველყოფს საქმის განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობით.
6. თუ სასამართლო განიხილავს საკითხს, რომელიც დაკავშირებულია პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის შემცირებასთან ან გაზრდასთან, ანდა იმ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებასთან, რომლის მიმართაც გადავადებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, ან განაჩენით დანიშნული სასჯელის მოსახდელად ამ პირების გაგზავნასთან, სასამართლო სხდომაზე იძახებენ მათი ყოფაქცევის მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელს.
7. საქმის წარმოება მიმდინარეობს სასამართლო განხილვისათვის დადგენილი წესებით. საქმის განხილვა იწყება სხდომის თავმჯდომარის მიერ წარდგი-

ნების ან შუამდგომლობის წაკითხვით, რის შემდეგაც სასამართლო იკვლევს სასჯელის აღმსრულებელი ორგანოს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის, მსჯავრდებულისა და მისი დამცველის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. ამის შემდეგ იწყება პროცესის მონაწილეთა კამათის მოსმენა. ბოლოს სიტყვით გამოდიან მსჯავრდებული და მისი დამცველი. შემდეგ სასამართლო გადის დადგენილების გამოსატანად.

8. **მსჯავრდებულის მიერ პირობითი მსჯავრის პირობების დარღვევის შემთხვევაში, თუ მისი ადგილსამყოფლის დადგენა შეუძლებელია, სასჯელის აღმსრულებელი ორგანოს შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს მსჯავრდებულის მონაწილეობის გარეშე.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1631 – სსმ I, 2002 წ., №23, მუხლი 115; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლო სხდომაზე, როგორც წესი, მსჯავრდებულის მონაწილეობით.

2. განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების სასამართლო განხილვისას მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმავე უფლებებით, რაც გააჩნია ბრალდებულს, განსახილველი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის კომენტარები).

3. თუ საკითხი ეხება განაჩენის აღსრულებას სამოქალაქო სარჩელის ნაწილში, სასამართლო სხდომაზე უნდა გამოიძახონ აგრეთვე სამოქალაქო მოსარჩელე ან სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი. ამასთან, მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას.

4. სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან ავადმყოფობის გამო განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას დასკვნის გამცემი საექიმო კომისიის წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა.

5. სასამართლო სხდომაზე უნდა გამოიძახონ სასჯელის აღმსრულებელი ორგანოს წარმომადგენელი, თუ სასამართლო იხილავს:

– სასჯელის მოხდისაგან ხანდაზმულობის გამო განთავისუფლების საკითხს;

– სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების საკითხს;

– სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხს.

6. თუ სასამართლო საქმეს განიხილავს სასჯელის აღმსრულებელი ორგანოსა და სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი ან შეთანხმებული წარდგინებით, მან უნდა შეატყობინოს კომისიებს წარდგინების განხილვის დრო და ადგილი და მათ მიერ უფლებამოსილი პირები უნდა უზრუნველყოს საქმის განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობით.

7. სასამართლო სხდომაზე უნდა გამოიძახონ მსჯავრდებულის ყოფაქცევის მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელი, თუ სასამართლო განიხილავს საკითხს, რომელიც დაკავშირებულია:

– პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის შემცირებასთან;

– პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის გაზრდასთან;

– იმ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებასთან, რომლის მიმართაც გადავადებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულება;

– განაჩენით დანიშნული სასჯელის მოსახდელად ამ პირის გაგზავნასთან.

8. საქმის წარმოება უნდა წარიმართოს სასამართლო განხილვისათვის დადგენილი საერთო წესებით, შემდეგი სპეციფიკის გათვალისწინებით:

– საქმის განხილვა უნდა დაიწყოს სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ წარდგინების (შუამდგომლობის) წაკითხვით;

– შემდეგ სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს მტკიცებულებები, რომლებიც წარმოადგინა:

ა) სასჯელის აღმსრულებელმა ორგანომ;

ბ) სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედმა კომისიამ;

გ) მსჯავრდებულმა;

დ) დამცველმა;

– აღნიშნულის შემდეგ უნდა დაიწყოს პროცესის მონაწილეთა კამათის მოსმენა. ამასთან, ბოლოს სიტყვით უნდა გამოვიდნენ მსჯავრდებული და დამცველი;

– შემდეგ სასამართლო უნდა გავიდეს სათათბირო ოთახში დადგენილების (განჩინების) გამოსატანად.

9. მსჯავრდებულის მიერ პირობითი მსჯავრის პირობების დარღვევის შემთხვევაში, თუ მისი ადგილსამყოფლის დადგენა შეუძლებელია, სასჯელის აღმსრულებელი ორგანოს შუამდგომლობა სასამართლომ უნდა განიხილოს მსჯავრდებულის მონაწილეობის გარეშე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606[1] მუხლის კომენტარები).

მუხლი 618. სასამართლოს მიერ ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვა

1. **ნასამართლობის მოხსნის საკითხს სასამართლო წყვეტს სასჯელმოხდილი პირის, მისი დამცველის ან კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით.**
2. **(ამოღებულია).**
3. **სავალდებულოა სასამართლო სხდომაში იმ პირის მონაწილეობა, რომლის მიმართაც განიხილავენ შუამდგომლობას ნასამართლობის მოხსნის შესახებ.**
4. **ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვა იწყება სხდომის თავმჯდომარის მიერ შუამდგომლობის წაკითხვით, რის შემდეგაც სასამართლო ისმენს გამოცხადებულ პირთა აზრს და გადის დადგენილების გამოსატანად.**
5. **ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შემთხვევაში შუამდგომლობის ხელახლა აღძვრა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. ნასამართლობის მოხსნის შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს:

– მსჯავრდებულს (სასჯელმოხდილ პირს);

– დამცველს;

– მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენელს.

2. ნასამართლობის მოხსნის შესახებ სასამართლო სხდომაში სავალდებულოა იმ პირის მონაწილეობა, ვის მიმართაც განიხილება შუამდგომლობა ნასამართლობის მოხსნის შესახებ.

3. ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვა უნდა დაიწყოს სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ შუამდგომლობის წაკითხვით, რის შემდეგაც სასამართლომ უნდა მოისმინოს გამოცხადებული პირების აზრი და უნდა გავიდეს სათათბირო ოთახში დადგენილების გამოსატანად.

4. ნასამართლობის მოხსნის შესახებ შუამდგომლობის განხილვაში პროკურორი არ მონაწილეობს.

5. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება ნასამართლობის მოხსნის (მოხსნაზე უარის თქმის) შესახებ შეიძლება მხოლოდ ერთხელ გასაჩივრდეს სააპელაციო წესით, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. ამასთან, პროკურორი სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სასამართლო განხილვაში არ მონაწილეობს.

6. ნასამართლობის მოხსნის საკითხზე სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და საკასაციო წესით არ საჩივრდება.

7. ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შემთხვევაში შუამდგომლობის ხელახლა აღძვრა დასაშვებია მხოლოდ 6 თვის შემდეგ.

მუხლი 619. სასამართლო, რომელიც წყვეტს უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს

1. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულების საკითხს განსჯადობის დაცვით, მსჯავრდებულის ადგილსამყოფლის მიხედვით განიხილავს საქართველოს სასამართლო.

2. საქართველოს მოქალაქის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულების საკითხს სასამართლო განიხილავს მსჯავრდებულის დაუსწრებლად, საქმის მასალების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულების საკითხი უნდა განიხილოს საქართველოს განსჯადმა სასამართლომ, მსჯავრდებულის ადგილსამყოფლის მიხედვით.

2. საქართველოს მოქალაქის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულების საკითხი სასამართლომ უნდა განიხილოს საქმის მასალების მიღებიდან ერთი თვის ვადაში, მსჯავრდებულის დაუსწრებლად.

მუხლი 620. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესი

1. **უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულების თაობაზე საქართველოს სასამართლოს გამოაქვს განჩინება (დადგენილება).**
2. **განჩინებაში უნდა აღინიშნოს:**

ა) **უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს დასახელება და ადგილი, აგრეთვე განაჩენის გამოტანის დრო;**

ბ) **მონაცემები მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის საქართველოში უკანასკნელი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილებისა და საქმიანობის შესახებ;**

გ) **იმ ქმედების კვალიფიკაცია, რომელშიც პირს ბრალი ედება სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე;**

დ) **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის;**

ე) **სასჯელის სახე (ძირითადი და დამატებითი) და ვადა, რომელიც მსჯავრდებულმა საქართველოში უნდა მოიხადოს, სასჯელის მოხდის დაწყების და დამთავრების თარიღებისა და ზიანის ანაზღაურების წესის მითითებით.**

3. **უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულება ხდება იმავე წესით და იმავე პირობებში, როგორც საქართველოს სასამართლოს განაჩენის აღსრულება საქართველოში ჩადენილი დანაშაულისათვის.**
4. **საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ განაჩენის გადასინჯვის, შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ასეთი განაჩენის აღსრულების საკითხი წყდება ამ მუხლის შესაბამისად.**
5. **საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის აღსრულების თაობაზე საქართველოს სასამართლოს განჩინების (დადგენილების) ასლი შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების შემდგომი ინფორმირების მიზნით ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულების თაობაზე საქართველოს სასამართლომ უნდა გამოიტანოს დადგენილება (განჩინება).

2. დადგენილებაში (განჩინებაში) უნდა აღინიშნოს:

– უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს დასახელება;

– უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამოტანის ადგილი;

– უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამოტანის დრო;

– მონაცემები მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის საქართველოში უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის შესახებ;

– მონაცემები მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის საქართველოში უკანასკნელი სამუშაო ადგილის შესახებ;

– მონაცემები მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის საქართველოში საქმიანობის შესახებ;

– იმ ქმედების კვალიფიკაცია, რაშიც პირს ბრალი ედება სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის;

– სასჯელის სახე (ძირითადი და დამატებითი);

– სასჯელის ვადა, რომელიც მსჯავრდებულმა საქართველოში უნდა მოიხადოს;

– სასჯელის მოხდის დაწყებისა და დამთავრების თარიღები;

– ზიანის ანაზღაურების წესი.

3. უცხო სახელმწიფოს განაჩენის აღსრულების თაობაზე დადგენილების (განჩინების) გამოტანისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ამ პროცედურის მიზანია უცხო სახელმწიფოს განაჩენის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ დროს საქართველოს სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ეჭვქვეშ დააყენოს, გადასინჯოს უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მოახდინოს განაჩენის რევიზია.

4. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენი საქართველოში უნდა აღსრულდეს იმავე წესითა და იმავე პირობებში, როგორც აღსრულდება საქართველოში ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოს სასამართლოს განაჩენი.

5. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ განაჩენის გადასინჯვის, შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში ასეთი განაჩენის აღსრულების საკითხი უნდა გადაწყდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 620-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

6. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის აღსრულების თაობაზე საქართველოს სასამართლოს დადგენილების (განჩინების) ასლი, განაჩენის გამომტანი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების შემდგომი ინფორმირების მიზნით, უნდა გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

მუხლი 621. მსჯავრდების შედეგები

უცხო სახელმწიფოს სასამართლოს ან/და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განაჩენით საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვა-

ნილი პირის მიმართ დგება მსჯავრდების ისეთივე სამართლებრივი შედეგები, როგორიც საქართველოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის მიმართ.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი №2976 – სსმ I, 2003 წ., №26, მუხლი 192)

1. საქართველოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის მიმართ დამდგარი მსჯავრდების სამართლებრივი შედეგების მსგავსი მსჯავრდების სამართლებრივი შედეგები დგება:

– უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ;

– სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განაჩენით საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ.

მუხლი 622. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ ამნისტიისა და შეწყალების აქტის გამოყენება

საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ გამოიყენება განაჩენის გამომტანი უცხო სახელმწიფოსა და საქართველოს მიერ გამოცემული ამნისტიის ან შეწყალების აქტი ამ აქტით დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს:

– განაჩენის გამომტანი უცხო სახელმწიფოს მიერ გამოცემული ამნისტიის აქტი, ამ აქტით დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად;

– განაჩენის გამომტანი უცხო სახელმწიფოს მიერ გამოცემული შეწყალების აქტი, ამ აქტით დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად;

– საქართველოს მიერ გამოცემული ამნისტიის აქტი, ამ აქტით დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად;

– საქართველოს მიერ გამოცემული შეწყალების აქტი, ამ აქტით დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად.

2. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ განაჩენის გამომტანი უცხო სახელმწიფოსა და საქართველოს მიერ გამოცემული ამნისტიისა და შეწყალების აქტის გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პირობები.

მუხლი 623. განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილების გასაჩივრება

განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 607-ე–611-ე, 618-ე–619-ე და 622-ე მუხლებით, სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილება შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს 517-ე–545-ე მუხლებით განსაზღვრული წესით. ამ შემთხვევაში სასამართლო განხილვაში პროკურორი არ მონაწილეობს.

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2543 – სსმ I, 2006 წ., №1, მუხლი 9; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილი საკითხების სასამართლო განხილვაში პროკურორის მონაწილეობისა და სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით დადგენილია სხვადასხვა წესი განსახილველი საკითხების მიხედვით, კერძოდ:

– განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილი საკითხების (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-611-ე, 618-619-ე და 622-ე მუხლების გარდა) სასამართლო განხილვა ყველა ინსტანციის სასამართლოში ხდება საერთო წესით;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-611-ე, 618-619-ე და 622-ე მუხლებით გათვალისწინებული, განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილი საკითხების სასამართლო განხილვაში პროკურორი არ მონაწილეობს და ამ საკითხებზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება მხოლოდ ერთხელ, სააპელაციო წესით, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სასამართლო განხილვისას პროკურორი არ მონაწილეობს. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-611-ე, 618-619-ე და 622-ე მუხლების კომენტარები).

კარი მეთორმეტე
ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების თავისებურებანი

თავი LXII
კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება

მუხლი 626. კერძო ბრალდების საქმეთა წარმოების წესი

27-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ დანაშაულთა ჩადენასთან დაკავშირებით კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება ხორციელდება ამ კოდექსით დადგენილი საერთო წესებით და XII თავის შესაბამისად.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19)

1. ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისა (სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლი) და ცემის (სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლი) ჩადენასთან დაკავშირებით კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის (კერძო ბრალდების საქმეთა წარმოებისათვის), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საერთო წესებთან ერთად ადგენს განსაკუთრებულ წესებს და, შესაბამისად, აღნიშნულს ცალკე თავს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის LXIIL თავი) უთმობს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 627. საჩივარი კერძო ბრალდების წესით

1. **ამ კოდექსის 27-ე მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა შესახებ საჩივარი შეიტანება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განსჯადობის დაცვით.**
2. **საჩივარი შეიტანება წერილობით და იგი უნდა შეიცავდეს: დანაშაულის შემთხვევის აღწერას, ცნობებს დანაშაულის ჩამდენი პირისა და დანაშაულის შესახებ, მტკიცებულებათა ჩამონათვალსა და თხოვნას, რომ მოსამართლემ განიხილოს საქმე. საჩივარს ხელს უნდა აწერდეს დაზარალებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი.**

3. თუ საჩივარი შეტანილია გამომძიებელთან ან პროკურორთან, მან იგი უნდა გადასცეს განსჯადობის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. კერძო ბრალდების საქმეთა შესახებ საჩივარი შეიტანება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით.

2. კერძო ბრალდების საქმესთან დაკავშირებით საჩივარი ყველა შემთხვევაში შეიტანება წერილობით.

3. საჩივარში უნდა მიეთითოს:

– საჩივრის ავტორის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

– დანაშაულის შემთხვევის (ანუ ქმედების ფაქტობრივი გარემოებების) აღწერა;

– ცნობები (საჩივრის ავტორისათვის ცნობილი საიდენტიფიკაციო მონაცემები) დანაშაულის ჩამდენი პირის შესახებ;

– საჩივრის ავტორის მოსაზრება, რა დანაშაულია ჩადენილი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, ცემა, ორივე ერთად);

– მტკიცებულებების ჩამონათვალი (იმ მოწმეების მონაცემების მითითება, რომლებიც დაადასტურებენ საჩივრის ფაქტობრივ გარემოებებს, ასევე – ამავე გარემოებათა დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სხვა ნივთიერი მტკიცებულებების მითითება და ა.შ.);

– თხოვნა, რომ მოსამართლემ განიხილოს საქმე.

4. კერძო ბრალდების საქმესთან დაკავშირებით საჩივარს ხელს უნდა აწერდეს დაზარალებული (დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენელი).

5. თუ კერძო ბრალდების საქმეზე საჩივარი შეტანილია გამომძიებელთან (პროკურორთან), მან საჩივარი უნდა გადასცეს განსჯადობის მიხედვით – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რის შესახებაც უნდა აცნობოს საჩივრის ავტორს.

მუხლი 628. მოსამართლის მოქმედება საჩივართან დაკავშირებით

1. **საჩივრის მიღების შემდეგ მოსამართლემ უნდა განუმარტოს განმცხადებელს პასუხისმგებლობა შეგნებულად ცრუ დასმენისათვის და ჩამოართვას ხელწერილი, გამოიძახოს და გააცნოს საჩივარი იმ პირს, რომლის მიმართაც შეტანილია იგი, მიიღოს განმარტება დაზარალებულისაგან ან იმ პირისაგან, რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი; გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები; განსაზღვროს სასამართლოში გამოსაძახებელ და დასაკითხ პირთა წრე.**
2. **თუ საჩივრის შემოწმებისას დადგინდა, რომ ჩადენილია დანაშაული, რომლის შესახებაც საქმე უნდა გამოიძიონ და განიხილონ საერთო წესით, მოსამართლე მასალებს უგზავნის პროკურორს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. კერძო ბრალდების საქმესთან დაკავშირებით საჩივრის მიღების შემდეგ მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა იგი განსჯადობის მიხედვით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 627-ე მუხლის კომენტარები).

2. მოსამართლემ უნდა:

– გამოიძახოს საჩივრის ავტორი;

– განუმარტოს საჩივრის ავტორს შეგნებულად ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ:

– ჩამოართვას საჩივრის ავტორს შესაბამისი ხელწერილი;

– გამოიძახოს ის პირი, რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი;

– გააცნოს საჩივარი იმ პირს, რომლის მიმართაც შეტანილია იგი;

– მიიღოს განმარტება საჩივრის ავტორისაგან (ანუ იმ პირისაგან, რომელიც თავს დაზარალებულად მიიჩნევს);

– მიიღოს განმარტება იმ პირისაგან, რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს, თუ კერძო ბრალდების საქმესთან დაკავშირებით საჩივრის შეტანიდან რა ვადაში უნდა დაიწყოს და დასრულდეს კერძო ბრალდების წესით შეტანილი საჩივრის განხილვა. ამასთან, კერძო ბრალდების საქმის განხილვა უნდა დამთავრდეს გონივრულ ვადაში.

4. თუ საჩივრის შემოწმებისას დადგინდება, რომ ჩადენილია დანაშაული, რომლის შესახებაც სისხლის სამართლის საქმე უნდა გამოიძიონ და განიხილონ საერთო წესით, მოსამართლემ მასალები უნდა გაუგზავნოს პროკურორს.

მუხლი 629. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 630. (ამოღებულია)

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 631. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 632. დაზარალებულის შერიგება პირთან, რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი

1. **კერძო ბრალდების წესით წარმოება შეიძლება დამთავრდეს შერიგებით, სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე.**
2. **სასამართლო განხილვის დროს შერიგების შესახებ დაზარალებულისა და იმ პირის ზეპირი განცხადებები, რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი, შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში, ხოლო წერილობითი – დაერთვის საქმეს. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება.**

(*საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94*)

1. კერძო ბრალდების წესით წარმოება შეიძლება დამთავრდეს მხარეთა შერიგებით. ამასთან, შერიგებით არ შეიძლება შეწყდეს კერძო ბრალდების საქმე, რომლის განხილვაშიც მონაწილეობს პროკურორი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე, 634-ე მუხლების კომენტარები).

2. მხარეთა შერიგებისათვის რაიმე წინა პირობებს (მაგ.: აღიარება, მონანიება, ზიანის ანაზღაურება და ა.შ.) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აწესებს; მთავარია, მხარეთა ნების გამოვლენა შერიგების შესახებ, ანუ სასამართლომ არ უნდა გამოიკვლიოს გარემოებები, თუ რა გახდა შერიგების საფუძველი, გარდა იმისა, რომ უნდა დარწმუნდეს შერიგების ნებაყოფლობითობაში (ხომ არ არის შერიგებაზე მხარის თანხმობა მუქარის ან სხვა სახის იძულების შედეგი).

3. შერიგების შესახებ მხარეებს შეუძლიათ, განაცხადონ ნებისმიერ ეტაპზე, სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე, მათ შორის – სააპელაციო და საკასაციო წესით სისხლის სამართლის საქმის განხილვისას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის კომენტარები).

4. არსებობს შერიგების შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის ორი ფორმა:

– წერილობითი, როდესაც მხარეები წერილობით (განცხადებით, შუამდგომლობით) მიმართავენ სასამართლოს შერიგების შესახებ;

– ზეპირი, როდესაც სასამართლო სხდომაზე მხარეები განაცხადებენ შერიგების შესახებ და მათი განმარტებები (პოზიცია) შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც მხარე არ არის შეზღუდული, სასამართლო სხდომაზე მიცემული ზეპირი განმარტების გარდა, წერილობითაც წარადგინოს თხოვნა (განცხადება, შუამდგომლობა) შერიგებასთან დაკავშირებით.

5. კერძო ბრალდების საქმეთა წარმოებისას „მხარეებში“ იგულისხმება როგორც პირები, რომლებიც სასამართლომ უკვე ცნო დაზარალებულად და ბრალდებულად, ასევე პირი, რომელმაც საჩივრით მიმართა სასამართლოს (ანუ პირი, რომელიც თავს მიიჩნევს დაზარალებულად), მაგრამ სასამართლოს ჯერ არ უცვნია დაზარალებულად და პირი, რომლის წინააღმდეგაც შეტანილია საჩივარი (ანუ პირი, რომელზეც განცხადების ავტორი მიუთითებს, როგორც დანაშაულის ჩამდენზე), მაგრამ სასამართლოს იგი ჯერ არ უცვნია ბრალდებულად.

6. მხარეთა შერიგების შემთხვევაში მოსამართლემ უნდა გამოიტანოს დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 633. კერძო ბრალდების საქმეთა გაერთიანება ერთ წარმოებად

1. **დაზარალებულის საჩივარი შეიძლება გაერთიანდეს შემხვედრ საჩივართან ერთ წარმოებად. ასეთი გაერთიანება დაშვებულია სასამართლო გამოძიების დაწყებამდე. სასამართლო განხილვის დროს საქმეთა გაერთიანების შესახებ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება.**
2. **შემხვედრი საჩივრების ერთ წარმოებაში განხილვისას საჩივრის შემტანი პირები პროცესში ერთდროულად მონაწილეობენ, როგორც დაზარალებული და განსასჯელი. ამ პირთა დაკითხვა მათს საჩივრებში ჩამოყალიბებული გარემოებების შესახებ ტარდება დაზარალებულთა დაკითხვის წესებით, ხოლო შემხვედრ საჩივრებში ჩამოყალიბებული გარემოებების შესახებ – განსასჯელთა დაკითხვის წესებით.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. მოსამართლის დადგენილებით დასაშვებია კერძო ბრალდების საქმეზე შემხვედრი საჩივრების გაერთიანება ერთ წარმოებად.

2. შემხვედრი საჩივრების ერთ წარმოებად გაერთიანება შესაძლებელია სასამართლო გამოძიების დაწყებამდე.

3. „შემხვედრ საჩივრებში“ იგულისხმება ერთი და იმავე პირების მიერ ერთმანეთის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრები, მხოლოდ იმ პირობით, რომ საჩივრები უნდა შეიცავდეს ბრალდებას კერძო ბრალდების დანაშაულის ჩადენის შესახებ. თუ საჩივარში მითითებულია საჯარო ან კერძო-საჯარო ბრალდების დანაშაულის შესაძლო ჩადენაზე, საჩივარი სასამართლომ არ უნდა განიხილოს.

4. შემხვედრი საჩივრების გაერთიანების შესახებ მოსამართლემ უნდა გამოიტანოს დადგენილება.

5. შემხვედრი საჩივრების ერთ წარმოებად გაერთიანებისას შემხვედრი საჩივრების ავტორები სისხლის სამართლის საქმის განხილვაში ერთდროულად მონაწილეობენ როგორც დაზარალებული და განსასჯელი. ამასთან, პირის დაკითხვა მის საჩივარში ჩამოყალიბებული გარემოებების შესახებ უნდა ჩატარდეს დაზარალებულის დაკითხვის წესებით, ხოლო შემხვედრ საჩივარში ჩამოყალიბებული გარემოებების შესახებ – განსასჯელის დაკითხვის წესებით.

მუხლი 634. პროკურორის მონაწილეობა კერძო ბრალდების საქმეში

1. (ამოღებულია).

2. **პროკურორს უფლება აქვს ჩაებას კერძო ბრალდების საქმეში და მხარი დაუჭიროს ბრალდებას სასამართლოში, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო, საზოგადოებრივი ინტერესები ან მოქალაქეთა უფლებების დაცვა. საქმეში პროკურორის ჩაბმა დაზარალებულს არ ართმევს ამ კოდექსის 69-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს.**
3. **დაზარალებულის განსასჯელთან შერიგებით არ შეწყდება ის საქმე, რომლის სასამართლო განხილვაშიც პროკურორი მონაწილეობს.**

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. პროკურორი უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს კერძო ბრალდების საქმეში და მხარი დაუჭიროს ბრალდებას სასამართლოში შემდეგ შემთხვევებში:

– თუ პროკურორის მონაწილეობას წერილობით მოითხოვს ორივე მხარე;

– თუ პროკურორის მონაწილეობას მოითხოვს მხოლოდ დაზარალებული (დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენელი);

– თუ საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის კომენტარები);

– თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესები;

– თუ ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესები;

– თუ ამას მოითხოვს მოქალაქეების უფლებების დაცვა.

2. სისხლის სამართლის საქმეში პროკურორის მონაწილეობის მიუხედავად, დაზარალებულს უნარჩუნდება სისხლის საპროცესო უფლებაუნარიანობა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 69-ე მუხლის კომენტარები).

3. დაზარალებულის განსასჯელთან შერიგებით არ შეიძლება შეწყდეს ის საქმე, რომლის სასამართლო განხილვაში პროკურორი მონაწილეობს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე, 632-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 635. კერძო ბრალდების საქმის გამო წინასწარი გამოძიების ჩატარება

მოსამართლეს, რომელიც განიხილავს კერძო ბრალდების საქმეს, უფლება აქვს გასცეს განკარგულება წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად. საქმე უნდა შეწყდეს, თუ დაზარალებული შეურიგდა ბრალდებულს სასამართლო გამოძიების დაწყებამდე.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება ტარდება:

– დაზარალებულის მოთხოვნით;

– განსასჯელის მოთხოვნით;

– პროკურორის წინადადებით, თუ მხარეები ამის წინააღმდეგი არ არიან;

– მოსამართლის ინიციატივით.

2. აღსანიშნავია, რომ კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს უფლება აქვს, გასცეს განკარგულება კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარების შესახებ. ამასთან, როგორც წესი, ასეთი განკარგულება უნდა გაიცეს იშვიათ (უკიდურეს) შემთხვევაში და ისიც მაშინ, როდესაც კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმის სასამართლოს მიერ განხილვისას აუცილებელი გახდება ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რასაც სასამართლო ვერ შეძლებს (მაგ.: ჩხრეკა, ამოღება და ა.შ.). კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ მხოლოდ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება უნდა დაავალოს გამომძიებელს, პროკურორს და მთლიანად სისხლის სამართლის საქმე არ უნდა წარმართოს წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 270-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 636. საქმის მომზადება სასამართლო განხილვისათვის

1. **სასამართლოში საქმის განხილვამდე არა უგვიანეს 3 დღე-ღამისა განსასჯელს უნდა გადაეცეს დაზარალებულის საჩივრის ასლი და სასამართლოში გამოძახების უწყება.**
2. **განსასჯელსა და მის დამცველს, დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გაეცნონ საქმის ყველა მასალას და აღძრან შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე მოწმეებისა და ექსპერტების გამოძახების შესახებ, გამოითხოვონ და საქმეს დაურთონ წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებანი. მოსამართლე ვალდებულია საფუძვლიანობის შემთხვევაში დააკმაყოფილოს ასეთი შუამდგომლობა.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. კერძო ბრალდების საქმის სასამართლოში განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 3 დღე-ღამის ვადაში განსასჯელს უნდა გადაეცეს:

– დაზარალებულის საჩივრის ასლი;

– სასამართლოში გამოძახების უწყება.

2. დაზარალებულის საჩივრის ასლის განსასჯელისათვის გადაცემის რაიმე სპეციალურ წესს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს, იგი შეიძლება, განსასჯელს გაეგზავნოს ფოსტით, იმ ვარაუდით, რომ სასამართლო სხდომამდე არა უგვიანეს სამი დღისა ჩაჰბარდება მას, ან გაეგზავნოს სასამართლოს კურიერის მეშვეობით, ან გამოძახებულ იქნეს სასამართლოში და საჩივრის ასლი გადასცეს მოსამართლის თანაშემწემ. განსასჯელისათვის საჩივრის ასლის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

3. განსასჯელს, დამცველს, დაზარალებულს, დაზარალებულის წარმომადგენელს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა:

– გაეცნონ სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალას;

– აღძრან შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე მოწმის გამოძახების შესახებ;

– აღძრან შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე ექსპერტის გამოძახების შესახებ;

– გამოითხოვონ წერილობითი მტკიცებულება და მოითხოვონ სისხლის სამართლის საქმეზე მისი დართვა;

– გამოითხოვონ ნივთიერი მტკიცებულება და მოითხოვონ სისხლის სამართლის საქმეზე მისი დართვა.

4. მოსამართლე ვალდებულია, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში დააკმაყოფილოს მხარის შესაბამისი შუამდგომლობა.

მუხლი 637. სასამართლო განხილვა

1. **კერძო ბრალდების საქმის სასამართლო განხილვა ტარდება ამ კოდექსით დადგენილი საერთო წესების შესაბამისად, ამ მუხლის წესების დაცვით.**
2. **სასამართლო სხდომის მოსამზადებელ ნაწილში თავმჯდომარე დაზარალებულს განუმარტავს მის უფლებას – პირადად ან თავისი წარმომადგენლის დახმარებით მხარი დაუჭიროს ბრალდებას, აგრეთვე უფლებას შეურიგდეს განსასჯელს.**
3. **სასამართლო გამოძიება იწყება დაზარალებულის საჩივრის საჯაროდ წაკითხვით. საჩივარს კითხულობს დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი. ჯერ ბრალდების, შემდეგ კი დაცვის მხარე წარმოადგენს მტკიცებულებებს. მხარეებს უფლება აქვთ ჩაატარონ ჯვარედინი დაკითხვა. მოსამართლე შეკითხვებს სვამს ბოლოს.**
4. **შემხვედრი საჩივრების ერთ წარმოებად გაერთიანების შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება იმ მტკიცებულების გამოკვლევის შესახებ, რომელიც ეხება თითოეულ ბრალდებას, აგრეთვე მხარეთა კამათში გამოსვლის რიგითობას.**

1. კერძო ბრალდების საქმის სასამართლო განხილვა უნდა ჩატარდეს სისხლის სამართლის საქმის განხილვისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესების დაცვით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 626-638-ე მუხლებით განსაზღვრული სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით.

2. სასამართლო სხდომის მოსამზადებელ ნაწილში სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ დაზარალებულს უნდა განუმარტოს მისი უფლება:

– პირადად ან თავისი წარმომადგენლის დახმარებით მხარი დაუჭიროს ბრალდებას;

– შეურიგდეს განსასჯელს.

3. კერძო ბრალდების საქმეზე სასამართლო გამოძიების ჩატარებისათვის დადგენილია შემდეგი წესი:

– სასამართლო გამოძიება უნდა დაიწყოს დაზარალებულის საჩივრის საჯაროდ წაკითხვით, რომელიც უნდა წაიკითხოს დაზარალებულმა ან მისმა წარმომადგენელმა;

– მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს:

ა) ჯერ ბრალდების მხარემ;

ბ) შემდეგ დაცვის მხარემ;

– მხარეს უფლება აქვს, ჩაატაროს ჯვარედინი დაკითხვა;

– მოსამართლემ შეკითხვები უნდა დასვას ბოლოს.

4. შემხვედრი საჩივრების ერთ წარმოებად გაერთიანების შემთხვევაში თითოეულ ბრალდებასთან დაკავშირებული მტკიცებულების გამოკვლევისა და მხარეთა კამათში გამოსვლის რიგითობის შესახებ მოსამართლემ უნდა გამოიტანოს დადგენილება.

მუხლი 638. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა კერძო ბრალდების დროს

სისხლისსამართლებრივი დევნა კერძო ბრალდების დროს უნდა შეწყდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, აგრეთვე:

ა) თუ გარდაიცვალა დაზარალებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზარალებულის ახლო ნათესავი ან განსასჯელი მოითხოვს საქმის განხილვას;

ბ) თუ დაზარალებული არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო განხილვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განსასჯელი მოითხოვს საქმის განხილვას.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. კერძო ბრალდების საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს:

– თუ არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ზოგადი საფუძვლები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის კომენტარები);

– თუ გარდაიცვალა დაზარალებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმის განხილვას მოითხოვს:

ა) დაზარალებულის ახლო ნათესავი;

ბ) განსასჯელი;

– თუ დაზარალებული არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო განხილვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსასჯელი მოითხოვს სისხლის სამართლის საქმის განხილვას.

თავი LXIII
წარმოება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე

მუხლი 639. არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმის წარმოების წესი

1. **არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმის წარმოება ხორციელდება ამ კოდექსით დადგენილი საერთო წესებით და ქვემოთ მოყვანილი მუხლების მიხედვით.**
2. **არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმის წარმოების წესი ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 18 წლის შესრულებამდე. 18 წლის შესრულების შემდეგ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება ამ კოდექსით დადგენილი საერთო წესების შესაბამისად.**

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება, ასევე არასრულწლოვანი განსასჯელის (მსჯავრდებულის) სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა ხდება საერთო წესების დაცვითა და იმ სპეციფიკური წესების გათვალისწინებით, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 639-659-ე მუხლებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 639-659-ე მუხლების კომენტარები).

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის ეჭვმიტანილი (ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული) არასრულწლოვნად ითვლება 14 წლიდან (სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების საწყისი ასაკიდან) 18 წლის ასაკამდე.

3. 18 წლის შესრულების შემდეგ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესების შესაბამისად, ანუ სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს „საპროცესო არასრულწლოვანების“ პრინციპი – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ასაკს არა ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს, არამედ – პროცესის წარმოების დროს. სრულწლოვანების შესრულების შემდეგ პირის მიმართ სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება საერთო წესების დაცვით და აღარ გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 639-659-ე მუხლებით დადგენილი სპეციფიკური წესები.

მუხლი 640. არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმის გამოყოფა დამოუკიდებელ წარმოებად

თუ არასრულწლოვანი დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდა სრულწლოვნებთან ერთად, მისი საქმე შეძლებისდაგვარად უნდა გამოიყოს დამოუკიდებელ წარმოებად 246-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დამოუკიდებელ წარმოებად არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ მასალების გამოყოფამ შეიძლება არსებითი დაბრკოლება შეუქმნას საქმის გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65)

1. სისხლის სამართლის საქმიდან ახალი სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებისათვის გამოყოფის რაიმე სპეციალურ გარემოებებს (საფუძვლებს) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს. ამასთან, თუ არასრულწლოვანი დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდა სრულწლოვანთან (სრულწლოვნებთან) ერთად, მისი საქმე შეძლებისდაგვარად უნდა გამოიყოს დამოუკიდებელ წარმოებად.

2. არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს უფლებაა (და არა – მოვალეობა). საქმე არ უნდა გამოიყოს, თუ ამან შეიძლება, არსებითი დაბრკოლება შეუქმნას სისხლის სამართლის საქმის გარემოების ყოველმხრივ, სრულ, ობიექტურ გამოკვლევას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 641. გარემოებები, რომლებიც დასადგენია არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე

არასრულწლოვნის დანაშაულის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს უნდა დადგინდეს:

ა) არასრულწლოვნის ასაკი (დაბადების რიცხვი, თვე, წელი);

ბ) არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები ოჯახსა და სკოლაში;

გ) სრულწლოვან წამქეზებელთა არსებობა;

დ) არასრულწლოვნის ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონე;

ე) არასრულწლოვნის პიროვნების ხასიათის თავისებურებები, მოთხოვნილებები და ინტერესები.

1. არასრულწლოვნის დანაშაულის საქმეზე სავალდებულოა ყველა იმ გარემოების დადგენა, რომელთა დადგენაც აუცილებელია ყველა სისხლის სამართლის საქმეზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე, 498-ე მუხლების კომენტარები).

2. ამასთან, არასრულწლოვნის დანაშაულის წინასწარი გამოძიებისა და სისხლის სამართლის სასამართლო განხილვის დროს უნდა დადგინდეს:

– არასრულწლოვნის ასაკი (დაბადების რიცხვი, თვე, წელი);
– არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები ოჯახში;
– არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები სკოლაში;
– სრულწლოვანი წამქეზებლის არსებობა;
– არასრულწლოვნის ფიზიკური განვითარების დონე;
– არასრულწლოვნის გონებრივი განვითარების დონე;
– არასრულწლოვნის პიროვნების ხასიათის თავისებურებები;
– არასრულწლოვნის მოთხოვნილებები;
– არასრულწლოვნის ინტერესები.

3. არასრულწლოვნის ასაკის დადგენისას, პირველ რიგში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ოფიციალურ დოკუმენტს (დაბადების მოწმობას, ამონაწერს (ცნობას) შესაბამისი დაწესებულებიდან, სადაც არსებოს ჩანაწერები დაბადების შესახებ). თუ ასეთი დოკუმენტები არ არსებობს და მათი მოპოვება შეუძლებელია, ასაკის დადგენისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული არასრულწლოვნის ნათესავის (სხვა პირის) ჩვენება, ან შესაძლებელია, დაინიშნოს ექსპერტიზა ასაკის დასადგენად.

მუხლი 642. არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური და კომპლექსური ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზა

თუ წამოიჭრა საკითხი, შეენიშნება თუ არა არასრულწლოვანს განვითარების ანომალია ან ფსიქიკური დაავადება და აქვს თუ არა უნარი მთლიანად ან ნაწილობრივ უწევდეს ანგარიშს თავის მოქმედებას და განაგებდეს მას, ინიშნება ფსიქოლოგიური ან კომპლექსური ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

1. სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას უნდა დაინიშნოს ფსიქოლოგიური ან კომპლექსური ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, თუ არასრულწლოვნის დაკითხვით, მის შესახებ მოძიებული სამედიცინო და სხვა სახის დოკუმენტებით (მაგ.: სკოლიდან მიღებული ცნობებით) გაჩნდა სერიოზული ეჭვი, რომ არასრულწლოვანს:
– შესაძლებელია, ჰქონდეს განვითარების ანომალია;
– შესაძლებელია, ჰქონდეს ფსიქიკური დაავადება;
– არ შესწევდეს უნარი, მთლიანად გაუწიოს ანგარიში თავის მოქმედებას;
– არ შესწევდეს უნარი, ნაწილობრივ გაუწიოს ანგარიში თავის მოქმედებას;
– არ შესწევდეს უნარი, მთლიანად განაგოს თავისი მოქმედება;
– არ შესწევდეს უნარი, ნაწილობრივ განაგოს თავისი მოქმედება.

მუხლი 643. არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გამოკვლევა

არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გამოკვლევისას უნდა გაირკვეს:

ა) ოჯახური ვითარება, ოჯახის შემადგენლობა, მატერიალური უზრუნველყოფა, საბინაო პირობები, ოჯახის უფროს წევრთა ერთმანეთთან ურთიერთობა, უფროსებისა და ბავშვების ურთიერთობა, თავისუფალი დროის გამოყენების პირობები ოჯახში, მშობლების დამოკიდებულება შვილების აღზრდისადმი, ბავშვების ქცევისადმი მშობელთა კონტროლის ფორმები;

ბ) ვითარება სკოლაში, ლიცეუმში, სხვა სასწავლებელში ან წარმოებაში, სადაც სწავლობს ან მუშაობს არასრულწლოვანი, მისი დამოკიდებულება სწავლისა და შრომისადმი, საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებისადმი, ურთიერთობა აღმზრდელებსა და დამრიგებლებთან, თანატოლებთან, არასრულწლოვნის მიმართ ადრე გამოყენებული აღმზრდელობითი ღონისძიების ხასიათი და ეფექტიანობა;

გ) არასრულწლოვნის ურთიერთობები და ქცევა სახლისა და სამუშაოს გარეთ; სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური ჯგუფის ან გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობა და მისი ურთიერთობა აღნიშნული ჯგუფის სხვა წევრებთან.

1. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას, მის მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების, ან სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ანუ ის გარემო, რომელმაც გავლენა მოახდინა (შესაძლებელია, გავლენა მოეხდინა) არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენაზე.

2. არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას უნდა გაირკვეს არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, კერძოდ:

– ოჯახური ვითარება;
– ოჯახის შემადგენლობა;
– მატერიალური უზრუნველყოფა;
– საბინაო პირობები;
– ოჯახის უფროსი წევრების ერთმანეთთან ურთიერთობა;
– უფროსებისა და ბავშვების ურთიერთობა;
– თავისუფალი დროის გამოყენების პირობები ოჯახში;
– მშობლების დამოკიდებულება შვილების აღზრდისადმი;
– ბავშვების ქცევისადმი მშობლების კონტროლის ფორმები;
– ვითარება სკოლაში, სადაც სწავლობს არასრულწლოვანი;
– ვითარება ლიცეუმში, სადაც სწავლობს არასრულწლოვანი;
– ვითარება სხვა სასწავლებელში, სადაც სწავლობს არასრულწლოვანი;
– ვითარება წარმოებაში, სადაც მუშაობს არასრულწლოვანი;
– არასრულწლოვნის დამოკიდებულება სწავლისადმი;
– არასრულწლოვნის დამოკიდებულება შრომისადმი;
– არასრულწლოვნის დამოკიდებულება საზოგადოებრივი დავალების შესრულებისადმი;

– არასრულწლოვნის ურთიერთობა აღმზრდელებთან;

– არასრულწლოვნის ურთიერთობა დამრიგებლებთან;

– არასრულწლოვნის ურთიერთობა თანატოლებთან;

– არასრულწლოვნის მიმართ ადრე გამოყენებული აღმზრდელობითი ღონისძიების ხასიათი;

– არასრულწლოვნის მიმართ ადრე გამოყენებული აღმზრდელობითი ღონისძიების ეფექტიანობა;

– არასრულწლოვნის ურთიერთობები და ქცევა სახლის გარეთ;

– არასრულწლოვნის ურთიერთობები და ქცევა სამუშაოს გარეთ;

– არასრულწლოვნის სხვადასხვა ფორმალური (არაფორმალური) ჯგუფის (გაერთიანების) საქმიანობაში მონაწილეობა და მისი ურთიერთობა აღნიშნული ჯგუფის (გაერთიანების) სხვა წევრებთან.

მუხლი 644. არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა საქმეში

1. **არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის წარმოებაში არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის პირველი დაკითხვისთანავე მონაწილეობს არასრულწლოვნის პედაგოგი ან კანონიერი წარმომადგენელი.**
2. **გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით, ანდა სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით) არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი შეიძლება ჩამოაცილონ საქმეში მონაწილეობას ან შეზღუდონ მისი მონაწილეობა, თუ არსებობს საფუძველი, რომ თავისი მოქმედებით იგი ზიანს აყენებდა ან აყენებს არასრულწლოვნის ინტერესებს. საქმეში მონაწილეობისაგან კანონიერი წარმომადგენლის ჩამოცილების შემთხვევაში არასრულწლოვნის ინტერესების დაცვა ევალება სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელს.**

(საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2454 – სსმ I, 2003 წ., №21, მუხლი 148)

1. არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებისას და სასამართლო განხილვისას სავალდებულოა არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის ან პედაგოგის მონაწილეობა. ამასთან, კანონიერი წარმომადგენელი ან პედაგოგი მოწვეულ უნდა იქნეს არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) პირველ დაკითხვამდე.

2. არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი შეიძლება იყოს:

– ახლო ნათესავი;

– მეურვე;

– მზრუნველი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის კომენტარები).

3. წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამომძიებლის (პროკურორის) დადგენილებით, ხოლო სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით) არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი შეიძლება, ჩამოცილებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისაგან ან შეიზღუდოს სისხლის სამართლის საქმეში მისი მონაწილეობა, თუ არსებობს საფუძველი, რომ თავისი მოქმედებით იგი ზიანს აყენებს (აყენებდა) არასრულწლოვნის ინტერესებს.

4. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისაგან კანონიერი წარმომადგენლის ჩამოცილების შემთხვევაში არასრულწლოვნის ინტერესების დაცვა უნდა დაევალოს:

– სხვა კანონიერ წარმომადგენელს;
– მეურვეობის ორგანოს წარმომადგენელს;
– მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელს.

მუხლი 645. არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმეში დამცველის მონაწილეობის უზრუნველყოფა

გამომძიებელი და პროკურორი უზრუნველყოფენ საქმეში დამცველის მონაწილეობას არასრულწლოვნის პირველი დაკითხვისთანავე. ამ მიზნით არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს განუმარტავენ უფლებას, მოიწვიონ დამცველი საკუთარი არჩევანით. თუ დამცველი არ მოიწვია არასრულწლოვანმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ან სხვა პირმა მათი დავალებითა და მათივე თანხმობით, გამომძიებელი ვალდებულია თავისი ინიციატივით უზრუნველყოს საქმეში დამცველის მონაწილეობა.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის არასრულწლოვანება იძულებითი დაცვის განხორციელების საფუძველია (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის კომენტარები).

2. სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებისას გამომძიებლის (პროკურორის) მიერ, ან სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას მოსამართლის (სასამართლოს) მიერ არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის დაკითხვა დამცველის მონაწილეობის გარეშე დაუშვებელია (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 647-ე მუხლის კომენტარები).

3. გამომძიებელმა (პროკურორმა) უნდა უზრუნველყოს სისხლის სამართლის საქმეში დამცველის მონაწილეობა არასრულწლოვნის პირველი დაკითხვისთანავე. ამ მიზნით არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს უნდა განემარტოთ უფლება, მოიწვიონ დამცველი საკუთარი არჩევანით. თუ არასრულწლოვანმა, არასრულ-

წლოვნის კანონიერმა წარმომადგენელმა ან სხვა პირმა, მათი დავალებითა და მათივე თანხმობით, დამცველი არ მოიწვიეს, გამომძიებელი ვალდებულია, თავისი ინიციატივით უზრუნველყოს სისხლის სამართლის საქმეში დამცველის მონაწილეობა.

მუხლი 646. არასრულწლოვნის გამოძახების წესი

გამომძიებელთან, პროკურორთან და სასამართლოში არასრულწლოვნის გამოძახება ხდება მისი მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების ანდა იმ დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით, სადაც იზრდება ან სწავლობს არასრულწლოვანი.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. არასრულწლოვნის გამოძახება პროცესის მწარმოებელ ორგანოში, თანამდებობის პირთან უნდა მოხდეს იმავე საშუალებებით, რაც დადგენილია, ზოგადად, დაკითხვაზე გამოძახებისათვის (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 295-ე მუხლის კომენტარები).

2. გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში არასრულწლოვნის გამოძახება უნდა მოხდეს:

– მშობლის მეშვეობით;

– სხვა კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით;

– იმ დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით, სადაც იზრდება არასრულწლოვანი;

– იმ დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით, სადაც სწავლობს არასრულწლოვანი.

3. პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნის გამოძახების შესახებ მოთხოვნა უნდა გადაეცეს (გაეგზავნოს) არასრულწლოვნის მოთავსების ადგილის ადმინისტრაციას.

მუხლი 647. არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა

1. **არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა ტარდება დამცველის სავალდებულო მონაწილეობით.**
2. **დაკითხვას ესწრება არასრულწლოვნის პედაგოგი ან კანონიერი წარმომადგენელი. თუ არასრულწლოვნის პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის დასწრება ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის კანონიერ ინტერესებს, გამომძიებელმა შეიძლება გამოიტანოს დადგენილება დასწრებაზე მისი არდაშვების შესახებ.**
3. **დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ დაუსვან კითხვები ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს. დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს**

უფლება აქვთ დაკითხვის დამთავრებისთანავე გაეცნონ ოქმს და გააკეთონ შენიშვნები.

4. არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა არ შეიძლება შეუსვენებლად გაგრძელდეს 2 საათზე მეტ ხანს, ხოლო მთლიანად დღეში – 4 საათზე მეტ ხანს. თუ არასრულწლოვანი აშკარად დაიღალა, დაკითხვა უნდა შეწყდეს აღნიშნული დროის გასვლამდეც.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2454 – სსმ I, 2003 წ., №21, მუხლი 148)

1. არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) დაკითხვა უნდა ჩატარდეს დამცველის სავალდებულო მონაწილეობით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე, 645-ე მუხლების კომენტარები).

2. დაკითხვას უნდა დაესწროს:

– ან პედაგოგი;

– ან კანონიერი წარმომადგენელი.

3. თუ არასრულწლოვნის პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის დასწრება ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის კანონიერ ინტერესებს, გამომძიებელმა შეიძლება, გამოიტანოს დადგენილება დასწრებაზე არასრულწლოვნის პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის არდაშვების შესახებ.

4. დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ:

– დაუსვან კითხვები ეჭვმიტანილს (ბრალდებულს);

– დაკითხვის დამთავრებისთანავე გაეცნონ დაკითხვის ოქმს;

– გააკეთონ შენიშვნები.

5. არასრულწლოვანი ეჭვმიტანილი (ბრალდებული) შესაძლებელია, შეუსვენებლად დაიკითხოს 2 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც უნდა გამოცხადდეს შესვენება. შესვენების შემდეგ შესაძლებელია, დაკითხვა გაგრძელდეს, რომლის ხანგრძლივობამ არ უნდა გადააჭარბოს კიდევ 2 საათს (ერთად აღებული დღეში – 4 საათს). თუ დაკითხვა ერთ დღეში ვერ დამთავრდება, იგი შეიძლება გაგრძელდეს მეორე დღეს (სხვა დღეს) იმავე წესების დაცვით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 302-ე მუხლის კომენტარები).

6. არასრულწლოვნის დაკითხვა უნდა შეწყდეს და გამოცხადდეს შესვენება, ან დაკითხვა გადაიდოს სხვა დროისათვის (სხვა დღეს), თუ არასრულწლოვანი დაკითხვისას აშკარად დაიღალა.

მუხლი 648. ფსიქოლოგის მონაწილეობა არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკითხვაში

არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკითხვაში, გამომძიებლის ან პროკურორის შეხედულებით ან დამცველის შუამდგომლობით, შეიძლება მონაწილეობდეს ფსიქოლოგი. მას უფლება აქვს, გამომძიებლის ნებართვით, კითხვები დაუსვას

ბრალდებულს, ხოლო დაკითხვის დამთავრებისთანავე – გაეცნოს დაკითხვის ოქმს და წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი შენიშვნები. ამ უფლებებს გამომძიებელი ფსიქოლოგს განუმარტავს არასრულწლოვნის დაკითხვამდე, რის შესახებაც აღნიშნავს დაკითხვის ოქმში.

(საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2454 – სსმ I, 2003 წ., №21, მუხლი 148)

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკითხვაში შეიძლება, მონაწილეობდეს ფსიქოლოგი:
– გამომძიებლის შეხედულებით;
– პროკურორის შეხედულებით;
– დამცველის შუამდგომლობით.
2. ფსიქოლოგს უფლება აქვს:
– კითხვები დაუსვას ბრალდებულს;
– დაკითხვის დამთავრებისთანავე გაეცნოს დაკითხვის ოქმს;
– წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი შენიშვნები.
3. ზემოაღნიშნული უფლებები არასრულწლოვნის დაკითხვის დაწყებამდე ფსიქოლოგს უნდა განუმარტოს გამომძიებელმა, რის შესახებაც უნდა აღინიშნოს დაკითხვის ოქმში.

მუხლი 649. აღკვეთის ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ

1. **თუ არსებობს 151-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს 152-ე მუხლში მითითებული ერთ-ერთი აღკვეთის ღონისძიება. ის შეიძლება მეთვალყურეობისათვის გადაეცეს მშობლებს, მეურვეებს, მზრუნველებს ან დახურული საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციას, თუ არასრულწლოვანი იქ იზრდება, ანდა სასამართლო ბრძანებით მოთავსდეს სპეციალურ დახურულ საბავშვო დაწესებულებაში.**
2. **არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების შესახებ აცნობებენ მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო თუ ასეთი არ არის, – სხვა ნათესავებს.**

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები იგივეა, რაც დადგენილია ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის კომენტარები).

2. ამასთან, გარკვეული სპეციალური წესებია დადგენილი არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების გამოყენებისათვის (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე, 652-ე მუხლების კომენტარები).

3. სარდლობის მეთვალყურეობაში გადაცემის გარდა (იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანი არ შეიძლება იყოს სამხედრო მოსამსახურე), არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

– დაპატიმრება;

– გირაო;

– პირადი თავდებობა;

– არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლის კომენტარები).

4. არასრულწლოვანი ბრალდებული შეიძლება, მეთვალყურეობისათვის გადაეცეს:

– მშობლებს;

– მეურვეებს;

– მზრუნველებს;

– დახურული საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციას, თუ არასრულწლოვანი იქ იზრდება.

5. არასრულწლოვანი ბრალდებული სასამართლო ბრძანებით შეიძლება მოთავსდეს სპეციალურ, დახურულ საბავშვო დაწესებულებაში.

6. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა აცნობონ:

– კანონიერ წარმომადგენელს;

– სხვა ნათესავს, თუ კანონიერი წარმომადგენელი არ არის.

მუხლი 650. არასრულწლოვნის გადაცემა სამეთვალყურეოდ

1. **მშობლების, მეურვეების, მზრუნველების ან დახურულ საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელებისათვის არასრულწლოვნის სამეთვალყურეოდ გადაცემა ნიშნავს, რომ აღნიშნულ პირთაგან რომელიმემ წერილობით უნდა იკისროს ვალდებულება, უზრუნველყოს არასრულწლოვნის გამოცხადება გამომძიებელთან, პროკურორთან და სასამართლოში, აგრეთვე ბრალდებულის იმ სხვა ვალდებულებათა შესრულება, რომლებიც ჩამოთვლილია 74-ე და 77-ე მუხლებში.**
2. **მშობლების, მეურვეების, მზრუნველების ან სხვა პირთათვის არასრულწლოვნის სამეთვალყურეოდ გადაცემა შეიძლება მხოლოდ მათი და თვით არასრულწლოვნის თანხმობით.**
3. **არასრულწლოვნის სამეთვალყურეოდ გადაცემის წინ გამომძიებელმა, პროკურორმა, სასამართლომ უნდა გაარკვიონ მშობლების, მეურვეებისა და მზრუნველების პიროვნება, არასრულწლოვანთან მათი ურთიერთობა და დარწმუნდნენ, რომ ისინი ჯეროვან მეთვალყურეობას გაუწევენ მოზარდს.**
4. **მშობლებს, მეურვეებს, მზრუნველებს უფლება აქვთ ნებისმიერ მომენტში უარი თქვან არასრულწლოვნისათვის მეთვალყურეობის გაწევაზე ავადმყოფობის, მოუცლელობის, მასთან ურთიერთობის გაუარესებისა თუ სხვა მიზეზით მისთვის ჯეროვანი გაწევის უზრუნველყოფის შეუძლებლობის გამო.**

5. **მშობლებს, მეურვეებს, მზრუნველებს, დახურულ საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს არასრულწლოვნის სამეთვალყურეოდ გადაცემის შესახებ ხელწერილის ჩამორთმევისას უნდა აცნობონ ბრალდების არსი, რომლის გამოც არჩეულია ეს აღკვეთის ღონისძიება, სასჯელი, რომელიც შეიძლება დაენიშნოს ბრალდებულს, და მათი პასუხისმგებლობა, თუ არასრულწლოვანი ჩაიდენს ქმედებას, რომლის თავიდან ასაცილებლად გადაცემულია იგი სამეთვალყურეოდ. ეს მონაცემები აისახება სამეთვალყურეოდ გადაცემის ოქმში ან სასამართლო სხდომის ოქმში.**
6. **თუ ბრალდებული არ შეასრულებს თავის მოვალეობებს, იმ პირებს, რომლებიც მას მეთვალყურეობას უწევენ, შეიძლება სასამართლომ დააკისროს ფულადი სახდელი შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე.**
7. **არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში პირებს, რომლებიც მეთვალყურეობას უწევენ მას, უფლება არა აქვთ თავი იმართლონ იმ საბაბით, რომ არ ჰქონდათ ბრალდებულის ქცევის კონტროლის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი დაამტკიცებენ დაუძლეველი ძალის მოქმედებას.**

1. თვრამეტ წელს მიუღწეველ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეიძლება შეერჩეს:

– ან მშობლების,

– ან მეურვეების,

– ან მზრუნველების,

– ან საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის მეთვალყურეობაში გადაცემა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 651. არასრულწლოვნის მოთავსება სპეციალურ დახურულ საბავშვო დაწესებულებაში

1. **თუ არასრულწლოვანი ბრალდებულის ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გამო მისი დატოვება ადრინდელ საცხოვრებელ ადგილზე შეუძლებელია, მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით იგი შეიძლება მოათავსონ სპეციალურ დახურულ საბავშვო დაწესებულებაში.**
2. **პირი, რომლის მიმართაც გამოყენებულია ეს ღონისძიება, უნდა მოთავსდეს იმ სხვა არასრულწლოვანთაგან განცალკევებით, რომლებიც სპეციალურ დახურულ საბავშვო დაწესებულებაში სხვა საფუძველზე იმყოფებიან.**

1. თუ არსებობს სპეციალური, დახურული საბავშვო დაწესებულება, არასრულწლოვანი ბრალდებული შეიძლება, მოთავსდეს ამ დაწესებულებაში.

2. არასრულწლოვანი ბრალდებული მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით შეიძლება, მოთავსდეს სპეციალურ, დახურულ საბავშვო დაწესებულებაში, თუ არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გამო მისი დატოვება წინა საცხოვრებელ ადგილზე შეუძლებელია.

3. ამასთან, სპეციალურ, დახურულ საბავშვო დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანი უნდა მოთავსდეს იმ სხვა არასრულწლოვანთაგან განცალკევებით, რომლებიც სპეციალურ, დახურულ საბავშვო დაწესებულებაში სხვა საფუძველზე იმყოფებიან.

მუხლი 652. არასრულწლოვანი ბრალდებულის დაპატიმრება

1. **არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება გამოიყენება მხოლოდ ამ კოდექსის 151-ე მუხლში მითითებული საფუძვლის არსებობისას და იმ შემთხვევაში, როცა მას ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წელზე მეტი ვადით, სხვა აღკვეთის ღონისძიება კი ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვანმა ბრალდებულმა დაარღვია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.**
2. **არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებულია დაპატიმრება, უნდა მოათავსონ სრულწლოვანი პატიმრებისა და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით.**
3. **არასრულწლოვანს, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებულია დაპატიმრება, უფლება აქვს შეხვდეს თავის ახლო ნათესავებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ბრალდებულს და მის ახლო ნათესავებს უფლება აქვთ სასამართლოში გაასაჩივრონ წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთან შეხვედრაზე უარი.**

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2454 – სსმ I, 2003 წ., №21, მუხლი 148; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება გამოყენებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლითა და 159-ე მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი სპეციფიკური გარემოებები:

– უნდა დასაბუთდეს, რომ სხვა აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვანი ბრალდებულის სათანადო ქცევას;

– არასრულწლოვნის მიმართ დაპატიმრების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წელზე მეტი ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვანმა ბრალდებულმა დაარღვია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე, 159-ე მუხლების კომენტარები).

2. არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებულია დაპატიმრება, უნდა მოთავსდეს:

– სრულწლოვანი პატიმრებისაგან განცალკევებით;

– მსჯავრდებული არასრულწლოვნებისაგან განცალკევებით.

3. არასრულწლოვანს, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებულია დაპატიმრება, უფლება აქვს, შეხვდეს თავის ახლო ნათესავებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება წინასწარი გამოძიების ინტერესებს.

4. ბრალდებულს, მის ახლო ნათესავს უფლება აქვთ, წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთან შეხვედრაზე უარი გაასაჩივრონ სასამართლოში.

მუხლი 653. (ამოღებულია)

(საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

მუხლი 654. სასამართლოს შემადგენლობა არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის განხილვისას

არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის სასამართლო განხილვას ატარებენ მოსამართლეები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.

(საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2454 – სსმ I, 2003 წ., №21, მუხლი 148)

1. არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმე უნდა განიხილოს მოსამართლემ, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება:

– პედაგოგიკაში;

– ფსიქოლოგიაში.

2. ამ საკითხის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი:

– სპეციალური მომზადების გავლა სავალდებულოა მოსამართლისათვის, რომელიც არსებითად იხილავს არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის საქმეს, რადგან სხვა შემთხვევაში (მაგ.: წინასწარი გამოძიების ეტაპზე არასრულწლოვნის მიმართ ჩატარებული პირადი ჩხრეკის კანონიერების საკითხის განხილვისას) მოსამართლე იხილავს არა სისხლის სამართლის საქმეს, არამედ – შუამდგომლობას (საჩივარს), ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სპეციალური მომზადების გავლა სავალდებულოა მოსამართლისათვის, რომელიც იხილავს სისხლის სამართლის საქმეს;

– მთავარია, სპეციალური მომზადების გავლა (თვით ფაქტი, რომ მოსამართლეს გავლილი აქვს სპეციალური მომზადება) და არა ის, რომ უკვე გაცემულია თუ არა შესაბამისი დოკუმენტი სპეციალური მომზადების გავლის შესახებ.

მუხლი 655. არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის დახურული განხილვა

არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის განხილვა მე-16 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტარდება დახურულ სასამართლო სხდომაზე.

1. მხარის მოთხოვნის (შუამდგომლობის) არსებობის შემთხვევაში არასრულწლოვნის დანაშაულის საქმე განიხილება მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის კომენტარები).

მუხლი 656. არასრულწლოვანი განსასჯელის გაყვანა სასამართლო სხდომის დარბაზიდან

1. **სასამართლოს, მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ, უფლება აქვს თავისი განჩინებით არასრულწლოვანი განსასჯელი გაიყვანოს სასამართლო სხდომის დარბაზიდან, რათა მის დაუსწრებლად გამოიკვლიონ გარემოებები, რომელთაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ მასზე.**
2. **არასრულწლოვნის დარბაზში დაბრუნების შემდეგ თავმჯდომარე მას აცნობს მის არყოფნაში მომხდარი განხილვის შინაარსს საჭირო მოცულობითა და ფორმით, აძლევს შესაძლებლობას, კითხვები დაუსვას მისი მონაწილეობის გარეშე დაკითხულ პირებს.**

1. არასრულწლოვანი განსასჯელი შეიძლება, დროებით (შესაბამისი სასამართლო მოქმედების დასრულებამდე) გაყვანილ იქნეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან, რათა მის დაუსწრებლად გამოიკვლიონ გარემოებები, რომლებმაც შეიძლება, უარყოფითი გავლენა მოახდინონ მასზე.

2. გადაწყვეტილება არასრულწლოვანი განსასჯელის სასამართლო სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანის შესახებ უნდა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ). მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოისმინოს მხარეთა აზრი.

3. არასრულწლოვანი განსასჯელის სასამართლო სხდომის დარბაზში დაბრუნების შემდეგ სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ მას უნდა:

– გააცნოს მის არყოფნაში მომხდარი განხილვის შინაარსი საჭირო მოცულობით;

– გააცნოს მის არყოფნაში მომხდარი განხილვის შინაარსი საჭირო ფორმით;

– მისცეს შესაძლებლობა, კითხვები დაუსვას მისი მონაწილეობის გარეშე დაკითხულ პირს.

მუხლი 657. სასამართლო განხილვაში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და ინსპექციის წარმომადგენელთა მონაწილეობა

არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის განხილვის დროსა და ადგილს სასამართლო აცნობებს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას ან ინსპექციას.

ამასთან, სასამართლოს უფლება აქვს აგრეთვე სასამართლო სხდომაზე გამოიძახოს ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

(საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2454 – სსმ I, 2003 წ., №21, მუხლი 148)

1. არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმის განხილვის დრო და ადგილი მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა აცნობოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას ან ინსპექციას.

2. თუ მოსამართლე (სასამართლო) აუცილებლად მიიჩნევს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის ან ინსპექციის წარმომადგენლების მონაწილეობას, მას უფლება აქვს, სასამართლო სხდომაზე გამოიძახოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის ან ინსპექციის წარმომადგენლები.

მუხლი 658. საკითხები, რომლებსაც სასამართლო წყვეტს არასრულწლოვანი განსასჯელის მიმართ განაჩენის დადგენისას

არასრულწლოვანი განსასჯელის მიმართ განაჩენის დადგენისას, გარდა 498-ე მუხლში მითითებული საკითხებისა, მოსამართლე ვალდებულია განიხილოს, საჭიროა თუ არა, პირობითი მსჯავრდების შემთხვევაში, არასრულწლოვანს დაენიშნოს საზოგადოებრივი აღმზრდელი, გამოიყენონ თუ არა მის მიმართ ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, ან გადაუვადონ თუ არა განაჩენის აღსრულება.

1. არასრულწლოვნის მიმართ განაჩენის დადგენისას სავალდებულოა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული, განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი ყველა საკითხის განხილვა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 498-ე მუხლის კომენტარები).

2. ამასთან, აუცილებლად უნდა განიხილონ შემდეგი საკითხები:

– გამოყენებულ იქნეს თუ არა არასრულწლოვანი განსასჯელის მიმართ ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან;

– გადაუვადდეს თუ არა არასრულწლოვან განსასჯელს განაჩენის აღსრულება;

– თუ გამოყენებულია პირობითი მსჯავრდება, საჭიროა თუ არა არასრულწლოვან მსჯავრდებულს დაენიშნოს საზოგადოებრივი აღმზრდელი.

3. არასრულწლოვნის მიმართ განაჩენის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 641-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 641-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 659. არასრულწლოვნის მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება

1. დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობილი არასრულწლოვნის მიმართ შეიძლება სასამართლოს განაჩენით გამოიყენონ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 90-91-ე მუხლით გათვალისწინებული აღმზრდელობითი ხასიათის ერთ-ერთი იძულებითი ღონისძიება.

2. აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ სასამართლოს განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საერთო წესით.

(საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი №333 – სსმ I, 2000 წ., №20, მუხლი 51)

1. არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, სასამართლომ შეიძლება, გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორება მიზანშეწონილია აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით.

2. სასამართლოს შეუძლია, დანიშნოს შემდეგი აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება:

– გაფრთხილება;

– საზედამხედველოდ გადაცემა;

– ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება;

– ქცევის შეზღუდვა;

– სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება;

– სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება (სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე, 91-ე მუხლები).

3. აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ სასამართლოს განაჩენი შეიძლება, გასაჩივრდეს საერთო წესით.

თავი LXIV
საქმის წარმოება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ

მუხლი 660. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ საქმის წარმოების საფუძველი

1. **თუ გამოძიების ან სასამართლო განხილვის დროს გამოვლინდა მონაცემები, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირი ფსიქიკურად დაავადდა, ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა პირმა, რომლის შერაცხადობა საეჭვოა, პროკურორს ან სასამართლოს (მოსამართლეს) გამოაქვს დადგენილება (განჩინება) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად წარმოების დაწყებისა და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.**
2. **თუ ექსპერტიზისა და სხვა საპროცესო მოქმედების შემდეგ დადგინდა, რომ პირი შერაცხადია და დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად არ დაავადებულა, პროკურორი აუქმებს თავის დადგენილებას სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად საქმის წარმოების დაწყების შესახებ და საქმის შემდგომ წარმოებას განაგრძობს ამ კოდექსით გათვალისწინებული საერთო წესებით.**
3. **სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შესახებ საქმის წარმოების წესი განისაზღვრება საერთო წესებითა და ქვემოთ მოყვანილი მუხლებით.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად წარმოება უნდა დაიწყოს, თუ წინასწარი გამოძიების ან სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის დროს გამოვლინდა შემდეგი მონაცემები:

– დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირი ფსიქიკურად დაავადდა;

– სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა პირმა, რომლის შერაცხადობა საეჭვოა.

2. ზემოაღნიშნული საფუძვლების გამოვლენისას პროკურორმა, მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გამოიტანონ დადგენილება (განჩინება) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად წარმოების დაწყებისა და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

3. თუ ექსპერტიზისა და სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარების შემდეგ დადგინდება, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო

ქმედება ჩაიდინა შერაცხადმა პირმა და იგი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად არ დაავადებულა, პროკურორმა უნდა გააუქმოს თავისი დადგენილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად საქმის წარმოების დაწყების შესახებ და სისხლის სამართლის საქმის შემდგომი წარმოება უნდა გაგრძელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესებით.

4. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შესახებ საქმის წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საერთო წესების დაცვითა და იმ სპეციფიკური წესების გათვალისწინებით, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 660-679-ე მუხლებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 660-679-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 661. გარემოება, რომელიც მოითხოვს დამტკიცებას

1. იმ პირის მიმართ, რომელიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა, უნდა დამტკიცდეს:
ა) 112-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები;
ბ) პირის ფსიქიკური ავადმყოფობა, რომელიც წარმოიშვა დანაშაულის ჩადენის შემდეგ და გამორიცხავს სასჯელის გამოყენებას.
2. შეურაცხის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით უნდა დამტკიცდეს:
ა) 112-ე მუხლში აღნიშნული გარემოებები;
ბ) შეურაცხი პირის დამახასიათებელი გარემოებები;
გ) ქმედების ჩადენის მომენტში პიროვნების ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობა, ფსიქიკის დროებითი მოშლა, ჭკუასუსტობა ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობა, რის გამოც მას არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი ქმედებისათვის და განეგო იგი;
დ) ამ პირის ფსიქიკის მდგომარეობა წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს.
3. გარდა ამისა, დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებული პირის საქმეზე, ასევე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი შეურაცხის საქმეზე უნდა დადგინდეს, შეიძლება თუ არა მათი შემდგომი ქცევა საშიში იყოს თავად მათთვის და გარშემო მყოფთათვის, არის თუ არა აუცილებელი მათ მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება და, თუ აუცილებელია, კერძოდ, რომლისა.

1. იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა შერაცხადობის მდგომარეობაში, მაგრამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა, უნდა დამტკიცდეს:

– მტკიცების საგანთან დაკავშირებული გარემოებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები);

– პირის ფსიქიკური ავადმყოფობა, რომელიც წარმოიშვა დანაშაულის ჩადენის შემდეგ და გამორიცხავს სასჯელის გამოყენებას.

2. შეურაცხის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით უნდა დამტკიცდეს:

– მტკიცების საგანთან დაკავშირებული გარემოებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები);

– შეურაცხი პირის დამახასიათებელი გარემოებები;

– ქმედების ჩადენის მომენტში პიროვნების:

ა) ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობა;

ბ) ფსიქიკის დროებითი მოშლა;

გ) ჭკუასუსტობა;

დ) სხვა ავადმყოფური მდგომარეობა, – რის გამოც მას არ შეეძლო, ანგარიში გაეწია თავისი ქმედებისათვის და განეგო იგი;

– ამ პირის ფსიქიკის მდგომარეობა წინასწარი გამოძიებისა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის დროს.

3. დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებული პირის საქმესა და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი შეურაცხის საქმეზე ასევე უნდა დადგინდეს:

– შეიძლება თუ არა მათი შემდგომი ქცევა საშიში იყოს თვითონ მათთვის;

– შეიძლება თუ არა მათი შემდგომი ქცევა საშიში იყოს გარშემო მყოფთათვის;

– არის თუ არა აუცილებელი მათ მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება;

– აუცილებლობის შემთხვევაში რომელი სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული.

მუხლი 662. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა

1. **გამომძიებელი და სასამართლო ნიშნავს სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზას ბრალდებულის ან იმ პირის ფსიქიკური ავადმყოფობის დასადგენად, რომელიც საქმეში ჩაბმული არ არის როგორც ბრალდებული, მაგრამ არსებობს მონაცემები, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება.**
2. **ექსპერტიზის ჩატარებისას უნდა გაირკვეს:**

ა) **იყო თუ არა პირი დანაშაულის ჩადენის მომენტში ფსიქიკურად დაავადებული, ფსიქიკის დროებითი მოშლის, ჭკუასუსტობის ან სხვა ავადმყოფურ მდგომარეობაში, რის გამოც ვერ გაუწევდა ანგარიშს თავის მოქმედებას და ვერ განაგებდა მას;**

ბ) **არის თუ არა პირი ამჟამად ფსიქიკურად დაავადებული, რის გამოც მსჯავრდება და დასჯა ვერ მოახდენს მასზე გამასწორებელ ზემოქმედებას;**

გ) **არის თუ არა ეს დაავადება ქრონიკული, თუ პირი შეიძლება განიკურნოს გარკვეული დროის მანძილზე;**

დ) **შეეძლო თუ არა პირს დანაშაულის ჩადენის მომენტში სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ან/და ეხელმძღვანელა მისთვის;**

ე) შეუძლია თუ არა პირს თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო სწორი ჩვენების მიცემა და საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობა;

ვ) აქვს თუ არა პირს ამჟამად ფსიქიკური ნაკლი, რაც არ გამორიცხავს შერაცხადობას, და რაში გამოიხატება იგი.

3. საექსპერტო გამოკვლევისათვის პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება ხდება 178-182-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს:

– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის შერაცხადობის (ფსიქიკური ავადმყოფობის) დასადგენად;

– იმ პირის შერაცხადობის (ფსიქიკური ავადმყოფობის) დასადგენად, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში არ არის ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული, მაგრამ არსებობს მონაცემები, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

2. სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზა უნდა დანიშნოს:

– წინასწარი გამოძიების ეტაპზე:

ა) გამომძიებელმა;

ბ) პროკურორმა;

– სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას:

ა) მოსამართლემ;

ბ) სასამართლომ.

3. ექსპერტიზის ჩატარებისას უნდა გაირკვეს:

– იყო თუ არა პირი დანაშაულის ჩადენის მომენტში:

ა) ფსიქიკურად დაავადებული;

ბ) ფსიქიკის დროებითი მოშლის მდგომარეობაში;

გ) ჭკუასუსტობის მდგომარეობაში;

დ) სხვა ავადმყოფურ მდგომარეობაში, – რის გამოც ვერ გაუწევდა ანგარიშს თავის მოქმედებას და ვერ განაგებდა მას;

– არის თუ არა პირი ამჟამად ფსიქიკურად დაავადებული, რის გამოც მსჯავრდება და დასჯა ვერ მოახდენს მასზე გამასწორებელ ზემოქმედებას;

– არის თუ არა ეს დაავადება ქრონიკული, თუ პირი შეიძლება, განიკურნოს გარკვეული დროის მანძილზე;

– შეეძლო თუ არა პირს დანაშაულის ჩადენის მომენტში სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან/და ეხელმძღვანელა მისთვის;

– შეეძლო თუ არა პირს დანაშაულის ჩადენის მომენტში სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა ან/და ეხელმძღვანელა მისთვის;

– შეუძლია თუ არა პირს თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო სწორი ჩვენების მიცემა;

– შეუძლია თუ არა პირს თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა;

– შეუძლია თუ არა პირს თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობა;

– აქვს თუ არა პირს ამჟამად ფსიქიკური ნაკლი, რაც არ გამორიცხავს შერაცხადობას;

– რაში გამოიხატება პირის ფსიქიკური ნაკლი, რაც არ გამორიცხავს მის შერაცხადობას.

4. საექსპერტო გამოკვლევისათვის პირი სამედიცინო დაწესებულებაში უნდა მოთავსდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესების შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-182-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 663. სისხლის სამართლის საქმის გამო წარმოების შეჩერება სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსებისას

1. **თუ ბრალდებულის ფსიქიკური ავადმყოფობის ფაქტი დადასტურდა ამბულატორიული ექსპერტიზის დასკვნით ან სამედიცინო დოკუმენტებით და სტაციონარული ექსპერტიზა ტარდება დიაგნოზის დაზუსტების, შერაცხადობის, ქმედუნარიანობის საკითხის გადაწყვეტის, აგრეთვე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შერჩევის მიზნით პირის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში საქმის წარმოება შეიძლება შეჩერდეს, თუ არ არის სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარების აუცილებლობა.**
2. **საქმის წარმოების შეჩერება არ აჩერებს ბრალდებულის პატიმრობისა და სამედიცინო დაწესებულებაში პირის ყოფნის კანონით დადგენილი ვადის დინებას.**

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 663-ე მუხლის თანახმად, თუ ბრალდებულის ფსიქიკური ავადმყოფობის ფაქტი დადასტურდა ამბულატორიული ექსპერტიზის დასკვნით ან სამედიცინო დოკუმენტებით და სტაციონარული ექსპერტიზა ტარდება დიაგნოზის დაზუსტების, შერაცხადობის, ქმედუნარიანობის საკითხის გადაწყვეტის, აგრეთვე – სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შერჩევის მიზნით პირის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, საქმის წარმოება შეიძლება შეჩერდეს, თუ არ არის სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარების აუცილებლობა. ამასთან, საქმის წარმოების შეჩერება არ აჩერებს ბრალდებულის პატიმრობისა და სამედიცინო დაწესებულებაში პირის ყოფნის კანონით დადგენილი ვადის დინებას.

2. თუმცა აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ზოგადად არ უშვებს სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეჩერების შესაძლებლობას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 664. პირის მონაწილეობა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარებაში

1. თუ პირი, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ, გამოჯანმრთელდა ან ისეთ მდგომარეობაშია, რომ შეუძლია სწორი ჩვენების მიცემა და სხვა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობა, გამომძიებელმა და სასამართლომ უნდა უზრუნველყონ იგი შესაძლებლობით, მონაწილეობა მიიღოს გამოძიებასა და საქმის განხილვაში და განახორციელოს თავისი დაცვის უფლება.

2. პირს, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ, უფლება აქვს: უშუალოდ მან ან წარმომადგენლის მეშვეობით იცოდეს, თუ რომელი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში სდებენ მას ბრალს; მისცეს ჩვენება; წარმოადგინოს მტკიცებულებანი; აღძრას შუამდგომლობა; წინასწარი გამოძიების დამთავრებისთანავე გაეცნოს საქმის ყველა მასალას; ჰყავდეს დამცველი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნისთანავე; მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში; მისცეს აცილება, შეიტანოს საჩივარი გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს მოქმედებისა და გადაწყვეტილების გამო.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ უფლებებს გამომძიებელი განუმარტავს პირს, როცა უცხადებს დადგენილებას სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისა და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. უფლებების განმარტების შესახებ დგება ოქმი.

4. ცალკეული საგამოძიებო და სასამართლო მოქმედების ჩატარებისას ამ პირს აქვს უფლებები, რომლებიც ამ კოდექსით დადგენილია ბრალდებულისა და მსჯავრდებულისათვის.

1. თუ პირი, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ, სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებისას ან სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას გამოჯანმრთელდა ან ისეთ მდგომარეობაშია, რომ შეუძლია სწორი ჩვენების მიცემა და სხვა საგამოძიებო მოქმედებასა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობა, გამომძიებელმა და სასამართლომ უნდა უზრუნველყონ იგი შესაძლებლობით, მონაწილეობა მიიღოს წინასწარ გამოძიებასა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში და განახორციელოს თავისი დაცვის უფლება.

2. პირს, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ, უფლება აქვს:

– უშუალოდ მან ან წარმომადგენლის მეშვეობით იცოდეს, თუ რომელი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში სდებენ მას ბრალს;

– მისცეს ჩვენება;

– წარმოადგინოს მტკიცებულებები;

– აღძრას შუამდგომლობა;

– წინასწარი გამოძიების დამთავრებისთანავე გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალას;

– ჰყავდეს დამცველი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნისთანავე;

– მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში;

– მისცეს აცილება;

– შეიტანოს საჩივარი გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს მოქმედების გამო;

– შეიტანოს საჩივარი გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს გადაწყვეტილების გამო.

3. აღნიშნული უფლებები გამომძიებელმა პირს უნდა განუმარტოს მაშინ, როდესაც მას უცხადებს დადგენილებას სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისა და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

4. გამომძიებლის მიერ უფლებების განმარტების შესახებ უნდა შედგეს ოქმი, რომელიც უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

5. ცალკეული საგამოძიებო მოქმედებისა და სასამართლო მოქმედების ჩატარებისას პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს წარმოება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, აქვს იგივე უფლებები, რაც დადგენილია ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულისათვის; ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირის ფსიქიკური მდგომარეობა და საგამოძიებო მოქმედებასა თუ სასამართლო მოქმედებაში მისი მონაწილეობის შესაძლებლობა.

მუხლი 665. დამცველის მონაწილეობა

1. **სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად საქმის წარმოებაში დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა, თუ ადრე იგი არ ჩაბმულა საქმეში სხვა საფუძველზე. დამცველად ასეთ საქმეზე დაიშვება მხოლოდ ადვოკატი.**
2. **საქმეში ჩაბმისთანავე დამცველს უფლება აქვს მარტო შეხვდეს დასაცავს, ამასთან, ისარგებლოს 84-ე მუხლით დადგენილი ყველა სხვა უფლებით.**
3. **სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დაწყების შესახებ დადგენილების ან განჩინების აღსასრულებლად გაგზავნამდე გამომძიებელი ან სასამართლო ვალდებულია გააცნოს იგი დამცველს და უზრუნველყოს ის უფლებით, აცილება მისცეს დანიშნულ ექსპერტს, მოითხოვოს ექსპერტად გარკვეული პირის დანიშვნა, დასვას ექსპერტის წინაშე საკითხები, დაესწროს ექსპერტიზას.**

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის მიმართ სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ საკითხის განხილვა და ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ფსიქიკური ნაკლი, რაც

აძნელებს დაცვის უფლების განხორციელებას, იძულებითი დაცვის გარემოებებია (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის კომენტარები).

2. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად საქმის წარმოებაში დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა.

3. ამ შემთხვევაში დამცველად სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დაიშვას მხოლოდ ადვოკატი (და არა – ადვოკატურის სტაჟიორი).

4. სისხლის სამართლის საქმეში ჩაბმისთანავე დამცველს უფლება აქვს, მარტო შეხვდეს დასაცავ პირს.

5. დამცველს უფლება აქვს, ისარგებლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი დამცველის ყველა სხვა უფლებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის კომენტარები).

6. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დაწყების შესახებ დადგენილების (განჩინების) აღსასრულებლად გაგზავნამდე გამომძიებელი (სასამართლო) ვალდებულია:

– გააცნოს იგი დამცველს;

– უზრუნველყოს დამცველი უფლებით:

ა) აცილება მისცეს დანიშნულ ექსპერტს;

ბ) მოითხოვოს ექსპერტად გარკვეული პირის დანიშვნა;

გ) დასვას ექსპერტის წინაშე საკითხები;

დ) დაესწროს ექსპერტიზას.

მუხლი 667. აღკვეთის ღონისძიების გაუქმება

1. **თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა ან შეურაცხმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა, სასამართლო (მოსამართლე) გამომძიებლის ან პროკურორის შუამდგომლობით აუქმებს ადრე არჩეულ აღკვეთის ღონისძიებას. თუ პირს დანაშაულის ჩადენის შემდეგ განუვითარდა ფსიქიკის დროებითი აშლილობა და იგი საჭიროებს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახით იძულებითი მკურნალობის გამოყენებას, სასამართლოს შეუძლია ამ პირის მიმართ აღმკვეთი ღონისძიება გააუქმოს მისი ფსიქიატრიულ სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში.**
2. **აღკვეთის ღონისძიების გაუქმებისთანავე პირი უნდა მოათავსონ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან საავადმყოფოს განყოფილებაში, სადაც მას დაუწესდება სპეციალური მეთვალყურეობა.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 667-ე მუხლის თანახმად, თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა ან შეურაცხმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა, მოსამართლემ (სასამართლომ) გამომძიებლის ან პროკურორის შუამდგომლობით უნდა გააუქმოს ადრე არჩეული აღკვეთის ღონისძიება. თუ პირს დანაშაულის ჩადენის შემდეგ განუვითარდა ფსიქიკის დროებითი აშლილობა და იგი საჭიროებს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახით იძულებითი მკურნალობის გამოყენებას, მოსამართლეს (სასამართლოს) შეუძლია, ამ პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიება გააუქმოს მისი ფსიქიატრიულ სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში. ამასთან, აღკვეთის ღონისძიების გაუქმებისთანავე პირი უნდა მოათავსონ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან საავადმყოფოს განყოფილებაში, სადაც მას უნდა დაუწესდეს სპეციალური მეთვალყურეობა.

მუხლი 668. სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა

1. ამ კოდექსის 28-ე მუხლით დადგენილი საფუძვლის არსებობისას სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება იმ დანაშაულზე, რომლის ჩადენის შემდეგაც პირი ფსიქიკურად დაავადდა, აგრეთვე შეურაცხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე უნდა შეწყდეს.

2. საქმე უნდა გაიგზავნოს სასამართლოში, თუ არ დადგინდა ის გარემოებები, რომლებიც განაპირობებს სისხლისსამართლებრივი დევნის და წინასწარი გამოძიების შეწყვეტას.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. საქმეზე, რომელზეც მიმდინარეობს წარმოება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, წინასწარი გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საერთო საფუძვლებითა და წესით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე და 395-ე-მე-400 მუხლების კომენტარები).

2. საქმე, რომელზეც მიმდინარეოს წარმოება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, უნდა გაიგზავნოს სასამართლოში, თუ არ დადგინდა ის გარემოებები, რომლებიც განაპირობებს სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტას.

მუხლი 669. წინასწარი გამოძიების მასალების გაცნობა

1. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის ან საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ გამომძიებელი აცნობებს პირს,

რომლის მიმართაც ტარდებოდა წინასწარი გამოძიება, თუ ამ პირს თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებაში, ასევე მის კანონიერ წარმომადგენელსა და დამცველს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს. გამომძიებელი პროცესის მონაწილეებს განუმარტავს მათ უფლებას, გაეცნონ საქმის მასალებს, და აცნობებს, სად და როდის შეუძლიათ ამის გაკეთება. დამცველი, რომელსაც ატყობინებენ, რომ საქმე სასამართლოში უნდა გაიგზავნოს, ვალდებულია გამოცხადდეს საქმის მასალების გასაცნობად.

2. **საქმის გაცნობის, წინასწარი გამოძიების შესავსებად შუამდგომლობის განცხადებისა და მისი განხილვის წესი განისაზღვრება 231-232-ე მუხლებით.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად საქმეზე წარმოების მიმდინარეობისას სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის ან სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ გამომძიებელმა უნდა აცნობოს:

– პირს, რომლის მიმართაც ტარდებოდა წინასწარი გამოძიება, თუ ამ პირს თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებაში;

– პირის კანონიერ წარმომადგენელს;

– დამცველს;

– დაზარალებულს;

– დაზარალებულის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოსარჩელეს;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოპასუხეს;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს.

2. გამომძიებელმა პროცესის მონაწილეებს უნდა:

– განუმარტოს მათი უფლება, გაეცნონ სისხლის სამართლის საქმის მასალებს;

– აცნობოს, სად შეუძლიათ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა;

– აცნობოს, როდის შეუძლიათ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა.

3. დამცველი, რომელსაც შეატყობინეს, რომ სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში უნდა გაიგზავნოს, ვალდებულია, გამოცხადდეს სისხლის სამართლის საქმის მასალების გასაცნობად.

4. სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის, წინასწარი გამოძიებისას შუამდგომლობის განცხადებისა და მისი განხილვის წესი განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231-232-ე მუხლებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231-ე, 232-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 670. დადგენილება სასამართლოში საქმის გაგზავნის შესახებ

1. **პროცესის მონაწილეთა მიერ საქმის მასალების გაცნობისა და მათი შუამდგომლობების განხილვის შემდეგ პროკურორს გამოაქვს დადგენილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად სასამართლოში საქმის გაგზავნის შესახებ. დადგენილების შინაარსი განისაზღვრება ამ მუხლის მე-2 ნაწილითა და ამ კოდექსის 671-ე მუხლით.**
2. **დადგენილების აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში პროკურორი აყალიბებს ამ კოდექსის 671-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებს, აგრეთვე დამცველისა და სხვა პირთა მოსაზრებებს, თუ ისინი სადავოდ ხდიან სასამართლოში საქმის გაგზავნის საფუძველს, და საქმის ფურცლების დამოწმებით მოჰყავს მტკიცებულებები, რომლებიც აბათილებს ამ მოსაზრებებს.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. მას შემდეგ, რაც პროცესის მონაწილეები სისხლის სამართლის საქმის მასალებს გაეცნობიან და მათ შუამდგომლობებს განიხილავენ, პროკურორმა უნდა გამოიტანოს დადგენილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად სასამართლოში საქმის გაგზავნის შესახებ.

2. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად სასამართლოში საქმის გაგზავნის შესახებ დადგენილების აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში პროკურორმა უნდა ჩამოაყალიბოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 671-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები, აგრეთვე – დამცველისა და სხვა პირთა მოსაზრებები, თუ ისინი სადავოდ ხდიან სასამართლოში საქმის გაგზავნის საფუძველს და საქმის ფურცლების დამოწმებით მოჰყავს მტკიცებულებები, რომლებიც აბათილებს ამ მოსაზრებებს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 671-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 671. სასამართლოში საქმის გაგზავნის შესახებ დადგენილების დანართი

1. **დადგენილებას სასამართლოში საქმის გაგზავნის შესახებ დაერთვის მხარეთა მიერ წარმოდგენილი სასამართლო სხდომაზე გამოსაძახებელ პირთა სია, აგრეთვე ცნობები წინასწარი გამოძიების ვადის, იმ პირის პატიმრობაში და სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ვადების შესახებ, რომლის მიმართაც ჩატარდა გამოძიება, ნივთიერი მტკიცებულებების, სამოქალაქო სარჩელისა და მისი უზრუნველყოფის ღონისძიებების, საპროცესო ხარჯების შესახებ.**
2. **საქმეზე დართული ნივთიერი მტკიცებულებები, ფოტო, კინო, ვიდეო, ფონოდოკუმენტები სასამართლოში იგზავნება საქმესთან ერთად.**

1. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის გაგზავნის შესახებ დადგენილებას უნდა დაერთოს:

– მხარეთა მიერ წარმოდგენილი სასამართლო სხდომაზე გამოსაძახებელი პირების სია;

– ცნობები წინასწარი გამოძიების ვადის შესახებ;

– ცნობები იმ პირის პატიმრობაში ყოფნის ვადების შესახებ, რომლის მიმართაც ჩატარდა წინასწარი გამოძიება;

– ცნობები იმ პირის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ვადების შესახებ, რომლის მიმართაც ჩატარდა წინასწარი გამოძიება;

– ცნობები ნივთიერი მტკიცებულებების შესახებ;

– ცნობები სამოქალაქო სარჩელის შესახებ;

– ცნობები სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ;

– ცნობები საპროცესო ხარჯების შესახებ.

2. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმესთან ერთად უნდა გაიგზავნოს სისხლის სამართლის საქმეზე დართული:

– ნივთიერი მტკიცებულებები;

– ფოტოდოკუმენტები;

– კინოდოკუმენტები;

– ვიდეოდოკუმენტები;

– ფონოდოკუმენტები.

მუხლი 672. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 673. სასამართლო განხილვის მომზადება

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორისაგან მიღებულ საქმეს მოსამართლე განიხილავს 423-ე მუხლით გათვალისწინებული წესით და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საქმის განსახილველად სასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ;

ბ) დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად საქმის დაბრუნების შესახებ;

გ) საქმის წარმოების შეჩერების შესახებ;

დ) განსჯადობის მიხედვით საქმის გადაცემის შესახებ;

ე) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 673-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორისაგან მიღებულ საქმესთან დაკავშირებით მოსამართლემ უნდა მიიღოს ერთ-ერთ შემდეგი გადაწყვეტილება:

– საქმის განსახილველად სასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ;
– დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად საქმის დაბრუნების შესახებ;
– საქმის წარმოების შეჩერების შესახებ;
– განსჯადობის მიხედვით საქმის გადაცემის შესახებ;
– სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 674. სასამართლო განხილვა

1. **სასამართლო განხილვა ტარდება ამ მუხლითა და 457-516-ე მუხლებით დადგენილი წესებით.**
2. **სასამართლო სხდომაში პროკურორისა და დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა.**
3. **სასამართლო გამოძიება იწყება პროკურორის მიერ საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ დადგენილების საჯაროდ წაკითხვით. შემდეგ მხარეები წარმოადგენენ და გამოიკვლევენ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ ან უარყოფენ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საფუძვლის არსებობას – ატარებენ დაკითხვას, დათვალიერებას, საჯაროდ კითხულობენ დოკუმენტებს, უსმენენ ექსპერტებს, ასრულებენ სხვა მოქმედებას, რომელიც საჭიროა საქმის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.**
4. **მტკიცებულებებს ჯერ წარმოადგენენ პროკურორი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, მათი წარმომადგენლები, შემდეგ კი – დამცველი, სამოქალაქო მოპასუხე, მისი წარმომადგენელი. მხარეებს უფლება აქვთ ჩაატარონ ჯვარედინი და ხელახალი დაკითხვები.**
5. **მოსამართლეები დასაკითხ პირებს ბოლოს უსვამენ კითხვებს.**
6. **სასამართლო გამოძიების დამთავრებისთანავე სასამართლო გადადის მხარეთა კამათზე. კამათში მონაწილეობენ პროკურორი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები. დამცველი კამათში და რეპლიკით გამოდის ბოლოს.**
7. **მხარეთა სიტყვების მოსმენის შემდეგ სასამართლო (მოსამართლე) გადის სათათბირო ოთახში განჩინების (დადგენილების) გამოსატანად.**

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ საქმის სასამართლო განხილვა ტარდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესებითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 674-ე მუხლით

განსაზღვრული სპეციალური წესების გათვალისწინებით (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 674-ე მუხლის კომენტარები).

2. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ საქმის სასამართლო განხილვისას სასამართლო სხდომაში სავალდებულოა:

– პროკურორის მონაწილეობა;

– დამცველის მონაწილეობა.

3. სასამართლო გამოძიება უნდა დაიწყოს პროკურორის მიერ საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ დადგენილების საჯაროდ წაკითხვით.

4. მხარეებმა უნდა წარმოადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ან უარყოფენ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საფუძვლის არსებობას:

– უნდა ჩაატარონ:

ა) დაკითხვა;

ბ) დათვალიერება;

– საჯაროდ წაიკითხონ დოკუმენტები;

– მოუსმინონ ექსპერტებს;

– შეასრულონ სხვა მოქმედება, რომელიც საჭიროა საქმის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

5. მტკიცებულებები მხარეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი თანამიმდევრობით:

– პროკურორი;

– დაზარალებული;

– დაზარალებულის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოსარჩელე;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი;

– დამცველი;

– სამოქალაქო მოპასუხე;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი.

6. მხარეებს უფლება აქვთ, იშუამდგომლონ:

– ჯვარედინი დაკითხვის ჩატარების შესახებ;

– ხელახალი დაკითხვის ჩატარების შესახებ.

7. მოსამართლემ დასაკითხ პირს ბოლოს უნდა დაუსვას კითხვები.

8. სასამართლო გამოძიების დამთავრებისთანავე სასამართლო უნდა გადავიდეს მხარეთა კამათზე.

9. კამათში მონაწილეობენ:

– პროკურორი;

– დაზარალებული;

– დაზარალებულის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოსარჩელე;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოპასუხე;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი.

10. დამცველი კამათში და რეპლიკით გამოდის ბოლოს.

11. მხარეთა სიტყვების მოსმენის შემდეგ მოსამართლე (სასამართლო) უნდა გავიდეს სათათბირო ოთახში დადგენილების (განჩინების) გამოსატანად.

მუხლი 675. საკითხები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სათათბირო ოთახში

1. სათათბირო ოთახში სასამართლო განიხილავს და წყვეტს შემდეგ საკითხებს:
ა) მოხდა თუ არა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;
ბ) ჩადენილია თუ არა ეს დანაშაული ან მართლსაწინააღმდეგო ქმედება იმ პირის მიერ, რომლის საქმესაც განიხილავენ;
გ) არის თუ არა ეს პირი ფსიქიკურად დაავადებული;
დ) უნდა გამოიყენონ თუ არა სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება იმ პირის მიმართ, რომელიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა ან რომელმაც შეურაცხ მდგომარეობაში ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;
ე) საჭიროებს თუ არა ეს პირი ფსიქიატრიულ მკურნალობას.
2. სასამართლო წყვეტს აგრეთვე 498-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“, „ლ“, „მ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტებში მითითებულ საკითხებს.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48)

1. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად საქმის სასამართლო განხილვის შემდეგ შემაჯამებელი გადაწყვეტილება – დადგენილება (განჩინება) ყველა შემთხვევაში გამოტანილ უნდა იქნეს სათათბირო ოთახში.

2. სათათბირო ოთახში დადგენილების (განჩინების) გამოტანისას მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს შემდეგი საკითხები:

– მოხდა თუ არა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

– ჩაიდინა თუ არა ეს დანაშაული ან მართლსაწინააღმდეგო ქმედება იმ პირმა, ვის საქმესაც განიხილავენ;

– არის თუ არა ეს პირი ფსიქიკურად დაავადებული;

– უნდა გამოიყენონ თუ არა სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება იმ პირის მიმართ, ვინც დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა ან რომელმაც შეურაცხ მდგომარეობაში ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

– საჭიროებს თუ არა ეს პირი ფსიქიატრიულ მკურნალობას;

– სამოქალაქო სარჩელის საკითხი;

– ქონების ჩამორთმევის საკითხი;

– ნივთიერ მტკიცებულებასთან დაკავშირებული საკითხი;

– აღკვეთის ღონისძიების საკითხი;

– ვის უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯები;

– რა ოდენობით უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯები;

– გამოყენებულ იქნეს თუ არა იძულებითი მკურნალობა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 498-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 676. სასამართლო განჩინება (დადგენილება)

1. სასამართლო განჩინება (დადგენილება) დგება 453-ე მუხლში მითითებული და ქვემოთ აღნიშნული წესებით.
2. განჩინების (დადგენილების) შესავალ ნაწილში სასამართლო აღნიშნავს იმ პირის სახელსა და გვარს, რომლის საქმეც განიხილება, მისი დაბადების თარიღსა და ადგილს, საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებს, საქმიანობას, განათლებასა და პიროვნების შესახებ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ცნობებს.
3. განჩინების (დადგენილების) აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად ედება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებას, მოჰყავს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ან უარყოფენ ამ ღონისძიების გამოყენების საფუძველს.
4. განჩინების (დადგენილების) სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ცნობს, რომ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა, ან რომ პირმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა შეურაცხ მდგომარეობაში, და ამ პირის მიმართ გამოიყენებს ან არ გამოიყენებს სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებას;

ბ) შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას დანაშაულის შემთხვევის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობის გამო;

გ) შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას, თუ არ დადგინდა, რომ პირი არ მონაწილეობდა ჩადენილ ქმედებაში;

დ) დააბრუნებს საქმეს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

5. განჩინების (დადგენილების) სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო წყვეტს ნივთიერი მტკიცებულებების, საპროცესო ხარჯების განაწილების საკითხს.
6. თუ დადგინდა, რომ ქონებრივი ზარალი, რომლის ანაზღაურებასაც ითხოვს სამოქალაქო მოსარჩელე, მიყენებულია იმ პირის დანაშაულის შედეგად, რომელიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა ან რომელმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა შეურაცხ მდგომარეობაში, მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გამოიტანოს დადგენილება (განჩინება).

2. დადგენილების (განჩინების) შესავალ ნაწილში უნდა აღინიშნოს:

– იმ პირის სახელი და გვარი, ვისი საქმეც განიხილება;

– ამ პირის დაბადების თარიღი და ადგილი;

– საცხოვრებელი ადგილი;

– სამუშაო ადგილი;

– საქმიანობა;

– განათლება;

– პირის შესახებ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ცნობები.

3. დადგენილების (განჩინების) აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში უნდა მიეთითოს:

– ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად ედება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებას;

– მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ან უარყოფენ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საფუძველს.

4. დადგენილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილში მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა მიიღოს ერთ-ერთ შემდეგი გადაწყვეტილება:

– ცნობს, რომ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა, ან რომ პირმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა შეურაცხ მდგომარეობაში და ამ პირის მიმართ გამოიყენებს სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებას;

– ცნობს, რომ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა, ან რომ პირმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა შეურაცხ მდგომარეობაში და ამ პირის მიმართ არ გამოიყენებს სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებას;

– შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას დანაშაულის შემთხვევის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობის გამო;

– შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას, თუ არ დადგინდა, რომ პირი არ მონაწილეობდა ჩადენილ ქმედებაში;

– დააბრუნებს საქმეს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

5. განჩინების (დადგენილების) სარეზოლუციო ნაწილში მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გადაწყვიტოს:

– ნივთიერი მტკიცებულებების საკითხი;

– საპროცესო ხარჯების განაწილების საკითხი.

6. თუ დადგინდა, რომ ქონებრივი ზარალი, რომლის ანაზღაურებასაც ითხოვს სამოქალაქო მოსარჩელე, მიყენებულია იმ პირის დანაშაულის შედეგად, ვინც დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა ან ვინც მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა შეურაცხ მდგომარეობაში, მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 677. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება

პირის გამოჯანმრთელების შემთხვევაში სასამართლო ცვლის ან აუქმებს სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებას. პირის გამოჯანმრთელების შემთხ-

ვევაში სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გაუქმებისას პირის მიმართ სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ამ კოდექსის 678-ე მუხლის შესაბამისად.

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. თუ პირი, რომლის მიმართ გამოყენებული იყო სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, გამოჯანმრთელდა, სასამართლომ უნდა შეცვალოს ან გააუქმოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 678-ე მუხლის შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 678-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 678. სასამართლოს მიერ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების და საერთო წესით წარმოების განახლების საკითხის განხილვა

1. **სასამართლოს მიერ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების და საერთო წესით წარმოების განახლების საკითხის განხილვის საფუძველია:**

ა) **იმ სამედიცინო დაწესებულების საექიმო კომისიის დასკვნა, სადაც პირი იძულებითი მკურნალობისათვის იმყოფება. ექიმ-ფსიქიატრთა კომისიაში მონაწილეობას იღებს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების ექსპერტი (ექსპერტები);**

ბ) **საექიმო კომისიის დასკვნის საფუძველზე პროკურორის წარდგინება ან იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნილი პირის დამცველის, ახლო ნათესავის, კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობა.**

2. **სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმებისა და საერთო წესით საქმის წარმოების განახლების საკითხს განიხილავს სასამართლო, რომელმაც გამოიტანა განჩინება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ, ან ამ ღონისძიების გამოყენების ადგილას არსებული სასამართლო.**

3. **საქმის მოსმენის დროსა და ადგილს სასამართლო ატყობინებს მხარეებსა და სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას.**

4. **სასამართლო სხდომაზე პროკურორისა და დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა.**

5. **ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე საქმის მოსასმენად დანიშვნამდე შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან გამოითხოვს საექიმო კომისიის დასკვნას ამ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.**

6. **(ამოღებულია).**

7. **(ამოღებულია).**
8. **საექიმო კომისიის დასკვნას დასაბუთებულობის შემოწმების დამთავრებისთანავე სასამართლო ისმენს მხარეთა კამათს, რომელიც შედგება პროკურორისა და დამცველის სიტყვებისაგან. თუ სასამართლო საექიმო დასკვნას სარწმუნოდ მიიჩნევს, იგი აუქმებს სამდიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებას და აგრძელებს სისხლის სამართლის პროცესს განაჩენის გამოსატანად.**
9. **სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც საჯაროდ ცხადდება სასამართლო სხდომაზე. განჩინების ასლს სასამართლო გადასცემს ან უგზავნის მხარეებს, აგრეთვე მოქალაქეს, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს.**
10. **სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების უარყოფის შემთხვევაში შუამდგომლობა ხელახლა განსახილველად შეიძლება მიიღონ უარყოფის შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან 6 თვის შემდეგ.**

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. პირის მიმართ გამოყენებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს სასამართლომ.

2. სასამართლოს მიერ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმებისა და საერთო წესით წარმოების განახლების საკითხის განხილვის საფუძველია:

– იმ სამედიცინო დაწესებულების საექიმო კომისიის დასკვნა, სადაც პირი იძულებითი მკურნალობისათვის იმყოფება;

– საექიმო კომისიის დასკვნის საფუძველზე:

ა) პროკურორის წარდგინება;

ბ) იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნილი პირის დამცველის შუამდგომლობა;

გ) იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნილი პირის ახლო ნათესავის შუამდგომლობა;

დ) იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნილი პირის კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობა.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ²თანახმად, ექიმ-ფსიქიატრთა კომისიაში აუცილებელია სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების ექსპერტის (ექსპერტების) მონაწილეობა.

4. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმებისა და საერთო წესით საქმის წარმოების განახლების საკითხი უნდა განიხილოს:

– ან სასამართლომ, რომელმაც გამოიტანა დადგენილება (განჩინება) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ;

– ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების ადგილას არსებულმა სასამართლომ.

5. საქმის მოსმენის დრო და ადგილი სასამართლომ უნდა შეატყობინოს:

– მხარეებს;

– სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას.

6. სასამართლო სხდომაზე სავალდებულოა:

– პროკურორის მონაწილეობა;

– დამცველის მონაწილეობა.

7. მოსამართლე საქმის მოსასმენად დანიშვნამდე ვალდებულია, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან გამოითხოვოს (თუ მანამდე არ ყოფილა სასამართლოში წარდგენილი) საექიმო კომისიის დასკვნა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

8. საექიმო კომისიის დასკვნის დასაბუთებულობის შემოწმების დამთავრებისთანავე სასამართლომ უნდა მოისმინოს მხარეთა კამათი, რომელიც მოიცავს:

– პროკურორის სიტყვას;

– დამცველის სიტყვას.

9. თუ სასამართლო საექიმო კომისიის დასკვნას სარწმუნოდ მიიჩნევს, მან უნდა გააუქმოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება და გააგრძელოს სისხლის სამართლის პროცესი განაჩენის გამოსატანად.

10. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გამოიტანოს დადგენილება (განჩინება), რომელიც საჯაროდ უნდა გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე.

11. დადგენილების (განჩინების) ასლი სასამართლომ უნდა გადასცეს (გაუგზავნოს);

– მხარეებს;

– მოქალაქეს, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს.

12. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების უარყოფის შემთხვევაში შუამდგომლობა ხელახლა განსახილველად შეიძლება, მიღებულ იქნეს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე წინა შუამდგომლობის უარყოფის შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანის დღიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი 679. სასამართლოს განჩინებაზე საჩივრის შეტანა

1. **სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ საქმის წარმოების შეწყვეტის, ასეთი ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, საერთო წესით წარმოების განახლების შესახებ, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლაზე ან გაუქმებაზე უარისა და საერთო წესით წარმოების განახლებაზე უარის შესახებ სასამართლო განჩინებაზე (დადგენილებაზე) საჩივრის შეტანის უფლება აქვთ: პირს, რომლის მიმართაც გამოტანილია განჩინება, მის დამცველს, კანონიერ წარმომადგენელს, პროკურორს.**
2. **სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს, მათს წარმომადგენლებს უფლება აქვთ შეიტანონ საჩივარი სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებულ ნაწილში.**

3. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ დადგენილებაზე (განჩინებაზე) საჩივარს ზემდგომი სასამართლო ერთჯერადად განიხილავს ამ კოდექსის 523-ე-534-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223)

1. მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილება (განჩინება) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე საქმის წარმოების შეწყვეტის, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, საერთო წესით წარმოების განახლების შესახებ, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლაზე ან გაუქმებაზე უარისა და საერთო წესით წარმოების განახლებაზე უარის შესახებ შეიძლება გაასაჩივრონ:

– პირმა, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება (განჩინება);

– დამცველმა;

– კანონიერმა წარმომადგენელმა;

– პროკურორმა.

2. სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებულ ნაწილში მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებაზე (განჩინებაზე) საჩივრის შეტანის უფლება აქვთ:

– სამოქალაქო მოსარჩელეს;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოპასუხეს;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს.

3. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებაზე (განჩინებაზე) შეტანილ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავი LXIV[1]
საპროცესო შეთანხმება და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება

(საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287 – სსმ I, 2004 წ., №6, მუხლი 21; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 679[1]. საპროცესო შეთანხმების არსი

1. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმების საფუძველია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. საპროცესო შეთანხმების შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდებულს (განსასჯელს), ისე პროკურორს. საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო კამათის დაწყებამდე სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია მხარეებს შესთავაზოს ამ თავით გათვალისწინებული წერილობითი საპროცესო შეთანხმების დადება.
2. სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული (განსასჯელი) არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალდებას, თუმცა ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად განთავისუფლებაზე. სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა.
3. ბრალზე შეთანხმებისას ბრალდებული (განსასჯელი) აღიარებს დანაშაულს.
4. საპროცესო შეთანხმება იდება ზემდგომ პროკურორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით.
5. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე.
6. ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) სასჯელის შემცირების ან ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი უნდა ითვალისწინებდეს საჯარო ინტერესს, ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმეს და ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხს.
7. დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება დამცველის უშუალო მონაწილეობისა და შეთანხმების შესახებ ბრალდებულის წინასწარი თანხმობის გარეშე.

7[1]. დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება, რომელიც უზღუდავს ბრალდებულს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

8. საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ვალდებულია ბრალდებული (განსასჯელი) გააფრთხილოს იმის თაობაზე, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მას სამოქალაქო ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან.

9. განსაკუთრებულ შემთხვევაში, გენერალურ პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ. ამ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს.

10. ბრალდებულისათვის (მისი ადვოკატისათვის), რომლის შესახებაც საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სხვა ბრალდებული (განსასჯელი) გამოძიებას აწვდის მის მამხილებელ ინფორმაციას, ამ საპროცესო შეთანხმების შინაარსი, გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაციის ჩათვლით, სრულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №214 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 62; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. ამასთან, სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება.

2. საპროცესო შეთანხმების დადების საკითხის ინიცირების უფლება აქვთ (ანუ საპროცესო შეთანხმების შეთავაზება შეუძლიათ):

– ბრალდებულს (განსასჯელს);

– პროკურორს.

3. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, სასამართლო კამათის დაწყებამდე მხარეებს შესთავაზოს წერილობითი საპროცესო შეთანხმების დადება.

4. საპროცესო შეთანხმების საფუძველი შესაძლებელია იყოს:

– შეთანხმება ბრალზე;

– შეთანხმება სასჯელზე.

5. ბრალზე შეთანხმების დროს ბრალდებულმა (განსასჯელმა) უნდა აღიაროს დანაშაული.

6. სასჯელზე შეთანხმების დროს ბრალდებული (განსასჯელი) არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წაყენებულ ბრალდებას, თუმცა უნდა ეთანხმებოდეს პროკურორს:

– ან სასჯელის ზომაზე;

– ან სასჯელისაგან სრულად განთავისუფლებაზე.

7. ამასთან, სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა.

8. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს, მოითხოვოს:

– ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) სასჯელის შემცირება;

– დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებულისთავის (განსასჯელისათვის):

ა) ბრალდების შემსუბუქების თაობაზე;

ბ) ბრალდების ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე.

9. ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) სასჯელის შემცირების, ბრალდების შემსუბუქების ან ბრალდების ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს:

– საჯარო ინტერესი;

– ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე;

– ქმედების მართლწინააღმდეგობა;

– ბრალეულობის ხარისხი.

10. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, საპროცესო შეთანხმება უნდა დაიდოს ზემდგომ პროკურორთან წინასწარი შეთანხმების არსებობის საფუძველზე. ამასთან, ზემდგომმა პროკურორმა წინასწარი თანხმობის არსებობა უნდა დაადასტუროს წერილობით.

11. საპროცესო შეთანხმების დადებისას, ბრალდებულის უფლებების დაცვის გარანტიებიდან გამომდინარე, საპროცესო შეთანხმების დადება დაუშვებელია:

– დამცველის უშუალო მონაწილეობის გარეშე;

– საპროცესო შეთანხმების შესახებ ბრალდებულის წინასწარი თანხმობის არსებობის გარეშე.

12. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება, რომელიც ბრალდებულს უზღუდავს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას, მოითხოვოს შესაბამისი პირის (პირების) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება:

– წამების შემთხვევაში;

– არაადამიანური მოპყრობის შემთხვევაში;

– დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში.

13. საპროცესო შეთანხმების დადება, როგორც წესი, ბრალდებულს (განსასჯელს) არ ათავისუფლებს სამოქალაქო (სხვა სახის) პასუხისმგებლობისაგან. ამდენად, საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ვალდებულია, ბრალდებული (განსასჯელი) გააფრთხილოს იმის თაობაზე, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მას სამოქალაქო (სხვა სახის) პასუხისმგებლობისაგან.

14. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია, სასამართლოს მიემართოს შუამდგომლობით ბრალდებულის (განსასჯელის) სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების თაობაზე.

15. ბრალდებულის (განსასჯელის) სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ მხოლოდ:

– გენერალურ პროკურორს;

– გენერალური პროკურორის მოადგილეს.

16. ბრალდებულის (განსასჯელის) სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სახელმწიფოს.

17. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, იმ ბრალდებულისათვის (მისი ადვოკატისათვის), რომლის შესახებაც საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სხვა ბრალდებულმა (განსასჯელმა) გამოძიებას მიაწოდა მისი მამხილებელი ინფორმაცია, სრულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი:

– ამ საპროცესო შეთანხმების შინაარსი;

– გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაცია.

მუხლი 679[2]. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმა

1. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს:

ა) ბრალდებულის (განსასჯელის) სახელი, გვარი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი;

ბ) ბრალდების ფორმულირება, ესე იგი ინკრიმინირებული ქმედების აღწერა მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხისა თუ საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

გ) მტკიცებულებანი, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა;

დ) სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, მუხლის ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული;

ე) პროკურატურის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომა;

ვ) მითითება ამ კოდექსის 679[1] მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული გაფრთხილების შესახებ ან იმავე მუხლით გათვალისწინებული გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის მიერ მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება.

2. ბრალდებულის (განსასჯელის) წერილობით განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ ბრალდებული (განსასჯელი) და მისი დამცველი, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე თანხმობა ბრალდებულმა (განსასჯელმა) ნებაყოფლობით განაცხადა დამცველისაგან იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ. ამასთანავე, ბრალდებული (განსასჯელი) სრულყოფილად უნდა აღიქვამდეს შუამდგომლობის შინაარსს და მოსალოდნელი განაჩენის სამართლებრივ შედეგებს.

3. თუ პროკურორი და ბრალდებულის (განსასჯელის) დამცველი შეთანხმდებიან თანამშრომლობის შესახებ, პროკურორი ადგენს შუამდგომლობას, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს შეთანხმების შინაარსი. შუამდგომლობას

ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებულის (განსასჯელის) დამცველი და ბრალდებული (განსასჯელი).

4. **ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შუამდგომლობა საჯაროა, გარდა იმ ნაწილისა, სადაც მითითებულია ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია. ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ მასზე ხელმომწერ პირებსა და სასამართლოს, გარდა ამ კოდექსის 679[1] მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.**

(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №214 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 62; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს:

– ბრალდებულის (განსასჯელის) სახელი, გვარი;

– ბრალდებულის (განსასჯელის) დაბადების რიცხვი, თვე, წელი;

– ბრალდების ფორმულირება (ანუ ინკრიმინირებული ქმედების აღწერა:

ა) მისი ჩადენის დროის მითითებით;

ბ) მისი ჩადენის ხერხის მითითებით;

გ) მისი ჩადენის საშუალების მითითებით;

დ) მისი ჩადენის იარაღის მითითებით;

ე) ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით);

– მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული;

– სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი (მუხლის ნაწილი, ქვეპუნქტი), რომლითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული;

– პროკურატურის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომა;

– მითითება, რომ პროკურორმა ბრალდებული (განსასჯელი) გააფრთხილა იმის შესახებ, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მას სამოქალაქო (სხვა სახის) პასუხისმგებლობისაგან (ან მითითება, რომ გენერალური პროკურორის (გენერალური პროკურორის მოადგილის) მიერ მიღებულია დასაბუთებული გადაწყვეტილება ბრალდებულის (განსასჯელის) სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის თაობაზე).

2. ბრალდებულის (განსასჯელის) წერილობით განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე თანხმობა ბრალდებულმა (განსასჯელმა) დამცველისაგან იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ, ნებაყოფლობით განაცხადა.

3. ამასთან, ბრალდებული (განსასჯელი) სრულყოფილად უნდა აღიქვამდეს:

– სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის შინაარსს;

– მოსალოდნელი განაჩენის სამართლებრივ შედეგებს.

4. ბრალდებულის (განსასჯელის) წერილობით განცხადებას ხელი უნდა მოაწერონ:

– ბრალდებულმა (განსასჯელმა);

– ბრალდებულის (განსასჯელის) დამცველმა.

5. თუ პროკურორი და ბრალდებულის (განსასჯელის) დამცველი შეთანხმდებიან თანამშრომლობის შესახებ, პროკურორმა უნდა შეადგინოს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობა, რომელშიც უნდა აღინიშნოს შეთანხმების შინაარსი.

6. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობას ხელი უნდა მოაწერონ:

– პროკურორმა;

– ბრალდებულის (განსასჯელის) დამცველმა;

– ბრალდებულმა (განსასჯელმა).

7. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობა, როგორც წესი, საჯაროა.

8. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ის ნაწილი, სადაც მითითებულია ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია, საჯარო არ არის.

9. ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაციის გაცნობის უფლება, როგორც წესი, აქვთ მხოლოდ:

– სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობაზე ხელის მომწერ პირებს;

– მოსამართლეს (სასამართლოს).

10. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679[1] მუხლის თანახმად, იმ ბრალდებულისათვის (მისი ადვოკატისათვის), რომლის შესახებაც საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სხვა ბრალდებულმა (განსასჯელმა) გამოძიებას მიაწოდა მისი მამხილებელი ინფორმაცია, გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაცია სრულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

მუხლი 679[3]. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვა

1. საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით და დამტკიცდეს სასამართლოს მიერ საჯარო სხდომაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს დახურული სასამართლო სხდომის ჩატარების მნიშვნელოვანი საფუძველი. საპროცესო შეთანხმება უნდა აისახოს სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში. სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ შეთანხმება დადებულია ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე, ნებაყოფლობით და რომ ბრალდებულს (განსასჯელს) ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება.

2. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს რომ:

ა) ბრალდებული (განსასჯელი) სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ედება ბრალი;

ბ) ბრალდებული (განსასჯელი) სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს;

გ) ბრალდებულისთვის (განსასჯელისთვის) ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ;

დ) ბრალდებული (განსასჯელი) აცნობიერებს, რომ თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია, მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიაწვდის სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას;

ე) ბრალდებული (განსასჯელი) აცნობიერებს, რომ მას აქვს შემდეგი კონსტიტუციური უფლებები:

ე.ა) დაცვის უფლება;

ე.ბ) უფლება, უარი განაცხადოს შეთანხმებაზე ბრალის აღიარების შესახებ;

ე.გ) უფლება სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვაზე;

ვ) საპროცესო შეთანხმება არ არის შედეგი ბრალდებულის (განსასჯელის) იძულების, დაშინების ან ისეთი დაპირებისა, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს;

ზ) ბრალდებული (განსასჯელი) ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს;

თ) ბრალდებულსა და პროკურორს შორის არსებული შეთანხმების ყველა პირობა ასახულია წერილობით საპროცესო შეთანხმებაში;

ი) ბრალდებული და მისი დამცველი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.

2[1]. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლო ვალდებულია უშუალოდ ბრალდებულისაგან დარწმუნდეს, რომ ბრალდებულის მიმართ პოლიციელების ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას. მოსამართლე, აგრეთვე ვალდებულია განუმარტოს ბრალდებულს, რომ მის მიერ საჩივრის შეტანა წამების, არაადამიანურ ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.

3. მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს პროკურორსა და ბრალდებულს (განსასჯელს) შორის მიღწეული შეთანხმება.

4. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის შესახებ სასამართლო განხილვის მიმდინარეობა სიტყვასიტყვით უნდა დაფიქსირდეს წერილობით ოქმში.

(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №214 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 62; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I,

1. საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით.

2. საპროცესო შეთანხმება, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს სასამართლომ საჯარო სხდომაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს დახურული სასამართლო სხდომის ჩატარების მნიშვნელოვანი საფუძველი).

3. საპროცესო შეთანხმება უნდა აისახოს სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში.

4. ამასთან, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ:

– საპროცესო შეთანხმება დადებულია:

ა) ნებაყოფლობით;

ბ) ძალადობის გარეშე;

გ) დაშინების გარეშე;

დ) მოტყუების გარეშე;

ე) რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე;

– ბრალდებულს (განსასჯელს) ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება.

5. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ:

– ბრალდებული (განსასჯელი) სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება;

– ბრალდებული (განსასჯელი) სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს;

– ბრალდებულისთვის (განსასჯელისთვის) ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ;

– ბრალდებული (განსასჯელი) აცნობიერებს, რომ, თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია, მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიაწვდის სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას;

– ბრალდებული (განსასჯელი) აცნობიერებს, რომ მას აქვს დაცვის უფლება;

– ბრალდებული (განსასჯელი) აცნობიერებს, რომ მას აქვს უფლება, უარი განაცხადოს შეთანხმებაზე ბრალის აღიარების შესახებ;

– ბრალდებული (განსასჯელი) აცნობიერებს, რომ მას აქვს უფლება სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაზე;

– საპროცესო შეთანხმება არ არის ბრალდებულის (განსასჯელის) იძულების შედეგი;

– საპროცესო შეთანხმება არ არის ბრალდებულის (განსასჯელის) დაშინების შედეგი;

– საპროცესო შეთანხმება არ არის ისეთი დაპირების შედეგი, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს;

– ბრალდებული (განსასჯელი) ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს;

– ბრალდებულსა და პროკურორს შორის არსებული შეთანხმების ყველა პირობა ასახულია წერილობით საპროცესო შეთანხმებაში;

– ბრალდებული და მისი დამცველი სრულად იცნობენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

6. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლო ვალდებულია, უშუალოდ განსასჯელისაგან დარწმუნდეს, რომ მის მიმართ პოლიციელებს (სხვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს) არ განუხორციელებიათ:

– წამება;

– არაადამიანური მოპყრობა;

– დამამცირებელი მოპყრობა.

7. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია, განუმარტოს განსასჯელს, რომ მის მიერ საჩივრის შეტანა წამების, არაადამიანური მოპყრობის ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე ხელს არ შეუშლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.

8. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის შესახებ სასამართლო განხილვის მიმდინარეობა სიტყვასიტყვით უნდა დაფიქსირდეს სასამართლო სხდომის ოქმში.

9. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) არ არის ვალდებული, დაამტკიცოს პროკურორსა და ბრალდებულს (განსასჯელს) შორის მიღწეული შეთანხმება. მოსამართლემ (სასამართლომ) საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 679[4]. სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე

1. **ამ თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის ან საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად პროკურორისთვის საქმის უკან დაბრუნების თაობაზე.**
2. **სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საკითხს იხილავს შესაბამისი სასამართლო სისხლის სამართლის საქმის განსჯადობის მიხედვით.**
3. **სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე ამოწმებს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება და კანონიერია თუ არა შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი, ასევე რამდენად ნებაყოფლობით მოხდა ბრალის აღიარება.**
4. **თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებანი პირის ბრალის დასადასტურებლად, ხოლო მოთხოვნილი სასჯელი**

კანონიერია, მას გამოაქვს განაჩენი პროკურორის მიერ შუამდგომლობის წარდგენიდან 15 დღის ვადაში. განაჩენს ხელს აწერს საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო შემადგენლობა).

5. **თუ სასამართლო ჩათვლის, რომ არ არსებობს ბრალდების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი, ან დაადგენს, რომ შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე წარმოდგენილია ამ თავის მოთხოვნათა დარღვევით, იგი საქმეს უბრუნებს პროკურატურას საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად. სასამართლო, პროკურატურისათვის საქმის უკან დაბრუნების ნაცვლად, მხარეებს თავდაპირველად სთავაზობს, შუამდგომლობის სასამართლო განხილვისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები.**
6. **თუ სასამართლო პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს მკაცრად მიიჩნევს, მას უფლება აქვს შეამსუბუქოს იგი.**
7. **ბრალდებულს (განსასჯელს) უფლება აქვს სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე ნებისმიერ მომენტში უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე. უარის განცხადებას არ სჭირდება დამცველის თანხმობა. განაჩენის გამოტანის შემდეგ შეთანხმებაზე უარის თქმა დაუშვებელია.**
8. **მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე, განაჩენის გამოტანამდე შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საკითხი უნდა განიხილოს სისხლის სამართლის საქმის განსჯადობის მიხედვით – შესაბამისმა სასამართლომ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის კომენტარები).

2. სასამართლომ სისხლის სამართლის საქმის მასალებისა და ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე უნდა შეამოწმოს:

– დასაბუთებულია თუ არა ბრალდება;

– კანონიერია თუ არა შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი;

– რამდენად ნებაყოფლობით მოხდა ბრალის აღიარება.

3. სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება:

– სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ;

– საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად პროკურორისთვის სისხლის სამართლის საქმის უკან დაბრუნების თაობაზე.

4. სასამართლომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენი უნდა გამოიტანოს, თუ მიიჩნევს, რომ:

– წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებები პირის ბრალის დასადასტურებლად;

– მოთხოვნილი სასჯელი კანონიერია.

5. ამასთან, სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პროკურორის მიერ შუამდგომლობის წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

6. განაჩენს ხელი უნდა მოაწეროს სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (მოსამართლეებმა).

7. სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე უნდა დაუბრუნოს პროკურატურას საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად, თუ:

– ან ჩათვლის, რომ არ არსებობს ბრალდების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები;

– ან დაადგენს, რომ შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე წარმოდგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით.

8. ამასთან, სასამართლომ, პროკურატურისათვის სისხლის სამართლის საქმის უკან დაბრუნების ნაცვლად, მხარეებს თავდაპირველად უნდა შესთავაზოს, რომ შუამდგომლობის სასამართლო განხილვისას მათ შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები.

9. მხარეებს უფლება აქვთ, შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე.

10. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს, შეამსუბუქოს სასჯელი, თუ იგი პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს მკაცრად მიიჩნევს.

11. ბრალდებულს (განსასჯელს) უფლება აქვს, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ მომენტში, უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე.

12. განსასჯელის მიერ საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმა დაუშვებელია სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ.

13. ამასთან, საპროცესო შეთანხმებაზე ბრალდებულის (განსასჯელის) უარის განცხადებას დამცველის თანხმობა არ სჭირდება.

მუხლი 679[5]. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა

თუ სასამართლო გააუქმებს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენს ან ბრალდებული თვითონ განაცხადებს უარს შეთანხმებაზე, დაუშვებელია ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების გამოყენება მის საწინააღმდეგოდ.

(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №214 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 62; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების მის საწინააღმდეგოდ გამოყენება დაუშვებელია, თუ:

– სასამართლო გააუქმებს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენს;

– ბრალდებული საპროცესო შეთანხმებაზე თვითონ განაცხადებს უარს.

მუხლი 679⁶. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება

1. მსჯავრდებულს ამ თავით გათვალისწინებული განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში უფლება აქვს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ:

ა) საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით;

ბ) ბრალდებულს (განსასჯელს) შეეზღუდა დაცვის უფლება;

გ) საპროცესო შეთანხმება დაიდო იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით;

დ) საქმის განმხილველმა სასამართლომ (მოსამართლემ) უგულებელყო ამ თავით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა.

2. თუ ბრალდებულმა (განსასჯელმა) დაარღვია საპროცესო შეთანხმებაში ასახული პირობა, დარღვევის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში პროკურორი უფლებამოსილია ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმებისას სასამართლო საქმეს აბრუნებს წინასწარ გამოძიებაში.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების სპეციალურ წესებს.

2. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში მსჯავრდებულს უფლება აქვს, ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გაუქმების თაობაზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ:

– საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით;

– ბრალდებულს (განსასჯელს) შეეზღუდა დაცვის უფლება;

– საპროცესო შეთანხმება დაიდო იძულებით;

– საპროცესო შეთანხმება დაიდო ძალადობით;

– საპროცესო შეთანხმება დაიდო მუქარით;

– საპროცესო შეთანხმება დაიდო დაშინებით;

– სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ) უგულებელყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის LXIV[1] თავით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა.

3. პროკურორი უფლებამოსილია, ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ ბრალდებულმა (განსასჯელმა) დაარღვია საპროცესო შეთანხმებაში ასახული პირობა.

4. ამასთან, პროკურორს აღნიშნული საჩივრის შეტანის უფლება აქვს საპროცესო შეთანხმებაში ასახული პირობის დარღვევის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

5. ზემოაღნიშნული საფუძვლებით საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების შემთხვევაში, სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე წინასწარ გამოძიებაში უნდა დააბრუნოს (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679[7] მუხლის კომენტარები).

მუხლი 679[7]. განაჩენის გადაცემა და ძალაში შესვლა

1. **განაჩენის გამოტანიდან 3 დღის ვადაში მსჯავრდებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს და დამცველს გადაეცემათ განაჩენის დამოწმებული ასლი.**
2. **ამ თავით გათვალისწინებულ საქმეებზე სასამართლო განაჩენი არ ექვემდებარება გასაჩივრებას, გარდა ამ კოდექსის 679[6] მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, და კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.**
2[1]. **მხარეს უფლება აქვს სასამართლოს უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში 15 დღის ვადაში.**
3. **განაჩენის გადასინჯვა დასაშვებია საერთო წესით ახალაღმოჩენილ და ახალგამოვლენილ გარემოებათა გამო.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გამოტანიდან 3 დღის ვადაში განაჩენის დამოწმებული ასლი უნდა გადაეცეს:

– მსჯავრდებულს;

– მსჯავრდებულის კანონიერ წარმომადგენელს;

– დამცველს.

2. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენი გამოცხადებისთანავე შედის კანონიერ ძალაში.

3. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენი, როგორც წესი, არ საჩივრდება, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679[6] მუხლით

გათვალისწინებული შემთხვევებისა (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679[6] მუხლის კომენტარები).

4. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე სასამართლოს უარი მხარეს შეუძლია, 15 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

5. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გადასინჯვა დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-601-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 679[8]. დაზარალებულის შეტყობინება საპროცესო შეთანხმების შესახებ

1. პროკურორი ვალდებულია შეატყობინოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ.
2. დაზარალებულს უფლება არ აქვს გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება.
3. საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ართმევს უფლებას შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი.

(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №214 – სსმ I, 2004 წ., №18, მუხლი 62)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმებასთან მიმართებით დაზარალებულს ფაქტობრივად საპროცესო უფლებაუნარიანობა არ გააჩნია.

2. დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება, თუმცა საპროცესო შეთანხმება მას სამოქალაქო სარჩელის შეტანის უფლებას არ ართმევს.

3. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლება არა აქვს, პროკურორი ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ დაზარალებულს შეატყობინოს.

მუხლი 679[9]. ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება

1. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები, საქართველოს გენერალურ პროკურორს შეუძლია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების მოთხოვნით. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში პირი თავისუფლდება სასჯელისაგან, თუმცა იგი ითვლება ნასამართლევად.

2. სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების თაობაზე დგება წერილობითი შეთანხმება, რომელსაც ხელს აწერენ ბრალდებული და საქართველოს გენერალური პროკურორი.

3. სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმებაში აღინიშნება, რომ თუ პირი არ ითანამშრომლებს გამოძიებასთან, შეთანხმების პირობების შესაბამისად შეთანხმება ჩაითვლება ბათილად.

4. სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმებას სასამართლოს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს გენერალური პროკურორი. დაუშვებელია სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება მხოლოდ ჯარიმის ან თანხის გადახდის სანაცვლოდ.

5. ამ მუხლით გათვალისწინებულ შუამდგომლობას პირველი ინსტანციით განიხილავს საოლქო სასამართლო.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად განთავისუფლების შესაძლებლობას.

2. ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ: როდესაც ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები.

3. ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად განთავისუფლების მოთხოვნის შესახებ შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ გენერალურ პროკურორს.

4. სასჯელისაგან სრულად განთავისუფლების თაობაზე უნდა შედგეს წერილობითი შეთანხმება.

5. სასჯელისაგან სრულად განთავისუფლების თაობაზე წერილობით შეთანხმებას ხელი უნდა მოაწერონ:

– ბრალდებულმა;

– გენერალურმა პროკურორმა.

6. სასჯელისაგან სრულად განთავისუფლების შესახებ შეთანხმებაში უნდა აღინიშნოს, რომ თუ პირი არ ითანამშრომლებს გამოძიებასთან, შეთანხმების პირობების შესაბამისად, შეთანხმება ჩაითვლება ბათილად.

7. სასჯელისაგან სრულად განთავისუფლების შესახებ შეთანხმება სასამართლოს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს გენერალურმა პროკურორმა. ამასთან, დაუშვებელია სასჯელისაგან სრულად განთავისუფლება მხოლოდ ჯარიმის ან თანხის გადახდის სანაცვლოდ.

8. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად განთავისუფლების მოთხოვნის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში პირი თავისუფლდება სასჯელისაგან, თუმცა იგი ითვლება ნასამართლევად.

მუხლი 679[10].სისხლის სამართლის პროცესის წარმოება
არაიდენტიფიცირებული ეჭვმიტანილის, ბრალდებულის,
განსასჯელის, მსჯავრდებულის მიმართ

1. თუ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი დაკავებული პირის ვინაობა (სახელი, გვარი, ასაკი, სქესი, მოქალაქეობა) დაუდგენელია და იგი უარს აცხადებს თვითიდენტიფიცირებაზე, ან ფიზიკური ნაკლის თუ სხვა ობიექტურ გარემოებათა გამო შეუძლებელი ხდება მისი იდენტიფიცირება, პროცესის მწარმოებელი პირი დაუბრკოლებლად ადგენს საპროცესო მოქმედების ოქმს, რომელშიც შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით აღიწერება პირის ყველა შესაძლო გარეგნული ნიშანი (სავარაუდო ასაკი, სქესი, სიმაღლე, თმის ფერი, თვალების ფერი, გარეგნობისა და იერის სხვა თავისებურება), რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება (ოქმს უნდა დაერთოს ფოტოსურათი). ამასთანავე, საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობით პირს შესაძლებელია მიენიჭოს პირობითი სახელი ციფრების ან/და ასოების იმგვარი კომბინაციით, რომელიც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან შესაძლებელს გახდის ამ პირის იდენტიფიცირებას შემდგომი საპროცესო მოქმედებებისას. პირობითი სახელი არ შეიძლება იყოს ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავი და შეურაცხმყოფელი შინაარსისა.
2. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ შემთხვევაში ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შემდგომი საპროცესო მოქმედება ხორციელდება სრული მოცულობით, დაუბრკოლებლად. ამასთანავე, ყველა საპროცესო მოქმედება არაიდენტიფიცირებული ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მიმართ ხორციელდება დამცველის სავალდებულო მონაწილეობით. დანიშნული დამცველის ხარჯებს ანაზღაურებს სახელმწიფო.
3. არაიდენტიფიცირებული პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემიდან არა უგვიანეს 3 დღე-ღამისა, ამ კოდექსით დადგენილი წესით, ინიშნება კოპლექსური სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლითაც სხვა საკითხებთან ერთად უნდა დადგინდეს ამ პირის ფსიქიკური მდგომარეობა, სისხლის ჯგუფი და განხორციელდეს დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია.
4. გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულია უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გონივრული ღონისძიების ჩატარება ამ მუხლში აღნიშნული პირის იდენტიფიცირების მიზნით (მისი სახელის, გვარის, ასაკის, მოქალაქეობისა და შერაცხაობის დასადგენად).
5. თუ არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობა დადგინდება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია 48 საათის განმავლობაში ამ გარემოებას შეუსაბამოს სისხლის სამართლის საქმეზე არსებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებები.
6. არაიდენტიფიცირებული განსასჯელი პირის მიმართ განაჩენის დადგენისას სათათბირო ოთახში გასვლამდე მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია

დარწმუნდეს, რომ ჩატარებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გონივრული ღონისძიება აღნიშნული პირის იდენტიფიცირებისათვის.

7. თუ არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობა დადგინდება მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ და ეს გარემოება გავლენას ახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე ან სასჯელის ზომაზე, ან იწვევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას, განაჩენი უნდა გადაისინჯოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ამ კოდექსის გIX თავით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გარემოება იწვევს შებრუნებას საუარესოდ.

(საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს არაიდენტიფიცირებული ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების შესაძლებლობას.

2. პროცესის მწარმოებელმა თანამდებობის პირმა დაუბრკოლებლად უნდა შეადგინოს საპროცესო მოქმედების ოქმი, რომელშიც შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით უნდა აღიწეროს პირის ყველა შესაძლო გარეგნული ნიშანი (სავარაუდო ასაკი, სქესი, სიმაღლე, თმის ფერი, თვალების ფერი, გარეგნობის სხვა თავისებურება, იერის სხვა თავისებურება), რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება, თუ:

– დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი დაკავებული პირის ვინაობა (სახელი, გვარი, ასაკი, სქესი, მოქალაქეობა) დაუდგენელია და იგი უარს აცხადებს თვითიდენტიფიცირებაზე;

– ფიზიკური ნაკლის გამო შეუძლებელი ხდება დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი დაკავებული პირის იდენტიფიცირება;

– სხვა ობიექტური გარემოების (გარემოებების) გამო შეუძლებელი ხდება დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი დაკავებული პირის იდენტიფიცირება;

3. აღნიშნული საპროცესო მოქმედების ოქმს უნდა დაერთოს ფოტოსურათი.

4. აღსანიშნავია, რომ საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობის საფუძველზე, პირს შესაძლებელია, მიენიჭოს პირობითი სახელი ციფრების ან/და ასოების იმგვარი კომბინაციით, რომელიც შესაძლებელს გახდის სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ამ პირის იდენტიფიცირებას შემდგომი საპროცესო მოქმედებებისას.

5. ამასთან, პირობითი სახელი არ შეიძლება იყოს:

– ადამიანის პატივის შემლახავი;

– ადამიანის პატივის შეურაცხმყოფელი;

– ადამიანის ღირსების შემლახავი;

– ადამიანის ღირსების შეურაცხმყოფელი.

6. ზემოაღნიშნული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ყველა შემდგომი საპროცესო მოქმედება უნდა განხორციელდეს სრული მოცულობით, დაუბრკოლებლად.

7. ამასთან, არაიდენტიფიცირებული ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მიმართ ყველა საპროცესო მოქმედება უნდა განხორციელდეს დამცველის სავალდებულო მონაწილეობის პირობებში.

8. არაიდენტიფიცირებული ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულისათვის დანიშნული დამცველის ხარჯები სახელმწიფომ უნდა აანაზღაუროს.

9. არაიდენტიფიცირებული პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემიდან არა უგვიანეს 3 დღე-ღამეში, უნდა დაინიშნოს კომპლექსური სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

10. კომპლექსურმა სამედიცინო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ სხვა საკითხებთან ერთად უნდა:

– დაადგინოს არაიდენტიფიცირებული პირის ფსიქიკური მდგომარეობა;

– დაადგინოს არაიდენტიფიცირებული პირის სისხლის ჯგუფი;

– განახორციელოს დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია.

11. გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან უზრუნველყონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გონივრული ღონისძიების ჩატარება არაიდენტიფიცირებული პირის იდენტიფიცირების მიზნით, რათა დადგინდეს მისი:

– სახელი, გვარი;

– ასაკი;

– მოქალაქეობა;

– შერაცხაობა.

12. თუ სისხლის სამართლის პროცესი დაწყებულია არაიდენტიფიცირებული პირის მიმართ და მისი ვინაობა დადგინდება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი (გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო) ვალდებული არიან, სისხლის სამართლის საქმეზე არსებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებები შეუსაბამონ ამ გარემოებას.

13. ამასთან, პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, თანამდებობის პირმა აღნიშნული უნდა განახორციელონ 48 საათის განმავლობაში.

14. არაიდენტიფიცირებული განსასჯელი პირის მიმართ განაჩენის დასადგენად სათათბირო ოთახში გასვლამდე სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ჩატარებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გონივრული ღონისძიება აღნიშნული პირის იდენტიფიცირებისათვის.

15. არაიდენტიფიცირებული პირის მიმართ განაჩენი უნდა გადაისინჯოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გარემოება იწვევს საუარესოდ შებრუნებას), თუ არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობა დადგინდება მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ და ეს გარემოება:

– ან გავლენას ახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე;

– ან გავლენას ახდენს სასჯელის ზომაზე;

– ან იწვევს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-601-ე მუხლების კომენტარები).

თავი LXIV[2]
საქმის წარმოება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს

(საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3531 – სსმ I, 2006 წ., №37, მუხლი 272)

მუხლი 679[11]. კოდექსის ნორმების მოქმედება იურიდიული პირის მიმართ

1. **იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსით დადგენილი საერთო წესებისა და LXIV[2] თავის შესაბამისად. ამ კოდექსის ნორმები ვრცელდება იურიდიულ პირებზე მათი შინაარსის გათვალისწინებით.**
2. **ამ თავის მიზნებისათვის, იურიდიული პირი ნიშნავს სამეწარმეო (კომერციულ) ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (მის უფლებამონაცვლეს).**

1. იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებისას და სასამართლო განხილვისას გამოიყენება სპეციალური წესები, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679[11]-679[20] მუხლებით. თუ რაიმე საკითხზე ზემოაღნიშნული ნორმებით არ არის განსაზღვრული სპეციალური წესი, სისხლის სამართლის საქმის წარმოება მიმდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესებით, მათი შინაარსის გათვალისწინებით.

2. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლის სამართლის საქმის წარმოების მიზნებისათვის იურიდიული პირი ნიშნავს:

– სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს (მის უფლებამონაცვლეს);

– არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (მის უფლებამონაცვლეს).

მუხლი 679[12]. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების საფუძველი

1. **თუ გამოძიების ან სასამართლო განხილვის დროს გამოვლინდა მონაცემები, რომლებიც იძლევა იურიდიული პირისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XVIII[1] თავით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს, გამომძიებელს ან სასამართლოს (მოსამართლეს) გამოაქვს დადგენილება იურიდიული პირისთვის**

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების თაობაზე.

2. **იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ამ იურიდიული პირის დამფუძნებელს (დამფუძნებლებს) ან/და ხელმძღვანელს (ხელმძღვანელებს), საქმის წარმოებაში მონაწილეობისათვის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად.**

1. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლის სამართლის საქმის წარმოება უნდა დაიწყოს, თუ გამოვლინდა მონაცემები, რომლებიც ქმნის იურიდიული პირისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XVIII[1] თავით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

2. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას გამომძიებელმა, მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გამოიტანონ დადგენილება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების შესახებ.

3. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების შესახებ, სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მონაწილეობისათვის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ამ იურიდიული პირის:

– დამფუძნებელს (დამფუძნებლებს);

– ხელმძღვანელს (ხელმძღვანელებს).

მუხლი 679[13]. გარემოებები, რომლებიც უნდა დადგინდეს იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოებისას

1. **იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოებისას უნდა დადგინდეს:**

ა) **დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია თუ არა ამ იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ;**

ბ) **არის თუ არა აღნიშნული ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან/და იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ორგანოს წევრი.**

2. **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 107[1] მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც დადგენილი არ არის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი ფიზიკური პირი, იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოებისას უნდა დადგინდეს მხოლოდ ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები.**

1. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოებისას, შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით, მტკიცების საგანთან დაკავშირებულ გარემოებებთან ერთად უნდა დადგინდეს:

– დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია თუ არა ამ იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ;

– არის თუ არა აღნიშნული ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან/და იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ორგანოს წევრი (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის კომენტარები).

2. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი ფიზიკური პირი, იურიდიული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, მტკიცების საგანთან დაკავშირებულ გარემოებებთან ერთად, უნდა დადგინდეს მხოლოდ ის, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია თუ არა ამ იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ.

3. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 107[1] მუხლის თანახმად, პასუხისმგებელი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება არ წარმოადგენს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს, ხოლო ფიზიკური პირის ქმედების მიმართ ბრალის ან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების დადგენის შემთხვევაში იურიდიული პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 679[14]. იურიდიული პირის წარმომადგენლის (დამცველის) მონაწილეობა

1. იურიდიული პირის წარმომადგენელი (დამცველი) საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების თაობაზე დადგენილების გამოტანისთანავე.

2. იურიდიული პირის წარმომადგენელს (დამცველს) უფლება აქვს გაეცნოს საქმის წარმოების მასალებს, გაასაჩივროს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის (სასამართლოს) მოქმედება და გადაწყვეტილება და განაცხადოს შუამდგომლობა ამ კოდექსით დადგენილი წესით.

1. იურიდიული პირის წარმომადგენელი (დამცველი) სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის მისაღებად უნდა დაიშვას იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე დადგენილების გამოტანისთანავე.

2. იურიდიული პირის წარმომადგენელს (დამცველს) უფლება აქვს:

– გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის წარმოების მასალებს;

– გაასაჩივროს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის (სასამართლოს) მოქმედება;

– გაასაჩივროს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის (სასამართლოს) გადაწყვეტილება;

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესის შესაბამისად, განაცხადოს შუამდგომლობა.

მუხლი 679[15]. სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებისა და სხვაგვარი შეზღუდვების გამოყენება იურიდიული პირის მიმართ

1. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოყენებული იქნეს ყადაღის დადების ღონისძიება.

2. იურიდიული პირის მიმართ ქონებაზე ყადაღის დადების ღონისძიება გამოიყენება ამ კოდექსის 190-ე-201-ე მუხლებით დადგენილი წესით.

3. დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე.

1. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების უზრუნველსაყოფად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესის შესაბამისად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყადაღის დადების ღონისძიება (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 190-201-ე მუხლების კომენტარები).

2. იურიდიული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან დაუშვებელია მის მიმართ სალიკვიდაციო ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება:

– სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

– სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე.

მუხლი 679[16]. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყებაზე უარის თქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები

1. დადგენილება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების თაობაზე არ შეიძლება გამოტანილ იქნეს ან გამოტანილი დადგენილება უნდა გაუქმდეს, თუ:

ა) არ არის დადგენილი ამ კოდექსის 679[13] მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ი“, „კ“, „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.

2. თუ არსებობს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, გამომძიებელს ან სასამართლოს (მოსამართლეს) გამოაქვს შესაბამისი დადგენილება, რის შესახებაც აცნობებს იურიდიული პირის წარმომადგენელს (დამცველს).

1. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოება არ უნდა დაიწყოს, ან დაწყებული წარმოება უნდა შეწყდეს, ანუ დადგენილება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების თაობაზე არ შეიძლება გამოტანილ იქნეს ან იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების შესახებ დადგენილება უნდა გაუქმდეს, თუ:

– არ არის დადგენილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679[13] მუხლით გათვალისწინებული გარემოებები (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679[13] კომენტარები);

– არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

– ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო;

– ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას;

– კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად არის ცნობილი;

– გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;

– არსებობს იმავე ბრალდების გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენი;

– არსებობს იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს (მოსამართლის) განჩინება (დადგენილება);

– არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს, პროკურორის დადგენილება (განჩინება);

– ვითარების შეცვლის შედეგად ქმედება აღარ არის საშიში.

2. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების თაობაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების, ან იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების შესახებ დადგენილების გაუქმების შესახებ უნდა ეცნობოს იურიდიული პირის წარმომადგენელს (დამცველს).

მუხლი 679[17]. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნა

1. თუ იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოებისას არ გამოვლინდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი, გამომძიებელი იღებს გადაწყვეტილებას

იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე.

2. **იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ გამომძიებელი აცნობებს იურიდიული პირის წარმომადგენელს (დამცველს), აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს და განუმარტავს მათ უფლებას საქმის მასალების გაცნობის თაობაზე. საქმის გაცნობის, საქმის წარმოების შესავსებად შუამდგომლობის განცხადებისა და მისი განხილვის წესი განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლებით.**
3. **პროცესის მონაწილეთა მიერ საქმის მასალების გაცნობისა და შუამდგომლობების განხილვის შემდეგ გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე.**
4. **გამომძიებელი იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე დადგენილებას საქმის მასალებთან ერთად დასამტკიცებლად გადასცემს პროკურორს. პროკურორი საქმის მასალების გაცნობის საფუძველზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:**

ა) **იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლისსამართლებრივი დევნის ამ კოდექსის 679[16] მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტის შესახებ;**

ბ) **დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად საქმის დაბრუნების თაობაზე;**

გ) **გამომძიებლის დადგენილების დამტკიცებისა და საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ.**

5. **სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად საქმის დაბრუნების შესახებ პროკურორს გამოაქვს დადგენილება.**

1. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოებისას, თუ არ გამოვლინდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი, აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, გამომძიებელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ.

2. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ გამომძიებელმა უნდა აცნობოს:

– იურიდიული პირის წარმომადგენელს (დამცველს);
– დაზარალებულს;
– დაზარალებულის წარმომადგენელს;
– სამოქალაქო მოსარჩელეს;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს;

– სამოქალაქო მოპასუხეს;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს.

3. გამომძიებელმა აღნიშნულ პირებს უნდა განუმარტოს უფლება სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის თაობაზე.

4. სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის, სისხლის სამართლის საქმის წარმოების შესავსებად შუამდგომლობის განცხადებისა და მისი განხილვის წესი განისაზღვრება ამ საკითხთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

5. პროცესის მონაწილეთა მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და შუამდგომლობების განხილვის შემდეგ გამომძიებელმა უნდა გამოიტანოს დადგენილება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე.

6. გამომძიებელმა იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე დადგენილება სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ერთად დასამტკიცებლად უნდა გადასცეს პროკურორს.

7. პროკურორმა სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის საფუძველზე უნდა მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

– იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679[16] მუხლის კომენტარები);

– დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად სისხლის სამართლის საქმის დაბრუნების შესახებ;

– გამომძიებლის დადგენილების დამტკიცებისა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ.

8. ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად სისხლის სამართლის საქმის დაბრუნების შესახებ პროკურორმა უნდა გამოიტანოს დადგენილება.

მუხლი 679[18]. სასამართლო განხილვა

1. **იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლო განხილვა ტარდება ამ მუხლითა და ამ კოდექსის 457-ე-516-ე მუხლებით დადგენილი წესით.**
2. **სასამართლო გამოძიება იწყება პროკურორის მიერ იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე დადგენილების წაკითხვით; შემდეგ ხდება მტკიცებულებათა გამოკვლევა, იმ საპროცესო მოქმედებების განხორციელება, რომლებიც საჭიროა საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად. მტკიცებულებებს ჯერ წარმოადგენენ პროკურორი, დაზარალებული, სამოქალაქო**

მოსარჩელე, მათი წარმომადგენლები, შემდეგ კი — იურიდიული პირის წარმომადგენელი (დამცველი), სამოქალაქო მოპასუხე, მისი წარმომადგენელი. მხარეებს უფლება აქვთ ჩაატარონ ჯვარედინი და ხელახალი დაკითხვები. მოსამართლე დასაკითხ პირებს ბოლოს უსვამს კითხვებს.

3. **სასამართლო გამოძიების დამთავრებისთანავე სასამართლო გადადის მხარეთა კამათზე. კამათში მონაწილეობენ პროკურორი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, იურიდიული პირის წარმომადგენელი (დამცველი). იურიდიული პირის წარმომადგენელი (დამცველი) კამათში და რეპლიკით გამოდის ბოლოს. მხარეთა სიტყვების მოსმენის შემდეგ მოსამართლე (სასამართლო) გადის სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად.**

1. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა ტარდება პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის დადგენილი წესებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 619[18] მუხლის მოთხოვნების შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 457-516-ე მუხლების კომენტარები).

2. სასამართლო გამოძიება უნდა დაიწყოს პროკურორის მიერ იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე დადგენილების წაკითხვით, რის შემდეგ უნდა მოხდეს მტკიცებულებების გამოკვლევა და იმ საპროცესო მოქმედებების განხორციელება, რომლებიც საჭიროა სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად.

3. მტკიცებულებები მხარეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი თანამიმდევრობით:
– პროკურორი;
– დაზარალებული;
– დაზარალებულის წარმომადგენელი;
– სამოქალაქო მოსარჩელე;
– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი;
– იურიდიული პირის წარმომადგენელი (დამცველი);
– სამოქალაქო მოპასუხე;
– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი.

4. მხარეს უფლება აქვს, ჩაატაროს:
– ჯვარედინი დაკითხვა;
– ხელახალი დაკითხვა.

5. მოსამართლემ დასაკითხ პირს ბოლოს უნდა დაუსვას კითხვები.

6. სასამართლო გამოძიების დამთავრებისთანავე მოსამართლე (სასამართლო) უნდა გადავიდეს მხარეთა კამათზე.

7. კამათში მხარეები მონაწილეობენ შემდეგი თანამიმდევრობით:
– პროკურორი;
– დაზარალებული;
– დაზარალებულის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოსარჩელე;

– სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი;

– სამოქალაქო მოპასუხე;

– სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი;

– იურიდიული პირის წარმომადგენელი (დამცველი).

8. ამასთან, იურიდიული პირის წარმომადგენელი (დამცველი) კამათში და რეპლიკით გამოდის ბოლოს.

9. მხარეთა სიტყვების მოსმენის შემდეგ მოსამართლე (სასამართლო) უნდა გავიდეს სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად.

მუხლი 679[19]. სასამართლო განაჩენი იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

1. იურიდიული პირისთვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე სასამართლოს განაჩენში უნდა აღინიშნოს:

ა) იურიდიული პირის დასახელება, იურიდიული მისამართი;

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლის საფუძველზედაც იურიდიულ პირს დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

გ) სასჯელის სახე და ზომა, რომელიც იურიდიულ პირს დაენიშნა დანაშაულებრივი ქმედებისათვის, და ორგანო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასჯელის აღსრულება (ლიკვიდაციის დანიშვნის შემთხვევაში – ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები));

დ) სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა;

ე) გამოყენებული სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა.

2. სასამართლოს განაჩენი იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს საერთო წესით.

1. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე სასამართლოს განაჩენში უნდა აღინიშნოს:

– იურიდიული პირის დასახელება;

– იურიდიული მისამართი;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლის საფუძველზეც იურიდიულ პირს დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

– სასჯელის სახე და ზომა, რომელიც იურიდიულ პირს დაენიშნა დანაშაულებრივი ქმედებისათვის;

– ორგანო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასჯელის აღსრულება (ლიკვიდაციის დანიშვნის შემთხვევაში — ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები));

– სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა;

– გამოყენებული სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა.

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენი იურიდიული პირისთვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით. სააპელაციო განხილვა ტარდება სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 517-545-ე მუხლების კომენტარები).

3. იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში საკასაციო განხილვა ტარდება საკასაციო ინსტანციაში სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-573-ე მუხლების კომენტარები).

მუხლი 679[20].იურიდიული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლო განაჩენის გამოქვეყნება

1. **იურიდიული პირის მიმართ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს. განაჩენი ქვეყნდება მსჯავრდებული იურიდიული პირის ხარჯით.**
2. **სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს, თუ რა ფორმით უნდა იქნეს განაჩენი გამოქვეყნებული. განაჩენის გამოქვეყნების დროს დაზარალებულის ვინაობის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.**

1. იურიდიული პირის მიმართ გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს.

2. განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს მსჯავრდებული იურიდიული პირის ხარჯით.

3. გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს, თუ რა ფორმით უნდა იქნეს განაჩენი გამოქვეყნებული.

4. ამასთან, განაჩენის გამოქვეყნების დროს დაზარალებულის ვინაობის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის შემთხვევაში.

კარი მეცამეტე
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

თავი LXV
გარდამავალი დებულებანი

1. გარდამავალი დებულებების არსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ თავის მთელი რიგი ნორმები დღეისათვის აღარ მოქმედებს, რის გამოც კომენტირებულია მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც აგრძელებს მოქმედებას, ან რომელთა მოთხოვნების დაცვის შეფასების აუცილებლობაც შესაძლებელია, დადგეს სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიებისას ან სასამართლო განხილვისას.

მუხლი 680. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები

1. **1999 წლის 15 მაისისათვის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების, აგრეთვე სასამართლო განხილვის სტადიაზე ამ კოდექსის ამოქმედებამდე ჩატარებულ საპროცესო მოქმედებებსა და მათი მეშვეობით მიღებულ მტკიცებულებებს და საპროცესო გადაწყვეტილებებს, აგრეთვე ძებნილ ბრალდებულებზე მათი დაპატიმრების შესახებ 1997 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით პროკურორის სანქციით გაცემულ დადგენილებებს უნარჩუნდებათ კანონიერი ძალა. მათი გადასინჯვა ამ კოდექსით დადგენილი წესით დაიშვება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას დარღვეული იყო ამ კოდექსის ძალაში შესვლამდე მოქმედი საპროცესო კანონი.**
2. **(ამოღებულია).**
3. **ადვოკატურის შესახებ კანონის პროექტთან ერთად შემუშავდეს და საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინოს კანონის პროექტი ამ კოდექსის 84-ე მუხლსა და სხვა შესაბამის მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რომელიც გაითვალისწინებს დამცველის უფლებას – პირის მიმართ ბრალდების წაყენებისა და პირველი დაკითხვის შემდეგ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალას, აგრეთვე დამცველის სხვა უფლებამოსილებების გაფართოებას.**
4. **1997 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით ძებნილი ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ პროკურორის სანქციით გაცემული დადგენილება მისი აღსრულე-**

ბიდან 10 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს 243-ე მუხლით დადგენილი წესით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიებში.

5. (ამოღებულია).
6. (ამოღებულია).
7. საკასაციო საჩივრები, რომლებიც ამ კოდექსის ამოქმედებამდე იყო შეტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში, მაგრამ არ განხილულა, საკასაციო წესით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.
8. საქართველოს საერთო სასამარლოებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე 1999 წლის 15 მაისამდე შესული საზედამხედველო საჩივრები, რომლებზედაც არ არის დამთავრებული საზედამხედველო წარმოება, განსახილველად გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატას. სისხლის სამართლის საქმეებზე საზედამხედველო პროტესტები, რომლებიც ამ კოდექსის ამოქმედებამდე იყო შეტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმებში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმში ან პლენუმში, აღარ განიხილება. საქმეები, რომლებზედაც შეტანილი იყო ეს საზედამხედველო პროტესტები, შეიძლება გადაისინჯოს ამ კოდექსით დადგენილი წესით მხოლოდ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, თუ არსებობს შესაბამისი საფუძველი.
9. 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეები არსებითად განსახილველად წარიმართოს იმ სასამრთლოში, რომლის განსჯადობაშიც ისინი ამ კანონის ამოქმედებამდე შედიოდა.
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში მიღებული საქმეები, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების განსჯადია და რომელთა სასამართლო განხილვა დაიწყო, მაგრამ არ დამთავრებულა 1999 წლის 15 მაისამდე, განიხილოს და დაამთავროს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.
11. 2000 წლის 1 ივნისამდე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატაში ამ კოდექსის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეტანილი საჩივრები განხილულ იქნეს დადგენილი წესით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატის გაუქმებამდე უზენაეს სასამართლოში ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შეტანილი საჩივრები განხილულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ დადგენილი წესით.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ამ კოდექსის 548-549-ე, 552-555-ე, 557-558 და 560-573-ე მუხლებით დადგენილი წესით განიხილოს 2001 წლის 15 მარტამდე მიღებული საჩივრები იმ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, რომლებზედაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი და „1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების მე-3 პუნქტის საფუძველზე შექმნილი დროებითი საპარლამენტო კომისიის შუამდგომლობები. საჩივარი, რომელსაც თან დაერთვის საქართველოს პარლამენტის ეროვნული თანხმობის დროებითი კომისიის შუამდგომლობა, შეიტანება 546-ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების სუბიექტების მიერ უშუალოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.
13. საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის №1104 დადგენილება „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ ჩაითვალოს ამ კოდექსის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ სამართლებრივ გარემოებად.
14. 2005 წლის 3 მაისამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოებში განსახილველად შესული სისხლის სამართლის საქმეები (გარდა იმ საქმეებისა, რომლებზედაც სასამართლო გამოძიება დასრულებულია) გადაეგზავნოს შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. 2005 წლის 3 მაისის შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონული სასამართლოს მიერ ამ ნაწილით გათვალისწინებულ საქმეებზე მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება ექვემდებარება ამ კოდექსით დადგენილი წესით გასაჩივრებას შესაბამის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატაში.
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამართლეთა და მსაჯულთა მიერ 2005 წლის 3 მაისამდე და მას შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებები ექვემდებარება საკასაციო წესით გასაჩივრებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში ამ კოდექსის 546-ე-573-ე მუხლებით დადგენილი წესით.
16. ამ კოდექსით გათვალისწინებულ სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას 2005 წლის 1 ნოემბრამდე ახორციელებენ საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები.
17. 2007 წლის 1 იანვრიდან რაიონული (საქალაქო) სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეების განხილვა კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით.
18. საოლქო სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე, რომელსაც 2005 წლის 15 ივლისამდე პირველი ინსტანციით წარმოებაში აქვს მიღებული სისხლის სამართლის საქმე, დაასრულებს ამ საქმის განხილვას კანონით დადგენილი წესით. ამ საქმეზე გამოტანილი განაჩენი, განჩინება და სხვა გადაწყვეტილება საჩივრდება საკასაციო

წესით და საჩივრები განიხილება ამ კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმების გარეშე.

19. საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2005 წლის 1 ნოემბრამდე შესული საკასაციო საჩივრები განიხილება ამ კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმების გარეშე.
20. ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განაჩენებსა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე 2007 წლის 1 იანვრამდე შეტანილი საჩივრები შესაძლებელია სააპელაციო წესით განიხილოს ერთპიროვნულად სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ.
21. ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განაჩენებსა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე შეტანილ საჩივრებზე დაწყებულ სააპელაციო წარმოებას ამ მუხლის მე-20 ნაწილის ამოქმედების შემდეგ ერთპიროვნულად აგრძელებს სააპელაციო საჩივრის განმხილველი მოსამართლეებიდან ის მოსამართლე, რომელიც გამწესებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1506 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 19; საქართველოს 1998 წლის 17 ივლისის კანონი №1531 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 16; საქართველოს 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი №1773 – სსმ I, 1999 წ., №1(8), გვ. 11; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2399ა – სსმ I, 1999 წ., №40(50), მუხლი 228; საქართველოს 2000 წლის 8 თებერვლის კანონი №134 – სსმ I, 2000 წ., №2, მუხლი 3; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი №333 – სსმ I, 2000 წ., №20, მუხლი 51; საქართველოს 2000 წლის 28 დეკემბრის კანონი №707 – სსმ I, 2000 წ., №51, მუხლი 153; საქართველოს 2001 წლის 13 თებერვლის კანონი №721 – სსმ I, 2001 წ., №4, მუხლი 4; საქართველოს 2001 წლის 16 მარტის კანონი №815 – სსმ I, 2001 წ., №8, მუხლი 29; საქართველოს 2001 წლის 7 დეკემბრის კანონი №1176 – სსმ I, 2001 წ., №34, მუხლი 135; საქართველოს 2004 წლის 26 ოქტომბერი კანონი №498 – სსმ I, 2004 წ., №32, მუხლი 147; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 15 ივნისის კანონი №1648 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 221; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223; საქართველოს 2005 წლის 25 ნოემბრის კანონი №2129 – სსმ I, 2005 წ., №53, მუხლი 349; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებულ იქნა 1998 წლის 20 თებერვალს, მაგრამ ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 681-ე მუხლის კომენტარები).

2. შესაძლებელია, სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოებისას ან სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას დაისვას იმ მტკიცებულებების მოპოვებისა და დამაგრებისას საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის (ანუ მტკიცებულებათა დასაშვებობის) საკითხი, რომლებიც მოპოვებულია 1999 წლის 15 მაისამდე (ანუ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე). ამ დროს მხედველობაში მიიღება, რომ 1999 წლის 15 მაისამდე სისხლის სამართლის საქმეებზე მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიაზე ჩატარებულ საპროცესო მოქმედებებსა და მათი მეშვეობით მიღებულ მტკიცებულებებსა და საპროცესო გადაწყვეტილებებს უნარჩუნდებათ კანონიერი ძალა და მათი გადასინჯვა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით დაიშვება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული მოქმედებების ჩატარებისას დარღვეული იყო ამ მოქმედებების ჩატარების დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები.

3. 1997 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით ბრალდებულის მიმართ წინასწარი პატიმრობის (დაპატიმრების) შერჩევა ხდებოდა გამომძიებლის დადგენილებით, რომელიც სანქციონირებული იყო პროკურორის მიერ. ამასთან, 1997 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით ძებნილ ბრალდებულებზე მათი დაპატიმრების შესახებ პროკურორის სანქციით გაცემულ დადგენილებებს უნარჩუნდებათ კანონიერი ძალა.

4. 1997 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით ძებნილი ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ პროკურორის სანქციით გაცემული დადგენილების საფუძველზე ძებნილი ბრალდებულის დაპატიმრების შემთხვევაში არ გამოიყენება დაპატიმრების ე.წ. „დადასტურების საკითხის“ განხილვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლით დადგენილი წესი, ანუ არ ხდება ბრალდებულის წარდგენა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. ასეთ შემთხვევაში ძებნილი ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ პროკურორის სანქციით გაცემული დადგენილება მისი აღსრულებიდან 10 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლით დადგენილი წესით, გამოძიების ადგილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე, 243-ე მუხლების კომენტარები).

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის №1104 დადგენილება წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ სამართლებრივ გარემოებას. აღნიშნული დადგენილების თანახმად, გადასინჯვას ექვემდებარება სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალდება ემყარებოდა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში მათ მონაწილეობასა და მათ პოლიტიკურ მრწამსს.

6. 2007 წლის 1 იანვრიდან რაიონული (საქალაქო) სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეების განხილვა კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით.

7. საოლქო სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემ, რომელსაც 2005 წლის 15 ივლისამდე პირველი ინსტანციით წარმოებაში ჰქონდა მიღებული სისხლის სამართლის საქმე, უნდა დაასრულოს ამ სისხლის სამართლის საქმის განხილვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამასთან, ამ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, განჩინება და სხვა გადაწყვეტილება საჩივრდება საკასაციო წესით, ხოლო საკასაციო საჩივრები განხილულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმების გარეშე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის კომენტარები).

8. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განაჩენებსა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე 2007 წლის 1 იანვრამდე შეტანილი საჩივრები სააპელაციო წესით ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ.

მუხლი 680[1]. (ამოღებულია)

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1496 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №25-26, გვ. 32; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23), მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №2048 – სსმ I, 1999 წ., №18(25), მუხლი 75)

მუხლი 680[2]. დამცველის (ადვოკატის) საქმიანობის შეზღუდვა სისხლის სამართლის პროცესში

პირებს, რომლებსაც არა აქვთ მიღებული ადვოკატის სერტიფიკატი და არ არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები, 2006 წლის 1 ივნისიდან ეკრძალებათ დამცველის (ადვოკატის) უფლებამოსილების განხორციელება სისხლის სამართლის პროცესში.

(საქართველოს 2003 წლის 2 ივნისის კანონი №2307 – სსმ I, 2003 წ., №13, მუხლი 87; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. პირებს, რომლებსაც არა აქვთ მიღებული ადვოკატის სერტიფიკატი და არ არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები, 2006 წლის 1 ივნისიდან ეკრძალებათ დამცველის (ადვოკატის) უფლებამოსილების განხორციელება სისხლის სამართლის პროცესში.

2. ამასთან, აუცილებელია ზემოაღნიშნული ორივე პირობის ერთდროულად არსებობა, ანუ მხოლოდ ადვოკატის სერტიფიკატის მიღება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირი, როგორც დამცველი (ადვოკატი), დაშვებულ იქნეს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, რადგან იგი ამავე დროს აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

მუხლი 680[3]. (ამოღებულია)

(საქართველოს 2004 წლის 16 სექტემბრის კანონი №430 – სსმ I, 2004 წ., №26, მუხლი 126; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213)

მუხლი 680[4]. პატიმრობის დროებითი ვადები

1. ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი, მე-2–მე-4, მე-6–მე-8 და მე-11 ნაწილების ამოქმედებამდე მოქმედებს ამ მუხლის მე-2–მე-9 ნაწილები.
2. ბრალდებულის პატიმრობის ვადა გამოითვლება ეჭვმიტანილის დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ ასეთი რამ არ ყოფილა, – ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლო ბრძანების აღსრულების მომენტიდან.
3. წინასწარი გამოძიებისას პატიმრობის ვადაა 3 თვე ეჭვმიტანილის დაკავების ან ბრალდებულის დაპატიმრების მომენტიდან. პატიმრობის ვადის დინება წყდება საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ განსჯადობის მიხედვით სასამართლოში საქმის ჩაბარების მომენტში. თუ დაკავებული დააპატიმრეს, მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. თუ სამთვიანი პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ ბრალდებულმა მისთვის შერჩეული ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება დაარღვია ან თუ მას უფრო მძიმე ბრალდება წარედგინა, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს უფლება აქვს გასცეს ბრძანება ბრალდებულის 1 თვით დაპატიმრების შესახებ.
4. საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას იმავე სასამართლოს მოსამართლეს ან მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით, გამომძიებლის მოტივირებული შუამდგომლობითა და პროკურორის თანხმობით, შეუძლია ბრალდებულის პატიმრობის ვადა გააგრძელოს კიდევ ერთი თვით. საქმის სირთულის გამო გამოძიების დამთავრების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამომძიებლის მოტივირებული შუამდგომლობითა და საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის, ქ. თბილისის პროკურორისა და ოლქის პროკურორის თანხმობით, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს შეუძლია ბრალდებულის პატიმრობის ვადა გააგრძელოს 6 თვემდე. საქმის მომეტებული სირთულის გამო გამოძიების დამთავრების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამომძიებლის

მოტივირებული შუამდგომლობითა და საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის თანხმობით, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, საოლქო სასამართლოს კოლეგიის მოსამართლეს შეუძლია ბრალდებულის პატიმრობის ვადა გააგრძელოს 8 თვემდე. განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, გამომძიებლის მოტივირებული შუამდგომლობითა და საქართველოს გენერალური პროკურორის თანხმობით, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს შეუძლია ბრალდებულის პატიმრობის ვადა გააგრძელოს 9 თვემდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული პატიმრობიდან დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

5. ბრალდებულის პატიმრობის ვადაში ითვლება სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო.
6. თუ საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნდა პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოდან, ბრალდებულის პატიმრობის ვადა სასამართლომდე გამოითვლება პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის მიღების დღიდან. სასამართლომდე და სასამართლოს შემდეგ, ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის დროის გათვალისწინებით, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.
7. თუ სამთვიანი და ექვსთვიანი პატიმრობის ვადის გასვლისას პროცესის მონაწილენი ვერ ასწრებენ წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ საქმის მასალების გაცნობას, პროკურორი უფლებამოსილია ამ კოდექსით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე.
8. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას განსასჯელის პატიმრობის ვადა, განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე, საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შემდეგ, არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის განმხილველი სასამართლოს წარდგინებით, ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კიდევ 6 თვემდე. განსასჯელის პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.
9. საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში და საოლქო სასამართლოში საქმის პირველი ინსტანციით, სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვისას განსასჯელის (მსჯავრდებულის) პატიმრობის საერთო ვადა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე არ უნდა აღემატებოდეს 24 თვეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის განმხილველი სასამართლოს წარდგინებით, ეს ვადა შეიძლება გაააგრძელოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კიდევ 6 თვემდე. განსასჯელის (მსჯავრდებულის) პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.
10. 2006 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 ივნისამდე, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში პროკურორის მიერ სასამართლოში საქმის ჩაბარებიდან შემაჯა-

მებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე აითვლება განსასჯელის პატიმრობის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს ვადა საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) წარდგინებით შეიძლება გააგრძელოს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ კიდევ 2 თვემდე.

11. 2006 წლის 1 ივნისიდან, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში პროკურორის მიერ სასამართლოში საქმის ჩაბარებიდან შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე აითვლება განსასჯელის პატიმრობის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს ვადა საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) წარდგინებით შეიძლება გააგრძელოს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ კიდევ 3 თვემდე.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. 2007 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის ნორმა, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულისა და განსასჯელის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ცხრა თვეს. პატიმრობის ვადის დინება იწყება დაკავებით, ან დაპატიმრების შერჩევის შესახებ ბრძანების აღსრულებით და წყდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისთანავე (იხილეთ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის კომენტარები).

2. 2006 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 ივნისამდე, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში პროკურორის მიერ სასამართლოში საქმის ჩაბარებიდან შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე აითვლება განსასჯელის პატიმრობის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს ვადა საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) წარდგინებით შეიძლება გააგრძელოს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ კიდევ 2 თვემდე.

3. 2006 წლის 1 ივნისიდან 2007 წლის 1 იანვრამდე, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში პროკურორის მიერ სასამართლოში საქმის ჩაბარებიდან შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე აითვლება განსასჯელის პატიმრობის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს ვადა სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (სასამართლოს) წარდგინებით შეიძლება გააგრძელოს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ კიდევ 3 თვემდე.

მუხლი 680[5]. (ამოღებულია)

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

მუხლი 680⁶. წინასწარი პატიმრობისა და სასამართლო პატიმრობის დროებითი ვადები

1. **2006 წლის 1 იანვრამდე სასამართლოს მიერ პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, გამოყენების შესახებ გაცემული ბრძანება მოქმედებს მასში მითითებული საპატიმრო ვადის ამოწურვამდე.**
2. **2006 წლის 1 იანვრამდე პირველი ინსტანციის სასამართლოში შესული სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში განხილვისას ამ კოდექსის 680⁴ მუხლით გათვალისწინებული განსასჯელის (მსჯავრდებულის) პატიმრობის დროებითი ვადები მოქმედებს მათ ამოწურვამდე.**
3. **თუ 2006 წლის 1 იანვრიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში შესულ სისხლის სამართლის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილია განაჩენი (დადგენილება), რომელიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოში საქმის შესვლიდან შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე განსასჯელის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს ვადა საქმის განმხილველი სასამართლოს წარდგინებით შეიძლება გააგრძელოს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ კიდევ 2 თვემდე, ხოლო საკასაციო სასამართლოში საკასაციო წესით საქმის განხილვის დროს განსასჯელის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. ამ ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.**

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

1. 2006 წლის 1 იანვრამდე სასამართლოს მიერ პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, გამოყენების შესახებ გაცემული ბრძანება მოქმედებს მასში მითითებული საპატიმრო ვადის ამოწურვამდე.

2. 2006 წლის 1 იანვრამდე პირველი ინსტანციის სასამართლოში შესული სისხლის სამართლის საქმის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ განხილვისას განსასჯელის პატიმრობის ვადა, განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე, საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შემდეგ, არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის განმხილველი სასამართლოს წარდგინებით, ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კიდევ 6 თვემდე. განსასჯელის პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

3. 2006 წლის 1 იანვრამდე პირველი ინსტანციის სასამართლოში შესული სისხლის სამართლის საქმის საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში და საოლქო სასამართლოში პირველი ინსტანციით,

სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვისას განსასჯელის (მსჯავრდებულის) პატიმრობის საერთო ვადა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე არ უნდა აღემატებოდეს 24 თვეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის განმხილველი სასამართლოს წარდგინებით, ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კიდევ 6 თვემდე. განსასჯელის (მსჯავრდებულის) პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

მუხლი 680[7]. ბრალდებულად ყოფნის დროებითი ზღვრული ვადა

ამ კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილის ამოქმედებამდე დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევის გამო პირი ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიცემული იყოს არა უმეტეს 24 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წარუდგენიათ ახალი ბრალდება. ასეთი ბრალდების წარდგენისას აღნიშნული ვადის დინება წყდება და იგი გამოითვლება ახალი ბრალდების წარდგენის დღიდან.

(საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94)

მუხლი 680[8]. აღკვეთის ღონისძიებების სახეების: შინაპატიმრობის, პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემისა და ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ მოქმედების ვადები

ამ კოდექსის 166-ე (შინაპატიმრობა), 167-ე (პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა) და 169-ე (ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ) მუხლებით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების სახეები მოქმედებს მათი გამოყენების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადით.

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368)

1. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეული შინაპატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ ხელწერილი მოქმედებს მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადით.

თავი LXVI
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 681. კოდექსის ამოქმედება

1. ეს კოდექსი, გარდა 33-ე მუხლის მე-4 ნაწილისა, 161-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 217-ე მუხლის მე-2 ნაწილის კ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 1999 წლის 15 მაისიდან.
2. ამ კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 162-ე მუხლის პირველი და მე-9 ნაწილები და 217-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.
3. (ამოღებულია).
4. 161-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამოქმედდეს პენიტენციური სისტემის რეფორმის გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ, რომლის ვადას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი ევროსაბჭოს რეკომენდაციით.
5. ამ კოდექსის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961წ, №1, მუხ. 11).
6. 84-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2002 წლის 1 იანვრიდან.
7. 654-ე მუხლი ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.
8. (ამოღებულია).
9. ამ კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 162-ე მუხლის პირველი, მე-2–მე-4, მე-6–მე-8 და მე-11 ნაწილები ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან.
10. ამ კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამოქმედდეს 2005 წლის 1 ნოემბრიდან.

(საქართველოს 1998 წლის 17 ივლისის კანონი №1531 – პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №27-28, გვ. 16; საქართველოს 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი №1773 – სსმ I, 1999 წ., №1(8), გვ. 11; საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 – სსმ I, 1999 წ., №16(23) მუხლი 65; საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი №2354 – სსმ I, 1999 წ., №36(43), მუხლი 178; საქართველოს 2000 წლის 8 თებერვლის კანონი №134 – სსმ I, 2000 წ., №2, მუხლი 3; საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №287 – სსმ I, 2000 წ., №18, მუხლი 48; საქართველოს 2000 წლის 5 ივნისის კანონი №632 – სსმ I, 2000 წ., №47, მუხლი 131; საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონი №980 – სსმ I, 2001 წ., №22, მუხლი 85; საქართველოს 2001 წლის 7 დეკემბრის კანონი №1176 – სსმ I, 2001 წ., №34, მუხლი 135; საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2454 – სსმ I, 2003 წ., №21, მუხლი 148; საქართველოს 2004 წლის 16 სექტემბრის კანონი №430 – სსმ I, 2004 წ., №26, მუხლი 126; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის

კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხლი 94; საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1681 – სსმ I, 2005 წ., №35, მუხლი 213; საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1736 – სსმ I, 2005 წ., №36, მუხლი 223; საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2265 – სსმ I, 2005 წ., №55, მუხლი 368; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2936 – სსმ I, 2006 წ., №14, მუხლი 89)

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე**
თბილისი,
1998 წლის 20 თებერვალი
№1251 - IIს

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებულ იქნა 1998 წლის 20 თებერვალს.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მისი ძირითადი ნაწილი) ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან.

3. დღეის მდგომარეობით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ფაქტობრივად სრულად არის ამოქმედებული.

9789994008834

საქართველოს
სახალხო დამცველის
აპარატი